55
3

მღდელი მიქაელ თამარაშვილი. Prêtre Michel Tamarati.

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის

ნამდვილ საბუთების შემოტანით და განმარტებით.

XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე.

HISTOIRE

du

CATHOLICISME en GÉORGIE

avec les documents justificatifs

DU XIIIe AU XX SIÈCLE.

ტფილისი
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგ. გამ. ქართველთა ამხანაგობისა
1902.

მღვდელი მიქელ თამარაშვილი

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის

ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით

XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე.

შინ არ გაიცემა

ავტორის მიერ გამოცემული

ტფილისი.

ელექტრ. საბეჭდი სტამბა ქართ. წიგ. გამ. ამხ. | Электропечатня Грузин. Изд. Т-ва.

1902 წ.



პატრი მიხაელ თამარაშვილი.

წინასიტყვაობა.

კარგა ხანია ჩვენში აღიძრა კითხვა ქართველ კათოლიკეთა შესახებ. მაგრამ, ამ კითხვის გამოსარკვევად, საჭირო საბუთების უქონლობის გამო, ზოგიერთმა ქართველი კათოლიკების არსებობა უარყო. ასეთმა უსაფუძვლო მსჯელობამ ბევრი გააკვირვა, რადგან ისტორიულ ფაქტებს ცხადათ ეწინააღმდეგებოდა. ამ კითხვის კარგად გამოსარკვევად და ჭეშმარიტების აღსადგენად, საჭირო გახდა დანამდვილებით შეგვეტყო, როდის დაიწყო კათოლიკე სარწმუნოებამ გავრცელება საქართველოში, რა პირობით მოღვაწეობდენ კათოლიკე მოძღვრები, რამდენათ ნაყოფიერი იყო მათი მოღვაწეობა ქართველებში და სხ.

ამ ჩვენის საეკკლესიო ისტორიულის ნაკლის შესავსებლად განვიზრახეთ, შეგვეკრიფა წინა საუკუნეთა საბუთები. მაგრამ სად უნდა გვეძებნა? რა თქმა უნდა, არა საქართველოში, სადაც, ძველის არხივების უქონლობის გამო, მათი კვალიც კი აღარა სჩანს. უნდა მიგვემართა ისევ იტალიისა და ევროპის სხვა და სხვა ქალაქების არხივებისათვის.

თუმცა დიდი შრომა მოითხოვა ამ წიგნში მოყვანილის საბუთების შეკრებამ, მაგრამ, რადგან შეეხებოდა სარწმუნოებასა და მამულს, გაჭირვება და შრომა სიამოვნებით თავს ვიდევით და ვეცადეთ, რაოდნათაც კი გარემოება ხელს გვიწყობდა, მეტის საბუთებისათვის მოგვეყარა თავი.

აქვე უნდა მოვახსენოთ პატივცემულ მკითხველთ, რომ აქ მოყვანილი საქართველოს შესახები საბუთები მცირედი ნაწილიღაა იმ საბუთებისა, რაც დაკარგულა და პოვნის იმედი, სამწუხაროდ, აღარა გვაქვს; აგრეთვე შედარებით მცირედი ნაწილია იმ საბუთებისა, რაც ხელახალის გულმოდგინებით, შეიძლება, შემდეგში აღმოჩნდეს, რადგან ევროპის ყველა წიგნთსაცავები და არხივები არ დაგვივლია და, სადაც კი გავშინჯეთ, იქაც ყველას ნახვა ვერ შევიძელით. ამიტომ იმედია, რომ მომავალში კიდევ აღმოჩნდეს ბევრი ასეთი საბუთი.

ძებნის დროს შევნიშნეთ, რომ ბევრი საბუთი დაკარგულა თუ საქართველოდგან გაგზავნისა და თუ ევროპიდან გამოგზავნის დროს, რადგან ოსმალები გზაში მათ წამღებ-მომტან მისიონერებს მეტად ულმობე-

ლად ეპყრობოდენ ხშირად: ზოგს მათგან ხოცავდენ, ზოგს ატყვევებდენ, ერთიანად აშიშვლებდენ და ისე ისტუმრებდენ. ცხადია ის საბუთები ხშირად მათ უვარდებოდათ ხელში, და რაკი ერთხელ ჩაუვარდებოდათ, მათი ბარბაროსობის მსხვერპლი ხდებოდა და სამუდამოდ ილუპებოდა ისტორიისა და ჩამომავლობისათვის. ეგრეთვე ზოგ ადგილას შევხვდით საძიებლებში სიას საქართველოს შესახებ საბუთებისას, მაგრამ იქ მოხსენებული საბუთები კი ველარ ვიპოვეთ, რადგან ზოგი დამწვარა, ზოგი ისე დაძველებულა დრო-ჟამის გავლენით, რომ სრულებით უხმარია, და ზოგიც თუ მტერს და თუ სხვა და სხვა გარემოებას ან სამოუდამოთ გაუოხრებია და ან აქეთ-იქით გაუფანტავს.

რადგან დღეს მეცნიერებას ერთ უმთავრეს საგნად აქვს ჭასულის დროის საისტორიო საბუთების კვლევა-ძიება, რათა მით ნათელი მოჰფინოს გასულის დროის ავსა და კარგს, ამიტომ ჩვენ წინათვე იმედი გვაქვს, რომ ყველა განათლებული და ერთგული საქართველოს შვილი სიამოვნებით და პატივით მიეგებოს ამ ჩვენს შრომას.

ამ საბუთების დალაგების დროს ჩვენ, რაოდენათაც კი შეიძლება, ვიცავთ ქრონოლოგიურს წესსა, რათა უფრო ცხადი და ნათელი შეიქნეს ეს ჩვენი ნაშრომი. ეგრეთვე ამ წიგნის თავებს ვყოფთ საუკუნეთა მიხედვით და ყოველ საუკუნეს თითო თავი ვუძღვენით. ხოლო იმ საუკუნეში, რომლის საბუთები ბლომათ არის, მოგვყავს იმდენი თავი, რაოდენსაც მოითხოვს საგნის განსხვავება და ან სხვა გარემობა.

რადგან დიდათ სასურველია, რომ ეს საბუთები გავრცელდეს საზოგადოებაში ისე, რა ენითაც დაწერილა, ამიტომ ნათარგმთან ტექსტებიც მოგვყავს ეგოდნათ სარწმუნოთ, რაოდნათაც კი საჭირო იყო ამგვარი შრომისათვის.

თავი I.

ქართველი კათოლიკენი XIII საუკუნეში.

სანამ ქართველ კათოლიკეთა შესახებ საბუთებს მოვიყვანდეთ, საჭიროდ ვრაცხთ, რამდენადაც კი შეიძლება, გამოვარკვიოთ შემდეგი კითხვა: საქართველოს ეკლესია რომის ეკლესიას იმავე დროს, ესე იგი 1054 წ. გაეყარა, როდესაც ბერძნისა და ლათინის ეკლესიანი ერთმანერთს დაშორდენ, თუ არა? ამ საგნის შესახებ ჩვენის ეჭვის აღძვრის მიზეზი ერთი მხრივ ის არის, რომ საქართველოს ეკლესია კაი ხნიდგან გათავისუფლებული იყო ანტიოქიისა და კოსტანტინეპოლის პატრიარქების მიმართ დამოკიდებულებისაგან და შეადგენდა ავტოკეფალ თავისთავად, დამოუკიდებელ ეკლესიას; მეორე მხრივ ისა, რომ იმ განცალკევების უმთავრესი მიზეზი იყო სხვა და სხვა საეკლესიო წესები და პირადი უთანხმოება პაპისა და მიქელ კერულერ პატრიარქის შუა და არა დოგმატიური კითხვები. ამიტომ ჩვენ ვერა ვხედავთ საკმაო მიზეზს, რომ უეჭველად და მიუცილებლად ერთსა და იმავე დროს საქართველოს ეკლესიაც გაშორებოდეს რომის ეკლესიას. ამის შესახებ საქართველოს ისტორია ცხადათ არაფერს მოგვითხრობს. არც ევროპის ისტორიაში მოიპოება ამ კითხვის გადაწყვეტილი ახსნა. ზოგიერთი ევროპელი მწერალი უარს ჰყოფს ქართველებიც ბერძნებთან ერთად გაჰყროდენ რომის ეკლესიას, იმ მიზეზების გამო, რომ საქართველო მუდამ და მეტადრე იმ დროებში, გართული იყო სხვა და სხვა ომებში და ძნელად რომ მაშინვე მიექცია ყურადღება იმ დროის სღვთისმეტყველო ბჭობისათვის და შესდგომოდა ბერძნების კვალს, მეტადრე მაშინ, როდესაც ესრეთი ბჭობა და განხეთქილება მას არ შეეხებოდა. (1) ეს აზრი უსაფუძვლოდ არ გვეჩვენება, უკეთუ კარგად ჩავუკვირდით ჩვენს ზოგიერთ ქართულ ძველს წარწერებსა და გუჯრებს. მაგალითად, იშხნის ეკლესიის ერთ უთარიღო წარწერაში, რომელიც ბროსემ ფრანგულად სთარგმნა და დაბეჭდა, ეგნატე, იშხნელი ეპისკოპოზი, აწესებს ყველიერის პარასკევს ერთს აღაპს დიმიტრი მეფის და მისის შვილების დავითისა და გიორგის სადღეგრძელოდ, ექვსის წმიდა კრებისა და ხუთის პატრიარქის სახელით სწყევლის იმათ, ვინც ამ აღაპს მოშლის. როგორც

ვიცით, დიმიტრი მეფე მეფობდა ასი წლის შემდგომ ბერძნისა და ლათინის ეკლესიის გაყრისა, ესე იგი, 1125—1155 წ. (1) ეს ხუთი პატრიარქი სხვა და სხვა დროის გუჯრებშიაც არის მოხსენებული, მაგალითად იხსენიებენ: გელათის მონასტრის საბუთები, თამარ მეფის მიერ 1189 წ. ხელ-მოწერილი სიგელი ცხირეთ-ცხავერისა; გველდესისა დაგავაზკოტმანისა, არსენ კათალიკოზის ბერად შესვლის დროს დაწერილი 1227—1240 წლებში; რკონის მონასტრის სიგელი, 1259 წ. დაწერილი და მეჭურჭლეთ-უხუცესის კახა თორელი ერისთავისადმი მიცემული, სადაც ორგზის დასახელებულია ხუთი პატრიარქი და სადაც ნიკოლოზ საქართველოს კათალიკოსი თავის თავს უწოდებს მეექვსე პატრიარქად; შიო მღვიმელის სიგელი, 1250—1260 წლებში დაწერილი და შიომღვიმის მონაზონებისაგან ზოსიმესადმი მიცემული, სადაც მოხსენებულია ექვსი კრება, ხუთი პატრიარქი და მათ შემდგომ საქართველოს კათალიკოზნი. (2) ყველასთვის ცხადია, რომ მსოფლიო კრებათაგან დამტკიცებულ და საქვეყნოდ აღსარებულ იყვნენ ხუთნი პატრიარქნი, ესე იგი: ანტიოქიისა, რომისა, იერუსალიმისა, ალექსანდრიისა და კონსტანტინეპოლისა. ეგრეთვე ცხადია, რომ გუჯრებში დასახელებული პატრიარქები არიან ის ხუთნი პატრიარქნი, რომელთა შორის იგულსხმების რომის პაპიც, როგორც საფუძვლიანად შენიშნავს თავისს ქრონიკებში პატივცემული ბ. თ. ჟირდანია. (3) ამ პატრიარქთა შორის საქართველოს პატრიარქი არ იგულისხმების, რადგან ხშირად ჩვენი კათალიკოსები, ხუთის პატრიარქის მოხსენების შემდგომ იქვე დასახელებულნი არიან. ამისთვის ყოველ ეჭვს გარეშე შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ გუჯრებში მოხსენებულ ხუთ პატრიარქთა შორის რომის პაპიც არის. ამ გუჯრების დაწერამდე (XII და XIII საუკუნემდე) საქართველოს ეკლესია რომის ეკლესიისაგან გაყრილი რომ ყოფილ იყო, მაშინ საქართველოს კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი და ერი საქართველოსი პატრიარქებს ხუთს კი არ დაასახელებდენ, არამედ ოთხს, და მათი რიცხვიდგან გამოსტოვებდენ რომის პაპსა, როგორათაც ჰქმნეს ბერძნებმა, რომელთაც, გაყრის უმალვე 1054 წ. თავიანთ დიპტიკებისა და სხვა წიგნებში პაპისა და მეხუთე პატრიარქის სახელი ამოშალეს და დაიწყეს მის შემდგომ მარტო ოთხი პატრიარქის ხსენება. ამავენაირად მოიქცნენ საქართველოშიაც შემდეგ საუკუნეებში და ოთხის პატრიარქის მეტს აღარ იხსენიებდენ. (1).

დაუმატოთ ამას იმ დროის ევროპის მწერლებიც, რომელნიც ქართველთა ჯვაროსნობას იხსენებენ. 1220 წ., ფრანგებისაგან დამიეტის აღების შემდგომ, ქართველებმა დასავლეთის ჯვაროსნებს წიგნი მოსწერეს, შეატყობინეს თავიანთ მზადყოფნა საომრად, და დაჰფიცეს,

რომ ომით აელოთ ერთი დიდი და შესანიშნავი პალესტინის ქალაქი, რათა არ ჩამორჩენილიყვნენ ფრანგებს თურქთა დამარცხებასა და წმიდა ადგილების ალებაში. ამ დროის მწერლები ქართველებს კათოლიკებად უწოდებენ „viri catholici“. (2)

ქართველთა და რომაელთ ეკკლესიების ამ ერთობის შესახებ გამოთქმულს აზრს XIII საუკუნის პირველ ნახევრამდე მაინც, არა ნაკლებ ამტკიცებენ შემდეგი შესანიშნავი საბუთები, მეტადრე რუსუდან დედოფლის წერილი და პაპის ონორიოს მესამის პასუხი.

ამ მოკლე გამოკვლევის შემდგომ ჩვენ საჭიროდ აღარ დავინახეთ გვეძებნა საქართველოს კათოლიკების შესახებ XIII საუკუნეზედ ადრინდელი საბუთები. რადგან ამ დროებში იწყება უფრო ცხადათ გაყრა და განსხვავება, ამისთვის ჩვენც სწორედ ამ XIII საუკუნიდგან ვიწყებთ საბუთების წარმოდგენას ერთის მეორის შემდგომ მათი ქრონოლოგიის თანახმად. პირველი ამათგანი არის რუსუდანის წერილი პაპის ონორიოს მესამისადმი და ესრედ იწყება:

„უწმიდესს პაპს, მამას და ყველა ქრისტიანების მთავარს, წმიდა პეტრეს საყდარზე მჯდომარეს. ჩვენ მდაბალი რუსუდან აფხაზთა დედოფალი, თქვენი ერთგული მხევალი და ასული უმდაბლესად თავს გიკრავთ და მოგესალმებით“.

„როგორც უდიდესი და უმაღლესი ბძანდებით, ისე ღვთისაგან იმედი მაქვს, უფალმა შეგისრულოსთ ყოველი თქვენი გულითადი ნატვრა. უკეთუ თქვენდამი წარმოგზავნილი წერილის გამო ჩვენთვის გულმოწყალე ხართ და იკითხავთ ჩვენს ამბავს, ვაუწყებთ თქვენს სიწმიდეს, რომ ძმა ჩემი ქართველთა მეფე მიიცვალა და მისი სამეფო მე მერგო: აწ ვითხოვთ თქვენს კურთხევას ჩვენთვის და ყველა ჩვენ ქვეშევრდომ ქრისტიანეთათვის. დამიეტში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომე ჩემი ძმა წასულიყო ქრისტიანების შესაწევნელად. ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდენ ჩვენს ქვეყანაში. ეს იქნება თქვენც შეიტყვეთ, დიდი უბედურება მიაყენეს ჩვენს ერსა და დაგვიხოცეს ექვსი ათასი კაცი. ჩვენ მათ არ ვუფრთხილდებოდით, რადგან ქრისტიანები გვეგონა; მაგრამ როდესაც ვსცანით, რომ კარგი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინ შევკრიბეთ ყოველი ჩვენი ძალა და წინ აღვუდექით, ოცდახუთი ათასი კაცი გავუწყვიტეთ, ბევრიც დავატყვევეთ და დანარჩენი მათი მხედრობა ჩვენის ქვეყნიდგან გავდევნეთ: აი ამის გამო აქ დავრჩით და თქვენის ელჩის ბრძანებისა მებრ ვერ წამოვედით.

„ხოლო აწ დიდათ განვიხარეთ, რა შევიტყვეთ, რომ თქვენის ბრძანებით იმპერატორი სირიაში უნდა წავიდეს წმიდა ადგილების და-

სახსნელად. გთხოვთ გვაცნობოთ, თუ როდის უნდა გამოიაროს იმპერატორმა, რათა ჩვენც წმიდა ადგილების დასახსნელად გავგზავნოთ ჩვენი მხედართ მთავარი ივანე მთელის ჯარით იმ ადგილს, საცა თქვენ ინებებთ. ეგრეთვე გაუწყებთ, რომ ამ ჩვენმა მხედართ მთავარმა და ჩვენის სამეფოს სხვა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა და წასვლას ელიან. ამისთვის ვევედრებით და ვსთხოვთ თქვენს უწმიდესობას, რათა მოგვწეროთ და გვიბოძოთ თქვენი კურთხევა ჩვენ, აღმოსავლეთში მყოფ ქრისტიანებს. ამ წერილის მომტანს, ჩვენს საყვარელს დავითს, ანის ეპისკოპოზს, ისე ერწმუნეთ ყველაფერში, ვითომც ჩვენის პირისგან გესმენოდესთ. თქვენთა წმიდა ლოცვათა შინა მოგვიხსენიეთ“. (1).

წერილს თარიღი არ აქვს, მაგრამ დაწერილ უნდა იყოს არა უგვიანეს 1223 წლისა, რადგან, როგორც ქვემოდ ვნახავთ, 1224 წ. პაპმა პასუხი მოსწერა.

წერილიდგან ცხადათ სჩანს, რომ რუსუდან პაპს აღიარებს მამად და ყველა ქრისტიანების მთავრად. ცხადზე უცხადესია, რომ საქართველოს ეკკლესიასა და პაპს შორის მჭიდრო კავშირი და ერთობა არსებობდა. ამ დროს საქართველოს ეკკლესია რომისაგან გაყრილი რომ ყოფილ იყო, მაშინ რუსუდან სრულიადაც არ მოსწერდა პაპს ასეთის შინაარსის წერილს და არც ისე ერთიანად მოემზადებოდა საქართველოს ერი და მეფე პაპის ელჩის მოწოდებით პალესტინაში საომრად წასასვლელად. ესრეთი წერილი და საქართველოს მომზადება პაპის ბრძანების აღსასრულებლად სხვა არაფრით აიხსნება, თუ არ იმით, რომ იმ დროს კიდევ ყოფილა ერთობა. ხოლო იმ დროს, ვინც რომისაგან გაყრილნი იყვნენ, არათუ პაპს ემორჩილებოდენ, არამედ მის წინაღმდეგ ომობდენ. მაგალითად ბერძნები (ამ დროს გაყრილნი იყვნენ რომისაგან) ქრისტიანების წინააღმდეგ ოსმალებსა შველოდენ.

რუსუდანის ამ წერილთანვე გაგზავნილი იყო ეგრეთვე მხედართ მთავრის ივანე მხარგძელის წიგნიც ერთსა და იმავე დროს დაწერილი. მხარგრძელის წერილი თუმცაკი ბევრად არ განსხვავდება რუსუდან დედოფლის წერილისაგან, მაგრამ რადგან ჩვენს ძველს და დიდებულ დროს ეკუთვნის, იმასაც მოვიყვანთ აქ სრულიად.

„უწმიდესს მამას და წმიდა პეტრეს საყდარზე მჯდომარეს. მთელს საქრისტიანოს მთავარს. მე ივანე, კაცი მორჩილი, მთელის საქართველოს და სომხეთის მხედართმთავარი, უმდაბლესად თავს დაგიკრავთ და მოგესალმებით.

„უკეთუ ჩემს ამბავს იკითხავთ, თქვენის წმიდა კურთხევით კარგად გახლავართ. გაუწყებთ, რომ ჩემი ბატონი მეფე მიიცვალა. და მის ადგილს თქვენის ლოცვა-კურთხევის მადლითა და ძალით სხვა ავირჩიეთ მე-

ფედ. თქვენმა წმიდა და მართლბრძანებამ, რომელიც დამიეტში მყოფის ელჩის მიერ წარმოგვივლინეთ, მოაწია მეფემდე და ჩემამდე. ხოლო როცა ჩვენ დიდის ძალით მოვამზადეთ რა ჯარი, ცხენოსნები, სურსათი და ვაპირებდით წასვლას ქრისტიანების შესაწევნელად და წმიდა ადგილების დასახსნელად, ამ დროს თათარნი, ჯვართ წარმძლვანებელნი შემოვიდენ ჩვენს ქვეყანაში, ქრისტიანობის მოჩვენებით მოგვატყუეს და ექვსიათასამდე კაცი გაგვიწყვიტეს. ხოლო შემდგომ რა ვსცანით, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები არ იყვნენ, თქვენის ლოცვის ძალით და წმიდა ჯვრის შემწეობით წინაღვუდექით, 25 ათასი ცხენოსანი გავუწყვიტეთ, ზოგნიც დავატყვევეთ და დანარჩენიც ჩვენის საზღვრებიდგან გავდევნეთ. ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ ვერ შევასრულეთ თქვენი ბრძანება თქვენის ელჩის მიერ გამოცხადებული. გარნა დიდათ განვიხარეთ, რა შევიტყეთ, რომ გიბრძანებიათ იმპერატორისა და დასავლეთის სხვა ქრისტიანებისათვის, რათა წამოვიდენ წმიდა ადგილების დასახსნელად. აწ გაუწყებთ, რომ თქვენს ბრძანებას ველით და მზათ გახლავართ მთელის ჩვენის ძალით წავიდეთ ქრისტიანების შესაწევნელად; მე თვით მზადვარ წმიდა ადგილების დასახსნელად წავიდე ორმოცი ათასი მეომრით, სადაც თქვენ ისურვებთ. მზგავსადვე გაუწყებთ რომ, როგორც მე, ეგრეთვე ჩვენის ქვეყნის ყველა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა, სხვაფრივ, ვევედრები თქვენს უწმიდესობას, რომ გვიბოძოთ თქვენი კურთხევა თუ ჩვენ და თუ ჩვენს ქვეყანას, რათა თქვენი კურთხევით და ღვთის მადლით კარგად ვიბრძოლოთ უფლის ბრძოლა. გთხოვთ ამ წიგნის მომტანს, მამა დავითს, ჩვენს ეპისკოპოსს ერწმუნოთ ისე, როგორც ჩვენ, ყველაფერში, რასაც ჩვენის მხრით მოგახსენებსთ. ჩემი ძმისწული შანშე, ბატონი თხუთხმეტის დიდის ქალაქისა, უმდაბლესად თავს გიკრავსთ და ითხოვს თქვენს კურთხევას“. (1).

როგორც რუსუდანის წერილი, ეს წერილიც ცხადათ მოწმობს საქართველოს ერთგულებას და ერთობას რომსათან. ჩვენის აზრით მეტი იქნება ამის უკეთესის საბუთის ძებნა იმ დროს საქართველოსა და რომის ეკლესიის ერთობის დასამტკიცებლად.

არა ნაკლებ შესანიშნავია პაპის პასუხი ამ ორთავ წერილისა. რუსუდან დედოფალს აი რასა სწერს:

„პაპი ონორიო III.—მამობრივის სახიერებით მივიღეთ და გულმოდგინებით ყურადვიღეთ თქვენი უმაღლესობის წერილი, სავსე მხურვალე მორწმუნეობის სუნელებით. უფლისამიერ დიდათ განვიხარეთ თქვენის ერთგულებით ჩვენდამი და რომის ეკლესიისადმი, რომელიც არის დედა და მოძღვარი ყოველთა ქრისტიანეთა. გვასიამოვნა აგრეთვე თქვენმა კეთილმა სურვილმა წმიდა ადგილების დახსნისამ, იმ ადგილებისამ, საქ-

დაც გამოუთქმელის სიყვარულით ჯვარზედ სიკვდილი ინება უფალმა იესო ქრისტემ კაცთა ნათესავის სამარადისო სიკვდილისაგან დახსნისა და ცხონებისათვის. ხოლო თქვენის ნეტარ ხსენებულის ძმის, საქართველოს მეფის, სიკვდილის გამო გიზრალებთ მამობრივის გულის წვითა; ამასთანვე გაგვახარა იმ ამბავმა, რომ მისი სამეფო თქვენ მშვიდობიანად ჩაგიბარებიათ, ვითარცა გვაუწყეთ თქვენის წერილით. ვევედრებით ღმერთსა, რომლის ხელშია სამეფონი და ძალნი მათნი, რათა თქვენ და თქვენი სამეფო ერთად დაგიცვასთ თავისს სარწმუნოებასა და ერგულებაზედ და ეგრეთვე მოგმადლოსთ ყოველი სიკეთე და დაგიფაროსთ. თუმცაკი ხორციელად შორს ვართ, გარნა თქვენთან ვიმყოფებით სულითა და გონების თვალით გხედავთ თქვენა და თქვენის სამეფოის ქრისტიანებს; მასთანვე გვახარებს თქვენი მორწმუნეობა, რომელიც გაქვსთ უფლის იესო ქრისტეს სარწმუნოებისადმი და რომელიც დიდათ სათნო საყოფელია, რადგან მას იცავთ ურწმუნოთა შორის, რომლებთანაც სცხოვრებთ, და ბრწყინავთ, როგორც ნათელი სიბნელეში და შროშანი ეკლებში; ამიტომ მოელოდეთ თქვენის სარწმუნოების ბედნიერ აღსასრულს, თქვენის სულის ცხონებას. რაისგამო შევაგულიანებთ უფლის მიერ თქვენს ხელმწიფებას, რათა მტკიცედ სდგეთ აღთქმაზედ ქრისტესსა, რომელმაცა სთქვა: „ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა.“ მის აღსარებასა და მისი წმიდა სახელის ქებაში მტკიცედ იყავით, ეგრეთვე თქვენის კეთილის მაგალითით მხნედ დაიცევით თქვენნი ქვეშევრდომნიც, რათა მათთან ერთად ამ წარმავალის ცხოვრების შემდგომ, მოიპოვოთ საუკუნო სასუფეველი.

„შესახებ იმისა, რომ გსურსთ შეიტყოთ დრო წასვლისა ჩვენის ქრისტეს მიერ საყვარელის შვილის ფრედერიკო ბრწყინვალის, რომის იმპერატორისა და სიჩილიის მეფისა, რათა თქვენც თქვენის მხედრობით შეეწიოთ წმიდა ადგილების დახსნის დროს, მოხარული ვართ თქვენის კეთილის განზრახვისა და გაუწყებთ ამ წერილით, რომ ეს იმპერატორი დიდის ძალით შეიჭურვა და მომავალის წმიდა იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულის შემდგომ ერთის წლით მიდის ბევრის სამზადისით და თან მიჰყავს აღურიცხველი მორწმუნე ერი წმიდა ადგილების დასახსნელად. უფლისა მიერ გაგონებთ და გამხნევებთ რომ, თანხმად თქვენის საქებურის დაპირებისა, ეცადოთ და ისე მოამზადოთ თქვენი მხედრობა, რათა თქვენის დიდებულების შესაბამი სამსახური მიაგოთ იესო ქრისტესა, ამ დიდისა და წმიდა საქმისთვის თუ თქვენ და თუ თქვენნი ქვეშევრდომნი რაოდნათაც კარგად, ნებიერად და გულ მოდგინებით მოემზადებით, ეგოდნათ დიდს სასყიდელს მიიღებთ უფლისაგან. ამიტომ ვაუწყებთ თქვენს ერთგულებას, რომ ვინც ამ შრომაში (ჯვაროსნობაში) მიიღებენ მონა-

წილეობაში, ან თვით წავლენ, ან სხვას გაგზავნიან, ან ფულით შეეწევიან და ან სხვისი ხარჯით წავლენ, მათ ყოველთა ვანიჭებთ მოციქულებრივის შენდობით ყველა ცოდვების მოტევებას, უკეთუ ჭეშმარიტად შეინანებენ და აღსარებას იტყვიან.

„აწ თქვენ ეს წიგნი წააკითხეთ ყველა თქვენთა ქვეშევრდომთა, რომელთაც, თქვენის თხოვნისა მებრ, ვანიჭებთ მოციქულებრივ კურთხევას და გპირდებით თქვენა და მათ ჩვენს პატივისცემას და მფარველობას, როდესაც კი საჭირო იქნება და როგორათაც შეჰფერის სამოციქულო საყდარსა. 12 მაისისა, 1224.“ (1).

ეს წერილი, ჩვენის აზრით, ერთიან სპობს ყოველს ეჭვსა და ცხადათ ამტკიცებს იმ დროის საქართველოსა და რომის ეკკლესიის ერთობასა და კავშირს. ვინაიდგან პაპი, როგორც მისი სიტყვებიდგანა სჩანს, მოხარულია ქართველების მორწმუნეობისაგამო, მათ სხვას არაფერს ავალებს, თუ არ მხნეობასა და სარწმუნოების დაცვას ისე, როგორც მანამდე ყოფილან. ერთობა საეჭვო რომ ყოფილიყო, მაშინ პაპი მათ შეაგულიანებდა, ჰსთხოვდა შეერთებას და არც შეუთვლიდა მოციქულებრივ შენდობას და ცოდვების მიტევებას. ისიც ყურადსაღებია, რომ პაპი შენდობის მინიჭებაზედ ხმარობს ერთსა და იმავე ლექსებს, რომლის ხმარებაც მხოლოდ კათოლიკე მეფეებისა და ერისათვის მიღებილი იყო ხოლმე. ცხადია პაპი არც ამ ლექსებს იხმარებდა, დედოფლისა და ქართველების ერთობაზედ რაიმე ეჭვი რომ შეეტანა.

აქვე მოგვყავს საქართველოს მხედართმთავართან, ივანე მხარგძელთან მიწერილი წერილიც, რომელიც წინაწერილებზე არა ნაკლებ შესანიშნავია.

„პაპი ონორიო III.

„სახელოვან ივანეს, საქართველოს მხედართმთავარს.

„უფლისა მიერ განვიხარეთ მამობრივის გულკეთილობით, მივიღეთ რა შენი კეთილშობილების წერილი და ვსცანით თუ შენი საუკეთესო ამბავი და თუ მხურვალე და საქებელი წადილი წმიდა ადგილების დახსნისათვის დახმარების აღმოჩენისა. ამიტომ გაუწყებთ, რომ ყველაფერი მართალია, რაცკი შეგიტყვიათ ჩვენის ქრისტეს მიერ საყვარელი შვილის რომის იმპერატორისა და სიცილიის მეფის, ფრედერიკო ბრწყინვალის განზრახვისა წმიდა ადგილებში წასასვლელად. იგივე იმპერატორი უკვე დიდ-სულოვნებით და მშვენიერად მომზადებულია იქ წასასვლელად. ამ მოციქულებრივის წერილით ვასმენთ და გულმოდგინებით ვამხნევებთ შენს კეთილშობილებას, რათა, შენის მშვენიერის და საქებელის დაპირებისამებრ, ისე მოემზადო მთელის შენის მხედრობით, როგორც შეშვენის შენს დიდებულებას, რომ შეეწიო ქრისტიანეთა

მხედრობის და სათანადო სამსახური მიაგო იესო ქრისტეს. სცანი, რომ თუ შენ და თუ შენნი ქვეშევრდომნი უფლისა მიერ გვიყვარს და დიდად გვიხარის შენი სარწმუნოება და სასოება, ეგრეთვე მზათ ვართ, რომ, რაცკი საჭირო იქნება, სამოციქულო საყდრის შემწეობა და პატივი აღმოგიჩინოთ. გაკურთხებთ მოციქულებრივის კურთხევითა არა მარტო შენ, არამედ ყველა შენთა ქვეშევრდომთაცა, და მეტადრე შენს ძმისწულს შანშესა, რომლისათვისაც კურთხევა მთხოვე. 12 მაისისა, 1224.“ (1).

რუსუდანთან და მის შვილთან მეფე დავითთან ორი წიგნი პაპს გრიგოლ IX-საც მიუწერია. ისინიც მოგვყავს აქ, რადგან საკმაოდ შესანიშნავნი არიან როგორც ჩვენის კითხვის გამოსარკვევად, ისე სხვა მხრივადაც.

„პაპი გრიგოლ IX. საქართველოს უბრწყინვალესს მეფეს.

„რადგან ყოველი ძალა გამომდინარეობს ყოვლის მპყრობლის უფლისაგან და ყოველი მისი ნამოქმედარი კეთილია, ამიტომ მეფენი ამაოდ არ ატარებენ მახვილსა, არამედ იგინი სჯიან ულმრთოთა და შურს იძიებენ მათსა, ვინც შეურაცხყოფენ გამჩენსა, იგინივე მორწმუნეთა კეთილ მოქმედებას აქებენ და ზრუნვენ მათი კეთილად დაცვისათვის. ამ წიგნის მომტანმა მინორიტების ორდენის მღვდელ-მონაზონმა, ჩვენმა საყვარელმა შვილმა იაკობ როგსანელმა გვიამბო, რომ თქვენ დიდების ტახტსა, რომელზედაც ახვედით ღვთის ხელიდგან მიღებულადა სთვლით და პატივისცემით ეპყრობით ამის ძმათა მონაზონებსაც, უფროს ერთად მათი მოღვაწეობის ნიჭს დიდათ აფასებთ, რადგან, როგორათაც მოიმედევართ, კარგად უწყით, რომ იგი, რომელიც მდაბალთა და მცირეთა მოხედავს და იცავს, არცხვენს სიბოროტეს მწვალებელთა ამნაირი მცირე პირებითა, რომ უფალი აბრწყინებს კათოლიკე ეკკლესიას სხვა და სხვა სასწაულებით, რათა ეგოდნათ უფრო მომეტებულად აღამაღლოს პატივით და დიდებით, რაოდენადაც გლახაკნი, მდაბალნი და მარტივნი იქმნებიან. უკეთუ გნებავთ, მეფევ, მიიღოთ მართალთა და წინასწარმეტყველთა სასყიდელი იმ ზეციერის მეუფისაგან, რომელიც ცეცხლით მოსასვლელ არს განსჯად ცოცხალთა და მკვდართა, და რომელიც თავისად ითვლის, რასაც ერთ მის მცირეთაგანს უყოფენ, ამიტომ იტვირთეთ მათი ნაკლებულობა და თქვენს შემწეობას ნუ მოაკლებთ. ამაზე გულმოდგინებით ვევედრებით, ვავუწყებთ და შევაგულიანებთ თქვენს ხელმწიფებას; ეგრეთვე თქვენის ცოდვებისათვის შენდობის მისაღებათ ამ მოციქულებრივის წერილით გავალებთ, რათა სახიერებით მიიღოთ და სიყვარულით შეიწყნაროთ თუ ეს ჩვენი ერთგული საყვარელი შვილი და თუ მისნი თანაძმა მონაზონნი, რომელთაც ნებით სიგლახაკე უტვირთიათ, რათა ქრისტეს გულისათვის სამსახური მიაგონ

იმათ, ვინც ღმერთს არ სცნობენ, თუმცა კი მის სახელს ამაოდ იხსენიებენ; ეგრეთვე მათში ადიდეთ იგი, რომელმაც ტყვეობისაგან ჩვენ დასახსნელად და თავის მემკვიდრე შვილად შესარაცხად, მოგვანიჭა თავი თვისი. **11** აპრილსა, მღვდელთ-მთავრობის მეშვიდე წელიწადსა **(1233 წ.).“ (1).**

სხვა და სხვა ისტორიულ წერილებში ბევრი ვეძებეთ, რომ შეგვეტყო, თუ ეს იაკობ როგსანელი და მისი თანა ძმა მინორიტები (წმიდა ფრანჩისკეს წესის მონაზონები) როდის და რა შემთხვევაში მოვიდენ საქართველოში, მაგრამ, სამწუხაროდ ვერავითარი კვალი ვპოვეთ. გარნა ვფიქრობთ, რომ ისინი საქართველოში უნდა მოსულიყვნენ არა უადრეს **1230** წ. ესევე პაპი ამავე დროს კვალად გზავნის საქართველოში სხვა იმავე ორდენის მონაზონებს და სწორედ ამ წლებიდგან იწყება საქართველოში მოსვლა ლათინის მისიონერ-მონაზონებისა და მათ მიერ ტფილისში მონასტრის დაფუძნება. დასახელებული წერილიდგანვე სჩანს, რომ საქართველოში დომინიკიანი მონაზონების უწინარეს, მოვიდენ ფრანჩისკიანების (მინორითები) მონაზონები, რომლებსაც შემდეგში მოემატნენ დომინიკიანებიც.

ამ ხანებში მისიონერების გამოგზავნა ჩვენს ქვეყანაში უეჭველად იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს შეეწყვიტოს ერთობა რომასთან, რადგან შეიძლება, ამ დროს ეს მისიონერები აქ ყოფილიყვნენ არა ქართველებისათვის, არამედ ურწმუნოებისა და სხვა და სხვა გვარ მწვალებელთა მოსაქცევლად. თვით წერილიც საკმაოდ გვიჩვენებს ამ გარემოებას.

რადგან ხელთ არა გვაქვს უფრო ცხადი საბუთი, რომელსაც შეეძლოს გარდაწყვეტით გვიჩვენოს რომისა და საქართველოს სარწმუნოებრივის ერთობის გამძლეობა თუ ამ დროს და თუ მის შემდეგს წლებში, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ერთობა მტკიცედ დაცულა ვიდრე **1230** წლამდე. ხოლო ამ ხანების შემდგომ მომხდარა განცალკევება, მაგრამ რომელ წელში, ანუ რა შემთხვევაში, ეს ჯერ არა სჩანს.

ამის შემდგომ რუსუდანსაც მიუწერია წიგნი პაპი გრიგოლ მეცხრისათვის **(1235—1239** წლებში). სამწუხაროდ ეს წერილი აღარსად სჩანს, ამიტომ კარგად არ ვიცით, თუ რა იყო ამ წერილის შინაარსი. ხოლო პაპის პასუხიდგან ისა სჩანს, რომ რუსუდანსა და მის შვილს დავითს თათრების წინაალმდეგ პაპისათვის შემწეობა უთხოვიათ; უთხოვიათ ეგრეთვე რომის ეკკლესიასთან შეერთება. ეს წერილი უნდა ყოფილიყო ორივეს, დედისა და შვილის სახელით; რადგან პასუხი ორივესთან ერთ წერილშია მოქცეული. პაპის საპასუხო წერილი საკმაოდ ვრცელია, ამიტომ იმ ნაწილს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის, ვსტოვებთ და მოვიყვანთ მხოლოდ შემდეგს ნაწილს.

„პაპი გრიგოლ IX. ბრწყინვალე რუსუდანს და მის, შვილს დავითს, საქართველოს დედოფალს და მეფეს.

„ყოვლად მაღალის ხელთა ქმნილება საკვირველი მზე, რომელიც ანათებს მთელს ქვეყანას.... რომელმანც მზესა შინა დასდვა კარავი თვისი და ვითარცა სიძე რა გამოვალნ ეზოით თვისით ქალწულისა, იხარებდეს იგი, ვითარცა გმირი სრბად გზასა, მან შთაღვარა გულთა თქვენთა თავისი ნათლის ბრწყინვალება, მოგაშორათ სიბნელის შეცთომილება და უხვად მოგანიჭათ მადლი თვისი ცნობისა, რათა განკვირვებით სჭვრეტდეთ ყოვლის მპყრობელის მამის ძლიერებასა, ეთაყვანებოდეთ მისის ძის საუკუნო სიბრძნესა და იყვნეთ გამსჭვალულნი ორივესა შემაერთებელის სულიწმიდის სიყვარულით; და ესე არს დედოფალი ყოველთა სათნოებათა, რათა ჟამიერის ცხოვრების შემდგომ ღირს იყვნეთ საუკუნო დიდებაში ცხადათ ხილვისა ღვთისა, რომელსაც აწ კათოლიკე სარწმუნოებით, ვითარცა დაფარულს სარკეში ხედავთ. იმ დიდებაში, სადაც არავითარი სიბნელეა, მართალნი ღვთის წინაშე ბრწყინვენ, როგორც მზე, იქ არავითარი წინააღმდეგობა, არავითარი ნაკლებულობა მოიპოება, არამედ ყოველი სიუხვეა, რასაც კი მართალნი ინატრებენ, რადგან ღმერთმა თავის მოსავთ განუმზადა ყოველი ბედნიერება, რომელიც თვალს არ უნახავს, და რომელსაც კაცის გონება ვერ მისწვდება. ამიტომ საყვარელნო შვილნო, დიდად გვიხარის, რომ ღვთის სიტყვა გიცვნიათ და სარწმუნოება თქვენს ქვეყანაში ეკკლესიის დაფუძნებიდგანვე შეურყევლად დარჩენილა, როგორათაც თქვენვე გვაუწყებთ წერილით. კვალად გვიხარის, რომ ძემან ღვთისამან, თავისის ზეციერის წყალობით, გაგაცნოთ თავისი წმიდა სახელი, რათა თვისი დიდებულის საუფლოს მონაწილე გყოსთ საუკუნოდ. აწ ვინ არ შეიყვარებს და არა თაყვანსა სცემს ესრედ სახიერ ღმერთსა, რომელმანც შეჰქმნა კაცი მიწისაგან, რომ თავისის დიდების მონაწილე ჰყოს, რომელმანც ტყვეობიდგან გამოსახსნელად ადამის ტომისა მოავლინა ძე თვისი მონის სახით ქვეყანაზედ ჯვარსაცმელად და სასიკვდილოდ? ვინ არ შეიყვარებს და არა თაყვანსა სცემს ისეთ უფალს, რომელიც კაცს სხვა არაფერს სთხოვს, თვინიერ იმისა, რომ მართალი და მოწყალე იყოს, ჰყოს სხვა კეთილი საქმენი, შეიყვაროს თავისი გამჩენი სულით და გულით, ეშინოდეს მისი და დაიცვას მტკიცედ მისი მცნება? მსგავსადვე თქვენც მოგვილოცეთ ჩვენც და სხვა დანარჩენ ქრისტიანეთაც, რომ ქრისტეს სარწმუნოებამ ჩვენამდინაც მოაწია, და აწ ვადიდებთ ღმერთსა, როგორათაც ჯერ არს, და ვსასოებთ საუკუნო ცხოვრების მოპოებას. ესრედ თქვენი ჩვენთან მოსული და ჩვენი თქვენთან წარმოგზავნილი წიგნებით ურთიერთადსულიერის შვებით განვიხაროთ, რომ ქრისტეს სარწმუნოება თქვენსა და

ჩვენ შორის იდიდების. ხოლო ჩვენი სიამოვნება შეასუსტა და სიხარული გაგვიმწარა იმ ამბავმა, რომელიც გვაუწყეთ თქვენის წერილით, რომ კათოლიკე სარწმუნოების მტერნი თათარნი შემოსულან თქვენს სამეფოში და დიდი ვნება მოუყენებიათ თქვენთვის. გარნა ვინუგეშეთ იმითი, რომ თუმცა პირველში მტრისაგან დაძლეულხართ, მერმე კი დაგიძლევიათ, საბოლოვო გამარჯვება თქვენ დაგრჩენიათ და თქვენის მავნებელის მტრისათვის დიდი ზარალი მიგიციათ. ჯერ არს, რომ თქვენც ჩვენ შეგვიბრალოთ, რადგან სარწმუნოების მტერი ჩვენც ძრიერ გვდევნის. გარდა ამისა, რომ სარკინოზები ისპანიასა და სირიაში სდევნიან კათოლიკე სარწმუნოებას, ზოგიერთნი ქრისტეს სარწმუნოებისაგან განდგომილნი წინ აღგვიდგნენ, რაც კი შეეძლოთ დაუწყეს ღვთის ეკკლესიას დევნა, უნდათ ახალი მწვალებლობის დამყარება და ცდილობენ მოსპონ ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომელმაც უნდა დაიხსნას და აცხოვნოს ადამის ნათესავი. შეიძლება, ღმერთმან განგებ მოავლინა ესრეთი განსაცდელი, რადგან, როგორც ცეცხლი ოქროს გასწმენდს, ესე იგი ზოგჯერ ბოროტთა საშუალებით გამოსცდის კეთილთა, რათა კარგათ გამოცხადდეს მათი მღჳნეობა და სიმხნევე და აღმოხოცოს მათი გულიდგან ყოველივე მწიკვლი ცოდვისა; როგორათაც სუფთა პური არ შეიქმნების, თუ ჯერ ხორბალი ღვარძლისაგან არ განშორდების ჩალას, ეგრეთვე უფალი თავისი ტაძრის ასაშენებლად არ მიიღებს ქვათა, თუ წინეთ კარგად გაწმედილნი და გათლილნი არ არიან. ამნაირად გამოცდილნი და გაწმედილნი მართალნი მიიღებენ საუკუნო სასყიდელს და მოიპოებენ საუკუნო ცხოვრებას. ვინაიდგან ისრაელის ერმა მაშინვე კი არ დაიმკვიდრა აღთქმის ქვეყანა, არამედ ბევრ ხანს უდაბნოში იარა და მხოლოდ მტერზედ ბევრ გზის გამარჯვების შემდგომ ეღირსა მის დაპატრონებას. გარნა ვსასოებთ, რომ მაცხოვარმა, ამ ღელვის შემდგომ, მოგვანიჭოს მშვიდობა და დათრგუნოს სამოციქულო საყდის მტერნი. აწ, საყვარელნო შვილნო, ნუღარ გაგიკვირდებათ, თუ რომის ეკკლესიის მხედრობა არ მოდის თქვენ შესაწევნელად თათრების წინაალმდეგ. სარკინოზნი, რომლებსაც სირიაში ვეომებით, არ გამოუშვებენ მანდეთ ჩვენს მხედრობას. ამ თქვენმა ამბავმა ძლივს მოაწია ჩვენამდე. ქრისტიანე სარწმუნოების დაცვისათვის დაუცხრომელად ვეომებით მტერსა იტალიასა, სირიასა და ისპანიაში. ამიტომ აღარ შეგვიძლია დაგეხმაროთ. რაკი სხვა ფრივ ვერ შევიძელით თქვენი შეწევნა, ამიტომ ვინებეთ ამ წერილის გამოგზავნა, რათა ამითი კარგად სცნოთ ჩვენი თქვენდამი სიყვარული, რომელიც ვერ გამოგიცხადეთ თქვენმიერ ნათხოვნის შეწევნის მოცემით.

„ხოლო რაიც შეეხება იმას, რომ თხოულობთ ჩვენთან შე-

ერთებას, ამაზედ დიდად ვაქებთ თქვენს დიდებულებას; უკეთუ აქამდე თქვენი ცხონების სისრულეს რამე აკლდა, აწ ეს თქვენი შეერთება სრულ ჰყოფს მას და მასთანვე აგვირგვინებს ჩვენს სიხარულსაც, რომლის მიზეზი თქვენ ხართ. კათოლიკე ეკკლესია, სძალი ქრისტესი, ერთ არს; ქრისტემ მოციქულთა მთავარს პეტრეს მისცა სიმართლე გახსნისა და შეკვრისა; ეგრეთვე მარტო პეტრე უჩვენა, როდესაც სთქვა: „ამა კლდეზედ აღვაშენო ეკკლესია ჩემიო“. რადგან მხოლოდ პეტრე უჩვენა და მხოლოდ ერთი ეკკლესია დაასახელა იესო ქრისტემ, ამითი მან ცხადათ აღკრძალა სხვა და სხვა ეკკლესიების დაფუძვნება და ეკკლესიისათვის მრავალ მწყემს-მთავართა დადგენა. ამისთვის იყო, რომ უბრძანა პეტრეს, რათა დამწყსოს სამუდამოდ ცხოვარნი თვისნი და შემოჰკრიბოს ეკკლესიაში თუ ურიანი და თუ წარმართნი, რათა იყოს ერთ სამწყსო და ერთ მწყემს. ამავე საგანს რა გონების თვალით სჭვრეტდა ეზეკიელ წინასწარმეტყველი, სთქვა ცხადათ, რომ უფალი ყოველთა ძეთა ისრაელთაგან, ესე იგი ღვთისადმი მოქცეულთაგან, შეადგენს ერთს მხოლოდ ერსა და ერთს მხოლოდ სამეფოს, რომლის მმართველი იქნება მარტო ერთი მეფეო. ამითი უფალი ცხადათ უკრძალავს მრავალ ეკკლესიათა დაფუძნებას და მრავალ მწყემსთა დადგენას. არც ბუნების კანონი იგუებს, რომ ერთს სხეულს ებას მრავალი თავი და მრავალ სხეულთ ებას ერთი თავი. თუმცაკი სხვა და სხვა ერნი კათოლიკე სარწმუნოებას აღიარებენ, მაგრამ ყველა ისინი შეადგენენ ერთს მხოლოდ ეკკლესიას, ვინაიდგან ყველანი მდაბლად ემორჩილებიან ერთსა და იმავე თავსა, რომელიც არის ქრისტეს მონაცვლე და წმიდა პეტრეს მოსაყდრე. ხოლო ვინც ამ ერთი თავის ნასხამნი არ არიან, უთუოდ, როგორც ერთი საოცარი არსი, წარემართებიან წარწყმედის გზასა, რადგან, როგორც ქრისტე არ განიყოფების და ღვთაება არ განაწილდების, ეგრეთვე ქრისტემ, ზეცად ამაღლების დროს, მხოლოდ ერთი თავისი მონაცვლე დაუტევა ქვეყანაზედ. ამიტომ საჭიროა ამას დაემორჩილონ ყველა ტომის მთავარნი, თუკი უნდათ ქრისტეს ეკუთვნოდენ. ამითი ჩვენს ძმებს და ეპისკოპოსებს სრულებით არ აჴდით იმ პატივს, რომლის ღირსნიც ისინი არიან, რადგან აღვიარებთ ღვთისა და სამოციქულო საყდრის წარმომადგენლად ყველა იმ ეპისკოპოსთ, რომლებიც ხალხის სულიერად მოვლის შრომაში მონაწილეობის მისაღებად მოწოდებულნი არიან წმიდა პეტრესა და მის მოსაყდრისაგან. ამიტომ საყვარელნო შვილნო, საჭიროა ქრისტეს მონაცვლე და წმიდა პეტრეს მოსაყდრე, რომის პაპი სცნოთ თქვენ და ყველა თქვენთა ქვეშევრდომთა, როგორც მამა და ჩვენი სარწმუნოების მწყემსი. შეუერთდით მას და რომის ეკკლესიას და სწუხდეთ, რომ აქამდე დაგიგვიანდათ. დაემორჩილენით მას ყველაფერში, რაცკი

შეეხება თქვენის სულის ცხონებას. ამის მეტს თქვენგან არაფერს ვითხოვთ. კაცს მარტო იმასა ვთხოვთ, ღვთისა ეშინოდეს, იგი შეიყვაროს ყოვლითა გულითა და ვლიდეს მისის სიმართლის თანახმად. ვინც ამ მხრივ ჩვენი ურჩი იქნება, ის სწორედ კეთილი სული არ უნდა იყოს. რაგინდ ძლიერი მეფე იყოს, მორჩილებით არ დაუმცირდება, არც ხელმწიფება და არც ღირსება, არამედ ყოველი ძალი და უფლება მოემატება. ვინაიდგან ერს მხოლოდ ისინი მართავენ კარგად, ვინც ღმერთს თავს მოუმდაბლებენ და ერთგულად ემსახურებიან. ამიტომ იესო ქრისტეს დათხეულისა და დაუფასებელი სისხლის პატივისათვის ვაუწყებთ, ვაგონებთ და ვთხოვთ თქვენს დიდებულებასა, რათა შემოუერთდეთ რომის ეკკლესიას, მის მწყემსს დაემორჩილოთ და ამ სამოციქულო საყდრის მორჩილება მიიღებინოთ ყველა თქვენთა ქვეშევრდომთაც. თქვენის შრომით აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეერთებისათვის ურყევად დაიმკვიდრებთ სასუფეველის გვირგვინსა. თქვენც კარგად უწყით და ზემოთ ჩვენც მოვიხსენიეთ, რომ უფალმა მარტო პეტრეს ჩააბარა სასუფეველის კლიტენი, ამიტომ სასუფეველის კარი გაეღება მხოლოდ იმათ, ვინც პეტრესი და მისი მოსაყდრის მორჩილნი იქნებიან. ამისგამო ვგზავნით თქვენთან მოქადაგეთა წესის ძმათა უგუიჩინოს, იაკობს, ბენევენტოს, რუბინოს, პეტრეს, ბერნარდეს, ლამბერტის და გვიძარდოს, რომელნიც ძლიერნი არიან სიტყვითა და საქმით, რომელთა შორის ბრწყინავს კეთილი ცხოვრება და მოძღვრება, რადგან რასაც სხვას სიტყვით ასწავლიან, მას ჯერ თვით საქმით ასრულებენ. მაშ მიიღეთ იგინი სახიერებით, როგორც ქრისტეს მიერ მოვლინებულნი და გულმოდგინებით ისმინეთ ყოველი მათი მოძღვრება. იანვრის 13, მღვდელთ მთავრობის 13 წელსა (1240)" (1).

მარტო ამ წერილიდგან სჩანს საქართველოს ეკკლესიის გაყრა, რომელსაც მალე ბოლო მოეღო, რადგან თვით რუსუდან სთხოვს პაპსა რომის ეკკლესიასთან შემოერთებას. ეს შემოერთება უეჭველად უნდა მომხდარიყო იმავე დროს, რადგან არც ერთ მხარეს სიძნელე არაფითარი არსებობდა და საბუთიც არაფერი გვაქვს, ამაზედ ეჭვი შევიტანოთ შემოერთებას. ის გარემოებაც გვიჩვენებს, რომ რუსუდანმა პაპის ახალი გაგზავნილი მისიონერები კარგად მიიღო და ტფილისში დააბინავა. წმიდა დომინიკეს ორდენის მონაზონებმა დააფუძნეს ტფილისში თავიანთი მონასტერი 1240 წ. და ეს მონასტერი შემდეგს საუკუნეებშიაც არსებობდა, შიგ მუდამ უკლებლივ იყვნენ ევროპიდგან მოსული დომინიკიანების ორდენის მონაზონები და საქართველოს ერის გასანათლებლად შრომობდენ მინორიტების ანუ ფრანჩისკიანთ მონაზონებთან ერთად. ეს უკანასკნელნი დომინიკიანებზედ 10 წლის წინეთ იყვნენ ტფილისში დამკვიდრებულნი.

ეს წერილი იმითიც შესანიშნავია, რომ შიგ ქებაა ქართველებისა, როგორც ქრისტეს სარწმუნოების უხრწნელად დამცველის ერისა. ამას ჩვენი მატიანენიც ცხადათ მოწმობენ.

პაპმა ინოჩენციო IV, 1245 წ. აღმოსავლეთში ბლომათ გამოგზავნა მინორიტების ორდენის მონაზონები, რომელთაგან ზოგნი სათათრეთს წავიდნენ, ზოგი სომხეთს, ზოგი ალანებთან, ჯიქებთან, ხაზარებთან და ზოგნიც საქართველოს მოვიდნენ. პაპმა იმავე დროს მისწერა აღმოსავლეთის ყველა პატრიარქებს და წინადადება მისცა რომის ეკლესიას შემოერთებოდნენ. იმ წერილში ვრცლად ლაპარაკობს ეკლესიის ერთობისა და მასთან შეერთების საჭიროების შესახებ; ყველას ავედრებს თავის გაგზავნილ მონაზონებს, რათა კარგად მიიღონ და შეერთებისთვის მოილაპარაკონ მათთან; ეგრეთვე ეუბნება, მე მზათა ვარ მოუწოდო მსოფლიო კრებას, უკეთუ თქვენ მოითხოვთო. ვატიკანის არხივში შენახულ წერილს ბოლოში აწერია, რომ ერთი და იგივე წერილი იბერიელებისა და ქართველების პატრიარქსაც გაეგზავნაო. გარნა აქიდგან დასკვნას ვერ გამოვიყვანთ, რომ იმ დროს საქართველოს ეკლესია ან არ ყოფილიყოს შეერთებული ან ისევ გაჰყროდეს რომსა, რადგან, როგორც ვნახეთ, ჯერ სწორედ ხუთი წელიწადი არ იყო გასული, რომ თვით რუსუდანმა მოინდომა შეერთება და გრიგოლ პაპმა ამაზედ ვრცელი წერილი მოსწერა. ხოლო თუ ინოჩენციო პაპმა საქართველოს პატრიარქსაც გამოუგზავნა შეერთების შესახებ წერილი, უფრო იმიტომ იქნებოდა, რომ შემოერთებულის ქართველების მაგალითისთვის სხვებსაც ადვილად მიებაძათ. (1).

1258 წ. პაპმა ალექსანდრე მეოთხემ გამოგზავნა საქართველოში ფრანჩისკიანების მონაზონები. იმავე ხანში საქართველოში დომინიკიანებიც წამოვიდნენ, მაგრამ მათი წამოსვლის დრო ზედმოწევნით არ ვიცით.

1289 წ. პაპმა ნიკოლოზ მეოთხემ დავით მეფეს და დიმიტრი მეფეს ეს წიგნი მოსწერა:

„პაპი ნიკოლოზ IV. დიმიტრის, ქართველთა მეფეს.

„ქრისტეს მიერ საყვარელო შვილო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.

„თუმცა კი ულირსნი ვართ, მაგრამ ამ ქვეყანაზედ მონაცვლედ ვართ ღმრთვლებით იმ უმაღლესის მწყემსისა, რომელმაც თავისის სამწყსოსათვის თავი თვისი დასდვა და ნებით იტვირთა მწარე სიკვდილი მტრის ხელიდგან ჩვენ დასახსნელად. ამიტომ ჩვენც ვნატრობთ ყველას ცხონებას, ვზრუნავთ გულმოდგინებით და ყოველის ღონისძიებით ვცდილობთ, რათა მორწმუნეთა სულთა, შემდგომ სააქაოს ცხოვრებისა,

დაიმკვიდრონ ზეცას საუკუნო სასუფეველი. რადგან კათოლიკე სარწმუნოება, რომელსაც აღიარებს და ასწავლის რომის ეკლესია, ამზადებს ზეცის გზასა და უღებს ცხოვრების კარსა მორწმუნეთა, ამიტომ იესო ქრისტეს სახელით გულმოდგინედ შევაგულიანებთ და ვიწვევთ თქვენს ხელმწიფებას, რათა მიაქციოთ ყურადღება უფალს, შეუდგეთ ერთგულებით სარწმუნოებისა და საუკუნო ცხოვრების საქმესა; დაიცვათ მორწმუნებით ქრისტეს სჯული, გულმხურვალებით და მართლმკვეთელობით განაგრძოთ ეკკლესიის ერთობა; ეგრეთვე არ შესწყვიტოთ ყოველი კეთილ-მოქმედება, რომელიც სათნო ეყოფის უფალსა, რათა დღითი-დღე წარიმატოთ ღვთის მსახურებაში და ამნაირად ღვთის შემწეობით მოიპოვოთ საუკუნო ბედნიერება. რადგანაც თქვენს ხელმწიფებას გულწრფელად პატივსა ვცემთ და გვიყვარს უფლისამიერ, ვნატრობთ თქვენს საუკუნო ცხოვრებას. ამიტომ თქვენ და ყოველ თქვენ ქვეშევრდომთ ვუგზავნით ჩვენს კურთხევას თქვენის ცოდვების მისატევებლად. 11 ივლისს, მღდველთმთავრობის მეორე წელსა (1289)“ (1).

ამავე წიგნის ერთი პირიც გამოუგზავნიათ დავით მეფისათვის, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ვატიკანის არხივში წერილის ბოლოს მიწერილი აქვს შემდეგი: ad Davidem Regem Hiberorum (იბერიელთა მეფეს დავითს). დიმიტრის კი უწოდებენ მეფედ Georgianorum (ქართველთა). უწინ ევროპელნი აფხაზეთს ხან ერთისა და იმავე სახელით იხსენიებდენ, როგორც საქართველოს, ხან ცალკე ასახელებდენ და Lazica, Abasia-ს გარდა Iberia-ს სახელსაც უწოდებდენ და სახელებს ხშირად ერთმანერთში ურევდენ.

იმავე დროს პაპმა საქართველოს პატრიარქსაც მოსწერა წერილი და შემოერთების წინადადებას აძლევდა.

„პაპი ნიკოლოზ მეოთხე პატიოსან ძმას, საქართველოს პატრიარქს

„მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.

„რადგან ზეციერმა მეუფემ, რომლის ღვთაებრივი განგება მართავს ზეციერთა და ქვეყნიერთა არსთა, აღგვიყვანა სამოციქულო საყდარსა, ამიტომ დიდად ვნატრობთ, რომ ყველა მომაკვდავთა ვლონ საუკუნო ცხოვრების გზით და იმოქმედონ ისე, როგორც სათნო ეყოფის მამალსა ღმერთსა, რათა მით ღირსნი გახდენ სულის ცხონებისა.

ვინაიდგან სულზედ უმშვენიერესი, სანატრელი და ძვირ ფასი არა არის რა, თვით მთელი ქვეყნის შეძენაც კაცს არაფრად გამოადგება, უკეთუ იგი წარიწყმედს სულსა, ვითარცა მოწმობს სახარება. ამიტომ დიდის სიფრთხილით ვცდილობთ და ვზრუნავთ, რომ ქვეყნის ყველა ერთა ქრისტე უფალთან ერთად იომონ მისისავე სარწმუნოებისათვის, რომელსაც ასწავლის და მტკიცედ იცავს რომის ეკლესია, და რომლი-

თაც უმზადებს გზას და უღებს სამუდამო ბედნიერების კარსა. ეგრეთვე იმედი გვაქვს, თქვენც, რომელსაცა, როგორც მოგვითხრეს, დიდძალი ერი გყავსთ, დიდის გულმოდგინებით იზრუნოთ და ეცადოთ, რათა ეგ ერი კეთილის საქმის აღსრულებით სათნო შეიქმნას თავისი გამჩენისა და ღირსი გახდეს საუკუნო ცხოვრებისა; ამას იგი ვერ მოიპოვებს, თუ არ დაიცვა სარწმუნოება, რომელიც განსწმენდს შემცოდეს და წარხოცს ცოდვათა. ამიტომ იესო ქრისტეს ძიერ მამობრივის სიყვარულით გიწვევთ და შეგაგულიანებთ დასაცველად კათოლიკე სარწმუნოებისა, რომელსაც, როგორც უკვე ვსთქვით, აღიარებს რომის ეკლესია. სძლიეთ ყოველი სიძნელესა, რაც კი მასთან შეერთების დროს გამოგიჩნდესთ, გულმოდგინებით მოისწრაფეთ, ნებით და დაუყოვნებლივ მომართეთ მხნედ მოუახლოვდით და ეცადეთ სხვების მოზიდვასაც; უფლისაგან ეგოდნათ უფრო დიდს სასყიდელს მიიღებთ, რამდენათაც თქვენის მაგალითით ბევრს შემოუერთებთ, ვინაიდგან უწყით, რომ ქვეშევრდომნი ადვილათ მიჰბაძვენ თავიანთი მწყემსების მაგალითსა. იმედი გვაქვს და დარწმუნებულიც ვართ, ჩვენი სურვილი კარგად დააკმაყოფილოთ და თქვენი ერი წარმართოთ ერთობის გზასა, რადგან ამ წიგნის მომტანმა, ჩვენმა საყვარელმა შვილმა, მინორიტების მონაზონმა იოანე მონტეკორვინელმა მოგვითხრა თქვენი მრავალი შესანიშნავი მოქმედება, რომლის მოსმენით განვიხარეთ. მაშ პატივით მიიღეთ ეს სასარგებლო რჩევა და ისმინეთ ქრისტეს მონაცვლეს; ეცადეთ და ილვაწეთ გამჩენის დიდებისა და პატივისათვის, რათა ღირსებით სავსე უფრო სათნო საყოფელი შეიქმნეთ მის თვალთა წინაშე. გარდა ამისა, გულმოდგინებით გავედრებთ ხსენებულ მონაზონს და მისთა ამხანაგთა და გთხოვთ განსაკუთრებულის ყურადღებით და გულკეთილობით მოეპყრათ, რათა თქვენის შემწეობით ზურგ-გამაგრებულთ ადვილათ და ნაყოფიერად შეიძლონ ღვთის სამსახური ქრისტეს სახელის სადიდებლად. კარგად და სიადვილით რომ შეიძლოთ სხვების გაწვრთნა ხსენებულ ქრისტეს სარწმუნოებაში, ამიტომ სარწმუნოების მუხლებს აქვე აღვნიშნავთ..... 7 ივლისს, მღვდელთმთავრობის მეორე წელსა (1289).“ (1).

მუხლები რადგან ვრცელია, აქ არ მოგვყავს.

არხივში ამ წერილის ბოლოს ჰსწერია, რომ ერთი პირი მისი, პატრიარქის გარდა, გაეგზავნა იმავე დროს საქართველოს ყველა მთავარეპისკოპოსთ, ეპისკოპოსთ და არხიმანდრიტთაო.

ესრედ განთქმული საქართველოს პატრიარქი, ვგონებთ, უნდა იყოს აბრამ პირველი.

სჩანს მისიონერებს საკმაოდ მოუმზადებიათ შემოსაერთებლად მეტადრე ქართველი სამღვდელოება, რადგან პაპი ყველას სწერს ასეთ სამედო

წერილსა. ისიც ცხადია, რომ კერძო პირები იმ დროს ბლომად უნდა ყოფილიყვნენ კათოლიკე სარწმუნოებისა, რადგან ხსენებული მისიონერი ივანე გაბრუნებულა რომას, რათა მათ მოსავლელად ახალი მისიონერები წამოეყვანა.

1278 წ. პაპს ნიკოლოზ III გამოუგზავნია რავდენიმე ფრანჩისკიანთ მონაზონი საქართველოში. ვფიქრობთ, რომ იმ დროს უნდა მოსულიყოს აქ ზემოდ დასახელებული ივანეც ფრანჩისკიანიც.

სარკინოზებმა პალესტინაში დაამარცხეს რა ქრისტიანები და წმიდა ადგილები ისევ ხელში იგდეს, იმ დროს, ესე იგი 1291 წ. პაპმა ნიკოლოზ IV მიმართა საქართველოს მეფეებს დავითსა და დიმიტრის, ორთავეს წერილი მისწერა და სთხოვა ქრისტიანებს შეწეოდნენ და წმიდა ადგილები სხვებთან ერთად დაეხსნათ მტრების ხელიდგან. წერილში ვრცლად აუწერს ქრისტიანების ყოველ შეწუხებას, რაც ურწმუნოებმა მიაყენეს აქონის ქალაქის აღების დროს, და დასასრულ ასე ეუბნება: „...მუდამ მზრუნველნი ქრისტიანების საკეთილდღეოდ, დიდათ ვნატრობთ და ვცდილობთ ღვთის შემწეობით წმიდა ადგილების ხელმეორედ დახსნას; ამასვე უნდა ნატრობდენ და ცდილობდენ ყველა კათოლიკე ხელმწიფენი და მთელის ქვეყნის მთავრებიც; ეს საღვთო საქმე, რომელიც შეეხება მთელს ქრისტიანობას, უნდა იყოს მათი პირველი საზრუნველი, და შეწევნითა ღვთისათა, უნდა ხმარობდენ ყოველ საშუალებას მის კეთილად დასაბოლოვებლად. ამიტომ ქრისტეს სახელით და მისის პატივისათვის შევაგულიანებთ, ვთხოვთ და ვევედრებით თქვენს უმაღლეს ხელმწიფებას, ვითარცა ღვთის საყვარელს შვილსა, რათა თქვენც მიიღოთ მონაწილეობა ხსენებულ საქმეში, განემზადოთ მთელის თქვენის სამეფოთი და ქვეშევრდომებით და, ესრეთ თქვენის ცდით და ეგრეთვე სხვა კათოლიკე მეფეების დახმარებით, კეთილად და ბედნიერად დაბოლოვდეს ეს საქმე ღვთის სადიდებლად, ყველა ქრისტიანების სასიქადულოდ და თქვენ საუკუნო გასაბედნიერებლად. იმედი გვაქვს, ამ საქმეში ყოველნაირი საშუალება მიიღოთ და გულმოდგინებით ეცადოთ, რათა საუკუნო ბედნიერებისა ღირსნი შეიქმნეთ. ჩვენც უფლისამიერ მუდამ ვაქებთ თქვენს მოსწრაფებას და მეცადინეობას. წერილის მომტანნი, ჩვენნი საყვარელნი შვილნი გვილიელმო ხერითელი და მათე თიათინელი, მინორიტების წესის მონაზონნი, ამ საქმის შესახებ ყოველ ჩვენს აზრს მოახსენებენ თქვენს ხელმწიფებას; ენდეთ მათ, რადგან მაგ ადგილებში სარწმუნოების საქმე მაგათთვის მიგვინდვია. პირველ სექტემბერს, მღვდელთმთავრობის მეოთხე წელსა (1291)." (1).

ეს წერილი ცალცალკე მიუწვდიათ ორსავე მეფეს.

შევნიშნოთ მხოლოდ, რომ წერილში პაპი დიმიტრი მეფეს კათოლიკე მეფეების თანასწორად რაცხს, რაიცა საკმაო საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ პაპის წინანდელი წერილები, თუ მეფეებთან და თუ კათალიკოსთან შემოერთების შესახებ გაგზავნილი უნაყოფოდ არ დარჩენილა.

ამ საუკუნის შესახებ ძრიელ ცოტა საბუთმა მოაღწია ჩვენამდე; საქართველოდგან გაგზავნილის წერილების უმეტესი ნაწილი დაკარგულ-დაღუპულია. ხოლო ის ცოტა საბუთიც საკმაოდ გვიჩვენებს, რომ საქართველოსა და რომას შუა ერთობას თითქმის 1230 წლამდე მოუღწევია; მის შემდგომ ურთიერთობა საკმაოდ ხშირი, ერთგულებით სავსე და მეგობრული ყოფილა; მისიონერები დამყარებულან საქართველოში, ცოტა, თუ ბევრად ჰყოლიათ მრევლი, რომლის მოსავლელად რომიდგან ხშირად იგზავნებოდენ მისიონერები თუ ფრანჩისკიანებისა და თუ დომინიკიანების წესისა.

ჩვენ მიერ გამოთქმულს აზრს იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკკლესია არ გაჰყრია რომის ეკკლესიას ერთსა და იმავე დროს, ესე იგი, **1054** წ., როდესაც გაეყარა საბერძნეთის ეკკლესია, საკმაოდ ამტკიცებს დიდათ განათლებულის ქართველთ ბერის, წმიდა გიორგი მთაწმინდელის პასუხი ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე დუკიწისადმი. საქართველოს მეფისაგან (ბაგრატ IV) გაგზავნილი წმიდა გიორგი მივიდა რა იმპერატორის წინაშე იქ დახვდენ რომიდგან და სომხეთიდგან მოსულნი წარჩინებულნი პირნი. იმპერატორმა რა სცნო გიორგის დიდი სიწმიდე და მაღალი სიბრძნე, სხვათა შორის, ჰკითხა, თუ რა მიზეზია, რომ რომაელნი ხმიადით სწირვენ და ჩვენ კი მფუანის პურითა? წმიდა გიორგიმ ესრედ უპასუხა: „ვინაჲთგან ბერძენთა შორის მრავალი წვალება შემოვიდა პირუტელ და მრავალგზის მიდრკეს, ამისთვისაც მსგავსად თქუენსა ღუთის მსახურთა მეფეთა წმინდანი კრებანი შეკრიბნეს და წვლილად გამოიძიეს განგებულებისათვის ქრისტეს ღუთისა ჩუენისა და ხორციელად გამოჩინებისათვის მისისა და საუფლოთა მათთვის ხორცთა გამოძიება იქმნა და დააწესეს, რათა მივიღებდეთ ცომსა სახედ ხორცთა ქრისტესთა, ხოლო პურის ცომსა სახედ სულისა გონიერისა წინაამდგომ წვალებისა უსჯულოსა აპოლონარისა, რომელი იგი ხორცთა მათ ქრისტესთა საუფლოთა უსულოდ და უგონებოდ იტყოდა უგუნერი იგი და უსჯულო. ხოლო ღვინოსა თანა წყალსა ურევთ, სახედ სისხლისა და წყლისა, რომელი გარდმოხდა გუერდსა მაცხოვრისასა, ვითარცა იტყვის იოანე ოქროპირი, ესე არს განმარტება და მიზეზი ამათ საქმეთა. ხოლო რომთა ვინაიდგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არაოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალება შემოსრულ არს მათგან

და ვითარცა იგი მაშინ თავმან მოციქულმან პეტრე შესწირა უსისხლო იგი მსხუერპლი და უმეტეს, ვითარცა თვით უფალმან მისცა მოწაფეთა, ღამესა მას სერობისასა, ეგრეთ აღასრულებენ იგინი და არა რა არს შინა განყოფილება; ოდენ სარწმუნოება მრავალი იყუს. ხოლო მთავართა მათ რომთა დიდად განიხარეს, რამეთუ კუალადცა ყოფილ იყო ამის პირისათვის ძიება მათ შორის და უსწავლელობითა ვერა სიტყვა ეგო მეფისადა და ეტყოდეს წმიდასა, წარგიყვანოთ წინაშე წმიდისა პაპისა“. (1)

ესრეთი პასუხი ცხადათ ამტკიცებს, რომ იმდროს, ესე იგი, 1066 წ. ქართველები რომისაგან არ ყოფილან გაყრილნი ბერძნებთან ერთად, რომლებიც განშორდენ 1054 წ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესრეთი პასუხი ისევ თვით წმიდა გიორგის გასამტყუნებელი იქმნებოდა, რაიცა შესაწყნარებელი არ არის.

ეს პასუხი კვალად იმითიც არის ყურადსაღები, რომ ლათინებს დიდი ხნის წინეთ დამატებული ჰქონდათ სარწმუნოების სიმბოლოში „სული წმიდა და ძისაგან გამოვალს“, რაისგამო ბერძნები აბრალებდენ ლათინებს სარწუნოების შეცვლას და რომისაგან ჩამოცლის მიზეზად ერთიც ეს გარემოება ჰქონდათ. ხოლო 12 წლის შემდეგ ბერძნების გაყრისა, წმიდა გიორგის ესრეთი პასუხი ცხადათ ამართლებს ლათინებს და ამტკიცებს მათი სარწმუნოების შეუცვლელობას.

უკეთუ ამას დავუმატებდეთ იმ გარემოებასაც: ა, რომ ქართველი ბერი ეფთვიმე გრძელი რომას წავიდა მოციქულთა, თავის წმიდა პეტრეს ტაძარში სალოცავად (საკმაოდ არა სჩანს, ბაგრატ მესამის, თუ მეოთხის დროს იყო?); ბ, რომ მეცამეტე საუკუნეში მთაწმიდას ლათინებსა ჰქონიათ მონასტერი და იქ ქართველებთან ერთგულსა და ძმურ განწყობილებაში ყოფილან, და გ, რომ 1250 წ. ივერიის მონასტრიდგან რომას წაუღიათ წმ. მამათა იოვანესი, ევთიმესი და გიორგის გვამნი,— მაშინ ცხადათ დავრწმუნდებით, რომ მეცამეტე საუკუნეში ისევ ყოფილა ერთობა ლათინთა და ქართველთა შორის; ეს გარემოება, ჩვენის აზრით, სხვაფრივ ვერ აიხსნება. (1)

რომას იოანე პეტრიწიც (1080—1128 წ.) წასულა. ვფიქრობთ, რომ ისიც, მსგავსად ევთიმე ბერისა, მოსალოცავად იქმნებოდა წასული წმ. ქალაქსა. (2)

რადგან ჩვენი უმთავრესი აზრი ის იყო, რომ გაყრილობის შემდეგის დროის საბუთები წარმოგვედგინა ქართველი კათოლიკების შესახებ, ძველ საუკუნეთა გამოძიებას აღარ გამოუდექით. ხოლო ერთის შესანიშნავის წერილის გამოტოვება კი გვენანება. ამიტომ ის წერილი ამ თავის ბოლოში მოგვყავს, წერილი ეკუთვნის რომის პაპს გრიგოლ

პირველს; პასუხად მოუწერია მეტად განათლებულის კირიონისათვის, რომელიც საქართველოს კათალიკოსად იყო 578 წელში. (3)

„წიგნი წმ. გრიგოლ პირველისა კვირიონ, ანუ კვირიკე ეპისკოპოსს და სხვათა დანაშთთა იბერიის კათოლიკე ეპისკოპოსთა.

„პაპი გრიგოლ I.

„სიყვარულმა სიშორე არ იცის, ვისაც ადგილი აშორებს, მას ეპისტოლე ახლოვებს. ამ წიგნის მომტანმა, რომელიც აქ მოციქულთა მთავრის წმიდა პეტრეს საფლავის სალოცავად მოვიდა, დაგვარწმუნა, რომ ჩვენთვის წიგნი გამოგიგზავნიათ, მაგრამ ამას სხვა ნივთებთან ერთად იერუსალემში დაუკარგავს. ამანვე მოგვითხრა, რომ იმ წერილით გვეკითხებოდით: ნუ თუ ყოველთა რჩეულთა კათოლიკე ეკკლესიის წიაღში შესასვლელად, ნესტორის შეცთომათაგან მოქცეულ მღვდელთა და ერთათვის საჭიროა ნათლისღება, ანუ კმარა მარტო აღსარებაო? ამ საგნისა ჩვენ უწყით ჩვენის მამების ძველის დროის ჩვეულება, რომ, როდესაც ვინმე მოიქცევიან მწვალებლობისაგან, რომელშიაც მონათლულან წმიდა სამების სახელით, მათ ვუერთებთ წმინდა ეკლესიას ან ზეთის ცხებით, ან ხელის დასხმით და ან მარტო სარწმუნოების აღსარებით. ამიტომ დასავლეთში არიოსანებისაგან მოქცეულთ ვუერთებთ კათოლიკე ეკკლესიას მარტო ხელის დასხმით; აღმოსავლეთში კი მათ სცხებენ ზეთსა შესარიგებლად. ხოლო მონოფისიტელებს და სხვათა მარტო სარწმუნოებას აღვიარებინებთ, რადგან მწვალებლობაში მონათლულთ სული წმინდა მაშინ სწმენდს, როდესაც ნესტორიანები ჩვენის ხელის დასხმით და მონოფისიტელები სარწმუნოების აღსარებით უერთდებიან ეკკლესიას. გარნა ის მწვალებლები, რომელნიც წმიდა სამების სახელით არ არიან მონათლულნი, როგორათაც ქრისტეს უარის მყოფელნი ბონოსიანები და კათოფარიგელები, რომელნიც სული წმიდად რაცხვენ მონტანისტელების ბოროტს კაცსა, რომლის მსგავსიც ბევრი არის, უნდა მოინათლონ, რათა ეკკლესიას შეუერთდენ, რადგან ესე ვითარ შეცთომაში მყოფთა მიერ წმიდა სამების სახელით მიღებული ნათლისღება სწორე ნათლისღება არ არის. არც უნდა შეირიცხოს ნათლისღების განმეორებად, რადგან, როგორც ვთქვით, ნამდვილად წმიდა სამების სახელით არ არიან მონათლულნი. ხოლო ნესტორიანების მწვალებლობას ისევ მათი შეცდომილება აბრმავებს. ისინი წმიდა სამების სახელით არიან მონათლულნი, მაგრამ მსგავსად ურიებისა, დაჟინებით უარს ჰყოფენ მხოლოდ შობილის ძის განხორციელებას. ამიტომ, როდესაც ისინი მოიქცევიან წმიდა კათოლიკე ეკკლესიისადმი, საჭიროა ასწავლონ მათ ჭეშმარიტი სარწმუნოების აღსარება, რათა ირწმუნონ მტკიცედ, რომ ძე კაცისა, ღმერ-

თი და უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ღვთაებით არს უწინარეს სოფლისა და იგივე განკაცდა ბოლო დროს, რადგან სიტყვა იგი ხორცშესხმულ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენ შორის, რადგან, ვამბობთ, სიტყვა იგი რა განხორციელდა, არ შეიცვალა იმისაგან რაც იყო, არამედ მიიღო და გახდა ისიც, რაც არ იყო. საუკუნო მამის მხოლოდ შობილმა ძემ თავისი განხორციელების საიდუმლოით თავისი არსება კი არ დაამცირა, არამედ ჩვენი ბუნება აღამაღლა. ამიტომ სიტყვა და ხორცი ერთი და იგივე პირი არს, როგორც თვითვე სთქვა: „არა ვინ აღხდა ზეცად, გარნა რომელი იგი გარდამოხდა ზეცით, ძე კაცისა, რომელი არს ზეცათა შინა“. იგივე ძე ღვთისა ზეცაში იყო ძე კაცისა, რომელიც ლაპარაკობდა ქვეყანაზედ. რაისაგამო ამბობს იოვანე: „ვიცით რამეთუ ძე ღმრთისა მოვიდა და მომცა ჩუენ გონებაჲ“; იქვე დასძენს, თუ რაბამი გონება მოგვცა: „რათა ვიცოდეთ ჩუენ ჭეშმარიტი ღმერთი“. ამ ადგილს რომელ ჭეშმარიტს ღმერთს გვაუწყებს იგი? ნუ თუ მარტო ყოვლის მპყრობელ მამას? არა რას უმატებს ძის ყოვლის მპყრობლობის შესახებაც: „და ვართ ჩუენ ჭეშმარიტისა თანა ძისა მისისა იესო ქრისტესი“. ამბობს ჭეშმარიტი ღმერთი მამა, ჭეშმარიტი ძე მისი იესო ქრისტე. თუ ჭეშმარიტი ძე ვითარი არს, ცხადათ გვიჩვენებს თქმით: „ესე არს ჭეშმარიტი ღმერთი და ცხოვრება საუკუნო“. ხოლო ნესტორის შეცდომილების მსგავსად, უკეთუ სხვა იყოს კაცი იესო ქრისტე, რომელიც ჭეშმარიტი კაცია, ცხადია, რომ აღარც ჭეშმარიტი ღმერთი და აღარც საუკუნო ცხოვრება იქმნება. მაგრამ მხოლოდ შობილი ძე სიტყვა უწინარეს ყოველთა საუკუნეთა შეიქმნა კაცი. ამიტომ ეს არს ჭეშმარიტი ღმერთი და საუკუნო ცხოვრება. ვინაიდგან, როდესაც წმიდა ქალწულს იგი მუცლად უნდა ეღო, თავისთან მოუბარ ანგელოზს უთხრა: „აჰა მხევალი უფლისა, მეყავნ მე, ვითარცა ამბობ“. რა ჟამს მიუდგა და თავის ნათესავ ელისაბეთთან წარვიდა, მსწრაფლ იმავე ელისაბედისაგან გაიგონა: „ვინა ჩემდა ესე, რათა მოვიდეს დედა უფლისა ჩემისა ჩემდა?“ ესრედ იგივე ქალწული იწოდების მხევლად და დედად უფლისა. მხევალია უფლისა, რადგან სიტყვა „მხოლოდ შობილი უწინარეს საუკუნეთა“ თანასწორი არს მამისა. ხოლო დედა არს, რადგან მის საშოში მისივე ხორცისაგან სულის წმიდის მოქმედებით განკაცდა. არც ისეა, რომ სხვისი იყოს მხევალი და სხვისი დედა, რადგან ღმრთის მხოლოდ შობილი, მყოფი უწინარეს სოფლისა, მის მუცლისაგან იშვა კაცი გამოუთქმელის სასწაულით; ამიტომ გახდა მხევალი კაცის ღვთაების გამო და დედა სიტყვისა ხორცის გამო. ჯერ კი არ ჩაესახა ხორცი ქალწულის საშოში და შემდგომ ღვთაება კი არ მოვიდა ხორცთან, არამედ რა ჟამს სიტყვა მოვიდა მის საშოში, იმ წამსვე სიტყვა ხორციელ იქმნა,

და თანავე დაიცვა თავისი ჭეშმარიტი ბუნების ყოველი თვისება. ესრეთ ძე ღვთისა მხოლოდ შობილი ქალწულის საშოსგან იშვა სრული კაცი, ესე იგი მქონე გონიერი სულისა და ხორცისა. ამიტომ ყოველთა უმეტეს ცხებულად იწოდების, ვითარცა იტყვის მეფსალმუნე: „გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელითა“, ესე იგი სული წმიდის ნიჭით; მაგრამ უმეტეს ყოველთა იცხო, რადგან ჩვენ კაცნი, ჯერ კაცნი ვართ ცოდვილნი, შემდგომ სული წმიდის ცხებით ვიწმინდებით. ხოლო იგი, რომელიც უწინარეს სოფლისა ღმერთია, ბოლო დროს სული წმიდის მიერ ქალწულის საშოში განკაცდა, მასშივე იცხო იმავე სულისაგან, როდესაც ჩაესახა. არც ისეა, რომ ჯერ ჩასახულ იყოს და მერმე ცხებულ. არამედ სული წმიდის თვით იმავე მოქმედებით, რომ ქალწულისაგან ხორცი შეისხა, იცხო სული წმიდისაგანვე. ამიტომ ვინც ნესტორის შეცდომილებისაგან მოიქცევიან, თქვენი წმიდა კრებულის წინაშე აღიარონ მისი ჭეშმარიტი შობა და შეაჩვენონ ნესტორი, მისნი მიდევარნი და სხვა დანარჩენნი მწვალებელნი. ეგრეთვე შემოგპირდენ, რომ პატივსცემენ და შეიწყნარებენ იმ ყველა კრებათა, რომელსაც მსოფლიო ეკკლესია აღიარებს. შემდგომ თვინიერ რამე სიძნელისა, მიიღეთ ესრეთი პირნი თქვენს საზოგადოებაში და დასტოვეთ იმ წესსა ანუ ხარისხში, რომელშიაც არიან. განუზნიეთ მათ შეცთომილებანი და ასწავლეთ, ყველაფერი, რაც კი საჭიროა; სიტკბოებით მოეპყარით, ნურავითარ სიძნელეს ნუ აღმოუჩენთ მათი ხარისხის შესახებ, რათა იგინი თავიანთი მტრის ხელისაგან დაიხსნათ. ეგოდნათ ყოვლის მპყრობელის უფლისაგან განიმრავლებთ საუკუნო დიდების სასყიდელს, რაოდნათაც უფრო მომეტებულად შემოჰკრებთ მათ, რათა თქვენთან სამარადისოდ ადიდონ უფალი. თქვენთვის ვევედრებით წმიდა სამებას, რათა თავისი მფარველობით დაგიცვასთ და თავისი სიყვარული არ მოგაკლოსთ“. (1).

ამ წერილს თარიღი არა აქვს, როგორც ყველა წერილებს ამ პაპისას. ხოლო სხვა და სხვა გარემოებით ჩვენ საკმაოდ დავრწმუნდით, რომ წერილი უნდა გამოეგზავნა 596 წელში.

ამ წიგნის მომტანი, ცხადია, ქართველი უნდა ყოფილიყო, რადგან საქართველოდგან წასულა და საქართველოშივე მობრუნებულა. აქიდგან სჩანს, რომ ძველადვე ჩვეულებად ჰქონიათ საქართველოდგან რომას წასვლა სალოცავად.

ეს წიგნი იმითიც შესანიშნავია, რომ საქართველოს კათალიკოსს სასულიერო კითხვების განსამარტებლად რომის პაპისათვის მიუმართავს და არა აღმოსავლეთის პატრიარქებისათვის. ესეც საკმაო საბუთია იმისა, რომ საქართველოს სარწმუნოების კითხვებში რომასთან უფრო კავშირი ჰქონია, ვიდრე ბერძნებთან. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ საქართვე-

ლო როგორმე მონაწილეობას მიიღებდა ბერძნების იმ მრავლად შემოღებულ მწვალებლობაშიაც, რომელსაც ასახელებს წმიდა გიორგი მთაწმინდელი. გარნა ქართველი მამები და მწერლები ერთპირად მოწმობენ, რომ საქართველოს ეკკლესიას არავითარი მწვალებლობა მიუღია და ქრისტეს სარწმუნოება უხრწნელად დაუცავსო. ამავე ნაირად, წმიდა გიორგი მთაწმინდელი მოწმობს, როგორც ზემოთ ვნახეთ, რომ ლათინებს არავითარი მწვალებლობა მიუღიათ და მათაც ქრისტეს სარწმუნოება უხრწნელად შეუნახავთო. ესრეთი სარწმუნოებრივი თანახმობა უნდა მიეწეროს ქართველთა და ლათინთ ხშირს კავშირსა და ურთიერთობას. უკეთუ გავიხსენებთ იმასაც, რომ პაპმა სილიბისტრემ წმიდა ნინოს წერილი მოსწერა (1), მაშინ დავრწმუნდებით, რომ ესრეთი სულიერი ერთობა და კავშირი დაარსებულა საქართველოში ქრისტიანობის შემოღებისათანავე. ამიტომ, ვით რომის ეკკლესიას, საქართველოს ეკკლესიასაც მიუღია წოდება წმ. კათოლიკე ეკკლესიისა.

თ ა ვ ი II.

ქართველი კათოლიკენი XIV საუკუნეში.

XIV საუკუნის დასაწყისში ბედმან ხელმეორედ დაუბრუნა საქართველოს გავლილი დიდება. მეფემან გიორგი მეხუთე ბრწყინვალემ, რომელმაც განდევნა ყოველი მტერი გვარისა, შემოიერთა კავკასიის სხვა და სხვა ნაწილი და საქართველოს დიდებულ სკიპტრას ქვეშ შემოიკრიბა ყოველი ერი ნიკოფსიით დაწყებული ვიდრე დარუბანდამდე. ევროპაც თვალყურს ადევნებდა საქართველოს და მისი აღორძინება შეუმჩნეველად არ დარჩენია. რომის პაპებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ჩვენს ქვეყანას. კლემენტო მეხუთემ, 1307 წ. ბლომათ გამოგზავნა საქართველოში ფრანჩისკიანებისა და დომინიკიანების წესის მონაზონები, რომელნიც ცდილობდენ მთელი საქართველო რომის ეკკლესიისათვის შემოერთებინათ. გიორგი მეფის ძლევამოსილებამ და მისმა დიდებამ უფრო განსაკუთრებითი ყურადღეება მიიქცია პაპის იოვანე XXII. ამან, 1318 წ. ბლომათ გამოგზავნა ხსენებულ ორთავ წესის მონაზონები, რომლებიც დაუცხრომელად ავრცელებდენ კათოლიკობას საქართველოში, იმ ზომამდე, რომ გაკათოლიკებული ქართველები იმ მონაზონების წესის ძმებადაც კი ხდებოდენ. თუმცა დაწვრილებით ბევრი ცნობა არა გვაქვს იმ დროის ქართველი კათოლიკების შესახებ, მაგრამ, რასაც კი მოუწევია ჩვენამდე, საკმაოდ გვიჩვენებს, რომ იმ დროს კარგა ყოფილა კათოლიკობა გავრცელებული საქართველოში; გაკათოლიკებული და მონაზონად შემდგარი ქართველები, თავიანთ ევროპელ ძმებთან ერთად ინდოეთსაც მიდიოდენ ურწმუნოთა შორის სარწმუნოების გასავრცელებლად. გაკათოლიკებულ ქართველთა შორის ერთი შესანიშნავი და ჩვენთვის დიდათ სასიქადულო არის ტფილელი ქართველი ძმა დიმიტრი, რომელმაც ქრისტეს სარწმუნოებისათვის სისხლიც დაღვარა და წამებულის გვირგვინი დაიდგა. ფრანჩისკიანების ისტორია მისი და მისი ამხანაგების წამებას მოგვითხრობს ესრედ: „1321 წ. აპრილის 13, ბზობის წინა ხუთშაბათს, დიდებული წამება მიიღეს მინორიტების წესის ოთხთა სარწმუნოების ბრწყინ-

ვალე მხედართა, რომელნიც არიან: ძმა თომა თოლენტინელი, ძმა იაკობ პადოელი, ძმა პეტრე სენიელი და მოძღვარი ძმა დიმიტრი ტფილელი, ტომით ქართველი. იგი იყო თავისი ძმების მოენე, რადგან ძლიერ კარგად იცოდა აღმოსავლეთის ენები. ეწამნენ ინდოეთის ქვეყანაში თანასა. მათი მოღვაწეობა და დიდებული წამება აღწერეს იქვე აღმოსავლეთში და გამოგზავნეს მათისავე გზის ამხანაგებმა დომინიკანებმა, ძმა იაკობმა, ფრანჩისკე პიზანელმა და ძმა პეტრე თურელმა." (1). სამწუხაროდ, აქ დასახელებულ პირთა წერილები დროს შთაუნთქამს და ჩვენამდე აღარ მოუწევია, ამისგამო თუ ამ დიმიტრი ტფილელის და თუ სხვა მისი დროის ამხანაგებისა, რომელთა შორის შეიძლება, სხვა ქართველებიც ბევრნი ყოფილიყვნენ, სხვა არარაფერი ვიცით.

საქართველოში გაგზავნილ ზემოხსენებულ მონაზონთაგან ზოგნი დაბრუნდნენ რომს და პაპს მოახსენეს საქართველოს ყოველი გარემოება, გიორგი მეფის ძლიერება და ეგრეთვე აუწყეს დიდ ძალი ხალხის გაკათოლიკება. ამ ამბავმა დიდათ გაახარა პაპი, რომელმაც დაუყოვნებლივ ბევრი სხვა ახალი მისიონერი გამოგზავნა საქართველოს და თან გამოატანა ერთი წერილი გიორგი მეფესთან და მის თავადებთან. წერილი საკმაოდ ვრცელია, მისი პირველი ნაწილი შეეხება ეკლესიის ერთობის საჭიროებას; ხოლო მესამე ნაწილში პაპი იწვევს და შეაგულიანებს შემოსაერთებლად მეფესა და მის თავადებს. ჩვენ მოვიყვანთ აქ მარტო ბოლო ნაწილს.

„იოვანე XXII. ეპისკოპოსი, მონა ღვთის მონათა.

„გიორგის, ქართველთა ბრწყინვალე მეფეს და მისს თავადებს.

„.... ყველა აქედან ცხადათ სჩანს, რომ ყოველი საჭირო კითხვის განსამარტებლად უნდა მიმართონ ხოლმე პეტრეს საყდარსა, რომელზედაც, არა ჩვენი ღირსების წყალობით, არამედ ღვთიურის მადლის შეეწევნით ავსვედით. ამიტომ დიდად ვწუხვართ, რა ვხედავთ, რომ ამ დიდებულის გვამის თავისაგან ზოგიერთი ნაწილი ჩამოშორებულია; ესე იგი ვხედავთ, რომ თქვენს ეკლესიას მონაწილეობა არა აქვს თვისი სულიერი თავის ცხოვრებასთან, რადგან მისგან განშორებულია და არ ემორჩილება. ვინაიდგან ღვთის მონათა მსახურნი ვართ, იმ ღვთისა, რომელსაც წარწყმედა არავისი ჰნებავს, ვნატრობთ მოვიპოვოთ ყველას საუკუნო ცხოვრება, ამიტომ თქვენ და თქვენს ქვეშევრდომს ერს წყალობის თვალით გიყურებთ, რომ როგორათაც პავლე მოციქული, რომელმაც არა უწყოდა კარგად, რომ ღვთის წინაშე ყველა თანასწორნი იყო, მსგავსად როგორც უძლურთა, ისე ძლიერთა ყოველთავე, რათა ყველანი შეეძინა ღვთისათვის, აწ გვეძლოდ ... ბრძანება დიდ უფლის იესო ქრისტეს სახელის გავიცეთ; რათა რომის წმიდა ეკლესიისაგან შემოერთება ადვილ დაჰყოვნოთ; არც ჩასთვალოთ უბრალო

რადმე ჩვენი მოწოდება შემოერთებისა; ეს მოწოდება ამ დღეებში ვყავით ღვთის ჩაგონებით და ჩვენის ძმების რჩევით. იგინი დიდათ მონატრულნი არიან და სურსთ თქვენი და თქვენის ერის განათლება. თქვენი მოწვევაც არა უსაფუძვლოა, არამედ დამყარებული სამღრთო წერილზედ.

„უწყოდეთ, რომ სრულებით არ ვეძებთ თქვენს ქონებას, არამედ აზრად გვაქვს მხოლოდ თქვენის სულის ცხონება; არც გვინდა თქვენი ძლიერების დამცირება და თქვენი პატივის აყრა. არამედ ვნატრობთ, რაოდნათაც შეგვიძლია ღვთის მიერ, უფრო აღვამაღლოთ და განვაძლიეროთ თქვენი ძლიერება და პატივი. იესო ქრისტეს შეწევნით ჩვენი სიყვარული თქვენდამი უფრო გაძლიერდება, უკეთუ მოთმინებით და გულ მოდგინებით მოუსმინეთ შემოერთების საქმეში ჩვენგან წარმოვლენილ პირებს და შემოუერთდით კათოლიკე ეკლესიას, თქვენ მთავარნო და წინამძღვარნო ერისანო, რომლებისაგანაც განირჩევით თქვენის სიბრძნითა. მაშინ შეიქმნებით უპირველესი ერი იმ ყველა ტომთა შორის, რომელნიც ქრისტესადმი მოქცევად არიან. უკეთუ თქვენ მოიმიზეზეთ, რომ ეს შემოერთება თვინიერ მსოფლიო კრებისა შეუძლებელიაო, ჩვენც მოგახსენებთ, რომ მზად ვართ მოვახდინოთ ესრეთი კრება, უკეთუ მოითხოვეთ თქვენ და თქვენმა ეპისკოპოსებმა; ამის გამო დიდის სისმოვნებით და პატივით მიგიღებთ თქვენ და ყველა თქვენ მიერ წარმოგზავნილ პირებსა, რათა შევუერთოთ ეკლესიას თავისი ნაწილი. მაშინ ამ შეერთების შესრულების დროს გამოვიღებთ ახალს სამოსს, დავკლავთ ჭამებულ ზვარაკთა, გავუმართავთ მსოფლიო წვეულებას ყველა მორწმუნებსა; ეგრეთვე სიხარულით ვუმახარობლებთ, რომ, ვითარცა ვაზმა ნაყოფიერმა, თავისი უწინდელი ბრწყინვალება შეიმოსა კათოლიკე ეკლესიამ, რომლის შვილნი, მსხდომარენი გარეშე ტაბლისა და მომლოდინენი ჟამისა, რომ მიეგებნენ თავიანთ მაცხოვარს უფალს იესო ქრისტესა, ემზგავსებიან აყვავებულის ზეთის ხილის შტოსა.

„ამიტომ შევაგულიანებთ თქვენს გულმოდგინებასა და გთხოვთ ყოვლის მპყრობელის ღვთისა და იესო ქრისტეს სახელით, რათა სახიერებით მიიღოთ და კარგად მოეპყრათ ამ წერილის მომტანთ, ჩვენს საყვარელ შვილებს, მინორიტების წესის მონაზონთა, რომელნიც არიან სათნონი, გაწვრთნილნი ღვთის სჯულში, გამოცდილნი საქმეში, მიმბაძავნი მაცხოვრის სიმდაბლისა და რომელნიც შეიქმნებიან თქვენთვის დიდად სასარგებლონი. მიიღეთ იგინი ღვთისა და ჩვენი პატივისათვის, ისეთის გულმოდგინებით მოუსმინეთ, თითქო თვით ჩვენგან მოგესმინოსთ და მტკიცედ ირწმუნეთ, რასაც მოგახსენებენ ჩვენ მაგივრად. უკეთუ გვცოდნოდა, რომ თქვენთვის უფრო სათნო საყოფელი იქმნებოდა რო-

მელიმე ეპისკოპოსი, ან რომელიმე გავლენიანი უმაღლესი პირი, უეჭველად მას წარმოგივლინებდით. მაშ მოილაპარაკეთ მაგათთან მშვიდობიანის ერთობის შესახებ, ეგრეთვე იზრუნეთ ყველა მათი საჭიროებისა და წასვლა-მოსვლისათვის, რათა ადვილად შეიძლონ თათრებთან და სხვა ტომის ერთან მისვლა. ავინიონით. 15 ოქტომბერს, მღვდელთ-მთავრობის მეექვსე წელსა (1321)“. (1)

იმ დროის ყველა საბუთებს ჩვენამდე არ მოუწევია და მაშასადამე არ შეგვიძლია გამოკვლევა იმისა, თუ იმ წერილის რა პასუხი მიიღო პაპამ და ან რა მოჰყვა იმასა. ხოლო თუ გიორგი მეფემ ვერ აღასრულა პაპის თხოვნა შეერთების შესახებ, ეს საკმაო საბუთი არ არის ვსთქვათ, რომ გიორგი ბრწყინვალე კათოლიკე სარწმუნოების მტერი ანუ წინააღმდეგი ყოფილიყოს და შეერთება არ სდომოდეს: უკეთუ წარმოვიდგინეთ იმ დროის საქართველოს გარემოება, თუ რაოდნათ არეულ-დარეული იყო ყველაფერი შინაურისა და გარეულის მტრებისაგან და რაოდენი შრომა და მოღვაწეობა მოანდომა გიორგი მეფემ ყველაფრის რიგზე მოწყობას, დამშვიდებას, მოღალატების დასჯას და იმერეთის შემოერთებას, მაშინ ცხადათ დავინახავთ, რომ ამ ნათხოვნის შემოერთების სისრულეში მოუყვანელობის მიზეზი სხვა არა იყო რა, თუ არ ისა, რომ გიორგი მეფე განუწყვეტლივ გართული იყო სხვა და სხვა საერო საქმეებში და საიმისოდ არ ეცალა. ის კი ცხადი და უტყუარია, რომ გიორგიმ თანაგრძნობა და მფარველობა აღმოუჩინა საქართველოში კათოლიკე სარწმუნოებას, რადგან, როგორც ეხლავ ვნახავთ, მის მეფობის დროს დაარსდა ტფილისში კათოლიკე საეპისკოპოსო და საქართველოს ბევრს პროვინციაში გადავიდენ ქართველები კათოლიკობაზედ. ყველასთვის ცხადია, რომ უკეთუ მეფეს კათოლიკე მისიონერებისათვის მფარველობა და შემწეობა არ აღმოუჩენია, ისინი არამც თუ საეპისკოპოსოს ვერ დაამყარებდენ საქართველოს სამეუფო ქალაქში, მეფის თვალ წინვე და ქართველებს ვერ გააკათოლიკებდენ, არამედ აქ ფეხსაც ვერ მოიკიდებდენ. ამიტომ ეს ამბები საკმაო საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ აქ მოყვანილი პაპის წერილი ერთიან უნაყოფო არ დარჩენილა; თუ თვით გიორგი მეფემ ქვეყნის სხვა და სხვა გარემოების გამო, ჯეროვანი პასუხი ვერ მიაგო პაპის მოწოდებას, სამაგიეროდ ბევრმა თავადმა და ერმა ყურადღება მიაქცია და ბევრმაც მიიღო კათოლიკე სარწმუნოება, როგორათაც ცხადათ გვიჩვენებს პაპის შემდეგი წერილი.

დღითი დღე საქართველოს წარმატება და გაძლიერება უფრო იზიდავდა პაპის ყურადღებას, მეტადრე იმის გამო, რომ კათოლიკე სარწმუნოება საქართველოში უფრო თავის უფლად ვრცელდებოდა; აღმო-

სავლეთის სხვა ქვეყნებში კი სუსტდებოდა ოსმალთა გაძლიერების გამო. იგინი ქრისტიანებს სდევნიდნენ, უწყალოდ სწყვეტდნენ და მათ ქალაქებს ერთიან აოხრებდნენ. ამას ცხადათ გვიჩვენებს იმავე პაპის ბულლა (წერილი), რომლითაც მოსპო სმირინის კათოლიკე საეპისკოპოსო კათედრა, რადგან იქ კათოლიკობა ძრიელ შემცირებულ იყო ოსმალებისაგან, რაისგამო საჭირო აღარ იყო იქ საეპისკოპოსო დაეტოვებინა. კათედრა სმირინით ტფილისს გადმოიტანა შემდეგის წერილის ძალით, რომელიც კარგად ვრცელია. აქ მოვიყვანთ მარტო იმ ნაწილს, რომელიც შეეხება ტფილისის საეპისკოპოსოს და საქართველოს კათოლიკებს.

მეორე წერილი იმ პაპისა საქართველოს შესახებ:

„პაპი იოვანე XXII. სამარადისო მოსახსენებლად.

„...... შემდგომ ბევრის რჩევისა და გამოძიებისა დავრწმუნდით ჩვენ და ჩვენი ძმები კარდინალები, რომ ტფილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერით სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია. გავლილ დროებში უფროსთა ნებით წასულმა დომინიკიანებმა, მოღვაწეობით და დაუცხრომილის შრომით, თუ ამ ქალაქისა და თუ მის გარეშე ადგილების მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი მოაქციეს კათოლიკე სარწმუნოებაზედ; აწ მათ სწამსთ და აღიარებენ ყოველსავე იმას, რაცა სწამს, აღიარებს და ასწავლის რომის ეკკლესია. ამიტომ ღვთის სახელის საქებ-სადიდებლად, სარწმუნოების პატივისათვის და გასავრცელებლად, ჩვენის ხსენებულის ძმების რჩევით და ჩვენის სრულის მოციქულებრივის ხელმწიფების ძალით სმირინის საეპისკოპოსო კათედრა გადაგვაქვს ხსენებულის ტფილისის ქალაქსა, რადგან, უკეთუ სამოციქულო საყდრის მოწყალებით იმ ადგილს დაინიშნა ეპისკოპოსი, რომელმაც უნდა შეუდგინოს და მოუკლებლივ ასწავლოს კათოლიკე მოძღვრება ერსა, დარწმუნებული ვართ და მტკიცედ ვსასოებთ, როგორათაც ზემორე მოხსენებულიდგანაცა სჩანს, უფლის შემწეობით მორწმუნენი გამტკიცდენ სარწმუნოებაში და ბევრი ურწმუნოც ადვილად მოიქცეს ჭეშმარიტების ნათლისაღმი, რომელიც არის ქრისტე. თუ ამისა და თუ სხვა დიდათ სასარგებლო მიზეზების გამო, ჩვენ გადავსწყვიტეთ და ჩვენის ხსენებულის სრულის უფლებით ტფილისი გავხადეთ საეპისკოპოსო ქალაქად და გვნებავს შემდეგშიაც დარჩეს ესრედ და ეწოდებოდეს მუდამ ტფილისის საეპისკოპოსო ქალაქი, არც მოაკლდეს მას ეს საეკკლესიო ღირსება, არამედ იგი უფრო აღემატოს და გავრცელდეს. ეგრეთვე ძმათა რჩევით და ჩვენის სრულის უფლებით დაგვიდგენია, რომ იმავე ქალაქში აღშენდეს საკათედრო ტაძარი, საეპისკოპოსო ეკკლესია და ეწოდოს ტფილისის საეპისკოპოსო ეკკლესია; ამ კათედრაზედ ღვთის შეწევნით ეპისკოპოსად დავნიშ-

ნავთ გამოცდილსა და მოღვაწე პირს. აწ უხაროდეს იქაურ მორწმუნე ერთა სიმრავლეს ეს დიდი და უხვი სამოციქულო საყდრის წყალობა და მარადის წარმართონ თვისნი საქმენი უფლის მცნებათა გზასა. ეგრეთვე სიბნელეში შობილ ურწმუნოთ აღახილონ თვალნი, მიიღონ ნებით ქრისტეს სარწმუნოება, ქადაგების შემწეობით აღმოფხვრან თავიანთ გულიდგან შეცთომილება, დაადგნენ სიმართლისა და ჭეშმარიტების გზასა და აღიძრნენ ღვთის ნების აღსასრულებლად მარადის, რათა მოიპოვონ საუკუნო ცხოვრება. მაშ ჩვენ მიერ გადატანილის კათედრის გადაწყვეტილებას, მოწყალებისა და ნების წინაღმდეგ არავის შეეძლოს მოქცევა. ავინიონით, 9 აგვისტოს, მღვდელთ მთავრობის მეცამეტე წელიწადს (1328)“. (1).

აი ჩვენის გავლილის დიდების ერთი ცხადი ნიშანიც! ამ პაპს ქვეყნის ყველა მხარეს ჰყავდა მისიონერები დაგზავნილი. მაგრამ არცერთი მხრიდგან მიუღია ისეთი სანუგეშო ამბავი, როგორც საქართველოდგან, და არც ერთი ქალაქის შესახებ უთქვამს ისეთი სიტყვები, რასაც აცხადებს ტფილისის შესახებ: ძრიელ შესანიშნავი, ერით სავსე და სიმდიდრით უხვი ქალაქიო. ეგრეთვე შევნიშნოთ, რომ ტფილისში საეპისკოპოსოს დანიშვნის პირველი და უმთავრესი მიზეზი ყოფილა ერის მოვლა და მისი სასულიერო საჭიროება, რადგან, როგორც წერილის სიტყვებიდგან ჩანს: „multitudo habitantium, სიმრავლე მცხოვრებთა“, ძრიელ ბევრს მიუღიათ კათოლიკობა არა მარტო ტფილისში, არამედ საქართველოს სხვა ადგილებშიაც. ლათინურს ენაში ლექსი multitudo იხმარების, როდესაც აურიცხველი, ანუ მომეტებული სიმრავლის რიცხვი უნდა აღინიშნოს.

პაპმა ტფილისის საეპისკოპოსოს დასაარსებლად არ იკმარა ეს წერილი, რომელიც საქართველოს გარდა შეეხებოდა სმირინის საეპისკოპოსოს მოსპობასაც. ამიტომ ერთი წლის შემდგომ მისი მზგავსი განსაკუთრებული წერილი (ბულლა) გამოსცა ტფილისის შესახებ, როდესაც თავისი წინანდელის დადგენილების ასრულება მოინდომა. იოვანე პაპის აი მესამე წერილიც, რომლისაგანაც გამოვსტოვებთ შესავალს, რადგან საქართველოს შესახებ იქ განსაკუთრებითი არაფერია.

„პაპი იოვანე XXII. სამარადისო მოსახსენებლად.

„.... ბევრი ხანი არ არის, რაც დიდის სიხარულით ვსცანით სარწმუნო მოხსენებიდგან, რომ მრავალნი დომინიკიანნი, სავსენი სარწმუნოებრივის გულმოდგინებითა და ეგრეთვე კაცთა ცხონების სურვილითა უფროსთა ნება-დართვით წასულან ქართველების სამეფოში, სადაც დიდი ხალხი ცხოვრებს. იმ ქვეყნის უმეტესი ნაწილი დაუვლიათ დიდის შრომით და იქვე უცხოვრიათ რავდენსამე წელიწადს; გულმოდგინე-

ბით ღვთის სიტყვა უქადაგებიათ ერისათვის, რომელიც გაუწვრთნიათ სიტკბოებით, რაისგამო ბევრი მათგანი კათოლიკე სარწმუნოებაზედ მოუქცევიათ და ესრეთ შემოუყვანიათ დაუბნელებელს წმიდა სარწმუნოების ნათელში. იმ ადგილის მორწმუნენი დარწმუნებულნი არიან და მტკიცედაც სასოებენ, რომ თუ ზემოხსენებულ მონაზონთა დაუცხრომელად განაგრძეს სახარების ქადაგება იმ ერში, როგორც აქამდე საქებურად ილვწოდენ, უეჭველად უდიდესი რიცხვი იმ ერთა მოიქცეს და მიიღოს კათოლიკე სარწმუნოებაო. თუმცა კი ულირსნი, მაგრამ ნეტარის პეტრეს მოსაყდრე და ამ ქვეყანაზედ ქრისტეს მონაცვლე, დიდად მოხარულ ვიქმენით ამდენის ხალხის მოქცევისა და ღმერთს მადლობის მსხვერპლი შევსწირეთ. რადგან ესრეთი სასარგებლო საქმე დიდათ სათნო საყოფელია ღვთისა, ჩვენც ვავედრებთ და ვანიჭებთ მას ყოველ ჩვენს მოციქულებრივ მფარველობას, ეგრეთვე გვნებავს მისი წარმატება და აღორძინება. ამიტომ შემდგომ დიდის აწონდაწონისა და ჩვენ ძმებთან ერთად გულმოდგინე მოლაპარაკებისა, ეგრეთვე მათი რჩევით და ჩვენის მოციქულებრივის სრულის უფლებით, იმავე სამეფოში მყოფს, განთქმულს, შესანიშნავს და შესაფერ ქალაქს ტფილისს ვაწესებთ საეპისკოპოსო ქალაქად ღვთის საქებ-სადიდებლად, კათოლიკე სარწმუნოების გასაძრიელებლად, მცხოვრებთა აწ მყო და მომავალის ბედნიერებისათვის და სხვა და სხვა საჩინო მიზეზების გამო, რამაც გადაგვაწყვეტინა, ასე მოვქცეულვიყავით. ეგრეთვე გვნებავს, რომ მომავალშიაც ყოველთვის ეწოდებოდეს ესევე სახელი: ტფილისის საეპისკოპოსო ქალაქი. მზგავსადვე ზემოთ ხსენებულ ძმათა რჩევით და ჩვენის უფლებით დაგვიდგენია, რომ იმავე ქალაქში აღშენდეს საკათედრო ეკკლესია, რომელსაც ვანიჭებთ საეპისკოპოსო ტიტულსა. ღვთის შეწევნით, მალეც მოვუვლენთ ღირსსა და საკუთარ მწყემსსა. ინებოს ზეციერმა სიძემ, რათა თვით წინუძღოდეს და ჰფარვიდეს იმ ეკკლესიას. მაშ არავის შეეძლოს წინააღმდეგად მოექცეს ჩვენ მიერ განწესებულ, მინიჭებულ დადგენილებასა. ავინიონით, 6 თებერვალს, ჩვენი მღვდელთმთავრობის მეთოთხმეტე წელსა (1329) (1).

ამ წერილიდგან საკმაოდა სჩანს, რომ ქართველ კათოლიკეთაც მიუწერიათ პაპისათვის თავიანთი ამბავი და უთხოვნიათ ტფილისში ეპისკოპოსის დანიშვნა. სამწუხაროთ, ესრეთი საბუთები, ესე იგი, ერის მოწერილი წიგნები დაკარგულია და მათი ხსენება არ სად არის. არც ტფილისის ეკკლესიის აშენების შესახებ ცნობას მოუწევია ჩვენამდე. გარნა უნდა ვსთქვათ, რომ ქართველი კათოლიკები საკმაოდ შემწეობას აღმოუჩენდენ იმ საკათედრო ეკკლესიის ასაშენებლად, რადგან მისი დაარსება ჩმათაც უთხოვნიათ.

იმავე დროს საქართველოდგან წასული რომს დომინიკიანების მისიონერი იოვანე ფლორენციელი, რომელსაც პაპი ნიშნავს ტფილისის პირველ ეპისკოპოსად და ხელ ახლავ გზავნის საქართველოს შემდეგის წერილით. მეოთხე წიგნი იმ პაპისა:

„პაპი იოვანე XXII: ჩვენს საყვარელს შვილს, იოვანე ფლორენციელს, ტფილისის ეპისკოპოსს. მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.

„დიდის ღონისძიებით ვცდილობთ, ვშრომობთ და ღვთის შემწეობით ვხმარობთ ყოველ საშუალებას დასაკმაყოფილებლად იმ საჭიროებათა, რომელნიც სათანადოდ ხელს შეუწყობენ კათოლიკე სარწმუნოების გავრცელებას, ღვთის სამსახურის გაძლიერებას და ერის ცხონების წარმატებას. უეჭველად მოსალოდნელი და დასაჯერებელია, რომ ეს ყოველივე ადვილად შესრულდეს, როდესაც ეკკლესიების მწყემსნი და მმართველნი არიან ნიჭიერნი და მზრუნველნი, ძლიერნი საქმითა და სიტყვითა, ერისათვის სამაგალითონი უმანკო ცხოვრებითა და როდესაც დაუცხრომელად ღვთიური სიტყვის ქადაგებით ამზადებენ და ამტკიცებენ მორწმუნებს ღვთიური დიდების ცნობაზედ და ცდილობენ, რათა მათდამი მინდობილი ეკკლესიანი მწყსონ, უწინამძღვრონ საუკეთესოდ და ჰმართონ საბედნიეროდ. კათოლიკე სარწმუნოების გასაძლიერებლად, ღვთის სახელის მსახურების წარსამატებლად და სხვა საპატიო მიზეზთა გამო, ამ ბოლო დროებში, ჩვენის ძმების რჩევით და ჩვენის მოციქულებრივის სრულის უფლებით, ქართველთა სამეფოის შესანიშნავი ქალაქი ტფილისი განვაწესეთ საეპისკოპოსო ქალაქად, თავისივე სახელი შევარჩინეთ და გვნებავს, მომავალშიაც ეწოდებოდეს ესევე სახელი „ტფილისის საეპისკოპოსო ქალაქი“. ზემოდ ხსენებულის რჩევით და უფლებით დავადგინეთ, იმავე ქალაქში აღშენდეს საკათედრო ეკკლესია, რომელსაც ექმნება საეპისკოპოსო ღირსება და ტიტული. იმავე ეკკლესიამ რომ თავისი საკუთარის მწყემსის პატივით განიხაროს და განსცხრეს თავის სასიძოს სიტკბოებით, გულ-მოდგინებით განვიზრახეთ იმ კათედრაზედ დავნიშნოთ ღირსეული, შესაფერი და პატიოსანი პირი. ამ საგანზედ ჩვენ ძმებთან კარგათ რჩევა-გამოლაპარაკების შემდგომ, ჩვენს ყურადღებას მოგაპყრობთ თქვენ, რომელიც ხართ დომინიკიანების წესის მღვდელ-მონაზონი, განსწავლული საღვთო საგნებში და კარგად მცნობი იმ ქვეყნის გარემოებისა, ვინაიდგან იქ ყოფილხართ და ყველაფერი ზედმიწევნით შეგიტყვიათ; როგორც მოგვითხრეს, თქვენის ქადაგებით იქ მრავალნი მორწმუნენი მოგიქცევიათ და იესო ქრისტესთვის შეგიძენიათ; სხვათა შორის ამ ხარისხს ღირს გყოფსთ თქვენივე გულმოდგინება, წმიდა ცხოვრება, ზნე-

ობრივი მოკრძალულება, საქმეში გამოცდილება და სხვა თქვენი სათნოებანი, როგორათაც სხვებმაც დაგვარწმუნეს. ყოველი გარემოების შეტყობის შემდგომ, ჩვენის ძმების რჩევით და ჩვენის მოციქულებრივის უფლებით, გირჩევთ და გნიშნავთ ეპისკოპოსად და მწყემსად ხსენებულის ეკკლესიისა და გაძლევთ სიმართლეს განაგოთ იგი თუ სულიერისა და თუ ხორციელის მხრით. დიდად დარწმუნებული ვართ, როგორც აქამდე იმოქმედეთ, ღვთის შემწეობით გააძლიერეთ თქვენდამი მონდობილი ეკკლესია და განავრცელეთ თქვენის მეცადინეობითა და შრომით, ეგრეთვე ღვთიურ მცნებაში გასწვრთნათ, ჰმართოთ თქვენის ერთგულებისა და სიფხიზლისათვის მონდობილი სამწყსო, როგორც აქამომდე აღგისრულებიათ თქვენი მოვალეობა იმ ადგილებში თქვენის ქადაგებით. მიიღეთ მაშ უღელი უფლისა, ესოდენ მსუბუქი დატკბილი მდაბალთათვის, ღვთისავე სიყვარულისათვის მოსავლელად, შეიწყნარეთ უფლის სამწყსო, იფხიზლეთ მისთვის ყოველის გულმოდგინებით და დაიცევით იგი თქვენის ზრუნვით, რათა მტერმა ვერას მხრით შესძლოს მისი ვნება. უკეთუ ეს ყოველივე ერთგულებით აღასრულეთ და დაიცევით სარწმუნოებაში თქვენზე მონდობილნი ერნი, რაჟამს მოვალს უფალი და გპოვებს ესრეთ მომქმედს და მცირეზე სარწმუნოს, მაშინ იგი დაგადგენსთ უმრავლესზე და შეგიყვანსთ შვების სანატრელს სამკვიდრებელში. ავინიონით 7 თებერვალს, მღვდელთ მთავრობის მეთოთხმეტე წელსა (1329)“. (1).

მეხუთე წიგნი ერისა და იმავე დროს მისწერა პაპმა მთლად საქართველოს კათოლიკებს ტფილისის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ, და ეგრეთვე მისწერა, რომ კარგად მიეღოთ იოვანე ეპისკოპოსი. წერილი ბევრი არაფრით განირჩევა ზემოთ მოყვანილის წიგნისგან, თითქმის ერთ ნაირათ არის დაწერილი, გარდა იმისა, რაც შეეხება თვით ეპისკოპოსს. აქ მოვიყვანთ მარტო იმ ნაწილს, რომლითაც პაპი კათოლიკებს ავედრებს ახალს ეპისკოპოსს.

„ყოველთა კათოლიკე ქრისტიანეთა, ტფილისის ქალაქს და მის ეპარქიაში მყოფთა, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.

„.... ამ ჩვენის თქვენდამო მოციქულებრივის წერილით ყველას გთხოვთ, გულმოდგინებით შეგაგულიანებთ და გიბრძანებთ, რათა არჩეული ეპისკოპოსი მხურვალედ მიიღოთ, როგორც თქვენს მამას და თქვენს სულიერს მწყემსს, მიაგოთ ჯეროვანი პატივი და სიმდაბლით მოუსმინოთ ყველა რჩევა და ბრძანებანი, ასე რომ მან განიხაროს თქვენში, ვითარცა თავის საყვარელ შვილთა შორის, და თქვენც გახარებდესთ იგი, როგორც თქვენი სახიერი მამა. ავინონით, 7 თებერვალს (1329)“. (1)

ეს არ ყოფილა პაპის უკანასკნელი წერილი საქართველოში გამოგზავნილი. განსაკუთრებითი ერთი წერილი საქართველოს კათოლიკე სამღვდელოებასაც მოსწერა. ის წიგნი მსგავსია აქ დასახლებულის მრევლთან გამოგზავნილის წერილისა, მცირედიღა განსხვავება აქვს და ამ განსხვავებასაც აქვე ვაცნობთ მკითხველთა.

იმ პაპის მეექვსე წიგნი:

„ჩვენს საყვარელ შვილთა, ტფილისის ქალაქისა და მისი ეპარქიის სრულიად სამღვდელოებას. მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა- ..... ვუბრძანებთ თქვენს განათლებულებას, სიმდაბლით ყურადღება მიაქციოთ მაგ ღირსეულს ეპისკოპოსს, როგორც თქვენს მამას და თქვენს სულიერს მწყემსსა, შესაფერი პატივი სცეთ, დაემორჩილოთ, მხურვალებით მოუსმინოთ ყველა ბრძანება და დარიგება და ერთგულად აღასრულოთ ყოველივე, რათა მას და თქვენ შორის გაძლიერდეს სულიერი სიხარული და წარმატება. უკეთუ არ დაემორჩილეთ, მაშინ კანონიერად რა სასჯელსაც დაადგენს ურჩების წინაღმდეგ, ჩვენც დავამტკიცებთ და უფლის შემწეობით ავასრულებინებთ შეუცვლელად, ვიდრე ჯეროვანს დაკმაყოფილებას მიიღებდეს. იმავე თარიღით. როგორც ზემოთ“. (2)

ეს წერილიც ცხადათ გვიჩვენებს, რომ არა მარტო ერს, არამედ მის სამღვდელოებასაც მასთან ერთად მიუღია კათოლიკობა და მღვდლების რიცხვიც საკმაოდ ბლომათ ყოფილა და ამ გარემოებას პაპისათვის განსაკუთრებული წერილი მიუწერინებია. ეგრეთვე ყოველ ეჭვ გარეშეა ისა, რომ ის წერილი შეეხება ქართველი კათოლიკების სამღვდელოებას და არა იქ მოსულ ლათინის მისიონერ მღვდლებს, რადგან ის მისიონერები მონაზონები იყვნენ, ხოლო ლათინურად ისინი მეტადრე ასეთ ქაღალდებში იწოდებიან ამ ლექსით: Regulares, ესე იგი მოწესენი, მონაზონები; გარნა ლექსი Clero, რომელსაც პაპი ხმარობს, ნიშნავს არა მონაზონებს. ვერც შეეძლოთ შერიცხულიყვნენ ტფილისისა და მისის ეპარქიის მკვიდრ სამღვდელოებად, რადგან ისინი მუდამ თავიანთ წესის უფროსთაგან იყვნენ დამოკიდებულნი, ამიტომ ხშირად იცვლებოდენ და აქეთ იქით სხვა ადგილებში მიდიოდენ.

საქართველოში სამუდამოდ მტკიცე საფუძველზე რომ დაემყარებინა კათოლიკე სარწმუნოება, პაპმა იოანე XII, არ იკმარა ქართველ კათოლიკებთან, თუ მღვდლებთან და თუ ერთან მოწერა, არამედ კვალად და კვალად მეორე გზის მომართა ჩვენს დიდათ განთქმულს მეფეს გიორგი V, ბრწყინვალეს, ურჩია ერთობა და მოსწერა შემდეგი წიგნი იმავე დროს, როდესაც იოვანე ტფილისის პირველი ლათინის ეპისკოპოსი გამოგზავნა საქართველოს.

„იოვანე XXII. საქართველოს დიდებულს მეფეს, მშვიდობა და მადლი თქვენთან, რათა შემდგომ მოგენიჭოსთ საუკუნო ბედნიერება.

„დიდათ ვნატრობთ, ზეციერმა მადლმა თავისის სხივით განანათლოს ყველა სიკვდილის შვილნი, რომლებიც ძე ღვთისამ იესო ქრისტემ გამოისყიდა თავისი სისხლით; ვნატრობთ ერის ცხონებას და ვცდილობთ უკუ ვაქციოთ მანქანება იმ უწინდელი მტრისა, რომელიც არა სცხრება და სცდილობს ადამის ტომსავნოს; ვსცდილობთ, რათა დაიმკვიდრონ საუკუნო ბედნიერების დიდება, რომელსაც კაცთა გონება ვერ მისწვდების და რომელიც განუმზადა თავის მოსავთა მაცხოვარმან ჩვენმან, წყარომ ყოველის ნიჭისამან. გარნა მარადის ვფიქრობთ და გულ მხურვალებით ვევედრებით ღმერთსა, რათა შეამციროს განწვალება ყველა ქრისტიანეთა შორის და მოსპოს მათგან ყველა ნაირი სიბნელის შეცდომა, რათა სარწმუნოებამ და სიყვარულმა გაიმარჯოს და მორწმუნეთა გონება აღარ დაუბნელდეს; და ეგრეთვე, რათა მსოფლიო წმიდა კათოლიკე ეკკლესია ჭეშმარიტ სარწმუნოებაში დაშთეს მხოლოდის მწყემსის მართველობის ქვეშ, რათა იყოს ერთ სამწყსო და ერთ მწყემს და ესრეთ ყოველნი მორწმუნენი ბედნიერად ეწიონ საუკუნო ბედნიერებას. ამიტომ თქვენს დიდებულებას გულმოდგინებით ვაუწყებთ, შევაგულიანებთ და ვევედრებით უფლის იესო ქრისტეს სახელით და მისი დათხეულის სისხლის პატივისათვის, რომ მიაქციოთ ჯეროვანი ყურადღება ამას, რაიცა თქვენს ღირსებას, დიდებას და სახელს მეტად აღამაღლებს, და ეცადოთ თქვენ და თქვენნი ქვეშევრდომნი ერნი შეუერთდეთ იმავე მსოფლიო კათოლიკე ეკკლესიას, რომლის გარეშე არც მადლის მოპოება შეიძლება და არც ცხონება. მაშ ეცადეთ და თქვენის ერითურთ შემოუერთდით წმიდა რომის ეკკლესიას სამარადისოთ და დაურღვეველის ერთობით. მოცემული ავინიონით, 1329.“ (1) რადგან ამის შესახებ სხვა საბუთები არა გვაქვს, ამიტომ ჩვენ არ უწყით, თუ პაპის წერილმა გიორგი მეფეზედ როგორ იმოქმედა და რა ნაყოფი გამოიღო.

ხსენებულმა იოვანე ფლორენციელმა თუ წინეთ თავდადებით იშრომა საქართველოში და ბევრიც გააკათოლიკა, არა ნაკლების გულმოდგინებით შეუდგა და განავრცო თავისი მოციქულებრივი შრომა, როდესაც აქ ეპისკოპოსად ნაკურთხი მობრუნდა. მის მოღვაწეობას დომინიკიანების ძველი მწერალი შარლი მოკლედ ესე გადმოგვცემს: „ყოვლად განათლებულმა იოვანე პატრმა, საქართველოში ტფილისის ეპისკოპოსმა, თავისი წესის ძმა—მონაზონებთან ერთად, დაუღალავად იშრომა ქართველების შემოსაერთებლად (გასაკათოლიკებლად)... ამ ერის გასაწვრთნელად კათოლიკე სარწმუნოებაში ბევრი წიგნი სთარგმნა ქარ-

თულ ენაზედ“. (2) სამწუხაროდ, ჩვენამდე მისი ბლომათ ნათარგმნი წიგნებიდგან არც ერთის კვალს მოუწევია.

რადგან იმ დროს საქართველოში სარწმუნოების კერძოდ სრული თავისუფლება იყო და მისიონერსაც ბევრი საშრომელი ჰქონდა, ის ეპისკოპოსი, მარტო თავისი წესის მონაზონებით ვერ აკმაყოფილებდა მისიონის მოთხოვნილებას. ამიტომ, როგორც ისტორია მოგვითხრობს, „იოვანე ფლორენციელმა, თავისი წესის მონაზონების გარდა, მისიონის სამსახურში მოიშველია ეგრეთვე წმიდა ფრანჩისკეს წესის მონაზონები, რათა თუ ქართველები და თუ ურწმუნოები შემოერთებინა კათოლიკე სარწმუნოებისათვის“. (3) როგორც ზემოთ ვნახეთ, ფრანჩისკეს მონაზონები, უკვე დიდი ხნიდგანვე იყვნენ დაბინავებულნი საქართველოში და დომინიკიანებთან ერთად შრომობდენ ქართველების გასაკათოლიკებლად.

იოვანე საქართველოს მოვიდა 1318 წ. და თითქმის 30 წელიწადი დაჰყო აქ. ტფილისის ეპისკოპოსად იყო 18 წელიწადზედ მეტი. როგორც სჩანს ვატიკანის და დომინიკიანების არხივიდგან, იგი 1348 წ. გარდაიცვალა კოსტანტინეპოლში, სადაც საქართველოდგან მოსულიყო ევროპას წასავლელად. მის დიდს შრომას მოწმობენ, არხივების გარდა, ძველი მწერლებიც, ვინც კი მის შესახებ რასმე სწერენ: დიდის ქებით იხსენებენ და რიცხვენ საქართველოს დიდ მოღვაწედ და მოციქულად. თავისი მაღალის ნიჭითა და დიდის თავდადებით საქართველოს ერის უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ამას სხვათაშორის აქვე დასახელებული ავტორიც მოწმობს ესრედ: „იოვანე ფლორენციელმა თავისი 19 წლის ეპისკოპოსობის განმავლობაში, მეტად შეაყვარა თავი როგორც ქართველებს, ისე ურწმუნოებსაც, რომლებიც მათ გარეშე სცხოვრებდენ.“ (1).

1318 წ. სპარსეთში დაარსდა რავდენიმე საეპისკოპოსო ლათინებისა. იმათში უფრო შესანიშნავი იყო სპარსეთის დიდი ქალაქის სულთანიეს საარქიეპისკოპოსო. იქ ისე გავრცელდა კათოლიკობა, რომ მარტო იმ ქალაქში, კათოლიკე ეკკლესიები 25-მდე იყო. (2) ამიტომ პაპმა ტფილისის საეპისკოპოსო დაუმორჩილა სულთანიეს ეპისკოპოსსა.

ტფილისის პირველის ეპისკოპოსის იოვანეს სიკვდილის შემდგომ, საქართველოში კათოლიკობა არ შესუსტებულა, არამედ უფრო წარმატებაში მიდიოდა. პაპმა კლემენტო მეექვსემ, რა შეიტყო იოვანე ეპისკოპოსის გარდაცვალება, მაშინვე, 1349 წ. დანიშნა მის მაგიერად ტფილისის მეორე ეპისკოპოსი ბერთრანდო კულეტი, დომინიკიანი და შემდეგი წერილი გაუგზავნა:

„პაპი კლემენტო VI. ჩვენს საყვარელს შვილს ბერთრანდო კოლეტს, ტფილისის ეპისკოპოსს. მშვიდობა და მოციქულებრივი კურთ-

ხევა. თუმცა უღირსნი, მაგრამ დადგენილი ღვთის განგებით მსოფლიო ეკკლესიის მმართველად, ვფიქრობთ ქვეყნის ყველა ეკკლესიების კეთილ დღეობისათვის, რაოდნათაც ღმერთი შეგვაძლებინებს. ხოლო უფრო მომეტებულად ვზრუნავთ იმ ეკკლესიებისთვის, რომელთაც საკუთარი მწყემსები დააკლდათ და სამწუხაროდ დაქვრივებულან: ვცდილობთ, მათ მწყემსად დაინიშნონ ღირსეულნი პირნი, რომელთაც სურვილი ჰქონდესთ, იცოდენ და შეეძლოსთ მათი კარგად მართვა და შეიქმნენ მათთვის სასარგებლონი. ამ უკანასკნელ დროებში სარწმუნო მოხსენებიდგან ვსცანით, რომ ტფილისის ეკკლესიას დააკლდა მწყემსი სიკვდილის გამო ნეტარ ხსენებულის იოვანე ტფილელი ეპისკოპოსისა, რომელიც გარდაიცვალა რომას გარეთ. გამსჭვალულნი მამობრივის გრძნობითა, არ ვინებებთ, რათა ის ეკკლესია დიდხანს დარჩეს უმწყემსოდ, არამედ ვნატრობთ დაუდგინოთ ტფილისის ეკკლესიას ეგრეთი მწყემსი; რომელმაც იცოდეს, უნდოდეს და შეიძლოს მისი დაფარვა მტერთაგან და ყველა მისის უფლების დაცვა და წარმატება. ამიტომ, ჩვენ ძმებთან ერთად ჯეროვანის გამოძიების შემდგომ, ჩვენს ყურადღებას მოგაპყრობთ თქვენ, დომინიკიანების წესის მღვდელ-მონაზონს, განსწავლულს, ცხოვრებით და ზნეობით პატიოსანს, სასულიერო საგნებში გამოცდილს და საქვეყნო საქმეებში ბრძენს და ეგრეთვე შემკობილს სხვა სათნოებით, როგორათაც დაგვარწმუნეს სარწმუნო პირებმა. შემდგომ ყველაფრის გამოკითხვისა, ძმათა ჩვენთა რჩევით და ჩვენის მოციქულებრივი სრულის ხელმწიფებით გირჩევთ ტფილისის ეკკლესიისათვის, რადგან სათნოსაყოფელი ხართ. ამიტომ გნიშნავთ იმ ეკკლესიის მწყემსად და ეპისკოპოსად და ერთიან გაბარებთ მის ყველა მმართველობას, როგორც სასულიეროს, ისე სახორციელოს. იმედი გვაქვს, ტფილისის ეკკლესია წარმართოთ სასარგებლოდ და ბედნიერად თქვენის ერთგულის მზრუნველობით და შემწეობითა ღვთისათა, რომლისაგან მომდინარეობს ყოველი ნიჭი. მაშ, მიიღეთ პატივით უფლის უღელი, რომელიც გეძლევათ და სიმდაბლით მოუდრიკეთ ქედი მის ტკბილ ტვირთსა; მოუარეთ გულ მოდგინებით ტფილისის ეკკლესიას, გასწვრთნევით უფლის სამწყსო, თქვენს მზრუნველობაზე დავედრებული; და შეამკეთ იგი თქვენის სიტყვისა და საქმის სწავლებით. იმედია, ტფილისის ეკკლესია განიხარებს, რომ ჩააბარდა ფრთხილ მწყემსს და ერთგულს მმართველს; თქვენი სახელიც განითქვას ყველგან და გარდა საუკუნო სასყიდლისა, ჩვენგანაც მიიღოთ უხვი კურთხევა და დაიმსახუროთ სამოციქულო საყდრის პატივიც. 9 იანვარს, ავინიონით მოცემული, მღვდელთ მთავრობის მეშვიდე წელსა. (1349)". (1).

საქართველოში კათოლიკობა რომ წინ მიდიოდა და მუდამ დღე მრავლდებოდა ქართველ კათოლიკეთა რიცხვი, ამას ჯერ გვიმტკიცებს იმავე პაპის მეორე წერილი, რომელიც, ერთსა და იმავე დროს, მოსწერა ტფილისის ეკკლესიის კაპიტულოს. კარგად მოეხსენებათ პატივცემულ მკითხველთ, რომ ლათინის ეკკლესიაში კაპიტულოს შეადგენს რავდენიმე კანონიკოსი, რომელიც შემავალ არის ეპარქიალის იერარქიისა; სხვა დანაშთ მღვდლებზე უპირატესობა აქვსთ და მონაწილეობას ღებულობენ ეპარქიის მმართველობაშიაც. ეს კაპიტულო, როგორც ძველი და ახალი წესდებულება გვიჩვენებს, არსებობს მხოლოდ იმ ეპარქიებში, სადაც ბლომად არის მრევლი და სამღვდელოება და სადაც საკათედრო ეკკლესიას დიდი ნივთიერი შემოსავალი აქვს.

კაპიტულო, როგორც სჩანს, ტფილისში განუწესებია თვით იოვანე პირველ ეპისკოპოსს. იმ კაპიტულოსთან პაპის გამოგზავნილი წიგნი თითქმის ზემო წერილსა ჰგავს მცირედის განსხვავებით. წერილის დასასრულ პაპი ავედრებს და უბრძანებს მათ, რათა კარგად მიიღონ ეპისკოპოსი, ყველა ნაირი პატივი და მორჩილება უჩვენონ, მის დარიგებას და ბრძანებას დაემორჩილონ და ყველაფერი გულ მოდგინებით აღასრულონ. წიგნი ასე იწყება: „Dilectis filiis capitulo ecclesiae Thefellicensis, ტფილისის ეკკლესიის კაპიტულოს, ჩვენ საყვარელ შვილთ“. რადგან ძრიელ ცოტა განსხვავება არის ამასა და ზემო წერილ შუა, აღარ მოგვყავს.

იმავე პაპის მესამე და მეოთხე წერილი შეეხება ტფილისის ეკკლესიის და მისი ეპარქიის სამღვდლოებას და ეგრეთვე კათოლიკე ერსა. ამათაც ავედრებს და უბრძანებს, რათა კარგათ მიიღონ ახალი ეპისკოპოსი, პატივი სცენ და ყველაფერში დაემორჩილონ.

მეორე საბუთი ქართველებში კათოლიკობის სწრაფის და არა ჩვეულებრივის გავრცელებისა არის იმავე პაპის მეხუთე წერილი ტფილისის ეკკლესიის ყმებისადმი (ვასალებისადმი) წარმოგზავნილი. ძნელად დავიჯერებდით, რომ არ შეგვხვედროდა ვატიკანის უტყუარი საბუთი იმ ყმების შესახებ. საქართველოში რომ, მცხეთის ეკკლესიასავით, კათოლიკების ეკკლესიასაც ჰყოლია თავისი საკუთარი ყმები, ეს უტყუარი ამბავია და ამას გვიმტკიცებს, სხვათა შორის, ერეკლე მეფის ერთი წერილი, რომლითაც, 1781 წ., გორისა და ტფილისის ეკკლესიის ყმებს პატრებისას საზოგადო გადასახადისაგან ათავისუფლებს. ვის აღარ ახსოვს ქუთაისის კათოლიკების ეკლესიის გეგუთელი (ქუთაისის ახლოს) ყმები, რომლებიც ამ ეკლესიას ექვევრდომებოდენ ვიდრე 1835 წლამდე, როცა რუსის მთავრობამ ჩამოართვა და მათ მაგიერ კათოლიკეთა ეკკლესიას ფული განუწესა.

შევნიშნოთ ესეც, რომ XIV საუკუნეში, ტფილისის ეკლესიის ყმები გაკათოლიკებულნი და მასთანვე ბლობად უნდა ყოფილიყვნენ. უკეთუ ესე არ ყოფილიყო, პაპი ცალკე წერილს არ მოსწერდა. ეს წიგნი ზემოდ დასახელებულ ტფილისის ერისა და სამღვდელოების მიმართ მოწერილ წიგნსა ჰგავს. ხოლო ბოლოში ეს აქვს მიმატებული: „ყველა საყვარელ შვილთა ტფილისის ეკლესიის ყმათა... ამ მოციქულებრივის წერილით ყველას გიბრძანებთ, რათა ახლად არჩეულს ეპისკოპოსს მიაგოთ ყოველი პატივი, შემდეგშიაც არ მოაკლოთ თქვენი ჩვეულებრივი ერთგულება, გაუწიოთ სათანადო სამსახური, ეგრეთვე უკლებლად (ანუ სისრულით) გარდაუხადოთ ყველა თქვენი მისდამი დადებული ვალი; უკეთუ ამის წინააღმდეგ მოიქცეით, მაშინ, იგივე ეპისკოპოსი რა სასჯელსაც კანონიერად გადასწყვეტს ურჩების წინააღმდეგ, ჩვენც დავამტკიცებთ და ღვთის შეწევნით სისრულეში მოვაყვანინებთ, ვიდრე ჯეროვან დაკმაყოფილებას მიიღებდეს“ (1).

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, რადგან ტფილისის საეპისკოპოსო ექვემდებარებოდა სპარსეთში არსებულს სულთანიეს საარქიეპისკოპოსოს, ამიტომ პაპი იმავე დროს სულთანიეს არქიეპისკოპოსსაც სწერს, აუწყებს ტფილისში ახალის ეპისკოპოსის დანიშვნას; სთხოვს, რაოდნათაც თქვენი სამიტროპოლიტო უფლება ნებას მოგცემსთ, ყურადღება მიაპყროთ ტფილისის ეპისკოპოსსა და მის ეპარქიასაო; ეგრეთვე სთხოვს, ყველა ნაირი შემწეობა აღმოუჩინოს, რათა სიადვილით და ნაყოფიერად ჰმართოს ეკლესია და მისი ერი.

ბერთრანდო კოლეტის ეპისკოპოსობამ ტფილისში შვიდი წლის მეტი არ გასტანა. ჩვენთვის სრულად უცნობელი მიზეზების გამო პაპმა ინოჩენციო მეექვსემ იგი გამოსცვალა და გერმანიას ამპურიენის ეკლესიის ეპისკოპოსად გადაიყვანა; ხოლო მის აღგილს ტფილისში 1356 წ. დანიშნა ეპისკოპოსად ბერთრამო დომინიკიანი ამ წერილით:

„პაპი ინოჩენციო VI. პატივცემულ ძმას ბერთრამოს, ტფილისის ეპისკოპოსს, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა. მწყემსებრივი მოვალეობა, რომელიც ღვთის განგებით მივიღეთ, გვაიძულებს გულმოდგინებით ვიფიქროთ ქვეყნის ყველა ეკლესიებისათვის, რომელთათვის მსოფლიო ზრუნვა მონდობილი გვაქვს და მეტადრე იმ ეკლესიებისათვის, რომელთაც აღარა ჰყავთ მწყემსი, რათა მათზე მწყემსად დადგენილ იქმნენ ერთგულნი პირნი, რომელთაც შეეძლოსთ და იცოდენ მათი საუკეთესოდ მართვა სასულიეროს, თუ სახორციელოს მხრით. ამ უკანასკნელ დროში ტფილისის ეკკლესიას მოაკლდა მწყემსი, რადგან ჩვენის ძმების რჩევით და ჩვენის მოციქულებრივის სრულის უფლებით პატივცებული ჩვენი ძმა ბერთრანდო განვათავისუფლეთ იმ

მოვალეობისაგან, რომელიც აკავშირებდა ტფილისის ეკკლესიასთან,
როგორც მის ეპისკოპოსს სამოციქულო საყდრის ბრძანებით დაგენილსა;
მასთანვე საჭიროთ შევრაცხეთ და გადავიყვანეთ იგი ამპურიენის ეკკლე-
სიის ეპისკოპოსად, რადგან იმ ეკლესიას აღარ ჰყავდა საკუთარი ეპის-
კოპოსი. სანამ ტფილისის ეკკლესიას მოაკლდებოდა მწყემსი, სა-
ჭიროდ დავინახეთ და წინათვე დავადგინეთ, როდესაც მოაკლდე-
ბოდა, ჩვენს გარდა იქ არავის დაენიშნა მწყემსი; მსგავსადვე ვჰყავით
სხვა კათედრალთათვის და განვაწესეთ, რომ უჯერო ყოფილიყო, უკეთუ
ვინმე, რაგინდ შეძლების მქონე პირიც ყოფილიყო იგი, ამის შესახებ
რასმე დაადგენდა ცნობით, ანუ უმეცრებით. ჩვენი მამობრივი მზრუნ-
ველობა იძულებულ გვყოფს, დიდ ხანს არ დავტოვოთ ტფილისის
ეკკლესია მწუხარე და მწყემს მოკლებული. შემდგომ ჩვენ ძმებთან
კარგად მოლაპარაკებისა და გამოძიებისა ტფილისის ეკკლესიისათვის
კარგისა და სასარგებლო პირის დანიშვნის შესახებ, ჩვენი ყურადღება
მოგაქციეთ თქვენ, დომინიკიანების წესის მღვდელ-მონაზონს, გამსჭვა-
ლულს სარწმუნოების წადიერებით, მეცნიერებაში განსწავლულს, სასუ-
ლიერო საგნებში ცხოვრებით პატიოსანს, სახორციელო საქმეებში შორ
მჭვრეტელს და შემკულს სხვა ღირსებათა და სათნოებათა მიერ, როგო-
რათაც დაგვარწმუნეს. შემდგომ ყველაფრის კარგად გამოძიებისა და და-
ფიქრებისა, აგრეთვე ჩვენი ძმების რჩევით და ჩვენის მოციქულებრივის
სრულის უფლებით დაგნიშნეთ და გაგამწესეთ ტფილისის ეკკლესიის
ეპისკოპოსად და მწყემსად და გაბარებთ იმავე ეკკლესიის სრულ მარ-
თველობის უფლებას, როგორც სასულიერო, ისე სახორციელო საქმეებ-
ში. მასთანვე დავადგინეთ, ჩვენმა პატივცემულმა ძმამ გვიდონმა პორ-
ტუენსის ეპისკოპოსმა გცხოს ეპისკოპოსად რომაში. ვსასოებთ უფლი-
სადმი, რომელიც თავის მოსავთ ანიჭებს ყოველ მადლსა და სასყი-
დელს, იმავე ტფილისის ეკკლესიას თქვენის ფხიზელის მეცადინეობით,
წინამძღვრობით, ეგრეთვე თქვენის კეთილის მართველობით გაუძღვეთ
სასარგებლოდ და ნაყოფიერად ღვთის შეწევნით, რაისგამო ამ მოცი-
ქულებრივის წერილით გიბრძანებთ, ჩვენის ლოცვა-კურთხევით წახვიდეთ
ხსენებულ ტფილისის ეკკლესიაში, იკისროთ მისთვის ზრუნვა, მართოთ
გულმოდგინებით, მორწმუნებით და სიბრძნით, რათა ტფილისის ეკკლე-
სიამ განიხაროს, რომ ჩაჰბარდა იგი წინდახედულ მმართველს და ერთ-
გულ მოღვაწეს. ასეთის მოქცევით, გარდა საუკუნო სასყიდლისა, ღირსი
გახდებით ჩვენი უხვი პატივისცემისაც. ვილმონით ავინიონის ეპარქიაში
12 აპრილს, ჩვენი მღვდელთ მთავრობის მეოთხე წელსა (1356)". (1).
როგორც ზემოდ ხსენებულმა კლემენტო მეექვსემ, ისე ინოჩენ-
ტიო მეექვსემ, იმ წერილის გარდა, ერთსა და იმავე დროს ოთხი წიგნი

სხვა მისწერა ტფილისის კაპიტულოს, სამღვდელოებას, ერს და სულთანიეს არქიეპისკოპოსს, რომლებსაც დაავედრა და სთხოვა ბერთრამო ტფილისის ეპისკოპოსი კარგად მიეღოთ და ყოველგვარი პატივი და მორჩილება გამოეცხადებინათ. რადგან ის წერილები ბევრად არ განსხვავდება ხსენებული კლემენტო VI წერილებისაგან, არცერთი მათგანი მოგვყავს აქ.

თუმცა ტფილისის ეპარქია ჩაჰბარდა დომინიკიანებსა, რომლებიც ხშირად და ბლომად მოდიოდენ ევროპიდგან საქართველოს, მაგრამ მათთან ფრანჩისკიანები (მინორიტები) არა ნაკლებ იყვნენ და შრომობდენ ქართველებში კათოლიკობის გასავრცელებლად, ამიტომ ხშირად მათი გუნდიც მოდიოდა ჩვენკენ. მაგალითად: პაპმა ურბანო მეხუთემ 1370 წ. გამოგზავნა ანტონ მილერვიტანელი ეპისკოპოსი 25 სხვა თავისი წესის მონაზონითურთ. ზოგიერთი იმათგანი უნდა წასულიყო საქართველოს ახლო ქვეყნებშიაც, მაგრამ მომეტებული ნაწილი აქ დარჩა. ის წერილი, რომლითაც პაპი უბრძანებს მათ საქართველოში წამოსვლას, იწყება ესე: „უფლის ვენახის შესამუშაკებლად საქართველოში“. (1)

არც საქართველო ასცდა ზედგავლენას და სამწუხარო შედეგს დასავლეთის იმ დიდის სქიზმისას (გაყრილობისა), რომელმაც გასტანა 1378 დგან ვიდრე 1449 წლამდე, და რომელიც შეადგენს რომის საეკკლესიო ისტორიის ფრიად სამწუხარო ნაწილს. დასავლეთის გაყრილობაში ხშირად ერთი პაპის ნაცვლად ორი და სამი პაპი ერთსა და იმავე დროს იყვნენ და ყველანი სცდილობდენ ერთმანერთის დამცირებასა და დამხობას, ხოლო თავიანთ მომხრეთა გამრავლებას. ამ აწეწილდაწეწილ დროს ბერთრამო, ტფილისში ეპისკოპოსად დანიშნული 1356 წელს, ემხრობოდა ურბანო მეექვსეს, კანონიერ პაპს. რა ეს სცნო ანტი პაპმა (ტყვილ-პაპმა) კლემენტო მეშვიდედ წოდებულმა, რომელიც, საფრანგეთის მთავრობის შემწეობით, ურბანო პაპზე უფრო ძრიელი იყო, გამოსცვალა ბერთრამო ტფილისის კანონიერი ეპისკოპოსი და მის ადგილს დანიშნა ეპისკოპოსად თავისი მომხრე ჰენრიკო რაცი, ფრანჩისკიანების წესისა. თავისი სურვილის ასრულება მიანდო თავის დელეგატს კარდინალ გვილელმოს შემდეგის წერილით: „ჩვენს საყვარელს შვილს გვილელმოს, ჩელიომონთის წმიდა სტეფანეს ტიტულის მღვდელ-კარდინალს, სამოციქულო საყდრის დელეგატს, მშვიდობა.... ხოლო ამ უკანასკნელ დროს ჩვენ ყურამდე მოაღწია, რომ დომინიკიანის წესის მონაზონი ბერთრამო ტფილისის ეპისკოპოსი, მიმხრობია იმ ბოროტს ბართლომეს (ურბანო მეექვსე, კანონიერ პაპს) უწინდელს ბარის არქიეპისკოპოსს, უკანონოდ ასულსა სამოციქულო საყდარსა; ამისგამო იგი ბერთრამო შეიქმნა ულირსი... ჩვენის სამოციქულო უფლებით თქვენს

სიბრძნეს ვანდობთ და გიბრძანებთ, უკეთუ ბერთრამოს კვალად შენიშნეთ, ბართლომე უზურპატორის მომხრეობა, ტფილისის ეკკლესიას მოაშოროთ; იმავე მონიჭებული უფლების მართლმსაჯულებით ჩამოართვათ ყოველი სიმართლე, რაც იმ ეკკლესიაში აქვს და სრულებით განაძევოთ იქიდგან, როგორათაც მოითხოვდეს კანონი; გარნა ხსენებული ტფილისის ეკკლესიისათვის.... ჩვენის უფლების ძალით იზრუნეთ და ჰენრიკო რაცი, მინორიტების ორდენისა იმავე ეკკლესიას დაუდგინეთ ეპისკოპოსად და მწყემსად; ჩააბარეთ სრულებით იმისივე ზრუნვა, მართვა და მოვლა თუ სასულიერო და თუ სახორციელო საქმეში; მასთანვე ეცადეთ, ყველა ქვეშევრდომნი და ყმანი დაემორჩილონ მას და მიაგონ ღირსეული პატივი; განაშორეთ იქიდგან ხსენებული ბერთრამო და სხვა ყველა უკანონოდ ხელის უფლების მქონე; ამ ბრძანების შესრულების დროს თუ ვინმე გაგიჩნდენ მოწინააღმდეგენი დასაჯეთ საეკკლესიო ჩენზურით (შეჩვენების სასჯელით) გაუსაჩივრებლად... მოცემული ავინიონს. 1 აპრილს, მეოთხე წელსა (1382)". (1).

წერილის დანარჩენ ნაწილში მოხსენებულია, რომ თუ ტფილისის კაპიტულოს რამე პრივილეგია აქვს მოპოებული სამოციქულო საყდრისაგან, რომლის ძალითაც მათი შეჩვენება არ შეიძლებოდეს, ყურადღება ნუ მიექცევა, თუ ეს გარემოება ცხადათ არ არის გამოცხადებულიო. ეგრეთვე მოხსენებულია, რომ ჰენრიკო ეკურთხოს ეპისკოპოსად ორი, თუ სამი კათოლიკე ეპისკოპოსისაგან და ერთგულების ფიცი მისცეს სამოციქულო საყდარსაო.

თუ როგორ მოხდა ეპისკოპოსების დაცვლა - გამოცვლა, ანუ რა შედეგი მოჰყვა არ ვიცით, რადგან ამ საბუთს გარდა სხვა არაფერი გვაქვს. ხოლო, როგორც შემდეგი საბუთებისაგან სჩანს, ხსენებული ბერთრამო, ტფილისიგდან გადაყენებული ეპისკოპოსი, ისევ მობრუნებულა და ტფილისის ეპისკოპოსობაში დაუსრულებია თავისი ცხოვრება, საქართველოში 35 წლის ეპისკოპოსობის შემდეგ, რადგან ტფილისის ეპისკოპოსად დაინიშნა 1356 წ. და გარდაიცვალა 1391 წ.

იმის სიკვდილის შემდგომ პაპმა ბონიფაცი მეცხრემ, 1391 წ. ტფილისის ეპისკოპოსად დანიშნა დომნიკიანი ლეონარდო ვილაკოელი. მკითხველს თავი რომ არ მოვაბეზროთ, წერილის შინაარს მოკლედ მოვიყვანთ უტექსტოთ. ის წერილიც ბევრად არ განსვავდება ზემოთ დასახელებული პაპების წიგნებისაგან. წერილში პაპი, სხვათა შორის, სწერს ლეონარდო ვილაკოელს: ეხლა შევიტყეთ, რომ ტფილისის ეპისკოპოსის ბერთრამოს გარდაცვალებით ის ეკკლესია დარჩენილა უმწყემსოდ, იმავე ეკკლესიის სანუგეშოდ გადავწყვიტეთ, რომ სასწრაფოთ საუკეთესო ეპისკოპოსი დაედგინოს, რათა არავითარი

ვნება მიეცეს დიდხანს უეპისკოპოსოდ დარჩენით. რადგან ვცნობთ თქვენს ღირსებას, ნიჭს, გულმოდგინებას, ცხოვრების სიწმინდეს და ყველაფერში გამოცდილებას, ჩვენი ძმების რჩევით და ჩვენის სრულის უფლებით, ალგირჩიეთ და დაგნიშნეთ ტფილისის ეპისკოპოსად; გვნებავს, ამ წერილს მიიღებთ თუ არა, რაც შეიძლება დაუყონებლივ წახვიდეთ ტფილისს და მართოთ იქაური ეკკლესია. იმედი გვაქვს, თქვენის სიბრძნით, წინდახედულობით და ერთგული მზრუნველობით კარგად და სასარგებლოდ წარმართოთ და აღაორძინოთ თქვენზედ მონდობილი ტფილისის ეკკლესია (1).

ეს საბუთები ნათლად გვიჩვენებს, რომ გიორგი ბრწყინვალის შემდეგს მეფეებსაც თავისუფლება მიუციათ ლათინის მისიონერებისათვის კათოლიკე სარწმუნოების გასავრცელებლად საქართველოში, იმ მეფეთა წყალობით ყოფილა, რომ XIV საუკუნეში ტფილისის კათოლიკების ეკკლესიას არ მოჰკლებია თავისი საკუთარი ეპისკოპოსები, რომლების ზრუნვითაც კათოლიკე სარწმუნოება საქართველოში ბევრს იძენდა და თავისის იერარქიულის მოწყობილობით ტფილისის ლათინის ეკკლესია ებაძებოდა და უთანასწორდებოდა ევროპის საეპისკოპოსო ეკკლესიებს.

ჩვენამდე მოწევნილის მცირე საბუთებისაგან ნათლად სჩანს, რომ ზემოხსენებულ ხუთს ტფილისის ლათინის ეპისკოპოსს, თავიანთი ევროპელი თანაძმებითურთ, ბევრი უშრომიათ საქართველოში, მათი შრომა უნაყოფო არ დარჩენილა და შრომა უმთავრესად ქართველებისათვის ყოფილა გაწეული. იმ ქართველთაგან მიუღიათ კათოლიკობა არა მარტო ერს, არამედ ბევრ მის მღვდლებსაც ასე, რომ შეუდგენიათ ცალკე ტფილისისა და მის ეპარქიისათვის სამღვდელოება, რომლის რიცხვიც პაპების ყურადღებას იქცევდა და მათგან ცალკე წერილებიც მოსდიოდათ.

თუმცა ჩვენამდე არ მოუწევია დაწვრილებით ცნობებს იმის შესახებ, თუ ლათინის მისიონერებს როგორი განწყობილება ჰქონდათ საქართველოს მეფეებთან და სამღვდელოებასთან XIV საუკუნეში, გარნა ვფიქრობთ, რომ კავშირი, დაახლოება და გავლენა არა ნაკლები უნდა ჰქონოდათ ვიდრე XVII და XVIII საუკუნეთა მისიონერ კაფუცინებსა ჰქონდათ. ამაზე დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, უკეთუ არ დაგვავიწყდა, რომ დომინიკიანების და ფრანჩისკიანების ორდენები (მონაზონებრივი ძმათა წესები) სწავლა-განათლებით ბევრად მაღლა დგანან კაფუცინების ორდენზე; ამიტომ მათში უფრო ბევრნი იყვნენ მაღალ ნიჭიერნი და დიდათ განათლებულნი, რომელთა ბრძნული რჩევა უნაყოფოდ არ უნდა დარჩენილიყო ჩვენის მეფეებისა და მთავრებისათვის.

თ ა ვ ი III.

ქართველი კათოლიკენი XV საუკუნეში.

უნდა აღვიაროთ, რომ იმ საუკუნის საბუთები ისე ბლომად არხ ხვდება კაცს, როგორც მოსალოდნელი იყო. ამის მიზეზი ის კი არაა, რომ იმ საუკუნეში კათოლიკობა შესუსტებულ, ან სულ გამქრალიყოს საქართველოში. სრულიადაც არა: ამ ნაკლის ნამდვილი მიზეზი ისაა, რომ იმ დროის წერილები არქივებში ბევრი დაკარგულია; რასაკვირველია, საქართველოს შესახებ საბუთებიც მათთან ერთად უნდა იყოს დალუპული და მათი აღმოჩენის იმედი ჯერჯერობით არარის.

საქართველოში კათოლიკობის ხანგრძლიობას და გამძლეობას საკმაოდ გვიმტკიცებს ის მცირე საბუთები, რომელმაც ჩვენამდე მოაწია და ხელშიაც გვაქვს.

წინა თავში ვნახეთ, რომ 1391 წ. ტფილისის ეპისკოპოსად დაინიშნა ლეონარდო ვილაკოელი, მაგრამ სრულებით არ ვიცით, მისმა ეპისკოპოსობამ რამდენს ხანს გასტანა და ან ვინ დაიჭირა მის შემდეგ საეპისკოპოსო კათედრა. ხოლო ერთი საბუთი შენახულა და ის საბუთი გვიჩვენებს, რომ ტფილისის ეპისკოპოსი, ივანედ წოდებული, გარდაცვლილა 1424—1425 წ. მაგრამ ჩვენ არ უწყით, თუ იმას და ხსენებულ ლეონარდო ეპისკოპოსს შუა სხვა ეპისკოპოსიც იყო, (რომლის ყოფაც ადვილად საფიქრებელია) და ან თუ რომელს წელს დაინიშნა, რადგან ივანე ეპისკოპოსის დანიშვნის შესახებაც გვაკლია საბუთები. ეს მარტო მოხსენებულია შემდეგ წერილში, რომლითაც პაპი მარტინე V, 1425 წ., ნიშნავს ტფილისის ეპისკოპოსად ივანე სანკტემიქაელელს და სადაც მოხსენებულია მიცვალება ივანე ეპისკოპოსისა. აქვე მოგვყავს წერილის უმთავრესი ნაწილი:

„პაპი მარტინე V, ჩვენს საყვარელს შვილს ივანე სანკტემიქაელელს, სატფილისოდ აღრჩეულს, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.... ხოლო რა შევიტყეთ სარწმუნო მოხსენებიდგან, რომ ხსენებული ტფილისის ეკკლესია თავისი ეპისკოპოსის ივანეს სიკვდილის შემდეგ უწყემსოდ დარჩენილა, მამობრივის მზრუნველობით შუვედექით იმ ეკკლესიის სასწრაფოდ და ბედნიერად ყურის გდებას... ჩვენ ძმებთან

გულმოდგინე რჩევა ვყავით, მისთვის კარგი და სასარგებლო პირი აგვერჩია. ამიტომ თქვენდამი, რომელიც ხართ დომინიკიანების წესისა... მივაქციეთ ჩვენი ყურადღება, ყველა გარემოების შემდგომ, ძმების რჩევით, თქვენ გამოგირჩიეთ იმ ეკკლესიისათვის, რადგან ყოველმხრივ ღირსი და სათნო საყოფელი ხართ: ამიტომ მის მწყემსად და ეპისკოპოსად გნიშნავთ; მასთანვე სრულიად გაბარებთ მის მზრუნველობასა და გამგეობას, როგორც სასულიეროს, ისე სახორციელოს მხრით. მტკიცედ ვსასოებთ და იმედი გვაქვს, უფლის შეწევნით, ხსენებული ეკკლესია თქვენის ფრთხილის ყურადღებით და ერთგულის მოვლით წარმართოთ სასარგებლოდ, აღაორძინოთ და წარმატებისაკენ წაიყვანოთ თუ სასულიეროს და თუ სახორციელოს მხრით, რის გამო ამ სამოციქულო წერილით ვუბრძანებთ თქვენს პატიოსნებას, რათა უფლის მიერ თქვენზე მოვლენილი ტვირთი ხსენებულის ეკკლესიისა მიიღოთ პატივით და ეცადოთ და იმოქმედოთ მის მზრუნველობასა და მართვაში გულ მოდგინედ, მორწმუნედ და სიბრძნით, ისე რომ ხსენებულმა ეკკლესიამ განიხაროს თქვენებრ წინდახედულის ნაყოფიერის მმართველის ხელ ქვეშ ყოფითა. გარდა საუკუნო სასყიდლისა, მიიღებთ ჩვენგან და თვით სამოციქულო საყდრისაგან უხვ კურთხევასა და პატივსა. რომით 19 დეკემბერს, მღვდელ-მთავრობის მეცხრე წელსა. (1424)", (1).

ამავე თარიღით პაპი ჰსწერს ტფილისისა და მისი ეპარქიის კათოლიკეებს, რათა პატივი სცენ და დაემორჩილონ ახალ ეპისკოპოსს ივანეს. ეგრეთვე სწერს სულთანიეს მთავარ ეპისკოპოსს, რათა ტფილისის ეპისკოპოსს თავისი შემწეობა და მფარველობა არ მოაკლოს.

ტფილისის ეპისკოპოსის შესახებ სხვა საბუთებს ვეღარ ვპოულობთ მთელი 68 წლის განმავლობაში. იმ დროს წერილებსაც რომ მოეღწია ჩვენამდე, უეჭველად საკმაო ყურადსაღები იქმნებოდა. კვალად ეპისკოპოსები რომ ყოფილან ტფილისში ვიდრე 1493 წლამდე, ამას გვიმტკიცებს დაღუპვისგან გადარჩენილი ერთი საბუთი, რომელიც ეკუთვნის პაპს ალექსანდრე მეექვსეს. პაპი წერილით ნიშნავს მინორიტების წესის ალბერტო ენჯელს ეპისკოპოსად ტფილისის ეკკლესიისა, რომელიც უმწყემსოდ დარჩენილა ივანე ეპისკოპოსის სიკვდილის შემდეგ. ესღა ვიცით მეოთხე ივანე ტფილისის ეპისკოპოსისა. იმ წერილს გარდა ჩვენამდე სხვა არც ერთ საბუთს არ მოუწევია. წერილი ცხადად გვიჩვენებს, რომ 1425 წ. დანიშნულის მესამე ივანე ეპისკოპოსის შემდგომ ტფილისში არ შეწყვეტილა დანიშვნა ლათინის ეპისკოპოსებისა, არამედ განუმწესებიათ ისევე უკლებლივ, როგორც XIV საუკუნეში იყვნენ ერთი მეორის შემდგომ. მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცით,

თუ ვინ და რავდენი ეპისკოპოსი იყო 1493 წლამდე, რადგან წერილი საკმაოდ ვრცელია და, ბევრად ემსგავსება ზემოდ მოყვანილ წერილებს, აქ მოვიყვანთ მარტო იმ სიტყვებს, რაც განსხვავებულია და შეეხება განსაკუთრებით ახალ დანიშნულს ეპისკოპოსს.

„პაპი ალექსანდრე VI, საყვარელს შვილს ალბერტო ენჯელს, სატფილისოდ არჩეულს მშვიდობა.... შემდგომ რაჲ ზემო ხსენებული ტფილისის ეკკლესია იმავე ივანე ეპისკოპოსის მიცვალებით დაშთა მოკლებული მწყემსის ნუგეშის ცემას.... შენდამი, რომელიც ხართ მინორიტების წესისა.... მივაქციეთ ჩვენი გონების თვალი... ტფილისის კათედრაზე გნიშნავთ ეპისკოპოსად და მწყემსად, იმავე ეკკლესიის მზრუნველობას და მართველობას მთლად თქვენ გაბარებთ, როგორც სასულიეროსა, ისე სახორციელო საქმეებში.... 18 აპრილს, მღვდელთ მთავრობის პირველ წელს. (1493)". (1).

აქ შევნიშნოთ, რომ ყველა ზემო ხსენებული ტფილისის ეპისკოპოსები გარდა ერთისა, დომინიკიანების ორდენისა იყვნენ. ხოლო ბოლოს განწესებული ალბერტო არის ფრანჩისკიანების ორდენისა. ეს უმნიშვნელო როდია; აქვე ვნახავთ, რომ ამ საუკუნის ნახევარს საქართველოში დომინიკიანებზე უფრო მომეტებულად ფრანჩისკიანები გამრავლდენ, იმ ზომამდე, რომ ტფილისის საეპისკოპოსო, რომელიც დომინიკიანების ხელში იყო, ახლა ფრანჩისკიანების მფარველობაში გადასულა.

ჩვენა ვსთქვით, რომ ცხრა ეპისკოპოსის გარდა, სხვა არა ვიცით რა დანარჩენი ტფილისის ეპისკოპოსებისათ. ამიტომ, ვატიკანის არქივებში, რომელიც ამ წერილის უმთავრესი წყაროა, პაპების სხვა საბუთები აღარა ჰსჩანს. გარნა ის აზრი, რომელიც გამოვსთქვით სხვა ეპისკოპოსთა 1425 წლის შემდგომ ვიდრე 1493 წლამდე ყოფისათვის, უსაფუძვლო როდია: ამას მოწმობენ ძველი მწერლებიც, (1) და კიდეც აგვიწერენ მოკლედ იმ ეპისკოპოსთა გარემოებას და სახელებს. იმ მწერალთა მოწმობის დაგვარ, პაპს ნიკოლოზ V, 1450 წ. ტფილისის ეპისკოპოსად დაუნიშნავს ალექსანდრე დომინიკიანების წესისა; პაპს პიო მეორეს 1462 წ. დაუნიშნავს ენრიკო (არ ვიცით, თუ რომელი წესის ყოფილა), იმას უწოდებენ ენრიკო პირველსა, მაგრამ ეპისკოპოსი ენრიკო მეორე უნდა იყოს, რადგან ზემოდ ვნახეთ, რომ 1382 წ. დაინიშნა პირველი ენრიკო. ის ენრიკო გარდაიცვალა იმავე წელიწადს; იმავე პიო პაპს მაშინვე ესე იგი, 1462 წ. დაუნიშნავს ფრანჩისკიანების წესის ენრიკო ვონსტი (Wonst), რომელიც გარდაიცვალა 1469 წ.; პაპს პავლე მეორეს დაუნიშნავს ტფილისის ეპისკოპოსად (1470—1471) ივანე იმაქი (Jmach) ავგუსტინიანების წესისა; ეს

ეპისკოპოსი 1476 წელსაც ცოცხალი ყოფილა. ამ დროს შემდგომ ვიდრე 1493 წლამდე აღარა ჰსჩანს, თუ ვინ და ან რამდენი ეპისკოპოსი კიდევ ყოფილა ტფილისში.

ამ ოთხი ეპისკოპოსის შესახებ არავითარი საბუთები გვაქვს პაპებისა, მაგრამ არა ნაკლებ სარწმუნოა სხვა და სხვა მწერალთა აზრებიც, რადგან აქ დასახელებული ავტორები უბრალო მწერლები და მოზღაპრები არ არიან. ცხადია, იმ დროს პაპებს მათთვისაც მოუწერიათ წერილები, მაგრამ წერილებს ჩვენამდე ვეღარ მოუღწევიათ. ბოლონდელი ოთხი ეპისკოპოსიანათ, ტფილისის ეპისკოპოსების რიცხვი ცამეტამდე ადის. ხოლო ვფიქრობთ, რომ ეპისკოპოსთა რიცხვი მეტი უნდა ყოფილ იყო, რადგან, როგორც ზემოდ მოყვანილი საბუთებიდგან ცხადად ჰსჩანს, გარდაიცვლებოდა ტფილისის ეპისკოპოსი თუ არა, მაშინვე და ხშირად იმავე წელს პაპები მის მოადგილეს ნიშნავდენ. რიცხვების გამოძიებას აღარ გამოვუდგებით, რადგან ჩვენ სამოწმებლად და ჭეშმარიტების აღსადგენად ორი, ანუ სამი ტფილისის ეპისკოპოსიც კმარა.

ჩვენის აზრით, XV საუკუნის ქართველთ კათოლიკობის ბევრი საბუთი უნდა იყოს დაკარგული, რადგან ის ცოტა წერილები, რამაც კი, ძველის მწერლების წყალობით, ჩვენამდე მოაღწია, საკმაოდ გვიჩვენებს საქართველოში კათოლიკების სიმრავლეს და მათ ევროპასთან დაახლოებულ კავშირსა. წერილთაგან უპირველესი არის პაპის კალიქსტო მესამის წერილი საქართველოს კათოლიკებისადმი მოწერილი, რომელიც აქვე მოგვყავს.

„პაპი კალიქსტო III. ჩვენს საყვარელი შვილთ, ყოველ ქრისტიანე მორწმუნეთ, რომლებიც ფრანგებად იწოდებიან და რომლებიც სპარსეთსა და საქართველოში სცხოვრებენ. მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.

„დაბრუნდა რა ჩვენი საყვარელი შვილი, წმ. ფრანჩისკეს წესისა ბოლონიელი ლუდოვიკე, რომელიც გასულ წელს თქვენთან იყო ჩვენ ნუნციოდ, მოგვახსენა, რომ რიცხვით მრავალნი ერნი აღიარებთ ქრისტიანე-კათოლიკე სარწმუნოებას. ვიცით ერთგული ხართ სამოციქულო საყდრისა, რომელზედაც უღირსნი დადგენილ ვართ, და იცავთ კათოლიკე ეკლესია წესებს, როგორათაც გვაუწყეს ზემო ხსენებული წესის მონაზონთა (ფრანჩისკიანთა), ისე, რომ სრულიად მისდევთ (იცავთ) რომის ეკლესიის დადგენილებასა და ჩვეულებას. ამის მოსმენაზედ სიხარულით აღვივსენით და მადლობა შევსწირეთ ღმერთსა, რომლის წყალობითაც ეგოდენ შორეულთა და ურწმუნოთა სიმრავლით გარშემოცულთა, სცანით გზა ჭეშმარიტებისა და საუკუნო ცხოვ-

რებისა და მტკიცედ მისდევთ. ჩვენმა ნუნციომ მოგვახსენა კვალად ერთი თქვენი სათხოვარი, სახელდობრ: თხოულობთ, თქვენს უფროსად და წინამძღვრად ვისაც თქვენ აირჩევთ ჩვენთაგანს (ევროპელს) ანუ თქვენთაგანს (მანდაურს), დავამტკიცოთ იგი. სიამოვნებით თანხმობას გიცხადებთ ამ პირობით კი, არჩეული პირი პატიოსანი, მეცნიერებასა, წესებსა და ქრისტიანურს ზნეობაში კარგად გაწვრთნილი იყოს და არჩევის შემდგომ, რაც შეიძლოს მალე, წამოვიდეს სამოციქულო რაყდრის მოსახილავად და წმიდათა პეტრეს და პავლეს საფლავის მოსალოცავად და თან წამოიყვანოს რამდენიმე მანდაური პირიც, რათა უკეთესად გაწვრთნილნი, კეთილი მაგალითებით აღსავსენი და ქრისტიანის სახელსა და სარწმუნოებაზე განმტკიცებულნი, გამობრუნდენ თავიანთ სამშობლოში. გარდა ამისა გავედრებთ ხსენებულ ძმა ლუდოვიკეს, ჩვენს ნუნციოს, რომელიც ქრისტეს სარწმუნოების გულისთვის სხვა და სხვა ადგილებში უნდა წავიდეს, შეეწიოთ თქვენის რჩევით და მფარველობით, რათა შეიძლოს შესრულება ჩვენ მიერ მინდობილის საქმისა. რომით, 19 დეკემბერს, მღვდელთ მთავრობის მესამე წელსა. (1457)". (1)

ამ წერილში ნახსენები „საქართველოს" (Giorgiae) სახელით უნდა ვიგულისხმოთ სამცხე. ამას გვიმტკიცებს, მგზავრთა მოთხრობის გარდა, თვით ყვარყვარე ათაბაგის წერილი, რომელსაც ქვემორე მოვიყვანთ. ეს სახელი დაერქვა სამცხეს მარტო ყვარყვარეს დროს მისის გაძლიერების გამო. ხოლო აქ დასახელებული „სპარსეთი" უნდა ვიგულისხმოთ ქართლად და არა სპარსეთად. ამასაც გვიმტკიცებს გიორგი მეფის წერილი, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ.

შევნიშნოთ ისიც, რომ აქ დასახელებულ კათოლიკეთა რიცხვში მარტო ერი არ ყოფილა კათოლიკედ, არამედ თვით საქართველოს კათალიკოსიც, ქართლის მეფე გიორგი, სამცხის მთავარი ყვარყვარე მეორე და სამეგრელოს მთავარი ბენდია. ამასაც გვიმტკიცებს ხსენებულის ბოლონიელს ლუდოვიკესადმი პაპის პიო მეორის შემდეგი წერილი 1458 წ.

„პაპი პიო II. საყვარელ შვილს ლუდოვიკე ბოლონიელს, ჩვენს ნუნციოს.

„სარწმუნო მოხსენებიდგან ვსცანით, რომ ჩვენთა წინა მოსაყდრეთა ნიკოლოზ V და კალიქსტო III რომის პაპთა მიერ თქვენ წარიგზავნევით ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში ქრისტიანებრივის სარწმუნოებისა და სამოციქულო საყდრის პატივის საქმეთა გამო; მღვდელთ მთავრები, მეფენი და ეგრეთვე ქრისტიანე ერი, რომლებიც სცხოვრებენ ურწმუნოთა შორის, მრავლად ნახეთ იქა, განამტკიცეთ და გა-

ნაძლიერეთ სარწმუნოებაში, რაოდნათაც კი შეგეძლოთ; ნეტარ სახსენებელ კალიკსტო პაპს მოუტანეთ ზოგიერთი მათგანის სანუგეშო პასუხი, საითგანაც ცხადათ სჩანს, რომ კვალად მრავლად არიან მეფენი და ერნი კათოლიკე ქრისტიანენი, რომლებიც რომის ეკკლესიას პატივსცემენ, აღიარებენ, ჰსწამსთ და კიდეც ჰქადაგებენ, რომის პაპი საქაოს ქრისტეს ნაცვალი და პეტრე მოციქულის მოსაყდრეა; მათ შორის არიან.... ეგრეთვე ქართველთ კათალიკოსი, მეფე სპარსეთისა (გიორგი), მეფე ქართველებისა (სამცხის ათაბაგი), მეფე სამეგრელოსი (ბენდია), იმპერატორი ტრაპეზუნტისა და ეგრეთვე სპარსეთის ერი (ქართლის ერი), რომლებიც ეკკლესიის წესსა და დოგმატებზე შეერთებულნი არიან და რომლებიც დიდ პატივსცემენ წმინდა ფრანჩისკეს მონაზონებს.... 1458 წ. 4 ოქტომბერს, მღვდელთ მთავრობის პირველ წელსა“. (1)

ეს წერილი საკმაოდ გვიჩვენებს, რომ მეთხუთმეტე საუკუნის ნახევარს საქართველოს კათალიკოსი და მეფენი კათოლიკები ყოფილან. ესეთი გარემოება შემთხვევითი, ანუ მარტო დროებითი არ უნდა ყოფილიყო, არამედ იმ დროის წინადაც და მის შემდგომაც ყოფილან კათოლიკები და ჰქონიათ ერთობა. ამის დასამტკიცებლად აქ მოვიყვანთ ერთს შესანიშნავს წერილს, საქართველოს კათალიკოსის ნიკოლოზ მეროვისას, რომელმაც 1742 წ. მისწერა პაპს ბენედიქტე მეთოთხმეტეს, სომხების მიერ დევნულობის გამო:

„უნეტარესო მამაო ყოველთა მეფეთა უმაღლესო და ყოვლად ღირსეულო, მიმნიჭებელო კურთხევათა, მოსამართლევ ყოვლისა სოფლისა, პეტრე მოციქულის მოსაყდრევ და ერთისა წმიდისა კათოლიკე ეკკლესიისა თავმჯდომო, რომელი ეკკლესიაც არის დედა ქვეყნის ყოველთა ერთა, რომელსაც ემორჩილებიან ყოველნი ენანი და ყოველნი ტახტნი ეამბორებიან თქვენს წმიდა ფერხთა და ღებულობენ ყოველთა ცოდვათა შენდობას, სულიერსა და ხორციელ ნათელს. წარმდგარნი წინაშე თქვენის უმაღლესის ხელმწიფებისა, მდაბლად და სიყვარულით ვემთხვევით ფერხთა თქვენთა და ვითხოვთ თქვენს მწყემსებრივს კურთხევას და მშვიდობას.

„როგორათაც უწინ, ძველი დროდგანვე, ჩვენი ქვეყანა თქვენ გემორჩილებოდათ, მსგავსადვე ჩვენც კვალად თქვენის კურთხევისა და მადლის მქადაგებელნი ვართ. თუმცა კი ზოგიერთმა ჩვენის საქართველოს პატრიარქმა თქვენდამი ჯეროვნად მისაგებელი მორჩილება დაივიწყა, ხოლო გევედრები, მათ ნუ დამადარებთ, რადგან მორჩილი და მზად ვარ ყველა თქვენი ბრძანება აღვასრულო. კარგა ხანია, რაც თქვენი პატრი კაფუცინები აქ ჩვენს საქართველოში იყვნენ, მეც

განსაკუთრებულის სიყვარულით ვეპყრობოდი და მათთვის ყოველი სიკეთის და ბედნიერების მოპოებას ვნატრობდი, მეტადრე, ამ მოკლე დროს, სამი ანუ ოთხი თვის განმავალობაში, რა ჟამს მიიცვალა დომენტი პატრიარქი დი მის ადგილს პატრიარქობის ღირსება მე მომეცა; მაშინვე შევუდექი მათთვის ყველა სიკეთე და ბედნიერება მომეპოვებინა. მაგრამ ჩემი დიდი ხნის წადილის შესრულება სომხებმა არ დამაცალეს, რადგან ისინი ახლა ჩვენ აღარ გვიჯერებენ და ამ ქვეყანაში თავიანთი ნებისამებრ ბატონობენ. თქვენი პატრი კაფუცინები დაამწყვდიეს, ეგოდნად ჰგვემეს და დააწყლულეს, უარესის ქმნა აღარ შეიძლებოდა. გაუპატიურეს წმიდა ხატები და ჯვრები თქვენი ეკკლესიისა, შემდგომ თვით ეკკლესია და სახლიც ჩამოართვეს და თვით მიითვისეს, კაფუცინები ამ პროვინციაში აღარ დააყენეს, არამედ უწყალოდ აქიდგან განდევნეს. ამ უწყალო დევნულობაში უფრო დიდათ სამწუხარო ჩვენთვის ის შეიქმნა, რომ ჩვენის თვალით ვნახეთ, როგორ დაიჭირეს კათოლიკები თუ მამაკაცები და თუ დედაკაცები, თუ რანაირათ შეურაცხყვეს: ქონება სულ წაართვეს და ძალით კათოლიკე სარწმუნოებასა და თავიანთ მშობლებს განაშორეს. აწ ყველა ქართველნი უმდაბლესად გევედრებით, რათა ამ პროვინციას თქვენი ხელი არ აღოთ და უკაფუცინებოთ არ დაგვტოვოთ. ღვთის სიყვარულისათვის შეგვეწიეთ, ნუ მიუშვებთ, რათა ეგოდენი ხალხი წარწყმდეს, ნურც ჩაუგდებთ თქვენს შეძენილს ერს გაცოფებულ ურწმუნოებს; თქვენის უმაღლესის დიდსულოვნობისათვის ძნელი არ არის, თუ ერსა და თუ ჩვენ შეგვეწიოთ. სხვა დანარჩენ ჩვენს ამბავს მოგახსენებენ თქვენივე პატრები. კათალიკოს—პატრიარქი ნიკოლოზ“. (1)

ამ წერილიდგან ნათლად სჩანს, რომ უწინ საქართველო და ქართველი კათალიკოსები პაპებთან შემოერთებულნი ყოფილან და მათ ემორჩილებოდენ, ხოლო ზოგიერთს (და არა ყველას) კათალიკოსს დაუვიწყებია ის ერთობა და მორჩილება.

ამ კათალიკოსის წერილში მოხსენებულ უწინდელ ერთობას საკმაოდ ეთანხმება პაპის კლემენტე მეცამეტის წერილი, რომელიც 1763 წ. მოსწერა მთელი კავკასიის ერსა და ამბობს, რომ უწინ მათნი წინაპარნი კათოლიკე სარწმუნოებას აღიარებდენო. ქრონოლოგიურის წესის მიუხედავად ამ წერილსაც აქ მოვიყვანთ, რადგან შეეხება ჩვენს საგანს.

„პატივცემულ ერის თავ-კაცთა და კავკასიის ყოველთა მცხოვრებთა.

„პაპი კლემენტე მეცამეტე. პატივცემულნო გვამნო, მშვიდობა და ზეციერი მადლი.

„რომის მღვდელთ მთავრებმა, რომელთა სულიერ მზრუნველობას მინდობილი აქვს მრთლად კაცთა ნათესავის ცხოვრება, დიდი ხანია მას აქეთ, რა კი სცნეს, თქვენნი წინაპარნი უწინ კათოლიკე სარწმუნოებას აღიარებდენ, ცდა არ დაუკლიათ, რათა ამავე სარწმუნოების მოძღვართა მიერ აეხილებინათ თქვენთვის თვალი, გამოეყვანეთ იმ სიბნელისაგან, რომელშიაც ვლით და ნათლოან გზას წარემართეთ, რომლის გამო მრავალ გზის მოგივლინესთ მოციქულებრივი კაცები, რომელთაც თქვენში სულიერი მოძღვრების მიფენით უნდა მიეღოთ თავიანთი შრომის უხვი ნაყოფი, ესე იგი, თქვენი სულის ცხონება, ხოლო ღმერთმა თავისი მიუწდომელის სიბრძნის გზნგებით, რა კი ჯერეთ არ ინება ჩვენთა წინა მოსაყდრეთა ცდის სავსებით სისრულეში მოყვანა, აწ ჩვენ, მისის მოწყალების სასოებით დავადგინეთ თქვენდამი წარმოვგზავნოთ სხვა ახალი მოძღვარნი, რომელნიც ქრისტიანებრივის სარწმუნოების განფენისა და თქვენთა სულთა ცხონების კეთილის სურვილით ეგოდნათ გამსჭვალულნი არიან, რომ არ უშინდებიან და უკან არ იხევენ არც გზის სიშორისა და სიძნელის, არც იმ დიდი და მრავალი განსაცდელის გამო, რომელიც მოელისთ ამისთანა შორეული მგზავრობის დროს. ამიტომ კვალად და კვალად შეგაგულიანებთ და გევედრებით, რათა ეს მოძღვრები სახიერებით და სიტკბოებით მიიღოთ, გულმოდგინებით მოუსმინოთ და სიმშვიდით შეიწყნაროთ მათი სიტყვა იმავე სარწმუნოებისათვის, რომლითაც შესაძლებელია თქვენი სულის ცხონება და რომლის გარეშე არა არის ცხოვრება. აწ დიდის გულ მხურვალებით ვევედრებით ღმერთსა, რათა თავისის მადლის ნათლით განანათლოს თქვენი გონება, აღძრას თქვენი გული და მოგანიჭოსთ ნათელი ჭეშმარიტების ცნობისა. რომით, 3 თებერვალს, 1763 წ. მღვდელთ-მთავრობის მეხუთე წელსა“ (1).

წერილი თუმცა განსაკუთრებით არ შეეხება საქართველოს, მაგრამ ის კი ჭეშმარიტია, რომ თავდაპირველად ქართველები იგულისხმებიან, რადგან კარგად ვიცით, რომ უწინ კავკასიის ერთა წინამძღვარნი და მათ შორის განთქმულნი ქართველნი იყვნენ. გარდა ამისა კავკასიის მთიულ მცოვრებთა მომეტებულ ნაწილს შეადგენენ ფშავლები, თუშები და ხევსურები, რომლებიც ქართველები არიან.

შევრიშნოთ აქ ესეც, რომ საქართველოს ეკლესია ისე დაშორებული არ არის რომის ეკლესიას, როგორც სხვა ტომების ეკლესიებია, რადგან მტკიცედ აქვს დაცული მსოფლიო კრებათა დადგენილი ყველა დოგმები. ამიტომ რომის ეკლესია მას არ უწოდებს ერეტიკად-მწვალებლად, როგორც სხვა ტომთა ეკლესიებს უწოდებს, არამედ უხმობს მარტო გაყრილად. წინედ ხომ ლათინის და საქართვე-

ლოს ეკლესიის სარწმუნოება ერთმანერთის თანახმა იყო, როგორც ამას მოწმობდა წმიდა გიორგი მთაწმიდელი და როგორც ვნახეთ პირველ თავშიც არც შემდგომ საუკუნეებში არსებითად განსხვავებულა ამ ორის ეკლესიის სარწმუნოება. ამის საბუთად, სხვათა შორის ეს გვაქს: როდესაც რომაში თეიმურაზ პირველის ელჩს ნიკიფორეს მოსთხოვეს საქართველოს ეკლესიის სარწმუნოების სიმბოლო და როდესაც წარუდგინა, პროპაგანდის კრებაში, 20 იანვარს 1628 წ. გაიმეორეს ის სიმბოლო და კრებამ ერთპირად აღიარა, რომ ქართველები ძრიელ ცოტათი განსხვავდებიან ჭეშმარიტი კათოლიკე სარწმუნოებისგანო. (1) ამიტომ საქართველოს რომასთან შესაერთებლად სხვა არაფერი მოეთხოვებოდა, მისგარდა, რომ პაპი ეცნო მსოფლიო ეკლესიის თავად და მისთვის მორჩილება გამოეცხადებინა. შემდეგ კი ყველა ქართველს შეეძლო კათოლიკე ყოფილიყო და თავის წესსა და ეკლესიაშივე დარჩენილიყო. ესრეთი შეერთება შეიძლება ბევრისგან შეუნიშვნელად და უცნობელადაც დარჩენილიყო ეგრეთვე თუ ზოგჯერ საქართველოს და რომს შუა გაწყვეტა მოხდებოდა, მიზეზი იქმნებოდა მარტო ის, რომ სხვა და სხვა გარემოებისა და სიძნელის გამო შესწყდებოდა ხშირი და მეგობრული კავშირი და არა ის, რომ მათ შორის შფოთი და მტრობა ჩამოვარდნილიყო, რაიც საქართველოში არას დროს არ მომხდარა. სწორედ ამ დოგმატებრივი ერთგვარობის მიზეზია, რომ დღესაც კონსტანტინეპოლში ქართველთ კათოლიკის ტიბიკონის ბერები ხმარობენ შეუცვლელად ყველა იმ ლიტურღიის ქართულ წიგნებს, რაც დაბეჭდილა რუსეთსა და საქართველოში და რასაც დღეს საქართველოს მთელი სამღვდელოება ხმარობს.

საქართველოს და რომის ეკლესიის დოგმატების ერთიერთთან თანხმობის გამო შეგვიძლიან უტყუვრად ვსთქვათ, რომ ხშირად საქართველოში არა მარტო კერძო პირები იყვნენ კათოლიკებად, არამედ უმრავლესობა, თავადები, მეფეები და თვით კათალიკოსებიც კი შეერთებული იყვნენ რომის ეკლესიასთან, რასაც არა ნაკლებ გვიმტკიცებს ზემორე მოყვანილი საბუთები. ერთსა და იმავე დროს ქართული ტიბიკონის მქონე კათოლიკებთან ყოფილან ეგრეთვე ლათინის ტიბიკონის მქონე ქართველი კათოლიკენიც შეუწყვეტლივ. ამასაც ცხადათ გვიმტკიცებს ეგოდენი ლათინის ეპისკოპოსების დანიშვნა ტფილისში და ეგრეთვე ზემორე მოყვანილი პაპის კალიქსტო მესამის წერილი საქართველოს კათოლიკებისადმი.

რადგან ზემო ხსენებული ლუდოვიკე ბოლონიელის შესახებ კვალად უნდა ვილაპარაკოთ, საჭიროდ მიგვაჩნია ეს შენიშვნა. ჩვენი ისტორიის გამომამჟღავნებელ ბროსეს ფრანცისკიანების წესის ლუდოვიკე

დომინიკანების მონაზონი ჰგონია. შეურაცხყოფით იხსენიებს და ქვეყბუდანა მოშუდლე ფანატიკოსს ეძახის. (1) მაგრამ პატივცემული ისტორიკოსი ჰსცდება. ეტყობა არ გაუცვნია ის წერილნი, რომელნიც სარწმუნო წყარონი არიან ამ პირის ისტორიისათვის. ჩვენ, რაც შეიძლებოდა, ყველა საბუთი გავიცანით ამის შესახებ და დავრწმუნდით, რომ ეს ლუდოვიკე დასახულია დიდ მოღვაწედ, მეცნიერ, დახელოვნებულ და კეთილ კაცად (virum probum et religiosum). პაპს კალიკსტო მესამეს იგი ჰყოლია თანაგამზრახად და ერთგულ მეგობრად. ლუდოვიკეს იერუსალემში ბევრხანს უცხოვრია, ქრისტიანების წინაამდეგ ოსმალთა საიდუმლოები კარგად შეუტყვია. ამიტომ იყო რომ პაპები ხშირად მას გზავნიდენ სხვა მთავრობათა შიმარ ოსმალების წინაამდეგ ომის ასატეხად. (2)

1456 წ. პაპმა კალიკსტო მესამემ ლუდოვიკე აღმოსავლეთს გამოგზავნა, რათა აღმოსავლეთის მთავრები ოსმალეთის წინაამდეგ საომრად მოემზადებინა; თან გამოატანა იქაურ მეფეებთან ერთი წერილი, რომელიც იწყებოდა ესრედ: Qui coelorum continet thronum Dei, Rex Dominator. სამწუხაროდ, ის წერილი დაკარგულია. საქართველოში რომ მოვიდა წერილი ჩვენ მეფეებსაც წარუდგინა. რა ნახა აქაური მთავრების და ერის მზად ყოფა, მეტადრე მათი ერთგულება რომის ეკკლესიისა და პაპისადმი, საჩქაროდ საქართველოდგან გაბრუნდა რომას და მოახსენა პაპს ყველაფერი. ამის შემდეგ იყო, რომ პაპმა ზემოდ მოყვანილი წერილი მოსწერა საქართველოს კათოლიკებს და ლუდოვიკე ხელმეორედ გამოგზავნა საქართველოს, ხოლო ლუდოვიკეს წამოსვლის წინ კალიკსტო მესამე გარდაიცვალა. ამიტომ ლუდოვიკემ დაჰყოვნა თავისი წამოსვლა და მოუცადა ახალი პაპის არჩევას, 1458 წ. არჩეულ იქმნა თუ არა პაპი პიო მეორე, მაშინვე ლუდოვიკეს განუახლა ყოველი უფლება და პრივილეგია, ეგრეთვე მისცა ჩვენ მეფეებთან წერილი და გამოისტუმრა საქართველოს. ამ დროს საქართველოს მდგომარეობა, თანახმად ჩვენის ისტორიისა, ფრიად სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს. ერთი და იგივე მამული-შვილები ერთმანერთის გაოხრების მეტს სხვას არაფერს ფიქრობდენ. ყველა თავის პირად დიდებას და ინტერესებს ეძებდა, პატარა დიდს აღარა ჰსცნობდა და მონა ბატონზე ხელს იღებდა; გიორგი მეფე, ყვარყვარე ათაბაგი და იმერეთის მეფე ბაგრატ ერთმანერთის დაღუპვას სცდილობდენ, ერთმანერთის შურით თავიანთ მოძმეთა სისხლსა ღვრიდენ განუწყვეტლად. ამ გლეჯა-წეწვის დროს გიორგი მეფე, 1456 წ. ყვარყვარეს ტყვედ ხელში ჩაუვარდა. სწორედ ამ სამწუხარო ამბავს მოუსწრო საქართველოში ხსენებულმა პატრი ლუდოვიკემ. პირველი მისი ცდა

ის იყო, რომ შეაჩერა ძმებში ერთმანერთის სისხლის ღვრა; მერმე დაანახა იმათ ყველას ის დიდი უბედურება, რომელიც ადრე, თუ გვიან მოელოდა საქართველოს ოსმალების ხელითგან. ამიტომ არა მარტო შეარიგა ერთმანერთს, არამედ ფიცით კავშირიც დაადებინა ყველას, რომ ყოველი თავიანთი ძალა შეერთებინათ, რათა ადვილად წინ აღდგომოდენ თავიანთ საზოგადო მტერს—ოსმალებს. რა ნახეს მისი ესრეთი გულმოდგინება და კაცთ მოყვარეობითი მოქმედება, ყველა ქართველებმა იგი აირჩიეს თავიანთ პატრიარქად, თანახმად იმ უფლებისა, რომელიც მიანიჭა კალიკსტო პაპმა ქართველებს თავიანთ სასულიერო წინამძღვრის არჩევის საქმეში, როგორც სჩანს ჩვენ მიერ ზემორე მოყვანილის წერილიდგან. ლუდოვიკე შემდგომ აქიდგან წავიდა სომხეთს და სპარსეთსაც; იქაური მთავრები შემოიერთა ოსმალების წინააღმდეგ; გამობრუნებისას თან წამოიყვანა მათი ელჩებიც და მოვიდა ისევ საქართველოს. აქ კვალად განამტკიცა მეფე და მთავრები ერთობაში ოსმალების წინააღმდეგ საომრად. პაპთან პასუხის წასაღებად გაბრუნდა რომას 1459 წ. წაიღო ყვარყვარესი და გიორგი მეფის წიგნები ბერგუნდიის მეფისათვის გადასაცემათ და თან წაიყვანა მათი ელჩებიც. ეს ორი წერილი კარგად ვრცელია და ძნელადაც საშოვარი, რადგან მარტო ერთ ძველს და იშვიათს წიგნში მოიპოება, ამიტომ სრულიად მოგვყავს აქ, რათა საქართველოს ესეთი შესანიშნავი საბუთები არ დაეკარგოს.

„ყოვლად ბრწყინვალე ბერგუნდიის დუკას, მე, ყვარყვარე საქართველოს მთავარი, სიყვარულით მოგიკითხავ.

„დიდად ვნატრობ თქვენს დამეგობრებას, რადგან შევიტყე რომ, ძრიელ მორწმუნე ქრისტიანე ხართ და მარადის ნატრობთ ჰქმნათ იმისთანა შესანიშნავი საქმე, რომელიც შეეხება ჩვენის წმიდა სარწმუნოების პატივსა და დიდებას, როგორათაც ესა ჰყვეს თქვენთა წინაპართა. მეც ქრისტიანე ვარ და ამ უწმიდესი სარწმუნოების დასაცველად და მისი დიდებისათვის მზად ვარ თავი დავსდვა; ამიტომ ჩემ წინაპართა კვალს მივსდევ და მათ მსგავსად სიამოვნებით ვეომები ურწმუნოთა. მამი ჩემის სიკვდილის შემდგომ ხშირად მომიხდა მათთან ომი და, ღვთის მადლით, ბევრჯერაც გავიმარჯვე მათზე და ბევრი მათი ქალაქიც დავიპყარი. გასულ წლებში მეზობელ ქრისტიანე მთავრებთან ომი რომ არ მომხდენოდა, უფრო მომეტებულად გავიმარჯვებდი ურწმუნოებზე. ხოლო აწ ბატონი ჩვენი პატრიარქის ლუდოვიკეს ბრძანებით შევურიგდი ყველა ჩემს მეზობელს ქრისტიანე მთავრებსა, და გარდავსწყვიტე, მთელი ჩემი ღონე და შეძლება მოვიხმარო ოსმალების წინააღმდეგ, როგორათაც დავპირდი ჩვენს ბატონ პატრიარქს. თვით მევე უნდა წავუძღვე ჩემს 20,000 ცხენოსანს საომრად ურწმუნოთა წინააღმდეგ, ამის

ადვილად აღსრულებისათვის, ვრამ მარტო შევიერიგეთ, არამედ პირობაც შევკარი და კავშირი დავადგინე ამ ქვეყნის ყველა ქრისტიანე მთავრებთან, რათა ესეთის ჩვენის შეერთებულის ძალით შევებათ და ვსძლიოთ ოსმალთა, რომელთაც დაიპყრეს კონსტანტინეპოლი, ხოლო კავშირი ვყავით: მე, გიორგი სპარსეთის მეფემ, დავით ტრაპეზუნტის იმპერატორმა, ბენდია სამეგრელოს მეფემ, რაბია ანაკოფიის (აფხაზეთის) მთავარმა და ბერდებეგ მცირე სომხეთის ბატონმა. ამათ გარდა ჩვენი მოკავშირენი სხვანიც არიან. ის მოკავშირენი თუმცა ურწმუნონი არიან, მაგრამ ძლიელ მთავრებად ითვლებიან და დიდი მტრები არიან კონსტანტინეპოლელი ოსმალოებისა. ესენი არიან შემდეგნი: ჟარამან, ძველი მართებულის ისმაელბეგის შვილი, და ჰასანბეგ, უწინდელი ყარალუკის შვილი. რადგან ჰასანბეგ აქეთ მხარეს კონსტანტინეპოლელი ოსმალების საზღვარზედ არის, დაგვპირდა, რომ გზა მოგვცეს, რათა ანატოლია დავიპყრათ და თვითონაც უნდა მოვიდეს ჩვენთან ყოველი თავისი ჯარით ასაღებად ბერსის ქალაქისა, რომლის დაპყრობაც თვითონ უნდა. ესეთი კავშირი მასთან იმ პირობით დავდევით, რომ მუდამ იქმნეს ქრისტიანების დიდი მეგობარი; ეგრეთვე უკეთუ თქვენ ლათინის მთავრები და ერი წამოსვალთ იერუსალემის წმიდა ადგილების დასაპყრობლად, ის ცდილობელია ყოველგნაირად შეგეწიოსთ თქვენ, რაოდენათაც კი შეუძლია. აგერ 50 წელიწადია, ესეთი მშვიდობა და ერთობა, რომელიც აწ ვყავით, არ გაგონილა ჩვენს ქვეყანაში. ეს ვყავით ჩვენის ბატონის პატრიარქის ბრძანებით და ჩაგონებით და ეგრეთვე თანახმად წერილისა ბატონის პაპისა, რომელმაც მოგვწერა და გვაუწყა, რომ მან თავის ქალაქში ყველა ლათინის მთავრები უნდა შეკრიბოს და რჩევა ჰქმნას, რათა მოემზადონ ურწმუნოებთან საომრად. ხოლო დიდად ვნატრობთ, რომ თქვენც შემოგვიერთდეთ ამის აღსასრულებლად. ამიტომ ბატონ პატრიარქთან ერთად ვგზავნით ჩვენს ელჩებს, ყველა ლათინის მთავრებთან და უფროს ერთად თქვენთან, რადგან შევიტყეთ, რომ დიდი ხანია ძლიერ ნატრობთ წმიდა ადგილების დაპყრობას. აწ ჩვენის ელჩებისაგან სცნობთ, თუ ჩვენ ყველანი რაოდენად მოწადინებულნი ვართ ამ ურწმუნოების საქმეში და რაც მისთვის რა გავაკეთეთ ამ დროებში. კვალად დიდათ ვნატრობთ და გევედრებით, ჩვენს ელჩებს ყველაფერი კარგად შეატყობინოთ, თუ მზად ხართ ჯვაროსანთა ომის დასაწყებად, რათა მათაც გვაცნობონ, თუ რა დროს უნდა შევიკრიბნეთ საომრად. ამასაც გპირდებით, რომ ერთის წაუცხულის განმავლობაშივე დავიპყროთ მთლად ანატოლია და ყველა ქვეყნები, რომელიც კონსტანტინეპოლელ ოსმალოს ამ მხარეს უჭირავს. ხოლო იმის მეორე კერძო ადგილები, რომელიც ესაზღვრებიან და რომლისაც მხარე ზღვა

ჰყოფს, თქვენ დაგიტოვოთ; მისი აღება ადვილი იქმნება, რადგან, როდესაც ოსმალეთი ესე ორ ჯარს შუა მოექცევა, ვეღარ გაუძალდება, მალე დაიძლევა და ამნაირად მის სახელს ქვეყანაზე მოვსპობთ. ამიტომ სხვა ყველა ლათინის მთავრებზე უმეტესად თქვენ გევედრებით, რათა ამისთვის იფიქროთ და იზრუნოთ და ხელიდგან არ გაუშვათ კაი შემთხვევა, რომელსაც გაძლევთ; არც დამცირებად მიიჩნიოთ ჩვენი მომხრეობა, ვინაიდგან ყველაფერი დაგვიტოვებია და სარწმუნოების სასარგებლო საქმეს დავსდგომივართ. უკეთუ აწ დაიზარებთ და ყურადღებას არ მოაქცევთ ამას (რაც ღმერთმა ნუ ინებოს), მაშინ სრულებით არარაფერს ვიქმთ, რადგან იმ პირობით შევერთდით ურწმუნოებთან საომრად, უკეთუ თქვენც, მთავარნი ლათინნი ჩვენთან შეერთებულ იქმნებით. თვინიერ ამისა ყოველი ჩვენი ხელ შეკრულობა უქმია, რადგან ყველა ჩვენი რჩევა და გარდაწყვეტილება დამყარებულია ბატონი პაპის წერილზე, რომელიც ჩვენმა ბატონმა პატრიარქმა მოგვიტანა და რომელიც მის ნამდვილ წერილად მიგვაჩნია. დასასრულ უწყოდეთ კარგად, რომ თუ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს იმოქმედებთ, შემდეგში, კიდევაც რომ გულით მოინდომოთ, ვერაფერს გაარიგებთ, რადგან უსჯულო ოსმალეთი მუდამ დღე ძლიერდება და ვეღარც შევიძლებთ შემდეგში გულმოდგინედ შეერთებას, როგორც ახლა ვართ. თუმცა ბევრი რამ მინდოდა მომეწერა, მაგრამ ეს ვიკმარე, ზოგსაც ჩემი ელჩი მოგახსენებს. უსმინეთ ყველაფერი უეჭველად. ქგრეთვე დაგავედრებ მას. ქრისტეს მიერ ბძანდებოდეთ მშვიდობით. დაიწერა ქარციხეს (ახალციხეს), 1459 წ. ნოემბერს". (1)

როგორც პაპს მოუწერია ჩვენი მეფე-მთავრებსათვის, ისე ცხადია ისიც, რომ სამაგიერო პასუხს მისწერდენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა დაკარგულია და არც ერთი ჰსჩანს.

გიორგი მეფის წერილი ამ წერილისგან ბევრად არ განირჩევა, მაგრამ, რადგან ძნელი საშოარია, ამიტომ ისიც მოგვყავს აქ სრულიად.

„ყოვლად ბრწყინვალეს ბურგუნდიის დუკას, მე გიორგი სპარსეთის მეფე მრავალს მოკითხვას მოგახსენებ. ამ წიგნს გწერთ, რათა სცნოთ, რაც ვჰყავით ამ ჟამად აღმოსავლეთში. აწ უწყოდეთ, რომ ყველა ამ მხრის ქრისტიანე მთავრებმა ერთმანერთ შორის ჩამოვაგდეთ მშვიდობა და ზავი და შევიფიცენით, რათა ყველა ჩვენის ძალით და ცდით ვეომოთ ოსმალებს, მეტადრე იმათ, რომლებიც არიან კონსტანტინეპოლში, რადგან ქრისტიანებს ძლიერ მტრობენ. ამ კავშირის გამო ყველა ჩვენთაგანმა ჯარი მოამზადა. მე თითონ პირადად 40,000 კაცით უნდა წავიდე, დავით ტრაპიზუნტის იმპერატორი შეგვპირდა და. მზათ აქვს 30 ხომალდი 20,000 კაცით; სამეგრელოს მეფე ბენდია მზათ არის მთელის თავისი

ჯარით; ყვარყვარე საქართველოს მთავარი თვით მოდის 20,000 ცხენოსნით; ანაკოსიის მთავარი რაბა (ფაბია) შემოგვპირდა წამოსვლას თავისი ძმებით, თავადებით და მთელის თავისის მხედრობით; მცირე სომხეთის ბატონი ბერდებეკ ჩვენის ლაშქრობისათვის შემოგვპირდა 20,000 კაცს. ხსენებულ კავშირში არიან კვალად სხვა ერნიც გიტარანები და სხვანი, ეგრეთვე თათრების სამი ძრიელი მთავარი, რომლებიც მზად არიან დაუწყონ ჩხუბი ოსმალებს, ესე იგი კოსტანტინეპოლის მფლობელ ოთმანებს. იმათგანი ერთი არის ყარამან, მეორე ისმაელ ბეგი, შვილი უწინდელის მთავრისა, მესამე ჰასანბეგ მესოპოტამიის მეფე, შვილი ყარაილუკისა, რომელიც ძრიელი და დიდი მტერია კოსტანტინეპოლელი ოსმალებისა და მზად არის ყველა თავისი დანაპირები აღასრულოს. აქ ხსენებულთა ამის შესრულება ერთმანეთს შევფიცეთ, მუხანათი სიკვდილით უნდა დაისაჯოს, იმ პირობით კი, თუ თქვენ ლათინებიც ჩვენთან ერთად იქმნებით და თქვენის მხრით ოსმალებს ომს დაუწყებთ. გარნა თუ არ ისურვეთ ეს ომი, მაშინ სრულებით ვალდებულნი აღარ ვიქნებით, შევასრულოთ ის, რასაც ერთმანერთს შევპირდით. ამიტომ გევედრები, ყველაფერს თავი დაანებოთ და ამ ომს მოაქციოთ ყურადღება და ჩემსავით არც უკან დაიხიოთ ასეთი წმიდა საქმისათვის რომლისამე სიძნელის გამო. უკეთუ ყურადღება მიმექცია სხვა და სხვა სიძნელისათვის, თავის დღეში ვერ დავემორჩილებოდი ბატონს ჩვენს პატრიარქს, რომლის შემწეობით და ბრძანებით ჩვენს შორის მშვიდობა დამყარდა და დაიდვა ეს კავშირი. აწ თუმცა ამ მორიგებამ ზოგიერთ საქმეში მაზარალა, მაგრამ მაინც კი მოხარული ვარ, რადგან ამის მაგიერად ღვთისაგან მოველი სულიერ სასყიდელსა. აწ სხვას არაფერს გწერ, რადგან ჩვენს ბატონ პატრიარქთან ერთად ვგზავნი ჩემს ელჩსა, რომლისგან ყველაფერს შეიტყობთ და რომელსაც გავედრებ. მაშ მოუსმინეთ. გთხოვ თქვენი პასუხი წერილით გამოატანოთ, რათა ვსცნოთ თქვენი აზრი და გარდაწყვეტილება. ქრისტეს მიერ მშვიდობით ბძანდებოდეთ. დაიწერა ჩვენს ბანაკში ახლოს კარავისა. 1459 წ. ნოემბრის 5“ (1).

ამ წერილებში მოხსენებული ისტორიული ფაქტების კვლევას არ გამოუდგებით. აქ დასახელებული საქართველოს მთავრების ერთმანერთში მტრობა და ჩხუბი საკმაოდ მოთხრობილია ჩვენს ისტორიაში. შევნიშნოთ მხოლოდ, რომ სპარსეთის მეფედ დასახელებული გიორგი, ყოველ ეჭვ გარეშე, საქართველოს (ქართლის) მეფე გიორგი მერვეა, შვილი ალექსანდრე დიდისა. მისის მამის სახელი ცხადათ მოხსენებულია იმ წერილებში, სადაც ლაპარაკია მისი წერილისა და გაგზავნილის ელჩის შესახებ. ეს ცქიდგანაც მტკიცდება, რომ იმ დროს სპარსეთის

მეფედ იყო განთქმული ჰასანბეგ (უზუნ-ჰასან), გიორგის წერილშივე
მესოპოტამიის მეფედ ჰასანბეგად დასახელებული, რომელიც ქრისტიანე-
ბის მეგობარი იყო, მაგრამ ქრისტიანობა კი არ მიუღია. არც სპარსე-
თის ისტორიაში მოიპოება, როდისმე ჰყოლოდეს ქრისტიანე მეფე
სახელად გიორგი. ხოლო გიორგი ცხადათ აღსარებულია ქრის-
ტიანედ და კიდეც აურჩევია პატრიარქად პატრი ლუდოვიკე ბოლონი-
ელი, რომელსაც ერთგულად ემორჩილება. არ ვიცით კი ნამდვილი მი-
ზეზი, თუ თავისს თავს სპარსეთის მეფედ რად უწოდებს. ხოლო ვფიქ-
რობთ, იმიტომ დაირქვა ეს სახელი, რომ იმ დროებში თუ
ქუთაისის მეფემ ბაგრატმა და თუ სხვა მთავრებმა ბევრჯელ ჩამოართვეს
საქართველოს ტახტი და არ ასვენებდენ თავის სამეფოში. ეს
თვით წერილიდგანაც სჩანს, რადგან დაუწერია (ანუ დაუწერინებია)
იგი ომის ველზე, ბანაკში და არა თავის სამეფო ქალაქ ტფილისში.
ეგრეთვე ამას ისიც გვიმტკიცებს, რომ იმ დროს ბაგრატ იწოდებოდა
ივერიის, ანუ ქართველთა მეფედ.

რა წავიდენ საქართველოდგან ზემო ხსენებული პატრიარქი და
ორი ქართველთა ელჩი ნიკოლოზ ტბილელი და ქასადან ყარჩხან
(ვგონებთ უნდა იყოს ფარსადან) სხვა ელჩებთან ერთად, გამოიარეს სა-
მეგრელოში და დანუბის მდინარით უნგარეთს მივიდენ, იქიდგან წავი-
დენ გერმანიას და მიესალმნენ ფრედერიკო იმპერატორს; რა მივიდენ
ვენეციას, იქაურმა სენატმა დიდის პატივით მიიღო; ხოლო რომას რა
ჩავიდენ, მათ მიეგებნენ სასულიერო დასნი და ეპისკოპოსები და დიდის
პატივით მიიღეს, როგორც მეფეთა ელჩნი, დააყენეს სამთავრო სახლებ-
ში და მთავრობის ხარჯითვე შეინახეს. ელჩები იყვნენ ხუთნი: ერთი
ყვარყვარესი ქასადან, მეორე გიორგი მეფისა ნიკოლოზ თბილელი;
მესამე სომხების მთავრისა მორალი; მეოთხე ჰასანბეგისა მაჰმეტ; მეხუ-
თე დავით იმპერატორისა მიხეილ. 1460 წ. პაპის პიო მეორის
წინაშე წარდგნენ და მოახსენეს ესრედ: „თქვენ წარმოგზავნეთ ჩვენ-
დამი მინორიტების წესის ბოლონიელი ლუდოვიკე, რომელმაც მოგ-
ვახსენა, რომ თქვენ წახვედით მანტოვას ქრისტიანებთან კრების მოსახ-
დენად, რათა მაჰმედს, ოსმალების იმპერატორს, ომი დაუწყოთ და
ნატრობთ, ჩვენმა მთავრებმაც აზიაში ომი აუტეხონ, როდესაც
ევროპაში შეებმით. ეს ამბავი ძრიელ ესიამოვნათ ჩვენს მთავრებს,
რადგან მათ სძულსთ ოსმალები და თქვენ კი უყვარხართ და პატივს
გცემენ ისე, როგორც ქრისტეს ნაცვალსა. მზად არიან თქვენი ბრძა-
ნების აღსრულებისათვის. ჩვენს მთავრებს ერთმანერთში მძულვარება და
ომი ჰქონდათ, მაგრამ თქვენმა ნუნციომ რა უბრძანა, მაშინვე შერიგ-
დენ და აწ მზად არიან დაუწყონ ომი ოსმალებს, როდესაც კი თქვენ

უბრძანებთ. 120,000 მეომარნი მზად არიან ეომონ მაჰმედ იმპერატორს ახიაში, ვიდრე ჰელესპონტამდე, თრაქიამდე და ბოსფორამდე, როდესაც თქვენ ინებებთ და თუ თქვენც დასავლეთელებთან ერთად ეომებით ოსმალებს. ამიტომ წარმოგვგზავნეს და ეგრეთვე მისთვის, რათა ვემთხვიოთ თქვენთა ფერხთა, ვითარცა ამ ქვეყანაზე ღვთის ნაცვლისას. ეგრეთვე გაუწყებთ, რომ ჩვენთან შეერთებულნი არიან ბენდია აფხაზეთისა და სამეგრელოს მეფე, ბაგრატ (მეფე) ივერიელებისა, რომლებსაც აწ უწოდებენ გიორგიანებს და მანძა (მამია) მარკიო გურიელი.... აწ მხოლოდ ამას გთხოვთ, რომ ლუდოვიკე, რომელმაც აქ მოგვიყვანა, დაადგინოთ პატრიარქად იმათზე, ვინც აღმოსავლეთში რომის წესს მისდევენ და თქვენ საყდართან შეერთებულნი არიან.“ (1).

ზემოთ მოვიხსენიეთ, რომ პაპის კალიკსტო მესამის წერილი შეეხებოდა მარტო საქართველოს კათოლიკებს და არა სხვა ტომის ხალხსა. ამას საკმაოდ გვიმტკიცებს ყვარყვარესი და გიორგის წერილები და ეგრეთვე მათი ელჩების ისეთი ლაპარაკი პაპთან. არ დავივიწყოთ, რომ იმ წერილებთან ერთად მიწერილია ბერგუნდიის დუკასთან დავით ტრაპეზუნტის იმპერატორის წერილიც, რომლის აქ მოყვანას საჭიროდ არა ვრაცხთ. წერილში იმპერატორი ბოლონიელ ლუდოვიკეს პატრიარქად სრულიადაც არ უწოდებს, არამედ იხსენიებს მარტო ელჩად (orator); არც ისაა მოხსენებული წერილში, ვისთანმე ომი ჰქონოდეს მის წინეთ, არამედ მარტო ამას ამბობს: „ჩვენ აღმოსავლეთელებმა ერთიან პირობა შევკარით, ვეომოთ ოსმალებსო“. არც ისა სჩანს, რომ მცირე სომხეთის მთავარს ეწოდებინოს, ანუ ესურვებინოს ლუდოვიკეს პატრიარქობა. ეგრეთვე ცხადია, რომ სპარსეთის მეფეს ჰასანბეგს სრულიადაც არ დასჭირდებოდა იმის პატრიარქობა. მაშ გიორგიმ და ყვარყვარემ აირჩიეს იგი თავიანთ პატრიარქად თანახმად იმ უფლებისა, რომელიც ზემოდ მოყვანილი წერილით კალიკსტო პაპმა მიანიჭა საქართველოს კათოლიკებს იმ პირობით, რომ არჩეული პირი რაც შეიძლებოდა მალე წასულიყო რომს და თან წაეყვანა ორი-სამი ადგილობრივი მცხოვრები, რათა პაპს დაემტკიცებინა იგი პატრიარქად, რომლის ელჩების გაგზავნაში დადებულის პირობის აღსრულებასაც ვხედავთ, ვინაიდგან პატრიარქთან ერთად საქართველოდგან წასული ორი ქართველი სთხოვს პაპს, რათა არჩეული ლუდოვიკე აღმოსავლეთის (აქ საქართველო იგულისხმება) კათოლიკეთა პატრიარქად დაამტკიცოს. ლექსი აღმოსავლეთი რომ კერძოდ შეეხება საქართველოსა, ამასაც საკმაოდ გვიჩვენებს გიორგისა და ყვარყვარეს წერილები.

ეგრეთვე შევნიშნოთ ესეც, რომ გიორგი მეფის ელჩს ეწოდება ნიკოლოზ ტბილელი. თუმცა ეს ლექსი ტფილელი ნიშნავს ტფილისში

დაბადებულის, ანუ მისი-მცხოვრებს, მაგრამ ისეც ვიცით რომ ეს ლექსი უფრო განსაკუთრებით ნიშნავს ტფილისის ეპისკოპოსს, რომელიც ძველადვე წოდებულია თბილელად. ვგონებთ სრულიად საფუძვლის მოკლებული არ უნდა იყოს, რომ ელჩად გაგზავნილი ნიკოლოზ ტფილისის ეპისკოპოსად, თბილელად, შევიჩნიოთ.

რა მოუსმინა პაპმა ელჩებსა, დიდად აქო მთავრების ესეთი კეთილი სურვილი. ეგრეთვე მათ მიუწერა, რაც იმოქმედა მონთავაში, მაგრამ ქრისტიანე ხემწიფეებს მისთვის ჯეროვანი ყურადღება არ მიექციათ. ხოლო იმედი ჰქონდა, რომ თუ ისინი შეიტყობდენ აღმოსავლეთელების გარდაწყვეტილებას, უეჭველად ყურადღებას მიაქცევდენ და შემწეობასაც აღმოუჩენდენ. ამიტომ გადაწყვიტა, ის ელჩები საფრანგეთის მეფესთან და ბურგუნდიის დუკასთან გაეგზავნა. „ელჩები განაგრძობს ისტორიკოსი, იქ წასვლას დასთანხმდენ, მაგრამ გზის ხარჯი მოსთხოვეს და ლუდოვიკეს პატრიარქად დანიშვნის თხოვნა კვალად განუმეორეს. პაპიც დათანხმდა ხარჯის მიცემას და აგრეთვე ლუდოვიკეს პატრიარქად დამტკიცებას იმ პირობით, რომ ლუდოვიკე ვიდრე დაბრუნდებოდა საქართველოს, პატრიარქის სახელი არც წერაში და არც ლაპარაკში ეხმარა; არც თან ეტარებინა თავისი პატრიარქობის დამტკიცების წერილი, არამედ შეენახა იგი წმიდა პეტრეს კარდინალთან, რათა შემდგომ კარგად გამოძიებულ ყოფილიყო იმ საპატრიარქოს საზღვრები“. (1).

ელჩები 1461 წ. რა მოვიდენ საფრანგეთს, წარდგნენ მეფის კარლო მეშვიდის წინაშე, მაგრამ იგი ვერ დაიყოლიეს ოსმალების წინააღმდეგ საომრად; რადგან იქაც, ჩვენს მეფეებსავით, უთანხმოება ჰქონდათ ერთმანერთში და ოსმალეთის გაძლიერება ისე არ აფიქრებდათ, როგორც ჩვენი მხრის მთავრებს. საფრანგეთში საქართველოს ელჩობა ყოფნის დროს მოკვდა კარლო მეშვიდე და გამეფდა მისი შვილი ლუდოვიკე მეთერთმეტე, რომლის დაგვირგვინებას ესენიც დაესწრნენ. ვერც ამ ახალის მეფისგან მოიპოვეს თანხმობა და ესრედ სულ ცარიელნი და დაღონებულნი უკანვე გამობრუნდენ.

აქ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ, როდესაც საფრანგეთის მეფის წინაშე წარდგნენ ელჩები, ქართველებს ესე უწოდებდნენ: „ნიკოლოზ, ორატორი დიდი ალექსანდრეს შვილის გიორგის სპარსეთის მეფისა, ყოვლად ქრისტიანის საქმეების აღსრულებაში ფრიად განსწავლული ქრისტიანი, უძლიერესი მეომარის ყვარყვარეს საქართველოს მთავრის ორატორი“. (2).

ხოლო ძველი მწერლები სრულებით არაფერს მოგვითხრობენ, თუ როგორ წარდგნენ ელჩები ბურგუნდიის დუკას წინაშე და ან რა პასუხი მიიღეს ყვარყვარეს და გიორგის წერილებისა.

თუმცა ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრებმა ევროპაში, როგორც იმედი ჰქონდათ, ვერ იშოვეს მომხრენი ოსმალების წინააღმდეგ, იმედი მაინც სულ არ დაუწყვეტიათ, არც გული აუცრუვებიათ რომის ეკკლესიაზე. პირიქით როგორც იმ დროის მთავრებმა, ისე მათ შემდეგებმა, რომის ეკკლესიის ერთგულებას არ უღალატეს: სამწუხაროდ, იმ დროის საბუთი ბევრი გვაკლია. მაგრამ თანამედროვე მგზავრები ამას საკმაოდ გვიმტკიცებენ. მაგალითად ვენეციელი ამბროზიო კონტარინი, რომელმაც საქართველოში გამოიარა 1474 წ. ივლისის 5-ს, ამბობს, რომ საქართველოში მრავალნი კათოლიკებიც არიანო. (vi sono anche di molti huomini catholici.) (1) ჩვენს ნათქვამს სხვათა შორის გვიმტკიცებს ორი შემდეგი საბუთი, რომელმაც ძლივს მოაღწია ჩვენამდე.

როგორც მეფე გიორგი მერვემ გამოიჩინა ერთგულება და ერთობა რომის ეკკლესიისადმი, ისე მისი შვილიც კონსტანტინე მესამეც მამის კვალს გაჰყვა. რომის პაპს ალექსანდრე მეექვსეს (ვგონებთ 1495 წ.) შესანიშნავი წერილი მისწერა და ელჩად გაუგზავნა ნილო მონაზონი რავდენსამე სხვა პირთან ერთად და გაატანა პაპისათვის ძღვენი. არ ვიცით კი, რაში მდგომარეობდა ის ძღვენი. როგორც პაპის წერილიდგან სჩანს, ძღვენი პირადად სახმარი რამ უნდა ყოფილიყო. კონსტანტინეს მიწერილი წიგნი ბევრი ვეძებეთ, მაგრამ აქამდე ვერსად მივაგენით მისი კვალი. ხოლო პაპის პასუხიდგან სჩანს, რომ კონსტანტინე მეფეს წიგნი მიუწერია და ელჩი გაუგზავნია უფროსიერთად ამისთვის: რათა პაპს განუცხადოს თავისი ერთგულება და მორჩილება, სთხოვოს დასავლეთის ხემწიფეთა გალაშქრება ოსმალების წინააღმდეგ აღმოსავლეთის მთავრებთან ერთად და ეგრეთვე სთხოვოს პაპს ფლორენციის კრების გარდაწყვეტილება რომის ეკკლესიასთან ძველი ერთობის განსაახლებელ დასამტკიცებლიდ. ამას მოწმობენ ეგრეთვე ძველი მწერლებიც (2).

თუ რაოდნათ შესანიშნავი და სასიხო საყოფელი ყოფილა კონსტანტინეს წერილი, საკმაოდ გვიჩვენებს პაპის შემდეგი პასუხი.

„პაპი ალექსანდრე VI. ქრისტეს მიერ ჩვენს საყვარელს შვილს კონსტანტინეს, ქართველთა ბრწყინვალე მეფეს, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.

„თქვენის ელჩის, საყვარელის შვილის, ნილო მონაზონისაგან მივიღეთ თქვენი წიგნი, რომლითაც სამოციქულო საყდრისა და ჩვენდამი აცხადებთ უდიდეს ერთგულებას და პატივისცემას და აგრეთვე გვილოცავთ და ყოვლისშემძლე ღმერთის მადლობას სწირავთ იმ გამარჯვებისათვის, რომელიც დაირჩათ ჩვენთა სახელოვანთ შვილთა ისპანიის მე-

ფეს და დედოფალს ურწმუნოთა წინააღმდეგ *), ეგრეთვე დიდის სიამოვ- ნებით ვსცანით თქვენი აზრი და გარდაწყვეტილება ქრისტეს სარწმუ- ნოების მტერთა წინააღმდეგ გალაშქრებისათვის, რის გამო მზად ხართ წასასვლელად თქვენის შვილით და თქვენის მხედრობითურთ, რათა დავიხსნათ ეგოდენი დაჩაგრული ქრისტიანე და დავიბრუნოთ გაუ- პატიურებული ტაძრები. ამიტომ გამოუთქმელის სიხარულით გავი- ხარენით და ყოვლის მპყრობელ ღმერთს, რაოდნათაც ძალ გვედვა, მად- ლობა შევსწირეთ, რომ თქვენს ხელმწიფებას გამოუჩენია სარწმუნოების ეგრეთი ერთგულება და სიყვარული, რადგან სავსებით ეთანხმება ჩვენს აზრსა და სურვილსა ქრისტიანე სარწმუნოების დაცვისათვის; მასთან- ვე გვიხარისთ ქრისტიანეთა გაძლიერება, ვინაიდგან უმეტესად სხვას არას ვნატრობთ, დღე და ღამე სხვას არას ვფიქრობთ მას გარდა, რომ ვპოვოთ რამ საშუალება ჩვენის სარწმუნოების სასარგებლოდ, რაისა გამო მუდამ ვფხიზლობთ და ყველა ღონისძიებას ვხმარობთ. მასთანვე იმედი გვაქვს, კოსტანტინეპოლისა, იერუსალემისა და აგრეთვე სხვა ადგილის საპატრიარქოებიც დავიხსნათ, რადგან აქაური ქრისტიანე მთავრები ამას შემოგვპირდენ. გარნა, სამწუხაროდ, ძველმა სულის მტერმა, ჩვენის ნატვრის და სასარგებლო რჩევის წინააღმდეგ, იმ მთა- ვართა შორის განხეთქილების ღვარძლი დასთესა. მაგრამ, ქრისტეს შემ- წეობით, იმედი გვაქვს, მალე შევარიგოთ და ესე ყოველივე ჩვენი ცდა მივაქციოთ წინააღმდეგ სარწმუნოების მტერთა, რომლებისაც არ გვე- შინია და წმიდა ჯვრის დროშის წინამძღვრობით, იმედი გვაქვს, მათზე სრულიად გავიმარჯვოთ. ამ სურვილით მუდამ გამსჭვალული ვიყავით და მეტადრე ახლა უმეტესად ვართ, რადგან დავრწმუნდით, რომ ქრის- ტეს სადიდებლად დიდად ერთგული და წადიერი ხართ.

„აწ რაოდენიც შეგვიძლია უფლისადმი შეგაგულიანებთ, რათა მტკიცედ სდგეთ და არ უღალატოთ თქვენს საქებურს წადილს და შეა- გულიანოთ ყველა თქვენი ქვეშევრდომნი და აგრეთვე უბრძანოთ მათ, რომ თქვენი წმიდა განძრახვის ასასრულებლად მოგეხმარონ და და- გემორჩილონ.

„რადგან საუკუნო ცხოვრებისათვის საჭიროა, ყველა ქრისტიანნი სარწმუნოების საქმეში შეუერთდენ და დაემორჩილონ ეკკლესიას, რო- მისას, სადაც ქრისტე უფალმა და მისმა მოადგილემ პეტრე მოციქულმა თავი და საყდარი დაადგინეს ქვეყნის ყველა ქრისტიანებისათვის, ამიტომ უდიდესად მოხარული ვართ, რომ თქვენმა დიდებულებამ მართლმადი- დებელ სარწმუნოებას მიაქცია ყურადღება და რაც ამ სარწმუნოების

---

*) ფერდინანდო V და იზაბელამან არაბნი დაამარცხეს და განდევნეს 1492 წ.

წრფელ დაცვას შეეხება, თხოულობთ ჩვენგან და სამოციქულოთ საყდრისაგან, რომელიც არის თავი ყოველთა ქრისტიანეთა. რადგან თქვენის ორატორის ნილოსის პირით მევედრებით, თქვენს დიდებულებას გამოვუგზავნოთ სარწმუნოების შესახებ გარდაწყვეტილება, რომელიც ჩვენის წინამოსაყდრის, ნეტარ ხსენებულის პაპის ევგენიოს მეოთხის დროს იქმნა დადგენილი ფლორენციის კრებაზე და რომელსაც მსოფლიო ეკკლესია თუ ლათინისა და თუ ბერძნისა ეთანხმება, რათა თქვენ და თქვენი სამეფო მისი რწმუნებით ღირსი გახდეთ საუკუნო ცხოვრებისა და აქაც გაიმარჯვოთ სარწმუნოების მტრებზე; რადგან უწყით რომ, მოციქულის თქმულისამებრ, თვინიერ სარწმუნოებისა შეუძლებელია კაცი ღმერთს სათნო ეყოს, ამიტომ აწ ხსენებულის კრების გარდაწყვეტილებას ჩვენს ტყვიით დაბეჭდილ წერილთან ერთად გიგზავნით, მასთანვე გთხოვთ გამოაცხადოთ იგი ყველა თქვენს პროვინციებში და ბრძანოთ მისი დაცვა. ვინაიდგან, როგორც ჭეშმარიტის ძისა მიერ ღვთისა იესო ქრისტესა ყველა შეერთებული ვართ, ეგრეთვე ვიყვნეთ შეერთებულნი, დავიცვათ რა მისი მცნებანი და მოძღვრება, რომელიც თავისი ნაცვლისა და მის მოსაყდრეთა მიერ გამოგვიცხადა. ამიტომ ვსასოებთ, რომ, უკეთუ დაიცავთ ამ ერთობას, მტერთა მანქანებამ ვეღარა გავნოსთ, რადგან გაძლიერებული იქმნებით მის მიერ, რომელიც სძლევს მთავრობათა. ეგრეთვე დიდს მადლობას ვუძღვნით თქვენს ბრწყინვალებას ძღვენთათვის, რომელნიც გამოგვიგზავნეთ და დიდის სიამოვნებით მივიღეთ. მათ ვიხმართ, როდესაც შემთხვევა მოგვეცემა, ვითარცა ვრცლად მოვახსენეთ ჩვენს საყვარელს შვილს ნილოსს. ეგრეთვე სხვა რაც მოგვახსენა, ყველაფრის სიტყვით პასუხი მივეცით. რომით, 1496 წ. 10 ივლისსა, ჩვენის მღვდელთმთავრობის მეოთხე წელსა“. (1)

ამას გარდა არის, ერთი სხვა მოკლე წერილიც, რომელსაც პაპი ფლორენციის კრების გარდაწყვეტილებასთან ერთად უგზავნის კონსტანტინე მეფეს. წიგნში შესანიშნავი არა არის რა, მხოლოდ ეუბნება მეფეს: რადგან მთხოვეთ ეს გარდაწყვეტილება, ჩვენც სიტყვა-სიტყვით ამოვსწერეთ და გიგზავნით. ამასაც იგივე ძალა აქვს, როგორც პირველში დადგენილს ჰქონდაო.

თუ რაოდნათ დიდი მნიშვნელობა ჰქონია კონსტანტინე მეფის წერილს და მის ელჩსა, გვიჩვენებს იმავე პაპის შემდეგი წერილი, რომელიც რომიდგან ნილოს წასვლის დროს მისწერა არა მარტო თავის საბძანებლის მთავრებს, არამედ ევროპის სხვა მთავრებსაც, ვის სამთავროებზედაც კი ნილოს უნდა გაევლო საქართველოდ დაბრუნების დროს. იმ წერილით იგი ყველას სთხოვდა, რათა პატივით მიეღოთ

ნილოს, ვითარცა ელჩი, ყოველგვარი შემწეობა აღმოეჩინათ მისთვის და გზაზე თავისუფლად გაეტარებინათ, ერთიან მოგვყავს ის წერილი:

„პაპი ალექსანდრე VI, ყველთა და თვითეულს და სხ. მშვიდობა და სამოციქულო კურთხევა. ქრისტეს მიერ საყვარელმა ჩვენმა შვილმა კონსტანტინე, ქართველთა სახელოვანმა მეფემ, ვითარცა კათოლიკემ და ყოვლად მორწმუნე ქრისტიანემ, გამოგზავნა თავის ორატორად წმიდა ბასილის წესის მონაზონი საყვარელი შვილი ნილოს, რათა მოუძღვნა ჩვენთვის და სამოციქულო საყდრისათვის თავისი თაყვანის-ცემა და ერთგულება. ეს ხსენებული ორატორი ბრუნდება რა უკან თავის მეფესთან, ვნატრობთ ყოველგან თავისუფალი გზა მიეცეს. ამიტომ გთხოვთ თქვენ და საგანგებოთ ვუბრძანებთ ყველა ჩვენს ქვეშევრდომ კაპიტანთ, ჩვენის ჯარის უფროსთ, ეგრეთვე ეპისკოპოსთ და საკათედრო ეკკლესიის კაპიტულოთა და ყველა წესის მონაზონთა, რათა ნება მისცეთ, ზემოხსენებულმა ძმამ ნილომ ყველა თავისი ბარგით და თანამხლებლებით, შეიძლოს უშიშრად და თავისუფლად წასვლა, მობრუნება, დადგომა, გავლა და ღამით დარჩენა ყველა გზებსა, ნავთსადგურებსა, ხიდებსა და ქვეყნებში, როგორც ჩვენს სამფლობელოში, ისე თქვენსაში და ხარჯი არაფერი გადაახდევინოთ. მსგავსადვე გვევედრებით, რათა, უფლის პატივისათვის, სიყვარულით მოეპყრათ და თუ საჭიროებამ მოითხოვოს, გაატანოთ გზის-მცველნი და თანამხლებელნი. ეგრეთვე გვნებავს, ყველა ძმათა და მონაზონთა მიიღონ ესენი თავიანთ მონასტერში და იზრუნონ ყოველი მათი საჭიროებისათვის ისე, რომ კმაყოფილი დავრჩეთ და ვაქოთ მათი ამაგი. ვუბრძანებთ ყოველს და თვითეულს ჩვენს და წმიდა რომის ეკკლესიის ქვეშევრდომ ძმათა და მონაზონთა, მიუხედავათ ჩვენის ბრძანებისა და აკრძალვისა, მიიღოთ ხსენებული მონაზონი ნილო ყველა თავისი მხლებლებით ჩვენს ქალაქებსა და ქვეყნებში და მოეპყრათ ყოვლადის გულკეთილობით.

„უფრო ხალისით რომ აღასრულოთ ესე ყოველი და მოიჭირნახულოთ თქვენი სულისათვისაც, ამიტომ ღვთის მოწყალებით და ნეტართა პეტრესა და პავლეს უფლებითა, 200 დღის სასჯელს (საკანონს) მივუტევებთ მათ, ვინც მიიღებენ ამათ და აღმოუჩენენ გზაში ყველა ნაირს დახმარებას. ამ წერილს ერთი წლის ვადა აქვს. რომით, 5 ივნისისა, 1496 წ." (1).

ძნელად შევხვდებით, რომ ამისთანა თავის გასაცნობელი ქაღალდი პაპებს სხვა ელჩებისათვის მიეცესთ.

ამ საბუთებით ვასრულებთ ამ საუკუნეს, რომელიც წინა საუკუნეზე უკეთესად გვიჩვენებს ქართველი კათოლიკების რიცხვმრავლობას საქართველოში.

ამ საბუთებს მიუმატოთ ჯრუჭის სვინაქსარიც, რომლის XIII—XV საუკუნეთა აღაპებში მრავალი იტალიური სახელია მოხსენებული. მაგ.: გვილიამ პატერა, ჯირარდ ძმა ჩუჩნი, ასილინა, ჯუან, სირ ჯილბედ, სირ არბერდ, ძმა ტაძრელთა, ჯუან სირ პერკუმანდური ტაძრელთა, ძმა პერ ტაძრელთა და სხ. (1) ეს არა თუ ამტკიცებს ქართველი ბერების და იტალიელების მეგობრობას, არამედ მათ სარწმუნოებრივს ერთობასაც ცხადად გვიჩვენებს. აქიდგან შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ იმ საუკუნებში საქართველო, თუ მუდამ არა, ხშირად შეერთებული ყოფილა დასავლეთის ეკკლესიასთან. ამიტომ მათი ერთმანერთის დაშორება უნდა დავაბრალოთ იმ გარემოებას, რომელიც ხშირად, მათი სურვილის წინააღმდეგ, მათ კავშირს ხელს უშლიდა და აბრკოლებდა.

თ ა ვ ი IV.

ქართველი კათოლიკენი XVI საუკუნეში.

რაც აქამდე ვნახეთ, იმის სრულიად წინააღმდეგ სურათს წარმო-
გვიდგენს XVI საუკუნე. ამ ხანში ველარ ვხედავთ, ველარც მისიონერებს,
ველარც პაპების ხშირ საბუთებს საქართველოს შესახებ და ველარც იმ-
დენ მგზავრს, როგორც უწინ. ამ საუკუნემ საქართველოს დიდი და მრა-
ვალ გვარი უბედურება დაატეხა თავსა, იმავე დროს კათოლიკე სარწ-
მუნოებაც შეფერხდა და თუ ერთიან ბოლო ვერ მოუღო საქართვე-
ლოში, ძრიელ კი დასუსტდა. ყოველი ამის მიზეზი გახდა ოსმალების
გაძლიერება, მათი ხშირად საქართველოზე გამოლაშკრება, მისი აკლება
და გაოხრება, ბოლოსაც მათი აქ გაბატონება.

რა 1478 წ. მოკვდა ოსმალთა შეუპოვარი და დაუძინებელი მტერი,
უზუნ-ჰასან შაჰი სპარსეთისა (ყვარყვარეს და გიორგის წერილებში ხსენე-
ბული ჰასანბეგ), მასთანვე ბოლო მოუღო ვენეციელების იმედს ოსმა-
ლებზე გამარჯვებისას. სანამ შაჰი ცოცხალი იყო, ვენეციელები
კაცს კაცზე უგზავნიდენ და ჰპირდებოდენ ყოველ ნაირ შემწეობას, რა-
თა მუდამ ეომნა ოსმალების წინააღმდეგ. შაჰის სიკვდილის შემდგომ,
სპარსეთში ოსმალნი ველარ ხედვენ მისებრ მამაც მთავარს, რომელიც გამ-
კლავებოდა მათ საშინელ ძალას. თუ ამ გარემოებამ და თუ სხვა ამისმა
მსგავსმა მოვლენამ ოსმალოს მთავრობა ძალზე გააძლიერა, გააქედმალ-
ლა და ხელი შეუწყო, რომ ბატონობა ეპყრა არა თუ მარტო აღმო-
სავლეთში, არამედ თვით ევროპისათვისაც კი ხელი ჩაევლო. სწო-
რეთ XVI საუკუნის განმავლობაში სულთანმან სულეიმან მეორემ
და მისმა მერმინდელმა სულთნებმა, თუ ზღვით და თუ ხმელეთით,
ხშირად იწყეს გალაშკრება ევროპაზე, მთელის დასავლეთის მთავრობა-
ნი შეაძრწუნეს, ევროპას ერთიანად გავერნება, ანუ გამაჰმადიანება დაუ-
პირეს და გადასწყვიტეს რომის წმიდა პეტრეს ეკკლესია ბოსლად გადა-
ექციათ.

სწორედ ამ თავზარ დამცემმა გარემოებამ შეუკრა უწინდელი
თავისუფალი გზა საქართველოსი და სპარსეთისა არა მარტო ევროპის
მისიონერებს და ელჩებს, არამედ თითქმის ყველა მათ ვაჭრებსაც, ოსმა-

ლოს ფაშები თავიანთ საზღვრებზე ძრიელ ფრთხილად იყვნენ, რათა ევროპელები არავინ გამოეშვათ, და თუ ვინმე როგორმე გამოეპარებოდათ, მაშინვე კაცებს გამოადევნებდენ უკან, რათა ან დაეტყვევებინათ, ან მოეკლათ. ამიტომ იმ საუკუნეში ძრიელ ცოტა ევროპელს ვხედავთ აქეთკენ წამოსულს.

იმ საუკუნის კათოლიკების შესახებ მასალა დიდი არაფერი გვაქვს ხელში, რადგან ოსმალებმა იმ დროების პირველ წლებში საქართველოში თავიანთი ხშირი შემოსევით და ბოლოს თავიანთი აქ გაბატონებით ძრიელ დიდად ავნეს კათოლიკობასაც. საქართველოს გზა ერთიან შეუკრეს ევროპის მისიონებს, იმ ზომამდე, რომ მთელის ამ საუკუნის განმავლობაში ვერც ერთ მისიონერს ველარ ვხედავთ საქართველოში. ამის შესახებ შესანიშნავი მოწმობა გვაქვს როტიე მელგიელისა, რომელმაც თავისი მოხსენება წარუდგინა რომის პროპაგანდას საქართველოს ქრისტიანების შესახებ. იგი, სხვათა შორის, ამბობს: „თუ სპარსელები და თუ ოსმალები ხშირ-ხშირად ესეოდენ საქართველოს ჩვენ დრომდე, არხევდენ ქვეყანას და ხოცავდენ ხალხს, ბევრ გზის და დიდის ხნობით დასტოვეს ეს ერი (ქართველი კათოლიკები) მოკლებული თავიანთ მწყემსებს და იმ მცირე რიცხვმა კათოლიკეთა, რომელნიც ლათინის ეკლესიის მორწმუნედ დარჩნენ, სარწმუნოებაში შეურყევლად გასძლეს თავიანთისავე ერის კაცთა წვრთნა-დარიგების მეოხებით; იმათ თავიანთი სარწმუნოება ამნაირი საშუალებით დაიცვეს ზოგჯერ მთელის ერთი საუკუნის განმავლობაში, ისე, რომ თავიანთ კათოლიკე მოძღვართ ერთსაც ვერ ნახავდენ ხოლმე, რომელთაც შესძლებოდათ მათი განმტკიცება სარწმუნოებაში. ...გორში აქვსთ მეთხუთმეტე საუკუნის საბუთები სახლების ნასყიდობისა. *) სხვათა შორის შესანიშნავია ისიც, რომ ტფილისის ქუჩას უწინ ფრანგების ქუჩა რქმევია. იქ დღესაც ვხედავთ ერთის წისქვილის ახლოს ნანგრევებსა, რომელთა შორის მოიპოვება ერთი დიდი ქვა, რაზედაც იქაური მცხოვრებნი სანთლებს ანთებენ და ლოცულობენ, როდესაც მათ აცივ-აცხელებსთ. ამბობენ, რომ იმ ადგილს აშენებული იყო კათოლიკების ეკლესიაო, რომელშიაც იყვნენ გენუელი (ჯენველი) პატრები და რომელიც ოსმალებმა მთლად გაანადგურესო..." (1).

რა შემოვიდენ ოსმალები საქართველოში მართლმადიდებელთ ეკლესიებთან ერთად კათოლიკების ეკლესიებსაც ანგრევდენ და ლათინის მღვდლებს უწყალოდ ხოცავდენ, უფროსი ერთად იმიტომ, რომ ევროპაში ოსმალების უწყალო მოქმედების ამბის წამღები აღარავინ

*) ხსენებული საბუთები დღეს მთლად დაკარგულია.

ყოფილიყო და ქართველებს ქრისტიანობაში გამძლეობაზე შემაგულიანებელი არარავინ ჰყოლოდათ. უფრო ადვილად რომ გაემაჰმადიანებინათ, ამ გვარად კათოლიკენი მთლად უმწყემსოდ დასტოვეს და საქართველოში ფეხი ამოაკვეთინეს ევროპის ყველა მისიონერებს. მისიონების მოსპობას მოწმობს ეგრეთვე პორტუგალიელი სპარსეთში მისიონერად ნამყოფი ანტონიო გოვეა. (2)

ოსმალების ამ ნაირმა უწყალო მოქმედებამ მაინც ვერ აღმოფხვრა ქართველთ ერისა და მთავრების გულში ქრისტიანების სიყვარული, კათოლიკობისადმი მიდრეკილებამ და რომის ეკლესიის მიმართ ერთგულება. ამას საკმაოდ გვიმტკიცებს შემდეგი სამი საბუთი, რომელიც მოგვეპოვება ამ საუკუნის შესახებ.

პირველი საბუთი პაპის პავლე მესამის წერილია, გაგზავნილი ლუარსაბ საქართველოს მეფესთან და მეორე მეფეებთან.

„პავლე მესამე. ქრისტეს მიერ ჩვენს საყვარელს შვილს ლუარსაბს, ქართველთ ქალაქებისა და სამეფოს ბრწყინვალე მეფეს. მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა. ბევრი სარწმუნო მოხსენებიდგან შევიტყეთ, რომ თუმცა ძლიერ შორსა ხართ, მაგრამ რომის ეკლესიას სიყვარულით პატივს სცემთ და გულმხურვალედ აღიარებთ მას ყველა ეკლესიების თავად; ეგრეთვე ქრისტეს ნაცვლად და მოციქულთა მთავრის წმიდა პეტრეს მოსაყდრედ გვცნობთ თუ ჩვენ და თუ რომის ეკლესიის სხვა ჩვენ წინამოსაყდრე მწყემსებს. მსგავსადვე თქვენისა ესევე სწამსთ ქრისტეს მიერ საყვარელ შვილთ თქვენ მეზობლებს პანკრატ ქოქათიისას (ბაგრატ ქუთაისის მეფე), ლეონ ძაგამისას (ავ-გიორგისძე, ლევან კახეთის მეფე) და გორგორა ხელციხელს (ყვარყვარე ახალციხელი) ქართველთა ქალაქთა და სამეფოთა ბრწყინვალე მეფეთა. ეს რომ ვსცანით დიდათ განვიხარეთ უფლისადმი და მის უზენაესობას მადლობა შევსწირეთ, რომ წმიდა ემბაზში განათლებულის ქრისტეს სარწმუნოების აღსარებაში ეგოდენ ხნიდგან მტკიცედ დაუცვლელხართ და კვალად გიცავსთ თქვენ ორთა უძლიერეს მეფეთ, ვითარცა ქრისტეს სარწმუნოების უძლიერეს გმირთა ეგოდენ ურწმუნოთა შორის, რომლებისაგანაც ყველა მხრით გარემოცული ხართ, უწყოდეთ, ფრიად საყვარელნო შვილნო, რომ თვით იმავე მეფეთა მეუფემ და უფალთა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, რომელმაც მოგანიჭათ ეგ სამთავრონი, სწორეთ მანვე ჩააწვეთა თქვენს გულში ამ სარწმუნოების ნათელი, რათა გეცნათ წმიდა პეტრესი და რომის ეკლესიის უპირატესობა. რადგან თვით მან, რომელ არს მღვდელი უკუნისამდე წესსა ზედა მელქისედეკისა, რომელსაც მისცა მამამან ხელთა მისთა ყოველი და დაუქვემდებარა ფერხთა მისთა ცა და ქვეყანა, თვით მან დაადგინა ნათესავთა და მთავართა ზედა რომის ეკ-

კლესიის და სამოციქულო საყდრის უმწვერვალესი მღვდელთ-მთავარი, რომელიც განაწესა თავის მონაცვლედ წმიდა პეტრეს მიერ, რათა აღმოფხვრას, დაამხოს, განაბნიოს და გაჰფანტოს ყველა, რაც კი იმავე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს წმიდა სარწმუნოების წინააღმდეგია და ასე, თუ ისე ავნებს მისსავე მორწმუნეთა საუკუნო ცხოვრებას; ეგრეთვე მოსცა მას, რათა აღაშენოს და დანერგოს ყოველი, რაც კი ადამის შვილთა ცხონებას შეეხება და უფლისავე ჩაგონებით შეუერთოს მის სამწყსოს თავისის პატიოსანის სისხლით დახსნილი ის ცხოვარნიც, რომელთაც ამ უმწვერვალესის მწყემსის მზრუნველობა მოაკლდათ უფრო ადგილის სიშორის გამო, ვიდრე მათი გულგრილობის მიზეზით. ქრისტეს ამ ერთად ერთ სამწყსოში ვნატრობთ თუ თქვენს და სხვათა ქართველთ მეფეების შემოსვლას თუ თქვენისა და თუ მათისა და მთელის თქვენი ერის სულის საცხონებლად. ამიტომ, რაოდნათაც კი ძალგვიძს, უფლისა მიერ შეგაგულიანებთ, რათა, როგორათაც ერთი ღმერთია და ერთი ნათლისღება, ესრედვე ჩვენი ყველას სარწმუნოება ერთი იყოს ქრისტეს სამწყსოსა და წმიდა დედა კათოლიკე ეკკლესიის ერთობაში, რათა ჩვენის შემწეობით ადვილათ ეწიოთ ამ ბედნიერებას. როგორც შვენის კეთილ მამასა და მწყემსსა, ღმერთს დიდს მადლობას ვწირავთ ამ შემთხვევის მოცემისათვის, რომ ჩვენის წერილით ყველას გამოგიცხადოთ ჩვენი მამობრივი სიყვარული ჩვენთა საყვარელთა დომინიკესა და ბაპტისტის გულ მხურვალე ქვეშევრდომობის საშუალებით, რომელ არიან წმიდა დომინიკეს წესისა დიდი სომხეთის ქალაქ ნახჩევნიდგან. როგორც შევიტყეთ, ბაპტისტა თქვენი ბრწყინვალების ნაცნობი და საყვარელი მეგობარი ყოფილა, როგორც მისივე წესის სხვა მამებიც, რომლებიც თქვენს სამფლობელო ქალაქში ღვთის მსახურებას ასრულებენ. რა ბრუნდებოდენ თავიანთ სამშობლოში ვუბრძანეთ, მოგართვან ჩვენი წერილი და მასთანვე ჩვენი მოციქულებრივი კურთხევაც, რომელსაც, მინდობილნი ყოვლის მპყრობელ ღმერთსა და წმიდათა მოციქულთა პეტრესა და პავლეს შეძლებაზე, განიჭებთ თქვენ, სხვა ქართველთ მეფეთა და მთელს თქვენს ერს. ამავე წერილით უფლისა მიერ შევაგულიანებთ თქვენს ხელმწიფებას და ვთხოვთ, რათა შვილებრივის გულმოდგინებით მიიღოთ ჩვენი კეთილი სურვილი და ჩვენი სასარგებლო ჩაგონება; ეგრეთვე, რათა გულკეთილად უსმინოთ დომინიკეს და ბაპტისტას და მიიღოთ სარწმუნოდ ყველა მათი სიტყვა თქვენისა და თქვენი ერის საუკუნო ცხოვრებისათვის. დასასრულ, როგორათაც იქცევიან სხვა ქრისტიანე მეფე და მთავრები, ეგრეთვე თქვენც იმავე სულთა ცხონებისა და წმიდა პეტრეს პატივისათვის წარმოგზავნეთ ჩვენთან თქვენი ორატორები (ელჩები), რომლების

საშუალებითაც თუ თქვენი თავი დ̃ა თუ მთელი თქვენი ერი რომის წმიდა მსოფლიო ეკკლესიას და მის მწყემსს მოუძღვენით გულ მხურვალებით და მის შვილებად გამოცხადდით. ამავე ნაირად შეაგულიანეთ ზემოხსენებული თქვენი მეზობელი, სამი დანარჩენი ქართველთა მეფენიც, რათა მათაც თქვენ ორატორებთან ერთად გამოგზავნონ თავიანთი ორატორებიც, მათი საშუალებით მიუძღვნან თავიანთი მორჩილება რომის მსოფლიო ეკკლესიას და ჩვენ, მის მწყემსსა. უკეთუ თქვენც საჭიროდ დაინახოთ, სხვა მეფეთაც გაუგზავნეთ ამ წერილის თითო პირი. თქვენს ორატორებს მამობრივის გულკეთილობით მივიღებთ ჩვენის მხრითაც. შემდგომ ღვთის შეწევნით წარმოგივლენთ ჩვენს ნუნციებსაც (ელჩებს), რომელთა საშუალებითაც მიიღებთ ყველა საჭირო სწავლას, რათა უშიშრად საუკუნო ცხოვრების გზით მოიპოვოთ ზეციერი სასუფეველი, რაისგამო თქვენის ნატვრისა მებრ, განიჭებთ უფლისამიერ ნიჭთა, განსაკუთრებულ წყალობათა და სულიერ ძღვენთა, რაოდენის შეძენაც კი შეგიძლიათ უფლის შემწეობით, რათა უფრო გაგიადვილდესთ სულის ცხონება და შემდგომ დაიმკვიდროთ ზეციერი სუფევა, რომლის ღირსიც გყოსთ საუკუნოდ კურთხეულმა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან. რომით, 1545 წ. ივნისის 17, მღვდელმთავრობის მეთერთმეტე წელსა.“ (1).

როგორც სჩანს, დომინიკე და ბაპტისტა ლუარსაბ მეფეს განგებ გაუგზავნია პაპთან, ან თუ განგებ არ გაუგზავნია, წერილი გაუტანებია მათთვის, ანუ პირად დაუბარებია პაპთან, რომელიც პასუხს აძლევს, რადგან პაპი წერილში ამბობს: „თქვენი სურვილისამებრო“.

წერილი, სხვათაშორის, იმითიც არის ყურადსაღები, რომ პირველად გვესმის საქართველოში სომეხ-უნითორის ბერების სახელი. ზემო სამს თავში ვნახეთ, რომ 1230 მოკიდებული ვიდრე 1500 წ. უკლებლივ იყვნენ ევროპელი დომინიკიანების და ფრანჩისკიანების წესის მისიონერები და მათისავე გვარის ეპისკოპოსები. ზემოდ განხილულ სამ საუკუნეთა განმავლობაში ვერც ერთი კვალი, ან ნიშანი ვერ ვპოვეთ საქართველოში სომეხ-უნითორის ბერების ყოფისა ევროპელებთან ერთად, ანუ ცალკე აქაურის ერის გასაკათოლიკებლად. ხოლო აწ თუ ვხედავთ ამათ საქართველოში, ესეც საკმაოდ ამტკიცებს იმას, რაც ამის ზემოდ ვთქვით, ესე იგი იმას, რომ ოსმალების გაძლიერებამ და ულმრთოებამ ისე ერთიან მოუსპო გზა და ყოველგვარი მისვლა-მოსვლა XVI საუკუნეში ევროპელ მისიონერებს საქართველოსთან, რომ მათგან ერთსაც ველარ ვხედავთ აქ, რაისგამო შემთხვევა და მიზეზი მისცემიათ სომეხ-უნითორ ბერებს საქართველოში შემოსულიყვნენ და მათი ადგილი დაეჭირათ.

სამწუხაროდ არ ვიცით, თუ ეს უნითორები ნახჩევნიდგან XVI საუკუნის რომელს წელს შემოსულან საქართველოში. ხოლო ადვილად საფიქრებელია, რომ ისინი მოეწვიათ საქართველოს კათოლიკებს მაშინვე, როდესაც შემოაკლდათ ევროპელი მისიონერები, ან და, შეიძლება, ისიც იყოს, რომ ევროპელმა დომინიკიანებმა როდესაც საქართველოს შემოსვლა ვეღარ შეიძლეს, მათ მიანდეს თავიანთი ერის, საქართველოს კათოლიკების, დროებით მოვლა-პატრონობა. ჩვენ მათ არხივებში ამის შესახებ არა ვითარი საბუთი შეგვხვედრია.

როგორც სჩანს, ლუარსაბ მეფეს პაპთან, თავის თხოვნისა მებრ, ორატორი (ელჩი) გაუგზავნია, რადგან წერილის გაგზავნის ერთის წლის შემდგომ, პაპი საქართველოს მეფეებთან თავის ნუნციოს ჰგზავნის. ხსენებულს წერილში პაპი მეფეს უთვლიდა „როდესაც თქვენი ორატორები მოვლენ, მაშინ ჩვენს ნუნციოსაც გამოვიგზავნითო.“ თუმცა საქართველოდგან წასულის ორატორებისა არავითარი საბუთი გვაქვს, მაგრამ პაპის ნუნციოს გაგზავნა, ვგონებთ, საკმაოდ დამამტკიცებელია მისი, რომ ორატორებიც ყოფილან გაგზავნილი.

პაპის ნუნციო არის ნახჩევნის არქიეპისკოპოსი სტეფანე. საზოგადოდ ხმარებული წესია, რომ პაპი, როგორც უწინ, ისე ახლა, ყველგან თავის ნუნციოდ ჰგზავნის მუდამ ევროპელს და უფროსი ერთად თავისტომისას, იტალიელს. აი ეს გარემოებაც გვიმტკიცებს, რომ იმ დროს საქართველოში ევროპელის შემოსვლა ძრიელ ძნელი ყოფილა. ამიტომ პაპი თავის ნუნციოდ სომეხს ჰგზავნის და არა იტალიელს. ესეც უნდა შევნიშნოთ, რომ სომხებს ევროპაში მისვლა-მოსვლისათვის, ოსმალების მხრით, არაფერი აბრკოლებდა, ამიტომ ზოგჯერ თვით იტალიელი ვაჭრებიც სომხის სახელით და ტანისამოსით მგზავრობდენ აქეთკენ.

მოგვყავს პაპის წერილი ხსენებულის ნუნციოს დანიშვნის შესახებ:

„პაპი პავლე მესამე. პატივცემულს ძმას სტეფანეს ნახჩევნის არქიეპისკოპოსს, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა... აწ, ვითარცა, თუ თქვენი და თუ სხვა სარწმუნო მოხსენებიდგან ვსცანით, რომ ქრისტესმიერ ჩვენი საყვარელი შვილი ლუარსაბ, ბაგრატ ქუთათელი, ლევან ძანგამელი და ყვარყვარე ახალციხელი *) ქართველთა სამთავროთა ბრწყინვალე მეფენი, სულიწმიდის მადლის ჩაგონებით, აღიარებენ ყველა ეკკლესიების თავად რომის წმიდა ეკკლესიას და ჩვენც და ყველა ჩვენს წინა მოსაყდრეთ რომის მღვდელმთავრებს გულმხურვალებით და

*) არ ვუწყით, თუ რათ არის აქ ყვარყვარე ხსენებული, რადგან ამ დროს ის ცოცხალი აღარ იყო, მისი შვილი ქაიხოსრო მთავრობდა. ჰგავს პაპს ეს მოხსენება მას სიკვდილამდე მისვლია.

პატივით ცემით გვრაცხევთ იესო ქრისტეს მონაცვლედ და მოციქულთა მთავრის წმიდა პეტრეს მოსაყდრედ; გულით მოწადინებულნი არიან მართლად თავისის ერითურთ მიიღონ წმიდა კათოლიკე სარწმუნოება რომის ეკკლესიის დოგმატების თანახმად, როგორათაც თუ თქვენის ქადაგებით და თუ სხვა დომინიკიანების წესის ძმათა ქადაგებით და ღვთის შემწეობით მოგიმზადებიათ ამისათვის. ეგრეთვე თავიანთის გარდაწყვეტილების დასამტკიცებლად, ქრისტეს სარწმუნოების აღსარებისა და მისი ამაღლების ნიშნად, თავიანთ სამეფოებში დაუწყვიათ ეკკლესიების და მონასტრების აშენება ღვთის სახელის საქებ-სადიდებლად. იმ ხამთავროებში რომ გაიგზავნებოდენ, იმისთანა პირნი, რომელთაც შეეძლოსთ სიყვარულის და კათოლიკე სარწმუნოების შთანერგვა მეფეთა და ერთა გულში და მოფენა სახარების მოძღვრებისა, უეჭველად და დიდის სიადვილით შეუერთდებოდენ ისინი რომის ეკკლესიას და მოიღებდენ უხვად სულიერს ნაყოფს, რაიცა შეიქმნება დიდათ სანუგეშო სხვა ქრისტიანე მორწმუნეთათვის. ვინაიდგან დიდათ მონატრე ვართ უფლის აგარაკის გამშვენებისა და ყოველ მხრივ მისთა ცხოვართა გამრავლებისა და გვნებავს იმ მეფეთა და ერთა კეთილის წადილის აღსრულება და შეწევნა, ეგრეთვე პატივით და ნიჭით დაჯილდოება თქვენიც, ამიტომ ჩვენის სრულის ნებით და არა თქვენის, ანუ სხვების თხოვნით, ჩვენის გულ მოწყალებით გნიშნავთ თქვენ, იმავე წესის მონაზონს, ჩვენს და სამოციქულო საყდრის ნუნციოდ და ორატორად და გგზავნით ხსენებულ მეფეებთან და მათ თვითეულს სამთავროსა და სამფლობელოში; ეგრეთვე ამ წერილის ძალით განიჭებთ იმ ყველა პრივილეგიათა და სიმართლეთა, რომელნიც კანონის მიერ, ანუ ჩვეულებით აქვთ და ექმნებათ მომავალში ყველა ჩვენსა და სამოციქულო საყდრის ნუნციებს და ორატორებს, ვიდრე ჩვენი და ამ სამოციქულო საყდრის სურვილია.... რომით, 1546 წ. იანისის 30, მღვდელთ-მთავრობის მეთორმეტე წელსა." (1).

რადგანაც იმ დროის ყველა საბუთები ხელში არა გვაქვს, არ ვიცით, თუ რა მოხდა ხსენებული სტეფანე ნახჩევნელის არქიეპისკოპოსის საქართველოდ დაბრუნების შემდგომ. ხოლო ის კი შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ საუკუნეში სომეხ-უნითორი ბერების მისიონი საქართველოში დიდხანს არ გაგრძელებულა, ისევ მალე, იმავე საუკუნეში დამცხრალა, რადგან მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში და შაჰ-აბაზის მიერ საქართველოს აოხრების წინ მათი აღარაფერი კვალი სჩანს: 1613 წ. და 1616 წ. საქართველოში მოვიდენ ევროპიიდგან ლათინის პატრები პატრი გვილელმო პორტუგალელი, პატრი ივანე თადეოზი კარმელიტანი და პატრი პავლე მარია ფაიანცელი, მაგრამ ვერავითარი კვალი ჰპოვეს

სომეხ-უნითორების მისიონისა, თუმცა ამ დროს სომხის ბერები საკმაოდ ბლომად იყვნენ ნახჩევანში. თუ ეს და თუ სხვა გარემოებანი გვიჩვენებენ, რომ სომხის ბერების მისიონი საქართველოში შემთხვევითად მარტო იმ დროს ყოფილა, როდესაც ევროპელები ვეღარ მოდიოდენ აქ. ამის გამო ისევ მალე მოსპობილა ევროპელთა მოსვლამდე.

ის კი ცხადია, რომ, როგორც კათოლიკე მისიონი ამ საუკუნის დამლევს მისუსტდა და ერთიანად შესწყდა, ისე არ მისუსტებულა და არც შეწყვეტილა საქართველოს მეფეების მიდრეკილება და ერთგულება რომის ეკკლესიისადმი, არამედ მუდამ და შეუწყვეტლივ გაგრძელებულა. ამას ნათლად გვიჩვენებს მეფის სიმონ პირველის მიერ პაპთან მიწერილი წიგნი, რომელიც ერთ ძველ მწერალს ისტორიაში ჩაურთავს ლათინურად და ამნაირად საუკუნო დალუპვისაკან გადურჩენია, რადგან მისი ნამდვილი პირი არხივებში აღარ მოიპოება. ამიტომ ჩვენც სრულიად მოვიყვანთ აქ სიმონის წერილს.

„სიმონ, წყალობითა ღვთისათა, ქართველთა მეფე სრულიად ივერიისა და აღმოსავლეთისა. ყოვლად მაღალს, დიდად ბედნიერს, ყოვლად წმიდა და ნეტარს ჩვენს ბატონს, ჩვენს წმიდა მამას პაპსა, რომელიც ხართ ოქროს ნაღარა დიდის რომისა, ღვთის მიერ ჩაგონებულო ორღანო, პეტრეო მსაჯულო და ზეცის სუფევის კლიტეთა მქონებელო, პავლეო ნათესავთა მოძღვარო, რომელიც ამაღლდა მესამე ცამდე და მოისმინა კაცთაგან გამოუთქმელი სიტყვანი; მქადაგო ყოვლისა ქვეყნისა, მნათობო ეკკლესიათა, საცა იპოებიან საფლავნი და წმიდა ნაწილნი მოციქულთანი; მფლობელო კათოლიკე ეკკლესიისა, მმართველო დიდისა და განთქმულის რომისა, მზეო მთელის დასავლეთის მანათობელო, უდიდესო მთავარო, რომის პაპო, ვითარცა სილიბისტრე, წინასწარმეტყველო მეფეთა, ბატონო მფლობელო, სულიერო მამაო, უწმიდესო პაპო, დაბლად მუხლ მოდრეკილი ვეამბორებით თქვენს წმიდა მარჯვენასა. კურთხეულ იყოს მამა ღმერთი, ძე და სული წმიდა ყოვლად წმიდა უბიწო ღვთისმშობილისათანა. მივიღეთ თქვენი უწმიდესი და პატიოსანი წერილი, რომელიც მოგვიტანა ეჩმიაწინელმა ტერ იაკობმა, დიდის სკვიტის პროკურატორმა. რადგან მისი წაკითხვა არ შეგვეძლო, მანვე პირად მოგვითხრა, რაიც დიდათ სათნო გვეყო. განუზომელად განვიხარეთ თქვენის უპატიოსნესობისა და წმიდა მეუფების გამო, რომ ხართ მეფეთა სამკაული, გამარჯვება და დიდება; რაის გამო დიდათ გულნებიერი მადლობა შევსწირეთ ყოვლის მპყრობელ ღმერთსა, დედოფალსა ჩვენსა ღვთის მშობელსა ქალწულს მარიამსა და ცხოველმყოფელსა ჯვარსა. ინებოს და მოგვანიჭოს ყოვლად ძლიერმა ღმერთმა ჩვენ და ყოველ ქრისტიანეთა უდიდესი ძლიერება და მრავალი გა-

მარჯვება უსჯულო აგარიანთა ზედა; ეგრეთვე თუ ჩვენ და თუ ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანეთ აღგვიმატოს იმედი, ნუგეშინისცემა და დიდება და არცხვინოს იგინი, რომელნიც არ აღიარებენ ჭეშმარიტ სარწმუნოებასა. ვევედრებით ყოვლად სახიერ ღმერთსა, დაიცვას თქვენი უწმინდესობის დიდი საზრძანებელი და თქვენის წმიდა ლოცვით ჩვენც გვიხსნას მტერთა უსამართლობისაგან.

„ეგრეთვე ვაუწყებ თქვენს სიწმიდესა, რომ ნეტარმა მამა ჩემმა, წმიდა მეფე ლუარსაბმა, როგორც შეიტყობდა თქვენი სიწმიდეცა, სარწმუნოებისათვის გვირგვინი მიიღო ღვთისაგან, ვინაიდგან იესო ქრისტეს სიყვარულის გამო მოიკლა ბრძოლაში უსჯულოთა აგარიანთაგან; მან ირჩია თავისი სისხლის დაღვრა და წამება, ვიდრე მათი ბოროტი ნების ასრულება. ამის შემდგომ, ღვთის შეწევნით, ჩვენ მივიღეთ ტახტი ჩვენის მამისა და მას აქეთ დღე და ღამე არ მოგვისვენია არაოდეს ომისაგან თვით ავდრებშიაც კი. რა ბრძოლა, შეწუხება და გაჭირვება არ გამოვიარეთ ქრისტეს სიყვარულისათვის; დავწყლულდით ომში, ტყვედ დაგვიჭირეს სპარსელებმა და ჩაგვაგდეს საპყრობილეში. გარნა ღვთის ნებით და შემწეობით, ეგრეთვე თქვენის ლოცვითა, გავთავისუფლდით ტყვეობისაგან და კვალად აღვედით ჩვენს ტახტზე და ხელახლავ დავიწყეთ ომი; მრავალ გზის შევებით ოთმანებს. ვგონებთ, თქვენც შეიტყობდით, რაოდენი შეწუხება და ტანჯვა გამოვიარეთ? მაგრამ მაინც გული არ გავიტეხეთ. ჩემ თავს გავსწირავ ერთიანად და ეგრეთვე ჩემს ქორფა შვილსაც; დავღვრი ჩემს სისხლსა ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე ჯვარცმულის იესო ქრისტეს და ღვთის სიყვარულისათვის; ვიდრე პირში სული მიდგია, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინაღადეგ ომზე და არაოდეს უქმად ვყოფ იმ დაუფასებელ სისხლსა, რომელიც იესო ქრისტემ დაღვარა ჩემთვის. აწ, ყოვლად უწმიდესო ბატონო, რადგან ყველა ქრისტიანების თავი ხართ და ყველაფერი თქვენს ხელშია, მოეცით ძალა და შეწევნა ქრისტიანეთა ერთა და დაიხსენით; ღმერთი სამაგიეროდ მოგაგებსთ ზეციერ სასუფეველსა. ვიდრე ცოცხალ ვართ, ღვთის შეწევნით და თქვენის წმიდა ლოცვის ძალით, არაოდეს აღვასრულებთ აგარიანთ ნებას. მაგრამ არ ვიცით მომავალში რა მოგველის და რა იქმნება. ამიტომ ვშიშობთ, სახიერება სირეგვნედ არ გარდაიქცეს და უსჯულოებაში არ ჩავცვივდეთ. ამიტომ მოვახსენებ თქვენს უწმიდესობას, შეეწიეთ, უყავთ წყალობა ქრისტიანებს და დაიხსენით უსჯულოთა ხელთაგან. გევედრები და გთხოვ, თქვენს წმიდა ლოცვებში ნურასდროს დაგვივიწყებთ. ეგრეთვე ნუ დაივიწყებთ ჩვენთან მოწერას, რათა ვიცოდეთ თქვენი და თქვენის კეთილის ქრისტიანე ერის კარგი ამბავი. ჩვენი გულის ყველა ნატვრას მღვდელი ტერ

იაკობ მოახსენებს თქვენს სიწმიდესა. თქვენი წმიდა ლოცვა იყოს მარადის ჩვენთან. სულით და გულით თქვენი მეგობარი. ამინ. წელსა 7104, ქრისტეს აქეთ 1546, 9 ინდიქტიონსა". (1)

რადგან სიმონ მეფის მიწერ-მოწერის შესახებ სხვა ცნობები არა გვაქვს, ამიტომ არ ვიცით, თუ ვინ არის აქ დასახელებული ტერ იაკობ. ჩვენის აზრით, იგი არ უნდა იყოს სომეხ-უნითორების ბერი, რადგან მისი სახელი, ადგილი და ტიტული საკმაოდ ასხვავებს მას უნითორებისგან. ტერ იაკობის მიერ სიმონ მეფესთან მიტანილი პაპის წიგნი ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. ეტყობა, ისიც საუკუნოდ დაღუპულა ჩვენთვის.

ამ წერილის თარიღი უეჭველია, შეშლილია: ჰგავს გადამთარგმნელს გადამბეჭდველს სწორედ ვერ გადუღია. თვით წერილიდგანვე მტკიცდება, რომ წერილი გაგზავნილია სიმონის გამეფების და მისი სპარსეთის ტყვეობიდგან დაბრუნების შემდგომ და ოსმალების მიერ მისი დატყვევების წინეთ; ამიტომ, ჩვენის აზრით, უნდა იყოს მიწერილი 1504—1596 წლებში.

ეს წერილი საკმაოდ გვიჩვენებს სიმონ მეფის კათოლიკობას, რადგან ასეთი გრძნობით, პატივით, სიყვარულით და სარწმუნოებით სავსე წერილს, ვგონებთ, თვით დასავლეთის კათოლიკე მეფეებიც ძნელად მისწერდნენ პაპს. ეგრეთვე წერილიც ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენი ერთგული კავშირი და ხშირი მიწერ-მოწერა ყოფილა გამართული პაპსა და საქართველოს მთავრებს შუა.

ამ თავით ვასრულებთ ქართველი კათოლიკების ძველ დროს, რომელსაც შეადგენს ოთხი საუკუნე, დაწყებული 1224-დან ვიდრე 1600-დე. აზრად გვქონდა წარმოგვედგინა უტყუარი საბუთები წინააღმდეგ იმ აზრისა, რომელიც გავრცელდა საქართველოში და რომელიც უარს ჰყოფს ქართველი კათოლიკების არსებობას. ამნაირი აზრის წინააღმდეგ, ჭეშმარიტების აღსადგენად, არა გამოვუდექით უბრალო, უსაფუძვლო ლაპარაკს და ზღაპრული ისტორიების მოთხრობას, არამედ მოვიყვანეთ არხივებიდგან გამოკრებილი უტყუარი საბუთები, რომელთა გასაცრუებლად ცდა ჭეშმარიტების უარის ყოფა იქმნება.

შემდეგ თავებშიაც ვეცდებით მოვიყვანოთ ეგრეთი საფუძვლიანი საბუთები, როგორც მოითხოვს ესეთის უარყოფილის ჭეშმარიტების აღდგენა.

ვგონებთ, უადგილო არ იყოს, აქ მოვიყვანოთ ის შესანიშნავი სტატია, რომელიც 1899 წ. „პეტერბურგის უწყებაში" დაბეჭდა ჩვენმა ნიჭიერმა და დაუღალავმა პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა,

წერილი რადგან ვრცელია, მარტო მის უმთავრეს აზრებს მოკლედ მო-
ვიყვანთ აქ.

„20 წელიწადი იქნება, სწერს პატივცემული პროფესორი, რაც
ქართველთ კათოლიკების კითხვას შეეხნენ და ძლიერ აჩქარებულად
და უსაფუძვლოდ გადასწყვიტეს, რომ კათოლიკები, რომლებსაც ენა
და სახელი ქართული აქვსთ, ეკუთვნიან სომხის გვარს და არა ქართვე-
ლობის ჩამომავლობას. ამნაირმა ბიუროკრატულმა გარდაწყვეტილებამ
არავინ დააკმაყოფილა, არამედ უფრო აღაშფოთა ქართველნი კათოლი-
კები და თვით მართლმადიდებელი ქართველებიც, რომლებსაც შორეუ-
ლი ნათესაობით ერთი და იგივე სახელი და გვარი აქვსთ. მართლადაც
შეუძლებელია, რომ სომხად შეირაცხოს, მაგალითად, ახალციხელი
კათოლიკე გვარამაძე, როდესაც მისი გვარი ნამდვილი ქართულია და
მისი გვარის კაცნი ერთიან მართლმადიდებელ ქართველებს ეკუთვნიან.
შეუძლებელია, სარწმუნოების გამოცვლამ კაცს თავისი ეროვნული
ჩამომავლობა დააკარგვინოს. უკეთუ არიან იმისთანა კათოლიკენი, რომ-
ლების ჩამომავლობა, ენა, გვარი და სახელი ნამდვილი ქართულია და
ეგრეთვე აქვსთ ნათესაობა მართლმადიდებელ ქართველებთან, მაშინ მის
გამორკვევას უნდა ვეცადოთ ისტორიული ფაქტებით და არა სხვა რამე
მოსაზრებით.

„საქართველოში მუდამ თავისუფლება იყო სხვა და სხვა სარწმუ-
ნოების აღსარებისა: მთავრობა არა თუ უშლიდა, არამედ განურ-
ჩევლად ყველას მფარველობდა და შემწეობას აძლევდა. ეს იყო მიზეზი,
რომ სომეხ-გრიგორიანებმა მართლმადიდებელ ქართველებში გაავრცელეს
თავიანთი სარწმუნოება, რაოდნათაც კი შეეძლოთ. XIII საუკუ-
ნეში პირველად მოვიდნენ მისიონერები, სწორედ იმ დროს, რო-
დესაც მუღალთაგან აოხრებული საქართველო ორ სამეფოდ გაიყო.
სამცხე-საათაბაგოში მოაქციეს კათოლიკობაზე მართლმადიდებელი
ქართველები. ამის ხელი შეუწყო საქართველოს დაუძლურებამ და მისმა
ორად გაყოფამ. შემდეგში პაპებმაც აღმოუჩინეს მისიონერებს მფარვე-
ლობა და შემწეობა ქართველებში კათოლიკობის გასავრცელებლად.
პაპმაც ნება მისცა ერს, რომ ქართულად შეესრულებინათ წირვა-ლოცვა.
XIII საუკუნიდგან იწყება ქართველი კათოლიკების ეკლესიის დაფუძნე-
ბა. ეს ის დრო იყო, როცა პაპის წინადადებით, რუსუდან დედოფალმა
და ივანე ათაბაგმა მოინდომეს ჯვაროსნობაში მონაწილეობის მიღება.
იმავე დროიდგან დაიწყეს მისიონერებმა ხშირ-ხშირად მოსვლა საქართვე-
ლოში. ახალციხისა და მის გარეშე სოფლების ქართველმა კათოლიკებმა
მტკიცედ დაიცვეს თავიანთი სარწმუნოება და დასავლეთის შემწეობით
არ მიიღეს მაჰმადიანობა, რომელსაც ოსმალები ავრცელებდნენ მართლ-

მადიდებელთა შორის. ჯვაროსნობის შემდგომ გავრცელებული კათოლიკობა სამცხე-საათაბაგოში მისიონერებმა მტკიცედ დაიცვეინეს და ოსმალოს მთავრობისაგან მოიპოვეს ის პრივილეგია, რომ არც ერთი გაკათოლიკებულისთვის ძალა არავის დაეტანებინა მაჰმადის სარწმუნოების მისაღებად. პაპის ძრიელის მფარველობით ალმოსავლეთში კათოლიკობა შეიქმნა ქრისტიანების მტკიცე შესახიზნარი; ისინიც თავისუფლად იქცეოდენ კათოლიკედ, რათა დევნულება თავიდგან აეცილებინათ. ქართველმა კათოლიკებმაც თავიანთ თავს ფრანგები უწოდეს და ესრედ გააერთეს სარწმუნოება და ერობა. მისიონერები კონსტანტინეპოლიდგან მოდიოდენ მესხეთს და იქიდგან გადადიოდენ ტფილისს, სადაც XIV საუკ. ივანე XXII პაპმა დანიშნა ივანე მონაზონი ეპისკოპოსად ქართველი კათოლიკებისათვის. მაშინდელი აშენებული ეკკლესია XVII საუკუნემდე კიდევ არსებობდა.

„XVIII საუკუნიდგან მისიონერები ძრიელ შეეჩვივნენ ერსა და თვით ქართველთ მეფეების ტახტსაც დაუახლოვდენ. დიდი გავლენა იქონიეს საბა-სულხან ორბელიანსა და კათალიკოს ანტონ პირველზე, რისგამო დევნულება აუტეხა თეიმურაზ მეორემ და განდევნა კაფუცინები. ხოლო ხორველობის გამო, 1758 წ. ერეკლე მეორემ ახალციხიდგან მოიწვია ტფილისს მისიონერები საექიმოდ და აღუთქვა ყოველნაირი შემწეობა და მფარველობა. იმავე დროს სპარსეთში მყოფი გამაჰმადიანებული თავად-აზნაურები, მაგალითად ბარათაშვილები, ორბელიანები, ერისთავები, ჩხეიძეები, ჯაყელები და სხ. მოიქცნენ კათოლიკობაზე. ამ ნაირად სპარსეთისა და ოსმალეთის ქვეშე მყოფ ქართველებში გავრცელდა კათოლიკობა. მისიონერები შეუდგნენ ქართული ენის შესწავლას თვით რომაშივე, სადაც დააარსეს ქართული სტამბა, და ჰბეჭდეს ქართულად ლათინურიდგან ნათარგმნი წიგნები. წიგნების თარგმნით სახელი განითქვა გორელმა ტულუკაანთ დავით ქართველმა.

„ვატიკანის საბუთების თანხმად კოსტანტინეპოლში მყოფმა ქართველმა კათოლიკებმა გამოიტანეს პაპისგან ნება ქართულს ენაზე წირვა-ლოცვის შესრულებისა, ხოლო ახალციხის კათოლიკების შფოთი იმითი დაბოლოვდა, რომ ქართველი კათოლიკები აღიარეს სომხის ერის ჩამომავლობად და მოუსპეს ეკკლესიაში ქართულს ენაზე ქადაგება და ლოცვები. ამ ნაირად ათასობით ქართველ კათოლიკებს წაართვეს საშუალება თავიანთ ენაზედ ღვთის დიდებისა და ვედრებისა. თუმცა ოსმალებმა ქართველი კათოლიკების გასომხება ვერ შეიძლეს ახალციხეში, მაგრამ ადვილათ მოახერხეს ართვინში, რომლის მცხოვრებნი შესდგებიან გრიგორიანი სომხების და კათოლიკე სომხებისგან. ეს კათოლიკები იმ ქალაქის უძველესნი მკვიდრნი და ნამდვილი ქართველთ ჩამომავლნი

არიან, რასაც კარგად ამტკიცებს მათი ცოტა სომხურ-შერეული ქართული ენა. თვითონაც აღიარებენ, რომ მათნი წინაპარნი ქართველები ყოფილან და ჰქონიათ კათოლიკე სარწმუნოებაჲ კათოლიკე მისიონერები ძველის დროიდგანვე იყვნენ მიღებულნი ტფილისს, გორსა და ქუთაისში, სადაც სრული თავისუფლება ჰქონდათ და ქართველთა მეფენი მფარველობას უწევდენ. რა საქართველოდგან განაშორეს მისიონერები, მაშინ ვარანცოვის თხოვნით, რუსეთის ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, საქართველოში დანიშნულ იყვნენ პოლონელი პატრები იმ პირობით, ქართული ენა შეესწავლათ, რათა მკვიდრ კათოლიკეთათვის მოევლოთ. ქართველი გვარის კათოლიკები რომ არ ყოფილიყვნენ, ცხადია, ეგოდენი ქართველი კათოლიკების საზოგადოება ვერ შესდგებოდა.

„კათოლიკე ქვეყნებთან საქართველოს დაახლოების გამო ევროპამ საქართველო გაიცნო და მისმა კულტურამაც წინ წაიწია. ძველებური ბიზანტიის ხუროთ მოძღვრება მალე შეიცვალა და მის მაგიერ გავრცელდა იტალიური ხუროთ მოძღვრება. ამას მოწმობს კახეთში სამების ეკკლესია. საქართველოს რუკა პირველად დახატეს მისიონერებმა და ამნაირად ყველგან გაავრცელეს. სპარსეთში მყოფი ქართველები დაიცვეს ქრისტიანობაში. ქართველებზედ ამგვარი გავლენა რომ ჰქონდათ, შაჰ-აბაზმა თეიმურაზ მეფეს თავის ელჩად გამოუგზავნა ფრა ივანე თადეოზი, რათა მისთვის მიესამძიმრებინა დედოფლის სიკვდილი. რადგან ფრა ივანე ყველასგან პატივცემული იყო, ამიტომ მას მიტროპოლიტთან ერთად თანააწირვინეს ალავერდის ეკკლესიაში. იმისივე საშუალებით მაყაშვილმა, ვანჩაძემ, ჯორჯაძემ და სხვებმაც კათოლიკობა მიიღეს. მისიონერების ზედგავლენას ვერც ქეთევან დედოფალი ასცდა თავისს ტყვეობაში და მის წამებასაც დაესწრნენ მისიონერები. ამის გამო მისი წამების შესახებ ევროპის ხელმწიფეებს მისწერეს მრავალი გულის ამჩუყებელი წერილი, რათა დაჩაგრული საქართველო მათთვის შეებრალებინათ. საზოგადოდ კათოლიკე მღვდლებს ძრიელ სასარგებლო ზედგავლენა ჰქონდათ საქართველოს მოწინავე პირებსა და თვით მეფეებზედაც: გულში ულვიძებდენ მამულის სიყვარულს და სარწმუნოების გრძნობას. ეგრეთვე კათოლიკობაზე გადაიყვანეს ვახტანგ მეექვსე, საბა სულხან ორბელიანი და ანტონ კათალიკოსი. მათვე მოჰფინეს საქართველოში ნათელი, ქართველებს შრომა შეაყვარეს და განავრცელეს დასავლეთის კულტურა. იტალიაში გაწვრთვნილი ქართველები, როგორც ანტონ თუმანიშვილი, მეფისაშვილი, ტულუკაშვილი, მამულაშვილი, ყარანგოზაშვილი, შეუდგნენ სხვა და სხვა წიგნების თარგმნას ქართულ ენაზე; ეგრეთვე დააწესეს სახელ-

მძღვანველო ქართული სკოლებისათვის. იმათში უფრო დიდი სახელი გა-ითქვა გორელმა ტულუკაანთ დავითმა“. (1)

ერთი ყურადსაღები საბუთიცაა ქართველთ მწერლებისა საქარ-თველოში ქართველი კათოლიკების ყოფნის შესახებ. ერთპირად თანხმა არიან თუ ძველი და თუ ახალი ქართველი მწერლები იმ ის-ტორიულის ფაქტის შესახებ, რომ XIII საუკუნიდგან ვიდრე დღევანდლა-მდე, ქართველი კათოლიკები ყოფილან და არიან. მაგრამ ესრეთი ცხადი ისტორიული ჭეშმარიტება შებღალეს და უარ ჰყვეს თვით იმ საუკუნე-ში, რომელიც განთქმულია სწავლა-განათლებით და მეცნიერი კაცე-ბით!!!

თ ა ვ ი V.

XVII საუკუნის ქართველი კათოლიკენი და საქართველოში მოსვლა თეათინელთ წესის მისიონერებისა (1600—1640).

ამ საუკუნეშიაც, თუმცა საქართველოს უბედურების მეტი არაფერი უნახავს, კათოლიკობას ახალი და საუკეთესო დრო დაუდგა. ამ საუკუნის პირველ წლებშივე ევროპელ მისიონერებს კვალად გაეხსნათ გზა საქართველოში შემოსვლისა. შეუწყვეტლივ მოდიოდენ და ჰფენდენ კათოლიკობასთან ერთად ევროპის სწავლა-განათლებასაც. ჩვენ, თუ სრულიად არა, უმეტესი ნაწილი მაინც შევკრიფეთ იმ საბუთებისა, რომელიც შეეხება იმ დროს საქართველოში მისიონერების მოსვლას, მათ შრომას და კათოლიკობის ხელახლავ გავრცელებას. მეტად შორს წაგვიყვანდა შეკრებილი საბუთები ყველა რომ შემოგვეტანა წერილში; ამიტომ მოვიხსენიებთ მარტო იმათ, რომელიც უფრო ყურადსაღებია.

მტერმა საქართველოს მოაშორა ლათინის მისიონერები, მაგრამ ქართველთ მთავრებისა და ერის გულში ვერ ამოხოცა მიდრეკილება და პატივი, რომელიც იმ მისიონერებისათვის ჰქონდათ ძველის დროიდგანვე. ზემოდ მოყვანილ საბუთებს გარდა, ქართველების თანაგრძნობას მისიონერთადმი კვალად გვიმტკიცებს შემდეგი ფაქტებიც.

ალექსანდრე კახეთის მეფემ და მანუჩარ სამცხის ათაბაგმა სპარსეთში რა ნახეს ლათინის მისიონერები, თავიანთ სამეფოში გამოიწვიეს. მაგრამ სხვა და სხვა გარემოებისა გამო მისიონერებმა ვერ შეიძლეს მთავრების სურვილის დაკმაყოფილება. 1597 წ. სპარსეთში მოსული პორტუგალელი მისიონერი ანტონიო ამ გარემოებას 1610 წ. ესრედ აგვიწერს:

„მანუჩარ ხან მთავარმა, რომელიც ქართველების ერთი სამთავროს პატრონია, ესრედ მითხრა ისპაჰანში; დიდათ მოხარული ვიქნები, უკეთუ რავდენიმე თქვენი მღვდელი წამომყვება ჩემს სამეფოში და თუ ერთ მკურნალსაც თან წამოიყვანს უფრო დიდად პატივცემული იქმნებიანო. იმავე დროს პატრი მელიქორი დეზანჟი, მეფის პალატში (სპარსეთში) ყოფნის დროს, დაჰპირდა წაჰყოლოდა ალექსანდრე მეფეს, საქართველოს ერთ მთავართაგანს, მაგრამ ლუდოვიკო პერეირე დელჩერდა, რო-

შელიც (ისპანიიდგან) ელჩად იყო სპარსეთს გაგზავნილი, არ დათანხმდა მის წასვლას, რადგან არ უნდოდა მოშორება“. (1).

ესევე მისიონერი მოგვითხრობს, თუ მანუჩარ როგორ ხშირად დაიარებოდა მათ ეკკლესიაში და როგორ აღტაცებით ისმენდა მათ წირვა-ლოცვას.

1621 წ. ნეაპოლში ერთი პატარა, მაგრამ შესანიშნავი წიგნაკი დაიბეჭდა ამ სათაურით: „გულწრფელი მოხსენება საქართველოს სამეფოების შესახებ პატრი პავლე მარია ფაიანცელი დომინიკიანის მიერ“. იმ რამდენიმე ფურცლიან წიგნაკში ჩამოთვლილია საქართველოს ოთხი სამეფო, სხვა და სხვი გზა ევროპიდგან საქართველოდ შემოსასვლელი, მოკლედ აღწერა მისის შემოსვლისა საქართველოში და ლაპარაკი ქართველებთან. აქ მოვიყვანთ იმ ნაწილს, რომელიც ჩვენს საგანს შეეხება.

„მე ნეტარის რომის პაპის წარმომადგენელი, ელჩი აბაზ უძლიერესის სპარსეთის მეფის წინაშე, ვიყავი საქართველოში 1616 წ. ივნისის და ივლისის თვეებში. იქ რაც შევნიშნე შესახებ ქვეყნისა, მცხოვრებთ ბუნებისა, მათი სარწმუნოებისა და მათი კეთილი მომზადებისა მწყემსის (პაპის) უფროსობის ალსაარებლად, აქ მოვიხსენიე ძრიელ მარტივად..,
„კაცები ეთრი არიან და მშვენიერი სახისა, საკმაოდ პატიოსანი ზნეობა აქვსთ; თათრულად აცვიათ, თითქმის ყველას ტანისამოსი აბრეშუმისა აქვს, რადგან აბრეშუმი ბლომად იშოვება იქ; ძრიელ მკვირცხლი ნიჭი აქვსთ და გულ ფიცხელნი არიან.

„დედაკაცები ტანმაღალნი და შვენიერი მოყვანილობისანი არიან; ცხენოსნობაც იციან, სანადიროდ მიმინო დაჰყავთ ხელით და თან დააქვთ შვილდ-ისარი და ისართსაწყობი.

„ქართველები ყველა ქრისტიანენი არიან ბერძნის ტიბიკონისა, აქვსთ მშვენიერი ეკკლესიები, ჩვენებურის მსგავსი, დიდრონი არ არიან და აქვსთ საშუალო ზომის სამრეკლო და ზარები.

„მარტო მღვდლებმა და განათლებულმა პირებმა იციან ბერძნული წერა-კითხვა და ენა, თათრულს თითქმის ყველანი ლაპარაკობენ, მაგრამ მათი საკუთარი და ბუნებითი ენა ქართულია, რომელიც, ვგონებ, ძრიელ ადვილათ შეისწავლის კაცმა, რავდენიმე ასო აქვსთ ჩვენებურის ასოების მსგავსი, მათი გამოთქმა, ვგონებ, ცოტათი განსხვავდებოდეს ჩვენებურის გამოთქმისაგან..

„ძლიერ დიდი პატივის ცემა აქვსთ ჩვენი უნეტარესის რომის პაპისა, რომელსაც აღიარებენ ამ ქვეყანაზე ქრისტეს მონაცვლედ. ამ პატივის დასამტკიცებლად მე ვითარცა პაპის სახელით სპარსეთის მეფესთან რომიდგან მოსულ მღვდელს ესრეთი მორჩილება გამომიცხადეს:

1) ხელებსა და ფეხებზე მაკოცეს; 2) გულმოდგინედ მთხოვეს კურთხევა თავიანთვის, თავიანთი შვილებისა, მამულისა და საქონლისათვის; 3) ჩემთან აღსარების თქმას ნატრობდენ, მაგრამ არ დავთანხმდი; 4) დიდ პატივად რაცხვიდენ, როცა წავიდოდი მათ ეკკლესიაში, სადაც იძულებულ ვიყავი მუდამ ხელი გამეშვირა, რომ ეკოცნათ მღვდლებს, კაცებს და დედა კაცებს; 5) ჩემთვის ალერსის გამოცხადებას ერთმანერთს არ აცდიდენ; 6) სარწმუნოების შესახებ ბევრი საეჭო რამე მკითხეს, რასაც ჩვენში დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ; გაკვირვებით და სარწმუნოებით ისმენდენ ჩემს პასუხს; 7) ზოგიერთი თავიანთი ჩადენილი საქმე გამიმჟღავნეს და როდესაც ჩემგან სცნეს, რომ ცუდათ ექმნათ, მაშინვე სიმდაბლით შენდობა მომთხოვეს და უნდოდათ მათთვის შესაფერი საკანონო მიმეცა; 8) ვამხილე რა ზოგიერთი მათი ცრუ-მორწმუნეობა, შეცთომილება, მაშინვე ადვილად მოიშალეს.

„მათმა მღვდლებმა არა ერთხელ მითხრეს მათში გავრცელებული ერთი წინასწარმეტყველება: რომაელი ქრისტიანები, რომლებსაც დიდ ბედნიერად რაცხვენ, უნდა მოვიდენ ჩვენს ქვეყანაშიო. ეს წინასწარმეტყველება მათ წინაპრებს გაულექსავთ და ჩემს წინაშე რავდენიმე გზის იგალობეს.

„მრავალ გზის მითხრეს, რომ თქვენი მღვდლები ჩვენში რომ მოვიდენ, მაშინვე მივცემთ ეკკლესიებს, სახლებს და სხვა ყველაფერსო. უზომო წყალობად ჩასთვლიან, რომ ჩვენ უქადაგოთ და შვილები გაუწვრთნათ.

„ამ ცოტა გარემოებისაგან შეუძლია კაცმა სცნოს, თუ რა დიდი იმედი უნდა გვქონდეს მათში კათოლიკე სარწმუნოების წარმატებისათვის“ (1).

ეს მოხსენება მოკლეა, მაგრამ ფრიად ყურად საღებია, რადგან ამტკიცებს უძველესი დროიდგან ქართველთა უცვალებელ თანაგრძნობას ლათინთა მოძღვართადმი და ეგრეთვე იმას, რასაც პაპი პავლე მესამე სწერდა ლუარსაბ მეფეს 1545 წ. და რასაც პაპი პიო მეორე 1458 წ. ამბობდა, ესე იგი საქართველოს ერი და მთავარნი პაპას სცნობდენ ყველა ქრისტიანების თავად და აღიარებდენ ქრისტეს მონაცვლედ. ამის მეტი არც კია საჭირო, რომ კაცი ნამდვილ და ერთგულ კათოლიკედ შეირაცხოს. ეგრეთვე ამ მოხსენებიდგან სჩანს, რომ, თუმცა იმ დროს საქართველოში არ ყოფილან ლათინის მისიონერები, მაგრამ ერი სულით და გრძნობით კათოლიკე ყოფილა.

მის წინეთ, ესე იგი 1613 წ., საქართველოში ყოფილან ორი ლათინის მოძღვარი პატრი გვილელმო, წმიდა აგვისტინეს წესისა და პატრი ივანე თადეოზი კარმელიტანი. სამწუხაროდ, იმათი მოსვლის შე-

სახებ განსაკუთრებული ცნობები არა გვაქს. ამას მხოლოდ იხსენიებს დომინიკიანი პატრი გრიგოლ ორსინი თავის მოხსენებაში, რომელიც 1626 წ. წარუდგინა რომაში პროპაგანდას საქართველოს შესახებ. ეს მოხსენებაც კამაოდ შესანიშნავია და ამიტომ მოგვყავს შემდეგი ნაწილი.

„ქართველთა შორის კათოლიკე სარწმუნოების გავრცელება ძრიელ ადვილ საქმედ მიმაჩნია და აჰ რატომ: 1) რადგან ადვილად დასაყვავებელი, მორჩილი, უბრალო და კარ მდგომარეობის ხალხი არიან; 2) რადგან სამოციქულო რომის წმინდა საყდარს რავდენიმე გზის მორჩილებისა, გულმხურვალებისა და ერთგულების გრძნობით სავსე წიგნი მოსწერეს; 3) ესევე გულ-მხურვალება სამოციქულო საყდრისადმი გავლილ წლებში, ესე იგი 1613 წ. კახეთის მეფე თეიმურაზმა და სხვა ქართველმა თავადებმა დაუმტკიცეს პორტუგალელს პატივცემულ პატრი გვილელმოს*) წმიდა აგვისტინეს წესისას და კატალანიელს პატრი ივანე თადეოზს კარმელიტანს, რომელიც დღესაც ცოცხალია. ორთავეს იქ ეკლესიები და ადგილები მისცეს საცხოვრებლად. ხსენებულმა თავადებმა იმ პატრებს სთხოვეს საიდუმლოების მიღება, მათთან აღსარება სთქვეს და ეზიარნენ მათისავე ხელით. ესრეთ საქართველოში აღასრულეს ყველა წესი და ტიბიკონი კათოლიკე სარწმუნოებისა, თუმცა ხსენებულმა მონაზონებმა იქ ვერ დაამყარეს თავიანთი სახლი და ეკკლესია აბაზ სპარსეთის მეფის მიერ ატეხილი სამწუხარო ომის მიზეზით, რადგან მათი იქ მოსვლის ცოტა ხნის შემდგომ მოხდა ომი და აბაზმა ბევრი ქართველთაგანი დაატყვევა, გადაასახლა და იქაურობა ერთიან მოაოხრა, რაის გამო თეიმურაზ მეფე თავის თავად-აზნაურებიანათ ივლტოდა; 4, კათოლიკე სარწმუნოების ადვილად გავრცელება მით უფრო დასაჯერებელია, რომ ქართველები მეტად ღვთის მოშიში არიან, სარწმუნოების ერთგულნი მსახურნი, მოსავნი ღვთის მშობლისა, მთავარ მოციქულთა პეტრესი და პავლესი და სხვა წმიდათა, მეტადრე წმიდა გიორგისა, რომელსაც განსაკუთრებით თაყვანს სცემენ... მთელ მსოფლიოში, სადაცკი სარწმუნოების გავრცელება საჭიროა, ხსენებული ქართველების ქვეყანა პირველი უნდა იყოს, ამიტომ მე ყველაზედ უმცირეს სამოციქულო მისიონერთაგანი სიმდაბლით და დიდის თხოვნით ვავედრებ მას ჩვენს უწმიდეს უფალს პაპს ურბანო მერვეს და პრაპაგანდას, რადგან

*) პრაპაგანდის ერთი წერილიდგან სჩანს, რომ პატრი გვილელმო საქართველოში მოსულა 1608 წ. მეფეს და პატრიარქს დიდის პატივით მიუღიათ. თავისი მონასტრის საქმეების გამო შემდგომ გაბრუნებულა ისპაჰანს, გარნა ქართველთ პატრიარქი ბევრს შეხვეწნია, აქ ისევ ბალე მობრუნდიო. როდესაც გამობრუნებულა ცვალად საქართველოში, გზაში თათრებს მოუკლავთ.

ქართველი ერი დიდათ ღირსია სამოციქულო საყდრის მადლისა და წყალობისა... ზემოხსენებული მიზეზების გამო, ესე იგი, რომ დიდი პატივი აქვსთ პეტრესი და პავლესი, რომისა და რომის პაპისა". (1).

ესეც ცხადად და ერთ პირად ამტკიცებს ქართველების კათოლიკობისადმი მიდრეკილებას და იმათი ერთის ნაწილის კათოლიკობასაც, რადგანაც კათოლიკე მღვდლებისაგან საიდუმლო მიუღიათ და იმ მღვდლებსაც ყველა საიდუმლო და კათოლიკე წესები შეუსრულებიათ. ამის ასრულება შეუძლებელი იქმნებოდა, ერი კათოლიკე რომ არ ყოფილიყო. ქართველების ერთგულება და გულმხურვალება კათოლიკე სარწმუნოებისადმი ძლიერი რომ არ ყოფილიყო, ესე სხვა და სხვა დროს მრავალნი პირნი არ მოიხსენიებდენ მათ იმნაირის ქებით და თანაგრძნობით.

იმავე დომინიკიანელმა გრიგოლ ორსინმა ეგრეთვე აღწერა სპარსელებისგან საქართველოს აოხრება და ქეთევან დედოფლის წამება, რადგან იმ დროებში, ესე იგი **1624**წ. ორსინი სპარსეთში იყო*).

იმ ხანებში, როგორც ცოტა ქვემოდ ვნახავთ პროპაგანდის წერილიდგან, ერთი დომინიკიანი ანჯელო ჩითადინელიც ყოფილა საქართველოში, მაგრამ დაბეჯითებით არ ვიცით; თუ რომელ წელში. ეს კია რომ **1625** წელზედ უწინ უნდა ყოფილიყო. იმისი წარდგენილი მოხსენება ვერ ვიპოვეთ. გარნა ქვემო წერილიდგან სჩანს, იმასაც, მსგავსად ზემოდ დასახელებული მისიონერებისა, პროპაგანდისათვის მოუხსენებია, რომ ქართველებს დიდად უყვარსთ რომის ეკკლესიაო.

სახელოვანი მგზავრი, რომაელი პატრიციო პეტრე დელლა ვალლე ამბობს, რომ ზემოხსენებული პატრი ივანე თადეოზი კარმელიტანი შაჰ-აბაზმა გაუგზავნა თეიმურაზს, რათა მისი პირველი ცოლის სიკვდილის გამო ნუგეში ეცა და მიესამძიმრებინაო. ესევე მგზავრი დასძენს, რომ მეფემ, ალავერდელმა მიტროპოლიტმა და ქართველმა თავადებმა ის პატრი მიიღეს დიდის პატივით იმიტომ კი არა, რომ შაჰის გამოგზავნილი იყო, არამედ უფრო იმიტომ, რომ კათოლიკე მღვდელი იყოო; რაის გამო თავიანთ ეკკლესიაში აწირვინეს, ეკკლესია და სახლიც მისცეს, რათა მათთან დარჩენილიყოო.

ჩვენს მწერლობაში საკმაოდ ცნობილია ქართველების ნამდვილი და ერთგული მეგობარი პეტრე დელლა ვალლე, რომელმაც ესდენი თანაგრძნობა და შემწეობა აღმოუჩინა სპარსეთში ტყვედ წაყვანილ

*) მისიონერების სიტყვით, შაჰ-აბაზს, რა აუოხრებია საქართველო, სპარსეთს ტყვედ წაუყვანია 60 ათასი კომლი და მათ მაგიერ შემდეგში ბლომად გადმოუსახლებია სპარსელები და სომხები.

ქართველებს და განსაკუთრებით ანუგეშა დატყვევებული ქეთევან დედოფალი. იმან რაც ნახა და გაიგონა საქართველოსა და მისი გაჭირვებულის ერისა, თითქმის ყველა აღწერა თავისი მგზავრობის წიგნში, მეტადრე თავის მოხსენებაში, რომელიც 1625 წ. წარუდგინა პაპს ურბანო მერვეს საქართველოს შესახებ. იმან თავის წერილებში არა ერთგზის აღნიშნა ქართველების მიდრეკილება კათოლიკობისადმი, მათი სიყვარული, პატივისცემა და გულმხურვალება რომის პაპისადმი. იმანვე სთქვა, რომ ცხადად არა სჩანს, ქართველებიც ბერძნებსავით გაშორდენ თუ არა კათოლიკე სარწმუნოებასაო. სხვა მისიონერებთან ერთად ისიც მოწმობს, რომ ბოლო დროებში ქეთევან დედოფალს კარმელიტანების წესის პატრები ეწეოდენ სულიერად და მათი ჩაგონებით გამხნევებული კათოლიკედ აღესრულაო. ვრცლად მოგვითხრობს, სპარსეთში ქრისტიანედ დარჩენილი კართველები როგორ ერთგულად მისდევდენ კათოლიკე სარწმუნოებას და რომ იმ ქართველებს ხშირად თვითვე ნათლიად უდგებოდა; მოგვითრობს ეგრეთვე, როგორ ხშირად დაიარებოდენ პატრების წირვაზე, სხვათა შორის, ბატონი მერაბ, რომელიც სიმონ მეფეს სიკვდილამდე ტყვეობაში ახლდა, მისი შვილი ბატონი ვახტანგ და მისი ძმის წულები ბატონი ბეჟან და ავთანდილ და სხ... ერთის სიტყვით, დელლა ვალლემ დიდად შეაბრალა ურბანო პაპს საქართველო და მისი ერი; მათი ერთგულების გარდა, ისიც მოახსენა, რომ ქართველები მუდამ ებრძვიან ქრისტიანობის ყოვლად ძრიელ მტრებს სპარსელებს და ოსმალებს სარწმუნოების დაცვისათვის; მტრებს არა ერთხელ ამოუწყვიტეს ერთიანად მხედრობაო, ამიტომ რომის ეკკლესია დიდად დავალებულია ქართველებისაგან, რომელნიც ღირსნი არიან, სარწმუნოებრივის დახმარების გარდა სხვა შემწეობაც აღმოუჩინოთ და სხ... ქართველების გულკეთილობამ, უბრალოებამ და მათმა სიყვარულმა კათოლიკობისადმი დელლა ვალლე იმ ზომამდე მიიზიდა, რომ თავისი პირველი ცოლის სიკვდილის შემდგომ, მეორე ცოლად შეირთო ერთი ახალგაზდა ქართველი ქალი, თინათინ წიბა (di ziba), სპარსეთში დედასთან ერთად ტყვედ წაყვანილი, იქვე დაობლებული და თავისისავე დახსნილი. დელლა ვალლემ სახელი შეუცვალა და მარიუჩა დაარქვა თინათინს, რომელიც თურმე დიდად უყვარდა ქეთევან დედოფალს.

ზემოდ დასახელებული დომინიკიანი პატრების მოხსენებამ და პეტრე დელლა ვალლეს მოთხრობამ ისე იმოქმედა რომის პაპსა და კარდინალებზე, რომ მალე მიაქციეს საქართველოს ყურადღება, შეუდგნენ თათბირს და გადასწყვიტეს დაუყოვნებლივ მისიონერები გაეგზავნათ. პაპის ბრძანებით, პროპაგანდის კარდინალებმა 1626 წ. მაისის ოთხს, გადასწყვიტეს, რომ საქართველოს მისიონი მიენდოთ თეატინებ

წესის მონაზონებისათვის, რომლებისგანაც ხუთი დანიშნეს აქ წამოსასვლელად. გარნა დელლა ვალლეამ კარდინალებს არ ურჩია პირველადვე ხუთის მონაზონის ერთად გაგზავნა შიშის გამო ოსმალებისა, რომლებიც მკაცრად ადევნებდენ თვალ-ყურს მისიონერებს და ადვილად არავის უშვებდენ აქეთ. იმისი რჩევის თანახმად კარდინალებმა დაადგინეს ხუთის მაგიერ სამი მონაზონის გამოგზავნა, პეტრე ავიტაბილეს წინამძღვრობით. ეს გარდაწყვეტილება პროპაგანდამ აცნობა პეტრე ავიტაბილეს შემდეგის წერილით:

„მათ ღირსებას პეტრე ავიტაბილეს, თეატინელების მონაზონს.

„პროპაგინდის კრებამ, 4 მაისისამ, განიხილა თქვენი წერილი და გამოიძია თქვენი ამხანაგების ვინაობა, აგრეთვე მიიღო თქვენი უფროსი ჯენარლისაგან კაი მოწმობა თქვენის და თქვენის ამხანაგების ნიჭიერებისა და კარგის თვისების შესახებ. ამიტომ ბატონმა კარდინალებმა გარდასწყვიტეს თქვენის ამხანაგებითურთ გაგზავნონ ქართველებთან, რომელთა შესახებ ბ. პეტრე დელლა ვალლეამ ბევრი რამ მოგვითხრო, მეტადრე გვაუწყა, რომ კარგად მომზადებულნი არიან წმიდა სამოციქულო საყდართან შესაერთებლად. აწ შეგიძლიათ თქვენის ამხანაგებითურთ წასასვლელად მოემზადოთ ლოცვითა და თავგანწირულებით წმიდა მისიონისათვის; შეგიძლიათ მათაც უჩვენოთ ამ წერილის ერთი პირი. როცა აქ მოხვალთ, თანახმად თქვენი უფროსის ბრძანებისა, რომელსაც აქამდე მიიღებდით კიდეც, ხსენებული პეტრეც მოგცემსთ შესაფერს და საჭირო დარიგებას. ჩვენც მოგცემთ თავის გასაცნობელ წიგნს, ყველა საჭირო უფლებას და ნივთებს და მაშინვე გაგისტუმრებთ ხსენებულის მისიონისათვის. ღმერთსა ვთხოვ, გაკურთხოს და გარდმოგივლინოს თავისი წმიდა მადლი. რომით, 9 მაისისა, 1626 წ." (1).

პატრებს პეტრე დელლა ვალლეამ ყოველი საჭირო დარიგება მისცა მომავალის მგზავრობისათვის თუ ოსმალეთსა და თუ საქართველოში. უგრეთვე პროპაგანდამ, საჭირო ნივთების გარდა, მისცა მათ 11 სხვა და სხვა სასულიერო უფლება და პრივილეგია, რათა დიდის სიადვილით და ნაყოფიერად აღესრულებინათ თავიანთი მისიონი საქართველოში. ესრედ მომზადებულნი იმავე წელს ივლისის 23 დღესა წამოვიდენ რომიდგან საქართველოსკენ და თან წამოიღეს პაპის ოთხი წერილი საქართველოს ოთხ მეფესთან, ესე იგი გურიელთან, დადიანთან, იმერეთის მეფესთან და თეიმურაზთან, რათა კარგად მიეღოთ ის მონაზონები და ნება მიეცათ საქართველოში კათოლიკე სარწმუნოების ქადაგებისა. პროპაგანდამაც იმათ ერთი წიგნი გაატანა დასავლეთის საქართველოს მიტროპოლიტთან. აქ მოვიყვანთ იმას და თეიმურაზთან

მოწერილ წიგნსა. ხოლო დანარჩენებს მოვიყვანთ ყველას თავის შესაფერ ადგილს.

„დასავლეთის*) ქართველთა მიტროპოლიტს

„თქვენო ყოვლად ბრწყინვალე უსამღვდელოესობავ.

„პროპაგანდის კრების ბატონმა კარდინალებმა სხვა და სხვა მოხსენებიდგან და ამ ბოლო დროს წერილიდგან, რაიც წარმოადგინა დომინიკიანე ანჯელო ჩითადინელმა, რომელიც დიდი ხანი არ არის, მანდ იყო, სცნეს დიდი სიყვარული ქართველთ ერისა რომის წმიდა ეკკლესიისა და სამოციქულო საყდრისადმი, რომელზედაც სჯდა მთავარმოციქული დიდებული პეტრე და განსაკუთრებული ერთგულება, რომელიც აქვსთ რომაში დასვენებულის იმავ წმიდა პეტრესა და პავლეს ნაწილებისადმი, რადგანაც კარდინალებსა სურსთ ამ სიყვარულისათვის ქართველთ ერს მიაგონ სამსახური, როგორათაც იმავე ერს მიაგეს ნეტარ ხსენებულმა რომის მღვდელთ მთავრებმა პიო მეორემ და პავლე მესამემ, ამიტომ გადასწყვიტეს გამოგზავნონ სამი მღვდელი პატრი პეტრე ავიტაბილე, პატრი ფრანჩისკე აპრილი და პატრი იაკობ სტეფანო, რათა მოვიდენ, ნახონ თქვენი მეუფება, ვითარცა სასულიერო მთავარი მაგავე ერისა და გაგიზიარონ სხვა და სხვა განზრახვა მოქმედებისა თქვენის ერის და თქვენის სულის ცხონებისათვის. ხოლო უკეთუ თქვენთვის სათნო საყოფელი იქმნეს ამ აზრით მათი ნახვა, მოუსმინეთ და ერწმუნეთ ყველაფერში, რაც კი მოგახსენოსთ ბატონი კარდინალების მხრივ. გარდა ამისა თქვენს მფარველობას ავედრებენ ხსენებულ მღვდლებს და დიდათ გთხოვენ, რაოდნათაც შესაძლებელია, ადვილად მოუპოვოთ სადგომი სახლი და ეკკლესია, რათა შეიძლონ წირვა-ლოცვა და ყოველი სულიერის მსახურების ასრულება, რაც კი შეეხება სულის ცხონებას. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რაც სიკეთეს ხსენებულ მღვდლებს მიაგებთ, კარდინალები ისე ჩასთვლიან, ვითომც იმათთვის მიგეგოსთ და მზათ იქმნებიან, როცაკი საჭირო იქმნება, თქვენს მეუფებას სამსახური გაუწიონ. ღმერთს სთხოვენ თქვენთვის ყოველ გვარს ბედნიერებას. რომი., 20 ივნისს, 1626 წ.“ (1).

წერილებიდგან არა სჩანს, ამის პასუხი მიიღეს თუ არა.

მოგვყავს ურბანოს პირველი წერილი თეიმურაზთან.

„პაპი ურბანო მერვე, თეიმურაზს, კახეთის მეფეს.

„კეთილშობილო მეფევ, მშვიდობა და ღვთის წყალობის ნათელი, საქართველო, ეგრეთ უხვი თვალ უწვდენის ტყეებით და დამშვენე-

*) სიტყვა „დასავლეთი“, ჩვენის აზრით, შეცდომით არის ნახმარი, უნდა იყოს „აღმოსავლეთი“.

ბულის ქირნახულით, მალე მოირწყვის დაუშრეტელი წყაროს წყლით; უკეთუ გამოიღო ნაყოფი, რომელსაც ევროპა და რომა მოელის: ჩვენ გვრწამს მომავალი მისი ბედნიერება. გიგზავნით ღვთიურ მეცნიერებაში განსწავლულ მღვდლებს, რომლებიც სხვას არას ნატრობენ, თუ არ ერის გაბედნიერებას. უკეთუ ესენი თქვენს ქვეყანაში დაადგინეთ, თქვენი მამობრივი მფარველობა არ მოაკელით და თუ თქვენმა ერმაც გულმოდგინებით მოუსმინა მათ სიყვარულით სავსე სიტყვები, მაშინ ჩვენთა მეფეთა საპატიო და ეგოდენთა გვართა სამკვიდრებელი რომის ქალაქი დიდად და უზომოდ დავალებულ იქნება თქვენგან. იტალიისათვის დიდად სასიქადულოა, რომ კახეთის მეფემ მოუსმინოს რჩევა მღვდლებს, რომელთაც უნდათ განამზადონ გზანი უფლისანი და წრფელჰყონ ალაგნი მისნი. როგორა გგონიათ, კეთილშობილო მეფევ? განა ცოტა რამეა ის სიკეთე, რასაც ჩვენი მღვდლები თქვენის დიდებულებისაგან მოელიან, ეგრეთვე რომის ქება და უმაღლესის მწყემსის მომადლიერება? უკეთუ თქვენი უმაღლესი ნიჭი ნატრობს დიდებას, ცხადია, არაფერს დაზოგავთ, რათა თქვენი სახელი იქოს და იდიდოს ქრისტიანების დედა ქალაქსა და ყველა ტომთა საერთო სამშობლოში. რადგან თქვენის სამსახურით, რომელსაც მოგვაგებთ, ღირსი შეიქმნებით ყოვლის მპყრობელის განსაკუთრებულის მფარველობისა, იმ ყოვლის მპყრობელისა, რომელიც თავისად რაცხს ყველა სამსახურს, რასაც კი მიაგებენ უცხოთა და გლახაკთა, ეგრეთვე ჩვენც დაუცხრომელად ვილოცავთ უფლის მიმართ, რათა გაგიღოს ზეცის კარი, გიწინამძღვროს თავისი სჯულის გზით და შემდგომ მოგაგოს უკვდავების და გამარჯვების სუფევა. თქვენი ერიც დიდად კმაყოფილი დარჩება ამ მღვდლებისგან, რადგან ესენი ევროპიდგან აზიას იმიტომ კი არ მოდიან, სიმდიდრე, ანუ შეძლება რამ შეიძინონ, არამედ მათი მიზანი და ნატვრა მარტო ერის ბედნიერება და მეფეთათვის დიდების შეძენაა. ოჰ! რაოდნათ ბედნიერ შეიქმნებით, უკეთუ ეცდებით, რომ თქვენმა ქვეშევრდომმა ერმა მოისმინოს მათი სასარგებლო მოძღვრება, რომელიც ამოღებული აქვსთ ქრისტეს მკერდიდგან, და რომელსაც შეუძლია კაცი ანგელოზად აქციოს და ქვეყანა სასუფევლად შესცვალოს. რომამდე მოაწია ყველა თქვენის უბედურების ამბავმა და მასთანვე მოგვითხრეს საოცარი და შეუდრეკელი სიმხნე, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ. ეგრეთვე ვუწყით, თუ რაოდენი სიმტკიცე სარწმუნოებისა გამოიჩინა დედა თქვენმა, რომელმაც ქრისტიანობაზე ხელის აღებას, თავისი სამეფოს დაკარგვა და სიკვდილი არჩია. მაშ, ეგოდნათ განთქმულის დედის შვილო და ეგოდენთა განსაცდელთა მძლეველო, მოუსმინეთ ჩვენს მღვდლებს ყოველი რჩევა, რომელსაც მოგახსენებენ სარწმუნოების სა-

ხელით და რომელიც შექმნება მშვენიერი სამკაული თქვენის განუდრეკელი მხნეობისა. ხოლო ჩვენის სამოციქულო კრებულით ჩვენც დიდათ აღვამაღლებთ თქვენს სახელს და ვევედრებით ღმერთს, რომ მოსცეს მხნეობა და ძლევა მოსილება თქვენს მხედრობას, რათა გამარჯვებული ქვეყნიერს მტრებზე, გვირგვინოსანი წარსდგეთ საუკუნო ბედნიერების მამულში. რომით, 4 ივლისს, 1626 წ." (1).

აი ესრეთი თავის გასაცნობელის წიგნით აღჭურვილნი გაუდგნენ გზას ის სამი მისიონერი, მოვიდენ მესინას და იქ თავიანთი ძნელი მგზავრობის სამზადისს შეუდგნენ. მესინაში სამგზავროდ მზადებასა და ხომალდის ცდაში რომ იყვნენ, მოულოდნელად მოვიდა თეიმურაზ მეფის ელჩი, რომელიც გაეგზავნა პაპთან, ისპანიის და ევროპის სხვა მთავრებთან, რათა შემწეობა ეთხოვა სპარსეთის წინააღმდეგ. ქართველთა ელჩის მოსვლამ დიდად გაახარა სამი მისიონერი და დანარჩენი იქ მყოფნი მათის წესის მღვდლები, რომლებიც დიდის პატივით მოეპყრნენ და მიაგეს ყოველნაირი სამსახური, რაც კი შესაძლებელი იყო. სანამ თეატინელების მგზავრობის ამბავს განვაგრძობდეთ, საჭიროდა ვსთვლით იმ ქართველის ელჩისა ვსთქვათ ცოტა რამ.

თეატინელი წესის ისტორიკოსები იმ ქართველთა ელჩისას მოგვითხრობენ შემდეგ ამბავს. იგი იყო წმიდა ბასილის წესის მონაზონი, ნიკიფორე ერბახი, ანუ ერბაჩო (საქართველოში ნიკოლოზ ბერად წოდებული) და ახლდა თან ორი თავისის წესის მონაზონი (ცხადია, ქართველები) და ერთიც მოენე. თუმცა ბევრი თანმხლებელი არა ჰყავდა, მაგრამ მისი ღირსეული ქცევა ცხადყოფდა მის დიდებულობას, განკრძალულებას და პატიოსნებას და თავის მონაზონებრივის ცხოვრებით ყველას თავს აყვარებდა. თავის მამისას ამბობდა, რომ ერთი უპირველესი თავადთაგანი და საქართველოს ჯარის უფროსი იყოო; მრავალი გზის დაუმარცხებია სპარსელები და სხვათა შორის, ერთხელ 20,000 ქართველით ამოუწყვეტია 90,000 კაცი სპარსელების ჯარისა. ევროპაში ამის წასვლის დროს, საქართველოს ჯარის უფროსად ყოფილა მისივე ბიძაშვილი, რომელიც არა ნაკლებ მხნეობას იჩენდა ომში. სამწუხაროდ, იმ პირების საკუთარი სახელი მოხსენებული არ არის. ხოლო ნიკიფორეს ძმის წულს (ანუ დის წულს) ჰრქმევია ზურაბ ერისთავი ყარაყალხანისა (Caracalcan).

ელჩს დიდად გაეხარდა, რო სცნო, სამი მისიონერი პაპის წერილითურთ მიდიოდა მეფე თეიმურაზთან.

თეატინელებმა ნიკიფორე გაისტუმრეს ნეაპოლს, სადაც მიიღეს იგი დიდის პატივით მათისავე წესის მღვდლებმა. ნეაპოლიდგან ქართველთ ელჩი პირდაპირ მადრიდს წავიდა, რათა ისპანიის მეფე აღეძრა სპარ-

სეთთან სამრად. გარნა მის ელჩობას მადრიდში პირველად დიდი ყურადღება არ მიაქციეს, რის გამო ნიკიფორე იძულებული გახდა, ქალაქის ერთ საზოგადო სასტუმროში დამდგარიყო. მაგრამ მალე მისმა ნეაპოლში ნაცნობმა თიათინელმა ბერებმა მადრიდს თავიანთი წესის მღვდელს მისწერეს ნიკიფორეს ვინაობა და ამ სახედ, მისი საშუალებით, იგი გააცნეს ისპანიის მთავრობას. უკანასკნელი რა დარწმუნდა, ნიკიფორე მართლა ელჩი იყო, საჩქაროდ დიდის ამბით წააყვანინა საზოგადო სასტუმროდგან და დააბინავა ერთს სახელმწიფო პალატში, სადაც მის ღირსებას შესაფერად მოეპყრო; იქიდგანაც რომას დიდის დიდებით გამოისტუმრა. (1).

თუმცა ნიკიფორე ისპანიის მთავრობისგან კმაყოფილი გამობრუნდა, მაგრამ არა სჩანს, თუ რა შემწეობა აღმოუჩინეს: ის კი ცხადია, რომ მისი თხოვნა სპარსეთის მიმართ ომის გამოცხადებისათვის ადვილი ასასრულებელი არ იყო, რადგან იმ დროს ევროპის მთავრები სპარსეთს მეგობრულად ეპყრობოდენ, რათა მასაც ევროპელებთან ერთად ებრძოლა ოსმალეთის წინაღმდეგ.

ნიკიფორე, ანუ ნიკოლოზ რომას ჩავიდა თუ არა, დიდის პატივით მიიღეს, რადგან ისპანიაში მყოფის პაპის ნუნციოსგან შეიტყეს, რომ ისპანიის მეფეს იგი მიეღო, როგორც ქართველი მეფის ელჩი. ხოლო პაპმა ის მაშინ მიიღო, როდესაც კათოლიკე სარწმუნოება აღიარა. (1) ნიკოლოზმა პაპს მიართვა თეიმურაზ მეფის წერილი, რომელიც დიდად ყურადსაღებია, რადგან ამ წერილით მეფე აღიარებს თავისს სარწმუნოებას, პაპს ქრისტიანების მამად და მთავრად სცნობს და ჰპირდება ყველა ნაირს მორჩილებას და პატივს.

აი მისი წერილი:

„რომის დიდს მწყემსსა,

„სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა. აღვიარებთ და თაყვანს ვცემთ იმავე ერთარსებას ,ერთს ღვთაებას და ერთს სუფევასა. სიხარულით სავსე მოგმართავთ და ვისწრაფვით თქვენის სიწმინდისადმი, რადგან სარწმუნოება და სწავლა-მოძღვრება, რომელიც მოციქულებმა ასწავეს, განუხრწნელად დავიცევით და ეგრეთვე კვალად აღვედით ჩვენს ივერიის სამეფო ტახტზე. აღმოსავლეთიდგან გწერთ რომას, საიდგანაც, როგორც მზე, დიდად ბრწინავთ და ანათებთ მთელს ქვეყანას და, ვითარცა ქერაბიმი და სერაბიმი, სჭვრეტთ ყოვლად წმიდა სამებასა, ეგრეთვე ჰფენთ სოფლად ნათელს, რომელსაც ღვთის მიერ ღებულობთ: თქვენ ხართ პატივი ქრისტესი და საფუძველი სარწმუნოებისა, რაც წინასწარმეტყველთა და მოციქულთა ჰგადაგეს, თქვენ ყოვლივე უწყით. ჰეტრემ განასწავლა სოფელი და განაბრწყინა. ესევე-

ვალდებულება გაძევსთ თქვენ. ალჭურვილი ერთისა და იმავე ძალითა თქვენ ხართ ყველაზე უდიდესი და უმეტესად ამაღლებული მწყემსი. ამ წერილით მოკრძალეულნი წარვსდგებით თქვენს წინაშე და რიდითა და მისალმებით ვემთხვევით თქვენს მოციქულებრივ ფერხთა, ვინაიდგან ყველას უკვდავების წყალს ასმევთ საუკუნო ცხოვრებისათვის. ვითხოვ თქვენგან კურთხევას და ცოდვების შენდობას, რადგან თქვენ ხართ სვეტი სარწმუნოებისა, მთავარი მთელი ქვეყნისა და უპირველესი საყდარი ყოველთა. დარწმუნებული ვართ, რაც უნდა გთხოვოთ, ყოველსავე სიამოვნებით მოგვანიჭებთ. ღვთის შეწევნით და თქვენის უწმიდესობის ლოცვაკურთხევით მივიღეთ მეფობა. აწ გთხოვთ, თქვენის ბრძანებით დაგვამტკიცოთ. ჩვენც ჩვენის მხრივ გპირდებით მორჩილებას და პატივისცემას. ოსმალებთან და სპარსელებთან მუდამ უთანხმოება გვაქვს და ხშირადაც ჩხუბი მოგვდის მათთან. მაგრამ ღვთის შეწევნით არცერთ მათგანს დავემორჩილეთ. მხოლოდ თქვენი ქვეშევრდომნი ვართ, რაც გნებავსთ, გვიბრძანეთ და ყველაფერს აღვასრულებთ. როგორათაც ღმერთი მამაა ყველა არსთა, მსგავსათვე თქვენც ხართ მამა ყოველთა მორწმუნეთა. თქვენის შუამდგომლობით მსურს დაკავშირება ისპანიის მეფესთან. ამის შესახებ მას მივწერეთ: ამიტომ გევედრებით და გთხოვთ, თქვენც ეცადოთ, რათა იგი დათანხმდეს. მღვდელი ნიკიფორე მოგართმევსთ ამ წერილს, რომელიც, აღვწერეთ ძრიელ მარტივად. აწ ჩვენი უდიდესი ნატვრა ეს არის, რომ შევიქმნეთ სათნო საყოფელი თქვენის უწმიდესობისა. თქვენ ხართ პირველი საყდარი და გაქვსთ უსაზღვრო ხელმწიფება. გვიბრძანეთ და ყველაფერში დაგემორჩილებით. ქართლით, 20 ნოემბერს, 1622". (1).

ეს წიგნი ქართულად დაწერილი მიუტანია ნიკიფორეს რომას და იქ უთარგმნიათ ლათინურად. ჩვენ ბევრი ვეძებეთ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ ვიპოვეთ ქართული დედანი.

თეიმურაზ მეფის მხრივ ამაზე უკეთესი წერილის მიწერა და პაპისადმი უკეთესად გამოცხადება თვისთა კათოლიკე გრძნობათა, რიდისა, პატივისა, მორჩილებისა და სიყვარულისა, აღარ შეიძლებოდა. ეს წერილიც ცხადად ამტკიცებს იმას, რომ, როგორც ზემოდ ვსთქვით, ქართველი ერი სულით და გულით კათოლიკე იყო, თვით იმ დროსაც, როდესაც საქართველოში ლათინის მისიონერები აღარ მოიპოვებოდენ.

აქ ესეც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წერილის სინამდვილე-საეჭვოდ შექმნა ერთმა გარემოებამ: თეიმურაზს შემდეგ უარი უყვია, პაპთან წიგნი არ მიმიწერიაო. ამ ამბავს თეატინელი მისიონერი ლამბერტი ესე აღგვიწერს: „შეიძლება კაცმა იქვე შეიტანოს, რომ ნამდვილი მისი დაწერილი იყოს, რადგან როდესაც ჩვენ მივედით საქართველოში და გა-

დავეცით პაპის წიგნები, მან ცხადად უარჰყო, პაპისათვის არასოდეს მიმიწერია წიგნიო. ცხადია, იმიტომ სთქვა, რომ ვერ გაბედა ამნაირი თავისი საქციელი გაემართლებინა საზოგადოების წინაშე, შეეშინდა შეურაცხყოფისა ბერძნების მხრივ, რომლებიც იმ დროს მასთან იყვნენ, ვინაიდგან ბერძნებს დიდად სძულსთ პაპის მიმართ მორჩილება. ეს აზრი მე მტკიცედ მიმაჩნია და ვერ დავიჯერებ, ნიკიფორეს ის წიგნი გაეყალბებინოს, რადგან მასთან ათი წლის განმავლობაში დაახლოვებული ვიყავ და დავრწმუნდი, რომ იგი იყო გულწრფელი, წყნარი თავის საქმეში და ყოვლად მტკიცე რომის მღვდელთმთავრისადმი პატივისცემაში. (1).

ნიკოლოზ რომაში ერთ წელიწადზე მეტი დარჩა. მიზეზი ხანდაზმულობისა ის იყო, რომ მას თეიმურაზის მეფის წერილის გარდა, სხვა არაფერი მოწმობა ჰქონდა, რომელსაც უეჭველ ეყო მისი ელჩობა. რომაში დიდის პატივისცემით მიიღეს, მაგრამ მის თხოვნას პირველშივე ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს. ამიტომ ვენეციაში მისწერეს იქ მიმსვლელის მგზავრებისგან რამე შეეტყოთ მისის ვინაობისა. ჯულფელმა (სპარსეთშია) ვაჭრებმა, თეიმურაზის ამბავი, რაც კი შეეტყოთ, მიუთხრეს, მაგრამ ნიკიფორესიკი არაფერი იცოდენ. მისი რომაში დიდხანს დარჩენა უნაყოფო როდი ყოფილა: გარდა იმ საქმისა, რისთვისაც იყო მოსული, დიდად ხელი შეუწყო შედგენას ქართულ-იტალიურის ლექსიკონისას, რომელიც დაიბეჭდა რომაში 1629 წ. (2). საკმაოდ შეისწავლა იტალიური *) და მასთანვე ცოტა ქართულიც ასწავლა სტეფანე პაოლინის, რომელმაც ნიკიფორესთან ერთად შრომა მიიღო იმ ლექსიკონის გამოცემისათვის. ნიკიფორემ დიდი მონაწილეობა მიიღო აგრეთვე რომაში ქართულის სტამბის დაარსების საქმეში. პაპს და კარდინალებს კარგად გააცნო საქართველო და მიუთხრა თეიმურაზ მეფის თავგადასავალი. ვაპირებთ ამ საგანზე მისი ნალაპარაკევი თეიმურაზის სხვა ამბებთან ერთად ცალკე წერილში მოვიყვანოთ. რომაში ნიკიფორემ თეიმურაზი გააცნო თეოფილეს სახელით, ეგრეთვე პირადათაც განუმარტა და განუმეორა პაპს ყოველივე, რასაც თეიმურაზ წერილით თხოულობდა, ესე იგი; 1, რომ კანონიერად ეცნო და დაემტკიცებინა თეიმურაზ ივერიის მეფედ; 2, მეფისათვის წერილი მიეწერა, ახსნა ებოძებინა და მიეღო იგი რომის ეკლესიის შვილად; 3, მიეწერა ისპანიის მეფისათვის და ეცნობებინა, რომ თეიმურაზ შეიქმნა პაპის ერთგულ შვილად და მისი თავი შეევედრებინა მისთვის; 4, ეგრეთვე თავის

*) ნიკიფორეს რომ შეუსწავლია იტალიური, ამას თვით ლამბერტიც მოწმობს, რადგან მასთან, როცა საჭირო იყო, იტალიურად ლაპარაკობდა.

გასაცნობელი წერილი მიეწერა ნეაპოლისა და პოლონეთის მეფეთათვის, რადგან მათ ქვეყნებზე უნდა გაევლო ნიკიფორეს საქართველოში დაბრუნების დროს. მასთანვე ნიკიფორემ წერილით წარადგინა მოხსენება იმის შესახებ, თუ ქართველთ ერი რა სარწმუნოებას აღიარებდა. 20 ივნისს 1628 წ. გამოიძია პროპაგანდის კრებამ, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, და ერთპირად დაადგინა, ქართველები ძრიელ ცოტათი განსხვავდებიან კათოლიკე სარწმუნოებისგანო. (1).

იმავე დროს საჭიროდ დაინახა ნიკიფორემ, ევროპის სხვა სამთავროებიც დაევლო და საქართველო გაეცნო მათთვის. პაპს სთხოვა იქაურ მთავრებთან თავის გასაცნობელი წიგნები. პაპმაც ადვილად მისცა წერილები შემდეგ მთავრებთან: ისპანიის მეფესთან, ნეაპოლის მეფის მაგიერთან, ფლორენციის დუკასთან, უნგარეთის და ბოჰემიის მეფესთან, პოლონეთის და შვეიცის მეფესთან და ეგრეთვე საფრანგეთის მეფესთან. გარდა ამისა, პაპმა მისწერა იმ მთავრებთან მყოფ თავის ნუნციებს, ნიკიფორე წარედგინათ მთავრებთან, ვითარცა საქართველოს მეფის ელჩი. რადგან იმ ექვს მეფესთან ნიკიფორეს შესახებ მიწერილი წერილები პაპისა ბევრად არ განირჩევა ერთმანერთში, ამიტომ მარტო ერთს მოვიყვანთ აქ ნიმუშად.

„ქრისტესმიერ ჩვენს ფრიად საყვარელს შვილს ისპანიის კათოლიკე მეფეს ფილიპეს, პაპი ურბანო VIII.

„ქრისტეს მიერ ფრიად საყვარელო, შვილო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა. ჩვენი საყვარელი შვილი ნიკიფორე ერბახი, წმიდა ბასილის წესის მონაზონი, საქართველოს მეფის ელჩი, როგორც თქვენის წერილიდგან მტკიცდება, ღირსია ქრისტიანე მეფეთა მფარველობისა. როდესაც რომაში იყო საქართველოს მეფისა და სარწმუნოების საქმის გამო, რაოდნათაც შემეძლო, მწყემსებრივი მზრუნველობა და მამობრივი სიყვარული გამოვუცხადეთ. ახლა ბრუნდება თავისს ქვეყანაში და ჩვენ ჩვენის მოციქულებრივის წერილით ვავედრებთ ყველა მთავრებს, რომლების პროვინციებშიაც უნდა გაიაროს. ჩვენ არ ვინებეთ აქიდგან ისე გაგვესტუმრებინა, რომ ჩვენი მღვდელთმთავრული გულკეთილობა არ გამოგვეცხადებინა ამ პირისათვის, რომელსაც თქვენმა დიდებულებამ მოუწონა და ურჩია ეს კეთილი და დიდი მგზავრობა. რომით 18 ნოემბერს 1628, მღვდელთ მთავრობის მეექვსე წელსა“. (1).

რომიდგან წასვლის დროს, პროპაგანდამ ნიკიფორეს გადასცა პაპის წიგნი თეიმურაზთან შემდეგი წერილითურთ:

„ნიკოლოზ ერბახს, წმიდა ბასილის მონაზონს.

„ამასთან მიიღებთ პაპის წერილს პასუხად ივერიის მეფის წიგნისა, რომელიც თქვენ მოუტანეთ მის უწმიდესობას. მაშ კეთილ-ინებეთ და

წარუდგინეთ მის ხელმწიფებას და შემდგომ მოილაპარაკეთ მასთან, პროპაგანდის შესახებ, როგორათაც მოხსენებულია წერილში და თავის დროზედ პროპაგანდას მოსწერეთ ყველაფერი დაწვრილებით იმის შესახებ, რასაც აღასრულებთ თანახმათ ზემოხსენებული წერილისა. რომით, 9 ოქტომბერს, 1628 წ." (2)

პაპის მიწერილობის თანახმად ნუნციებმა ყველგან დიდი პატივით მიიღეს ნიკიფორე და წარადგინეს მთავრებთან, რომლებიც არა ვითარ პატივს ზოგავდენ მისთვის. ფლორენციაში ტოსკანიის დუკამან დიდის პატივით მიიღო ნიკიფორე, დიდი ხარჯი გაუწია და წასვლის დროს თავისი შეკაზმული ძვირფასი ცხენიც აჩუქა, რათა უფრო ადვილად ემგზავრა. იქიდგან გერმანიას წავიდა. ამის შემდგომ აღარ ვუწყით მისი ამბავი, ვიდრე საქართველოში დაბრუნებამდე აგვისტოს თვეში 1623 წ. ევროპაში მგზავრობის დროს თეათინის წესის მღვდლები დიდად ეწეოდენ ნიკიფორეს. სადაც კი სახლი ჰქონდათ, ყველგან დიდის პატივით მიიღეს და აღმოუჩინეს ყოველგვარი შემწეობა. რომაში ხომ სულ თავიანთ მონასტერში ჰყავდათ და დიდის პატივისცემით ეპყრობოდენ.

თეიმურაზთან ნიკიფორეს ხელით გაგზავნილი პასუხი შემდეგის შინაარსის არის.

„პაპი ურბანო მერვე. საყვარელს შვილს, საქართველოს მეფეს, თეიმურაზ ხანს.

„უუძლიერესო მეფევ, მშვიდობა და ღვთის წყალობის ნათელი.

„ქვეყნიერ მთავრობათა, რომელნიც საუკუნო მეფის მოხარკენი არიან, სუსტი საფუძველი აქვსთ, უკეთუ არ არიან დამყარებულნი იმ შეურყეველ კლდეზე, რომელსაც ვერ სძლევენ ბჭენი ჯოჯოხეთისანი, როგორადაც დაამტკიცა ყოვლად ძრიელმა უფალმან. ამიტომ ქრისტიანე ხელმწიფენი, რომელთაც კარგად იციან საუკუნო ცხოვრების მეცნიერება და ამ ზეციერის მეცნიერებით ჰმართვენ თავიანთ სამეფოს, გამარჯვებით დაგვირგვინებულნი მოდიან რომის მღვდელთ მთავრის მოციქულებრივ ფერხთა. სამთხვევლად და უცხადებენ თავიანთ შვილობრივს მორჩილებას. ძალნი ზეცისანი ამხედრებულან ახალის მთავრობის დასაცველად, ვინადგან თქვენს ხელმწიფებას აწ სურს ჩარიცხოს თავი კათოლიკე მეფეთა კრებაში. ჭეშმარიტად ღვთიური სახიერება ევლინება საქართველოს და ამისი ცხადი ნიშანიც ის არის, რომ ამ ბოლო დროს, ვითარცა მფარველნი ანგელოზნი, მოგვევლინათ მოძღვარნი და მოგიტანეს საუკუნო სიბრძნის რჩევანი. ღმერთი, რომელიც გაბნეულ ისრაელს შეჰკრებს და გაჰკურნებს ყველა ტომთა, აღარასოდეს მოგაკლებსთ თავისს მოწყალებას. ამიტომ ჩვენც მამობრივის სიყვარულით მივიღეთ საყვარელი შვილი წმიდა ბასილის მონაზონი ნიკიფორე ერბახი, რომელიც თქვენის წერი-

ლით მოგვივლინეთ თქვენ მოწმად და თქვენის პირობის თავდებად. ხოლო აწ სიმდაბლით ვევედრებით ღმერთსა, რომლის ხელთა არის გული მეფეთა, რათა სანატრელი დასასრული მოსცეს თქვენის უმაღლესობის კეთილს განზრახვას, რაოდნათაც შეიძლება, მალე შეხვიდეთ რომის დედა ეკკლესიის წიაღსა მოვლენილის ანგელოზების წინამძღვრობით. გვნებავს თქვენი ახსნა ყოველის საეკლესიო დაბრკოლებისგან და ეგრეთვე ზიარგყოთ ეკკლესიის ყოველი შენდობისა, ვითარცა მოზიარენი არიან ხოლმე ყველანი შეერთებულნი საიდუმლოებით წმიდა პეტრეს მოსაყდრე პაპებთან. ამ სულიერ წყალობას განიჭებთ ხელითა ჩვენის პატივცემულის ძმის მირის ეპისკოპოსისათა, რომელიც აწ უნდა დამკვიდრდეს ნახჩევანის ეპარქიაში. უკეთუ ვერ მოვიდა, მაშინ მის მაგიერობას გასწევენ თეატინელი წესის მღვდლები, რომლებიც უკვე წარმოვგზავნეთ თქვენს ქვეყანაში სახარების საქადაგებლად. თუ, ვინიცობაა, ამ ღვდლებმაც თქვენამდე ვერ მოაწიეს სხვა და სხვა დაბრკოლებათა გამო, მაშინ განკარგულებას მოვახდენთ, რომ სპარსეთიდგან მოვიდენ ავგისტინიანის წესისა, ანუ კარმელიტანების მონაზონები, რომელების საშუალებითაც ჩაითვლებით ღვთის რჩეულ შვილთა რიცხვში. როდესაც მათ წინაშე, ჩვეულებისამებრ, კათოლიკე სარწმუნოებას აღიარებთ და თქვენ მიერ გამოცხადებულის მორჩილების მოწმობას ჩვენდამი წარმოგზავნით, მაშინ, მოციქულებრივის ძალით, რომლითაც ყოველის შემძლებელი მეფეთა მსაჯული სამეფოთა სცვლის და ამტკიცებს, ჩვენის მღვდელთ მთავრულის კურთხევით და დიდებით დაგამტკიცებთ მეფედ. ეგრეთვე ვეცდებით დაგიმეგობროთ ძმურის სიყვარულით ქრისტიანე ხელმწიფენი და მეტადრე ისპანიის მეფე, რომლის მეგობრობასაც ნატრობთ. პროპაგანდის კარდინალთა კრებამ თვით ნიკიფორეს აუწყა, რაც უმთავრესად თქვენის დიდებულებისაგან მოითხოვება და რასაც რომა მოელის თქვენგან. მიუცილებლად საჭიროა იგულმოდგინოთ და იზრუნოთ, რათა ეპისკოპოსთა და მღვდელთა, რომლებიც საქართველოში ერს უვლიან სულიერად, იარონ ერთად უფლის სახლში და თქვენთან ერთად სცნონ პეტრე მოციქულის უპირატესობა და პატივი სცენ ეკკლესიის ხილულ თავს, რომელიც ზის რომის საყდარსა. ჩვენ ამის უკეთეს საშუალებას არას ვხედავთ საქართველოში მშვიდობის დასამყარებლად და არც ამის უსაჭიროესს, რომ მიიღოთ ზეციური მფარველობა. ჩვენის მღვდელთ მთავრულის უფლების დიდებად ჩვენის სამწყსოს ცხონება მიგვაჩნია; ამიტომ დიდად მოხარული და გამარჯვებული ვიქნებით და ნიადაგ ვაქებ-ვადიდებთ ზეციერ მამას, თუ გვეღირსა შეტკბობა და შეთვისება მოციქულებრივის სიყვარულისა თქვენებრ დიდებით და სიმხნით განთქმულის მეფისა; მაშინ შევამკობთ ყოველის სუ-

ლიერი სიკეთით, რომელსაც კათოლიკე მეფენი საქმით მფლობელობის სახელზე უფრო მეტად აფასებენ. რომით, 2 დეკემბერს 1628." (1) შემდეგში ვნახავთ, რომ თეიმურაზ მეფემ პაპის წერილს საკმაოდ ყურადღება მიაქცია.

აწ დავუბრუნდეთ თეატინელების მგზავრობის ამბავს.

1626 წ. დეკემბერში, ორი მისიონერი სიცილიიდგან აღმოსავლეთის გზას გაუდგნენ; მესამე იქვე დარჩა სნეულობის გამო. გზაში ბევრი ტანჯვა გამოიარეს და ბოლოს კონსტანტინეპოლს მივიდენ მარტის თვეში. იქ საფრანგეთის ელჩმა დიდის პატივით მიიღო მისიონერები. იმ დროს იქვე იმყოფებოდა ერთი ქართველი თავადი, თეიმურაზის ელჩი, სახელად მორამ (მოურავი ანუ მავრო), რომელსაც მეფის მინდობილებანი აღესრულებინა და საქართველოს დაბრუნებას აპირებდა. იმავე დროს სპარსეთსა და ოსმალეთს ომი გაემართნათ, ამისგამო საქართველოს გზებიც ბევრს ადგილას შეკრული იყო. მისიონერებმა, კონსტანტინეპოლში იმ ქართველის ყოფნა რა შეიტყეს, ელჩის რჩევით, დაუახლოვდენ და მასთან ერთად დააპირეს წასვლა საქართველოს. ქართველ ელჩსაც დიდად გაეხარდა მათი ნახვა და დაარწმუნა, თეიმურაზს ძალიან გაეხარდება თქვენი მისვლა და დიდის პატივისცემით მიგიღებსთო. საფრანგეთის ელჩმა ის თავადი რამდენჯერმე მიიწვია თავისთან სადილად, რომ მისიონერები უფრო დაეახლოებინა და დაემეგობრებინა მისთვის.

ოსმალეთის მთავრობამ ხელახლა დაუწყო ბარბაროსულად დევნა მისიონერებს. იმ თეატინელ მღვდლებს ევროპის ხელმწიფეების ჯაშუშობა დასწამა, ამიტომ მაშინვე დააპატიმრა ორივე და დიდი ტანჯვა მიაყენა. მოსამართლეებმა მალე სიკვდილით დასჯაც გადაუწყვიტეს და მათი თავების მოკვეთის დღეც დანიშნეს. მათ გადარჩენას აღარავინ მოელოდა. საფრანგეთის ელჩი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერას გახდა და თავისი სტუმრები სიკვდილისაგან ვერ იხსნა. ერთიღა საშუალება დარჩათ: მიმართეს ერთ ურიას, რომელიც ერთგული მეგობარი იყო იმ მისიონერების მსაჯულ-ვეზირისა, და დაჰპირდენ ბლომად ფულის მიცემას, თუ დაიხსნიდა როგორმე სასიკვდილოდ გამზადებულებს. მართლაც, ურიამ მალე მოინადირა ვეზირი დიდის საჩუქრებით და სიკვდილით აღარ დაასჯევინა მისიონერები. იმ ორი კაცის სიკვდილისაგან დახსნა სამი ათას ოქროდ დაუჯდა საფრანგეთის ელჩს. (1) ვეზირმა სიკვდილით დასჯა აპატია პირობით, რომ ისევ უკან გაბრუნებულიყვნენ*). ამიტომ სექტემბრის 28-ს, იმავე ნავით,

---

*) ამ წერილში ხშირად მოხსენებულია ევროპის უწინდელი სხვა და სხვა ფული, მაგ. Ducato, Zecchino, Scudo, Piastra. ამათი ღირებულობის განსაზღვრა, ანუ შედარება ახლანდელ სახმარ ფულთან შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგან ამ სა-

რომლითაც მოვიდენ, სამივე ისევ უკან გაგზავნეს იტალიაში. მესინაში მობრუნებულ მისიონერებს იმდენმა განსაცდელმა სრულიად არ გაუტეხა გული, არამედ საქართველოს შემწეობის სურვილით აღფრთოვანებულთა სხვა საშუალებას მიმართეს დაბრკოლების დასაძლევად. **1628** წ. იანვრის თვეში, დაადგნენ ჰალეპოს გზას, იქიდგან სპარსეთს წავიდენ, რადგან პირდაპირ საქართველოს შემოსვლა არ შეეძლოთ. სპარსეთიდგან ერევანს მოვიდენ. იქ, სხვათა შორის, ერთი გამაჰმადიანებული სომეხი გადაემტერა მისიონერებს, სხვა და სხვა ცილი დასწამა და საქმე იქამდე მიაწია, რომ მათი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მისიონერები მისი ხელიდგან გადარჩენას სასწაულად სთვლიან. შემდგომ მრავლის შეწუხებისა და განსაცდელისა, როგორც იყო, მოვიდენ გორს, 14 დეკემბერს **1628** წ.

ამ მგზავრობისათვის სიტყვა ასე იმიტომ გაგვიგრძელდა, რომ გვინდოდა მკითხველთათვის გვეჩვენებინა, თუ ამ საუკუნეშიაც რაოდენ შეწუხებას ითმენდენ მისიონერები ოსმალების ხელში. აქიდგან შეგვიძლია საკმაოდ ვიგულისხმოთ, თუ რა დიდი უბედურება უნდა გამოევლოთ **XVI** საუკუნეში მისიონერებს, რომელთაც საქართველოსთან მისვლა-მოსვლა ერთიანად შესწყვიტეს. ეს ამბავიც ცხადად ამტკიცებს იმას, რაც მეხუთე თავში ვსთქვით ამის შესახებ.

იმ დროს გორში მოსულ მისიონერებს საქართველო სპარსელებისგან ერთიან გაოხრებული დახვდათ. იქაურობას ჯერ ისევ ეტყობოდა მტრის ცეცხლისა და მახვილის კვალი: მცხოვრებნი აღარსად სჩანდენ, ზოგი გაეწყვიტათ და ზოგიც შორს გადაესახლებინათ; მრთელი შენობა აღარსად დარჩენილიყო, მტერს ყველგან ნაცრად ექცია თლილის ქვის სახლები. საქართველოს ამნაირმა სამწუხარო სურათმა დიდად დაალონა გულდამწვარი მისიონერები.

ხელის ფულებს არც ყოველთვის და არც ყველა სამთავროში ერთი და იგივე ღირებულება ჰქონდათ. გარნა უალაგო არ იქმნება, აქ აღვნიშნოთ ზოგიერთი მათი გასავალი.

რომაული ოქროს ფული ძექინი (**Zecchino**), **1775** წლის შემდგომ, ღირდა **11** ფრანკად და **80** ჩენთეზიმად; ვერცხლის ფული სკუდი (**Scudo**) **5** ფრანკად და **38** ჩენთეზიმად. პიემონტეს პროვინციის ძექინი **1755** წლის შემდგომ ღირდა **11** ფრანკად და **94** ჩენთეზიმად; სკუდი **7** ფრანკად და **5** ჩენთეზიმად. ტოსკანიის პროვინციის ძექინი ფასობდა **11** ფრანკს და **2** ჩენთეზიმს, სკუდი **5** ფრანკს და **54** ჩენთეზიმს. ვენეციის ძექინი ღირდა **12** ფრანკად და სკუდი **6** ფრანკად და **66** ჩენთეზიმად. ოსმალეთის ორმოც ფარიანი პიასტრი, ანუ ყურუში, წინათ ღირდა **2** ფრან.; **1811** წელს მისი ფასი ჩამოვიდა **83** ჩენთეზიმზე; ხოლო **1818** წ. **79** ჩენთ., ახლა კი ღირს **27** ჩენთ. ყურუში, ჩვენებურად მარჩილი, უწინ უდრიდა სამ აბაზს. სპარსეთის თუმანი ღირდა **29** ფრან. და **64** ჩენთ. ხოლო აბაზი **97** ჩენთეზიმად.

მისიონერების გორში მოსვლის დროს თეიმურაზ მეფე თავისი ამალით გორის გარედ სოფლად იმყოფებოდა. აღმოსავლეთის ჩვეულებისამებრ, სანამ მეფეს ნახავდენ, გაუგზავნეს საჩუქრები: ხატები, კრიალოსნები და სხვა მსგავსი ევროპული ნივთები. თუმცა ძვირფასი არ იყო მათი ძღვენი, გარნა მეფეს ძრიელ სასიამოვნოდ დაურჩა. შემდგომ წარსდგნენ მეფის წინაშე, რომელმაც მშვენიერ ტახტზე მჯდომარემ, ყველა თავის დიდებულთა თანადასწრებით, მიიღო დიდის პატივით ისინი. რადგან კონსტანტინეპოლსა და ჰალეპოში შეესწავლა თათრული პატრი იაკობს, წარდგომისთანვე თათრულად მოახსენა ესრედ: „დიდ სულოვანო და დაუძლეველო მეფევ, რაოდნათაც დიდათ შევსწუხდით რომის პაპთან ერთად შევიტყეთ რა ყოველი უბედურება, რომელიც დაატყდა თავს თქვენს დიდებულებას და თქვენს ქრისტიანე სამეფოს, უგოდხნათ ახლა უფრო მოხარული ვართ, რომ განვლო იმ საშინელმა დრომა, გამობრწყინდა სიმშვიდე და ღვთის მოწყალებით კვალად დაეპატრონეთ თქვენს დაკარგულს სამეფოს!! მართალია, დიდს განსაცდელში შთავარდით, გარნა გამოიჩინეთ დიდი სიმხნე და ხასიათის სიმტკიცე; ესეთი თქვენი თვისება ღირსია ქებისა და დიდებისა; გარნა ყოველი დიდება უნდა მიეგოს ღვთის ძრიელ მკლავსა, რომელმაც თქვენ მოგცათ ძალა და გაგამხნევათ. ნუნციოდ წარმოგზავნილი ვართ თქვენის დიდებულებისადმი რომის პაპისგან, რომელმაც მოგვანდო მას შვილად გცნოთ და თქვენგან მოვიპოვოთ ეს წყალობა და უფლება, რომ უშიშრად დავრჩეთ თქვენს სამეფოში და ვიქადაგოთ კათოლიკე სარწმუნოება. აქ განძის საძებნელად და გასამდიდრებლად არა გვლებივართ; ჩვენი ფიქრი, ჩვენი საუნჯე და ჩვენი მიზანი არის მხოლოდ ზრუნვა ხალხის ცხონებისათვის; ღვთის შემწეობით იმედი გვაქვს ჩვენს საწადელს ვეწიოთ, თუ თქვენც თქვენის ძრიელი მფარველობით და გულკეთილობით შეგვეწევით". (1) შემდგომ მიართვეს მეფეს პაპის წიგნი, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ. წიგნი იქ მყოფმა ბერძნის მღვდელ-მონაზონებმა, რომელნიც იმ დროს გორში ბლომად იყვნენ, ბერძნულად სთარგმნეს და შემდგომ მეფეს ქართულად წაუკითხა ერთმა ბერძენმა. ამან წიგნის ზოგიერთი აზრი გადაუსხვაფერა. მისიონერებმა რა შენიშნეს, თარჯიმნის ნებსით შეცდომა გაასწორეს. მაშინ კრძალვისა და პატივის გამოსაცხადებლად მეფემ პაპის წიგნი თავზე დაიდო; პატრებსაც ყველა ნაირი შემწეობას დაჰპირდა. მაშინვე არ გამოისტუმრა გორსა, შემდეგ რამდენსამე დღეს თავისთან დაიჭირა, ხშირად თავის სუფრაზედ მიიწვევდა და რაც შეეძლო პატივს სცემდა მათ. ხშირად ემუსაიფებოდა თუ ევროპის საქმეთა შესახებ და თუ სულიერ საგნებზე. მისიონერებმა თავისი ძალიან შეაყვარეს მეფეს, განსაკუთრებით პატრმა იაკობმა. იმავე დროს მეფესთან, სხვა დიდე-

ბულთა შორის, საქართველოს კათალიკოსი და ალავერდელი მიტროპოლიტიც იყვნენ. კათალიკოსი ძრიელ თანაუგრძნობდა მისიონერებს, მაგრამ ალავერდელი კი იმდენათ არა. ალავერდელი თუმცა აღიარებდა, რომ პაპი იყო ყველა კათოლიკეზის თავი, მაგრამ ბერძნები უფრო მიაჩნდა, რადგან მთაწმიდაში მათთან იყო აღზრდილი და ნასწავლი: მაინც წინააღმდეგი არ იყო იმისი, რომ მისიონერები გორში დარჩენილიყვნენ. როდესაც სამეგრელოს შესახებ ვილაპარაკებთ, ვნახავთ, რომ იქ მისული ესევე ალავერდელი შეიქმნება მხურვალე კათოლიკე და დიდად შეეწევა მისიონერებს.

რავდენისამე დღის უკან, თეიმურაზმა მისიონერები გორს გამოისტუმრა, მისცა მათ ერთი სახლი და ერთიც პატარა ეკკლესია. სპარსელების ომისგან დიდათ დაზიანებული. მისიონერებმა სახლიც და ეკკლესიაც შეაკეთეს და იქვე დაბინავდენ.

მისიონერები თავიანთ პირველ წერილებში თეიმურაზის შესახებ მოგვითხრობენ: თეიმურაზი 50 წლისა იქმნება (1929 წ.), ძრიელ მშვენიერი შეხედულობისა და თეთრ-წითური, დიდრონი თვალები და ხურათი ცხვირი აქვს; საშუალოზე უფრო მაღალი ტანისაა; კარგად იცის ქართული, თათრული და სპარსული, რა ენებსაც მჭევრმეტყველად ლაპარაკობს; მეტად ნაზი და ქცევაში თავაზიანია; საუკეთესო პოეტია, რადგან შეადგინა ისტორია იოსებისა (Ziosefo); ყველა საქმეში ძრიელ ნიჭიერია და ომში მარჯვე. მისთვის რომ ბედს არ ეღალატნა, უპირველეს სარდლად უნდა შერაცხულიყო.

როდესაც შეურიგდა სპარსეთის მეფეს, სთხოვა გაეგზავნა მისთვის ქეთევან დედოფლის გვამი რომელიც დიდის პატივით ინახებოდა ისპაჰანს ავგისტინიანთ მონაზონების მონასტერში. იმ მონაზონებმა რა შეიტყეს თეიმურაზის ესეთი სათხოვარი, 1627 წ. მაშინვე სამნი მონაზონნი წამოვიდენ საქართველოს, რა წამოიღეს თან ნაწილი ქეთევანისა, მაგრამ გზაში დასნეულდენ და ერთი ამხანაგიც მოუკვდათ. ამის გამო ისევ უკან გაბრუნდენ. მეორედ კიდევ სცადეს მგზავრობა, მაგრამ კვალად დასნეულდენ გზაში. ხოლო მესამედ რო დაადგნენ ორნი გზას, დიდის შეწუხების შემდგომ, თეათინელების ჩამოსვლის ცოტა წინეთ, 1628 წლის ივნისის პირველს, გორში მოვიდენ წმიდა ავგისტინეს წესის მონაზონნი პატრი ამბროზიო და ძმა პეტრე, რა თან მოიტანეს ქეთევან დედოფლის ნაწილი. თეიმურაზმა დიდის პატივით მიიღო პატრი ამბროზიო, თავის სასახლეში დააყენა, თავის დიდებულებითურთ მის წირვას დიდის მოწიწებით დაესწრო. რა შეიტყო, იმ პატრს თან მოეტანა დედის მისის ნაწილი, დიდათ გაეხარდა და თვითვე ახარა დედოფალს ეს ამბავი. პატრი ამბროზიომ მესამე დღეს დასასრულ წირვ-

ვისა, რომელსაც დაესწრნენ მეფე-დედოფალთან ერთად ყველა დიდებულნი, სპარსულად სიტყვა წარმოსთქვა და ბოლოს ჩააბარა წმიდა ნაწილი თეიმურაზს. მეფემან დიდის პატივით, სასოებით და გულ მხურვალებით მიიღო თავისი დედის ძვირფასი ნაშთი, ჩაასვენა ძვირფას კუბოში და შემდგომ დიდის ამბით წაასვენეს სამიტროპოლიტო ეკკლესიაში, სადაც ასაფლავიან მეფენი და შესაფერს ადგილს დაასვენეს. მეფემა და დედოფალმა დიდი მადლობა გადაუხადეს პატრი ამბროზიოს და უთხრეს, მზად ვართ, რაც გინდა, გვთხოვე და აგისრულებთო. პატრი ამბროზიომ მხოლოდ ესა სთხოვა, გორში ერთი ადგილი გვიბოძეთ, სადაც შეგვეძლოს დადგომა და თქვენთვის და თქვენთა ქვეშევრდომთათვის სამსახურიო. მეფემ დიდის სიამოვნებით შეიწყნარა თხოვნა და უბოძა ის ადგილი, რომელიც თვით პატრმა აირჩია, ეგრეთვე მისცა რავდენიმე სოფელი და ყმა. პატრი ამბროზიომ მაშინვე დროებით პატარა სახლი და ეკკლესია გაიკეთა. შემდგომ ინდოეთს გაგზავნა თავისი ამხანაგი მორჩილი ძმა პეტრე, რომელმაც მალე მოიტანა საჭირო ფული; იმითი მალეააშენეს ეკკლესია, რომელიც საქართველოში ერთ საუკეთესო ეკკლესიად ითვლებოდა, დიდი ხალხი დაიარებოდა თურმე იმ ეკკლესიაში და კვირა-უქმეეობით თვით მეფეც ხშირად ესწრებოდა წირვას თავისი დიდებულებითურთ.

ცალკე წერილში ვაპირებთ, მოვიყვანოთ პატრი ამბროზიოს დანარჩენი მოხსენება ქეთევან დედოფლის წამებისათვის.

თეატინელები გორში დაბინავდენ თუ არა, მაშინვე დაიწყეს ქართულის ენის შესწავლა და ხალხში მკურნალობა; იმ დროს ექიმობა საქართველოში უდიდეს სიჭიროებას შეადგენდა, თუ იმიტომ, რომ აქ მკურნალები აღარ მოიპოებოდენ, რადგან ყველა სპარსეთს გადაესახლებინათ და თუ კიდევ იმიტომ, რომ შაჰ-აბაზის მიერ მიყენებული ეგოდენი უბედურება საქართველოში ხშირად აჩენდა სხვა და სხვა სნეულებას, ამ გარემოების გამო დიდძალმა ხალხმა მიმართა ახლად მოსულ მისიონერებს სნეულები აგან გასაკურნებლად. მისიონერებმა ისე გაითქვეს სახელი, რომ შორი ადგილებიდგანაც ჩამოჰყავდათ გორს სნეულები საწამლებლად. მათმა თავგანწირულებამ, უანგარობამ და გულკეთილობამ მალე გახადა იგინი ხალხის საყვარელი და რომიდგან მოსულ კი არა, ზეციდგან ჩამოსულ ღვთის კაცებს ეძახდენ.

თეიმურაზმა რომ გაიგო, მისიონერები ასეთი სახელ განთქმული მკურნალებიც არიანო, მიუწოდა თავისთან, რათა განეკურნებინათ მისი მეუღლე, დარეჯან დედოფალი, რომლის მორჩენაზე სპარსეთის გამოჩენილ ექიმებს სულ ხელი აელოთ. რა მიიწვია, ცრემლის ღვრით შეეხვეწა, თქვენის ცოდნითა და ლოცვით განკურნეთ ჩემი ძვირფასი მეუღლე, მის უკე-

თესი ქვეყანაზე არავინ გამაჩნიაო. იმათ ჯერ თვითონ ილოცეს და მერმე დედოფალს ურჩიეს, წამლებზედ უფრო ღვთის იმედი ჰქონოდა. შემდეგ მისცეს მსუბუქი წამლები, რომელიც არც მავნებელი და არც მარგებელი იყო. დედოფალი მალე მთლად განიკურნა. მისი ასე ჩქარა და მთლად განკურნება ყველამ სასწაულად მიიჩნია. რა იხილა თეიმურაზმა მეტის სიხარულით აღარ იცოდა, რა ექმნა. ერთს თავის მოხსენებაში, პატრი ლამბერტს მოჰყავს თეიმურაზის მიერ იმ შემთხვევაში ნათქვამი სიტყვები: „ახლა დიდ მადლობას ვწირავ ღვთის სახიერებას, რომ მომივლინა ჩემს სამეფოში ორი კაცი, რომლებიც, მსგავსად წმიდა კოზმასა და დამიანესი, ჰკურნებენ ყოველთა სნეულებათა“. (1).

დედოფლის განკურნებამ ძალზე გაუთქვა სახელი პატრებსა და მათს ეკკლესიას დიდძალი ხალხი აწყდებოდა. ერს ხორციელად კურნებასთან ერთად სულიერად კურნებაც დაუწყეს. მოსულს ერს ეკკლესიაში უქადაგებდენ, ასწავლიდენ საქრისტიანო მოძღვრებას და ეგრეთვე გულში უნერგავდენ პაპისადმი მორჩილებას. ხალხიც დიდის გულმოდგინებით უსმენდა მათ ყოველ დარიგებასა და მოძღვრებას სასულიერო საგნებშიაც. ხალხს ძრიელ შეაყვარეს თავი, რადგან თავიანთ ნათქვამს თავიანთის საქმით და კეთილის ცხოვრებით უმტკიცებდენ. ესეთი მათი ქცევა იქ მყოფმა ბერძნის მონაზონებმა ველარ აიტანეს და მტრობა დაუწყეს; არა მარტო ხალხში, არამედ თვით მეფის სახლშიაც დაიწყეს მათზე ძვირის ლაპარაკი, ნაირ ნაირი ცილი დასწამეს რომის პაპს და ყველა ლათინებს, რათა თუ მეფისა და თუ ხალხისათვის შეეძულებინათ, ისინი და გაედევნინებინათ საქართველოდგან. მათს ამგვარს მტრულს ქცევას მთაწმიდას ბერძნებთან გაზრდილი ხსენებული ალავერდელი თანაუგრძნობდა. იმასთანვე იყო ერთი ბერძნის მონაზონი ფილიპე, რომელმაც სხვებზე უფრო მომეტებულად თავი იჩინა პაპისთვის ძვირის ლაპარაკით. მისიონერებმა ესეთი შეურაცხყოფა ველარ აიტანეს და რავდენიმე ქართველი ეპისკოპოსის წინაშე ბერძნებს დაუწყეს ბჭობა და ხსენებული ბერძენი ფილიპე ისე გაამტყუნეს, რომ გაბრაზებულმა პასუხი რა ველარ მისცა, მივარდა ჯოხით და მით თავ-პირი უნდა დაემტვრია პატრი პეტრე ავიტაბილესთვის. ამან ნაცვლად წინააღმდეგობისა, დაუჩოქა, თავი მოუდრიკა და უთხრა: შეცხოვარი ესე გვიბრძანებსო. მაშინ ბერძენი ძრიელ შერცხვენილი განშორდა იქიდგან. ყველა დამსწრეთ დიდად გაუკვირდათ ბერძნის ესეთი საქციელი და მასთანვე მეტად აქეს პატრი პეტრეს მოთმინება და მისი უსაზღვრო სიმდაბლე. ეს ამბავი რა შეიტყო თეიმურაზმა, მაშინვე დაიბარა ბერძენი ფილიპე, დიდად უსაყვედურა და მასთანვე სასტიკად აუკრძალა, რომ იმიერიდგან არასოდეს არც პაპისა და არც ჩემის კეთილის მყოფელის და საყვარელის პატრებისთვის რაიმე ცუდი არ წამოგცდესო.

1629 წ. აგვისტოს 14-ს მობრუნდა ევროპიდგან თეიმურაზის ელჩი ნიკიფორე და მიართვა მეფეს ზემოდ მოყვანილი პაპის წერილი. იმის მოსვლამ ძრიელ გაახარა მისიონერები და მათი მისიონის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი, რადგან მოვიდა თუ არა, მიუთხრა მეფეს ის უზომო პატივისცემა, რომელიც მიიღო ევროპაში თეათინელი წესის მღვდლებისგან. შეიტყო თუ არა თეიმურაზმა, მაშინვე მისიონერებს ბოდიში მოსთხოვა, ვწუხვარ, რომ თქვენი ვინაობა აქამდე არ ვიცოდი და ვერ მოგეპყარით იმ პატივით, როგორისაც ღირსნი იყავით; მასთანვე ბრძანება გასცა, რომ ამას იქით მათთვის ულუფა ეძლიათ. მასთან ფულითაც კარგად შეეწია. ფული მისიონერებმა ეკკლესიის შემკობას მოახმარეს.

რა ნახა ერმა მეფის ესეთი მიდრეკილება კათოლიკობისადმი და მისიონრებისთვის მფარველობა, დაუყოვნებლივ მას მიბაძვა დაუწყო. ხალხმა დაუბრკოლებლად დაიწყო უკლებლივ მათ ეკკლესიაში სიარული; გულმოდგინებით უსმენდა მათ მოძღვრებას და მისდევდა მათ სწავლასა და დარიგებას. ამას არ კმარობდენ; ბევრი მათგანი, რაოდნათაც კი შეეძლოთ, ნივთიერადაც ეწეოდა მისიონერებს. იმდენი ხალხი ეტანებოდა მისიონერებს, რომ, თუმცა იგინი დღე და ღამ შრომობდენ მათი სულიერისა და ხორციელის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მაინც ვერ ასდიოდენ. ამის გამო იძულებული გახდენ, სხვა ახალი მისიონერები დაებარებინათ რომიდგან. ამის თაობაზე რომას პირველი წიგნი გაგზავნა პატრი პეტრე ავიტაბილემა და აუწერა, ხალხი რა სიყვარულით ეკიდებოდა მათ, აუწყა ეგრეთვე მისიონის საინტერესო ამბები. სამწუხაროდ, თეათინელების ეს პირველი და საინტერესო წიგნი ჯერჯერობით ველარსად ვპოვეთ. ხოლო მისი შინაარსი მოკლედ მოყვანილია ჩვენ მიერ ზემოდ დასახელებულ ნილოსის ისტორიაში. რა ნახა პატრი ავიტაბილემ, რომ მუდამ დღე მატულობდა მორწმუნეთა რიცხვი და სტოვებდენ ბერძნის სარწმუნოებას და უერთდებოდენ რომის ეკკლესიის წესსა და დოგმებს, სიჭიროდ სცნო მიეწერა რომას, რათა გამოეგზავნათ სხვა ახალი მისიონერები, რადგან შესამუშავებული ვენახი ძრიელ დიდი და ნაყოფიერი იყო. ეგრეთვე აუწყა მეფის გულუხვობის საქმე, მისი უზომო მფარველობა, რაც იყო უმთავრესი მიზეზი კეთილის ნაყოფისა, რომელიც გამოიღო მათმა ქართველთა შორის მოღვაწეობამ; ეგრეთვე მოახსენა, რომ მთელ სამეფოში სრული თავის უფლება ჰქონდათ ქადაგებისა, და საცა მიდიოდენ, ყველგან ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მათ, უსმენდა გულმოდგინებით მათ დარიგებას და დიდ სურვილს აცხადებდა რომის ეკკლესიასთან შეერთებისათვის. ამ ამბავმა დიდად გაახარა თვით პაპიცა და პროპაგანდის კარდინალებიც.

ნიკიფორეს თუ წერილით და თუ პირად ბევრი რამ დააბარეს შესახებ კათოლიკე სარწმუნოების გავრცელებისა საქართველოში. ესეც შეჰპირდა ერთგულად ეშრომა ერთობის დასამყარებლად. რა მობრუნდა, მაშინვე შეუდგა თავის დაპირებათა აღსრულებას. გარნა, სამწუხაროდ, ზედ მიწევნით არ ვიცით, თუ რა იმოქმედა დაბრუნებულმა კათოლიკობის სასარგებლოდ, რადგან მისი პირველი რომას მიწერილი წიგნიც დაკარგულია ისე, როგორც მისიონერების პირველი წიგნები. ის კი ცხადია, რომ მისიონერები მუდამ მისი მადრიელნი იყვნენ. ეგრეთვე რომა კმაყოფილებას უცხადებს ყოველის სამსახურისათვის, რაც იმან პირველშივე მიაგო მათ და რაც რომაში აცნობა თავისი წერილით. პროპაგანდაც მას პასუხად სწერს:

„მამა ნიკოლოზ ერბახს.

„თქვენი სეკრეტარიან, ოკტომბრის 22-ს, მოწერილი წიგნი განიხილეს კარდინალებმა პროპაგანდის კრებაში, რომელსაც დაესწრო მათი უწმიდესობაც. პაპმა და კარდინალებმა დიდად განიხარეს, რომ მანდ მშვიდობით ჩასულხართ; ეგრეთვე განიხარეს, რა სცნეს თქვენი მოღვაწეობა მაგ მეფისა და მისი მინისტრების წინაშე მათ სულთა ცხონებისათვის, თქვენმა ღვაწლმა სავსებით გაამართლა ის მოლოდინი, რომელიც ამათ ჰქონდათ თქვენ შესახებ. ამიტომ საჭიროა არ დასცხრეთ და იმავე გულმოდგინებით იშრომოთ, ვიდრე შეერთების საქმე დასრულდებოდეს ისე, როგორათაც ნატრობს მათი უწმიდესობა და პროპაგანდა ღვთის სადიდებლად და მთელის იმ ერის საცხონებლად. ამიტომ ღმერთს ევედრებიან თქვენთვის, რათა მოგანიჭოსთ წყალობა თვისი. დარწმუნებული იყავით, რომ თქვენის კეთილის შრომისათვის ზეცას მიიღებთ დიდ სასყიდელსა. რომით, 1 ივნისისა, 1630". (1)

პაპი თავისს წერილში, რომელიც ნიკიფორეს გამოატანა, სთხოვდა თეიმურაზს, კათოლიკე სარწმუნოება დიდი ამბით საქვეყნოდ აღიარებინა და მასთანვე ცდილი იყო, რომ მისი სამეფოს ეპისკოპოსები, მღვდლები და ერიც მის მაგალითს შესდგომოდნენ. როდესაც ამას სწერდა პაპი, ჯერ დაწვრილებით არ იცოდა საქართველოს ყოველი გარემოება, თორემ ამას იგი ასე ჩქარა არ მოსთხოვდა. პაპის თხოვნამ თეიმურაზ დიდად დააფიქრა და ბოლოს, ვეღარ გაბედა ყველაფრის ცხადათ შესრულება იმიტომ კი არა, ვითომ თვით არა სურდა, არამედ სხვა და სხვა გარემოების გამო, რომელიც იძულებულ ჰყოფდა, ასეთ საქმეში ძრიელ ფრთხილად მოქცეულიყო. ასეთი გარემოება, სხვათა შორის, შემდეგი იყო: ჯერ იგი თავისს ტახტზე კარგად გამაგრებული არ იყო; თუმცა თავადები მორჩილებდნენ, მაგრამ მათ შორის კიდევ მოიპოვებოდნენ ძრიელნი და გავლენიანი პირნი, რომელნიც მისი კმაყოფილი არ იყ-

ვნენ და ეძებდენ რაიმე მიზეზსა, რათა თავიანთი განდგომილების დროშა აემართათ. იმავე დროს, როგორც ზემოთ ვსთქვით, ბერძნების მღვდელ-მონაზონობა დიდძალი იყო მის სამეფოში, ისინი არ იშლიდენ ღვარძლის დათესვას, რათა ხალხი აეღელვებინათ ლათინების წინააღმდეგ. იმათ თანაუგრძნობდა ალავერდელიც, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ყველას წინაშე. თეიმურაზს რომ საქვეყნოდ დაეტოებინა ბერძნის წესი და შესდგომოდა ლათინის წესსა, უეჭველად ბევრს განხეთქილების მიზეზს მისცემდა და არა მარტო სასულიერო საქმეებს შეაფერხებდა, არამედ თვით სამეფო ტახტსაც დიდ განსაცდელში ჩააგდებდაო. თეიმურაზმა ახლა კი სამწუხარო გამოცდილებით იცოდა, თუ რაოდნათ ძვირად დაუჯდებოდა მას რომლისამე თავადის განდგომა და გადამტერება. ამიტომ ძრიელ ფრთხილობდა, რათა ასეთი უბედურების მიზეზი არავისთვის მიეცა. ხოლო იგი ეცადა პაპის მოთხოვნილება სხვა გზით დაეკმაყოფილებინა. ამას პატრი იაკობ იმ დროს რომაში მიწერილის წიგნით ესე აუწერს: „მოიფიქრა ამ ყოვლად ბრძენმა მეფემ, რომ საიდუმლოდ აღასრულოს, რათა თავიდგან აიცილოს ყოველი განხეთქილება და შფოთი. ამის გამო დაადგინა საიდუმლოდ წარმოსთქვას სარწმუნოების სიმბოლო, რათა მით გამოაცხადოს თავისი თავი რომის ეკკლესიის შვილად და ესე მისიონერთათვის მფარველობისა და დახმარების აღმოჩენით ხალხი ნელ-ნელა შეაჩვიოს ლათინურს წესსა, რომ შემდგომ უფრო უშიშრად შეიძლოს საქვეყნოდ კათოლიკე სარწმუნოების აღსარება". (1) ამასთანვე თეიმურაზმა დააპირა თავისი გარდაწყვეტილება რომისათვის ეცნობებინა, რათა იქ ამის ერთგულობაზე ეჭვი არავის შეეტანა. გარნა უძნელდებოდა, თავისი ყოველი აზრი წერილით გამოეცხადებინა, ამიტომ დააპირა ელჩის გაგზავნა, რათა ყველაფერი კარგად აეხსნა. გასაგზავნ ელჩად პატრი პეტრე ავიტაბილეს უკეთესი კაცი ვერვინ ჰპოვა; იმას განუცხადა თავისი აზრი, მიანდო მის მაგივრად გამოეცხადებინა პატივი, მორიდება, მორჩილება და ერთგულება. ეგრეთვე მისცა პაპთან შემდეგი წერილი და გაისტუმრა რომს.

„ჩვენ ბატონს ურბანო მერვეს, უუმაღლესს მწყემსსა.

„თეიმურაზ ხან, ივერიელთა მეფე.

„დიდ მადლობას ვუძღვნით თქვენს უწმიდესობას თქვენის ლოცვაკურთხევისათვის. მივიღეთ თქვენის უწმიდესობის წერილი პატრი პეტრე და პატრი იაკობ თეატინელი მონაზონებისაგან. როგორც იყო ამ ხანებში ესენი მშვიდობით მოვიდენ აქ, ვითარცა სანატრელი იყო. ჩვენც ეს მამები დიდის სიამოვნებით და წმიდა ამბორისყოფით მივიღეთ და მივეცით ყოველი ნაირი პატივი: არ დავზოგეთ არა ვითარი სამსახური, რაც კი მათ ეჭირებოდათ. ეგრეთვე ვუბოძეთ საუკეთესო ადგილი თა-

ვიანთ სადგომად და ერთი ეკკლესიაც, რათა თავის უფლად იყვნენ და ღმერთი ადიდონ დღე და ღამ ღვთის ტაძარში; ყველა ჩვენ ქვეშევრდომთაც ვაცნობეთ ჩვენი სურვილი, რომ გვნებავს ამ მამებმა უშიშრად და თავისუფლად აღასრულონ ღვთის მსახურება თავიანთი სჯულისა და წესისამებრ, რათა ჴრავინ გაბედოს მათი შეურაცხყოფა და რაიმე ვნების მიყენება. მასთანვე ვუბრძანეთ ყველას, რომ მათ მოეპყრან ცრძალვით, გულუხვად ემსახურონ და აღმოუჩინონ შემწეობა, რათა უფრო აღვილად ემსახურონ ღმერთსა და ილოცონ ჩვენთვის.

„რაიცა შეეხება, უნეტარესო მამაო, თქვენს წერილსა, რომლითაც გვითვლით ჩვენის ერითურთ გულმოგინედ და მორჩილებით მოუსმინოთ ამ მამებს მოძღვრება, მტკიცედ და შეურყევლად დავრჩეთ ქრისტეს სარწმუნოებისა და უფლის გზაზედ, ამისა უნდა მოგახსენოთ, რომ ყოვლის მპყრობელ ღმერთს მუდამ ჟამ მადლობას ვწირავთ, რადგან, დიდ კოსტანტინეს დროდგან ვიდრე აქამდე, ქრისტეს სარწმუნოება და მისი სიყვარული ისე შეუცვლელად დავიცვევით, თითქოს ღვთის მიერ ჩვენს გულში ღრმად აღბეჭდილი ყოფილიყოს ის სიყვარული და ის სარწმუნოება. მართალია, ჩვენი სამეფო 1614 წლიდგან ვიდრე 1628 წლამდე ხელში ჩაუვარდათ უწყალო სპარსელებს, რომელთაცა ერთიან მოაოხრეს და ყოველგვარი უბედურება შეამთხვიეს, მაგრამ მაინც კი სარწმუნოება შეურყევლად და მტკიცედ დაიცვა. ჩვენც დიდათ ვმეცადინეთ, რათა არავითარი მწვალებლობის შეცდომილება შემოერეოდა ჩვენს სარწმუნოებას. ეგრეთვე დიდი სასოება გვაქვს ღვთისა, რომ ამავე სარწმუნოებაში მტკიცედ დავრჩეთ და განუხრწნელად დავიცვათ იგი ვიდრე ქვეყნის აღსასრულამდე. ამას ვსასოებთ მეტადრე ახლა, როცა ღვთის წყალობით და თქვენის უწმიდესობის მამობრივის ლოცვა-კურთხევით მშვიდობიანათ ვიმყოფებით ჩვენს სამეფოში. აჰ, ეს ქრისტიანე სარწმუნოება იყო მიზეზი იმისა, რომ ერთხელ დედა ჩვენი წავიდა სპარსეთის შეფესთან სათხოვნელად, რომ ყველა მის ხელში ჩავარდნილ ქართველებს, რომლებსაც სარწმუნოების უარი ეყოთ, შესძლებოდათ თავისუფლად და უშიშრად დაბრუნებულ იყვნენ სამშობლოში და შესდგომოდნენ თავიანთ უწინდელ სარწმუნოებას. მაგრამ, საუბედუროდ, სულ სხვა მოხდა: იმ უსჯულო სპარსელების მეფემ, რა ვერ დასძლია მისი სიმტკიცე და სიყვარული ქრისტეს სიწმიდისა და სარწმუნოებისათვის ჯერ დაატყვევა, შემდგომ თუ ჩემზე და თუ დედაჩემზე გაბრაზებულ-განძვინარებულმა მეფემ და მისმა ულმობელმა ერმა მწარედ დაუწყეს ტანჯვა მას და ასე დატანჯულმა სული განუტევა. ერთი წელიწადია, რაც ისპაჰანიდგან წმიდა ავგუსტინეს წესის ყოვლად პატივცემულმა მამა ამბროზიომ მოგვიტანა მისი გვამის ნაწილები. ამ სიკეთისათვის

ჩვენც უხვად დავასაჩუქრეთ მამა იგი: მივეცით მამული, რათა საცხოვრებლად საკმაო შემოსავალი ჰქონდეს, ეგრეთვე ვუბოძეთ ადგილი, რათა შესაფერი ეკლესია აიშენოს და როგორც სასუფეველის სავანეში, მუდამ ილოცოს ჩვენთვის.

„რაც შეეხება ჩვენის სამეფოს აწმყო მდგომარეობას, ძრიელ სამწუხაროა. თვით ეს თიათინელი მამებიც თვალით ხედვენ თუ ხისა და თუ ქვის შენობათა ნანგრევებსა. ამის შესახებ ყველაფერს თვითვე მოგახსენებენ თქვენს უწმიდესობას. მაგრამ ყველაზე უფრო სატირელ მდგომარეობაში ჩვენი ეკლესიებია, რადგან მტრებმა არა მარტო წაიღეს ძვირფასი წმიდა ჭურჭლები, არამედ ყველა შესამოსლები, სამკაულები და თვით ხატებიც კი წაიღეს და ასე ერთიან გაძარცვეს. ამისგამო დიდად ვევედრებით თქვენს უნეტარესობას, ხსენებულ მამებს უშოვნოთ ყველა ის, რაც ეჭირებათ თავიანთი ეკლესიის საჭიროებისათვის და შესამკობლად, რათა უმეტესის სიადვილით გაეხსნასთ გზა სანატრელის შეერთებისათვის. დასასრულ, უკეთუ ჩვენში თქვენი უწმიდესობისათვის რაიმე სამსახურის მიგება შეგვიძლია, გთხოვთ გვიბრძანოთ და, რაც კი შეგვიძლია, ვეცდებით, ყოველივე მაშინვე აღვასრულოთ, რათა სიკეთისათვის მაგიერი მოგაგოთ. საქართველოთი, 5 იანვარს, 1629 წ.“ (1).

ეს თარიღი შეცდომით უნდა იყოს, ამის ნაცვლად უნდა იყოს 1630 წ., რადგან მისიონერები გორს მოვიდენ 14 დეკემბერს 1628 წ. შეუძლებელია, პატრი პეტრე 20 დღის შემდგომ გაბრუნებულიყო იტალიას. ყოველი გარემოება გვიჩვენებს, რომ პ. პეტრე გაბრუნდა იტალიას, არა მაშინვე, არამედ რავდენისამე ხნის შემდგომ. ლამბერტი მის გორიდგან გაბრუნებას სდებს 3 აგვისტოს 1630 წ. (1). ამის მგსავსი წერილი გაატანა აგრეთვე პროპაგანდისათვის.

იმ წერილთან ზაქარია კათალიკოსმაც გაგზავნა წერილი პაპთან და პროპაგანდასთან. წერილები არ მოგვყავს, რადგან ბევრი არაფრით განსხვავდება თეიმურაზის წერილებისაგან. მათში მხოლოდ შესანიშნავი ის არის, რომ კათალიკოსი პაპს სთხოვს შესამოსლებს და ბარძიმებს საქართველოს გალარიბებულის ეკლესიისათვის.

პატრი პეტრე ავიტაბილე რა ჩავიდა რომას, პაპს ვრცელი მოხსენება წარუდგინა საქართველოს მდგომარეობის შესახებ თუ მოქალაქობრივ, თუ სარწმუნოების მხრივ. ერთი მოხსენება მოყვანილია კლემენტე გალანოს წიგნში, რომელიც აღწერილია სომხის ეკლესიისა და რომის ეკლესიის შეერთების შესახებ. ხოლო პაპს თეიმურაზ მეფისა, სხვათა შორის, ეს მოახსენა:

„1, თეიმურაზის ერთგულება რომის მამამთავრისადმი, ეგოდენია, რომ, როცა შეიტყო თავის სამეფოში მოსვლა მის მიერ წარგზავნილ

მღვდლებისა ერის სულიერად აღზრდისათვის, გამოუთქმელის სიხარულით აღივსო და მიიღო იგინი დიდის პატივით. კათოლიკე სარწმუნოებისადმი თავისი მიდრეკილება იმითი გამოაცხადა, რომ, როდესაც იქ მყოფმა ბერძნებმა რომაელების სახელი გაიგონეს, დაიწყეს შფოთი და უნდოდათ სწრაფად განეძევებინათ მისიონერები მთელი სამეფოდგან, მხნედ დაიფარა პატრები ბერძნებისაგან, ზოგს მათგანს ძრიელ დაემუქრა და ზოგიც დასაჯა; ერთხელ ისე გაცხარდა, რომ ხელი დაიდო ხმალზედ და ამოძრობას უპირებდა, თანაც დაიძახა: მირჩევნია თქვენ ყველა აქ მყოფი ბერძნები ამოგწყვიტოთ, ვიდრე ერთი ამ მონაზონთაგანი გავდევნო ჩემი სამეფოდგანო. ბოლოს იმ ბერძნებს მწვალებლები უწოდა.

„2, მეტად დიდი ნიჭიერი და განსწავლული კაცია; კარგად იცის ძველი და ახალი აღთქმა (საღვთო წერილი), კრებათა და წმიდა მამათა წერილებიც.

„3, ბერძნებს თუმცა წინად მისთვის ერჩიათ, რომ ჩვენთან არ ებჭო სული წმიდის გამომავლობის შესახებ და თან ეთქვათ, რომ ისინი, ესე იგი ჩვენ, ფილოსოფიაში ძრიელ გამოცდილნი არიანო, ამიტომ ადვილად შეუძლიათ მოატყუონ კაცი თავიანთის ფილოსოფიურის ბჭობითა; მაგრამ დიდის სიამოვნებით ბჭობდა ხან ჩვენთან და ხან ბერძნებთან. ერთხელ სთხოვა ბერძნებს, რათა მისთვის განემარტებინათ, ლათინებს სული წმიდის გამომავლობა როგორ სწამთო; როცა განუმარტეს, მაშინ უთხრა: სწორედ მეც ეგრე მწამს და კარგად რომ სცნობდეთ და გესმოდესთ ის, რასაც ასწავლით, დარწმუნებული იყავით, რომ თქვენც ლათინების აზრისა იქნებოდითო.

„4, ლათინებზე მეტად მაღალისა და კაი აზრის არის, მათ სახელს დიდის მოწიწებით ახსენებს ხოლმე და მათ უწოდებს სახარების და ღვთის სამსახურის ერთგულ და ჭეშმარიტ დამცველებს. ხალხს ავედრებს წმიდა საიდუმლოთა ხშირად მიღებას და ყოველდღივ წმიდა წირვას ესწრება. ძრიელ უკვირს, რომ კათოლიკები ისე მტკიცე და თავგანწირულნი არიან ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებისათვის და რომ მზად არიან ამისათვის თავი დასდონ და სისხლი დაღვარონ ხოლმე.

„5, ვინაიდგან დედა მისი იმდენათ კეთილმორწმუნე იყო, რომ სპარსეთის მეფის ბრძანებით, სარწმუნოების გამო სისხლი დაღვარა საკვირველის მხნეობით, ამიტომ დიდი იმედია, ესეც განათლდეს ზეციერის მადლით, რათა დაუტევოს ძველი შეცდომილების გზა და თავისი ერითურთ შეუერთდეს რომის ეკლესიას, იმდენათ უფრო მოსალოდნელია, რომ ღვთის განგებულებით რომაელი მისიონერები მოვიდენ ამის სამთავროში იმ დროს, როდესაც იქაურობა მთლად გავე-

რანებული იყო და როდესაც კაცობრივი სიბრძნე ურჩევდა საქართველოს სხვა სამთავროებში მოსულიყვნენ, ვიდრე მის სამეფოში.

„6, ამ საერთო შეერთების იმედს ისიც გვაძლევს, რომ მისი ერის უმეტესი ნაწილი ძრიელ მიდრეკილია კათოლიკობისა და რომის წესებისადმი, ასე რომ, როდესაც ჩვენს ქადაგებას ისმენენ და წირვა-ლოცვას ესწრებიან, ცრემლ მორეულნი ყურად იღებენ ამ ეკკლესიის წესებს და მისის სიყვარულით აღტაცებულნი არიან“ (1).

მისიონერმა კარდინალებიც ნახა, მათაც მოახსენა ყველაფერი და დაარწმუნა, რომ თეიმურაზ მეფე, დედოფალი, საქართველოს კათალიკოსი და მრავალი ქართველობა რომის ერთგული და მორჩილი არიო. შემდგომ აღჭურვილმა მათის წყალობით პატრი პეტრემ ბევრნაირი საჭირო უფლება და ეგრეთვე ნივთიერი შემწეობაც მოიპოვა. სხვა უფლებათა შორის იმის ნებართვაც გამოიტანა, რომ საქართველოში მისიონერებს ლათინური არა მარტო ლოცვები, არამედ თვით ლათინური წირვაც ქართულს ენით ეთქვათ, ისე როგორც ნახჩევნის სომხის კათოლიკებს ჰქონდათ ნება ლათინურის წესის სომხურის ენით აღსრულებისა.

აქ საჭიროდ ვსთვლით პატრი პეტრეს მგზავრობისათვის სიტყვა ცოტას ხნით შევაჩეროთ და მის ახალ ამხანაგებს ყურადღება მივაქციოთ.

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, მისიონერები მოვიდნენ საქართველოში თუ არა, მალე აცნობეს რომაში მშვიდობით ჩამოსვლა, თეიმურაზის მიერ გარგად მიღება და ერის მიდრეკილება კათალიკობისადმი. როგორც შემდეგი დროის წერილებიდგან სჩანს, მეფეს და კათალიკოსსაც მისიონერებთან ერთად წერილი მიუწერიათ რომაში. ეს პირველი წერილები დაკარულია და ჯერაც მათი კვალისათვის არ მიგვიგნია. ამ პირველის ამბავის მიწერისათანვე გამოითხოვეს სხვა ახალი მისიონერები. პროპაგანდამაც საჩქაროდ მოამზადა ორი მისიონერი იოსებ ჯუდიჩი და არქანჯელო ლამბერტი, რომლებიც 18 ოქტომბერს 1630 წ. წავიდნენ მესინას, რათა იქიდგან დასდგომოდენ აღმოსავლეთის გზას საქართველოში შემოსასვლელად. არც მათი მგზავრობა იცოდა პატრი პეტრემ და არც ამის რომას გაბრუნება იცოდენ იტალიაში, ისე რომ მალთაში შეხვდა პეტრე ავიტაბილე იმ ორ ახალ მისიონერს, რომლებიც ერთმანერთს მალე განშორდენ. რა გამოიარეს არზრუმში, მრავალნი ქართველნი ნახეს, რომლებიც იქ ცხოვრებდენ და რომლებსაც ჰყავდათ თავიანთი ქართველი ეპისკოპოსი აზრუმელად წოდებული (1) *).

---

*) ესევე ლამბერტი ერთ თავისს რომაში მიწერილ წიგნში ამბობს, რომ აზრუმის გარეშე რავდენიმე ქართველების სოფელიაო, რადგან უწინ აზრუმი ქართველთ მეფეებისა ყოფილაო.

ისინი ჩავიდენ გორს 12 მაისისას 1631 წ. მათი მოსვლა ყველასათვის სასიხარულო შეიქმნა. ორი დღის შესვენების შემდგომ ენახულნენ მეფეს, რომელიც იყო საპორწელში (Saporzeli), გორიდგან ერთი დღის სავალზე, სადაც მოელოდა ქუთაისის მეფეს ალექსანდრეს, რომლისათვისაც უნდა მიეთხოვებინა თავისი დაქვრივებული ქალი, ზურაბ ბეგის ნაცოლარი. იქ მეფესთანვე მოსულ იყვნენ, ქორწილზე დასასწრებლად, დიდძალ თავად-აზნაურობას გარდა, ზაქარია კათალიკოსი, ეპისკოპოსები და მონასტრის წინამძღვარნი. მისიონერებმა, ჩვეულებისამებრ, ჯერ მიუგზავნეს მეფეს საჩუქრები: ერთი შვენიერი სამზილიანი საათი, რომელიც ჩარექებსაც რეკდა, რავდენიმე მწვანე და ოქროცურვილი შუშის ჭურჭელი, ოთხი მშვენირი ხატი, საუცხოვო სარკე, რავდენიმე კრიალოსანი და ორი წყვილი ხელთათმანი. მოგზაურს პეტრე დელლავალლესაც გამოეტანებინა თეიმურაზისათვის სათავაზებლად ერთი მშვენიერი წმიდა გიორგის ხატი, აბრეშუმით და ოქროთი შემკული და ერთიც ძვირფასი კრიალოსანი დედოფლისათვის. ეგრეთვე დედოფალსაც მიართვეს სარკე, მოქარგული ხელთათმანები და ბევრი სხვა და სხვა კრიალოსნები. შემდგომ ამისა წარსდგნენ მეფის წინაშე, რომელმაც, დიდებულთა თანადასწრებით, მიიღო დიდის სიხარულით და მადლობა მოახსენა საჩუქრებისათვის; ეგრეთვე დიდათ დაუმადლა, რომ ყოველგვარი შეწუხება გამოიარეს, რათა მის სამეფოში მოსულიყვნენ. მეფემ იგინი მაშინვე სადილად მიიწვია, ყველას თავს დასხა: მარჯვნივ იგინი და მარცხნივ იქ მყოფი ეპისკოპოსები. ეგრეთვე სთხოვა მათ, რომ იქ დარჩენილიყვნენ თავისი ქალის ქორწინებამდე, მაგრამ მათ არ ინებეს და მალე გამობრუნდენ გორს. მეფეს გარდასცეს ორი წერილი ერთი პაპისა და ერთიც პროპაგანდისა. პაპის წიგნი ვერ ვპოვეთ და არც ვიცით, თუ რა იყო მისი შინაარსი. მხოლოდ პროპაგანდის შემდეგი წიგნი გვაქვს ხელში.

„ივერიის, ანუ გიორგიანების მეფეს.

„ჩვენმა წმიდა პაპმა და პროპაგანდის კარდინალებმა, თქვენმიერ გამოცხადებულ გულკეთილ პატივსა და შეწყნარებაში, რომლითაც მიიღეთ მანდ მოსული თეატინელი პატრი პეტრე და მისი ამხანაგნი, სცნეს უწინდელი დიდიხნის სიყვარული, რომელიც ქართველ ერს აქვს წმიდა სამოციქულო საყდრისადმი, და ეგრეთვე ის პატივი, რომელიც აქვს თქვენს ხელმწიფებას ამავე საყდრისა და ხსენებული პრპაგანდის კრებისადმი, ვინაიდგან ასე უფრო იმისთვის მოეპყარით, რათა უმეტესად შესწევნოდით მაგ მოძღვრებს. თქვენი საქციელი უფრო შესანიშნავი იმითია, რომ ეს ჰყავით თქვენის სამეფოს თვით ისეთი არეულ-დარეულობის დროს, როდესაც მოსალოდნელი არც კი იყო, რომ ასეთის

გულკეთილობის თვალი გქონოდათ. პაპმა და პროპაგანდამ რა სცნეს თქვენი მეგობრული საქციელი, დიდათ კმაყოფალი დარჩნენ და პაპმა სამადლობელოდ ინება თქვენთან განსაკუთრებულის წიგნის გამოგზავნა და პროპაგანდამ თქვენი ხელმწიფებისადმი დიდის მადლობის მოხსენება. ალბად ღვთის განგებითაა, რომ ხსენებულ მამათა მისიონს ასე კეთილად დაუხვდენ, რათა იმათაც ანუგეშონ და სულიერი შემწეობა აღმოუჩინონ ერს, რომელიც ეგოდენ შეწუხებაშია. ამიტომ პაპმა და პროპაგანდამ ინებეს ამ მისიონერებს ორიც მიუმატონ პატრი იოსებ ჯუდიჩი და პატრი არქანჯელო ლამბერტი, რომლებიც არიან ცხოვრებით და ზნეობით სამაგალითონი, გაწვრთნილნი სხვა და სხვა საგნებში და უფროსიერთად საღვთის-მეტყველოში მეტად დახელოვნებულნი. ამიტომ ესენი შეიძლებენ მაგ ორი მოძღვრის მაგივრობა გასწიონ და საჭირო სულიერი სამსახური გაუწიონ მაგ ძველ საქრისტიანოსა, თუ ვინიცობაა მათ სიკვდილი, ანუ სხვა რამ დიდი უბედურება ეწიათ, რაც აგრე მოსალოდნელია ამ ჩვენს საწუთრო ცხოვრებაში. აწ ჯერ არს, რომ თქვენმა ხელმწიფებამ მიხედოს სახიერების თვალით არა მარტო მათ დიდის ხნის მგზავრობისაგან შეწუხებას, არამედ იმ სიყვარულსაც, რომლითაც სამოციქულო საყდარი ჰგზავნის მათ, მხოლოდ იმ აზრით, რომ მაგ ერის სულთა შეეწივნენ და გაუადვილონ განხორციელება იმ წმიდა მიზნისა, რომლისათვისაც წმიდა კრება მუდამ ფხიზლობს და შრომობს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენის ხელმწიფების ესრედ ქველ-მოქმედების საქმეს ყოვლის მპყრობელი ღმერთი დააგვირგვინებს დიდებით სააქაოს წინაშე ყოველთა ქრისტიანეთა და შემდგომ საუკუნო ცხოვრებაშიაც; ეგრეთვე სამოციქულო საყდარიც თქვენ მარადის მადლობით მოგიხსენიებსთ. დანარჩენს კრების მაგიერ მოგახსენებენ ხსენებულივე მისიონერები. რომით, 31 აგვისტოს 1630". (1)

ამ ორმა მისიონერმა ზაქარია კათალიკოსსაც მოუტანეს საჩუქრად ერთი საეპისკოპოსო ძვირფასი თვალ-მარგალიტით მოჭედილი მიტრა და ერთიც ოქრომკედის ძვირფასი ფილონი, მაგრამ ორივე ლათინურის ფორმისა. რა საკვირველია, არც ერთი გამოადგა კათალიკოსს, ამიტომ ორივე უთავაზა თეიმურაზ მეფეს. ეგრეთვე ამასაც გადასცეს პაპისა და პროპაგანდის წიგნი. პაპის ამასთან მოწერილი წიგნიც დაკარგულია, ხოლო პროპაგანდის წიგნი აი ეს არის:

„საქართველოს პატრიარქს.

„თქვენის მეუფების წერილი, სავსე სიყვარულით წმიდა საყდრისადმი და ეგრეთვე პატივისცემით, რომელიც აღმოუჩინეთ თეათინელ მოძღვრებს, პროპაგანდის კრებაზე განიხილეს და მეტად სასიამოვნოდ დაურჩათ პაპსა და კარდინალებს, რომელთაც ქება შეასხეს თქვენს

გულმოდგინებასა და გულმხურვალებას. ამიტომ საჭიროდ დაინახეს, პაპმა განსაკუთრებულის წერილით და კარდინალებმა ამ წიგნით პატივი გცენ და გამოუთქმელი მადლობა მოგახსენონ; ვინაიდგან პროპაგანდამ თქვენს მეუფებაში ჰპოვა ეგოდენი გულმოდგინება და სიყვარული მაგ ერის სულის ცხონებისათვის თანა მოღვაწეობის გამო, ამიტომ რათა უფრო ნაყოფიერი ჰყოს ეგ თქვენი ერთგულება, ინება და გზავნის მანდ პატრი იოსებ ჯუდიჩის და პატრი არქანჯელო ლამბერტის თეატინელებს, რომლებიც სამაგალითო არიან მოძღვრებით და ცხოვრებით, რათა თქვენის მფარველობით უფრო ხელი შეუწყონ ერის ცხონების საქმეს და შეიძლონ საჭირო სულიერი სამსახურის გაწევა, მეტადრე მაშინ, თუ ვინიცობაა მანდ მყოფ თეატინელებს სიკვდილი, ან სხვა რამ უბედურება ეწიათ. აწ ინებეთ და აღმოუჩინეთ მხთაც თქვენი მოწყალება და მფარველობა და ყოველგვარი შემწეობა, რაც კი საჭირო იქმნეს სულთა ცხონებისათვის. გარდა ამისა, რომ ესეთი თქვენი სიკეთე დიდათ სათნო საყოფელი იქმნება ღვთისათვის, პაპი და კარდინალებიც სამუდამოდ თქვენნი მადლობელნი იქმნებიან, არას დროს დაივიწყებენ თქვენს ამაგს და კიდეც ეცდებიან, სამაგიერო მიაგონ თქვენს მეუფებას. ყოველისფერს უკეთესად მოგახსენებენ თვით ეს მისიონერები. რომით, 31 აგვისტოს, 1630". (1)

ამ წიგნთან ერთად გამოუტანებიათ რომიდგან ერთი წიგნი საქართველოს მიტროპოლიტთანაც, მხოლოდ საქმე ის არის, რომ გამოურკვეველი რჩება, ეს მიტროპოლიტი რომელი უნდა იყოს, საქართველოსი თუ კახეთისა? ამ დროს საქართველოს მიტროპოლიტი სრულებით არ არის მოხსენებული მისიონერების წერილებში და არც ისა სჩანს, მისიონერებს რაიმე მიმართობა ჰქონდათ მასთან თუ არა. ხოლო, ის კი ვიცით, რომ კახეთის მიტროპოლიტთან ალავერდელთან დაახლოვებულნი იყვნენ. მაგრამ, როგორც ზემოდ ვსთქვით, ალავერდელი პირველად კაის თვალით არ უყურებდა მისიონერებს და მათზე გადამტერებულ ბერძნებს თანაუგრძნობდა; ისიც ვიცით, რომ ალავერდელი ფარულად ცდილა ესენი თეიმურაზისათვის მოეშორებინა. არა სჩანს, ამას რაიმე სიკეთე ექნას მისიონერთათვის, მაშასადამე არც პრაპაგანდა მოსწერდა უსაბუთოდ ასეთ სამადლობელ წერილს. ვინაიდგან მისიონერების პირველი წიგნები არა გვაქვს ხელში, ამიტომ შეიძლება ვსთქვათ, რომ ალავერდელმა პირველად მისიონერებს, თუ ნივთიერად არა, მოქალაქობრივად მაინც რაიმე სიკეთე უყო, რადგან პატივს სცემდა მისიონერებს, რომელნიც განათლებულ-განსწავლულნი პირნი იყვნენ. ამიტომ ჩვენა გვგონია, რომ ეს წერილი ალავერდელ მიტროპოლიტთან უნდა იყოს მოწერილი.

„საქართველოს მიტროპოლიტს.

„პროპაგანდის კრებების კარდინალებმა თეატინელ მოძღვართა მანდაური მისიონის წარმატება და საზოგადოდ მათი ყველა კაი ამბავი ჩასთვალეს ცხად ნიშნად იმისა, რომ მაგ მისიონს ყოვლის მპყრობელი ღმერთი განსაკუთრებით სწყალობდა. ამათ იმედი ჰქონდათ, მანდაური ერიც მიიღებდა მისიონერებს პატივით და სიყვარულით, მაგრამ ის კი არ ეგონათ, რომ თქვენი მეუფება ეგოდენ პატივსა და სიყვარულს აღმოუჩენდა. ამიტომ ჩვენმა ბატონმა კარდინალებმა ინებეს, რათა განსაკუთრებითი მადლობა მომეხსენებინა თქვენთვის მათი სახელით, რასაც სიხარულით ვასრულებ ამ წერილის საშუალებით. თქვენმა ქცევამ ისინი დაარწმუნა, რომ სავსებით ზრუნავთ თქვენდამი მონდობილის ერის ცხონებისათვის; ამიტომ ინებეს გამოგზავნა თეატინელთა პატრი იოსებ ჯუდიჩის და არქანჯელო ლამბერტისა, რათა არა მარტო მოუარონ სულიერად მაგ ერსა, არამედ, სიკვდილის, ანუ სხვა რამ უბედურის შემთხვევის დროს, დაიჭირონ მანდ მყოფის მისიონერების ადგილი. მაშ კეთილ ინებეთ, ნახეთ ესენი და სიამოვნებით მოუსმინეთ; ეგრეთვე ხელი შეუწყეთ, რათა შეიძლონ ღვთის სამსახურის მანდ უფრო ადვილად შესრულება. ესეთი თქვენი შემწეობა დიდათ სათნო საყოფელი იქმნება პაპისათვის და ჩვენთა ბატონთა კარდინალთათვის, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად სათნო საყოფელი იქმნება ღვთისათვის. ვავალებ ზემოხსენებულ მამებს, პირადად უფრო ბევრი რამ მოგახსენონ. რომით 31 აგვისტოს, 1630 წ." (1)

ზემოდ ბევრ გზის დასახელებულ მონაზონს ნიკიფორე ერბახს საქართველოში ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა თავისი სიტყვითა და საქმით, ამიტომ რომიდგან მასაც სწერენ განსაკუთრებით და ამ ორი მისიონერის თავს მას აბარებენ:

„მამა ნიკიფორე ერბახს.

„ვინაიდგან პროპაგანდის კრებამ კარგად დაიხსომა თქვენი ბრძნული მოქმედება და განსაკუთრებული გულმოდგინება, რაიცა აქ ყოფნის დროს გამოიჩინეთ საქმეთა წარმოებაში, მანდ მისიონის დასახმარებლად გზავნის რა პატრი იოსებ ჯუდიჩის და არქანჯელო ლამბერტის, ისარგებლა ამ შემთხვევისაგან და ინება გაგახსენოსთ თავისი თქვენდამი პატივისცემა და სიყვარული; მასთანვე გავედრებს ამ მამებს და გთხოვს, თქვენც ხელი შეუწყოთ მათ მოძღვრებას და ერთგულებას, რათა მაგ სამეფოში შეიძინოთ ერი და მიაგოთ სამსახური წმიდა საყდარსა, რომლის პატივისათვისაც თავს იდევით ეგრეთი შორი და განსაცდელიანი მგზავრობა და რომელმაც თქვენი სახელი საქებური გახადა. მათვე ვანდობ, რათა პირადად ყველაფერი მოგახსენონ. რომით, 31 აგვისტოს, 1630 წ." (1)

ესეთი თავის გასაცნობელი წიგნები უნაყოფოდ არ დარჩენილა. ახალ მისიონერებს საჭირო მფარველობა არ აკლდათ, ამიტომ ერთგულად შეუდგნენ ხალხის გაკათოლიკებისათვის ცდასა და შრომას.

მისიონერებმა გორში თეიმურაზის მიერ ნაბოძარის ეკკლესიის შეკეთება დაასრულეს და წმიდა პეტრეს ეკკლესია უწოდეს. მერმე სანამ ქართული შეისწავლიდენ, ქადაგება თათრულის ენით დაიწყეს. ხალხი იმდენ ბლომად მოდიოდა რომ ეკკლესია ველარ იტევდა; ყველანი დიდის გულმოდგინებით უსმენდენ და მოწიწებით მისდევდენ მათ სწავლა-დარიგებას. ამის შესახებ ერთი ყურადსაღები წერილი გაუგზავნიათ რომს. ის წერილი ხელთა გვაქვს, მაგრამ უთარიღო და ხელმოუწერელია, ხოლო ვფიქრობთ, ლამბერტისა იყოს, 1632 წ. გაგზავნილი. წერილში ეს გარემოებაა აღწერილი: „ქართველები, რომლებსაც ჩვეულებად არა აქვსთ ეკკლესიაში ხშირად სიარული, როდესაც კი მოდიან, ძრიელ უხამსად იქცევიან, ჩვენის მამების ქადაგებით, სულ მთლად გამოიცვალნენ. მისიონერებმა ჩააგონეს, თუ რაოდენის მოკრძალებით და პატივით უნდა იყვნენ ხოლმე ღვთის სახლში. ამიტომ ახლა ხშირად მოდიან ჩვენთან და მოკრძალებით ესწრებიან ყველაფერს; ღვთის სიტყვას სასოებით ისმენენ და გვემორჩილებიან; წირვაზე და სხვა ღვთის მსახურებაზე დიდის მოწიწებით და კრძალვით დადიან. ასე რომ ერთიანად გამოიცვალნენ და ის აღარ არიან, რაც უწინ იყვნენ, რაიცა ცხადად მოწმობს, თუ რაოდნად იმოქმედა მათზე ღვთის ძლიერებამ და მადლმა...., ქართველები, რა ხედვენ, მეფე-დედოფალი და პატრიარქი ესდენ დიდ პატივსა, გულკეთილობას და სიყვარულს უცხადებენ ჩვენს მისიონერებს, ამნაირის მაგალითით წაქეზებულნი, ცდილობენ მათ მიჰბაძონ და მათსავით მოეპყრან პატრებს. ეს ხალხი ჩვენდამი პატივისცემისა და მორჩილების გამოცხადებით ცდილობს მეფესა, დედოფალსა და პატრიარქს აამონ და მათი გული მოიგონ, ეგრეთვე როდესაც მეფე მათ ავედრებს მისიონერებსა და ეუბნება ისე მოეპყარით, როგორც წმიდა კაცებსაო, იმათ მეფის ესეთი დავედრება ბრძანებად მიაჩნიათ და მოვალედ სთვლიან თავიანთ თავს, დაემორჩილონ მისიონერებს და დაიცვან მათი დარიგებანი. ამიტომ სასიქადულოდ მიაჩნიათ პატრების მიცემული დარიგების ერთგულად ასრულება“. (1)

პატრი პეტრე ავიტაბილემ რა მიიღო საქართველოში წამოსაღები საჭირო წერილები და აგრეთვე რაც კი სჭიროდა, დაუტევა რომა და შემოიარა იტალიაში თავისის წესის მონასტრები, რათა საქართველოსთვის ახალი მისიონერები ეშოვნა. მოკლე ხანში წამოსაყვანად შეჰკრიბა ექვსი მოძღვარი: პატრი იერონიმე კარაფა, პატრი ქრისტეფორე კასტელი, პატრი ჯუსტო პრატო, პატრი ანტონ ჯარდინა, პატრი სერაფინო-

ფილენჯიერი და პატრი ვინჩენცო კარაჟა; იმათთანვე იყვნენ ორნი მორჩილნი ძმანი: ძმა გაითანო ქორლიტო და ძმა მათე ფლორენო. მისიონერები თავიანთ წერილებში ზოგჯერ ამ ექვსის მღვდლის მაგიერად იხსენიებენ მარტო ოთხ მღვდელს. ესენი ყველა ერთად პატრი ავიტაბილესთან მესინიდგან 9 ოკტომბერს, 1631 წ. წამოვიდენ და ჩამოვიდენ გორს 10 ივლისს 1632 წ. როგორც წინა მგზავრობაში, ისე ახლაც ოსმალებმა დიდი შეწუხება მიაყენეს, ისე რომ სიკვდილს ძლივს გადაურჩნენ. რაც ჰქონდათ, ყველაფერი გზაში წაართვეს, გარდა ცოტაოდენი ფულისა, რომელიც შემთხვევით გადარჩა ოსმალების ჟაუმაძღრობას. აზრუმს რომ მოვიდენ, იქ ცოტა სული მოითქვეს, სომხებისაგან შემწეობა მიიღეს და მათგან სახარჯო ფულიც ისესხეს. იქიდგან ტფილისში მომავალს ქარავანს გამოჰყვნენ. აზრუმიდგან საქართველოში შემოსასვლელად ორი გზა იყო, ერთი ყარსით და მეორე არტაანით. ორსავე ადგილს ოსმალები მგზავრებს ხარჯს ახდევინებდენ. ქარავანი არტაანის გზით წამოვიდა, მაგრამ არტაანს არ შეიარა, სხვა გზით აუხვია, რათა ხარჯი არ გადაეხადა.. ქარავნის წინამძღვრები ტფილისის მცხოვრები სომხები იყვნენ. ეს რა შეიტყო არტაანში მყოფმა გამაჰმადიანებულმა ქართველმა სეფარ ფაშამ (ახალციხის ათაბეგია, მაგრამ იმ დროს ახალციხე სპარსელებს სჭერიათ და არა ოსმალებს, ამიტომ ის ფაშა არტაანში ყოფილა), საჩქაროდ გაგზავნა ჯარი და მთელი ქარავანი და მასთან ერთად ის პატრებიც დაატყვევა. იმ დროს ფაშის მკურნალი იყო ერთი ფრანგი, ივანე პორსელი, პატრების ნაცნობი. იმან რა ნახა პატრები, მაშინვე ფაშას გააცნო, თუ რა პატიოსანი პირნი იყვნენ. ფაშამაც დიდად პატივი სცა და უკანვე დაუბრუნა, რაც მის ჯარის კაცებს წაერთმიათ. ეგრეთვე მათი თხოვნით, სომხებსაც, რომლებიც მძიმედ და სამაგალითოდ უნდა დაესაჯა, ბევრი პატივა და მათი საქონელიც უკან დაუბრუნა, მაგრამ, რაც გადასახადი იყო, სრულიად გამოართვა. პატრები დიდის პატივით გაისტუმრა, ქარავანსაც ნება მისცა წასვლისა. სომხები სიკეთის მაგიერ, იმ პატრებს გადაემტერნენ და თავიანთი დატყვევება და ხარჯის გადახდა მათ დააბრალეს. გზაში ისინი მისცვივდენ პატრებს და, რაც ჰქონდათ თუ ფული და თუ ნივთი, ყველაფერი წაართვეს. ესრედ ცარიელი პატრები მივიდენ გორს. მოსვენების შემდგომ წარსდგნენ მეფესთან, მიართვეს ის ცოტა საჩუქრები, რაც გადარჩენოდათ ოსმალების და სომხების წაგლეჯისაგან; მასთანვე გარდასცეს პაპისა და პროპაგანდის შემდეგი წერილები.

„პაპი ურბანო მერვე ივერიის მეფეს“.

„ბრწყინვალე და უძლიერესო მეფევ, მშვიდობა და ღვთის წყალობის ნათელი.

„თქვენი სახელ განთქმულობა და თქვენის შესანიშნავის გამარჯვების ხმა თქვენის ქვეყნის საზღვრებს გამოსცდა, გამოიარა ევროპის ქვეყნები, ხმელთა-შუა ზღვის მღელვარე ტალღები და მოაწია რომის მღვდელმთავრამდე, რომელიც დიდად ანუგეშა. თქვენი დიდებულება კარგად ხედავს, რომ თქვენი სამთავრო ახალისა და ზეციური სიმტკიცით შეიქურვა და აღარც მოაკლდება მას ანგელოზთა გუნდის შემწეობა, ვინაიდგან ვატიკანის მღვდლები სიხარულით მოდიან მაწდეთკენ ხალხის საცხონებლად მოღვაწეობისათვის, სარწმუნოება, რომელსაც ისინი ჰქადაგებენ, არის მფარველი მეფეთა და მაცხოვრებელი ერთა. უკეთუ, საბედნიეროდ, ეს სარწმუნოება მოეფინა მთელს თქვენს პროვინციებს, მაშინ ნახავთ, მძვინვარება მოისპოს, მშვიდობა დამყარდეს, ურჯულობა დასცხრეს და გულის-თქმანი დაწყნარდენ. თქვენი წიგნის მომტანმა ჩვენმა საყვარელმა შვილმა პეტრე ავიტაბილემ დაგვარწმუნა, რომ თქვენს ხელმწიფებას მოახსენებს ყოველ რჩევას და დარიგებას, ჩაგონებულს ზეციერის სიბრძნის მიერ, აწ ვთხოვთ მოწყალე ღმერთს, აკურთხოს თქვენი მეფობის სკიპტრა, მისმა ყოვლის მპყრობელმა მკლავმა განაძლიეროს თქვენი ხმალი და თქვენი მხედრობა და გაამარჯვებინოს, როგორც უწინ გაამარჯვებინა დიდს კონსტანტინეს, რომელსაც ივერია თავის სარწმუნოებრივის განათლების მიზეზად სცნობს. რა დაუწყო პატივისცემა სამღვდელოებას, მაშინვე იხილა ცაში თავისი გამარჯვების ნიშანი, წმიდა ჯვარი, რომლის ძალითაც განაბნია მტერნი და რომელსაც ეკკლესია თაყვანსცემს და დაუსვენებია რომის მამამთავრის გვირგვინს ზედ. როდის გვეღირსება, თქვენ გამბოროთ, ვითარცა განსწავლულს კონსტანტინე მეორეს? როდის გამობრწყინდება სიხარულისა და ცხოვრების დღე, რომ წარმოგვივლინოთ თქვენი ღვთის მოშიში ელჩები, რათა თქვენ მაგიერ გვემთხვიონ მეფეთა ამბორით გაკეთილშობილებულ მოციქულებრივ ფერხთა? როდის იქმნება, რომ კათოლიკე უძლიერესთა მეფეთა თავიანთი სულიერი ძმა გიწოდონ? მაშ, ნუღარ აყოვნებთ, სძლიეთ ყოველ სიძნელესა. როგორც უწინ ივერიის სამეფო იყო თეატრი თქვენის გამარჯვებისა, ისე ახლა ვატიკანი შეიქმნას ტაძრად თქვენი სარწმუნოებისა. რომა დიდის აღტაცებით მიიღებს თქვენს სანატრელ ელჩებს, როდესაც აქ წმიდა პეტრესადმი მორჩილების გამოსაცხადებლად მოვლენ, იმ პეტრესადმი, რომელსაც შეჰყავს მეფენი საუკუნო ბედნიერებისა და გამარჯვების სასუფეველში. იმედი გვაქვს, ჩვენი ცხოველი ნატვრა აღგვისრულოს ყოვლის მპყრობელმა ღმერთმა, რომელსაც ლოცვათა შინა დაუცხრომელად გავედრებთ თქვენა და თქვენს სამეფოსა. ამიტომ გვნებავს, ისევ მობრუნდეს თქვენთან მღვდელი პეტრე ავიტაბილე, რომელიც, როგორათაც სცნობთ,

აღვსილია სიყვარულით და სახარებრივის გულმოდგინებით და რომელსაც, იმედია, არ მოაკლოთ თქვენი მფარველობა, რადგან თქვენის დიდებულებისათვის არავითარს შეწუხებას ერიდება და კისრულობს ასეთის განსაცდელით აღსავსე მგზავრობას. თუ ეს და თუ მანდ მყოფნი თეათინელნი და ავგუსტინიანების პატრები მართლაც რომ ღირსნი არიან თქვენი დიდებულების წყალობისა. მათ დასტოვეს ყოველი სიკეთით სავსე თავიანთი სამშობლო, ნათესავები, საყვარელი მეგობრები და მანდეთ წამოვიდენ არა იმისთვის, რომ შეჰკრიბონ ქვეყნიერი სიმდიდრე და ისიამოვნონ, არამედ იმისთვის, რომ ჯოჯოხეთებრივ მგლებს გამოსტაცონ პირიდგან თქვენის ერის სულნი და შეუერთონ ქრისტეს სარწმუნოებას *). იგივე პატრი პეტრე თქვენს დიდებულებას უფრო ვრცლად მოახსენებს ყოველ ჩვენს აზრსა. ღმერთსა ვსთხოვთ, მოგმადლოსთ სულის წმიდის ნიჭით სავსე ბედნიერება. რომით. 21 ივნისს, 1631, მღვდელ მთავრობის მერვე წელსა“ (1).

როგორათაც სჩანს ამ წერილიდგან, პაპი არ დათანხმებულა, რომ თეიმურაზს მხოლოდ კერძოდ აღიარებინა კათოლიკობა და ამიტომ სთხოვს კათოლიკე სარწმუნოება საქვეყნოდ და დაურიდებლად აღიაროს. ამას იმიტომ სთხოვს, რომ თეიმურაზმა პაპს სთხოვა, რომ იგი საქვეყნოდ კათოლიკე მეფედ შეერაცხა და სხვა კათოლიკეთა მეფეთა რიცხვში ჩაეთვალა. თეიმურაზმა ვერ შეასრულა პაპის ასეთი მოთხოვნილება, არა იმიტომ, რომ იგი კათოლიკობაზე მიდრეკილი არ ყოფილიყოს, ან არ სდომებოდეს; არა. ამის წინააღმდეგობა ბევრნაირად დაამტკიცა; არამედ უფრო იმიტომ ვერ აღასრულა, რომ, სამწუხაროდ, თავისი სამეფოს მშვიდობიანობით ბევრ ხანს ვერ დასტკბა, რის გამო აღარ დასცალდა, რომ საქვეყნოდ თვითონ სამეფოიანად შეერთებოდა კათოლიკე ეკკლესიას.

პროპაგანდამაც თავის მხრით თეიმურაზ მეფეს ეს წერილი გამოუგზავნა.

„ივერიის მეფეს თეიმურაზს.

„თეათინელმა პატრი პეტრემ პროპაგანდის კრებას მოახსენა, რომ თქვენს ხელმწიფებას კეთილ უნებებია და მისა და მის ამხანაგთათვის დიდი პატივი და სიკეთე მიუგია. ამის შეტყობაზე დიდად განიხარეს ბატონმა კარდინალებმა. ამიტომ ინებეს, ამ წერილით მოგახსენოთ უღიდესი მადლობა. ეგრეთვე იმედი აქვსთ თქვენის პატიოსნებისა, კვალად გამოიჩინოთ გულმოდგინება და არ მოაკლოთ თქვენი წყალობა

*) ასე იმიტომ ამბობს, რომ იმ დროს ქართველები ბლომად გადადიოდენ მაჰმადიანობაზე.

მაგ სამოციქულო მისიონს. ამისათვის ევედრებიან ღმერთს, რათა ამ სიკეთისათვის, მოგაგოსთ ფრიად უხვი სასყიდელი; შეგირჩინოსთ ეგ გულკეთილობა და სიყვარული. მაგ თქვენი სიყვარულის გამო ეს მოძღვარნი ჰკისრულობენ ესეთს შორს მგზავრობას, ყოვლანაირ შეწუხებას და განსაცდელს, რათა სამაგიერო მოგაგონ. ეგრეთვე დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ ბატონი კარდინალები მარადის დავალებულ იქმნებიან თქვენგან და ეცდებიან მოგაგონ მაგიერი თქვენის ხელმწიფების შესაფერი სამსახური, თუ სულიერად და თუ ხორციელად. რომით, 17 მაისისა, 1631" (1).

პეტრე ავიტაბილემ როგორათაც ზაქარია კათოლიკოსის წიგნი წაიღო პაპთან, ისე მოუტანა პასუხიცა, რომელიც მოთავსებულია ამ ყურადსაღებ წერილში:

„პაპა ურბანო მერვე.

„ზაქარიას, მთელის იბერიის მიტროპოლიტად წოდებულს.

„ბრწყინვიდეს მაგ ერის გულთა შინა ქრისტე, მზე სიმართლისა. განიხარეთ მართალთა კრებულთან ერთად, ვინაიდგან საზიო ივერიაში გამოჩნდენ ყვავილნი ღვთის მადლისანი. ვსასოებთ, მანდეთკენ მალე დამწიფდეს ნაყოფი, რომელიც იქნება ტკბილი ბაგეთა ჩვენთათვის და ღირსი ანგელოსთა ტაბლაზე მისართმევათ. მაგ შორეული პროვინციიდგან მობრუნებული ჩვენი საყვარელი შვილი პეტრე ავიტაბილე თეატინელი მღვდელი, დიდის სიხარულით და მოციქულებრივის სიყვარულით მივიღეთ და მოვუსმინეთ. გვაუწყა, მანდ, ღვთის შემწეობით მოვლენილ რომის ეკკლესიის მღვდელთათვის მეფესა და მიტროპოლიტს რა დიდი შემწეობა აღმოუჩენიათ. ვევედრებით სახიერ ღმერთს, რომელიც შემოჰკრებს გაბნეულ ისრაელის ერს, რათა, როგორც დაიწყო, ისე თვითვე შეასრულოს და ვატიკანის მთა-წმიდას შემოუერთოს ივერიის მეფე და ერი. ვინაიდგან უფალმა ეს ადგილი აღირჩია სარწმუნოების ტაძრად, რათა მღვდელთ მთავრის კლიტით გაეღოს ზეციერი სასუფევლის კარი მორწმუნე ერთა. ყოველთა ტომთა დედაქალაქი რომა ელოდება, ნუგეშისცემა მიიღოს თქვენი სამეფოსაგან: თქვენი სახელი კიდეც განითქვა მთელს იტალიაში. დიდათ განიხარეს კარდინალთა კრებამ, გვირგვინოსან მეფეთა და კათოლიკე ეკკლესიის ყვავილთა რჩეულთა, როდესაც შეიტყეს, რომ საქართველოში თქვენის მეთაურობით ეკკლესია დაარსდა ჩვენის მღვდლებისა. ეგ ეკკლესია იქნება სამკვიდრებელი არა მარტო ზეციერთა სათნოებათა, რომელნიც ქვეყანას ბედნიერებას მიანიჭებენ, არამედ მანდედგან მუდამ აღავლენენ ზეცად მეფეთა მფარველ ლოცვას, რათა მოუპოვონ ანგელოსთა გუნდთა შემწეობა და რათა ორკეცად გაიმარჯვოთ: სძლიოთ მტერთა და ეგრეთვე გულის თქმათა. გვნებავს,

ესევე პატრი პეტრე თქვენთან მობრძანდეს, რათა მოგახსენოსთ ჩვენი თქვენდა საკეთილდღეოდ ზრუნვა. ეს პატრი ღირსია, ქართველებმა, რაც შეიძლება, პატივი სცენ, რადგან თქვენის ცხოვნებისათვის სტოვებს თავისს სამშობლოს და ივიწყებს თავისს ნათესაობას. მისგანვე სცნობთ მიზეზსა, თუ რატომ არ მოჰყავს თან ამ საშიშო გზაში თქვენ მიერ ნათხოვნი მკურნალები და მხატვარნი. დიდათ ვნატრობთ, ყველაფერში უნდოთ და, რაც შეგიძლიათ, შეეწიოთ. სიკეთეს ღმერთი გადაგიხდისთ, რადგან თვითვე ბრძანებს, რომ ვინც ჩემს მღვდლებს სიკეთეს მიაგებენ და უცხოთ შეიწყნარებენ, მე თვითონ შემიწყნარებენო. უკეთუ თქვენს მფარველობას არ მოაკლებთ მანდ მყოფ თეატინელ და ავგისტინიან მღვდლებსაც, რომლებიც სათნოებით შემკულნი და სიყვარულით აღჭურვილნი არიან; მაშინ შეიქმნებით ღირსი ღვთის მოწყალებისა. ვსთხოვთ მოწყალე ღმერთს თქვენსა და საქართველოს სამეფოს ბედნიერებას და აგრეთვე კათოლიკე სარწმუნოების გაძლიერებას. რომით, 21 ივნისს 1631 წ. მღვდელთ-მთავრობის მერვე წელსა". (1)

ამ ორი წიგნიდგან ცხადათ სჩანს, რომ საქართველო უკვე მომზადებული ყოფილა რომის ეკკლესიასთან შესაერთებლად. ამისი ცხადი საბუთი რომ არა ჰქონოდა პაპს, თავის დღეში არ მოიწერებოდა ასეთის შინაარსის წერილებს.

პატრი ავიტაბილესთვის თეიმურაზს პირადად დაებარებინა (ისე ჰგავს, კათალიკოსსაც თავის წიგნში მოუხსენებია), რომ იტალიიდგან მკურნალები და მხატვრები მოეყვანა, რათა უკანასკნელთ სპარსელებისგან გაფუჭებულ-დანგრეული ეკკლესიები შეეკეთებინათ და მკურნალთაც ბოლო მოეღოთ იმ სენთათვის, რომელნიც მტრისგან აოხრებულ ქვეყანაში ხშირად ჩნდებოდენ ხოლმე. კაცნი, რომელთაც ითხოვდენ, იტალიაში ბევრი ეძებეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ იშოვეს. მიზეზი ის იყო, რომ მოხელე ერის კაცნი მისიონერებსავით მოყვასის სიყვარულით არ იყვნენ გამსჭვალულნი, რათა სამშობლოში ყველაფერზე ხელი აეღოთ და შორეულს განსაცდელიანს მგზავრობას დასდგომოდენ. სხვა და სხვა წერილებიდგანაც ცხადათ სჩანს, რომ ამისთვის ბევრ პირს სთხოვეს, საჩუქარსა და სასყიდელსაც ბევრს დაჰპირდენ, მაგრამ ყველამ უარი უთხრა. ერთიც ვერ ჰპოეს ისეთი, მისიონერებს გაჰყოლოდა.

პროპაგანდამ, როგორც მეფეს, ისე კათალიკოსსაც მოსწერა მადლობისა და თავის გასაცნობელი წერილი. წერილში თუმცა მარტო მიტროპოლიტია დასახელებული, მაგრამ ყოველ ეჭვ გარეშე საქართველოს კათალიკოსი ზაქარია უნდა ვიგულისხმოთ, ვგონებთ ალექსი „კათალიკოსი" მიტროპოლიტად მიეღოსთ.

„მზერიის მიტროპოლიტს

„კარდინალებმა თეატინელი პატრი პეტრე ავიტაბილესაგან მოისმინეს ყოველი პატივისცემა და სიკეთე, რაც თქვენმა მეუფებამ მიაგო მას. ამიტომ ინებეს, პატრი პეტრე თქვენთან იუწვიგნოთ არა გამოესტუმრებინათ, არამედ გამოუთქმელი მადლობა მოეხსენებინათ თქვენთვის ამ წიგნის მოწერით: ეგრეთვე გევედრებიან, მომავალშიაც არ მოაკლოთ მათ თქვენი გულკეთილობა და აღმოუჩინოთ მას და მის ამხანაგებს ყოველი შემწეობა, რასაც სასარგებლოდ და საჭიროდ დაინახავთ, რათა შეიძლონ მაგ ქვეყანაში ღვთის სამსახურის ადვილად აღსრულება და რათა თქვენს მეუფებასაც ემსახურონ სიყვარულით სულთა ცხონებისა საქმეში. ამითი დიდად დაავალებთ პროპაგანდის კრებას, რაც მეტადრე დიდათ სათნო საყოფელი იქმნება ღვთისათვის. ამიტომ ევედრებიან სახიერს ღმერთს, რათა მოგანიჭოსთ ყოველივე მადლი და სულიერი შეწევნა, რაც კი საჭიროა მის საცნობლად და სამსახურებლად. რომით, 17 მაისისა, 1631 წ.“ (1)

როგორც ზემოთ ვსთქვით, ნიკიფორე მონაზონი საქართველოში დიდ გავლენიან პირად ითვლებოდა და მისიონერებსაც ბევრს ეწეოდა, რადგან რომშივე მიიღო კათოლიკობა; ამიტომ პროპაგანდა მას არ ივიწყებს. როგორც თვით ნიკიფორე ხშირად სწერდა რომში, ისე პროპაგანდაც მას წერილებს არ აკლებდა, როცა კი შემთხვევა მოიტანდა. ახლაც პროპაგანდამ პატრი ავიტაბილეს გამოატანა მასთან ეს წერილი:

„მამა ნიკიფორე ირბახს,

„დიდის სიამოვნებით მოისმინეს კარდინალებმა მოხსენება ყოველი სიკეთისა, რომელიც თქვენის შუამდგომლობით ივერიის მეფემ პეტრე ავიტაბილეს და მის ამხანაგებს მიაგო. მათ განიხარეს წმიდა მამასთან ერთად არა მარტო მინიჭებულის სიკეთის გამო, არამედ თვით თქვენის კათოლიკე გულმოდგინებისათვისაც, რაიც იმავე პატრი პეტრემ ყველაფერი დაწვრილებით გვაუწყა. ამისთვის კარდინალებმა მიბრძანეს დიდი მადლობა მოგახსენოთ, რასაც ვასრულებ ამ წერილით; ამასთანავე გთხოვ, მუდამ ერთგული იყოთ სარწმუნოებისა და ზემოხსენებულ მამებთან ერთად იღვაწოთ მანდაური ერის ცხონებისათვის. ეგრეთვე აღმოუჩინოთ მათ ყოველი გვარი შემწეობა, რათა თქვენმა შრომამ, მეტადრე დიდის მგზავრობის დროს გაწეულმა, გამოიღოს სანატრელი ნაყოფი და ღვთის წინაშე შეიქმნეთ დიდათ ღირსეული. ამიტომაც ღმერთს ვსთხოვთ თქვენთვის ყოველს სიკეთეს. რომით, 15 მაისისა, 1631 წ.“ (1)

პატრი პეტრეს და მისი ამხანაგების მოსვლაზე, ხალხში ხმა გავრცელდა, ევროპიდგან დიდძალი ფული ჩამოიტანესო, ხმამ თეიმურაზის

ყურამდე მიაწია. იმ დროს თეიმურაზს დიდათ სჭიროდა ფული, ამიტომ პატრი პეტრე რომ ინახულა და გაისტუმრა, მაშინვე ორი თავისი კარის კაცი მიუგზავნა და შეუთვალა 10,000 სკუდი მასესხეო. პატრი პეტრეს დიდათ გაუკვირდა მეფისგან თხოვნა. ფიქრადაც არც კი წარმოიდგენდა ამდენი ფულის მოტანას და თუ ჰქონდა ფული, სწორედ იმოდენი ჰქონდა, რომ დღიურის საჭიროებისათვის ჰყოფნოდა. ამიტომ შეუთვალა, ფული არა მაქვს და საიდგან გასესხოო. მეფემ არ დაუჯერა და ხელმეორედ გამოუგზავნა კაცი ფულის სათხოვნელად. მაგრამ რაც არა ჰქონდა, მისგან აბა რას წაიღებდენ. ამის გამო ცოტა უსიამოვნება ჩამოვარდა მეფესა და პატრებს შუა. შემდგომ პატრი იაკობ, რომელიც მეფეს დიდათ უყვარდა, წარსდგა მის წინაშე და კარგად აუხსნა, რაიმე რომ გვქონდეს არაფერს დავზოგავთ თქვენთვის, რადგან თქვენგან ბევრი სიკეთე გვახსოვს და დიდად დავალებული ვართო. რა დარწმუნდა მეფე, რომ ბერების მიერ დიდის სიმდიდრის მოტანის ამბავი უბრალო ჭორი იყო, ეწყინა და მდაბლად ბოდიში და შენდობა მოსთხოვა პატრებს. ამ შემთხვევამ მაინც კი სამწუხარო გავლენა იქონია თეიმურაზზედ, რადგან ცოტა არ იყოს გული გაუგრილდა და ამის შემდგომ აღარ უცხადებდა იმ ერთგულებას, რომელიც აქამდე ბევრნაირის საქმით დაუმტკიცა.

იმ დროებში ზაქარია კათალიკოსსა და მიტროპოლიტს ალავერდელს შუა უთანხმოება ჩამოვარდა. ალავერდელს, როგორც მთა წმიდის ბერძნებში განსწავლულსა და მათის წესების მიმდევარს, გამოეცხადებინა ყველგან, ქართველის მღვდლების მიერ შესრულებულ ნათლიღებას ძალა აღარა აქვსო, რაის გამო ბევრი წარჩინებული ქართველი მისგანვე ხელმეორედ მოინათლა. ზაქარია კათალიკოსი კი ალავერდელის აზრისა და ქცევის წინააღმდეგი იყო. ამიტომ ხალხის ხელმეორედ მონათვლა აუკრძალა. ამით რომ გერას გახდა, შეაჩვენა კიდეც ალავერდელი და მწვალებელი უწოდა, რადგან იგი მეორედ ნათლავდა ხალხს. ეს რომ შეიტყეს პატრებმა, გულმოდგინებით გამოიძიეს ქართველი მღვდლების მიერ ნათლიღების შესრულება და რავდენიმე გზის კიდეც დაესწრნენ ნათლიღების შესრულებას. ყოველივე კარგად რო ნახეს, დარწმუნდენ, რომ მათი ნათლიღება ბერძნების მიერ შესრულებულ ნათლიღებაში ბევრად გაირჩეოდა, რადგან მღვდელი თურმე მარტო ლოცვებს კითხულობდა წყალზე და ლოცვებს რო გაათავებდა, წავიდოდა; ხოლო იქ დამსწრენი შემდგომ ნათლავდენ ბავშს ლოცვის წარმოუთქმელად და ნათლიაც მირონს სცხებდა. ეს ყველა რო შეიტყეს კარგად, თვითონაც დარწმუნდენ, რომ ნათლიღება მართლა უკანონოდ შეუსრულებიათ მღვდლებს და ალავერდელი გაამართლეს. მერმე ეცადენ და რო-

გორც იყო, ორთავ შორის მშვიდობა დაამყარეს. ამ გარემოების შემდგომ პატრებმაც დაიწყეს ხელმეორედ მონათვლა თუ ახალგაზრდებისა და თუ ბავშებისა, რომლებიც მშობლებს სიხარულით მოყავდათ მათთან მოსანათლავად.

ზემოდ ვნახეთ, რომ პაპი თავის მესამე წერილში თეიმურაზს უმეორებდა, კათოლიკე სარწმუნოება საქვეყნოდ აღიარე და ეცადე ყველა შენი ქვეშევრდომნიც შენს გზას დაადგნენო. თხოვნა თეიმურაზმა ვერც წინედ შეასრულა და ვერც ახლა იმ მიზეზების გამო, რომლებიც ზემოდ დავასახელეთ, ესე იგი, ეშინოდა, ორგულ თავადებს ხელზე არ დაეხვიათ და ხელმეორედ არ გასდევნოდენ. გარდა ამისა, თეიმურაზს აღარ დასცალდა, შემდეგში შესაფერი დრო შეერჩია და ამნაირად თუ თავისი და თუ პაპის სურვილი აესრულებინა. ჯერ მისმა სიძემ ქართლის ერისთავმა ზურაბ ბეგმა დაუწყო ორგულობა, მოიწვია სიმონ ტფილისის ხანი და თეიმურაზის მაგივრად საქართველოს მეფედ გამოაცხადა. ამ ამბის შეტყობაზე თეიმურაზმა შემოიკრიბა ჯარი და შეება რამდენჯერმე, მაგრამ ვერაფერი გააწყო, რადგან ბევრი მისი თავადი სიმონს მიემხრო. ამისთვის დამარცხდა, საქართველოს მეფობაც ჩამოერთვა და კახეთიღა დარჩა. გარნა სამეგრელოდგან მოსულმა ზებედე მონაზონმა ცხარედ ამხილა ზურაბ ერისთავს, ქრისტიანე მეფის ადგილას გამაჰმადიანებულის სიმინ ხანის დაყენებისათვის. მხილების ზეგავლენით ზურაბმა მალე შეინანა თავისი ცოდვა, სიმონი ღალატით მოაკვლევინა, შეურიგდა თეიმურაზს და დაუბრუნა ჩამორთმეული ადგილები.

ეგრეთვე ბერძნებიც, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მისიონერების მიზეზით არ ასვენებდენ არც მეფეს და არც ერს. მათმა განუწყვეტელმა ჩიჩინმა საკმაოდ დააფიქრა თეიმურაზ და გული ააცრუვებინა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ბერძნის პატრიარქნი თავიანთ მოციქულებს ხშირად ჰგზავნიდენ თეიმურაზთან და ხან ემუქრებოდენ და ხანაც აქეზებდენ, მისიონერები შენი სამეფოდგან განდევნეო. ბერძნებს უფრო იმის დარდი აწუხებდათ, არ დაჰკარგოდათ ის დიდი შემოსავალი, რომელიც საქართველოდგან გაჰქონდათ ყოველ წლივ. პატრი არქანჯელო ლამბერტი, 12 თებერვალს 1634 წ. (ეს თარიღი სწორე არ არის, უნდა იყოს 1633 წ.) ბერძნების პატრიარქის მოქმედების შესახებ ასე სწერს რომაში თავის უფროსს: „მეც თან წავყევი და რო მივედით მეფესთან, თავისი ჩვეულებისამებრ, ალერსიანად მიგვიღო, თუმცა სწორედ იმ დროს იერუსალემის პატრიარქისგან მიეღო ერთი საჩუქარი და წერილი, რომელიც განგებ მოეტანა ერთ ბერძენს. იმ წერილით პატრიარქი თეიმურაზს სთხოვდა, შევიტყე, რომ თქვენს სამეფოში მიგიღიათ ფრანგი

კათოლიკები; რაც შეიძლება საჩქაროდ განდევნეთ ეგენი მანდედგან, რადგან ეგენი ისეთი ხალხია, რომ კაცს ადვილად მოატყუებენ, შავს თეთრად დაანახვებენ და თეთრს შავად მოაჩვენებენ, ვინაიდგან ფილოსოფიაში ძრიელ დახელოვნებულნი არიანო. პატრიარქსაც (საქართველოს კათალიკოსსაც) მოსწერა იმის მაგვარი წერილი, მაგრამ არც ერთზე ჰქონია გავლენა და არც მეორეზე“ (1).

იმ დროს საქართველო ბერძნებს ყოველ წლივ თურმე მოწყალებად აძლევდა ექვსიათასს სკუდსა იერუსალემის წმიდა ადგილებისათვის.

დასასრულ, თეიმურაზმა ველარ შეასრულა პაპის სურვილი იმიტომ, რომ როდესაც როსტომ ხანი 130,000 ჯარით შემოესია საქართველოს, იძულებული გახდა თავისი თავისათვის ეშველა, არა თუ პაპის სურვილის ასრულებისათვის ეზრუნა. რა ნახა თეიმურაზმა, რომ თავისი ერისთავები და ჯარი ველარ შეჰკრიბა სპარსელების შიშის გამო, 18 თებერვალს 1633 წ. დაუტევა საქართველო და დედოფლით, კათალიკოს-ეპისკოპოსებით და სამასამდე დედაკაცით შეეხიზნა თავის სიძეს იმერეთის მეფეს. ამ გარემოებამ ბოლო მოუღო როგორც მის მეფობას, ისე მისიონერთა იმედებსაც, საქართველოს ერი რომისათვის შეეერთებინათ.

მისიონერები ამასაც დასძენენ: რადგან თეიმურაზმა ამ ბოლოდროს ჩვენზე გული აიცრუა და წინანდელსავით აღარ გვეპყრობოდა, ღმერთმა დასაჯა და სახელმწიფოზე ხელცარიელი დასვაო.

როგორც სჩანს, თეიმურაზ მარტო მისიონერებს არ გაორგულებია, არამედ თვით თავის ქვეშევრდომებთანაც სულ სხვანაირად დაუწყია თავის დაჭერა. აი რას მოგვითხრობს მისიონერების ისტორიკოსი თეიმურაზის შესახებ: „ის სულ სხვა კაცად შეიცვალა: ყველას მტრად გადაეკიდა, თავის ქვეშევრდომებს სასტიკად ეპყრობოდა, ახალი ხარჯი გააწერა და ყველაფერს ძალით ართმევდა; მისთვის სამართალი აღარ იყო. თავის კანონად თავისი სიხარბე და ჟინი გაიხადა“ (2).

როსტომ რა მიუახლოვდა გორს, მისიონერები წინ წარსდგნენ და პატივით მოიკითხეს. ამანაც დიდის პატივით მიიღო, დაუმტკიცა ყოველი პრივილეგია, რაც თეიმურაზისგან ჰქონდათ, გაამხნევა და დაჰპირდა თავის მფარველობასაც. ეგრეთვე ბრძანება გასცა, რათა არავის შეეწუხებინა პატრები.

როსტომმა გორის ციხის აშენება დაიწყო და ორმოც დღეში დაასრულა კიდეც. იმდროსვე პატრებს სთხოვა გორის ციხის რუკა გადაეღოთ შაჰთან გასაგზავნად. თხოვნა შეუსრულა ახლად მოსულმა პატრი ქრისტეფორემ, რომელმაც მხატვრობა იცოდა. ციხესთან გადახატა გორის რუკაცა, რომელიც რომას გაგზავნა.

მისიონერები მოგვითხრობენ ერთს ყურადსაღებს ამბავსა, რომელიც მომხდარა 1634 წ. ერთი ახალგაზდა ქართველი 15 წლის ვაჟი, გაკათოლიკებული, სახელად ნასყიდა ლოპამონი, გორში პატრებს ემსახურებოდა. იმან რა ნახა მათი შინაური მონაზონური ცხოვრება, ძრიელ მოეწონა და დააპირა თვითონაც მათთან მონაზონად შედგომა, რათა მათსავით სათნოებით ეცხოვრა. რადგანაც ახალგაზდა ქალზედ უკვე დანიშნული იყო, მოინდომა მისი გაშვება. ამაზედ მოილაპარაკა პატრებთან და შეატყობინა თავისი დანიშნულის მამას, ჩემს მაგიერ სხვა სასიძო მონახე შენის ქალისთვის, რადგან საქვეყნო ცხოვრებაზე ხელი უნდა ავიღოო. ეს ამბავი ძრიელ სამწუხაროდ დაურჩა ქალის მამას, ბევრი ურჩია და ეხვეწა ჩემს ქალს თავს ნუ დაანებებო. ამით რომ ვერაფერი გააწყო, მიმართა სომხებს, რომლებიც პატრებს მტრობდენ და უთხრა: თუ დღეს ქართველებს აფრანგებენ, ხვალ სომხებსაც ამასვე უზმენო. მაშინვე მას ბლომად შეუერთდენ სომხები, ძალით გამოიყვანეს პატრების სახლიდგან ნასყიდა და ცემა-ტყეპით მიიყვანეს გორის ციხის უფროსთან, რომელიც იყო მაჰმადიანი. ამასთან რომ ვერაფერი გააწყეს, წაიყვანეს ტფილისს; დაასმინეს არა მარტო კათალიკოსს, არამედ თვით როსტომ ხანსაც და სთხოვეს სიკვდილით დაესაჯა, თუ კათოლიკე სარწმუნოებას არ უარს ყოფდა. ვიდრე ნასყიდას საქმე გადასწყდებოდა, მას ბევრი შეურაცხება მიაყენა მოჩივარ-გაბრაზებულმა ხალხმა, რადგან ხელში ჰყავდათ. ეგრეთვე შეამჩნიეს ერთი ბერძნის მღვდელ-მონაზონი, რომელიც აყვედრიდა მას ქვეყნიერობის დატოებას და მონაზონად შედგომას; თავის ნათქვამის საბუთად იმას ეუბნებოდა, რომ თვითონ ძალიან ვნანობ უცოლშვილობასო და გირჩევ შენს ახალგაზდა მშვენიერს დანიშნულს თავს ნუ დაანებებო. ლოპამონმა იმის ლაპარაკს სრულებით ყურადღება არ მიაქცია და ყოველი შეურაცხყოფა დიდის სულგრძელებით აიტანა, შეუწყვეტლივ ლოცულობდა, რათა ღმერთს მისთვის საჭირო მადლი და სიმხნე მიეცა: ყველას პასუხად იმას აძლევდა, რომ ის უარს ვერ ჰყოფდა კათოლიკე სარწმუნოებას და მზათ იყო მისთვის სისხლიც დაეღვარა. ყოველი ეს ამბავი რომას დაწვრილებით მისწერა პატრი პეტრემ, რომელიც, სხვათა შორის, ამბობს ასე: მეორე დღეს ლოპამონის გასასამართლებლად მოხდა კრება, რომელსაც კათალიკოსთან ერთად ბევრი ქართველი ეპისკოპოსი და თვით როსტომ ხანიც დაესწრო. ბევრის გამოძიების შემდეგომ კათალიკოსმა სიტყვის თქმა მიანდო ჩვენ მიერ ხშირად ხსენებულს მონაზონს ნიკიფორე ერბახს. ჯერ მოუბრუნდა და მოახსენა როსტომს, სიკვდილის ღირსი არ არის, რადგან სარწმუნოება არ გამოუცვლია და სპარსელების წინაამდეგ არაფერი უმოქმედებიაო; ქართველების და კათა-

ლიკების სარწმუნოება ერთი და იგივეა და მათ შორის სხვა არაფერი განსხვავებაა, თუ არ ის, რომ ფრანგები უფრო ერთგულად და მორწმუნებით იცვენ ქრისტეს სარწმუნოებასო. მერმე მიმართა კათალიკოსს (რადგან თეიმურაზთან ერთად ზაქარია კათალიკოსიც გაიქცა იმერეთში, ამისთვის როსტომ ხანმა კათალიკოსად დანიშნა ერთი ახალგაზდა ეპისკოპოსი, რომელიც არ იყო მეგობარი კათოლიკებისა და რომლის შესახებ მისიონერები ამბობდენ: კაი მეომარი და მონადირე არისო), და ბევრი საყვედური უთხრა მას გულგრილობისათვის და შემდგომ დასძინა: „ყოველდღივ ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან, და უფრო მომეტებული მათგანი მაჰმადის სარწმუნოებასაც ღებულობს. მაშ, ვისაც კი უნდა გაფრანგება, რაღად უნდა დაემალოს?“ (1) ესეთი პასუხი და მსჯელობა დიდის კმაყოფილებით მოისმინეს ყველა აქ დამსწრე ეპისკოპოსებმა და ქართველ წარჩინებულ პირთა. ასე რომ სომხები და ბერძნები დიდად შერცხვენილნი დარჩნენ; ეს ამბავი თუმცა მალე აცნობეს რომსა, გარნა პეტრე ავიტაბილემ დაწვრილებით ჰალეპოდგან აცნობა 10 სექტემბერს, 1638 წ.

ნისყიდელი მაშინვე განთავისუფლეს იქიდგან. იგი პეტრე ავიტაბილესთან ერთად დიდის სიხარულით პატრებთან გაბრუნდა გორს, სადაც უფრო გულ მოდგინებით შეუდგა თავის ახალ მონაზონურს ცხოვრებას, მოკლე ხანში ყველასათვის სამაგალითო შეიქმნა. მალე პატრების სამონაზონო ტანისამოსიც ჩაიცვა და შეიქმნა მათი მორჩილი, მმა, სახელად ანდრიას უწოდეს. რადგან იგი მ. პეტრე ავიტაბილეს ძრიელ მოეწონა, თან წაიყვანა იტალიას, რათა იქ უფრო კარგად განსწავლული იყო. გარნა პატრე ავიტაბილეს ინდოეთში წასვლა და იქ ახალის მისიონის გახსნა მიანდეს. ამიტომ თავის მეორე ამხანაგად აირჩია ქართველი მმა ანდრია და 1639 წ. ოქტომბერში ორი მღვდელი და ის ანდრია წავიდენ ინდოეთის გოა ქალაქსა. იქ ანდრიას გულმოდგინებით დაუწყია სხვებთან ერთად შრომა ხალხის მოსარგებლად და თავისი მოღვაწეობით მოკლე ხანში ისეთი სახელი მოუხვეჭია, რომ თურმე პატრი წმიდას უწოდებდენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი აღარ უცოცხლია. თუმცა ზედ მიწევნით არ ვიცით, როდის გარდაცვლილა ანდრია, მაგრამ ჩვენის ფიქრით უნდა გარდაცვლილი იყოს ან 1641 წ. ან 1642 წ., რადგან იმ დროს გარდაცვლილა, როდესაც ჯერ გოაში თეატინელ პატრებს საკუთარი ეკკლესია არა ჰქონიათ. ანდრიას გარდაცვალების შესახებ პეტრე ავიტაბილე რომაში თავის უფროსს ვრცელ მოხსენებას უგზავნის. თარიღი არ აქვს. რაკი საკმაოდ ყურადსაღებია ის წერილი, მოვიყვანთ აქ მის ერთს ნაწილს.

„ამ ჩვენის კურთხეულის ძმის განშორება ჩვენთვის დიდად სამწუხაროა, გარნა ღმერთს დიდს მადლობას ვსწირავთ და იმედი გვაქვს მისის მამობრივის განგებისა, რომ ანდრია იქმნეს ჩვენი მფარველი ამ დიდს უდაბნოში. მისის სიკვდილის ამბავი მოეფინა არა მარტო მთელს ქალაქში, არამედ შორ ადგილებშიაც. ვინც კი იცნობდა, ყველანი წმიდანად რაცხვიდენ, როგორც თვითვე მოგვითხრეს. რადგან მის გვამს უზომო პატივი მიაგეს, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ ეს მოგახსენო. წმიდა დომინიკეს დიდებული წესის მამებს უნდოდათ თავიანთ ეკკლესიაში დაესაფლავებინათ, მაგრამ თავიანთი სურვილი გვიანღა განაცხადეს. წმიდა თერეზიას (კარმელიტანების) მამები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ მონასტერში უნდა დასაფლავებულიყო და არა სხვაგან, თუ იმიტომ, რომ ისინი ჩვენს სახლზე ახლო იყვნენ და თუ იმიტომ, რომ ინდოეთში მოსვლის დროს პირველად მათ მიგვიღეს. ხოლო რა სცნეს, ჩვენი აზრი სულ სხვა იყო, მოიწადინეს გვამი მოეპარათ პირველ ღამეს, როდესაც ჯერ არ იყო დასაფლავებული, რისთვისაც გამოგზავნეს ორი თავიანთი მონაზონი და სამიც მარჯვე ერისკაცი, რათა წაესვენებინათ იქ, სადაც უნდოდათ. ღვთის განგებით ადრე შევიტყეთ ესა, ვიფხიზლეთ და ვილონისძიეთ და ესრედ ავიცილეთ თავიდგან უსიამოვნება, რომელიც ადვილად შესაძლებელია მომხდარიყო, იმათ რომ გვამი მოეპარა. ამიტომ დავასაფლავეთ წმიდა აგვისტინეს მონაზონების მონასტერში, რადგან ერთი თვის წინათვე მათმა უფროსმა დიდის ვედრებით გვთხოვა. თავისს მონაზონებითურთ მოვიდა, კვირა დღეს მხარზე გაიდვეს და წაასვენეს მუსიკით, გალობით და დიდის გამოჩენებით; წირვა-ლოცვა შეუსრულეს და აუგეს მას ყოველი წესი, რომელიც მათ კანონად აქვსთ შეუსრულონ მარტო თავიანთი პროვინციის უფროს, პროვინციალს. ესეც უნდა მოგახსენო, რომ, როდესაც ჩვენი კურთხეული ძმა ავად იყო, იმ მონაზონებმა დიდის სიყვარულით მოუარეს; ასევე მოიქცნენ კარმელიტანებიც“. (1)

ძმა ანდრია მეორე ქართველი მონაზონია, რომელიც კათოლიკე სარწმუნოებისათვის ინდოეთში ასრულებს წმიდად თავის სიცოცხლეს. ყველა საბუთებს რომ მოეწია ჩვენამდე, ვინ იცის, რავდენი ასეთი ქართველი მოემატებოდა ერთგულ კათოლიკეთა რიცხვს!

როგორც ზემოდ ვსთქვით, როსტომ ხანმა, თავისი ურიცხვი ჯარით ქართლ-კახეთი ერთიან დაიჭირა და თეიმურაზ თავისიანებით იმერეთს გადაიხვეწა. გარნა როსტომ მაინც არ იყო უშიშრად და მოსვენებით, რადგან თეიმურაზის სახელის გაგონებაზე ყველა თრთოდა, ეშინოდა თავს არ დამეცესო და ჩემიანებმა ძირ გამცენო. შიში მით უფრო ჰქონდა, რომ ხალხი მალე შემოსწყრა, რადგან ახალი კანონად

შემოიღო 30 კომლზე ერთის შვენიერის ვაჟის გამორთმევა შაჰისათვის გასაგზავნათ. ამის გამო მთელ ღამეს სულ ფხიზლობდა და დროს ატარებდა, დღისით კი დილიდგან საღამომდე ეძინა. თავისი საშიშარი მოწინააღმდეგე რომ ხელში ჩაეგდო, მოინდომა ლევან დადიანთან დამოყვრობა, დაკავშირება, რათა თეიმურაზ შუაში მოემწყვდიათ როგორმე. ამისთვის როსტომმა, თავისიანების შეგულიანებით, დადიანს მოსთხოვა ცოლად მისი და მარიამ, სიმონ გურიელის ქვრივი. მოციქულად, სხვათა შორის, თბილელი გაგზავნა. მისი წინადადება დადიანმა სიხარულით მოისმინა, თუმცა მისი და სრულებით არ თანხმდებოდა; მაინც თავის მხრივ გამოუგზავნა მოციქულები; მათ შორის იყო ნიკიფორე ერბახიც, რომელიც თეიმურაზთან ერთად წასულიყო ჯერ იმერეთს და მერმე სამეგრელოს. მოციქულები რო მოვიდენ გორს და ნახეს მისიონერები, ძრიელ მოეწონათ და სთხოვეს, რომ დადიანის სამეფოშიაც მისულიყო ერთი, ანუ ორი კაცი. ნიკიფორემაც ურჩია და დაარწმუნა დადიანი კარგად მიგიღებსთო და დაჰპირდა, მეც შეგეწევითო. ამაზე მისიონერებმა უარი ვეღარ უთხრეს და ელჩებს თან წაჰყვნენ პატრი არქანჯელო ლამბერტი და პატრი იოსებ ჯუდიჩი 23 ოქტომბერს, 1634 წელსა. მართლაც დადიანმა ძრიელ კარგად მიიღო იგინი, როგორათაც ვნახავთ უფრო ვრცლად შემდეგს თავში.

დადიანმა თუ ცემით, თუ მუქარით და თუ მოტყუილებით, როგორც იყო, დაიყოლია თავისი და, როსტომ ხანს მისთხოვებოდა. მალე დიდის ამბით გამოისტუმრა მარიამ ქართლსა *). მას თან გამოჰყვნენ სამეგრელოდგან და გურიიდგან წარჩინებულნი და ეგრეთვე ეპისკოპოსნიც. პირველად მოვიდენ გორსა. გურიელის მოწინავე პირთ სამეგრელოში გაეცნოთ ლამბერტი და ჯუდიჩი და აქ რომ პატრები დაინახეს, ბევრი ეხვეწნენ პატრი ავიტაბილეს, ერთი-ორი მათგანი გურიაშიაც წამოვიდენ, იქ ძრიელ კარგად იქნებიან მიღებულნიო. მათ ხვეწნაზედ ავიტაბილემ უარი ვეღარ უთხრა და 1634 წ. გააყოლა თან პატრი ქრისტეფორე კასტელლი და პატრი ანტონ ჯარდინა და ძმა კლაუდიო, რომლებიც დიდის პატივით მიიღო გურიის მთავარმა, მალაქია კათალიკოსმა.

გორში რო შემცირდენ მისიონერები, პატრი ავიტაბილე იძულებული გახდა იტალიიდგან ახალი მისიონერები დაებარებინა; 1637 წ. გორს მოვიდა ორი ახალი მისიონერი, ფრანჩისკე მაჯო და კლემენტე გალანო, რომლებმაც საკმაოდ განითქვეს სახელი თავიანთის წერილებით.

*) ვახუშტის ქრონიკებში შეცდომით არის ამ ქორწინების წელიწადად 1638 წ. აღნიშნული, იმ დროს, როცა ეს იყო 1634 წ.

მაჯო მაშინვე შეუდგა ქართულისა და თათრულის ენის შესწავლას. იმან ქართული ისე მალე და კარგად შეისწავლა, რომ დასწერა თავისი შესანიშნავი სინთაგმათონად წოდებული გრამატიკა ქართულ-ლათინურად (1). ხოლო კლემენტე გალანომ, რა ნახა, ყველა მისი ამხანაგები მარტო ქართველების სწავლასა და გაკათოლიკებაში იყვნენ გართულნი და სომხებს, რომლებიც საქართველოში იმ დროს ბლომათ იყვნენ, სრულებით ყურადღებას არ აქცევდენ, დაიწყო სომხურის ენის შესწავლა; მიმართა სომხის მღვდლებს გორსა და ტფილისში და მალეც შეისწავლა ის ენა (1). გარნა ბევრ ხანს აღარ დარჩა აქ, მალე წავიდა ჯერ სამეგრელოს და იქიდგან კოსტანტინეპოლს, სადაც დააარსა სომხებისათვის სკოლა და დასწერა თავისი შესანიშნავი წერილი სომხისა და რომის ეკკლესიის შეერთების შესახებ.

ზემოდ ვნახეთ, რომ საქართველოს, ორი-სამი საუკუნის განმავლობაში, თავისი კათოლიკე ლათინის ეპისკოპოსი ჰყავდა; ხოლო როდესაც მოაკლდათ ტფილისის კათოლიკებს თავიანთი საკუთარი მწყემსი, მეტადრე XVI საუკუნის განმავლობაში, არა სჩანს, იმ დროს რომელ ეპისკოპოსზედ იყვნენ დამოკიდებულნი საქართველოს კათოლიკენი. ხოლო XVII საუკუნეში კი ეს კათოლიკენი 1633 წ. ისპაჰანში მყოფ ლათინის ეპისკოპოსს დაუქვემდებარეს. ამ განკარგულებას პროპაგანდა აცნობებს საქართველოს მისიონერებს შემდეგის წერილით:

„საქართველოში მყოფ აგვისტინიანებისა და თეატინლების უფროსს მამებს.

„პროპაგანდის კრების რჩევით პაპმა ისპაჰანში ეპისკოპოსად განაწესა პატრი ივანე თადეოზ და თანაშემწედ და შემდეგში მისვე მოსაყდრედ მისცა პატრი ტიმოთე კარმელიტანი; ეგრეთვე მიანიჭა მას მრავალი უფლება და ძალა, რათა მოიხმაროს თუ სპარსეთის სამთავროსა და თუ საქართველოს სამეფოს ქრისტიანების დასახმარებლად. ბატონმა კარდინალებმა ინებეს, გაუწყოთ თქვენ და თქვენ მამებსაც, რათა მაგ ერის სასიკეთოდ და თქვენის მისიონის საქმეებისათვის მიმართოთ ხსენებულ ეპისკოპოსს. მას ნაბრძანები აქვს, შეგეწიოსთ მაგ მისიონში და მეტადრე იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა საეპისკოპოსო ღირსების უფლება. რომით, 5 იანვარს, 1633 წ." (2).

ივანე თადეოზ კარმელიტანი პატრია, რომელიც 1613 წ. სპარსეთიდგან მოვიდა თეიმურაზის მისასამძიმრებლად, ცოტა ხანს საქართველოში დარჩა და ისევ მალე წავიდა ამტყდარის ჩხუბის გამო.

აქ ყურადსაღებია ის, რომ საქართველოს კათოლიკების ყურისგდება-უფროსობა მიუნდვიათ, ისევ შორს მყოფის ლათინის ეპისკოპოსის და არა ნახჩევნის ეპისკოპოსისათვის, რომელიც საქართველოზე გაცი-

ლებით ახლოს იყო, ვიდრე ისპაჰანში მყოფი ეპისკოპოსი. ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებს, რომ ნახჩევნის არქიეპისკოპოსს არც ერთ დროს არავითარი გავლენა ჰქონია საქართველოს კათოლიკებზე. ასე რომ არ ყოფილიყო, პროპაგანდა უეჭველად რასმე მოიხსენებდა ამ წერილში.

აქ უნდა მოვიხსენოთ ის შესანიშნავი გარემოებაც, რომ რომაში პროპაგანდის საეკკლესიო კოლეგია, სადაც ყველა გვარ-ტომის სამღვდელოება სწავლობს, საქართველოს მიზეზით დაარსდა. მისიონერებმა საქართველოს მდგომარეობა კარგად რომ გაიცნეს და შეიტყვეს ისიცა, რომ ამ ქვეყანას სამღვდელოება მეტად უვიცი და მოუმზადებელი ჰყავნდა, რომას თხოვნა დაუწყეს თუ სიტყვიერად და თუ წერილობით ამ მხრივ შემწეობა აღმოგვიჩინეთო. უთვლიდენ კარგად განსწავლულ მღვდლებზეა დამოკიდებული ამ ქვეყნის წარმატებაო. ეს გარემოება ყურად იღო პაპმა ურბანო მერვემ და აღმოსავლეთის ყველა ტომთათვის პროპაგანდის კოლეგია დააარსა. ორის ბულლით დაადგინა, რომ ოროლი მოწაფე მუდამ უნდა იწვრთნებოდეს ამ კოლეგიაში. ამათში, ცხადია, უნდა ყოფილიყვნენ ქართველებიც, რომლებსაც დღევანდლამდე ორი ადგილი აქვსთ. ქვემოდ ვნახავთ, რომ მართლაც ბევრი ქართველი გაწვრთვნილა ამ კოლეგიაში.

გურია-სამეგრელოს მისიონი ძალიან გაძლიერდა, რადგან მთავრებმა და ერმა ძრიერ კარგად და დიდის პატივით მიიღეს მისიონერები. ამიტომ პატრების უმეტესი ნაწილიც იქ წავიდა. მათ სამეგრელოში გადასახლებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ქართლში ველარ ხედავდენ უწინდელებრ კათოლიკე სარწმუნოების მოსარჩლე მეფეს, მისიონის მფარველს დედოფალს (თეიმურაზის მეუღლეს დარეჯანს მისიონის მფარველს და დედას ეძახდენ) და აღარც თავიანთ ერთგულ კათალიკოსს. მათ ადგილას გამაჰმადიანებული როსტომ იყო, რომელიც თუმცა დაჰპირდა პატრებს თავის მფარველობას და შემწეობას, მაგრამ მალე ბრძანება გამოსცა, ვინც გამოიცვლის სარწმუნოებას და მაჰმადიანობის ნაცვლად სხვა სარწმუნოებას მიიღებს, სიკვდილით დაისჯებაო. არც ახალი კათალიკოსისაგან დიდს სიკეთეს მოელოდენ. ამიტომ იმედი აღარ ჰქონდათ საქართველოში მათ მოღვაწეობას ისეთი ნაყოფი გამოეღო, როგორც წინად მოჰქონდა. თეიმურაზიც როსტომ ხანს არ ასვენებდა. გამუდმებული ომი ძრიელ გულს უტეხდა პატრებს. ყოველ ამას დაერთო ისიც, რომ ადვილად ველარ შოულობდენ ახალ მისიონერებს, რომელთაც ძველების ადგილის დაჭერა შესძლებოდათ. ამ სხვა და სხვა გარემოებამ თეათინელი პატრები იძულებულ ჰყო, რომ ისე დიდის შრომით და ეგრედ ნაყოფიერად დაწყებული ქართლის მისიონი დაეტოვებინათ

და თითო-თითოდ სამეგრელოს გადასულიყვნენ. გორში დარჩნენ მარტო-ორი მღვდელი და ერთი მორჩილი ძმა. რაკი ახალი მღვდელი ვეღარ მოუმატეს მისიონს, ადგნენ და სამეგრელოს გადავიდენ. ასე მოულოდნელად და სანანურად დაასრულეს თეატინელებმა თავიანთი მისიონი ქართლში. 1638 წ. გორში მათგანი აღარავინ იყო.

სანამ თეატინელები გორს მოშორდებოდენ, იქ მყოფი ავგისტინიანი მონაზონებიც ბევრნი დაიხოცნენ ჟამით. ბოლოს დარჩენილ იყო მარტო ერთი მღვდელი და ისიც ისპაჰანს წავიდა და აღარც კი დაბრუნებულა. წასვლის წინეთ თავისი ეკკლესია თეატინელებს მიანდო. ხოლო თეატინელებმა არა მარტო ის ეკკლესია, არამედ თავიანთიც უპატრონოდ დასტოვეს. გარნა, როგორც სჩანს, შემდეგში ავგისტინიანები ისევ მობრუნებულან, ვინაიდგან ზემოდ დასახელებული მოხსენება ავგისტინიანმა პატრი ამბროზიომ რომას მისწერა 1640 წელს გორიდგან. ხოლო მას შემდგომ აღარ ვუწყით, თუ რამდენ ხანს კიდევ დარჩნენ ავგისტინიანები გორში.

თეატინელებს, როგორც დაიწყეს, ისე ბოლომდე რო შერჩენოდათ გულის სიმაგრე და აქეთ-იქით ბევრი ადგილისათვის ხელი არ ჩაევლოთ, მათი შრომა საქართველოში უეჭველად დიდს ნაყოფს გამოიღებდა და ბევრი მიმდევარიც ეყოლებოდათ, რადგან ძრიელ განათლებული და თავ-განწირულნი პირნი იყვნენ.

შემდეგს თავში გავაცნობთ მკითხველთ თეატინელების მოღვაწეობას გურია-სამეგრელოში, სადაც მათ გასწიეს დიდი შრომა, რომელიც საკურველათ დაგვირგვინდა.

თ ა ვ ი VI.

ქართველი კათოლიკენი გურია—სამეგრელო—იმერეთისა XVII საუკუნეში.

შეიძლება, მკითხველს გაუკვირდეს კიდეც, რომ გურია-სამეგრელო აქამდე არც კი ვახსენეთ და იქაური ძველის დროის კათოლიკეთა არაფერი ვსთქვით. მიზეზი ამისა ის იყო, რომ უწინ სამეგრელო არ შეადგენდა ცალკე მისიონს. არამედ საქართველოს მისიონს ექვემდებარებოდა. უწინ ევროპელები Iberia და Georgia-ს სახელით ხშირათ გულისხმობდენ მისს დასავლეთს ნაწილს იმერეთ-სამეგრელოსაც. აი ეს არის მიზეზი, რომ იმ პროვინციების კათოლიკების შესახებ კერძოდ საბუთებს, რაც არ მოვიხსენეთ XV საუკუნის აღწერაში, XVII საუკუნემდე მეტს ველარ შევხვდით. გარნა ვფიქრობთ, იმ დროებში კათოლიკობა უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყოს იმ სამ პროვინციაში, ვიდრე თვით შუაგულ საქართველოში, რადგან მისიონერები სანამ საქართველოს შემოვიდოდენ, პირველად იმ სამთავროებში მოდიოდენ. ამიტომ საგულვებელია, რომ ჯერ იქ იწყებდენ კათოლიკობის ქადაგებას და ქართლს მერე შემოდიოდენ. ეგრეთვე ისტორიიდგან კარგად ვუწყით, რომ, ვიდრე ოსმალეთი ისე საშინლად გაძლიერდებოდა და ტრაპიზონს დაიპყრობდა, ვენეციელისა და ჯენველის ვაჭრებით შავიზღვის პირი სავსე იყო. ერთი მათი უმთავარესი ბინათაგანი სამეგრელო იყო. ხსენებული იტალიელი ვაჭრები იქ ძრიელ გაშინაურებულნი და ზლომათაც ყოფილან. ბევრნი მათგანი იქვე მეგრელებს ესიძებოდენ და მათთანვე რჩებოდენ; მეგრულსაც სწავლობდენ და მათ ზნე-ჩვეულებასაც იკვლევდენ, თუმცა მეგრელებს მაინც და მაინც ქებით არ იხსენიებენ, მათი ქცევა არ მოსწონსთ და პირუტყვ-ხალხად სთვლიან. ვენეციელი მგზავრი, იოზაფატ ბარბარო, რომელმაც თანაში წასვლა-მოსვლის დროს (1436—1455 წ.) გამოიარა სამეგრელოში და აქაური მთავარი ბენდიან (Bendian) ნახა, ამბობს, რომ სამეგრელოში მოსიარულე ჯენველები „გიჟის“ გამოსახატავად სიტყვას „მეგრელს“ ხმარობენ. მაგალითად: შენ მეგრელი ხარო (Du sei Mengrello) თუ ერთმა მეორეს უთხრა, ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა უთხრას: „შენ გიჟი ხარო“ (1).

ცხადია იტალიელებისა და მეგრელების ასე ხშირს დაახლოებულს კავშირს თავისი გავლენაც უნდა ჰქონოდა სარწმუნოებაზედაც, მეტადრე თუ ისიც არ დავივიწყეთ, რომ უწინ ამ იტალიელ ვაჭრებს ხშირად თან ჰყავდათ თავიანთი მღვდლებიც. ეს გარემოებაც საკმაო საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ უწინ სამეგრელოში კარგად ყოფილა კათოლიკობა გავრცელებული, რასაც არა ნაკლებ ამტკიცებენ XVII საუკუნეში დარჩენილი ეკკლესიები. (2) მოვიგონოთ ისიცა, რომ ხსენებულ საუკუნეში კათოლიკე მისიონერებმა თვალ-საჩინოდ გაავრცელეს სარწმუნოება, ასე რომ შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ძველს დროში კათოლიკე სარწმუნოება თუ უკეთ არა, ნაკლებად მაინც არ იქნებოდა გავრცელებული.

რადგან სამეგრელო XVII საუკუნეში თეათინელებზედ უწინ სხვა მისიონერებმა მოიარეს, ჩვენც ჯერ იმ მისიონერების მოღვაწეობას და მათ შესახებ საბუთების გაცნობას შევუდგებით.

ამ საუკუნის დასაწყისში თვით დადიანს მოუნდომებია ლათინთა მისიონერების მოყვანა თავის სამთავროში. როდესაც ოსმალეთთან სამუდამო მშვიდობის დასამყარებლად თავისი ელჩი კონსტანტინეპოლს გაუგზავნია, მისთვისვე მიუნდვია მისიონერების თან წამოყვანა. იმასაც კონსტანტინეპოლში მყოფის საფრანგეთის ელჩის ბარო სანჩიუსადმი მიუმართავს, რადგანაც კარგად ყოფილა დაახლოებული. საფრანგეთის ელჩსაც იეზუიტების უფროსისათვის მიუმართავს და დაურწმუნებია, მეგრელთა ელჩი რასაც გპირდება, ყოველივე ასრულებული იქმნებაო. იმასაც ორი იეზუიტი დაუნიშნავს სამეგრელოში წასასვლელად. იეზუიტების ისტორია ამ ამბავს ასე მოგვითხრობს: „კონსტანტინეპოლიდგან დაიწყო მეგრელებსა და ქართველებში გასაგზავნმა მისიონმა მოღვაწეობა... რადგან მეგრელთა მეფე წინეთ ნატრობდა ლათინის მოძღვრებს; ეს სურვილი ჩვენებს განუცხადა პირითა თავისის ელჩისა, რომელიც 1614 წ. ოსმალეთის პალატში მოვიდა საჭირო საქმეებისა და მეტადრე მეგრელთა და ოსმალთ შუა სამუდამო მშვიდობის დასამყარებლად. ჩვენმა მამებმა ეს წინადადება სიხარულით მიიღეს, ასეთი კაი შემთხვევა ხელიდგან არ გაუშვეს და შეჰპირდენ ელჩს, დაუყოვნებლივ გზას დადგომოდენ და, რაც შეიძლება, ძალე მისულიყვნენ მეფესთან. ეს მოხდა შუაკაცობით უქრისტიანესის მეფის ელჩის ბარო სანჩიუსისა, რომელმაც ამ შესანიშნავის მისიონის დასაფუძნელად, საჭირო ხარჯიც მოგვცა. მისი რჩევით, პატრი ლუდოვიკე გრანჯერიო და მასთან ერთად მორჩილი ძმა 1614 წ. წაჰყვნენ ელჩს, რომელმაც ამის გამო უფრო ჩქარა გაათავა საქმენი". (1).

მისიონერები დიდის გაჭირვების შემდგომ სამეგრელოში მივიდენ, იქ დიდის პატივით მიღებულ იქმნენ. რა დაბინავდენ, ერთი ვრცელი აღწერა გაუგზავნეს ფრანგულად თავიანთ უფროსს. იმათ წერილში თავიანთი მგზავრობის გარდა მოხსენებულია ყველაფერი, რაც ნახეს, ან თუ როგორ მიიღეს ისინი გურია-სამეგრელოში. რადგან წერილი დიდათ საინტერესოდ მიგვაჩნია, ამიტომ მოვიყვანთ მის მომეტებულ ნაწილს და გამოვსტოვებთ იმას, რაც არ შეეხება ჩვენს საგანს, ან რაც მკითხველისათვის საინტერესოდ არ მიგვაჩნია. არც ტექსტის მოყვანას საჭიროდ ვრაცხთ.

„წერილი მამა ლუდოვიკე გრანჯერიოსი იეზუიტების საზოგადოების გენერალ უფროსს კლაუდიო აქვავივას, მიწერილი სამეგრელოს სოფ. მოქვიდგან 2 მარტსა 1615 წ.

„ყოვლად პატივცემულო მამაო,

„ჩვენის კოსტანტინეპოლში მყოფის მამებისაგან შეიტყობდით შარშან, რომ დიდად განათლებულის უქრისტიანესის ხელმწიფის ელჩი, ჩვენთვის მოწყალე და სარწმუნოების გავრცელების სურვილით გამსჭვალული, სამეგრელოს მთავრის ელჩს ხშირად ელაპარაკებოდა იმის შესახებ, რომ მისთვის თან გავეყოლებინეთ და დაუბრკოლებრივ გავყევით კიდეც. პირველ გაზაფხულშივე გამოგვიცხადეს, რომ ჩვენი მგზავრობა მოახლოებული იყო და უნდა წავსულიყავით ჯერ ტრაპიზონს, შემდეგ სამეგრელოს ონეზ ფაშასთან ერთად, რომელსაც სულთანის სახელით უნდა მოელაპარაკნა სხვა და სხვა საქმისთვის სამეგრელოსა და გურიის მთავრებთან, დადიანთან და გურიელთან. დიდად განათლებულმა ელჩმა არაფერი დაზოგა ამ მგზავრობისთვის, მოგვცა ხუთასი ოქრო, რომელიც საჭირო იყო მისიონისათვის. მას გარდა მშვენიერი საჩუქრები მიართვა ფაშას და იმასთან ყველაფერი გაარიგა. რადგან ფაშის ხომალდი სავსე იყო ჯარის კაცებითა და საქონლით, სხვა ხომალდში ჩაგვსხა ორ თავის ნაცნობ იანიჩართან ერთად. ხომალდი ჯერ უნდა მისულიყო ვარნას სურსათისათვის და იქიდგანაც ტრაპიზონს უნდა წასულიყო. ფაშამ ჩვენი თავი იანიჩრებს ჩააბარა, ყური კარგად უგდეთ, გზაში არავინ შეაწუხოსო. ამ ნაირად, იმ სამის მღვდლისაგან, რომლებიც კოსტანტინეპოლში ვიყავით, მე ულირსი და იმ ადგილის ურგები გამომირჩიეს მისიონისათვის და შემწედ მომცეს ძმა სტეფან ვიო და გამაყოლეს ეგრეთვე ერთი ახალგაზრდა სომეხი მოენედ. გულ უხვმა და დიდად განათლებულმა ელჩმა, რაც კი საჭირო იყო მგზავრობისათვის, ყველაფერი რომ გვიშოვნა, 26 მაისს, წმიდა სამების დღესასწაულის ორი დღის უკან გამოვესალმეთ ჩვენს მამებს და ნავით წავედით ჩვენს ხომალდში, რომელიც ბოსფორში იცდიდა სხვა

ბევრ ხომალდებთან ერთად... მხოლოდ მაშინ ვსცანით ის, რასაც კონსტანტინეპოლში ფიქრადაც არ გავიტარებდით. ესე იგი, თურმე დიდად ძნელი ყოფილიყო მთავარ გურიელთან და დადიანთან მშვიდობის ჩამოგდება. ამას კაი დრო სჭიროდა. ამიტომ მთავრების ელჩები აღარ გაუშვეს, ტყვეებსავით დაიჭირეს. ჩვენთვისაც უკეთესი იყო ცალკე გვემგზავრა, ვიდრე მეგრელებთან ვყოფილვიყავით, რათა ჩვენზედ არაფერი ეჭვი შემოეტანათ... ფაშა ტრაპიზონიდგან 20 ივლისს წამოვიდა და იმას გამოვყევით. სამენსა და კარიპაროვოლში გაჩერება მოინდომა, ჩვენ კი სოფელ რისკისკენ გავსწიეთ; საშინელი ქარი ამოვარდა და საკმაოდ შეგვაწუხა, ამასთანავე დაღუპვისაც გვეშინოდა. მაგრამ ავდარმა მარტო ერთ დღეს გასტანა. სოფელი რისკა ჩვენის ფაშის სამშობლოა და მთელი მისი სახლობა იქ სცხოვრებს. თუ ეს და თუ სხვა ბევრი სოფელი ეკუთვნის ლაზისტანს, რომელიც გადაჭიმულია ტრაპიზონიდგან დაწყებული ვიდრე საქართველომდე. იმ ნაწილში, რომელიც ტრაპიზონზედ ახლოა, ბერძნულს ლაპარაკობენ, ხოლო საქართველოს მახლობლად კი საზოგადო ენა მეგრულია, რიზა ლაზების, ანუ ალანელების ახალშენია. ლაზები სამეგრელოს ერს ეკუთვნიან. ნელნელა ყველანი მაჰმადიანების ურჯულოებაში ცვივიან. რადგან ქრისტიანნი იყვნენ, ბევრს ხარჯს ახდევინებდენ და მრავალ გვარ შეწუხებასაც აყენებდენ. ამიტომ იმათ მაჰმადიანობა მიიღეს და ოსმალებს ნებას აძლევენ, რომ მათ შვილებს წინადაცვეთა აღუსრულონ. ამნაირად თავიანთი სარწმუნობის უარყოფით თავი ხარჯისაგან დაიხსნეს. ახალგაზდა ქრისტიანი ქალები, თავიანთი მშობლების სიცოცხლის დასაცველად იანიჩრებზედ თხოვდებიან; ამისგამო ძრიელ ცოტამ შეირჩინა ქრისტიანობის სახელი და ნათლიღების ხსოვნა; ეს მით უფრო სამწუხაროა, იმიტომ, რომ კაცმა არ იცის, თუ მას რა წამალი უნდა დაედვას, როგორ უნდა უშველოს. მაინც კი რავდენადაც სიბრძნე მოითხოვდა და რავდენადაც ჩვენის მცირედის მეგრულით შეგვეძლო, იქაურ მცხოვრებთა საკმაო რიცხვს, მეტადრე ყმაწვილებს, დახმარება აღმოუჩინეთ, ვასწავლეთ ჩვენის წმიდა სარწმუნოების უპირველესნი ჭეშმარიტებანი და თათრებზედ გათხოვილ ზოგიერთ დედაკაცებსაც თავიანთი მოვალეობანი გავაცანით. კიდეც მოვნათლეთ ერთი თვრამეტი წლის ასული, რომელსაც თავისი მშობლებისაგან გაგონილი ჰქონდა, რომ ის მოუნათლავი იყო. გარემოებას რომ ხელი შეეწყო; მისის დედის თანხმობით ერთი თათრის ბავშსაც მოვნათლავდით, აგრეთვე ერთს თათრისავე ახალგაზრდა ტყვეს. ასე გართული რომ ვიყავით, მოვიდა ფაშა და რამდენიმე დღის შემდგომ, მისივე თანხმობით ჩავსხედით ერთ ნავში, რომელიც შვიდობის ჩამოგდების შემდგომ; ფაშის ნავს უნდა გაჰყოლოდა. ნავი იმიტომ

გამოვიცვალეთ, რომ ვარჩიეთ ჩვენს ნაცნობ ლათინის წესის მგზავრებთან ვყოფილიყავით.... შუადღისას უფრო გაძლიერდა ღელვა. მალე გემის თოკები მთლად დასწყვიტა; მენავებმა და მგზავრებმა ბარგი ზღვაში გადაჰყარეს და შემდგომ თვითონაც ჩაეშვნენ ზღვაში, რათა ზოგი ცურვით და ზოგიც პატარა ნავებით ხმელეთზედ გასულიყვნენ. აბობოქრებულმა ქარმა და ზღვის ღელვამ ჩვენი ხომალდიც კიდეზე გააგდო. ძლიერმა ტალღამ ორი კაცი დაგვირჩო, ერთი თათარი და ერთი ქრისტიანი, მაგრამ ერთმა ღმერთმა უწყის, თუ რა ნაირი ქრისტიანი იყო. ორმა მგზავრმა, ერთმა არაბმა და ერთმა მეგრელმა მოინდომეს ცურვით გასვლა. ტალღებმა არაბი დაარჩო, მეგრელი კი დამტვრეული ნავის ფიცრებით, როგორც იყო, ზღვას გადურჩა; მაგრამ ნაპირას შემწეობა აღმოუჩინეთ, აღსარებაც ვათქმევინეთ და მიიცვალა. იმედი მაქვს საუკუნო ბედნიერების ნავთ-სადგურს ეწიოს. ჩვენი ხომალდი სამ-ოთხ გზის კლდეს დაეჯახა, დაზარალდა, დაიმტვრა და ჭერი კლდისაკენ გადავარდა, ისე რომ გაკეთდა ერთნაირი ხიდი, რომლითაც ხომალდში მყოფთ გასვლა და თავის დახსნა შეიძლეს, გარდა ერთ ახალგაზრდა კაცისა, რომელმაც ტანთ არ გაიხადა და ამიტომ ქარმა ზღვაში ჩააგდო: ისე უბედურად ჩვენ თვალწინ დაიღუპა. ცოცხალი კი გადავრჩით, მაგრამ საქონელი, სარჩო, ხომალდი, სუყველაფერი ზღვის მსხვერპლი შეიქმნა. გარნა დადიანი და გურიელი ზავის პირობათა შეწყნარებას გვიანებდნენ. ღელვისაც გვეშინოდა და ვეღარ გავბედეთ ჩვენ დამტვრეულ ხომალდში მიბრუნება. ამიტომ თანხმობით ყველამ ერთად გადავსწყვიტეთ, დამტვრეული ხომალდის ფიცრებით, ერთის სოფლის ახლოს ქოხი გაგვეკეთებინა და აი ასეთ მოკრძალებულს საფარში შევისვენეთ. აქ დავიწყეთ საქრისტიანო მოძღვრების სწავლება ბავშებს და ბერძნების მღვდლებსა, რომელთაც აღსარება თავის დღეში არ ეთქვათ და არც სხვისთვის ეთქმევინებინათ; ზიარებას კი აძლევდნენ მორწმუნებს. ისევ მღვდლები თუ უმეცრებით და თუ დაუდევრობით, წირვის თქმის დროს ბარძიმში წყალს არ ურევდნენ და წმიდა ნივთებს ძრიელ უხამსად ეპყრობოდნენ. ფიცხლად ვამხილეთ და, რაც შეგვეძლო, ჩვენის სწავლის დარიგებით შევეწიეთ. რაოდენ მოწყალებასაც ვშოულობდით, ყველას მათ ვაძლევდით ამ საწყალ ქრისტიანეთათვის, რომლებიც მაჰმადიანობაზედ გადადიოდნენ, რადგან ხარჯის გადახდა თავიდგან აეცილებინათ.... ჩვენის მეგობრების რჩევით ფაშასთან წავედით და ვსთხოვეთ ყურადღება ჩვენი ასეთი გაჭირვებული მდგომარეობა, რომელშიაც ჩაგვაგდო ესოდენმა მოულოდნელმა დაბრკოლებამ და ჩვენთვის სამეგრელოში შესვლის ნება მოეცა, როგორც ამას თვით შეჰპირებოდა საფრანგეთის ელჩს, ან ორი და კაცი გამოეყოლებინა, რათა უშიშ-

რად სხვა მგზავრებთან ერთად გამოვბრუნებულიყავით კონსტანტინეპოლს. ჩვენმა სიტყვებმა გული მოულბო, მაგრამ, მასთანვე გამოგვიცხადა, რომ სულთანმა მიბრძანა: არავინ შეუშვა სამეგრელოში, ვიდრე შვიდობის საქმე არ დაბოლოვდებაო. ხოლო სიამოვნებით კი მოგცა პასპორტი, რათა კონსტანტინეპოლს გავბრუნებულიყავით. მაგრამ განგებამ სულ სხვა ნაირად დაატრიალა ჩვენი საქმე. როდესაც ერთი პატარა ნავის კაპიტანთან მოვილაპარაკეთ, უეცრათ მოვიდა გურიელის მოამბე, რომელმაც ნავის ჩამოგდება და ხარჯის გადახდის თანხმობა გამოაცხადა. ეს ნავი წმიდა ლუჩიას დღეობას (13 დეკემბერს) საქართველოს ნავთსადგურ ბათუმში შეკრეს მთავარმა და ფაშის გამოგზავნილმა კაცმა. ამ ამბავმა განზრახვა გამოგვაცვლევინა, მეორედ კიდევ მივმართეთ ფაშას. იმან ახლა უფრო კაის გულით მიგვიღო, ვიდრე წინეთ, თავისი მფარველობა გამოგვიცხადა და ნება მოგვცა, სადაც გვინდოდა, იქ წავსულიყავით. ზედ წმიდა თომა კანტორბერის დღეობას (29 დეკემბერს), შვიდის თვის მგზავრობის შემდგომ, იმავე ნავით, რომლითაც კონსტანტინეპოლს უნდა გავბრუნებულიყავით, გამოვიარეთ ხელმეორედ გონიის კონცხი, რომელსაც დიდიხანია ვუმზერდით და ორის დღის შემდგომ შვიდობით მოვედით საქართველოს ქალაქ სატყეპელაში (Satcapella). ზღვის პირას სიარულის დროს ჩვენთან ქართველები მოვიდენ, მათ შორის იყო გურიელის ვეზირი, მხედართ მთავარი მისი ჯარისა და გამგებელი ამ მხარისა. როცა დაგვიძახა ვეზირმა, ცხენიდგან გადმოხტა და იმ ქვეყნის ჩვეულებისამებრ, დაიჩოქა ცალის მუხლით და მეტის-მეტად მეგობრულად მოგვესალმა; ჩვენც დიდის მოწიწებით მაგიერი სალამი მივეცით. მაშინვე მიწაზედ გვერდით მოგვისხა და გამოგვკითხა, საიდგან მოვდიოდით, ან სად მივდიოდით. რა გაიგო, ფრანგები ვიყავით და დადიანთან მივდიოდით, გვთხოვა ჯერ გურიელი გვენახა და ცხენებიც მოგვცა იქ წასასვლელად. მადლობა მოვახსენეთ გულკეთილობისათვის და დავპირდით, რომ სატყეპელაში ლაზისტანის არქიეპისკოპოსს ვნახავთ თუ არა, დიდის სიამოვნებით მივალთ და მთავარსაც ვნახავთ, უკეთუ გვეცოდინება, რომ ჩვენი ნახვა ესიამოვნება-თქო. იმან მოგვიწონა ჩვენი გარდაწყვეტილება და წავიდა. ღამე ზღვის პირას გავატარეთ. მეორე დღეს წავედით სანახავად მიტროპოლიტისა, რომელიც მცირედ, მაგრამ გულითადად გაგვიმასპინძლდა. ამასობაში გურიელმა ჩვენი მასპინძელი მიტროპოლიტი მიიწვია, რათა შობას მასთან ყოფილიყო მწირველად. ისიც წავიდა და შემოგვპირდა, თქვენის მოსვლის ამბავს მთავარს ვაცნობებ და თუ ისურვა თქვენი ნახვა, მეორე დღესვე შევატყობინებთო. თავისი სიტყვა აასრულა კიდეც. დაგვიბარეს გურიელთან: მოვიდა ვეზირის კაცი, რომელსაც ჩვენი მიწვევა

ჰქონდა დაბარებული, თან მოიყვანა ცხენები და წაგვიყვანა ბაილეთს (Baylet), სადაც მთავარი თავისი სახლობით და კარის კაცებით შობას ეგებებოდა. მაგრამ თვით გურიელი დაგვიხვდა მახლობლად სხვა სახლში, სადაც სანადიროდ ჩამომხდარიყო. შეიტყო თუ არა ჩვენი მისვლა, მაშინვე დაგვიბარა ერთ დარბაზში, სადაც თავის ქვეშევრდომებს ასამართლებდა. დიდის მოწიწებით მივესალმეთ, ის კი წამოდგა ტახტიდგან, თავ-შიშველი წინ მოგვეგება, დაიჩოქა ცალის მუხლით და ისე სალამი მოგვცა. შემდგომ თვითონ და მისი მხლებლებიც გვეამბორნენ და გვერდით მოგვისხა. ბევრი რამ გვკითხა და ჩვენც ყველაფრის პასუხი მივეცით. მერე გვთხოვა მისი სახლობისავის გველოცნა. გამოვესალმეთ მთავარსა და წავედით ბაილეთს, სადაც თხუთმეტის დღის განმავლობაში დიდის გულ-კეთილობით მოგვეპყრა. მთავარი მეტად ზრდილია (რაც იშვიათია ამ მხარეს) და დიდი პატივის მცემელია რომის ეკკლესიისა და მისის მთავრის პაპისა. საჯაროდ ამბობს, რომ ბიზანტიის იმპერია და კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსო საყდარი იმიტომ დაემხო, რომ არ ინდომეს რომის წმიდა მღვდელ-მთავრის მორჩილება. და აკი ღმერთმაც იმიტომ დასაჯა; წმიდა პეტრემ მიიღო კლიტენი სასუფეველისანი. პაპი არის მამა ყოველთა მორწმუნეთა, ამიტომ ყველანი მისი მორჩილი უნდა იყვნენო. როდესაც ლაპარაკი ამაზედ ჩამოვარდა, ვსთხოვე ნება მომეცით თქვენი აზრი პაპს შევატყობინო-მეთქი. დიდის სიამოვნებითო, მომიგო და თანაც მთხოვა პაპისათვის მიმეწერა და მის მაგიერ მეთხოვნა ცოდვების შენდობა. თანაც დასძინა, წერილითვე აღსარებასაც ვიტყვი პაპთანაო. მაგრამ მე აუხსენი, რომ ამნაირად არც აღსარება შეიძლება და არც ცოდვების მოტევება-მეთქი. პაპმა სწორედ იმიტომ გამოგვგზავნა შორს ქვეყნებში, ხალხს ცოდვები მოვანანებინოთ-მეთქი. ამისი მთავარმა იგივე მითხრა, რაც ფილიპპეს კანდაკის დედოფლის საჭურისმა უთხრა: „აჰა წყალი; რაღას აყოვნებ ჩემს მონათვლას“? მითხრა, თუ აგრეა, ახლავე ვიტყვი აღსარებასო. მალე მოენის საშუალებით თითქმის მთელის თავისი ცხოვრების აღსარება მითხრა. იქნება მკითხოთ, ჩვენის სარწმუნოების შემწეობა-მოკლებულ მთავარს საიდგან აქვს ასეთი ქრისტიანული გრძნობაო, მეც პავლე მოციქულის სიტყვებს მცირედად შევსცვლი და ისე გიპასუხებთ: ერთმა ქართველმა მონაზონმა, რომელმაც 12 წელიწადი გაატარა რომაში, დასთესა კეთილი თესლი ამ ნაყოფიერ მიწაზედ, რომელსაც ახლა ჩვენ ვრწყავთ და ნაყოფს ვაღებინებთ ღვთის კურთხევით. რა გაიარა ნათლიღების დღესასწაულმა, გურიელმა, როგორც იყო, დიდის გაჭირვებით ნება მოგვცა წავსულიყავით. არ ინდომა ჩვენი დაჭერა, რადგან დავპირდით, კვალად მოვალთ და უკეთუ ინებებთ რავდენსამე ჩვენებურ მოძღვარს დავიბა-

რებთ თქვენს ქვეყანაში დასარჩენადო. ამისი გვითხრა; „არა თუ დიდად სასიამოვნოა ჩემთვის ეგ თქვენი დაპირება, არამედ გპირდებით, რომ დიდის პატივით მივიღებ, მივსცემ სახლს, ეკკლესიას და ყველაფერს, რაც კი დასჭირდებათ საცხოვრებლათ“. წამოსვლის დროს ფული შემოგვაძლია, მაგრამ არ გამოვართვით, რაც ძრიელ იამა და ჩვენი ძმობის საზოგადოება მთელი თავისი დარბაისელების წინაშე იმ ზომამდე აქო, რომ ამ ამბავმა მიაწია ოსმალებამდე, რომლებმაც, თავიანთი მხრით, სამეგრელოში დიდი სახელი გაგვითქვეს. ესრეთ გურიელმა გაგვისტუმრა სატყეპელას დიდის პატივით და მეგობრულად; ეგრეთვე ერთი კაცი გაგვაყოლა, რომ იქიდგან პატარა ნავით წავეყვანეთ სამეგრელოში მის სიმამრთან კორტუგასთან (Cortuga), დადიანის პირველ ვეზირთან. გარნა, რადგან ეს კაცი ჩვენთან წამოსვლას ახანებდა და რადგან კაი დარიც იყო, სამ თებერვალს სატყეპელადგან წავედით იმ ოსმალებთან ერთად, რომლებიც შუა კაცნი იყვნენ ზავის ჩამოგდების საქმეში და ჩვენიც დიდი ერთგულნი. იმავე დღეს შევედით რიონში, სამეგრელოს უმთავრეს მდინარეში, მეორე დღეს მივედით ერვინხანს (Eroinchan (Héraclée). დადიანს და მიტროპოლიტ-კათალიკოსს ვაცნობეთ ჩვენი და ეგრეთვე ზავის მედიატორეთა მოსვლა. რა მივიღეთ პასუხი, მალე გავემგზავრეთ მარგულასკენ (Margoula), საცა უნდა მოსულიყო მთავარი, და აჰა, ცხრა თვის შემდგომ ძლივს ბოლო მოეღო ჩვენს მგზავრობას, რომლის დროს იმდენი ღელვა და ყოველ გვარი შეწუხება გამოვიარეთ. იმ დროს დადიანი მეტად გართული იყო თუ ნადირობაში, თუ კონსტანტინეპოლს გასაგზავნის ხარკის მომზადებაში. არ აცლიდა აგრეთვე თევრიზ ხანის მოსვლა (Tebris-Khan—ქართველი მთავარია, რომელიც შარშან სპარსეთის მეფემ თავისი საბძანებლიდგან განდევნა). ამას დაერთო მოენის უყოლობა, რაის გამო კარგა ხანს დაგვიანდა მთავრის ნახვა. იმ დროის განმავლობაში ოსმალები გვეწეოდენ, რაც გვჭიროდა და თავიანთ სარჩოს შუა გვიყოფდენ. დადიანის ნახვის შემთხვევას რომ ვეძებდით, ისე შევხვდით გურიელის სიმამრს კორტუგას, რომელსაც გურიელი დადიანთან თავის გასაცნობელ წერილებს ატანდა. კორტუგა შემოგვპირდა, ფიქრი ნურაფრისა გაქვსთ, სამეგრელოს მთავარს მოველაპარაკები თქვენს შესახებო, იმან კარგად იცის, თუ რა პატივი სცა კონსტანტინეპოლში საფრანგეთის ელჩმა მისს წარმომადგენელსაო. ეგრეთვე იმ დროს გავიცანით მაკარიოზ (Mocha-vorio), კათოლიკე ეპისკოპოსი, კაცი ბრძენი და კორტუგასავით დიდი გავლენის პატრონი. მოენის საშუალებით ჩვენი საზოგადოება გავაცანით. ამ გვარადვე მოვიქეცით თევრიზხანთან, რომელსაც ერთხელ ეკკლესიაში შევხვდით მისი ქვეყნის მიტროპოლიტთან, რომელმაც თავის

სანახავად მივიწვია. ყველას საშინლად უკვირდა, რომ ევროპის ნაყოფიერის ადგილებისათვის თავი დაგვენებებია და მათი უდაბური ქვეყანა აგვერჩია. თანაც, როგორც ამათთვის ოსმალებს უთქვამსთ, რაიმე იმედი სასყიდლისა და გასამრჯელოსი არა გვქონდა. ჩვენი ქცევა დიდ თავგანწირულებად მიაჩნდათ. ამიტომ, სანამ დადიანს ნახავდენ, გადასწყვიტეს კარგად მივედით და ელჩსაც დაახლოვებოდენ და ამ აზრით ძღვენი გაუგზავნეს კონსტანტინეპოლს. მავრის (Mauri) ეპისკოპოსმა მიგვიწვია თავის ეპარქიაში, რომელიც ღვთის მშობლის საფარველ ქვეშეა. ჩვენც გადავსწყვიტეთ იქ წავსულვიყავით, იმის შემდგომ, როდესაც ვნახავდით დადიანს და ბიძა მის ლიპარიტს (Liparita), რომელიც დადიანის მცირე წლოვანობის დროს სამთავროს მართავდა. შემდგომ დადიანი ვნახეთ. იმან გვითხრა თქვენი ბევრი კარგი გამიგონია, ძალიან მიხარიან თქვენი მოსვლათ, ვიცი რისთვისაც მოსულხართო და ერთ თავისუფალ დღეს უფრო დიდხანს მოგელაპარაკებით დასავლეთის საქმეთა, საფრანგეთის მეფისა და მისი კონსტანტინეპოლელის ელჩის შესახებო. მერე დაგვპირდა, რაც გნებავსთ, ყველაფერს აგისრულებთო და დაუმატა თქვენს თავს მაკარიოზს ჩავაბარებო. გამოვესალმეთ მთავარს, მასთან მყოფს კორტუგას და გამოვბრუნდით ეპისკოპოსთან. იქ დავესწარით ერთ ნადიმს, რომელიც ეპისკოპოსს თევრიზ ხანის, მისი მიტროპოლიტის და ყველა მისი მხლებლების პატივისაცემლად გაემართა. სხვა დროს უფრო ვრცლად გესაუბრებით ამ ერის ზნე-ჩვეულებასა და მათი ცხოვრების შესახებ. ახლა კი ამას მოგახსენებ, რომ თევრიზ ხანმა, მიტროპოლიტმა და მოკათორიომ თავიანთი კერძის ერთი ნაწილი ჩვენ გვითავაზეს, რაც იმათში დიდის წყალობის ნიშანია. თევრიზ ხანმა თავის ახლოს დაგვსხა და ბევრი რამ გამოგვკითხა. რადგან აქ ჩვეულებად აქვსთ სუფრაზედ იმღერონ ხოლმე, ამიტომ, როგორც წინეთ გურიელმა, ისე ახლა ამანაც გვთხოვა გვეგალობა. როგორც გურიელმა, ისე არც ამან შეიწყნარა ჩვენი უარი; ჩვენც ვიგალობეთ „პანჯელინგვა უგალობდეთ ენაო“; ჩვენი გალობა დამსწრეთ ძალიან მოეწონათ. სუფრა დავტოვეთ, რადგან აქ წესია, ჭამა-სმა შუა ღამეს გადაცილონ ხოლმე. ახლა ჩვენ ეპისკოპოს მაკარიოზთან ვართ. ამან ძრიელ მოიწადინა და უნდა აგვიშენოს მალე სახლი და ეკკლესია. თვითონვე კისრულობს, რაც გვჭირია, ყველაფერი გვიშოვნოს. ახლა, ჩვენს დროს ერთიან ვანდომებთ მეგრული ენისა და ამ მხარის კილოკავების შესწავლას. იმედი გვაქვს ღვთისა, ჩვენმა შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიაროს. აწ ეპისკოპოს მაკარიოზს და კონსტანტინეპოლში მყოფ ჩვენს საფრანგეთის ელჩს ვუგზავნით ჩვენს მოენეს და წერილებს თუ თავისთვის და თუ ევროპაში მყოფის ჩვენის მამებისათვის, რათა სცნან ქვეყნის რომე-

ნაწილში ვსცხოვრებთ, შეგვეწიონ და პირველად მოგვაწოდონ ის ნივთები, რომლებიც აქ ფულის ადგილას გადის, რადგან აქ ფულს არ ხმარობენ; მერე თვითონაც მოვიდენ და შრომაში შეგვეწიონ. იმედი გვაქვს, თავის დროზე უხვად მივიღოთ თქვენის შრომის ნაყოფი. გთხოვთ, უფალს შეავედროთ და ეგრეთვე ჩვენი საზოგადოების ლოცვას უფლის ეს ახალი ვენახი და ეგრეთვე მისნი შემმუშავებელნი მუშაკნი. ჩემო ყოვლად ღირსო მამაო დავშთები თქვენი......“ (1)

ეს წერილი ცხადად გვიჩვენებს გურიელის უწინდელს მომზადებას და მის გაკათოლიკებას, რადგან პაპის მორჩილება აღიარა და მისიონერებს ალსარებაც უთხრა. აქ დასახელებული რომაში ნამყოფი ქართველი მონაზონი, როგორც შემდეგშიაც ვნახავთ, უნდა იყოს ნიკოლოზ, რომელიც რომის კოლეგიაში იყო 1600 წლის შემდგომ. იგი მიგვაჩნია კათოლიკედ. ხოლო ხსენებულის ეპისკოპოს მაკარიოზის შესახებ, რომელიც კათოლიკე ყოფილა, ამ წერილის გარდა, სხვა ცნობა არაფერი გვაქვს. ეს კი ცხადია, რომ ისიც ქართველი ყოფილა. თუ ამ დროს სამეგრელოში კათოლიკე ეპისკოპოსიც იჯდა, ცხადია მარტო ის არ იქმნებოდა, მრევლთა შორის კათოლიკენი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ სამწუხაროდ, მაშინდელ კათოლიკეთა შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოება რა.

აქ დასახელებული თევრიზ ხანი, ვფიქრობთ, უნდა იყოს თეიმურაზ მეფე. აქ გავახსენებთ მკითხველთ, რომ ევროპელები, როგორც გამოთქმაში, ისე წერაში, ძრიელ ამახინჯებენ ქართულ საკუთარ სახელებს. ხშირად ძნელი ხდება მათი სისწორით აღდგენა.

მისიონერების მისვლისათანავე სამეგრელოში გაჩნდა ჟამი, რომელიც სხვა მგზავრებმა ნავიდგან შემოიტანეს. ჟამმა მალე იეზუიტი ძმა სტეფანე ძმსხვერპლა. შემდეგ დასნეულდა თვით ლუდოვიკე გრანჯერიოც, რომელიც საჩქაროდ მიაშურა კოსტანტინეპოლს იმ იმედით, იქნება, ექიმების შემწეობით გადავრჩეო. მაგრამ თავისი მისვლის მეორე დღესვე ისიც გარდაიცვალა 22 აგვისტოს 1615 წ. მის მაგიერ იეზუიტებმა სხვა მისიონერი ველარ გამოგზავნეს, რადგან იმ დროს მღვდლები არა ჰყავდათ საკმაოდ. აი, ესრე სწრაფად, ხუთი-ექვსი თვის შემდგომ, დასრულდა იეზუიტების მისიონი სამეგრელოში, საცა დიდს ნაყოფს მოელოდენ.

1624 წ. პროპაგანდის კრებამ, პატრი ივანეს წინამძღვრობით, რომიდგან ორხი დომინიკიანის მღვდელი გამოგზავნა, რათა დაევლოთ და გამოეკვლიათ შავი ზღვის პირად მცხოვრები ხალხის გარემოება. ისინი კაფაში, (ახლანდელ სევასტაპოლში) ბევრ ხანს დარჩნენ. 1629 წ. პატრი ივანემ მოიარა აფხაზეთი და ჩერქეზეთი და ბოლოს სამეგრელო-

შიაც მოვიდა. იმან თავისი მგზავრობა დაწვრილებით აღწერა. აღწერილობა ბევრნაირად არის შესანიშნავი: სიმოკლისათვის გამოვსტოვებთ იმას, რაც ჩვენი საგანი არ არის, და გავაცნობთ მკითხველს იმ ნაწილს, რაც სამეგრელოს და მის ახლო ადგილებს შეეხება.

„პროპაგანდის კრებამ გაგვგზავნა ოთხი მონაზონი დომინიკიანების ორდენისა...... სული წმიდის მოფენის დღეს მოვედით მაკალაში (Macala), ესე იგი, ყარაბეირს. ვუთხარი რაისს (მეხომალდეს), ეს დღე ჩემთვის დიდი დღეა და ჩემს ქვეყანაში დიდად დღესასწაულობენ-მეთქი, სწორედ ისე, როგორც თქვენთვის ყურბანბაირამი არის-მეთქი. იმანაც მითხრა, რომ ახლოს, ერთის მილის მანძილზედ; ერთი მშვენიერი ეკკლესიაა, მაგრამ, ჩერქეზების კი არა, აფხაზებისა უნდა იყოს; რომლებიც განსაკუთრებულს ენას ლაპარაკობენო, და არც ვიცი, როგორ მიგიღებენო; გარნა ხომალდში იყო ერთი ვინმე კაიტარაო, რომელმაც იცოდა მათი ენა; გარდა ამისა ხომალდზე შემოვიდა იქაური ბეგი და იმის პირით სთხოვა, იქ წავსულიყავი და მეწირა. მეც წაველი და ვსწირე. როდესაც შემოვიდა ბეგი ხომალდში, მივესალმე და ვუთხარი, რომ მღვდელი ვიყავი და ვნატრობდი წირვის შესრულებას; ვუთავაზე ერთი პატარა კოლოფი, რომელიც სიამოვნებით მიიღო და კაცი გაგზავნა დასაძახებლათ მღვდლისა, რომელიც ეკკლესიაში იყო; მასთან ერთად გამოვედი ხმელეთზე, ავიღე, რაც საჭირო იყო წირვისათვის და ჩემ მსახურთან ერთად რომ გაველ გარეთ, მივესალმე მღვდელსა, რომელიც ქართველი იყო, რომ შევედით ეკკლესიაში, ისეთი რამ ვნახე, რასაც თავის დღეში ფიქრადაც ვერ წარმოვიდგენდი: ვნახე, რომ ის ეკკლესია მსგავსი იყო წმიდა პეტრეს ეკკლესიისა. ეკკლესიის კარების ზემოთ დახატული იყო მშვენიერის მხატვრობით სული წმიდის მოფენა: მოციქულებს თავებზე ცეცხლის ენები ჰქონდათ, ისე, როგორც ჩვენს ეკკლესიაშია ხოლმე; ტრაპეზის უკან ხორო თავის აღსავალებით და შუაში საეპისკოპოსო კათედრა იდგა. ჩემის ფიქრით ეს ეკკლესია უნდა იყოს აშენებული ბერძნის იმპერატორისაგან *). ეგრეთვე იყო ზარი, რომელზედაც ლათინურად ეწერა „ომასი“ ესე იგი 1309 წ. წირვისათვის მოვემზადე, მაგრამ ვნახე სეფისკვერი გაფუჭებული იყო; ქართველ მღვდელს გამოვართვი ცოტა ფქვილი, გავაკეთე ცომი, გავაპრტყელე და ორ გასუფთავებულ ფულში გამოვაცხე; დავიწყე

*) ხოლო ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა იყოს იტალიელი მისიონერებისაგან. სხვათა შორის ერთი საბუთიც ის არის, რომ ეს ეკკლესია სრულებით მსგავსი ყოფილა ლათინის ეკკლესიებისა; ბერძნის ეკკლესიები კი თუ შენობის ფორმით და თუ მოწყობილობით ბევრად განსხვავდება ლათინის ეკკლესიებისაგან. კათოლიკების ეკკლესია რომ ყოფილა, ამას თვით მისივე ზარის წარწერილობაც მოწმობს.

წირვა. ხალხმა რომ ზარის ხმა გაიგონა, ყველანი მოვიდნენ, ვინაიდგან
ეკკლესია სოფლის შუაა. რა დასრულდა წირვა, ჯვარზედ ვამთხვევინე
ყველას, რაიც დიდის მოწიწებით შეასრულეს. ტრაპეზზედ იდგა ერთი
თეფში სავსე ოქროსა და ვერცხლის ფულით, თუმცა კი ამ ქვეყანაში
ფულს გასავალი ძრ აქვს. მღვდელს ვკითხე ეს ფული ვის შეუწირავს
მეთქი. იმანაც მიპასუხა რომ, ყაზახები, რომლებიც თანაის და დნეპრის
(Nipro) მდინარით ნავებით შავ ზღვაში შემოდიან ოსმალების და თა-
თრების დასარბევად, როდესაც მობრუნდებიან ნადავლით, ამ ეკკლესია-
ში ლოცულობენ და სტოვებენ ფულსაო. რადგან ის პირველი ეკკლე-
სია იყო, რომელიც ამ მხარეში ვპოვე, ამისათვის მეც მოვინდომე რაიმე
სახსოვრის დატოვება. შევსწირე ოთხი ფეთრი სუფთა თაფლის სანთელი,
რომელიც მომცა ვენეციის რესპუბლიკის წარმომადგენელმა ბატონმა
სებასტიან ვენერიოსმა; ეგრეთვე მივეცი ერთი ქისა მშვენიერის ოდი-
კიტი, რომელიც მაჩუქა მათმა უმაღლესობამ პოლონელმა ეპისკოპოსმა
კონსპოლსკიმ, ამასთანავე რავდენიმე ხატიც ჩემის ხელით დავკიდე კედლებ-
ზე. მღვდელმა წამიყვანა თავის ოჯახში, სადაც ვსჭამეთ მოხარშული ღომი,
ღორის ხორცი და ყველი, მასთანვე ღვინოც დავლიეთ. შემდგომ წა-
მიყვანა და მიჩვენა თავიანთი მკვდრები, რომლებიც ოთხ მაღალ პა-
ლოებზედ ასვენია გამოფულრულ ხეებში. ამ ხეებს თავსა და ბოლოში
ნახვრეტები აქვს ჰაერის შესასვლელად და გარედან შესახვრეტლად მი-
ცვალებულის კარგად სანახავად. ამის მიზეზით თათრის ვაჭრები არ ყი-
დულობენ ამ ქვეყნის თაფლსა, რადგან ჰგონიათ, რომ ფუტკრები იმ
მკვდრებს სჭამენო. იმასობაში მოვიდა მთავარი და მითხრა, რომ საჩქა-
როდ გავბრუნებულ ვიყავი ხომალდისკენ, რადგან მისს კაცებსა და მე-
ხომალდე თათრებს ერთმანერთში ლაპარაკი მოსვლოდათ. ამიტომ ხო-
მალდი სადგურს გაშორებოდა. გარნა რაისი პატივსა მცემდა, თან
დაეჭირა ორი აფხაზი მძევლად, რათა მშვიდობით მივბრუნებულ ვი-
ყავი; მივედი რა, გამოგზავნა ნავი და ის ორი აფხაზიც, ჩავჯექ
და ისინიც განთავისუფლებულნი გამოვიდნენ. ხომალდზე ავედი
თუ არა, მაშინვე გზას გავუდექით და 21 მაისსა მოვედით ძველ
ქალაქს სკისორნუმში (Schissornum), სადაც მდინარე აუსი ჰყოფს აფხა-
ზეთს სამეგრელოსაგან. ხომალდიდგან ანიშნეს და ნაპირად მოვიდა თა-
ვადი პუტო (Puto) დიდძალის მხლებლებითურთ. რაისმა რა ნახა ხალ-
ხის სიმრავლე, ნაპირას ერთი ნავი გაგზავნა ხალხის შემოსაყვანათ. პუ-
ტომ რა გაიგო, ხომალდი ისმაილ რაისს ეკუთნოდა, შე-
მოვიდა, მისალმა მეხომალდეს და ჰკითხა, იქნება ექიმი ვინმე იყოს
ხომალდზე, რომ ავათმყოფი ცოლი მომირჩინოსო. რაისმა ჩემი უთხრა,
მკურნალობა ამან იცისო და თანაც წამლებიც აქვსო. მთავარმა მთხო-

ვა წავყოლოდი. მის სასიხარულოდ მეც წავყევი. რაისმა თან გამატანა თავისი შვილი, რათა უფრო უშიშრად ვყოფილვიყავი. პირველ ღამეს ვივახშმეთ ერთის დიდისა და მაღალის ხის ძირში. სუფრაზე გვქონდა ხბოსა და თხის ხორცი, მაგრამ ორივე ცუდათ იყო შემწვარი, რადგან ხორცი ისევ სისხლიანი იყო. ასეთი ყოფილა მათი ჩვეულება. ღომიც იდო სუფრაზე. სასმელ-საჭმელი იმავე წესით მოგვართვეს, როგორათაც ჩერქეზეთში იციან. ნავახშმევს მკითხა, თუ საიდგან, ან რა საქმისთვის მივედი. რაისის შვილმა მიუგო, რომ ქრისტიანულის კეთილის საქმის საქმნელად დავდიოდი. ამის გაგონებაზედ მთავარმა მითხრა: მაშ ჩემთან შეგიძლია დარჩეო, რადგან მეც ჩემი სამთავროთი ქრისტიანი ვარო. ამის ნიშნად მიჩვენა ჯვარი, რომელიც გულზედ ეკიდა. ეგრეთვე დაუმატა, რომ თქვენისთანა მღვდელი მჭირიაო. თუმცა კი აქ ახლოს მეზობლად ქართველები არიან, მაგრამ მათთან ბევრი ურთიერთობა არა მაქვსო. ამისი მე უპასუხე: ვეცდები რომის პაპს ვსთხოვო, რომ ამისთვის მღვდლები გამოგზავნოს, რადგან ყველას ვერ გავსწვდები მეთქი. რადგანაც კარგად დაღამებული იყო, ერთსა და იმავე ლოგინში დამაწვინა თავის ძმასთან. მეორე დილას ვუთხარი, რომ წირვა უნდა ვსთქვა შენი მეუღლის გასაკურნებლად მეთქი. იმანაც ყველა თავისიანებითურთ წირვა დიდის მოწიწებით მოისმინა და ბოლოს ვამთხვევინე ჯვარზედ. ვკითხე, თუ როდისმე მოესმინა ამისთანა წირვა? მიპასუხა, რომ არც მე მინახავს და არც ჩემს წინაპრებს უნდა ენახოთ ასეთი წირვაო. წავედით ავადმყოფის ოთახში, მივესალმე და ლოცვები წავუკითხე. რადგან ცოტა სიცხე ჰქონდა, მივეცი მიტრიდატე (ერთნაირი ბალახია), მეორე დღესაც მივეცი შემზადებული რეობარბარო. ზოგი ამით და ზოგიც ღვთის შემწეობით განიკურნა. მთავარი ძალიან მეალერსებოდა. უბეში მქონდა საათი, რომელიც უნდა მიმერთმია სამეგრელოს მთავრისათვის. ერთ დღეს მისი ხმა გაიგონა, მისი ნახვა მოინდომა და რა მოეწონა, მთხოვა, მომყიდეო. თუმცა კი ძრიელ მეწყინა, მაგრამ მეტი გზა არა მქონდა, მივეცი. რვა დღის განმავალობაში 14 ბავში მოვნათლე ამ სოფლისა; უფრო ბევრს მოვნათლავდი, მთავარს მუდამ თავისთან არ ვყოლოდი. აქ ბევრი კეთილის ქმნა შეიძლება, მთავარი ჩემი მეგობარია; ამიტომ მთხოვა კიდევ მოვბრუნებულვიყავი და თან შემწედ სხვა მღვდლებიც მომეყვანა. მერვე დღეს ერთად წამოვედით ხომალდზედ, თან დიდძალი ხალხი გამოგვყვა და აგრეთვე 20 კაცი ხორაგით დატვირთული. ბოლოს, მთავარს ბევრი რამე ვუთავაზე და სხვათა შორის, ერთი სარკეც თავისი მეუღლისათვის.

„პირველ ივლისს გავუდექით გზას და ღლენახევარში მივედით სკურჩას (Scorcia, scorua), რომელიც სამეგრელოს პირველ პუნქტად

ითვლება. რადგან დრანდელ არქიეპისკოპოსს (Driandelli) შეეტყო თავადის პუტოს მოსამსახურისაგან; რაც მოვიქმედე; მოვიდა ხომალდში ჩემ წასაყვანად, რათა მეწამლა მისი ავათმყოფის ერთგულის გამგე მეგობრისთვის. რაისმა მასთან მიმიყვანა და მითხრა მღვდელთ-მთავარია და აუსრულე, რაც სურსო. რადგანაც ზღვაში ვიხილე მისი სათნო და კეთილ-მორწმუნე სახე, თუმცა ზღვაში სიარულით დაღალული ვივიყავი, მაინც გამოვედი ჩემის ბარგით და მასთან ერთად წავედი მისს საარქიეპისკოპოსოში; გზაში გავედით ერთ ძრიელ ჩქარ მდინარეში. ეკკლესია წმიდა ანდრიას სახელზეა აშენებული და საკმაოდ შვენიერია; შიგ მეტად შვენიერი ძველებური თითბრის შანდლებია, ეგრეთვე შვენიერი ტრაპეზები (cappelle) სხვა და სხვა მხატვრობით და მორთულია აბრეშუმის ფარჩით. იქვე არის ერთი დიდი ზარი იტალიურის წელთ აღრიცხვით*). მასთან ათი დღე დავრჩი, იმასობაში სამეგრელოს დიდ მთავარ დადიანს შეეტყო ჩემი მოსვლა ამ ქვეყანაში, გამოეგზავნა ელჩი არქიეპისკოპოსისათვის და შემოეთვალა, რომ მასთან წავეყვანე; ამ თვის 12 წავედით და ათი დღის კაი სიარულის შემდგომ მივედით ღვთის მშობლის ერთ მეტად შვენიერ ეკკლესიაში, სადაც დაგვხვდა მთავარი. ცოტა ვილოცე ეკკლესიაში და წავედი მის სანახავად. ძირს ჩამოვიდა და ისე ერთმანერთს მივესალმეთ; მომკიდა ხელი და წამიყვანა ეკკლესიაში, რადგან ეგონა, ჯერ არ მენახა. რა ვილოცეთ ერთად, დაუძახა მოენეს და მკითხა, თუ საიდგან მოვდიოდი და რა საქმე მქონდა ამ მხარეს. ვუპასუხე, რომ პაპისაგან გამოგზავნილი ვიყავ ჩერქეზეთს, ხოლო რადგან თქვენი ქვეყანა ახლოს იყო, ამიტომ გამოვიარე, რათა მენახა აქაურის ხალხის ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება და ეკკლესიები მეთქი. მიპასუხა: კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, დიდად სასიამოვნოა ჩემთვის იტალიელის მღვდლის ნახვა; რადგან ამ ტომის ხალხი მე მიმაჩნია ყველაზედ უფრო მრავალ და განათლებულ ერად; ჩემნი წინაპარნი მუდამ ნატრობდენ ეს ერი ენახათ და მათგანი თავისთან ჰყოლოდათ. პირველ ღამეს ერთად ვჭამეთ ვახშამი. ვახშამს დაესწრო ეგრეთვე მამა ნიკოლოზ ქართველი, რომელიც რომის ბერძნების სკოლაში იყო ნამყოფი. პურის ჭამის დროს მთავარმა ხელახლავ ჰკითხა პატრი ნიკოლოზს თავისი ენით, რომელიც მე არ მესმოდა, თუ რა იყო უმთავრესი მიზანი ჩემის მგზავრობისა. იმანაც უპასუხა, რომ ჩემი ცდა ის იყო, მთელი ამ ერისათვის მიმეღებინებინა ლათინის ტიბიკონი და თავიანთ წესზე ხელი ამეღებინებინა. ამას ცოტათი მივხვდი და არ მიამა, თან ვუთხარ ამ პატრს ასეთის საგნის შესახებ თათრულად

*) ესეც ერთი ნიშანია ძველად იქ ყოფილი კათოლიკე იტალიელებისა.

ელაპარაკნა. ეგრეთვე ვუთხარი, რომ ჩემი მიზანი ის იყო, ხალხი წარმემართა სწორე ცხოვრების გზაზე, როგორათაც ჩვენ ვიდექით და თუ მთავარი ჩემს მოძღვრებას იწამებდა, მაშინ ისიც იმას იზამდა, რასაც სხვა ქრისტიანე დიდი მთავრები მეთქი. იმისგან შემწეობას მოველი და არა წინაალმდეგობას მეთქი. მთავარმა რა ნახა, ცხარედ ვლაპარაკობდით, თუმცა კი ნათქვამი არ ესმოდა რა, პატრს უთხრა, ყველაფერი დაწვრილებით მომახსენეო. ყველაფერი რა გაიგო, კმაყოფილი დარჩა და კმაყოფილების ნიშნად სიცილი დაიწყო. ამნაირად დასრულდა ვახშამი და წაველი დასაძინებლად დრანდელთან, რომელიც თითქმის ერთი მილით შორს იყო. მეორე დღეს მთავარმა წამიყვანა ბედიელ (Bidelli) ეპისკოპოსთან. ბედიაში შვენიერი ნაშენი ეკკლესიაა, ძველებურის მხატვრობით შემკობილი. იქ ვილოცეთ, მთავარი ჩემსავით იქცეოდა და დაიჩოქა ისე, ვითომც ესრეთი დამდაბლება მისთვის სასიამოვნო ყოფილიყოს. მთხოვა რამე მეგალობა, მე ვუთხარი, აქ ვწირავდი, მაგრამ შესამოსი ჩემს მასპინძელ ეპისკოპოსთან წმიდა ანდრიას ეკკლესიაში დავსტოვე მეთქი. მითხრა, მაშ იქ წამოვალ წირვის მოსასმენადო; ხოლო მთხოვა, ახლა რამე იგალობეო, რადგან წმიდა ბართლომე მოციქულის დღეობა მოახლებული იყო, მეც დავიწყე გალობა „განიხაროს ცამ“ და „გაქებდეთ შენ ღმერთსა“, წმიდისავე ლოცვაც ვსთქვი. ჩემი გალობა ძრიელ მოეწონა და მითხრა, ამისთანა ხმა ჯერ არ გამიგონიაო. თავის სამსახურში ჰყოლოდა ერთი ფრანგის ოქრომჭედელი და ერთი მესაათე, მაგრამ კათოლიკე მღვდელი კი არ ჰყოლია. სადილობის დრო რომ მოახლოვდა, მარჯვნივ მომისვა. ეს წვეულება გამართა ეპისკოპოსმა, ვგონებ, მთავრის ბრძანებით. სადილს დაესწრნენ ექვსნი ეპისკოპოსნი, თეიმურაზ ხანის ელჩი და რავდენიმე სპარსელი ვაჭარი. ამ ქართველებს ჩვეულებად აქვსთ ხალიჩა დაგებულ მიწაზე დასხდენ; მათი სუფრები ხბოს ტყავისაა, მაგრამ სუფთა და, რაოდენათაც შეიძლება, გრძელი, რადგან, როგორც ვსთქვი, ჩვეულებათ აქვსთ სჭამონ დიდრონი ხეების ძირში, რომლებიც რიგზე განგებ დაურგავთ. საჭმელი მოიტანეს თევზი, რადგან მათებურად პეტრე-პავლობის მარხვა იყო. ამ დროს თავისი სიმდიდრის (ანუ დიდებულობის) გამოსაჩენად ბევრი ძვირფასი თვლებით მოჭედილი თასი მიჩვენა; ზოგი ათ ყმად, ზოგი რვათ და ზოგიც ექვსათ ეყიდა; სუფრაზე კაი ღვინო იყო და ძრიელ შვენიერი ჩინური ფიალები და ზოგიერთი ვენეციურის შუშისაც იყო. ამ ფიალებით სვამენ ღვინოს: ღვინო, როგორც იტალიაში, ძრიელ კარგია. ეგრეთვე იციან სადღეგრძელოს დალევა სიმღერით. იმათი სიმღერა სევდიანია და მდგომარეობს სიტყვის გაგრძელებაში. მათი იარაღი (სამუსიკო) ღარიბულია; აქვსთ საზანდარი (sor-

dellini), სალამური (zampogné) მწყემსების საკრავის მსგავსი. ჭამაში ძლიერ ზომიერნი არიან, ღვინის სმა კი ბევრი იციან, რაიც უფრო ჩვეულების გამო, რადგან უსაქმურნი არიან. დასათრობად მთავარმა ჩემი სადღეგრძელო დალია და მანიშნა, მეგალობა. მეც კაი ხმაზედ დავიწყე გალობა „გახსენ კრული ცოდვათა“. მერმე მომცეს კაი თასით სავსე ღვინო და სანამ მე ვსვამდი, დაიწყეს ჩემსავით გალობა. მერმე მკითხა, ჩვენი ჩვეულება ხომ მოგწონსო? მეც უთხარი მომწონს მეთქი. კვალად მითხრა: თუ დარჩით ჩვენს ქვეყანაში, ამ ადგილს ეკკლესიითურთ მოგცემ და ეგრეთვე ყმებსაც გაჩუქებ, რამდენსაც კი ინებებო. მეც მიუგე: მართლად დარჩენა არ შემიძლია, უკეთუ თქვენ ინებებთ, ჩვენი წმიდა რომის პაპი გამოგიგზავნის მონაზონებს მეთქი. ამისი მითხრა, ძრიელ დიდათ ვნატრობ, რადგან ვიცი განსწავლულნი არიან და ექიმობაც იციანო, ექიმობა კი ჩემთვის საჭიროა; მათ მრჩევლებად ვიყოლიებო. მე დავპირდი, წავალ რომას და ვეცდები იქიდგან მოვიყვანო მისიონერები მეთქი. დამაყენა ეპისკოპოსთან, რათა იქაურობა კარგად მენახა და ეგრეთვე მისთვისაც მეწამლა, რადგან ფილტვის სნეულება აწუხებდა. რვა დღეს შეუწყვეტლივ ვსწირავდი და ეპისკოპოსიც დიდის ხასოებით ესწრებოდა, რაიცა მისი ჩვეულება არ იყო, რადგან იარაღის ტარება უფრო ემარჯვებოდა, ვიდრე ღვთის მსახურება. მერვე დღეს მე და ეპისკოპოსი მთავრის სანახავად წავედით. რა მივედით მასთან, მიამბო, თათრებს საომარის ნავებიდგან 400 ყაზახი-რუსი გამოქცევია და ჩემს სამეფოში მოვიდნენო. მირჩიეთ, რა ვუყო მაგათ: ყმებსავით გავყიდო, როგორც აქ ჩვეულებად გვაქვს, თუ დავსაჯო, რადგან უწინ იმათვე ბევრი რამე მომტაცესო. მეც ვუპასუხე, ნუ გაყიდით, რადგან ეგენი თქვენისავე სარწმუნოების არიან, დასჯით კი შეგიძლიათ დასაჯოთ მეთქი, თუმცა ნავების კაპიტნები მთავარს ბევრი ეხვეწნენ, რათა მათთვის დაებრუნებინა; ამასაც დიდად სჭიროდა თათრები თუ მარილისა, რკინისა და თუ სხვა საჭირო საგნების გამო. შიშით კი არ შიშობდა, რადგან ამის ქვეყანა ძრიელ გამაგრებულია. მართო ზღვიდგან შეიძლება შესვლა, მაგრამ ამ გზითაც ხალხის საცხოვრებელ ადგილამდე ხუთი მილის მანძილზე სულ ხშირი ტყეა, როგორც კედელი, გარს შემოვლებული. ამიტომ მათ მხოლოდ 48 ყაზახი მისცა. ეგრეთვე ვუთხარი, რომ მას კანონით არ შეეძლო თავისი ქვეშევრდომები დაყიდა, როგორც ყმები, რადგან ჩამომავლობით მისი ქვეშევრდომები იყვნენ, თუმცა უწინ მათნი წინაპარნი ტყვედ დაჭერილნი ყოფილან და უკეთუ თქვენნი წინაპარნი, როგორც თქვენ თვითონ ამბობთ, ყმებსა ჰყიდდენ, ძალიან ცუდად მოქცეულან და დიდი ცოდვაც ჩაუდენიათ მეთქი. ყოველი კაცი ვალდებულია ღვთის სჯული დაიცვას მეთქი. ათი-

დღე კიდევ თავისთან დამიჭირა და მანახა თავისი სახლები, ბაღები და
ეკკლესიები, რომელიც თავის სამთავროში თორმეტია და ყველას თა-
ვისი ეპისკოპოსი ჰყავს. რა გაიარა პეტრე-პავლობის დღესასწაულმა,
რომელიც დიდის ამბით გადაიხადა ღვთის მშობლის ეკკლესიაში, მრა-
ვალის მხლებლებითურთ წაველით არქიეპისკოპოსს დრანდელთან, რათა
მოესმინათ ჩემი წირვა წმიდა ანდრიას ეკკლესიაში. სხვა ეპისკოპოსებმა
ნება არ მომცეს წირვის შესრულებისა თავიანთ ეკკლესიებში, ამისთვის
ვწირავდი პატარა ეკკლესიებში, რომლებიც აქ ბევრია. ხსენებულ
ეკკლესიაში ნება მომცეს, რადგან ახლოა აფხაზებთან, რომლებთანაც
ქართველებს ძრიელ ცოტა მეგობრობა აქვსთ. მთავარმა დიდის მოწი-
წებით მოისმინა წირვა და ერთთავად იყო დაჩოქილი, როგორც მე
ვნახე დაჩოქილი ლოცვის დროს. ერთხელ დამინახა, რომ გულიდგან
ჯვარი ჩამოვიხსენი და ერთ მაღალს ადგილს დავასვენე, რათა მის წი-
ნაშე მელოცნა. ამანაც იმ დღიდგან ჩვეულებად გაიხადა: მოიხსნიდა
ხანჯალს, დაარჭობდა მიწაზე, ზედ ჩამოჰკიდებდა იერუსალიმიდგან მო-
ტანილს ნაწილს, რომელიც გულზედ ეკიდა და ისე ლოცულობდა.
უწინ კი ჩვეულებრივ აღმოსავლეთისკენ ლოცულობდა. რადგან მთავარი
მკაცრად არ მისდევს ქართველების ტიბიკონს და ძალიან პატივსა სცემს
ჩვენს წესსა, ამიტომ აქ მოქმედება მეტად ნაყოფიერი იქმნებოდა.
მთავართან სამ თვეს დავრჩი, მერე გამოვესალმე და ვუთავაზე ერთი
პოლონეთიდგან მოტანილი შუშის ღრაფინი რვა ლულიანი, რავდენიმე
ბროლის თასი, დემეტრიელი ბაიოსაგან ნაჩუქარი ორი დანა და
ერთიც შვენიერი კოლოფი. იმან ყველაფერი დიდის სიამოვნებით
მიიღო და მითხრა, რომ ახლა საჩუქრად არაფერს გაძლევ, რადგან
შენ მობრუნებას მოველი, რათა კარგად დაგასაჩუქრო. დიდად
სთხოვა არქიეპისკოპოსს, რომ წამომყოლოდა ქობულეთს (Coblet)
საქართველოში. რადგან მასთან ბევრხანს დავრჩი, ის ხომალდი, რომ-
ლითაც მოვედი, კიდეც გაბრუნებულიყო. ათ დღეს ეპისკო-
პოსთან დავრჩი. იმასაც ვაჩუქე წვრიმალი რამეები. გარნა მან მთხო-
ვა საჩუქრად ვერცხლის ჯვარი, რომელიც ზედ მქონდა. ამ ჯვარს წირ-
ვის დროს ტრაპეზზედ ვასვენებდი და ეგრეთვე ავადმყოფთან საზიარებ-
ლად ყოფნის დროს ტაბლაზე ვასვენებდი. იმანაც მოინდომა ერთი ყმა-
წვილი ეჩუქებინა ჩემთვის, მაგრამ რადგან თათრების ადგილში უნდა
გამეარა და იქ შეიძლებოდა წაერთმიათ, ამიტომ არ გამოვართვი. ესეც
თან წამომყვა ოთხი დღის სავალზე კათალიკოსთან, რომელიც არის
თავი 12 ეპისკოპოსისა და რომელსაც ჩემი ნახვა ძრიელ უნდოდა *).

---

*) მალაქია, კათალიკოსია გურიის მთავარი

იმან დიდის პატივით მიმიღო, თავისთან დამიჭირა 10 დღეს, მაჩვენა თავისი წმიდა გიორგის ეკკლესია, დიდად ნაშენი და საკმაოდ შვენიერი, ახალი მხატვრობაც აქვს. მთხოვა, სამუდამოდ მასთან დავრჩენილიყავი, გორში პროპაგანდისაგან გაგზავნილ და იქ დარჩენილ თეატინელ მღვდლებსავით, რადგან თვითონ მთავარიც დიდათ ნატრობს თავის სამთავროში ესრეთი მღვდლები ჰყავდეს. სხვა ძვირფას საგნებშორის, მიჩვენა თავისი მიტრა, რომელიც ჩვენის ეპისკოპოსების მიტრასა ჰგავს და სულ ერთიან ძვირფასი თვლებით მოჭედილია. ვუთავაზე ერთი ქურქელი თრიაკით სავსე და სხვა წვრიმალი რაგინდ არა, რაიცა ძრიელ სასიამოვნოდ დაურჩა. იმანაც მითავაზა ერთი ყმა, მაგრამ შიშის გამო არ წამოვიყვანე და ვთხოვე, ჩემთვის შეენახა; ეგრეთვე მივაბარე 25 ლიტრა თაფლის სანთელი. იქიდგან თან გამომაყოლა ოთხი თავისი კაცი, რომელიც ორი დღის სავალზეა...

„ჩემის მსახურით და მოენით გავიარე აფხაზეთში თავად პუტოსთან. სჩერქეზოში, სადაც კი მონათლული ბავშები მყავდა, მენავე არსად გაჩერდა. ზამთარი ხსენებულ მთავართან გავატარე. იმ დროს მონათლულებს ვასწავლიდი საქრისტიანო მოძღვრებას და 40 სხვა კიდევ მოვნათლე. გაზაფხულზედ პუტოს მოვთხოვე ჩემთვის ნაჩუქარი პატარა ყმა ქალი. ეგრეთვე მოვაყვანინე არქიეპისკოპოს დრანდელთან დატოვებული ყმა და ჩემი წირვის შესამოსებიც მოვატანინე. იქიდგან ერთისა და იმავე ხომალდით გავბრუნდი კაფაში, რომ მენახა, ევროპიდგან მონაზონები მოსულიყვნენ თუ არა, რათა თან წამომეყვანა“ (1)...

არც ეს წერილი გვიჩვენებს ნაკლებად თუ წინანდელს და თუ იმ დროის კათოლიკების კვალსა. რადგანაც ეს წერილი ვრცელია, ამისათვის ჩვენ მის განმარტებაში აღარ შევალთ; უამისოდაც ამტკიცებს ჩვენს ზემოდ გამოთქმულს აზრს.

აწ საჭიროა გამოვიძიოთ თეატინელების მისიონი. რადგან სამივე სამთავროში, ესე იგი, გურიას, სამეგრელოს და იმერეთში იმოქმედეს, გვინდა ვილაპარაკოთ სამივეს შესახებ. სიადვილისათვის იძულებულნი ვართ გავყოთ ეს თავი სამ ნაწილად, რათა საბუთები ერთმანერთში არ ავურიოთ, არამედ ყველა თავის ადგილას მოვიხსენიოთ. ჯერ დავიწყებთ გურიიდგან.

ნაწილი პირველი.

კათოლიკობა გურიაში.

როგორც წინა თავში ვნახეთ, გურიის მისიონი დაიწყო 1634 წ. ქორწინებისა გამო მარიამ დედოფლისა, რომელსაც გორში მოჰყვნენ

ეგრეთვე თავადნი და ეპისკოპოსნიც. ამათ ბევრი ხვეწნის შემდგომ, პატრი პეტრე ავიტაბილეს გამოართვეს მისიონერები და თან წაიყვანეს. გურიის პირველი მისიონერები იყვნენ პატრი ქრისტეფორე კასტელი, პატრი ანტონ ჯარდინა და ძმა ქლაუდიო.

გორში გურიიდგან მოსულ პირთა შორის იყო თვით გურიის ეპისკოპოსი შემოქმედელი. იმან რა დაახლოვებით ნახა გორში მისიონერების წესი, კეთილი ცხოვრება, ერისათვის მათი თავგანწირულება და იმდენი სიკეთე, რომელიც აქ დაეთესათ, მათი წაყვანის სურვილით გაიმსჭვალა; ამასვე ნატრობდა ეგრეთვე აფხაზეთის კათალიკოსი და გურიის მთავარი მალაქია. ამიტომ, სანამ მისიონერებს გამოართმევდა, პატრი ავიტაბილეს ამ სიტყვებით მიმართა: „მამაო, იმ დროიდგან, რაც ღმერთმა ინება და მოვედი აქ, ყველაზედ უმეტესად საკვირველად დამრჩა თქვენი ცხოვრება. სულით და გულით მომინდა და იძულებული ვარ, ჩემის ეკკლესიის სასიკეთოდ, გთხოვ, მომცეთ რავდენიმე მღვდელი გურიაში წასაყვანად, რათა შეიმუშავონ ჩემი ვენახი, რომელიც დიდად გაჭირვებულია. სანამ ამას გადავწყვეტდი, ვისურვე თქვენი ცხოვრება კარგად გამომეძია, რათა მეცნო თქვენ სასარგებლო იქმნებოდით, თუ მავნებელი; რა ვსცანი, რომ ეგრეთი თქვენი კეთილი ცხოვრება გაასწორებს გახრწნილ ზნე-ჩვეულებას არა მარტო საეკკლესიო პირთა, არამედ თვით ერისასაც, ამიტომ გევედრები მანუგეშოთ და აღმისრულოთ ჩემი თხოვნა. აგრეთვე ვსცანი, თუ რაოდენი კეთილი და მარად სახსენებელი საქმე მოიქმედეთ ამ სამთავროსა და ქალაქში; ამისთვის სხვა მოწმობა აღარ მჭირია, რადგან ყოველივე ჩემის თვალით ვნახე. ჩემი მოვალეობა იქმნება დაგიფაროთ. ყოველ ეჭვ გარეშეა, რომ პატრიარქმთავარს დიდათ სათნო საყოფელი დაურჩება თქვენი მისვლა. იქ სხვა არაფერი გექნებათ საქმნელად, თუ არ ღვთის სამსახური და ერის მოვლა მის საცხონებლად" (1).

სანამ ამათი მოქმედების განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ ვრაცხთ, მოვიყვანოთ აქ პაპის წიგნი, რომელიც 1626 წ. თეათინელებს გამოატანა სხვა მეფეებისთვის გადასაცემ წერილებთან ერთად.

„პაპა ურბანი VIII.

„ქართველ გურიელ მთავარს.

„კეთილშობილო მთავარო, მშვიდობა და ღვთიური მადლის ნათელი,

„რომის ეკლესიის მღვდლები საქართველოს მხარეს მოდიან არა მწყურვალნი ოქროსი, რომელმაც უწინ, როგორც მოგვითხრობენ, საბერძნეთის გმირ არგონავთებს დაატოვებინა ეგიას ზღვის ნაპირები და მოიყვანა რიონის მდინარესთან საარაკო საშიშარის გზებით. ჩვენი წარმოგზავნილი მღვდლები სტოვებენ თავიანთ ქვეყანას, რომლის პოხიერე-

ბას და სახელ-განთქმულობას შეუძლიან მგზავრები მიიზიდოს: არც უშინდებიან ეგრეთ შორეულ მგზავრობის დიდ გაჭირვებას; უიარაღოდ და უჯაროდ მოდიან მანდეთ არა იმისთვის, რომ შეიძინონ სიმდიდრე, არამედ ხალხის ცხონებისათვის იზრუნონ. ეს არის მათი ერთად ერთი ნატვრა. ამიტომ ღირსნი არიან, რომ პატივით მიიღოთ თქვენს საბრძანებელში. გადაავლეთ თვალი ძველ დროებს, ნუ თუ შეგიძლიათ ჰპოვოთ მისთანა ბარბაროსი ერი, მის სასიკეთოდ მოსულთ მტრულათ და ულმრთოდ მოპყრობოდეს? თქვენ კარგად უწყით, რომ პატივი თქვენის ღირსებისა დამყარებულია დიდების ნატვრასა, კეთილის ქმნასა და უმანკოთა მფარველობაზედ. ამიტომ ჩვენც ვპირდებით, რომ თქვენმა წარჩინებულებამ მათ ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინოს, რადგან თქვენის დიდების აღმატებისათვის საშრომელად მოდიან. უკეთუ ეს აღასრულეთ, (იმედი გვაქვს, ჩვენი მოლოდინი ამაო არ შეიქმნეს), სახელ განთქმულობა თქვენის მთავრობისა, მსწრაფლ გარდმოივლის კავკასის მთებს, შავ ზღვას, მოაწევს რომამდე და მიიღებს შესხმას. ამას კი მსოფლიო დედა-ქალაქის ერი უძღვნის მთავართა, რომლებიც ღირსნი გახდებიან სამოციქულო საყდრის მიერ. ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ მაგ თქვენის სიკეთისა და მფარველობისათვის ვითარ სასყიდელს მოგაგებსთ მეფეთა მსაჯული ქრისტე, რომელსაც ჰნებავს, მშვენიერ იყვნენ მშვიდობის მყოფელთა ფერხნი და რომელიც სათავისოდ მიითვლის რასაც უცხოთა მიაგებენ. ქრისტე, რომელსაც რომა ემსახურება, იდიდების ეგრეთვე მთავართა და მეფეთა სამსახურით და პატივით. გარდა ამისა, თავისი მოქალაქობით რომის ეკკლესიას შეუძლია ყველას სთხოვოს თვისთა მორწმუნეთა მფარველობა, ვინაიდგან აქ ყველა უცხოთა სტუმრობა მიღებულია და ყველას შეუძლია ეწიოს იერარხიულ მაღალ ხარისხს. აქ, კაცთა ნათესავის დედაქალაქში, ბევრი უცხო ტომის ხალხი ცხოვრებს, მაგრამ ისე არიან ყველანი, თითქოს თავიანთ სამშობლოში იყვნენ: ამას ერთპირად ყველანი მოწმობენ. თქვენი კეთილშობილება დაავალებს ამ ქალაქს, უკეთუ თქვენის კეთილისმყოფელობით მანდ გამოგზავნილმა რომაელმა მოძღვრებმა საქართველო მიიჩნიეს თავიანთ მამულად და არა უცხო ქვეყნად. აწ შეგიძლიათ მოუსმინოთ მაგათ, ვითარცა ჩვენი თქვენდამი სიყვარულის მოწმეთა. მარადის ვთხოვთ ღმერთსა თქვენს დაცვას და დაფარვას და თქვენის ერის კეთილდღეობას. რომით, 4 ივლისსა 1626, მღვდელთ-მთავარობის მესამე წელსა" (1).

მისიონერების მოხსენებიდგან არა სჩანს, თუ რა დროს გადასცეს ეს წერილი გურიელს, ხოლო, რომ გადასცეს, იმისი ეჭვი არა გვაქვს, რადგან იმ წერილთან ერთად დადიანისთვისაც იყო წერილი, რომელიც

თავის დროზე გადასცეს, როგორც ამას შემდეგში ვნახავთ. რაკი ერთს გადასცეს ცხადია, მეორესაც გადასცემდენ.

სიმოკლისათვის აწ ტექსტების მოყვანას ბევრს არ გამოვუდგებით. მოკლედ მოვუთხრობთ, რასაც თიათინელები გადმოგვცემენ თავიანთი გურიის მისიონის შესახებ.

შემოქმედელი რაკი საწადელს ეწია, დიდათ გახარებული გაბრუნდა, როგორც დიდი ძლევა-მოსილი და წაიყვანა თან ზემოდ დასახელებული სამი მისიონერი. მივიდენ ოზურგეთს თუ არა, ისინი კათალიკოსს მალაქიას წარუდგინა: ანტონ ჯარდინამ ქართული კარგად იცოდა და მალაქიას მოახსენა: მთავარო დიდათ სახიერო, ღმერთმა თქვენის ეპისკოპოსის შემოქმედელის გორში მოსვლა იმდენად სასარგებლო ჰყო ჩვენთვის, რომ მის უკეთესის ნატვრა აღარ შეიძლებოდა. ჩვენთვის უკეთესის ქმნა არ შეეძლო, რადგან გაგვიხსნა გზა, ვეთაყვანოთ ეგრედ დიდ მთავარსა, რომელსაც დიდად უყვარს თავისი ერი და სავსეა სარწმუნოების სიყვარულით. თქვენ მიერ რა მოგვიწვია, დიდის სიხარულით აღვივსენით; სხვა და სხვა საქმეებს, რომ არ შევეყოვნებინეთ, აფრთოვანებულნი მაშინვე მოვიდოდით ამ სამთავროში, სადაც კათოლიკე სარწმუნოებისათვის იმდენი სიკეთეა მოსალოდნელი. თქვენმა საყოველთაოდ განთქმულმა ღირსებამ გაგვაბედვინა თქვენებრ მთავრისათვის მოგვემართნა. ვიცით, რომ მოწადინებული ბრძანდებით ჭეშმარიტების მოსასმენად და ჩვენც სხვა აღარავის ვეძებთ, კათალიკოსზედ მეტად მოწადინებულ პირს ამ სამთავროში, ჩვენ სხვას ვერ ვიპოვნით. სამოციქულო საყდრისაგან მიღებული კათოლიკე ჭეშმარიტებაა, რომელიც მოგვაქვს. როდესაც თქვენი სამეფო სახიერებისაგან ნება მოგვეცემა, მზად ვართ განვაცხადოთ იგი, რადგან შევიქმნებით მოძღვარნი და სხვათა მასწავლებელნი. აწ შორიდგანვე ვხედავთ იმ განსაცდელს, რომელშიაც შემდგომ ჩაგვაგდებენ, ვისაც სძულსთ ჭეშმარიტება და არ უნდათ მისი მოსმენა. მაგრამ ამის სრულებით არ გვეშინია, თუნდაც სიკვდილი არ აგვცდეს ჭეშმარიტების ქადაგებისათვის. ჩვენთვის თქვენისთანა პატრიარქ-მთავრის მფარველობაც კმარა, განვაცხადოთ: ვინც ნატრობს ცხოვრებას, მიიღოს ჭეშმარიტება, ხოლო ვისაც სიკვდილი უნდა, უარჰყოს იგი. ჩვენი მიზანი არის სულთა ცხონება. ამას ვეძიებთ მთავრის მფარველობით. ამიტომ უმდაბლესად გევედრებით, გაგვიხსნათ გზა, რათა ვეწიოთ წადილსა". (1)

რადგან კათალიკოსს დადიანისგან შეტყობილი ჰქონდა, რაც უნდოდათ მისიონერებს, ყოველგვარის სიყვარულით და პატივით მიიღო ისინი და დაჰპირდა ყველანაირ შემწეობას. უბრძანა ეპისკოპოსს შემოქმედელს, რათა ეზრუნა მათთვის, ეპოვნა სახლი და ეკლესია და სხვა,

რაც კი დასჭირდებოდათ. ახლოს რომ ჰყოლოდა კათალიკოსსა, რათა, როცა დასჭირდებოდა, თუ რჩევისა და თუ სხვა საჭიროების გამო მათთვის ადვილათ მიემართა, თავის ახლოს ოზურგეთში ერთი შვენიერი სახლი მისცა და იქვე აუშენა ხის ეკკლესია, რომელიც პატრებმა შეამკეს მხატრობით. ახალმა შვენიერმა ეკკლესიამ ბევრი ხალხი მიიზიდა პატრებთან, თვით შორეულ ადგილებიდგანაც კი მოდიოდენ მათთან. რადგან, როგორც ქართლსა და სამეგრელოში, ისე აქ, ნათლიღების ასრულება აღმოჩნდა ნაკლულოვანი, დაიწყეს ქადაგება ხელმეორედ მონათვლის საჭიროებისათვის. ეს ამბავი მთელს ხალხს მოეფინა. არა თუ მთელის ოზურგეთის მცხოვრებნი, არამედ მთლად სამთავროდგან მოდიოდენ თუ დიდი და თუ პატარა, რათა ხელმეორედ სწორედ მონათლულიყვნენ. პირველშივე ათასობით მიიღეს მათგან ნათლისღება. ამის გამო მათი სახლი მუდამ სავსე იყო ხალხით: შეუწყვეტლივ მოდიოდენ ზოგი მოძღვრების მოსასმენად და ზოგიც მოსანათლავად.

ამ ამბავმა დიდათ გაახარა კათალიკოს-მთავარი, რა კი ხედავდა თავისი ეკკლესიის ერის განახლებას. მისიონერებმა რა ნახეს თუ ხალხის მომზადება და თუ კათალიკოსის კმაყოფილება, უფრო უშიშრად და თამამად დაიწყეს ქადაგება ერის გახრწნილი ზნეობის წინაალმდეგ.

კათალიკოსს მკურნალად ჰყავდა ერთი იტალიელი, რომელიც აქ მოსვლამდე, რავდენისამე წლის წინათ ოსმალებს ტყვედ დაეჭირათ და გაემაჰმადიანებინათ. იმას ძრიელ დიდი გავლენა ჰქონდა კათალიკოსზედ, რომელიც თუ თავისი ხნოვანებისა და თუ სნეულების გამო, მთლად მის ხელში იყო. მკურნალმა, სახელათ ფერინდონემ, დაუწყო მტრობა მისიონერებს, მათ ძვირს ლაპარაკობდა ყველგან და მეტადრე ასმენდა კათალიკოსსა და შემოქმედელს და ურჩევდა სამთავროდგან გაედევნათ. მაგრამ მათ სცნეს მისიონერების სათნოებიანი ცხოვრება და ყურადღება არ მიაქციეს მის ლაპარაკს, მაშინ განიზრახა ისე მოეხერხებინა, რომ ხალხს ნაკლებად ევლო მისიონერებთან და მათ ხელთაგან ნათლიღება არ მიეღო. ამიტომ ფერინდონემ ხალხში ხმა გაავრცელა, რომ წყალი, რომლითაც ნათლვენ მისიონერები, მავნებელია და თუ დედაკაცს და თუ მამაკაცს უშვილოდ გახდისო. მაგრამ ამითიც ვერას გახდა.

თუმცა კათალიკოსი, შემოქმედელი და სხვა წარჩინებულნი პირნი თანაუგრძნობდენ მისიონერებს, გარნა იქ მყოფი ბერძნები და ზოგიერთი ეპისკოპოსიც წინაალმდეგნი იყვნენ მათი. ამათ შეუერთდა ეგრეთვე კახეთის ეპისკოპოსი ალავერდელი, რომელიც, როსტომ ხანის მოსვლის დროს, სამეგრელოში გადმოხვეწა. იგი სამეგრელოდგან მოვიდა ოზურგეთში მათ საწინაალმდეგოდ. მისიონერებმა და ალავერ-

დელმა ერთმანერთი გამოიწვიეს საზოგადოებაში სადვთისმეტყველო საგნების შესახებ საბჭოდ. პატრი ანტონ ჯარდინამ ბევრი ილაპარაკა, მეტადრე სული წმიდის გამომავლობისათვის და ბოლოს თავის მოკამათეს სძლია ისე, რომ ალავერდელმა პატრებივით პირჯვრის წერა და მათი გამართლება დაიწყო, მაგრამ მაინც მათი მტერი იყო. შემდეგში ვნახავთ, რომ ამ ეპისკოპოსმა კათოლიკობა მიიღო და პატრების დიდი შემწე შეიქმნა. ალავერდელის შემდგომ, სხვა ეპისკოპოსმა დაუწყო მათ ყვედრება ხელმეორედ მონათვლისათვის. იმასაც დაუწყეს ბჭობა, ცხადად უჩვენეს, რომ ნათლისღებას ისე არ ასრულებდენ, როგორც ბერძნულის ტიბიკონის ძველებურ წიგნსა ევხოლოგიაში იყო: მაგალითისთვის დაუსახელეს თვით ალავერდელი, რომელიც ყველაზედ მეცნიერი და ბერძნულ წესში კარგად განსწავლული იყო. ასეთი ბჭობა დიდათ მოეწონათ ყველა იქ დამსწრეთ. ამიტომ უფრო გულმოდგინებით განაგრძეს ხელმეორედ მონათვლა. ამავე დროს მოიყვანეს ერთი თავადიშვილი და დიდის ამბით ყველას წინაშე ხელმეორედ მონათლეს.

თავიანთის კეთილ მოქმედებით მისიონერები დღითი დღე უფრო მეტ სახელს ითქვამდენ და უფრო დიდ ხალხს იზიდავდენ თუ სულიერად და თუ ხორციელად განსაკურნებლად. მათი ესრეთი წარმატება დიდათ ახარებდა მალაქია კათალიკოსს, რომელმაც იგინი ძრიელ შეიყვარა და უნდოდა, მუდამ გვერდში ჰყოლოდა; ამიტომ, ორი წლის შემდგომ, იგინი თავის პალატში გადაიყვანა და თავის ეზოშივე მისცა სახლი და ეკკლესია. მისიონერებმა აუხსნეს, რომ ერის კეთილდღეობისათვის მიუცილებლად საჭიროა ბავშების გაწვრთნა და მათი კარგად აღზრდა. მალაქიამაც პატრებს იქვე თვითონვე დააარსებინა სკოლა და რამდენიმე ბავში მისცა გასაწვრთნელად. პატრებმაც შემოჰკრიფეს აქა-იქიდგან ბავშები, მეტადრე ისინი, რომელთაც თათრებზედ გაყიდვა შეეძლოთ მშობლებს. დაუწყეს მათ სწავლება თუ სასულიერო და თუ სახორციელო საგნებისა. ამ გარემოებას, სხვების გარდა, თეათინელი კლემენტე გალანოსიც მოკლედ ასე მოგვითხრობს: „წარმოიდგინოს მკითხველმა, თუ ამისთანა კეთილის-მყოფელის მთავრის ხელში რამდენი სიკეთე უნდა მოეტანათ თეათინელ მონაზონებს თავიანთი სწავლა-ქადაგებით. იქვე დააარსეს სკოლა, ბავშები ზოგი თვით მთავარმა აჩუქეს, ზოგი ბატონებმა მისცეს და ზოგიც თვით გამოისყიდეს იმ მშობლებს, რომლებსაც ბავშების [illegible] არ შეეძლოთ, რათა იგინი თათრებისათვის არ მიეყიდათ. ამათ დაუწყეს სწავლება საქრისტიანო და სამეცნიერო საგნებისა. ძნელად წარმოსადგენია, თუ რამდენი მამობრივი სიყვარული უჩვენა იმ მთავარმა, რამდენი მოწყალება უყო

პატრებს; ესრეთი მფარველობა მათ შვიდი წელიწადი, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გაუწია; მამების რიცხვი შვიდამდე მიიყვანა, მათ მუდამ პატივს სცემდა, ეწეოდა და მტრების წინააღმდეგ იფარავდა". (1)

პატრი ანტონ ჯარდინამ კარგად იცოდა ქართული ენა, როგორც ლამბერტი მოწმობს; როგორც თავის დედა ენას, ქართულს ისე ლაპარაკობდაო. იმან შეადგინა ქართული გრამატიკა (2) და დააწყებინა ყმაწვილებს მისი შესწავლა. ყმაწვილები ჩქარა დაწინაურდენ სწავლაში და ყველასთვის გასაოცარნი შეიქმნენ. მისიონერები ძრიელ აქებენ გურულების ნიჭიერებას და მათ ყველაფრის ადვილად შეთვისების უნარს. გურულების საოცარის ნიჭის მიზეზით მისიონერებმა დააპირეს რამდენიმე ყმაწვილი იტალიაში გაეგზავნათ, რათა იქ მაღალი სწავლა მიეღოთ და შემდგომ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ მამულში საშრომელად. მაგრამ მისიონერები მტრებსა მოერიდენ, იქმნება ხალხში ხმა გაავრცელონ და სთქვან, რომ პატრებმა ყმაწვილები თათრებს მიჰყიდესო. ამის გამო ყმაწვილები ევროპაში აღარ გაგზავნეს.

იმ სკოლის წარმატებამ და პატრიარქის მისიონერთადმი აშკარად გამოჩენილმა პატივმა და სიყვარულმა იქ მყოფი ბერძნის მღვდლები ძრიელ აღაშფოთა. ბევრგზის ამხილეს კათალიკოსს, რომ ლათინების ესრეთი პატივისცემა ბერძნის ეკკლესიის წინააღმდეგი და შეურაცხყოფა არისო და ბევრგზის სთხოვეს, რომ გაედევნა მისიონერები თავისი სამთავროიდგან, მაგრამ მალაქიამ მათ მუდარას ყურადღებაც არ მიაქცია. ამ გზით რომ ვერაფერი გააწყეს ბერძნებმა, კათალიკოსს შეუჩინეს მკურნალი ფერინდონე, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მაზედ და დიდათაც მტრობდა პატრებს უფრო იმიტომ, რომ ქრისტეს სარწმუნოების მოღალატეობას და უზნეო ცხოვრებას აყვედრიდენ. იმანაც რომ ვერაფერი გააწყო კათალიკოსთან, პატრი ანტონს ჩუმათ საწამლავი მისცა, მაგრამ ღვთის განგებულებით საწამლავმა ვერ გასჭრა და ესრეთ გადურჩა განსაცდელსა.

ამის მხილველი ფერინდონე დაცხრომის მაგიერ, უფრო გაბრაზდა და კვალად სხვა საშუალებას მიმართა. ერთ დღეს კათალიკოსი სხვაგან წავიდა, ამ გარემოებისაგან ისარგებლა ფერინდონემ და ჩუმად ცეცხლი წაუკიდა მათ სახლს იმ აზრით, იქმნება მისიონერებიც შიგ გამოიწვნენო, მაგრამ აქაც გაუცრუვდა ბოროტი აზრი, რადგან პატრი ანტონ, რომლის სიკვდილსაც უფრო ესწრაფოდა, სხვაგან იყო ძმა ქლაუდიოსთან ერთად და პატრი ქრისტეფორე კასტელიმ კი სარკმლიდგან გადმოხტომა მოასწრო, თვით ეს კასტელი და ლამბერტი სწერენ, რომ ყველამ სასწაულს მიაწერა გადარჩენა ეკკლესიისა, რომელიც სახლთან

ახლოს იყო და რომელსაც ცეცხლმა გარეშემო ნედლი კაკლის ხეები
და ყველაფერი სულ გაუნაცრა, მაგრამ ეკკლესიას კი არაფერი ევნოვო.
ცეცხლის გაჩენას ყველა ფერინდონეს აბრალებდა, რადგან ყველა-
სათვის ცხადი იყო, რომ პატრებს მტრობდა. ამ უბედურებას გა-
დარჩენილი მისიონერები კათალიკოსმა და შემოქმედელმა ანუგეშეს და
აუშენეს ახალი სახლი უფრო დიდი და უფრო მშვენიერი. რადგანაც
კათალიკოსს ხანში შესულობის გამო ბევრნაირი სნეულება ჰქონდა და
დიდათ ეჭირვებოდა ფერინდონე მკურნალის შემწეობა, სულგრძელებით
ითმენდა მისგან მისიონერების წინააღმდეგ ჩადენილს ეგოდენ უღმრ-
თოებას.

მტრის მიერ ესრეთ უწყალო დევნულებას სრულებით არ შეუშინ-
დენ მისიონერები; ბოროტის წილ მტერს კეთილი მიაგეს და განაგრძეს
გულმოდგინებით თავიანთი შრომა ერის საპატრონებლად და სარწმუ-
ნოების გასავრცელებლად. იმასობაში პატრი ანტონ ჯარდინა გარდაი-
ცვალა. სიკვდილის მიზეზად თავისი გულკეთილობა გაუხდა. ერთხელ ეპის-
კოპოსი შემოქმედელი სამეგრელოში წავიდა და ისიც თან გაჰყვა; გზა-
ში ცხარე მზის სხივებმა ეპისკოპოსი შეაწუხა, რადგან მარტო ვიწრო
ბერძნული ქუდი ეხურა. ამიტომ პატრი ანტონმა თავისი ქუდი მოიხა-
და და მისცა მას, თითონ კი საშინელ სიცხეში თავლია დარჩა; მზემ
თავში დაჰკრა. ჩავიდა ოდიშს თუ არა, დასნეულდა და მალეც იქვე გარ-
დაიცვალა. რადგან იგი დიდათ შესანიშნავი პირი იყო და ბევრი სიკე-
თე დასთესა გურიაში, ამიტომ აქ მოვიყვანთ მოკლედ, რასაც მისთვის
ამბობენ მისი ამხანაგები და ცხოვრების აღმწერნი.

„ანტონ ჯარდინა, 1634 წ. გურიაში ქრისტეფორესთან ერთად
მისული ძრიელ კარგად მიიღო მალაქიამ, გურიის პატრიარქმა, რომელ-
მაც ოზურგეთში დააყენა და დიდი მფარველობა აღმოუჩინა... აქ ან-
ტონ დაუცხრომლად სარწმუნოებას ასწავლიდა, საზოგადოებაში ყველ-
გან ქადაგებდა, საიდუმლოებს ასრულებდა და სნეულებს სწამლობ-
და, რათა სულიერადაც განეკურნა. ამიტომ ძრიელ ბევრი ხალხი
გადაიყვანა კათოლიკე სარწმუნოებაზედ... აღმოსავლეთის ენები ძრიელ
კარგად იცოდა და მეტადრე თათრულსა და ქართულს ისე ლაპარაკობდა
თითქო იმ ქვეყანაში ყოფილიყოს დაბადებული. საზოგადო ბჭობაში
თავისი მოძღვრებით გურიის მიტროპოლიტი ალავერდელი დასძლია და
კათოლიკე სარწმუნოება მიაღებინა. როგორც თავდადებული მზრუნვე-
ლი ხალხისა, პატრიარქმა ძრიელ შეიყვარა, თავის პალატთან ახლო სახ-
ლი მისცა, ეკკლესია აუშენა და რაც კი საჭირო იყო სარწმუნოების
გასავრცელებლად, დახმარება აღმოუჩინა. აქ სკოლა გახსნა თავისი ამხა-
ნაგების დახმარებით, გასწვრთნა ყმაწვილები სარწმუნოებასა და წერა-

კრთხვაში, რაც დიდათ სასარგებლო შეიქმნა ხალხის სულიერის წარმატებისათვის. ძრიელ ეწინაალმდეგა ერს იმ ბარბაროსულის ჩვეულებისათვის, რომ ყმაწვილებს მაჰმადიანებზედ ჰყიდდენ და ბევრს ხელი აალებინა ამ სამარცხვინო ვაჭრობაზე... შემოქმედელ ეპისკოპოსთან მგზავრობის დროს, ათთა მზეს იმისთვის არ ევნო, თავისი ქუდი მისცა, რაისგამო დასნეულდა და სამეგრელოს ქალაქს ოდიშში ანგელოზებრივი ცხოვრებით სიწმიდის ნიშნით მიიცვალა 1637 წელსა აგვისტოს თვეში. მისის სიკვდილის ამბავმა ყველა დიდად შეაწუხა, რადგან ყველას ეს მოციქულებრივი კაცი სიწმიდის მაგალითად მიაჩნდათ... გურიის მთავარმა, მალაქია პატრიარქმა რა შეიტყო მისი სნეულების ამბავი, საჩქაროდ წავიდა მის სანახავად და მძიმე სნეულს შეეწია და თავისი ხარჯით თუ წამალი თუ სხვა, რაც კი საჭირო იყო, ყველაფერი უშოვა. ერთი სიტყვით ამ დიდათ გულკეთილმა მთავარმა არაფერი დაზოგა, ყოველი საშუალება იხმარა მის გასაკურნებლად. რა მიიცვალა, წესი აუგო, როგორც მღვდელთ-მთავართა ჩვეულება იყო... გურიის მიტროპოლიტმა ალავერდელმა, რომელიც ანტონ ჯარდინამ რომის ეკლესიას შეუერთა, განსაკუთრებით შეიყვარა და პატივსა სცემდა; უწინდელი მის წინააღმდეგ თავისი სიძულვილი მისდამი სიყვარულში გასცვალა... გურიის პროვინციის ეპისკოპოსი შემოქმედელი განსაკუთრებულს პატივს სცემდა, ყველას წინაშე დაუცხრომლად აქებდა ღვთის დიდებისათვის მის გულმოდგინეობას, უმანკო ცხოვრებას და მის სათნოებას“ (1).

გურიაში მარტო დარჩენილმა პატრი ქრისტეფორემ განაგრძო ეგრეთი უხვი ნაყოფიანი მისიონი და გაართკეცა თავისი შრომა. ყველა შეწუხება და მტრის მიერ დევნილება მოთმინებით აიტანა და ბოროტის მაგიერ კეთილი მიაგო. თავისი სახარებრივი მოთმინებით მალე გაიმარჯვა მტერზედ და მოაქცია სარწმუნოებაზედ ძალზედ გადამტერებული კათოლიკოსის მკურნალი, გამაჰმადიანებული ფერინდონე. იმის მოქცევის ამბავს ვრცლად რომას სწერენ პეტრე ავიტაბილე 1638 წ. და პატრი იოსეფ ჯუდიჩი 1640 წ. რადგან დიდად ყურადსაღები შეიქმნა იმის მოქცევა, ჩვენც აქ მოვიხსენიებთ მოკლედ.

პატრი ქრისტეფორე კასტელიმ ფერინდონე, როგორც იყო, დაიახლოვა, ვითარცა თავისი ქვეყნის კაცი, რადგან იტალიის ქალაქ სივნიდგან იყო. ჩაგონება დაუწყო, ტკბილად ამხილა თავისი დიდი დანაშაული, როგორიც იყო ქრისტეს სარწმუნოების დატოება, და ურჩია თავის დედა ეკლესიას დაბრუნებოდა. პირველში ფერინდონემ ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ ცოტა არ იყოს დაფიქრდა კი. იმ ხანებში ავადაც გახდა და საჩქაროდ მიიწვია პატრი ქრისტეფორე, აღიარა თავისი შეცოდ-

შილება და დანაშაული. სულით და გულით შეუერთდა ეკკლესიას და დაირქვა სახელად ნიკოლა, რომელიც ადრე ნათლისღების დროს მიღებული ჰქონდა. ეს მოხდა მირის ეპისკოპოსის წმიდა ნიკოლოზის დღესასწაულის ძალში. ამიტომ მის მოქცევას მიაწერენ თვით იმ საკვირველთ-მოქმედის სასწაულს. ნიკოლა, ანუ ნიკოლოზ კოჯევიჩი ქრისტიანედ მოქცევის შემდგომ სულ ერთიან გამოიცვალა; მისიონერები მის მოქცევას ადარებენ სავლეს პავლე მოციქულად გადაქცევას. სახლიდგან დაითხოვა თავისი ცოლები, რომლებიც მაჰმადიანების წესისამებრ ჰყავდა, მხოლოდ ერთი დაიტოვა, რომლისაგანაც შესძენოდა ორი ქალიშვილი. ქალი დათანხმდა, მასთან დარჩენილიყო და იმასავით სინანულით წმიდათ გაეტარებინა ცხოვრება, მხოლოდ ერთმანერთს აღარ უნდა შეხებოდენ. რადგან უწინ ნიკოლას გურიაში დიდი გავლენა ჰქონდა, დიდი ულმრთოებაც ჩაუდენია, ბევრისათვის შეურაცხყოფა და უსამართლობა ექმნა. ამისგამო დაიარა და ყველა თავის მტრებს ხელფეხზედ მთხვევით შეურიგდა და ზარალიც უზღო. მისი მოქცევის ამბავი ყველგან განითქვა და ყველა დიდის სიხარულით მიეგება; განსაკუთრებით აღნიშვნენ მისიონერები ამ ამბავს: გურიაში ერთმა ქართველმა ბატონმა (თავადმა) ქრისტესთან შერიგებული რა ნახა იგი პირველად, მისი პატივისათვის ქუდი მოიხადა და მას ცრემლით ხელზედ ემთხვია. ესრეთ პატივს მარტო ეპისკოპოსებს უყოფენ“ (1).

ნიკოლამ შეიმოსა ძაძა, თავის ეზოში გაიკეთა პატარა ოთახი და დაიწყო საკანონოების ასრულება და მწირად ცხოვრება. თავისი სახლი, მამულები და ყმები ერთიან პატრებს მისცა; ეგრეთვე ჰსთხოვა, რომ თავიანთ ძმობაში მიეღოთ. მაგრამ პატრებმა ჯერ არ დაინახეს საჭიროდ მონაზონად ჩაერიცხათ. ხოლო მისმა ცოლშვილმა კი შეიმოსა სამონაზვნო სქემა და შეუდგა წმიდა ცხოვრებას. გავლილის ცოდვით სავსე ცხოვრების შესანანებლად ნიკოლამ არ იკმარა ლოცვა, მარხულობა და სხვა ამის მზგავსი, არამედ დაიწყო ქადაგება ყველგან და ყველას ურჩევდა ქრისტიანურ კეთილს ცხოვრებას შედგომოდა. ეგრეთვე ბევრჯერ ურჩია კათალიკოსს მალაქიას, რათა ცდილიყო და გურია-სამეგრელოთ ერთიან რომის ეკკლესიისათვის შეერთებინა. ამის გამო ბევრი ეხვეწა, მისიონერები კიდევ მიეწვია გურიაში და მათ მოსაყვანათ ერთი შესანიშნავი პირი გაეგზავნა სამეგრელოში, სადაც მისულიყვნენ საქართველოდგან მობრუნებული მისიონერებიც. რადგან კათალიკოსი დიდად მოხარული იყო იმის მოქცევისა, სიამოვნებით დაჰპირდა ყველაფერს. მისიონერების მოსაწვევად მის უკეთესი ვერავინ ნახა და იგივე გაგზავნა სამეგრელოში. რა მივიდა ჭიპურიას მისიონერებთან, ნიკოლამ მიუთხრა, თუ რა დიდი ნაყოფი გამოიღო კათოლიკობამ გურიაში, უამბო

იქაური სულიერი საჭიროება და მეტადრე კათალიკოსის მზად ყოფნა თავისი სამთავროითურთ რომის ეკკლესიასთან შეერთებისათვის. ამ ამბავმა დიდად გაახარა მისიონერები, რომლებმაც ბევრი აღარ დაიგვიანეს იქ წასასვლელად. თვით უფროსი პატრი პეტრე წაჰყვა და ოთხიც სხვა მისიონერი წაიყვანა, როგორც მოგვითხრობს სილო: „გურიის ვენახის შესამუშავებლად პეტრემ თავის ამხანაგებად წაიყვანა ორი მღვდელი ფრანჩისკე მარია მაჯო და ვინჩენცო ჯილიბერთი და ეგრეთვე ორი ძმაც, ძმა იაკობ არგოლიოზო და ძმა ანდრია ლიპომანო ქართველი“. (1) რა მივიდენ გურიას, წარსდგნენ კათალიკოსის წინაშე, რომელმაც დიდის და გამოუთქმელის სიხარულით მიიღო. სამწუხაროდ, სიტყვა, რომელიც კათალიკოსს წარმოუთქვამს მისიონერების მიღების დროს, ხელთ არა გვაქვს, გარნა როგორც სჩანს სხვა წერილებიდგან, სურვილი და თანხმობა გამოუცხადებია, მზად ვარ რომის ეკკლესიას ჩემის სამეფოთი შეუერთდეო; ეგრეთვე უთხოვნია მისიონერებისათვის, კარგად გაეწვრთნათ თავისი ერი და საეკკლესიო პირები, რათა აღარავის გასჭირებოდა შეერთების საქმე. მისიონერების მოსვლის შემდეგ, ნიკოლა, დამლევი კეთილის ცხოვრებისა, რომლითაც ყველა გააკვირვა, გარდაიცვალა 29 დეკემბერს 1638 წ. მაჰმადიანობაში კი 28 წელიწადი გაეტარებინა.

ახლად მოსულმა მისიონერებმა დაიწყეს ერის მოვლა და ქადაგება, ძრიელ ბევრს მიაღებინეს კათოლიკობა, ვინაიდგან თავიანთ წერილებში მისიონერები ასე სწერენ: ბევრისგან ბევრი მოიქცნენო (molti emolti si convertissero). სხვათა შორის იხსენიებენ ერთ დედაკაცს, რომელიც ძრიელ განთქმული ყოფილა თავისი ისტორიით. ის დედაკაცი, სახელად ლელორა (ზოგი ლელოკას უწოდებს), იყო მეუღლე ერთის საშუალო წოდების კაცისა, რომელიც კაცის კვლის გამო გურიის მთავარს, მალაქია კათალიკოსს დაესაჯა, თვალები დაეთხარა და ცოლიც მოეშორებინა. დედაკაცი თურმე მეტის მეტად ლამაზი ყოფილა, ხელი მიუყვია უწესო ცხოვრებისათვის და ხალხი გაურყვნია, ყველგან განთქმულა მისი ბოროტი სახელი და გამხდარა დიდის დაბრკოლების მეზეზი. ამ ბოროტების მოსასპობლად კათალიკოსს გადაეწყვიტა იგი მაჰმადიანებისთვის მიეყიდა. რა შეიტყეს მისიონერებმა, მაშინვე მივიდენ და ურჩიეს მალაქიას, რომ ესრეთი მოქცევა უფრო დიდი ბოროტება იქმნებაო, რადგან დედაკაცი თათრების ხელში უეჭველად სარწმუნოებასაც დაჰკარგავსო; ეგრეთვე მოახსენეს, მოითმინე და მალე ხელს ავაღებინებთ თავის ბოროტებაზეო. კათალიკოსი დათანხმდა და ლელორა პატრების ეკკლესიასთან ახლოს დააყენებინა. პატრებმა დაუწყეს ქადაგება და ჩააგონეს, რომ თუ თავის ბოროტს გზას არ დასტოვებდა, თათრების სა-

სირცხო ტყვეობაში ჩავარდებოდა. მალე სცნო თავისი სიბოროტე. მალე გაიძრო თავისი ამაოების ტანისამოსი და ჩაიცვა უბრალო ძაძა; მარიამ მაგდანელსავით დაიწყო თავისი ცოდვების შენანება. აღარავის ერჩენბოდა. აღსარება სთქვა პატრებთან და მიიღო წმიდა ზიარება. თავისი ცხოვრებით ისე გამოიცვალა, რომ მნახველი მას სრულებით ვეღარ იცნობდა. ერთავად ეკკლესიაში იყო და ლოცვით ატარებდა დროს. როგორც უწინ ბევრისათვის საცდური იყო, ისე ახლა ყველასთვის დიდად წასაბაძი შეიქმნა. იმის მოქცევამაც დიდი სახელი განუთქვა მისიონერებს და ძრიელ შეეწია კათოლიკობის გავრცელებას.

ყველაზედ უფრო შესანიშნავი შეიქმნა ელენე ათაბეგის ქალის გაკათოლიკება. უადგილოდ არ ვრაცხთ, იმისი ამბავიც ცოტა ვრცლად მოვიხსენოთ.

მესხების და ჭანების (de' Meschi e de' Lazii) მთავარს ათაბეგს, რომელსაც მაჰმადიანობა მიეღო იმისგამო, რომ მთავრობა არ ჩამორთმევოდა, ჰყავდა მხოლოდ ერთი ასული მეტად მშვენიერი. რადგან გრძნობდა თავის დანაშაულსა და გულში ნანობდა სარწმუნოების დატოვებას, არ უნდოდა თავისი დიდად საყვარელი ქალიც ამ უბედურებაში ჩავარდნილიყო. უბედურება მალე მოსალოდნელი იყო, რადგან სულთანს, რომ შეეტყო მისის ქალის სილამაზე, მაშინვე სრაში წააყვანინებდა, რასაც უეჭველად მოჰყვებოდა სარწმუნოების გამოცვლაც. ამიტომ იგი ჩააბარა მალაქია კათალიკოსს, რომ შეენახა ვიდრე ქვეყნის გარემოება შეიცვლებოდა, რათა მერვე ქრისტიანე ქართველს მთავარს მისთხოვებოდა. კათალიკოსსაც მიეღო ელენე, როგორც თავისი შვილი და ჰყავდა თავის პალატში. რადგან მისიონერებიც მის პალატთან ახლოს იქვე ერთსა და იმავე ეზოში, ანუ ბაღში, იყვნენ, ელენემ დაიწყო სიარული ხშირად მათ ეკლესიაში და დიდის გულ მოდგინებით უსმენდა მათ ქადაგებას და სწავლა-დარიგებას. მალე კათოლიკობაც მიიღო და სარწმუნოების ერთგული შეიქმნა. თავისი კეთილისა და სამაგალითო ცხოვრებით შეიქმნა ყველას წასაბაძი. მთელ გურიაში ლაპარაკობდენ მის სილამაზესა და სათნოებას. მისი გაწვრთვნის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღოდა პატრი ქრისტეფორე კასტელის. ელენეს მამა ათაბეგი მალე დაატყვევეს ოსმალებმა. ამიტომ თავის ერგულ და სულიერ მამად ელენეს მიაჩნდა პატრი ქრისტეფორე, რომელიც შეიქმნა მისი სულიერი წინამძღვარი და პატრონი.

მალაქია კათალიკოსმა თავისი სამთავროს საქმეებისთვის ელჩი გაგზავნა სპარსეთის შაჰთან. ელჩი, საქმეს რომ მორჩა და დასაბრუნებლად ემზადებოდა, ესე შაჰმა უთხრა: ჩემს შვილს ვინმე კარგის გვარიშვილის მშვენიერი ქალი მინდა შევრთო, ისეთი, დედოფლობის

ღირსი იყვეს. იქმნება ვინმე გეგულებაო? ელჩმაც უამბო უზომო სიშვენიერე, გაზრდილობა და ყოველი ღირსება ელენესი. შაჰს ძრიელ გაეხარდა ამის გაგონება და ელჩისვე პირით შემოუთვალა მალაქია კათალიკოსს, რათა ელენე გაეგზავნა მისი შვილის საცოლოდ. მალაქიამ ეს ამბავი გამოუცხადა ელენეს, რომელმაც შორს დაიჭირა თავი: სრულს უარზედ დადგა, რათა თავისი კათოლიკე სარწმუნოება განსაცდელში არ ჩაეგდო. მისმა სულიერმა მამამ ქრისტეფორემაც გაამხნევა, რათა მტკიცედ მდგარიყო და არ შეეწყნარებინა ურწმუნოს მეუღლეობა.

რადგან გურიაში იმ დროს ბლომად იყვნენ ოსმალები, მალე შეიტყეს ელენესი და სპარსეთის ყეინის ამბავი და მაშინვე სულთანს აცნობეს. სულთანმაც დაუყოვნებლივ შემოუთვალა მალაქიას, რადგან ელენე ჩემი ქვეშევრდომია და ჩემთვის მინდა, საჩქაროდ გამოგზავნე: თუ არ გამოგზავნი, ჩემს რისხვას ვერ გადაურჩებიო. კათალიკოსი ორ ცეცხლ შუა ჩავარდა, არ იცოდა, თუ ძლიერ მტერთაგანი რომელი ერთი დაეკმაყოფილებინა. მოილაპარაკა დადიანთან. იმანაც ურჩია, ელენე ჩემთან გამოგზავნე და სულთანს შეუთვალე, რომ შენ არაფერი შეგიძლია. დადიანს უფრო უნდოდა სპარსეთის მეგობრობა, ვიდრე ოსმალეთისა. პატრი ქრისტეფორემ ყველაფერი, რაც მოელოდა ელენეს, კარგად გაითვალისწინა. დაუწყო ქადაგება და რჩევა, ამაო ბედნიერებისა და გვირგვინისათვის არ დაეკარგა საუკუნო დიდება და გვირგვინიო. ელენემაც, ქალწულებრივის ზეციერი სიყვარულით გამსჭვალულმა უპასუხა: „გამხნევდი, საყვარელო მამაო, და ამიერიდგან ნუღარ შესწუხდები, ჯვარცმულის ფეხქვეშ დამიძს სპარსეთის გვირგვინი ყოველი მისი დიდებით; მინდა შევუდგე საყვარელს ზეციერს სიძესა და სულის ცხონებისათვის უნდა შეურაცხ ვყო ყოველი ხილული სიამოვნება. ჩემი კათოლიკე სარწმუნოებისათვის, რომელიც შენ მასწავლე, მზათ ვარ უარ ვყო საამქვეყნო გვირგვინი და ეგრეთვე სისხლიც დავღვარო". (1) ელენემ რავდენჯერმე განიმეორა, მტკიცედ ვიქმნები სარწმუნოებაზედ და სიკვდილს უფრო ვირჩევ, ვიდრე სპარსეთის მეფეს მივთხოვდებოდეო. ეგრეთვე პატრი ქრისტეფორეც შეჰპირდა მარტო არ დაგტოვებ და თან წაგყვები სამეგრელოშიო.

რა მიიყვანეს ელენე სამეგრელოში, დადიანმა დაუწყო ბევრი ლაპარაკი და ჩაგონება სხვათა შორის, უთხრა, რომ ისპაჰანის სამეფო ქალაქი, საქრისტიანო სამეფო ქალაქიაო, რადგან იქ უფრო ბევრი ქართველია, ვიდრე მთელ საქართველოშიო; თქვენ შეიქმნებით დედა და ახალი ესთერი ეგოდენ ერისაო და სხვა ამისთანა. ელენემ მდაბლად უპასუხა, რომ უარ შემიძლია მივთხოვდე ურწმუნოსა, არც ქვეყნიერობაში შესვლა მინდა, ქრისტიანედ შობილი ქრისტიანედ უნდა

შოკვდეო; მინდა ჩემი ცხოვრება სარწმუნოებას ვუმსხვერპლო და ყვე-
ლასაგან დავიწყებული ვიყვეო". დადიანმა რაკი დაყვავებით ვერაფერი
გაარიგა, მრისხანედ მოეპყრო და ჰგვემა კიდეც. ეგრეთვე გაიგო, რომ
ელენეს ესრედ გამამხნევებელი იყო პატრი ქრისტეფორე, რომელსაც
ელენესთან მისვლა და ლაპარაკი აუკრძალა, მაგრამ ამითაც ვერ აიღე-
ბინა ხელი ელენეს თავის მტკიცე გარდაწყვეტილებაზედ. ელენეს სი-
მტკიცეს ასეთის ქებით იხსენიებენ მისიონერები: „ვერაფრით დასძლია ეს
უმტკიცესი ქალწული, რომელიც სდგა მტკიცედ, როგორც კლდე და
მაგრად შემოზღუდული ციხე. თითქმის ერთი წელიწადი ებრძოდა; გარნა
ბოლოს მზაკვრობით მოატყუა და სძლია ქალწულსა". (1)

სხვა საშუალება რომ აღარ დარჩა დადიანს, მიჰყო ხელი მზაკვრო-
ბას და უთხრა ელენეს: რადგან ვერა სცანი, თუ რა ბედნიერებას გიგზავ-
ნის უფალი და სულელობას არ იშლი, გადავსწყვიტე, ისევ დაბრუნდე
კათალიკოსთან და გაატარო წყნარი და სულიერი ცხოვრება, როგორც
ნატრობო. მეორე დღესვე გაისტუმრა ელენე. იმას ძრიელ გაეხარდა ეს
ამბავი, მაგრამ რა ნახა, მისი წამყვანნი გურიის ნაცვლად, საქართველოს
გზას დაადგნენ, მაშინ თავში შემოიკრა, ბევრი იტირა, ბევრი ივიშვიშა,
გარნა თავი ვერავის შეაბრალა. რაც ნებით არ უნდოდა, ის ძალად
შიაღებინეს: ჩაიყვანეს სპარსეთში და მისცეს მეფეს, როგორც მოგვი-
თხრობს მისი ამბის აღმწერი: „გარნა ელენე მზაკვრობით და ძალით
წაიყვანეს სპარსეთსა, თუმცა კი იქ დააქორწინეს სპარსეთის მეფეზედ,
მაგრამ ქრისტეს სარწმუნოება სულით და გულით დაიცვა და არაოდეს
უღალატა". (2) სარწმუნოება, რომ არ დაევიწყებინა, მეფეს სთხოვა
გურიიდგან პატრი ქრისტეფორე მომიყვანნეო. შაჰი დათანხმდა
და მაშინვე ელჩები გამოგზავნა დადიანთან მის წასაყვანად. ქრისტეფო-
რე დათანხმდა, მაგრამ ჯერ რომას ნება მოსთხოვა იქ წასვლისათვის,
რომამ კი უარი უთხრა, რის გამო ქრისტეფორე აღარ წავიდა სპარ-
სეთსა. ხოლო შეადგინა ერთი წიგნი ქართულად „სიტურფე საღვთო
სიყვარულისა" და სანუგეშებლად გაუგზავნა ელენეს.

აქვე ვსთქვათ ისიც, რომ ქრისტეფორემ ერთი სხვა წიგნიც „ჩვენ-
ზრახვა ქრისტეს ვნებისათვის" შეადგინა ქართულად და მიუძღვნა მალა-
ქია კათალიკოსს. ეგრეთვე დაუწერია წიგნი საქართველოს და სამეგრე-
ლოს შესახებ და რადგან მხატვრობა კარგად ჰსცოდნია, შიგვე ჩაუხა-
ტავს მეფეებისა და მთავრების სურათებიც სამწუხაროდ, აქამდე მისი
ნაწერები ვერც ქართული აღმოვაჩინეთ და ვერც იტალიური.

პატრი იოსებ ჯუდიჩი, 1640 წ. რომში გაგზავნილ ერთ თავის
ვრცელ წერილში გურიის ზოგიერთი კათოლიკების შესახებ შემდეგს ამ-
ბავს მოგვითხრობს: „მესხეთის მთავარმა ბავშა ქავთარიძემ (Bavscja Con-

tarizzé) და დადიანის ცოლის ძმამ მამუკა ვასკორტოსშვილმა (Vascortosfili), რა გაიგეს და შეისწავლეს კარგად ჩვენებისაგან სული წმიდის გამომავლობა, ესარჩლებოდენ და კიდეც ბჭობდენ მისთვის სხვებთან, როცა საჭიროება მოითხოვდა. უპირველესმა ბარონმა, მამუკა ნაკაშიძემ (Nacasizzé), სხვა თავადების წინაშე სიტყვა წარმოსთქვა და აუხსნა, რომ ფრანგები ნამდვილი ქრისტეს სახარების დამცველნი არიანო; მთელ ქვეყანაზედ და ყველას წინაშე ქრისტეს ცხადად აღიარებენ და მისთვის სიკვდილსაც არ ერიდებიანო; დასასრულ (როგორც ისინი ჰგონებენ) ზეციერი სასუფეველისათვის თავიანთი თავი გაუსაჭურისებიათ, რათა კარგად დაიცვან ხორცის სიწმიდეო და დაბოლოვა: ესენი ჭეშმარიტი მოციქულებრივი კაცები არიანო. ბევრ ქალბატონთან ერთად ბარონმა ნიკოლიამ და გურიის მთავრის ქალმა თამარმა, რომელიც იმერეთის დედოფალი იყო და ქმრისგან გაშვებული, ქადაგების დროს რა გაიგონეს ჩვენის მისიონერებისგან, რომ საფრანგეთში იყო მონასტრები, სადაც დედაკაცები ხორცის სიწმიდით ღმერთს ემსახურებოდენ, მწუხარე გულითა სთქვეს, სხვათა შორის, ეს სიტყვებიც: „ახ! როდის გვაღირსებს ღმერთი, გავიპარნეთ აქიდგან და იქ წავიდეთ ღვთის სამსახურებლადო“. ელიზბარ მარაშვილმა (Vezzebari Marasfili), რომელიც დიდათ შესანიშნავი და ბრძენი პირია მთელს ამ მხარეში, მოიყვანა ჯგუფად ბარონები (თავადები, ანუ აზნაურები), რომლებიც თათრებზე ჰყიდდენ შვილებსა და ყმებსა, რათა პატრებს მათთვის ექადაგნათ და ეჩვენებინათ ყმების გაყიდვის დიდი ულმრთოება; ის ფიქრობდა, რომ ამისი წამალი პატრების ქადაგების მეტი სხვა არაფერიაო, ეს თხოვნა პატრებმა სიამოვნებით შეასრულეს და ისიც დიდათ კმაყოფილი დარჩა“. (1)

მისიონერები გურიიდგან ხშირად ახალციხისკენაც მიდიოდენ, საცა ქრისტიანებს ამხნევებდენ და გამაჰმადიანებულებსაც ხელახლავ აქრისტიანებდენ.

კათოლიკობა რა ესრედ წარმატებული და გავრცელებული იყო თითქმის მთელს გურიაში, სწორედ იმ დროს, 1639 წ., გარდაიცვალა 62 წლისა გურიის მთავარი, მალაქია კათალიკოსი, რომელიც იყო მამა და მფარველი გურიის კათოლიკობისა და რომელმაც არაფერი დაზოგა მისი გაძლიერებისათვის.

რადგან ყველა საბუთებს ჩვენამდე არ მოუწევია, ამიტომ ხელში ისეთი საბუთები არა გვაქვს, რომ მის გაკათოლიკებას კერძოდ შეეხებოდეს. ის კი ეჭვ გარეთ უნდა იყოს, რომ მან კათოლიკობა მიიღო. ამას საზოგადოდ ამტკიცებს ყოველი მისი ქცევა მისიონერების მიმართ და ეგრეთვე ჩვენამდე მოწევნილი თეათინელების წერილები. ეს თუ

არ შევიწყნარეთ, მაშ რით უნდა აიხსნას, სხვათა შორის ის, რომ თვითვე სთხოვა და დაავალა პატრებს, კარგად გაეწვრთნათ [illegible] ერი და თუ საეკკლესიო პირნი, რათა რომის ეკკლესიასთან შესაერთებლად დაბრკოლება არავისგან ყოფილიყო? ეგრეთვე მუდამ დღე ხედავდა, რომ თავისი ქვეშევრდომთაგანი ბევრნი კათოლიკობაზედ გადადიოდენ. პროპაგანდის ერთ საბუთში, რომელშიაც სიძველის გამო ყველა ვერ ამოვიკითხეთ, მოხსენებულია, რომ ის კათალიკოსი გარდაიცვალა თეატინელი მისიონერების მკლავზედ და ზედ ჰქონდა პაპის მედალი. ესევე უნდა ვსთქვათ შემოქმედელი ეპისკოპოსისთვისაც, რომელიც მალაქიას სიკვდილის შემდგომ დაინიშნა კათალიკოსად, და რომელიც შეიქმნა მიზეზი გურიაში კათოლიკობის გავრცელებისა.

გარდაიცვალა თუ არა კათალიკოსი, მაშინვე მივიდა ლევან დადიანი თავისი ჯარით გურიაში და დასვა მთავრად მალაქია კათალიკოსის ძმა ვახტანგ (Vattan), რადგან თვითონ ეს უნდოდა და არა ის, ვისაც სჯულისამებრ ეკუთვნოდა გურია. ვახტანგ წინათვე მტერი იყო მისიონერებისა; ბევრ გზის ურჩია კათალიკოსს, რომ ისინი გაედევნა სამთავროდგან, მაგრამ მალაქიამ ყურადღება არ მიაქცია. გახდა მთავარი თუ არა, დაუწყო მათ მტრობა, თითქმის ყველაფერი ჩამოართვა, რაც კი მათთვის მიეცა მალაქია კათალიკოსს: სახლი, მამული და ყმები. ეუბნებოდა მათ, თქვენ ჩემი ყმები ხართ, რადგან ამ სამთავროსთან ერთად თქვენი თავიც ჩამბარდაო. ამიტომ ძალით დაატანა, ფიცი ექმნათ, რათა იქიდგან არას დროს წასულიყვნენ. საკვირველი ის იყო, რომ ნებას არ აძლევდა მისიონერებს იქიდგან განშორებისას, თუმცა კი ძრიელ სძულდა. მისიონერებმა გურიაში სამწუხარო მდგომარეობა აცნობეს სამეგრელოში მყოფ თავიანთ თანაძმებს, რომელთაც საქმის ვითარება დადიანს მოახსენეს. დადიანმა წიგნი მისწერა და კაციც გაუგზავნა ვახტანგს, რათა გამოეშვა პატრები. გურიელმა, თუმცა კი პირობა მისცა, მაგრამ არ გაუშვა. იმავე დროს ჯარი შემოარტყა პატრების სახლს, რათა არ გაპარულიყვნენ. ქსე [illegible] თვეს ყარაულობდენ მათ. დადიანმა მეორედ კიდევ მისწერა წიგნი და დაემუქრა; მხოლოდ მაშინ გაუშვა მისიონერები ვახტანგმა. იმათ წასვლაზედ ხალხი ძრიელ შეწუხდა, მაგრამ მთავართან ვერაფერი გაწყეს. მისიონერებმა თუმცა თავიანთი სახლი გადაიტანეს სამეგრელოში, მაგრამ გურია ერთიან არ დაუტევეს, რადგან ბევრი მორწმუნე ჰყავდათ. ამიტომ ხშირად მოდიოდენ და კათოლიკებს სასულიერო სამსახურს უსრულებდენ. ერის საქრისტიანოებისათვის ამ წასვლა-მოსვლამ გასტანა დიდ ხანს, რაოდენსამე წელიწადს. როგორც სჩანს მათის სიტყვებიდგან, ასე 34 წელიწადი გაუტარებიათ ებინაოდ. ხოლო როდესაც გურიაში გამეფდა [illegible] კარგად [illegible]

მისიონერები, შვენიერი ეკკლესია მისცა, ეგრეთვე მამული და ყმე-ბი. დაუწყო მათ პატივისცემა, ძრიელ კარგად მოეპყრო, დაუბრუნა სარწმუნოების ქადაგების თავისუფლება და სხვა დანარჩენი სიკეთე, როგორათაც მალაქია კათალიკოსმა. გიორგის დროს გურიაში კათოლიკობის გავრცელებისას ვერაფერს ვიტყვით, რადგან, სამწუხაროდ, ამ დროის საბუთებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. ხოლო მარტო ის ვიცით, რომ გიორგიმ ძრიელ დაიახლოვა მისიონერები, მათ გვერდიდგან არ იშორებდა. რა ერთხელ წავიდა აზრუმს ფაშასთან შემწეობის სათხოვნელად, თან წაიყვანა პატრი ტურკო და პატრი რასპონი. ეგრეთვე ომშიაც თან ახლდენ პატრები. ერთხელ გიორგი რა ომში დამარცხდა, პატრი ტურკო, რომელიც თან ახლდა, ტყვედ დაიჭირეს. ცხადია ასეთის ერთგულისა და მოკეთე მთავრის ხელში კათოლიკობა დიდათ უნდა წარმატებულიყო.

ნამდვილად არ ვიცით, თუ რომელ წლამდე გასტანა თეატინელების მისიონმა გურიაში. ხოლო ის კი შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მათი მისიონი უფრო მალე დასრულდა გურიაში, ვიდრე სამეგრელოში.

1677 წ. გიორგი გურიელმა რომში კაპუცინებს გაუგზავნა ერთი აზნაური და ორიც სხვა კაცი და სთხოვა, მისულიყვნენ მის სამთავროში, სადაც იგი მათ აძლევდა თეატინელების დატოვებულს ეკკლესიას, მამულებს და ეგრეთვე ერთ სოფელს, რომელშიც იყო 20 მოსახლე. რადგან კაპუცინები ცოტანი იყვნენ, ვერ შეიძლეს იმ დროს გურიაში წასვლა. ამ გარემოებას რომაში ჰსწერს იმავე წლის ივნისის პირველს კაპუცინი ანტონ რომაელი. ამავე კაპუცინის ერთ სხვა, იმავე წლის დეკემბრის პირველს გაგზავნილ წერილში იხსენიებს გიორგი გურიელის წერილს მათი მოწვევის შესახებ ასე:

„გიორგი გურიის მთავარი, მაქსიმე მიტროპოლიტი და ძმა მთავრისა, ხვარამზე (Cormaze) დედა ამ მთავრებისა, რომის დიდის პაპის ქვეშევრდომ პატრებს, რომელთაც იციან მკურნალობა და ქირურგია, გთხოვთ მობრძანდეთ თავისუფლად ჩვენს სამთავროში და ჩვენც მაშინვე დაგიბრუნებთ ეკკლესიას, (თეატინელების დატოვებულს), სახლსა, მოგცემთ ბაღსა, ერთ სოფელს ოცი მოსახლით, ათ ცხენს, ლოგინს, ცხვრებს და სხ." ამის დედანი ხელში არა გვაქვს. გადმოგვილია იტალიურიდგან (1).

ამ საბუთებს გარდა გურიაში კათოლიკობის გავრცელებისა კიდევ სხვა უტყუარი საბუთები გვაქვს.

როგორც ჩვენი ისტორია გვიჩვენებს, საქართველოს კათალიკოსი ძველადგანვე გათავისუფლდა ანტიოქიის პატრიარქის უფლებისაგან და საქართველოს ეკკლესიამ მიიღო თვით მმართველობა (ავტოკეფალია).

ხოლო აფხაზ-იმერთა კათალიკოსთა არ ეღირსათ ესრეთი სრული თავისუფლება და დარჩნენ ანტიოქიის პატრიარქის ზედგავლენის ქვეშ. ბერძნები ხშირად მოდიოდენ აქეთკენ და ცდილობდენ, რომ საქართველოს კათალიკოსზედაც ხელახლავ გაევრცელებინათ თავიანთი უფლება. ანტიოქიის პატრიარქები, გაყრის შემდგომ, ხშირად კათოლიკები და რომის ეკკლესიასთან შეერთებულნი იყვნენ; ამას ცხადად გვიმტკიცებს რომაში სხვა და სხვა დროს გაგზავნილი მათი შეერთების შესახებ წერილები. აქ დავასახელებთ მაკარიოზ პატრიარქს, რომელიც ჩვენს გუჯრებშიაც მოხსენებულია; რადგან, 1664—1665 წ. საქართველოში მოვიდა და დომენტი კათალიკოსთან შეარიგა ქაიხოსრო ბარათაშვილი, სახლთუხუცესის შვილი. (1) ამის საქართველოში მოსვლას მისიონერებიც სწერენ რომაში 1665 წ. დიდათ აქებენ და ამბობენ, რომ თუ მან ერთ ორ გზის იქადაგა ჩვენს ეკკლესიაში, მაშინ ყველა ქართველები შემოგვიერთდებიანო. პატრიარქმა საქართველოში მოსვლამდე, მიიღო კათოლიკობა და თავის შეერთების წერილი გაგზავნა რომაში 1661 წ. მომეტებულად არ ვრაცხ, მოვიყვანოთ აქ პაპის ერთი წერილი, რომელსაც სწერს მისი წერილის პასუხად.

„ჩვენს პატივცემულ ძმას, ანტიოქიის ბერძნების პატრიარქს მაკარიოზს.

„პაპი ალექსანდრე VII,

„პატივცემულო ძმაო, მშვიდობა. რადგან ჩვენ სხვას არას ვნატრობთ, თუ არ იმას, რომ იესო ქრისტეს სისხლით დახსნილნი ეგოდენნი განშორებულნი სულნი შეუერთდენ თავიანთ უსაყვარლეს დედა ეკკლესიას და სცხონდენ, ამიტომ გამოუთქმელის სიხარულით აღვივსენით, რა შევიტყეთ თქვენის, შარშან 30 სექტემბრის, მოწერილი წერილიდგან და ეგრეთვე ჩვენის საყვარელი შვილის ფრანჩისკეს პიქეთიდგან, რომ თქვენ არა მარტო შეუდეგით მტკიცედ მართლმადიდებელის სარწმუნოების ჭეშმარიტებას და სცანით ეკკლესიების თავად და მოძღვრად რომის ეკკლესია, არამედ ცდილობთ კვალად ყველა თქვენის ღონისძიებით, რათა ყველა თქვენი ქვეშევრდომი ეკკლესიები და ერიც ღვთის კურთხევით მოიყვანოთ სამოციქულო საყდრის ერთობასა და ზიარებაში, რომლისგამო უფლისა მიერ ჩვენის განსაკუთრებულის მწყემსმთავრის სიყვარულით გეამბორებით და ვეგებებით თქვენს წარჩინებულს აზრსა. ამიტომ კვალად და კვალად გირჩევთ და გთხოვთ, გულ მოდგინებით და მტკიცედ შეუდგეთ ეგოდენ კეთილს და [illegible] ცხოვრებაში განუზომელის დიდებით სავსე საქმესა. ჭეშმარიტად ჩვენც არ დავსცხრებით და გულმხურვალედ ვევედრებით ღმერთს, მოწყალების მამასა, და შეგეწევით ამ საქმეში ყველა ნაირი სამსახურით, როგორც კი მოითხოვს დროება

და გარემოება... 22 ივლის, 1662 წელს მღვდელთმთავრობის მერვე წელსა“. (2)

დაწვრილებით არ ვიცით, ამ პატრიარქმა საქართველოში რა ჰქმნა. ხოლო ის კი ცხადია, რომ გურიაში განაწესა ეპისკოპოსები, რომლებიც იმასავით კათოლიკები იყვნენ. ამას გვიჩვენებს შემდეგი გარემოება: 1667 წ. რომაში მივიდა სკანითელი (Scanitelli) ეპისკოპოსი, სიმეონ, რომელიც ნაკურთხი იყო გურიაში გედეონ საკეთელი (Sakseti) მთავარ ეპისკოპოსისაგან. ამ ეპისკოპოსზედ რომიდგან საქართველოში მყოფ კაფუცინებს მოსთხოვეს ცნობები. ამათაც აცნობეს:

„ზემოხსენებულ ეკკლესიას ბერძნულად ეწოდების ისკანი. ხოლო მისი საზოგადო სახელი ქართულად არის ისკანეთელი და იპოება გურიას, საქართველოს პროვინციაში. ხსენებულ ეკკლესიაში ეპისკოპოსებს ნიშნავს თვით მთავარი. გურიელის უფრო ერთგულნი ეს ეპისკოპოსები არიან და იფვლებიან სხვა ყველა იმ ქვეყნის უკეთეს კათოლიკებად და უკლებლივ მიდიან ხოლმე იერუსალემს მოსალოცავად. გედეონ არქიეპისკოპოსია საკსეთისა (აკდისა), რომელიც გურიაშია. ის, როგორც კათოლიკე, განწესებულია ანტიოქელი პატრიარქისაგან. ხსენებული მაკარიოზ ანტიოქიის პატრიარქი დარჩა მორწმუნედ და ძრიელ კარგი კათოლიკეა“. (1).

ზემო ხსენებული სიმონ ეპისკოპოსი დიდის პატივით მიიღეს რომაში, საიდგანაც იმავე წელს გამობრუნდა. ის უნდა იყოს ბერძენი, (ნუ დავივიწყებთ, რომ იმ დროებში, როგორც საქართველოს, ისე გურია-სამეგრელოში ბლომად იყვნენ ბერძნის მღვდელ-მონაზონები), რადგან კაფუცინები მას ქიოელს (ქიოს კუძულიდგან) უწოდებენ. მისი გვარიც ყოფილა რადოპულო. რა გამობრუნდა რომიდგან, მივიდა ლივორნში, საიდგანაც უნდა წამოსულიყო აღმოსავლეთში. იქიდგან წამოსვლის წინად, რომაში კარდინალს მადლობის წიგნსა სწერს 28 დეკემბერს, 1667 წ., და ბოლოში ხელს ასე აწერს „ისკანის არქიეპისკოპოსი“. შეიძლება არქიეპისკოპოსობა იმას რომაში მიეღო, რადგან უწინ მარტო ეპისკოპოსად იყო წოდებული.

აქ ვასრულებთ გურიის კათოლიკების შესახებ ლაპარაკს. შეიძლება, ფიქრადაც არავის მოსვლოდა იქ ქართველი კათოლიკების ყოფნა. ჩვენც სრულებით არ გვეგონა, საქართველოს ამ პატარა პროვინციაში ეგოდენი კათოლიკები იქნებოდენ და მათზედ ესოდენი საბუთები შეგვხვდებოდა და დაკარგულა ხომ კიდე ბევრია.

ნაწილი მეორე.

კათოლიკობა სამეგრელოში.

ჩვენი მოლოდინის წინააღმდეგ დიდძალი საბუთები შევკრიბეთ სამეგრელოს კათოლიკებისა. ეს საბუთები ერთ კაი მოზდილს წიგნს შეადგენს, ყველა რომ გამოიცეს. რადგან აზრად გვაქვს კერძო წიგნი გამოვსცეთ ამ ქართველი კათოლიკების შესახებ, ამიტომ ყველა ნაპოვნ საბუთებს არ მოვიყვანთ, არამედ დავასახელებთ მათ, რაც უფრო შესანიშნავად მიგვაჩნია. ეგრეთვე, რაც შეიძლება, ცოტას მოვიყვანთ ტექსტებს, რათა მეტად არ გავაგრძელოთ ჩვენი წერილი. ხოლო წყაროებს კი ბლომად დავასახელებთ, რათა მკითხველმა ადვილად იპოვოს დედანი, თუ კი მოისურვებს.

სანამ მისიონერების ღვაწლის გამოკვლევას შევუდგებოდეთ, მოვიყვანთ პაპის წიგნს დადიანთან მოწერილს, რომელიც თეატინელებმა პირველშივე თან წამოიღეს თეიმურაზის წერილთან ერთად, შეინახეს იგი ვიდრე **1633** წლამდე და გარდასცეს დადიანს თავიანთი მოსვლისათანავე.

„პაპი ურბანო მერვე.

„ოდიშის ქართველ მთავარს.

„თქვენო კეთილშობილებავ, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი. მღვდლებს, რომლებსაც ვგზავნით საქართველოში, იმედი აქვსთ ჰპოვონ კავკასიის მთებზედ კარმელის მთის სიბრწყინვალე და რიონის ნაპირად იორდანის მდინარე, უკეთუ თქვენმა კეთილშობილებამ მფარველობა გაუწია და ანუგეშა. ყველა ნათესავთა სამშობლო რომაც, რომელსაც უძრიელნი მეფენი პატივს სცემენ და თავიანთ სარწმუნოებრივ ვალს უხდიან, როგორც საქრისტიანოს დედა-ქალაქს, გპირდება თავის მხრივაც ტიბრის პირად ვატიკანში პატივი სცეს თქვენ სახელს, უკეთუ ამ სამსახურით ანუგეშეთ ეკკლესია. აწ აზიის მთავარს ვერც ევროპა სთხოვს უკეთეს ნიშანს დიდსულოვნობისას, რომელიც უნდა გამოიჩინოს მღვდლების მიმართ, რომელთაც დაივიწყეს ყველა სიამოვნება, უკუ აგდეს შიში ყოვლის განსაცდელისა და არჩიეს თქვენი სამეფო თავიანთ საკუთარ სამშობლოსა. მანდ იმიტომ კი არ მოდიან, ქონება და სიმდიდრე შეიძინონ, არა, ღვთის მადლით, მათ ესეთი საცთურიანი გზა უარყვეს, რათა დაემორჩილონ ბრძანებას უფლისას, მოდიან მარტო იმისთვის, რომ ხალხს სულიერი ხსნა მიანიჭონ. ამ სულთა ცხონებაზეა დამყარებული რომის მღვდელმთავრის დიდებაც. არა თუ სარწმუნოება, არამედ თვით კაცობრივი გრძნობაც არ ექმნება, ვინც სიყვარულით

არ მიიღებს ამ მღვდლებს, რომელნიც მოდიან ეგრეთ შორეულ სამთავროში, რათა თქვენის ბედნიერებისათვის იშრომონ. ყველგან მიღებულია, რომ სიყვარულისა და სარწმუნოების ნიშნად კაცმა უკუ აგდოს თავისი საკუთარი ინტერესები და იზრუნოს მოყვასის სიკეთისათვის. იქიდგან შეგიძლიათ სცნოთ, თუ რა რიგ უყვარხართ რომის ეკკლესიას, რომ მანდ ამ სიშორიდგან მოდიან და თქვენი სახელგანთქმულობისაც არაფერი გაუგონიათ. ამათი მანდ მოსვლის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ ქართველთა ერს და მთავრებს მოუპოვონ წყალობა ღვთისა და შესძინონ საუკუნო სიმდიდრე. მგზავრობის სიძნელე, მტრების მახე, ზღვის ღელვა, თქვენის ცხონებისათვის ყოველივე თავის სარჯელად მიიღეს. ესრეთნი პირნი თხოულობენ თქვენი კეთილშობილებისაგან შეეწეობას და ქართველთა ერის დახმარებას. ამის თხოვნა ვინებეთ თქვენგან ამ მოციქულებრივის წერილით, რათა ჩვენი მღვდელთ-მთავრული სიყვარულის ნიშნად დარჩეს თქვენთან. რა მაგათ პატივით მიიღებთ და მოუსმენთ სახიერებით, მაშინვე თქვენი სახელი საქებურ შეიქმნების აქ, სადაც მთელი ქვეყანა მოდის. მასთანვე თქვენს მთავრობას გააბრწყინებს და გააბედნიერებს მოწყალე ღმერთი, რომელიც თქვენგან ასეთს საქმეს თხოულობს. თქვენთვის ამ მადლს ვსთხოვთ მას და ვნატრობთ, სული წმიდის ნათელმა განანათლოს თქვენი კეთილშობილება, რათა დაიმკვიდროთ ზეცას მის უდიდესი მეფობა, ვიდრე ამ ქვეყანაზედ გაქვსთ. რომით. 4 ივლისისა 1626 წ. ჩვენი მღვდელთ-მთავრობის მესამე წელსა". (1)

ეს წიგნი რამდენსამე წელიწადს თან შეინახეს პატრებმა და დადიანს გადასცეს მხოლოდ მაშინ, როდესაც დაიწყეს თავიანთი მისიონი სამეგრელოში.

როგორც წინა თავში მოვიხსენიეთ, სამეგრელოში თეატინელების მისიონის დაფუძნების მიზეზი გახდენ იქიდგანვე გამოგზავნილი ელჩები, რომლებსაც უნდა მოელაპარაკნეთ მარიამ დედოფლის დაქორწინებისათვის როსტომ ხანთან. ელჩებს შორის მოსული იყო უგრეთვე ნიკიფორე, ანუ ნიკოლოზ ერბახი, რომელმაც ძლიერ ურჩია მისიონერებს სამეგრელოში წასვლა. წინდაწინვე დაარწმუნა, რომ დადიანი კარგად მიგიღებსთ და მეც ჩემის მხრით დაგეხმარებით იმასთანო. ესრეთ გამხნევებული ორი მისიონერი, არქანჯელო ლამბერტი და იოსებ ჯუდიჩი, 23 ოქტომბერს 1633 წ., დაადგნენ სამეგრელოს გზას ელჩებთან ერთად, რომელთა შორის იყო ხსენებული ნიკოლოზ და ეგრეთვე თბილელიც, როსტომის ელჩად დადიანთან გაგზავნილი, რომელმაც გზაში პატრებს უზომო გულკეთილობა და შემწეობა აღმოუჩინა. რადგან ქუთაისის გზები შეკრული იყო თეიმურაზისაგან, ახალციხიდგან მოუარეს

(ახალციხე იმ დროს სპარსელების ხელში იყო თურმე), გადმოიარეს მთები და ჯერ მივიდენ გურიაში, სადაც დიდის პატივით მიიღო მისიონერები გურიის მთავარმა მალაქია კათალიკოსმა (ძმა იყო მამია გურიელისა). იმათ ყოველთვის სუფრაზე იწვევდა და თავის კერძიდგან წილს უდებდა. თავისი ეპისკოპოსებითურთ დაესწრო მათ წირვას, რომელიც გულმხურვალებით მოისმინა და ძრიელ აქო მათი წესი. აღარც კი უნდოდა მათი გურიიდგან გაშვება, გარნა დადიანს მოერიდა. ოთხი დღის უკან წავიდენ სამეგრელოსკენ და მივიდენ ილორში (Ilori) 19 ნოემბერს. იმ დროს იქ მისულიყო დადიანი მრავლის მხლებლებით და ეპისკოპოსებით წმ. გიორგის დღეობაზე. (1) დადიანმა ვერ მიიღო ისინი, რადგან მეორე დღესვე უნდა წასულიყო იქიდგან. გარნა რა შეიტყო მათი მოსვლა, თავისი კერძიდგან გაუგზავნა ვერცხლის ჭურჭლებით საჭმელი და აცნობა, რომ წასულიყვნენ მერკულაში (Mergullas), რახან იქ მიეღო. დღესასწაულის გათავებისას ნასადილევს დადიანი წავიდა ყველა თავისი მხლებლებითურთ, თან გაჰყვნენ მისიონერებიც ელჩებთან ერთად.

ვიდრე დადიანი იმათ ინახულებდა, ნიკიფორემ მოახსენა ყოველი მათი გარემოება. სხვათა შორის უთხრა: „ეს ევროპელი მონაზონები მოსულან აქ მარტო ხსნისთვის ღვთის სიტყვის საქადაგებლად და სარწმუნოების გასავრცელებლად; ყველანაირი სათნოებით შემკული არიან, იციან ხელოვნებაც, მეტადრე სულიერ საგნებში დიდათ გაწვრთნილნი არიან და არც ფულს და არც სხვა რამ დიდებას ეძებენ და სურსთ აქ დაბინავდენ, რათა ერი გასწვრთნან და განასწავლონ კეთილ ზნე-ჩვეულებასა და ღვთის სამსახურში. უეჭველად დიდს სიკეთეს მოუტანენ ერსა და თვით მთავრისთვისაც მათი აქ ყოფნა მეტად სასიქადულო იქნება“. (Г)

რა მივიდენ მერკულაში, ჯერ დადიანს მიართვეს შემდეგი საჩუქრები: ერთი ჯიბის საათი, ერთი ღვთის მშობლის ხატი ვერცხლით მოჭედილი, სამი სხვა და სხვა ლურბინდი, ერთი ბროლის კრიალოსანი და ერთი პატარა ყუთი დანა მაკრატლებით. ესე ყოველივე დიდათ სასიამოვნოდ დაურჩა დადიანს. შემდგომ ამისა წარუდგნენ მის წინაშე და მოახსენეს ესრეთ: „უდიდესო მეფევ, ჩვენ, რომლებსაც თქვენს წინაშე გვხედავთ, გლახაკურის ტანისამოსით მოსილთ, სიღარიბისაგან შეწუხებულთ და მგზავრობისაგან დიდათ დაქანცულთ, ევროპელი მონაზონები ვართ, იესო ქრისტეს სახარების მიმდევარნი. არა სხვის ქალდატანებით, არც ჩვენის სურვილის წინააღმდეგ, არამედ ნებით დავტოვებთ ქვეყნიური ამაოება, იტალიის მშვენიერი ქალაქი, მთელ ქვეყანაზედ განთქმული რომა არის ჩვენი ქვეყანა, საიდგანაც, ვიდრე სწეულესი საყდრიდგან, რომელ მღვდელთ მთავარი მოციქულთა მთავრის პეტრეს მოსაყდრე და

იესო ქრისტეს მონაცვლე ამ ქვეყანაზედ, ყოველ ტომს უწესებს ქრისტიანებრივის სარწმუნოების კანონსა. იგივე განაგებს მთელ ქვეყანაზედ მოფენილს ეკკლესიას და მასვე ემორჩილებიან სარწმუნოებრივის ქვეშევრდომობით მეფენი და მთავარნი. იმან გვირჩია და წარმოგვგზავნა თქვენდა სამსახურად ჩვენ, მოციქულებრივი მღვდლები. თქვენის დიდის სახელის და გულ-კეთილობის განთქმულობით გათამამებულთა ჩვენის ნებით ვიტვირთეთ ზღვისა და ხმელეთის გაჭირვება. სრულებით არ გვსურს შეძენა სიმდიდრისა, ოქრო-ვერცხლისა და ან სხვისა, რაც კი შეიძლება მიანიჭოს კაცს აქაურის ქვეყნის სიუხვემ, ანუ მცხოვრებთა გულკეთილობამ, რადგან ჩვენს ქვეყანაშივე დიდი ხანია უარვყავით ეს ყოველივე. დიდსულოვანო მთავარო, ჩვენი ერთად ერთი მიზანია, თუ თქვენ და თუ თქვენს ერს ვასწავლოთ კათოლიკე სარწმუნოების ჭეშმარიტება და მოვუპოვოთ საუკუნო ბედნიერება“. (2)

დადიანმა ძრიელ კარგად მიიღო იგინი და დაჰპირდა, რომ დიდის პატივით შეინახავდა თავის სამთავროში და აღმოუჩენდა ყველა ნაირს შემწეობას. რადგან იმ დროს ბერძნის მღვდლებიც იყვნენ იქ, ნიკიფორემ ურჩია, პაპის წერილი მერმე გადაეცით მთავარსო. იმათაც ისე ჰქმნეს. (1)

შემდგომ დედოფალსაც გაუგზავნეს საჩუქრად ერთი ვერცხლით შეჭედილი ხატი, ქარვის კრიალოსანი და პატარა კოლოფი. დედოფალმა დიდის სიამოვნებით მიიღო საჩუქრები და მიიწვია. დიდი პატივი სცა, ბევრი რამ გამოჰკითხა და მერე ერთი ცამეტი წლის ვაჟი აჩუქა და ისე გამოისტუმრა. მეფეცა და დედოფალიც თავიანთი სუფრიდგან უგზავნიდენ საჭმელს, რადგან დიდად მოხარული იყვნენ მათი მოსვლისა.

ნაჩუქარი ყმაწვილი მისიონერებმა კარგად გაწვრთნეს სარწმუნოებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, კოსტანტინეპოლიდგან მოვიდა მისი გამაჰმადიანებული ძმა, მათ გამოართვა და თან წაიყვანა. დედოფალმა ანუგეშა პატრები და მესამე დღეს მისცა სხვა უკეთესი ყმაწვილი, რომელიც კარგად გაწვრთნილი სარწმუნოებაში შემდგომ კათოლიკედაც გარდაიცვალა.

დადიანმა იგინი დროებითად დააბინავა ერთს თავის პალატში, რომელიც იყო კოზხეთის (Choz Cheti) ერთ მშვენიერ გორაზედ, რათა დაღალულობისაგან შეესვენათ. ეგრეთვე მისცა მათ გასაკურნებლად თავისი სამი წლის ასული, დაშლილ-დაცემული, რომელიც მალე გამოაბრუნეს და გულმოდგინედ უწამლეს. მართლადაც განჰკურნებდენ, დედას რომ მალე არ წაეყვანა ბავში. დადიანმა უბრძანა ამ ადგილის მცხოვ-

რებთ, რათა რიგრიგათ ეზრუნათ პატრებისათვის და მიეცათ მათთვის საჭმელი და ყოველივე, რაც კი დასჭირდებოდათ. (2)

დღითი დღე ემატებოდათ მეფისა და დედოფლის პატივი და სიყვარული მისიონერებსა. დადიანი ხშირად იწვევდა მათ თავისთან და თან მიჰყავდა სანადიროთაც, რათა შეექცია და გაერთო. ხშირადაც თავის სახლში აყენებდა. ამ გარემოებისაგან ისარგებლეს, ამოარჩიეს კაი შემთხვევა და დადიანს გარდასცეს პაპის წერილი. ამას ესე აგვიწერს ლამბერტი: „როდესაც ზუგდიდს მის პალატში ვიდექით და იგიც ძრიელ შინაურად გვეპყრობოდა, მივართვით პაპის წერილი. ძრიელ სასიამოვნოდ დაურჩა და დაგვპირდა, რომ იტალიაში კაცს გავგზავნი და წიგნსაც გავატან, რათა პაპს ჩემი პატივი მივუძღვნაო“. (3).

მისიონერები თუმცა კარგად იყვნენ დაბინავებული და არაფერი აკლდათ, მაგრამ სამუდამო არც ეკკლესია ჰქონდათ და არც სახლი. თავიანთი სადგომის გარეშემო შემოიარეს და ჰპოვეს ჭიპურიაში (Cippurias) ორი შვენიერი თლილი ქვით ნაშენი ეკკლესია, ამათგან ერთი ცარიელი იყო, რადგან მისი გამგებელი ეპისკოპოსი დადიანს თავის დისათვის სულიერ მოძღვრად გაეტანებინა საქართველოში. ის ეკკლესია თავისთვის სთხოვეს დადიანს იმ მხრის მოურავის (Governadore) პირით. დადიანი შეჰპირდა მიცემას. ერთ დღეს ცხენით მიდიოდა იმ ეკკლესიის ახლოს და თან ახლდა ეპისკოპოსები, მათთან ნიკიფორეც; დადიანმა ნიკიფორეს უთხრა: „კარგად იცოდე, რომ შენის ფრანგებისათვის ვიზრუნე და მოვუპოვე ეკკლესიაც, რადგან გადავსწყვიტე, მივსცე მათ ეს ეკკლესია თავისი ყმებით და მამულებით. ეს რა გაიგონა ალავერდელმა, თითქოს მთავარს ღმერთი ეგმოს, აღაპყრნა თვალნი ზეცას, დაიწყო გულში ცემა და წამოიძახა, ღმერთო შემიწყალე, ღმერთო შემიწყალე, ეს რა ამბავია, რა მესმის? ეს ეკკლესია გინდათ მისცეთ ლათინებს? ნუ თუ ეგენი მწვალებლები და ჩვენის სარწმუნოების მტრები არ არიან? მაგისთანებს განა ეკკლესია უნდა მისცეთ? მე მეგონა, რომ მათ გასდევნიდით სამთავროდგან და ამის მაგივრად კი გინდათ ჩვენი მღვდლების თანასწორ შერაცხოთ და ესრედ პატივი სცეთ?“ (1) ეს ალავერდელი, რომელმაც შემდგომ კათოლიკობა მიიღო, თავისი მაღალი სწავლით, მჭერ-მეტყველებით და წმიდა ცხოვრებით ძრიელ განთქმული იყო მთელს საქართველოში. ამიტომ მისმა ამნაირმა სიტყვებმა დიდი ზედგავლენა იქონია დადიანზედ, რომელმაც იმ ხელად აღარ მისცა პატრებს ეკკლესია.

რავდენისამე დღის შემდგომ დადიანმა ჰსთხოვა პატრებს, რათა ეწამლათ ერთის უპირველესი მთავრის ქალბატონისათვის. პატრებმა უარი უთხრეს და მოახსენეს: „რადგან ეგრედ ბოროტი ვყოფილ-

ვართ, როგორათაც დაგვსახა ალავერდელმა, გვიბოძეთ ნება, თქვენს სამთავროს გავშორდეთო. დადიანმა უთხრა: თავის დღეში არ ვიქ თქვენისთანა გულკეთილი კაცები გაშორდენ ჩემს სამთავროს; რათა კარგად ჰსცნოთ, რომ ალავერდელის სიტყვები დიდად არაფრად მიმაჩნია, ახლავე გაძლევთ ჭიპურიის ადგილს, მამულს და ყმებს, გარდა ეკლესიისა; მარტო იმიტომ, რომ სამღვდელოება არ აგვლაპარაკოს; ხოლო გპირდებით, აგიშენოთ იქვე ახალი სხვა ეკლესიაო“. (2).

ოქტომბერში 1634 წ., ჩაიბარეს ჭიპურიის მამულები პატრებმა, მაგრამ ეკლესიაზედ კი მუდამ თვალი ეჭირათ და მარჯვე დროს ეძებდენ, რომ ხელახლა გამოეთხოვნათ მთავრისაგან.

1635 წ. აპრილში, დადიანი თავისი ჯარით წავიდა იმერეთს საომრად. ერთ დღეს ცხენზე გადავარდა და დასნეულდა. მაშინვე პატრი ლამბერტი მოაყვანინა საწამლებლად და დაჰპირდა დიდ მატივსა და საჩუქრებს, თუ გაჰკურნებდა.

ეგრეთვე მისი მინისტრი პაატა წულუკიაც (Pata Zulochia) 300 სკუდის ჩუქებას დაჰპირდა, თუ თუ მეფეს გაჰკურნებდა. პატრმა უწამლა და რავდენისამე დღის შემდეგ დადიანი განიკურნა. პაატამ მოინდომა თავისისა და მეფის პირობის შესრულება, პატრი დაესაჩუქრებინა. ხოლო ლამბერტიმ უთხრა: თქვენი საუკეთესო საჩუქარი ის იქმნება, რომ ჭიპურიის წმიდა გიორგის ეკლესიას მოგვცემდეთო. პაატამ მოახსენა მეფეს, რომელიც სიამოვნებით დათანხმდა და მისცა მაშინვე ეკლესია, რავდენიმე ყმა და ეგრეთვე სხვა საჩუქრებიც. ამ ამბავს ლამბერტის გარდა, მისი ამხანაგი იოსებ ჯუდიჩიც რომას ასე სწერს: „ამ დღეებში მთავართან ვიყავი და თავისი პირით მითხრა: შენმა ამხანაგმა გამკურნა; თუ ამისთვის და თუ სხვა მიზეზების გამო, ხსენებული მინისტრები ჩაგაბარებენ ეკლესიის კლიტეებსო. ახლა ის ეკლესია გვაქვს, მოვაწყეთ და შიგ ვასრულებთ ყოველ ღვთის მსახურებას რომის ტიბიკონისამებრ, თუმცა კი ბერძნებმა არაფერი დაზოგეს და დიდად ეცადნენ, მთავარს ხელმეორედ წაერთმია ჩვენთვის ის ეკლესია“. (1)

ეკლესიის მიცემისათვის კონსტანტინეპოლის პატრიარქი ძრიელ გაურისხდა დადიანს და სამეგრელო ერთიან უნდა შეეჩვენებინა, თურმე; ხოლო დადიანმა ყურადღება არარავის მიაქცია.

რა დაბინავდენ მისიონერები ასე მშვენიერ და მზა მამულში, შეუდგნენ მეგრულის შესწავლას და მალეც შეისწავლეს. მაშინვე დაიწყეს ქადაგება და ხალხის მოვლა, რაოდნათაც კი შეეძლოთ. უნდა ვსთქვათ, რომ განუსაზღვრელი და გამოუთქმელია ყოველი ის სიკეთე, რაც ამათ მიაგეს ქართველთა ერს მეტადრე სამეგრელოში, რადგან ქრისტეს ბრძანებისამებრ, მათ დასდვეს სული თვისი მოყვასისათვის; ყველაფერი თავს

ოდეს, თვით სიკვდილსაც არ ერიდნენ, რათა შესწეოდნენ როგორმე თავიანთ შორეულ და უცნობ ძმებს, რომლებიც სხვა და სხვა უბედურებაში ჩაფლულნი იყვნენ. ამიტომ საქართველომ არასოდეს უნდა დაივიწყოს მათი სიკეთე და მუდამ ლოცვა-კურთხევით უნდა მოიხსენიოს მათი სახელი.

სამეგრელოში სამი დიდი სენი იყო მოდებული, რაიცა მთელს ერს სულიერად და ხორციელად ღუპავდა. ეს სამი სენი შემდეგი იყო: 1, ნათლიღების წესის ნაკლულევანება; 2, ყმების გაყიდვა მაჰმადიანებზედ; 3, ბავშვების ცოცხლად დამარხვა. ეს რომ ჩვენ სხვა მწერლების ნაწერებში ამოგვეკითხა, სრულებით არ დავიჯერებდით, არამედ ზღაპრად და ცილის წამებად ჩავსთვლიდით, რადგან ესრეთი ბარბაროსული ჩვეულება თვით უკანასკნელ ნადირ ხალხშიაც ძრიელ იშვიათია. ხოლო სამეგრელო კი ამნაირი ერის კატეგორიას არ ეკუთნოდა, ვინაიდგან იქ ძველი დროიდგანვე ქრისტეს სარწმუნოებასთან ერთად შეტანილი იყო განათლება და ყოველი უმთავრესი კაცობრივი პატიოსნება და გრძნობა. ხოლო ეს სისაძაგლე რა ამოვიკითხეთ და თვით ნაწერი კი ეკუთვნოდა იმნაირ კაცებს, რომლებიც განწირული იყვნენ ამ ერისათვის, რომლებიც ამ ერის ავსა და კარგს თვალით ხედავდნენ და ხელით ეხებოდენ და რომლებიც ყველა თავიანთ გაგონილს, ნანახს, ნათქვამს და ნაქმნარს დღითი-დღე სწერდენ ევროპაში და ყველა საშუალებას ხმარობდენ ამ უბედურების მოსასპობლად, არავითარი საბუთი გვაქვს, მათ არ დაუჯეროთ და ჭორად ჩამოვართვათ ნათქვამი. ამის გამო იძულებული ვხდებით, ესეთი მოთხრობა მივიღოთ ნამდვილ ისტორიულ ფაქტად. ხოლო ამასაც დავსძენთ, რომ ეს ბარბაროსული მოქმედება არ უნდა ყოფილიყო საზოგადო და არც დიდხანს უნდა გაეტანა; არამედ რომელსამე დროებითს და უბედურს გარემოებას უნდა მიეწეროს. არც იმას დავფარავთ, რომ ამ სამარცხვინო მოვლენაში, ბატონყმობასაც თავისი ნაწილადევი ზედ გავლენა ჰქონდა.

ბავშების ცოცხლად დამარხვას, სხვათა შორის, მოგვითხრობს პატრი ლამბერტი თავის „Colchide sacra"-ში და უჩვენებს ორ შემთხვევას ასეთის ულმობელობისას. ერთი იყო სიღარიბე, რადგან ვისაც რჩენის საშუალება არა ჰქონდა, თავის ქორფა ბავშს მოუნათლავს თვითვე ცოცხალს ბაღშივე მარხავდაო. მაგალითად ასახელებს თავის ახლო მეზობელსა, რომელსაც სამი თავისი ბავში ერთი მეორის შემდგომ ცოცხალი დაემარხა; მეორე გარემოება ეს ყოფილა: როდესაც ცოლი ფეხმძიმე დაქვრივებული ბავშის დაბადებამდე გათხოვდებოდა და მეორე ქმრის სახლში მოილოგინებდა, იმ ბავშს მამინაცვალი თავის შვილად არ სცნობდა, ამიტომ, თავიდგან მოსაშორებლად, მოუნათლავს ცოცხალს

მარხავდენ თავიანთ ეზოშივე. ეს ამბავი შეეტყოთ მისიონერებს ერთი თავიანთი მოსამსახურისაგან, რომლის ახლად დასახლებული მეთევზე ძმა ასე მოქცეულიყო. (1)

ეგრეთვე ერთ წერილში, რომელსაც არც თარიღი აქვს და არც დამწერის სახელი უჩანს, მაგრამ ვფიქრობთ უნდა იყოს პატრი იოსებ ჯუდიჩისა, საქმე ასეა მოთხრობილი: „თუ ბავში დაიბადა მახინჯი, მიწაში მარხვენ და ისე ბოლოს უღებენ; ამავე ნაირად ექცევიან იმ ბავშებს, რომლებიც დაიბადებიან ორშაბათ დღეს, რადგან იმ დღეს დაბადებულს ბავშს ოჯახის დამარღვეველად რაცხვენ; არც მესამე ქალიშვილს აცოცხლებენ. თუ დედა ახალგაზდა არის, პირველ შვილს მაშინვე ჰკვლენ, რადგან არ უნდათ თავი შეიწუხონ ასე ადრე ბავშების აღზრდით. ამავე ნაირად ექცევიან ზოგიერთ ბავშებსაც, როცა დარწმუნებულნი არიან, რომ მათ შემდეგში იმათი ბატონი ტყვედ დაჰყიდის“. (2)

რა სცნეს მისიონერებმა ესრეთი საზიზღარი ჩვეულება, მაშინვე შმართეს მეფეს, რათა აეკრძალა ესა და დამნაშავე მძიმედ დაესაჯა. ხოლო დადიანმა უთხრა, რომ მარტო აკრძალვით საქმეს არ ეშველებარაო, რადგან იტყვიან ბავში კვდარი დაიბადაო და ესრედ ყველა თავს გაიმართლებსო. ამ შემთხვევაში რა ვერ გაიმარჯვეს მისიონერებმა, თვითვე შეუდგნენ ამ დიდის სენისათვის როგორმე წამალი დაედოთ. აქეთიქით მეთვალყურენი დააყენეს, რათა მათთვის ეცნობებინათ, როცა ბავშები დაიბადებოდენ, იქნება, როგორმე სიკვდილისაგან გადაერჩინათ. ეგრევე, საცა კი შემთხვევა მიეცემოდათ, ხალხს დაუწყეს ლაპარაკი, რჩევა და მათ გულში სიბრალულის აღძვრა. მშობლებსაც დაჰპირდენ შემწეობას და მასთანვე ძიძის შოვნასაც, თუ თვითონ არ ინდომებდენ თავიანთი შვილების აღზრდას. ამ საშუალებით ასე თუ ისე გავლენა იქონიეს მშობლებზედ; ზოგი ბავშის მონათვლა მოასწრეს და ბევრიც სიკვდილს გადაარჩინეს. თუმცა კი ეს უწყალო ჩვეულება პირველში ერთიანად ვერ მოსპეს, მაგრამ კარგად შეასუსტეს და ესრედ უმანკო მსხვერპლების რიცხვიც შესანიშნავად შეამცირეს. არა სცხრებოდენ და მუდამ ებრძოდენ ამ სენს, რომ ერთიანად აღმოეფხვრათ.

მეორე დიდი უბედურება, საქართველოს გამაოხრებელი დიდი წყლული იყო ყმების და ბავშების გაყიდვა ურწმუნოებზე. ეს სენი ხომ ერთიან მთელს საქართველოში იყო გავრცელებული; მაგრამ სამეგრელოში უფრო მძვინვარებდა, რადგან იქ ზღვა ძრიელ ხელს უწყობდა ამ უსინიდისო ვაჭრობას. პატრი იოსებ ჯუდიჩი თავის სამეგრელოს აღწერაში, რომელიც გაგზავნა რომას 20 სექტემბერს 1640 წ., ამ თავიდგან იწყებს თავის აღწერას და ესრედ ეუბნება: „ამ თვეში ძლიან სა-

მეგრელოდგან კონსტანტინეპოლში თათრების გემები, დატვირთული იმ ქვეყნის საქონლით და განსაკუთრებით ურიცხვი ქრისტიანი ყმაწვილებით, რომლებიც თათრებს (სულთანს) მიჰყიდეს მეგრელებმა და ქართველებმა და რომლებსაც ჩვენ მწარედ მივსტიროდით... ღმერთმა უწყის, თუ რაოდენ ვეცადეთ და ვეხვეწეთ, გავეხსნა ეს ყმაწვილები, რათა არც შიშისა და არც რამე დაპირებისა გამო არ დაეტოვებინათ ქრისტეს სარწმუნოება, რომელშიაც შობილ იყვნენ". (1).

მთავრები და ბატონები ამით არა მარტო განსაკუთრებდნენ თავიანთი ყმების ქონებას, არამედ მათი სიკვდილ-სიცოცხლის უფლებასაც. ჩვეულობდნენ, უწყალობით განძვინებულნი და სიხარბით დაბრმავებულნი არ ზოგავდნენ არც ბავშებს, არც დედაკაცებს და არც თვით მამაკაცებს, ოღონდ მათთვის რაიმე ბრალი დაედოთ; შეუბრალებლად და დაუზოგავად ჰყიდდნენ ურწმუნოებზე და ამნაირად მამულს, ნათესაობას, თავისუფლებას და თვით სარწმუნოებასაც სამუდამოდ სწირავდნენ. ერთი სიტყვით, ყმებს, როგორც პირუტყვებს, ისე ეპყრობოდნენ. ეს ულმერთოები მარტო ერის კაცებს გაყიდვას არ სჯერდებოდნენ, არამედ თავიანთ უწმიდურს ხელს თვით იესო ქრისტეს მსახურებსაც ხებდნენ, თვით მღვდლებსაც კი ჰყიდდნენ!!! ასეთის საზარელის მოქმედების ერთს საოცარს და ყურით მოუსმენელ მაგალითს მოგვითხრობს თვალით მხილველი ლამბერტი თავის „სამეგრელოს აღწერაში" ესრედ: „ოდიშის ერთს მთავრისს თავადს ჭილაძეს (Cilazze) ათი, თუ თორმეტი კაცი დასჭირდა, რათა მით გადაეხადა ფასი ზოგიერთი საქონლის, ანუ ნივთისა, რომლის ყიდვაც უნდოდა. ეს რა გაიგეს მისმა ყმებმა აქეთ-იქეთ გაქცევით თავს უშველეს და დაიმალნენ, ხოლო ჭილაძემ მათ ხელში გასატარებლად ეს ხერხი იხმარა: გამოაცხადა, ამა და ამ დღესასწაულში ერთს ჩემს ეკკლესიაში დიდის დიდებით წირვას შევასრულებინებ მღვდლებს და ვინც კი დაესწრება, კარგად დავასაჩუქრებ და შვენიერ სადილსაც გაუმართავო. ამ ცრუ დაპირებამ შეაცდინა და დანიშნულ დღეს მოვიდა თორმეტი მღვდელი და შეასრულეს დიდებით წირვა, რომელსაც დიდის საკრებით დაესწრო ჭილაძე. წირვის შემდგომ ნაცვლად დასაჩუქრებისა და სადილის მირთმევისა, ბატონმა ჭილაძემ მაშინვე ეკკლესიის კარები დააკეტვინა, მღვდლებისათვის ბორკილები შეაყრევინა, მათთვის წვერები დააპარსვინა და თორმეტივე მისცა თათრებსა, რომლებისგანაც მიიღო ათასი ეკიუდისაზე მეტი საქონელი!" (1).

ამნაირ ულმრთოებას მარტო თავადები და ბატონები კი არ სჩადიოდნენ, არამედ თვით საეკკლესიო პირებიც ასე მოქმედებდნენ, რადგან ყველა საეპისკოპოსოს ბლომად ჰყავდა თავისი საკუთარი ყმები. ამნაირ სა-

12

სირცხო მაგალითს იგივე ლამბერტი მოგვითხრობს, ხოლო აქ მოყვანა მისი ჩვენ გვეძნელება. (2).

ესრეთი ულმრთოება უფრო საზარელი ხდება მაშინ, როდესაც მას ადგილი აქვს ახლო ნათესავთა შორის. საუბედუროდ, არა ერთხელ მომხდარა, ნათესავს ნათესავი გაეყიდოს, მამას შვილი, შვილს მშობლები. ასეთ საზიზღარ შემთხვევას მოგვითხრობს იგივე ლამბერტი. 1633 წ. ქართლში შემოსულ სპარსეთის ჯარში ერთ აზნაურს სპარსელის ცხენი მოსწონებია, ფული არა ჰქონია და ფასად თავისი დედა მიუცია სპარსელის მაჰმადიანისათვის და გამოურთმევია ცხენი!!! (3).

ამისთანა სატირელ მდგომარეობაში იყო ქართველთა ერი, რომელსაც არც ბატონი და არც ნათესავი ინდობდა. სწორედ ამ დროს მოვიდნენ ის მისიონერები, ეს პატრები, მოყვასის სიყვარულით გამსჭვალულნი, მხნედ და თავგამოდებით წინაღუდგნენ ასეთ ბარბაროსობას; დაურიდებლად ჰყვედრეს დიდს და პატარას ესეთი უწყალობა. რა სცნეს, ასეთი უჯერო მოქმედების ერთი უმთავრესი მიზეზი იყო ერის უმეცრება საღვთო საგნებში და თავისის მსგავსის დაუფასებლობა, დაუწყეს წვრთნა და ქადაგება ერსა: „ღმერთმა კაცი გააჩინა თავისუფალი, მისი ნების წინააღმდეგ როგორ ჰბედავთ მის ტყვედ გაყიდვას? დასაწყისშივე ქვეყანა ბუნების წესით რომ იმართებოდა, ყველანი თანასწორნი იყვნენ და არავის ემართლებოდა თავისი მსგავსი დაეჩაგრა. აბრაამისა, ისაკისა, იაკობისა და სხვა მამათავრების დროს, რომელთაც მარტო ბუნებითი რჯული ჰქონდათ, ყველა თავისუფლად სცხოვრებდა, თავის ადგილებში ყველა თავისუფლად აძოვებდა ცხვარს, არავინ ეხებოდა სხვის სიცოცხლეს; ესეთი მტარვალური საქმე არავის ჩაუდენია. მოსეს რჯულის დროს არც ურიებს უქმნიათ თქვენისთანა ველურობა, ასეთი საქმე ღვთისგან მკაცრად აკრძალული იყო, ყველა წყნარად სცხოვრებდა თავის ვენახში. რადგან აქაბმა თავის ქვეშევრდომს ნაბოთს ძალით წაართვა ვენახი და მას მოუსპო ცხოვრება, ღმერთი ისე განურისხდა, რომ სამეფო ერთიან ჩამოართვა. თქვენ მეფენო და მთავარნო, ეს ღვთის რისხვა თქვენც მოგელისთ, მაგრამ იცოდეთ კარგათ, თქვენზედ უფრო ფიცხელი იქნება ეს რისხვა; რადგან ჰყიდით ურწმუნოებზედ იმას, რომელიც იესო ქრისტემ დაიხსნა თავისი სისხლით და მათ მიერ სარწმუნოების დატოვების მიზეზი ხდებით. როგორ გადურჩებით მის სასჯელს, რომ მისი სისხლით გამოსყიდულ ეგოდენ სულთ ჰყიდით? ამ ჯვარცმამ, რომელსაც ხედავთ, დაიხსნა ეგენი ეშმაკის ტყვეობისაგან და ყველას მოუპოვა თავისუფლება. ამიტომ მასვე ჰნებავს, მისი მფარველობის ქვეშ თვითეულმა ისარგებლოს ამ თავისუფლებისაგან, რა გგონიათ, ეკკლესია ვნების დღეებში,

რად აღებს საპყრობილეს და ათავისუფლებს დატყვევებულთა? იმად, რომ გიჩვენოსთ, რათა, რაკი მის მორწმუნებს ებოძათ თავისუფლება, აღარავინ გაჰყიდოს იგინი ურწმუნოებზედ. ამას ეკლესია თქვენ გიშლისთ, იესო ქრისტეს სჯული თქვენ გიკრძალავსთ, ყველა წმიდა მამანი და კრებანი თქვენ წინააღმდეგ ღაღადებენ, ყველა თქვენ ვალდებულ გყოფსთ, რომ არა მარტო უნდა აღმოფხვრათ თქვენს სამთავროში ეს ბარბაროსული ჩვეულება, არამედ კვალად ეცადოთ და დაიხსნათ ეგოდენი თქვენ მიერ თათრებზედ გაყიდული ქრისტიანები.“ და ამის მსგავს სხვას კიდე ბევრს ეუბნებოდენ (1). ყოველთვის, ყველგან და ყველას ამას ჩასძახოდენ. როდესაც მთავრები ავადმყოფობის დროს პატრებს იბარებდენ საწამლებლად, პატრები მათ არ ზოგავდენ, აყვედრიდენ, უჩვენებდენ, რომ სნეულებას ღმერთი მოუვლინებდა ყმების გაყიდვისგამო. იმათი ქადაგება არ დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, მალე სანატრელი ნაყოფი მოუტანა ერს. დადიანს ისე ჩააგონეს, რომ მალე ბრძანება გამოსცა და ყველას აუკრძალა ყმების გაყიდვა თათრებზედ. ამ ამბავს 1640 წ. რომას სიხარულით სწერს პატრი იოსებ ჯუდიჩი თავის სამეგრელოს აღწერაში: „დიდი პატივის ნიშანია ჩვენთვის (რადგან ჩვენ უზომოდ გვანუგეშა) მეფის მიერ ჩვენდა სასიკეთოდ გამოცემა ბრძანებისა, რომელშიაც ამბობს, ამას იქით თათრებს ტყვედ აღარავინ უნდა მიჰყიდოს თავიანთი ქვეშევრდომებიო“, (1)

როგორც დადიანზედ, ისე სხვა თავადებზედაც დიდი გავლენა იქონია მისიონერების ქადაგებამ. ისინიც დაფიქრდენ და თავიანთი უსამართლობა და ყმების გაყიდვა მოიშალეს. მისიონერები დიდის სიხარულით ჰსწერენ რომას ამ ქადაგების ნაყოფისთვის. სხვათაშორის იგივე პატრი იოსებ ერთ თავის სხვა წერილში ესე აგვიწერს გარემოებას: „ჩვენმა ქადაგებამ ნაყოფი გამოიღო ბევრ დიდ თავად-აზნაურთა სახლებში, რადგან ვინც არა ჰყიდდა ყმებს, უფრო გამტკიცდა და გადასწყვიტა, არასოდეს გაჰყიდოს, რაგინდ ბევრი ფული დასჭირდესთ; ხოლო ვინც ბევრს ჰყიდდა, ზოგმა სულ დასთმო, ზოგმა ცოტა, ზოგმაც დააპირა გაყიდვისათვის თავი დაენებებინა. ასეთი პირების რიცხვში ღირსია დავასახელოთ ამ პროვინციის ზოგიერთი შესანიშნავი მთავართაგანი, რომლებიც ჩვენი დიდი კეთილისმყოფელები არიან, მაგალითად როსტომ ჩხოტუა (Rostuon Scotua), რომლის დედას შირიმი სჭირდა და ბევრ გზის გავკურნეთ; სქირია მიქეია (Scheria Micheia) ავის სენით შვიდი წლის ავადმყოფი, რომელიც ქინა-ქინით გავკურნეთ ოცდა ათ დღეში; მისი ძმა კაკა (Caca), რომელიც გავკურნეთ სხვა და სხვა სნეულებისაგან. ამან არა მარტო გადასწყვიტა, აღარ გაჰყიდოს თავისი ყმები, არამედ აღსარებაც სთქვას და შეინანოს, რომ აქამდე ყმებს

ჰყიდდა; ქორთუაძე (Cortuaze), ნათესავი მიცვალებული დედოფლისა, რომელიც ბევრ გზის ავად იყო, ისე რომ მისი მორჩენის იმედი აღარავისა ჰქონდა და ჩვენგან განიკურნა. უწინ ჩვეულებად ჰქონდა მრავალი ყმაწვილების გაყიდვა, წრეულს კი ეცადა დაეხსნა ზოგიერთი გაყიდულები თავის ცოდვების მისატევებლად. ჩვენი ცხოვრება ძლიერ შეუყვარდა". (2).

ადვილად მისახვედრია, მისიონერების ასეთი კაცთმოყვარეობით მოქმედება რაოდნად სასიხარულო უნდა ყოფილიყო იმ საბრალო, უმწეო და დაჩაგრულის ერისათვის, რომელიც ხდებოდა მსხვერპლად ამ დიდი უსამართლობისა! ეს ამბავი მალე ყველგან მოეფინა და ყველანი აღავსო ნუგეშით და სიხარულით: ერმა დაუწყო მათ ლოცვა-კურთხევა, იმ ზომამდე, რომ მათ ღვთის კაცები უწოდეს (Goruntis cocci; ღორონთის კოჩი). ეგრეთვე მათი სახლი შეიქმნა თავის სახსნელი და თავშესაფარი. ამ გარემოებას ხსენებულ წერილში იგივე პატრი იოსებ მოკლედ ასე აგვიწერს: „ჩვენი ქადაგება წინააღმდეგ ამ უსამართლობისა ეგრედ კარგად მიღებული შეიქმნა მთელს სამეგრელოში, რომ წრეულ ერთი შემთხვევაც არ ყოფილა თათართან ყმაწვილების გაგზავნისა, ჩვენი სახლი შეიქმნა თავშესაფარი გამოქცეული ყმაწვილებისათვის, რომლებიც გამოგვიგზავნეს თვით მათმა მშობლებმა, იგინი დაგვეცვა ჩვენის მფარველობით, რაკი იციან, თუ რაოდენი პატივისცემა გვაქვს მეფისა და სხვა აქაურ მთავრების წინაშე. ამიტომ იძულებული ვართ ყველანი მივიღოთ, დავიცვათ და რავდენსამე დღეს ვასვათ-ვაჭამოთ" (1). თავიანთი ქადაგებით მისიონერებმა თითქმის მთლად შეაყენეს ყმაწვილების თათრებზედ გაყიდვა, თუმცა კი ზოგიერთი არ იშლიდა გაყიდვას, მაგრამ არა თათრებზედ, არამედ ქრისტიანებზედ და სომხებზედ ჰყიდდენ.

დადიანისა და მისიონერების მოწმობით, ყმების გაყიდვა ძველი დროიდგანვე ჩვეულებად ყოფილა. ხოლო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დიდად გასაკიცხი ჩვეულება არ უნდა ყოფილიყო საქართველოში უწინარეს მეთექვსმეტე საუკუნისა, რადგან ევროპის ძველი მწერალი არც ერთი იხსენიებს ამ გარემოებას. ეს ერის შემმუსვრელი სენი მაშინ გავრცელდა, როდესაც ოსმალებმა თავიანთი წყეული ფეხი შემოდგეს საქართველოში, თუმცა სპარსეთში ჰგზავნიდენ გაყიდულ ყმებს, მაგრამ იმდენს არა, რაოდენიც ოსმალეთში მიჰყავდათ. საბრალო ტყვეთა რიცხვი ყოველ წლივ ოთხი ათასზედ მეტი იყო, რომელიც მთელს საქართველოდგან გაჰყავდათ. ხოლო მისიონერები, ეგრეთვე მგზავრებიც მოწმობენ, რომ მარტო სამეგრელოდგან ყოველ წლივ ორი ათასზედ მეტი სული გაჰყავდათო. ეგოდენი ქრისტიანები გარდა იმისა, რომ

მამულს აკლდებოდენ, სარწმუნოებასაც ერთიანად ჰკარგავდენ. ამ სამწუხარო მოვლენის მოწმე ლამბერტი თავის „სამეგრელოს აღწერაში“ ასე მოგვითხრობს: „რაის გამო დიდად სამწუხარო სანახავია, რომ ასობით ქრისტიანი ყმაწვილები ქრისტიან პატრონებს მიჰყავთ და ჰყიდიან თათრებზედ, რომლებიც ყიდულობენ თუ არა, მაშინვე თათრულად აცმევენ, თავიანთი ცრუ რჯულის აღსარების ნიშნად თითს ააშვერინებენ და ამითი ქრისტეს სარწმუნოების უარს ათქმევინებენ; ეგრეთვე აწყებინებენ თავიანთი თათრულის რჯულის და ჩვეულების სწავლას. ამას ყველას ჰყოფენ თვით ქრისტიანების წინ და ქრისტიანების ქვეყანაში უწინარეს კონსტანტინეპოლში წასვლისა. როგორც ყმაწვილებს, ისე ეპყრობიან დედაკაცებს, რომლების ყიდვისათვის თათრები ფასს არ ზოგვენ, რადგან (როგორიც არიან მომეტებულად მეგრელის დედაკაცები) დიდის სიმშვენიერით შემკულნი არიან: რისგამო თათრები ფითოში ზოგჯერ სამას, ანუ ოთხასს ძექინს აძლევენ“. (1)

ქართველი ერის ამ სულიერსა და ხორციელს უბედურებას მისიონერებმა ბევრად უშველეს; თუმცა სულ ვერ მოსპეს ჩვენი დიდათ მავნებელი სენი, მაგრამ ძრიელ კი შეასუსტეს; არაფერი დაზოგეს იმის აღმოსაფხვრელად. ვალდებული ვართ, ესეთი დიდი და საქვეყნო სიკეთე, მათ მიერ ჩვენის ერის საკეთილდღეოდ გაწეული, არ დავივიწყოთ და მათი უზომო კაცთმოყვარეობა ღირსეულად დავაფასოთ.

სამეგრელოს მესამე უდიდესი წყლული იყო ნათლიღების წესის დაუცველობა პირვანდელის სისრულით. ეს უფრო დიდათ მავნებელი იყო ერისათვის, რადგან ამ ნაკლს არავინ გრძნობდა, ამიტომ არავის მოსდიოდა ფიქრად მისი შველა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მღვდელი თვით არ ნათლავდა ბავშს და არც ტიბიკონის წიგნში ეწერა ის სიტყვები, რომლითაც სრულდებოდა ნათლიღების საიდუმლო.

სამეგრელოში ნათლიღების საიდუმლოს ასე ასრულებდენ თურმე: სამის, ანუ ოთხის წლის ბავშს (არა უჩვილესს) წაიყვანდენ სარდაფში, სადაც მღვდელი ერთ ჭურჭელში წყალს აკურთხებდა, შემდგომ წაიკითხავდა ყველა იმ ლოცვებს, რაც წიგნში სწერია ნათლიღებისათვის. რა გაათავებდა, წავიდოდა. მეტს არაფერს შვრებოდა. მერე ნათლია ბავშს სცხებდა მირონს, ხოლო იქ დამსწრენი მღვდლისაგან ნაკურთხს წყალში აბანებდენ ბავშს, თვინიერ რაიმე სიტყვის წარმოთქმისა. ამნაირად ასრულებდენ ნათლიღებას. სამწუხაროდ, არც მათ წიგნებში წერებულა ის საჭირო სიტყვები, ურომლისოდაც არ შეიძლება ნათლიღება შესრულდეს. ამ გარემოებას პატრი იოსებ ჯუდიჩი რომაში 1640 წ. მოწერილ წერილში ესრე მოგვითხრობს: „წრეულ ინება ღმერთმა და ხელში ჩაგვივარდა ტიბიკონის წიგნები, რომლებსაც ისინი უმეცრებით

ნათლიღების დროს კითხულობენ; ცხადად ვნახეთ, რომ მათში არამც თუ ჰსწერია ამ საიდუმლოს შესასრულებლად საჭირო სიტყვები, არამედ ამისა სრულებით არაფერი ჰსცოდნიათ მღვდლებსა. როცა ამ საიდუმლოს სიტყვები მათის ენით დაწერილი მივეცით წასაკითხად, მათ გვითხრეს, რომ ეს სიტყვები არც გაგვიგონია და არც როდესმე წარმოგვითქვამს ნათლიღების დროსო. ზოგიერთმა ეპისკოპოსებმაც, რომლებიც სხვებზედ უფრო მეცნიერნი არიან და იციან ბერძნული ენა, გვაუწყეს ამ პროვინციაში შესრულებულის ნათლიღების უკანონობა იმ სიტყვების უქონლობის გამო. ამიტომ წრეულ გადავსწყვიტეთ, რათა საიდუმლოდ მოვნათლოთ ყველა ბავშები, დაწყებული შვიდის წლიდგან, რომლებიც წინეთ მეგრელებს მოუნათლავსთ". (1) ამგვარი ნათლიღებისა ბევრი ელაპარაკეს დადიანს, რომელმაც აღირჩია სამი ბერძნულში განსწავლული მღვდელი და მიანდო მათ, რათა გადაეთვალიერებინათ სამეგრელოს მღვდლების წიგნები და, რაც კარგი არ იქნებოდა, გამოერთმიათ. რა გადასინჯეს ძველი ხელით ნაწერი წიგნები, ყველა ნაკლულოვანი გამოდგა, ამიტომ თითქმის ყველას გამოართვეს და თან აუკრძალეს ნათლიღების შესრულება. მისიონერებმა ეპისკოპოსებს გადასცეს ბერძნულიდგან ნათარგმნი ქართულად ნათლიღების შესასრულებელი სიტყვები და იმათაც მთელს სამეგრელოში განაცხადეს ესა. ამნაირად უშველეს ამ დიდ ღანაკლისსაც.

გარნა ეს არ კმაროდა, საჭირო იყო იმათთვისაც ეშველნათ, ვინც ამნაირათ იყვნენ მონათლულნი. ამიტომ დაიწყეს ამის ქადაგებაც, ყველას კარგად ჩააგონეს, რომ სულის საცხონებლად, მიუცილებლად საჭირო იყო მიეღოთ ჯეროვანი ნათლიღება ხელმეორედ. მათი წინანდელი მტერი ეპისკოპოსი ალავერდელიც თანახმა იყო ამისა. თუ ამისა და თუ სხვა გარემოების გამო ალავერდელი პატრებს დაუმეგობრდა და მხარი დაუჭირა ერის ხელმეორედ კანონიერად მონათვლაში. საქმეში ბავშების დანათვლის გარდა მისიონერებმა, რა წააქეზეს ხალხი, დაიწყეს მონათვლა არა მარტო მდაბიო ხალხისა, არამედ მთავრებისა, მღვდლებისა, ეპისკოპოსებისა და თვით დადიანის მონათვლაც, თუ მხოლოდ, კანონიერად არ იყვნენ მონათლულნი. ამას ფეათინელი წილო ესრედ აგვიწერს: „მოწინავე პირებთან არაფერი დაზოგეს, რათა კარგად დაერწმუნებინათ, რომ მათ მიერ მიღებული ნათლიღება, ნამდვილი ნათლიღება არ იყო; მათმა ქადაგებამ გასჭრა; რადგან ბევრმა უსმინა რჩევა და კიდეც მოინათლინენ და მით განიწმინდენ ადამის ცოდვისაგან. ამ მონათლულთა შორის ზოგიერთი ეპისკოპოსებიც იყვნენ და ბევრი წარჩინებულთაგანიც; ეგრეთვე იყო მთავარი მოურავი, რომელსაც ვეზირს უწოდებენ. ამისვე მაგალითს მიჰბაძა თითქმის მთელმა მასმა სა-

ლობამი ურა ნაკლებ გულმოდგინებს გამოიჩინა თვით მთავარმა და-
დიანმა, თვითონ რა განსპეტაკდა ზეციერის ემბაზისაგან, თავისი მა-
გალითით ბევრი იძულებულ ჰყო მიეღოთ ნათლისღება". (1)

იმ დროებში დადიანის სანახავად სამეგრელოში მოსულიყო ბერძ-
ნის ეპისკოპოსი კირილე, ტრაპიზონის მიტროპოლიტი, რომელიც პა-
ტრებმა თავიანთი სჯობით და ქადაგებით გადაიყვანეს კათოლიკობაზედ.
როდესაც ისინი მღვდლებს მონათლავდენ, მაშინ ის მიტროპოლიტიც
ხელახლავ აკურთხებდა ამ მღვდლებს. ამავე ნაირად იქცეოდა ხლავერ-
დელიც. ესრედ რაც შეეძლოთ თუ დიდს და თუ პატარას, ხელმეორედ
ნათლავდენ. ამ საშუალებით ერი საუკუნო დაღუპვისაგან იხსნეს. რა-
დგან ეს ამბავი მეტად ყურადსაღებია, ცოტა ვრცლად მოვიყვანთ აქ
პატრი იოსებ ჯუდიჩის სიტყვებს, ვინაიდგან თვით იგივე იყო ერთი
მომქმედი პირთაგანი. „ღმერთმა ეგოდნათ ძალა მისცა ჩვენს სიტყვებს,
რომ ბევრი კაცი და ბევრი მღვდელი მოინათლა; უფრო შესანიშნავი
ის არის, რომ ორი ეპისკოპოსი ჯეროვნად მოინათლნენ და ხელახლავ
ეკურთხნენ მღვდელ-ეპისკოპოსად. ეგრეთვე ამ პირველ დროებში მთავ-
რის ვეზირმა, რომელსაც ჰქვია პაპუა წულუკია (Papua Zulachia), და-
დიანის შემდგომ მეორე პირმა, ჩვენი ჩაგონებით ზედამიწევნით მონათ-
ლულიყო. რადგან ეჭვი ჰქონდა, რომ კიდევ უქმად არ მოენათლათ,
ერთი ჩვენთაგანი იხმო, რათა დასწრებოდა და ენახა, ყოველისფერს კარგად
ასრულებდენ, თუ არა... ვქადაგეთ და კიდეც შევაძლიეთ ზოგიერთნი
წევრნი მისის სახლობისა მონათლულიყვნენ... ამ ბოლოს დროს რა ვე-
ლაპარაკეთ მთავარ კათალიკოსს (მალაქია) ნათლისღების უქმობაზედ, ჩვენ-
და სასიხარულოდ, დაგვყვა და კიდეც მოინათლა და ხელმეორედ
ეკურთხა. ამასაც დავუმატებ: ამ საქმემ იქამდის მიგვიყვანა, რომ ერთი
უპირველესი მთავარი და გამოჩენილი სამეგრელოს მწიგნობარი დავიყო-
ლიეთ, რათა მოენათვლინებინა თავის ქვეშევრდომთათვის ბავშები და
შეესწავლებინა ყველა თავის ქვეშევრდომ მღვდელთათვის ნათლისღების
შესასრულებელი წესები და სიტყვები, როგორც საიდუმლოების
კანონიერი შესრულება მოითხოვდა". (1)

მისიონერებს თავიანთ წერილებში ბევრი მაგალითი მოჰყავთ ზოგი-
ერთი პირების მონათვლისა, რომ პირველად თურმე არ თანხმდებოდენ;
ყველაფერს მოყვანას არ გამოვყვებით. მხოლოდ მოვიხსენიებთ, რომ მარტო
ზემოდ ხსენებულმა პატრმა ქრისტეფორე კასტელიმ ათიათას კაცზედ
მეტი მონათლა. ამას მოწმობს, სხვათა შორის, მისი ცხოვრების დამწე-
რიც. (2) რადგან მშობლების წინააღმდეგობას შიში ჰქონდათ, მაშინ მი-
სიონერები ექიმობას მიიმიზეზებდენ და ბავშებს საიდუმლოდ ნათლავ-
დენ. ასე რომ ნათლისღების ნაკურთხ წყალს ბავშებს წამალს უწო-

დებდა ხალხი; რადგან ბევრ გზის მომხდარა, რომ ბავშები ნათლისღებით ზოგიერთის სნეულებისაგანაც განკურნებულან; ხოლო როდესაც რაიმე წინააღმდეგობის შიში არ იყო, მაშინ მათ ცხადად ნათლავდნენ ეკლესიაში დიდის გამოჩენებით.

მეგრელები არა ნაკლებ ცდებოდნენ აღსარების საიდუმლოში. თუმცა ეს საიდუმლო ერთიან მოსპობილი არ იყო, მაგრამ ძრიელ ნაკლებად სრულდებოდა. როგორც ნათლისღებისა, ისე არც ამ საიდუმლოს შესრულების წესი იცოდნენ სავსებით მღვდლებმა. როგორც ხსენებული პატრი ჯუდიჩი მოგვითხრობს, ამის წესიც დაუწერიეს ქართულად ესრეთ: მიგეტევნენ ცოდვანი შენნი სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა ამინ. (3) ეგრეთვე ერშიაც გავრცელებული იყო ეს შეცთომილება, რომ აღსარების ადგილს დაიჭერდა რომელიმე კეთილი საქმე. ამიტომ მარტო დაქორწინებისა და სიკვდილის დროს ამბობდნენ აღსარებას ზოგიერთნი, ხოლო ზოგნიც სიკვდილის დროს მარტო წმიდა ზიარებას იღებდნენ თვინიერ აღსარებისა. ამიტომ ბევრს ეცადნენ მისიონერები და ჩააგონეს თუ მღვდლებს და თუ ერს საიდუმლოს უმთავრესი საჭიროება, ასე რომ მალე დააწყებინეს ბევრს ხშირად აღსარების თქმა. ხოლო, იმათ, ვინც გაკათოლიკებულნი და მათი ხელმძღვანელობის ქვეშ იყვნენ, დაიწყეს აღსარების თქმა თხუთხმეტ დღეში ერთხელ და ეგრეთვე ყოველ დიდ დღესასწაულში. (1)

როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ეპისკოპოსი ალავერდელი, კათალიკოსის შემდეგ პირველი პირი იყო, რომელიც წინეთ თუ ქართლში, თუ გურიაში და თუ სამეგრელოში, დიდად ემტერებოდა მისიონერებს, რადგან მთაწმინდაში ბერძნებისგან ჩანერგილი ჰქონდა ლათინების მიმართ სიძულილი. იგი ჯერ გურიაში დაიძლია პატრი ანტონ ჯარდინას ბჭობით სული წმიდის გამომავლობისათვის. ერთ დღეს თურმე გზა დაეკარგა ტყეში და თავისი მხლებლებითურთ დაღამებულზედ მიაწყდა მისიონერების სახლს ქიპურიაში, სადაც დიდის პატივით მიიღეს მისიონერებმა და მოეპყრნენ გამოუთქმელის სიყვარულით. ალავერდელმა რა ნახა მათი ზომიერი, მწირი და კეთილი ცხოვრება, ძრიელ მოეწონა და იმ დღიდგან ძრიელ შეიყვარა პატრები, ასე რომ იგინი ხშირად თავის სუფრაზედ ჰყავდა და აღარ უნდოდა მათი მოშორება, ხშირად ესაუბრებოდა მათ სარწმუნოებისათვის და გაიხადა ისინი თავის ერთგულ მოყვარედ და მრჩევლებად. პირველად ძალიან გაამნელა მათთან შეერთება; მაგრამ ბოლოს კი შეუერთდა და მიიღო კათოლიკობა, როდესაც დასნეულდა, დაიბარა პატრები, მათგან მიიღო წმიდა საიდუმლო და ყველას წინაშე აღიარა, რომ მას ნებავდა სიკვდილი იმ სარწმუნოებაში, რომელიც იქადაგეს წმ. პეტრემ და პავლემ. ესრეთ დაასრულა თავისი

სიცოცხლე. ამას მოწმობს ხსენებული მისიონერების წერილები და ეგრეთვე ლამბერტიც. (1).

ზემოდ დასახელებულ გაკათოლიკებულ ტრაპიზონის არქიეპისკოპოსსაც დიდი მონაწილეობა მიუღია მისიონერებთან ერთად კათოლიკობის გავრცელებასა და ერის განსწავლაში. ამიტომ უადგილოდ არ მიგვაჩნია, აქ ვრცლად მოვიყვანოთ იმის შესახებ წერილები, რაიც მიუწერია რომაში პატრი ქრისტეფორე კასტელის.

„თქვენო ყოვლად მაღალ ღირსებავ.

„საჭიროდ დავინახე ამ შემთხვევაში თქვენთან გამომეგზავნა თქვენი ყოვლად საყვარელი შვილი მამა კირილე, ტრაპიზონის არქიეპისკოპოსი. აგერ რავდენიმე წელიწადია, ჩვენთან შრომობს ამ ვენახში და კარგადაც გამოვსცადე, რომ ძრიელ გულმოდგინეა რომის წმიდა კათოლიკე სარწმუნოების მიმართ. იმედი მაქვს, პაპმა სიამოვნებით ინახულოს. ამ პატიოსან ეპისკოპოსს აზრად ჰქონდა მანდ მოსულიყო, პაპის უწმიდეს ფერხთა მთხვეოდა და მანდვე ჩვენის წმიდა სარწმუნოების ალსარებაში დაესრულებინა თავისი ცხოვრება, თუ ჩვენი უნეტარესი მამა სხვა ნაირად განკარგულებას არ მოახდენდა. მეც ესე ვურჩიე. ამიტომ მას დიდად ვავედრებ თქვენს უმაღლესობას. თუმცა ჩვენს მამა უფროსს მივსწერე, მაგრამ თქვენც მოგახსენებ ამის ერთს შესანიშნავ საქმეს, რომელიც, სხვათა შორის, ჩვენს მხარეში მოქმედა და აი რას: წმიდა გიორგის დღეობა იყო, რომელსაც დიდის ამბით ასრულებენ და ამ სამეფოს ყველა კუთხიდგან ესწრებიან იქ მოხდენილი ცრუ სასწაულის გამო. რავდენიმე დიდებულ პირთან ერთად წავიდა იქ ეს პატიოსანი არქიეპისკოპოსიც, რათა ეწირა დიდის გამოჩენებით. როდესაც ტრაპეზის წინ იმოსებოდა, გაიმართა მის წინაამდეგ ხმაურობა, წინ წამოდგნენ ზოგიერთი ეპისკოპოსნი და კერძოდ ალავერდელი, წალენჯიხელი ეპისკოპოსი და სთქვა: რას შვრებით მორწმუნენო, ეს მწვალებელი და პაპისტია თავის მოძღვრების გამო, რომელსაც ასწავლის; ამიტომ სრულებით არ უნდა მივუშვათ ჩვენს ეკკლესიებში სწიროსო: მერმე მიუბრუნდა არქიეპისკოპოსს და ძრიელ უშვერი სიტყვებით უთხრა: არასოდეს მივუშვებ, ვინმე ცრუ წინასწარმეტყველმა და მწვალებელმა კათოლიკემ სწიროს ამ ტრაპეზზედ; არქიეპისკოპოსმაც უპასუხა: მე მწვალებელი არა ვარ, არამედ ჭეშმარიტი კათოლიკე; ვქადაგებ და ვასწავლი სწორედ იმ მოძღვრებას, რომელიც ბერძენს და ლათინის ყველა წმიდა მამებმა ასწავლეს. ალავერდელმა დაუმატა: თუ მწვალებელი არა ხარ, მაშ შეაჩვენე პაპიო. არქიეპისკოპოსმაც მიუგო: პაპს შეჩვენების ღირსი არაფერი უმოქმედებია. მას პატივი უნდა ვსცეთ, როგორც ქრისტეს მონაცვლეს და წმიდა პეტრეს ჭეშმარიტს მო-

წყდრესო. მაშინ ალავერდელმა უფრო ხმა მაღლივ დაიძახა, მე არა ვსთქვი, რომ ეს პაპის მიმდევარია მეთქი. მერმე უთხრა თავის ზოგიერთ მღვდლებს და დიაკვნებს, გააძევით ეკკლესიიდგანაო. იგინი ლომებივით მისცვივდენ, დაუწყეს გლეჯა შესამოსლისა, წვერისა და თმებისა და ხელის კვრით და შეურაცხებით გაიყვანეს გარეთ. მასთანვე უთხრეს ხალხს: გაუფრთხილდით ამ გაფრანგებულ მგელს, რომელიც აქ მორწმუნე ბერძნის სახით მოსულა, რათა თქვენ შეგაცდინოსთო. ამ პატიოსანმა ეპისკოპოსმა ყველა ეს შეურაცხება იტვირთა ეგოდენის სიმდაბლით და მოთმინებით, რომ ყველანი იქ დამსწრენი განაკვირვა. ხალხი თუმცა კმაყოფილი დარჩა, რომ შეიტყო მისი გაფრანგება; მაგრამ ალავერდელს კი არ მოუწონეს საქციელი, რადგან არ დაზოგა არც ასეთი ღირსეული პირი და არც დაერიდა წმიდა ადგილს და დღესასწაულს; განსაკუთრებით მთავარი უფრო გაწყრა და გაჰკიცხა ალავერდელის ასეთი საქციელი: არც მიიღო მისგან ბოდიში მოხდა. რადგან ეს მუდამ ამ არხიეპისკოპოსთან დაიარებოდა და ჰკითხავდა წმიდა სარწმუნოების ძნელი საგნების განმარტებას, ესეც უფრო სიმხნით და უფრო გულ-ახდილად ასწავლიდა ჭეშმარიტებას, როგორათაც შეჰფეროდა ვინმე ნამდვილ მისიონერს. გარდა ამისა, გვირგვინი დაგვადგა ამ ეპისკოპოსმა და თავისი მოძღვრებით და ავტორიტეტით მთელი სამთავრო აღძრა იქამდე, რომ ხალხი აღიარებს თავის შეცთომილებას სარწმუნოების მხრივ. ამიტომ მას უფრო უსმენენ, ვიდრე ჩვენ. მოინათლნენ მეტად შესანიშნავი პატა ლოკოკია და ორიც ეპისკოპოსი: ერთი სვერელი (Sverelli) და მეორე დრანდელი (Dandrelli). მეფემაც სურვილი გამოაცხადა მონათვლისათვის. თუ ხსენებული ალავერდელი არ ყოფილიყო, შეიძლება, აქამდე ესეც მოგვენათლა. ალავერდელი მუდამ ჩვენი დიდი მტერი იყო. მე ბევრი მავნო, როდესაც გურიაში ვიყავი და დაამტვრევინა ტრაპეზი, საცა მე მეწირა. როგორც ამბობენ, ამის შეგულიანებით იყო, რომ მთავარმა ვახტანგ გურიელმა ყველაფერი წამართვა, დამატყვევა და იძულებული მყო იქაურობას გავშორებოდი. ყველას აქ ვრცლად მოხსენება შეუძლებელია.

შემდგომ არქიეპისკოპოსი მოვიდა, მნახა და ყველაფერი მომითხრა (რაც უკვე წინათვე შეტყობილი მქონდა) და მოხარული იყო, რომ კახეთში შეურაცხყოფა მიიღო. რომის წმიდა სარწმუნოებისთვის წვერი და თმები დაგლეჯილი ჰქონდა და პირისახე დაკაწრული; დაჰკარგოდა ფილონის ოქროს ღილი და მოსასხამი; მისი წიგნები სულ დაეგლიჯათ. მეც გამოვეხვიე და მივულოცე, რადგანაც კი შემეძლო და წიგნები უშოვე. წავიდა ჩემგან და განაგრძო სასულიერის გზას სწავლება ამ ტყეებში, საცა ხშირად არაფერი აქვს საჭმელად და მარტოც სტანჯავენ;

ვისაც მიჰყავსთ იგი, რისგამო დიდს შეწუხებას ტვირთულობს. რადგან პატრი ჯუდიჩი მანდეთ მოდის, მასვე შეუძლია ყველაფერი მოახსენოს თქვენს უმაღლესობას, თუ სასიამოვნოდ დაურჩა. ამიტომ მეც იმას მივანდობ ამის შესახებ ვრცლად მოხსენებას. უმდაბლესად ვემთხვევი თქვენს მარჯვენას და დავშთები თქვენი უერთგულესი მონა.

„14 ნოემბერს 1642 წ., ქრისტეფორე კასტელი. სამეგრელოდგან". (1)

ამ არქიეპისკოპოსის გამო ქრისტეფორე პაპსაც სწერს ამ წიგნს.

„უნეტარესო მამაო,

„ვნატრობდი, წმიდა მისიონის ზოგიერთი საჭიროების გამო, მოვსულიყავი თქვენი უწმიდესობის ფერხთა წინაშე, მაგრამ სნეულების მიზეზით ველარ შევიძელი. ამიტომ ვგზავნი ჩემზედ უდიდეს ერთ თქვენს შვილს, რომელიც არის ტრაპიზონის არქიეპისკოპოსი, თქვენი მეტად ერთგული და რომის წმიდა კათოლიკე სარწმუნოების დიდი მორწმუნე, როგორათაც გამოვსცადეთ, ვინაიდგან მრავალი წელიწადია, რაც ეს ჩემთან შრომობს ამ ვენახში.

„მანამდის რომ ზხრითა მოდის ეს ღვთის მონა, რომ აქეთ აღარ დაბრუნდესა. თუ თქვენც ინებეთ, ვევედრები თქვენს უწმიდესობას, კეთილ ნებით და თქვენი ჩვეულებრივის წყალობებით მიიღოთ და შეეწიოთ მას ყოველ საჭიროებაში.

„ათაბაგი მარიენა, სპარსეთის დედოფალი, რომელიც შვიდი წელიწადი ჩვენი სულიერი შვილი იყო გურიაში, როდესაც მე იქ ვიყავი, ისპაჰანში მიბარებს თავის სულისა და ეგრეთვე თავისი მხლებელი ქალბატონების სულთა შესაწევნელად, როგორათაც თქვენს უწმიდესობას მოახსენებს ძმა ფრანჩისკე პესტიკა, რომელსაც ჩემს მაგიერ მოჰყავს თქვენ ფერხთა წინაშე ზემოხსენებული არქიეპისკოპოსი. თუ შეიწყნარეთ ჩემი სათხოვარი, უმდაბლესად გთხოვ იქ წასაღები საჩუქრებიც მიბოძოთ, რომ არავითარი დაბრკოლება შემხვდეს. დასასრულ ვემთხვევი თქვენს წმიდა ფერხთა და მდაბლად ვითხოვ თქვენს კურთხევას.

„თქვენი უწმიდესობის მდაბალი მონა, ქრისტეფორე კასტელი.

„სამეგრელოდგან, 30 ოქტომბერს, 1642." (1)

ამავე რიცხვით კარდინალსაც სწერს იგი ვრცლად და ავედრებს ამ არქიეპისკოპოსს, ეგრეთვე ბოლოს იხსენიებს, რომ სასწავლელად ვერ გავგზავნე რომში ქართველი ყმაწვილები, როგორათაც მოვლოდ თხოვა კარდინალმა ინგოლიმ, თუმცა მზად ჰყავდა ორნი გურიიდგან მოყვანილი თავისვე მონასტრული ყმაწვილი. ვერ გაუგზავნე იმის გამო, რომ მათი წამყვანი არავინ ყოფილა.

იმავე დროს იგი თავიანთ საერთო უფროსს ინგოლის უგზავნის ერთ მოხსენებას, რომელშიაც სხვათა შორის ამბობს შემდეგს:

„ალავერდელმა ეპისკოპოსმა, რომელმაც ყველაზედ უმეტესი შეურაცხება მიაყენა ჩვენს ტრაპიზონელს არქიეპისკოპოსს, შეინანა თავისი შეცდომილება, შეურიგდა მას და დაუმეგობრდა ისე, რომ ახლა არ იცის, თუ რა ჰქმნას. ჩვენსას მოდის და წირვას ისე მოკრძალვით სმენულობს, რომ ყველას სამაგალითო ხდება. საცა იყო, ყველგან აქებს ლათინის მოძღვრებას, ძრიელის სასოებით და მოკრძალებით სწირვენო. ერთისათვის ეკითხა, თუ ყველა ღვდლები ასე სწირვენო.

„ამ სამეფოს კათოლიკოსი უკვე მობრუნდა იერუსალემიდგან, საცა შარშან წავიდა, იქაური ბერძნების მიერ მონათლულიყო, რადგან ჰგონია იმათ სხვებზედ უფრო კარგათ იციან ნათლიღების შესრულებაო. მოვიდა თუ არა, მაშინვე მიმართა ჩვენს არქიეპისკოპოსს, რომელიც ალარ მოშორებია მას, რომელი, მოიყვანა კიდეც ჭეშმარიტების გზაზე. ინებოს ღმერთმა, ამ ჭეშმარიტებაში გასძლოს.

„ეგრეთვე ლაპარიას (Laporias) მოძღვარი ვერჩელიჲ, დიდად პატიოსანი 60 წლის მღვდელი, სარწმუნოებით ჩვენი დიდი მტერი იყო. ბოლოს კი ერთმა ჩვენთაგანმა კარგად ჩაახვედრინა და დაიყოლია. მთხოვა, მომენათლა. რავდენიმე დღეა მოვნათლე და ვუცდი ტრაპიზონის არქიეპისკოპოსს, მღვდლობის კურთხვა განუახლოს, რათა გულდასმით განავრცოს თავისი სამსახური. წრეულ ოთხმოცამდე ბავში მოვნათლეთ. ზოგი ამ მონათლულთაგანი უკვე სასუფეველში გაფრინდა.

„ლაპორია, 30 ოქტემბერი, 1642. ქრისტეფორე კასტელი“ (1).

თუმცა პატრების მტრობაზე ხელს არ იღებდენ ბერძნები, მათი მისიონის წარმატებას, რამდენათაც შეეძლოთ, აპრკოლებდენ და მათ მწვალებლებად სახავდენ, პატრები მაინც უფრო პატივცემული იყვნენ ყველასაგან, ყველანი უსმენდენ მოძღვრებას და მისდევდენ მათ გზას. პატრი იოსებ ჯუდიჩი, 1640 წ. რომას გაგზავნილ წერილში (ამ თარიღით ორი ვრცელი წერილი გვაქვს ამ პატრისა), სხვათა შორის, მოგვითხრობს: „ამ პროვინციაში მთელი ხალხი, თუ მთავარი, თუ წარჩინებულნი და თუ მდაბიო მოციქულებრივის წმიდა ცხოვრების კაცებად გვრაცხენ, ისე რომ მათი თქმით ჩვენი მსგავსი არასოდეს მოსულა ამ მხარეს. მაინც კი ბერძნების მოქმედებით ყველას ჰგონიათ, რომ ჩვენ სხვა სარწმუნოება გვაქვს, — გარნა არა ნაკლებია, ვინც ჩვენ მოვამხრეთ ჩვენის ცხოვრებით და განვამტკიცეთ ქადაგებით. იგინი გულწრფელად აღიარებენ და ამბობენ, რომ მხოლოდ ჩვენი სარწმუნოება არის ჭეშმარიტი, მართალი და რომ მსოფლიო მწყემსი მთელის ეკლესიისა არის რომის

პაპი და არა სხვა და აგრეთვე მარტო ფრანგებს აქვსთ ორი თვალი, რათა გაარჩიონ ღვთაებრივი და კაცობრივი საგნებიო, სხვა მთელი ქვეყნის კაცებს კი მარტო ერთი თვალი აქვსთ, რაისგამო სიბრმეში არიანო. განსაკუთრებით ამ წელიწადს ჩვენმა კეთილის მყოფელმა ზარძიმ ვაჩნაძემ, რომელიც არის ბრძენი და უკეთილშობილესი, საჯაროდ აღიარა, რომ დღეს რომის პაპია წმიდა პეტრეს მოსაყდრე და მსოფლიო მთავარი ქრისტიანეთა და სხვებს საქმითაც უჩვენებდა, რომ იგი მას უღრმეს პატივსა სცემდა. დადიანის ცოლის ძმამ სუფრაზედ სთქვა, რომ პატრები აღიარებენ ჭეშმარიტს ქრისტეს სარწმუნოებას, მე კი ჩემის ქვეყნის მცხოვრებლებითურთ შემცდარი ვარო. ჩვენმა კეთილის მყოფელმა, წარჩინებულმა თავადმა კაკუ შელიამ იმდენად შეითვისა ჩვენი სარწმუნოება, რომ ავად გახდა თუ არა, ერთ ჩვენს პატრს ევედრა, მისთვის ლოცვები წაეკითხა და სახლშივე წმიდა წირვაც ეთქვა... დასასრულ აღარას ვიტყვი მათთვის, რომლებიც მოქცეულნი არიან და რომელნიც საშუალო წოდებას ეკუთვნიან. იმათი რიცხვი მრავლისგან უმრავლესია. ხოლო დავასახელებ უდიდესი თავადის გიორგი მიქელეიას მეუღლეს, რომელიც მამიდა (ანუ დეიდა) არის დადიანისა. იმან ორ ჩვენ მისიონერთან ვრცელი ლაპარაკის შემდგომ ჰსთქვა, ფრანგის მონაზონები არიან ღვთის ჭეშმარიტი მსახურნი და არა ჩვენნიო“ (1).

ერი ასეთის პატივისცემით იმიტომ ეპყრობოდა პატრებს და გულმოდგინედ იმიტომ ისმენდა მათ სწავლა-ქადაგებას, რომ თვით მეფე აძლევდა მაგალითს. რამდენი დრო გადიოდა და უფრო დაახლოვებით ეცნობოდა მეფე მისიონერებს, იმდენი უფრო მისი სიყვარული და პატივიც მატულობდა და ძლიერდებოდა. ფრანგების მიმართ პატივით და სიყვარულით ყველა საქართველოს მეფეებს გადააჭარბა. ამიტომ პატრებიც მას თავიანთ წერილებში მუდამ დიდის ქებით, პატივით და სიყვარულით იხსენიებდენ, ეგრეთვე მის გულითად სიყვარულს, მათზედ სრულს მინდობილობას და პატივს ხშირად ასახელებენ. პ. იოსებ ჯუდიჩი თავის წერილებში (1640 წ.) სხვათა შორის ამ ამბავს მოგვითხრობს: „ხშირად თავისი ამალით (Corte) მოვიდოდა და ჩვენს ახლოს დასდგამდა თავის კარავს ჩვენის სიყვარულისათვის, რათა უფრო ადვილად ესაუბრნა ჩვენთან და თავისთან მიხმობით არ შევეწუხებინეთ. ხშირად დაწვრილებით ვლაპარაკობთ სხვა და სხვა სასარგებლო საქმისათვის და ყველაფერს გულმოდგინებით ისმენს. როდესაც თავისი სამეფოს ერთი ადგილიდგან მეორეს გადადის, მუდამ, თავის მხლებლებით სტოვებს პირდაპირ ერთ გზას და ჩვენთან გამოივლის ხოლმე ჩვენ სა-

ნახავად და ჩვენთან სალაპარაკოდ. *) ხშირად გვესაუბრება საუკუნო ცხოვრებისათვის. ჩვენის ავადმყოფობის დროს განგებ მოვიდა და გვნახა, ეგრეთვე დაგვარწმუნა, რომ მზათ იყო ყველაფერი აესრულებინა, რასაც კი ვინატრებდით. თავისი ერთგულება ბევრ გზის დაგვიმტკიცა, უფროსი ერთად თავისი შვილების და დედოფლის უქეიფობის დროს. რადგან ხშირად მოუხდება სახლიდგან განშორება სხვა და სხვა საქმეების გამო, ამისთვის ბევრგზის პატრებს აყენებს თავის სახლის პატრონად. მათ აბარებს თავის ცოლსა და შვილებს და უბრძანებს ყველას, პატრებს დაემორჩილონ და მათ ბრძანებას არავინ გადავიდეს. როდესაც უქეიფოდ არის, სხვა არაფერს სჭამს, თუ არ პატრების გაკეთებულს და მათი ხელით მირთმეულს. იმ დროს ყველა თავის სამდიდრეს ოქროს, ვერცხლეულს და სხვა დანარჩენ ნივთებს მათ აბარებს, რადგან მეტისმეტი ნდობა აქვს. მისი პატივისცემა ეგოდენია, რომ ერთხელ დიდი წვეულება გამართა, 1000 კაცამდე ჰყავდა მოპატიჟებული. იმის გამოსაცხადებლად, რომ პატრები შინაურები იყვნენ, იგინი დასხა დედოფალთან და მის მოახლე ქალბატონებთან ერთად. როდესაც რაიმე ეჭვი აქვს ან მთავრობის გამგეობის, ან საქმეების წარმოებისა, ან კიდე სარწმუნოებისა და საზოგადო საქმისა, მუდამ პატრებსა სთხოვს რჩევას. ერი რა ხედავს, მთავარი ასე გვენდობა და მასზე ჩვენ დიდი გავლენა გვაქვს, მუდამ ჩვენ მოგვმართავს გაჭირების დროს, რათა ვუშუამდგომლოთ მთავართან და იმედიც აქვსთ, ყველაფერი გაურიგოთ“... (1).

მისიონერების ესრეთი დაახლოვება და ზედგავლენა დადიანზე და ამისი უზომო პატივი და სიყვარული სარწმუნოებისათვის უმნიშვნელოდ არ დარჩენილა. ვინაიდგან მისიონერების ყველა შრომის უმთავრესი მიზანი იყო კათოლიკობის გავრცელება არა მარტო მდაბალ ხალხში, არამედ თვით მთავრებშიაც, ამისთვის მისიონერები, ცხადია, არაფერს დაზოგავდენ დადიანის გაკათოლიკებისათვის. არც დადიანს უნდა აღმოეჩინა დაბრკოლება, რადგან მათ წმიდა კაცებად სცნობდა. მათთვის რომ არ დაეჯერებინა სასულიერო საქმეებში, მაშინ მისი სიყვარული, ნდობა და პატივი სულ უსაფუძვლო და მოჩვენებული იქმნებოდა. საბუთი არა გვაქვს, დადიანს გულგრილობა დავსწამოთ. რა სცნო მეფემ როგორც ზემოდ ვსთქვით, რომ კანონიერად არ იყო მონათლული, მოინდომა მონათვლა. ამას ზემოდ ხსენებული სილო ასე მოგვითხრობს: „მეტადრე არქანჯელო ლამბერტის მიერ რა სცნო, რომ თავისი ბერძნებისგან **) კანონიერად არ იყო მონათლული, ლათინის წესისამებრ

*) ლევან დადიანს ეს საკვირველი ჩვეულება ჰქონია, რომ ერთ ადგილს ორ სამ დღეზედ მეტს არ გაჩერდებოდა ხოლმე; მუდამ დაქარებოდა თავის სამთავროში.

**) აქ ქართველები იგულისხმება.

შთაინათლა“. (2) ამით გზა გაეხსნათ და მალე განასწავლეს დადიანს
კათოლიკე სარწმუნოების სხვა დანარჩენ კითხვებში. ამ გარემოებამ
უზომო ზედგავლენა იქონია დადიანის ცხოვრებაზედ, რადგან დადიანი
როგორც ძრიელი და მარჯვე იყო, ისე ბევრ უსამართლობასაც მოქმე-
დებდა, როგორადაც ცხადად სჩანს მისი ისტორიიდგან. ხოლო როდე-
დესაც კათოლიკობა მიიღო, მისგან შემდეგში ესრეთი უსამართლობა
სრულებით აღარ გაგონილა. სულ სხვა ნაირ ქრისტიანულს გზას დაად-
გა, ეგრეთვე დაიწყო მხნედ დაცვა კათოლიკე სარწმუნოებისა და მისი
მფარველობა. ამას ხსენებული ისტორიკოსი ასე მოგვითხრობს: „მეფემან
ლევან დადიანმა რა მიიღო სრულებით კათოლიკე სარწმუნოება და
შეიქმნა ახალი კონსტანტინე, ანუ თეოდოსიო, ხშირად ხმლითაც დაე-
ცვა მიღებული სარწმუნოება. ამ ნათლისღების წყალმა, როგორც სავ-
ლეს განუბნია თვალთა სიბნელე, იმასაც ისე გაუწმინდა მხედველობა,
რომ სხვას არაფერს ხედავს, თუ არ რომის სარწმუნოებას; სხვას არა-
ფერს ნატრობს, თუ არ რომის პაპის ნახვას, რათა მის ფერხთა ემთხვიოს
და მის წინაშე აღიაროს კათოლიკე სარწმუნოება, რომელიც უკვე მიი-
ღო. რა შემოვიდა სარწმუნოებაში საიდუმლოების კარით — ნათლისღე-
ბით, დიდი გულმხურვალება და მომზადება გამოიჩინა სხვა ყველა და-
ნარჩენ საიდუმლოებისათვის, რომლებშიაც ძრიელ გაწვრთნილია“. (1)

ამ დროებში დადიანსაც მოუვიდა პაპის ბულლა (წიგნი) პროპა-
განდის კოლლეგიის დაარსების შესახებ. ამ ბულლით პაპი იწვევდა ყვე-
ლა ტომის ხალხსა, გაეგზავნათ ყმაწვილები პროპაგანდის სკოლაში გა-
საწვრთნელად კათოლიკე სარწმუნოების მოძღვრებაში. რადგან იმ ბულ-
ლაში სხვა არაფერია ამის გარდა, საჭიროდ არა ვრაცხთ აქ მოვიყვა-
ნოთ. პატრებმაც ურჩიეს დადიანს პასუხი ეგო ამ მიწვევაზედ და ყმა-
წვილები გაეგზავნა. ეგრეთვე მოახსენეს, ჩვენ ამას წინათ მოგარ-
თვით პაპის წერილი და იმისი პასუხი ჯერ არაფერი მიგვიწერიათო. და-
დიანმა ჰკითხა, თუ რა იყო საჭირო და როგორ უნდა მოქცეულიყო
პაპისათვის შესაფერი პატივის მისაგებად. მათაც ურჩიეს, რომ წიგნთან
ერთად ერთი ვინმე გაეგზავნა, როგორც თვითვე შეჰპირებოდა წინად.
რადგან საამისოდ პატრების უკეთესი არავინ ჰყავდა, გადასწყვიტა თა-
ვის ელჩად გაეგზავნა პაპთან პატრი იოსებ ჯუდიჩი და წიგნიც გაეტა-
ნებინა. თავისი აზრი განუცხადა იმ პატრს და წასვლის დროს ასე გაი-
სტუმრა: „ღვთის მსახურო მამაო და ამ სამთავროს ანგელოზო, თქვენ
კარგად იცით, რომ, ჩვენი სამღვდელოების უმეცრებისა გამო, რა დიდ
ხანს ვიმყოფებოდით სამწუხარო სიბნელეში, ვინაიდგან უდიდესი სიბრმე
აღარ შეიძლებოდა, რომ ნათლისღებას ვსცნობდით ცხონებისათვის სა-
ჭირო საიდუმლოდ და მას კი სინამდვილით არ ვღებულობდით; აღსა-

რების საიდუმლოს ვსთვლიდით საჭიროდ ცოდვების მისატევებლად, თქმით კი არ ვამბობდით და გვეგონა, რომ საკმევლის კმევა, ანუ მისი მზგავსი უბრალო კეთილი საქმე მის ადგილს დაიჭერდა და ცოდვებს შეგვინდობდა. სარწმუნოების კითხვებში ჩვენი შეცდომა დიდი იყო, თქვენც კარგად უწყით. ახლა ვსტირი უმეცრებით ეგოდენ დაკარგულ სულთათვის. გარნა, მადლობა ღმერთს, თქვენის შემწეობით დავადექით ჭეშმარიტს ნათელსა, უფროსი ერთად მე, რომელიც ვარ უმწვერვალესი თავი ამ ჩემის სამფლობელოისა. ამიტომ ჩემს მოვალეობად ვსთვლი, რომ, არა მარტო ჩემის, არამედ ყველა ჩემის ქვეშევრდომების სახელითაც თქვენ გაგგზავნოთ რომის პაპთან, რომელიც უმწვერვალესი თავია მსოფლიო ეკკლესიისა და ქრისტესგან მინიჭებული აქვს ძალა შეკვრისა და გახსნისა, დახშვის და გაღების სასუფეველის კარისა. მინდა, გაგზავნოთ მასთან მორჩილების ნიშნად, რათა განუცხადოთ ჩემი შვილობრივი ქვეშევრდომობა და მიღება კათოლიკე სარწმუნოებისა, რომელსაც აწ აღვიარებ ღვთის მადლით; ეგრეთვე მოახსენოთ ჩემი სურვილი და ცდა, რომ მთელმა ჩემმა სამთავრომ აღიაროს იგი. კიდევაც ვუბრძანე, მოგცეს ყველაფერი, რაც კი საჭიროა თქვენის შორის მგზავრობისათვის. ამიტომ გაძლევ ჩემს რწმუნებას ესრედ დიდ მთავართან და მასთანვე ამ წერილსაც, რომელიც დაწერილი და მოწერილია ჩვენის ხელით. როდესაც ამას გადასცემთ წმიდა მამას თავის საკუთარ ხელში, სთხოვეთ მამობრივის სიყვარულით მოგვანიჭოს ჩვენ, დედოფალს და ჩვენს შვილებს თავისი კურთხევა და აღგვავსოს იმ ძვირფასის საუნჯით, რომელიც მისს ხელით რიგდება. თქვენი ვალია მას კარგად მოუთხრათ ახლად მიღებულის სარწმუნოების აღსარება ჩვენ მიერ და ეგრეთვე ჩვენი გულმოდგინეობა მის გასავრცელებლად. მასთანვე ევედრეთ წმიდა ეკკლესიის შვილთა შორის შეგვრაცხოს და არ მოგვაკლოს თავისი ძვირიელი მფარველობა, რომელსაც სიმდაბლით ვსთხოვ". (1) პაპთან ეს წერილი დადიანს ბერძნულად დაუწერინებია ტრაპიზონის მიტროპოლიტისათვის, რომელიც, როგორც ზემოდ გავიხსენიეთ, სამეგრელოში იყო და კათოლიკობაც მიიღო. (2) წერილი არა სჩანს, ხოლო ისტორიკოსი სილო თავის აღწერაში მოკლედ იხსენიებს იმას და ამბობს, რომ იმ წერილით დადიანი პაპს დიდ მადლობას უცხადებდა მისიონერების გამოგზავნისათვის, სთხოვდა სხვების გამოგზავნას, აღიარებდა პაპს ყველა ქრისტიანების მწყემსად და აუწყებდა რომის ეკკლესიასთან თავის შეერთების ამბავს. (3) როგორც სჩანს, დადიანს პროპაგანდის კარდინალებისათვისაც მიუწერია წერილი, გარნა არც ის წიგნი გვაქვს ხელში.

წასვლის დროს პატრი იოსებს პაპთან გაატანა ეგრეთვე ორი ყმაწვილი საჩუქრად, რათა პროპაგანდის სკოლაში გაწვრთნილ იყვნენ. იმათ ერქვა ერთს ანტონ და მეორეს ანდრია. ანდრიას ძრიელ შესანიშნავი ნიჭი გამოუჩენია სწავლაში, მეტად დაწინაურებულა ფილოსოფიისა და საღვთისმეტყველო საგნებში, ბევრ გზის დისერტაციაც დაუცავს და კარგად გაუმარჯვნია. სამწუხაროდ, ესრედ ნიჭიერი მეგრელი რომაშივე გარდაცვლილა სწავლის დასრულებამდე. ხოლო მეორეს ანტონსა თუმცა მასავით დიდი ნიჭი არა ჰქონია, მაგრამ საკმაოდ წინ წასულა სწავლაში; არა სჩანს, სწავლის დასრულების შემდეგ სად წასულა. (1).

იმ ორის ყმაწვილისა და პატრი იოსების გაგზავნა რომას მოხდა **1643** წ. იქ ჩასულმა პატრი იოსებმა გარდასცა პაპს ინოჩენციო მეათეს და პროპაგანდის კარდინალებს დადიანის წერილები და ეგრეთვე უამბო მათ მიერ გამოღებული ნაყოფი სამეგრელოში. ამ ამბავმა მეტადრე ლევან დადიანის გაკათოლიკებამ და მისმა კეთილმა საქმეებმა რომაში ყველა დიდათ გაახარა. პატრი იოსებს, რაც სჭიროდა თავის მისიონისათვის, ყველაფერი უშოვეს და ეგრეთვე, ლევან დადიანის თხოვნის თანახმად მისცეს ორი ახალი მისიონერიც. ეს ორი ახალი მისიონერი იყვნენ პატრი ივანე მონთი მილანელი და პატრი იაკობ მარსი კრემონელი. სამგზავროდ რომ მოემზადენ, წამოვიდენ იტალიიდგან კონსტანტინეპოლს 1846 წ. მარტში. (2) პაპის მაგიერათ კარდინალებმა გამოატანეს იმათ წერილი ლევან დადიანთან. ამ წერილის დედანი ჩვენ ვერ ვიპოვეთ არქივებში. ხოლო ისტორიკოს ფერროს მოჰყავს ეს წერილი თავის ისტორიაში ცოტა შემოკლებით ესრედ: „დიდის შვებით ვსცანით, რომ თქვენა და თქვენის სამეფოს მცხოვრებთ უმეტესობას დაგიტოვებიათ ძველი შეცთომილება, გიწამებიათ ლათინის ეკკლესიის დოგმები და მას შემოერთებიხართ. ამიტომ უმაღლესი მწყემსი პაპი, ვითარცა საყოველთაო მამა, თავის საყვარელ შვილად გთვლისთ და განიჭებსთ უხვად თავის წმიდა კურთხევას. ვინაიდგან ეგოდენის სურვილით ხელახლავ მიგიღიათ ნათლიღება, საჭიროა უფრო გამტკიცდეთ კათოლიკე სარწმუნოებაში და ეცადოთ, რათა, კათოლიკებრივის გულმოდგინებით საქვეყნოთ აღიაროთ რომის ეკკლესიის სარწმუნოება. ეგრეთვე უნდა ეცადოთ, რომ პატრი ჯუდიჩის, პატრი ლამბერტის და სხვა სამოციქულო მისიონერების სრული ნდობა იქონიოთ და მათი დარიგებით მოიქცეთ, რადგან არიან დიდათ სათნო და სარწმუნოების ერთგულებით სავსენი და არა მარტო თქვენ, არამედ მთელს სამეფოსაც სიკეთეს მოუტანენ. უკან მობრუნებულის ელჩისაგან, რომელიც გამოგზავნეთ თქვენის მორჩილების გამოსაცხადებლად,

ყველას კარგად სცნობთ, თუ რაოდნათ გაიხარა პაპმა და მთელმა რომამ თქვენის ამბით. თავისი გამოუთქმელი სიხარულის დასამტკიცებლად, მაგ უფლის ვენახში ჰგზავნის კვალად ორს სხვა მისიონერსაც, რომლებიც შესანიშნავნი არიან სათნოებით, გულკეთილობით და მოძღვრებით; შემდეგშიაც კიდევ გამოვგზავნით სხვებსაც, რათა მით სცნოთ, თუ წმიდა რომის საყდარსა რაოდენი სიყვარული აქვს თქვენი და თქვენი სამეფოსი". (1)

მისიონერები დარდანელში რომ მოვიდენ, ევროპის ხელმწიფეთა ჯაშუშობა დასწამეს; ამიტომ იქაურმა ფაშამ დაატყვევა და ჯარჩებით გამოგზავნა კონსტანტინეპოლში, სადაც შებორკეს და სამუდამოდ საპყრობილეში ჩასვეს. ოსმალებმა საპყრობილეში დიდი შეურაცხება და შეწუხება მიაყენეს მისიონერებს და გამაჰმადიენება არა ერთხელ ურჩიეს, რათა თავი დაეხსნათ ტყვეობისაგან. ლევან დადიანის ელჩი პატრი იოსებ ჯუდიჩი, ბევრის მწუხარების გამოვლის შემდგომ, საპყრობილეში ბორკილებით ხელ-ფეხ შეკრული გარდაიცვალა.

რადგან იმ თეატინელებთან ერთად დომინიკიანი პოლონელი მღვდელიც იყო დატყვევებული, მიჰმართა კონსტანტინეპოლში მყოფს პოლონეთის სამეფოის ელჩსა, რომელმაც მისი ამბავი თავის მთავრობას აცნობა. მალე მოვიდა პოლონეთიდგან კონსტანტიპოლში საგანგებო ელჩი. თუ ამის შემწეობით და თუ საფრანგეთის ელჩის საშუალებით, როგორც იყო, გათავისუფლდენ მისიონერები ტყვეობისაგან. იმათ კონსტანტინეპოლში შეუერთდა ერთი თავიანთი თეატინელი პატრი გაეთანო დალესანდრი და მორჩილი ძმა ქლაუდიო. ორნივე იქიდგან წამოვიდენ სამეგრელოში და, დიდის შეწუხების გამოვლის შემდგომ, მოვიდენ ოდიშში 6 აგვისტოს 1647 წ. დადიანმა რა სცნა ახალმოსული მისიონერისაგან პატრი იოსებ ჯუდიჩის სიკვდილი, დიდად შეწუხდა და თავის თავს ყვედრება დაუწყო ასეთის საჭირო კაცის მოშორებისა და გაგზავნისათვის, რადგან ძლიერ ენდობოდა და უზომოდ უყვარდა. (2)

ახალმოსულმა მისიონერებმა სამეგრელოს ჰაერი ვერ აიტანეს, დასნეულდენ და მალე პატრი გაეთანოც გარდაიცვალა. სხვები კი, როგორც იყო, რავდენისამე თვის შემდგომ განიკურნენ და შეუდგნენ ერის სამსახურს თავიანთ წინამძღოლთა მსგავსად.

მისიონერებს სახლთან ერთი თავშესაფარი საგლახაკოც ჰქონდათ, სადაც უმწეოდ დარჩენილებს ინახავდენ. იმ ხანად იქ შეხიზვნიათ ერთი დედაკაცი სახელად ვარდია, რომელიც იმერელი ყოფილა და ომის დროს მეგრელებს ტყვედ წამოეყვანათ. როდესაც მოხუცებულა და შრომა აღარ შესძლებია, თავის ბატონს სახლიდგან გაუგდია და უთქვამს: ტყუილად ნუ სტირი, ჩემს სახლში აღარ შინდიხარ, წადი, მიმართე

ფრანგებს, ისინი ღვთის კაცები არიან, სამადლო საქმეს შვრებიან. შეგეწევიან, მშიერს არ მოგკვლენ და მგელს არ შეაჭმევინებენ შენს თავსო.“ გაჭირვებული დედაკაცი წასულა ტირილით, როგორც ყოფილა, მიუგნია პატრებისათვის, რომელთაც მართლა სიყვარულით მიუღიათ ცოცხალ-მკვდარი დედაკაცი, მოუსულიერებიათ, სარწმუნოებაში გაუწვრთნიათ და, რადგან დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ჰქონია, სასიკვდილოდაც მოუმზადებრიათ. მართლაც რავდენისამე დღის შემდგომ დედაკაცი ძლიერ კეთილად გადაცვლილა; პატრებისაგან მიუღია ყველა საიდუმლოები და მათდამი მადლობით და ლოცვა-კურთხევით დაულევია თავისი ცხოვრება.

მოგვითხრობენ აგრეთვე, თუ როგორ მოუნათლავსთ რავდენიმე ახალგაზდა თუ ქალი და თუ ვაჟი და როგორ მიუღებინებია მათთვის კათოლიკე სარწმუნოება. მაგრამ უფრო ყურადსაღებია, რაც პატრი ლამბერტიმ ჩაიდინა. სამეგრელოში თურმე მთავრისაგანაც მკაცრად აკრძალული ყოფილა ორი ცოლის შერთვა. ამ კანონის წინააღმდეგობა მოუწადინებია დადიანის ერთ აზნაურს. ერთი ცოლი კიდეც ჰყოლია, მაგრამ იმავე დროს დედოფლის მხლებელი ქალი შეჰყვარებია და მოუნდომებია იმაზე ჯვრის დაწერა. თავისი სურვილის შესასრულებლად მიუმართავს დედოფლისათვის და სხვათა შორის უთქვამს, ერთცოლობა სამეგრელოში დაწესებულია მოქალაქობრივის მოსაზრებით და ღვთაებრივის სჯულის მიერ აკრძალული არ არისო და მაგალითად დაუსახელებია აბრაჰამ, დავით, იაკობ და სხვა; ბევრი უთხოვნია მთავრის წინაშე მიშუამდგომლეთ, მეორე ცოლის შერთვის ნება მომცესო. კაციც და ქალიც დედოფლის ერთგულნი ყოფილან და ამიტომ იმასაც მთავრისათვის უთხოვნია ნების მიცემა. მთავარს თანხმობა გამოუცხადებია. ეს რომ გაეგო პატრი ლამბერტის, მაშინვე მისულა დადიანთან და უთქვამს: „ერთის უჯერო ნების დასაკმაყოფილებლად სამეფოს ძველის დროის კანონები არ უნდა მოშალოთ, თორემ ასეთი ქცევა დიდ არეულ-დარეულობას გამოიწვევს და შემდეგში კიდევაც რომ გინდოდესთ, გაფუჭებულ საქმეს ველარას უშველით. თქვენი სარწმუნოების პირვანდელ დედას, ნინოს არ უსწავლებია ესრეთი სამარცხვინო დოგმა. ადამიანს ნება არა აქვს ჰქმნას ის, რასაც ღმერთი და ბუნება უკრძალავს. რომა წინააღგიდგება, მძიმე შეჩვენებით შეგკრავს და დაგსახავს ეკკლესიის შვილათ კი არა, როგორც აქამდე იყავით, არამედ მის უდიდეს მტრად. სიმდაბლით გევედრები, თქვენი სულის პატივისათვის, ნუ ინებებთ და ნუ დაჰკარგავთ თქვენის მეფობის იმ კეთილსა და ბრძნულს სახელს, რომელიც აქამდე შეგიძენიათ“. (1) რადგან დადიანს მისი დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა, უსმინა თხოვნა და დაჰპირდა, ასეთ საქმეში

არაფერს შევსცვლიო; ეგრეთვე სთხოვა მოსულიყო დედოფალთან და კარგად ჩაეგონებინა ისიც. ლამბერტი სიხარულით მივიდა მასთან და დაუწყო ჩაგონება; მალე დაანახა თავისი შეცთომილება. დედოფალი დაჰპირდა, ასეთის უწესოების ნებას არავის მივცემო. დედოფალმა თავისი მხრით კარგად ჩააგონა შეუღლებას მოწადინებული ქალი და კაცი. ამნაირად ესრეთი დიდად მავნებელი უწესოება სამეგრელოშ თავიდგან აიცილა ლამბერტის წყალობით.

დადიანს ისე მიაჩნდა პატრები, რომ მათ სთვლიდა თავისი სამთავროის ძვირფას სამკაულად. როდესაც მასთან უცხო ვინმე მოვიდოდა, მაშინვე წაიყვანდა მათ სანახავად და ეუბნებოდა, რომ თავის სამეფოში მათზედ უკეთესი სხვა არავინ გააჩნდა. (2)

რადგან პიტრი არქანჯელო ლამბერტი დასნეულებული იყო, რომას მოსთხოვა ნება უკან დაბრუნებისა. ამიტომ 18 ოქტომბერს 1649 წ. წავიდა იტალიაში და თან წაიყვანა ერთი ახალგაზდა გურული სახელად ივანე, რომელიც ძლიერ კარგი კათოლიკე ყოფილა და საკმაოდ სცოდნია იტალიურიც. მაგრამ სამწუხაროდ ზღვის დიდის ღელვის გამო ძლიერ შეწუხებულა. რა გავიდენ სინოპში დასასვენებლად, იქვე გარდაიცვალა 5 იანვარს 1650 წ. (3) ხოლო იქიდგან ლამბერტი მარტო გაბრუნდა და მივიდა თავის სამშობლო ქალაქ ნეაპოლში, სადაც დასწერა და გამოსცა თავისი შესანიშნავი „სამეგრელოს აღწერა". (Relatione della Colchide) 1654 წ. და შემდგომ, ესე იგი 1657 წ. „წმიდა კოლხიდა" (Colchide sacra).

ლამბერტიმ ქართლსა, თუ სამეგრელოში დაჰყო 20 წელიწადი, დიდი სამსახური მიაგო ქართველთა ერს თუ სულიერად და თუ ხორციელად. თავისი შრომით შეიქმნა იგიც საქართველოსთვის ერთი დიდი და დაუვიწყარი მოღვაწე. ამისი საქართველოდგან რომაში გაგზავნილი შესანიშნავი წერილი ბევრი ჩაგვივარდა ხელში და ბევრი კიდე დაკარგულია.

ლამბერტის წასვლის შემდგომ სამეგრელოში არ შემცირებულა კათოლიკობის გავრცელება, არამედ მუდამ ძლიერდებოდა ისე, როგორც უწინ. მისიონერები თავიანთ შრომას და სარწმუნოების წარმატებას რომაში თავიანთ უფროსებს ხშირად აცნობებდენ. მაგრამ ამ საინტერესო წერილებიდგან ზოგი მაშინვე იკარგებოდა და ზოგიც შემდეგში სხვადა-სხვა გარემოების მიზეზით აქეთ-იქეთ იფანტებოდა, რისგამო ჩვენამდე უმეტესმა ნაწილმა ვერ მოაწია.

შემდგომ წლებისა მხოლოდ ერთი წიგნი გვაქვს ზემოდ ხსენებულის პატრი ქრისტეფორესი, რომელსაც 1652 წ. რომაში მიუწერია ესრეთ:

„თქვენო უმაღლესო ხელმწიფებავ,

„თქვენს უმაღლესობას ჩვენი საყოველთაო უფროსი უკვე აუწყებ-
და ჩვენი წმიდა მისიონის გარემოებას და წარმატებას. მისიონში დიდი
ნაყოფის გამოღების იმედი გვაქვს, თუ გვეყოლა კაი დამტევი მისიონე-
რები, რადგან მეტად მივაჩნივართ და პატივს გვცემენ აქაური ყველა
მთავრები, მეტადრე იმის გამო, რომ მოვნათლეთ მთავარი, ერთად-ერთი
შვილი და მემკვიდრე ალექსანდრე ქართველთა მეფისა, რომელიც ქუ-
თაისში სცხოვრებს. ამ ქალაქში მონასტერი გვაქვს, მაგრამ ეხლა არა-
ვინა გვყავს, რომ იქ დავაყენოთ; აქ სულ სამნი ვართ, ორი ახლად
მოსულია, არ იციან აქაური ენა და არც აქაურობის გამოცდილება
აქვსთ. ამიტომ სამეგრელოს ვერ მოშორდებიან, მიუხედავად იმისა, რომ
საქართველოსა და ერევანშიაც შეგვიძლია შრომა. ჩემს ამხანაგებში ზო-
გი გარდაიცვალა. ზოგიც უკან დაბრუნდა. ოც წელიწადზე მეტია, რაც
წმიდა კრებას ამ ექსორიაში ვემსახურები. უკვე დავდროვულდი და
თანაც ბევრნაირად დავსნეულდი, ამიტომ უკან დაბრუნების ნება ვი-
თხოვე, ჩემს სამშობლოსა და ჩემს მონასტერში დავასრულო ჩემი ცხო-
ვრება. გარნა თუ ჩემი უფროსნი საჭიროდ დაინახვენ ჩემს კვალად აქ
დარჩენას, არ გავექცევი შრომას, ოღონდ მიშოვნონ დამტევი მისიონე-
რები, რაოდნათაც კი შეიძლება მალე. მეც მზათ ვარ სიკვდილამდე
განვავრცო აქ ჩემი შრომა ღვთის წმიდა სარწმუნოების სამსახურისთვის.
აქ ბევრს შეწუხებას და შრომას ვსწევ და ხანშიაც შევედი, არც მომ-
დის საჭირო შემწეობა თავის დროზე. თუ უფროსთა მიბოძეს ნება, მო-
ვალ მათ ფერხთა წინაშე და ვიქმნები, როგორც ერთი უკანასკნელი.

„ქართველი და მეგრელი ბავშები და ახალგაზდები გასულ წელს
მოვნათლე ოთხასი. წრევანდელი მონათლულებიც იმდენივე იქმნებიან.
ეგრეთვე მოვნათლეთ მთავრის ლიპარიტიანის ორი შვილი უფროსი და
უმცროსი და მათთან ბატონი აბულია ჰისკაია, რომელიც ამ ძველის-
ძველი ოჯახის თავია და პატრონი კავკასიის მთების ერთი ნაწილისა,
სადაც თვით სცხოვრებს. მსგავსადვე თავიანთ ეკკლესიაშივე მოუნათლე
თავისი უფროსი შვილი მამუკაი და მისი უმცროსი ძმაც, რომელმაც
ინება მასთან ერთად შერაცხულიყო იესო ქრისტეს მხედრად.

„კავკასიის მთებსა და მის გვერდობზედ მცხოვრებ ერს (რომელიც
ალურაცხველია) არა აქვსთ არც წიგნი, არც საკუთარი ანბანი და არც ქარ-
თულს ანბანს ხმარობენ; სრულებით არ იციან, თუ რა არის არითმეტი-
კა; დასათვლელად ხმარობენ ხან კრიალოსნის მარცვლებს და ხანაც
კენჭებს და თოფის ნასკვებს. ამ უბედურების მოსასპობად ახალი (გა-
მოგონილის) ასოებით დაუწერე წიგნები. ძრიელ მოეწონათ, ამიტომ
იმედია მალე შეისწავლონ ეს მეცნიერება. შეიძლება თქვენც გამოგი-

გზავნოთ ამ წიგნის ერთი ეგზემპლიარი. მათ დავუწერე ახალი ანბანი, რომელიც გამოირჩია მთავარმა, რადგან მხედრული და ხუცური ასოები ბევრნაირი დავუწერე. არითმეტიკასთან იქმნება ამათ ეგზემპლიარებიც, როგორმე შევიძლო და მოგაწვდინოთ, თუმცა წერილები ადვილად იკარგება ახლანდელი ომების გამო. ამითი ვასრულებ ამ წერილს. უმდაბლესად მოგესალმები და ვემთხვევი თქვენს ბისონს და მასთანვე გავედრებ ჩემს ცოდვილს თავსა და ამ წმიდა მისიონს. უფლის მიერ თქვენი უმაღლესობის ყოვლად მდაბალი მონა, პატრი ქრისტეფორე კასტელი თეათინელი საქართველოს და სამეგრელოს უღირსი მისიონერი, 1652". (1)

როგორც ჰგავს, პატრი ქრისტეფორე მალე გაბრუნებულა იტალიაში, რადგან იმის შემდგომ მას ველარ ვხედავთ სამეგრელოში.

1655 წლისა მარტო ერთი წერილი გვაქვს. ისიც გვიჩვენებს იმ დროებში კათოლიკობის წარმატებას. ვრცელი წერილია და სამეგრელოში მყოფ სამ მღვდელს ერთად მიუწერიათ. რადგანაც შესანიშნავია, ამიტომ თავის ტექსტითვე მოვიყვანთ წერილის იმ ადგილებს, რაიც ჩვენთვის უფრო საინტერესოა. იმაშივე იხსენებენ თავიანთ წინანდელ გაგზავნილ წერილებს, რომელიც დაკარგულა.

„....პირველად სხვათა შორის მოვიწერეთ, რომ ახლანდელი მონათლულების რიცხვი გავლილ წლებში მონათლულებზე ნაკლები არ იყო. მოინათლნენ სამას სულამდე, ამათგანი ბევრნი, დარწმუნებული ვართ, დღეს სასუფეველში საუკუნო დიდებით სტკბებიან. ეგრეთვე იყო მოხსენებული, თუ როგორ მოვნათლეთ ერთი ახალგაზდა მეგრელი სიკვდილის დროს... ამასთანავე გაუწყებთ, რომ ღვთის შემწეობით, დიდი ნაყოფი გამოიღო ჩვენმა მეცადინეობამ, რასაც სიამოვნებით წარმოუდგენთ თქვენს პატივცემულს მამობრივ ღირსებას. ჩვეულებისამებრ, რიგით დავიწყებთ მოხსენებას. ჯერ ნათლობის ამბავს მოგახსენებთ. გაუწყებთ, რომ წრეულაც ბევრი ბავში მოვნათლეთ, სულ ას ორმოც და ათამდე იქნება. უფრო ბევრი იქნებოდა გამუდმებით უქეიფოდ რომ არ ვყოფილვიყავით. აქაური ჰაერი ძალიან გვნებს და გვჩაგრავს, თითქმის ყველა ჩვენთაგანი საშინლად იტანჯება. ხოლო იმ ბავშებს, რომლებიც ჩვენი სრული უფლების ქვეშ არიან, ვნათლავთ ეკკლესიაში დიდის ამბით; ეხლა ორი მზად გვყავს მოსანათლად; თუ ღმერთმაც ინება, შევასრულებთ პირველ დღესასწაულშივე. წრეულ, ღვთის შემწეობით, მოვნათლეთ ჩვენის სახლის კაცთაგანი ერთი ახალგაზდა, რომელიც სიკვდილის პირს იყო. ჯერ კარგად გამოვიძიეთ მისი სურვილი და ვსცანით, რომ უნდოდა წმიდა ეკკლესიის წიაღსა ქრისტიანურად მიცვლილიყო. შემდგომ მონათვლისა განიკურნა.

„მთავარი დადიანი და მთელი ოდიში თავიანთ ჩვეულებრივ სიყვარულს გვიმტკიცებენ. ჩვენც ყველანი ჩვენის მხრით ვცდილობთ შევწიოთ მათ განუსაზღვრულის სიყვარულით და ვსწამლობთ, რაც კი დასჭირდება და როცა კი მოგვმართვენ. თითქმის ყოველ დღივ ვსწამლობთ და სიამოვნებით მივდივართ მათ სახლებშიაც, როდესაც დაგვიბარებენ, რის გამო დიდი შეწუხება გვადგება...

„რა კი მთავარი ნდობითა და სიყვარულით გვეპყრობა, მისნი ქვეშევრდომნიც ამავე გრძნობას გვიცხადებენ. პატრიარქი, აქ კათალიკოსად წოდებული, მუდამ დიდს სიყვარულს გვიცხადებს, ხშირად სახლში გვიგზავნის დიდს მოწყალებას და როდესაც შემთხვევა მოგვეცემა მისის ნახვისა, მუდამ დიდის პატივით გვეპყრობა. კათალიკოსის შემდგომ ყველა სხვა დანარჩენი ეპისკოპოსებიც სიყვარულით გვეპყრობიან. მაგრამ მათ შორის ერთი უმთავრესი, რომელსაც უწოდებენ წალენჯიხელი (Scalingichelli), უმეტეს სიყვარულს გვიცხადებს. ამიტომ საჭიროდ ვსთვლით თქვენს პატიოსან მამობრივს ღირსებას იმისი ამბავი განსაკუთრებით მოვახსენოთ, რათა ჩვენმა ორდენმა მისი სახელი განსაკუთრებით დაიხსომოს. როდესაც დიაკონი და მწირი ბერი იყო, ისე გვემტერებოდა იგი და ისეთ წინააღმდეგობას გვიცხადებდა სარწმუნოების საქმეში, უმეტესი აღარ შეიძლებოდა. სხვათა შორის, ერთხელ, მას აქეთ რავდენიმე წელიწადია, უჩვენა ეს მტრობა ერთ ჩვენთაგანს ბჭობაში დადიანის წინაშე; სახელად ერქვა ილარიონ; როდესაც ეპისკოპოსი გახდა, ჩვენს მამებთან ესე მოიქცა, რომ მათ არც სიავე და არც სიკეთე უყო. ერთხელ რაღაც შემთხვევის გამო მოვიდა ჩვენს სახლში და იმ დროს ნახა ცხენით სატრიალებელი წისქვილი, რომელიც ჩვენებს გაეკეთებინათ საჭიროებისათვის.*) წისქვილი ძრიელ მოსწონებია წალენჯიხელ ეპისკოპოსს და უთხოვნია მისი გამკეთებელის პატრისათვის, წასულიყო მასთან წალენჯიხის საეპისკოპოსოში, რათა იქაც გაემართა. პატრიც წაჰყვა, გაუკეთა წისქვილი, როგორიც უნდოდა. ეპისკოპოსს ძრიელ მოეწონა და კარგადაც დაასაჩუქრა პატრი; მას აქეთ ძრიელ შეგვიყვარა თუ გამკეთებელი პატრი და თუ ჩვენ ყველა ერთიანად, ახლა შეიქმნა უმეტესად საყვარელი, ჩვენი კეთილის მყოფელი და საუკეთესო მეგობარი, რადგან ახლა ყველგან გვაქებს და, კარგად გვიხსენიებს. ხშირად გვეწევა დიდის და უხვის წყალობით: მოწყალებად გვიგზავნის ეკლესიისათვის წმიდა სანთელს, რომელიც მთელ წელიწადს გვყოფნის, გვიგზავნის ხშირად და ბლომად ღვინოს, მეტადრე წრეულს, რომ მო-

*) ეს წისქვილი ოთხი ადვილად სატრიალებელი ქვით ყოფილა. ამის ნახვაზედ მეგრელები თურმე ძრიელ ჰკვირდებოდენ და პირჯვარს იწერდენ. დადიანსაც ძრიელ გაჰკვირებია და თავისთვისაც გაუკეთებინებია.

სავალი სრულებით არ იყო; ეგრეთვე საჩუქრად გვიგზავნის ცხვრებს, ძროხებს; ხშირად ჰპატიჟობს წისქვილის გამკეთებელ პატრს თავის საუკეთესო მამულებში ჰაერის გამოსაცვლელად და დიდათ ეალერსება არა მარტო მას, არამედ ყველა ჩვენთაგანს, როდესაც მის სახლში მისვლა მოგვიხდება, რადგან აქაურებში ყველაზე უფრო ნასწავლი, ყველაზე უფრო გულისხმიერი და ადვილ შესათვისებელია. ყოველ ამ ღირსებას მარტო თავისის სათნოებით მიეწია. სიამოვნებით წარმოგვიდგენს ბევრს საეჭვო კითხვას სარწმუნოებისას; ეგრეთვე გვკითხავს ევროპიელის მთავრების ამბავს, მეტადრე რომის პაპის ამბავს და ყოველსავე, რაც შეეხება რომის სამთავროს. გულმოდგინებით ისმეს ჩვენს პასუხს. ცხადად აღიარებს, რომ მეგრელი მღვდლები ნათლიღებას სწორედ არ ასრულებენ, რადგან მათ წიგნებში ისე არა სწერია, როგორც ბერძნულშია და თავისი წიგნებიც გვაჩვენა. დადიანს ამ პატიოსანის ეპისკოპოსის დიდი პატივისცემა აქვს. აწინდელი კათალიკოსი კარგად ხნიერია. იმის სიკვდილის შემდგომ იმედი გვაქვს ეს გახდეს კათალიკოსი. თუ მართლა ასე მოხდა, როგორათაც ვევედრებით უფალსა, თუ ჩვენთვის და თუ ჩვენი მისიონისათვის ძრიელ კარგი იქმნება. ინებოს უფალმა ღმერთმა ისე, როგორც უფრო სჯობდეს.

„საეკკლესიო პირთა გარდა, ყველა ხარისხის და მდგომარეობის ერის კაცნიც ძრიელ გარგად გვეპყრობიან; ყველასი სათითაოდ ჩამოთვლა მეტად შორს წაგვიყვანს. ამათ შორის უფრო ღირსი პატივისა და ჩვენის განსაკუთრებულის ყურადღებისა აქაური უმთავრესი ბატონი ვამეყ ლიპარტიანი და მისი მეუღლეა. მთავრის სიკვდილის შემდგომ, შეიძლება მისი ტახტი ამას დარჩეს, რადგან უმახლობელესი და ღირსეული ნათესავია. ეს ბატონი და მისი მეუღლე, ასული ერთი გურული თავადისა, დიდსა და განსაკუთრებულს სიყვარულს გვიცხადებენ და პატივს გვცემენ, ისე, რომ ეგოდენი პატივის მიღება გვერცხვინება, კიდეც; ამიტომ ჩვენც დაუცხრომელად მადლობას ვწირავთ ღმერთსა. მართალია ჩვენც ჩვენის მხრით არას ვზოგავთ და რაც კი შეგვიძლია ვცდილობთ მათი გული მოვიგოთ და ვაამოთ....

„ღარიბსა და მდაბიო ხალხს რაოდნათაც კი შეგვიძლია, მუდამ სიყვარულით ვემსახურებით. ყველას უსასყიდლოდ ვაძლევთ ყველანაირ წამალს, როდესაც კი მოგვმართვენ, რაც თითქმის ყოველ დღივ ხდება; ეგრეთვე ვეწევით მათ სხვა თავიანთი საჭიროების დროსაც. ამა ყოველისფერს ვყოფთ მარტო იმიტომ, რომ ვეწიოთ ჩვენს მიზანს, ესე იგი, რათა მოვნათლოთ მათი ბავშები და ქორფები, მათ სულთათვის სასარგებლო რამ ველაპარაკოთ, უმღრთოება ავარიდოთ, გავწვრთნათ სარწმუნოებაში და ვაქმნევინოთ კეთილი საქმე, როგორათაც მოვალე ვართ, ვითარცა მისიონერები...

„ჩვენის სახლის მდგომარეობისას გაუწყებთ, რომ, ღვთის შემწეობით, თუ სახორციელო და თუ სასულიერო მხრით საკმაოდ კარგად მიდის... ჩვენი სასულიერო მდგომარეობაც ძლიერ კარგად არის...

„მესამედ, დიდის გულმოდგინებით ვწვრთნით იმ ბავშებს, რომლებიც ჩვენს ხელთ არიან და ითვისებენ საქრისტიანო მოძღვრებას; მათი ნიჭიერების დაგვარ ვასწავლით ეგრეთვე „მამაო ჩვენოს“, „გიხაროდენს“, „მრწამსს“ ღვთის მცნებათა და სხვა ლოცვებს, ეგრეთვე წირვის დროს დახმარებასაც. ეხლა გვყავს ერთი ათი წლის ბავში, რომელმაც ჩვენ დიაკვნებსავით ძრიელ კარგად იცის წირვის დროს დახმარება, კითხვა და ზეპირად ბევრი ლოცვა თუ ქართულად და თუ ლათინურად: საუცხოვო საყურებელია, როცა ამბობს. ჩვენი სახლის მოზდილ პირთ ყოველ კვირა და მთავარ უქმე დღეობით წირვას ვასმენინებთ და ნიადაგ ვწვრთნით, რათა სასუფეველის კეთილ გზას დაადგნენ...

...სამეგრელოდგან 16 სექტემბერს 1655.

პრეფექტო პატრი ანდრია ბორომე, პატრი ივანე მონთი, პატრი იოსებ ძამპი“. (1)

მოყვასისათვის ასე თავდადებით შრომობდენ მისიონერები, მაგრამ ცუდს ჰაერს ველარ გაუძლო მათმა აგებულებამ და მათგან ორი პატრი მონთი და მარსი გარდაიცვალნენ; დარჩნენ მხოლოდ პრეფექტო ბორომე და პატრი ძამპი. ერის თუ სულიერს და თუ ხორციელს ეგოდენ საჭიროებას ეს ორი ველარ ასდიოდა. არა ერთხელ მისწერეს რომას და მოითხოვეს ახალი მისიონერები, მაგრამ იქიდგან წამოსვლა ადვილად ველარავინ გაბედა. სამეგრელოში თეატინელების უდროვო სიკვდილმა ძრიელ დააშინა იტალიაში მყოფნი მათნი თანა მოძმენი. ამიტომ აღარავინ მოდიოდა ამ მისიონში. ბევრის ლოდინის შემდეგ რა ნახეს, ახალი აღარავინ მოდიოდა, პატრი ანდრია ბორომემ რომას წასვლა გადასწყვიტა. მისის წასვლის მიზეზი ერთის მხრით ის იყო, რომ თვითონაც დასნეულდა და მუშაობა აღარ შეეძლო, მეორის მხრით ის, რომ უნდოდა ახალი მისიონერები ეშოვნა სამეგრელოში გამოსაგზავნად. თავისი აზრი დადიანსაც შეატყობინა. მთავარი დათანხმდა იტალიაში გაეშვა იმ პირობით კი, რომ, სხვა მისიონერებს თუ ვერ იშოვიდა, მაშინ თვითონ მაინც მობრუნებულიყო. ეგრეთვე ნება მისცა ერთი თავიანთი ყმათაგანი საჩუქრად წაეყვანა. ამის შემდგომ გამოემშვიდობა დადიანს და წავიდა რომას 1661 წ. მაგრამ იქ ახალი მისიონერების შოვნა გაუჭირდა. პროპაგანდამაც რა ნახა, თეატინელთაგანი სამეგრელოში აღარავინ მიდიოდა, დააპირა გამოგზავნა კაპუცინებისა, რომლებიც იმ დროს ქართლს მოდიოდენ. ამ ამბავმა ძლიერ დააფიქრა თეატინელები და დიდად დანანდათ სხვისთვის დაეთმოთ ეგრეთი ნაყოფიერი მისიონი, სა-

დაც ეგოდენი ნაშრომი ჰქონდათ. ამიტომ აღმოჩნდენ წამომსვლელები და მალე, ესე იგი 1663 წ. დეკემბრის 7, მოვიდენ სამეგრელოში პატრი პეტრე ჯირჯენთი, პატრი ანდრია ნესტა და ძმა კარლო ჯულიანი. ამათი მოსვლა დიდად სასიხარულო შეიქმნა თუ მეფისა და თუ ყველა ოდიშართათვის. ახალი მისიონერები დიდის გულმოდგინებით შეუდგნენ საქმეს. მათმა მისიონმა უწინდელებრ აღორძინება დაიწყო. პროპაგანდის დასამშვიდებლად პატრი ძამპიმ 1665 წ. ერთი ვრცელი მოხსენება გაუგზავნა და აუწყა ყველა თავიანთი მეცადინეობა და ნაყოფიერი შრომა. სხვათა შორის იმ წერილში ეუბნება: მთავარმა ბევრი თავად-აზნაურის შვილი მოგვანდო კათოლიკე სარწმუნოებაში გასაწვრთნელად; ჩვენს ეკკლესიაში მეგრელები მრავლად მოდიან, ქადაგებას, წირვა-ლოცვას გულ მხურვალებით ისმენენ, აღსარებას გვეუბნებიან და ეზიარებიანო.

რომაში რა მოისმინეს მისიონის ესრეთი წარმატება, მალე ახალი სხვა ორი მისიონერი პატრი იაკობ ვიქარიისა და პატრი იოსებ თორაჩელი გამოგზავნეს. მაგრამ ისინი რა მოვიდენ კოსტანტინეპოლს, შეიტყეს სამეგრელოში მომხდარი ომის ამბავი და 13 ივნისს, 1667 წ. რომაში კარდინალს აცნობეს: „ჩვენი მისიონის ამბავი ძრიელ სამწუხაროა, სამეგრელოს მთავარი მტრისაგან ძრიელ შეწუხებულია, ჩვენი სახლი ერთიან გაუოხრებიათ და ჩვენები აქეთ-იქეთ გაბნეულან. ინებოს ღმერთმა, როცა იქ მივალთ, ფეხის მოსაკიდი ერთი ადგილი ვიშოვოთ. ეს ყველა მოგვითხრა პატრი კარლო სან-მარინელმა კაფუჩინმა, რომელიც ეხლა იქიდგან მოვიდა და რომას მოდის. მაინც კი ჩვენს ბედს ვსცდით და უკან არ დავიხევთ გასაჭირის წინაშე. შევიტყეთ, რომ იქაური ეკკლესსიიდგან წაუღიათ თუ წმიდა ჭურჭლები და თუ ეკკლესიის სხვა ნივთები, ამიტომ აქვე ვიშოვეთ ზარძიმი და ლანგარი. დანარჩენებიც, რაც საჭირო იქმნება, იმედი გვაქვს, ვიშოვოთ“. (1)

ამავე პატრს, 8 ოქტომბერს 1666 წ. იმერლებისაგან სამეგრელოს მოოხრების ამბავი მიუწერია რომაში მოკლედ დი მასთანვე აუწყებდა, რომ ამ ომისას ყველაფერს დაწვრილებით შეიტყობთ პატრი ჯირჯენთის ვრცელი წერილიდგანო. წერილი ერთსა და იმავე დღეს არის გაგზავნილი. მისი აქ მოყვანა შორს წაგვიყვანს, რადგან საკმაოდ ვრცელია და ჩვენთვის საჭიროც არ არის. ხოლო მოკლედ მოვიხსენიებთ შემდეგს: 1665 წ. სამეგრელოს მთავარს დადიანს დაუწყია ომი იმერეთის მეფესთან, მაგრამ დამარცხებულა. რადგან ამ დროს მდინარე დაპატარებული იყო, ამისთვის ცხენებით გასულან იმერლები და აუკლიათ ერთიან სამეგრელო, ეგრეთვე მისიონერების სახლი და ეკკლესიაც; ყველა მათი ავეჯეულობა წაუღიათ, ყმები ტყვედ წაუყვანიათ,

საქონელი აღარაფერი გაუშვიათ, ყველა წაუსხამთ; პატრებისათვისაც ბევრი შეწუხება მიუყენებიათ. უფროსისათვის ხელები უკან გაუკრავთ და გულზედ შუბი დაუჭირებიათ, რათა რაც ფული ჰქონდა, ყველა მიეცა; გაუშიშვლებიათ და მარტო პერანგის ამარა დაუტოვებიათ; ასე რომ მშიერ-მწყურვალნი დარჩენილან: ვერც ხალხისაგან რამ შემწეობა მიუღიათ, რადგან ყველა ისევე გაშიშვლებული დარჩენლა. ამიტომ პატრი თავისს უფროსს სთხოვს საჩქარო შემწეობას, რათა მშიერი არ დაიხოცონ.

იმერლები არ დაჯერებულან ამას და სამეგრელო ხელმეორედ აუკლიათ. როგორც პატრი ანდრია ნესალი სამეგრელოდგან სწერს რომაში 15 სექტემბერს, 1667 წ. ამ წლის იანვარში იმერეთის მეფე უცბად დასცემია თავს მეგრელებს, ერთიან აუკლია კიდევ სამეგრელო, ვისაც გაქცევა და დამალვა ვერ მოუსწრია, ტყვედ წაუყვანიათ და ეგრეთვე დაუტყვევებიათ თეათინელების ერთი მორჩილი ძმაცა, რომელიც შემდეგში დიდის შეწუხებით და თავადების შუამდგომლობით ძლივს გათავისუფლებულა.

რადგან პატრი იოსებ ძამპიმ ათ წელიწადზედ მეტი დაჰყო სამეგრელოში, რომამ ნება მისცა, უკან დაბრუნებულიყო იტალიაში და კიდეც წავიდა 1665 წ. *) ხოლო ამ მისიონს რა შემოაკლდა კაცი და შესაფერი პირიც ადვილად ველარ იშოვეს გამოსაგზავნათ, პროპაგანდამ სთხოვა პატრი ძამპის, რომ ისევ უკან დაბრუნებულიყო; მასვე მისცა უფროსობაც. სამეგრელოს სიყვარულისათვის თავს იდო ხელმეორე მისიონი და მობრუნდა სამეგრელოში 1669 წ. სექტემბერში. რადგან სამეგრელოს საპატრონებლად იტალიაში ადვილად ველარავის პოულობდენ, რომამ, 15 დეკემბერს 1670 წ., პატრი ძამპის ნება მისცა, რათა სამეგრელოდგან ორი ახალგაზრდა კათოლიკე გაეგზავნა პროპაგანდის კოლეგიაში, რომ გაწვრთნილნი მღვდლად კურთხეულიყვნენ და უკან დაბრუნებულიყვნენ თავიანთი მოძმეების მოსავლელად. სამწუხაროდ არავითარი წერილი გვაქვს იმის შესახებ, თუ ვინ გაიგზავნა რომაში სამღვდელოდ.

პატრი ძამპი სამეგრელოში დაბრუნებისთანავე გულმოდგინედ შეუდგა შრომას. მალე დააყენა ფეხზედ ბევრჯერ განადგურებული მისიონი და ააყვავა უწინდელებრ. მაგრამ საუბედუროდ, ბევრხანს ველარ გასტანა. ლევან დადიანის სიკვდილით სამეგრელოს კეთილდღეობასაც ბოლო მოეღო. თითქმის ისე წელიწადი არ გავიდოდა, სამეგრელო რომელსამე მტერს არ აეკლო. რა საკვირველია; ხშირს ომს და გამუდ-

*) მისიონერები 10 წლის ვადით მოდიოდენ საქართველოში.

შებით ქვეყნის მოოხრება მისიონსაც დიდს ზარალს და დიდ დაბრკოლებას აძლევდა. თუმცა კი ხელში არა გვაქვს, მაგრამ პროპაგანდის ერთი წერილიდგან ვიცით, რომ პატრი ძამპის რომაში, 30 აგვისტოს 1670 წ. მიუწერია და უცნობებია ახალი ომისა და სამეგრელოს არევ-აკლების ამბავი. პატრი ძამპი 1672 წელსაც სწერს კიდევ ახალის არეულობის ამბავს და ამბობს, მეფის მინისტრმა კაცია ჩიქოვანმა (Cacia Ciquani) მთავრობა ხელში ჩაიგდო და ბევრი უსამართლობა ჩაიდინა, რაის გამო პატრებმა ბევრი გაჭირვება გამოვიარეთო. (1)

იმ დროებში საფრანგეთის ახალ მწვალებელ პროტესტანტებს თავიანთი შეცთომების გასამართლებლად განუზრახავთ აღმოსავლეთის ეკკლესიისათვის სხვა და სხვა ცილი დაეწამებინათ. ეს მწვალებლები ამბობდენ თურმე, რომ აღმოსავლეთის ეკკლესიას წმიდა ზიარების პურისა და ღვინის სახით იესო ქრისტეს ნამდვილი მყოფობა არა სწამსო. ამიტომ საფრანგეთის მთავრობას მიუმართავს მთელის აღმოსავლეთის ქრისტიანებისათვის და მოუთხოვნია, შემოეთვალათ მათი სარწმუნოება ამ საგნის შესახებ რას აღიარებდა, რათა მით მწვალებლები გაემტყუნებინა. კოსტანტინეპოლში საფრანგეთის ელჩმა დე-ნუანტემ (De Nointe) 19 ივლისს 1672 წ. მოსწერა პატრი ძამპის და სთხოვა სამეგრელოს ეპისკოპოსებისათვის გამოერთმია მათივე ხელმოწერილი აღსარება სარწმუნოებისა. პატრი ძამპიმ მიმართა მაშინვე მთავარს, კათალიკოსს და ეპისკოპოსებს და ადვილად გამოართვა ესრეთი საბუთი ქართულად და მეგრულად დაწერილი, ყველასაგან ხელმოწერილი და ბეჭედ დაკრული, ლათინურად სთარგმნა და ორივე გაუგზავნა საფრანგეთის ელჩს იმავე წელს დეკემბერში. ეს სარწმუნოების აღსარება შეიცავს 9 მუხლს და სრულიად თანახმაა კათოლიკე სარწმუნოებისა. რადგან ამისი ქართული დედანი ხელში არა გვაქვს, ამისათვის საჭიროდ არა ვრაცხთ მისი ლათინურის ტექსტის აქ მოყვანას და ქართულად თარგმნას.

სამეგრელომ ომისა და მოოხრებისაგან წელში ვერ წამოიწია. გამუდმებით არბევდენ ხან აფხაზები, ხან ჩერქეზები და სხ. ერთიანად აოხრებდენ, აღარც პირუტყვს და აღარც კაცს უშვებდენ და ყოველგვარს უბედურებას აყენებდენ. პატრი ძამპის რომის წერილი მიუწერია ამის გამო. წერილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1674 წ. გაგზავნილი, სადაც იგი, სხვათა შორის, ამ ამბავს აგვიწერს: „სამეგრელო, სამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებულია. აღარავის ჰყავს საქონელი და ყველას სარჩო აკლია... ახლა კაცს აღარ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების დაცემის შიშშია, თვით ხომალდები, რომლებიც სავაჭროდ მოდიოდენ კავროს და მიარბილაში, ახლა შიშის გამო ანარგიაში

მიდიან. ეგრეთვე ხმელეთზედ ვიდრე ოლასყურამდე აფხაზებისა ეშინიათ, რადგან იქაურობას ხშირად იკლებენ, რისგამო არკამაში ჩვენი ხალხი ღამით ტყეშია გახიზნული და დღისით დარაჯები ჰყავსთ დაყენებული. ისე დაშინებულნი არიან, რომ ჩრდილიც კი აფრთხობს და გაქცევას აწყებინებს. ოჰ! რაოდნად ვსტირი ჩემს უბედურებას! წმიდა კრებამ რა მომანდო ეს მისიონი, დიდი ნაყოფის გამოღების იმედი ჰქონდა, მაგრამ ომებმა უსარგებლო გამხადეს. რავდენისამე ნიჭიერი ახალგაზდის გამოგზავნას ვაპირებდი პროპაგანდის კოლეგიაში, მაგრამ დაუსრულებელმა ომებმა, ურთი ერთ შორის უთანხმოებამ და კაცის მკვლელობამ ნება არ მომცა, ყველა ჩემი კეთილი სურვილი ამესრულებინა. ვცდილობდი გურიაშიაც გამევრცელებინა მისიონი, როგორც წინათ მოგწერეთ, მაგრამ იქ თავისუფლად შესვლა ვერ მოვახერხეთ, რადგან ჩვენი მთავრის დიდი მტერია გურიელი, რომელიც სამეგრელოდგან გურიაში გაიქცა, რათა უშიშრად ყოფილიყო. ანარგიაში მყოფ საღი ათაბას (Saghi Ataba) ლევან დადიანის უწინდელ ვეზირს, მასთან მეგობრობა და კარგი განწყობილება ჰქონდა; ამისგამო მთავარმა, მასზედ რა ეჭვი შეიტანა, დაატყვევა და ერთ ღამეს წაიყვანა მეჯოლორის (Megiogori) ტყეში და მოაკვლევინა. ამ ნაირად ამ კეთილის საქმისაგანაც ცარიელი დავრჩი. ღმერთმა ესე ინება“..... (1)

ამ დროს პატრებს აღარც სახლი და აღარც ეკკლესია ჰქონდათ, უბინაოდ აქა-იქ დადიოდენ; საჭმელად ხშირად მხალის მეტი არა ჰქონდათ რა. ამ დიდი გაჭირვების გამო პატრი ძამპიმ სთხოვა, რომას ნება მიეცა უკან დაბრუნებისა და მის მაგიერად სხვებს გამოეგზავნა. მისი თხოვნა მაშინვე ვერ შეასრულეს და დააცდევინეს, ვიდრე 1679 წლამდე. ამ წელს 24 აგვისტოს სამი ახალი თეატინელი მღვდელი პატრი ონორათ დრაგო, პატრი გაეთანო ტურქო და პატრი ფრანჩისკე ბეცი მოვიდენ და მოიტანეს თან ბევრი საჭირო ნივთეულობა, მასთანვე საკმაო ფულიც. პატრი ძამპი აქ ბევრ ხანს აღარ გაჩერდა. ამავე წელს სექტემბრის 14 წავიდა იტალიას. სულ 25 წელიწადი დაჰყო სამეგრელოში, საიდგანაც ბევრი წერილი გზავნა რომას სამეგრელოს შესახებ. მისი წერილი ბევრი გვაქვს, მაგრამ ყველა კი ვერ ვიპოვეთ. რა მოვიდა რომას, კარდინალებს წარუდგინა სამეგრელოს შესახებ ვრცელი მოხსენება, სადაც მოკლედ აღწერილია მეგრელების ნაკლულოვანება სასულიერო საგნებში, მათი სარწმუნოება და ამბობს, ეკკლესიის დოგმატები ყველა შეწყნარებული აქვთო; ეგრეთვე მოუთხრობს, რასაც შვრებოდენ თეატინელები სამეგრელოში. ჩვენ მარტო ამ მესამე ნაწილს მოვიყვანთ.

„...იქ მოსული ჩვენი მღვდლები გულმოდგინე შრომით სპობენ იქაურ შეცთომილებას.

„ახლა ნათლიღებისა მოგახსენოთ. მრევლის მღვდლებს ასწავლიან, რაც კი რამ საქიროა ამ საიდუმლოების შესრულებისათვის. თუ ამა, თუ იმ ახალგაზდაზე ეჭვი შეგვივიდა, იქნებათ სიყრმის დროს სრულად არ იყოს მონათლულიო, მაშინ ისეთს ახალგაზდას ჯერ სარწმუნოებას აღვიარებინებთ, ცოდვებს მოვანანიებინებთ და შემდგომ პირობით ვნათლავთ, რათა ბავშები მოუნათლავად არ დაიხოცნენ. როცა, ხშირად მოხდება, ჩვენი მამები სახლ და სახლ დადიან, რომ მათ გაჭირვების დროს უშველონ და ავათმყოფებს დაეხმარონ და ამ კაცთ-მოყვარეობითი საქმისათვის მათ ხშირად იბარებენ, მკურნალობის მიზეზით ნათვლენ ბევრ ავადმყოფ ბავშსა, რომელთაგან ბევრნი მონათვლის შემდგომ კვდებიან. თუ კერძო და თუ საჯარო ქადაგებით მშობლებს აგონებენ, ცრუმორწმუნებას თავი დაანებონ და თავიანთის შვილების მონათვლა არ დააგვიანონ; თან უხსნიან მოუნათლაობა გავნებსთო.

„ჩვენი მღვდლები ხან მოძღვრებით, ხან კერძო ლაპარაკში ფიცხლად ჰკიცხვენ მრავალ ცოლობას, რაც შვილის შეძენის აზრით შემოუღიათ და ცხადათ უჩვენებენ, რომ ეს წინააღმდეგია ქრისტეს სჯულისა და ქრისტიანებრივის კეთილ-ზნეობისა *).

„სწყევლიან იმ ყოვლად საზიზღარ სიბოროტეს, რომ, ცოტა სარგებლობისათვის, თათრებზედ ჰყიდიან მაცხოვრის სისხლით დახსნილს მონათლულ მორწმუნეებს, რომლებსაც საუკუნოდ წარწყმედის განსაცდელში აგდებენ.

„მათ ცრუ ფიცს და სხვა ყველა უსჯულოებას ვკიცხავთ. ჩვენი სიტყვა უნაყოფოთ არ რჩება, რადგან, ღვთის მადლით, კარგად გვისმენენ.

„რათა აღსარება ხშირად სთქვან და არაფერი დაფარონ, ორს რასმე ვშვრებით: პირველად არც რასმე ვსთხოვთ და არც რამ საჩუქარს ვღებულობთ იმათგან, ვისაც აღსარებას ვათქმევინებთ, რადგან, როცა სცნობენ, მათი მღვდლებივით პირად ინტერესს კი არ ვეძებთ, არამედ მხოლოდ მათი სიკეთე გვინდა, უფრო ადვილად აღიარებენ თავიანთ ცოდვებს ჩვენს მამებთან. პატრებიც ერს ურჩევენ აღსარება გულწრფელად აღიარონ ხოლმე და ამისთვის გულზე დასაკიდის ჯვრებისა და ხატების ჩუქებით აქეზებენ. მეორედ, ვპირდებით, მარადის საიდუმლოდ დავიცვათ ყოველივე, რასაც მათგან აღსარებაში მოვისმენთ და კიდეც გულიც, რომ ამოგვგლიჯონ, მაინც მათგან გაგონილს მცირე ცოდვასაც კი არავის გაუმჟღავნებთ. ამის გამო, რომ ყვე-

---

*) თურმე ჩვეულებად გამწდარიყო, რომ ვისაც პირველის ცოლისაგან შვილი არ მიეცემოდა, ის პირველთან მეორე ცოლსაც ირთავდა, რათა შვილი შესძენოდა.

ლო ცოდვას გვიცხადებენ, აღიარებენ, ჩვენ შეუნდობთ და საჭირო დარიგებასაც ვაძლევთ, შემდეგში ესრეთი ცოდვები აღარ ჩაიდინონ.

„ამათში ის ცრუმორწმუნოებაც არის, რომ მიცვალებულთა საფლავებზე პირუტყვებს ხოცვენ და ჰსჯერათ მიცვალებულთ ცოდვები მიეტევოს და ცხონდენ. ჩვენი პატრები წინაააღუდგნენ და დაავალეს, რომ საქონელი მღვდლის უკურთხებლად სხვა ადგილს დაჰკლან და მათი ხორცი გლახაკებს დაურიგონ, თუ უნდათ, რომ მიცვალებულთა სულს მით ულხინონ.

„ჩვენს ეკკლესიაში ვქადაგებთ, საღვთო მსხვერპლს ვსწირავთ და რომის ტიბიკონისამებრ სხვა ყველა წმიდა მსახურებას დაუბრკოლებლივ ვასრულებთ. მღვდელმსახურებას მეგრელები მრავლად ესწრებიან და ეგრეთვე სხვა უცხო ქრისტიანებიც, რომლებიც კოსტანტინეპოლიდგან მოდიან სპარსეთში წასასვლელად, სამეგრელოში სტუმრად რჩებიან, ჩვენთან აღსარებას ამბობენ და ეზიარებიან.

„კოლხიდის მთავარმა ბევრი კეთილშობილთა ყაწვილი მოგვაბარა გასაწვრთნელად და სარწმუნოების პირველ დასაწყისის ცოდნის სასწავლებლად. ასე იმიტომა ჰქნა, რომ ჩვენზედ კაი აზრისაა, ვინაიდგან რაც მის სამფლობელოში ვართ, არავინ გაუყიდიათ ჩვენის შემწეობით, ანუ რჩევით და არც რამ მცირე საჩივარი მას ჩვენზედ მისვლია. ხალხიც გვემადლიერება, რადგან კარგად იცის, რომ ჩვენ მარტო მის სახორციელო და სასულიერო სარგებლობას ვეძებთ, ამიტომ ღმერთს მუდამ ევედრებიან, დიდხანს დავრჩეთ მათ ქვეყანაში.

„ჩვენი მოციქულებრივი მოღვაწეობა დღითი-დღე მომეტებულს ნაყოფს გამოიღებდა, რომ ამ მთავრის მტრები და სამეგრელოს მოსაზღვრე ხალხი, როგორიც არიან ალანები, ჩერქეზები, ჯიქები, აფხაზები და სხვა, ამ ქვეყანას მუდამ არ ეკლებოდენ და ერსა და პატრებს არ აწუხებდენ. თუ ეს შიშიანობა არ დავივიწყეთ, ზემო დასახელებული ნაყოფიც მცირედ არ ჩაითვლება.

„სამეგრელოში წამოსვლის დროს, დავსტოვე ოთხი მღვდელი და ერთი მორჩილი ძმა, რომლებიც სიბრძნით შესანიშნავნი და სხვათა ცხონების სურვილით გამსჭვალულნი არიან. ამიტომ იმედი გვაქვს, ღვთის კურთხევით, დატოვებული უფლის ვენახი უფრო ნაყოფიერი შეიქმნეს ჩვენის მამების ღვაწლით 14 სექტემბერს 1679". (1)

პატრი ძამპის წასვლის შემდგომაც არ შეწყვეტილა ომი. კიდევ შემოსულან აფხაზები და იქაურობა სულ გაუნადგურებიათ. ამ დროს პატრებსაც დიდი შეწუხება გამოუვლიათ, რავდენსამე დღეს აქეთიქეთ დამალულან და ისე ძლივს გადურჩენიათ სიკვდილისაგან თავი. სხვები უსახლკაროთ აქეთ-იქეთ გაფანტულან. ვგონებთ იმ დროებშივე უნდა

გაქცეულიყოს რავდენიმე პატრი გურიაში, სადაც გიორგი გურიელმა დიდის სიყვარულით მიიღო, ეკკლესია და რაც კი საჭირო იყო, ყველაფერი მისცა. ამ ხანებში დადიანი ლევან მეორეც გარდაიცვალა. პატრი ტურქო ამ ამბავს რომაში მოკლედ სწერს ესრედ: „... ვაუწყებ თქვენს მაღალს ღირსებას, რომ გასულ თვეებში ამ ქვეყნის მთავარი გარდაიცვალა. ახალი მთავარი ჯერ არ არის არჩეული, რადგან დაატყვევეს მიცვალებულის მთავრის შვილი, რომელსაც სჯულისამებრ ეკუთვნის სამეფო. ახლა ლაპარაკია და მომავალ თვეში აირჩევა ახალი მთავარი ამ ქვეყნის მმართველად. ინებოს ღმერთმა, ის თავადი დაინიშნოს მთავრად, რადგან ძრიელ ვუყვარვართ და დაგვპირდა, თუ წინანდელ ჭიპურიას სახლში ველარ დადგებით, ადგილს და ეკკლესიასაც მოგცემთ, რათა შეიძლოთ თქვენი მოციქულებრივის მსახურების ასრულებაო... სამეგრელოდგან, 12 ოქტომბერს 1681 წ. პატრი კაითანო ტურქო“. (1)

რომაში რაკი მუდამ სამეგრელოს აკლებისა და მისიონის დარღვევის ამბავი მოდიოდა, პროპაგანდამ პატრებს ნება მისცა, დაეტოვებინათ სამეგრელო და სპარსეთს, ან ტრაპიზონს წასულიყვნენ. ამ დროს პატრებმა უზომო თავგანწირულება და სიყვარული გამოიჩინეს სამეგრელოსთვის. რადგან პროპაგანდა სამეგრელოს დატოვებას არ უბრძანებდა, არამედ მარტო ნებას აძლევდა, ამის გამო მისიონერებმა იქ დარჩენა ირჩიეს და, მრევლის სიყვარულისათვის, თავს იდვეს განეგრძოთ შრომა და ღვაწლი და არავითარს ტანჯვა-შეწუხებას არ დარიდებოდენ.

ლევან დადიანის სიკვდილის შემდგომ აფხაზების მთავრის სუსტარ სარაზიას შვილი სარეკ სარაზია (Sarrech Sarrasia) გამოცხადდა სამეგრელოს მთავრად, რადგან იმას დაეპყრო აქაურობა. იმან რა დაიწყო მმართველობა, მაშინვე ყურადღება მიაქცია პატრებს. რავდენი პატრიც კი იპოვებოდა იქ იმ დროს, ყველა გაგზავნა ლარიკუკაში (Lariciuca) მახარებელ ლატარია მღვდელთან, რათა იმდენი შეწუხების შემდეგ იქ დაესვენებინათ. იმ დროს განმავლობაში თავისი ხარჯით პატრებს აუშენა სახლი და შეუკეთა ეკკლესია. რაც კი შეიძლებოდა, მათი ეკკლესიიდგან გაძარცული შესამოსები და ნივთები შემოჰკრიფა; ხოლო რაც ვერ იპოვეს, მაგიერ თავის გულუხვობით შეუვსო დანაკლისი, ასე რომ უწინდელებრ მისიონი ფეხზე დააყენა. ამნაირად ლევან დადიანის არ იყოს, ეს მთავარიც მისიონერების დიდი მოყვარე, მათი კეთილის-მყოფელი და მათი მფარველი შეიქმნა.

სამეგრელოში მყოფ ბერძნის მღვდელ-მონაზონებს შეშურდათ, რომ ახალი მთავარი პატრებს დიდის სიყვარულით ეპყრობოდა და შემწეობას აძლევდა. ამიტომ პატრებს მტრობა დაუწყეს: ერში მათ-

ზედ სხვა ოდეს სხვა ქორი გაავრცელეს, ბევრი ეცადნენ პატრებ-ზე მთავრისათვის გული აეცრუებინათ; თავიანთი მოხერხებით და გაიძვერაობით მალე ეწივნენ. მათი გავლენით მთავარმა პატრებს მტრულად დაუწყო ყურება; ეგრეთვე ერმაც მთავრის მაგალითს მიბაძა; რადგან მართლა ეგონათ, პატრები იყვნენ ყოველის უბედურების მომქმედნი: თავი დაანებეს მათთან სიარულს და მათი წირვა-ქადაგების მოსმენას. ასე რომ პატრები, ბერძნების წყალობით, უმწეოდ დარჩნენ, ყველასგან დატოვებული და ყველასგან მოძულებული. მაგრამ ბერძნების მოხერხებულმა ფანდმა ბევრ ხანს არ გასტანა.

ახალი მთავრის ბიძაშვილს ყაფო სარაზიას (Quappo Sarrasia) ჰქონ-და წმიდა სტეფანეს ვერცხლის ძეგლი ერთი ადლის სიმაღლე, (75 სან-ტიმეტრი, alta te palmi) შემკული ძვირფასის თვლებით; დიდი შიში და პატივი ჰქონდა იმ ძეგლისა. სიმდიდრის წყურვილით გამსჭვალულმა ბერძნებმა ის ძეგლი, როგორც იყო, მოიპარეს. ბევრი ძებნის შემდგომ, ყაფომ თავისი ძეგლი ჰპოვა იმ ბერძნებთან, რის გამო მათგანი ასზედ მეტი მოაკვლევინა; ხოლო ვინც გადარჩა, გაქცევით თავს უშველა. შვიდი თუ რვა იმათგანი პატრებმა თავიანთ სახლს შეაფარეს და სიკვ-დილს გადაარჩინეს. ყაფომ ეს არ აკმარა ბერძნებს. ბრძანება გამოსცა, ჩემ ნება დაურთველად ბერძნის მღვდელმა არავინ გაბედოს ჩემ სამთა-ვროში დგომაო. ამ გარემოებამ კარგად აუხილა თვალი სამეგრელოს მთავარს. ცხადად ჰსცნო პატრების უდანაშაულობა და მათი პატიოსნება, მეტადრე როდესაც შეიტყო, რომ თავიანთი მოსამსახურე ბერძნებისათვის სიკეთე ექმნათ და სიკვდილისაგან გადაერჩინათ. ამისგამო უფრო შეუ-ყვარდა იგინი და დაუწყო მათ პატივისცემა უწინდელზედ უფრო ერთ-გულად; შეიქმნა მათი მორწმუნე იმ ზომამდე, რომ ყოველ დღე დაია-რებოდა მათ წირვაზედ და თვითვე ეხმარებოდა წირვის დროს, რაც იშ-ვიათი მაგალითია თვით დასავლეთის მთავრებშიაც. (1)

გიორგი გურიელთან შეხიზნულ პატრებ შორის იყო პატრი გაე-თანო ტურქოც, უფროსი თეატინელი მისიონერებისა. გიორგიმ რა უმი-ზეზოდ დაუწყო ომი იმერეთის მეფეს, დამარცხდა ბრძოლაში და კიდეც მოკლულ იქმნა. რადგან ძრიელ მიღებული ჰყავდა პატრები, პატრი ტურკოც თან ახლდა ომში მთავარსა; დამარცხების დროს იგი ტყვედ ჩაუვარდა ერთ იმერელ აზნაურს ლიპარიტა მიქელაიას (Lipariza Miche-laja), რაიცა დიდათ გაუხარდა აზნაურსა. სამეგრელოს მთავარმა ასი პია-სტრი გადაიხადა და პატრი ტურქოც როგორც იყო, ტყვეობისაგან იხსნა.

სამეგრელოს მისიონმა აღყვავება დაიწყო, მაგრამ ბევრ ხანს არ გასტანა მათმა კეთილდღეობამ; რადგან 10 აპრილს, 1685 წ. ერთი რაღაცა უსიამოვნების გამო, რომელიც მოუხდა სამეგრელოს მთავარს თა-

ვის ნათესავს, აფხაზების მთავართან, აფხაზები შემოესივნენ და სამეგრელო აიკლეს, აგრეთვე პატრების სახლიც, მაგრამ, როგორც იყო, მალე დაწყნარდა იქაურობა. პატრებმა განაგრძეს შრომა, რაშიაც მათ დიდად ხელს უწყობდა სარეკ სარაზია, სამეგრელოს მთავარი. მისმა გულკეთილობამ ძრიელ მიიზიდა პატრები, რომელთაც გადასწყვიტეს არსად წასულიყვნენ და სამეგრელოში დარჩენილიყვნენ. მასთანვე მოინდომეს, რომაც დაეყოლიებინათ, რათა სხვაგან წასვლის წინადადება ხელმეორედ არ გამოეგზავნა და რაც შეიძლება, დახმარება აღმოეჩინა. ამიტომ რომას გაგზავნეს ერთი პატრი, რომლის წასვლისათვის ძლივს გამოსთხოვეს მთავარს ნება და იქაურს კარდინალს ეს წერილი გაუგზავნეს: „გამუდმებულმა ომებმა აქაური ქვეყანა ერთიან მოახრა; შვიდი წლის აქეთ-იქეთ სიარულის შემდგომ, მოვბრუნდით ჭიპურიას მისიონში ჩვენს მამებთან, რადგან ცოტა დაწყნარდა აქაურობა. გარნა ღმერთმა უწყის, თუ როგორ მოვბრუნდით, სცნობთ პატრი გაეთანო რასპონის პირით, ანუ წერილით: იგი გავგზავნეთ კონსტანტინეპოლს, რათა თქვენს უმაღლესობას უფრო კარგად აუწყოს, თუ რა ნაყოფი გამოიღო ჩვენმა შრომამ ომს გადარჩენილ მეგრელთა შორის; აუწყოს აგრეთვე ამბავი იმ საბრალო ბავშვებისა, რომლებიც, ჩვენ რომ აქ არ ვიყოთ, მოუნათლავად დაიხოცებიან... ამიტომ გადავსწყვიტეთ დავრჩეთ ამ მისიონში, თუმცა კი დიდად ძნელია შეუწყვეტელის ომების გამო. გარდაწყვეტილი გვქონდა აქაურობის დატოვება, მაგრამ რა დავფიქრდით, თუ რა ვნება მოეცემოდა ამ საბრალო სულთ, ვარჩიეთ, რათა განვაგრძოთ აქ ყოფნა და იესო ქრისტეს სიყვარულისათვის, შეწუხების გაწევა... ჩვენი შრომა და შეწუხება ეგოდენია, რომ თუ ყოველივე აღვწეროთ, დიდათ შეაწუხებს თქვენს უმაღლესობას. ხოლო გაუწყებთ, რომ ტყვედ დამიჭირეს და ბორკილი გამიყარეს; ჩემს გასათავისუფლებლად თხოულობდენ 700 სკუდს, ანუ რავდენსამე ყმას. არც მე და არც ჩვენი მამები დათანხმდენ, გარნა ჩვენმა გულკეთილმა მთავარმა დამიხსნა და მომცა რავდენიმე მოსახლე ყმაც და დამაფიცა, არ დავტოვო იგი, არამედ ვემსახურო. ამიტომ თქვენს უმაღლესობას გამოვუგზავნეთ ზემოდ ხსენებული პატრი რასპონი; მისი გამოგზავნა დიდად გაგვიჭირდა, რადგან მთავარი არ უშვებდა. ამიტომ ფიცი მისცა, ან თვით დაბრუნდეს და ან სხვა პატრები გამოგზავნოს. მისგან უფრო კარგად სცნობთ ყველა იმ საინტერესო და სასარგებლო საქმეებს, რომელსაც ვყოფთ ჩვენს მისიონში. სამეგრელოდგან, 19 მაისისა, 1686 წ. პატრი გაეთანო ტურკო და პატრი იოსებ ტოფაჩელი". (1)

პატრი რასპონის წინათვე უნდოდა იტალიაში წასვლა, მაგრამ მთავარმა არ გაუშვა, გემების წასვლაზე დარაჯები დაუყენა და ერთ სახლ-

ში გამოამწყვდევინა; რათა ჩუმათ არ გაპარულიყო. ხოლო როცა გემები წავიდა, მაშინ გამოიყვანა, ჩვეულებრივად პატივი სცა, რათა იტალიაში წასვლის ფიქრზე ხელი აეღო და ქადარძს გაგზავნა (Cadarz) თავად სიმონ დათუისკარიასთან (Datuscaria), რომელმაც რა სცნო მთავრის აზრი, რაც შეეძლო პატივი სცა და გაართო იგი. პატრი იქიდგან გაგზავნა ალანებთან (Alani) და თან გააყოლა ორი მისი მეგობარი მეგრელი: ჩეზარუკ ჩხოლარია (Cesaruc Scorelia), პაპუნა ქობაკია (Pappuna Cobacchia), კიოსინო ალბარია (Chiosino Albaria) და ჯუჯანცა ბორქია (Giugianza Borchia), ეგრეთვე ერთი მოსამსახურეც. ოთხი დღის სიარულის შემდგომ მოვიდენ ალანეთს და ჩამოხტენ მთავარ ბუზლაკ სამაზენიასთან (Buslac Samasenia), რომელმაც დიდის პატივით მიიღო პატრი, როგორც სარეკ მთავრის საპატიო კაცი და რაც შეეძლო არაფერი დააკლო მის გართობას. პატრი ორ თვეს დარჩა და შემდგომ მობრუნდა სამეგრელოში და დიდი მადლობა მოახსენა მთავარს ესრეთი პატივისცემისათვის. (2)

როცა პატრებმა კარგად გააგებინეს მთავარს, იტალიაში ყველას გვიბარებენ და საჭიროა ეს მაინც გაუშვათო, მაშინ ისიც დათანხმდა გაეშვა მხოლოდ პირობისათვის უთხრა, ან შენ დაბრუნდი, ან სხვები მაინც გამოგზავნე შენს მაგივრადო.

პატრი რასპონი ჯენუას რომ მივიდა, ვიდრე რომას ჩავიდოდა, ეს წერილი გაუგზავნა პროპაგანდას: „ეს არის ფოსტით მივიღე თქვენი მეტად საამური წიგნი, რომლითაც მაუწყებთ, რომ წმიდა კრებას სამეგრელოს მისიონები უკან დაუბრუნებია. ეს მოწოდება იქაც მოვიდა და იქაურმა მთავარმაც შეიტყო. მაგრამ სრულებით არ უნდა ჩვენი გაშვება. მეც, რის გაჭირვებით, ძლივს გამომიშვა, როგორათაც ჩვენ ფრიად პატივცემულ გენერალთან და წმიდა კრებასთან მოწერილი წერილებიდგან სჩანს. გარნა, ამისდა მიუხედავათ, გაუწყებ რომ თუ იქაურობა არ დამშვიდდა, ჩვენმა მამებმა საჭიროდ დაინახეს იქაურობას თავი [illegible] დაანებონ, მეტადრე ახლა. რომლისაც ადვილად შეიძლება მოზღვრილითა მი-რისაც დიდი ნაყოფი გამოვიღოთ, ვინაიდგან იქ აღარ არიან ჩვენის ქადაგების მოწინააღმდეგე ბერძნები. ეგრეთვე ჭეშმარიტად გარწმუნებ, რომ ახლანდელ მთავარს ძრიელ ვუყვარვართ; სულმუდამ ჩვენსას მოდის სადილად და ეგრეთვე წირვის დროს მოსამსახურებლად; რაც ამ მხარეს მისიონი გვაქვს, არცერთი ამბავი ჯერ არავის სმენია. გარდა ამისა, ჩვენის რჩევით გამოსცა ბრძანება, რომლითაც სიკვდილის სასჯელით უკრძალავს ყველას ყმაწვილების გაყიდვას. აქიდგან შეგიძლიათ სცნოთ, თუ რაოდენად [illegible] ჩვენის სარწმუნოებისა... არ ვიცი, სხვა რა მოგწერო, თქვენვე განსაჯეთ, ნუ თუ სასარგებლოს იქმნება დატოვება

ასეთის მისიონისა, რომელშიაც ჩვენმა მამებმა ბევრი ოფლი ჩაღვარეს. ამ ჯენუადგან, 4 იანვარს 1682 წ., პატრი გაეთანო რასპონი". (1).

რასპონიმ შემდგომ რომას სამეგრელოს შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინა. ხოლო ის მოხსენება ხელში არა გვაქვს. ეგრეთვე ეცადა ახალი მისიონერების გამოგზავნას, მაგრამ ერთის მეტი ვერ იშოვა. იგი იყო პატრი გაეთანო ქავაცა, რომელიც მოვიდა სამეგრელოში 1691 წ. და იქვე მიიცვალა 1694 წ. თუ სამეგრელოს ცუდი ჰაერისა და თუ იქაური შეუწყვეტელის ომების გამო, სხვა თეატინელების მისიონერებმა ველარ გაბედეს წამოსვლა. დარჩა მარტო ორი მღვდელი პატრი ტურქო და პატრი ტორიჩელი, რომელთაც სამეგრელოს დატოვებას იქვე სიკვდილი არჩიეს. ერთი გარდაიცვალა 1699 წ. და მეორე 1700 წ.

აი, ასე სამწუხაროდ დასრულდა თეატინელების მისიონი სამეგრელოში, სადაც სამოც წელიწადზედ მეტი იღვაწეს. ამდენი შრომა და სიკეთე დასდვეს სამეგრელოს ხალხსა. თუ მათის ქადაგების და ღვაწლის ნაყოფმა ჩვენამდ ვერ მოაწია, არც მათი ბრალია და არც ხალხისა, არამედ უნდა მიეწეროს იმ აღურაცხველ ომებს და სხვა და სხვა გარემოებას, რომლის სამწუხარო თეატრად გარდაქცეულიყო სამეგრელო.

ნაწილი მესამე.

კათოლიკობა იმერეთში.

იმერეთში კათოლიკობის გავრცელებისა ძრიელ ცოტა გვაქვს საბუთები. ამის მიზეზი ის არის, რომ, რადგან იმერეთის მეფე სპარსეთზედ უფრო დამოუკიდებელი იყო, ვიდრე ქართლ-კახეთის მეფე, ქართველ მთავრად ევროპელები უფრო ამას სთვლიდენ და ხშირად Iberia, Georgia-ს სახელით იმერეთს გულისხმობდენ. ამისგამო უნდა ვსთქვათ, რომ ყველა ის უწინდელი საბუთები, რომელიც საქართველოს კათოლიკებს შეეხება, ეგრეთვე იმერეთსაც ეკუთვნის.

ვიდრე მისიონერებზე დავიწყებდეთ ლაპარაკს, მოვიყვანთ ურბანო პაპის წიგნილს, რომელიც 1626 წ., სხვა მეფეებთან ერთად მოსწერა იმერეთის მეფესაც.

„ურბანო VIII, ქართველ იმერეთის მეფეს.

„კეთილშობილო კაცო, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი.

„თქვენის კეთილშობილების სახელი, რომელსაც პატივს სცემენ ერნი კავკასიის მთებიდგან დაწყებილი, ვიდრე კასპიის ზღვამდე, უცნობი არ არის ვატიკანის მთავრობისა და საქრისტიანოს მამისათვის. ამისგამოა, რომ გაახლებთ წერილს, რათა დავიმსახუროთ თქვენი პატივის-

ცემა და გამოგიცხადოთ ჩვენი სიყვარული. გვსურს, თქვენის კეთილშობილებისაგან რომლისამე შესანიშნავის კეთილის საქმით ერთ დღეს დავალებულ შეიქმნას რომის ქალაქი, რომელიც ყველა ტომთა სამშობლო და ღვთაებრივის მოძღვრების მასწავლებელია და რომელსაც ევროპის უძლიერესთა მეფეთა ქრისტიანებრივის მორჩილების ხარკი მიუძღვნეს. ესევე მეფენი იხდიან თავიანთ სამეფო გვირგვინს და რომის მღვდელთ-მთავრის მოციქულებრივ ფერხთა კდემით ემთხვევიან. განა მარტო ესენი? თვით აზიის შორეული ქვეყნის მთავრებმა, სპარსეთის მეფეებმა მოგვმართეს და გვთხოვეს მეგობრობა; ეგრეთვე იმ დიდად დაშორებულმა იაპონიამაც, ამ ჩვენს საუკუნეში, წარმოგზავნა დიდის დიდებით ელჩი, რათა ამ მოციქულებრივის მთავრისათვის მოეძღვნა პატივისცემა თავის შორის მყოფი მთავრებისა. ჩვენი ძალი და ქება უფალია, და რომის საყდრის უფლებაც მონიჭებულია მისი ყოვლად შემძლებელის სახიერებისაგან. გარნა ამ საეკკლესიო მთავრობას ვალად აქვს, იშრომოს ცხონებისათვის ამ სოფლისა, რომელიც იღუპება, და მფარველობა გაუწიოს კაცთა ნათესავსა. ამ უმაღლესი და დიდებული სამოციქულო საყდრიდგან ვსჭვრეტთ მთელს ქვეყანას, სადაც კი სცხოვრებენ ადამიანნი, ვცდილობთ გავუღოთ მათ სასუფევლის კარი და მასთანვე მოვუვლინოთ მეომარ ანგელოზთა გუნდი. ამას არა ვყოფთ მარტო ნატვრით, ვინაიდგან შეეხება ღვთის სახელის დიდებას, არამედ დღე და ღამ ვფიქრობთ და ვეძებთ სათანადო საშუალებასაც, რისგამოც თვით მტერნიც იძულებულნი ხდებიან აღიარონ, რომ რომის საყდარი ზრუნავს ეგრეთვე დიდად დაშორებულ ტომთა ბედნიერებისათვის. ამ მწყემსებრივის სიყვარულის წადილის განსახორციელებლად, მოიპოვებიან ისეთი მღდლები, რომლებიც ირჩევენ ხოლმე შორს ქვეყანაში მწირობას, ვიდრე შემტკბობ მამულსა. კეთილის სურვილით გამსჭვალულნი გადადიან მაღალ მთებს, ებრძვიან ზღვის ტალღებს, არ უშინდებიან და შედიან თვით მხეცთა სამყოფში და არც ერიდებიან კაცთა უწყალობას. სხვათა სულთა ცხონებისათვის საშრომელად თავს არა ზოგვენ და ეგოდენ განსაცდელში ცვივიან. ნუ თუ მოიპოება სადმე ისეთი ბარბაროსი ერი, რომელმაც ესენი, ვითარცა უცხო ქვეყნიდგან მოსულნი, სიყვარულით არ მიიღოს და არ გაუმასპინძლდეს? ესენი არ ეძებენ არც სიმდიდრეს და არც მფლობელობას ნატრობენ: ამათ გამარჯვებად ის მიაჩნიათ, რომ თავიანთი სიკვდილით მოუპოვონ ბედნიერება ერთა, ხოლო მათ მთავრებს დიდება. მტრის ულმრთოებამ იმ ზომამდე ვერასოდეს მიაღწევს, რომ მათ ჩაუნერგოს სიძულილი, რადგან მათ უყვარსთ თვით თავიანთი მტერნიც და ვინც მათ სიკვდილს დაუპირებენ, იმათთვისაც სთხოვენ ღმერთს საუკუნო ბედნიერებას. ესრეთის აზრებით არიან გა-

მსჭვალულნი ეს მღვდელ-მონაზონები, რომლებსაც აქ ვგზავნით ქართველების ქვეყანაში. ვსცანით რა თქვენი კეთილშობილება თავის გვირგვინზედ სიმტკიცედ დიდების მოპოებას და უმანკოთა მფარველობას რაცხს, იმედი გვაქვს, ჩვენ მღვდლებს მიაგოთ სიკეთე. ამითი თქვენ ამაგს დასდებთ რომასა და მისს მღვდელ-მთავარსა, ხოლო იგინი ჩვენ გვანუგეშებენ ასეთის ამბის მოწერით. ასეთის გულმოწყალებით თვით ღმერთსაც დაავალებთ, რომელიც თავის ზეციერის საუნჯისაგან უხვად მოგანიჭებს სასყიდელსა. ვინ იცის, რამდენ გზის დაიწყეს დიდსულოვანმა მეფეთ ომი, რათა თავიანთი სახელი სხვა უცხო ტომთა შორისაც განეთქვათ. თქვენი სიკეთის დამხსომებელი რომაც გპირდებათ უხვად დაასაჩუქროს თქვენი დიდებულება. იმერეთის და ბაშიაჩუკის მეფევ, უკეთუ ამ მღვდლებს მოუსმინეთ, თქვენი მფარველობა აღმოუჩინეთ და მიუშვით, რომ ქართველთა ქვეყანაში მოჰფინონ საღვთო სიტყვის თესლი, დარწმუნებული იყავით, თქვენს სახელს მოხარული რომა კურთხევით მოიხსენიებს. ხოლო მეფეთა მამა და სარწმუნოების მცველი რომის პაპი, თავის სამოციქულო კრებასა და სამღვდლო ქალაქთან ერთად, ევედრება ღმერთს, თქვენ კეთილშობილებას დაუმორჩილოს ერნი და მიანიჭოს ზეციერი კურთხევა, რათა თქვენისთანა მთავარმა მიიღოს უხვად ცხოვრების ნაყოფი და სანატრელის ბედნიერების სასყიდელი, რომით. 4 ივლის 1626, ჩვენი მღვდელ-მთავრობის მესამე წელსა". (1)

ეს წიგნი იმერეთის მეფეს პატრებმა გადასცეს თუ არა, ან თუ გადასცეს, როდის, სრულებით არაფერი ვიცით, რადგან ამისი არავითარი საბუთი შეგვხვედრია. არც ის ვიცით, თეათინელი მისიონერები პირველში ამ სამეფოშიაც მოვიდნენ, ან გამოიარეს თუ არა. ხოლო შემდეგში კი ყოფილა იმერეთში, ერთი მათგანი, ისიც ცოტა ხნით. ამ ამბის აწერას ეხლა შევუდგებით.

თეათინელის მისიონერების სიკეთე თუ გურიასა და თუ სამეგრელოში, ყველგან განითქვა. იმერეთის მეფის ალექსანდრეს ყურამდინაც მიაწია მათმა ამბავმა. ძალიან უნდოდა თავის სამეფოში ჰყოლოდა ესრეთი სასარგებლო პირები. ელოდა, იქნება თვითონ მოვიდნენო, მაგრამ რა ნახა, მოლოდინი უნაყოფოდურჩებოდა, მაშინ თვითვე დაიწყო მათი ძებნა, რაც საქართველოს სხვა მთავრებს არ ექმნათ. ამიტომ დადიანს მიმართა, გაუგზავნა ელჩად ბენსანგო ნოსოდორი (Bensangus Nosodor) და გაატანა ერთი წერილი. ამ წერილით და ელჩის პირითაც დადიანს დიდად ეხვეწებოდა: ძალიან მჭირია, დროებით პატრი ქრისტეფორე კასტელი გამომიგზავნეო, როცა გამიკეთებს საქმეს, მერე უკანვე გამოგიგზავნიო. ეს ის პატრი ქრისტეფორეა, რომელიც წინეთ გურიაში იყო და სახელი განითქვა ხალხთა შორის, როგორც ზემოდ

ვნახეთ, ელჩნე ათაბაგის ასულის გაკათოლიკებითა; იგი მეტად დახელოვნებული მხატვარი და მკურნალი იყო. დადიანმა ეს ამბავი შეატყობინა პატრს, რომელიც სიამოვნებით დათანხმდა. მისი სურვილი მაშინვე აცნობა ალექსანდრეს ელჩს, რომელმაც გადასცა პატრს მეფის წიგნი, დადიანის წერილთან ერთად წამოღებული. ამათ დრო არ დაკარგეს. მოემზადნენ თუ არა, დაადგნენ იმერეთის გზას: მაისში 1644 წ. და ოთხი დღის უკან მივიდნენ ქუთაისს. თურმე მთელი ქალაქი ფეხზე დამდგარიყო პატრის მოლოდინში. მეფეს დიდი სამზადისი უქნია; და ყველა თავის დიდებულთა თანადასწრებით და დიდის ამბით, მიუღია პატრი ისე, როგორც დიდებულ მთავრებს მიიღებენ ხოლმე. ამ ამბავს მისი ისტორიკოსი მოკლედ ესე მოგვითხრობს: „მაშინვე, რა დღესაც მივიდა, წარსდგა მეფის წინაშე. მეფის ბრძანებით სასახლე მორთული და დაეგოთ ძვირფასი სპარსეთის ხალიჩები. ეგრეთვე მოუწოდა მეფემ ყველა წარჩინებულთა დიდების ასამატებლად, თვითონაც შეიმოსა საუკეთესო ტანისამოსი. რა დაინახა მომავალი, ადგა ტახტიდგან, წინ მიეგება, სიყვარულით გადაეხვია და საპატიო ადგილს დასვა“. (1) ასეთის მიღების შემდგომ მეფე პატრს მიეალერსა და მოისვა გვერდით, და უთხრა სიტყვა, რომელსაც იტალიურიდგან ვსთარგმნით, რადგან ქართულად არ არის: „ღვთის მონავ, კარგა ხანია, თქვენმა სათნოებამ განაბრწყინა საქართველოს სამეფონი. თუ ჩემი სამეფო უკან ჩამორჩა სხვებს და თქვენი სიკეთე არ ეღირსა, ამის მიზეზი ის კი არ იყო, რომ მე და ჩემი სამეფო თქვენს აქ ყოფნას არ ვნატრობდით; არა, ამის მიზეზი სულ სხვა სამწუხარო ამბავი იყო. რა შევიძელი თქვენი მოწვევა, მაშინვე მივმართე ჩვენს ბიძაშვილს მეფეს დადიანს და ვსთხოვე თქვენი თავი, რომელსაც დიდი ხანია ვნატრობდი. რა კეთილ ინებეთ და მოხვედით, დიდათ გავიხარეთ. ამის უმეტეს სიკეთეს თქვენ ვერ გვიზამდით. აწ დარწმუნებული იყავით, რომ ჩემი პატივისცემა და შემწეობა არ მოგაკლდებათ, ყოველი თქვენი ნება ასრულებული იქმნება, თქვენს დაცვას ჩემს ვალადა ვრაცხ“. (1)

ცოტა ქვემოთ დავინახავთ, მეფემ როგორ მტკიცედ აასრულა თავისი დაპირება. შემდეგ ლაპარაკში გაერთვნენ. მეფემ ჯერ ჰკითხა პაპის ამბავი, შემდგომ ევროპის მმთავრებისა, მათი მმართველობისა, ვაჭრობისა და მხედრობისა. ნადიმის შემდეგ პატრი მეფემ მოსასვენებლად ერთ ძვირფასად მორთულ ოთახში გაგზავნა.

მეორე დღეს მეფემ პატრის მომყვანს ნასიდოროს უთხრა, ეგრეთვე შეკაზმულ ცხენზე შეესვა პატრი და მთელი ქუთაისი დაეტარებინა. ამ ბრძანების შესასრულებლად, ვიდრე პატრი გამოიღვიძებდა, ნასიდორომ რავდენიმე წარჩინებულთან ერთად მიიყვანა ცხენი და პატრის

კარზედ დაუცადა, როგორც მისი ისტორიკოსი მოგვითხრობს: „მეორე დღეს ნასადილევს დიდებულებთან ერთად მივიდა და მეფის სახელით აუწყა შემჯდარიყო ცხენზე, რომელიც მიართვა. ცხენი ძლიერ მშვენიერად შეკაზმული იყო იქრომკედით და თვალ-მარგალიტით. ამ ცხენით მასთან ერთად უნდა დაეარათ ქუთაისის ქალაქი.“ (2)

პატრს ძლიერ გაუკვირდა, რა ნახა ესეთი მომზადება. მეტი გზა რომ არა ჰქონდა, გაჰყვა ქალაქის სანახავად, მაგრამ ეს კი სთხოვა, ცხენი გამომიცვალეთ, რადგან მონაზონს არ შეეფერება ასეთ სამეფოდ მოკაზმულ ცხენზე ჯდომაო. თუმცა მხლებლები ბევრი ეხვეწნენ, ამას ნუ ინებებთო, მაგრამ ვერაფერი გააწყეს; მაშინ წავიდენ და მეფეს მოახსენეს პატრის სურვილი. მეფე მაინც არ დათანხმდა ცხენის გამოცვლას და შეუთვალა, ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება მეტი პატივი გცეთ და ნუ გაგვაწბილებთო. მეტი გზა აღარ ჰქონდა, პატრი ძალაუნებურად დათანხმდა. ქალაქში ცხენით ამბით სიარულის დროს ყველგან დიდ-ძალი ხალხი უხვდებოდა და შესაფერს პატივს უცხადებდა, რადგან ყველანი ხედავდენ, მეფე რანაირის პატივით ეპყრობოდა. ქალაქის დათვალიერების დროს პატრს მეტად გაუკვირდა ეკკლესიების სიმშვენიერე და მათი სიმდიდრე; ეგრეთვე ავიდა, ნახა ციხეც, რომელიც იმ დროს შესანიშნავი ყოფილა. რა დაასრულა ქალაქის დათვალიერება, მივიდა მეფესთან, მადლობა მოახსენა და დიდად უქო ქალაქის მდებარეობა-მოწყობილობა, მისი მეიდნები და სიმშვენიერე. მეფეს მით უფრო ესიამოვნა, რომ პატრი მხატვრობაში გამოცდილი იყო და იცოდა ესეთის საგნების დაფასება.

რითაც კი შეეძლო მეფეს, თავს არ ზოგავდა, პატივი ეცა და სიყვარული გამოეცხადებინა პატრისათვის. ხშირად თავისთან სადილად იწვევდა, ყველა, თუ კერძო და თუ სამთავრო საქმეში, მას რჩევას ჰკითხავდა; ეგრეთვე დედოფალთან ერთად ხშირად ესწრებოდა მის წირვას, რომლის მოსმენის გამო დიდად კმაყოფილი იყო. რადგან პატრი კასტელიმ მხატვრობა იცოდა, მეფემ რამდენიმე წმიდანის ხატი დაახატვინა. რაკი ძლიერ მოეწონა, კვალად სთხოვა თავისი და დედოფლის სახის გადახატვაც, რის გამო მეფე დიდად კმაყოფილი დარჩა. მეფეს მისი პატივი დღითი-დღე უძლიერდებოდა; მას თავის „სიამოვნებას“ უწოდებდა. ერთხელ სამეფო სუფრაზე მის ქებაში რომ იყვნენ და მის სხვა და სხვა სათნოების შესახებ ლაპარაკობდენ, მისის სიყვარულით გატაცებულმა მეფემ წამოიძახა, ასეთ კაცს ვერ მოვიშორებ და დადიანს აღარ დავუბრუნებო საზოგადოებაში. ასე დაუფიქრებლად წარმოთქმული სიტყვა, როგორც ცოტა ქვემოდ დავინახავთ, იაფად არ დაუჯდა.

პატრმაც დაიწყო თუ სულიერად და თუ ხორციელად ზრუნვა ერისათვის, დაუწყო მათ ქადაგება და სწავლება, როგორც გურიასა და სამეგრელოში ექმნა, ეგრეთვე შეუდგა მათ წამლობა-კურნებასაც, რაოდენათაც კი შეეძლო. რადგან მარტო ეყო და შორს მდებარე სახლებში საარულის დრო აღარ რჩებოდა, მეფეს გააკეთებინა თავის სახლთან ახლო პატარა სასნეულე, სადაც სნეულებს აყენებდა და უმეტესის სადვილით უვლიდა. ამ თავგანწირულებით და ერის მიმართ გამოუთქმელის სიყვარულით ძლიერ მიიზიდა გული მეფისა, რომლის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. პატრმა მეფის ასეთი გულკეთილობა გამოიყენა და მოიპოვა მისგან მშვენიერი ეკკლესია და სახლიც, რასაც ასე მოგვითხრობს ისტორიკოსი: „პატრი რაც უფრო მეტს სიკეთეს უშვრებოდა ხალხს, მეფეც უფრო გულკეთილი და მოწყალე ხდებოდა. პატრმა სთხოვა მეფეს, სამეფო ქალაქ ქუთაისში დაემყარებინა თავისი ბინა. მეფემაც საბუთის ქაღალდით მისცა დიდათ შესანიშნავი წმინდა სოფიის ეკკლესია და რავდენიმე სახლიც თავის პალატთან ახლოს.“ (1).

რა დაისაკუთრა შვენიერი ეკკლესია, მორთო იგი ლათინურს წესზედ, დაიწყო ქადაგება და საეკკლესიო წესების აღსრულება. მთელს იმერეთში განითქვა მისი სახელი. ბევრნი, თუ დიდი და თუ პატარა, ესწრებოდენ მის სწავლა-დარიგებას და გულმოდგინებით მისდევდენ მის მოძღვრებას. პატრმა დაიწყო კათოლიკე სარწმუნოების გავრცელება ისე, როგორც ექმნა გურია-სამეგრელოში. ერის მხრით შეწყნარება არაფერი აღმოჩენია, რადგან ყველასგან პატივცემული იყო. ბევრი მიიზიდა და ყველაც მასზედ დიდის ქებით ლაპარაკობდა იმ ზომამდე, რომ ზეცით მოვლენილს უწოდებდენ.

როგორც სხვაგან, ისე აქაც, ბერძნებმა, რომლებიც ბლომათ იყვნენ, ჩვეულებისამებრ, დაუწყეს წინააღმდეგობა და მტრობა პატრსა. მეტადრე იმან გააბრაზა, რომ ისეთი მშვენიერი ეკკლესსია აჩუქა მის წინააღმდეგ მეფესა და ერთან ვერაფერი გაარიგეს და მოსწერეს თავიანთ პატრიარქს. ამდროს შემთხვევით კონსტანტინეპოლში ალექსანდრიის პატრიარქი მოსულიყო. წინა თავში ვსთქვით, თუ ყოველწლივ რაოდენი ფული გაჰქონდათ ბერძნებს საქართველოდგან. ხშირად ბერძნის ეპისკოპოსებიც მოდიოდენ საქართველოში ფულის მოსაკრეფად. რა საკვირველია, საქართველოს პროვინციებში კათოლიკე სარწმუნოების გავრცელება და ლათინის მისიონერების გამრავლება საგრძნობლად აზარალებდა ბერძნების მიერ ფულის მოკრეფის საქმეს. ამ გარემოებამ ძალიან დააფიქრა ბერძნების პატრიარქები. ერთმანერთში მოილაპარაკეს და ერთპირად დაადგინეს, რომ ერთი მათგანი მოსულიყო, ვინმე იმერეთში, რათა მეფისათვის ჩაეგონებინა და პატრი გაძევებინა. საქმე მიანდ

დეს კონსტანტინეპოლში დროებით მოსულს ალექსანდრიის პატრიარქს, რომელიც დაუყოვნებლივ მოვიდა იმერეთში. მეფე ყველა თავისი დიდებულებით და საეკკლესიო პირებით მიეგება პატრიარქს და მიიღო იმ პატივით, როგორათაც შესაფერი იყო. პატრიარქმა, შემდგომ ერთმანერთის მისალმებისა, აუწყა თავისი მოსვლის მიზეზი მეფეს; ეგრეთვე განუცხადა სამდურავი, რომ თავის სამეფოში მიუღია ლათინის მღვდელი დიდის პატივით და მიუცია მისთვის ეკკლესია და სხვა... საჭიროდ არა ვრაცხთ, მოვიყვანოთ აქ მისი საკმაოდ ვრცელი სიტყვა, რომელიც მოახსენა მას ლათინების წინააღმდეგ, რათა ეს პატრი ქრისტეფორე განედევნა თავის სამეფოდგან. ხოლო მოვიყვანთ მეფის მოკლე პასუხს. ამასაც იტალიურიდგან ვსთარგმნით. ყველასთვის ცხადია, რომ მეფის ნალაპარაკევს პატრი თავის ევროპელ ძმებს გადასცემდა იტალიურად და არა ქართულად, ან ბერძნულად. ამისათვის თარგმანთან ტექსტიც მოგვყავს.

„რაც ეს პატრი ქუთაისსა და ჩვენს სამეფოშია, ყველა მის სათნოებას ლაპარაკობს და ყველგანაც პატივცემულია. აქ ყველა მეფეები პატივს სცემენ და უნატრებათ მისი თავი. ხალხი ეგოდნათ მოხიბლულია მისი სათნოებით, რომ წმიდად რაცხვენ. გარდა ამისა, ამ ჩემს ქალაქში, მარტო სულთა ცხონების და ხალხის ხორციელის შემწეობის ზრუნვაშია. განურჩევლად ყველას ემსახურება და ყველას საკვირველის სიყვარულით ეპყრობა და დაუხმარებლად არავის აბრუნებს. ნუ თუ ამასავით ეწევიან ბერძნის მღვდლები, ავადმყოფებს და ჰკურნებენ უსასყიდლოდ? ჯერ არ მინახავს, იმათგან ვინმე მკურნალი ყოფილიყოს, ხალხისთვის წამალი მიეცეს. გარდა ამისა, მშვენიერად იცის წმიდანების დახატვა, ძლიერ კარგათ უხსნის საღვთო წერილსა, ჰქადაგებს, ყველას დიდის სიყვარულით ასწავლის, ბევრი ენა იცის, რისგამოც შეუძლია კარგად ასწავლოს ყმაწვილებს სხვა და სხვა მეცნიერება; ეგრეთვე განსაკუთრებით დახელოვნებულია ხუროთმოძღვრებაში, დიდის სიფრთხილით ყურადღებას აქცევს ძველის შენობის შეკეთებას და ახლებსაც მშვენიერად აშენებს. ერთი სიტყვით, რაც საჭიროება, საქმე და რჩევა იყოს, ყველაფერში მუდამ მზათ არის ეს ბერძნეს მღვდელი ქრისტეფორე. უნდა აღვიარო ჭეშმარიტად, რომ ასეთი კაცი ჯერ არ მინახავს. ახლა თქვენ განსაჯეთ, ნუ თუ უნდა მოვიშოროთ ასეთი დიდი და შესანიშნავი კაცი? თუ ორი ხელით უნდა დავებღაუჭო და დიდის სიყვარულით შევინახო; თქვენ კარგად უწყით, რომ მთავრებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამნაირ პირებს, რომელნიც თავიანთის ღირსებით შესანიშნავნი და სამეფოსათვის გამოსადეგნი არიან". (1)

მეფის ამნაირმა სიტყვებმა პატრიარქი მეტად გააკვირვა და ჩააჩუმა. [illegible] ყველაფერი გააწყო, გამოესალმა მეფეს და რამდენსამე გზის

პატრი ქრისტეფორეს დაუწყო ბჭობა სარწმუნოებისათვის, თუმცა ამითი გახდა რასმე; რა კარგად დაინახა მთელის ერის პატივი და სიყვარული ამ პატრისადმი, იმედი გადაუწყდა მისი განძევებისა და იძულებული გახდა ისევ გაბრუნებულიყო კოსტანტინეპოლსა. ხოლო რაც ამან ვერ აღასრულა, ის დადიანმა ჰქმნა.

დადიანმა რა შეიტყო, მეფე ალექსანდრე არ აპირებს პატრის უკან დაბრუნებასო, ძლიერ ეწყინა, რადგან, როგორც ვიცით, ალექსანდრემ მისიონერი დროებით სთხოვა. რადგან დადიანიც კარგად იცნობდა ქრისტეფორეს და დიდათაც აფასებდა მის ღირსებას, ხოლო ინდომა მისი ბევრხანს შორს ყოფნა. მალე ალექსანდრე მეფეს გაუგზავნა გაბრიელ სიმონია და თანაც გაატანა წიგნი, რომლითაც სთხოვდა, შეპირებისამებრ, უკან გაეგზავნა პატრი ქრისტეფორე. ამ ამბავმა ძრიელ დაალონა მეფე. მისწერა დადიანს საბოდიშო წერილი დაგვიანებისათვის, ეგრეთვე აცნობა, რომ მისიონერს ამ ჟამად ვერ ვისტუმრებ, რადგან შორს არის წასული ერთი საპატიო პირის საქმისთვის. რა მობრუნდა სიმონია და მოახსენა მეფის პასუხი, დადიანი ძრიელ განრისხდა მისი უარის გამო; ეჭვიც შეიტანა, ვითომც გაბრიელ სიმონიას მეფისაგან ქრთამი აეღოს. ამისგამო გაბრიელს უთხრა, სიკვდილით დაგსჯი, ქონებას წაგართმევ და ცოლ-შვილსაც ტყვედ გაგიყიდი, უკეთუ სასწრაფოდ პატრი იმერეთიდგან არ მოგიყვანიაო. თანაც ალექსანდრე მეფეს დიდი სამდურავი მისწერა და აცნობა, უკეთუ მალე პირობისამებრ, ქრისტეფორე უკან არ გამომიგზავნე, მთელის ჩემის ჯარით იმერეთს ქრთამად ავაოხრებო. ასეთმა ფიცხმა პასუხმა ძრიელ დაალონა მეფე, მაგრამ სხვა ღონე აღარ ჰქონდა; ლევან დადიანის ძალა ძირგად ჰქონდა გამოცდილი, მასთან ომს ვერ გაბედავდა, ამიტომ იძულებული გახდა გაესტუმრებინა თავისი დიდად საყვარელი პატრი ქრისტეფორე. „მეორე დღეს, როგორც მოგვითხრობს ისტორიკოსი, გაუმართა მას სადილი, დაასაჩუქრა ძვირფასი სამოსით, სხვა ნაირი საჩუქრები ბევრი მისცა და გაისტუმრა. ქართველები დიდათ სწუხდენ და სტიროდენ, რომ მათ შორდებოდა მათი მფარველი, რომელიც გაჭირვებაში ყველას დიდათ ეწეოდა“. (1) ხოლო დადიანის ელჩს კი დიდათ უხაროდა, რადგან ამითი თავი სიკვდილისაგან გადაირჩინა. ამან დრო აღარ დაკარგა და მაშინვე წაიყვანა პატრი 1646 წ.... ასე რომ ქრისტეფორემ ორი წელიწადი დაჰყო იმერეთში და დასტოვა დაუვიწყარი სახსოვარი. რა მივიდა სამეგრელოში, დადიანმა სამდურავი გაუმოუცხადა, ამდენს ხანს რად დამანებე თავიო, ხოლო შემდგომ მალე დაუწყო თავისი ჩვეულებრივი პატივისცემა და სიყვარულის გამოცხადება.

ასე მალე დასრულდა იმერეთში თეატინელების მისიონი. ისინი შემდეგში იმერეთს კიდევ მობრუნდნენ, თუ არა, არ ვიცით. ხოლო 28 ნოემბერს 1668 წ. საქართველოდგან ერთი კაპუცინი სწერს რომაში ესრედ:

„ქუთაისში არის თეატინელების ეკლესია. იქაური მეფე მოცემას შემოგვპირდა, უკეთუ წავედით და დავდგებით იმ ქალაქში“. (1) არც ესა სჩანს, მეფის მიწვევისაგამო კაპუცინები წავიდნენ მაშინ იმერეთს, თუ არა.

იმერეთის მეფეებს რომ ძალიან ენატრებოდათ თავიანთ სამეფოში კათოლიკე მისიონერები ჰყოლოდათ, ამას შემდეგიც გვიმტკიცებს. არჩილ მეფეს მოსკოვში გაუცვნია იეზუიტების მღვდლები, მათთვის უთხოვნია მისიონერების გამოგზავნა თავის სამეფოში, მასთანვე დაჰპირდა, რომის ეკლესიასთან შეერთებას და პაპთან თავისი ელჩის გაგზავნას. ეს ამბავი იეზუიტს გიორგი დავითს მოსკოვიდგან უცნობებია რომას თავისი გენერლისათვის და პროპაგანდისათვის მიუწერია პოლონეთში მყოფის ნუნციო კარდინალის საშუალებით. სამწუხაროდ, ამ მღვდლის მოწერილი არც ერთი წიგნი გვაქვს ხელში. ამაზე გვაქვს მარტო პროპაგანდის შემდეგი წიგნი, რომელიც მიუწერიათ კარდინალისათვის პასუხად.

„უფალს კარდინალს პალავიჩინოს, პოლონეთში მყოფ ნუნციოს, 12 იანვარს 1689 წ.

„მივიღეთ თქვენი უმაღლესობის პატიოსანი წერილი, მოსკოვიდგან იეზუიტ გიორგი დავითის მოწერილ წიგნთან ერთად, შესახებ იმისა, რაც მიუნდვია სამეგრელოს მეფეს არჩილს, ესე იგი, ეს მეფე თავის სამეფოსათვის თხოულობს მისიონერებს და ჰპირდება რომის სამოციქულო საყდართან შეერთებას და ეგრეთვე პაპთან საგანგებო ელჩის გაგზავნას. ეს რა ვსცანით, მაშინვე ვნახეთ იეზუიტების გენერალი, რომელმაც დამარწმუნა, რომ მასაც მიელო ესრეთი ამბავი ხსენებულის პატრი დავითისაგან და კიდევაც განკარგულება მიეცა პოლონეთისა და ბოჰემიის პროვინციებისათვის, რათა ჯერ გაეგზავნათ ორი მღვდელი, რომლებსაც იქაური გარემოება ყოველივე შეეტყოთ, რომ, მოწერილობის დაგვარ, შემდეგში ეხმარათ საჭირო ღონისძიება კათოლიკე სარწმუნოების გასავრცელებლად იქაურობაში. ეგრეთვე ამ ამბავს ვაცნობებ ჩვენს ბატონ პაპსაც და წარვადგენ პირველ კრებაშივე, თანახმად თქვენის უმაღლესობის ყოვლად ბრძნულის რჩევისა“. (1) აქ სამეგრელო შეცდომით უნდა იყოს მოხსენებული, ან მეფე არჩილ ეტყოდა თავის უწინდელ ტიტულს, რომლის თანახმად იმერეთი სამეგრელოსაც შეიცავდა.

ამ პირველად გაგზავნილის ორის პატრისა მხოლოდ ერთის შესახებ გვაქვს ცნობა. ის იყო პოლონელი პატრი ივანე გოსტოვსკი ვიდრე იმერეთს მივიდოდა, გამოიარა ტფილისში და იქიდგან, 24 აგვი-

სტოს 1690 წ. კარდინალს რომაში მისწერა წიგნი, რომლითაც სხვათა შორის, აცნობებს, რომ იმ დროებში ოსმალებს დაეპყრათ იმერეთი. წერილი საკმაოდ შესანიშნავია ტფილისის იმ დროის პოლიტიკებრივ და სულიერებრივ ცხოვრების მხრით და შემდეგში თავის ადგილს მოვიყვანთ. პატრი ტფილისიდგან იმერეთში წავიდა იმავე თვეში. იმერეთში რა ჰქმნა კათოლიკობის გავრცელებისა, არაფერი ვიცით. ხოლო მის ბიოგრაფიაში შემდეგს ვკითხულობთ: „იეზუიტი პოლონელი ივანე გოსტოვსკი საქართველოში იმერეთში მისიონერად იყო; ძრიელ კარგად იცოდა იქაური ენა და საერთო პატივისცემა დაიმსახურა ყველასაგან და თვით არა კათოლიკე ეპისკოპოსებისაგანაც. ეს მისიონერი ჟამ-შეყრილთა მოვლის დროს გარდაიცვალა 1738 წ.". (2). როგორც სჩანს, ამას იმერეთში დაუყვია 48 წელიწადი. ცხადია, მარტო არ უნდა ყოფილიყო, თან რავდენიმე თავისი ამხანაგიც უნდა ჰყოლოდა: ამის მიერ გავრცელებულის კათოლიკობის საბუთებს ჩვენამდე არ მოუწევია. მაგრამ უარს ვერა ვყოფთ, რომ ამას თავის ამხანაგებთან ერთად სარწმუნოების შესახებ ეგოდენი ნაყოფი არ გამოეღოსთ იმერეთში. უკეთუ ასე არ ყოფილიყო, შეუძლებელი იქმნებოდა, რომ ეს პატრი აქ იმდენ ხანს დარჩენილიყო, ყველგან შეყვარებულ-პატივცემული ყოფილიყო და კათოლიკე სარწმუნოება კი არ გაევრცელებინოს; მეტადრე იქ, სადაც თვითონველ მისიონერებს ეგოდენი პატივი და თანაგრძნობა აღმოუჩინეს; და სადა თვით მეფეები იწვევდენ მისიონერებს. არც ის ვიცით, თუ არჩილ მეფემ, როცა იმერეთი დაიპყრო, თავის მოწვეულ მისიონერებს, როგორ მოეპყრო და თავისი პირობა როგორ შეასრულა.

აი ეს მცირედი საბუთებიც საკმაო სიმტკიცეს გვაძლევს ვსთქვათ, რომ იმერეთში არა ნაკლებად გავრცელებულა კათოლიკე სარწმუნოება.

რავდენიმე წერილი კიდევ გვაქვს იმერეთის მეფეებისა და პაპისა, მაგრამ რა კი არ ეკუთვნის ამ საუკუნეს, აღარ მოგვყავს, ხოლო შემდეგში კი ყველას თავის შესაფერ ადგილს წარმოვადგენთ.

თ ა ვ ი VII.

ქართველი კათოლიკენი XVII საუკუნეში და კაპუცინების მოსვლა ქართლისა (1600—1700).

მართალია თეატინელმა მისიონერებმა ქართლი დასტოვეს და სამეგრელოს გადავიდნენ, მაგრამ საქართველოს ამ ნაწილიდგან სამუდამოდ არ წასულან, არამედ კიდევ დაბრუნების იმედი ჰქონდათ. იმათ შემდგომ გორში კიდევ იყვნენ ავგუსტინიანი მონაზონები, ვინაიდგან ნოემბრის 19 დღეს 1640 წ. აქიდგან მისწერა პატრი ამბროზიომ რომას ზემოდ ხსენებული წერილი ქეთევან დედოფლის წამების შესახებ. ხოლო ის კი არ ვიცით, ავგუსტინიანები შემდგომ აქ კიდევ რავდენ ხანს დარჩნენ. თეატინელები არამც თუ ქართლს ველარ დაბრუნდნენ, არამედ, როგორც ზემოდ ვნახეთ, სამეგრელოს მისიონის მართვაც გაუჭირდათ მისიონერების რიცხვის სიცოტავის გამო. რადგან რომ საქართველოდგან დიდ ნაყოფს მოელოდა, უმისიონეროდ აღარ დასტოვა. ამიტომ წმიდა ფრანჩისკეს მონაზონებს, ეგრედ წოდებულ კაპუცინებს, მიანდო საქართველო და მასთან სამეგრელოს მისიონიც იმ შემთხვევაში, თუ თეატინელი პატრები იქ საკმაოდ მისიონერების გაგზავნას ველარ შეიძლებდენ.

ახლა შევუდგებით იმის განხილვას, თუ რა შრომა გასწიეს კაპუცინთა ორდენის ბერებმა საქართველოში კათოლიკობის გასავრცელებლად. როგორც სხვა დროების, ისე ამათი დროების საბუთები ბევრი დაკარგულია, მაგრამ მაინც ბევრი აღმოვაჩინეთ სხვა და სხვა არხივებში და ყველა რომ გამოიცეს, ცალკე წიგნი დასჭირდება იმ საბუთებს. გარნა ყველას მოყვანას არ გამოვუდგებით. უმთავრესებს და რაც ჩვენს საგანს შეეხება, აქ მოვიყვანთ. ხოლო დანარჩენ წერილებს, თუ საჭიროდ დავინახეთ, შემდეგში ცალკე გამოვსცემთ. ამ საბუთების მოყვანის დროსაც, როგორც აქამდე, ჩვეულებრივ დავიცვავთ ქრონოლოგიურ წესს.

რომამ საქართველოს მისიონი კაპუცინებს მიანდო თუ არა, მალევე შეუდგა მათ გამოგზავნას. პროპაგანდამ 1661 წ. ივნისის ცამეტს, დეკრეტით პირველ გზობის გამოსაგზავნად დანიშნა რვა კაპუცინი:

პატრი ბონავენტურა სორენტელი, პ. ბერნარდო, წმიდა ონოფრიო, პ. კიპრიანე ქავალი, პ. იოსებ ბორგონიანო, პ. კარლო სანმარინელი, ძმა ანდრია თევრიკოლელი და ძმა ანჯელო ვიტერბელი. უფროსად დაუნიშნა პატრი ბონავენტურა და ყველანი დაუყოვნებლივ გამოისტუმრა. ოსმალებს რომ კონსტანტინეპოლში ერთად ნახულ იმათთვის რამე არ ევნოთ, ორ ჯგუფად გაიყვნენ; ერთი წინ წავიდა და მეორე რამდენისამე დღის შემდეგ უკან გაჰყვა. იმათგანი ერთი, პატრი კიპრიანე სმირნს მივიდა თუ არა, იქვე გარდაიცვალა. უფროსმა თავის ამხანაგებითურთ სამეგრელოზედ გამოიარა. იქიდგან საქართველოს გზას რომ დაადგა, ერთ მდინარეში ცხენი წაექცა და წყალში დაირჩო. მისმა ამხანაგებმა გზა აღარ განაგრძეს და დროებით სამეგრელოშივე შეჩერდნენ. უფროსის სიკვდილმა, გზაში გამოვლილმა შეწუხებამ და თუ სხვს გაჭირვებამ ძრიელ გული გაუტეხა პატრ. ბერნარდოს. ვეღარ გაბედა მგზავრობის გაგრძობა სამისიონეროდ და რომლითაც მოვიდა, იმავ ხომალდით გაბრუნდა კონსტანტინეპოლს. სამეგრელოში დარჩნენ მხოლოდ პატრი კარლო და ძმა ანდრია. ვეღარც იმათ გაბედეს ქართლს წასვლა. ამიტომ სამეგრელოში თეათინელებთან დარჩნენ დროებით. ხოლო დანარჩენი ამხანაგები წავიდენ აზრუმისკენ, საიდგანაც ქართლში უნდა შემოსულიყვნენ, მაგრამ იმ დროს ომების გამო ამ გზით ვეღარ შემოვიდნენ, არამედ სპარსეთი მოიარეს და ესრეთ დიდის გაჭირვებით, როგორც იყო, მოვიდენ ტფილისს. მათი აქ შემოსვლის თვე არა სჩანს. უნდა ყოფილიყო ან 1662 წლის დამლევს, ან 1663 წლის დამდეგს. პირველში მიუღია იგინი ქართველ ეპისკოპოსს თბილელს და კაი პატივითაც მოუპყრობია. კაპუცინებს რა შეუტყვიათ, მეფის მკურნალი რომის ნასწავლი, ქიოს კუნძულის ბერძენი კათოლიკე არის, მაშინვე მისთვის უცნობებიათ თავიანთი მოსვლა. ის მკურნალი, სახელად ანდრია ეპიფანე, იმ დროს იქ არ ყოფილა, არამედ თან ხლებია იმერეთს საომრად წასულ მეფეს. ამას თავის იქ მყოფის ძმისათვის შემოუთვლია, რათა თავის მობრუნებამდე კაპუცინები თავის სახლში მიეღო და კარგად მოჰპყრობოდა. როდესაც მობრუნდა, დიდი პატივისცემა დაუწყო კაპუცინებს და ყოველგვარი შემწეობის აღმოჩენა; მერე მეფეს წარუდგინა და გააცნო. ამის შუამდგომლობით მეფემაც ისინი პატივით მიიღო და არა თუ ნება მისცა აქ დარჩენისა, არამედ თვითონვე იყიდა ქალაქის შუა ადგილს ორი სახლი და კაპუცინებს აჩუქა, რათა ერთ სახლში დამდგარიყვნენ და მეორეში წირვა-ლოცვა შეესრულებინათ. რადგან მათი უფროსი აქ მოსვლისათანავე სამეგრელოს მდინარეში დაირჩო, უფროსობა დარჩა პატრი სერაფინო მელოჯიოკელს. ტფილისში დაბინავების ამბავი მალე აცნობა რომის პროპაგანდას და თავის უფროსს.

ოთხი წიგნი გვაქვს მიწერილი. მიწერილებია: ერთი 1663 წ. 7 მაისს; მეორეც 28 ივნისს; მესამე 2 ივლისს და მეოთხე, 23 ოქტომბერს. შინაარსით თითქმის ერთმანეთსა ჰგვანან, ამიტომ ჩვენც აქ მარტო ერთს მოვიყვანთ.

„ტფილისში მიგვიღო ამ ქალაქის ეპისკოპოსმა. ჩვენი მოსვლა ვაცნობეთ ბატონ ანდრია ეპიფანეს, გვაროვან ქიოთელს, ჭეშმარიტსა და მეტად ერთგულს კათოლიკეს, რომელიც მეფეს ახლდა იმერეთთან ოტეგხილის ომის დროს. მან გამოგზავნა თავის მამულში მყოფი თავისი ძმა, რომელმაც დიდის სიხარულით მიგვიღო თავის სახლში. დღევანდლამდე მასთან აქ ტფილისში ვართ... ვენახულეთ მეფესა, დედოფალს, კათალიკოსს და სხვა მთავრებსა. დავაარსეთ სახლი და ახალი მისიონი, თუმცა ეს ქართველი მეფე გამაჰმადიანებულია, მაგრამ მაინც ძრიელ კარგად მიგვიღო, ორი სახლი მოგვცა, რათა ერთში ჩვენ დავდგეთ და მეორეში პატარა ეკკლესია მოვათავსოთ. ეკკლესიაში უკვე ვწირავთ და მთელი ქალაქი ესწრება. ღვთის მსახურების შესრულების დროს ეკკლესია ქალაქის საუკეთესო პირებით ივსება: ესწრებიან ქართველები, სომხები, მამაკაცები, დედაკაცები, ეპისკოპოსები და მღვდლები... თვით დედოფალი, რომელიც ქართველი ქრისტიანია, ორჯელ მოვიდა და დაესწრო წირვას თავისი ორი შვილით და ყველა თავისი მხლებლებითურთ. ერთმა ქართველმა მღვდელმა, რომელიც დედოფლის სასახლეში დაიარება, მითხრა, რომ დედოფალმა ძრიელ აქო თქვენი წესი და წირვის შესრულება, ქართველ მღვდლებს საყვედური უთხრა, სასოებით არ სწირავთო და დაუმატა,, რომ პატრებს შემწეობას აღმოვუჩენ კათალიკოსის წინაშეო... ეს მთავარი არა თუ არ გვიშლის საღვთო მსახურების აღსრულებას, არამედ კარგადაც ვყევართ მიღებული, რადგან ხედავს, რომ ოქროსა და ვერცხლს არ ვეძებთ. როგორც თვითონ პატივს გვცემს, ეგრეთვე უნდა, რომ სხვებიც პატივით მოგვეპყრან. როდესაც კარგად შევისწავლით ქართულს ენას და ქადაგებას შევიძლებთ, იმედი მაქვს, მეტად დიდი ნაყოფი გამოიღოს ჩვენმა შრომამ; რადგან კაი გულის ხალხია; კაი მაგალითით და მოძღვრებით ადვილათ მიიღებენ კათოლიკე სარწმუნოებას“. (1)

ტფილისს მოსული კაპუცინები დიდ დაჭირვებაში იყვნენ ფულის მხრივ, რადგან სახარჯო ფული ჰქონდა იმათ უფროსს, რომელიც ფულთან ერთად სამეგრელოს მდინარეში დაიღუპა. ამ მხრითაც ხსენებულმა მკურნალმა ანდრია ეპიფანემ დიდი შემწეობა აღმოუჩინა იმათ, ყველაფრით დაეხმარა და რომაშიაც მათ შესახებ რამდენისამე გზის წერილები გაგზავნა. აქ მოვიყვანთ შემოკლებით მის ერთ წერილს, რომელიც ზემოდ მოყვანილ პატრი სერაფინოს წერილთან ერთად გაგზავნა რომას 7 ივლის 1663 წ.

„... დასასრულ, რაც შეიძლებოდა, ვეცადე მეფის წინაშე და მოუპოვე მათ ქალაქის შუა ადგილს სახლი და მიწა, საცა მოაწყეს პატარა ეკკლესია და ყოველდღივ ასრულებენ მღვდელთ-მოქმედებას. მათ წირვას მთელი ხალხი დიდის სიხარულით ესწრება და ყველას უკვირსთ. ღვთის სახიერების იმედი მაქვს, როდესაც შეისწავლიან კითხვას და ქართულ ლაპარაკს, ბევრი რამე გააკეთონ. კითხვას და ქართულ ლაპარაკს მევე ვასწავლი, როდესაც თავისუფალი დრო მაქვს. ღმერთია მოწმე, რომ არაფერს ვზოგავ, მათ შევეწიო, რითაც კი შემიძლიან; გარდა ამისა, პატრები იმდენად რა შეისწავლიან ქართულ ენას, რომ ქართველ მღვდელ-მონაზონებთან შვიდ საიდუმლოთა შესახებ საუბარს შეიძლებენ, მოკლე წიგნს შევუდგენ ამ საიდუმლოთა შესახებ. ამ წიგნში განსაკუთრებით აღვნიშნავ ყოველ შეცთომას, რომელსაც სჩადიან ქართველები ამ საიდუმლოთა აღსრულების დროს, შეცდომებს ვუსწორებ და თანაც ვასწავლი, როგორ უნდა შეასრულონ სისწორით. ვევედრები ღვთის სახიერებას, რათა თავისის მადლით შემასრულებინოს ჩემი სურვილი. უკეთუ თქვენს უმაღლესობას სასიამოვნოდ დაურჩება, გამოვგზავნი, რათა დაიბეჭდინოთ. უფლის შემწეობით მისიონი კარგად დამყარდა. მისიონერები ყველა თავიანთ ვალდებულობას ასრულებენ; მეტადრე როდესაც სცნობენ ამ ერის რაიმე სათნც საყოფელს, დიდის სიამოვნებით ასრულებენ, რათა მათი გული მოიგონ. აწ საჭიროა, თქვენმა უმაღლესობამ ამ მისიონს მოაწოდოს საჭირო შემწეობა. უამისოდ ჩვენი შრომა უქმი იქნება. პირველად საჭიროა, ამ მისიონს წლიური სარჩო აძლიოთ, ამიტომ, რომ აქ კაფუცინების ჩვეულება არ გამოდგება, ტომარას ვერ აიკიდებენ და კარდაკარ ვერ ივლიან პურისა, ღვინისა და სხვა საჭირო სურსათის ჩამოსათხოვად; გარდა ამისა მთავარმა მათ მარტო ცარიელი სახლი მისცა. უკეთუ თქვენმა უმაღლესობამ მათ სარჩო არ გამოუგზავნა, სხვაგან მისი შოვნა არ შეუძლიათ; აქ უფულოდ წყლის გარდა არაფერი იშოვება, ფულიც ადვილად იხარჯება, რადგან აქ ძრიელ ბევრი ხალხია აქაური მკვიდრის გარდა, აუარებელი ვაჭრები არიან აღმოსავლეთიდგან მოსული; ამიტომ აქ ცხოვრება იაფი არ არის; აქიდგან სცანით, თუ რა ხარჯი მოუნდებათ. მე კარგად გამოვიანგარიშე და ვნახე, რომ, რა გინდ დიდი დამზოგველობა გამოიჩინონ, მაინც დღიურად დასჭირდებათ რომაულ ფულად ნახევარი სკუდი.— მეორედ, გარდა ამ წლიურ სარჩოსი, საჭიროა ამ თავითვე თქვენი უმაღლესობა შეეწიოს მანდედგან ამ მისიონს შენობის საქმეში; შენობა კი მიუცილებლად საჭიროა; ვინაიდგან მეფის მოცემული სახლი ორია, ერთი მეორეს პირდაპირდაშუაში გზა არის; ერთი ეკკლესიად გადააკეთეს, მაგრამ პატარაა და ხალხი ვერ დაუტევია: ამიტომ საჭიროა მეზობლისაგან პატარა ადგილის

ყიდვა ეკკლესიის გასადიდებლად, რათა აქაური ჩვეულების თანახმად, შიგ ადგილები გაიყოს მამაკაცებისთვის ცალკე და დედაკაცებისთვის ცალკე, მეორე სახლში პატრების სადგომია. ამ სახლისა და ეკკლესიის შუა საჭიროა პატარა ხიდის გაკეთება, გზით გავლა არ დასჭირდეს კაცს და ოთახიდგან პირდაპირ ეკკლესიაში გადავიდეს. აწ თქვენვე განსაჯეთ, საჭიროა თუ არა გაკეთება,—მესამედ საჭიროა თქვენმა უმაღლესობამ პატრებს ევროპიული წვრილი საჩუქრები გამოუგზავნოს, რათა ხანდისხან აქაურ მოწინავე პირებს უთავაზონ მათი გულის ადვილად მოსაგებად... რაც შეეხება მეფისათვის საჩუქარს, არა ერთგზის მოვილაპარაკეთ პატრებთან, თუ რის მირთმევა იქმნება უფრო უკეთესი; ყველამ ერთპირად ვარჩიეთ, რომ ყველაზედ უფრო მომეტებულად მეფეს სასიამოვნოდ დაურჩება ერთი იტალიური მდიდრული ცხენის იარაღის ან არა და, ამ ცხენის იარაღის ნაცვლად, კარგი იქმნება რავდენიმე ძველებური კარგი ჯაჭვის პერანგი, ისეთი, შუბმა ვერ გაატანოს; ეს უდიდესი საჩუქარი იქმნება ქართველებისათვის, რომლებიც ომის დროს (საუცხოვო მეომარნი და მეტად მარჯვე ცხენოსანნი არიან) ამ პერანგს ქვეშ ჩაიცმენ და გრძელის შუბებით ომობენ... არ ეგონოს თქვენს უმაღლესობას, ეს ხარჯი უბრალოდ წავიდეს, რადგან გარდა იმისა, რომ ამ საჩუქრებით მათ გულს მოვიგებთ, ჩვენის საჩუქრისათვის ორკეცად მოგვაგებენ, ვინაიდგან ქართველებს ჩვეულებად აქვსთ და კალადაც რაცხვენ, რომ მიღებული საჩუქარი ორ კეცად გადაუხადონ. იმედი მაქვს, ამ ნაირის საჩუქრების წყალობით, მეფე პატრებს ძალიან შეეწიოს. ტფილისი, 7 ივლისს, 1663 წ., დოქტორი ანდრია ეპიფანე". (1).

ესევე ანდრია, 11 მაისისას 1664 წ. სწერს რომას კარდინალს სხვა ვრცელ წიგნს და აუწყებს, რომ კაფუცინების მისიონის საქმე ძლიერ კარგად მიდის, ყველა მათ მღვდელ მოქმედებას დიდძალი ხალხი ესწრება; აიმედოვნებს, რომ მისიონი ყველგან მოეფინებაო; ეგრეთვე აუწყებს ბატონიშვილს კახეთის მეფედ დანიშვნას. თანაც ჰპირდება, რომ, მეფის შემწეობით კაფუცინების მისიონი მალე გავრცელდება კახეთში და იმერეთშიაც, რომლის მთავარი ამ მეფის სიძე არის, მაგრამ საჭიროა, რომიდგან სხვა ახალი მისიონერები მალე გამოგზავნოთო.

ხსენებული პატრი სერაფინეს ერთი წერილი კიდევ გვაქვს. ეს წერილი მიუწერია რომას თავის უფროსისთვის 20 მაისისას 1664 წ. ამაში იხსენებს სხვა წერილებს, რომლებიც ამავე წლის პირველ თვეებში მიუწერია კარდინალებისათვის. სამწუხაროდ, ის წერილები ვერ ვიპოვეთ. ამ წერილებში ფულის შემწეობის გარდა, სთხოვს სხვა მისიონერებსაც, რომელთაგან ერთს მაინც უნდა სცოდნოდა ინჟინერობა და მეხანიკა, რათა შესძლებოდა მტკვარში იმნაირის წისქვილების გაკეთება,

როგორც რომის მდინარეზე ყოფილა; და თან თხოულობს მათ პლა-
ნებს, რადგან მეფეს მოსურვებია ასეთი წისქვილების გამართვინება;
მასთანვე სთხოვს მეფისა და დედოფლისათვის საჩუქრების გამოგზავნას:
საათებს, დურბინდებს, ძვირფას კრიალოსნებს და კათალიკოსის საჩუქ-
რადაც ერთ ბარძიმს. ამ საჩუქრების წყალობით იმედი აქვს მეფემ სა-
მუდამო შემწეობა გვაძლიოსო; ეგრეთვე სთხოვს ეკკლესიისთვისაც ერთ
ზარს, რადგან ქართველებსა და სომხებსაც ჰქონიათ თავიანთ ეკკლე-
სიებში.

რადგან იმ დროებში მეტი მკურნალი არ მოიპოებოდა საქართვე-
ლოში, ხსენებულ ანდრია ეპიფანეს, მეფის ექიმს, დიდი სახელი ჰქონ-
და თურმე მოხვეჭილი, მასთანვე შემოსავალიც არ აკლდა. პატრებმა
თუმცა ამასავით ნამდვილი ექიმობა არ იცოდნენ, მაგრამ მკურნალობის
საქმისა ცოტად, თუ ბევრად ესმოდათ. რა დაბინავდენ, დაიწყეს ამათაც
წამლობა უსასყიდლოდ; მალე იმ ზომამდე განითქვეს სახელი, რომ მდი-
დარი და გლახაკი, ყველანი ამათთან მოდიოდენ. ამ გარემოებამ დიდად
ხელი შეუშალა ეპიფანეს ექიმსა, სახელის დამცირებას გარდა, მასთან
მიმსვლელი აღარავინ დარჩა, რისგამოც დიდი ზარალი ეძლეოდა. ეს ექი-
მი, 2 ოქტომბერს, 1664 წ., კახეთიდგან სწერს დიდს სამღვდელოს ტფი-
ლისში ერთ კაპუცინს და სთხოვს, რომ მკურნალობაზე ხელი აიღონ;
თუ რამე გჭირიათ, რომ მოვბრუნდები, ყველაფერს გაშოვიო, მაგრამ,
როგორც ვიცით, კაპუცინებს არ დაუშლიათ და განუგრძიათ ხალხის
წამლობა.

რომამ მაშინვე არ მიაქცია ყურადღება კაპუცინების თხოვნას,
და არ მიაშველა არც საჭირო ფული და არც ახალი მისიონერები. წე-
რილით რომ ვერას გახდენს, კაპუცინებმა გადასწყვიტეს, ერთი თავიან-
თი ამხანაგი გაეგზავნათ რომში, ყველაფერი კარგად აეხსნა პრო-
პაგანდისათვის და რაც კი საჭირო იყო, მიეცათ. იქ გასაგზავნათ დანი-
შნეს პატრი კარლო სანმარინელი და მალევე გაისტუმრეს. მეფის წე-
რილთან ერთად თავიანთი წერილებიც გაატანეს, რაშიც აუწერეს თა-
ვიანთი გარემოება დაწვრილებით და სხვათა შორის, ესეც მოახსენეს:
„... გარდა ამისა, ეს ქართველი მეფე, თუმცა კი გამაჰმადიანებული
ქართველია, მაინც თავის ქვეყანაში დიდის სიყვარულით მიგვიღო, მოგ-
ვცა ერთი სახლი, ერთი საეკკლესიოდ და ერთი ჩვენთვის ბინად, კაის
თვალით გვიყურებს, ხშირად თავის სახლში გვიწვევს და ქართველ ბე-
რებზედ უფროსად მიგვიჩნევს; ჩვენის ორდენის პაპს ალექსანდრეს
(VII) დიდი პატივისცემა აქვს. ჩვენ ყველაფერი ვუამბეთ მისი, კიდეც
მისწერა წიგნი, რომელსაც თქვენი უმაღლესობა ნახავს ამ წერილთან
ერთად. სხვა რამეც დაგვაბარა და ყველაფერს პატრი კარლო მოგახსე-

ნებსთ. გწვედრებით აუსრულო მისი სათხოვარი, რადგან მთელს ჩვენს მისიონს დიდს სარგებლობას მოუტანს. ამ მეფეს საქართველოს უდიდესი მთავრებიც ემორჩილებიან. მისი დიდი პატივისცემა აქვსთ და ეშინიათ კიდევაც მისი, თუ მისი სიმდიდრისა და თუ მისი ძლიერების გამო..... ტფილისი 5 ოქტომბერს, 1664 წ. პატრი სერაფინო მელიკოკა". (1).

იმ პატრსავე გაატანა წერილი კაპუცინების მთავარველმა ექიმმა ეპიფანემ, კარდინალთან, გაახსენა თავისი წინანდელი წერილები, აუწყა აწმყო გარემოება და ეგრეთვე მისიონის საჭიროება და სთხოვა აქაურებისათვის ჯეროვანი ყურადღება მოექციათ. წიგნში სხვათა შორის, ამასაც სწერს: „თქვენს უმაღლესობას დიდის სიჩქარით მოვსწერე ეს წერილი სწორედ იმ დროს, როდესაც მეფესთან ერთად ვიყავი კახეთში, რომელიც მისი პირველის შვილის სამთავროა. აქ ყოფნის დროს ტფილისში მყოფმა ჩვენმა მისიონერმა პატრებმა, მაცნობეს, წასასვლელად ემზადებოდა ქარავანი და პატრი კარლო სანმარინელიც მას უნდა გაჰყოლოდა. ხოლო სხვა და სხვა მიზეზების გამო ეს ქარავანი იძულებული გახდა ჩვენის მეფისათვის დაეცადა, ამიტომ იმ წერილთან ამ წიგნსაც ვუმატებ. თქვენს უმაღლესობას ვაუწყებ, რომ ხსენებულმა მეფემ რა შეიტყო პატრის წასვლა, დაიბარა სხვებთან ერთად და ჩემის პირით ბევრი რამ უთხრა, ყველაფერს თვითვე მოგახსენებს; ეგრეთვე პაპისათვისაც მისცა წერილი ქართულად, რომელიც მე ვთარგმნე ლათინურად. მასთანვე უჩვენა ჯაჭვის პერანგი, რომელსაც აქაურები ტანისამოსის ქვეშ იცმენ, როდესაც საომრად მიდიან, და ბევრის ხვეწნის შემდგომ დაავალა მას, რათა შეეტყო, თუ მას სად აკეთებენ, რომ რამდენიმე ხელი წამოეღო. გასტუმრების დროს უთავაზა მას ერთი ცხენი სამგზავროდ. უკეთუ გნებავსთ, ამ მისიონის საქმე კარგად წავიდეს, კეთილ ინებეთ და ასიამოვნეთ მეფე იტალიური წვრილი საჩუქრებით..... ტფილისს, 7 ოქტომბერს, 1664 წ., ექიმი ანდრია ეპიფანიო". (2).

მეფე შაჰნავაზ (ვახტანგ V) თუმცა გამაჰმადიანებულა, მაგრამ სულით და გულით ისევ ქრისტიანედ დარჩენილა და თუ კათოლიკობისა და თუ პაპისა დიდი პატივისცემა ჰქონია; რასაც ცხადად გვიჩვენებს შემდეგი წერილი მისი, პაპთან გაგზავნილი, რომლის დედანი ვერ ვიპოვეთ. „მადლითა და წყალობითა ღვთისათა, ჩვენ იესეიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატოანი ძრიელი და მფლობელი საქართველოსა, ღვთივ გვირგვინოსანი მეფე შაჰნავაზ; დიდსა, მარადის დიდებულსა, ღვთისაგან ეგრეთ პატივ მოსილს და გაძლიერებულს, რომლის უძლიერესი არავინ არის, მტერთაგან უძლეველს, ღვთის მოწყალებით უდიდეს ყოვლთა პატრიარქთა ზედა, წმიდა პეტრეს მოსაყდრეს, მთელ ქვეყანაზედ სიმართლის დამცველს, მთელი ქვეყნის ქრისტიანების მთავარს,

ყოველთა მაღალ ღირსებათა მქონეთა უფრო ღირსეულს, სამგზის გვირგვინით დაგვირგვინებულს, შემკობილს რომის დიდ პაპთა სახელით, მამათ მთავართა მამას და ბატონს, დამოუკიდებელს და უმაღლეს ბატონს ალექსანდრე მეშვიდეს ჩვენის მსახურების და პატივის ნატვრას სიმდაბლით ვაუწყებთ. დიდება ყოვლად მოწყალე ღმერთსა, რომ თქვენის პატიოსანის სახელის დიდებულებისა და თქვენი კარგად მყოფობის ამბავმა ჩვენს ყურამდე მოაწია, ვინაიდგან თქვენმა უნეტარესმა საყდარმა ქვეყანაზედ მოჰფინა თქვენის უძლიერესობის ნათელი და იცავს მას უვნებლად.

„გარდა ამისა, თქვენი მდაბალი მღვდლები, რომლებიც მონაზონებრივ ცხოვრებენ, ჩვენს ქვეყანაში მოვიდნენ; ჩვენც, თქვენდა მსახურებად და საამებლად, ვუბოძეთ სადგომი და კარგად მოვეპყარით. მათ აღაშენეს ეკკლესია, სადაც ადიდებენ ღმერთსა და ლოცულობენ თქვენი უნეტარესობის სიმრთელისათვის. გარნა დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც ამათ თქვენი ბრძანება აღარ მიუღიათ, რის გამო ერთი, მათგანი, კარლო მარია, მოდის მანდ, თქვენს წმიდა ფერხთ ემთხვიოს და ჩვენი ამბავი მოგახსენოსთ. ჭეშმარიტად ვნატრობთ, თქვენ გაამოთ, ამისათვის დიდათ გევედრებით, გვიბრძანოთ რა სამსახურიც მოგება შეგვიძლია. ნუ დაგვივიწყებთ“. (1).

ამ წერილს თარიღი არა აქვს. მაგრამ არ უნდა იყოს 1664 წ. ოქტომბერში დაწერილი.

პატრი კარლო რა მივიდა რომას, თუ პირად და თუ წერილით საქართველოს ყოველი გარემოება მოახსენა კარდინალებს, რომელნიც დიდად კმაყოფილნი დარჩნენ. ამისი დაწერილი მოხსენება ხელში ჩაგვივარდა მხოლოდ ერთი, სადაც, სხვათა შორის, ამბობს: „ერთი ქართველი, რომელიც კონსტანტინეპოლში ჩვენს პატრებს ხელმეორედ მოენათლათ და რომის კათოლიკობა მიეღებინებინათ, აგერ ოთხი წელიწადია, საქართველოში უზიარებელი იყო. მივედით თუ არა, მაშინვე მიიღო საიდუმლოთ; ხოლო რამდენიმე თვის შემდგომ დასნეულდა, წმიდა საიდუმლო კვალად მიიღო დიდის სასოებით, ასე რომ მთელის ქალაქისათვის სამაგალითო გახდა მისი სათნოება და შემდგომ მიიცვალა. იქ თეათინელებისაგან ხელმეორედ მონათლული ერთი მეგრელიცაა, რომელიც ხშირად ამბობს აღსარებას და ღებულობს წმიდა ზიარებას... ეგრეთვე საიდუმლოდ მოვნათლეთ ურიცხვი ბავშვი, რომლის ჯეროვან ნათლიღებაზე ვექვიანობდი. დასასრულ საქართველოში დავსტოვე ბერძნისთ ანტიოქიის პატრიარქი*), რომელიც იქ დასავლელად მოვიდა, რა-

*) ეს განათლებული მაკარიოზი პატრიარქია, რომლის შესახებ უკვე წინა თავში ვილაპარაკეთ.

დგან იქაურობა მის უფლების ქვეშ არის. იმ ზომამდე გვცა პატივი, რომ ბევრმა დიდებულთაგანმა გვითხრა, თუ ეს პატრიარქი თქვენს ეკლესიაში მოვიდა და იქადაგა, რომ თქვენ ჭეშმარიტი ქრისტიანი ხართო, მაშინ ყველანი მიიღებენ თქვენს სარწმუნოებასო. ამ სიკეთეს მისგან მოველით ზლეპოს კონსულის საშუალებით. ეგრეთვე თვით პატრიარქიც დაგვპირ-და ამას და კიდეც ეთქვა რავდენისამე ეპისკოპოსისათვის. შემდგომ რა იქმნა, არ ვიცით, რადგან მე წამოველი". (1).

პატრი კარლო ამ წერილშივე იხსენიებს საცეცხლურს, რომელიც დაუბარებია მეფის ძმას კათალიკოსს რომელიც ძრიელ კარგი ქრისტია-ნე ყოფილა. არც ამ წერილს აქვს თარიღი, მაგრამ უნდა იყოს დაწე-რილი 1664 წ., რადგან ეს პატრი ამავე წლის დამლევს იქიდგან გა-მოისტუმრეს საქართველოში.

პატრი კარლოს რომაში კარდინალებისათვის ბევრი საეჭვო კითხვე-ბის განმარტება უთხოვნია. სხვათა შორის უთხოვნია გამოეთქვათ თა-ვიანთი აზრი ფულის სარგებლისა და ყმების გაყიდვის შესახებ. კაფუ-ცინების აზრი ყოფილა, რომ საქართველოში ყმების გაყიდვას თუ მა-ინც და მაინც არ დაიშლიდენ, მარტო ქრისტიანებისთვის მიეყიდათ. ამის პასუხად ამ პატრს 30 დეკემბერს 1665 წ. პროპაგანდა ფიცხელ ბრძანებას უთვლის: ქრისტიანი ყმები არავინ უნდა მიჰყიდოს არც მაჰ-მადიანებს და აღარც ქრისტიანებს, რადგან ესრეთი ვაჭრობა დიდად დამამცირებელია კათოლიკე სარწმუნოებისა, ამიტომ ესეთი ვაჭრობა აკრძალულია. სადაც კი შემთხვევა მოგეცესთ, საჭიროა ეცადოთ თქვე-ნის ამხანაგებითურთ მოსპოთ ესრეთი მავნე და ბოროტი ჩვეულება და, რა მოსპოთ, უფრთხილდით ხელმეორედ არ განაახლონ ესრეთი ჩვეუ-ლება. თქვენ კარგად უნდა იცოდეთ, რომ ფულის გასესხების დროს, არასდროს უნდა გამოერთვას კაცს ასში ოცის თავი. . . ეგრეთვე წმიდა კრებაც ჰნებავს, ეკლესიაში მისიონერებმა იხმარონ ახალი კალენდარი და სრულიად დაიცვან, რაც მასშია განწესებული; მასთანვე ეცადეთ, მონდაური ქრისტიანებიც ამის ხმარებას შეეჩვიონ". (1).

პატრი კარლოს ესეც ეკითხა: თუ გაკათოლიკებული ქართველები ისევ წინანდელ სარწმუნოებას მიუბრუნდენ და შემდგომ ხელმეორედ მიიღეს კათოლიკობა, ვალდებულნი არიან თუ არა, ხელმეორედ სთქვან აღსარება, რომელიც იმ დროს ჰყვეს უწინდელ თავიანთ მღდელთანაო. ამის პასუხად მიიღო საჭიროა ხელმეორედ სთქვანო.

საკმაო სახარჯო მისცეს პატრი კარლოს და გამოისტუმრეს რომი-დგან საქართველოს, თან გამოაყოლეს ოთხი ახალი მისიონერი: პატრი პავლე ნორჩელი, პატრი იპოლიტე ფლორენციელი, პატრი ევანგელის-ტა მესინელი და ძმა ივანე-ანტონ ფერმოელი. ამან წამოიღო წერილე-

ბი უფროს პატრთან, მეფესთან და ეპიფანე ექიმთან. ამ ეპიფანეს პროპაგანდა წერილით დიდ მადლობას უძღვნის მისიონერების შემწეობისათვის და კვალად სთხოვს თავისი შემწეობა არ მოაკლოს მათ. ერთ ძვირფას კრიჟლოსანსაც უგზავნის თავისი მეუღლისათვის. ტფილისის უფროსს პატრს ერთი პატარა ყუთით უგზავნიან ხატებს, კრიალოსნებს, რათა კათოლიკებში დაარიგონ გასაძრიელებლად. ამას ორ-სამ წიგნს სწერენ კარდინალები სხვა და სხვა საქმის თაობაზე. ჩვენ მოვიყვანთ მარტო იმ წერილს, რომელიც შეეხება რომის კოლლეგიაში ქართველ ბავშების გაგზავნას.

„პატრი სერაფინე მელიკოკელ პრეფექტოს, 30 დეკემბერს, 1666 წ.

„სულიერის შემწეობისათვის ქართველთა, რომელნიც დიდი მოწადინე არიან კათოლიკე სარწმუნოების მისაღებად, როგორც გვაუწყა პატრი კარლო სანმარინელმა და რათა მათ მოსავლელად მზად გვყავდეს რავდენიმე მუშაკი, როგორც ამას ყოველდღიური საჭიროება თხოულობს, ვიფიქრეთ მოვანდოთ თქვენს ერთგულებას, ურბანოს კოლეგიაში გამოსაგზავნათ მათშივე იპოვოთ ორი ახალგაზდა, რომელთაც სურდესთ საეკკლესიო წოდებაში შესვლა, და აქ გამოგზავნოთ სანდო მგზავრთან ერთად; მასთანვე გამოატანოთ თქვენი წერილიც. გარნა საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ, რათა რაოდნათაც შეიძლება, კათოლიკე დედ-მამის შვილები იყვნენ, არც 15 წლისაზე ნაკლები და არც 20 წლისაზედ უმეტესი. ნიჭიერნი და გულის ხმიერნი იყვნენ, რათა შეიძლონ მეცნიერების შესწავლა, მეტადრე ჯანმრთელი და კარგი ზნეობისა უნდა იყვნენ, წყნარნი, მორჩილნი, სათნოებისადმი მიდრეკილნი, რათა შემდგომ უნაყოფოდ არ დარჩეს მათი შენახვა და გაწვრთნა. ამას ეცდებით და აღასრულებთ ესრედ. მომიხსენიეთ თქვენთა ლოცვათა შინა“. (1).

სამწუხაროდ, არ ვიცით, იმ დროს, რომელი ქართველი ბავშვები გააგზავნეს პროპაგანდის კოლეგიაში.

ამ წიგნთან ერთად მეფესთანაც გამოატანა პროპაგანდამ ეს წიგნი:

„ტფილისის მეფეს. 10 ოკტომბერს 1665 წ.

„მანდაური ერის სულიერი საჭიროებისათვის პროპაგანდის წმიდა კრება გზავნის ახალ მისიონერებს. ამ შემთხვევის გამო კარდინლები მავალებენ, რათა მათის სახელით მივუძღვნა უდიდესი მადლობა თქვენს დიდებულებას ყველა იმ სიკეთისათვის, რაც მანდაურის მისიონისთვის მიგინიჭებიათ და რაცა არა ერთხელ გვაუწყეს მანდ მყოფმა მისიონერებმა. ამნაირმა თქვენმა მოპყრობამ გაამხნევა ეს მონაზონები, რათა შესდგომოდენ დიდს და ძნელ მგზავრობას, მასთანვე დარწმუნებულნი არიან, რომ ეს მათი მისწრაფება თქვენთვის დიდად სათნო საყოფელი იქ-

მნება, მათი ესრეთი შრომა დაგარწმუნებსთ, რომ მათ მარტო ოდენ სიკეთის მიტანა სწადიათ და მხოლოდ ერის სულიერად მოვლა-პატრონობისათვის ზრუნვენ. ამის გამო კარდინალები დიდად გავედრებენ მათ, რათა ყოველნაირი შემწეობა აღმოუჩინოთ ყოველთვის, როდესაც კი საჭირო იქმნეს თქვენი გულ-მოწყალე მფარველობა. დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ თქვენი ესრეთი საქციელი ღირსეული და დიდად სათნო-საყოფელი იქმნება ღვთის წინაშე; ეგრეთვე პროპაგანდის წმიდა კრებაც მეტად დავალებული იქმნება თქვენგან ყოველის სიკეთის გამო, რომელსაც თქვენის უმაღლესობის გულკეთილობით მიაგებთ ხსენებულ მონაზონებს. დასასრულ ხელთ გემთხვევით". (1).

რომიდგან წამოსვლის დროს თუ ამ კაფუცინს და მის ამხანაგებს დაჰპირდენ შემწეობის გამოგზავნას მისიონერებისათვის, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს დაპირება, ისევ დაპირებად დარჩა: რომიდგან არასფერი მოუვიდათ; საქართველოში, ხალხის სიღარიბის გამო, საჭირო შემწეობა ვერავინ აღმოუჩინა. კაფუცინებს მისიონერთა მომატებით ხარჯიც მოემატათ, მაგრამ შემწეობა კი არსიდგან მოსდიოდათ. აღარც წამლობა შეეძლოთ ამ დროებში ხსენებულის ექიმის ეპიფანეს გამო, რომელმაც რომს შესჩივლა, კაფუცინებმა დიდი ზარალი მომცეს თავიანთი უსასყიდლო ექიმობით, რადგან ჩემთან აღარავინ მოდისო. ამის გამო პროპაგანდამ აუკრძალა მისიონერებს ხალხის წამლობა. კაფუცინებმა რა ნახეს, შემწეობა საკმაო არ მოსდიოდათ და რჩენაც უჭირდათ, რავდენისამე თვის შემდგომ პატრი კარლო ხელმეორედ გაგზავნეს რომას, რათა საკმაო შემწეობა ეშოვნა. რა მივიდა აზრუმს, ავად გახდა, ამიტომ ველარ გაბედა წასვლა და ისევ უკან გამობრუნდა. ხოლო მისიონის საჭიროება და თავისი მგზავრობის გარემოება აზრუმიდგანვე 20 დეკემბერს 1666 წ., რომაში აცნობა ერთი იქიდგან წამსვლელი დომინიკიანის საშუალებით. სხვათა შორის, ამ წერილში მოახსენა: „დიდის გულმოდგინებით ვევედრები თქვენს უმაღლესობას, მოგვცეთ რაიმე შემწეობა ამ საბრალო მისიონისათვის, რომელიც აღმოსავლეთის მისიონებში ყველაზე უფრო ნაყოფიერია... პატრი გაბრიელს *) და ყველა პატრებს ამ დროს მოლაპარაკება აქვსთ საქართველოს ეკლესიის ლათინის ეკლესიასთან შეერთების შესახებ. იმედია ცოტა ხანში დიდი სარგებელი მოვიტანოთ. ამიტომ ნუ ინებებთ, ამდენმა შრომამ ფუჭად ჩაგვიაროს. იესო ქრისტეს წყლულების პატივისათვის გევედრები, შეეწიეთ ამ მისიონს, რადგან თუ არ თქვენის შემწეობით, შეუძლებე-

---

*) თავრეზში მყოფი კაფუცინების უფროსი იყო-და საქმეების გამო ტფილისს მოსულიყო.

ლოთ აქ ცხოვრებთ; სიგლახაკის გამო ყმებსა ჰყიდიან და იმითი სცხოვრებენ. უკეთუ ინებებთ და მოიღებთ თქვენს მოწყალებას ქართველ ერზედ, თავსა ვსდებ სამუდამო საცხოვრებლად ამ მხარეს და აქვე სასიკვდილოდ... ვბრუნდები საქართველოში, რადგან მხოლოდ იმას ვნატრობ, აქ ვიმსახურო“... (2).

პატრი კარლოს ამის მსგავსი წერილი, რომელშიც იხსენიებს საქართველოს ეკკლესიის შეერთებისათვის მოლაპარაკებას, მიუწერია თავიანთი უფროსისათვისაც. უფროსსაც მიწერილი წიგნი წარუდგენია პროპაგანდისათვის და ესეც თავის აქტებში იხსენიებს ამ წერილს. (2). წერილი კი ვერ ვიპოვეთ.

რაკი რომიდგან არაფერ შემწეობას არ გზავნიდენ, ტფილისს რა მობრუნდა პატრი კარლო, იძულებული გახდა კვალად დასდგომოდა გზას და წასულიყო რომას შემწეობის სათხოვნელად. უფროსმა პატრმა სერაფინომ თვის წერილში ასწერა აქაური გარემოება და საჭიროება; ეგრეთვე ახალ ეკკლესიის აშენებისათვისაც შემწეობა მოსთხოვა; ამ წერილზე სხვა დანარჩენ ექვს მისიონერსაც ხელი მოაწერინა 28 თებერვალს 1667 წ. და გაისტუმრა პატრი რომას. პ. კარლომ ტფილისიდგან სამეგრელოში გაიარა და იქ ცოტა შეჩერდა. იქიდგან თეატინელებმაც გაატანეს წერილი სამეგრელოს მისიონის შესახებ, როგორადაც მოვიხსენიეთ წინა თავში. ვიდრე რომას ჩავიდოდა, რადგან იქ მისი საქართველოდგან გაბრუნება არ იცოდნენ; ტფილისში 17 სექტემბერს 1667 წ. რომით მოსწერეს მისი აზრუმიდგან გაგზავნილი წერილის პასუხი. ამ წერილით პროპაგანდა ჰპირდებოდა შემწეობის მიცემას, მაგრამ არა ეგოდენს, რაოდენიც ამას ეთხოვა წერილით; ეგრეთვე ამ პატრს ნიშნავდა საქართველოში მყოფი კაპუცინების უფროსად, რადგან პატრი სერაფინო უფროსობას თავს ანებებდა. პატრი კარლომ საქართველოს მისიონრის თაობაზე ბევრი ელაპარაკა კარდინალებს და წერილებითაც ერთი ვრცელი მოხსენება წარუდგინა. ამ მოხსენების ზოგიერთ ნაწილს აქ მოვიყვანთ.

„... მთელი საქართველოს უმთავრესი ქალაქი ტფილისია, რომელშიც 70 ანუ 80 ათასი სული სცხოვრებს; ამათგანი მომეტებული სომხები და ქართველები არიან. გარნა, ამ ტომებში ბევრი მაჰმადიანობას ღებულობს, თუ სიგლახაკის მიზეზით და თუ ხარისხის შეძენისათვის, და თუ კიდევ იმისთვის, რომ სპარსეთის მეფეს ეამონ. ჩვენი და მეტადრე გაბრიელ ფრანგის პატრის შრომის ნაყოფია, რომ ხელი შევუშალოთ გამაჰმადიანებაზე და სარწმუნოებაში დავიცვათ: ბევრისგან ბევრს ავაღებინეთ ხელი ასეთს განზრახვაზე... ტფილისში 8 ოჯახამდე კათოლიკე იქმნება; გარდა ამისა ჩვენთან აღსარებას ამბობენ მრავალნი თუ მა-

მაკაცები და თუ დედაკაცები და მეტადრე ძრიელ ბევრი ბავშვი; გორში უმთავრესი ბატონი, რომელსაც ბევრი სოფელი აქვს, თავის ოჯახობით ნამდვილი კათოლიკეა. ქუთაისშიაც ერთი ოჯახია კათოლიკე... ყველა მთავრები თავისუფლებას გვაძლევენ ქრისტიანე სარწმუნოების ყოველგვარი სამსახურის აღსრულებისას. გარნა ბევრნი, რომლებიც ჩვენთან ენდობიან და ეზიარებიან, ფრთხილად არიან, არავითარი დევნულობა დაუწყონ თავიანთმა მონაზონებმა და ეპისკოპოსებმა... იქაურების უმთავრესი ურიგო ჩვეულება ეს არის, რომ თავიანთ ქრისტიანე ქვეშევრდომებს თათრებზე ჰყიდიან: ამის უმთავრესი მიზეზი მათი გლახაკობაა. ამის წამალი ეს არის, ნელ-ნელა შევაგნებინოთ თავიანთი შეცთომილება... აქ ძრიელ ბევრი ეკკლესია, მარტო ტფილისში 15 ეკკლესიამდე იქნება, ზოგი ქართველებისა და ზოგი სომხებისა; კათოლიკებისათვის კი არც ერთის: პატარა სახლში ვასრულებთ წირვას. ეგრეთვე გორშიაც იქმნება 12 ეკკლესიამდე ზოგი ქართველებისა და ზოგი სომხებისა; მათ შორის ერთი მშვენიერი ეკკლესიაა, რომელიც 20 წლის წინეთ ეკუთნოდა აგუსტინიანებს, რომლებსაც ერთი მშვენიერი მონასტერიც ჰქონდათ. ეს ეკკლესია დღეს დედოფალს ეკუთნის და ქართველი მონაზონები ასრულებენ იქ მღვდელ-მოქმედებას. გორში ეგრეთვე არის კიდევ სხვა პატარა ეკკლესია, რომელიც 20 წლის წინეთ ეკუთნოდა თეატინელ პატრებს. თუმცა ბევრი მოწინაამდეგე იყო, მაგრამ მეფემ მაინც ბრძანება გამოსცა, ის ეკკლესია ჩვენ მოგვეცეს. გარნა ეხლა ისევ მათ ხელშია, რადგანაც არც მისიონერები გვყავს და არც საკმაო საშუალება გვაქვს, იქ დავდგეთ.. ქუთაისშიც ბევრი ეკკლესიაა, იქვეა აგრეთვე თეატინელი პატრების ეკკლესიაც. იქაური მეფე ამ ეკკლესიის მოცემას დაგვპირდა თუ წავედით და იმ ქალაქში დავდექით. თეატინელი პატრების ერთი სხვა ეკკლესიაც გურიელის სამთავროშია. გარდა ამ ქალაქებისა, სოფლებში და მთელს პროვინციაში აურაცხველი ძველის ძველი ეკკლესიებია, რომლებსაც აქვსთ სამრეკლოები და ზარები, როგორც ჩვენში; მათშივე ინახავენ წმიდა ზიარებას; ჩვეულების თანახმად, მეტად მშვენიერი ნაშენი ეკკლესიებია..... ერთ დროს შეიძლება უკან დავიბრუნოთ ავგუსტინიანი პატრების ეკკლესიაც, მონასტერი და ბაღი გორში, უკეთუ იქ დავდექით და დედოფალს წამლობით რამე სამსახურს გავუწიეთ, ანუ რამ საჩუქარი ვუძღვენეთ... ტფილისში ერთი პატარა ეკკლესიის გასაშენებლად თქვენის მოწყალების დახმარება საჭიროა... მისიონერებმა მარტო ქართული ენა შეისწავლეს, თუ აქაურის ზნე-ჩვეულობის უცოდინარობის გამო, და თუ იმიტომ, რომ აქ ჯერ კარგად დაბინავებული არა ვართ, ტფილისში ჩვენს სკოლაში ძლივს გვყავს 25 მოწაფე; ყველა ეს მოწაფეები ჩვენთან

აღსარებას ამბობენ და ეზიარებიან, ვითარცა ნამდვილი კათოლიკეთა შვილები. საქართველოს სახლებში ძრიელ ბევრი მონაზონია, ბევრი მათგანი ჩვენს წირვაზე მოდიან. კიდევ ბევრს ახსოვს, რომ 20 ანუ 30 წლის წინეთ გორსა და ქუთაისში ავგუსტინიანე და თეათინელ ბერებს დიდი სარგებელი მოჰქონდათ და ბევრი კათოლიკეც ჰყავდათ. ეხლაც ძრიელ ნატრობენ, რომ ამ ქალაქებშიაც დავსდგეთ.... 28 ნოემბერს. 1668 წ." (1).

პატრი კარლოს მეორედ რომაში მიბრუნება უნაყოფოდ არ დარჩენილა, რადგან პროპაგანდამ მისცა საკმაო შემწეობა არა მარტო თავიანთ სარჩოდ, არამედ თვით ახალ ეკკლესიისთვისაც, რომლის აშენებაც მალე დაიწყეს. ვგონებთ ეს პატრი უკან აღარ მობრუნებულიყოს საქართველოს, როგორც თავის წერილებშია მოხსენებული, სნეულობის გამო იტალიაში დარჩენის ნება უთხოვია. გარნა მალე, ესე იგი, 1669 წ. შვიდი სხვა კაპუცინი გამოგზავნეს საქართველოს: პატრი იოსებ ანტონი რომაელი, პ. ფრანჩისკე მონთეკატინელი, პ. სტეფანე ამელიელი, პ. რაფაელ პარმელი, პ. ჯუსტინო ლივორნელი, პ. ფრანჩისკე პიემონთელი და ძმა ბართლომე სანჯულიანელი.

ტფილისს მოვიდნენ თუ არა, მესამე დღეს პატრი ჯუსტინო, პატრი ფრანჩისკე და ძმა ანდრია გაგზავნეს გორს მისიონის დასაარსებლად. მისიონმა გორში დიდი სარგებლობა მოიტანა, თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ბევრი შეწუხება და დევნულებაც გამოიარა მეტადრე სომხებისგან როგორც სჩანს კაპუცინების ისტორიიდგან. პირველში იმათთვის საჭირო იყო დიდის მოთმინებით აღჭურვილიყვნენ, რათა აეტანათ ის შეურაცხყოფა, რომელსაც მათ აყენებდენ განსაკუთრებით სომხები. სომხები იმ ზომამდე გადაეკიდნენ, რომ ჯოხით ცემა დაუპირეს და როცა პატრებს ქუჩაში დაინახავდენ ქვებს უშენდენ. სქიზმატიკი სომხების მძულვარება განსაკუთრებით ცხადდებოდა პატრებთან ბჭობის დროს; ყოველთვის დამარცხებულნი და შერცხვენილნი დგებოდენ, რადგან პასუხის გაცემა არ შეეძლოთ; ბჭობის შემდგომ უფრო უარესად ემტერებოდენ. გულში ჩადებულის ეშმაკეული სიძულვარისაგან სომხები იქამდე მივიდნენ, მეტის სიბრაზის გამო პატრებს პირში ფურთხება დაუწყეს. თავიანთის მტრობით უეჭველად დიდათ ავნებდენ მისიონერებს, რომ ქართველები არ გამოჰქომაგებოდენ; ქართველებისა კი სომხებს ძალიან ეშინიათ. რადგან ქართველები ჭეშმარიტების მოყვარენი არიან, ადვილად შეიყვარეს მისიონერები და სიამოვნებით უსმენდენ მათ საზოგადო და კერძო ქადაგებას და ხშირად ზოგიერთი მათგანი კათოლიკეც ხდებოდა. ამის გამო ყოველ დღივ უფრო შორდებოდენ სომხების ეკკლესიას და ჩვენს ეკკლესიაში მოდიოდენ; ერთის სიტყვით, იქვე ასრუ-

ლობდენ ყველა ვალდებულობას რაც კი შეეხება ნამდვილს რომის კათოლიკეს. ხუთი თვის განმავალობაში, მარტო გორს 300 ბავშზე მეტი მონათლეს. ეს გარემოება საკმაო იყო, ხსენებული სქიზმატიკების გულში მუდამ აღგზნებული ყოფილიყო შურის ცეცხლი და უზომო სიძულვილი წინააღმდეგ კათოლიკეებისა და უფროსი ერთად მისიონერებისა, რომლებსაც არ აკლებდენ გაუპატიურებას და ყოველა ნაირად ცდილობდენ, ერში მათთვის სახელი გაეტეხათ". (1).

არა ვგონებთ, ამ წერილში შეცთომით იყოს ნათქმული ეს სიტყვები „ქართველები ყოველ დღივ უფრო შორდებოდენ სომხების ეკკლესიასო", რადგან უწინ ქართველები სხვა-და-სხვა მიზეზების გამო სომხის სარწმუნოებაზედაც გადადიოდენ. უკვე მეხუთე თავში მოვიყვანეთ ნიკიფორე ერბახის სიტყვები, კრებაში გამოთქმული, რომლითაც აცხადებდა ბევრი ქართველების გასომხებასა. ამის მსგავსი სხვა საბუთიც ვპოვეთ აგუსტინიანი პატრი ჰამბროზის მოხსენებაში, რომელიც 1640 წ. გორიდგან მისწერა რომას. ამ სამწუხარო გარემოებას ესე ასწერს: „ჩვენი მონაზონები ამ ქრისტიანებში დიდის სიკეთის ქმნას შეიძლებენ რავდენისამე სოფლის ყიდვით, როგორც შვრებიან სომხები. თუმცა ქართველებს დიდი სიძულვილი აქვსთ სომხებისა სარწმუნოების მხრივ, გარნა, როდესაც მათი ყმები ხდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზე. ამაზე უარესიც ვნახეთ: ზოგიერთმა მდიდარმა ურიებმა, რომლებიც საქართველოში სცხოვრებენ, გააურიავეს რავდენიმე თავიანთი ყმა და მოსამსახურე. ქართველები უეჭველად დიდის სიამოვნებით მიიღებენ ლათინურ წესსა, თუ ჩვენი ყმები გახდენ". (2).

რადგან ქუთაისშიც თხოულობდენ მისიონერებს, ახალ მოსულ კაპუცინთაგან ზოგიერთი იქაც გაგზავნეს. ამათი აქ მოღვაწეობა არა ნაკლებ ნაყოფიერი შეიქმნა; თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ, ხშირი ომების გამო დიდ ხანს ვერ დარჩნენ. მიუხედავათ ამისა, მისიონის საქმე კარგად მიდიოდა და კათოლიკობა დაუბრკოლებლივ ვრცელდებოდა. ერთი მოკლე მოხსენება გვაქვს კათოლიკობის წარმატების შესახებ: „არა მარტო გორში, არამედ ქუთაისსა და ტფილისშიაც მისიონერები სული წმიდის შემწეობით მეტად ნაყოფიერად მოღვაწეობდენ, კათოლიკობას ავრცელებდენ არა მარტო მდაბიოთა შორის, არამედ ქალაქის თვით მოწინავეთა შორისაც. გააკათოლიკეს თვით ეპისკოპოსები და ტფილისის მეფის ძმაც ამათ კიდევაც აღიარეს პაპის მორჩილება, განსაწმედელის არსებობა და წმიდანების დიდება! ეს სამი უმთავრესი მუხლია, რომლითაც ქართველები განსხვავდებიან ჩვენგან". (3).

სამწუხაროდ, აქ დასახელებული ქართველი გაკათოლიკებულთა ეპისკოპოსების სახელები არ ვიცით, რადგან ამ დროის საბუთებიც გვაკლია.

ამ ხანებში კაპუცინებისათვის დევნა დაუწყიათ, მაგრამ დაწვრი-ლებით ცნობები არა გვაქვს, ეს კი ცხადია, რომ უმთავრესი მდევნელ-ნი სომხის მღვდლები ყოფილან. ამას იხსენიებენ პროპაგანდის აქტები და სხვა წერილებიც. (1). დევნულობა მალე დაწყნარებულა თუ კაპუ-ცინების ცდით და თუ ახლად გაკათოლიკებული ქართველების შემწე-ობით; სომხები ხშირად სდევნიდენ კაპუცინებს თუ გორსა და თუ ტფი-ლისში, მაგრამ, ძლეულნი მისიონერთა კაცთ-მოყვარეობით და მოთმი-ნებით, ზოგჯერ მდევნელნიც, ერის კაცნი, თუ საეკკლესიო პირნი, უს-მენდენ მათ და კათოლიკე ხდებოდენ.

საქართველოს კათოლიკოსმაც ერთ გზით დაუწყო კაპუცინებს მტრობა, უფრო გამორჩენის აზრით, რადგან კაპუცინებს, ახალი ეკ-კლესიის აშენების დროს, მისთვის, ვითარცა ჩვეულება იყო, საჩუქარი არ მიეცათ. ამის გამო კათოლიკოსმაც მათი სკოლა დააკეტვინა. გარნა მისმა მტრობამ დიდ ხანს არ გასტანა: ისევ დაუმეგობრდა და სკოლაც გააღებინა. თუ ამის და ამ დროს მომხდარი სხვა ამბის შესახებ ორი წე-რილი გვაქვს მისიონერებისა. პირველი არის უფროსი პატრის სერაფი-ნოს წერილი, რომას 1671 წ. გაგზავნილი, რომლიდგანაც ეს მოგვყავს: „...კვალად გავმართე სკოლა, რომელიც წარსულ წელს დაიკეტა სა-ქართველოს კათოლიკოსის ბრძანებით (თურმე ჩვენი ეკკლესიის აშენე-ბის გამო დიდი საჩუქარი უნდოდა). შიგ ყმაწვილები ბლომად გვყავს. ყმაწვილებს ვასწავლით ქართულს, იტალიურს და ლათინურს, ეგრეთ-ვე ყოველდღივ ვუხსნით საქრისტიანო მოძღვრებას. გარდა ამისა, მათ ყოველკვირაობით ეკკლესიაში ვამეორებინებთ ნასწავლ მოძღვრებას, რა-საც დიდი ხალხი ესწრება. დღისით, თუ ღამით ჟამ-კანონს ხოროთი ვა-სრულებთ და წირვასაც ვგალობთ დიდის დიდებით. ვქადაგებთ ეკკლესია-ში და ეგრეთვე გარეთაც, როდესაც მარჯვე დრო მოგვეცემა და ხალ-ხის მოქცევის იმედი გვაქვს. გამუდმებით ბაასი გვაქვს მეტადრე სომხე-ბის და ქართველების მონაზონებთან და ეპისკოპოსებთან. ბაასი ხშირად უნაყოფოდ არ რჩება. ერთმა ჩვენგანმა ქართულად სთარგმნა რომის კა-თეხიზმო და მალე დაასრულებს, გვინდა დავაბეჭდინოთ მათ წმინდა კრე-ბას. მრავალნი გაენდვნენ და მრავალნი კიდევ ენდობიან და ეზიარები-ან ჩვენთან, მაგრამ ფარულად, რადგან თავიანთი ეპისკოპოსების ეში-ნიათ. ერთი თავისი ნებით მოვიდა გასულ თვეში. ეგრეთვე სწორედ ამ დღესაც მოვიდა აღსარებისთვის ორი დედაკაცი, რომელსაც უკვე ვა-თქმევინე. ჯერ კათეხიზმო ვასწავლე და, რადგან მათი მიღებული ნათლო-ბის სინამდვილის ეჭვი მქონდა, შემდეგ პირობით მოვნათლე. იმ დროს, როცა ამ განდობილს ერთი ქალიშვილი მოვუნათლე. დღე რომ გამოხდა, ჩემთან აღსარება სთქვა ფარულად ერთი ქართველი ეპისკოპო-

სის ძმა. ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის ხარების დღეს ჩვენთან ერთმა არაბმა აღსარება სთქვა და ეზიარა. აგერ სამი დღეა გორიდგან მომწერა პატრი იოსებ კორსომ, რომ ის მახლობლად ოსეთის მთის გვერდობზე მისულა, რათა შეეტყო იმ ქვეყნებში ქადაგება შეიძლებოდა თუ არა; იქ დარჩენილა ათი დღე ერთი სნეულის ბატონის საწამლებლად, კიდეც მოუნათლავს და აღსარება უთქმევინებია; უიმისოდ უნათლავი მოკვდებოდა, რადგან მოხუცი იყო; შემდგომ სხვა 17 კაციც გაუწვრთნია და მოუნათლავს. მომავალში ჩვენთან აღსარების თქმას შეჰპირებიან. სოფლებში, საცა ხშირად დავიარებით საქმით, დიდი სარგებლობა მოგვაქვს, რადგან ბავშვებს ვნათლავთ, მათ მღვდლებს ვწვრთნით და გლეხკაცებსაც აღსარებას ვათქმევინებთ. რამდენიმე ოჯახი ყველა თავიანთ შვილებითურთ გავაკათოლიკეთ. ზ ცხადათ და დანარჩენი ფარულად. იმათ ჩვენს ეკკლესიაში დიდის ამბით მოვუნათლეთ ერთი ქალიშვილი შაბათ დღეს... ტფილისი, 30 მარტს. 1671 წ. პატრი სერაფინო მელიკოველი“ (1).

პროპაგანდა, 7 ივლისსა 1670 წ., სწერს ამავე პატრს სერაფინოს, რომ ორი ახალ-გაზრდა ქართველი გაგზავნოს პროპაგანდის კოლეგიაში სასწავლებლად. ამ ორი ქართველის სამგზავროდ ფული მიუციათ 50 სკუდი იმ კაპუცინებისათვის, რომლებიც ამ დროს რომიდგან საქართველოს მოდიოდენ. ამათგანი ერთი იყო შესანიშნავი პატრი ბერნარდე ნეაპოლელი. (2).

ერთი სხვა ვრცელი მოხსენებაც გვაქვს, რომელიც მოკლედ შეიცავს მისიონის თითქმის ყველა შესანიშნავ ამბებს. 1671 წელს ახლად მოსულ პატრი ბერნარდე ნეაპოლელს იგი დაუწერია და გაუტანებია რომას მიმავალი პატრი ფრანჩისკე პიემონტელისათვის, რომელიც შავ ზღვაში დაღუპულა. ეს რა შეუტყვიათ ტფილისში, ხელმეორედ დაუწერინებიათ იგივე მოხსენება, თანაც დაუმატებინებიათ ის, რაც წინანდელი დაწერილის შემდგომ მომხდარა და გაუგზავნიათ რომას. ამას თარიღი არა აქვს. ვგონებთ დაწერილი უნდა იყოს 1672 წ. საკმაოდ ვრცელი წერილია, ამიტომ ჩვენც მარტო იმ ადგილებს მოვიყვანთ, რაც უფრო შეეხება ჩვენს საგანს. ვინაიდგან იგი ერთმა ძველებურმა ფრანგულმა გაზეთმა ფრანგულად გამოსცა, ამისათვის ჩვენც ფრანგულის ტექსტის მოყვანას ვარჩევთ.

„ათი წელიწადია, რაც თქვენის ყოვლად უმაღლესობის ბრძანებით კაპუცინები წამოვიდნენ საქართველოს კათოლიკე სარწმუნოების გასავრცელებლად. მოკლე დროს განმავლობაში ღვთის შეწევნით ისე დააგვირგვინა იმათი შრომა, რომ დიდათ საწყენი იქმნება ეს ამბავი სიჩუმით დაფარული დარჩეს, მისი გამოქვეყნება შეეწევა ღვთის დიდების გამო-

ბრწყინებას და მასთანვე შეიქმნება თქვენთვის ერთი საშუალება, როდესაც ამა ყველას სცნობთ, კარგად მართოთ ეს მისიონი და გაუძღვეთ მის წარმატებას. ...ამ დროს წამლობის მიზეზით კაპუცინები ეცადნენ და მოიგეს თბილელი ეპისკოპოსის გული, როგორათაც უკვე მოგებული ჰქონდათ კათალიკოსისა. თუ ერთთან და თუ მეორესთან და ეგრეთვე დანარჩენ საეკკლესიო პირებთან დაიწყეს ხშირად ბჭობა: შემდგომ ბევრი და მრავალ გზის ილაპარაკეს რომის პაპის ხელმწიფებზე და უპირატესობის თაობაზე.... უდიდესი რწმუნება და ნდობა დავიმსახურეთ მეფის სახლში; მეტადრე ჩვენი ხორცის სიწმინდის სახელ განთქმულობამ კარები გაგვიღო დედოფლის სასახლისა, რომელიც სხვათათვის დახშულია; იქ თავისუფლად შესვლა, დედაკაცებთან სხვის დაუსწრებლად ლაპარაკი შეგვეძლო; თუ ვინმე შემოგვესწრებოდა, ეჭვი არავის ებადებოდარა. მეფე გვაქცევდა უდიდეს ყურადღებას და გვიცხადებდა უდიდეს პატივისცემას; ერთი დიდი სახლი და ბაღი მოგვცა. ჩვენი სინიდისიერება და მეცნიერება ერს დიდათ სწამდა და ამიტომ იბერიელების და ქართველების სათნო საყოფელი ვიყავით, ამათგანი რავდენიმე კიდეც იყო ჩვენს სარწმუნოებასთან შემოერთებული, როდესაც კათალიკოსმა დევნა დაგვიწყო. შემდგომ რა მოგვეცა რავდენჯერ შემწეობა და ეგრეთვე ახალი მისიონერები, ავაშენეთ საკუთარი ეკკლესია. იქამდე კი კერძოდა გვქონდა. ამის აშენების დროს კათალიკოსს საჩუქარი რაფერი მივეცით, თუმცა ჩვეულებად აქვს ყველას უბრძანოს ხოლმე და გამოართვას ეკკლესიის აშენების დროს, თვით სომხებსაც, რომლებიც მასზე დამოკიდებულნი არ არიან. ჩვენს წინააღმდეგ ყველა ღონისძიება იხმარა; ჯერ ხალხს აუკრძალა ჩვენთან ბავშვების მობარება და ჩვენს ეკკლესიაში მოსვლა; შემდგომ მივიდა მეფესთან და ბევრი ეცადა, გავედევნეთ მთელი ივერიიდგან. ესრეთ სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდნილთა, მოვილაპარაკეთ მეფეზე, კათალიკოსის დიდ ხელმოქმედებას სხვა ვერაფრით ვეწინააღმდეგებოდით, რათა სამწუხარო შედეგი აგვეცილებინა თავიდგან, თუ არ მეფისავე გულკეთილობით, რომელიც მას ჰქონდა ჩვენდამი. ეს მისი გულკეთილობაც შერყეული იყო ნათესაობის გამო, რადგან იგი კათალიკოსი ძმის (ანუ დის) წულით*). გარდა ამისა ჩვენის დიდის გაჭირვების შესამსუბუქებლად გადავწყვიტეთ ქიმობით მოგვეპოვებინა ღონისძიება, ამან ძრიელ დაგვიმცირა სახელი და ეგრეთვე ბევრის მეგობრობაც მოგვაკლო. ზარნა მეფის გულმოწყალებამ სმლოა და ჩვენმა განუწყვეტელმა სამსახურმა გაიმარჯვა კათალიკოსის მრისხანებაზე, იგი გარეგნად შეგვირიგდა და ამით

*) სხვა კაპუცინები კათალიკოსს მეფის ძმად რაცხავენ.

ვითომ დაჰფარონ თავისი მტრობა და ლათინთა სარწმუნოების მიმართ სიმძულვარე, იტალიიდგან მოსულმა შემწეობამ მალე გვიშველა, დავიწყეთ უსასყიდლოთ კურნება; სკოლაც კვალად გავაღეთ, რადგან დაკეტილი იყო ბავშვების წასვლის გამო. შემდგომ დაიწყეთ ეკკლესიაში ჟამ-კანონის თქმა, ღამით გალობა და თუ დიდისა და თუ პატარა მარხვის დაცვა, რომლებიც აქეთ ძრიელ ბევრი იციან.... ამ საშუალებით შემდეგ დიდ მარხვაში დიდი ხალხი მოვიზიდეთ და გულმოდგინებით ვუქადაგებდით, რადგან საზოგადოთ ეს ერი დიდი მოსურნეა ღვთის სიტყვის მოსმენისა. ამ დროს ჩვენი ყოველი შრომა ძრიელ კარგად წავიდა; ას კაცამდე თუ ტფილისს და თუ გორში მოვიდა, ჩვენთან და აღსარება სთქვა; სხვა ბევრმა ჩვენი სარწმუნოება აღიარა და დაიწყო საიდუმლოს ხშირად მიღება, თუმცა კი ფარულად, შიშისგამო. ამ ნაირად იქმნა ჩვენი მისიონის დასაწყისი და წარმატება. ახლა საქმე ისეა წასული, რომ ყველაფერი იმედს გვაძლევს, სარწმუნოება დიდ წარმატების გზას დაადგეს, განსაკუთრებით ვიდრე ეხლანდელი მეფე ცოცხალია. ეხლა გვაქვს ორი სახლი და ორი ეკკლესია ერთი ტფილისსა და ერთი გორში, ისიც არა ფარულად, არამედ ცხადად და ყველას წინაშე (რაც იშვიათია აღმოსავლეთში)... მესამე სახლიც გვქონდა იმერეთში ქუთაისსა, მაგრამ ომებისა და ეგრეთვე ცხოვრებისათვის საჭირო ღონისძიების უქონლობის გამო თავი დავანებეთ; ხოლო ისევ შევიძენთ, როდესაც შეძლება გვექმნება, გურულები და ოსები გვიწვევენ იმათთან წასასვლელად: პირველნი იმიტომ, რომ მღვდლები ჰყავდესთ, ხოლო მეორეთ მკურნალები სჭირიათ... მარტო ეს არ არის: პირველში თუ სასაცილო და სამასხარო ვიყავით, ეხლა მთელის სამღვდელოებისაგან დიდათ პატივცემული ვართ ჩვენის მეცნიერების გამო; ამიტომ მღვდლები, ეპისკოპოსები და თვით კათალიკოსიც, როცა გაუჭირდებათ, რჩევას გვთხოვენ. ხალხსაც, რომელმაც შეიტყო ჩვენი უანგარობა, ძლიერ უკვირს, რომ ეგრედ შორიდგან მოსულნი აქ თავგანწირულად ვშრომობთ სულთა ცხონებისათვის და სასყიდელს კი არ დავეძებთ. ეხლა, გარდა იმ მცირედი რიცხვისა, რომელიც ღმერთმა გამოირჩია ყოველ ოჯახში, ეგრეთვე გარდა ერთის ურიის, ჩამომავლის აბრაჰამ იბერიელის მღვდლისა, რავდენიმე ოჯახი თავიანთის ყმებით აღიარებენ კათოლიკე სარწმუნოებას, ზოგი ფარულად და ზოგი ცხადად... სწავლის დროს ბავშებს ვწვრთით სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაში. გარნა თავიანთის ხასიათის სიცრუისა და თუ მათის მშობლების სიხარბის გამო, ისწავლიან თუ არა ქართულ წერა-კითხვას და რა მოიზდებიან, მიდიან სკოლიდგან და ქუჩებში ყველა ნაირ ბოროტ ჩვეულებას ითვისებენ ამ სენის საწინააღმდეგოთ, რადგან კარგა ხანია, სურდათ ლათინურის და

და იტალიურის სწავლით დავაწყებინეთ გრამატიკის სწავლება ამ ენაზე, გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ როდესაც მათ იტალიანური იციან, მაშინ ვერც თავიანთ ამხანაგების დაცინვა და ვერც თავიანთი მშობლების სიმკაცრე მათ ვერ აშორებს ჩვენგან და სარწმუნოებისაგან. იმერეთში ერთ სოფლის პატრონთან პატრი ანჯელო ვიტერბოელმა გაატარა ცოტა ხანი მკურნალობის გამო; მისი დარიგებისა და ყაი ქცევის მიზეზით დაიბარეს პატრი იოსებ კორსელი. თავისი მეცადინეობით მიიღეს ბინა კათოლიკე სარწმუნოებამ, რომელიც წინათვე გაეცნოთ, არა მარტო მრავალ წევრს იმ კეთილშობილი ოჯახისას, არამედ მრავალთ გლეხთაც, რომელთაც სარწმუნოებისათვის [illegible] ასიოდე კაცი მას გვერდში და ერთგულადაც დარჩნენ. მრავალმა სხვამაც, რომელიც ან კარგად, ან სულ არ იყო მონათლული, ძილის ამბით მიიღეს ნათლისღება, თუმცა მშობლები არ იყვნენ თანახმა. ამასთანავე უნდა დავუმატოთ, რომ თერთმეტი წლის განმავლობაში, რაც ჩვენი პატრები საქართველოში არიან, ათას სულზე მეტი ხელახლავ მონათლეს, ზოგი კერძოდ, ზოგი საჯაროდ, რადგან წესიერად არ იყვნენ მონათლულნი. ეგრეთვე ტფილისში ჩვენ მიერ ფარულად განსწავლული კათოლიკეები წინეთ ვერ ჰბედავდენ გამოცხადებით აღესრულებინათ კათოლიკობა, თავიანთ ჭეშმარიტ სარწმუნოებას ჰფარავდენ; გულში კი ჰქონდათ ჩანერგილი. ეხლა სულ ერთიან შეიცვალა: სარწმუნოების წარმატება ეგზომ შესანიშნავია, რომ ახლა სულ აღარაფრად ვრაცხავთ, რაც უწინ დიდ რამედ მიგვაჩნდა. კაცს ეგონება რომ უწინდელი დრო მარტო თესვის დრო იყო, ახლა კი მკისა... გარდა იმისა, რომ როგორც შემთხვევა მოგვეცემა, ხშირად ვქადაგებთ ერსა. უკანასკნელ დიდმარხვიდგან ეკკლესიაში ზეპირად ბავშებს რიგრიგად ვამეორებინებთ საქრისტიანო მოძღვრებას ბელარმინესაგან შედგენილს. ერთმა ჩვენთაგანმა სთარგმნა ქართულად. მოძღვარი შემდგომ უფრო ვრცლად უმარტებს კათეხიზმის წესზედ. უწინარეს ამ წვრთნისა, იმავე ენაზედ ამბობენ ღვთის მშობლის „საქებელს“ ლოცვას და მის საიდუმლოთ თვეებს კითხულობენ. თავისი ბრწყინვალებით და დიდებულებით ეს ცერემონია მუდამ დიდ ხალხს იზიდავს. ხოლო ერთ უფრო დიდ განცვიფრებაში იმან მოიყვანა, რომ ღვთის მშობლის მიძინების დღესასწაულის [illegible] მსახურებაში ქადაგება მარიამის დიდებასა და ხელმწიფებაზედ. სოფლებში წამლობის დროს ბევრი დავიყოლიეთ, კარგად ჩავაგონეთ და დავატოვებინეთ თავიანთი [illegible] შეცდომილებანი, თუმცა კი თავიანთი ჩვეულების დაგვარ მუდამ [illegible]. ამ უკანასკნელთა შორის მოიპოვება ერთი დიდად შესანიშნავი პირი არდაშელიძე, რომელსაც აქვს ნათესაობა დიდ ოჯახებთან, პირველ [illegible]ან და თვით მეფესთანაც. ამან თავისი მამის ეპისკოპოსის ბრძანებას ყუ-

რადღება არ მიაქცია, ჯერ გორში მოვიდა ჩვენთან და შემდგომ ტფი-
ლისში, დიდის სიხარულით და მოწადინებით დაუტევა აღმოსავლეთე-
ლების შეცთომილება და შემოგვიერთდა. ამისი საშუალებით დიდი იმე-
და გვაქვს, რომ კათოლიკე სარწმუნოება ძრიელ გავრცელდეს..." (1).

პროპაგანდა 14 მარტს 1672 წ. პიემონთელ პატრი ფრანჩისკეს სწერს, რომ თავისი ქართულად ნათარგმნი კათეხიზმო საჩქაროდ გაგზავნოს რომში დასაბეჭდათ. ამას გარდა ამ დასაბეჭდ კათეხიზმოს შესახებ სხვა საბუთები არაფერი გვაქვს. ამიტომ დანამდვილებით არ ვიცით ეს კათეხიზმო დაიბეჭდა თუ არა.

კათოლიკების გავრცელების საქმე ამ ნარად წინ მიდიოდა; ყოველი წლების პირი უერთდებოდა კაფუცინებს. სჩანს მეორედ კიდევ მოუწადინებიათ და ლაპარაკი დაუწყიათ საქართველოს ეკკლესიის რომის ეკკლესიასთან შეერთებისათვის. მოუწადინებიათ არა მარტო კაფუცინებს, არამედ თვით კათოლიკოსსაც, ამის შესახებ თუმცა მისიონერების წერილი არავითარი გვაქვს, მაგრამ ერთის თვით ამ საქმეში მყოფი პირის საბუთი კი მოგვეპოვება. იგია ერთი სომეხი პეტროს ბედიკ (მისი უწინდელი სახელი მანუკ ავეტიკ იყო), რომელიც ბავშობიდგანვე წასულა სპარსეთიდგან რომსა, სადაც სწავლა დაუსრულებია და შემდგომ უცხოვრია ვენაში. იქიდგან სპარსეთს გაჰყოლია მათე არქიეპისკოპოსს, რომელსაც პაპის წიგნი მოჰქონდა შაჰთან. იგი დარჩა სპარსეთში 1672-დან 1676 წლამდე, ხოლო თავისი აღწერილობა გამოსცა ვენაში 1678 წელს, ამან აქ მეფე ერეკლე პირველიც ნახა. სხვათა შორის, იგი მოგვითხრობს: „იქვე ზის მათი პატრიარქი, რომელიც პატიოსანი და მიდრეკილია რომის ეკკლესიასთან შესაერთებლად. ამის წინათ თვით განგებ მივიდა კაფუცინებთან მოსალაპარაკებლად. ამათგანი ახლა რავდენიმეა ზემო ხსენებულ ქალაქში (ტფილისში) და მთელი ხალხი პატივსა სცემს... კაფუცინების უფროსის საშუალებით ხსენებულმა პატრიარქმა თავისი აზრი გამოუცხადა ნეტარ ხსენებულ პატრის პრისკოს და მეც, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა ველარ შეიძლო, რადგან დიდი მთავარი (მეფე) მისი ძმისწული განუდგა სპარსეთის მეფეს და მიჰმართა ოსმალებს, ამიტომ მთელი საქართველო სულ არეულ-დარეულია სპარსეთის მეფის შიშის გამო; ამ საქმისთვის მოსალაპარაკებლად პატრიარქთან მისვლა ჩვენც ველარ შევიძელით... სპარსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში მოიპოვებიან კათოლიკები, რომელთა შორის უმეტესნი არიან სომხები და ქართველები და ზოგიერთი სპარსელებიც. როდესაც ხსენებული პატრი პრისკო მეორედ სადილად მიიწვია შაჰმა, იქ დაესწრო ეგრეთვე ქართველების უწინდელი უძლიერესის თეიმურაზ მეფის შვილის შვილი, ერეკლე..." ხოლო იმავე პატრმა გვაუწყა, თუ როგორ ფამი-

ცხადებინა ხსენებულ ერეკლეს თავისი მიდრეკილება კათოლიკე სარწმუნოებისადმი ერთის თავის საყვარელის დიდათ თავგანწირულის მისიონერის, კაპუცინის ანტონ-როფინის საშუალებით და ეთქვა, დიდის სიამოვნებით მივიღებდი ხსენებულ პატრი პრისკოსთან, სპარსელების ჩვეულების წინააღმდეგი რომ არ ყოფილიყო“. (1)

მისიონერებმა 1671-დგან 1674 წლამდე ბევრი წერილი გამოგზავნეს რომსა აქაური მისიონის შესახებ, ეგრეთვე განგებ პატრი ანჯელო ვიტერბელიც გაგზავნეს, რათა აქაური გარემოება კარგად ეცნობებინა, და თუ ფულით და თუ კაცით საკმაო შემწეობაც ეთხოვნა, არც ეს წერილები და არც ამ პატრის მოხსენება ხელთ არა გვაქვს. ხოლოდ მოგვეპოება ერთი წერილი, რომელიც პატრ უფროსს სერაფინოს გაუგზავნია 19 ოქტომბერს 1674 წ. და სადაც იხსენიებს თავის წინანდელ გაგზავნილ წერილებს. იქვე მოგვითხრობს, რომ ერთ გაკათოლიკებულ ახალგაზდა ქართველს ტფილისში ცხვირი მოუჭრია კათოლიკე სარწმუნოების გამო, რათა სპარსეთის ყეინთან აღარ გაეგზავნათ. კაპუცინებს წინეთ თურმე მისი რომსა გაგზავნა მოუნდომებიათ სასწავლებლად და კარდინალის ნება-რთვაც აუღიათ, მაგრამ მეფეს არ დაუნებებია, რადგან მისი მოყვანილი ყოფილა იმერეთიდგან. ის ახალგაზდა ქართველი თავადი ალავერდის შვილი ყოფილა, რადგან კარდინალი თავის წერილში ასე უწოდებს: nobile Georgiano Deodato. ამის სამგზავროდაც 25 სკუდი გამოუგზავნია.

იმავე წერილში კარდინალი აცნობებს პატრ უფროსს, რომ ქართულად ნათარგმნი კათეხიზმო კარგად შეასწოროს და გამოუგზავნოს რომს დასაბეჭდათ. (2).

პატრი უფროსი ხსენებულის წერილით ეგრეთვე უთვლის კარდინალს თავის თხოვნას სომეხთა შურისა და დევნის შესახებ. როგორაც სჩანს, წინეთ რომისათვის უთხოვნია, რომ საქართველოში მისიონი დაევედრებინათ ევროპის ყველა იმ მთავრებისათვის, რომელთა ქვეყნებშიც სომხები სცხოვრობდენ, რათა აქ სომხებს აღარ ედევნათ მისიონერები.

აქამდის არ მოვიყვანეთ იმერეთის მეფის და რაჭის ერისთავის წერილები, რადგან მათ თარიღი არ უზის და ზედ მიწევნით არ ვიცით, თუ რომელს წელიწადს ეკუთვნიან. ის წერილები მოხსენებულია, მარტო აქ დასახელებულ კაპუცინის წერილში, რომლითაც კარდინალს აუწყებს ესრედ: „იმერეთში არ ადგილს გვიწვევენ; იქაური მთავრების წერილები ხელში მაქვს, აქამდის ვერ შევიძელით წავსულიყავით. ქუთაისს მყოფ ჩვენს ერთგულს კათოლიკეს მივანდე, რომ აცნობოს, როდესაც საკმაო საშუალება მექმნება, თუ ორთავე ალაგს არა, ქუთაისს მა-

ინც გავგზავნი მისიონერებს, რადგან იქ უფრო მეტად სასარგებლონი არიანო.“ აი ეს ხსენებული წერილებიც:

„ქ. მეფე ბაგრატ ვიკადრებ მესტუმროვო (sic). ჩვენ მაგიერად ფრანგსა პატრი სერაფიონს და მის ამხანაგებს მრავალნი მოკითხვა მოგახსენეთ. აწე თუ ჩვენი თავი უნდათ ორიოდე კაი მეცნიერი და კაი აქიმი პატრი მათის კაი საქიმრო წამლებითა და წიგნებითა მოვიდენ და ღვთით ვეცდებით, რომ ალაგიც გაუჩინოთ და სარჩოს საქმეც გაურიგოთ და როგორიც წიგნიც უნდოდეს იმისთანა წიგნიც რომის პაპს მივუწეროთ. სიკეთის მეტი ამ ქვეყანას მაგათ არა უშამს რა ესემცა არ გიქმნიათ რომე არ წამოხვიდეთ“.

წერილი რაჭის ერისთავისა შაშიტასი. Dell' Eristavi di Racia in Imereti, detto Sciascia:

„ქ. შაშიტა ერისთავი ვიკადრებ ჩემო ბატონო პატრო სერაფიონო და მისნო ამხანაგნო მრავალი თქვენისა კისა და ჭკუანისა თავის შესაფერი მოკითხვა და ნახვის ნატრა მოგვიხსენებიათ. აწე მეფემანცა წიგნი მოგწერათ და ჩვენც ყველას დიდათ გვეამების რომე ორიოდე კაი მეცნიერი და აქიმი პატრი აქ იქნებოდეთ, სიკეთის და კარგად მოპყრობის მეტი თქვენ აქა არა გიშავდეს რა, და ალაგიცა და სარჩოს საქმეც გაგირიგოთ და რომ პაპთანაც როგორიც წიგნი გინდოდესთ იმისთანა წიგნი მივწეროთ“. (1).

ზედმიწევნით არ ვიცით, თუ როდის შეუსრულეს ეს თხოვნა კაპუცინებმა და როდის ჩავიდენ იმერეთს. არც ის ვიცით, პაპსა მეფე ბაგრატმა მისწერა წერილი თუ არა; რადგან ამ დროების საბუთი ბევრი გვაკლია.

ზემოდ ვნახეთ, რომ კაპუცინებმა რომიდგან საკმაო შემწეობა მიიღეს და ტფილისში გამართეს ეკკლესია. ამ შემწეობის საშოვნელად იძულებულნი გახდენ ორ-სამ გზის განგებ კაცი გაეგზავნათ, რადგან წერილები ვერას აწყობდენ. ამის შემდგომ გავიდა რამდენიმე წელიწადი, რომ კაპუცინებს საკმაო შემწეობა აღარ მოსდიოდათ რომიდგან, რაის გამო ისე უწინდელათ სიგლახაკეში ჩაცვივდენ. თავიანთ გაჭირვებას პროპაგანდას თითქმის ყველა წერილში უმეორებდენ კაპუცინები და განუწყვეტლივ სთხოვდენ შემწეობასა. რომი შემწეობის შესახებ კაპუცინთა თხოვნას ადვილად ყურადღებას არ აქცევდა ორის მიზეზის გამო: პირველად საქართველო იმიტომ მიანდო კაპუცინებს და არა სხვა მონაზონებს, რომ ისინი სხვებზე უფრო გლახაკურად სცხოვრობდენ. რომს იმედი ჰქონდა, დაგლახაკებული საქართველოში ამათ დიდი ხარჯი არ დასჭირდებოდათ; მაგრამ სულ წინააღმდეგი გამოდგა. მეორე მიზეზი იყო, რომ თეატინელებს უწინ არც ქართლსა და არც სამეგრე-

ლოში ეგოლენი სახარჯო არ მოუთხოვიათ, როგორც კაფუცინებსა;
ამის გამო პროპაგანდა ხშირად ეკითხებოდა თეატინელებს, რასაც ესენი
საჭიროდ დაინახავდენ, იმას უგზავნიდა და არა იმდენს, რამდენსაც კა-
ფუცინები სთხოვდენ.

თავის დროზე რომ ველარ მიიღეს კაფუცინებმა რომიდგან საკმაო
შემწეობა, პატრი რაფაელი გაგზავნეს რომს და წერილები გაატანეს.
ამას აგრეთვე მეფემაც გაატანა ორი წერილი: ერთი პაპთან და ერთი
კაფუცინების გენერალთან, რათა შემწეობა მიეცათ. აქვე მოგვყავს მე-
ფის ორივე წერილი.

შაჰნავაზის წიგნი პაპი კლემენტე მეათესადმი — ქართულად მი-
წერილი.

„ქ. ბრძანებითა ღთისათა და წყალობითა მეუფისათა, რომელი გა-
ნაგებს ყოველთა არსთა, შესაქმისთა ქვეყანისათა იპყრობს და მჭირვე-
ლობს მისთა ძალითა დადგინებული კელმწიფე, ტახტსა ზედა მჯდომა-
რე ვახტანგ გორგასლანისა და დავით აღმაშენებელისათა წინასწარმე-
ტყველისა დავითისა და სოლომონის ტომი და ნათესავი, მპყრობელი
და მფლობელი ქართლისა და კახეთისა, მპყრობელი და მჭირავი საბა-
რათიანოსა და სომხითისა, მპყრობელი და მჭირავი ლიხთ იმიერისა და
ლიხთ ამიერისა, მპყრობელი და მჭირავი საათაბაგოსი, ტაოსი, ბასიანი-
სა, ლიგანისკევისა და ჯავახეთისა, მპყრობელი და მჭირავი ოდიშისა და
გურიისა, მპყრობელი და მჭირავი აფხაზეთისა, სვანეთისა, რაჭისა, ლე-
ჩხუმისა, მპყრობელი და მჭირავი ოსეთისა, დვალეთისა, კევსურეთისა,
ფშავისა, თუშეთისა და მათთა გარეშემოთა მამორჩილებელი და კელისა
ქვეშე მქონებელი მეფე კელმწიფე...

„მოგიკითხავ სიყვარულითა და გაქებ სახელის დიდებით თქვენ აღ-
მაღლებულო და ყოველთა ცისკიდეთა ქუეშთა საჩინო მნათობო ელვა-
რეო, მწყემსად ცხვართა პირმეტყველთა გამორჩეულო და ქრისტეს
მცნებისა ქადაგებად გამოჩენილო, მაღალისა და აღმატებულისა სამო-
ციქულოსა საყდარსა გამორჩევით და უსასყიდლოდ დადგინებულო, პე-
ტრე მოციქულისა ტახტის მჭირველო და ცხვართა მისთა დამცველო
და კლდეო სიმტკიცისაო, ვითარცა უბრძანა უფალმან ჩვენმან იესო ქრი-
სტემან: შენ ხარ კლდე და ამასა კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩე-
მი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას, და მოგცნე შენ კლი-
ტენი სასუფეველისა ცათასანიო სიმართლისა და მართლის განჩინებისა
საქმისათვის ბოროტისათვის შემკვრელო და კეთილისათვის გამხსნელო
და მრავალთა სულთა კელთა ქვეშე მქონებელო, სიყვარულითა მათისა
ცხოვრებისა თავისმდებელო, მამაო მართლმორწმუნეთა შვილთა მო-
ყვარეო ზე აღმატებულო და დიდებულო...

„მრავალნი თქვენის სახელი-განთქმულისა და სიკეთეზედან ხმა გას-მენილს თავის მოკითხვა და კარგად ყოფნის ნეტარება მოგვიხსენებია. მერმე ეს მოგახსენოთ — ეს თქვენი გამოგზავნილი პატრები მოვიდნენ აქა და აქ მყოფობა და დადგომა მოინდომეს ჩვენს ქვეყანასა არც სადარი ჰქონდა და არც დგომილი იყვნენ, ჩვენ თქვენის სახელისა და სიკეთი-სათვის კიდეც შევიწყნარეთ; კარგაც მოვეპყარით სასახლე და სადგო-მიც მივეცით და საყდარიც ერთი შევუბინეთ. ამდენი ხანია, აქ არიან არც ჯამაგირი მოუვიდათ, ალარც თქვენი წყალობა. ესე არ ვიცით, თუ გამოუგზავნეთ რამე და არ მოუვიდა. თუ არ მოიგონეთ და არ გამო-უგზავნეთ, ეს ჟურ შევიტყვეთ საიდაც სხვაგან, ან ისპაანს და თავრეზს, სადაც გარეშემო თქვენის სახელით დადგინებული პატრები არიან, ყველას წელიწადში ჯამაგირი მოუვა. ამათ ხუთი წელიწადია არა მო-სვლია რა, თუ ჩვენს ქვეყანას ყოფნისათვის არას უგზავნით და არას ნაღვლობთ, ჩვენც არ დავაყენებთ, საყდარს ისევ დავაქცევთ და ამათ გამოვყრით, თუ მათი აქ დგომა გინდათ, ჯამაგირი მართალი გაურიგეთ როგორც სხვა ალაგის დგომს პატრებს აქვს და ეს პატრი რაცაელი ისევ გამოგზავნეთ. ამან ჩვენის ქვეყნის ენა იცის და ყოველს კაცს იცნობს და ყველანი ეწყობიან და ყველას სიყვარული აქვს ამისი და თქვენის სახელისათვის დიდათ სჯობს ამის აქ ყოფნა".

ეს წერილი დაუწერია თბილელ ეპისკოპოსს, ამას უჩვენებს იტა-ლიანური ზედ წარწერა. რიცხვი არ აქვს. გარნა მეორე წიგნის რი-ცხვიდგან სჩანს, რომ დაწერილია 1675 წ. ივლისში.

შაჰნავაზ მეფის წიგნი კაპუცინების გენერალ პატრი ბონავენ-ტურა ლეკარტისადმი, 1675 წ. ივლისის თვეში (ქართულად):

„ჩ. წყალობითა და განგებითა ღვთისათა, რომელი უფლებს და განაგებს მეუფეების ტახტსა და წყალობის მისთა მოსავთა თვის რომელმან განაგო მეუფება დავითისი კონსტანტინესი მიხაელისი და ლევანისა მისისავე განგებისა და საფარველისა ქუეშე მისსა მეფობის ძალითა მისითა დადგინებული დამყარებული კელმწიფე სრულიად საქართველოისა, მპყრობელი მქონებელი და მჭირავი ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატოვან გვარითა და მემკვიდრეობითა მეფობასა შინა წარმოშობილი და დამყარებული კელმწიფე მეფე...

„მოგიკითხავ სიყვარულითა და ხსენებულ გულით სარწმუნოებითა თქვენ ძმას და პატიოსანს მონაზონთა დასისა განმამშვენებელთა და ეკლესიათა შემამკობელსა სულისა სიწმინდისა და ღვთისათვის თავ გარდა-დებით სწყურვალს მონასა და საუკუნოს მოღვაწეობისათვის გარჯისა და შეჭირვებისა არა მზარებულსა, ქრისტესათვის თავ გადადებულსა და მი-სისა მცნებისა აღსრულებისა მოსწრაფესა დიდისა სახელისა ქველისმოქმედოსნობისა-

სა საყდრისა დამასზედ მპყრობილისა პაპისა რჯულისა ქვეშე მყოფსა, სულისა სიყვარულისათვის წამებად გამზადებულსა, მისთა მორჩილთა მონაზონთა [illegible] და კეთილად წინამძღოლსა და განმგესა პატრსა... მრავალი მოკითხვა და კარგად ყოფნის სიხარული მოვახსენოთ. მერმე ეს მოვახსენოთ. ეს უმცროსნი მორჩილნი და კელქვეშ მყოფნი პატრები ამდენი ხანია აქ არიან. ჩვენ თქვენის სათნოსა და დიდისა, რომ პაპისა სათნოსა და სიკეთისათვის ამათ სასახლე და ალაგი მივეცით და საყდარი ავაშენებინეთ. რომ თქვენი საყდარი აქ არ ყოფილიყო, კარგად ლოცულაწიან და არიგებენ; მაგრამ ეს ხუთი წელიწადია არც ჯამაგირი მოსულია და არც არა გინაღვლიათ ამათი. რისათვის ისე მოიძულეთ და კელიდამ გაუშვით, რომ ამათი არა ინაღვლეთ რა. ისპაანს თავრეზს, სადაც თქვენი პატრები დგანან, ყოველს ჯამაგირი და წყალობა მოსდის. ამათ არა მოსდის რა. ეს ვერ შეიტყუეს აქ მდგომა პატრებმა, თუ გამოგიგზავნიათ რამე და არ მოსულა. თუ არ გინაღვლიათ და არ გამოგიგზავნიათ რა, რისათვის აგრე უზამთ, დიაღ თქვენს მცნებას და სწავლას და ლოცვას ეკრძებიან და უდგანან; თუ თქვენ არას ინაღვლით და არ გინდათ, არც ჩვენ გვინდა. ალარავის დავაყენებთ. საყდარსაც დავაქცევთ და ამათ გამოვჰყრით. თუ თქვენ გინდათ, მართლა ყური უგდევით, ჯამაგირს ნუ დააკლებთ, რომ ილოცონ და დარჩნენ. ახლა პატრი რაფაელი წამოვიდა; ამას საქართველოს კაცი დიდი კარგა კაეწყო. ჩვენი ენა და წიგნი კარგად ისწავლა. ეს ისევ გამოგვიგზავნეთ მანდ ნუ დააყენებთ, თქვენთვისვე სჯობს. ჯამაგირისა და სარჩოს საქმე მართლა გაურიგეთ, რომ ამისი პირნახული არ მოიშალოს. ესეც ჩვენს და აქაურს ამბავს ეს მოგახსენებს». (1)

ეს ორივე წიგნი პატრი ბერნარდეს ლათინურად უთარგმნია აგვისტოს თვეში 1675 წ. ეს თარგმანი ჩვენ ვერ ვიპოვეთ.

მეფის ეს მუქარა კაპუცინების განდევნის შესახებ ჩვენ არ უნდა მივიღოთ ნამდვილ მუქარად. ეს რომ ნამდვილი ყოფილიყო, მაშინ ალარ სთხოვდა პატრი რაფაელის უკან დაბრუნებას. მეფემ კარგად იცოდა, რომ კაპუცინებს თუ იმერეთსა და თუ სხვა ადგილებში იწვევდნენ, უკეთუ მათ თავის სამეფოდან განდევნიდა, სხვაგან სიხარულით შეიწყნარებდნენ. ხოლო თუ ასე მისწერა, მარტო იმიტომ, რომ მათთვის საჭირო შემწეობა უფრო ადვილად გამოეგზავნებინა.

ამავე კაპუცინების არხივში, ბევრი სხვა წერილებიც შეგვხვდა ჩვენ, ზოგიერთს მოგვყავთ აქ, გვგონია, უადგილო არ იყოს. ამ წერილებს ბევრს თარიღი არ აქვს. ამ უთარიღოთაგანი ერთი, რომელსაც პატრებს სწერს, ჰგონებთ სპარსეთიდგან, ალექსი გიორგიანიანი (Ghiorghianiani), ძმა ფარსადან ბეგისა, რომელსაც ჰქონია სოფლები გორის ახლოს.

ქ. ღ˜თნ პატრის სერაპინოსა დომატორის რაფაელისა და სულიერ-თობით პატრეზის ქირი ძმა საკვირველთ ყველა ამ თქვენსა ნახვისა და სამ-სახურის დიდად მონატრეს ამ თქვენს თვალებს მისცეს ღმერთმან თქვენის კაიკაცობა ჰკვიანის თავის შესაფერი მოვითხვა ნახვისა და სამსახურისა. და-ლათ ძალზედ მომიხსენებია და ნათლიდან სავსეს ხელებზედ მოხვევა. აწ აქაურს ამბავს იკითხავდეთ, რა თქვენ გამოყრივარ, ათი წიგნი მომიწე-რია და თქვენ პასუხი არ მომიწერეთ. რა გავიგონეთ ფრანგზედ ელჩი ბანდარაბაზის მოსულა და ლეკის ხელმწიფე მოუკვდარა და ამ ელ-ჩისთვის წასვლა არც უნდა ლოიპასა, ამზე გაუგზავნია ფრანცის ცარს თუ რომ-სათ უყოფ დაუყოვნებლივ შვან მანდ საქართველოს წამოვიდესო. აწ რაც ამბავი გაიგონოს, თქვენ ყველა წიგნით მომწერეთ. მე მწყემ მინდა რომ წასულა, თუ ღ˜თნ კელი მომიმართა. თქვენც მომეხმარეთ ეგე-ბის ღმერთმან იპოვინოს ასეთი საქმე მომიხდინოს, რომ წავიდე რასაც ჩემს ესტატეს წიგნსა დაუჯდას ასწავლით, თქვენ იცით. თუ პატრის ან-ტონს გამოაგზავნით რომე ხელსა და ფეხს ვაკოცე და შენდობა მო-ვახსენე სადა მე და ის და ხოჯა აზარია ერთათ ისპაანს წავედით ელჩათან კაი იქმნების, თორემ თქვენ კარგად იყვენით. ძმებსა შემატყობინეთ ბა-ტონო. ჩემი ძმის სოფელში ვიქმნები“.

აქ ხსენებული პატრი სერაფინოს უფროსად იყო ვიდრე 1675 წლამდე მაშ ეს წერილი ამაზედ უგვიანესი არ უნდა იყოს მი-წერილი.

ესტატეს მიერ ქართულად დაწერილია შემდეგი წიგნი პატრებს მეორეთმეფიათ შაჰნავაზის შვილის გიორგისათვის, როდესაც მეფის სხვა-გან ყოფნის დროს, მისი ადგილი ეჭირა.

„ქ. ღმერთმან ბატონის შვილის გიორგის ქირი პატრებს მისცეს მერმე თქვენ მოგეხსენება თუ ბედნიერის მამის თქვენისაგან რა პატივი გვქონდა, ანუ როგორ მეგობარია ჩვენი დავათ ანუ ჩვენც როგორც თავშესდებით გვიმსახურებია თქვენთვის აწ მეარტივ მე აქ ვარ სამოთკარი თქვენს სამსახურზე არიან. არც მოსამსახურე მყავს, არც ვისმე ვიცნობთ აქა. ესე მართლ მე ვარ სახლთხუცესმანს ციცი ერთი ბიჭი წყალობა გვიყო ახლა გორგელმა ნაზარამ შემოგვიხადა და ის ბიჭი წაგვართო. აწ ამისთანა კაცმან რომ ისე გვიყოს, ნახეთ თუ სხვა რასა გვიზამს. თუ ამის სამართალი დაგვემართება კაი არის, თუ არა და დასტური გვიბო-ძეთ აქ საყდრის პირი ალაყაფი გვაქვს, რომე ყოველი კაცი გვზაბუნოს ჩვენი დიდი აუგი და სირცხვილი ჩვენი გალახვა და ჩაგვრა სირცხვი-ლით შინიდამ ვერ გავსულვარ“.

არც ამ წიგნს აქვს თარიღი. ვგონებთ ესეც უნდა იყოს 1675-წინ მიცემული.

მისიონის საქმე მუდამ დღეს წარემატებოდა. მისიონერები ყველგან უახლოვდებოდენ ერსა თავიანთ მკურნალობით და სწავლა-დარიგებით ყველა წოდების წარმომადგენელთ იზიდავდენ. ტფილისი მათ გულგრილად არ უყურებდა; მეტადრე როდესაც ხანი მათი მფარველობდა, ამისგამო დიდ თანაგრძნობას უჩენდა პატრებს და მათ შრომა-ცდას ყურადღებო-ბელ არ სტოვებდა. ქართველთა ესრეთმა მოწადინებამ მისიონერებს იმე-დი მისცა და გული გაუკეთა. ამისგამო ისინი ხშირად სწერდენ რომში და უთვლიდენ, რომ საქართველო ყველა მისიონზე უფრო საუკეთესო არისო. აქ უფრო ბევრი ნაყოფი მოგვაქვს, ვიდრე სხვაგანაო. პატრი იოსებ რომელმა, 10 დეკემბერს 1675 წ. მისწერა რომში ერთი წე-რილი საკმაოდ ვრცელი, რომლითაც აცნობა საქართველოს სხვა და სხვა გარემოება. ამ წერილიდგან მოვიყვანთ ერთ ნაწილს. „მთელი აზია დავიარე ინდოეთამდე და დავრწმუნდი, რომ საქართველოს მისიონი ყველაზე უფრო ნაყოფიერია მთელს აზიაში, რადგან ეს ქრისტიანების ქვეყანა ოსმალებსა და სპარსელებს შუა, მომეტებული ნაწილი სპარსე-ლებს უჭირავსთ და უმცირესი ოსმალებს; ხოლო ბევრს ადგილს კი ქრისტიანე მთავრები განაგებენ დამოუკიდებლად. ამის გამო ძრიელ დი-დი თავისუფლებაა: ქადაგება, ზარების რეკვა, ეკკლესიური გამოჩენება სრულიად თავისუფალია. ეს ყოვლადფერი დაუბრკოლებლად ხელს უწ-ყობს უდიდესის ნაყოფის გამოღებისათვის, ჭეშმარიტად ღირსია, რომ კაცმა ყველა შეწუხება იტვირთოს, სისხლი დაღვაროს და თავისი ცხოვ-რება გასწიროს. ოჰ! როგორ დასწყდებოდათ გული წმიდა პეტრე მო-ციქულს და წმიდა პავლინოს აქაური სამწუხარო სურათი რომ ენახათ! უმანკო ბავშებს, თუ ვაჟებს და თუ ქალებს, სცვაჭრობენ მეიდანზე, ჰყიდიან ოხერ ფასად, რათა მით დააკმაყოფილონ ოსმალების უწმინდური მადა. გვესმის და ვხედავთ მათს ყვირილსა და ტირილს. ამ ტყვეთ ზოგი მდი-ნარეში თავს იღრჩობს, ზოგი თვალებს ითხრის და ზოგიც ცხვირს იჭრის, რათა ურწმუნოებმა აღარ იყიდონ და წმიდა სარწმუნოება არ დაატო-ვებინონ... ნაყოფის გამოღება ადვილია. შეიძლება ამ მონათლულ სულთა შესყიდვა და გაგზავნა იმისთანა ადგილს, სადაც შეეძლოთ ქრი-სტიანურად ცხოვრება და სიკვდილი, რადგანაც ვინც უნდა იყოს მყიდველი, ოსმალო, ბერძენი, სომეხი თუ ევროპიელი, კმარა, რომ მო-მეტებული ფასი მისცეს და იმას დარჩეს. თითოს ჩვეულებრივი ფასი არის 25 ან 30 რომაული სკუდი. ესეც საზიზღარი ჩვეულება, იმიტომ გავრცელდა ასე ადვილად, რომ ბატონები ულმობელნი და მრავალნი არიან, რადგან საქართველო სავსეა თავადებით, რომლებსაც ჩვენში ბა-რონებს ვეტყვით; ამათ განუსაზღვრელი უფლება აქვსთ თავიანთ ქვე-შევრდომებს რაც უნდათ, ის უყონ, ასე რომ დამშლელი არავინა

ჰყავსთ ბატონების ხელში ყმათა ქონებით, სიცოცხლით და ნამუსით ამი-
ტომ ყოვლადის სიადვილით, როგორც უბრალო რამე ნივთს, ოსმალებ-
ზე ჰყიდიან... ქართველები არასდროს არ ყოფილან მოვაჭრენი; ეს უცხო
ვაჭრები მოდიან. გარნა ბოლოს დროს სპარსელებმა ტფილისი საქართვე-
ლოს დედა-ქალაქი განადიდეს და გაავსეს იგი ხომხებით, რისგამო დაი-
წყო ცოტა-ვაჭრობა“. (1)

იგივე პატრი ამ წერილით უგრეთვე შემწეობას სთხოვს ტყვეების
დასახსნელად.

მისიონერები, როგორც სამეგრელოს ისე ქართლში მხნედ ებრძოდენ
ამ საზიზღარ ჩვეულებას, ტყვეთა გაყიდვისას, თუ ერთიან ვერ სპობდენ,
მაინც უნაყოფო არ რჩებოდა მათი ცდა. ხშირად მრავალნი უკანდგე-
ბოდენ ამ სამარცხვინო ვაჭრობისაგან, რომელიც ჩვენს ქვეყანას ანა-
დგურებდა. ესრეთი გულშემატკივრობით მოყვასის შესაწევნელად ყველას
საყვარელი ხდებოდენ და ყველასაგან იმსახურებდენ დიდ პატივისცემას,
რაც დიდათ ეწეოდა კათოლიკე სარწმუნოების გავრცელების საქმეს.

ხსენებული პატრი თავის ვრცელ წერილებში აღგვიწერს გორში და
მის გარეშე დარჩენილ მამულებსა და სოფლებს აგუსტინიანთ და თეატი-
ნელთ პატრებისას. სხვათა შორის იხსენიებს ორ სოფელს, ერთი ყოფი-
ლა სკვითი (Squitti), გაშენებული არდაშელის მამისაგან ახლოს იქვე
და მეორე ტინისხიდი (Tinischidi) ლიახვის გაღმა; ყოფილა ეს მამუ-
ლები თავადებს ჩავარდნიათ ხელში, მაგალითად, პაპუნა ფალავანდელს
ჰქონია სკვითი, და ტინისხიდი ჰქონია ლევან ბატონიშვილს, ხოლო
ზოგიერთ თავადებს, როგორც არდაშელსა და სხვებს შეუგულიანებიათ
კაპუცინები, რათა მათ ფრანგების უწინდელი მამულები ისევ უკან დაუ-
ბრუნებინოთ.

ამავე წერილებით პატრი აცნობებს მეფის განდევნას სპარსელების
წინააღმდეგ, რისგამო მისი ორი შვილი, რომლებიც ჯანაგებდენ ორს
უმთავრეს პროვინციას ოსმალებთან გაუგზავნია ვგონებ, ახალციხის-
კენ და თვითონაც მომზადებულა გასაქცევად, თუ ვინიცობაა, სპარსე-
თის ჯარი შემოვიდოდაო ქვეყანაში. ეს მომხდარა უფრო იმის გამო, რომ ერეკლე
პირველი, რომელიც კარგად ცნობილია ერთი წლის წინეთ რუსეთიდგან
სპარსეთში მოსული [illegible] უთხოვნია საქართველოს მეფობა,
რადგან მას უფრო ეკუთნოდა.

ისევე პატრი 1676 წ. პირველ იანვარს იწერება რომში და უწყებს
მისიონის დიდ განსაცდელში ჩავარდნას არეულობის გამო, რადგან მოე-
ლოდენ, თუ სპარსელების და თუ ოსმალების შემოსევას საქართველოში.
გარნა კაპუცინებს გადაუწყვეტიათ სრულებით არ დაენებებინათ თავი
მისიონისათვის, და იმისათვის სიცოცხლეც გაეწირათ.

ამ დროიდგან გვაქვს ერთი წერილი, რომელსაც არც თარიღი აქვს და არც დამწერის სახელი უჩანს. ეს წერილი, ვგონებთ, საქართველოდან მისულს ერთს კაპუცინს უნდა წარედგინოს პროპაგანდისათვის. ამ წერილში ის აღუწერს მოკლედ საქართველოს მისიონის გარემოებას და ქვეყნის მდებარეობას. სხვათა შორის წერილში აცხადებს: „თორმეტი წლის განმავლობაში საქართველოს მისიონმა უფრო მეტი ნაყოფი გამოიღო, ვიდრე სხვა ქვეყნების მისიონმა 60 წლის განმავლობაში გამოიღო. გარდა ორი ეკლესიისა, გვაქვს სკოლა, რომელშიც სწავლობენ 40-50 მოწაფემდე; კაპუცინების საქართველოში მოსვლის დროს ნათლისღების შესრულების წესი თითქმის ერთიან დატოვებული იყო და ღვთისური ბრძანების წინააღმდეგ ბევრი ურიგობა ხდებოდა. რამდენათაც შეიძლებოდა, ეს ნაკლულევანებანი მოისპო და ნათლისღების შესრულების ნამდვილი სახე აღდგენილ იქმნა, რადგან ხელთნაწერი საქრისტიანო მოძღვრებათ მთელ საქართველოში მოვფინეთ. მისიონერებმა მთებში მცხოვრებთაგანი, სხობით დანათლეს, ეგრეთვე ნათლავენ ურწმუნოთ ბავშვებსაც წამლობის დროს, როდესაც სიკვდილის პირას არიან. მესამე მისიონის დაფუძნება საჭიროა კახეთშიაც, რომელიც ცალკე დაუდიდესი სამთავროა, მშვენიერია ჰავითაც მთელს მხარეში, ყველაფერით ძრიელ უხვია, ასე რომ არ განსხვავდება ევროპისაგან. იქ ხშირად მიდიან მისიონერები ტფილისიდგან". (1).

ზემოდ დასახელებული პატრი იოსები აპრილის პირველს 1677 წ. სწერს რომსა და აუწყებს სპარსელებისაგან მოწამლულ მეფისწულის ავადილს. ხოლო ამავე წლის პირველის დეკემბრის წერილით აცნობებს, რომ ერეკლე მეფის იძახდნენ კაპუცინებიდ ტფილისაგან. ერეკლე სპარსეთს გაბრუნების დროს დაპირებია დიდ შემწეობას. იმისავე ამბობს, ძრიელ დიდი პატივისცემა აქვს მისიონერებისადმი, ეგრეთვე მოუთხრობს, რომ როდესაც ერეკლე გაბრუნებულა სპარსეთს, ყეენს უთხოვნია, გამაჰმადიანდიო; რადგან იმას ქრისტეს სარწმუნოების უარი არ უყვია, სპარსელებს მოუწამლავსთ (1).

ამავე წელს ესევე პატრი დაუბარებია საწამლებლად გიორგი გურიელს გამოეგზავნით ოთხი ცხენოსანი და ერთი ფეხოსანი წასაყვანად. რა წასულა გურიას, მაგრამ კაპუცინებია თუ გურიელი და თუ მისი მეუღლე, რისთვისაც გიორგის მისთვის უჩუქებია ერთი ძვირფასი ვერცხლის ჭურჭელი. ამავე დროს მიუცია პატრისათვის ის წერილი, რომელიც მოვიყვანეთ გურიაში კათოლიკების აღწერის დროს დართმული, სადაც ჰპირდება მათ ეკლესიის დაბრუნებას და ოლქის მოსვლის მოცემას, რისგამო ამან მისწერა პროპაგანდას დაეთხოვა ახალი მისიონერების გამოგზავნა გურიისათვის.

პატრი იოსები ასტრაბადიდან რომში სცხოვრობდა. იმ ღამეს ერთ ღამეს ათი შეზზაკი დასხვემია დამბარი სახლი სულ ჭურთიანად გაუქურდავსთ. ეს და მისი ამხანაგი პატრები ავაზაკებს გასძალებიან, ამ შეტაკებაში ერთი ავაზაკთაგანი მოკლულა და ერთიც დაჭრილა; პატრი იოსებიც დაუჭრიათ ფეხში, რაისგამო განკურნების შემდგომ დაკოჭლებულა. ამ ამბავს სწერს რომში პირველ დეკემბერს 1679 წ. გურიიდგან, სადაც ახლახლოვ წასულა შაჰნავაზის შვილის, გიორგი მეფის თხოვნით. გარნა გურიის მთავარს მერე აღარსად გაუშვია, იქ დაუჭერია, რათა იქ დაბინავებულიყო და სხვებიც მოეყვანა. იმის იქ ყოფნაში გურიის მისიონის გასაძლიერებლად რომიდგან სამეგრელოში მოსულა სამი კაპუცინი. იმათ ტყვილი ამბავი გაუგიათ, პატრი იოსები მოუკლავთო და შეშინებულნი, გურიაში წასვლის ნაცვლად, ისევ უკან გაბრუნებულან კონსტანტინეპოლს.

კათოლიკობის საქმე თანდათან ძლიერდებოდა, მეტადრე მეფეების მფარველობით და შემწეობით. როგორც შაჰნავაზი, ისე მისი მოადგილე გიორგი მეფეც კარგად ეპყრობოდნენ კაპუცინებს და თავიანთს მფარველობას არ აკლებდნენ. ხოლო სომხები კი პატრებს მოსვენებას არ აძლევდნენ, და მარხვის დროს ეძებდნენ, რომ ედევნათ. მძლავრად დევნა დაუწყეს 1679 წ. თუმცა კი როგორც უნდოდათ, ისე ვერ ავნეს მათ. ამას უფროსი პატრი რომში სწერს ესრედ:

„თქვენს უაღმატებულესობას უნდა მოვახსენო ერთი დევნულობა, რომელიც აღდგომის უკან სომხებმა დაგვიწყეს: ისარგებლეს იმ შემთხვევით, რომ ახალი მისიონერები აღარ მოდიოდნენ, რაც ჩვენ უკანასკნელ მდგომარეობაში გვაყენებდა; ეგრეთვე რა ნახეს, რომ სააღდგომოდ ჩვენთან 60 კაცზე მეტი გაუნდევნენ და გაკათოლიკების ეჭვი შეიტანეს მათზე; სომხების მღვდლებმა და ერის კაცებმა კრება ჰყვეს წინააღმდეგად მისიონისა, რათა ან ჩვენ გავედევნეთ საქართველოდგან და ან ჩვენი ეკლესია დაენგრიათ. ხოლო იმ შემთხვევისათვის, თუ ვერ შეისრულებდნენ წადილს, წერილით დაადგინეს, რომ ყველას, ჩვენს ეკკლესიაში მომსვლელებს, გადაეხადათ 200 პიასტრი მეფისა და ქართველების პატრიარქისათვის; მაგრამ ღვთის წყალობით თავიანთი ბოროტი განზრახვა ვერ შეასრულეს, რადგან კურთხეულმა უფალმა მისთანა გული მისცა ამ ქართველთა მეფეს, თუმცა კი მაჰმადიანებილია, რომ კრინტიც არ დასძრა სომხების სასარგებლოდ: საკმარისი იქნებოდა მარტო ერთი სიტყვა ეთქვა, რომ ჩვენი ეკლესია ერთიანად დაენგრიათ. ამნაირად, იმის წყალობით, რომ მისიონერებმა მოსვლა დაიგვიანეს, აქაურმა მისიონმა დიდი გაჭირვება გამოიარა... პატრი იოსებ ბორგანანელი. ტფილისი, 15 მაისისა, 1679 წ.“. (1).

ამ დევნულობის ამბავი მოხსენებულია ეგრეთვე ერთ ქართულ წერილში, რომელიც 1679 წ. ნეაპოლში პატრი ბერნარდესთან მიუწერია ერთ კათოლიკეს სახელად ესტატე ჯეგანიძეს ზურაბის შვილს (Estate de Jegani): „ქ. ღმერთმან ტკბილმან ყოვლის მპყრობელმან მამამ ღმერთმან, ძემან მაცხოვარმან და სულმან წმინდამან, რომელი მამისა და ძისაგან გამომავალის, თქვენ უზომოსა მადლი მოგცეს, ვითარცა იოანე ოქროპირს და გრიგოლ ღვთისმეტყველსა, რომელიცა უბრძნებიან და გაქუს ჩვენი სულიერი და მაცხოვნებელი ჩვენის ნებითა მამათ სულიერთა. ღმერთმა თქვენი უღირსი და ცოდვილი, რომელი მთხოველი თქვენგან კურთხევას თქვენის წმიდით. წ თუ იკითხოთ მრავალი თქვენის პატიოსნის და სიკეთე შემკობილის და ღვთის მეტყველებისა და სიწმიდით თავის შესაფერი მოკითხვა ნახვის დიდი ნატვრა მოგვიხსენებიათ მერმე ამას წინეთ წიგნებში მოგვწერეთ, დამივიდა ღმერთმან სასუფეველი უღირსობას, როგორ გაქვს ოთხჯერ მე გამოგზავნილი წიგნი არ ვიცი მოგივიდათ თუ არა და ესენი მოგახსენოთ ჩემთვის წმიდა ბერნარდის ხატი გამოგეგზავნა. ღმერთმან უკეთ ნაამყოფოს და წმიდა ბერნარდი მეოხე იყოს შენი თუ აქაურ ამბავს იკითხავდე მოკითხვა ქენი ორჯერ დაიგროვეს შვილი ქნეს მაგრამ კათოლიკე ეკკლესია ძლიერ იყო და რომელიც კათოლიკე ვნახე შეიტყეს თქვენთან წიგნის მოწერა თქვენს ხელზე შემთხვევა მოგახსენეს". (1)

ზემოდ ხსენებული უფროსი პატრი ისევ აგზავნის რომში კარს ნამყოფს პატრი იოსებ რომელსაც და ატანს წერილს კარდინალს სხვათა შორის ამას სწერს: „ღვთის მადლით მისიონის საქმე კარგად მიდის და დიდი ნაყოფი მოგვაქვს: თუმცა კი სქიზმატიკი სომხები ხანდისხან გვეწინააღმდეგებიან და საშინლად გვდევნიან, როგორათაც პატრი იოსებ ანტონი მოგახსენებს, იგივე გაუწყებს, თუ რა საშუალებით უნდა იხმაროს კაცმა მათთან დასამდაბლებლად" (2).

ამ უფროსს მომზადებული ჰყოლია პროპაგანდის კოლეგიაში სასწავლებლად ხუთი ყმაწვილი, რომელთა შესახებ წინათვე მოუწერია რომში. კარდინალი, 29 აპრილს 1679 წ. პასუხად სწერს, რომ ამ ხუთ ყმაწვილში გამოგზავნოს სამი უფროსი ნიჭიერი, რათა პროპაგანდის კოლეგიაში განაგრძონ სწავლა. ეგრეთვე აუწყებს 7 კაპუცინის გამოგზავნას საქართველოში". (3).

ნეაპოლის სკოლაში ერთი ახალგაზრდა ქართველი თავადიშვილი ყოფილა; მისის გვარისა და იქ მოსვლის შესახებ ცნობა არაფერი გვაქვს. ამას პროპაგანდის კოლეგიაში შესვლის ნება უთხოვია. ამიტომ პროპაგანდიდან ნეაპოლის ნუნციოს ამ წერილს უგზავნიან:

„მათს უსამღვდელოესობას ნეაპოლის ნუნციოს, 16 ივლისს 1681

„პროპაგანდის კოლეგიაში შესვლის ნება ითხოვა ერთმა გამოჩენილმა ქართველი ოჯახის შვილმა, რომელიც მანდ ნეაპოლში სწავლობს სამოქალაქო მეცნიერებას. ბატონი კარდინალები ნატრობენ, შეიტყონ მისი ვინაობა, ზნეობა და ეგრეთვე ის, თუ რა სარგებლობის იმედი იქმნება, უკეთუ მისი თხოვნა შეიწყნარეს, ამისგამო ბრძანეს თქვენთან მოწერა, რომ შეიტყოთ და მისცეთ ერთი გარკვეული მოხსენება, რაც მუდამაც მოელიან თქვენის უზომო გულკეთილობისაგან. ამ მოხსენების მიხედვით ესენი იმ გზას დაადგებიან, რომელსაც უფრო სასარგებლოდ დაინახვენ, ვთხოვთ ღმერთს თქვენს ბედნიერებას“. (1).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ახალგაზრდა ქართველი ნეაპოლში კარგა ხნის მოსული უნდა ყოფილიყო, რადგან ამ დროს საშუალო სასწავლებელში ყოფილა და არც კაპუცინების მოყვანილი უნდა ყოფილიყო, თორემ თვით კაპუცინები ითხოვდენ მისთვის ადგილს, და მისი ამბის შესატყობლად რომიც მათ მიმართავდა და არა ნუნციოს.

ჩვენ მიერ ხშირად დასახელებული პატრი ბერნარდე ნეაპოლელი საქართველოში ათი წლის შრომის შემდგომ, წავიდა თავის მამულ ნეაპოლში შესასვენებლად. ამან პროპაგანდას წარუდგინა საქართველოს მისიონის შესახებ საკმაოდ ვრცელი მოხსენება, რომლისაგანაც მოგვყავს ეს შემდეგი ნაწილი: „პროპაგანდის წმიდა კრების აღმოსავლეთის მისიონებში, საქართველოს მისიონი არა მარტო საუკეთესოა, არამედ, ჩემის აზრით, მას ეკუთვნის უპირველესი ადგილი ყველა სხვა მისიონთა შორის თუ იმისთვის, რომ თავისუფლება არის ყველა სამოციქულო და საეკლესიო სამსახურის აღსრულებისა, ისე როგორც ევროპაში, თუ იმ ნაყოფის გამო, რომელიც ყოველდღივ მოაქვს და მომავალშიაც გამოიღებს, უკეთუ საკმაოდ შემწეობა ექმნა და თუ ეგრეთვე ხალხის თვისებათა გამო. ქართველი ხალხი ყველა აღმოსავლეთის ტომებზე უფრო განათლებული, უფრო განვითარებული და უფრო პატიოსანია და დიდი ნიჭიც აქვს, რაისგამო უფრო მომზადებულია შეითვისოს სარწმუნოების ჭეშმარიტება და დარწმუნდება თავის სულის ხსნისა და საღმრთო წერილის შემწეობით. . . . რაც შეეხება პროპაგანდის კოლეგიაში მისაბარებლად საქართველოდგან ახალგაზრდობის გზავნას, უნდა მოგახსენოთ რომ ეს მეტად ძნელი საქმეა და ეს სიძნელე არა ერთგზის გამოგვიცდია. ჯერ ერთი მგზავრობას დიდი ხარჯი უნდა, გარდა ამისა, იძულებულნი არიან ოსმალების ადგილებზე დიდხანს იარონ, და აქ საშიშია ტყვედ არ ჩაუვარდენ ურწმუნოთ. მეორე მხრივ იქაურ სკოლებში, რომლებშიც ჩვენი პატრები ასწავლიან, კარგ მასწავლებლის ხელმძღვანელობით, შეიძლება მოწაფეები პატარაობითვე ძლიერ კარგად აღიზარდნენ, გარნა სამწუხაროდ, რა გახდებიან ოცის ანუ სულ ბევ-

რი, ათის წლისა, მშობლებს ჩვენგან გაჰყავთ და აყენებენ ხელობაზე. მაგრამ უშემწეოდ არ უნდა დავტოვოთ ის ახალგაზდობა, რომელიც თავისი მიდრეკილებითა და ნიჭითა და ყველა სხვა კაი ხასიათით-ბევრითა სჯობია აღმოსავლეთის სხვა ტომის ახალგაზდობას. ჩვენის აზრით, კარგი იქნება, წმიდა კრებამ კეთილ ინებოს, რათა საუკეთესო მასწავლებლის ხელმძღვანელობით საქართველოშივე, ჩვენის მისიონების სახლებში, თუ სამოქალაქო და თუ საეკლესიო მეცნიერებაში აღიზარდნენ ოთხი ანუ მეტი ყმაწვილი, სხვებზე ნიჭიერი, და მათ შესანახავად გაღებულ იქმნეს იგივე ხარჯი, რაც საჭირო იქნებოდა, რომის კოლეგიაში საქართველოს ორი ანუ ოთხის ყმაწვილის გასაზრდელად. ამნაირად არა მარტო გზის ხარჯი გადარჩება, არამედ ერთისა და იმავე ფულით ორჯერ მეტი ყმაწვილის შენახვა შეიძლება საქართველოში, ვიდრე რომში" (1).

ამ მოხსენებას თარიღი არა აქვს; ვგონებთ, უნდა იყოს წარდგენილი 1680 წ. პროპაგანდა ამ წერილებით წარდგენილ მოხსენებას არ დასჯერებულა, რადგან 18 აპრილს 1681 წ. პ. ბერნარდეს ნეაპოლში სწერს და რომში იბარებს, რათა სიტყვიერად მოახსენოს საქართველოს სრული ამბავი; ეგრეთვე ატყობინებს, თან წამოიღოს თავისი ქართულად ნათარგმნი კათეხიზმო, რათა იქვე დაიბეჭდოს.

ქართულად ნათარგმნი საქრისტიანო მოძღვრების დაბეჭდვის შესახებ ხშირად იყო მიწერ-მოწერა რომსა და საქართველოში მყოფ კაპუცინების შუა, არა სჩანს, ეს წინად დაბეჭდეს, თუ არა; ხოლო, რა მოვიდა ნეაპოლელი პ. ბერნარდე რომს, საქართველოდან თან მოტანილი თავის მიერ ნათარგმნი ქართულად კათეხიზმო დააბეჭდინა 1681 წ. ამ წიგნის სათაური არის ესა: „ქ. საქრისტიანო მოძღვარება, სიმოკლებით დარიგებული კარდინალ ბელარმინოსაგან და გადმოთარგმნილი პატრი ბერნარდო მარიამისაგან ნეაპოლელისა კაპუჩინი და მქადაგებელი და ღვთის მეტყველი იტალიანურის ენისაგან მხედრული ქართულის ენითა. ქ. კს. ჩ. ქ. პ. ა. (1681 წ.)". ესევე სათაური პირველად იტალიანურად აწერია. ესევე წიგნი დაბეჭდვის წინად განუხილავს ქართველ კათოლიკეს ენიბეგაანთ ზალინას, რისთვისაც იტალიანურის ენით ამოწმებს და ქართულად ხელს აწერს ესრედ:

„შემოწმება. მე ზალინ ენიბეგაანთ ქართველმა, პირველი კათოლიკე მოწაფე ტფილისში მყოფ მისიონერი კაპუცინებისა, სადაც სპარსეთის მეფის მოადგილე ზის, რომელთანაც ვიყავი და ვარ მოხელე და მდივანი ქართულისა, სომხურისა, სპარსულისა, თათრულის და იტალიანურის ენასა, ვამოწმებ, რომ ღვთისმეტყველი პატრების შემოწმებით და წმიდა კრების საკრეტარ ეპისკოპოსის ჩემდა ბრძანებით, წავიკითხე და გარდავიკითხე ყოველნაირი სიფრთხილითა ეს წიგნი, შედგენილი სამოციქულო

მისიონარი პატივცემული მამა ბერნარდე მარჯვენა ... არა-ფერი ვიცით წინადადება რომის კათოლიკე სარწმუნოების, ანუ ... ლის ზნეობისა, რადგან სიტყვა-სიტყვით თარგმნია ... ბელარმინის პატარა საქრისტიანო მოძღვარებიდან ქართულს ენაზედ. ეს ამ საქმეში ძრიელ დიდათ სასარგებლო იქმნება, რადგან სარწმუნოების შესახებ ცნობები სული ... -დარიგებითი და ვერც ხელთნაწერით დაკმაყოფილებიათ ეგრედენი პროვინციების საჭიროებისათვის, ამისთვის ძლიერ ხშირად ვთხოვ, რომ ეს დაიბეჭდოს: ქ. მე უნაპეგნთ ზა-ლიანა, როგორც მეტყველი წერილი, „დამტკიცება" (1). ეგრეთვე ამოწმებს ... საქართველოდან ახლად გამოგზავნილი პატრი იოსებ ანტონიომ ... და ხელს ... ქართულად წერს.

ეს წინასიტყვაობა ცხადათ გვიჩვენებს იმ დროის წათოლიკობის გა-ვრცელებას მთელს საქართველოში; რადგან ხსენებული ეგრედენი პრო-ვინციების საჭიროებად ჩვენ თავდაპირველა უნდა ვიგულისხმოთ კათო-ლიკების სულიერი საჭიროებანი, და არა იმათი, რომლებიც ჯერ არ იყვნენ შეერთებულნი კათოლიკე ეკკლესიასთან.

პატრი ბერნარდეს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს წინაშე, რადგან, იმან, რა შეისწავლა ქართული, ბევრი წიგნი სთარგმნა ქარ-თულად, ზოგი თვითონ შეადგინა ამავე ენაზე, ზოგი ძველი წიგნე-ბიდან გადმოსწერა, თუ საკუთრივ კათოლიკებისათვის და თუ საზოგა-დოდ ქართველების სასარგებლოდ, (2) ამან თავისი მოღვაწეობით დიდი სიყვარული და პატივი დაიმსახურა ქართველთ ერისა, მეტადრე კათო-ლიკებისა, ნეაპოლში ყოფნის დროს ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდათ ერთ-მანეთში. თუ მიიღებულის და თუ გაგზავნილის რამდენისამე წერილის პი-რი ჩვენ გვაქვს, იქიდან ზოგი ზემოთ უკვე მოვიყვანეთ და ზოგსაც აქ მოვიყვანთ.

წერილი ოსთანდარა გოგიტას ქალისა რომელიც პატრი ბერნარ-დეს გონდოშვილი ყოფილა. ეს ქართულად მიუწერია ნეაპოლში 1682 წ.

„ქ. ღირსო, ცოდვილთა უცხოდ მნათო თქვენის ღვთისმსახურების სულის შვილი თქვენი ასთანდარ მოგახსენებს ჩემოს საქმის დიდი იმედი. ამ წუთს ქვეყანაზედ იმედი არ მისაჩნევია, მისანდოთ, ყოველმა ჟამთა ტკბილათ სახსენებელო მეუფენი ჩემო სულიერო მამავ. მრავალი თქვენ-ნისა ღვთიურისა და ღვთის და ყოვლად წმიდისა სიყვარულით სავსე თავისი შესაფერი მოკითხვა და სამსახური დიდათ ნატრით მოგახსენებთ. მეტონი ნეტარ შეწყალებისა რომ შენ განახმეს ხარ ჩვენ რომ ღირსი ვა-ყავით მალე გაგვეყარე გვძრა ღმერთმან ნუ ქნას რაგვარც სულიერ ... რამ არ განიყრება უსიკვდილოთ იმ გვარად ჩვენი სულიერობის

მამაშვილობა არ გაიყრება. უმეტესად ახლა უფრო შენი სიყვარული ყოვლად წმინდა ღვთის მშობელი წმინდა ფრანჩისკე მამა ჩვენი ამოდ და მხიარულად გამყოფოს ბატონო მამაო ჩემო დიად მიხარიან მე ცოდვილი უღირსი უცოდინარე რომ მანდიდამ მომიგონებ, წიგნს მომწერ და მომიკითხვი. ბატონო, აქაური რა მოგახსენო. ვინც სიმართლის გზაზე მართლა დგას, ღვთის ბაღში პეტრეს ბადით ახალ თევზებს იჭერენ. ვინცა და იუდასავით უკუდგნენ, ცოტა საქმისათვის შესწუხდნენ მაგრამ ახლა მართალი კათოლიკე უჯესტესად გამრავლდა რა თქვენ წაბძანებულხართ ალამუაც უკუდგა სიმართლის გზისაგან არაფერი იქმნება შენ კარგად იყავ ბატონო მამაო ჩემო. შენვე იცი, რომ პეტრეს და პავლეს სიყვარული მაქვს დიად გულში, შენგან წყალობა იყოს. იმათი სახე და ყოვლად წმიდის სახე ცოტათი მოდიდოთ მიბოძეთ. კრიანოსნისა და ჯუარისა შენ იცი, ბატონო შორისა ვარ უცნობი უმსახურო ვარ, მანდ ქალებთან ჩემ მაგიერ მრავალი მოკითხვა მოახსენე, თუ უკაცრავად არ ვიყო, ბატონო, თქმა არ ვარგა, მაგრამ კიდევ გულია; რაც ჩემის უმცოდინარობით შემიძლია ჩემის ცოდვილის პირით თქვენთვინ ლოცვა არ დამიკლია ბევრს თავს ველარ შეგაწყენ, ბატონო, დაიწერა ეს წიგნი თიბათვის დამდეგსა“.

ნეაპოლიდგან საქართველოში 1682 წ. გამოგზავნილი პასუხი პატრი ბერნარდესი ესტატესთან ქართულად „ქ. სულიერის სიყვარულითა თქვენის ნახვის და ალერსის სამსახურის დიდად და უზომოდ მონატრე პატრი ბერნარდო მარიამ ვიკადრებ, ჩემო სულის შვილო, ნიადაგ ჟამთ სახსენებელო, ბატონო ესტატევ, მრავალი მაგათის ქრისტიანის და მტკიცედ კათოლიკეს და ყოვლის ნათლითა ავსილს თავის შესაფერი მოკითხვა და ლოცვა-კურთხევა მომიხსენებია. აწ ფრა *) პოლიკარპომა თქვენი მართალს რჯულზედ სიმტკიცე თქვენის ჯალაბის მორჯულება და მამისაც ყველა თითო-თითოდ შემატყობინა. კურთხეულ არს ღმერთი ყოვლის სიკეთის მომქმედი ღმერთიც და ღვთის მშობელი ყოვლად წმინდა თქვენი თავი, თქვენი სახელი, თქვენი შვილნი შეინახოს, ვისგან გეშინოდეს ბატონო შვილო“. (1).

ამ პატრთან თვით ტფილისის კაფუცინებსაც ჰქონდათ ხშირი მიწერ-მოწერა. აქაური გარემოება მისთვის მიუწერია 1682 წ. პ. იოსებს. ეს წერილი დაკარგულია, ხოლო ამის შემდგომ მიწერილი წიგნი გვაქვს, რომლიდგანაც მოგვყავს შემდეგი:

„....თქვენს ღირსებას ვაუწყებ, რომ ამ ჟამად მისიონი ძრიელ კარგ მდგომარეობაშია სულიერად, ამ გავლილ ნოემბერში წმიდა იუბილეს

*) მორჩილი ძმა.

გამო ასამდინ აღსარება სთქვეს და ეზიარნენ, ხოლო საშობაოდ კი სამოცმა. ტფილისში 200 კათოლიკეა. მაგრამ ამ დიდ მარხვაში საქადაგებლად ეშმაკმა აქ მოუსია ერთი ვართაფეტი, რომელიც ჯოჯოხეთებრივი სიბრაზით სავსეა წინააღმდეგ მისიონისა და ამ საბრალო კათოლიკებისა. ესენი ჯერჯერობით მტკიცედ არიან. სამი წლის წინეთ ამ გაეშმაკებულმა მღვდელმა აქ იქადაგა და მით ჩვენ ბევრი გვავნო; მაგრამ ახლა უფრო ძრიელ ცდილობს და ჩვენს წინააღმდეგ ყველა ზომას ხმარობს; აგულიანებს ერს, რათა ჩაგვაქვაონ და ან აქედგან განგვდევნონ. ამას კიდევაც შეასრულებდნენ, უკეთუ მეფე ჩვენი მომხრე არ ყოფილიყო. ახლა ვნახოთ, რა მოხვდება ამ დიდ მარხვაში.... ვბედავ მოგახსენო, რომ ძლიერ კარგი იქნება, უკეთუ პროპაგანდის თხოვნით განთქმულმა ვენეციის და ჯენოვის რესპუბლიკამ და ეგრეთვე მათმა უმაღლესობამ დიდმა დუკამ უჩვენონ თავიანთი რისხვა მოვაჭრე და მანდ მცხოვრებ სომხებს, ან მოსაჩვენებლად დაამწყვდიონ და საქონელიც გამოართონ, ვიდრემდე დაჰპირდებოდენ თავიანთი ეჩმიაწინის უბოროტესი სამღვდელოების გასწორებას. ამას ბევრი დრო აღარ დასჭირდება, მაშინათვე შესრულდება, რადგან ამის შეტყობაზე პატრიარქს (ელიზბარს) დიდათ შეეშინდება, რომ არ დაჰკარგონ მანდაური ვაჭრობა და მოწყალებანი... ტფილისით 5 მარტსა, 1683 წ, პატრი იოსებ ბოგონანელი“. (1).

ესევე პატრი ამავე წლის 22 მარტს რომში სწერს, რომ იმ მოსულ ვართაპეტს ბევრი უქადაგებია მათს წინააღმდეგ და მთელი ქალაქი აუღელვებია; შემდგომ სომხებს ბევრი ფული უძლევიათ მეფისათვის მათს გასაძევებლათ და კათოლიკების დასასჯელად. მაგრამ მეფე სრულებით არ დათანხმებულა; რაის გამო თავიანთი ბოროტი წადილი ვეღარ შეუსრულდებათ. ამიტომ სთხოვს პროპაგანდას, რომ მათის დაფარვისათვის მეფეს მადლობის წიგნი მოსწერონ და რაიმე საჩუქარი გამოუგზავნონ.

ეგრეთვე ახლად მოსული პატრი კარლო, ამავე წლის 30 აპრილს, სწერს რომში და აუწყებს, რომ მას ჰყავს სკოლაში ოც-და-ათზე მეტი მოწაფე და ორმოცი განდოსშვილი; მასთანვე მოუთხრობს სომხების მიერ დევნულობას და მეფის მფარველობას სომხების წინააღმდეგ, ეკკლესიას თავზე დაგვაქცევდენ თუ მეფე არ გამოგვსარჩლებოდაო.

პირველშივე სომხებმა რაკი ვერ მოსპეს ერთიანად პატრების მისიონი ტფილისში, კათოლიკე სარწმუნოების წინააღმდეგ დაიწყეს მოქმედება: ყველა ღონისძიება მათ წინააღმდეგ იხმარეს. ამას უფრო ნათლად დაგვანახვებს ქვემოდ მოყვანილი საბუთები. ქართველებმა კი მეფიდგან დაწყობილი თითქმის ყოველთვის გულშემატკივრობა და თანაგრძნობა აღმოუჩინა ლათინის მისიონერებს და ბევრ შემთხვევაში დაიცვა ისინი

სომეხთა მიერ უწყალო და უსამართლო დევნულობისაგან. ამასაც უფრო
ცხადად დავინახავთ შემდეგი საბუთებით.

გიორგი მეფემ თავის მამას შაჰნავაზს ბევრით გადააჭარბა მისიონე-
რების პატივისცემასა და ლათინის ეკლესიისადმი მიდრეკილობაში. ამას,
ქვემოდ მოყვანილ საბუთებს გარდა, გვიმტკიცებს ეს წიგნიც, რომს მი-
წერილი.

„მეფემ კერძოდ დამავალა, როდესაც თქვენს მაღალს ღირსებას მო-
ვსწერ, ყოველთვის კდემით მოვახსენო მოკითხვა ანუ ხელს კოცნა და
გთხოვო თქვენი ამბავი და მისიონერების გამოგზავნა. აწ გულმოდგი-
ნეთ ვასრულებ ამ დავალებას ყოვლად ღირსეულის მეფისას, რომელიც
ჩვენი დიდად საყვარელი შვილია; იმედი მაქვს თქვენთვისაც სათნო-სა-
ყოფელი იქმნეს. თქვენს ღირსებას აზრუმის გზით გამოვუგზავნე ერთი
ვრცელი წერილი, მეორეს გწერ შემდგომ ჩვენის უფროსის მოსვლისა,
რომელიც მოვიდა მოსკოვით, სადაც ჩვენი მეფე გზავნის კაცსა თავის
ძმა არჩილთან... ტფილისი, 7 ნოემბერს, 1684 წ. პატრი იოსები“. (1).

იმავე წლის პირველ თვეებში საქართველოში ჟამი გაჩენილა, და
შვიდ თვეს არ მოსპობილა. ბევრი უმსხვერპლია თუ გორსა და თუ
ტფილისში. ამ დროს კაფუცინებს დიდი კაცთმოყვარეობა აღმოუჩენი-
ათ ერისათვის. გორში მყოფ პატრი კარლო პეშელის შესახებ გვაქვს
ერთი ვრცელი წერილი, სადაც მოხსენებულია, სხვათა შორის, შემდე-
გი გარემოება: სენის გაჩენის დროსვე, ვისაც კი მოუსწვრიათ, გორის
მცხოვრებნი გახიზნულან მთებში; ამათ უთხოვიათ პატრი კარლოსთვის,
რათა ისიც მათთან წასულიყო, რომ სიკვდილისგან თავი გადერჩინა;
პატრს არ უქმნია, იქვე დარჩენილა და დაუწყვია უპატრონოდ დარჩე-
ნილ ჭირიანთა მოვლა; რაც კი შესძლებია, მათთვის მოუგია ყველანა-
ირი სამსახური თუ სულიერი და თუ ხორციელი; თვითონაც დასნეუ-
ლებულა, მაგრამ მალე გაკურნებულა. ამ დროს უფრო უშიშრად და
გულს მოდგინეთ დაუწყვია სნეულების შემწეობა; ახალგაზდა გორელი
ფრანჩისკეს, თავის ერთგული მოსამსახურისათვის, რომელიც კათოლიკე
ყოფილა, ერთგულ დედის მსგავსად, სამსახური არ დაუკლდა, მაგრამ
სიკვდილისგან ვეღარ გადურჩენია: მისი სიკვდილის მეორე დღეს ამასაც
ხელმეორედ შეჰყრია ეს საშინელი ჭირი და გარდაცვლილა მეორე დღეს
სექტემბერში; ასე რომ გორის მისიონი ამ დროს უპატროდ დარჩენი-
ლა. (1).

ტფილისში მყოფმა პატრებმა არა ნაკლები გულშემატკივრობა და
შემწეობა აღმოუჩინეს გაჭირვებულ ხალხს იმ საშინელ დროს. კაფუცი-
ნების ესრეთმა თავგანწირულებამ და კაცთმოყვარებამ მიიზიდა, არა მარ-
ტო გიორგი მეფე, არამედ ბევრი ქართველი თავადიც, ვინც კი მოინ-

დომა ერთიანად შეერთება რომის ეკკლესიასთან. ამ ამბის შესახებ გვაქვს პატრი უფროსის შემდეგი წიგნი პროპაგანდაში მიწერილი:

„გავლილ მარტის ხუთს პატრი ჯუსტინო ლივორნელი ისპაჰანს გავგზავნეთ მე და მეფემ, რათა აქ მოეყვანა ეპისკოპოსი ფრანჩისკე პიკეტი*) სასარგებლოდ ამ მისიონისა, რადგან ქართველ ბატონებს მოლაპარაკება აქვსთ და უნდათ შეერთება რომის კათოლიკე ეკკლესიასთან. ეს ხსენებული პატრი ტფილისს მობრუნდა 21 დეკემბერს. ამნაირად მე და პატრი კარლო პეშელი დავრჩით მარტო, ის გორში და მე ტფილისში. გავლილ ზაფხულს საქართველოში და კერძოდ ტფილისსა და გორში გაჩნდა ჟამი, რომლითაც საკმაოდ დაიხოცნენ; უფრო ბევრი გაწყდებოდა, მთებში რომ არ გაქცეულიყვნენ. გორის მცხოვრებთ პ. კარლოც მიიწვიეს, რათა მათთან წასულიყო, მაგრამ თავის სიცოცხლეს არჩია მათი სულების ცხონება და ეს სურვილი საქმით დაამტკიცა; ნამდვილათ შევიტყე, რომ ამან ბევრი ილვაწა ღვთის დიდის დიდებისა და იმ საბრალო სულთა ცხონებისათვის; ბოლოს მოუკვდა სახლის ერთი ახალგაზდა, რომელიც მას ემსახურებოდა, ორის დღის შემდგომ თვითონაც გარდაიცვალა. მე ტფილისში ვარ მორჩილ ძმა ბართლომე გვილანოელთან ერთად. იგი მეფემ მიიწვია, რომ მას ხლებოდა, მაგრამ მოახსენა, რომ ვერც მე დამტოვებდა მარტოკას და ვერც სახლს დაანებებდა თავს, რადგან ამ დროს ძლიერ გახშირებული იყო ქურდობა. მე მუდამ ქალაქში დავიარებოდი, და სიკვდილის განსაცდელში ვიყავი, მაგრამ არ ვერიდებოდი, ბევრი ჩვენი კათოლიკეთაგანიც მიიცვალა, მაგრამ არც ერთი მომკვდარა საიდუმლოების მიუღებლად. დაწვრილებით არა გწერ ყველას, რაც ღმერთმა ამ დროს თავის დიდებისათვის იმოქმედა ჩვენის საშუალებით, რადგან ქარვანის წასვლის გამო დრო აღარა მაქვს. ხოლო შემდგომ ეგ ბატონი კარდინალები და თქვენც, რა დაწვრილებით სცნობთ ამ დროის ამბავს, ძრიელ განიხარებთ და დარწმუნდებით კიდეც, რომ ხარჯი და შრომა ამ მისიონზე უბრალოდ არ წასულა. ამიტომ დიდათ გევედრებით, მალე უშველოთ, რომ ეს მისიონი არ მოისპოს, რაც საშიშოა, რადგან უკანასკნელ მდგომარეობაში ვართ**). ეპისკოპოსი პიქეტი არ მოსულა, მაგრამ კი შემოგვპირდა მოსვლას. ტფილისი 2 იანვარს 1685 წ., პატრი იოსები ბოგოინანელი". (1).

ესევე პატრი იოსები ამავე წლის 8 აგვისტოს წერილით რომში აცნობებს, რომ სპარსეთში მყოფის პიქეტი ეპისკოპოსისაგან უარი მიუღია საქართველოს მოსვლისა მგზავრობის სიძნელისა გამო; ეგრეთვე

*) ეპისკოპოსი ფრანგი და პაპის ელჩად გაგზავნილია შაჰსთან.

*) გაჭირვებაში მისიონში იმიტომ იყო, რადგან ერთ პატრზე მეტი აღარ იყო.

სთხოვს პატრების გამოგზავნას გორისათვის, რომელიც უმღვდლოდ დარჩენილა. ამავე თხოვნას კიდევ უმეორებს და ეგრეთვე პროპაგანდას ავედრებს ერთ ქართველ კათოლიკეს, რომელსაც რომს გზავნის, ამ სიტყვებით: „ეს ახალგაზდა ამ წიგნის მომტანი, სახელად ანჯელო, არის ქართველი კათოლიკე ლათინის ტიპიკონისა, პატარობიდანვე ამ მისიონში აღზრდილი, რომელშიც თექვსმეტ წელიწადზე მეტი მსახურებდა: მუდამ ნატრობდა ევროპაში წასვლას. როგორათაც თქვენვე ნახავთ, კაი ნიჭიერია, ახლა დრო აქვს, მუდამ კარგად იქცეოდა და ყველას კარგს მაგალითს აძლევდა; ამიტომ ღირსეულად შევრაცხე და სიმართლეც მავალებდა, რომ ეს გამომეგზავნა წმიდა კრებისათვის, რომელსაც გამოეყენებინა ისე, როგორათაც საუკეთესოდ შერაცხავდა. ამიტომ რაოდენათაც შემიძლია მას გავედრებ, რადგან კაი ყმაწვილია და ღირსია ყოველის სიკეთისა, უკეთუ მანდაც ისე მოიქცა, როგორც აქ იყო. მაგისგანვე შეგიძლიათ შეიტყოთ იმ მისიონის გარემოება, რადგან იტალიანური კარგად იცის.... ტფილისი, 13 მარტსა, 1686 წ., პატრი იოსებ ბოგოინანელი“. (2). ამ ქართველის მეორე სახელი მიხელი ყოფილა, მამამისს შერმაზანა და დედამისს თამარი რქმევია. იგი 22 წლისა მიუღიათ პროპაგანდის კოლეგიაში 10 დეკემბერს, 1686 წ.

პატრი ჯუსტინო ლივორნელი 8 ოქტომბერს 1686 წ. წერილით რომში აუწყებს უფროს პატრი იოსების სიკვდილს და ახლად სამის მისიონერის მოსვლას; ეგრეთვე ასახელებს გაკათოლიკებულ აბრაჰამ ქართველ მღვდელს და მეფის მწერალს კათოლიკე ესტატეს. ამასთანავე იმედს აძლევს, მეფეც მალე გაკათოლიკდებაო.

ზემოთ ვნახეთ, რომ, სომეხთა მიერ დევნულობისაგამო, რომსა სთხოვდნენ, რათა იტალიის მთავრებს გამოეცხადებინათ თავიანთი რისხვა სომხების წინააღმდეგ. ამისგამო ფლორენციის დიდი დუკა კოზიმო მესამე სწერს გიორგი მეფეს ამ შემდეგ წიგნს:

„საქართველოს მეფეს, ტფილისს, 26 ნოემბერს 1686, ფლორენციიდან.

„მათს უგანათლებულესობას, ფრიად საყვარელს ჩვენს მოკეთეს,

„უგანათლებულესო ბატონო,

„რაოდნათაც დიდის სიამოვნებით ვსმენულობთ მაგ სამეფოში მოგზაურ პირებისაგან, რომ თქვენი ხელმწიფების უმაღლესობა სიყვარულს უჩვენებს რომის ეკკლესიის მოძღვრებს, რომლებიც მანდ წმიდა სამსახურს ასრულებენ ღვთის პატივის გასაძლიერებლად; ეგოდნათ უფრო დიდათ ვსწუხვართ, რა ვხედავთ, რომ ეგ თქვენი გულმოწყალება არ ეთანახმება სიყვარულს, რომელიც მათ დარგქონდათ. ვინაიდგან უმწეოთა და უცველ-უფარულთ სომხები სდევნიან, მეტადრე მაგ ქალაქში საცა

ეს ხსენებული მისიონერები რომის ეკკლესიის მორწმუნეებთან ერთად გამუდმებით მეტის-მეტ შეურაცხყოფას ითმენენ. ჩვენ კი ასე არავის ვეპყრობით, რადგან ამ ჩემს სამთავროში უცხო ტომის ხალხი სრულის თავისუფლებით დიდის მყუდროებით სცხოვრებენ, მეტადრე სომხები, რომლებიც აქ თავისუფლად და დაუბრკოლებლივ ასრულებენ თავიანთის სარწმუნოების წესებს; ეგრეთვე ჩვენის ბრძანებით ხალხიც მათ დიდ პატივს სცემს და ძრიელ კარგადაც ეპყრობა, დაიმედებულნი თქვენის უმაღლესობის ჩვენდამი ერთგულობითა და აღსავსე ღვთის მსახურების ერთგულობის გრძნობითა ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ ვაუწყოთ თქვენს ხელმწიფებას ჩვენი უკმაყოფილება, შესახებ იმ ბოროტ მოპყრობისა, რომელსაც მანდ სომხები უყოფენ საბრალო კათოლიკებს და მათს მოძღვრებს. დარწმუნებული ვართ რომ ეს ჩვენი ნათქვამი შეაგულიანებს თქვენის ხელმწიფების უმაღლესობას, რათა ჯეროვანი ღონე იღონოთ წინააღმდეგ ესრეთის უსამართლო მოქცევისა, რომელიც ეწინააღმდეგება სიმართლეს და მთელის ქვეყნის აზრსა და იძულებული აღარ გავხდებით, რომ გამოვუცხადოთ ჩვენი განრისხება სომხებს, რომლებიც ჩვენს სამთავროში სცხოვრობენ ყოველგვარის შეღავათით და თავისუფლებით. მაშ იმედი გვექნება თქვენის ხელმწიფებრივის უმაღლესობის კაცთმოყვარეობისა, რომ ჩვენს გამო კეთილ ინებოთ და უბრძანოთ ყველას, რათა მომავალში კათოლიკე მისიონერებმა და რომის ეკკლესიის მორწმუნეებმა აღარ გამოსცადონ ეგრეთი შეურაცხოყოფა და დაჩაგვრა, ჩვენც გპირდებით სამაგიერო კეთილი მოგაგოთ. ვისურვი თქვენთვის ყველა საუკეთესო ბედნიერებას.

„თქვენის უმაღლესის ხელმწიფების ყოვლად მხურვალე მონა
„კოზიმო მესამე, თოსკანის დიდი დუკა“. (1).

1687 წ. ტფილისში ქართულის ენის მცოდნე პატრთაგანი, მარტო პატრი ჯუსტინო დარჩა. მრევლის მოვლის გარდა იგი იძულებული იყო ქართული ესწავლებინა ახლად მოსულ მისიონერებისათვისაც. იმავე წელს აქაურის მისიონის ამბავს იგი სწერს რომსა და მასთანვე აუწყებს ახლად გაკათოლიკებული ქართველების შემდეგს რიცხვსა და სახელებს: „აქვე გაახლებთ ახალ კათოლიკეთა შესახებ ცნობას... ბატონი თამაზ, სამხედროს გენერალი და ბიძა მეფისა, რომელიც არის უკეთილშობილესი ქართველი ყაფლანიანთი, ამან მიიღო კათოლიკობა 15 ივნისს, 1687 წ.; ბატონი სულხან შვილი დიდი მინისტრისა *), ბიძაშვილი მეფისა, რომელიც არის უკეთილშობილესი ქართველი ყაფლანიანთი; თუ კეთილ ინებებს თქვენი უმაღლესობა, ნახავს, რა სათნო საქმე ჰქმნა

*) ეს უნდა იყოს საბა სულხან ორბელიანი.

ამან: თვით შეასწორა „საქრისტიანო მოძღვრება“, რომელიც მე ვთარგმნე; ამან მიიღო კათოლიკობა 15 აგვისტოს 1687 წ.; ეგრეთვე არიან სხვა სახლები და ოჯახები ლათინის წესისა, რომლებიც მარტო მისიონერებს ექვემდებარებიან; ამ მისიონის სხვა პირველი კათოლიკები არიან ეგრეთვე ბაინდურას შვილები: სტეფანე, იოსები, ფრანჩისკე და ნინო; გარდა ამათი, არიან ესენიც: გიორგი დიდებაშვილი, მისი მეუღლე ეთერე და დედა მისი მინგული ქართველები; ხუცესი თავისი დედა თამარა და დები ანნა ხანუმი, შანუბანი და მარიამი, ქართველები; გიორგი მადლისშვილი, მისი მეუღლე და მეუღლის და... ტფილისი, 7 ნოემბერს 1687 წ. პატრი იოსები ლივორნელი“. (2).

ამავე წერილში გაკათოლიკებულ სომხებსაც ასახელებს, მაგრამ ესენიც მომეტებულად ქართველები ყოფილან, როგორათაც სჩანს მათის სახელებიდან, მაგალითად: თინათინა, ესტატე, ნასყიდა, ზალინა და მამაჯანა. ჰგავს ისინი წინეთ სომხის სარწმუნოებაზე გადასულან და იმიტომ სომხებად იხსენიებს. ამავე წერილით აუწყებს ეგრეთვე კარდინალს, რომ გიორგი მეფესაც მიუღია კათოლიკობა და კიდევაც რომში გაუგზავნია ახლად მოსული პატრი ანჯელო. ამ წიგნს აგზავნის მოსკოვით, სადაც მეფე თავის ძმა არჩილს, კახეთის მეფეს განგებ კაცს უგზავნის.

ქართველების ეს მოძრაობა და კათოლიკობაზე გადასვლა მარტო კერძო პირთა შორის არ იყო, არამედ თვით მეფე, საეკლესიო პირნი და ეპისკოპოსებიც შეუერთდენ. როგორათაც მოწმობენ მისიონერების წერილები: „პატრი ჯუსტინომ კათოლიკობაზე გადაიყვანა საქართველოს მეფე გიორგი, მისი ძმა ლევანითურთ, რომელიც არის პირველი მინისტრი მთელის სამეფოსი, ეგრეთვე მათი უსამღვდელოება ექვთიმე საქართველოს არქიეპისკოპოსი თავისი რავდენიმე მღვდლითურთ; ყველამ მათ აღსარებითა და წერილით სცნეს მსოფლიო ეკკლესიის თავად და ამ ქვეყანაზე ქრისტეს მონაცვლედ რომის პაპი ინოჩენციო მეთერთმეტე, რომელსაც სრულიად დაექვევრდომნენ. გარნა ის ორი წარჩინებული პირი არ დასჯერდა გაკათოლიკების კერძოდ გამოცხადებას და ხუთი თვის შემდგომ გაგზავნეს რომში თავიანთ მოციქულად პატრი ანჯელო ფილინელი და თან გაატანეს პაპთან წიგნები, რათა მათის სახელით, მის ტახტის წინაშე წამდგარი ფეხზე მთხვევოდა და მათი უმდაბლესი მორჩილება მიეძღვნა პაპისათვის“. (1).

ამ საგანზე დიდად არ გამოვუდგებით მისიონერთა წერილების მოყვანას, მხოლოდ საკმაოდ ვრაცხთ მოვიყვანოთ შესანიშნავი წერილები: ერთი თვით პატრი ჯუსტინოს დაწერილი, რომლითაც ავედრებს პაპს გაკათოლიკებულ პირთა, მეორე—გიორგი მეფისა და მესამე—ტფილისე-

ლი არქიეპისკოპოსისა, პაპისადმი მიწერილი მის შემდეგ რა გაკათოლიკებულან. ჯერ მოვიყვანთ პატრი ჯუსტინოს წერილს.

„უნეტარესს მამას, ღვთის ეკკლესიის საყოველთაო მწყემს და იესო „ქრისტეს მონაცვლეს ამ ქვეყანაზე, უმაღლესს მღვდელთ მთავარს, ინო„ჩენციო მეთერთმეტეს.

„თუმცა ჩემი მდგომარეობის გამო უფრო მხნედ უნდა ვყოფილვიყავი, მაგრამ მაინც კი ყველა ჩემს საქმეში, ჩემმა მწუხარებამ გადააჭარბა ყველა საზღვარს, რადგან ვგონებდი, რომ მხოლოდ საქართველო მოაკლდებოდა იმ პატივის მიგებას, რომელ პატივსაც უძღვნიან მეფენი და იმპერატორნი თქვენს ყოვლად დიდებულს მღვდელთ-მთავრობას, და ესრედ ამაო შეიქმნებოდა ეგოდენი წლის ჩემი შრომა. მუდამ მოველოდი თქვენის კურთხევის ფერხთა წინაშე წარმომედგინა თქვენი მორჩილი შვილი ამ ქვეყნის მთავარი, რომელიც ძრიელ მოწადინებულია, ყოველს შემთხვევაში, აქოს თქვენი დიდებულება და უწმიდესობა. ამიტომ უსარგებლოდ და დაკარგულად არა ვრაცხდი დროს, რომ მისი ერთგული ლაპარაკი გამეძრიელებინა. როდესაც გავაცანი კათოლიკე სარწმუნოება, მაშინვე მოინდომა შემოერთება ეპისკოპოსი პიქეს საშუალებით. ეს ეპისკოპოსი ხშირად სწერდა ამას თქვენი გულკეთილობის ამბავს. კორსიკის პროვინციელი უფროსი პატრი იოსებ ბოგოინელი გაგზავნა აზრანელში, სადაც მონასტრების დასათვარიელებლად იყო მათი უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი პიკეი, და მოიწვია აქ. მაგრამ არ მოვიდა. რადგან ძრიელ ნატრობდა შემოერთებულიყო ჩვენთან. შემდგომ მე გამგზავნა ისპაანს იმ დროს, როდესაც იქ მათი უსამღვდელოესობა სპარსეთის მეფის წინაშე თქვენს ელჩობას ასრულებდა. შემომპირდა მოსვლას საქართველოში და კიდეც მოვიდოდა სიკვდილს რომ არ მოესწრო მისთვის ამადანში. ამისა და სხვა მიზეზების გამო მე შერცხვენილად ვრჩებოდი, რომ ეპისკოპოსის ხელით ეს მეფე ვერ შევუერთე ეკკლესიას, და ესე გვიანდებოდა. გარნა მუდამ დღეს ამის სისრულეში მოყვანას ვცდილობდი და კიდეც შევასრულე: 7 დეკემბერს, 1686 წ. ჩემს წინაშე მეფემ წარმოსთქვა სარწმუნოების აღსარება და თან ფიციც დასდო, რომ თავისი სამეფოც ერთიან დაუმორჩილოს თქვენს უწმიდესობას. დიდ მადლობას ვწირავ ყოვლად მაღალ მოწყალე ღმერთს, რომ ამდენი წელიწადია მყო თქვენი ხელის იარაღად, რათა აღმოსავლეთელი ივერიის ეს მთავარი თქვენდამი მორჩილებაში შემომეყვანა. შეერთების ხუთი დღის შემდგომ ამ მეფეს აღსარებაც ვათქმევინე. ცხრა წელიწადზე ცოტა მეტია, რომ იგი ურჯულო მაჰმადიანთ აღსარებას აღიარებდა, მაგრამ გარეგულად, მოჩვენებით ვიდრე გულით; ისიც იმიტომ, რომ მეფობა არ ჩამორთმეოდა, რადგან, მამის სიკვდილის შემდგომ, ერთი თა-

ვისიანი ეცილებოდა ტახტს. განვასწავლე სარწმუნოებაში, რაოდნათაც ჩემი უძლურება შემწევდა და მოითხოვდა თქვენი უმაღლესი ბრძანება. სარწმუნოებას აწ ძრიელ ერთგულად იცავს; მეტად სახელ-განთქმულია, ბრძენი და ყველანაირი ნიჭით შემკული, როგორათაც მოგახსენებს ჩემი მონდობილი პატრი ანჯელო, რომელსაც მეფე თავის პირველ ელჩად გიგზავნისთ, რათა ვრცლად გაუწყოსთ ყველა: მისი სურვილი და გთხოვოსთ რომ მეფე რომის ეკკლესიის შვილად შერაცხოთ, როგორათაც არიან სხვა ქრისტიანე მთავარნი და მეფენი. ვითარცა მეც ყოვლად უღირსი გთხოვ და გევედრები, რომ, მაგ თქვენი გულმოწყალების პატივისათვის, მიიღოთ ეს მეფე თქვენს შვილად. ამიტომ მთელის სოფლის მართველ ხელთა თქვენთა შევავედრებ მას. დარწმუნებული ვარ და იმედიც მაქვს, რომ, რომის კათოლიკე ეკკლესიის ნამდვილი საყვარელი შვილი შეიქმნეს. ეს იქიდგანაც ცხადია, რომ ყველასფერში იქცევა რჩევისამებრ ლევან თავის ძმისა, რომელიც ამ სამეფოს პირველი მინისტრია, და ეგრეთვე უკეთილშობილესი რატიშვილის ექვთიმე არქიეპისკოპოსის რჩევით. ამათაც ფიცით ჩემს ხელში აღიარეს კათოლიკე სარწმუნოება: ლევანმა იმავე წლის დეკემბრის ცხრამეტს და მათ უსამღვდელოესობამ არქიეპისკოპოსმა დეკემბრის ოცს, მეორე დღეს. ლევანი თავის შეერთების შესახებ არაფერს გზავნის, რადგან, როდესაც მეფემ კაცი და წერილები წარმოგზავნა, მაშინ ლევანი სხვა სამთავროში იყო მეფისათვის მეუღლის და დედოფლის მოსაყვანად: ვინაიდგან მეფე მეორედ ქორწინდება. ფიცითი შეერთების წერილებზე მათ უსამღვდელოესობამ არქიეპისკოპოსმა და მეფემ საკუთარი ხელიც მოაწერეს. თქვენი უწმიდესი დიდებულება დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ ფიცის ქვეშ პირდაპირ ვსთარგმნე ეს წიგნები ლათინურად, რასაც, ჩემს სულს და გულს შეერთებულის, მოგიძღვნის პატრი ანჯელო. ესეც ცხადად უნდა მოგახსენო, რომ ეს მთავარი თავის სახელს სწერს მთავრად და მეფედ სრულიად საქართველოისა, რომელიც ხუთ სამთავროდ გაყოფილია და ყველა თვითეულ პროვინციას ჰყავს თავისი მთავარი. თუ ყველას მეფედ იწოდება ეს იმიტომ, რომ თავისი ძველის-ძველი უფლება დაიცვას. თუმცა ახლა მარტო ერთი სამეფო ქალაქი აქვს, რომელიც უწარჩინებულესი, დიდი და თავია მთელი საქართველოსი: ეგრეთვე სხვა ქართველი მეფეებიც მას პირველ ქალაქად რაცხვენ. თვით მეც ბევრ გზის ვნახე და წავიკითხე სპარსეთის მეფის გამოგზავნილი წერილები, სადაც გიორგის გვირგვინოსან მეფედ უწოდებს. მართლადაც, სხვა ყველა ქართველ მთავრებზე, ეს უფრო ძრიელი და დიდებულია: მას ემორჩილებიან არა მარტო ამაზონები, არამედ თვით ჩერქეზებიც, რომელთაგანაც ომის დროს შეუძლია გამოიყვანოს დიდ-ძალი მეომარ-

ნი. თუ ამისა და თუ თავის დიდ სულოვნობის გამო ძრიელ მოწადინებულია ეომოს ყველა ქრისტიანების მტერ ოსმალებს, ამ ომის შესახებ მოელის თქვენს ბრძანებას; ეს ბრძანება ისეთი იყოს, რომ სპარსეთის მეფეს არაფერი ეწყინოს, რადგან რავდენიმე წელიწადია მასთან კარგად ვერ არის, თქვენი ესეთი ბრძანება ამისთვის, თქვენი უწმიდესობის მიერ, იქმნება უდიდესი მოწყალება. უფრო უკეთესად, ამ საქმისას მოგახსენებთ პატრი ანჯელო, რომელსაც თან მოჰყავს, მრავალ მოწაფეთა შორის რჩეული ერთი ჩემი მოწაფე. პატარობიდგანვე აღვზარდე იგი კათოლიკე სარწმუნოებაში, ამ მისიონის ნამდვილი შვილია და მივუძღვნი თქვენს უწმიდესობას. ეს ჩემი მოწაფე სოლომონ თუმანიანთი თბილელი კეთილშობილია. ამისი მამა დიდ ხანს ქალაქს მმართავდა. მასთან ერთად შემოგავედრებ ჩემს ულირს თავსა და ყველა საჭიროებას ამ მისიონისას, რომელსაც ძრიელ ცოტა მუშაკი ჰყავს, კვალად თქვენის უწმიდესობის მოწყალებას შემოვავედრებ აქაურ ყველა ერთგულ კათოლიკებს და ამ ბატონებს: გიორგი მეფეს თავისი სამეფოთი, მის ძმა ლევანს პირველ მინისტრს და მათ უსამღვდელოესობას არქიეპისკოპოსს და ყველა აქაურ ერს.—საქართველოში ტფილისით, მაისის 28-ს ახალი კალენდარისა და 18 ძველისა, 1687, თქვენი უწმიდესობის ყოვლად მდაბალი და ულირსი მონა. ლივორნელი კაპუჩინი, პ. ჯუსტინო, საქართველოს მისიონერი". (1).

ამავე თარიღით პროპაგანდის კარდინალებსაც სწერს ამის მსგავს წიგნს და ავედრებს ეპისკოპოს ექვთიმეს, ლევანს, მეფეს და მის თექვსმეტი წლის მხოლოდ შობილ ძეს ბაგრატს, რომლის მასწავლებელი ყოფილა პ. ანჯელო იტალიანური ენისთვის. ლევანის შესახებ ამბობს, წიგნს იმიტომ არ გზავნის, რადგან იმერეთს წავიდა მეფისათვის საცოლოს მოსაყვანადო. კარდინალებს აიმედებს, რომ ეს ახლად გაკათოლიკებული პირები ძრიელ მოწადინებული არიან მთელი საქართველო შეუერთონ რომის ეკკლესიასო. ეგრეთვე აუწყებს, საქართველო ყოველ კერძოდ გარე მოცულია ისეთი მაჰმადიან საშინელი მტრებისგან, რომ თვით დედა მიწასაც უმძიმს მათი ყოფნაო, და ამიტომ ეს მეფე ძრიელ მოწადინებულია, თქვენის ლოცვა-კურთხევით, ეომოს ოსმალებს, რათა საქართველო მათგან მთლად განათავისუფლოსო.

ახლა მოვიყვანთ გიორგი XI წერილსა.

„ყველა მეცნიერთა შორის გამოჩენილო, სავსეო სულის წმიდის მადლითა, ღვთიური ტახტის ხმაო მოქადაგეთა შორის, მოციქულთ მსგავსო და თანასწორო დიდებათა და სამღვდელო ღირსებათა, სვეტო აღმართებულო და, მსგავსად ბრწყინვალე ვარსკვლავისა, ქვეყნის განმანათლებელო, სიწმიდის რჩეულო ჭურო და მოციქულთა საუნჯეო,

ცხოველო ტახტო და სახარების მქადაგთა სათხეველო, მწყემსო უკეთი-ლესო და დიდისა რომის მღვდელთ მთავარო, ღვთის მიერ უნეტარესო მამაო, ინოჩენციო მეთერთმეტე პაპავ. მეორედ აღმოშობილი ყოვლად წმიდა სამებაში, წარვსდგები თქვენს წინაშე მართმადიდებელი ჭეშმარიტი სარწმუნოების აღიარებით მე, თქვენი მონა და სულიერი შვილი, ჩამომავალი ღვთის მიერ კურთხეულ ბაგრატიონთ მეფეთა, საქართველოს სამეფოს მპყრობელი, მეფეთა-მეფე გიორგი, სიმდაბლით ვემთხვევი თქვენს წმიდა სამეფო მარჯვენას, რომელიც აღმაღლებული ჰფენს ნათელსა, ჰყოფს სასწაულთ და ჰფანტავს მტერთა, და შიშითა და ძრწოლით თქვენს წინაშე მოვიდრეკ მუხლთა, გამსჭვალული მტკიცე სიყვარულითა. ამ წერილით მნებამს გამოგიცხადო ჩემი გულის სურვილი: გვნებავდა ჩვენი კაცი გამომეგზავნა, მაგრამ, თუ სიშორისა და თუ გზის აღურაცხველი განსაცდელების გამო ვერ გამოვგზავნეთ; ეგრეთვე გვნებავდა წარმოვლენა პატრი ჯუსტინოსი, მაგრამ ამის გამოგზავნით მონასტერი მარტო დარჩებოდა *). ამისათვის აღვირჩიეთ პატრი ანჯელო რომელსაც გიგზავნით და მოვახსენებთ თქვენს სიწმიდესა, რომ არა თუ ახლა, არამედ დიდის ხნიდან თქვენი სიყვარული ჩვენს გულს ჩანერგილია, ჩვენი კურთხეული მამის დროდანვე თქვენი სიყვარული ჩემში დამყარებულია; ამაზე ჰკითხეთ თქვენს პატრებს. რომლებსაც გიგზავნი. ახლა ამას მოგახსენებ, რომ მიმიღოთ მეც თქვენს შვილად ეგრეთ, როგორც გყავსთ სხვა გვირგვინოსანი მეფენი. მასთანვე ამასაც ვაუწყებ თქვენს სიწმიდესა, რომ მხოლოდ ერთი პირმშო შვილი მყავს, სახელად ბაგრატი, რომელიც არის ჩემი უმთავრესი ტახტი და გვირგვინი, ქება და დიდება, ესა და სხვა, რაც კი მაქვს ღვთის მოწყალებით და თქვენის ლოცვაკურთხევით, მინდა რომ ღვთისაგან კურთხეულის თქვენის ტახტის ქვეშევრდომი იყოს; ამისათვის გთხოვ რომ ეს ჩემი პირმშოც აიყვანოთ თქვენს შვილად. ათას გზის კურთხეულ იყავნ ღმერთი, რომ იცავს და ხძლიერებს ჭეშმარიტ კათოლიკე ქრისტიანებს, ეგრეთვე გვფარვიდეს ჩვენც ყველას ყოვლად წმიდა ღვთის მშობელი მარიამი. ჩვენი ცოდვების გამო ურწმუნოებმა მოგვისპეს ქრისტეს სარწმუნოება და დავშორდით მას..... (ამ ადგილას არ ამოიკითხება სიძველის გამო). აწ ღვთის მშობლის შეოხებით დაგვიცვას ღმერთმა თავისის მადლით. ეგრეთვე იმედი მოგვცეს მათგან დახსნისა თქვენის სასწაულთ მომქმედ მარჯვენის შემწეობით და თქვენთა გვირგვინოსან შვილთა მეფეთა საშუალებით, რომლების დიდს და მრავალს გამარჯვებას ვსმენულობთ. ჩვენ და ჩვენი სამეფო დიდ შვებას

---

*) რადგან დანარჩენ პატრებმა, რომლებიც ახლად მოსულნი იყვნენ, ქართული ჯერ არ იცოდნენ.

და სიხარულში ვართ. ჩვენი სამეფო მუდამ ევედრება ღმერთს და ყოვლად წმიდა სამებას, რათა უფრო განაძლიეროს თქვენი კურთხეული მარჯვენა და ჭეშმარიტ კათოლიკებს და ხსენებულ პატიოსან მეფეთ მიანიჭოს მტრებზე გამარჯვება. ამას მოგახსენებთ, გვნებავს ღვთიურ სიმართლესთან თქვენც შეგიყვაროთ. ჩვენ და ჩვენი სამეფო ვემორჩილებით სპარსეთის მეფეს, თვინიერ მისი ბრძანებისა არაფერი შეგვიძლია, გარნა მსგავსად თქვენის საყვარელ შვილებისა, გვირგვინოსან მეფეებისა, რომლებიც მუდამ ჟამს ურწმუნოებას ებრძვიან და მათზე იმარჯვებენ, თქვენის ლოცვა-კურთხევითა ჩვენცა ვძლევთ ამ ურწმუნოთა... ნეტაი ღმერთმა და ღვთის მშობელმა შეგვაძლებინოს, რომ ჩვენმა სამეფომაც მიაგოს ზიანი თქვენთა მტერთა, თქვენ გემსახუროთ და თქვენ მორჩილ მეფეებთან ერთად შევიარაღდეთ. ესეც სცანით, რომ ჩვენი სამეფო, ჩვენი ბრძანების ქვეშ მყოფნი და მთელი ჩვენი საქართველოს მხედრობა მზათ ვართ და მოველით თქვენს ბრძანებას; რასაც თქვენის ლოცვა-კურთხევით გვიბრძანებთ, მზათა ვართ შევასრულოთ. ეს არის ჩვენი ნატვრა. ჩვენს თქვენს ერთგულ შვილობაზე ნურასფერს ეჭვს შეიტანთ. თუმცა კი შორს ვართ, მაგრამ დიდათ ვნატრობთ თქვენს ნახვას. ჩვენი სარწმუნოების აღვიარება ვჰყავით პატრი ჯუსტინეს წინაშე, რომელიც ჩვენი სულიერი მამა არის; რასაც ეს ჩვენ გვიბრძანებს, ყველაფერს შევასრულებთ. აპრილის 29, ქრონიკონი იესო ქრისტეს შობიდან 1687, ინდიქტიონი ჩვენის მეფობისა (აკლია)“.

ამ წერილს ბოლოში აწერია: „რომის პაპთან გაგზავნილი მეფის წიგნი სთარგმნა პატრი ჯუსტინო ლივორნელმა, საქართველოს მისიონის მოქადაგემ და უფროსმა, რომელმაც მეფეს ფიცი მისცა, რომ სიტყვა-სიტყვა ეთარგმნა“. (1)

ასეთის შესანიშნავის წერილის შესახებ სხვა რისიმე თქვა მეტი იქმნება. ხოლო ეს უნდა შევნიშნოთ, რომ ეს წერილი მეტად ცუდის იტალიანურის ენით არის ნათარგმნი.

ახლა მოვიყვანთ მესამე წერილს.

„წიგნი ექვთიმე საქართველოს არქიეპისკოპოსისა ინოჩენციო მეთერთმეტე რომის პაპთან, მისივე ბრძანებით ნათარგმნი იტალიანურად პატრი ჯუსტინო ლივორნელის მიერ, რომელმაც ფიცი მისცა რათა სიტყვა-სიტყვა ეთარგმნა“.

„ღვთის მადლითა და შემწეობით მიაწიოს ამ წიგნმა რომის დიდ ქალაქში უწმიდეს მამისა ინოჩენციო მეთერთმეტე პაპისადმი:

„ბატონო პაპავ, ინოჩენციო მეთერთმეტე, უაღრესო რომის მღვდელთ-მთავარო პაპავ, დიდი ხნიდან სავსე სიბრძნითა და მეცნიერებითა, ღვთის მსახურთა მბრძანებელო, მრავალ ფეროვან ვარდით შემკობილო

ღვთისმეტყველო, თაფლის მსგავსად ყველას საზედნიეროთ საუკეთესოდ მომდინარევ, ქვეყნის ყველა მხარეს სიკეთის მომფენო, ღვთის სიყვარულის მოზიარეთა ზედა სიბრძნის ბრწყინვალე ბაგევ და მთელის ღვთისმეტყველო წყაროვ, ორპირიანო მახვილო, რომელიც განჰკვეთ მტერთა და ამხელ მღვდელ-მონაზონთა, ცხონების გზის ყოველდღივ სისრულით მასწავლებელო, მწეო დიდთა და პატარათა, დასაწყისიდანვე გამტკიცებულო ეკლესიის ბრწყინვალე სვეტო, დადგინებულო ჭეშმარიტო მწყემსო და მოძღვარო ყოველთა ქრისტიანეთა, მათი სიკეთის გამაძლიერებელო და მოციქულთა თანასწორო, შეურყეველო ტახტო და დიდის რომის ქალაქის მფლობელო, უნეტარესო მეთერთმეტე ინოჩენციო. თქვენს წინაშე წამდგარი სარწმუნოების აღვიარებით ვეამბორები თქვენს წმიდას; უნეტარესს და სამეფო მარჯვენას მე, თქვენის უწმიდესობის და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი მონა, ექვთიმე არქიეპისკოპოსი მთელის საქართველოის ღვთიურის დიდის ეკლესიისა, რომელიც არს მისი განმანათლებელი და დამცველი წმიდა კვართისა. სიმდაბლით წარვსდგები თქვენს წინაშე, მიწაზე მთხვევით და სიამოვნებით მივესალმებით თქვენს დიდებულებას. ამას ვყოფთ არა მარტო გარეგნულად ხორციელად, არამედ სულითაც, რომელიც თქვენის სიყვარულით სავსე გვაქვს, თუმცა კი შორს ვიმყოფებით. ჩვენი მაცხოვრის ბრძანებისამებრ, რომელმაც სთქვა: „დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი, ჭეშმარიტად გეტყვი შენ: შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და მოგცენ შენ კლიტენი სასუფეველისა ცათასანიო“. შენ ხარ მწყემსი საყვარელი! და ეს ჭეშმარიტების სიტყვა თქვენ გეკუთვნისთ. ჰოი! მწყემსო ჭეშმარიტებისა და სიმართლისაო, ცოდვაში ჩავარდნილ უძლურთა აღმადგინებელო და მათ მტვირთველო, რომელ უძლურთაგანაც მსგავსად სხვა თქვენ მორჩილ და მდაბალ მორწმუნებისა, ჰყოფთ ერთ სამწყსოსა; ესე არს თქვენი ხმა, რომელიც უნდა მოისმინოს მთელმა ქვეყანამ. ხოლო მე თქვენი სულიერი შვილი, თქვენს სიყვარულსა მოწყურებული თქვენ არასდროს გაგშორდებით. ამასაც მოგახსენებ, რომ ღვთისაგან კურთხეული ჩვენი მეფე გიორგი, საქართველოს ყველა ეპისკოპოსნი, მღვდელნი, მონაზონნი და ერისკაცნი დიდათ მოხარულნი არიან თქვენს გაძლიერებასა და თქვენი მტრების დამარცხებაზე. ამისთვის ვევედრებით ღმერთს, რომ უმეტესად გაგაძლიეროთ და აღამაღლოს თქვენი მარჯვენა, ეგრეთვე უყოს თქვენთა შვილთა მთავრებსაც, რომლებიც თქვენი მორჩილნი და ერთგულნი არიან. ჩვენი ამბავი ყველა კარგად იციან თქვენმა გამოგზავნილმა პატრებმა. ამისთვის ჩვენი პატრი ჯუსტინო წიგნით გაუწყებთ და პატრი ანჯელოც პირად მოგახსენებთ, ვითარცა გაუწყათ ჩვენმა მეფემ. ყველა

ეს მოხსენება ჭეშმარიტი და დამტკიცებულია. დაიწერა ტფილისსა, 2 მაისისა 375, ქრისტეშობის აქეთ 1687 წ. ინდიქტონს, გიორგის მეფობის მეათე წელს". (1)

ამ ექვთიმე ეპისქოპოსის გვარი ყოფილა რატიშვილი (Ractis-civili).

მეფემ თოსკანის გრანდუკასაც მისწერა წიგნი. ჩვენ კი ვერ ვიპოვეთ ეს წერილი. ამის გამო პატრი ანჯელო ჯერ მივიდა ფლორენციაში და გარდასცა დუკას წიგნი. ამანაც პატრი ანჯელოს კარგად მიღების შესახებ პაპს წიგნი მისწერა. ამისთვის პაპმაც შემდგომ მადლობა მოახსენა, ეგრეთვე იმისთვისაც რომ ეს დუკა საქართველოს მისიონერებს კარგად ეწევოდა. არც ის წიგნი გვაქვს, პატრი ჯუსტინომ პაპთან რო გამოატანა მეფისა, ექვთიმე ეპისკოპოსისა და სხვა წარჩინებულ გაკათოლიკებულ ქართველთა შესახებ.

პაპმა დიდის სიხარულით მიიღო მეფის გაგზავნილი პატრი ანჯელო, რომელმაც გადასცა წერილები და პირადაც მოახსენა მეფის და ეპისკოპოსის დაბარება და საქართველოს გარემოება, პაპი ამ ამბის მოსმენაზე დიდათ კმაყოფილი და მოხარული დარჩა და ორივეს მისწერა შემდეგ წერილები.

„აზიელ ივერიის სამეფოს არქიეპისკოპოსს, ჩვენს პატივცემულ ძმა ექვთიმეს, პაპი ინოჩენციო XI.

„პატიოსანო ძმაო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.

„სიტყვით ვერ გამოგვითქვამს ის სიხარული, რომელიც ვიგრძენით, რა ვსცანით ჩვენ საყვარელის შვილის კაპუცინი პატრი ანჯელო ფილინესა და თქვენის წერილისგან, რომ თქვენ სული წმიდის წინამძღვრობით მიგიღიათ, როგორც ჯერ არს, კათოლიკე სარწმუნოება და შეოერთებულხართ სულითა და გულით ამ წმიდა საყდართან, რომელიც არს მთავარი და დედა სხვა ყველა ეკკლესიებისა. აწ მადლობას ვწირავთ ღვთის სახიერებას, რომ თქვენზე ესრეთი მოწყალება მოიღო, და თქვენც უფლისა მიერ მღვდელ-მთავრულის სიყვარულით გეშთხვევით; ეგრეთვე ყოველს შემთხვევით ვისარგებლებთ, რომ გამოვაქვეყნოთ, თუ, რაოდენად შესანიშნავი და დიდი ნაყოფი მოიღო კათოლიკე ეკკლესიამ აზიელ ივერიის სამეფოში. აწ ჯერ არს სავსებით გაამართლოთ ყველა ჩვენი მოლოდინი, რომელსაც გვაძლევს თქვენი ერთგულობა; ეცადეთ ყველა თქვენი ღონისძიებით ამავე ეკკლესიის გავრცელებისა და დიდებისათვის მაგ ერში, რომელიც მუდამ თვალწინ გვყავს. ამ ხსენებულ პატრი ანჯელოს მივანდობთ, რომ ვრცლად ყველა ჩვენი აზრი და სურვილი მოგახსენოთ. იმავე გადმოგცემსთ ჩვენი სიყვარულის წინდსა, რომელიც შესაფერია თქვენი სამსახურისა, მასთანვე სამარადი-

სოთ განიჭებთ მოციქულებრივ კურთხევას. რომით, 14 მაისისა 1688, მღვდელთ-მთავრობის მეთორმეტე წელს". (1)

პაპის გაგზავნილი საჩუქარი იყო ერთი ძვირფასი და დიდნახელავი ბარძიმი.

პაპის პირველი წიგნი მეფისადმი:

„ქრისტეს მიერ ჩვენს დიდათ საყვარელს შვილს გიორგის, აზიელი ივერიის ბრწყინვალე მეფეს, პაპი ინოჩენციო XI.

„ქრისტეს მიერ ფრიად საყვარელო შვილო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა. გამოუთქმელის ალტაცებით ვსცანით თუ თქვენის დიდებულების წერილიდგან და თუ ჩვენ საყვარელ შვილის პატრი ანჯელო ფილინელის მიერ, რომელიც წარმოგვივლინეთ, რომ ღვთის მადლის შემწეობით დაუტევეთ მაჰმადიანთა რჯული და წრფელი გულით აღიარეთ კათოლიკე სარწმუნოება. ვინაიდგან ჩვენი მწყემსობრივის მოვალეობის უმთავრესი ზრუნვა არის იესო ქრისტეს პატიოსანის სისხლით დახსნილთა სულთა ცხონება, ამიტომ ისე არაფერს შეეძლო ჩვენთვის ნუგეში ეცა, როგორც გვანუგეშა თქვენის მოქცევის ამბავმა რადგან ამ თქვენს მოქცევას დიდათ ვაფასებთ და იმედი გვაქვს, რომ მაგ თქვენის მაგალითით დღიდან დღე უფრო განეფინოს ეს ჩვენი სარწმუნოება. ღირსეულ ქებას შევასხამთ რა მაგ თქვენს წარჩინებულ მოქმედებას, თქვენს დიდებულებას კათოლიკე ეკკლესიის წიაღსა შინა შევიწყნარებთ და გრაცხთ თქვენც ჩვენს მორწმუნე და ქვეშევრდომ მეფეთა შორის; ეგრეთვე არ დავსცხრებით და გულით ვევედრებით ყოველთა სიკეთეთა მომნიჭებელ ღმერთსა, რათა თავისი დაუშრეტელ სიყვარულის საუნჯიდგან მოგაგოსთ შესაფერი სასყიდელი მაგ თქვენის წარჩინებულ ღირსებისათვის. თქვენდამი ჩვენს სიყვარულის შესახებ ბევრს რასმე მოგახსენებს ხსენებული პატრი ანჯელო, რომელიც კვალად მანდვე ბრუნდება და რომელსაც დიდათ გავედრებთ. აწ ქრისტეს მიერ ჩვენო საყვარელო შვილო. თქვენს დიდებულებას მოციქულებრივ კურთხევას ვანიჭებთ. რომით, 14 მაისისა, 1688 წ." (1).

პაპი ეგოდნათ მოხარული იყო გიორგის შეერთებისა რომის ეკკლესიასთან, რომ არ დაჯერდა ამ წერილის გაგზავნას, და მოინდომა მისი დასაჩუქრება სულიერადაც, რისგამო გამოუგზავნა ძვირფასი ვერცხლით მოჭედილი ღვთის მშობლის ხატი და მოსწერა მეორე წერილიც, რომლითაც მას ანიჭებს სულხიერ შენდობას.

„პაპი ინოჩენციო XI.

„ქრისტეს მიერ უსაყვარლესო შვილო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა. რა განვიცადეთ გამოუთქმელის სიხარულით, რომ თქვენმა დიდებულებამ შემკულმა არა მარტო ბუნებრივის უზომო ნიჭებით

ქითა, არამედ უმეტესად ღვთიური ზეგარდამო მადლით განათლებულმა, დაუტევა ძველი შეცთომის სიბნელე და სცნო ნათელი კათოლიკე ჭეშმარიტების, ვაკურთხებთ და დიდს მადლობას ვსწირავთ უფლის ჩვენი იესო ქრისტეს ზეციერ მამასა, რომელმაც თავის გამოუთქმელის სახიერების წყალობით მოგიყვანათ თქვენ საუკუნო ცხოვრების გზაზე. ამიტომ ჩვენც იძლებული ვართ გამოგიცხადოთ ჩვენი მამობრივი სიყვარული რომლითამე ძღვნითა თქვენდა სულიერ ნუგეშად და სულის ცხონების შესაწევნელად. საჭიროდ ვსცანით მივუძღვნათ თქვენს დიდებულებას საუკეთესო ხელოვნებით შემკობილი და ვერცხლით შემოჭედილი ღვთის მშობლის ხარების ხატი, რომლის ჩარჩოც აბანოზის ხისა არის; გარდავეცით ჩვენს საყვარელს შვილს პატრი ანჯელო ფილინელ წმიდა ფრანჩისკეს ორდენის კაფუცინს, რომელიც ჩვენ წარმოგვიგზავნეთ, რათა მანდ მობრუნებისათანავე გარდმოგცესთ თქვენ. ვინაიდგან გვსურს, რომ მუდამ დღე აღემატოს გულმხურვალება თქვენისავე სულის საცხონებლად, ამიტომ განიჭებთ ამ შემდეგ სულიერ წყალობას: ვიდრემდინ ეს ხსენებული ხატი თქვენთან გექნებათ,, როდესაც იტყვით წმიდა ქალწული მარიამის ანუ მიცვალებულთა ჟამ-კანონს, შვიდ სინანულის ფსალმუნთ. „სავარდის“ მესამე ნაწილს, ანუ რომელსამე საავადმყოფოში სნეულთა სანახავად წახვალთ, შეეწევით ქრისტეს გლახაკთ; რაოდენ გზისაც შეასრულებთ აქ დასახელებულ რომელსამე ლოცვას და მასთანვე გულით შენანებულ აღსარებას იტყვით უფროსისაგან განწესებულ მღვდელთან და ეზიარებით კვირა ან უქმე დღეს, და ილოცავთ მწვალებლობის და განყრილობის მოსასპობლად, კათოლიკე სარწმუნოების გასაძლიერებლად, ქრისტიანე მთავრებში ერთობის დასაცველად და წმიდა დედა ეკკლესიის საჭიროებისათვის, კვირაში ერთგზის მიიღებთ თქვენი ყველა ცოდვების სრულ შენდობას; გარდა ამისა, არა სრულ შენდობას მიიღებთ, უკეთუ რომელსამე პარასკევს, უფლის ყოვლად წმიდა ვნების პატივისათვის, იმარხულებთ და იმავე დღეს ანუ მომავალ კვირას გაენდობით და ეზიარებით და ზემოდ ხსენებულისამებრ ილოცავთ; რაოდენ გზისაც გულისტანჯვის გამოძიებას იქმთ ცოდვათა შენანებით და პირობის დადებით, ყოველ გზის მიიღებთ ათი წლის და ორმოცეულს შენდობას; უკეთუ ამ გამოძიებას განაგრძობთ ყოველ დღივ ერთი თვის განმავლობაში და ბოლოს გაენდობით და ეზიარებით, მსგავსადვე მიიღებთ სრულ შენდობას; გარდა ამისა, უკეთუ ყოვლად წმიდის სამების პატივისათვის იტყვით სამს „მამაო ჩვენოს“ და სამ „გიხაროდენს“, ანუ ხუთს, იესო ქრისტეს **ხუთი წყლულების** პატივისათვის რომელსამე ცოდვის გასწორებისაგან პირობის დადებით, ანუ მოისმენთ წირვას თვით სამუშაო

დღეებშიცა, ან თუ შეასრულებთ ზემოთ აღნიშნულთაგან რომელსამე საგანს, მიიღებთ ყოველ გზის ათი წლის და ორ-მოციეულს შენდობას, ხოლო სიკვდილის დროს ჭეშმარიტად მონანებული, ვითარცა ზემოდ, აღსარებას იტყვით და ეზიარებით, თუ შეგიძლიათ, თუ არა პირით ანუ გულმხურვალებით და შენანებული გამოსთქვამთ იესოს სახელს, მსგავსადვე მიიღებთ სრულ შენდობას; დასასრულ ყველა ეს ხსენებული შენდობანი შეგიძლიათ მიიღოთ მორწმუნე მიცვალებულთა შესაწევნელად. რომით. 22 მაისისა, 1688 წ.". (1)

პროპაგანდამაც თავის მხრით პატრი ანჯელოს გაატანა ეს შემდეგი წიგნი მეფესთან:

„საქართველოს მეფეს. 3 აპრილს 1688 წ.

„არც ჩვენ ბატონ პაპისათვის და არც ამ პროპაგანდის წმიდა კრებისათვის იქმნებოდა იმაზე სასიამოვნო, რაც თქვენის დიდებულების და პატრი ჯუსტინო ლივორნელის წერილებიდან სცნეს, რომ თქვენ გიცნიათ ჭეშმარიტება და თქვენის შვილითურთ აღიარებთ, კათოლიკე სარწმუნოებას; ეგრეთვე ისა, რომ, მაგ თქვენის მაგალითით, ვინც თქვენს სამეფოში ჭეშმარიტ გზისაგან დაშორებულნი იყვნენ, ახლა სიადვილით შემოდიან წმიდა დედა ეკკლესიის წიაღში. თქვენის უმაღლესობის სახელით გამოგზავნილი პატრი ანჯელო ფილინელი პაპმა რა დიდის სიყვარულით მიიღო, ამას სცნობთ მისივე წერილიდან. ახლა მათ უმაღლეს მამა კარდინალებს სხვა აღარა სანატრელი აქვსთ, თუ არ ეს, ევედრონ თქვენს დიდებულებას, რათა ყველანაირი თქვენის ერთგულებით შეუდგეთ მაგ თქვენს დაწყობილ საქმეს, რაოდნათაც კი შეგიძლიათ; დარწმუნებული ბრძანდებოდეთ რომ, ესრეთის მოქცევით მუდამ მოიპოვებთ თუ თქვენთვის და თუ თქვენის სამეფოსთვის ყოველ გვარ ბედნიერებას და შემდგომ ზეცას მიიღებთ საუკუნო სასყიდელსა. ბატონ კარდინლებთან ერთად ყოვლის მპყრობელსა ღმერთსა ვსთხოვ, თავისი მადლი არ მოაკლოს თქვენს დიდებულებას". (2)

ამავე რიცხვით პროპაგანდა ტფილისის კაფუცინების უფროსსაც დიდ მადლობას სწერს, რომ კათოლიკე ეკკლესიას თავიანთის ცდით შესძინეს ესრეთი წარჩინებულნი პირნი. ეგრეთვე უგზავნის სარწმუნოებაბის სიმბოლოს, რათა გაამეორებინონ აღსარება მეფეს, მისს შვილს და მისს ძმას, ხელი მოაწერინონ და ისევ რომში გაუგზავნონ; იმიტომ, რომ ესრეთი შესანიშნავი საქმე სახსოვრად დარჩეს. ეგრეთვე პ. ჯუსტინოს განსაკუთრებულს მადლობასა სწერს და აგულიანებს, რომ კარგად განასწავლოს კათოლიკე სარწმუნოებაში თუ მეფე და თუ სხვანი, რათა გულმხურვალებით დაიცვან იგი.

ვიდრემდე პატრი ანჯელო მობრუნდებოდა საქართველოში, სპარსელებს კიდევაც ომი დაეწყოთ ქართველების წინააღმდეგ. ამისთვის ამ პატრმა მოსვლისას მეფე ჰპოვა ომის ველზე, სადაც თან ახლდა ექვთიმე არქიეპისკოპოსი. ორივეს გადასცა პაპის და პროპაგანდის წერილები, რომლებიც დიდის პატივით მიიღეს. ხოლო საჩუქრად მოტანილი ხატი მეფემ იქ არ გამოართვა, არამედ ტფილისში პატრს წაალებინა თავიანთ მონასტერში, რათა, როდესაც მობრუნდებოდა, დიდის ამბით მიეღო ეს პაპის საჩუქარი. (1)

როდესაც პატრი ანჯელო წასულა რომში, თან წაუყვანია ერთი ახალგაზრდა თავადის შვილი პროპაგანდის კოლეგიაში სასწავლებლად. ამას გვიჩვენებს მხოლოდ პროპაგანდის წიგნი კარდინალ ბარბერინისადმი მიწერილი:

„ბატონ კარდინალ ბარბერინის, 3 თებერვალს 1688 წ.

„პატრი ანჯელო ფილიპინელმა, მისიონერმა კაპუცინმა, თან მოიყვანა საქართველოდან ერთი ახალგაზრდა 19 წლის კეთილშობილი ქართველი, სახელად სოლომონი და თხოვნა შემოიტანა, რომ ეს მიღებულ იქმნას პროპაგანდის კოლეგიაში, ვინაიდგან ეს იმ ტომისაა, რომლის მოწოდებაც განსაზღვრა ნეტარ ხსენებულმა წმიდა ონოფრიოს კარდინალმა. ეს საქმე ბატონ კარდინალებმა თქვენ მოგანდეს. ამის უწყებით აწ ვასრულებ ჩემს მოვალეობას და მდაბლად თავს გიკრავ". (2)

პროპაგანდის სკოლაში რამდენსამე წლის სწავლის შემდგომ ეს ქართველი კაპუცინებთან მონაზონად შესულა, მაგრამ მის საქართველოში დაბრუნებისა არავითარი ცნობა არ გვაქვს. ეს მესამე ქართველი კათოლიკეა, რომელიც ევროპელებთან შემონაზონებულა, რამდენადაც ჩვენ ვუწყით.

წინა თავში მოვიხსენიეთ იეზუიტი ივანე გოსტკოვსკი, რომელმაც ტფილისიდგან 24 აგვისტოს 1690 წ. რომში კარდინალს წერილი მისწერა. ამის წერილის ერთიან მოყვანა გვინდოდა. მაგრამ სიმოკლის გულისათვის ვსტოვებთ; ხოლო მოკლედ გავიხსენიებთ ამ წერილის შინაარსს. ეს იეზუიტი სწერს: მეფე გაშორებია სამეფოს; სპარსელებს მის ადგილს სხვა დაუყენებიათ; მთავრებს ერთმანერთში უთანხმოება ჰქონიათ, რისგამო ყველაფერი ძრიელ არეულ-დარეულა; არჩილიც მოსკოვიდან მობრუნებულა, მაგრამ ვერაფერი ჩაუგდია ხელში, რადგან იმერეთი ოსმალებს დაეპყროთ, თავის ნათესავებს შეხიზვნია; კათოლიკები გამრავლებულან ტფილისს არა მარტო მდაბალ ხალხში, არამედ თვით მთავრებშიაც, რომლების შიშით მისიონერების მტრებს მათთვის ვერარაფერი უვნიათ. კათოლიკობა მუდამ დღე ვრცელდება და ახლად გაკათოლიკებულნი ხშირად ეზიარებიან წმინდა საიდუმლოებებს, ამასთანავე

ღმერთს ევედრება, რომ თავისი ახლად დასაწყობი მისიონი იმერეთში ტფილისის მისიონისავით მხურვალე და ნაყოფიერი შეიქმნას. (1).

მეფის შაჰნავაზს ბევრმა მიბაძა და კათოლიკობა მიიღო; მათ შორის უფრო შესანიშნავი ბარძიმ ერისთავია. რაც მეფის განშორებით დააკლდათ კათოლიკებს, ის იმან შეუთავსა. ამ ერისთავის შესახებ ბევრი წერილები გვაქვს. რადგან იგი იყო მეფის შემდგომი მეორე პირი და ბევრნაირად შესანიშნავი, ჩვენც მოვიყვანთ მის შესახებ რამდენსამე საბუთს, რათა კარგად ვიცნოთ მისი ამბავი.

ამ ბარძიმმა მიიღო კათოლიკობა 1689 წ., ეს ამბავი მაშინვე აცნობეს რომში წერილით. კაპუცინების უფროსი ჯულიო რომში მის შესახებ პირველად ამ წერილს სწერს:

„ყოვლად ტკბილის უფლის სახიერებამ ინება ჩემი და პატრი სი-ლიბისტრეს ნუგეშისცემა სწორედ ამ არეულ-დარეულობის დროს, რომელშიც იპოება საბრალო საქართველო, ვინაიდგან პაპის მორჩილებაში შევიდა ყველაზე უფრო შესანიშნავი პირი ამ სამეფოში. ამისთვის აღტაცებით გაუწყებ ამას და მასთანვე გევედრები, რომ თქვენც თანამონაწილეობა მიიღოთ ამ საქმეში ამით, თქვენს მისიონებსა დიდი პატივი მიენიჭება, რომის ეკკლესია აღმაღლდება და ქრისტეს სარწმუნოება იდიდების, რადგან ახლა მთელს ივერიის სამეფოში განეფინება. აწ საჭიროა, უწყოდეთ, რომ ეს პირი სახელად ბარძიმი, რომელიც ეხლა შეუერთე წმიდა რომის ეკკლესიას, არის ერთი უძლიერესი და უწარჩინებულესი საქართველოს მთავართაგანი და აქვს დიდი სამთავრო, სავსე მეომარი ხალხით; აგრეთვე არის უკეთილშობილესი და ძრიელ დაახლოვებული ნათესავი მეფისა, რომელიც განივლტო. ამ ჟამად ეს ჰფლობს და მასთანვე არის მდივანბეგი, რისგამო აწინდელ მეფის შემდეგ ეს პირველი პირი არის. ისიც უნდა ვსთქვა, რომ ცოტაოდენი წილი ამასაც უდევს იმაში, რომ საქართველო გიორგი მეფეს აუჯანყდა. გიორგიც მეტად განრისხებულია მასზედ. ეს ბარძიმი რადგან საკმაოდ მსასოებელი და გულისხმიერია, რა იცნო თუ რა ნაირის უსამართლობით ეპყრობიან სპარსელები საქართველოს და თუ რა მოელის მას მომავალში, ამისათვის დიდად ნატრობს, არა მარტო თავისგან, არამედ თვით მთელი სამეფოსგანაც მოიშოროს ეს მათი სამარცხვინო უღელი, აღმოფხვრას ერისგან განხრწნილობა, შეცთომილობა, ცრუმორწმუნება და ურწმუნოება, და დანერგოს ყველგან იესო ქრისტეს ნამდვილი და ჭეშმარიტი სარწმუნოება. ამისგამო დიდად შეიყვარა პაპი და ჩვენც გვევედრა, რომ მიგვეღო იგი წმინდა ეკკლესიის მართალის შვილების რიცხვში. კიდევაც შევასრულეთ, მისი მიღებით დიდად ვინუგეშეთ და მეტის სიხარულით ცრემლებსაც ვღვრიდით, რადგან ვხედავდით ესრეთ ძრიელ მთავარს,

რომლისაც ყველას ეშინია, დიდათ თავს იმდაბლებდა და თუ ჩვენ და თუ კათოლიკე ეკკლესიას დიდს სიყვარულს უცხადებდა; ეგრეთვე მეტად მოწადინებულია, რომ ყველგან მთლად აღმოფხრას მაჰმადიანობა და შეცთომილება. როდესაც შევასრულეთ წესი მისი შეერთებისა, გვევედრა, რომ მიგვეწერა პაპისათვის, რათა მასაც ენებებინა და მიეღო იგი წმიდა რომის ეკკლესიის შვილად, ვინაიდგან მის ტახტსა, რომელსაც ღვთის ტახტად უწოდებს და წმიდა პეტრესი სრული ქვეშევრდომია ყველანაირის სიმდაბლით, მორჩილობით და სიყვარულით, და ითხოვს მის წმიდა კურთხევას, რათა, მისი და ღვთის კურთხევით გაძლიერებულმა, შეიძლოს და შეასრულოს თავისი წმიდა და გულმხურვალე წადილი, ესე იგი მთელი სამეფო შეუერთოს კათოლიკე ეკკლესიას; ეგრეთვე ევედრება მათ უწმიდესობას, რათა მისცეს საჭირო რჩევა და შეეწიოს თავისი რჩევით და ბრძანებით ვითარცა შვენის ჭეშმარიტს ქრისტეს მონაცვლეს, მამას და კათოლიკე ერის უმაღლესს მწყემსს, რათა დაიწყოს ეს შეერთების საქმე, რომელიც პაპის დიდათ სათნო საყოფელი იქმნება, რადგან შეეხება რომის წმიდა ეკკლესიის ამაღლებას. ეგრეთვე უწყოდეს, რომ იგი მზად არის ყველაფერში დაემორჩილოს რასაც კი პაპი უბრძანებს. ღვთის შეწევნით საქმენი ძრიელ კარგად იქმნენ დაწყობილნი და იმედი მაქვს, რომ პასუხის მიღებამდე კარგად წავიდენ. გარნა კარგი იქმნება, სთხოვოთ პაპს, რომ ორი სიტყვა მოსწეროს ჩვენს ლტოლვილ მეფეს, რათა შეერთდეს ამ მთავართან და ერთად დაიწყონ ეს წმიდა საქმე უფრო მეტის ძალით და ეგრეთვე იმისათვის, რომ ყველა ჩვენი რჩევა მიიღონ ისე, როგორც მის წარმომადგენელისაგან. ამას ამიტომ კი არა გწერ, რომ საქმეში რაიმე დაუძლეველ სიძნელეს ვხედავდეთ, ანუ ვითომც ჩვენ მას არ ვეხმარებოდეთ, არამედ იმიტომ, რომ ეს ორი მთავარი ერთმანერთს არ ენდობა. ორივე ერთ და იმავე წმიდა გზას რომ დაადგებოდეს, მაშინ უფრო ადვილათ დასძლევენ ყველა სიძნელეს და წინააღმდეგობას, ეგრეთვე თავს დაანებებენ ყველა უბრალო ქიშპობას, თუ კიდევ როგორმე დარჩა მათში ასეთი ქიშპობა: რადგან ორთავ დიდი პატივისცემა აქვსთ პაპისა. ამ საშუალებით წინათვე წამალი დაედება ყველა იმ არა სასიამოვნო საქმეს, რაც კი მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს. ამ ჩვენმა ახალ გაკათოლიკებულმა ძალიან დამაიმედა, თანახმა ვარ ერთგულად შევუერთდე წინანდელ მეფესაო. ეს შეერთება ადვილად მოხდება, ორივე ერთი მეორეს ერთგულობაზე რომ დარწმუნდებოდენ. ამას მოველი საშუალებით ჩვენის ერთი ბერძნის ტიპიკონის კათოლიკე ეპისკოპოსისა, რომელიც ახლა გახდა ბარძიმის სულიერი მამა. ინებოს ღმერთმა და დაგვიცვას სიმშვიდით, როგორათაც ახლა ვართ და შეაერთოს ეს ორი მთავარი ერთმა-

ნერთთან. მერმე ნახავთ, რომ საქართველოს წმიდა ეკკლესიის სამოთხე გახდება; ვინაიდგან, მიუხედავად ეგოდენის ორეულობისა, განსაცდელისა, შიშისა და დევნულობისა, ბევრნი გაკათოლიკდენ და შეიქმნენ მსასოებელნი, კეთილის მაგალითის მიმცემნი, უანგარონი და უყვარსთ ღმერთი.

„კარგი იქმნება, რომ ამ წიგნის მომტანთან ერთად წამოვიდენ მონაზონებიც და მას გზის ხარჯიც მისცეთ მობრუნებისათვის. საჭიროა, რომ ეგ აქედგან გამოგზავნილი მალე წამოვიდეს; ეს რაც უფრო ადრე წამოვა, მით უფრო კაცი წინათვე აიცილებს იმ უბედურებას, რომელიც შეიძლება მოხდეს მაგის დაგვიანებით.

„ეგრეთვე სათანადო იქმნება, რომ ერთი კარგი რამ სასულიერო ნივთი პაპმა საჩუქრად გამოუგზავნოს ამ წარჩინებულს ბატონს, რადგან გიორგი მეფეზე ნაკლები ღირსებისა არ არის, თორემ საწყენოდ დაურჩება.

„რადგან ამ გაკათოლიკებულის ქართველის წერილის თარგმანში გამოსახულია ჯვარი და არის ეგრეთვე სიტყვა ერისთავი, უნდა აგიხსნათ ორივე. ამ ქვეყნის ჩვეულება ეგრეთია, რომ ქართულად არაფერს დასწერენ, თუ თავში ეს ასო ქ არ დაუსვეს, რაც ნიშნავს ჯვარსა. მოსი სახელი ერისთავი ნიშნავს ერის მთავრობას. ამ ბატონს ეს ღირსება ძველის დროიდგანვე აქვს მეფის პალატში. ნამდვილი მთავარია ერთის უდიდესის და უწარჩინებულესის სამთავროსი.

„ჯვარის ნიშანი კვალად იხმარების ბეჭედის მაგიერად, ალსარებისა, მოწმობისა და სხვა წერილებში. რაისგამო თავის ქართულად დაწერილ წიგნზე დაუსვა ასეთი ბეჭედი, თუმცა მას თავისი ბეჭედი საცალკეო აქვს, მაგრამ არ იხმარა, ჯერ ერთი იმიტომ რომ არავინ გაუგოს, და მეორედ, უდიდესი სასოებისა გამო.

„ჩვენმა გულითადმა კათოლიკე ეპისკოპოსმა, რომელიც ამ ახლად გაკათოლიკებული ბარძიმის სულიერი მამა გახდა, მთხოვა, ბარძიმი მეშოვნა მისთვის, რადგან ერთი უშნო ბარძიმის მეტი არა აქვს და არც ტფილისში იპოება მისი გამკეთებელი. ამიტომ ვსწერ და ვსთხოვ წმიდა კრებას, რომ გამოუგზავნოს, რადგან იმას ბევრი სიკეთე მიუძღვის წმიდა სარწმუნოების წინაშე. ეგრეთვე როცა გვიჭირდა ყოველთვის გვეწეოდა ხოლმე, ვინაიდგან ძალიან დიდი გავლენა აქვს მათზე, ვისაც კი შეუძლია შემწეობის აღმოჩენა.

„ამ ჩვენის გაკათოლიკებულის ბატონის გულმხურვალებამ იქამდე მიაწია, რომ არ დაჯერდა მოწერას ერთის წიგნისას„ რომელიც მე ვსთარგმნე, როგორც ზემოდ ვთქვი და ერთი სხვაც კიდევ დასწერა უფრო გულმხურვალებით აღსავსე. ეს წიგნი ვრცლად შეიცავს ქართუ-

ლად მისი სარწმუნოების აღსარებას. დროს უქონელობის გამო ეს მეორე ვეღარ ვსთარგმნე იტალიანურად. საჭიროა შეატყობინოთ მის მთარგმნელს, რომ გაჩუმდეს და ამ ბატონის გაკათოლიკებაზე არც წერილითა და არც სიტყვით არავის არა უთხრას. რათა არავითარი წინააღმდეგობა შეემთხვეს იმაში, რის აღსრულებასაც ფიქრობს და არც ამას რაიმე უსიამოვნება ემიზეზოს. ასევე უნდა დაამალოთ იმ მონაზონებს, რომლებიც საქართველოს მოდიან. ტფილისი, პირველი იანვარს, 1690, პატრი ჯულიო ქრემონელი". (1)

ცოტა ხნის შემდგომ ამავე უფროსმა პატრმა გაუგზავნა რომში ეს წიგნიც, რომელიც პირველზედ არა ნაკლებ შესანიშნავია:

„ღვთის განსაკუთრებულის შემწეობით ამ ჩვენის მისიონის წარმატება ეგონებათ დიდია, რომ არავის შეუძლია მასზე რაიმე ეჭვის შეტანა. ამისათვის მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, რომ გაუწყო ესა, რათა თქვენის გონიერებით სასოების განძლიერების საშუალება მოგვცეთ, როგორათაც მოვცლით და მოგვაწოდოთ საჭირო დახმარება ამ საბრალო ქვეყნისათვის, რომელიც მართლა დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი. აწ უწყოდეთ, რომ ამ ჩვენ დიდათ გულმოდგინე ახალ კათოლიკე მდივან მეფეს ჯერ ჩემთან ბევრ გზის ჰქონდა ვრცელი ლაპარაკი კათოლიკე სარწმუნოების და სულიერ საკითხავთა შესახებ, შემდგომ რა კარგად სცნო ყოველივე და გამოიძია ყველა ძალა თავის მიერ ახლად აღსარებულის სარწმუნოებისა, მიიწვია თავისი მღვდლები ბერძნისა ტიბიკონისა *), იმდენად ჩააგონა და ისე შეაყვარა მათ რომის ეკლესია, რომ არა თუ აღიარეს იმათაც რომის ეკლესიის სარწმუნოება, არამედ მასთან ერთად საქვეყნოდ გამოაცხადეს მისი გამოსარჩლება და დაცვა სომხების წინააღმდეგ. ჭეშმარიტად უნდა მოვახსენო, რომ ღმერთს დიდად უყვარს ეს თავისი სძალი წმიდა ეკლესია, ვინაიდგან გაჭირვებაში მოუვლენს მას კეთილ ანგელოზსა მისსავე დასაცველად; ამიტომ შეგვიძლია ვუწოდოთ ამ მთავარს ნამდვილი მშვიდობის ანგელოზი, რადგან ჭეშმარიტი შვილია ეკლესიისა და დიდათ მოყვარე და მდაბალი მონა პაპისა. ამ შვიდი წლის წინათ, როდესაც მთელი ქალაქი ჩვენს წინააღმდეგ ამდგარი იყო და უნდოდა ჩვენის ეკლესიის და სახლის დაქცევა, ამან, რადგან კაპუცინები უყვარდა, ლტოლვილ მეფეზე უკეთესად დაგვიცვა, დიდი სიმხნე გამოიჩინა, ხალხი ძალით განაშორა და მთელი არეულობა დააწყნარა; ახლაც როგორც ერთი მოციქულებრივი კაცი ისე იქცევა ჩვენის პატივის ასამაღლებლად და კათოლიკე სარწმუნოების გასავრცელებლად. ასეთ უბედურ დროებში ჩვენთვის სწო-

*) ხოლო ტომით ქართველები.

რედ ასეთი ძლიერი მფარველი იყო ნაჭირი. სომხების პატრიარქმა საქართველოში მყოფ თავის მონაცვლეს ვიკარიოზს, რომელიც ტფილისში სომხების უფროსია, უბრძანა რათა გამოეძია და დაესაჯა, ვინც კათოლიკები იყვნენ და ჩვენს ეკლესიაში მოდიოდნენ. იგი წინააღმდეგი გაუხდა, და არა მარტო ხელი შეუშალა ასეთი საქმე ექმნათ ჩვენთვის, პირიქით ჩვენი თავიც კი შეაყვარა; შემდეგ მეფით და ყველა თავადებით ერთად მოვიდა ჩვენს ეკლესიაში, გალობიან წირვას დაესწრო და დიდი სიყვარული გამოგვიცხადა. რა ნახა სომხების პატრიარქმა, რომ ეს თავისი ჯოჯოხეთური მანქანება ტარჩა ამაოდ და თავის თავისავე შესარცხვენად, გამოგზავნა ტფილისში თვისი ვართაპეტი, რომელმაც წინად ერეულობა მოახდინა. გარნა ამ ვართაპეტის ცდა დღევანდლამდე დარჩა ისევ თავისა და თავისი პატრიარქის სამარცხვინოდ, რადგან ამ ვართაპეტმა დიდ ეკლესიასთან ახლო მყოფი ეკლესია დააკეტინა იმის გამო, რომ მის პატრონს დამლევდელზე კათოლიკობის ეჭვი შეჰტანა; ხოლო ბარძიმი თვით მივიდა იქ, გააღებინა ეკლესია, დაუწყო მას ქადაგება კათოლიკე სარწმუნოებაზე და ისე იმოქმედა, რომ თითქმის დაარწმუნა ემას შეერთებიყო და პაპის მორჩილებაში კათოლიკე სარწმუნოება ელიარებინა; ამ მთავარმა ეს იმოქმედა ეგოდენის სიმტკიცით, გულმოდგინებით და გონიერებით, რომ ამ შემთხვევაში ვერავინ შეიძლო მისთვის რაიმე წინააღმდეგი ეპასუხებინა. ამ ვართაპეტს ქადაგებაც აუკრძალა. როდესაც ტფილისს ჩავიდა, დაიკვეხა, როგორც წინეთ ისპაჰანსა და თავრეზში ვქმენ, ისე აქაც, კათოლიკებს ჩვენს სარწმუნოებაზე გადმოვიყვანო. ახლა ვგონებ იმას ფიქრობს, თუ როგორ გაიქცეს ტფილისიდგან, რადგან ისეთი შრომისათვის კარგად არ სცემონ. ამიტომ იმედი მაქვს, რომ, ღვთის წმიდა მფარველობით, საქმე უფრო კარგად წავიდეს ამას იქით.

„ჩემს გამოგზავნილს ახალგაზდა კაცს თუ მალე გამოგზავნით, ძალიელ კარგი იქმნება, რადგან მისი აქ ჩამოსვლით, თუ დიდხანს დარჩება რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი კათოლიკობის წინააღმდეგ, პაპის კურთხევით სულ მოისპობა; რადგან თუ ეს მთავარი როგორც მეფე ვურჩევ, ხსენებულს როგორც მეფეს შეუერთდა, მთელი საქართველო სულ ადვილად მიიღებს კათოლიკობასა. ტფილისი 18 მარტს 1690 წ. პატრი ჯულიო ქრემონელი, კაპუცინი პრეფექტო“. (1).

რადგან კაპუცინების რომში მიწერილი წერილები ბარძიმის კათოლიკობისა და მის მოქმედების შესახებ, ერთი მეორეზე უკეთესია, ამიტომ ჩვენც არ გამოვსტოვებთ და მოვიყვანთ პატრი სილიბისტროს ამ წერილსაც:

„არზრუმისკენ ეს არის ქარვანი მიდის, ამ შემთხვევით ვსარგებლობ, რომ დავუმატო ჩემი წერილიც და გაუწყო თუ რამდნათ კარგ

მდგომარეობაში ვართ ღვთის შემწეობით. დიდათ მოხარული ვართ, რომ ქალაქში გვყავს ერთი მფარველი. მართლადაც უზომო და დიდათ გულ-მხურვალე კათოლიკეა, რაც კი შეუძლია მფარველობას არ გვაკლებს. ეს ის ბატონია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს საქართველოს მეფე, რადგან ყველაფერი ამაზედაა დამოკიდებული და ყველას ეს განაგებს თავისუფლად. ჩვენი უფროსი მოგწერდათ ამ ბატონის გულმოდგინებისას, თუ როგორ საჯაროდ ჰქადაგებს კათოლიკე სარწმუნოებას. ეგრეთვე საჯაროდ გამოაცხადა, რომ, თუ საქართველო არ შეუერთდა და არ მიიღო კათოლიკე სარწმუნოება, მინდა, რომ ჩემი ოჯახობა და ჩემის საერისთაოს ქვეშევრდომნი მაინც გახდენ კათოლიკენი. უნდოდა რომში გამოეგზავნა ერთი თავისიანი თავისი სრული მორჩილების გამოსაცხადებლად, მაგრამ უფროსმა პატრმა აცნობა, რომ საჭირო არ იყო. გარნა მგონია, რომ, მიუხედავად უფროსის რჩევისა, მანც გამოგზავნოს ერთი სხვა ვინმე. რომიდგან მოელის ბრძანებას, რადგან მზად არის აღასრულოს რაც კი ებრძანება. ცოტათი მაჰმადიანებისა რომ არ ერიდებოდეს, უეჭველად დიდს რასმე იმოქმედებს. გარდა ამისა, მის გულ-მხურვალებას ამტკიცებს უფროსი, რომელზედაც ისე არის დამოკიდებული, როგორც უმორჩილესი შვილი. მართლაც საუცხოვო საქმე იქმნება, მაჰმადიანები ამ ქვეყნიდგან რომ განიდევნებოდნენ. ტფილისი 27 მარტს, 1690 წ., პატრი სილიბისტრე“, (1),

ესევე პატრი, 29 დეკემბერს 1689, სწერს რომში ბარძიმ ერისთავის შესახებ და ამბობს: სარწმუნოების აღსარების წიგნი ექვს-შვიდ გზის წაიკითხა, მერმე წიგნს ემთხვია და კდემით თავზე დაიდო; და სთქვა: ამაში სწერია ხალისი და სული წმიდისგან ჩაგონებული ჭეშმარიტება და ყველაც მრწამს სიმტკიცით. ეს დიდათ პატივცემულია ყველასაგან და ეგონდნათ ძრიელია, რომ ყველას ეშინოდა ამისი; ახლა მრავალნი კათოლიკობას ლებულობენო.

იგივე პატრი ჯულიოც სწერს მარტში 1690, რომ ახალი კათოლიკები ბევრნი მოემატნენო; მათ შორის არიან ერთი წარჩინებული ქართველი დედაკაცი, სპარსეთის მეფის დეიდაშვილი (cugina) და ერთი უპირველესი თავადთაგანი თავის შვილეებითურთ, რომელიც უწინ მაჰმადიანობაზე ყოფილა გადასულიო. ეგრეთვე ხელახლავ ამბობს ბარძიმ ერისთავის ქებას და მას ემადლიერება, როგორც თავის წინანდელ წერილებში.

ესევე პატრი იმავე წლის 30 აგვისტოს, კვალად სწერს კარდინალს მისიონის წარმატების ამბავს და არწმუნებს, რომ ახალი გაკათოლიკებულები თითქმის ყველანი დიდათ შესანიშნავი პირები არიანო; ეგრეთვე აუწყებს, რომ პატრიარქის გამოგზავნილი ფართაპეტი მათთვის დევნა

დაუწყვია, 300 სკუდზე მეტი ფული დაუხარჯავს გავლენიან პირთა მოსამხრობლად, მაგრამ ვერ გაუმარჯვნია და მათთვის ვერაფერი უვნია.

კაფუფუცინებისაგან რომში მიწერილი ქება და სიხარული ბარძიმ ერისთავის შესახებ რამდენად საფუძვლიანი იყო, მის მიერ პაპთან მიწერილი ორი წერილიდანაც სჩანს, მართლადაც ეს წერილები ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ერთგულად შესდგომია იგი კათოლიკობას. სამწუხაროდ, მისი ქართულად გაგზავნილი წერილთაგანი ვერც ერთი ვიპოვეთ. იძულებული ვართ ესენიც ლათინურიდგან ვსთარგმნოთ.

„მწყემსთა მწყემსს და მამათა მამას, ინოჩენციო მეთერთმეტეს.

„სახსოვრად იყოს წინაშე ყველა ქრისტიანების პატრონისა და მთავრისა, რომელიც სამწყსოს საუკეთესო მცველია და რომლის წინაშე მტაცებელი მგელი ვერასდროს შეიძლებს მიახლოებას. თქვენ ხართ ქრისტეს სჯულისა და ზნეობის მთავარი, თქვენ ჰმართავთ ერს თანახმად შვიდის კრებისა და უზიარებთ მათ შვიდთა საიდუმლოთა მადლსა. უმაღლესმა მწყემსმა ღმერთმა ღირსეულად აღგირჩიათ ამ მორწმუნების წყაროსათვის, რომელიც თკბილად მომდინარეობს და რომლისათვისაც ამბობს წმიდა სახარება: „მე ვარ წყალი ცხოველი, რომელნიც სუმიდენ ჩემგან, აღარა სწყუროდენ უკუნისამდე“. შენ ხარ ხე კეთილი, რომელიც მოსცემ ნაყოფსა ტკბილსა; შენ ხარ უფალი და მთავარი, ახალი წმიდა მოციქული პეტრე, რომლისადმი მოგიწოდა შეუცდომელმა სიტყვამ: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მასო“, შენ ხარ ახალი ივანე ოქროპირი, ბასილი კესარიელი და მოადგილე დიდისა კლემენტესა და სილიბისტრესი. შენ ოთხ მახარებელთათანა შესადარებელო და მათო თანამსგავსო; შენი ხმა განისმის ქვეყნის კიდით-კიდემდე და შენის მოწოდებით მოდიან ურნი სარწმუნოებაზე. შენ ხარ დიდი იმედი და მფარველი შენდამი შემოხიზნულთა, ვითარცა გოდოლი დაუძლეველი. შენ ხარ იგი, რომლისათვისაც ითქვა: „მე ვარ მწყემსი კეთილი; და ვიცანი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ“. შენ ხარ ჩემი უფალი, ჩემი მოძღვარი, ჩემი მამა და ჩემი მთავარი † ვითარცა სახედ ჰსურინ ირემსა წყაროთა მიმართ. ეგრე ჰსურინ სულსა ჩემსა შენდამი, მე ვარ ცოდვილი და დატვირთული სიბოროტით, ვითარცა მეზვერე ანუ ის მონა, რომელსაც მიეტევნენ ათი დრაკანი, რადგან ვერ შეიძლო მისი გარდახდა. აწ ვისწრაფი შენდამი და გევედრები, ჰოი ყოველთა ქრისტიანეთა სასოებაო, საქებელო, დიდებულო, ციადო და ბრწყინვალეო, ამაღლებულო და გაძრიელებულო; შენ ხარ მთესველი მართლმადიდებელის სარწმუნოების თესლისა და აღმომფხვრელი ღვარძლისა ქრისტიანების გულთაგან; შენ ხარ თავი და მთავარი ქრისტეს სარწმუნოებისა; აჰ! მე

ვარ შენი ცხოველი ვნებული მგელთაგან, რომელთაც უნდათ ჩემი შთანთქმა. მტკიცედ მრწამს უმანკო ღვთისმშობელი მარიამი და მისი საყვარელი ძე, მისი ხარება, შობა, ტაძრად მიყვანება, თაბორზე ფერისცვალება, ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება, იერუსალიმში შესვლა, მისი ვნება, ჯვარცმა, დასაფლავება, მკვდრეთით აღდგომა, ზეცას ამაღლება და სულიწმიდის მოფენა მოციქულთა ზედა, რომელთა თავსა განიყვნენ ენანი ცეცხლისანი. მე ვარ შენი ერთგული შვილი, ჭეშმარიტად შვიდი კრების აღმსარებელი: პირველი ნიკიისა, მეორე ეფესოსი, მესამე კონსტანტინეპოლისა, მეოთხე ქალკედონიისა და სამნი დანარჩენნი, რომელიც მოხდა ნიკიასა და კოსტანტინეპოლში. მრწამს შვიდი საიდუმლო: ნათლისღება, მირონცხება, აღსარება, ზიარება, მღვდლის კურთხევა, გვირგვინის კურთხევა და უკანასკნელი ზეთის ცხება. ჭეშმარიტი შვილი ვარ და მორწმუნე სამოციქულო და კათოლიკე ეკლესიისა. შეგვაერთე შენს სამწყსოსა და გვიხსენ ჩვენ ამ ისმაელიტელების ნაშობ მოროტ მგელთაგან. გარდმოავლინეთ ამ ჩვენ ცოდვილთა თავსა თქვენის მარჯვენის კურთხევა. ჩვენ ვსასოებთ თქვენს მოწყალებაზე და ვართ აღმასრულებელნი თქვენის სარწმუნოებისა და წესისა, ამისგამო მუხლ მოყრილნი მიწამდე თავს დაგიკრავთ. ჰოი სვეტო და ქრისტიანების შეურყეველო საფუძველო! შენზე მონდობილობამ დაგვიხსნა. ამიტომ მარადის თქვენი ერთგული ვიქნებით და მომლოდინე თქვენის წყალობისა; ეგრეთვე ვევედრებით ქრისტე უფალს, რომ აღგვისრულოს ყოველი თქვენი ნატვრა და დაცულ იქმნას თქვენი ბრძანებით ეს ჩვენი ბატონი მთავარი, მოველით თქვენს ბრძანებას და თქვენს წყალობას. როდესაც ამ ჩვენს მხარეს და ქვეყანას მოაღწევენ თქვენი წმიდა სიტყვა და პატიოსანი ბრძანებანი, მაშინვე შევუდგებით მათ აღსრულებას და ვიტყვით დავითთან: „წარმართენ ლოცვანი ჩემნი ვითარცა საკმეველი შენს წინაშე". გვიხსენ ჩვენ წარწყმედისაგან, ვითარცა იხსნა მორწმუნე ერი, ანუ ვითარცა მირელმა ნიკოლოზმა სამნი უმანკო ყმაწვილი სიკვდილისგან. ჩვენს გულსა და თვალთ შენდამი მოვაქცევთ და ვიმედოვნებთ შენის სახიერებისგან და მოველით შენს პატიოსანს წერილს და ბრძანებას. რასაც გვიბრძანებთ ყველას აღვასრულებთ. ჩვენი ბატონიც ილოცეთ ჩვენთვის, რათა უზრუნველად არ წავსწყმდეთ, ჩვენო მამაო უფალო ბატონო, ამინ. შეგვიწყნარებია და აღვიარებთ წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ყველა კრებას; ეგრეთვე აღვიარებთ და შევიწყნარებთ წმიდა სახარების ბრძანებათა. ამიტომ ვართ შენი ერნი და შენი სამწყსოს ცხოვარნი. შევსცოდეთ, რომ გვიშოეთ და შენის ძალით გამოგვიხსენით მგლის პირისაგან! როგორათაც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ აღმოიხსნა ქვესკნელიდგან ადამი, შეიტკბო და მიუყვანა მამა ზეციერსა, ეგრეთ

თვით შენც, ბატონო, მოწყალეო! ჩვენ ცოდვილნი; ნუ დაგვივიწყებთ და ნუ დაგვტოვებთ. ბრძენს ერთი სიტყვაც ეყოფა. აწ მოველით შენს სიტყვას და მივიღებთ თუ არა შენს ბრძანებას, მაშინვე აღვასრულებთ. დაიწერა პირველ იანვარსა ქრისტეს აქეთ 1690. †“.

ხოლო მისი მეორე წიგნი არის შემდეგი:

დიდებაო ღმერთისა, ინოკენტიოს მამაო, *)

„აჰა, შენთა წმიდა ფერხთა წინაშე ერთი დიდი ცოდვილი, სანდრო ბარძიმი, საქართველოს ერისთავი. გარნა აქამდის თვინიერ რჩევისა ვიყავი მოტყუილებული და სიბნელეში გართხმული ჩვენის ეპისკოპოსების სიცრუეთ და უმეცრებით, უმეცრებით კი მით ვიყავ ჭეშმარიტების გზისგან, გარნა აწ ღვთის მადლითა და წყალობით, ეგრეთვე ტფილისში მყოფის შენი პატრების მოძღვრებით და კეთილის მაგალითით ვსცანი ჩემი შეცთომილება და მივიღე კათოლიკე სარწმუნოება, რომელი სარწმუნოებაც სულის წმიდის ჭეშმარიტი სიტყვა არის. აწ დიდად მოხარული სიბნელისაგან გამოსვლითა ყოვლადის კდემით, სიმდაბლით და გულმხურვალებით ვემხობი შენს პატიოსანს საყდრის წინაშე. თუმცა ტფილისის მისიონის უფროსის წინაშე სულით-გულით და ცრემლთა ფრქვევით უარ ვყავი ჩემი უწინდელი შეცთომილება; გარნა აწ თქვენი სიწმიდის წინაშეც მათ კვალად უარ ვყოფ და სამუდამოდ ვშორდები, რადგან ჭეშმარიტად და სიმტკიცით ვსცანი, რომ შენ ხარ ჭეშმარიტი იესო ქრისტეს მონაცვლე და უწმიდესი პეტრეს მოსაყდრე, სასუფეველის კლიტეთა მქონე, ყველა მორწმუნეთა მამა, წინამძღვარი და მოძღვარი; ამიტომ გთხოვ მიმიღოთ მე ვითარცა თქვენი მდაბალი მონა. მეც გპირდებით, რომ რასაც ინებებთ, ყველა აღვასრულო წმიდა კათოლიკე ეკკლესიის აღმამაღლებლად, იესო ქრისტეს პატივისთვის და თქვენს სამსახურებლად; მზად ვარ ამისათვის სისხლიც დავღვარო. კვალად თქვენს წმიდათ ფეხთ სამღვდელო საყდარს შევსწირავ ჩემს თავს, ჩემს სახლობას და მთელს ჩემს ქვეშევრდომ ერსა. აწ სხვა არას ფერს მოველით, თუ არ თქვენს წმიდა კურთხევას და რჩევასა, რათა სულით და გულით წმიდა კათოლიკე ეკკლესიის გავრცელებასა და განძლიერებას შევუდგე, რადგან ეხლა შექმნა იგი ჩემი უსაყვარლესი დედა.“ (1).

ამ წერილების მიმტანი უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა, კეთილი ერთი ქართველი, რომლის მალე დაბრუნებას პატრები ეშურებოდენ. როგორც ამ წერილებმა და ისე კაპუცინების ზედ მოწერილმა ამბებმა დიდი სიხარული გამოიწვია რომში. ამიტომ პროპაგანდამ უწი-

---

*) ეს ზემო წიგნზედ უწინ დაწერილია.

ნარეს ბარძიმის პასუხისა, უფროს პატრს გამოუგზავნა შემდეგი მადლობის წერილი:

„საქართველოში პრეფექტოს, პატრი ჯულიოს, 20 ნოემბერს 1690.

„თქვენმა მოწერილმა ამბავმა, რომლითაც გვაუწყეთ, რომ ღვთის შემწეობით, კათოლიკე სარწმუნოებაზე მოგიყვანიათ მთავარი ბარძიმი, დიდად გაახარა კარდინალები, რადგან შემოგიერთებიათ ისეთი, თუ მეომრებით და თუ სიმდიდრით, ძლიერი ბატონი, რომლის გულმოდგინების წყალობით კათოლიკე სარწმუნოებას დიდი წარმატება მოელის. ეს ამბავი მაშინვე ვაცნობე ჩვენს ბატონს პაპს. ამანაც დიდად განიხარა ასეთი ამბავის მოსმენით და ამ სიხარულს თვითვე უცხადებს თავის წერილით. არ დისცხრეთ და გონივრად შეუდექით შრომას, რათა მოუპოვოთ საუკუნო ცხოვრება მაგ სულთა, რომელნიც მონდობილნი არიან თქვენს სიფხიზლეზე. თქვენს ლოცვაში მომიხსენიეთ". (2).

სანამ ბარძიმს პასუხს მოსწერდა, კაფუცინების თხოვნის თანახმად, პაპს გიორგი მეფისათვის მოუწერია 1691 წ. რჩევის წიგნი, რათა კვალად დამეგობრებოდა ბარძიმს და მას შეერთებოდა, რომ თუ მისი და თუ სხვა კათოლიკების დახმარებით ერთად ეზრუნათ საქართველოს საკეთილდღეოდ. ეს მტკიცდება პროპაგანდის ერთის წერილით, რომელიც 28 დეკემბერს 1690 წ. დაწერილა. ცოტა ხნის შემდგომ პაპის წერილი ბარძიმისათვისაც მოუმზადებიათ, მაგრამ პაპი ალექსანდრე მერვეს სიკვდილის გამო, ამ წიგნის გაგზავნა შეუჩერებიათ 1692 წლამდინ.

თუმცა კი ბარძიმი ერისთავი მუდამ მფარველი იყო კაფუცინებისა და იცავდა მათ სომხების წინააღმდეგ, გარნა ამათ რაღაცა შემთხვევის გამო მოუხერხებიათ და კვალად დაუწყვიათ კათოლიკების დევნა. ამ შემთხვევაშიაც, როგორც წინეთ, ბარძიმი გამოჰქომაგებია კაფუცინებს და კათოლიკე ერთ გაშმაგებულის სომხების უსამართლობისგან უხსნია. სამწუხაროდ, ამ დევნულობის შესახებ რომში გაგზავნილი წიგნი ვერ ვიპოვეთ. ბარძიმის ამ დროის გამოსარჩლების ამბავი ვიცით მხოლოდ პროპაგანდის ერთი წერილიდგან. ხოლო ამ დევნას კი მისიონერები იხსენიებენ თავიანთ წერილებშიაც. ამავე დროს გაჩენილა ჭირი, რომელსაც საკმაოდ უმსხვერპლია ხალხი. თუ ამ ამბავს და თუ მისიონის სხვა გარემოების შესახებ უფროსი პატრი სწერს ესრედ რომში:

„შემდგომ ერეტიკოს სომეხთა მიერ დევნისა რომელთაც კარგად გაიმარჯვეს და ამიტომ გაამაყდენ, ღმერთმა შავი ჭირით დასაჯა ეს უბედური ერი. ჭირისგან შეშინებულნი და სინიდისისაგან მხილებულნი იქით-აქეთ დაიფანტნენ, რათა როგორმე გადარჩენილიყვნენ სიკვდილს და პატრონად ამ ქალაქისა, საიდანაც გადევნას გვპირობდენ, ჩვენ დაგვტოვეს... გამოუთქმელია თუ რაოდენი ზარალი ემიზეზათ მათ,

წინეთ ხომ გლახაკები იყვნენ, ახლა კი ერთიანად გაუბედურდენ, რად-
გან სამი თვის განმავლობაში თუ გლახაკებმა და თუ ქურდებმა მთლად
გააჟერანეს ქალაქი... მაინც კი არ მოაკლდენ და კვალად შემოვიდნენ
ეკკლესიის წრიდში ქართველები და მაჰმადიანებიც. მეფე ოთხ გზის მო-
ვიდა ჩვენს ეკკლესიაში მთელის თავის წარჩინებულის თავადებითურთ;
ცალცალკეც მოვიდენ საქართველოს უწარჩინებულესნი თავადნი და დი-
დათ შესანიშნავი ქალბატონებიც; რა ხედვენ ეკკლესიას, ტრაპეზს და
სხვა ყველაფერს ეგრედ კარგად შემკობილს და მოწყობილს ყველანი
ღმერთს ადიდებდნენ და აღიარებდნენ, რომ კათოლიკე ეკკლესია ქრი-
სტიანების ჭეშმარიტი დედაარ... ტფილისი, 22 ოქტომბერს, 1690 წ.
პატრი ჯულიო". (1)

სომხები არა მარტო ტფილისში, არამედ გორშიც მტრობდენ
კაფუცინებს, მათ მოსვენებას არ აძლევდენ და ხალხში ქადაგებას უშლი-
დენ. ამას უფრო კარგად დავინახავთ შემდეგ წერილიდგან. ხოლო ეს
კი დიდად საკვირველი და შესანიშნავია, რომ კაფუცინების მისიონი,
მეტადრე ტფილისში, სომხების გამუდმებულ მტრობით და დევნულო-
ბით, არა თუ უძლურდებოდა, არამედ ყველა ნაირად უფრო მატულობ-
და და ყველას ყურადღებას იზიდავდა; რაის გამო მთელი აღმოსავლეთის
საუკეთესო მისიონად მიაჩნდათ ყველა ესა. ამას სხვათა შორის გვიჩვე-
ნებს ხსენებული პატრი ჯულიოს წერილი.

„... მარტო გორია, რომ ვერც წინეთ და ვერც ახლა შეიძლო
თავის გამოჩენა, რადგან ჩვენი ძმები დაიძაბუნეს სომხების მღვდლებმა,
რომლებსაც ძალით ჩამოართვეს მათგან მითვისებული ჩვენი სახლი
(პატრი კარლო პეშელის სიკვდილის შემდგომ ჩვენი ძმათაგანი აღარა-
ვინ მდგარა იქ, ამისთვის შეჩვენებულმა სომხების მღვდლებმა, მიითვისეს
ყველაფერი), გარნა ამ მისიონს კვალად სჭირია გიორგი მეფის მობრძა-
ნება, რადგან დიდი ხარჯია საჭირო, რომ ეკკლესია რიგიანად იქმნეს
მოწყობილი... რაოდნათაც ვიცნობ ქვეყანას, შემიძლია ყოვლადის სი-
ნამდვილით და ჭეშმარიტებით მოგახსენო, რომ ტფილისის მისიონი
აღმოსავლეთის ყველა მისიონებსა სჯობს. ეგევე აზრი გავიგონე ბევრ-
თაგან, რომელთაც ესმისთ და დაუვლიათ აღმოსავლეთი. ეს ისედაც
ცხადად სჩანს. ქართველები ძალიან აფასებენ ჩვენს ძმებსა, რადგან მათ
ჩვენი რიდი აქვსთ, პატივს გვცემენ და გვიფარვენ კიდევაც. რაც უფ-
რო მაღალ ხარისხის პირნი არიან, მით უფრო მეტი პატივისცემა აქვსთ
ჩვენი... აქ ჩვენი მონაზონები ყველგან მიღებულნი არიან, თუ პალატ-
ში, თუ სახლებში და თუ მათ ეკკლესიებში; ყველგან ჰქადაგებენ დაუ-
ბრკოლებლივ და არც შიშია, რომ მოუხდესთ რაიმე შფოთი ან მაჰმა-
დიანებთან, ან ქართველებთან და ან სომხებთან. როდესაც ქალაქში

დაარებიან. ყველა მათ გზას უთმობს: თუ ჩვენთაგანს ვისმე გული უთქმიდეს პატივისათვის, აქ უძებნელად მიიპოვებს, რადგან ყველანი კდემით გვეპყრობიან და პატივს გვცემენ. აქაური კათოლიკები კე-გულმოდგინენი და გაშინაურებულნი არიან; ხშირადაც ამბობენ აღსარე-ბას და ეზიარებიან. ესენი ჩვენს ეკლესიებში, აღმოსავლეთის წესისა-მებრ, რომლი სდგანან ფეხზე თავდახურულნი *), არამედ დაჩოქილნი, ჩუმად და თავმოდრეკილნი არიან. ეს რა ნახა იეზუიტმა პატრი კოსკოვე-სკიმ დიდად განუკვირდა და გვითხრა: „ნეტავი თქვენ, რომ ამისთანა ბარბაროსულ ქვეყანაში ყოველ დღეს უფრო დიდს გულმოდგინებას ხედავთ, ვიდრემც თქვენს იტალიაშიო“. ხოლო იეზუიტი პატრი ლა-პოლსკიმ, რომელიც ერთი წლის შემდგომ მოვიდა და ჩვენთან 25 დღე დარჩა, ყველაფერი რა ლამაზად შენიშნა, ნახა ახლად მოწყობილი ეკ-კლესიის სიმშვენიერე, მეტადრე ხალხის ხშირი სიარული და მათი აღ-სარება, ზიარება ღვთის მშობლის მიძინების დღესა, ტირილით სთქვა: „სად ვარ, იესოვ ჩემო! თვით პოლონეთშიაც ვერ მინახავს, რომ ჩვენი ქრისტიანები ეგრე ბლომად მოდიოდენ საიდუმლოების მისაღებად, რო-გორც ამ ეკკლესიაში ვხედავო“, იძახდა: „ოჰ! რა ბევრმა ჰსთქვა აღსა-რება, ოჰ! რა ბევრნი ეზიარნენო“. ჩვენც ვუპასუხეთ, რომ, რაც მას ენახა, იმაზე უფრო მომეტებულმა სთქვეს აღსარება და ეზიარნენ. ხო-ლო მათი რიცხვი ბევრად უფრო მომეტებული იქმნებოდა, მაგრამ, რადგან დევნულება ახლად დამცხრალიყო, ამიტომ, მეტადრე ახლებმა ზიარება ვერ გაბედეს, რათა არ შეენიშნათ. ეგრეთვე წასვლის დრო-საც გვითხრა: დიდის მწუხარებით ვშორდები ამ კურთხეულს ადგილს, გარნა ბევრი მექმნება ამაზედ სალაპარაკო და ბევრს რამესაც დავსწერ ამ საუკეთესო მისიონისას... ტფილისი, 28 ნოემბერი 1691 წ., პატრი ჯულიო“.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერაფერს შევხვდით ამ იეზუიტის ნაწერების სა-ქართველოს მისიონის შესახებ.

პატრი ჯულიოს რომში წინეთ გაუგზავნია ამ წერილის გარდა კიდევ სხვა წერილიც, რომელშიც აუწერია სომხეთა მიერ დევნულობა და კათოლიკების წარმატება. ამ წერილს კი ჩვენ ვერ შევხვდით. ხო-ლო პროპაგანდა 17 მარტს 1691 წ. ამ პატრს სხვათა შორის ესრედ სწერს: „ბატონმა კარდინალებმა დიდად აქეს თქვენი ერთგულობა და დიდის გულმოდგინებით და სიამოვნებით მოისმინეს თქვენი გამოგზავ-ნილი მოხსენება შესახებ მაგ მისიონისა, რომელიც მუდამ წარმატებაში

---

*) ოსმალეთში ქრისტიანები საზოგადოთ ქუდმოხდილნი ლოცულობენ ეკლე-სიებში.

მთლის, მიუხედავად იმ შფოთისა, რომელიც წინეთ ადძრეს კათოლიკე სარწმუნოების მტრებმა...“ (2) ამავე წერილით აცნობებს, ახლა საჭიროა გამოგზავნას მისიონის საჭიროებისათვის.

ზემოდ ვსთქვით, რომ ბარძიმის წერილისას პასუხის გამოგზავნა შეაჩერეს რომში პაპი ალექსანდრე მერვის სიკვდილის გამო. ხოლო აირჩია თუ არა ინოჩენციო მეთორმეტე, ამ გამოსაგზავნ პასუხსაც ყურადღება მიაქციეს, გარნა უწინდელი დაწერილი წიგნი აღარ გამოდგა; მისი შეცვლა საჭირო გახდა, რადგან საქართველოდან 1691 წ. ბარძიმს შესახებ უფრო კარგი ამბავები მისწერეს, რაის გამო საჭირო ხდებოდა, რომ ეს გარემოებაც მოხსენებული ყოფილიყო წერილში. ამიტომ 26 თანვარს 1692 წ. პროპაგანდა სწერს პაპის სეკრეტერს და აცნობებს, რომ ბარძიმს დიდის მხნეობით დაუფარავს კაფუცინები და კათოლიკები ახალი დევნულობისაგან. ამიტომ სთხოვს, რომ პაპმა თავის წერილში ამისთვის კერძო მადლობა მოახსენოს, ეგრეთვე დაასახელოს საჩუქრები, რომლების გაგზავნაც პაპს მოუნდომებია და რომლებიც შემდეგნი ყოფილან: ორი მედალი და ერთი ჯვარი ოქროსი, ერთი კრიალოსანი თავისთვის და მეორეც მის მეუღლისათვის და ერთი კრიალოსანიც მის ძმა დივანბეგისათვის. გარნა წერილში არ არიან მოხსენებული ესრეთსაჩუქრები. აი პაპის წერილიცა:

„ჩვენს საყვარელს შვილს, კეთილშობილ კაცსა საქართველოს თავადს ბარძიმს, პაპი ინოჩენციო მეთორმეტე.

„საყვარელო შვილო, კეთილშობილო კაცო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.

„შევიტყვეთ, რომ ღვთის მადლის შეწევნობით, დაგიტოვებიათ ის შეცთომილებანი, რაშიაც შობილი და აღზრდილი იყავით და მიგიღიათ კათოლიკე სარწმუნოება, რომლის გარეთ შეუძლებელია ცხონება და სავსე ხართ გულმოდგინებითა, რათა დაიცვათ და განავრცოთ ესევე სარწმუნოება. მასთანვე ვსცანით, რომ სხიზმატიკების მიერ გამართულ ფიცხელის დევნილობისაგან მხნედ დაგიფარავსთ სამოციქულო მისიონერი კაფუცინები და ეგრეთვე ისინი, რომლებსაც თქვენის მიბაძვით მიუღიათ იგივე კათოლიკე სარწმუნოება. სათნოდ ვრაცხთ, რომ ამ წერილით ჩვენი დიდი მადლობა გამოგიცხადოთ, რათა ამნაირად როგორმე ვუპასუხოთ მაგ თქვენს უდიდეს ღირსებას. მასთანვე, როგორც იმედი გვაქვს, უეჭველია, უფრო შეგულიანდეთ და შეეწიოთ დაუცხრომელად ხსენებულ მისიონერებს და კათოლიკებს. რათა ამ მიზანს ეწიოთ საჭიროდ ვრაცხთ, შეუერთდეთ გიორგი მეფეს. ამით ჩვენ დიდად გვასიამოვნებთ, მასთანვე ეცადეთ, რომ დაურღვეველად დაიცვათ ეგ მეგობრობა. ამისი იმედი გვაქვს და ყოვლის სიკეთის მომნიჭებელ

ღმერთს ვსთხოვთ თქვენი კეთილშობილობისათვის უხვად ყველა სულიერს და საწუთრო სიკეთეს. მასთანვე ჩვენის მამებრივის სიყვარულით განიჭებთ მოციქულებრივი კურთხევას". (1)

არ ვიცით, თუ ვინ მოუტანა ეს წერილი ბარძიმს, რომელსაც დიდად სასიამოვნოდ უნდა დარჩენოდა პაპის ესრეთი მადლობა და ქება. არც ის ვუწყით, თუ რა გაარიგა გიორგი მეფესთან ბარძიმმა. ხოლო ეს კი ცხადია ისტორიიდგან, რომ სხვა და სხვა გარემოებამ გიორგი მეფეს ხელი შეუშალა ბარძიმს შეერთებოდა და ცდილიყო მაჰმადიანების ულლისაგან საქართველო განეთავისუფლებინა. ეგრეთვე ვიცით, რომ შემდგომ გიორგი მეფე დაიბარა ყეენმა და მისცა ყანდაარის მართველობა, რათა აჯანყებული ავღანელები დაემორჩილებინა და მით აეცილებინა სპარსეთისათვის ის დიდი უბედურება, რომელიც მას მოელოდა. გიორგი იმ შორეულ ურწმუნოების ქვეყანაშიც დარჩა ერთგული და მორწმუნე კათოლიკე სარწმუნოებისა, რომელიც სულით და გულით მიიღო საქართველოში. იქ, როგორც ექიმები, მუდამ თან ახლდა სიკვდილამდე ორი კაპუცინის პატრი თავის მოძღვრებად. ამას სხვათა შორის, ცხადათ მოგვითხრობს მისივე თანამედროვე პოლონელი მისიონერი კრუზინსკი ესრედ: „ესეც საჭიროა მოვიხსენიოთ ამ მთავრის გალაშკრებისა, რომ... ქრისტიანედ დარჩა და კათოლიკედ მიიცვალა, როგორათაც მოგვითხრობენ. როდესაც მოჰკლეს, მას გულზე უპოვეს ჯვარი, ერთი ოქროს ჯვარიც თავის ჯარის დროშის ბურთში ჩაეტანებინა. ყველამ ვიცით, რომ წინათვე ის სრულიად შეერთებული იყო კათოლიკე ეკკლესიასთან. ომისა და სიკვდილის წინა დღით წმიდა ზიარებაც მიიღო, რადგან მკურნალობის მიზეზით, ომში თან წაეყვანა ორი პატრი კაპუცინი, პატრი რეჯინალდო და პატრი ამბროზიო მილანელი, რომელიც ჩემი დიდი ნაცნობი და მეგობარია". (1)

ზემოდ ხსენებული უფროსი პატრი ჯულიო 1692 წ. რომში სწერს და ანგარიშს აძლევს რომიდგან წამოღებულის და დახარჯულის ფულებისა, რომელთა რიცხვში 505 სკუდი დაუხარჯავს მონასტრისა და ეკკლესიის შეკეთებაზე. ეგრეთვე ამ წერილში იხსენიებს, რომ ბარძიმ დივანბეგს ეკკლესიისათვის შეუწირია ძვირფასი ფარჩა, რომლისაგანაც რავდენიმე ხელი სადღესასწაულო წირვის შესამოსელი გაუკეთებიათ. ამ პატრსვე აუშენებია ეკკლესიის სამრეკლო, რისათვისაც თუ ბარძიმს და თუ სხვა კათოლიკები შესწევიან.

ამ დროდან ვიდრე 1698 წლამდინ აღარა ვიცით თუ რა მოხდარა და მისიონის საქმე როგორ წასულა, რადგან მთლად გვაკლია ამ დროის საბუთები. მხოლოდ ეს შემდეგი წიგნი გვაქვს პროპაგანდისა ტფილისის კაპუცინების უფროსთან მიწერილი, რომ

ლითაც სთხოვს ორ ახალგაზდა ქართველის გაგზავნას რომში სასწავლებლად:

„პატრი სილიბისტრე კაფუცინ პრეფექტოს, 11 ოქტომბერი 1697.

„ეს წმიდა კრება ნატრობს და მისთანვე ზრუნავს, რომ ამ ჟამად ურბანოს კოლეგიაში დარჩენილი ცარიელი ადგილი შეავსოს ორი ახალგაზდა ქართველით, რათა მათ, სწავლის შემდგომ, თავის დროზე შეიძლონ შეწევნა სულიერად თავიანთი ტომისა, რომელსაც ეგოდნათ სჭირია კარგი მოციქულებრივი მუშაკნი. ამიტომ გთხოვთ მოსძებნოთ ორი ახალგაზდა და რაც შეიძლება მალე გამოგზავნოთ აქ. ამასთანვე გაუწყებ, რომ ის ყმაწვილები უნდა იყვნენ კარგი აგებულობისა, მრთელნი გონებით და სხეულით, გარეგნად უნაკლულონი; ჰქონდესთ საკმაო ნიჭი, რათა მათგან შემდეგში სარგებლობის იმედი იყოს; არ იყვნენ უმცირესი თუთხმეტი წლისა და უდიდესნი, ოცისა, ანუ სულ ბევრი 21 წლისა; ეგრეთვე თუ შეიძლება ჰქონდესთ რომელიმე სწავლა დაწყებული..." (1) ვინ და ანუ როდის გაგზავნეს ეს ორი ახალგაზდა ქართველი რომში, ამაზე არც ერთი დოკუმენტი გვაქვს.

1698 წლის პირველს კაფუცინები რომში იმის აღწერას გზავნიან, თუ როგორ ასრულებენ საეკკლესიო წესებს ტფილისში. ეგრეთვე აუწყებენ, რომ სკოლაში ჰყავსთ 40 მოწაფემდე; რომლებსაც, წერა-კითხვის გარდა, ასწავლიან სარწმუნოების უმთავრესს საგნებს და ლოცვებს, არა მარტო ქართულად, არამედ ლათინურადაც. მასთანვე ეუბნებიან, რომ სნეულთა წამლობა მათ ძრიელ შველის, რადგან ამის მიზეზით ხშირად დაიარებიან ბინაზე უმაღლეს ქართველ პირებთან და მაჰმადიანებთან, რომლებსაც იმეგობრებენ, რათა დევნილობის დროს მათ შემწეობას მიმართონ, ვინაიდგან მისიონის მოღვაწეობას სულმუდამ სჭირდებოდა მათი მფარველობა.

იმ დიდმა სიხარულმა, რომელიც მოუპოვა რომს და ტფილისის მისიონერებს თუ ბარძიმის ერისთავისა და თუ სხვა წარჩინებული ქართველების გაკათოლიკებამ, ბევრხანს არ გასტანა. დიდ შვებას, დიდი მწუხარება მოჰყვა და იმდენი შრომა სულების სასარგებლოდ მტერმა თითქმის ერთიან ფეხქვეშ გაქელა და მოსპო. სულ სხვა და სხვა ნაირად ეპყრობიან მისიონერებს ქართველები და სომხები. პატრებმა თავიანთი მიუკერძავი და უზომო კაცთ-მოყვარეობით არა თუ მოიგეს ქართველების გული და მათი სიყვარული და მეგობრობა დაიმსახურეს, არამედ თვით ბარბაროსი და კაცობრიულ გრძნობას მოკლებულ თათრების გულიც მოარბილეს და მიიზიდეს. გარნა სომხების გაქვავებული და შურით განძვინებული გული ვერავითარის სიკეთით მოალბეს. სომხების მოქმედება ძრიელ სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს და გვი-

მტკიცებს არა მარტო მათს დაუცხრომელ მტრობას კათოლიკე სარწმუნოებისადმი, არამედ თვით კაცობრიობის წინააღმდეგადაც, რადგან აქვავებენ და სდევნიან იმათ, რომლებიც თავიანთ სიცოცხლეს არ ზოგავდენ და ყველა ღონის ძიებას ხმარობდენ, რომ აღმოეჩინათ ყოველგვარი შემწეობა საწყალ და გაჭირვებულ ხალხისათვის განურჩევლად სარწმუნოებისა და ერობისა. სომხების ასეთი უმოწყალო მოქმედების შესახებ კაპუცინების ერთი ვრცელი მოხსენება ჩაგვივარდა ხელში, რომელიც დიდათ გვაოცებს. ამ სამარცხვინო ამბის გამოქვეყნებას ჩვენს წერილში სიამოვნებით დავანებებდით თავს, ისტორიის საჭიროებას იგი რომ არ მოეთხოვა. ამიტომ იძულებული ვართ მოვიყვანოთ აქ ესეც. რადგან ეს წერილი საკმაოდ ვრცელია, უსაჭიროესის გარდა დანარჩენს გამოვსტოვებთ.

„... აწ მოგახსენებ ამ საბრალო მისიონის დიდათ სამწუხარო დაჩაგვრის ამბავს. კათოლიკობის მტერმა წრეულს დაგვიწყო ეგრეთი სასტიკი დევნა, რომ მისი მსგავსი ჯერ არასდროს გვსმენია; მასთანვე ისე გაძლიერდა და გამტკიცდა ეს დევნულობა, რომ მარტო ღვთიურ შემწეობას შეუძლია დაგვიხსნას მისგან. მოკლედ გაუწყებ ამ დევნულობის ამბავს. ვინაიდგან კათოლიკები კარგად გამრავლდენ და დაიწყეს ხშირად მოსვლა ჩვენს ეკკლესიაში, კათოლიკე სარწმუნოების მტერმა სომხებმა ველარ მოითმინეს... ფულის მოსაკრებად პატრიარქისაგან გამოგზავნილმა ვართაპეტმა ყველა მღვდლებთან და ქალაქის ხუთ-ექვს მოწინავე პირებთან ერთად გადასწყვიტეს ჩვენი ეკკლესიის დანგრევა და ჩვენი ამ ქალაქიდან გადევნა. მეფისაგან ნების ასაღებად ეს ბოროტები მივიდენ ვეზირთან და მისცეს 100 ოქრო (zecchini)... დაიმედებულთა, რომ ნებას გამოიტანდენ ამ დაწყევლილმა ეშმაკის მუშებმა ერთ ეკკლესიაში პირველ გზის შეჰკრიბეს ყველა ისინი, რომლებიც წინააღმდეგნი არიან კათოლიკებისა. შემდგომ ვართაპეტმა უბრძანა ეკკლესია დაეკეტათ და ზარები აღარ დაერეკათ, რათა ყველას მარტო ის ეფიქრათ, რის აღსრულებაც უნდოდათ. ხოლო ჩვენ გული არ გავიტეხეთ და არც ზარების რეკა შევაჩერეთ პარასკევამდე. მეორე დღეს ადრიან დილაზე ყველა მღვდლები შეიკრიბნენ ტერ დავითას ეკკლესიაში, სადაც იდგა ის დაწყევლილი ვართაპეტი და მოელაპარაკეს, რაც უნდა ეთქვათ მეფისათვის. შემდგომ დიდძალის ხალხითურთ მივიდენ მეფის სახლში და დაუცადეს ვიდრე მეფე გამოვიდოდა; რა გამოვიდა მეფე საწოლიდგან, ყველა ეს საძაგელი ბრბო შევიდა შიგნით, სადაც დაიწყეს თავიანთი ეშმაკებრივი აზრების წარმოთქმა, ჩვენზე დრტვინვა და თქმა, რომ ნახევარი ქალაქი გაფრანგებულიაო, ამის თანახმა არა ვართო, არც გვინდა სომხებმა მათს ეკკლესიაში დადიოდნენო, ისინი მატყუვრები არია-

ნო... ალარ გვინდა პატრებო ქალაქში დარჩნენ, არამედ ქალაქს გარეთ უნდა გავიდენო; სპარსეთის მეფემ რომ შეიტყოს, ნახევარი ქალაქი გაფრანგებულა, ვარც თქვენ მოგივათ კარგი საქმეო; ეგრეთვე რადგან იმათ ცოლი არა ჰყავთ, ნება არა აქვსთ ვისმე ალსარება ათქმევინონო და სხვა ამნაირი ბევრი სამაგლობს უთხრეს... სადილობის შემდგომ უფროსი პატრი და პატრი ალექსანდრე წავიდენ ყულარ ალასთან, რომელსაც დაებარებინა ისინი ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად; რა მივიდენ, იქვე დახვდათ მეფე, ვართაპეტი ოთხი, სხვა მღვდელი ოთხით, მამასახლისი და აბედინაშვილო; შესვლისას ისინი მეფემ მიიწვია და თავისთან ახლო დასვა, ხოლო სხვა ყველანი ფეხზე იდგნენ. ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობდენ მეფე და ყულარ ალასი ვართაპეტთან და ეუბნებოდენ, რომ, ჩვენ ვითარცა მოციქულები, გამოგზავნილი ვიყავით პაპისაგან წმიდა სახარების საქადაგებლად, ჩვენ ყველას ვსწავლობდით დიდის სიყვარულით; ჩვენ აქ არ ვიყავით სიმდიდრისა მოსაპოვებლად, არამედ მარტო ყველასთვის სიკეთის საქმნელად და იმისთვის რათა გვესწავლებინა ჭეშმარიტი გზა სასუფეველისა. ვართაპეტმა უპასუხა მეფეეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ არ გვინდა, რომ მაგათ ეკკლესიაში რომელიმე სომეხი მივიდეს, ჩვენც ვიცით სწავლება და ჭეშმარიტი სასუფეველის გზის ქადაგება. რადგანაც მეფეს ბოლომდე მიელო ფულები, 20 თუმანი, პატრებს უთხრა: გაიგონეთ რასაც ამბობს ეს ვართაპეტი; მართლადაც ძრიელ კარგი იქმნება, რომ ყველანი თავის ეკკლესიებში იარებოდნენ, მაშინ ერთმანერთში ძმასავით ვიქმნებოდით.. პატრი ალექსიმ მიუგო: ბატონო ჩვენს ხომ ძალით არავინ მოგვყავს ჩვენს ეკკლესიაში; იგი ყველასათვის ღიად არის, ვისაც უნდა მოვა. მეფე წავიდა და პატრები დარჩნენ ყულარ ალასთან და სომხებთან, სადაც ბევრი ილაპარაკეს. ეს მატყუარა ყულარ ალა ლაპარაკში განგებ მუდამ ჩვენი გვესარჩლებოდა და მათ აყვედრებდა; ვართაპეტმა რა ნახა ესა, თუმცა მოჩვენებითი იყო, მაგრამ მაინც კი პატრების წინაშე ეს ყვედრებანი ველარ ხიტანა, გაბრაზებული გავიდა თავის მღვდლებთან ერთად და დაიწყო მეჩვენება და წყევლა ყველა იმათი, ვინც კი არ დაკეტავდა დუქნებს და ჩვენის ეკკლესიის და სახლის დასაქცევად არ მოვიდოდა. ამ მეჩვენებისა და წყევლისაგან შეშინებულმა ვაჭრებმა და მედუქნებმა ყველამ დაკეტეს დუქნები, და ყველანი საშინელის ყვირილით, შეიარაღებულნი კეტებით და ცულებით, წამოვიდენ ჩვენი სახლისკენ. ამ გაბრაზებულ ეშმაკის მონების ყვირილი ისეთი იყო, რომ ქუჩებში ყველა დედაკაცები სახლებიდგან გარედ გამოცვივდნენ და ზოგიც თავიანთი სახლების ბანებზედ ავიდნენ, რათა იქიდგან ეცქირათ ამ წარმოდგენისათვის, რომელიც მართლა მეორედ მოსვლის დღესა ჰგავდა; რა მოვიდენ, დიდრონის ქვებით, კეტე-

ბით და ცულებით დაიწყეს კარის შემტვრევა, მაგრამ ვერ ჩამოაგდეს კარი, რადგან მაგარი იყო. ხოლო ჩვენ შიგნით სახლში ვიყავით და ამ ყვირილისა, კეტების და ცულების ჯახა-ჯუხისა ვერაფერი გაგვეგო, რისთვის იყო; რადგან უფროსი პატრი და პატრი ალექსი მეფესთან იყვნენ, ჩვენ ვერ შევიტყეთ: ეს ამბავი მეფის ბრძანებით იყო, თუ არა. ამ ხალხმა რა ნახა, რომ კარიდგან ადვილად შემოსვლა არ შეიძლებოდა, უმეტესობა ავიდა ბანებზედ, ჩვენი ბაღის წინ რომ იყო და იქიდგან დაუწყეს სეტყვასავით ქვების სროლა ეკკლესიასა და ყორეს დიდის ხმაურობით. ამ დროს, როცა ეს გაცოფებული ხალხი თავის ჯავრს ქვების სროლით იყრიდა, ჩვენის ბაღის ქვეითა გზით გაიარა ცხენით დივანბეგმა, რომელსაც თან ახლდა მრავალი თავისი კაცები; ამ ბატონმა რა დაინახა ჩვენის სახლის გარეშე ეგოდენი ხალხი და გაიგონა რახარუხი, რომელსაც ჩვენს სახლს უყოფდენ, სასწრაფოდ გამოგზავნა შეიარაღებული კაცები, რომ დაეცვათ ჩვენი ეკკლესია, სახლი და ჩვენ ყველანი. ისინი საჩქაროდ მოვიდენ ჩვენ კარებთან, მაგრამ რა ნახეს, რომ ხალხის სიმრავლის გამო კარებიდგან ვერ შემოვიდოდენ, ავიდენ ბანზედ, რომელიც გადმოსცქეროდა ჩვენს ბაღს და საიდანაც ხალხი სარკმელებს და ეკკლესიას ქვებს უშენდა. მდივანბეგის კაცები ხალხს მისცვივდენ ჯოხებით და შეაჩერეს კიდევაც; ზოგი მათგანი გადმოხტა ბაღში და მოეშველნენ კარებს, რომელიც უკვე ცოტა ჩაენტვრიათ. ხალხმა რა დაინახა, რომ იმ ბატონის კაცები შიგ იყვნენ, კარის მტვრევაზე ხელი აიღო. ჩვენი მოსამსახურე ჩინტეტი ყულარაღის სახლში პატრებთან იყო. რა გაიგო ქალაქში ეს ხმაურობა, საჩქაროდ გამოიქცა ჩვენის სახლისკენ და ნახა თუ არა, რომ ხალხი კარებს ამტვრევდა, მაშინვე გაბრუნდა და შეატყობინა პატრებს, რომ ხალხი ჩვენს სახლს ანგრევსო. ეს ამბავი რა გაიგონა მოჩვენებულმა ყულარ აღასმა, გაბრაზებული წამოდგა ფეხზე და უთხრა მამასახლისს: დიდი ცეცხლი მოეკიდოს შენს სახლს, წადი ჩქარა შე ძაღლო და მოაშორე იქიდგან ხალხიო. ესეც საჩქაროდ წამოვიდა ჩვენს სახლისკენ და ჯოხით გაფანტა მომეტებული ხალხი რომელიც უკვე დამცხრალიყო მდივანბეგის კაცების შიშით. ყულარ აღასმა შემდგომ პატრებს ჩვენს სახლამდე თავისი მეკარე გამოაყოლა. ამათ რა ნახეს უწყალო სომხების ეგოდენი ნასროლი ქვა მოთმინებიდან გამოვიდენ, ის კი არ აბრაზებდათ უფრო, რომ სომხების ნასროლის ქვებისაგან ასეთი ყორე დამდგარიყო, არამედ ისა, რომ ყულარაღამ ჯერ მოჩვენებით ჩვენს სასარგებლოდ ილაპარაკა და ბოლოს კი ამდენი ხალხი მოგვისია. ეს ხალხი ორ საათამდინ დარჩა ჩვენის სახლის წინ. შაბათს მამასახლისი მივიდა მეფესთან და გამოართვა ერთი წერილი, რომლის ძალითაც, თუ რომელიმე სომეხი მოვიდოდა ჩვენს

ეკკლესიაში, უნდა გადაეხადა 12 თუმანი მეფისათვის; შემდგომ ასეთის კაცისათვის სომხებს ან თვალები უნდა დაეთხარათ, ან წყალში უნდა გადაეგდოთ. რა მიიღო ეს გასაკიცხი წიგნი, მთელ ქალაქში გამოაცხადებინა, როგორც ერთი ბრძანება რამ. ამის გამოცხადების შემდგომ თუ აქაური და თუ უცხო სომხები აღარ მოდიან ჩვენს ეკკლესიასა და სახლში... ახლა უეჭველად საჭიროა, რომ წმიდა კრებამ სპარსეთის მეფისაგან მოგვიპოვოს რახამი (მეფის ნებართვა), თუ უნდა რომ მისიონი დარჩეს ამ ქალაქში. სხვა გავლილის დევნულობის დროსაც მეფე მუდამ გვეუბნებოდა ესრეთ: „მოიპოვეთ ნება სპარსეთის მეფისგან, მერე უყურეთ თუ რას ვიქმ თქვენთვის: ეხლა არაფერის ქმნა შემიძლია, რადგან სომხები მეუბნებიან: რათ გყავსთ აქ ეს ფრანგები, რომლებსაც არა აქვსთ სპარსეთის მეფის ნებართვაო... ცხადია რომ ამ ნაირად მისიონი აქ ბევრ ხანს ვერ გასტანს; ეს უწმინდური სომხები აქედგან გვერეკებიან, აქ ამბობენ, რომ ამ მეფის შემდგომ, სპარსეთის მბრძანებელს აზრად ჰქონია, აქ ნამდვილი სპარსელი მაჰმადიანი გამოგზავნოს მის მაგიერად, რათა ბაგრატიონთ ჩამომავლობა მთლად ამოაგდოს; თუ ასე იქმნა, მაშინ ჩვენ აქ ურახამოდ დადგომა აღარ შეგვეძლება... საქართველოს ამბავი ისევ ეგრეთია, როგორათაც წინად მოგწერე. გიორგი მეფე ისპაჰანს არის და იმედით სცხოვრობს... ტფილისი 20 ივნისსა, 1698 წ. პატრი ამადიო ბრეშელი“. (1).

კიდევ გვაქვს ერთი ამისთანა ვრცელი მოხსენება, რომელშიც აღწერილია სომხების მიერ ატეხილი დევნულობა, ბარძიმის გამოსარჩლება და კათოლიკების დაფარვა. ამ წერილს არც თარიღი აქვს და არც დამწერის ხელით მოწერილი. როგორც სჩანს, ერთ მესამე პირს გამოუკრეფია ტფილისიდგან პატრი სილიბისტრეს წერილებიდგან და პროპაგანდისათვის გადაუცია. ეს წერილი დაწერილი უნდა იყოს ან 1697, ანუ 1691 წელს, როცა სომხებმა დევნულობა გამართეს. რადგან ამას თარიღი არა ჰქონდა, ვერც ჩვენ შევიძელით მისი დროს განსაზღვრა; ამიტომ მოვიყვანთ მას აქ ბოლოში და შევამოკლებთ რამდენათაც კი შეძლება.

„ტფილისის მისიონერი კაპუცინი პატრი სილიბისტრე იწერება ვრცელს მოხსენებას შესახებ ერეტიკოს სომეხთა მიერ ჩადენილის დევნულობისა იმ ქალაქის კათოლიკების წინააღმდეგ. ამბობს, რომ ეს დევნულობა გამოწვეულ იქმნა კათოლიკების გულმხურვალების გამო. რადგან საჯაროდ აღიარებდნენ კათოლიკე სარწმუნოებას. ეგრეთვე სომხებმა ისარგებლეს ბარძიმის იქ არ ყოფნით, რადგან იგი იქაურობას განშორებოდა შიშის გამო ჟამისა, რომელიც ძრიელ მძვინვარებდა; იქ დარჩენილ იყვნენ მარტო მაჰმადიანები. ამიტომ სომხები წინაღდგომო-

დენ კათოლიკებს და თავიანთისვე უფლებით გამოეცათ ბრძანება, რომლითაც უკრძალავდენ კათოლიკებს კაფუცინების ეკკლესიაში წასვლას, თუ ვინმე წავიდოდა, მას ჯარიმად გადახდებოდა თორმეტი თუმანი, რომაული 15 სკუდი, ხოლო ეს წამსვლელი თუ დედაკაცი იქმნებოდა ვირზედ უნდა შეესვათ და ისე ქალაქი უნდა შემოეტარებინათ. ეს რა შეიტყო მთავარმა, მაშინვე გაგზავნა რავდენიმე მოხელე და გამოაცხადებინა ამისი წინააღმდეგი ბრძანება. გარნა ეს ბრძანება შეურაცხებად მიიღეს და მაშინვე წავიდენ, ნახეს მაჰმადიანი ნახჩევნის მთავარი, ვეზირი, ციხის უფროსი და სხვა სამსახურის კაცები; ამ პირებს ჩააგონეს, რომ მისიონერებს ქალაქის უმეტესი ნაწილი გაუფრანგებიათ, მალე ქალაქს ერთიან გააფრანგებენ და კიდევაც სპარსეთის მეფის წინააღმდეგაც ააჯანყებენო, თუ ისინი არ შეაშინეთ და ნაცვალსაც ნაცვლობა არ ჩამოართვით, რადგან ისიც ფრანგების ერთი წინაპართაგანიაო... სომხები გაამაყდენ ამ შეჩვენებულის გამარჯვებით, მასთანვე დაიყოლიეს ერთი სამსახურის კაცი და გაალახვინეს სამი კათოლიკე, რომელთაც სიმმოვნებით მოითმინეს ეს გალახვა, იქამდე, რომ თვითონვე აქეზებდენ მოხელებს კიდევ გვცემეთო და ეუბნებოდენ: სრულებით არაფერია ამასთან შედარებით, რაც ჩვენის სიყვარულისათვის ჩვენმა გიორგიმ იტვირთაო, ჩვენც დავითმენთ ჭეშმარიტების სიყვარულისათვისო. ამ კათოლიკეთა შორის იყო ერთი მეტად პატიოსანი კაცი, რომელსაც ჰყავდა კვალად სამი ძმა კათოლიკე. ეს მივიდა იმ ადგილს, საცა სხვა კათოლიკებს სცემდენ და ეს უთხრა მტარვალებს: „ჩემი ძმა გალახეთ ჭეშმარიტების მიღებისათვის, ესევე ჭეშმარიტება მე უფრო იმაზე წინ მივიღე, მაშ მეც შემბოჭეთ და გამლახეთ, რადგან მეც ვნატრობ ვნებას უფლისჩემისათვისო", ეს თხოვნა განიმეორა და ამიტომ ესეც გალახეს. ხოლო ამან გალახვის შემდგომ ისეთი კარგი სიტყვა უთხრა, რომ ბევრმა მათგანმა შეინანა. ქალაქში რომ არ სცხრებოდა სომხების თავგასულობა, და დევნულობა, დედაკაცები, რომელთაც ერთი წლის წინეთ მიეღოთ კათოლიკობა, იძულებულნი გახდენ სხვაგან უშიშარ ადგილს შეჰფარებოდნენ. ბოლოს უფროსი პატრი წავიდა ნახჩევნის მთავართან და ვეზირთან და უთხრა თავისი აზრი, რომ ისპაჰანს სპარსეთის მეფესთან კაცის გაგზავნას ვაპირობო, რათა მას ვაცნობო ყველა უსამართლობა, რაც ამ ქვეყანაში ხდებაო, ამ კაცის გაგზავნაზე თქვენი თანხმობაც მომეცითო. ეს თანხმობა მისცა, მაგრამ დაავალა კი, თავისი სახელი არ გამოეცხადებინა და ესეც უთხრა, რომ მეც მინდა ამ საქმეს ბოლო მოეღოსო. ხოლო ვეზირს ამ ამბავისა მოერიდა და წავიდა ბარძიმ მთავართან და თან მიუტანა ნახჩევნის მთავრის წიგნიც და აუწყა თავისი აზრი. ბარძიმმა რა მოისმინა ეს ამბავი, იწყინა და ორ გზის მისწერა

ქალაქის მცხოვრებთ და დაემუქრა, თუ არ დასცხრებით, დაგსჯით. ამავე ნაირად ჰყო მდივანბეგის ძმამაც, რომლისა მთელს საქართველოს ეშინის. გარნა ამითი არაფერი იქმნა და არ დასცხრნენ; რადგან სომხების მღვდლებმა ხალხის დიდ ნაწილთან ერთად დაატანეს ძალა და რავდენიმე კათოლიკეს ჩამოართვეს პირობის წერილი, რათა კათოლიკების ეკკლესიაში აღარ ვიაროთ. ამ ხელწერილის მიმცემნი იყვნენ თორმეტნი. ეს ყველა რა შეიტყო დივანბეგის დედამ, მაშინვე წერილით თავისთან დაიბარა უფროსი პატრი. ხოლო ამან ბოდიში მოიხადა და შეუთვალა, ასეთის არეულობის დროს მისიონს თავს ვერ დავანებებო. გარნა შვილმა ოთხგზის მოსწერა უფროსს: მოდი ჩემთან, რადგან მინდა ეგ საქმე დავაბოლოვო ისე, როგორც თქვენ გინდათო. შეგულიანებული პატრი წავიდა მთავართან და შეატყობინა ყველაფერი: მთავარი (ბარძიმი) მაშინვე წამოვიდა ქალაქს, ნახა ნახჩევნის მთავარი და უთხრა: ეს საქმე უნდა დავაბოლოვო ისე, როგორც მე მინდა, თქვენ სრულებით ნუღარ გაერევით ამაშიო. ამანაც უპასუხა, რომ მე არაფერ შუაში ვარ და თვით ამ საქმისაგან ხელს ვიბანო, ამან მაშინვე გასცა ბრძანება და აუკრძალა ყველას, რომ არავის შეეძლოს ვისთვისმე დაეშალა პატრების ეკკლესიაში სიარული, რადგან მინდა კაფუცინების მდგომარეობა შექმნეს ისეთი, როგორიც უწინ იყოვო. გარდა ამისა დააჭერინა სომხის მღვდლები და მათი უფროსი, რომელიც ორგზის გაალახვინა და ეგრეთვე გამოუცხადა, რომ უკან დაებრუნებინათ კათოლიკებისათვის ჩამორთმეული პირობის წერილები, სომხებმა რა ნახეს მისი ესე ფიცხელი და მკაცრი მოპყრობა, შეშინდენ და შეჰპირდენ, ხვალვე მოგართმევთ ამ წერილებსო. იმ დღესვე მიცემა აღარ შეეძლოთ, რადგან წიგნები უკვე ბევრის ხელში იყო გავლილი. მეორე დღეს სხვა მღვდლები მივიდენ ნახჩევნის მთავართან და შესჩივლეს, რომ სარწმუნოების საქმეში ერის კაცები ერევიანო. იმანაც უპასუხა: მაგ საქმისგან ხელი დამიბანია და არც ამას მოგისმენთო. ამ გარემოებაში, ქრისთავის სასიამოვნებლად ერთმა ქართველმა მუშტები შემოჰკრა მღვდლების უფროსს და ბევრი უშვერი სიტყვაც უთხრა; რისგამო ქალაქის მცხოვრებნი მივიდენ ქართველების პატრიარქთან, რომელიც მთავრის ღვიძლი ძმა არის და სთხოვეს მას, რომ კათოლიკების წერილები მათ არ ჩამორთმევოდათ და დაჰპირდენ საჩუქრად ძექინების (ოქროების) მიცემას. იგიც შეჰპირდა. პატრი სილიბისტრემ ყველაფერი წერილით აცნობა ბარძიმ მთავარს. რომელმაც რა შეიტყო ეს, პიტრი დაიმედა, რომ ამ წერილებს გამოურთმევლად არ დავსტოვებ, თვით სიკვდილიც რომ მემიზეზოსო, რადგან დედაჩემს ამისი პირობა მივეციო... რა ნახეს მღვდლებმა რომ, აღარაფერი იმედი იყო, მას ჩააბარეს წერილები. შემდგომ დაუძახა ამათ

და კარგად დაარიგა და ეგრეთვე საჯაროდ გამოაცხადა, რომ იგი კაფუცინების მფარველი იყო; რაისგამო მაშინვე წავიდა და უფროსი პატრი ნახა და უთხრა, მე თქვენს ეკკლესიას ვეკუთვნი, შუა ქალაქში მუდამ მას ხელს ვაუყრის და ისე გაატარებს ხოლმე“... (1).

ზემოდ დასახელებულმა, 1698 წელს მომხდარმა სომეხთა მიერ საშინელმა დევნულობამ დიდი ყურადღება მიიქცია რომისა და ეგრეთვე ევროპისაც. ამიტომ რომმა შესაფერ ღონისძიებას მიმართა, რათა სომხების ესრეთის თავგასულობისათვის ბოლო მოეღო. ამავე დროში, საჭიროების გამო საქართველოდგან რომში გაეგზავნათ პატრი ფილიპე სელანელი, რომელიც რომში თუ წინანდელი და თუ ამ დროს მოხდენილი დევნულობის ამბავი ყველაფერი კარგად შეატყობინა. პაპი იძულებული გახდა სპარსეთის მეფესთან ელჩი გაეგზავნა და წიგნი მიეწერა. იქ გასაგზავნად ამ კაფუცინზე უკეთესი კაცი ვერ ნახა პაპმა; ამისთვის ესევე დანიშნა თავის ელჩად და შაჰს მისწერა წიგნი 26 იანვარს 1699 წ. და სთხოვა, რომ მთელ მის სამეფოში კაფუცინებისა და მისიონისათვის თავისუფლება მიეცა და მფარველობა აღმოეჩინა სომეხთა მიერ დევნულობის წინააღმდეგ. ეს პატრი წავიდა სპარსეთში ამავე წლის 3 თებერვალს და პაპის წერილის გარდა, შაჰთან ეგრეთვე ევროპის მთავრების წერილებიც წაიღო.

ზემოდ ხსენებული დევნულობისას ეს კაფუცინი თავის წერილში ამბობს: „როდესაც მე ამ საქმისათვის რომში ვიყავი, თუ ხსენებული უფროსი პატრისა და თუ სხვა მისიონერების წერილებიც მოვიდა, იუწყებოდენ მკაცრს დევნულობას, რომელიც სქიზმატიკ სომხებს აღეძრათ ორივე მისიონის წინააღმდეგ, საქართველოში ტფილისსა და განჯასა სპარსეთის სამეფოში. ამ დევნულობას იქამდე მიეწია, რომ უნდოდათ თურმე ერთიან გაენადგურებინათ მისიონი. ამ თავიანთ უბოროტეს წადილს კიდევაც შეასრულებდენ, მაღალ ღმერთს სახიერებით და მოწყალებით რომ არ გადმოეხედნა, ქართველებისა და მაჰმადიანების გული საბრალო მისიონერ კაფუცინების შეწევნის სურვილით რომ არ აღეძრა. თუმცა იმ დროს დევნულობა ცოტა დაწყნარდა, მაგრამ სომხები ეცადნენ და დააკეტინეს ჩვენი ტფილისის ეკკლესია. ეხლა კათოლიკეთაგანს არავის შეუძლია იქ შესვლა, რადგან სიკვდილით დასჯიან“. (1).

ამ პატრმა თუ მიტანილი წერილების საშუალებით და თუ ისპაჰანში მყოფის მისიონერების დახმარებით, მალე გამოიტანა ყეინისაგან, რასაც პაპი სთხოვდა. ყოველი მისი სათხოვარი მთავრობამ წერილებით აღუსრულა: ეს წერილი (ეგრედ წოდებული რახამი) მაშინვე გამოუგზავნა ტფილისს, რათა ამით როგორმე შეღავათი მისცემოდა კათოლიკებსა და პატრებს. შაჰი ამ ბრძანებით კაფუცინებს ანიჭებდა ასეთ სი-

მართლეს: მათ შეეძლოთ ახალი ეკკლესიები აეშენებინათ და ძველები შეეკეთებინათ; კაფუცინებს თავისუფლად უნდა ემგზავრათ სპარსეთის მთელ სამეფოში და არავითარი ბაჟი უნდა გამოერთმევოდათ; თუ ვინმე შეეხიზნებოდათ სახლში, არავის შეეძლო მისი იქიდან გამოყვანა; ყველანი პატივისცემით უნდა მოპყრობოდენ კაფუცინებს, ვითარცა მთავრობის სტუმრებს; მით ეკკლესიებში მისვლა ქრისტიანებისათვის არავის უნდა დაეშალა და არც რამ ვნება უნდა მიეცა ვისმე გაკათოლიკებისათვის; ის სომხის მღვდლები, ვინც კათოლიკებს როგორმე დააშინებდენ, ფიცხელად უნდა დასჯილიყვნენ; კაფუცინებს სრული თავისუფლება ქძლეოდათ ყველა ნაირი საეკკლესიო სამსახურის აღსრულებისათვის; რაიმე შეურაცხყოფა არავის უნდა მიეყენებინა მათი საქმელის გამო; ადგილობრივ მთავრობას მათთვის მფარველობა უნდა აღმოეჩინა ყოველთვის და დაესაჯა ვინც ამ ბრძანების წინააღმდეგ მოიქცეოდა. შაჰმა ერთი სიტყვით მიანიჭა რაც სთხოვეს. ამაზედ მეტიც აღარ მოეთხოვებოდა სხვა სარწმუნოების მთავრობას. მთავრობის მიერ ამ უზომო მფარველობის აღმოჩენამ მაინც დიდად არაფრად იმოქმედა სომხებზე. ამათ თავიანთი ბოროტების იარაღი ხელიდან არ გააგდეს; როდესაც და სადაც გაუვიდოდათ, უწყალოდ სდევნიდენ კათოლიკობას, როგორც ამას შემდეგ თავშიაც ვნახავთ.

აქ ვაბოლოვებთ XVII საუკუნის განხილვას. ჩვენის აზრით ეს საუკუნე უნდა შეირაცხოს კათოლიკობისათვის ერთ საუკეთესო ხანად, რადგან, როგორც ვნახეთ, პაპის ყურადღების მიქცევა და მისიონერების შრომა უნაყოფოდ არ დარჩა. საქართველოს ყველა კუთხეში კათოლიკობას ქართველებმა მტრობა კი არ დაუწყეს აღმოსავლეთის სხვა ერთა მსგავსად, არამედ დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინეს. თუ საქართველო ერთიანად ვერ შეუერთდა რომის ეკკლესიას, რაზედაც ერთ ორ გზის მოიწადინა, არ აუკრძალავს მაინც, რომ ქართველებს, ვისაც კი უნდოდა, მიელო მისი სარწმუნოება. ამიტომ ამ გაკათოლიკებულ ქართველების რიცხვში არა მარტო მდაბიო ერის კაცი, არამედ საქართველოს თვით უწარჩინებულესნი პირნიც იყვნენ, როგორც, მაგალითად, ბარძიმ ერისთავი, გიორგი მეფე, ლევან დადიანი, ექვთიმე მთავარ-ეპისკოპოსი, დიდათ განათლებული ალავერდელი და სხვაც ბევრი მათი მსგავსი.

ეს საუკუნე არა მარტო კათოლიკობისათვის იყო შესანიშნავი და საუკეთესო, არამედ, ამა თუ იმ მხრივ, თვით მთელ საქართველოსათვისაც. ამ საუკუნის აღწერა შეადგენს ერთ ვრცელს და ძვირფასს ნაწილს ჩვენის მატიანისას. ჩვენ ამის დაწვრილებით აღწერას არ გამო-

ვუდგებით, რადგან ამ წერილის საგანს არ შეეხება. მხოლოდ აქ მოვიხსენიებთ რავდენიმე სიტყვით.

ეს საუკუნე ჯერ იმითია ყურადსაღები საქართველოსთვის, რომ მისიონერებმა დაახლოვებით და ზედ მიწევნით გააცნეს ევროპას ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ერი; აუწერეს ყოველი ჩვენი ავ-კარგი; გააცნეს, თუ რა უსაზღვრო ენერგიით იცავდენ ქართველები თავიანთს მიწა-წყალს; გამოაქვეყნეს ოსმალების და სპარსელების აღურიცხველი ულმრთოება, რომელსაც აყენებდენ ქართველ ერსა სარწმუნოებისა და თავისუფლების მოსასპობლად. მათმა სხვა და სხვა აღწერილობამ მთელი ევროპა განაკვირვა და ქართველ ერისადმი სიმპატია დაუბადა; მანვე ყოველ შეგნებულს ადამიანს ცხადათ უჩვენა ქართველი ერის დიდი ღირსება; რაისგამო ევროპის მთავრები არ თაკილობდენ ჩვენ მეფეებთან დაახლოვებას და მათ დამეგობრებას. რაც ამ საუკუნეში დაწერეს ევროპელებმა საქართველოს შესახებ, ვგონებთ, ეგოდენი არც ერთ საუკუნეში დაეწეროსთ. ამას მოწმობენ ვრცლად აღწერილნი ისტორიანი, სხვათა შორის, პეტრე დელავალესი, პეტრე ავიტაბლესი, სილოსი, არქანჯელო ლამბერტისა, კლემენტე გალანოსი, ვერიჩელისა და ბევრიც სხვათა.

საქართველოსთვის ეს საუკუნე კიდევ იმითი არის დიდათ შესანიშნავი, რომ სწორედ მის პირველ წლებში, ესე იგი 1629 წ., როდესაც საქართველოს ჯერ სიზმრადაც არ ექნებოთა ნახული სტამბა, რომში პატრებმა დაარსეს პირველად ქართული საბეჭდავი, გამოსცეს წიგნები და მით ევროპას ჩვენს ერთან ერთად გააცნეს ეგრეთვე ჩვენი ენა და ლიტერატურაც; გამოსცეს სხვა და სხვა წიგნები, როგორც ლექსიკონი, გრამატიკა, კატეხიზმო და სხვა. ეს არ იკმარეს. იქვე დაარსეს ქართულის ენის შესასწავლად კათედრაც: პროპაგანდის კოლეგიაში სხვა ტომთა ენებთან ერთად ჩვენს ენასაც საპატიო ადგილი დაუთმეს. მასთან ბევრ ქართველის შვილებს გზა გაუხსნეს ევროპაში, მათ ლალ სასწავლოში სწავლა მიაღებინეს, რათა ესეთი განათლებულნი ქართველნი პატრებს მხარში ამოსდგომოდენ და ელვაწნათ გასანათლებლად ქართველთა ერისა, რომლის ნიჭიერება ევროპამ კარგად სცნო და დააფასა.

ყოველივე ესე წვრილმანია შედარებით იმ მრავალ გვარ და აღურიცხველ სიკეთესთან, რომელიც ლათინის მოძღვრებამ მიაგეს ქართველ ერს თვით საქართველოში და მის გარეშე. ამ საუკუნეში საქართველომ რაოდენი უბედურება და წამება არ გამოიარა! ამ უბედურების მიზეზნი იყვნენ: ერთის მხრით მისნი დაუძინებელნი და ძლიერნი გარეშე მტერნი, მეორეს მხრით შინაური უთანხმოება, ყოველსავე ამას ზედ დაურთეთ სხვა და სხვა, ბუნებისგან მოვლენილი, უბედურება. ესრეთ ბევრნაირად

დაწყლულებულ საქართველოს შემოესწრნენ გულმოწყალე პატრები და როგორც ლმობიერათა დედათ, ყოველ ნაირი გულშემატკივრობა და შემწეობა აღმოუჩინეს: ქრისტიანებრივის სიყვარულით გამსჭვალულთ, მაღალის ზნით და გონებით შემკულთ და მოყვასის სიყვარულით გატაცებულთ, რა ნახეს ერთი მშვენიერი ქართველი ერი ეგოდენ მრავალნაირი უბედურებით შეჭირვებული, მწუხარესთან შესწუხდენ, მტირალთან ცრემლი ღვარეს, ყველას თავს შემოევლნენ და რაოდნადაც კაცობრივი ძალა შესწევდათ, ყველას ნუგეში ჰსცეს და ცრემლი მოსწმინდეს, ვინ ჩამოსთვლის მათ აუარებელს ამაგს ჩვენის ქვეყნისთვის! რაოდენი ტყვე დაიხსნეს, თუ გაყიდულნი და თუ გასაყიდნი: რაოდენი ქართველი სიკვდილს გადაარჩინეს, რაოდენი სისხლის ღვრა შეაჩერეს, რაოდენი მგელი კრავად აქციეს, რაოდენი შური, მტრობა და ძმისმკვლელობა მოსპეს და აღმოფხვრეს, რაოდენნი სნეულნი გაჰკურნეს, რაოდენ გაჭირვებულს უშველეს და ცრემლი მოსწმინდეს? ვინ განსაზღვრავს მათ მიერ რჩევას, სწავლასა და დარიგებას, რომელსაც აძლევდენ ყველას, მეფითა და ეპისკოპოსებით დაწყებული, ვიდრე უკანასკნელ მონაგლეხამდე? ვინ გაითვალისწინებს, თუ რა ყოვლადის უანგარობით სცდილობდენ ქართველის გულში ჩაენერგათ გრძნობა მამულის სიყვარულისა, მისის ერთგულებისა, ესწავლებინათ, რომ მისი წმიდა მოვალეობაიყო შეერთებულის ძალით მტრისაგან დაეფარა ქრისტიანე სამეფო! მათის ამაგის სათითაოდ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ხოლო საკმაოა ვსთქვათ, რომ ლათინის მოძღვრები იყვნენ საქართველოში, როგორც მისნი ერთგული ნამდვილნი შვილნი და ეპყრობოდენ ქართველ ერს, როგორც დიდად გულ დამწვარი მამა და ძმა: ცდილობდენ მისთვის აეცილებინათ ყველა ნაირი უბედურება და მოეპოვებინათ მისთვის ყველა გვარი სიკეთე თუ ნივთიერი და თუ გონებრივი, თუ საწუთრო და თუ სამარადისო: ამ თავიანთი სურვილის განსახორციელებლად იგინი არ ერიდებოდენ არავითარ შეწუხებას, ყველაფერს თავზე ღებულობდენ და ბევრ გზისაც თავიანთ სიცოცხლესაც მსხვერპლად სწირავდენ.

პატრების ეს მრავალგვარი სიკეთე და თავის განწირულება ჩვენთა წინაპართა საკმაოდ ჰსცნეს და ჯეროვნადაც დააფასეს: კიდეც იმიტომ გაიხადეს ისინი თავიანთ ერთგულ მეგობრებად და მამებად; გულმოდგინებით უსმენდენ მათ რჩევას, ხშირად მათ სარწმუნოებასაც ღებულობდენ; მათ უწოდდენ ღვთის კაცებს და უსაზღვროდ ენდობოდენ.

ამისა და თუ სხვა მიზეზების გამო ეს საუკუნე პატრების წყალობით, დიდად ყურადსაღები შექმნა საქართველოსთვის.

თავი VIII.

ქართველი კათოლიკენი XVIII საუკუნეში.

ეს საუკუნე საზოგადოდ დიდად განსხვავდება გავლილის საუკუნისაგან, როგორც პოლიტიკურის ისე სარწმუნოებრივის მხრით, ესრეთივე დიდი განსხვავება ეტყობა ამ ორ საუკუნეს საქართველოში კათოლიკობის გავრცელების საქმესაც. ამ დროს აქ აღარ ვხედავთ ისეთსავე წარმატებას, როგორიც წინეთ იყო, ვერც იმ მომზადებას ვხედავთ ქართველის ერისას და მის მიდრეკილებას რომის ეკკლესიისადმი, როგორიც აქამდე ვნახეთ. ამ საუკუნეში აღარ გვე'მის ხმა მისიონერებისა, რომლებიც წინა საუკუნეებში ხშირად სწერდენ ევროპაში, რომ საქართველოს მისიონი ერთი საუკეთესო მისიონიაო, ქართველნი მეტად მიდრეკილნი არიან რომის ეკკლესიისადმიო და იმედი გვაქვს მალე მთელი საქართველო შეუერთდეს რომსაო. პირიქით ჩვენ ეხლა ვხედავთ ამავე ქართველების გულგრილობას და პატრებისადმი არ ყურადღებას. ნაცვლად მათის დაფარვის და შეწევნისა, როგორც აქამდე იქცეოდენ, ეხლა ზოგჯერ უერთდებიან მათ მტრებს და მხარს უჭერენ მათ წინააღმდეგ გამართულს დევნულებაში. ამ მხრივ ქართველების ესეთი გამოცვლა პირდაპირი შედეგია იმ მდგომარეობისა, რომელშიც იყო მთელი საქართველო. ამ ცვლილების უმთავრეს მიზეზებად სამი მიზეზი მიგვაჩნია: პირველია ის უბედური პოლიტიკური მდგომარეობა, რომელშიაც ძალაუნებურად ჩავარდა საქართველო. ძრიელ სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს საქართველოს ამ დროის ისტორია, არც ერთს საუკუნეში არა ყოფილა საქართველოს მდგომარეობა ეგრეთ აწეწილი, გაჭირვებული და არეულ-დარეული, როგორც XVIII საუკუნის პირველ ხანებში იყო. ვინ ჩამოსთვლის იგოდენ აღურაცხველ ომს, რომელიც გაუმართეს თუ სპარსეთის უღმრთო და მეტად გალაღებულმა ყეინებმა, თუ ოსმალეთის განძვინებულმა ფაშებმა და თუ საქართველოს ათასნაირ თავგასულმა მტრებმა! ვინ წარმოიდგენს ეგოდენ შუღლს, მტრობას, ორგულობას, ძმის სისხლის ღვრას, რომლის ასპარეზად გახადეს მრავალგზის ეს ქვეყანა ზოგიერთმა მისმა ულირსმა შვილებმა? ასეთმა სამწუხარო მოვლენამ საშინლად დასცა საქართველო და მოუსპო ღონე თავის შვე-

ლისა და პატრონობისა. ასეთი დაცემის დაღი ბევრნაირად და დიდხანს
დააჩნდა საქართველოს. ამ სამწუხარო მდგომარეობამ, რასაკვირველია,
დიდათ დააბრკოლა პატრების მეცადინეობა კათოლიკე სარწმუნოების
წარსამატებლად.

მეორე მიზეზად ვსახავთ, რომ სპარსელების გაბატონებამ საქართვე-
ლოში მეტად სამწუხარო კვალი დააჩნია ქართველთა ერსა უფრო ერ-
თად სარწმუნოების და ქრისტიანებრივის ზნეობის მხრით. თავიანთის
გახრწნილებით და ურწმუნოებით ქართველს შეურყიეს ძველი დროიდ-
გან გულში ღრმად ჩანერგილი ქრისტეს სარწმუნობა. საქმე იმ ზომამდე
მივიდა, კაცს რომ ქართველისათვის სარწმუნოება დაეტოვებინებინა, სა-
ჭირო აღარ იყო არც მისი დატყვევება, არც მისი ოჯახის აკლება და
არც სიკვდილის დამუქრება. პირიქით ბევრი ქართველი თავის თავად
ჰსტოვებდა ქრისტიანობას და გადადიოდა მაჰმადიანობაზე. ამას ჰყოფ-
დენ არც ფარულად და არც სპარსეთში, არამედ ცხადათ აქვე ტფილის-
ში, ყველას წინაშე. ამ სამწუხარო მოვლენის ერთი მაგალითი, რო-
მელსაც გვიჩვენებს ჩვენი ისტორია: „ხოლო ლევან მიუხვნა ამილახო-
რობა ავთანდილს და მისცა ანდუყაფარს ძესა გივისასა. ამან არ ინება
უმაჰმადიანოდ. მოიყვანა მოლა, იქმნა მაჰმადიან' და წინადაიცვეთა
ტფილისს, რომელი არაოდეს ქმნილ იყო აქ თვინიერ სპარსეთისა“. (1).
სარწმუნოებისგან ესეთ განდგომილებას თავისთავად მოჰყვა ზნეობის გან-
ხრწნაც, რაც მეტად მავნებელი შეიქმნა ჩვენი ერისათვის. ამ სამწუხა-
რო სურათსაც ესე აღგვიწერს ჩვენი მატიანე: „ამავ ჟამთა იპარვიდიან
სილაღითა მცველნი ციხის თათარნი ტფილისისა, გორისა და სურამისა
ტყვეთა და ჰყიდიან და შეერიათ ქართველთაცა ყრდვა ტყვეთა და იცვა-
ლებოდაცა ქცევა-ზნენი ქართველთანი და იქცეოდენ უმეტეს ყიზილ-
ბაშთა ზნე-წესითა და ყოვლითა უწესობითა ქრისტიანულისათა ცოდვი-
თურთ“. (2). რა საკვირველია, ასეთ გარემოებაში მყოფნი, ნაცვლად
მიახლოებისა, უფრო განუდგებოდენ მისიონერებს, რომლებიც დაუცხრო-
მელად აყვედრიდენ მათ ასეთ შეუსაბამო მოქცევას და ამის წინააღმდეგ
უქადაგებდენ მუდამ.

მესამე მიზეზი, რომელმაც უფრო მეტი ზეგავლენა იქონია ქართ-
ველებზე და ლათინებს ჩამოაცალა, არის სომეხთა მიერ შეუწყვეტელი
უმოწყალო დევნულება. მაგალითს, როგორც ავს, ისე კარგს, რომ დიდი
გავლენა აქვს კაცზე, ყველასათვის ცხადია. ამნაირის მოქცევით, მეტად-
რე ათასნაირის ცილის წამებით, სომხებმა ცოტად, თუ ბევრად შეურ-
ყიეს გული ქართველებსაც, ნელ-ნელა დააშორეს პატრებს და თავიან-
თის მანქანებით, ზოგჯერ ისინიც მოიმხრეს, რათა უფრო სასტიკად
ედევნათ მისიონერები. ამას ცხადად გვიმტკიცებს თუ ზემოდ მოყვანი-

ლი და თუ ამ თავში მოსაყვანი ზევრნაირი საბუთები ახი ასეთი მიზეზების გამო კათოლიკე სარწმუნოებამ ვერ იქონია უწინდელივით ძალა და გავლენა და ვერ მოახერხა მთელი საქართველო რომისათვის შეერთებინა. ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ შეერთებისათვის მოწადინებულნი არა მარტო ლათინის მოძღვრები იყვნენ, არამედ საქართველოს თვით უწარჩინებულესნი პირნიც. გარნა, ამასთან ესეც უნდა აღვიაროთ, რომ ეგოდენ სხვა და სხვა ზედ-გავლენამ ერთიან ვერ აღმოფხვრა ქართველების გულიდან ის უსაზღვრო პატივი და მიდრეკილება, რომელიც ჰქონდათ პატრებისა და რომის ეკკლესიისადმი. ამიტომ თვით ასეთ სამწუხარო მდგომარეობაშიაც კი ბევრ თანაგრძნობას უჩვენებდნენ და უერთდებოდენ ლათინის ეკკლესიას. ამას ნათლად დაგვანახვებს აქ მოსაყვანი საბუთები.

თუმცა ამ საუკუნის საბუთები ყველა ვერ ვპოვეთ,—კიდევ ბევრი გვაკლია—გარნა რაც კი შევკრიფეთ, საკმაოდ ბლომად არის. ყველას აქ ვერ მოვიყვანთ, რადგან მეტად შორს წაგვიყვანს. ამიტომ ამ თავშიც გამოვსტოვებთ, რაც უმთავრესის მნიშვნელობისა არ იქმნება.

როგორათაც წინა თავი სომეხთა მიერ დევნულების აღწერით დავასრულეთ, ისე ეხლაც იძულებული ვართ, ეს თავიც მათისავე მდევნელობის ამბით დავიწყოთ. ჩვენთვის უფრო სასიამოვნო იქმნებოდა, ასეთ სამწუხარო კითხვას სრულებით არ შევხებოდით, მაგრამ, რა ვქნათ, უტყუარი ამბები და ისტორიული მოვალეობა ძალას გვატანს, ასეთ გასაკიცხ სურათებსაც გვერდი არ ავუხვიოთ.

წინა თავის დასასრულ ვნახეთ, თუ რა ძვირფასი თავისუფლება მიანიჭა სპარსეთის მეფემ კაფუცინებსა და კათოლიკებს, მაგრამ ასეთმა მისმა ბრძანებამ საჭირო ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგან სომხებმა კიდევ იპოვეს სხვა საშუალება, რომლითაც მოსვენებას არ აძლევდნენ მისიონერებს. ამის შესახებ აქ მოვიყვანთ მისიონერების ორ წერილს, რომლებიც რომს გაგზავნეს 1700 წ. პირველი არის ტფილისის უფროსი პატრისა:

„...აწ ამის მომტანმა რა დააპირა მანდ წამოსვლა და წმიდა ადგილების ნახვა, მეც საჭიროდ ვრაცხ, ყველაფერი გაცნობოთ. ეს ფიცხელი დევნულება, რომელმაც წელიწადი და რავდენიმე თვე გასტანა, ანჩირის ეპისკოპოსის შემწეობით, უკვე დასცხრა. ამ ეპისკოპოსმა მეტად კარგი რახამი (შაჰის ბრძანება) გამოგვიტანა, ეს რახამი ბევრს რასმე შეეხება. გვეგონა, რომ ამის შემდეგ მშვიდობით ვიქმნებოდით, მაგრამ ახლა უფრო შეწუხებაში ვართ, არა პირადად და არც ეკკლესიის გამო, რადგან თავისუფლება არის; ხოლო ეშმაკმა სხვა საშუალება ჰპოვა ჩვენს შესაწუხებლად... მთელს ამ დიდ მარხვაში აქ იყო ის ვართაპეტი, რო-

შელმაც წინეთ საშინლად გვდევნა, მთელი ქალაქი გადაიბირა და ჩვენს წინაღმდეგ ააღელვა, რადგან ყოველ კვირა სხვა და სხვა ეკკლესიაში ჰქადაგებდა; მისი ქადაგება სულ ჩემ და პაპის წინააღმდეგ არის, ორსავეს გვწყევლის და გვაჩვენებს. ამით ეგოდნათ წააქეზა ქალაქი ჩვენ და კათოლიკების გასაუპატიურებლად, რომ უარესის თქმა აღარ შეიძლება. თავის დღეში არ ყოფილან პატრები ამ ქალაქში ეგრედ შეურაცხყოფილნი, როგორც ეხლა არიან... ამის დაწვრილებით აღწერას აღარ გამოვუდგები, მივანდობ ამ წიგნის მომტანს, რომ ყველაფერი მოგახსენოსთ, ვინაიდგან იტალიანური ენა იცის. ეგოდენი არეულობის გამო ჩვენს ეკკლესიაში ცოტა კათოლიკენი მოდიან. ბევრის კეთილის ქმნის იმედი მქონდა ამ დიდ მარხვაში, რომელსაც მწვალებლები ბოროტად ატარებენ. ამ ვართაპეტმა ბავშვებსაც კი დაავალა, ქუჩა-ქუჩა იარეთ და პაპი და პატრები სწყევლეთო. თუ ღმერთი თავის მადლით არ შეგვეწია და არ მოავლინა ერთი სხვა ულჩი პაპისა და იმპერატორის მკაცრი წერილებით, არ ვიცი, ეს საბრალო კათოლიკები რა დღეში ჩავარდებიან, რადგან აქაურ მთავრებს ფული ენატრებათ და ფული კი აქ არ იშოვება, საჭიროდ დავინახე ეს ყველაფერი შეცნობებინა. უკეთესად ამ წიგნის მომტანისგან გაიგებთ, რათა ყველა აუწყოთ პაპსა, რაიმე მკაცრ ღონისძიებას მიმართოს. ამ წერილის მომტანი ახალგაზდა ძრიელ გამოადგა აქაურს მისიონს, ვინაიდგან ჩვენს სახლშია აღზრდილი; თავის კარგ ყოფაქცევით და კეთილის მაგალითით ეს ახალგაზდა კარგად პატივცემულია ქალაქში. ამისი მანდ წამოსვლა ჩვენთვის დასაკლისია, რადგან არ ვიცით რა მოხდება აქ. გარნა თავის გულმხურვალების დასაკმაყოფილებლად მეც ნება დავრთე წამოსულიყო... ტფილისი 20 მარტს, 1700 წ. პატრი სილიბისტრე პანიქალელი“. (1). ამ წიგნის წამღების ტფილელის სახელი ვერ შევიტყეთ.

მეორე ამის მსგავსი წერილი არის გაგზავნილი განჯიდგან ისპაჰანს სპიგა ეპისკოპოსისადმი, რომელსაც თავისი მხრით გაუგზავნია რომს. მოვიყვანთ ამის უმთავრეს ნაწილსაც.

„...თუმცა პატივცემულმა ანჩირის ეპისკოპოსმა გამოგვიტანა ჩვენდა სასარგებლოდ მეტად კარგი ფირმანი (შაჰის ბრძანება), რომლითაც საგანგებოთ ყველას ებრძანება, ფრანგები არ შეაწუხონ, გარნა ტფილელი მწვალებელი სომხები ამ ფირმანითაც არ ცხრებიან, არამედ ახალ-ახალ რამეს იგონებენ ჩვენისა და კათოლიკების შესაწუხებლად. ტფილისში მცხოვრები ერთი ვართაპეტი, სახელად მესროფ, დღე ყოველ სხვა არაფერს შვრება, თუ არ მას, რომ სწყევლის პაპს, ყველა მეფეებს და რომის კათოლიკებს; ეგრეთვე ერსაც ურჩევს ასე ჰქმნას; მასთანვე ჩვენის დიდ შეურაცხყოფისთვის, შეადგინა ერთი ეშმაკებრივი

ლოცვა, რომელსაც ტფილისის ყველა ეკკლესიებში დილა-სადამოს ლოცვის დროს ათქმევინებს; ამ უწმიდურის ლოცვის დასრულებაზე ერსაც პასუხად ათქმევინებს „ამენ, ამენ“. რათა თქვენი უმაღლესობა კარგად სცნობდეს ამ ეშმაკებრივის ლოცვის შინაარსს, გიგზავნი მის ერთს პირს; წააკითხეთ ერთს თქვენს რომელსამე მეგობარს და სცნობთ, თუ რა სისაძაგლეა და როგორ შხამს ანთხევს ეს ჯოჯოხეთის სული, ეს უბოროტესი ვართაპეტი. აქედგან შეგიძლიათ სცნოთ ისიც, თუ ეს უბოროტესი მწვალებლები როგორ მშვიდობიანად უნდა სცხოვრობდენ ჩვენთან... აწ ნახოს თქვენმა უსამღვდელოესობამ, ნუ თუ ასეთი რამე ითქმის საქვეყნოდ ეკკლესიაში ეგოდენ გულუბრყვილო ხალხის წინაშე? ხედავთ ეს უბოროტესი ვართაპეტი რას ასწავლის! ყველას აგონებს, რომ სწყევლონ ამ ქვეყანაზე ღვთის მონაცვლე პაპსა და ყოველ მის მიმდევარსა. მტკიცედ მოგახსენებ, რომ შემეძლოს, ამ მწვალებელს სომხებს არც ერთს იტალიაში დავადგმევინებ ფეხსა, რადგან ამათგანი ვინც კი იტალიაში რჩება, სრულებით არ ხედავს ეგოდენ დიდ კეთილს და სულიერს მოქმედებას რაიც იქაურ ეკკლესიებში სრულდება, არამედ უწმინდურებთან მიდიან და ხედავენ მარტო იქაურ ბოროტ ჩვეულებას: როდესაც აქ ბრუნდებიან წყევლის მეტს არაფერს ამბობენ, რათა ჩვენ დიდათ შეგვარცხვინონ. გარდა ამისა, იტალიაში დიდ მკრეხელობის ცოდვასაც ჩადიან, ვინაიდგან იქ თავს აჩვენებენ კათოლიკედ, ღვთისა და თავიანთ თავის მოსატყუილებლად აღსარებას ამბობენ და ზიარებას ღებულობენ, ხოლო როდესაც აქ ბრუნდებიან წინანდელზედ უფრო უბოროტესი მწვალებლები ხდებიან; გამოცდილებამ გვიჩვენა... ესევე მწვალებლები ამბობენ, რომ ფრანგები თათრებზე უბოროტესნი არიან, უმჯობესია კაცი თათარი გახდეს, ვიდრე ფრანგიო... სპარსეთში განჯიდან, 20 სექტემბერს, 1700 წ., პატრი რეჯინალდო ლენთინელი“. (1).

აქ დასახელებული სომხურად ლოცვის წერილი კათოლიკების წინააღმდეგ ვნახეთ და ამავე წერილის დედანთან ინახება, მაგრამ მისი გადმოწერა ვერ შევიძელით.

აღარაფერს ვიტყვით ასეთი წერილისას, რადგან მთელი მისი ღირსება განუმარტებლადაც ცხადად და გარკვევით არის წარმოდგენილი.

არ ვიცით თუ რა შედეგი მოჰყვა სომხების ამნაირ საქციელს, რადგან საჭირო საბუთები არა გვაქვს ხელში, ხოლო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საქმისათვის სხვა წერილებიც უნდა ყოფილიყვნენ გაგზავნილი რომსა, რაის გამო პაპს საქართველოს მეფისათვის წიგნი მოუწერია. არც ის წიგნი გვაქვს ხელში. მხოლოდ ვიცით პროპაგანდის ერთი წერილიდან, რომელიც პაპის სეკრეტარს სწერს 18 თებერვალს 1701, რათა პაპმა მისწეროს საქართველოს მთავარს ერთი ეგრეთი წიგნი, როგო-

რიც 7 თებერვალს 1692 წ. მისწერა და დაევედროს იქ მყოფი კათოლიკები და პატრები, რომ შეირჩინონ ის თავისუფლება და პრივილეგია, რომელიც წინაპრების დროს ჰქონდათ. (1)

1702 წ. ტფილისიდან გაგზავნეს ერთი ახალგაზდა ქართველი იოსებ აბელალომანი რომს სასწავლებლად. ამის შესახებ პროპაგანდის შემდეგი წერილი გვაქვს:

„ბატონ კარდინალს საკრიპანტეს, 9 მაისისა, 1702 წ.

„ეპისკოპოსი სეკრეტარი მდაბლად მიესალმება თქვენს უმაღლესობას და სთხოვს, რომ კეთილ ინებოს, პროპაგანდის თანახმად, გაუწიოს პაპის წინაშე სამსახური ერთი ახალგაზდა ტფილელის ქართველისათვის, საჭირო სახარჯოს გამოსართმევად, ვინაიდგან ამ ურბანოს კოლეგიაში უადგილობის გამო მისი მიღება ეხლა არ იქმნება. რათა ამ ახალგაზდა კაცის გარემოება და მის მამისაგან მიგებული სამსახურის ამბავი კარგად შეიტყოს თქვენმა უმაღლესობამ, სიმდაბლით ვუგზავნი იმ მოხსენებას, რომელიც წმიდა კრებას წარუდგინა მისმა რომს მომყვანმა კაფუცინმა, პატრი ამადიო ბრეშელმა; ვგზავნი ეგრეთვე საქართველოს მისიონის უფროსის წერილსა და ელია ისპაჰანის ეპისკოპოსის მოწმობასა. გთხოვთ, ეს წერილები ისევ უკან დაუბრუნოთ სეკრეტარიატს და მასთანვე აუწყოთ, რას გარდასწყვეტს პაპი ამ ყმაწვილი კაცისთვის“. (2). აქ დასახელებული წერილები ვერ ვიპოვეთ. ამ ახალგაზდა კაცის მამა ყოფილა გასპარა და დედა ანნა ტფილელი კათოლიკები. პროპაგანდის კოლეგიაში უადგილობის გამო, გაუგზავნიათ მონთეფიასკონის სემინარიაში სასწავლებლად, ვიდრე ადგილი აღმოჩნდებოდა პროპაგანდაში. იქ მიუღიათ 11 ოქტომბერს 1703 წ. ამ დროს 16 წლისა ყოფილა. ფილოსოფიის შესწავლის შემდგომ, ერთი წელიწადიც სღვთის-მეტყველო საგნის შესწავლისათვის მოუნდომებია. მაგრამ სწავლა ვეღარ დაუსრულებია და შინაურის გარემოებისა გამო რომიდან საქართველოს დაბრუნებულა 1709 წ.

ამ დროიდან ვიდრე 1708 წლამდე აღარაფერი ვიცით, საბუთები გვაკლია. ხოლო 1706 წ. პროპაგანდის ერთი წერილიდან სჩანს, რომ კაფუცინს პატრი ლავრენტი მილანელს, საქართველოში წამოსვლის დროს, პროპაგანდისათვის უთხოვნია ოთხი ქართული ლექსიკონი და ოთხი ქართული კათეხიზმო. დასახელებული ქართული ლექსიკონი ის არის, რომელიც დაიბეჭდა 1620 წ. იტალიანურიანად, თუ სხვა, არ ვუწყით.

პროპაგანდას ერთი შენიშვნიდან სჩანს, რომ გიორგი მეფის ძმას ლევანს, ერანის მსაჯულთ-უხუცესს, რომს მიუწერია: მსურს კათოლიკობას შევუერთდეო. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი წერილი დაკარგულია.

ამიტომ მისი მეტი არაფერი ვიცით. ვფიქრობთ, რომ ეს წერილი უნდა იყოს გაგზავნილი რომს 1707 წ., იმავე დროს, როდესაც მისმა შვილებმა დომენტი კათალიკოსმა და ქაიხოსრომ მისწერეს პაპს თავიანთი შეერთების სურვილი. არც ამათი წერილები გვაქვს. ხოლო ამათი ცოტა რამ ვიცით პროპაგანდის წერილებიდან. ვინაიდგან ამათ გარემოებების შესატყობლად პროპაგანდა სწერს ესრედ ისპაჰანს:

„პატრი მარია იოსებს იესოჲსი, ფეხშიშველ კარმელიტანს, პროვინციის ვიკარს, ისპაჰანს, 13 აგვისტოს 1708.

„აქ პაპისათვის მოიტანეს ორი წიგნი ერთი საქართველოს პატრიარქისა და მეორე მისი ძმა ხოსრო მირზასი, რომელიც არის ისპაჰანის მსაჯული და სპარსეთის მეფისგან დიდად მიღებული პირი. ხოლო ეს ორივე წიგნი დაუწერია ფეხშიშველ კარმელიტანს პატრი ბასილს, მაგ ქალაქშივე მყოფს მისიონერს. პატრიარქი იწერება, რომ მზად არის იგი დაემორჩილოს პაპს, რომელსაც სცნობს ეკლესიის თავად და იესო ქრისტეს მონაცვლედ. ამიტომ სპარსეთის მეფეს ძალა-დაუტანებია სარწმუნოების უარის საყოფელად, მაგრამ სრულებით არ დათანხმებია. არამედ ცდილობს გამოიპაროს იქიდგან და მოვიდეს აქ, რათა პაპის წინაშე აღიაროს კათოლიკე სარწმუნოება.

„ხოლო მისი ძმა იწერება, რომ მას წინეთ დაეტოვებინა ქრისტიანობა, გარნა ამ ხსენებულის პატრი ბასილის შემწეობით საიდუმლოდ მაჰმადიანობა უარუყვია, ეგრეთვე საქართველოს ეკლესიის შეცთომილება და მიუღია კათოლიკე სარწმუნოება და ხელიც მოუწერია რომისგან აღმოსავლეთელებისათვის გაგზავნილს სარწმუნოების სიმბოლოზედ. რადგან საყოველთაო მსაჯულია და გარეგნად თათარი, ამისთვის ჰგონია, რომ ვალდებული არ იყოს ქრისტიანობა საჯაროდ აღიაროს და შეუძლია ფარულად საიდუმლოების მიღება და გულით ქრისტიანედ ყოფნა.

„როდესაც საქართველოში დასახლებულა, ერთი თავადის ქალი შეურთავს, მაგრამ მასთან ცოლქმრული კავშირი არა ჰქონია, ხოლო გათათრების შემდგომ მრავალი ცოლი მოუყვანია. გარნა ახლა რა ისევ მიუღია წმიდა სარწმუნოება, ამ ქალთაგანი აურჩევია ერთი, რომლისაგანაც შესძენია შვილები. ახლა ევედრება პაპს, რომ ნება მისცეს გარეგნად დაფაროს თავისი ქრისტიანობა, მიანიჭოს ახსნა წინედ ქრისტიანობის უარყოფისათვის და შენდობიანი ჯვარი უბოძოს, ეგრეთვე აუწყოს რომს რომ მოვიდე, პაპთან თავის შესაფერებელ ადგილს ვიშოვნი თუ არაო? ესე ყველა რა მოისმინა პაპმა, მოანდო ამ წმიდა კრებას, რომ, სანამ ამისთვის რასმე გადასწყვეტენ, ამისი გვაცნობოთ ყველაფერი უფრო გარკვევით და დაწვრილებით, მაგრამ დიდის ზედ-

მიწევნით და საიდუმლოდ: თუ რა პირნი არიან მომწერნი და თუ რაოდნათ სარწმუნოა მათი წერილები და ეგრეთვე ამ წიგნების დამწერის მონაზონისაცაო; ამისათვის იმდონი ვრცელი ცნობები მოგვაწოდე, რაოდენსაც თქვენი ბრძნულის აზრით საჭიროდ დაინახოთ. მასთანვე, ეცადეთ ამ ხსენებულ პირთ, ჩააგონეთ გულმხურვალება და განუმტკიცეთ წადილი, ყოველსავე ამას ვაუწყებ თქვენს პატიოსნებას და თქვენს ლოცვას ვავედრებ თავსა“. (1)

ერთი ამის მსგავსი წერილი მისწერეს ეგრეთვე ისპაჰანში მყოფ იეზუიტებსაც და მათაც მოსთხოვეს ამბის შეტყობინება. საჭირო ცნობების გამო შეაჩერეს პასუხის მიწერა კათალიკოსისადმი ვიდრე 1711 წლამდე, ხოლო ამ დროს ეს წიგნი მისწერა პროპაგანდამ დომენტის:

„ბატონს საქართველს პატრიარქს, 24 იანვარს 1711.

„პაპს დიდად სათნო ეყო თქვენი დიდებულების წიგნი, რომლითაც აცხადებთ თქვენს დიდს წადილსა კათოლიკე სარწმუნოების აღსარებისათვის, ეგრეთვე რომის საყდრისადმი თქვენს მორჩილებას და პატივისცემას, რაის გამო მათმა უწმიდესობამ დიდათ აქო ეგ თქვენი სურვილი და მოწადინება და მასთანვე თავისი მამობრივის სიყვარულით და კეთილმნებლობით შეგაგულიანებსთ, რათა მტკიცედ იქონიოთ ეგ თქვენი საქებელი წადილი და მომზადებულად და გუნებურად ხელი მოაწეროთ კათოლიკე სარწმუნოების სიმბოლოს, რომელსაც ამ წერილთანვე გაახლებთ; ამ ნაირად ყოველის შეცთომილების მხრივ უშიშრად იქმნებით და მორწმუნებით შეუდგებით მოძღვრებას სამოციქულო საყდრისას, რომელიც არის პირველი კათედრა და ყოველთა ეკკლესიათა დედა და მოძღვარი. არა მარტო თქვენ შეუდგებით მტკიცედ და შეურყევლად ამ მოძღვრებას, არამედ, ვითარცა მოითხოვს მწყემსებრივი მოვალეობა, სხვებსაც ასწავლით ყველა ნაირის საშუალებით, რაოდნათაც შესაძლო არის. ესეც უწყოდეთ, რომ დიდი ცოდვა იქმნება თუ დაუტევეთ დევნულობის შიშით თქვენზე მონდობილი ქრისტეს სამწყო, ვინაიდგან წერილ ჰრს: „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის“. უკეთუ როდისმე ატყდეს დევნულება და ერის სულიერმა სარგებლობამ მოითხოვოს თქვენი თავის განრინება, მაშინ თქვენც, იმ ზოგიერთის წმიდანების მაგალითისამებრ, დროებით ახლო ქვეყნებში სადმე მიეფარეთ, რათა იქიდან განსაცდელში მყოფ თქვენს სამწყსოს როგორმე შეეწიოთ და კიდეც შიხვიდეთ, ნახოთ, როდესაც საშუალება მოგეცემათ. მაგრამ თუ მტრის მიერ დევნულებამ იქამდე მიაწიოს რომ მაგ მხარეს უშიშრად ველარსად შეგეძლოთ დგომა, მაშინ მოდით რომს, სადაც თქვენდამი სავსე სიყვარულით, პაპი ეგრეთის სახიერებით მიგიღებსთ, როგორათაც სხვა ყველა ეპისკოპოსებს, რომლე-

ზიც მოდიან ქვეყნის ყოველ მხრიდან. ამასთანავე პაპი დიდის სიყვარულით განიჭებსთ მოციქულებრივ კურთხევას. ხოლო მეც ვევედრები ყოვლის მპყრობელ ღმერთსა, რათა თქვენი დიდებულება უვნებლად ბევრხანს ცოცხლებდეს“. (1)

ამ დროის შესახებ მისიონერების წერილი ყველა გვაკლია. ამიტომ დომენტი კათალიკოსის მიერ კათოლიკე სარწმუნოების მიღებისა სხვა არაფრის თქმა შეგვიძლია. არც ის ვუწყით, თუ ამ წერილში დასახელებული შიში და დევნულება ვისგან ყოფილა.

რადგან დომენტისა და ქაიხოსროს წერილები ერთად იყო გაგზავნილი რომს, ამავე დროს პროპაგანდა ქაიხოსროსაც სწერს წიგნს:

„მთავარ ხოსრო მირზას, 24 იანვარს, 1711 წ.

„დიდის სიამოვნებით მიიღო პაპმა თქვენი უწარჩინებულესობის წერილი, რომლითაც ეგრე კარგად აცხადებთ ოქვენს მიდრეკილებას კათოლიკე სარწმუნოებისა და მათდამი, ვინც მას აღიარებენ. ამიტომ მათმა უწმიდესობამ დიდათ გაქოთ და მასთანვე გულმხურვალედ ევედრება ღმერთსა, რათა მარადის განაბრწყინოს თავისის მადლით ეგ თქვენი კეთილი წადიერება და წარემატოს მას. მასთანვე მათი უწმიდესობა თავის მამობრივის სიყვარულით შეგაგულიანებსთ, რომ ეგრეთ თქვენს კეთილ წადიერებაში მარადის მტკიცედ იყოთ და უერთგულოთ მას და ეგრეთვე თქვენი სულის საუკუნო ცხოვრება არჩიოთ ამაო და საწუთრო პატივსა, დიდებასა და განცხრომას. ხოლო პაპი გულმოწყალებით ყველაფრის ნებას გაძლევს, რაც კი კათოლიკე სარწმუნოებას არ ეწინაღმდეგება. მანდ მყოფი მისიონერი პატრები გაუწყებენ, რაც ნება დართულია, ან რაც აღკრძალულია ქრისტიანისათვის; ეგრეთვე გარდმოგცემენ ამ წიგნსაც. ეს პატრები რადგან გაწურთნილნი და გულმოწყალებით სავსენი არიან, თქვენ მოგცემენ იმ რჩევა-დარიგებას, რომელიც შეეხება თქვენს სულიერ საჭიროებას; კარგად შეეწევიან თქვენი სულის ცხონებას და რაც კი შეეხება თქვენის მდგომარეობის მოთხოვნილებას; ამის უფლება ყველა მიანიჭა მაგათ პაპმა. გარდა ამისა პაპი დიდის გულშემატკივრობით და მამობრივის სიბრალულით უმზერს ყველა თქვენს განსაცდელს! გარნა სასოებს ყოვლის მპყრობელი ღვთისადმი, რომელიც მუდამ შეეწევის კეთილ მოსურნეთა და დაუცხრომელად ევედრება, რომ თავისი ღვთიური შემწეობა არ მოგაკლოსთ. ეგრეთვე დიდს მადლობას მოგახსენებს იმ ყველა სამსახურისათვის, რომელსაც საჭირო დროს აგებთ ქრისტიანებს; თავის თქვენდამი მამობრივის გულკეთილობისა და სიყვარულის ნიშნად გიგზავნის ოქროს და ვერცხლის ჯაჭვებს, თავისი სურათითურთ და განიჭებსთ მოციქულებრივ კურთხევას. მასთანვე მზათ არის დიდის სიყვარულით ამ ქალაქში მიგიღოსთ და თავისთან სამუდა-

მოდ შეგინახოსთ, თუ აქ შემოხიზვნა დაგჭირდათ. ინებოს ღმერთმა თქვენის დიდებულების უვნებლად დაცვა“. (1).

რადგან ზემოდ დასახელებულის კარმელიტანების პატრისგან მიიღეს მათ ორთავ შესახებ საჭირო ცნობები ამიტომ პასუხს ისევ ამასვე უგზავნიან, რათა ორთავ ამან გადასცეს; მასთანვე ამ წერილს სწერენ:

„პატრი მარია იოსებს იესოსი, ფეხშიშველ კარმელიტანს, პროპაგანდიის ვიკარს, ისპაჰანში, 31 აანვარს, 1711 წ.

„წმიდა კრებამ რა წაიკითხა თქვენი გამოგზავნილი წერილები ხოსრო მირზა მთავრისა და მისი ძმის პატრიარქის შესახებ, დაადგინა, რომ მათ პაპთან გამოგზავნილ წერილებს პასუხი მისცეს ისე როგორათაც თქვენვე შეგიძლიათ ნახოთ ამ წერილთან, რაისა გამო ვგზავნით დაუბეჭდავად. მაშ შეგიძლიათ მიართვათ ეს წიგნები და პირადაც გააგებინოთ მთელი ძალა, ამ წიგნებში გამოცხადებული აზრები, ისე როგორც შეჰფერის თქვენს გულმოდგინებასა და სიბრძნეს. ხოლო შესახებ მთავრისა, ჯერ მის ერთგულს პატრს ბასილასთან მოილაპარაკეთ და მერე მიეცით ისეთი რჩევა- დარიგება, რომელიც უფრო შესაბამი იქმნეს მისის მდგომარეობისა და საჭიროებისათვის და რომელსაც უფრო მისდევდენ რჩეულნი მოძღვარნი. ეს მონდობილება რომ ადვილად შეასრულოთ, გიგზავნით 7 აგვისტოს 1629 წლის დეკრეტსა, რომელიც საკუთესოა და შეეხება ასეთ საქმეს. რადგან წმიდა კრებას აქედგან არ შეუძლია წინ და წინ გაითვალისწინოს განსაკუთრებული შემთხვევანი და მათი შედეგნი, ამიტომ ყველა დანარჩენს მიანდობს თქვენს სიბრძნეს და თქვენს სიყვარულს. დასასრულ, დავშთები თქვენის ლოცვა-კურთხევის მავედრებელი“. (2).

არ ვიცით ამ წერილმა მიუსწრო თუ არა ქაიხოსროს, რადგან ავღანელებმა 1711 წ. მოჰკლეს. როგორათაც პროპაგანდის წერილი მოწმობს, ქაიხოსრო ერთგული კათოლიკე და სხვა კათოლიკების და მეტადრე მისიონერების შემწე ყოფილა. ამას მოწმობს ეგრეთვე ერთი მისი თანამედროვე, იეზუიტი კრუზინსკი: „ტფილისისა, გორისა, განჯისა და თავრეზის მისიონებს მუდამ მოწყალებას აძლევდა, მათო მფარველი და დიდი კეთილის მყოფელი იყო ხსენებული ხოსრო ხანი. თანა ჰყავდა ღირსეული მისიონერი პარიზელი პატრი ბასილი, ფეხშიშველი კარმელიტანი, რომლის სახელიც დიდად განთქმულია სპარსთა შორის. ამან განსაკუთრებული ღვაწლი გამოიჩინა თვით უკანასკნელ გაჭირვებაშიც, არ დასტოვა მთავარი ქაიხოსრო, რომელსაც დაევალებინა, გაქცეულიყო და თავის თავისათვის ეშველა; ისიც მთავართან ერთად მოჰკლეს. ეს პატრი მთავარს იმიტომ ახლდა, რათა მისი სულიერის საჭიროებისათვის ეზრუნა ფარულად“. (1).

გარდა ამისა, ქაიხოსროს ამბავს ვპოულობთ სპარსეთის ამბოხებისათვის მოხსენებაში, რომელიც საფრანგეთის კონსულმა ისპაჰანიდგან პარიზს გაგზავნა: „ეს გენერალი ხოსრო ხანი ძმისწული იყო გიორგი ხანისა, რომელიც თავისივე კარავში მოაკვლევინა მირვეიმ. ისინი ორნივე ქართველები და რომის კათოლიკენი იყვნენ. ხოსრო კათოლიკე სარწმუნოების სიყვარულით ეგოდნათ აღტყინებული იყო, რომ თვით მაშინ, როდესაც ყანდარს გარეშემო ჯარი ერტყა, თავის კარავში წირვას ასრულებინებდა. ამიტომ განგებ თანა ჰყავდა სამი ფრანგის მონაზონი“. (2).

როგორც ზემოდაცა ვსთქვით, საქართველოს მისიონის შესახებ არავითარი წერილი გვაქვს ამ დროებისა. ამიტომ სრულიად გამოუკვლეველი გვრჩება ეს ხანი. უნდა კი ვიგულისხმოთ, რომ ამ ხანში საქართველოს მისიონის ამბავი არა ნაკლებ საინტერესო უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ნამდვილი მარტო ეს ვიცით. რომ ამ დროებშიაც ყოფილა სომხების მიერ ატეხილი დევნულება კათოლიკების წინააღმდეგ. ამას გვიჩვენებს პროპაგანდის წერილი საფრანგეთის ელჩისადმი:

„ბატონს საფრანგეთის ელჩს კოსტანტინეპოლში, 4 აპრილს, 1709.

„ამ ჟამად ჩვენი წმიდა კათოლიკე სარწმუნოება ძრიელ დიდ განსაცდელშია სპარსეთის სამთავროში. ამის მიზეზია უმღრთო მოქმედება ერთი სომხისა, რომელსაც ჰქვიან ისრაელორი და რომელმაც ამ რავდენისამე წლის წინად ევროპაში ყველას მეტად გულმხურვალე კათოლიკედ მოაჩვენა თავისი თავი და ამის წყალობით ბევრს ქრისტიანე მეფეს და განსაკუთრებით პაპს წერილები გამოართვა სპარსეთის მეფისათვის, რომლისათვისაც ვითომ შეღავათი უნდა ეთხოვა იმ მხარეში მყოფ კათოლიკეთათვის. გარნა ახლა თუ წმიდა კრებამ და თუ პაპმა დიდის მწუხარებით გაიგეს, რომ ის კაცი რა მისულა სპარსეთს თავისი თავი ქრისტიან მეფეთა და პაპის ელჩად აღუარებია; მერმე დაკავშირებია ეჩმიაწინის სქიზმატიკე პატრიარქსა და ყოველის ღონისძიებით ცდილობს, კათოლიკე სარწმუნოების ერთიანად მოსპობას და ამიტომ საშინელი დევნა დაუწყვია“..., (1) ჩვენ ამ დევნულების აღწერას ვერ გამოვუდგებით, რადგან საჭირო დოკუმენტები გვაკლია, ხოლო ეს კი შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ დროს დევნულება კაი ხერხით დაწყებული ყოფილა, რადგან ვიდრე 1711 წლამდე გაგრძელებულა. ამას მოწმობს მოხსენება, რომელიც ფრანგებს სპარსეთიდან პარიზს გაუგზავნიათ: „ბატონი აგათაპოლის ეპისკოპოსი, ბაბილონის შემწე, საქართველოს დედა ქალაქ ტფილისიდგან, 5 აგვისტოს 1711 წ. გამოგზავნილ წერილებით იუწყება, რომ იქ ყველა კათოლიკები დიდ შიშში ყოფილან; ფრანგი მისიონერებისაგან შეუტყვია, რომ ბატონ მიხელს მისიონერების სასარგებლოდ

ბრძანება რომ მისცეს, იმისი წინააღმდეგი ბრძანება ყეინისათვის გამოურთმევიათ სომხებს.... ახლა ამ ბრძანების ძალით ამ სქისმატიკებს დაუწყვიათ დიდი შეურაცხყოფა ზოგიერთის მისიონერებისათვის, და აწ აპირებენ ერთიან აიკლონ ყველა მათი სახლები“. (2).

ვინ აყო ეს აგათაპოლის ეპისკოპოსი, ტფილისს რისთვის და რა დროს მოსულა, სხვა არაფერი ვიცით. სრულიად ეს კი ცხადია, რომ ამ ეპისკოპოსის მოსვლას საქართველოს მისიონისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

ახლა დროა შევუდგეთ დიდათ განთქმული და ყველასაგან ცნობილის საბა სულხან-ორბელიანის ამბავს. თუ ყველა არა, უმეტესი ნაწილი მაინც შევკრიბეთ სხვა და სხვა არქივებში მისი და მის შესახები წერილები. რადგან ყველას აქ მოყვანა შორს წაგვიყვანს, ამიტომ მოვიყვანთ იმ წერილებს, რომლებიც უმთავრესი და შესანიშნავია.

ჩვენში ის აზრია გავრცელებული, ვითომც საბა ორბელიანს კათოლიკობა მიეღოს ევროპაში 1714 წ., მაგრამ ეს აზრი სრულიად შემცდარია, რადგან ევროპაში წასვლამდე კარგა ხნით ადრე გაკათოლიკებულა საქართველოშივე; ამის წინა თავში უკვე შემოვიტანეთ ერთი საბუთი ლივორნელი პატრი იოსებისა, რომელიც 1687 წ. რომს სწერს ახლად გაკათოლიკებულთა სახელებს და მათ შორის იხსენიებს მთავრის მინისტრის შვილს სულხანს: ეს დასახელებული სულხანი ჩვენ მიგვაჩნია თვით საბა ორბელიანად. სახელი „საბა“ მაშინ მიიღო, როდესაც მონოზნად შედგა, ამას საკმაოდ გვიმტკიცებს მისი ქართულად დაწერილი წიგნი, რომელიც პაპს გაუგზავნა. ეს აქვე მოგვყავს უმეტნაკლოდ:

„წმიდა პაპასა რომისასა, მეათერთმეტეს კლემენტოსს.

„ქ: ზეცისა სასუფეველისა; კლიტეთა მპყრობელსა: და ქუეყანასა ზედა წმიდათა შესაკრებელთა თავსა: თავისა მის მოციქულისა პეტრეს მოსაყდრესა: იესოს ქრისტეს სისხლით მოსყიდულთა ცხოვართა მართალსა მწყემსსა: წმიდათა ტაძრესსა: ცრემლით და შევრდომით აღუარებ ყოველთა ცოდვათა. და ვევედრები წმიდათა ფერხთა მთხვეველი მეუღლითურთ ჩემით: მინდობილნი მადლისა მაგათისანი: რათა ცოდუათა ჩუენთა სიმრავლეთა აღკოცად ევედროს ღ~თსა. და წმიდა კურთხევა მათი მოგვფინოს, და ლოცვა ყოს ჩუენ ულირსთათჳს: რათა სიმტკიცით ვეგნეთ მართალსა სარწმუნოებასა ზედა შეურყეველად. სიტყვითა და საქმით: უწყით რამეთუ შენ გაქუს კელემწიფება მიტევებად ცოდუათა. რომელი მოგცა განკსნა და შეკრვა იესო ქრისტემან:

„თქვენის მადლის მფარველობითა უხილავ მტერსა ზედა მომეკმარე, თუ არა ხილულს მტერს ჩემზედ არა შეუძლია რა:

„ოღონ ეს ვინცავინ აქ მართ მადიდებელნი არიან ამათზედ თქუენი ლოცუა და საქმითაც მოხმარება იყოს ხილულის მტრებისგან დიდს ჭირში არიან:

„ყოველთ ცოდვილთ უცოდვილესი ორბელისშვილი სულხან ყოფილი მონაზონი საბა. მიწა ფერჴთა თქვენთა:

„179: (1709) აგვისტოს 15“. [საბას ბეჭედი]. (1).

ამ წერილიდგან არა სჩანს რა ქალაქიდგან არის მოწერილი; გარნა ეჭვი არ არის, რომ საქართველოდან არის გაგზავნილი. ამ წერილთანვეა ამისივე თარგმანი იტალიანურად 1709 წლის თარიღით, ამის მოყვანას საჭიროდ არ ვრაცხთ.

აქ დასახელებული ხილულის მტრისგან მიყენებული გაჭირვება არის ზემოდ ხსენებულის სომხის ისრაელორის მიერ დაწყებული დევნულობა. არა სჩანს თუ წერილი ვის წაუღია რომს.

საბას ევროპაში მოგზაურობისათვის ყოველი ცნობა არა გვაქვს, ხოლო ჩვენი შეკრებილი წერილებიდან საკმაოდ სჩანს ამ მგზავრობის უმთავრესი გარემოება. პირველი ამ წერილთაგანი არის სპარსეთში მყოფის ფრანგის მისიონერის რიშარდისა, რომელმაც გამოიარა საქართველოში და თან წაიყვანა საბა. რიშარდმა ეს წერილი 1713 წ. კოსტანტინეპოლიდგან საფრანგეთს გაუგზავნა მინისტრს. რადგან ამ წერილის პირველი ნაწილი არ შეეხება საქართველოს, ამიტომ გამოვსტოვებთ და მოვიყვანთ შემდეგს:

„მინისტრ ტურსის, მოწყალე ხელმწიფევ.

„...ერევნიდგან წაველ საქართველოში ტფილისს, სადაც მფლობელადაჲ ძმა ვახტანგ მეფისა, რომელიც არის ისპაჰანს. თექვსმეტი დღე თავისთან დამიჭირა, შემდგომ რავდენიმე აფიცერი მომცა, რათა გამომყოლოდენ ვიდრე შავ ზღვამდე. რა გავიარე გორში, იქ დამხვდა სულხან საბა, ბიძა საქართველოს მეფისა. რავდენიმე წელიწადია რაც მონაზონობის სამოსელი შეიმოსა; მონაზონად შედგომამდე თავის ძმებს დაუტოვა ერთი დიდი პროვინცია, რომელიც მისი საკუთრება იყო, იმიტომ ჰყო, რათა უფრო ადვილად აღეარებინა კათოლიკე სარწმუნოება.

„ამ თავადმა აღზარდა ვახტანგი და მისი სახლობა. ამისთვის ისეთს პატივს სცემენ და ისე უყვარსთ, როგორც საკუთარი მამა; ეგრეთვე მთელ საქართველოსაც მამად მიაჩნია. ისპაჰანიდგან მიიღო თავის წერილის პასუხი, რომელიც ხელმწიფემ კეთილ ინება და გამოუგზავნა. რაც მისმა საფრანგეთის მიმართ სიყვარულმა ჩააგონა, ყოველი პატივი მცა. შემდგომ ბევრის აფიცრებით და მოსამსახურეებით შავ ზღვამდე გამომყვა სამეგრელოს გზით. ამ დროს ამან ვახტანგისაგან წერილი

მიიღო და გამომიცხადა, რომ დიდი ხანია ხემწიფის (ლუდოვიკეს) ნახვა მინდა და უკეთესი შემთხვევა არც მექმნებაო და ამიტომ მთხოვა თუ ჩემი სიყვარული გაქვს და ან რაც ამაგი მისიონებს მივაგე, თუ დამიფასო, თან წამიყვანეო.

„მისმა მხლებლებმა შეიტყეს მისი განზრახვა თუ არა, მაშინვე აცნობეს დედოფალს, რომელმაც სასწრაფოთ ოცდაათზე მეტი შიკრიკი გამოუგზავნა და ეგრეთვე ის ბატონები მამულებისა, სადაც უნდა გაგვევლო.

„დედოფლისა, ახალგაზდა ბაქარის ვახტანგის პირველ შვილის და ზოგიერთის აფიცრების წერილებმა გული მეტად აუჩვილა ამ თავადს. იგინი უცხადებდენ, რომ დედოფალმა რა შეიტყო თქვენის წასვლის ამბავი, მეტის ტირილით სიკვდილის პირად არისო. თავადმა ყველა ანუგეშა, მალე დავბრუნდებიო და განვაგრძეთ ჩვენი მგზავრობა. სამეგრელოსა და სხვა პროვინციების პატრიარქი შავ ზღვამდე წამოგვყვა. წინეთ ამ პატრიარქმა ბევრ გზის გამომიცხადა კათოლიკე ეკკლესიასთან შეერთების სურვილი. მთხოვა გამომეგზავნა მისიონერები სამი ადგილისათვის, რადგან უნდოდა დაეყენებინა სამეგრელოსა, იმერეთსა და აფხაზეთში, წარმართების პროვინციაში. ამას აზრად აქვს სარწმუნოება განავრცელოს ჩერქეზთა შორისაც და ეგრეთვე სხვა მახლობელ პროვინციებში, სადაც სულ წარმართები არიან. ბატონი საბა დაესწრო ყველა ჩვენს საუბარს და შეაგულიანა პატრიარქი, რომ მისთვის გაეყოლებინა თავისი შემწე დავით მონაზონი, რათა შემდგომ წამოჰყოლოდა იმ მისიონერებს, რომლებსაც მე გამოვგზავნიდი. მისივე რჩევით ერთი კარგი ადვილი გზა ვპოეთ ჩვენ ვაჭარ ფრანგებისათვის, რომლებიც ისურვებენ კონსტანტინეპოლიდან შავის ზღვით საქართველოსა და სპარსეთს წასვლას.

„მოვედით რა კონსტანტინეპოლს, ბატონი სულხან საბა და ეს მონაზონი მივიყვანე ბატონ დეზალიურ ელჩთან, რომელმაც მეტის მეტი გულკეთილობით მიიღო და საბაც დარწმუნდა, რომ რაც გაეგონა კონსტანტინეპოლში მყოფის საფრანგეთის ელჩის დიდებისა სულ მართალი ყოფილაო. ყველაფერმა განაკვირვა იგი. მაგრამ უმეტესად გაუხარდა, როდესაც ეგოდენი, ჩვენი საბრალო ტყვე-ფრანგები, რომლებიც ელჩმა ისე კარგად მიიღო. მათმა დახსნამ ძრიელ გააოცა საბა, უფრო იმიტომ, რომ ზემო ქართლში, საუბედუროდ, ჩვეულებათ აქვსთ ერთმანერთი თათრებს მიჰყიდონ ხოლმე. ბატონმა დეზალიურმა თავის პალატში ბინა მოგვცა და პირველ მარჯვე შემთხვევაშივე გამოგვისტუმრებს... ი. რიშარდ, მისიონერი, კონსტანტინეპოლით, 17 ნოემბერს 1713“. (1).

ისე სჩანს, საბასაც ვახტანგთან ერთად მიუღია საფრანგეთის მეფის ლუდოვიკე XIV-ის წერილი. ეს წერილი გვიჩვენებს, რომ საბა მრთელი საქართველოსაგან პატივცემული და ყველას საყვარელი ყოფილა, თვით მაშინაც კი, როდესაც მას კათოლიკობა მიღებული ჰქონია. ეგრეთვე ისიც ცხადია, რომ ამ დროს საქართველოს საკმაო დაახლოებული განწყობილება ჰქონია საფრანგეთთან.

რა მივიდნენ იგინი კოსტანტინეპოლიდან მარსელს, იქიდან რიშარდმა საფრანგეთის მეფის მინისტრს ტურსის ეს წიგნი მისწერა:

„მოწყალე ხელმწიფევ. მგზავრობამ ეგოდნად დამღალა, რომ იძულებული გავხდი ერთ სხვა საიმედო პირის საშუალებით მომეწერა თქვენის დიდებულებისათვის და მეუწყებინა, რომ ამ თვის (იანვრის) 23 მოვედით მარსელს მე და წმიდა ბასილის წესის მონაზონი, ბატონი საბა სულხანი, ბიძა საქართველოს მეფისა. ამას მოაქვს პასუხი იმ წერილებისა, რომელიც კეთილ ინება და მისწერა ხელმწიფემ და თქვენმა დიდებულებამ.

„ბატონმა არნუმ *) კეთილ ინება და ისეთის პატივით მიიღო, როგორათაც მოითხოვს ამისი ჩამომავლობა და ღირსება, იმანაც იმნაირივე პატივი სცა, როგორც კოსტანტინეპოლში ბატონმა დეზალურმა... იმედი მაქვს, რომ ბატონი არნუ თქვენს დიდებულებას უკვე აცნობებდა აქ ბატონ სულხან საბას მოსვლას და მის ნატვრას, მეფის ნახვისას, რის გამო მარსელში ბევრხანს დარჩენა არ უნდა. გარნა დიდათ მაფიქრებს მგზავრობისაგან მისი დაღალვა, მისი ხანში შესულობა, ზამთრის სუსხი და ეგრეთვე მომავალი დიდმარხვა, რომელიც კიდევაც, დაწყებული იქმნება, ვიდრე თქვენი ბრძანება მოვიდოდეს. გარნა ისე მოვიქცევი, როგორც თვით ინებებს და ჩემის მხრით, რაც შემიძლია, სიფრთხილის ზომებს ვიხმარ, რათა გზაში ავად არ გახდეს.

„ვგონებ, თქვენს დიდებულებას ბატონი დეზალური აუწყებდა, რომ ამ ბატონს სამეგრელოდან წამოჰყვა ერთი მონაზონი, რომელმაც, თავისი პატრიარქის ბრძანებისამებრ, უნდა წაიყვანოს ფრანგი მისიონერები თავის ქვეყანაში; მათ პატრიარქი მისცემს სამ სახლს ერთს სამეგრელოში, ერთს აბაშიძებთან (იმერეთში) და მესამესაც აფხაზეთში, სადაც წარმართები არიან და მეზობლებადაც წარმართი ჩერქეზები ჰყავსთ. სამეგრელოში იმ პატრიარქთან 40 დღეს დავრჩი. ძრიელ კარგ ხასიათის და გონიერი კაცია, კათოლიკე სარწმუნოების სიყვარულით და ეგრეთვე ჩემდა პატივის ცემით ბევრ გზის მეხვეწა, რათა მისთვის მომეყვანა მისიონერები, მეც მის მრავალგზის განმეორებულ ვედრებას უარი ველარ

---

*) ეს პირი მარსელის ქალაქის თავი უნდა იყოს.

ვუთხარი და ამიტომ ვიკისრე ეს მონდობილობა. მას რა ვაცნობე ეს ჩემი თანხმობა, მომანდო წამომეყვანა ხსენებული მონაზონი, რომელსაც ძალიან ენდობა და დიდი იმედიცა აქვს, რომ ამან შეისწავლოს ჩვენი ენა და შემდგომ ასწავლოს თავისი ენა იმ მისიონერებს, რომლებიც ამას წაჰყვებიან... ი. რიშარდი, მარსელით, 1 თებერვალი, 1714 წ.“. (1)

ამ დროს საბამაც მარსელიდან რომს მისწერა და თავისი საფრანგეთში მოსვლა აუწყა ამ ქართული წერილით:

„დიდსა და ღირსს უფალსა:

„ქ: დიდებულო. ვიცი რომ თქვენ ვერ მიცნობთ: მე თქუენის სამსახურის ღირსი, სულხან საბა ორბელიანი. წმიდისა ბასილის მონაზონთაგანი:—სიწმიდისა თქვენისა მოხსენებას ვიკადრებ;—თქვენს ღირსეულებას რომ პატრი კაფუჩინები ჩვენს ქვეყანას გამოეგზავნა მათგან შევიტყე თქუენ მართლის სარწმუნოების გამრავლებას დიაღ ცდილობთ ჩუენს ქუეყანას:—ამისთვის დიდად მადლს გარდვიხდი. და თქუენს სიწმიდეს თაყვანსა ვსცემ. სრულ ქართველიანად:

„რადგან მაღალსა და დიდად ქრისტიანს. დიდებულს ფრანცისის მეფეს. ჩვენის მეფისათვის წიგნი მოეწერა. მე მისის პასუხის მოსატანად საფრანგეთს წამოველ: მერმე ამისი ნდომა მაქვს რომ უფროსად წმიდისა პაპის ფეკს კოცნა მეღირსოს; მაგათის ბრძანებით უფრო მრავალი პატრები გაიგზავნოს. რომ ჩუენს ქუეყანას მართალი სარწმუნოება გამრავლდეს: — იმისი უკეთესი ღონე ეს არის რომ ფრანცისის დიდი მეფე ჩვენი მეფის მოხმარებას ეცადოს. რომ თავის უნდომლად აჯამშია: და ის თავის ქუეყანას მოვიდეს. მისი საქმე ვიცი გუნებით და სიყვარულით ახლოა ამ წმიდას რჯულზედ. და მალე ის გაამრავლებს:

„ეს ვიცი თუ უფროსად წმიდა მამა ჩვენი თავის შვილს ფრანცისის მეფეს ტკბილად ასწავლის. და ფრანცისის მეფე მოინდომებს ჩუენს მეფეს ეშველება. თუ ამ წყალობას გვიზამთ ჩუენთვის დიდი საქმე იქმნება. რომ მე მოვალე ვარ ქართველთათვის:

„ღირსი პატრი უმფროსი იაჯინთო. წმიდის ტერეზიას პატრების მთავარი: მარჩილიას დამხვდა. თავის მონასტერში დამაყენა. და დიდად კელი შემიწყო: ჩუენგან რა სამსახური გაეწყობა: მადლს მოჰვახსენებ: შევიტყე რომ თქუენი ღირსი ძმა ყოფილა: რადგან ასე კარგა დამხვდა ჩუენ წიგნი მას პატიოსანს მივეც. რომ თქუენს სანატრელს კელს მიერთვას: თქუენს ნეტარელს თავს ვეხვეწები. რომ უფროსად წმიდის პაპის შენდობა გვიშოვნოთ: და გვიბრძანოთ:—1714. მარტის: 11: საბას ბეჭედი“. (1) ამ წერილთანავე არის ლათინურად თარგმანიც.

ერთი კაფუცინი, სახელად მურმორო ვახტანგის მაგიერად, 19 თებერვალს 1714 წ., ისპაჰანიდგან სწერს საფრანგეთის მინისტრს, რომ თქვენ მიერ 28 ნოემბერს გამოგზავნილი წერილები ვახტანგმა მიიღო. ეს წერილები ამ პატრსვე უთარგმნია მისთვის. ვახტანგსაც იმ კაფუცინისათვისვე მიუნდვია მინისტრისათვის პასუხის მიწერა. სიფრთხილისათვის, ვახტანგი არც ქართულად სწერს და არც თავის ხელს პასუხზე, რათა წერილი მის მტრებს სპარსელებს არ ჩავარდნოდათ ხელში და უარესად არ გადამტერებოდენ. ამიტომ მას აზრად ჰქონია გაეგზავნა ერთი საიმედო პირი, რომელსაც უშიშრად ყველა მისი სურვილი საფრანგეთის მთავრობისათვის უნდა შეეტყობინებინა. წიგნში სწერს აგრეთვე, რომ საქართველოში მყოფ კაფუცინებს რაც შემიძლია ერთგულობას არ ვაკლებ, ვეწევი და მომავალშიაც არ მოვაკლებ დახმარებასო.

ამის მსგავს და ამაზედ უფრო ვრცელ წერილს ესევე კაფუცინი კოსტანტინეპოლში მყოფ საფრანგეთის ელჩს დეზალურს სწერს ვახტანგისას, რომელიც დიდ მადლობას უხდის საბას კარგად მიღებისათვის; უცხადებს მისი წერილის მიღებას; ჰპირდება ვისმენ თქვენს რჩევას თუ ჩემის და თუ ჩემის შვილის ავადმყოფობის შესახებო; აცნობებს მიზეზს, თავის მაგიერად თუ რად აწერინებს კაფუცინს, ეგრეთვე საბასთვის გადასაცემად უგზავნის იტალიანურად დაწერილს ამ წიგნს:

„საბა სულხანს. დიდად საყვარელო ჩემო ბატონო ბიძავ, თქვენი გავლილ 28 ნოემბერს კოსტანტინეპოლიდან გამოგზავნილი წიგნი მივიღე 14 თებერვალს, დიდად გამახარა. მასთანვე ერთად მივიღე პატიოსანი წერილიც მათის უმაღლესობის საფრანგეთის იმპერატორის ელჩისა, რომელმაც დიდად დამავალა თუ იმ პატივით, რომელიც თქვენა გცათ და თუ თავის სათნოებიანი და გულითადი რჩევით, რომელსაც მე მაძლევს ბატონი რიშარდის პირით. იმას ისე მოვეპყრობოდი და დავავალებდი, რომ თავის დღეში ვხსომებოდი, მაგრამ რა მექნა, რომ ჩემს მამულში არ ვიყავი. ახლა კი ვპირდები, რომ მომავალში, რაც შემიძლია, კარგად მოვეპყრა ყველა ფრანცუზებს და მათ მეგობრებსაც, რომელთათვისაც კი რასმე მთხოვენ. ჩემი დახმარება, იმედი მაქვს მალე ცოტა ხანში ნახონ, თვით ამ შემთხვევაშიაც, რომ სპარსეთის სამეფოში არსდება საფრანგეთის სამეფო კამპანია.

„დიდად შევწუხდი, როცა შევიტყე, რომ გზაში მეტად შეწუხებულხართ, მაგრამ ვნუგეშობ თქვენს მშვიდობით მისვლას საფრანგეთსა, სადაც, იმედი მაქვს, ნახოთ ეგ ქვეყანაზე ყველაზე დიდი და ყველაზე გულ უხვი მეფე, ევროპის საუკეთესო აღყვავებული მთავრობა, ეგრეთვე ნახოთ რაც უფრო განსაკუთრებით ყურადსაღები აქვს მაგათ მეფე-

სა და მის სამთავროს ღირსს ერსა, რომელიც მორწმუნეა და დიდად მოწადინებულია იესო ქრისტეს, უფლისა ჩვენის, სარწმუნოების გასავრცელებლად. ყველა მისი თვისება ღირს ჰყოფს ამ ერს, რომ მთელმა ქვეყანამ ნახოს იგი. ხოლო მარტო მე ვარ აქამდე მოკლებული ნახვისა, მაგრამ ნუგეშად ის მაქვს, რომ ცოცხალი ვარ და ვიდრე ვიცოცხლებ, ეს იმედიც მექნება.

„ვერ ვბედავ და ჩემის ხელით ვერაფერსა გწერ, რადგან მეშინია ჩემის ძმის არტილერიის გენერალის იესესი, რომელიც, როგორც მუდამ განდგომილი მტერი და ეშმაკი, ისე დამტრიალებს გარს, რათა ჩამთქას; ამას ყველას შეიტყობთ თქვენის ძველის მეგობრის იოსებისაგან, როდესაც ის საფრანგეთს მოვა. იმედი მაქვს ამ დიდ მარხვის შემდგომ წამოვიდეს. ძრიელ მეძნელება ამისი გამოშვება, რადგან მარტო ესაა, რომელიც ყოველდღივ ჩემთან მოდის და მანუგეშებს, მაგრამ რა ვქნა, სხვა ნაირად არ შემიძლია. ეს არი მიზეზი, რომ ჩემის ხელით არა გწერ. აწ გთხოვ ილოცოთ ჩემთვის და ეგრეთვე ალოცოთ ის ყველა მონაზონებიც, რომლებსაც ამ თქვენის მგზავრობის დროს დაემეგობრებით. ვევედრები მოწყალე ღმერთს, რომ ინებოს და აღგისრულოს ყოველი თქვენი კეთილი სურვილი და მოგანიჭოს ყველა ნაირი ბედნიერება. დავშთები მარად, როგორც აქამდე ვიყავი, ჩემი ყოვლად საყვარელ ბატონის ბიძის უმდაბლესი ძმის წული (ანუ დის წული). მეფის მაგიერ: მათი ყოვლად მდაბალი, ერთგული, დიდად დავალებული და ერთგული მონა, იოსეფ ფრეზერატი, ვერონეზელი, 20 თებერვალს, 1714.

„ბატონ სულხან საბას, საქართველოში წმიდა ივანე ნათლისმცემლის მონასტრის უფროსს წმიდა ბაზილის მონაზონებისას.“ (1).

საბა და რიშარდი მარსელიდგან მალე წავიდენ პარიზს. იქ მაშინვე საბამ მინისტრს პონშართრენს აუწყა თავისი მოსვლა ამ წერილით:

„ქ. ბატონო ბრძენო და მეცნიერო: ღმერთმან დიდი მეფე დაიცვას, და შენ დღენი კეთილნი მოგცეს: მე სულხან საბა ორბელიანი ამ წიგნს გწერ და ამას გაცნობებ, რომ თქვენის მაღალის მეფის ბრძანებითა, წყალობითა და ნიჭითა, აქ დიდ ქალაქს ფარიზს მოვედით და მეფეხე ვახტანგ *) ქართველთ მეფის პასუხები დიდებულთანაც და თქვენთანაც მოვიტანე; როდესაც გინდათ, თქვენთან მოვალ და მადლსაც გარდვიხდი. რომ ორნი პატიოსანი თქვენი მოსამსახურე მოგვეგებინათ და ალერსები და მოკითხვა შემოგვეთვალათ და წამოგვიძღვენ და დაგვასადგურეს:

„ჩემთან უფალი მუსუ რუშარ მღვდელი არის რომ ქართლიდამ ამან მომიყვანა. რა ვახტანგ ეს შეისწავლა. დიაღ ვაეწყო. ამისთვის

*) ეს მეექვსე ვახტანგია, და არა მეოთხე.

ეთქუა თავის პასუხები: რადგან ამან ყიზილბაშური-თათრული კარგად იცის. ამის სიტყუას უკეთ შეიტყობ და ჩემსა ეს შეიტყობს და ჩემი საქმე; და სანდომი რაც არის, ამან ყველა კაი იცის და თუ უბრძანებთ ყუალკას ეს მოგახსენებს და გაგისინჯვებს:

„ბატონი ითანდან დიდებული მარცილიას რომ არის, მისი დიდათ მადლიერი ვართ. რომ საქართველოს საქმეები მუსუ რიშარით დაგვაწერინა, და გაახლოთ: თუ აკლია რამე მზათა ვართ, და გავაკეთებთ: ამ პატიოსნის დემარასი დიდათ მადლიერი ვართ, მრავალი გვამო გზაზედა: აწე გუმართებს რომ თქვენ შემოგავედროთ: მარტს: 23, საბა სულხან. (1714)“. (1).

საბას რომში კარდინალთან მიწერილმა წერილმა გასჭრა, რადგან მოიპოვა პაპის შუამდგომლობა ვახტანგის შესაწევნლად, როგორც თითონ სთხოვდა. ამისგამო კარდინალი მას შემდეგ წერილს სწერს:

„მამა სულხან საბას, წმიდა ბასილის მონაზონს, 17 აპრილს, 1714.

„გავლილი თვის 11-ის თქვენმა მოწერილმა წიგნმა დიდათ გამახარა, რადგან ვსცანი მით თქვენი მისწრაფება გასავრცელებლად კათოლიკე სარწმუნოებისა, რომელიც უკვე მიგიღიათ და გინდათ განავრცელოთ იგი არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეშე პროვინციებშიაც. ყოველივე ეს ვაუწყე ბატონ კარდინალებს, რომლებიც დიდად გავედრებენ და მზდ არიან ყველა შემწეობა აღმოგიჩინონ თქვენის კეთილის სურვილის შესასრულებლად. ამიტომ აქ მოგელიან, რათა თქვენის პირით მოისმინონ ყველაფერი და იხმარონ ყველანაირი შესაფერი და საჭირო საშუალება ამ წმიდა აზრის განსახორციელებლად. აწ მათი უწმიდესობა პაპიცა, თქვენის თხოვნისამებრ, სთხოვს თავის უქრისტიანეს მეფეს, რათა საქართველოს მეფეს შეეწიოს. პაპის წერილს ვუგზავნით პარიჟში მყოფ ნუნციოს, რათა მან თქვენ გარდმოგცესთ და თქვენის ხელით მიართვათ მათ ხელმწიფებას. მასთანვე ამავე ნუნციოს დაგავედრეთ თქვენ და თქვენი საქმე, ამიტომ იმედი გქონდესთ, რომ მაგ მთავრობის წინაშე დაგეხმაროს ყოველნაირად. მასთანვე დიდად გამეხარდა, რომ როგორც თქვენ თვითონ იწერებით, ფეხშიშველ კარმელიტანების უფროსისაგან მიგიღიათ ეგოდენი პატივი. ამნაირის ქცევით იმან აღასრულა თავისი მოვალეობა, რომელიცა ჰქონდა თქვენის ღირსების წინაშე. დასასრულ გთხოვ მომიხსენიოთ თქვენს ლოცვაში“. (1).

აქვე მოვიყვანთ მეორე წერილს, რომელიც პროპაგანდამ მისწერა პარიზის ნუნციოს.

„მათ უმაღლესობას პარიზის ნუნციოს, 17 აპრილს, 1714.

„თქვენთან მოვა მამა სულხან საბა ორბელიანი, წმიდა ბაზილის მონაზონი, ნათესავი საქართველოს მეფისა და ძრიელ ერთგული კათო-

ლიკე. გამოუგზავნით სპარსეთის ყეინს *) მაგ მთავრობასთან და გამოუტანებია რამდენიმე წერილის პასუხი უქრისტიანეს ხელმწიფესთან შესახებ მისიონისა. მასთანვე ამავე ხელმწიფეს უნდა მოსთხოვოს თავისი უძლიერესი მფარველობა ხსენებული საქართველოს მეფისათვის, რომელიც სპარსეთის მეფის წინაშე არის დატყვევებული. რადგან ამ მეფეს ძრიელ მისწრაფება აქვს კათოლიკობისადმი და მისი განთავისუფლება დიდად შეეწევა მის სამთავროში კათოლიკე სარწმუნოების გამტკიცებას და გავრცელებას. ამიტომ პაპმა კეთილ ინება და დაავედრა უქრისტიანეს ხელმწიფეს ამ მთავრის საქმე, როგორათაც თქვენ სცნობთ აქვე ჩადებულის პაპის წიგნისაგან, რომელსაც გადასცემთ ხსენებულ მონაზონს, ხოლო უკანასკნელი თვითონვე გარდასცემს ხელმწიფეს. თქვენ უსაზღვრო გულკეთილობას მივანდობ მიიღოთ ეგ მონაზონი პატივით, დაეხმაროთ ყველა ღონისძიებით მთავრობის წინაშე თავის საქმეებისათვის და აღმოუჩინოთ ყველა ნაირი თქვენი შემწეობა-მფარველობა. ერთი სიტყვით მაგას დიდად გავედრებთ პაპის და ამ წმიდა კრების მაგიერად. მარადის თქვენი". (1)

პროპაგანდა იმავე ნაირად მესამე წიგნს სწერს პატრი რიშარდს, დიდად აქებს მის მეცადინეობას, მეტადრე სამეგრელოს მისიონის შესახებ და დიდ მადლობას უხდის ყველა იმ შემწეობისათვის, რომელსაც აგებს საბას.

როგორც აქამდე ვნახეთ, რომი მუდამ მზად იყო საქართველოსთვის შემწეობა აღმოეჩინა; ამიტომ რაც შეეძლო არაფერს ზოგავდა. ევროპაში საბა ორბელიანის მოსვლით პაპს ერთხელ კიდევ მიეცა შემთხვევა საქართველოსათვის სიკეთე ეყო და საბას წერილი საკმაო შეიქმნა, რომ საქართველოს მეფისა და მისის გამოგზავნილის კაცის სურვილი აღესრულებინა და საჭირო დახმარება აღმოეჩინა. მაგალითი არ ვიცით, რომ პაპი აღმოსავლეთის სხვა რომელსამე ქვეყანას ასე ხალისით შესწეოდეს, როგორც საქართველოს შეეწია. თითქმის ყველა საუკუნეში ვხედავთ რომისა და საქართველოს შორის ასეთს გულითადს კავშირს და მეგობრულ განწყობილებას.

პაპის წერილი, რომელიც პარიზს საბა სულხანს გაუგზავნა მეფე ლუდოვიკე მეთოთხმეტესათვის გადასაცემად, შემდეგია:

„ქრისტეს მიერ ჩვენს საყვარელს შვილს, ლუდოვიკეს, ფრანგთა უქრისტიანეს მეფეს, პაპი კლემენტე XI

---

*) აქ შეცდომაა, რადგან საბას კი არა, რიშარდს ჰქონდა რაღაც მინდობილება შაჰისგან შესახებ ვაჭრობისა. აქ უნდა დაესახელებინათ სპარსეთში მყოფი ვახტანგი და არა ყეინი.

„ქრისტეს მიერ ჩვენო ფრიად საყვარელო შვილო, მშვიდობა. მთელმა საქრისტიანომ უწყის თუ მუდამ როგორ მზად ხართ, სადაც კი კათოლიკე სარწმუნოების დასაცველად და გასავრცელებლად მოითხოვება თქვენი გავლენა. ხშირად გვიქია და დაგვივედრებია ესეთი თქვენი წარჩინებული და ძველებური თვისება. ამიტომ სრულიად ეჭვი არა გვაქვს, რომ ალსწრაფებით და სიამოვნებით თქვენის ძრიელის მფარველობის ქვეშ მიიღოთ და თქვენი შემწეობა აღმოუჩინოთ საქართველოს მეფეს, რომელიც ამ ჟამად სპარსეთის მეფის მიერ დატყვევებულია. როგორათაც ვსცანით, თუ ეს მეფე თავის სამშობლოში დაბრუნდა თავისუფლად, ცხადად აღმოუჩენს თავის გულკეთილობას კათოლიკებს და გულმოდგინებით მათ ყველანაირად შეეწევა და დიდი იმედიცა გვაქვს, რომ იქ კათოლიკე სარწმუნოება, ღვთის შემწეობით, აღორძინდეს და დღითი-დღე წარემატოს. ამას დაწვრილებით სცნობთ წმიდა ბასილის წესის მონაზონის, ჩვენის საყვარელის შვილის, საბა სულხან ორბელიანისგან, რომელიც ნათესავია საქართველოს მეფისა და რომელიც გადმოგცემსთ ამ წერილს. აღგზნებული ღვთიურის სასოებით, მდაბლად და დიდის ვედრებით მოითხოვს თქვენს სამეფო მფარველობას. აწ დიდად ვევედრებით თქვენს ხელმწიფებას, რომ ჩვეულებრივის სახიერებით მოუსმინოთ მას და აღმოუჩინოთ ყოველგვარი შემწეობა ხსენებული მეფის გასათავისუფლებლად. ჭეშმარიტად ეს საქმე დიდად ღირსია თქვენის წარჩინებულის გულმხურვალებისა; ამით ჩვენ მეტად გვასიამოვნებთ და ღმერთიც გადღეგრძელებსთ, ყველაზედ უმეტესად გაგაბედნიერებსთ აქ და შემდგომ მოგაგებსთ საუკუნო სასყიდელსა, რადგან ეს საქმე განსაკუთრებით შეეხება ღვთის დიდების საქმეს. აწ, ქრისტეს მიერ ფრიად საყვარელო შვილო, ჩვენის მწყემსებრივის სიყვარულის ნიშნად სიამოვნებით განიჭებთ მოციქულებრივ კურთხევას. რომით, 13 აპრილი, 1714“. (1)

ამ წერილის მიღებამდი საბამ პირველად ნახა საფრანგეთის მეფე აპრილში. სამწუხაროდ, ამის შესახებ დაწვრილებით ცნობებს ვერასფერს შევხვდით. პარიზის ნუნციო, 14 მაისისა 1714 წ. რომში სწერს, რომ მან გადასცა საბას პაპის წიგნი და ყოველივე დახმარება აღუთქვა; აცნობებს, რომ საბა წინათვე მასთან ყოფილა და ამასაც მისთვის გადუხდია დარბაზობა; ეგრეთვე აუწყებს, რომ ამ წიგნის გამო საბა მეორედ კიდევ ნახავს მეფეს და მალე წავა რომშიო.

მეფისათვის გადასაცემად საბამ წარადგინა ერთი ვრცელი დაწერილი მოხსენება. ამ მოხსენების პირი ქართულად არ არის, მარტო ფრანგულია, პატრი რიშარდის დაწერილი. ამის გამო ჩვენ ფრანგულადვე მოვიყვანთ აქვე.

„საქართველოს მეფე ვახტანგი ისპაჰანშია და საქართველოს ერთიანად გამაჰმადიანება მოელის და დიდ განსაცდელშია. თუ დაბრუნდა თავის სამთავროში, ქართველები არა მარტო ქრისტიანედ დარჩებიან, არამედ კიდეც შეუერთდებიან კათოლიკე ეკლესიას. თავიანთი მეფის მაგალითისამებრ, რომელიც საამისოდ მზად არის და რომელმაც აღთქვა, რომ მობრუნდება თავის სამშობლოში თუ არა, კათოლიკობა მიიღოს, რადგან იგი ამ თავის უბედურობას აწერს იმას, რომ აქამდე შეაყოვნა კათოლიკობის მიღება. მეფე ამას გარდა ფიქრობს, ყოველი დახმარება აღმოუჩინოს მისიონერებს, რათა მოაქციონ მთელი ჩერქეზეთი, რომელიც საქართველოს საზღვარზეა და საიდანაც თავისი მეუღლე მოიყვანა.

„რადგან ვუწყი, რომ საფრანგეთის დიდი იმპერატორი იმიტომ უჩენს თავის მფარველობას სარწმუნოებისათვის დევნულ მეფეებს, რათა განჰფინოს მთელ ქვეყანაზე ის სარწმუნოება, რომელსაც თვით ეგოდენის გულმხურვალებით აღიარებს, ამიტომ მეც ვუჩვენებ მას, თუ რაოდენად ადვილია კათოლიკედ მოქცევა მთელის ოცდა-ოთხის პროვინციისა, რომლებიც სავსე არიან ერით და ეგრეთვე ბევრს მეზობელ სამთავროებსაც, რომლებიც წარმართობას მისცემიან.

„აი, მხოლოდ ამ ერის ცხონების გამოა, რომ მე ვიკისრე ეს დიდი მგზავრობა, მოველ და ვემხობი ეკლესიის პირმშო შვილის ფერხთა წინაშე. იმედი მაქვს, ამ წერილმა წადილსა გვწიოს და დაავალოთ ყეინს, რათა თქვენის ბრძანების აღსასრულებლად ვახტანგი საქართველოში გამოგზავნოს. უკეთუ შეჰპირდებით საჩუქარს სპარსეთის დიდებულთ, მაშინ ამ დაპირების გამო ყეინს დაავალებენ რომ მალე აღასრულოს.

„ამნაირის საშუალებით ვერავინ გაიგებს თუ რა დახმარების აღმოჩენა ეწადა თქვენს იმპერატორობას, ხოლო ამის ასრულებას მიანდობთ თქვენს მიერ არჩეულ პირს. სპარსეთში ჩვეულებად აქვსთ ხოლმე, რომ, რომელსამე საქმის შესასრულებლად, ჯერ შეჰპირდებიან მარტო წერილით და არაფერს მისცემენ, ვიდრე საქმეს ბოლომდე არ აასრულებენ. ამიტომ სპარსეთის გავლენიან პირთ ჯერ არაფერი უნდა მიეცესთ, ვიდრე ვახტანგი თავის სამეფოში არ დაბრუნდება უვნებლად.

„დავასახელოთ თუ რა გვარი დახმარება იქმნება საჭირო. საჭიროა 300,000 ეკიუ და კიდეც კმარა. მაგრამ საქართველოს მეფემ რა ჰქმნა ისეთი, რომ ღირსი გახდეს ამ წყალობისა? ეს ერთი ქრისტიანე მეფეა და იმის საბუთად, რომ ისიც ღირსია დახმარებისა, ასახელებს ბევრს მეფეებს და მთავრებს, რომელთაც სხვა და სხვა უბედურების დროს შეეწია და კვალად ეწევა ეგოდენის დიდებით მათი უქრისტიანესი ხელ-

მწიფება. გარდა ამისა, ეს მეფე დიდათ ნატრობს თავის ერის ცხონებისათვის, გულწრფელად მიჰბაძოს კეთილ მაგალითს უავგუსტოესის და მეტად გულუხვის ხელმწიფისას, რომელსაც სთხოვს შემწეობას. ხოლო ვერ მიბაძავს, უკეთუ მისი ძლიერი მფარველობა არ ექმნა.

„გარდა ამ წყალობისა, რომელსაც ვახტანგისათვის ვსთხოვ საფრანგეთის უძლიერესს იმპერატორს, კვალად მინდა მოვახსენო მას ყოვლად მდაბალი სათხოვარი სამეგრელოს პატრიარქისა. ამ ეპისკოპოსს მე ძრიელ დიდი ხანია ვიცნობ სთნო კაცად; როცა მის პროვინციაში გამოვიარე, დიდის ვედრებით მევედრა, რათა რვა ანუ ხუთი მისიონერი ვსთხოვო მათ ხელმწიფებას, რომელიც ცნობილია მთელს აღმოსავლეთში ყველა მისიონერების მფარველად და შემწედ.

„ამ პატრიარქის აზრი ეს არის, რომ შეუერთდეს წმიდა საყდარსა და მისიონერებთან ერთად ეცადოს აფხაზების მოქცევას. იმის საბუთად, რომ ყოველსავე ამას გულწრფელად მთხოვდა, თან გამომატანა მონაზონი დავით, რომელსაც იგი უზომოდ ენდობა, ამან უნდა მოუყვანოს მას მისიონერები, რომლების გამოგზავნასაც მოელის მათის ხელმწიფობის გულკეთილობისაგან... ინებოს და მოწყალების თვალით გადახედოს ეგოდენ გაჭირვებულ პროვინციებს. მას ადვილად შეუძლია ამათგანს ზოგს გააცნოს ჭეშმარიტი ღმერთი და ზოგიც ეკკლესიის მორჩილი გახადოს.

„ამ აზრის განსახორციელებლად ყველაზედ მეტად ბუნებრივი და შეგვიძლია ვსთქვათ, ერთად ერთი საშუალება ის არის, რომ ვახტანგი დაბრუნდეს თავის სამეფოში. რადგან მას იჭერენ ისპაჰანში სპარსეთის მოწინავე პირნი, რომელთაც ყეინი თავის ნებაზე დაჰყავსთ და აგონებენ, თუ თავისი სარგებლობა უნდა, არ გაუშვას ვახტანგი საქართველოში, ამიტომ საჭიროა იმ პირთა გულის მოგება, რის ქმნაც შეიძლება საჩუქრებით. ხოლო ამ საჩუქრების მიცემა ვახტანგს არ შეუძლია თუ იმიტომ, რომ ცოტა ხანია, რაც მეფობს და თუ იმიტომ, დიდი ხარჯი მოუვიდა.

„თავისი გულმოდგინებისა და სახიერების გავლენით თუ აწ ინებებს ყოვლად ქრისტიანე ხელმწიფე და შეეწევა ამ მეფეს, საუკეთესო საშუალება ამისი სისრულეში მოყვანისათვის ის არის, რომ ინებოს და ერთი თავისი საიმედო პირი გაგზავნოს და მასვე გაატანოს ვახტანგისათვის საჭირო ნივთიერი შემწეობა, რათა იმან შეიძლოს სპარსელთ მოწინავე პირთა გულის მოგება; ეგრეთვე სპარსეთის მეფეს ერთი წიგნი მისწეროს და სთხოვოს, რომ მან უბრძანოს საქართველოს მმართველებს, რათა ფრანგებს, რომლებიც იქ გაატარებენ თავიანთ საქონელს სპარსეთში წასაღებად, შიში არაფრისა ჰქონდესთ“. (1)

რაც შეეხებოდა სამეგრელოში მისიონერების გაგზავნას საფრანგეთის მთავრობა დაჰპირდა, რომ როგორც პაპი დაადგენდა, ის ყველაფერს შეასრულებდა, მაგრამ თხოვნა კი ფულით დახმარებისა, ვგონებთ, ველარ აუსრულა. ამასთანავე არის კვალად ერთი სხვა ვრცელი მოხსენება, საბას ნალაპარაკევის თანახმად შედგენილი და დაწერილია იმავე დროს, ესე იგი 25 აპრილს 1714. დამწერის სახელი არა სჩანს, მოხსენება შეეხება საქართველოს მისიონს და ფრანგთა ვაჭრობის საქმეს საქართველოსა და სპარსეთში. ჩვენ მოვიყვანთ მარტო მისიონის შესახებ ნაწილს:

როგორც სჩანს, სულხან საბას საქართველოში გავლენა აქვს ხალხსა და მეფის სასახლეზე. ეგრეთვე ეტყობა, რომ, დიდი სასოება აქვს კათოლიკე სარწმუნოებისა და უნდა მიაღებინოს ეს სარწმუნოება თავის ქვეყნის მთელს ერს, რომელიც რომისგან განყრილია. თვითონ, 22 წელიწადია, რაც კათოლიკობა მიიღო და შემდგომ გახდა მონაზონი, რათა უფრო თავისუფლად იღვაწოს შეერთებისათვის, ამიტომაც იმ სიშორიდან მოვიდა საფრანგეთს, რომ მოიპოვოს მისიონერები. სამეგრელოს პატრიარქი, რომელიც იმავე დროს პატრიარქია აფხაზებისა, იმერლებისა და გურულებისა, რომელნიც სულ სხვა-და-სხვა ხალხნი არიან, ამავე აზრით მას მიემხრო. ამ პატრიარქს უნდა ჯერ თვითონ შეისწავლოს კათოლიკობა და შემდგომ რომის ეკკლესიას შეუერთოს ყველა ეს ქვეყნები. ისინი ამბობენ, რომ საქართველოს მეფე ვახტანგ ძრიელ ნატრობს მიიღოს კათოლიკობა და ამ ნაირად თვითვე მისცეს მაგალითი ყველა იმ თავის ქვეშევრდომებს, რომლებიც კიდევ დარჩენია. გარდა ამისა ეს მეფე თავის მეუღლის საშუალებით დაკავშირებულია სამ მთავართან, რომლებიც განაგებენ ჩერქეზეთს და რომლებიც ძმებნი არიან: ამის გამო შემდეგში ადვილი იქმნება მოქცევა ამათი ქვეშევრდომებისა, რომლებსაც ვრცელი და მიუდგომელი ადგილი უკავიათ კავკასიონის მთების იქითა მხარეს. ღრმად დასაჯერი და მოსალოდნელია ამ ერთა შეძენა. მით უფრო ადვილი შეიქნეს, რომ პატიოსანნი, მშვიდნი, ზრდილნი, უცხოების ძრიელ პატივის მცემელნი და შემწყნარებელნი არიან; სწორედ არც ერთ სარწმუნოებას არ ადგანან: ზოგნი ქრისტიანედ უწოდებენ თავიანთ თავს და ზოგნიც მაჰმადიანად. ხოლო არც ერთმა და არც მეორემ იცის, თუ რა არის ის სარწმუნოება, რომელსაც ვითომ თვითონ აღიარებს. შეიძლება ითქვას, რომ წელიწადში იმოდენი ერი მოაქციოს კაცმა, რამდენიც საფრანგეთშია. ეს საქმე ძრიელ ადვილია, ამიტომ ყურადღებელი არ უნდა დარჩეს. ამის დასაწყობად და სისრულეში მოსაყვანად საჭიროა მხოლოდ საკმაო რიცხვი კარგად გამორჩეულის მისიონერებისა, რომელთაც სხვა

არაფერი უნდა ეძიონ, თუ არ თავიანთი მისიონის კარგად აღსრულება. თქმა არ უნდა, რომ მარტო ეს მიზანი ჭეშმარიტად ღირსია მეფის დიდებისა, მისის გულმოდგინებისა და მხურვალებისა...“ (1)

ეს მოხსენებაც კარგ ცნობებს გვაძლევს. ამ წერილის მოწმობით საბას კათოლიკობა უნდა მიეღო 1692 წ. ხოლო ჩვენ ზემოდ ვნახეთ, რომ იგი გაკათოლიკებულა 1687 წ. გიორგი მეფესთან ერთად. ზემოდ ვახტანგის მიერ გაგზავნილ იტალიანურ წიგნში ვნახეთ, რომ საბა მონაზონად აღკვეცის შემდგომ, წმიდა ივანე ნათლის მცემელის მონასტრის წინამძღვარი გამხდარა. ეს საბუთი საკმაოდ გვიმტკიცებს, იმ დროს ხსენებულის მონასტრის მონაზონებიც კათოლიკენი უნდა ყოფილიყვნენ, რადგან წარმოუდგენელია, ერთ და იმავე ალაგს უფროსი კათოლიკე იყოს და მისნი ქვეშევრდომნი კი არა. ეს უფრო ადვილად დასარწმუნებელი იქმნება, თუ მხედველობაში ვიქონიებთ საბას დიდ გავლენას მთელს საქართველოზე და მის დიდ მოწადინებას კათოლიკობის გასავრცელებლად, როგორათაც საბუთები გვიჩვენებს. ამ საბუთების ძალით ისიც შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იმ დროებში ქართველ კათოლიკენი ბევრნი უნდა ყოფილიყვნენ.

სამეგრელოს კათალიკოსისას ზედ მიწევნით ვერაფერს ვიტყვით, რადგან ამ საბუთებს გარდა მის შესახებ სხვა ცნობები არა გვაქვს. ხოლო აქ მოყვანილი ქაღალდებიდან საკმაოდ სჩანს მისი დიდი სურვილი კათოლიკობის მიღებისა და გავრცელებისა. აგრეთვე შეგვიძლია დავსძინოთ, რომ მისი ასეთი სურვილი კათოლიკობისათვის სამეგრელოში უნაყოფოდ არ უნდა დარჩენილიყო.

ჩვენ აღარ გამოვუდგებით შემოტანას სხვა მოხსენებისას, რომელიც შეეხება ამავე საგნებს და რომელიც ეკუთვნის საბას და ეგრეთვე სხვა პირებსაც. ხოლო მოვიხსენიებთ, რომ მისიონერები იმ დროს სპარსეთიდან ვახტანგის შესახებ სწერენ და იტყობინებიან, რომ ვახტანგს საფრანგეთიდან წერილების მიღების შემდგომ, სპარსელები უფრო მკაცრად ეპყრობიან, და ძალას ატანენ გამაჰმადიანდესო, მაგრამ იგი მტკიცედ არის სარწმუნოებაზედა; ეგრეთვე აუწყებენ საქართველოს დიდ არეულობას.

საბამ რა მიიღო პაპის წერილი, მეორედ ენახულა საფრანგეთის მეფეს მაისის თვეში და ეს წერილი გადასცა. ამ შემთხვევაში საბას შესხმა უთქვამს მეფისათვის. ეს მარტო ფრანგულად არის. სჩანს, რომ მეფის წინაშე პატრი რიშარდს საბას გამოთქმული სიტყვა ფრანგულად გადმოუცია. რადგან ეს ვრცელი არ არის, სრულიად მოვიყვანთ აქ.

„პატივი გვაქვს მოვართვათ თქვენს ხელმწიფებას წერილი, რომელიც ჩვენმა წმიდა პაპმა კეთილ ინება და გამოგზავნა საქართველოს

მეფის ვახტანგის სასარგებლოდ. მათი უწმიდესობა ამითი ჩვენ ძვირფას შემთხვევას გვაძლევს, რათა მეორე გზის წარვსდგეთ თქვენის მეფობის ტახტის წინაშე, რაის ნებაც კეთილ ინებეთ და გვიბოძეთ. ამ თქვენის მოწყალების განმეორება საკმაოა ჩვენს დასავალებლად, რათა მარადის გამოუთქმელის სიამოვნებით მოვიგონოთ ეს ჩვენი მგზავრობა, კიდეც რომ ღვთის ნებით სხვა აღარც ერთი სასარგებლო ნაყოფი მოჰყვეს.

„რა დიდი ბედნიერებაა აწ ჩვენთვის განვაცხადოთ, რომ ღირსი გავხდით დავსწრებოდით და გვეხილა ყოველივე ის, რაც სხვებს შორიდან აკვირვებს და აოცებს, ვინაიდგან ჩვენის თვალით ვიხილეთ თქვენს უავგუსტოეს ხელმწიფებაში არა მარტო სოლომონის სიბრძნე და დიდება, არამედ დავითის სარწმუნოება და სასოებაც.

„დიდებულო მეფეო, სწორედ ამ სასოებით არის, რომ თქვენი ხელმწიფება შეიქმნა მეფეთა შემწე და სარწმუნოების მფარველი თვით იმ დაშორებულ ადგილებშიაც, როგორც არის ჩვენი ქვეყანა". (1).

მეფის მეორეჯერ ნახვის შემდგომ, საბა დიდ ხანს აღარ დარჩენილა საფრანგეთში, ივნისის პირველ რიცხვებში წავიდა რომს. მინისტრმა პონშანტრმა კარდინალთან გაატანა ერთი წერილი, რომელიც დაწერილია 1714 წ. მაისის 30. ამ წიგნში მინისტრი იხსენიებს საბას საფრანგეთში მისვლას და მეფის წინაშე წარდგომას. ეგრეთვე აუწყებს მეფის გარდაწყვეტილებას, რომ მზად არის აღასრულოს ყველა, რასაც პაპი დაადგენს საქართველოში მისიონერების გაგზავნის შესახებო. მასთანვე ავედრებს კარდინალს, რათა საბა განსაკუთრებულის პატივით მიიღოს. როდესაც საბა რომს მოვიდა, პაპმა, კარდინალებმა და ეგრეთვე რომაელმა თავადობამ დიდის პატივით მიიღეს. ამას თვითონაც იხსენიებს ამ წერილში, რომელიც მისწერა მინისტრს:

„ქ. დიდისა და მაღლის მეფის საყვარელო და გულითადო მისანდობელო, და ხუაშადის შემნახო, უფროს ვეზირო, ბატონო მუსიუ პონშანტრან, სულხან საბა ორბელიან. გიხაროდენ:

„ღვთის მადლითა და მაღლის მეფის ბედნიერებითა, მეფის კატარლით, ცხრა იკლისს *), მშვიდობით მოვედით რომს თქვენი პატიოსანი წიგნები ყარდნელს **) მისინიორ ლატრიმულს, და კარდნელს მისინიორ საკრიპანტის მივართვით: რომელიც თქვენი ვედრება ეწერა, ნამეტნავად გაისარჯნენ, და სიკეთე მოიჭირვეს, და კარგად დაგვხვდნენ. ერთს კაის ადგილს დაგვაყენეს.

„რადგან მტკიცე ქრისტიანის მეფის გამოგზავნილი ვიყავით წმიდა პაპმა მამაშვილურის თვალით და გულით შეგვიტკბო: მუსიუ რიმარს

*) ერთ სხვა საბუთში ივლისის ათია მოხსენებული.
**) უნდა იყოს: კარდინალს.

ჭრაც დააბარა თავის შვილ მეფესთან ჩვენის საქმისა ეს მოგახსენებს: მუსიუ რიშარიც მეფის ბრძანებითა და წმიდა პაპის ბრძანებით მანდეთ წამოვიდა: ჩვენც ამის მოიმედნე ვართ, როგორათაც თქუენის მართლის პირისაგან ჩუენის საქმის გარიგების პირობა გვიბრძანეთ, ისიები ისე გაგვითაოთ: ჩვენც დღე და ღამე თქუენი მლოცავი ვართ: და თქუენის შვილისა რომ ღმერთმან დიდი დღე მოგცეს. კვ: ივლის დაიწერა: სულხან საბა. (1714)". (1).

პატრი რიშარდი, რომელმაც რომს ჩაიყვანა საბა, მეფემ მალე დაიბარა საფრანგეთში, რადგან ამ დროს სპარსეთიდგან პარიზს მიდიოდა ელჩი, რომელსაც პატრი რიშარდი კარგად იცნობდა, პაპმა ამავე თარიღით რიშარდს გაატანა მეორე წიგნი ლუდოვიკე მეფესთან ვახტანგის დასახსნელად. ამ წერილში პაპი დიდათ ევედრება, რომ გაბედული და სწრაფი შემწეობა აღმოუჩინოს ვახტანგის დასახსნელად. ამის სისრულეში მალე მოსაყვანად უჩვენებს ვახტანგის სიმტკიცეს სარწმუნოებაში, რადგან გამაჰმადიანებაზე არ თანხმდებაო; ეგრეთვე უთვალისწინებს ყოველ იმ სიკეთეს, რომელიც მოელის კათოლიკე სარწმუნოებას ვახტანგის დაბრუნებით.

სამწუხაროდ დაწვრილებით ცნობები ვერ ვიპოვეთ საბას დარჩენისა რომში, სადაც ორი თვე გაატარა. არც ის ვიცით, თუ რავდენ გზის ინახულა პაპმა. რომიდან წასვლის დროს პაპმა მეფე ვახტანგთან ეს წერილი გაატანა:

„ბრწყინვალე და უძლიერეს ვახტანგს, აზიელ ივერიის მეფეს.

„კლემენტე XI. ბრწყნვალე და უძლეველო მეფევ, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი, არ შეგვიძლია სიტყვით გამოვაცხადოთ თუ რაოდნად გაგვახარა ამ წარჩინებულ ქალაქში მოსვლით ჩვენმა საყვარელმა შვილმა, საბა სულხან წმიდა ბასილის მონაზონმა და თქვენმა ნათესავმა. ბევრი რამ გვიამბო ისეთი, რაც მაგ მხარეში კათოლიკე სარწმუნოების წარმატებას ხელს შეუწყობს. რა ვსცანით თქვენი დატყვევება სპარსეთის მთავრობისაგან, ძრიელ შევსწუხდით, ვინაიდგან თქვენი ძლიერი და განუწყვეტელი დახმარება კათოლიკე სარწმუნოებას დიდად შეეწევა. ამიტომ ჩვენც არაფერი დავზოგეთ, ყოველი ღონე ვიღონეთ, რათა თქვენ გეღირსოსთ მალე განთავისუფლება და თქვენს სამთავროში მობრუნება, ვითარცა ამას ვრცლად მოგახსენებს ეს ხსენებული მონაზონი. აწ უფლისა მიერ მამობრივის სიყვარულით შეგაგულიანებთ, რათა ყოველი შეწუხება და სატანჯველი, რომელიც ხშირად შეგვემთხვევა ამ ცრემლის ხევში, მოთმინებითა და მხნედ იტვირთოთ და ამნაირად მაგ შეწუხებისგან გამოიღებთ ნაყოფს. თუმცა კარგად ვუწყით, რომ თქვენ არ გჭირიათ გამხნევება. რათა, მსგავსად თქვენ წინაპართა, კათოლიკე

სარწმუნოება, მისი აღმსარებელნი და მისი მოძღვარნი დაიფაროთ და შეეწიოთ მათ: გარნა, რადგან ეს ჩვენის მწყემსებრივის ვალდებულობის უმთავრესი საზრუნველია, ამიტომ სულ არ დავდუმდებით, არამედ დიდად დაგავედრებთ და გთხოვთ, რაც თქვენის ნებით ჰყოფთ მათ სასარგებლოდ, ინებეთ მისი ქმნა ჩვენგამო, რათა უფრო გულმოდგინებით იყოს. ვინაიდგან ვსცანით, რომ თქვენი ხელმწიფება დიდათ მოწადინებული ყოფილა კათოლიკე ეკკლესიასთან შეერთებას და აღთქმაც დაუდვია, ამის გამო ჩვენც გირჩევთ რათა დაუყონებლად აღასრულოთ ეგ თქვენი სასარგებლო და საჭირო სურვილი, რომ მით მიაგოთ ღმერთს რაც აღუთქვით. უკეთუ ეს აღასრულოთ, თქვენის სულის საუკუნო ცხოვრება უზრუნველ ჰყოთ; ეგრეთვე ჩვენც თქვენდამი მამობრივის სიყვარულის გამოცხადება არ შევსწყვიტოთ და რითაც კი შეგვიძლია, ყოველთვის შეგეწიოთ. აწ სიმდაბლით ვევედრებით ღმერთსა, რომლის ხელთ არიან გულნი მეფეთანი, რათა სრულ ჰყოს თქვენში ის საქმე, რომელიც დაიწყო, განამტკიცოს და დიდხანს უვნებლად გაცოცხლოსთ და მოგანიჭოსთ ცხოვრების ყოველგვარი ბედნიერება. რომით, 17 აგვისტოს 1714". (1)

სანამ საბა რომიდგან წავიდოდა, პროპაგანდამ 1714, ივლისს 25, მინისტრს პონშანტრანს დიდის მადლობის წერილი მისწერა საბას მფარველობისათვის და თანაც აუწყა, რომ პაპმა საბა დიდის პატივით მიიღო და უჩვენა მას უზომო მამობრივი სიყვარული და გულუხვობა. ეგრეთვე დაჰპირდა, როდესაც გადაწყდება მისიონერების გაგზავნის საქმე სამეგრელოში, მაშინვე გაცნობებთო. ამავე წერილში მოხსენებულ იყო საფრანგეთში, რომ საბა კვალად უნდა მიბრუნებულიყო საფრანგეთში, რათა მეფისათვის განეახლებინა ვახტანგის გამოხსნისათვის თხოვნა. მაგრამ სხვა წერილიდან ვიცით, რომ საბა აღარ მიბრუნებულა საფრანგეთში. ამის რომში ყოფნის დროს ჯერ გადაწყვეტილი არ იყო, თუ რომელი მისიონერები უნდა გაეგზავნათ სამეგრელოში; მაგრამ შეჰპირდენ კი უეჭველად გამოვგზავნითო, ტფილისის მისიონისათვის კი პროპაგანდამ მაშინვე იშოვნა 12 კაპუცინი. სიფრთხილისათვის ისინი სამგზავროდ ორად განიყვნენ. ექვსი გაემგზავრა ვენეციიდან 14 დეკემბერს, 1714, ხოლო ექვსი წავიდა ლივორნიდგან 4 თებერვალს, 1715.

სამწუხაროდ რომში ვერაფერი ვპოვეთ საბას იქ ყოფნისა, ხოლო ფლორენციის არხივებში კი ცოტა რასმე შევხვდით მის იმ ქალაქში მისვლის შესახებ. გრანდუკა კოზიმო მესამეს დროის არხივებში მოხსენებულია: „ხუთშაფათ დილით 13 სექტემბერს, 1714, წინალამით, რომიდან ფლორენციაში მოვიდა ბასილიანი მონაზონი სულხან საბა ორბელი, საქართველოს ერთი თავადთაგანი. დააყენეს იგი წმიდა სამების მონასტერში, სადაც გრანდუკა დიდის პატივით მოეპყრო. ეს უკვე გა-

კათოლიკებული იყო; ამას ჰყავდა ორი მეუღლე; უკანასკნელი გარდაიცვალა კათოლიკედ. *) თვითონაც ამ დროს 62 წლისა იყო, ამ ქართველი თავადის თხოვნით ახადეს ფარდა 18 სექტემბერს, ხარების ღვთისმშობლის ხატს, რასაც დიდი ხალხი დაესწრო. 20 სექტემბერს 1714, ხუთშაფათ დილით ხსენებული საბა ორბელი ბასილიანი მონაზონი თავისი მისიონერებით აზიაში დასაბრუნებლად წავიდა მეტად კმაყოფილი გრანდუკასა და ფლორენციის ქალაქისგან". (1). საბას გრანდუკასთვის ერთი მოხსენება წარუდგენია. ეს ჩვენ ვერ ვიპოვეთ.

ხოლო თოსკანის მისიონერების არხივის მოხსენებაში უფრო დაწვრილებით ცნობას ვპოვებთ ამის შესახებ: „1714 წ. ივლისის 10, ზღვით მოვიდა რომს საქართველოს მეფის ბიძა, რომელიც პაპმა, კარდინალებმა და თავადებმა დიდის პატივათ მიიღეს; კარდინალებმა და თავადებმა მას ძრიელ ბევრი საჩუქრები მიართვეს; ეგრეთვე პაპისაგანაც მიიღო ერთი დიდი ოქროს მედალი, სხვა და სხვა საჩუქარი და მასთანვე საკმაო ფულიც საქართველოში დაბრუნების გზის ხარჯად, რადგან ეხლა გაღარიბებულია იმისგამო, რომ ხსენებულ საქართველოს მეფეს, მის დისწულს, სულთანმა (Gran Turco) სამთავრო ჩამოართვა და ახლა დატყვევებულია. რომს იმიტომ მოვიდა, რათა პაპისაგან და სხვა მთავრებისაგან შემწეობა მოიპოვოს თავის დისწულის დასახსნელად. 28 აგვისტოს მიწვეულ იქმნა უცხოელთათვის გამართულ ნადიმზედ, სადაც თვით პაპი ემსახურებოდა, რისგამო ამ მთავარმა მეტად კეთილი მაგალითი მიიღო.—11 სექტემბერს მოვიდა ფლორენციაში, ჩამოხდა წმიდა ლუიჯის სასტუმროში, მაგრამ, გრანდუკას ბრძანებით, ორი ეტლით წაიყვანეს წმიდა სამების სასახლეში, სადაც მშვენიერად მოწყობილია ყველაფერი ამისთანა სტუმრებისათვის. ეს 60 წლისა არის (1), მაღალი ტანისა, მხნე და ძრიელის აგებულობისა, მშვენიერი სახე აქვს და თეთრმოწითლო ფერი; ერთ მტკაველზე მეტი გრძელი წვერი აქვს, რომელიც დიდად უხდება. ბერძნების სარწმუნოებისა იყო, მაგრამ 20 წელიწადზე მეტია, რაც კათოლიკობა მიიღო საქართველოში მყოფ ჩვენი პატრების საშუალებით, განსაკუთრებით პატრი სილიბისტრე და პატრი ანჯელოს შემწეობით. ქართულის და თათრულის მეტი სხვა ენა არ იცის. ამიტომ მოითხოვა და რომში გაუგზავნეს ხსენებული პატრი სილიბისტრე (რომელიც კარგა ხანია საქართველოდან დაბრუნებული იყო), რომელმაც ქართული ძრიელ კარგად იცის. იგი თან ახლდა მოენეს და სხვა საჭიროების დროს (რადგან რიშარდი მას განშორდა 25 ივლისს). ამისგამო ის პატრი თან მოჰყვა ფლორენციაში.—აქ გრანდუკა მიჰყვა

* ეს უნდა მომხდარიყო 1709—1712 წლებში.

პაპის მაგალითს და, რაოდნადაც შეეძლო, კარგად მოეპყრო და დიდი პატივი სცა, რადგან არა მარტო თავის ეტლს აძლევდა ქალაქში სასიარულოდ და შესანიშნავს სუფრას უშლიდა, არამედ ძრიელ შვენიერი საჩუქრებიც უთავაზა.—კაპუცინმა პატრებმაც მიჰბაძეს და გამოუცხადეს თავიანთი სიყვარული და პატივი; რაოდნათაც კი თავიანთი სიგლახაკე ნებას აძლევდათ, რადგან რომის პროვინციალს ფაქი გაუცნობებია ამიტომ მონთუგის მონასტრის უფროსმა 17 სექტემბერს მონასტერში სადილად მიიწვია მისის მხლებელი პირებითურთ, ვინც კი იყო, ერთი მღვდელი, ერთი თავისი ბაზილიანი მონაზონი და ერთიც თავისი მოსამსახურე. მოიყვანეს ექვს ცხენიანი ეტლით. დილით აღსარება სთქვა და წირვაზედ ეზიარა დიდის სასოებით; ამ დროს დიდი კეთილი მაგალითი მისცა იქ დამსწრეთ. რაოდნათაც კი შესაძლებელი იყო კაი სუფრა გაუწყვეს; რისაც დიდი კმაყოფილი დარჩა. საღამოზე გრანდუკამ ექვს ცხენიანი ეტლი გამოგზავნა და წაიყვანინა სადგომში. მეორე დღეს აქ მოვიდა პატრი ანჯელო, რომელიც მას იცნობდა საქართველოში. მაშინვე ერთ სხვა მისიონერთან ერთად მივიდა მის სანახავად რაც ძრიელ გაეხარდა საბას, რადგან ამ პატრმაც ქართული იცოდა; ეს ორივე თავისთან დაიჭირა სადილად და ძრიელ შინაურად შეექცნენ. 20 სექტემბერს, თავის მხლებლებით წავიდა ფლორენციიდან მათის ხელმწიფობის საგანგებო ნავით. პატრი ანჯელო ლივორნამდე გაჰყვა. ხოლო მეორე მისიონერი კი თან წაიყვანა სიჩილიამდე“.

საბას სიჩილიაში მოგზაურობისა არაფერი ვიცით. მხოლოდ მოგვეპოვება ეს წერილი, რომელიც მინისტრს მისწერა საბამ პარიზში:

„დიდად ბრძენო და პატიოსანო, უფროსო ვეზირო ფრანციის მეფისაო. მუსიუ პონშანტრან: ქ. ვიცი რომ დავაკელი. თქვენ რომ მიბძანეთ „სადაც მიხვიდე შენი ამბავი მომწერეო“: რომიდგან მოგწერე რომელიც წმიდამ პაპმა ჩვენზედ წყალობა ქნა; რომელიც დიდმა მეფემ მისწერა ჩვენთვის გულისათვის უმდევ ნამეტნავი წყალობა გვიყო.

„რომიდამ წამოსვლის უკან, წმიდის პაპის ხარჯით ის ქვეყნები გამოვიარეთ, და ფლორენციაში მოვედით; რა გრანდუკამ ჩვენი პატივი დიდის მეფისგან, და წმიდა რომის პაპისგან შეიტყო, მაშინვე კარგად დაგვაყენა, კაი პატივითა, კარგად დაგვხვდა. იქ ყოფაშიაც, და გზაზე მამულშიაც სრულობით მისი ხარჯი იყო: კაის კელის შეწყობით მოგვეპყრა.

„ალივორნას თქვენი კონსული (კონსოლი) მუსიუ დუმალია დაგვხვდა, იმან მოინდომა, რომ სახლში დამდგარიყავით; მაგრამ გრანდუკასგან ბრძანება იყო ჩვენ რომ მონასტერში უნდა დამდგარიყავით. და მისთვის ვერ დავდექით: კონსული მალ-მალ მოვიდის. გვიალერსის: და

აჯამის ქუეყნის ამბები ჩამოვარდა: ასე იცოდა სპარსეთის საქმე, იქ გაზდილი მეგონა: დიაღ მიამა მისი ასეთი ცოდნა. იმ ქუეყანას კაი გასაგზავნია. პირველად ეს კუნძული, და იმ ქუეყნის საკადრისი.

„მე მაგას არ მოგახსენებ რომ თქვენს დიდ ჭკუას დავეცილო საქმესა. მაგრამ მე, რაც მოხსენება მართებს, მოგახსენებ, რომ ფრანცისკები ჩემთვის დიდად საყვარელნი არიან.

„ალიკორნიდამ წამოსული, პილერმოს მოვედით: იქ თქვენი კუნძული მრავალს გაისაჯა. სხვა არავინ გვინახამს: იქიდამ მისიონას მივედით: აქაური კუნძული თუ არ დაგვხდომოდა, არ ვიცით სად უნდა დამდგარვიყავით: იმან თვითონ წამიყვანა წმიდის ბასილის ჩუენის მონასტერში დამაყენა. ყოველ დღეს თავის ეტლს გამოგზავნიდის. ყოველ დღე მოვიდის, გვიალერსის: ეს ბატონები ყველა, თქუენის გულისათვის, კარგა გვეპყრობოდნენ. ამისათვის მოგწერ რომ იმათ წყალობა უყოთ.

„გეხვეწები რომ მოციქულები მალე გამოგზავნოთ. რომ კოსტანტინეპოლს მოვიყვანო. ამ ზამთარ აქ მოვასვენო: ვიცი, ჩუენის საქმისათვის დიდად მომჭირნე ბრძანდებით, და ამას მოველი უფრო თავს გამოიდვოთ, რომ ჩემი მეფე და ჩუენი ქუეყანა შენი მოვალე შეიქმნენ: და მე ნიადაგ შენი მლოცველი ვიყო:

„დაიწერა ოკდომბერს: 26: (1714) სულხან საბა ორბელიანი მოგახსენებ“. (1).

ისე ჰგავს, საბას დიდ ხანს არ დაუყვია სიჩილიაში, მალე წასულა კოსტანტინეპოლს. იქ რა მივიდა, ეს წერილი გამოუგზავნა მინისტრს:

„მუსიე პონშარტრან: ქ. მაღალის მეფის გულითადო ვეზირო. და საყვარელო მოსანდობელო.

„შერმე ღთის მადლითა. და თქუენის ბძანების შეწევნითა: შო-ჩანვარს კოსტანტინეპოლს მშვიდობით მივედით. მალთოდამე; ბატონმა ელჩმა ერთს სახლში დაგვაყენა კაის პატივით, კელის შეწყნობით, როგორც უწინ ვიყავით. ისრე ეხლა გაგვირიგა. აქ ვახტანგ მეფის, და ჩემ ძმების წიგნები დამხვდა მონაწერი: ვახტანგსი ივნისის თვეში მოეწერა. და აჯამთ ქრისტეს სარწმუნოებისათვის დიაღ შეუწუხებიათ. მაგრამ მიხარიან რომ მაგრა დგარა, და რამდენიც შეაწუხონ. უფრო გამაგრდება:

„ჩემთან ეს მოუწერია „ჩემი იმედი, ღთის გარდა, არა აქვს რაო. და შენ იცი ჩემს საქმეზე რასაც გაირჯებიო. და დიდი მეფის შეწევნას. და შველის მაყურებელი ვარო“: თქუენ ხომ მრავალსა ფერისა გისაჯენით. მაგრამ ამას გეხვეწები კიდევ უფრო გაისაჯოთ. რაც დიდმა მეფემ თავის უტყუარი პირით წყალობა მიბძანა. მისი მომლოდინე ვარ:

„თქუენ მიბძანეთ „წადი, კოსტანტინეპოლს დაჯდეგო. ჩვენც ელჩს მივსწერთო. რომ, იქ რაც ვახტანგს ერგებოდეს ის ქნათო“ „და აქ ამა ელჩს ბრძანება არა მოსვლიარა:

„ჩემს ძმებს ხვეწნა მოუწერია ჩემი მისვლისა, ჩემი ქუეყანა აშლილა, ყულას უნდა მალე მივიდე. მაგრამ თუ მეფის წყალობა და ან ეგ მოციქულები არ მოვლენ, მე ვერ წავალ: ჩემი საქმე და ჩემის ქუეყნისა გამიშვია, და უწინ უნდა მაგ მოციქულების საქმე ვინაღვლო, მერმე ჩემს თემს წავიდე: ჩემის ქუეყნის აშლას, თქუენ ნურას დაიხედავთ, მაგ მოციქულების საქმე არას დამარცხნებს: თუ ამ თათრებსა და შავ ზღვას მოვრჩით, იქით ღთით; მოციქულების საქმე არა დაშავდება რა: ჩემი აქ ყოფნა გრძლად არ ვარგა მისთვის რომ ვინ იცის თუ ჩემი რამ ითქუა, და საჯაროდ გამოვიდა. მრავალი საქმე წახდება:

„ჩემი საქმე, და ჩემის ქვეყნისა ყველა თქუენს საფარველს შემომიგდია, და შენ იცი.

„ერთს ამას გეხვეწები, მალთიდამ, რომ წამოგვიყვანა თქუენის ბრძანებითა, ან ეს ელჩი რასაც ჩუენზე იოჯება, მე მმართებს ამისათვის ღთის წინაშე ვილოცო, სხვა არა შემიძლიარა: ეგება თქუენს წყალობას გარეთ არ დარჩნენ, თქუენი მოსამსახურე სულხან საბა, 18 თებერვალს 1715“ ‑ (1).

შემდგომ აპრილის შვიდს, ერთი ამისი მსგავსი წერილი კიდევ მისწერა. ამ წერილში აუწყებს, რომ კოსტანტინეპოლში მყოფს ელჩს მისთვის ხომალდში ნავი მიუგებებია; ოსმალებს მისთვის მტრობა დაუწყვიათ, მაგრამ ელჩის მფარველობით ვერაფერი უქმნიათ: ეგრეთვე აუწყებს ვახტანგის უმცროსი ძმის, გამაჰმადიანებულ იესეს, საქართველოში მოსვლას და ბაქარის და მისი მომხრეების შეხიზვნას კავკასიის მთებში, მასთანვე ეუბნება, რომ ამ ახალი ბატონის მოსვლა საქართველოში კათოლიკებისათვის კარგი არ არისო და სთხოვს საჩქარო შემწეობას, ამ წიგნთან არის კვალად ერთი ფრანგული წერილი საქართველოს ამბების შესახებ, რაც კოსტანტინეპოლში საქართველოდამ მიღებული საბას სხვა და სხვა წიგნებიდან გამოუკრეფიათ და მინისტრისათვის გაუგზავნიათ.

დომინიკე ძელლა როქა კოსტანტინეპოლიდან პარიზში სწერს პატრი რიშარდს 2 აპრილს 1715ე და სთხოვს, რომ ეცადოს მალე დაამთავრებინოს საბასათვის შეპირებული საქმე, რადგან ძმები და საქართველოს მოწინავე პირნი, დიდი საჭიროების გამო, საჩქაროდ იბარებენ რათა საჭირო რჩევა-დარიგება მისცესო.

რომმა მალე დანიშნა სამეგრელოში გასაგზავნი პატრები. ეს ახალი მისიონი მეანდო პარიზში მყოფ სამისიონერო კონგრეგაციას, რომელსაც

უნდა გაეგზავნა სამეგრელოში და მის გარეშე პროვინციებში იმდენი მღვდელი, რავდენიც კი საჭირო იქნებოდა. საფრანგეთის მეფემაც, თავისი შეპირების თანახმად, თავს იდო იქ მისიონერების შენახვის ყველა ხარჯი. პირველ ხანად ამისათვის გადასდო წელიწადში ათასი სკუდი. პაპმაც საბას და სამეგრელოს კათალიკოსს აცნობა მისიონერების დანიშვნა და დიდად დაავედრა მათ, რათა ყველანაირი შემწეობა აღმოეჩინათ კათოლიკე სარწმუნოების გასავრცელებლად. საბას ეს წიგნი გაუგზავნა:

„ჩვენს საყვარელს შვილს, წმიდა ბასილის წესის მონაზონს უფროსს, საქართველოს თავადს სულხან საბას, პაპი კლემენტე XI.

საყვარელო შვილო მონაზონო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა, თანახმად შენის ნატვრისა და თხოვნისა, გადავსწყვიტეთ გამოვგზავნოთ ამ მოკლე ხანში მოციქულებრივი მისიონერები მაგ მხარეს. თუმცა დიდად დარწმუნებული ვართ შენს მხურვალებაზე, რომლისაც მრავალნაირი და წარჩინებული ნიშნები გვიჩვენე ამ ბრწყინვალე ქალაქში ყოფნის დროს და მზათ ხარ შეეწიო; მაინც კი კვალად და კვალად დიდის თხოვნით დაგავედრებთ მათ, რათა შენი გულკეთილობის ნაყოფი უჩვენო და შენი ძლიერი მფარველობა არ მოაკლო. უწყოდე, რომ ჩვენთვის მეტად სათნო საყოფელი იქმნება და ბევრს გვასიამოვნებ ყველა იმ სამსახურით, რასაც შენის გულკეთილობით და პატიოსნებით მიაგებ მათ, რომ შეიძლონ ყველა თავიანთი მოციქულებრივი სამსახურის აღსრულება. როდესაც შემთხვევა მოგვეცემა, კიდეც გამოგიცხადებთ ჩვენს მადლობას. აწ დაუცხრომელად ვევედრები მოწყალე ღმერთსა, რათა ნაყოფიერ ჰყოს ამ მისიონის წმიდა მოღვაწეობა და შენც წარგიმატოს ზეციერი მადლი და მასთანვე მოგანიჭოს ყოველი ბედნიერება. ჩვენი მამობრივის სიყვარულის ნიშნად განიჭებთ მოციქულებრივ კურთხევას. რომით, მაისისა, 1715". (1)

ამასთან ერთად პაპს კათოლიკოსისათვის ეს მოუწერია:

„პატივცემულს ჩვენს ძმასა სამეგრელოს პატრიარქს, პაპი კლემენტე XI.

„პატივცემულო ძმაო, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი.

„ვინაიდგან ჩვენის მწყემსებრივის ვალდებულობის გამო, მოვალე ვართ მამობრივი მზრუნველობა ვიქონიოთ მთელის ქვეყნის ყველა ქრისტიანებისათვის, ამიტომ სხვას არას ვნატრობთ, მის უმეტეს, რომ ყველა თვითეული მათგანი შეუდგეს ჭეშმარიტს საუკუნო ცხოვრების გზას. აწ აქედან შეგიძლიათ იგულისხმოთ, თუ როგორ გულმოდგინედ გევედრებით, რათა მოციქულებრივი მისიონერები, რომლებსაც ამ მოკლე დროში მანდეთ უნდა გამოვგზავნოთ, გულკეთილად დაიფაროთ და

თქვენის მფარველობით შეეწიოთ მათ კეთილისთვის შრომას. ვითარცა დაგვარწმუნეს, თქვენს პატიოსნებასა და სიმართლის მოყვარეობაზედა, რომ მზად ხართ ყველა უხვად მიანიჭოთ, ამიტომ დიდად ვიმედოვნებთ, როდესაც მათ აღმოუჩენთ თქვენს უხვს შემწეობას, მაშინ ამითი ჰყოფთ თქვენის ვალდებულობის ღირსეულ საქმეს, ჩვენთვისაც მეტად სასიამოვნო და სათნო საყოფელი იქმნება ეგა და ეგრეთვე თქვენდამი მონდობილის ერისათვისაც შეიქმნება ფრიად სასარგებლო. აწ მხურვალედ ვევედრებით ყოვლის სიკეთის მომნიჭებელ უფალსა, რათა თქვენს ძმობას მიჰმადლოს ყოველი ბედნიერება და ჰყოს თვისის მოწყალებით, რომ სანთელი ფერხთა შენთა იყოს სიტყვა შენი და ნათელი ადგილთა შენთა. რომით. 7 მაისისა, 1715". (2).

საბამ კონსტანტინეპოლიდან, როგორც მინისტრს სწერდა საქართველოს ამბავს, ისე რომშიც აცნობებდა ყველაფერსა; გარნა მისი იქიდან მიწერილი წერილები ვერ ვიპოვეთ. პროპაგანდა კონსტანტინეპოლში მას პასუხად სწერს:

„ბატონ სულხან საბას, 30 ივლისი, 1715.

„ამ წმიდა კრებას ძრიელ ესიამოვნა თქვენი მშვიდობით მისვლა მაგ ქალაქში, ეგრეთვე მოსცნო თქვენი ეგრედ კარგად მიღება და მოპყრობა უქრისტიანესის მეფის ქლჩის მიერ. კარდინალებმა და მეც თქვენთან ერთად განვიხარეთ მაგ ამბითა. თქვენი მშვიდობის ამბავი ვაუწყე პაპსაც; მანაც განიხარა და გამოაცხადა განსაკუთრებული მამობრივი სიყვარული და პატივი, რომელიც აქვს თქვენდამი. ეგრეთვე პაპი და კარდინალები ძრიელ შესწუხდნენ, როცა გაიგეს, რომ საქართველოს მეფის ვახტანგის ძმას მთავრობა ხელში ჩაუგდია და ამით ვახტანგის საქმე აურ-დაურევია; გარნა იმედია, რომ სპარსეთის მეფის წინაშე უქრისტიანესი ხელმწიფის გავლენიანი შუამდგომლობით, გარემოება შეიცვალოს და ეგ ქვეყანა ჩაჰბარდეს თავის კანონიერს მთავარს.

„ხოლო მისთვის, რომ კაპუცინების უფროსმა საქართველოში გაგზავნა ესეთ უხერხო დროს ეგრედ მრავალი მისიონერი ერთად, იგი ღირსია შებრალებისა, რადგან მოიქცა ამნაირად იმ აზრით, რომ სასწრაფოდ და გულმოდგინეთ აღესრულებინა თავისი მოვალეობა მისიონერების საჩქაროდ გაგზავნისა. თქვენი წასვლა ეგრეთ მოულოდნელი შემთხვევის გამო, რომ არ შეგულიანებულიყო, მაშინ ამნაირი მოქცევისათვის ღირსი იქნებოდა ქებისა. აწ მისიონერებს დიდად ვავედრებ თქვენს მფარველობას, რათა თქვენის შემწეობით შეიძლონ მოტანა იმ უდიდესი ნაყოფისა, რომელსაც მოველით მათის შრომისაგან. დავშთები თქვენი სამსახურის მოსურნე". (1).

საბა კონსტანტინეპოლში დიდის მოლოდინებით უცდიდა სამეგრელოში წასაყვან მისიონერებს, რომელთა გაგზავნის და შენახვის ხარჯი საფრანგეთის მთავრობამ იკისრა. ეგრეთვე ხსენებული პატრი ივანე რიშარდი დაინიშნა საფრანგეთის საგანგებო ელჩად სპარსეთის მთავრობის წინაშე ვახტანგის გასანთავისუფლებლად და აგრეთვე სხვა საქმეების გამო; მაგრამ სანამ სპარსეთში წავიდოდა და მისიონერებიც სამეგრელოში გაიგზავნებოდენ, საფრანგეთის მეფე, ლუდოვიკე მეთოთხმეტე გარდაიცვალა. ამ დროს საფრანგეთის საქმეებიც აირ-დაირია და მისი მდგომარეობა შესანიშნავად შეიცვალა. რადგან სპარსეთში ელჩის და სამეგრელოში მისიონის გაგზავნის საქმე მარტო გადაწყვეტილი იყო და დაწყებული კი არ იყო მეფე ლუდოვიკეს სიცოცხლის დროს, საფრანგეთის მთავრობამ, სხვა და სხვა გარემოების გამო, სრულებით ყურადღება აღარ მიაქცია და ყოველივე დაპირებად დარჩა. საბამაც რა ნახა, იქ მოცდით აღარაფერს გახდებოდა, დაღონებული წამოვიდა საქართველოს. არა სჩანს, შემდგომ საქართველოში საფრანგეთიდან გაიგზავნენ მისიონერები თუ არა.

ვიდრე საბა მობრუნდებოდა საქართველოში, აქ კათოლიკობის საქმე კარგად მიდიოდა, სპარსეთში მყოფი საფრანგეთის კონსული გარდანე, რა აუწყებს მინისტრს სპარსეთისა და საქართველოს გარემოებას ვაჭრობის შესახებ, 8 ივლისს 1715 წ., კათოლიკობისათვის სწერს: „ტფილისში ექვსი იტალიანელი კაფუცინია. საკმაოდ ჰყავთ კათოლიკები ქართველ ბატონთაგანი. იქაური ეპისკოპოსები და მონაზონები განგებ სწავლობენ, რათა შეიძლონ მათთან ბჭობა დოგმატიკურ საგნებში. ესე ნელ-ნელა ეცნობებიან ჭეშმარიტებას. გორში მარტო ოთხი კაფუცინია, რომელნიც გართულნი არიან გაწვრთნან და ჭეშმარიტ სარწმუნოებაში დაიცვან რავდენიმე თავადი, ანუ საქართველოს პატარა მთავრები და მათი მრავალი ყმა“. (1).

რა მობრუნდა საბა სულხან ორბელიანი, ახლად მოყვანილ 12 კაფუცინთან ერთად დაიწყო გულმოდგინედ ქადაგება და კათოლიკობის გავრცელება საქართველოში; რადგან მეტად გავლენიანი პირი იყო, მისმა ქადაგებამ დიდი გავლენა იქონია ხალხზე და იმდროს ბევრმაც მიიღო კათოლიკობა. ამის შემწეობით კათოლიკობა მალე გაძლიერდა. რა ნახეს კათოლიკების მტრებმა—სომხებმა, ძრიელ განრისხდენ. ამათ ცოტა თუ ბევრად მხარი დაუჭირეს ზოგიერთმა იმ ქართველმაც, რომელნიც საბას მოწინააღმდეგე იყვნენ და მისი ასეთი საქციელი სრულებით არ მოსწონდათ. ასეთის გარემოებით განმხნევებულმა სომხებმა დაუწყეს საშინელი დევნა კათოლიკებსა და კაპუცინებს, ისე რომ მიაყენეს ყოველნაირი უბედურობა, რომლისა მსგავსი მანამდე სრულიად არ გა-

გონილიყო იმ დევნულობაში ქართველებს მონაწილეობა არ მიუღიათ საჯაროდ; მაგრამ წინააღმდეგ თავიანთი ჩვეულებისა, დათანხმებულან და, როგორც უწინ, არ დაუშლიათ. ამის შესახებ გვაქვს ერთი წერილი, რომელიც იტალიაში თავიანთ უფროსისათვის მიუწერია თავრიზიდამ ერთს საქართველოდან წასულს კაპუცინს. ეს წერილი მთლად მოგვყავს:

„ამ ქვეყნის ამბავი საკმაოდ სატირალია. გავლილის წლის სექტემბერში, ჩვენი ტფილისის მისიონი, ეგოდენად შვენიერი და დიდებული ღვთისა და კაცის წინაშე, სომხების სიბრაზით, თუ სრულ არ გაოხრდა, უკანასკნელ მდგომარეობაში ჩაყენებულა. ღვთისა და რომის საყდრისაგან გამდგარნი არ დაკმაყოფილდენ ჩვენის მონასტრის საფუძვლიანათ დაქცევას, იმ მონასტრისა, რომელსაც ჰყავდა 13 მონაზონი, არამედ მისცვივდენ ეკკლესიასაც. რაკი ის დღე ვერ დააყენეს, როგორიც სახლსა და შენობა მაგარი იყო, ბევრს ადგილს ცეცხლი წაუკიდეს და გამოსწვეს; მერმე გაუჭირვებლად შევიდენ შიგ; რადგან ამ დროს ორი პატრის მეტი არ იყო; შიგ შესულთა ტრაპეზი ერთიან დაარგვიეს, ყველა ხატები ნაკუწ-ნაკუწად დასჭრეს, ჯვრები და ჯვარცმები დაამტვრიეს; ერთმა უბოროტესმა ამოიღო ხმალი და შემოუქნია ერთს შვენიერს და დიდად ძლიერს ღვთის მშობლის ხატსა, მაგრამ (დახე სასწაულს). სანამ ხატს მოხვდებოდა, ხმალი შუაზე გადატყდა. რა ნახა ეს ბოროტმა და გაშმაგებულმა სომეხმა, ნაცვლად შენანებისა, უფრო გაკერპდა, აიღო ერთი დიდი დანა და მით ბევრს ადგილს დასჭრა წმიდა ღვთის მშობლის ხატი. ამით არ დასრულდა მათი ურიული სიბრაზე. ამ სომხების შეიძლება ვსთქვათ, რომ ურიებზედ უარესნი არიან. შემდგომ ღვთის დედის შეურაცხყოფისა, მიესივნენ მის ძესა, ხანჯლით გამოგლიჯეს ტაკუკის კარები, გამოიღეს წმიდა ზიარების კოლოფი, რომელიც ხანჯლით ორად გაჩეხეს და წმიდა ზიარება მიწაზედ მოაპნიეს და დაიწყეს ზედ ხტუნვა და მღერა; ზოგმაც წირვის შესამოსი ჩაიცვა და ისე დაიწყო თამაში, მათი ფეხქვეშ ქელა და დაფხრეწა და ამნაირად იქცეოდნენ ვიდრე კარგად დაიღალებოდენ. შემდგომ რა ულმრთოებაც ვერ უყვეს ცოცხლებს, ის მიაყენეს მკვდრებს; შევიდენ აკლდამაში, სადაც თუთხმეტი დღის დასაფლავებული იყო ერთი ჩვენი პატრი, უფროსად ნამყოფი. ულმრთოდ და უწყალოდ გაუპატიურება მრავალი მიაყენეს და გამოსვლის შემდგომ შიგ გამოაწყვდიეს ერთი ძაღლი; რათა დამშეულს შეეჭამა ეს მკვდარი პატრი. მეტს აღარ შევაგრძელებ ამის აღწერას, რათა უმეტესი ზიზღი არ მოგგვაროთ. ახლა ჩვენი საბრალო პატრები დარჩნენ უმონასტროდ და უეკკლესიოდ, დგანან ერთ პატარა სახლში. მანდედ და რომში ნამყოფ ბატონ საბაზე განრისხებულ ქარ-

თველებს, თუმცა ასეთი მკრეხელობა და უღრთო დევნულება არ ჩაუდენიათ, მაგრამ კი წააქეზეს სომხები და ჩაადენინეს.

„ეს ბატონები (სომხები) თაყვანს სცემენ წმიდა ზიარებას და შემდგომ მას კი ფეხით ქელენ, პატივს სცემენ წმიდა ხატებს და შემდგომ მათ ფხრეწენ; პატივს სცემენ ეკკლესიას და შიგ კი მკრეხელობას ჰყოფენ და ანგრევენ. ასეთია სარწმუნოება ამ სქიზმატიკის-მწვალებელის სომხებისა. ასეთი უწყალობის ქმნა არ შეეძლოთ, ქართველებს რომ ნება არ მიეცათ. აწ ნახეთ, თუ მართალი არ არის, რომ საბრალო მისიონერები დასჯილი არიან მხეცებში. თუმცა კაცი ღვთის მტრებისაგან ამაზედ მეტს არაფერს უნდა მოელოდეს, მაგრამ დიდად სამწუხარო საბრალო მონოზნისათვის, როცა ხედავს წმიდა ზიარების ფეხით თელვას, წმიდა ხატების აოხრებას მხთგან, რომლებსაც თავიანთი თავი ქრისტიანად მოაქვსთ და ურწმუნო-უღმრთოები კი არიან: თავიანთ თავს კათოლიკედ აჩვენებენ; ხოლო როცა აქ ბრუნდებიან, იკვეხიან, რომ იტალიაში ეგოდენი ზიარება ვსჭამეთო. არ ვიცი ეს სასჯელი ღმერთმა მოგვივლინა ჩემი ულირსობის გამო, თუ იმიტომ, რომ მწუხარებისაგან მომკვდარვიყავი, იქ რომ ვყოფილიყავი და მენახა ასეთი მკრეხელობის მოქმედება წინააღმდეგ წმიდა ზიარებისა და ღვთისმშობლის; განა მე უკვე ტფილისიდგან წამოსული ვიყავი ერთი თვის წინედ, რადგან თავრიზს დამიბარეს ერთის ჩვენი ფრანგის პატრის გამო, რომელსაც ამხანაგი მოჰკლომოდა და, თითონაც, რადგან სნეული იყო, ეშინოდა საიდუმლოების მიუღებლად არ მომკვდარიყო. ამიტომ არ დავსწრებივარ იმ სატირალ ტრაგედიას, რომელიც უყვეს ღმერთსა და რომის ეკკლესიას სქიზმატიკის მწვალებელმა სომხებმა. ამ უღმერთოების მოსაქმედებლად იგინი აღძრეს მათმა უბედურმა პატრიარქმა და ერთმა სომხის ეპისკოპოსმა, რომელმაც სწავლა რომში მიიღო. აქაური სხვა ამბავი არა არის რა მის მეტი, რომ ჰგონიათ წრეულაც ჟამი ისევ გაჩნდეს, როგორც ამ ხუთი წლის წინეთ იყო. თავრიზი 8 აპრილს, 1718. მორჩილი მონა პატრი ანჯელო პოპიელიო“. (1).

ამ მეტად გასაოცარსა და ყველასათვის გასაკვირს ფაქტს არ წარმოვადგენდით, უკეთუ ამ დროისა სხვა საბუთი არ გვქონოდა. საკვირველია, ბაქარ მეფემ ასეთი ბარბაროსული მოქმედება როგორ მიუშვა, ვინაიდგან დიდი პატივისცემა ჰქონდა საბა ორბელიანისა, გარნა პროპაგანდის ერთი წერილიდგან სჩანს, რომ მეფე წინააღმდეგი ყოფილა ამ დევნულობის ატეხისა, ხოლო ვერ მოუხერხებია და ვერ შეუჩერებია გაცოფებული მდევნელები.

ეს სამწუხარო ამბავი რომში საჩქაროდ მისწერეს მისიონერებმა; ცოტა ხნის შემდგომ იქ წავიდა კაპუცინი პატრი ანტონ ფოჩაელი,

ერთი საბასთან მოსული თორმეტთაგანი. იმანაც წარადგინა ვრცელი მოხსენება საქართველოს მისიონისა და დევნულობისათვის. რომში წარდგენილი ქაღალდები, ხსენებულ დევნულების შესახებ სრულიად ეთანხმება აქ მოყვანილ წერილს. ყველანი ერთპირად მოწმობენ სომხების მიერ ჩადენილს ულმრთოებას, და ქართველებს იმაში სდებენ ბრალს, რომ, როგორც სხვა დროებში, ისე ახლა, პატრებს შემწეობა არ აღმოუჩინეს და მიუშვეს სომხები ასეთი უსამართლობის საქმნელად. ამ წერილებში მოხსენებულია ისიც, რომ პატრები გალახეს და ყველაფერი ჩამოართვეს. ამ უწყალო დევნულების ამტეხად ასახელებენ ეჩმიაწინის პატრიარქსა და მის ვიკარიოსს მინას ვართაფეტს.

ამ დევნულობის ამბავი ვგონებ, თვით საბას კონსტანტინეპოლს საფრანგეთის საელჩოშიაც მიუწერია, რადგან პროპაგანდა საბას მიერ გაცნობილ პირს სწერს პასუხად ამ წიგნს:

„ბატონ დომინიკე დელლ როკას, 15 ოქტომბერს, 1718.

„აქ უკვე შეტყობილი იყო ამბავი, თქვენ რომ მოიწერეთ 23 მაისს, და გავლილ ივლისში, იმ უწყალო დევნულებისა, რომელიც ატეხეს სომხების პატრიარქმა და მისმა ვიკარიმ წინააღმდეგ ტფილისის მისიონერებისა და კათოლიკებისა საქართველოში. ამ ამბავმა მეტად შეაწუხა წმიდა კრება და პაპიც. ახლავე მივმართავთ იმ ყველა საშუალებათა, რომლებიც უფრო შესაფერი იქმნებიან ამ საჭიროებისათვის და ვეცდებით, რომ დავასჯევინოთ დამნაშავენი და გადავახდევინოთ ყველა ზარალი, რაც კი უყვეს მისიონს.

„პირიქით მეტის მეტად სასიამოვნოდ დაურჩა ამ წმიდა კრებას თქვენი მიწერილი ამბავი მისი, რომ ბატონ სულხან საბას, ბევრი შეწუხებისა და შეურაცხყოფის შემდგომ, იქაური მეფის შემწეობით დაუწყნარებია შფოთი, რომელიც აუტეხეს კათოლიკე სარწმუნოების მტკიცედ აღსრულების გამო". (1).

რომიდან მაშინვე მისწერეს ევროპის ყველა მთავრებს, რათა სპარსეთის ყეინისათვის წიგნი მიეწერათ სომხების დასასჯელად და კათოლიკების დასაფარავად. მალე მოიპოვეს ის წერილები: პროპაგანდამ ისპაჰანში მყოფ ლათინის ეპისკოპოსს, ბარნაბას, 28 იანვარს, 1719, გაუგზავნა ვენეციის რესპუბლიკისა, ტოსკანის გრანდუკასი და პაპის წერილები, რათა გარდაეცა სპარსეთის ყეინისათვის და მოეთხოვა მისგან სამართალი ამ დევნულების წინააღმდეგ. პაპი ამ წერილში უთვლის, რომ გამოუთქმელი მწუხარება ვიგრძენი ისეთი უწყალო დევნულობის შეტყობაზეო. სთხოვს სამაგალითოდ დასაჯოს პატრიარქი, მინას ვართაპეტი და სხვა მოთავენი დევნულებისა, გადაახდევინოს მათ ყოველი ზარალი, რაც მიაყენეს და აღმოუჩინოს მფარველობა კათოლიკობას. ამავე

საქმისთვის მოიპოვეს ეგრეთვე ავსტრიის იმპერატორისა და საფრანგეთის მეფის წერილებიც. ამ წერილებთან პაპმა სპარსეთის ყეინს, 18 თებერვალს 1719, კვალად მეორე წერილიც მისწერა და გაუმეორა ერთი და იგივე სათხოვარი და სთხოვა მალე ექმნა სამართალი.

ხსენებული ისპაჰანს მყოფი ეპისკოპოსისაგან და საქართველოს მისიონერებისგან, რომს მისულა ამბავი, რომ ვახტანგ დაბრუნებულა სპარსეთიდან თუ არა, მაშინვე შემწეობა აღმოუჩენია პატრებისათვის სომხების წინააღდეგ, ძრიელ განრისხებულა დევნისა გამო, რომელიც აუტეხიათ და გამოუცხადებია დიდი მიდრეკილება და ერთგულება კათოლიკე სარწმუნოებისადმი. პროპაგანდამ ჰსთხოვა პარიზის ნუნციოს ტერმოილეს, რათა საფრანგეთის მთავრობას მიეწერა სპარსეთსა და საქართველოში მყოფ კონსულებთან, რომ დიდი მადლობა მოეხსენებინათ ვახტანგ მეფისათვის კათოლიკებისადმი აღმოჩენილის მფარველობის და ეგრეთვე კათოლიკობაზე მიდრეკილების გამო. ეგრეთვე მოხსენებულია პაპისაგანაც ვახტანგასადმი სამადლობელი წიგნის გაგზავნა.

პროპაგანდა, 6 ოქტომბერს 1719, აცნობებს პარიზის ნუნციოს, ბარნაბას ისპაჰანში მყოფის ეპისკოპოსის მოწერილ ამბავს, რომ იქ მყოფის საფრანგეთის კონსულის გორდანეს თხოვნით სპარსეთის მთავრობას კარგად დაუტუქსავს სომხების პატრიარქი, რავდენიმე მისი ეპისკოპოსი და სხვა მათი ამხანაგები დევნულების გამო და კიდეც ტფილისში დაუწყვიათ პატრების ეკკლესიისა და მონასტრის აშენება. ამავე წელიწადს პროპაგანდა ჰსწერს ტფილისის პატრების უფროსსა, რათა ქართველი ყმაწვილები გაგზავნოს რომში სასწავლებლად.

პროპაგანდა, 27 იანვარს 1720 პაპის სეკრეტარს აცნობებს საქართველოდან მიღებულ ამბავს, რომ საფრანგეთის მთავრობას ერევნის ხანისათვის მიუნდვია სომხების პატრიარქისა და მისი ამხანაგების დასჯა: ხოლო ამ პატრიარქს ხანისა და სხვა თავი კაცებისათვის ბლომად მიუცია ფული და თავიდან აუცილებია სასჯელი. ამიტომ პაპის სეკრეტარს ჰსთხოვს, რომ ევროპის მთავრებს ხელმეორედ მიაწერინონ სპარსეთის ყეინთან, ეგრეთვე პაპის მესამე წერილიც გაგზავნოს შაჰთან. მალე სპარსეთის ყეინმა პასუხი მისწერა პაპსა და ევროპის მთავრებსაც და დაარწმუნა, რომ ჯეროვან ყურადღებას მივაქცევ თქვენს თხოვნას და ყველა ნაირ მფარველობას აღმოუჩენ მისიონერებსო.

დაწყობილი 1709 წლიდან ვიდრე 1718 წ. ეს ჩვენი წერილი მთლად საბა ორბელიანის მგზავრობას მოვანდომეთ და ტფილისის მისიონისა ვერაფერი ვსთქვით. ამის მიზეზი ისაა, რომ, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ამ დროის შესახები საბუთები ხელში არაფერი გვაქვს, ხოლო ერთი მცირე შენიშვნა შეგვხვდა ტოსკანის მისი-

ონერების აღწერაში, აი როგორი: 9 ნოემბერს 1713 წ. საქართველოში მოვიდა სამი ახალი მისიონერი. ქალაქის მომეტებული ცხოვრებნი ტფილისის ახლოს ჟამის გამო, გახიზნული დახვედრიან. ჟამი ძრიელ მოდებული ყოფილა და ბევრი ხალხი გაუწყვეტია. ახალი მოსული პატრები კაი დროს შესწრებიან, რადგან იქ მყოფ პატრებთან ერთად დიდი შემწეობა აღმოუჩენიათ სულიერად და ხორციელად დასნეულებულის ხალხისათვის; თავიანთი თავი სრულებით არ დაუზოგავთ; საცა საჭიროებას მოუთხოვია, ყველაგან მიშველებიან და ამნაირ გაჭირვებულ მდგომარეობაში ხალხისათვის დიდი და უზომო დახმარება აღმოუჩენიათ.

აქ საჭიროა გავიხსენიოთ კერძოდ ვახტანგ მეფეც, რაოდნათაც შეეხება ჩვენს საგანს. ჩინებულის მამულიშვილის და ბრძენის საბა ორბელიანისაგან აღზრდილს და ლათინის მოძღვართაგან გაწვრთნილს ვახტანგს უეჭველად დიდი სარგებლობა უნდა მოეტანა საქართველოსთვის და დაეტოვებინა სამუდამო დაუვიწყარი სახსოვარი. იგი ადრითვე დაუახლოვდა პატრებს, რომლებმაც საკმაოდ გააცნეს ევროპა, და მეტადრე დაუახლოვ-დაუმეგობრეს საფრანგეთის უდიდეს მეფეს ლუდოვიკე მეთოთხმეტეს, რომელთანაც იქონია მეგობრული მიწერ-მოწერა, სხვა საბუთებთან, სამწუხაროდ, ამისი ცნობებიც დაკარგულა; ხოლო მცირე რამ კი მოგვეპოვება.

ტფილისიდან რომში 15 აგვისტოს 1709 წ. გაგზავნილ პატრი რეჯინალდოს ერთ მოხსენებაში ვახტანგის შესახებ ვკითხულობთ შემდეგს: „ეს ბატონი მთავარი საკმაოდ მაღალ ნიჭიერია და სწავლის მოყვარე, ეგრეთვე კარგად მიდრეკილია კათოლიკე სარწმუნოებაზე: ერთხელ ერთ ჩვენს მისიონერს თავის ხმალზე შეჰფიცა, გულით კათოლიკე ვარ და მრწამს ყველა, რასაც აღიარებს რომის ეკლესიაო. მეც მრავალ გზის გამომიცხადა. და მრავალ გზის შევიტყვე, რომ ის საზოგადოებაში ბჭობდა ჩვენს სასარგებლოდ და ჰკიცხავდა ბერძნების განყრას; თუმცა თვითონ, როგორც ქართველი, მათ ტიბიკონს მისდევს. ხშირად მისიონერებს ბოდიშსა სთხოვს, მართლა ბერძნის ტიბიკონის წესს ვიცავამ, მაგრამ მაინც ვკიცხავ, და თუ ჩემს კათოლიკობას საჯაროდ არ ვაცხადებ, ამის მიზეზი ის არის, რომ მეშინიან, რომ რაიმე ვნება არ მოგაყენონ თქვენო. გარდა ამისა, ამ უკანასკნელ დროებში იგი ძრიელ დაგვიახლოვდა და დაგვიმეგობრდა. იმისგამო, რომ პატრი უფროსი ასტრონომიის გაკვეთილებს აძლევს, ისიც კარგად ითვისებს და ძალიან კმაყოფილიცაა“. (1).

პროპაგანდის ერთის წერილისაგან სჩანს, რომ ვახტანგს, უწინარეს გამაჰმადიანებისა, დაუწყვია კათოლიკე სარწმუნოების ცხადად აღსარება.

ჩვენი ისტორია ვრცლად მოგვითხრობს იმ ბევრნაირ არეულ-დარეულობას, რაიცა ხდებოდა ვახტანგის მეფობის უკანასკნელ წლებში. ამიტომ ვახტანგი იძულებული გახდა ევროპაში პაპისა და იმპერატორისათვის მიემართა, რათა საჭირო შემწეობა აღმოეჩინათ. პაპს ინოჩენციო მე-XII-ს შემდეგი წიგნი მისწერა:

„უნეტარესო მამაო, ვინაიდგან დავითის მიერ დადგენილი ხართ ყოვლა ქრისტიანების წინამძღვრად და თავად. თქვენს მამობრივის სიყვარულით აღვსილ გულს მეტად სამწუხაროდ დაურჩება მოსმენა ეგოდენი შეწუხებისა და ტანჯვისა, რისგამო თქვენი შვილები კვნესიან. ოსმალების მთავარი აწ ამზადებს ჯარს ჩვენის საზღვრების ახლოს, რათა ჩვენი სამთავრო ერთიან მოაოხრონ და ეგრეთვე აქაურობაში ერთიან მოსპონ ქრისტიანობის სახელიც. ასეთი მწუხარებაში მყოფთ ჩვენ სხვა გზა აღარა გვაქვს, მის მეტი რომ მოვმართოთ თქვენს მამობრივს წიაღს და მზრუნველობას. მხოლოდ მას შეუძლია ქრისტიანე მთავრების ძალით, ან მათის შუამდგომლობით ოსმალეთის მთავრობას თავის მუქარა არ აასრულებინოს და ჩვენი ქვეყანა არ ააოხრებინოს. თუმცა ეს ერი უღირსია თქვენის უწმიდესობის მფარველობისა, რადგან მათგანი მომეტებული არ ემორჩილებიან თქვენს წმიდა საყდარსა. გარნა მე გპირდები ვცხოვრებდე თქვენს მორჩილების ქვეშ წმიდა კათოლიკე სარწმუნოების აღმასრულებელი. როგორც ჩემი წინაპარნი: სამწუხაროდ, აქაური უბედურება და ხალხის ღალატი ნებას არ მაძლევს ცხადად აღვიარო კათოლიკობა. ვინაიდგან მამის სიკეთე დიდად შეეწევა ჭეშმარიტების ერთობაში განყრილ შვილთ შემოყვანასა, კვალად ჰყავთ იმ კათოლიკეთათვისაც, რომლებიც ბლომად არიან ამ ჩვენს სამთავროში. ჩემ მოვალეობად ჩავრაცხე, რომ გაცნობოთ ეს გარემოება და ამნაირი გაჭირვებაში ვედრებით ვითხოვო თქვენი მფარველობა და კურთხევა.

„ამ მხარეს მაჰმადიანებისაგან გზები შეკრულია, ამისგამო ვერ შევიძელი, რომ თქვენთვის გვეახლებინა ხარისხოვანი ვინმე პირი.

თქვენი უწმიდესობის ყოვლად მდაბალი და უმორჩილესი მონა ვახტანგ, საქართველოს მეფე, ტფილისი, 29 ნოემბერს, 1722“. (1)

თუმცა ამისაგან ბევრად არ განსხვავდება ავსტრიის იმპერატორთან მიწერილი წიგნი, მაინც-კი ამასაც მოვიყვანთ აქ.

„მირონცხებულ ხელმწიფე კეისარს.

„ჰოი! კეისარო! ღვთისაგან ამაღლებულო საიმპერატორო ტახტზე, რათა, ვითარც მთავარი, წინამძღვრობა უყოთ ყველა ქრისტიანე ერთა. ვიცი თქვენი მოწყალე გული აღიძრება ეგოდენ გაჭირვებასა და შეწუხებაზე, რასაც განიცდის ქრისტეს სახელისათვის აქაური ერი. ამ ჟამად მაჰმადიანების მთავარი ჯარს აგროვებს ჩვენ მეზობელ ქვეყნებში,

რათა აიკლოს ერთიანად ჩვენი სამთავრო და ამ მხარეში მთლად მოსპოს ქრისტიანობა, როგორათაც დაგვემუქრა. ამნაირ გაჭირვებაში მხოლოდ ის გზა დაგვრჩა, რომ მივმართოთ თქვენს გულ-მოწყალეობას, რათა, ან ძალით და ან თქვენი ელჩის შუამდგომლობით პორტას წინაშე შეაჩეროთ ეს მაჰმადიანები, არ მოვიდენ, თავის მუქარა არ შეასრულონ და არ ამოგვწყვიტონ. თუმცა თქვენი საკეისრო მფარველობის უღირსნი არიან ეს ერნი, რადგან განყრილნი არიან ჭეშმარიტის რომის ეკკლესიისაგან, გარნა ამ ჩვენს სამთავროში ძრიელ ბევრი კათოლიკები არიან და მეც ამათ რიცხვში ვითვლები. ხოლო ამ ქვეყნის არეულობა ნებას არ მაძლევს ჩემი კათოლიკობა გამოვაცხადო. ჩემს ვალდებულებად ვსცანი ეს ვაუწყო თქვენს ხელმწიფობას, რადგან თუ თქვენის გულ-მოწყალებით აქეთ მყოფთ კათოლიკე ეკკლესიის ერთგულ შვილებს მფარველობა აღმოუჩინეთ, მაშინ ვინც გაყრილნი არიან, წახალისდებიან და კათოლიკე ჭეშმარიტებას აღიარებენ. ამიტომ დიდად გევედრები და ვითხოვ თქვენს მფარველობას. მაჰმადიანებისაგან გზები შეკრულია, ამიტომ ჩვენი ხარისხოვან პირთაგანი გამოვგზავნეთ.

„დავშთები თქვენი საკეისრო ხელმწიფების ყოვლად ერთგული მონა ვახტანგ, საქართველოს მეფე. ტფილისი, 29 ნოემბერი 1722“. (1)

ეს წერილი ვახტანგმა იმპერატორისთვის გადასაცემად გაუგზავნა კონსტანტინეპოლში ავსტრიის ელჩს, დირლინგს, და თან ერთი ამისი მსგავსი წერილიც მისწერა და სთხოვა, რომ იმპერატორთან და ოსმალეთის წინაშე ეშუამდგომლა, რომ საქართველოს ასცილებოდა ის უბედურება, რომელიც მოელოდა. რა შედეგი მოჰყვა ვახტანგის ამ სამ წერილს, სრულებით არაფერი ვუწყით. ის-კი ვიცით, რომ 1723 წ. ოსმალეთის ომის გამო საქართველოს გზები შეკრული იყო და მისიონერები იმ დროს აქ ველარ მოდიოდენ. ეგრეთვე ვუწყით ისიც, რომ ვახტანგმა კათოლიკე სარწმუნოება მტკიცედ დაიცვა და რუსეთს წასული კათოლიკედ მიიცვალა, როგორათაც მოწმობს კაპუცინების ერთი წერილი, მას სიკვდილის დროს დაესწრენ ლათინის მოძღვრები.

აქ უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია საბა ორბელიანის შესახებ ის აზრი, ვითომ მას რუსეთში კათოლიკობა უარ ეყოს. საბამ თითქმის 40 წელიწადი აღიარა კათოლიკობა და მისთვის ბევრი შეწუხებაც დაითმინა; ეგრეთვე თავისი მეცადინეობით ბევრი გააკათოლიკა და რომთან უკანასკნელ დრომდე ერთგული განწყობილება იქონია. სრულებით არ არის შესაწყნარებელი, რომ თავისი ცხოვრების უკანასკნელ წელს, ვახტანგთან წასულს რუსეთში, უარეყოს ეს სარწმუნოება, როდესაც მის სიკვდილს შემდგომ, თვით ვახტანგმა მტკიცეთ დაიცვა კათოლიკობა.

ამ დროებში ერთი გაკათოლიკებული ქართველი მონაზონი კონსტანტინეპოლში ჩამოსულა, რომს წასასვლელად. იქაურ ლათინის არხიეპისკოპოსს მისთვის შემწეობა აღმოუჩენია და პროპაგანდისათვის შემდეგი თხოვნის წერილი გაუტანებია:

„თქვენო პატიოსნებავ და მაღალო ღირსებავ!

„ამ წერილს გარდმოგცემსთ ტფილელი ქართველი მონაზონი ბეჟანა, მორჩილი ძმა წმიდა რახილის წესისა, ბერძნულის ტიბიკონის მცოდნე. იმან რა სცნო კათოლიკე სარწმუნოების ჭეშმარიტება, მიიღო იგი. ამისგამო ბევრი სდევნეს, გალახეს, დაამწყვდიეს და სხვა ბევრი შეწუხება მიაყენეს, ისე რომ იძულებული გახდა გამოქცეულიყო, რათა აქედან მანდეთ საქრისტიანეთში წამოსულიყო. ასე დამარწმუნეს იმ სანდო მოწმებმა, რომლებიც ტფილისში იყვნენ სწორეთ იმ დროს, როდესაც ამას თავისი მონაზონები სდევნიდენ, რათა უარი ეყო კათოლიკე სარწმუნოება, მაგრამ სულ ამაო იყო მათი ცდა. ამიტომ ვავედრებ ამას თქვენის უმაღლესობის გულმოწყალეობას და ვსთხოვ, რომ მანდ ბასილიანების რომელსამე მონასტერში დააყენოთ, რათა შეიძლოს კათოლიკედ ცხოვრება და ღვთის მსახურება, რადგან მეტად ხელმოკლეა, მის სამგზავროდ იძულებული გავხდი აქ წყალობა მომეკრიფა. ამას მოველი თქვენი უმაღლესობის გულმოწყალეობისაგან. დავშთები მონდობილი და თქვენი ღრმად პატივისმცემელი. პერა-კონსტანტინეპოლის 18 დეკემბერს, 1722. პიერი ნათლისმცემელი მავრო, კარტაგინის არქიეპისკოპოსი და პატრიარქის ვიკარია“. (1).

ზემოდ ხსენებულის ბეჟან მონაზონის შესახებ სხვა ცნობები არა გვაქვს.

პროპაგანდა, 1723 წ. 10 ივლისს, პაპის სეკრეტარ კარდინალს უგზავნის ერთ წერილს პაპისათვის გადასაცემად და სწერს: „ეს წერილი არის ერთი ქართველი კათოლიკე თავადისაო; ვგონებ ეს ის თავადია, რომელიც ამ ცხრა წლის წინეთ აქ მოვიდა და პაპმა კარგად მიიღოვო და რომელიც ძრიელ მტკიცე კათოლიკე არისო“. ყოველ ეჭვს გარეა, ეს ხსენებული ქართველი თავადი საბა ორბელიანია. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ დასახელებული წერილი ვერ ვიპოვეთ. ჩვენის აზრით, ეს წერილი ძალიან შესანიშნავი უნდა ყოფილიყო, რადგან მასში უეჭველად მოხსენებული იქნებოდა ეგრეთვე საქართველოს იმ დროის ამბავიც.

რომში მყოფი კაპუცინების პროკურატორისაგან 1728 წ. პროპაგანდისადმი წარდგენილ მოხსენებაში ნათქვამია, რომ 1723 წ. საქართველოდან რომს წამოსულან ორი ახალგაზრდა ქართველი სასწავლებლად: ერთ იმათგანს აღარ უსურვებია სწავლა და ქალაქ ლივორნოში

ვაჭრობას ღასდგომია; ხოლო მეორე კი შესულა პროპაგანდის კოლე-
გიაში და დაუწყია სწავლა. არ ვიცით კი ვინ რომელი ქალაქიდან ყო-
ფილა ეს ქართველი.

ხსენებული პროკურატორის ეს მოხსენება გამოიწვია ერთი სხვა
ახალგაზდა ქართველის მოსვლამ რომში. ამ ახალგაზდის სახელი და
გვარი არა სჩანს. ეს ქართველი იძულებული ყოფილა თავისი ხარ-
ჯით წასულიყო რომს. ამისგამო ცხენი გაუყიდია და დანარჩენი გზის
ხარჯი დედა მისს მიუცია. როდესაც მისულა რომს, კოლეგიაში მიღე-
ბის უარი უთქვამსთ მისთვის, რისგამო ძრიელ შეწუხებულა და გაჭირ-
ვებაშიაც ჩავარდნილა. თუმცა სახარჯო ფული აღარ ჰქონია გზისთ-
ვის, მაგრამ მაინც დაუპირებია უკან გამობრუნება. ამ მიზეზის გამო
პროკურატორს წარუდგენია 1728 წ. პროპაგანდაში ხსენებული მო-
ხსენება, რომლითაც უჩვენებს, რომ ამ ქართველის უსწავლელად და-
ბრუნება საქართველოში მისიონისათვის კარგი არ იქმნება და შეიძლე-
ბა ზარალიც მოუტანოსო; ეგრეთვე უჩვენებს, რომ პროპაგანდაში
საგანგებო ადგილია ქართველი გვარისათვის, ამიტომ მუდამ ორი ახალ-
გაზდა ქართველი უნდა იყოსო. (1) ამ წერილის შემდგომ პროპა-
განდას უარი აღარ უთქვამს და მიუღია ის ახალგაზდა კოლეგიაში.

ამ ხანებს ეკუთვნის გორელ ტულუკანთ დავითას მისვლაც რომში.
პროპაგანდის კოლეგიის მოწაფეების სია მის ცნობას გვაძლევს ესრეთ:
„23 წლის გორელი ტულუკანთ დავითა, რომელიც ბასილიანთ უფროს-
მა საბამ, ქართველ კათოლიკე თავადმა გამოგზავნა, პროპაგანდამ მიიღო
30 ივლისს, 1725 წ. კოლეგიაში შევიდა 4 აპრილს; 10 ნოემბერს
1726 მისცა ფიცი; 1732, 22 მარტსა, დაიცვა ფილოსოფიის საჯარო
დისერტაცია პრეფექტო კარდინალის წინაშე; 21 მარტს 1733 წ.
ეკურთხა მღვდლად ლათინურ ტიბიკონზედ, და კაპუცინებთან მონაზ-
ნად შევიდა; 1734 წ. ნოემბრის 28-ს გარდაიცვალა ექვსი თვის ავად-
ყოფობის შემდგომ“. (2)

ცხადად სჩანს, რომ ეს დავითა საბა ორბელიანს გაუგზავნია რომ-
ში, ვიდრე ვახტანგთან ერთად რუსეთში წავიდოდა. მონაზონად შესულა
კაპუცინებთან, და მღვდლად კურთხევის შემდგომ საქართველოში აღარ
დაბრუნებულა. ამან დასწერა ქართული კათეხიზმო 1733 წ., როდესაც
ისევ კოლეგიაში სწავლობდა. მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა ეს კა-
ტეხიზმო, არამედ რამდენიმე ხელთნაწერი ეგზემპლიარი გამოუგზავნია
საქართველოში. ეს წიგნი პირველად დაიბეჭდა მღვდლის ივანე ჯიგა-
ნანთის თაობით რომში 1741 წ., ხოლო მეორედ 1797 წ. ბალინანთ
გრიგოლი მღვდლის თაოსნობით. მაგრამ ამან დაამახინჯა ეს მეორე გამო-
ცემა და მიაწერა ავტორს ის, რაც თვითონ ჩაუმატა. რადგან ტულუკანი

დავითას თავის წიგნში არსად უწოდებია თავისითავისთვის სომეხი, გარნა ამ ბატონმა მიუმატა მის წინასიტყვაობაში ლექსი „სომეხი“ ესრედ: „საქრისტიანო მოძღვრება გინა წურთნა შვიდთა საიდუმლოთაზედ, გადმოთარგმნილი იტალიანის ენისაგან ქართველის მხედრულის ენასა ზედა საქართველოს გორელი ტულუკაანთ სომეხთ დავითასაგან“. ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვრაცხავთ, აქ მოვიყვანოთ პირველ გამოცემის ქართული და ლათინური წინასიტყვაობა.

ამ წიგნის სათაური ასე იწყება: „საქრისტიანო მოძღვრება საქართველოს მისიონებში სახმარებლად, გადმოთარგმნილი იტალიანურიდან ქართულს მხედრულს ენაზე ქართველი ტლუკანთ დავითისაგან ამავე გვარის კათოლიკების საყოველთაო და სასულიერო სარგებლობისათვის, რომში, 1741 წ.“ (1) შემოწმება პირველი:

„მე ძმა კლაუდიო რეჯიელი, წმინდა ფრანჩისკეს კაპუცინების წესისა, მოქადაგე და ეგრეთვე სამოციქულო პროტონოტარი, სპარსეთის სამეფოს, უმეტესად, აღმოსავლეთის ივერიის ანუ საქართველოს მისიონში თერთმეტი წლის ყოფნის შემდგომ, პროფესორი სომხური და ქართული ენისა, ჩემს იქ ყოფნის დროს, დიდის სიამოვნებით და ჩემზე მონდობილ სულთა სასარგებლოდ, ხშირად ვხმარობდი ამ წიგნს, რომელსაც ჰქვიან „საქრისტიანო მოძღვრება საქართველოს მისიონერებისათვის სახმარებლად“ დიდად პატივცემული გორელი ქართველი დავით ტლუკაანთ, პროპაგანდა ფიდეს ურბანოს კოლეგიის მოწაფის მიერ შედგენილი და მისგანვე მშვენიერ ქართულ ენაზე გამოყვანილი. იმ დროიდან დიდად ვნატრობდი, რომ ეს წიგნი დასტამბულ იყო მისიონერების და იმავე ერის სასარგებლოდ, რადგან თუ პირველნი და თუ მეორენი სრულად მოკლებულნი არიან ამისთანა ქართულად დაბეჭდილი წიგნსა. ხოლო ამ რომში ესევე წიგნი რა ვნახე, პატივცემულ ბ. ივანე ჯუგანანთი ტფილელი ქართველ ამავე წმინდა პროპაგანდის კრების მოწაფესთან, საჭიროდ შევრაცხე და მას ვურჩიე მისი დაბეჭდინება და საქართველოში გაგზავნა ბლომად რაოდენთაც კი შესაძლებელი იყო, რადგან ყველასათვის სასარგებლო იქნებოდა. აწ ვაცხადებ, რომ ამ ხსენებულ წიგნში არაფერი იპოვება რაიმე წინააღმდეგი წმიდა დოგმატების და კათოლიკე ზნეობისა; ეს დიდად შეეწევა კათოლიკე სარწმუნოების გავრცელებას და ქრისტიანობრივი გულ-მხურვალების გაძლიერებას. ამიტომ ყოვლად პატივცემულს სამოციქულო პალატის მოძღვარს და მათ ვისაც-კი შეეხება, მოვახსენებ, რომ არა მარტო საჭიროდ ვრაცხ, არამედ დიდათაც ვევედრები, რათა უბრძანონ და ეს დააბეჭდინონ, რაისგამო მიიღებენ დიდს სასყიდელს მისგან; რომელმაც სთქვა: „წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარება ესე ყოველსა დაბადე-

ბულსა“. ამის დასამტკიცებლად და შესამოწმებლად ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ და ვუსვამ ბეჭედს, რომელსაც მე ვხმარობ. რომის კაფუცინების მონასტერში, 22 აპრილსა 1740 წ., ძმა კლაუდიო რეჯიელი კაფუცინი“.

მეორე შემოწმება:

„მე ქვემორე ამისა ხელის მომწერი, პროპაგანდა ფიდეს, ურბანოს კოლეგიის მოწაფე, ვმოწმობ და ვაცხადებ, რომ დიდის სიამოვნებით წავიკითხე წიგნი „სახელად საქრისტიანო მოძღვრება საქართველოს მისიონების სახმარებლად“, რომელიც შემოჰკრიფა, შეადგინა და შვენიერად სთარგმნა ამავე კოლეგიის მოწაფემ პატივცემულმა ტლუკაანთ დავით გორელ ქართველმა. ეგრეთვე ვაცხადებ, რომ ამ წიგნში არა არის იპოვნების წინააღმდეგი კათოლიკე სარწმუნოებისა, ან კეთილი ზნეობისა. ამიტომ არა თუ რაიმე ცენზურის ღირსია ესა, არამედ დიდად საკეთო იქმნება, რომ გამოიცემოდეს იმ ერის სულიერის დიდი საჭიროებისათვის, რადგან სრულად მოკლებულია თავის ენაზე საჭირო წიგნებს. რომის იმავე კოლლეგიაში 19 მარტსა 1741 წ. ივანე ჯიგანანთი, ტფილისელი ქართველი“. (1). ხოლო წიგნის ქართული სათაური ასეა: „საქრისტიანო მოძღვრება, გინა წურთნა შვიდთა საიდუმლოთა ზედა. გადმოთარგმნული იტალიანის ენისგან ქართულის მხედრულის ენასა ზედა. საქართველოს გორელი ტლუკაანთ დავითისაგან, მთავრობასა კლემენტოს მეთორმეტე რომის პაპისასა, სასწავლოთა შინა უცხოთასა, რომელსაც ეწოდების პროპაგანდა ფიდე. სადიდებლად დედა ღთისის მარიამ ქალწულის უმანკო ჩასახებისათვის და სასარგებლოდ ძმათა და დათა სულიერთა სულთათვის. ქრონიკონი ქრისტეს ჩღლგ, ესე იგი არს, ათას შვიდას ოცდაცამეტი. ბრძანებითა უფროსთა.“

ზემოდ ხსენებული კაფუცინი კლაუდიო რეჯიელი მოვიდა საქართველოს 1724 წ. ვითარცა აღნიშნულია მისიონერების სიაში (1). ამას, ცხადია, კარგად უნდა სცოდნოდა ტლუკაანთ დავითის ვინაობა, რომლის წიგნსაც ხმარობდა მისიონში. ესა და თვით დავითის თანამედროვე ქართველი მოწაფე ივანე ჯიგანანთი მას აღიარებენ ქართველად. ამიტომ, 64 წლის შემდგომ მისი გარდაცვალებისა, მას რა საბუთით ჰსთვლის სომეხად მღ. გრიგოლი ბალინანთი, რომელმაც ეს მისი წიგნი მეორედ გამოსცა და მის სახელს მიუმატა ლექსი „სომეხი“?

აქ დასახელებული მეორე ქართველი ტფილელი ივანე ჯიგანიანთი 16 წლისა მიუღიათ რომის კოლეგიაში 18 ივნისს 1729 წ. მტკიცედ არა სჩანს, მაგრამ შეიძლება ვსთქვათ, რომ ეს ის ქართველი ახალგაზდაა, რომელსაც პროპაგანდა არ ღებულობდა და რომლისათვისაც კაფუცინების პროკურატორმა 1728 წ. მის მისაღებად თხოვნა წარადგინა, როგორც ზემოთ ვნახეთ. ამ ივანემ 2 თებერვალს 1731 წ. პროპაგან-

დის კოლეგიაში ფიცი მისცა. ორს ივნისს 1740 წ. მღვდლად ეკურთხა სომხურ ტიბიკონზე; 29 აპრილს 1741 წ. მიიღო სამეცნიერო დოქტორობის ხარისხი ფილოსოფიისა და ღვთის მეტყველებისა და ამავე წელს 31 აგვისტოს წამოვიდა საქართველოში. (2). მოვიდა რა საქართველოში, ახალციხეს გაამწესეს ერის მოძღვრად. მიზეზი იმისი, თუ ტფილელმა ქართველმა რათ მიიღო სომხის ტიბიკონი, ის არის, რომ კაფუცინებს ამ პირობით გაევზავნათ. შემდეგშიაც ვნახავთ, რომ თითქმის საქართველოს ყველა ახალგაზდებს კაფუცინები რომში ამ პირობით აგზავნიდენ, რომ სომხურ ტიბიკონზე კურთხეულიყვნენ, რათა შემდგომ ახალციხის და მის გარეშე სოფლების კათოლიკებისათვის მოევლოთ. კაფუცინების პატრებს ამ საქმეში ვამჩნევთ მიკერძებას და პირად ინტერესს, რადგან საქართველოს შვილებს ადვილად არ აკურთხებდენ ლათინურს ტიბიკონზე, ვგონებთ იმიტომ რომ მათთან ერთად ლათინის წესის ეკკლესიებში არ ყოფილიყვნენ. არამედ ცალკე და დაშორებით, რათა როგორმე არ დაეჩრდილათ.

ორბელიანის გვარში მარტო საბა სულხანს არ მიუღია კათოლიკობა, არამედ ბევრი სხვა მისი ნათესავიც შეუდგა მის მაგალითს, ვინაიდგან საბამ დაიწყო კათოლიკობის გავრცელება ჯერ თავის ოჯახობასა და ნათესავებში. როგორც სხვა საგნების, ისე ორბელიანის შესახებ საბუთები გვაკლია. საქართველოს ერთს აღწერაში, რომელიც წარედგინა პროპაგანდას 1773 წ., მოხსენებულია, რომ საბამ გააკათოლიკა თავისი მეტად მრავალ რიცხოვანი ოჯახობა, რომლის წევრებიც თავიანთ მხრივ სხვებშიავრცელებდენ კათოლიკობას. ეგრეთვე ორბელიანების კათოლიკობისა გვაქვს ერთი წერილი, რომელსაც პროპაგანდა სწერს პირდაპირ ოჯახობას და ულოცავს მათ კათოლიკობის მიღებას. აი ეს წერილიცა:

„წარჩინებულს ორბელიანთ ოჯახის კეთილშობილ კათოლიკებს. ტფილისსა, 20 თებერვალს 1734 წ.

„მეტის მეტად ანუგეშა და ასიამოვნა წმიდა კრება მანდ მყოფის მისიონერი კაფუცინი პატრის ანჯელო პოპილის წერილმა, რომლითაც მას აუწყა თქვენს შესახებ, თუ როგორ მხურვალე გულსმოდგინებით მიგიღიათ კათოლიკე სარწმუნოება, რომელიც საბედნიეროდ გიცნიათ ღთის შემწეობით და კიდეც დიდის გრძნობით აღიარებთ მას. ეს ჩვენი ბატონი კარდინალები დიდად გევედრებიან, დაიცვათ ეგ თქვენი გულმხურვალება და კეთილი მაგალითი, რომელსაც ეგრეთ ცხადად და მხნედ აძლევთ თქვენს საკუთარს გვარს, რათა ეგენიც დაადგნენ მაგ თქვენს კვალს და ჭეშმარიტი სარწმუნოება იცნონ. მასთანვე ესენი ევედრებიან ღმერთსა, რათა აღგავსოსთ თქვენ მარადის ზეციერის უხვის მადლითა, რომ შეიძლოთ გაიმრავლოთ თქვენი სასყიდელი და სხვებიც შემოუერ-

თოთ ამ წმიდა ეკკლესიას, რომლის გარეშე ცხონების იმედი ამაოა. წმიდა კრებამ ასეთი საბედნიერო ამბავი სიმდაბლით მოახსენა პაპსა, რომელმაც დიდის და უზომო სიამოვნებით მოისმინა; ამიტომ ამ სიხარულის გამო მოგანიჭათ თავისი მწყემსებრივი კურთხევა და ნატრობს, რომ ეს კურთხევა შეიქმნას თქვენთვის შემაგულიანებელი, რათა მარადის მტკიცედ დაიცვათ ეგ თქვენი კეთილი გარდაწყვეტილება, რომელსაც დაადექით თქვენდა სასარგებლოდ და პაპის და ამ კრების სანუგეშოდ. ამ წერილით გაუწყებ ყოველსავე ამას, ეგრეთვე ვსთხოვ ღმერთსა, რომ აღგისრულოსთ ყოველი თქვენი კეთილი ნატვრა და მოგანიჭოსთ ყოველი ბედნიერება". (1).

აქ დასახელებული პატრი ანჯელოს წერილი, რომელიც შესანიშნავი უნდა ყოფილიყო, ვერ ვიპოვეთ და არც სხვა გზით ვიცით მისი სრული შინაარსი.

ვახტანგ მეფის ერთ სიგელში, რომელიც ორბელიშვილებს მისცა 1730 წ., მოხსენებულია მათი ბიძაშვილი ბენედიქტე (2). სახელი „ბენედიქტე“ (Benedictus კურთხეული) ლათინურია. ჩვენის აზრით, ესეც ერთ საბუთად უნდა შეირაცხოს კათოლიკობის გავრცელებისა ორბელიანებში, რადგან ამნაირ სახელს, საზოგადოთ ისინი ხმარობენ, ვინც კათოლიკები არიან. ქვემოთაც ვნახამთ, რომ ეს ორბელიშვილები არა თუ მარტო თვითონ უერთდებოდნენ კათოლიკე ეკკლესიას, არამედ სხვებსაც აკათოლიკებდნენ.

ქართველ კათოლიკების გამრავლება მარტო საქართველოში არ ხდებოდა, არამედ საზღვარ გარეთაც, სადაც კი მოიპოვებოდნენ. კაპუცინი ანდრია ბუთელი, რა გაბრუნდა საქართველოდან და გაიარა კონსტანტინეპოლში, იქ მყოფ ქართველებს ბევრი შეეწია სულიერად. ამ გარემოებას თავიანთ პროკურატორს რომში მარტის პირველს 1735 წ., თვითვე სწერს ესე; „გავლილი წლის აგვისტოს კონსტანტინეპოლში მივიღე თქვენის მაღალ ღირსების წერილი, რომლითაც ინებეთ და აკურთხეთ ჩემი შრომა აქაურ მისიონში, მართლაც ვიგრძენი ამ თქვენის კურთხევის ძალა, ეგრეთ, რომ ბევრი საბრალო ქართველი, იმ ქალაქში მყოფი სრულებით მოკლებულია სულიერ შემწეობას, მოვიზიდე და მივაღებინე კათოლიკე სარწმუნოება; ამ ქართველებთაგანი ზოგი ისეთიც მოვნათლე, ორმოცდა ათ წელს გადასული იყო და მოკლებული ეკკლესიის ამ საიდუმლოებსა, რადგან იქ მყოფ მისიონერებში არავინ იცოდა მათი ენა. კონსტანტინეპოლში დავრჩი თოთხმეტი თვე. შემდგომ სმირნის უფროსმა საფრანგეთის ელჩისა და პერაში მყოფ მონასტრის უფროსსა არა ერთ გზის სთხოვა ჩემი თავი, რისგამო წაველი სმირნაში. იქაც უფრო მომეტებული სამუშევარი დამხვდა, არა მარტო ქართველებს ვე

წყოდი სულიერად, არამედ სომხებსაც, რომლებიც ტირილით მევედრუნ, რომ იქ დავრჩენილვიყავი რავდენსამე ხანს". (1) ესეთი გარემოება პირველი შემთხვევა არ არის: საქართველოში მომსვლელ-წამსვლელ მისიონერებს, თუ ამის წინეთ და თუ ამის შემდგომ, ბევრგზის აღმოუჩენიათ ამის მზგავსი შემწეობა და დახმარება კონსტანტინეპოლში მყოფი ქართველი კათოლიკებისათვის.

როგორც ძველ დროებში ქართველებს ჩვეულებად ჰქონდათ, რომ წასულიყვნენ რომში წმიდა ადგილების მოსალოცავად, ისე შემდეგშიაც იცავდენ ამნაირ ჩვეულებას. ამ გარემოების ერთმა საბუთმა მოაწია ჩვენამდე. რომს მისულა ერთი ქართველი კათოლიკე მღვდელი და 1738 წ. 30 სექტემბერს წარუდგენია შემდეგი თხოვნა:

„ფრიად მაღალნო და პატივცემულნო ბატონებო, მღვდელი პეტრე ბალდასარ ჯანო (ჯანიძე) ქართველი გურის (გორის) ქალაქიდან, თქვენი უმხლესობის მდაბალი მონა, რომელიც აქ რომში მოვიდა წმიდა ადგილების მოსალოცავად, სიმდაბლით გევედრებათ, რათა კარდინალ ვიკარისაგან მოუპოვოთ საჭირო ნება წმიდა წირვის ასრულებისათვის". (2) ამ მღვდლის სხვა არაფერი ცნობა გვაქვს. გარნა ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მარტო არ უნდა ყოფილიყო, არამედ რომში უნდა მიეყვანა ერთი ახალგაზრდა ქართველიც, რადგან ამავე წლის 19 დეკემბერს პროპაგანდას მიუღია თავის კოლეგიაში სასწავლებლად ერთი ტფილელი ახალგაზრდა ქართველი ანტონ გოდაკაანთი (Godakaanti, მოწაფების სიაში სწერია Kodacanti, თავის წერილებში კი Lodakanti). (3).

ზემოთ ვნახეთ, რომ 1729 წ. ტფილელი ქართველი ივანე ჯიგანანთი მივიდა რომში სასწავლებლად 1740 წ. აკურთხეს სომხურს ტიბიკონზე (კაფუცინების თხოვნისამებრ) და 1741 წ. გამოისტუმრეს რომიდან. გარნა იმ დროების არეულობის გამო, ამან წამოსვლა ვერ გაბედა საქართველოში, ამიტომ დარჩა სმირნაში რავდენსამე ხანს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ კაფუცინების წერილებში და თუ პროპაგანდის საბუთებში ეს ივანე მუდამ დასახელებული იყო ქართველად; ხოლო, როდესაც მღვდლად ეკურთხა სომხურ ტიბიკონზე, მაშინ მას მეტსახელად მიუმატეს „სომეხი" და უწოდეს მღვდელი სომეხ-ქართველი (armeno-giorgiano). საქმე ამითი არ გათავებულა. შემდეგ ზოგიერთ წერილში ამას ქართველის სახელიც მოუსპეს და მარტო სომეხად იწოდებოდა, ამავე ნაირად მოექცნენ თითქმის ყველა იმ ქართველებს, რომლებიც სომხურ ტიბიკონზე მღვდლად ეკურთხნენ რომში. ესე საერო სახელი ტიბიკონის სახელად შეუცვალეს.

თამაზ ყული-ხანს, სპარსეთის მეფეს, მთელი საქართველოსათვის დიდი ხარკი შეუწერია, და კაფუცინების სამს ეკლესიასა და მონასტ-

რებზედაც დაუდვია წლიური ხარჯი 800 სკუდამდე. ამიტომ 30 ივლისს 1742 წ., პაპი სპარსეთის მეფეს სწერს და სთხოვს, რომ კაფუცინები განათავისუფლოს ისეთის ხარჯისაგან, რომლის გადახდა მათ არ შეეძლოთ. შაჰსაც შეუწყნარებია ეს თხოვნა და მათთვის ხარჯი აღარ გამოურთმევია. (1)

ზემოთ ვნახეთ, რომ პროპაგანდამ 1734 წ. ახლად გაკათოლიკებულ ორბელიანის ოჯახობას მისწერა სამადლობელი წერილი. ამ ოჯახის უმთავრესმა პირებმა ივანემ და ვახტანგმა 15 სეკტემბერს 1741 წ. პაპსა და კარდინალს წერილები მისწერეს. აი პაპთან ქართულად მიწერილი წიგნი:

„ნეტარელო მამაო. ქ: მაღალსა: მის. და ზენა აღმატებულისა. და უზენაესსა. ყოველთასა ჭეშმარიტსა. მონაცვალესა მეუფისა. ქრისტესა: და მისსავე. პირველ მოსაყდრესა: ზესკნელთა, და ღმერთისა. სცეერისა იმის. სოფლისა: და ქვესკნელთაცა. მოურნესა. რომლისაგან. დიან. წყარონი. უხვად, მომდინარენი: მოტევებისა, და შენდობისანი: გარემომცველნი. სამგვერგვლიანოსა: კმელთანი: კლიტეთა მპყრობელსა. სასუფევლისასა: რომლისა კელუმწიფებითა: განეხრან: ბჭენი საუკუნოსა ცხოვრებისანი: მორწმუნეთა, მართალ. მოწმენეთათვის. და დაიკშვიანვე: არ. მეარველთა მისთათვის. კლდესა. შეურყევლად. დაფუძნებულსა: რომელსა. ვერა. ვერად. შეარყევენ. ბჭენი ჯოჯოხეთისანი: რომლისა უფლებ. მწყემსობ. განმგეობითა. აღმართებულ არს. ჯვარი. ცხოველი. ზედა. ყოველსა ქვეყანასა. და. რომლისა ქადაგებითა. მოედრკების: მუკლი. მკურვალედ. ყოველთა. ტომთა. და, ენათანი: უფლისა იესოს: და აღუარებენ: მჯდომარესა. ცათა. უმაღლეს. უვრცელესსა: ერთსა. წმიდასა. და კათოლიკე სამოციქულო. ეკკლესიასა: დედისა. მის და. დედოფლისა. აღმოსავალ. სამხარ. დასავლისათა: მამისა. ყოველთა. ადამიერთა. დაშენებულთა. კმელთა. ეპიფანისათა: და მკურვალედ. მომძიებელისა. და. მზრუნველსა. მათსა: უფალსა უფალთასა:

მათის. ქრისტეს. მსგავსი. სიმდაბლითა. შვილად. კადნიერი. ქმნილნი. მცირე მონანი. და მკურვალედ მორწმუნენი: დიდისა. შიშითა. და ძრწოლითა. წმიდასა. და მშვიდობასა. მახარებელთა. ფერხთა., მდოულისა. ცრემლითა. განწმედნისა. მომლოდინენი. გონებისა. განზრახვითა. მრავლისა: სავედრისა. სიტყვითა. თაყვანებითა. სათხეველსა. ჩვენსა. სულისა. და. ხორცთასა: და მდიდარ ვიქნებით. უტყუელისა სასოებითაცე: მაღალო. და ნეტარო. მამო: ვითარცა. სულნი. სახსნადნი. ქვესკნელიანნი. შენგან. ელიან. გამოხსნასა. და შენ ხარ. გამომსკნელი. ეგრეთვე. შეგვიწყალენ. დიდითა. ამათა. ჭირთა. და, განსაცთელთა, შინა. მყოფნი. და კეთილად. შეიწყნარენ. ვედრებანი. ჩვენი! შორიელთა.

და. განწირულთა. მონათანი: და. მოიხსენენ. სიტყვანი ჩვენნი. აჰა. წარმოგვივლინებიეს. ეპისკოპოსი. ქვეყანისა. ჩვენისა. წინაშე. დიდებულებისა. შენისა. და ჩვენნი. საქმენი. ყოველნი. პირითა. ამისითა. ბრწყინვალებამან. მეუფებისა. თქვენისამან. შეისმინენ. და ვითარცა. ჯერ იჩინოს. უცთომელმან. შვილმან. შვილ-მოყვარეობამან. სახიერისა. მამისამან. ეგრეთ იყავნ.

„მდაბალი. მონანი. ორბელიანნი იოვანე. და ვახტანგ:
(ბექედი ივანესი და ვახტანგისა“). (1)

ამ წერილისთანავე არის ერთი იტალიანური წიგნიც ივანეს და ვახტანგის სახელით, მაგრამ ამ წერილის თარგმანად არ მიგვაჩნია, რადგან ბევრით განსხვავდება ქართულისაგან, ამისგამო აქ მოვიყვანთ იმ ნაწილს, რომელიც განსხვავდება. „თორმეტი წელიწადია ოსმალების ტყვედ ვიყავით და ახლაც ვართ სპარსელების ხელთა. ამათ ჩვენი ქონება სულერთიან წაგვართვეს და ამისგამო აწ სამწუხრო მდგომარეობაში ვართ. ეგრეთვე ხშირად გვაწუხებენ მწვალებელნიც. თქვენ რომ ინებებდეთ და ერთ რომელსამე ადგილს გვიბოძებდეთ საცხოვრებლად, ჩვენ ყველა ჩვენის ქვეშევრდომებით მზათვართ დავუტევოთ ჩვენი სამშობლო, ოღონდ ჩვენი სულის ცხონება შეგვეძლოს. ხოლო ამას თუ არ ინებებთ, მაშინ გვიშვამდგომლეთ ყული-ხანთან, რათა ასე არ დაგვჩაგროს, და ეგრეთვე სთხოვეთ მას, რომ შეაჩეროს ეს განუწყვეტელი დევნულება, რომელსაც ჩვენ გვიყოფენ მწვალებლები; ვინაიდგან ამ ბოლო დროებში ძრიელ უკანასკნელ მდგომარეობაში ჩავვარდით, რის გამოც იძულებული გავხდით ჩვენი არხიმანდრიტი გამოგვეგზავნა, რათა თქვენს უწმიდესობის აცნობოს ჩვენი სატირელი მდგომარეობა“.

ამათ პაპის წიგნთან ერთად პროპაგანდის კარდინალსაც გამოუგზავნეს შემდეგი წერილი:

„კარდინალი პეტრო ფრეფეტო.

„ქ: წმინდასა და დიდებულსა. ყოვლად ნეტარებით აღვსილსა. ჩვენ მდაბალთათვის მწყემსა და მეოხედ. სასოსა. სულიერსა მამასა და უფალსა: ჩვენ წმიდისა რომანელთა ეკკლესიისა. სარწმუნოებისა მორწმუნენი. თაყვანისცემით. ამბორს უყოფთ. ბრწყინვალესა. მარჯვენასა. თქვენსა: თქვენი ყოვლად. პატიოსანი წიგნი: 1734 წ. მოვიდა. რომელმან. სცა ნუგეში. უძლურებასა. ჩვენსა. რომელსა, შინა. ეწერნეს. სიხარულნი. სარწმუნოებისა ჩვენისანი. და ჩვენ ჟამთა. ქცეულებამა. მრავალ-გვარსთა. განსაცდელი შეგვამთხვია. ურუმთაგან. და. ყიზილბაშთა. და ლეკთაგან; და ამ ჟამამდე არღარა დრო გვეცა. რომელ შევეუწყებინა. ცხოვრებანი ჩვენნი. აწე ესე სულიერი. მამა. ეპისკოპოსი ქვეყნისა ჩვენისა ქრისტეფორე წარმოგვზავნეთ ყოვლისა სოფლის. მაკურთხეველისა. წმინდა-

სა, მეუფესა. წინაშე რომლის მიერ დიან. მოწყალების. წყარონი დი რწყვენ. ყოველსა ქვეყანასა: შენდობის. მდინარენი. და გვაქვს სასოება. სიწმინდისა. თქვენისა. მინდობილთა რათა შეწივნეთ უცხოობით შეუწევნელობასა. მისსა. და რომელიცა: ვედრებანი ჩვენ მიერ მოგახსენოთ. კეთილმან კეთილად შეისმინოთ და გვიმეოხოთ. მეოხსა ყოვლისა სოფლისათანა: თქვენი. სიწმინდის მსასოებელნი ორბელიანნი იოვანე და ვახტანგ". |იოანეს და ვახტანგის ბეჭედი| (1)" ამის იტალიანურ თარგმანში მოხსენებულია მათი 12 წლის ტყვეობა, მწვალებელთა მიერ დევნულება, სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდნა. დაწერილია თფილისში 26 აგვისტოს 1741 წ. აქ ხსენებული ვახტანგ ორბელიანი კათოლიკეთ გარდაიცვალა ნოემბრის დამლევს 1752 წ.

ამ წერილებს პაპის მიერაც კარდინალმა უპასუხა შემდეგის წერილით:

„დიდათ ბრწყინვალე ბატონებო. საქართველოს ბატონებს ს. ს. (ივანე და ვახტანგს).

„ჩვენმა ბატონმა პაპმა, ბენედიქტე XIV, ღვთისაგან დღეგრძელუბულმა მიიღო ტფილისიდან გამოგზავნილი 15 სეკტემბერს 1741 წ. თქვენი წერილი, რომელიც მოიტანა მათმა უსამღვდელოესობამ ქართველ-კათოლიკე ეპისკოპოსმა, როდესაც აქ მოვიდა წმიდა ადგილების მოსალოცავად და პაპისადმი თავისი მორჩილების გამოსაცხადებლად. პაპმა თავისის ჩვეულებრივის მამობრივის სიყვარულით მიიღო ხსენებული ეპისკოპოსი და მიანიჭა ბევრი წყალობა და სულიერი ძალა, ეგრეთვე წმინდა ჯვრის ნაწილი, და ნაკურთხი კრავები *), შეუძლია თქვენც გადმოგცემსთ მისი რავდენიმე ნაწილი. მასთანვე ვეცადეთ, რომ ეს აქ პროპაგანდის კრების ხარჯით ყოფილიყო და მივეცით გზის ხარჯიც, თუმცა ხსენებულ კრებას არ შეეძლო ადვილად ამ ხარჯის გაწევა რადგან თვითონაც გაჭირვებულ მდგომარეობაშია. პაპმა კეთილინება და მეპრეფექტოს, მიბრძანა, თქვენთვის მომეწერა, რომ ხსენებულ კრებას დაავალა, ზოგა მიიღონ, რათა შეგისრულოსთ ნათხოვარი, რომელიც თქვენს წერილში გამოაცხადეთ, და აღმოგიჩინოსთ ყოველ ნაირი მფარველობა, როგორათაც მოხსენდა ხსენებულ ეპისკოპოსს საშუალებით ერთის მოენისა, რომელმაც მანდაური ენა და გარემოება კარგად იცის და რომელიც არის ამ პროპაგანდის კოლეგიის მოწაფე **), მომავალშიაც პაპი მუდამ მზრუნველი იქმნება მანდაური კათოლიკებისათვის და ყოველა ღონისძიებით ეცდება აწუგეშოს ეს ტომი და დაუკმაყოფილოს ყვე-

*) ესეთი კრავები შეზავებულია სანთლითა და წამებულთა ნაშთითა.

**) ეს არის ზემოდხსენებული ტფილელი გოდაკანთ ანტონი.

ლა თხოვნა რაც აქამდე ჰყო და ან რასაც შემდგომში წარმოადგენს. ამ წიგნის თქვენდამი მოწერით ვასრულებ პაპის პატიოსან ბრძანებას და გაუწყებ, რომ იგი თქვენ და ყველა თქვენის ტომის კათოლიკებს განიჭებს მამობრივის სიყვარულით სავსე კურთხევას. ეგრეთვე გაუწყებ თქვენის წერილის მიღებას და მასთანვე პაპთან ერთად გიცხადებ ჩემს პატივისცემას, რომელიც მაქვს თქვენს გვარსა და კათოლიკებზედ, როგორათაც სხვა დროებშიც მოგწერე". (1)

აქ დასახელებული ქართველი კათოლიკე ეპისკოპოსი ტფილელი ქრისტეფორეა. იმისი გვაქვს მრავალი ცნობა, საიდგანაც სჩანს, რომ შესანიშნავი პირი ყოფილა, თუმცა ჩვენ ისტორიაში კარგად ცნობილი არ არის. ტფილისიდამ ევროპაში წასულა პირველ ოქტომბერს 1741 წ. რა მისულა სმირნაში, იქაური ეპისკოპოსი რომში ისტუმრებს და თავის გასაცნობელ წერილს აძლევს პროპაგანდის კარდინალთან:

„პატივი მაქვს თქვენის მეუფების უმაღლესობას ვაუწყო, რომ სმირნაში მოვიდა მათი ბრწყინვალება ტფილისის არხიეპისკოპოსი ქრისტოფორე ყაფლანიანი*), როცა გამომჟღავნებულა, რომ იგი კათოლიკე იყო, სქიზმატიკ სომეხთა პატრიარქს დაუწყვია მისთვის სასტიკი დევნა, ჩამოურთმევინებია ყველა მისი ქონება და გაუძევინებია საქართველოდგან; ეგრეთვე ამავე მიზეზის გამო გაუღარიბებიათ კეთილშობილნი ორნი ძმანი კათოლიკენი ივანე და ვახტანგ, ორბელიანთ წარჩინებულის გვარისა, რომელსაც პროპაგანდა კარგად იცნობს; სანუგეშებლად და შესაწევნელად იმ სამწუხარო მდგომარეობაში, რომელშიც ყოველ შემწეობას მოკლებული იმყოფებოდა ეს ღირსეული ეპისკოპოსი, აქაურ ვაჭრებში ჩამოუკრიფე მოწყალება და ეგრეთვე მოუხერხე, რომ უსასყიდლოდ ემგზავრა ვიდრე ლივორნამდინ, საიდანაც მოვა თქვენ ფერხთა წინაშე... სმირნა, 1 ივნისს, 1742. თქვენი მდაბალი მონა იროკნიმე ლანცა, სმირნის სამოციქულო ვიკარია". (2)

როდესაც ლივორნაში მისულა, იქ მყოფ კაპუცინებს, რომში თავიანთ კაპუცინებისათვის უცნობებიათ მისი მოსვლა. იქ ამ დროს საქართველოდან დაბრუნებული ყოფილა კაპუცინი ანჯელო ვოლთეჩანელი, რომელიც ამ ეპისკოპოსს იცნობდა საქართველოში. ამიტომ 3 სექტემბერს 1742. პროპაგანდას თხოვნა წარუდგინა, რათა კარგად მიეღოთ ეს და მისი ყველა სათხოვარი მოესმინა. ამ წერილში სხვათა შორის, ქრისტოფორესათვის ნათქვამია: „... მართლაც დიდად ღირსია ეს ეპისკოპოსი თავისი კარგის თვისებისათვის, რაის გამო მეტად უყვარსთ და პატივსცემენ არა მარტო ქართველი პატრიარქი, რომელსაც თვალის

*) ორბელიანთ ხშირად ყაფლანიანთაც ეძახდნენ.

ჩინსავით მიაჩნია, არამედ, უფრო მეტად ყველა ქართველები და ბატონები, ესეც არა მარტო ქართლში, არამედ საქართველოს ორსავე პროვინციაში— იმერეთსა და კახეთში. როდესაც ზემოდ ხსენებული პატრიარქი კონსტანტინეპოლში დაჭერილი იყო ოსმალების პოლიტიკის გამო, როცა საქართველო მათ ხელში იყო, მაშინ ამ პატრიარქმა ხსენებული ეპისკოპოსი, თავის ვიკარია დანიშნა თავის მონაცვლეთ და წერილიც გაუგზავნა, მოევლო მისის სამწყსოსათვის...“ (1)

აქ ხსენებული პატრიარქი არის დომენტი, რომელიც ტყვედ იყო კონსტანტინეპოლში 1739 წელსა. ხოლო ამ დროს კი იგი მიცვალებული იყო, რაიც, ჰგავს, ამ მიმწერ კაპუცინს ჯერ შეტყობილი არა ჰქონია. ეს კაპუცინი ამ ეპისკოპოსს უწოდებს ქრისტეფორე თუმანიანთს. თუ ეს მართლა მისი სახელია და არ ყოფილა ორბელიანთი, მაშინ ეს ეპისკოპოსი უნდა იყოს ის თბილელი მიტროპოლიტი, რომელიც 1762 წ. გუჯრებში მოხსენებულია ქრისტოფორე თუმანაშვილად. (2)

ქრისტეფორე რომში დიდის პატივით მიიღეს და ბევრი რამე ჰკითხეს საქართველოისა. ენის უცოდინარობისა გამო დიდად გამოადგა იქ მყოფი ტფილელი მისივე ნაცნობი, ანტონ ქოდაკანთი, რომელმაც მის მაგიერად პროპაგანდას წარუდგინა ეს წერილი:

„მე ტფილელი ანტონ ქადაკანთი, პროპაგანდის კოლეგიის მოწაფე, ვიცნობ წმიდა ბასილის მოწესეს მათ უსამღვდელოესობას ქართველ ქრისტოფორე ტფილისის ეპისკოპოსს. ჯერ ისევ მღვდელი იყო, როდესაც მიიღო კათოლიკობა პატრი ანჯელო პაპილის საშუალებით; ყველა ჩვენის კათოლიკების თხოვნით ანტიოქის პატრიარქმა კირილემ დანიშნა იგი ეპისკოპოსად, მას შემდეგ ხუთი წელიწადია. აწ აქეთ იმიტომ წამოვიდა, რომ დიდად ნატრობდა რომში მოსვლას, პაპის ფერხთა მთხვევას, წმიდა ადგილების მოლოცვას და მოხსენებას ეგრეთვე იმ უბედურებისას, რომელშიაც ყველა მისი საბრალო ხელქვეითი კათოლიკენი ჩავარდენ. ამის გამო უძველესის ორბელიანთ გვარის ორი თავადთა, ამისავე კათოლიკე ნათესავთა, რომლებსაც, ათი წელიწადია, რაც კარდინალმა პრეფექტომ მისწერა და მიულოცა, კათოლიკობის მიღება, თავიანთი ხელქვეითებთან ერთად, გამოატანეს წერილი კარდინალ პრეფექტოსთან; ამის შესამოწმებლად ეპისკოპოსს გამოატანეს ეგრეთვე კარდინალის იგივე მიწერილი წიგნიც: სხვა თავის გასაცნობელ წიგნებთან ერთად იმ თავადებმა პაპთანაც გამოატანეს წერილი.

„ეს ხსენებული ეპისკოპოსი ნატრობს მოახსენოს წმიდა კრებას, რაკი ქართველთა ტომს არი ადგილი აქვს კოლეგიაში, გაუჭირვებლად მიიღებოდენ ხოლმე, როდესაც კათოლიკე ეპისკოპოსი და სამეგრელოს

კაპუცინები გამოგზავნიან ახალგაზდებსა, თუმცა იქაური უდიდესი საჭიროება მოითხოვს უფრო ბევრის შეწყნარებას.

„ეგრეთვე ჰსურს მოახსენოს წმიდა კრებას და თვით პაპსაც ქართველთა ერის საჭიროება, რათა რომში თავისი საკუთარი სახლი ჰქონდეს, როგორათაც აქვსთ სხვა ტომთა; ვითარცა ამას შეჰპირდა ნეტარხსენებული პაპი კლემენტე მეთერთმეტე: ეს სახლი დიდად შეეწევა აქაურ მისიონს.

„ეს ეპისკოპოსი საჩქაროდ წავა, რა ნახავს წმიდა კრებას და პაპსა, რადგან ძრიელ ეჩქარება დაბრუნდეს თავის ეპარქიაში, რათა ანუგეშოს თავისი დაღონებული კათოლიკები.

„საქართველოდამ წამოვიდა პირველ ოქტომბერს 1741 წ. შავი ზღვით, მივიდა კონსტანტინეპოლში, იქიდან სმირნაში და შემდგომ ლივორნაში.

„ტფილისი არის დედა-ქალაქი მთელი საქართველოსი. აწ მართლად ექვევრდომება სპარსელებს. საქართველოს მთავრები არიან შვიდნი: პირველს ჰქვიან ვახტანგ, რომელიც ამ ბოლო დროს საქართველოს მეფე იყო; ამ ჟამად მისი სახლობა მოსკოვში იმყოფება, რადგან ოსმალების გამო, რომელთაც იმ დროს დაიპყრეს მისი ქვეყანა, იძულებული გახდა ლტოლვილიყო. 1738 წ. გარდაიცვალა მოსკოვში თანდასწრებით ერთის კაპუცინისა, რომელმაც შეუსრულა უკანასკნელი სულიერი სამსახური, მისი შვილები და მეუღლე ცოცხალნი არიან.

„ხოლო ექვსნი დანარჩენნი მთავარნი არიან თავ-თავისს სამთავროში. იმათგანი ოთხი გაყრილია და ორი კათოლიკე, რომლებიც არიან ხსენებული ორბელიანები. ერთ ამათგანს თამაზ ყულიხანმა ძალით წაართვა ქალი და დააქორწინა თავის შვილზე.

„ხარკი, სპარსელებისაგან ძალადატანებულნი არიან გარდაიხადონ სულზე ათი ოქროს სკუდი, თუ დიდმა და თუ პატარამ, თუ კაპუცინმა და თუ მღვდელმა. ეგრეთვე ყველა ეკკლესია ვალდებულია გარდაიხადოს ოცი სკუდი. გარდა ამისა, მცხოვრებნი, როგორც კათოლიკენი, ისე მწვალებელნი, იძილებულნი არიან საომრადა გავიდენ.

„ის ორი კათოლიკე მთავარი ძრიელ დაჩაგრულია, ვინაიდგან მათ წინაალმდეგ არიან არა მარტო სპარსელები, არამედ ყველა მწვალებელი, ამიტომ მათ უფრო მეტს ხარკს ართმევენ. გარდა ამისა, ისინი ვალდებული არიან ყული ხანს ყოველწლივ მისცენ ხუთი ათასი ჯარის-კაცი. სპარსელებისათვის სულ ერთია, ჯარის-კაცები კათოლიკები იქმნებიან, თუ განყრილები, რადგან ყველას ერთნაირად ეპყრობიან, ხოლო საბრალო კათოლიკები მეტად დევნულნი არიან მწვალებელთაგან. როგორათაც შევიტყეთ, ამ ბოლო დროებში მწვალებელ სომეხთა პატრი-

არქს ძალათ დაუკეტინებია ეკკლესია და გაუდევნია პატრი კაფუცინები და სხვაც დიდი ვნება მიუყენებია მათთვის. ამბობენ ყული ხანს არა სცოდნია ეს უკანასკნელი დევნულებაო, არამედ მარტო გუბერნატორის მოთავეობით ყოფილა; მწვალებელ სომეხთა პატრიარქის მეგობარი და მისი ფულით მოყიდულიაო.

„მათი უსამღვდელოესობა ტფილისის ეპისკოპოსი ქრისტეფორე ორბელიანთი, რომელიც 30 სექტემბრის აქეთ რომშია, წმიდა კრებას აუწყებს იმ უდიდეს სამწუხარო მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებიან ყველა კათოლიკები, ვითარცა სავსებით ეუწყა ბატონს კარდინალ პრეფექტოსაც. ეს ამბავი ეგრეთვე მოსწერეს ორბელიანთ იმ ორ კათოლიკე მთავარსა, რომელთაც ერთი წერილი პაპსაც გამოუგზავნეს.

„ხსენებული ეპისკოპოსი ნატრობს, წმიდა კრებამ როგორმე უშველოს და გამოიყვანოს იმ სამწუხარო მდგომარეობისაგან, რომელშიც არიან ყველა იქაური სპარსელების ქვეშევრდომი კათოლიკები; ვინაიდგან ძრიელ ფიცხად სდევნიან მათ მწვალებელნი". (1).

ყველაფერი ეს მოხსენებულია თვით ქართველ ქრისტეფორე ეპისკოპოსისგან, რომელმაც, ენის უცოდინრობის გამო, იტალიანურად დააწერინებია. ეს საბუთი იმით უფრო შესანიშნავია, რომ ქართველ კათოლიკების მრავალს საჭირო ცნობას შეიცავს. ამ ქრისტეფორეს კარგა ხნით ადრე უნდა მიეღო კათოლიკობა, რადგან ის კაფუცინი ანჯელო პოპელი, რომლის მეცადინეობით მიუღია კათოლიკობა, საზას მოყვანილია 1715 წელსა. ხოლო კაფუცინები საზოგადოდ ათ წელიწადზე მეტს არ რჩებოდენ საქართველოში. ამიტომ ჩვენის აზრით, მისი გაკათოლიკება უნდა მომხდარიყო 1725 წინა წლებში, ხოლო კათოლიკობის მიღების შემდგომ, მიუღია ეპისკოპოსის ხარისხი 1734 წ. და დომენტი კათოლიკოსის ვიკარიად ყოფილა 1739 წ. და მინდობილება მიუღია (როდესაც კათოლიკე იყო), მის ნაცვლად ემწყსო მთელი საქართველოს ერი, ვიდრე ტყვეობიდან დაბრუნდებოდა. არ დავივიწყოთ, რომ დომენტი კათალიკოსსაც უკვე, 1709 წ. პაპისათვის მიეწერა შეერთების წიგნი, როგორც ზემოდ ვნახეთ. რა საკვირველია, ქრისტეფორე ეპისკოპოსი კათოლიკობის მიღების შემდგომ, დარჩენილა თავის ქართულ ტიბიკონზევე. რადგან მდიდარის და უძველესი ორბელიანების სახლიშვილი იყო, ყმებიც ბლომად ჰყოლია, მათთვისაც კათოლიკობა მიუღებინებია. ეგრეთვე ქრისტეფორე ყოფილა საეპარქიო ეპისკოპოსი და ერად ჰყოლია ქართულის ტიბიკონის მქონე კათოლიკები, რომელთა შორის ირიცხებიან ივანე და ვახტანგ ორბელიანებიც. ამ ორ თავადსაც მარტო თვით არ მიუღიათ კათოლიკობა, არამედ მთელი თავიანთი ყმებით შეერთებიან რომის ეკკლესიას. თუ რაოდნად ბევრი

ხელქვეითი ჰყოლიათ, იქიდან სჩანს, რომ წელიწადში 5000 მეომარი უძლევიათ სპარსეთის მეფისათვის. ისე ჰგავს, ამ ქრისტეფორე ეპისკოპოსს უწინ მიწერ-მოწერა ჰქონია პაპთან, რადგან კლემენტე მეთერთმეტე, რომელიც მიიცვალა 1721 წ. შეჰპირებია რომში ქართველებისათვის ცალკე სახლის დაარსებას.

ქრისტოფორე რომში ორი თვე ძლივს უნდა დარჩენილიყოს. მალე გამობრუნებულა საქართველოში, რადგან ზემო წერილთან ერთად მოიპოვება ეს წერილი, რომელშიც მოხსენებულია მისი რომში ყოფნის დრო ასე:

„პროპაგანდის პრეფექტო ბატონი კარდინალის პეტრას ბრძანებით მე სუქიასმა შევიწყნარე ჩემს სახლში მათი უსამღვდელოესობა ორბელიანი ქრისტოფორე, ტფილისის ეპისკოპოსი და 38 დღის განმავლობაში მას და მის მოსამსახურეს, რაც-კი საჭირო იყო, ყოველი სამსახური მივაგე. ამიტომ ოთახისათვის ორი თვის ქირა მერგება. გარდა ამისა, პროპაგანდის კოლეგიის მოწაფე ბატონი ქოდაკანთ ანტონას თხოვნით, მას ვასესხე 24 სკუდი, რათა ხსენებულ ეპისკოპოსს ტანისამოსი შეეკერა და შეეკეთებინა, რაც-კი სჭიროდა. იმედი მაქვს, ჩემი დანახარჯისა კმაყოფილი იქნება თქვენი უმაღლესობა. ნოემბრის 21 1742 წ.“. (1)

შემდგომ ერთი მოკლე წერილით ორბელიანთ ეპისკოპოსი ქრისტოფორე კარდინალს დიდ მადლობას უხდის ყოველის სიკეთისათვის, რაც მისგან მიიღო რომში ყოფნის დროს, ჰპირდება რომ არაოდეს დაივიწყებს მას და მუდამ ღმერთს ევედრება მის დღეგრძელობას; ეგრეთვე სთხოვს კარდინალმა მფარველობა არ მოაკლოს.

აქედან სჩანს, რომ ნოემბრის დამლევს 1742 წ. გამობრუნებულა საქართველოში. იმ აუარებელ დაღუპულ საბუთებთან ქრისტოფორე ეპისკოპოსის შესახებაც ბევრი რამეა დაკარგული, ამიტომ სრულიად არაფერი ვიცით, რა გააკეთა, როდესაც საქართველოში დაბრუნდა.

როგორც ფვანე და ვახტანგის წერილებში, ისე ქრისტეფორე ეპისკოპოსის მიერ წარდგენილ მოხსენებაში დასახელებული იყო სომხების მიერ დევნულება, მაგრამ აქ რომელსამე საცალკეო დევნულების შესახებ კი არ არის ლაპარაკი, არამედ საზოგადო მტრობისათვის, რომელიც სომხებს მუდამ ჰქონდათ კათოლიკების წინააღმდეგ. გარნა შემდგომ სომხებმა, თავიანთისა ჩვეულებისამებრ, დაუწყეს კვალად ძლიერი დევნა კაპუცინებს 1742 წელს, და როგორც იყო, მიაწიეს თავიანთ გულის წადილს, ესე იგი მათ ჩამოართვეს ეკკლესია და ცემატყეპით განდევნეს ტფილისიდან. განდევნილი კაპუცინები ახალციხეს მივიდნენ და იქიდან მაისში პატრი ნიკოლა ბორგოელი გაგზავნეს რომს, რათა ყოველი თავიანთი უბედურება ეუწყებინა და რაიმე შემწეობა

ეშოვნა შეურიგებელის მტერის ასალაგმავად. პატრმა ნიკოლამ, ავად-მყოფობის გამო, როგორც იყო ძლივს მიაწია კონსტანტინეპოლს და იქიდამ 17 აგვისტოს 1742 წ. წერილი მისწერა რომში და ამ დევნულობის ამბავი ასე აცნობა: „... აწ მიზეზი იმ ქვეყნიდან ჩემი წამოსვლისა ისაა, რომ საუბედუროდ, დავკარგეთ ტფილისის მისიონი, ამ 1742 წლის მარტის დამლევს და აპრილის დამდეგს მწვალებელმა სომხებმა დაგვიწყეს მკაცრი დევნა. ჩვენი მონასტერი და ეკლესია სპარსეთის თათრებს ერთიან აკლებინეს, ტფილისში მყოფი მონაზონები დაგვამწყვდიეს, გაგვლახეს და ათასნაირი ტანჯვა მოგვაყენეს, ისე, რომ აღარავის ეგვეგონა, თუ კიდევ ვიცოცხლებდით; ზარდამისა, შეუბრალებლად და უწყალოდ გალახეს ყველა სომხის კათოლიკები, რომელნიც მოინდომეს მტკიცედ დარჩენა წმიდა კათოლიკე სარწმუნოებაში; ბარბაროსულად წაართვეს ყველაფერი, რაც-კი გააჩნდათ; ეს არ აკმარეს, არამედ ბევრის ცემის შემდეგ ალყარებინეს ევტიქეს შემცდარი სარწმუნოება და აწყევლინეს პაპი წმიდა ლეონ დიდი. ამათ არ დასჯერდნენ და ბოლოს ჩვენც ძალით გაგვდევნეს ტფილისიდამ. ტფილისში დარჩენ მარტო ქართველი კათოლიკები, რომლების წინააღმდეგ სომხების მუხანათობრივმა სიცოფემ ვერაფერი გააწყო...“ (1)

ამ ბარბაროსულის დევნულების ამბავს 2 ივნისს 1742 წ. მისწერენ ეგრეთვე ახალციხის მღვდლები კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსს და ეუბნებიან, ტფილისიდან გამოდევნილი კაპუცინები ყველა აქ მოვიდნენ, სომხის კათოლიკე აქ ერთიც აღარ დარჩა; ყველა გადაიყვანეს ევტიქეს სარწმუნოებაზე და აქაც გვიპირობენ დევნასაო.

ამ დევნულების დროს ქართველები მეტად დაჩაგრული იყვნენ სპარსელებისაგან, რომლებსაც მთავრობაშიდაც სამსახურის ყველა მაღალი ადგილები ეჭირათ. ხოლო სომხები-კი ამ დროს მეტად გათამამებული იყვნენ და სპარსელებიც მათ მხარს უჭერდნენ. ამისგამო ქართველებმა ამ ხანად, ჩვეულებისამებრ, ველარ უპატრონეს კაპუცინებს და ველარ დაიცვეს სომეხთა მიერ დევნულობის წინააღმდეგ. გარნა რა ნახეს კაპუცინები ესე უწყალოდ გალახულნი და ტფილისიდან მთლად გადევნილნი, შეეშინდათ, რომ სამუდამოდ არ გაშორებოდნენ საქართველოს. ამიტომ საჩქაროდ რომს წიგნები მისწერეს საქართველოს საუკეთესო პირებმა, ესე იგი ახალმა კათოლიკოსმა, ნიკოლაოზ ხერხეულიძემ, ამილახვარმა და ორბელიანებმა. ამ წერილებში აუწერეს სომხებისაგან მიყენებული უსამართლობა და მასთანავე დიდის ვედრებით ჰსთხოვეს პაპს, რათა, სომხების მტრობისგამო, საქართველოდან არ განეშორებინათ კაპუცინები და ეგოდენი ქართველი კათოლიკები არ დაეტოვებინათ უმწყემსოდ. მესამე თავში უკვე მოვიყვანეთ ნიკოლაოზ კათალიკოსის

მეტად შესანიშნავი წერილი, რომელიც საკმაოდ უჩვენებს მის ერთგულობას რომისადმი და ეგრეთვე კათოლიკობას. აწ მოვიყვანთ თარგმანს ორი დანარჩენის წერილისაც, რომელიც არა ნაკლებ შესანიშნავია. ამილახვარი პაპს ბენედიკტე **XIV** ასე ჰსწერს:

„უბრწყინვალესო, უძლიერესო უმეტეს ყოვლისა ქებისა, ვინაიდგან ქვეყნიერ მფლობელთა და მთავართა შორის არავინ არს უმაღლესი თქვენზედ, რომელმაც სასუფევლის კლიტესთან ერთად ზეცით მიიღეთ უმაღლესი ძალა შეკვრისა და გახსნისა და ეგრეთვე მოგენდოთ მთელის სოფლისათვის ზრუნვა, და რომლისაგან ძრიელნი ქვეყნისანი ძრწიან და ცოდვილნი ითხოვენ მოწყალებას და შენდობას. ამ თქვენს ესრედ მაღალს ღირსებას ჩვენ მორჩილნი და მდაბალნი, თუმცა სხეულით დაშორებულნი, გარნა გულით ახლოს მყოფნი და თქვენთან შეერთებულნი მოკრძალვით და სიყვარულით ვეთაყვანებით. კდემით ვემთხვევით თქვენს წმინდა ფერხთა და ვითხოვთ თქვენგან ჩვენის ცოდვების შენდობას.

„დიდი ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში, კათოლიკების საჭიროებისათვის, თქვენი ეკკლესია აშენდა და თქვენი პატრი-კაპუცინები სცხოვრობენ. ჭეშმარიტად ამათ დიდი შრომა მიიღეს, ბევრი შემცდარნი ცხოვარნი უფლის სამწყსოს შეუერთეს და ესრედ ღირს-სულოვნობით და პატივით მოუპოვეს კათოლიკე წმიდა სარწმუნოებასა. გარნა ამ საქართველოს პროვინციაში სომხებმა გაიმარჯვეს; კათოლიკე სარწმუნოების გამო თქვენი პატრები დაატყვევეს, გალახეს და ეგოდნად უსამართლოდ სდევნეს, რომ უარესის ქმნა თითქმის აღარ შეიძლებოდა; ეკკლესია, წმიდა ჯვრები და წმიდა ხატები შეაგინეს და ფეხ-ქვეშ გათელეს; როდესაც მთავრობამ ეკკლესია და სახლი ჩამოართვა, სომხებმა აქ თქვენი პატრები ბევრ ხანს აღარ დააყენეს, ახრამედ აქედან განდევნეს; ყველა კათოლიკები, თუ მამა-კაცები, თუ დედა-კაცები დაატყვევეს, სცემეს, და ეგოდნად აწვალეს, რომ უარესის თქმა აღარ შეიძლება: ყველა მათი ქონება აიკლეს და სარწმუნოებაც უარაყოფინეს. აწ ჩვენ *) დიდად გევედრებით ამ ქვეყნისაგან ნუ განაშორებთ თქვენის მოწყალების ხელსა, იმდენის მოქცეული კათოლიკებითურთ ნუ დაუთმობთ მწვალებლებს და ჩვენც ნუ მოგვაშორებთ კაპუცინებსა. ვევედრებით თქვენს ხელმწიფებას, შეგვეწიოთ და ჩვენი ცრემლით შერეული ვედრება შეიწყნაროთ. ჩვენი შეწევნა და ნუგეშისცემა თქვენთვის ძნელი არ არის, ამიტომ ნუ აიღებთ ხელს ნურც ჩვენზე და ნურც ჩვენ უბედურ ქვეყანაზე, ეგრეთვე შეეწიეთ ამ ხსენებულ პატრებსაც და ნუ ინებებთ, რომ წმიდა ეკკლესიის მტრების გამო სამუდამოდ გაშორდნენ აქაურობას და

---

*) ხოლო კათოლიკოსის წერილში თქმულია: ყველა ქართველები.

ესრედ დაილუპნენ ერთიანად იმდენი კათოლიკები. დანარჩენს ამბავს თქვენივე პატრები მოგახსენებენ“. (1).

ამ ამილახვარისა სხვა არაფერი ცნობა გვაქვს. ეს წერილი, ვგონებთ საქართველოშივე უნდა იყოს ნათარგმნი ლათინურად: ამის ქართულ დედანს ვერ შევხვდით. ამ წერილთანავე იყო ეგრეთვე ორბელიანების ეს მეორე წერილი პროპაგანდის კარდინალთან:

„ყოვლად წარჩინებულო, ფრიად პატივცემულო და უმაღლესო, ღვთისაგან რჩეულო, წმიდა კრების უფროსო, ჩვენო ბატონო და ჩვენო მფარველო. თქვენი სულიერი შვილები, ყველა ერთად, თქვენს მარჯვენას ვეამბორებით და თქვენს უმაღლესობას ვაუწყებთ მას, რაც უკვე წმიდა კათოლიკე ეკკლესიის კრებამ იცის, ესე იგი თუ რა დიდი ხანია, რაც ყველა ჩვენის ნათესავებით და ოჯახობით სჯბედნიეროდ თქვენი მორჩილნი ვართ და ჩვენთან ერთად ჩვენი საქართველოს ბევრი მამა-კაცები და დედა-კაცები. გავლილს წელს (1741) მანდ წარმოგივლინეთ ჩვენი ეპისკოპოსი ქრისტოფორე, რომლის საშუალებითაც გაუწყეთ ყოველი ჩვენი საჭიროება და მასთანავე ყველა ის შეწუხება, რომელიც გამოვიარეთ მწვალებელთა და ურწმუნოთაგან. დარწმუნებული ვართ, რომ აქამდე ის ყველაფერს მოგახსენებდათ, გარნა მისი შვიდობით მანდ მოსვლისა არავითარი ამბავი შეგვიტყვია. აწ გაუწყებთ, რომ 1742 წ. სომხებმა ჩვენს საქართველოში, მარჯვე დროს ჰპოეს და შეისრულეს ბოროტი წადილი: ჩვენი პატრი-კაფუცინები დაიჭირეს და ბევრნაირად აწვალეს და დასჯრეს! მართალია, არ დაუხოციათ, მაგრამ ყველაფერი კი სტანჯეს; ეკკლესია, წმიდა ჯვარი და წმიდა ხატები შეაგინეს, ეკკლესია ჩამოათვეს და კაფუცინებს ჩვენს პროვინციაში ცხოვრების ნება აღარ მისცეს, არამედ აქედან განდევნეს. გარდა ამისა, აქ რავდენი კათოლიკეც ჰპოვეს ორისავე სქესისა, დაიჭირეს, უწყალოდ გალახეს, მათი ქონება აიკლეს და ძალით თავიანთ სარწმუნოებაზე გადაიყვანეს. აწ ტირილით გევედრებით და გაფიცებთ ღვთის სიყვარულისათვის, რომ ეს ყოველი ჩვენი ამბავი წმინდა მამას მოახსენოთ და ნუ ინებებთ ეგოდენი სულთა დაკარგვას. უკაფუცინებოდ დარჩენა არ შეგვიძლია. კარგა ხანია ეგოდენი კათოლიკები დავრჩით დაუნდობელ-უზიარებელნი;. ბევრი კაცი მოკვდა უბედნიერ სულიერის შემწეობისა და ბევრი ბოვში მოუნათლავი. აღიფრინეთ ჩვენს შესაწევნელად და გვიშუამავლეთ წინაშე უწმიდესის პაპისა: იმდენ ქრისტიანე კათოლიკეთ ნუ ჩააგდებთ ეშმაკის ხელში. ჩვენ მივიღეთ კათოლიკე სარწმუნოება პატრი-კაფუცინების ქადაგებით, ახლა თუ დავრჩით უკაფუცინებოდ და უეკკლესიოდ, არ ვიცით როგორი ქრისტიანე შევიქნებით? ინებოს ღმერთმა, რომ ეს არას დროს მოხდეს. ეს დევნულება მარტო სომხებმა ასტეხეს, აწ უწყოდეთ, რომ

ჩვენი მწუხარება და ტირილი უფრო უმეტესია ამაზე, რაც აქ მოგახსენეთ. ამისას დანარჩენს გაუწყებენ ხსენებული პატრები. თქვენი უმდაბლესი მონანი ორბელიანთი ყველა ნათესავებით". (1).

ეს შესანიშნავი საბუთი ცხადად გვიჩვენებს, რომ, გარდა ორბელიანთ გვარისა, იმ ჟამად კიდევ სხვა ბევრი ქართველი ყოფილა კათოლიკედ, როდესაც სომხებს ეგრედ უწყალოდ უდევნიათ და გაუძევებიათ კაპუცინები და ყველა სომხის კათოლიკები გადაუყვანიათ თავიანთ სარწმუნოებაზე. არც ამ წერილს და არც ზემო წერილს აწერიათ თარიღი. გარნა ცხადად სჩანს, რომ დაწერილია 1742 წ. უნდა იყოს მაისის თვეში გაგზავნილი, როდესაც ხსენებული პატრი ნიკოლა გაიგზავნა რომს და თან წაიღო ესენი.

საქართველოს ამ სამ უპირველეს პირთა წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რომში და ააღელვა იქაურობა ასეთი უსამართლო დევნულებების მოსმენამ. ამისგამო რომმა საჩქაროდ მიმართა იქ, სადაც საჭირო იყო. არა სჩანს-კი ამ პირებმა რამე პასუხი მიიღეს რომიდგან თუ არა. ხოლო კაპუცინების სანუგეშოდ პროპაგანდამ მისწერა ეს წიგნი მათ უფროსს:

„საქართველოს მისიონების უფროსს, პატრი კლავდიო რეჯიელს.

„21 სეკტემბერს, 1743 წ. წმიდა კრებამ პატრი ნიკოლა ბორგიელისაგან დიდის მწუხარებით მოისმინა ყოველი უბედურებანი, რომელიც შემთხვევია თქვენს გამგეობაზე მინდობილს ტფილისის მისიონს. რადგან დიდად ებრალება მისიონერების ეგრეთი მდგომარეობა და მეტად სწუხს, რომ რამდენ პირთ დაუტოვებიათ სარწმუნოება და კვალად მიქცეულან თავიანთ სქიზმატიკობაზე, ამიტომ დიდის მზრუნველობით მიმართა ყველა იმ საშუალებას, რომლის ხმარებასაც აწინდელი გარემოება ნებას აძლევს, რათა როგორმე გამოაკეთოს ეგრეთ დიდად გაფუჭებული საქმე ჩვენის წმიდა სარწმუნოებისა". (1)

კაპუცინებმა დევნულების შემდგომ, გაგზავნეს ეგრეთვე პატრი ლეონ ბაზელი ისპაჰან ფრანგის კაპუცინ დამიანე ლიონელთან. პატრი შაჰის მკურნალი იყო, ამისგამო დიდი გავლენა ჰქონდა მის წინაშე. ბევრს ეცადა და ვარგი ბრძანება გამოიტანა შაჰისაგან სასარგებლოდ ტფილისის კაპუცინებისა, რომლითაც შეეძლოთ თავისუფლად დარჩენილიყვნენ ტფილისში. ამისგამო პატრი დამიანეს 21 სექტემბერს 1743 წ. პროპაგანდამ მისწერა შესაფერი წერილი; ამავე დროს თვით პაპმაც მისწერა მას. კაპუცინები, პატრი დამიანეს მიერ მოპოვებულის ბრძანების შემწეობით, მალე დაბრუნდენ ტფილისს, ეკკლესია და სახლი ისევ ჩაიბარეს, მაგრამ ნივთები-კი ყველა დაიკარგა და ველარაფერი დაიბრუნეს უკან. რადგან ესე ყველაფრისაგან ცარიელი დარჩნენ და აღარაფე-

რი გაჩნდათ; პროპაგანდამ საჩქაროდ გამოუგზავნა 500 სკუდი კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსის საშუალებით.

რავდენისამე ხნის შემდგომ იტალიაში გაბრუნდა ხსენებული პატრი ლეონ ბოვაელი. პროპაგანდას წარუდგინა საქართველოს შესახებ ვრცელი მოხსენება, რომელშიაც აქ ხსენებულ დევნულებაზედაც სიტყვა ჩამოაგდო და სხვათა შორის, ესეც მოახსენა: „როდესაც კაპუცინები განდევნეს, ტფილისში მიწის ძვრა დაწყებულა და მთელ ხუთ თვეს გაუწევია, ვიდრე კაპუცინები დაბრუნებულან. თვით ურწმუნოებს აღუარებიათ, რომ ეს მიწის ძვრა სომხების დასასჯელად მოვლენილა, რადგან მათ კათოლიკები განდევნესო. ამ დევნულების ყველა მონაწილენი, ცოტა დროს განმავლობაში, ერთიან დახოცილან, გარდა სომხების მმართველისა; მაგრამ არც ამას დაჰკლებია სასჯელი: ორჯელ კინაღამ დაუხრჩვიათ; ცოლი და ძმა დახოცია. ამის მხილველ მაჰმადიანებს კაპუცინებისათვის უთქვამსთ, რომ თქვენი სჯული მათ ხოცავსო. კაპუცინების შემდგომ სომხებსაც მოუპოვებიათ შაჰის ერთი ბრძანება, რომლის ძალით კაპუცინები უნდა განდევნილ იყვნენ, ვითარცა ქვეყნის აღმაშფოთებელნი; მათ მიმდევარ კათოლიკებსაც უნდა გარდაეხადათ დიდი ჯარიმა, და მას შემდგომ ისევ უნდა შეერთებოდენ თავიანთ უწინდელ სარწმუნოებას. გარნა ტფილისის ახლად მოსულ ხანს კაპუცინების მიერ მოპოებული ბრძანება უფრო სასიკეთესოდ უქცნია, უფრო იმის იმედით, რომ კაპუცინებისაგან დიდ საჩუქარს მიიღო. შემდგომ ამ ახალმოსულ ხანს მოუნდომებია კაპუცინებისთვის დიდი ხარჯის გადახდევინება: გარნა ერთი მათი მეგობარი ქართველი შეხვეწნია ხანსა, რომელსაც ასერ გამოურთმევია მათთვის ხარჯი“.

კონსტანტინეპოლის ლათინის ეპისკოპოსს, რადგან ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონია ქართველებთან, უთხოვნია რომისათვის სამეგრელოში მისიონერების გაგზავნა და რომ ქალაქში ტყვედ მიყვანილი ბავშვების გამოსყიდვა. პროპაგანდაც 27 მარტს 1745 წ., მას ნებას აძლევს, რომ გამოისყიდოს ბავშვები, იქვე მათ ასწავლოს იტალიანური, ლათინური და პირველ დაწყებითი გრამატიკა და შემდგომ რომში გაგზავნოს, რათა იქ პროპაგანდის კოლეგიაში ისწავლონ თავიანთი ეროვნულ სასარგებლოდ.

ალეპოდგან კარმელიტანების უფროსს, პატრი ადალბერტოს, 14 სექტემბერს 1746 წ. პროპაგანდისთვის უთხოვია სამი ახალგაზრდა ქართველის მიღება კოლეგიაში. ხოლო პროპაგანდა 1746 წ. 14 იანვარს პასუხს უგზავნის, დიდ სიამოვნებას უცხადებს და უწინარეს მათი მიღებისა, უბრძანებს შემდეგ ცნობებს: 1) ეს სამი ქართველი რომელი ტიბიკონისა არიან, სომხურისა თუ ბერძნულისა; 2) თუ დასდებენ ფიცს, შემდგომ თავიანთი სამშობლოში დაბრუნდენ და იშრომონ სულთა სა-

სარგებლოდ; 3) თუ შეუძლიათ თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდენ ისე, რომ მტრებს ტყვედ არ ჩაუვარდენ. იქ მყოფი ერთი ვაჭარი მზად ყოფილა იმათთვის გზის ხარჯი მიეცა. ვერ შევიძელით გამოკვლევა, ის ბავშები ალეპოში საქართველოდან, ან სპარსეთიდან მიუყვანიათ, თუ ტყვეობისაგან დაუხსნიათ.

ზემოდ დასახელებული ტფილელი ქართველი ქოდაკანთ ანუ ლოდაკანთ ანტონა პროპაგანდის მოწაფე, რომში კურთხეულა მღვდლად ლათინურ ტიბიკონზედ და საქართველოში წასულა 1747 წ. მაგრამ, სამწუხაროდ, ტფილისში რომ ჩამოსულა, რავდენისამე თვის შემდგომ, 1748, 21 სექტემბერს გარდაცვლილა. ამ დროს ტფილისში ომი ყოფილა სპარსელების წინაალმდეგ. ამ ამბავს სწერს რომს უფროსი პატრი ქლაუდიო, 1749 წ. 7 აპრილს.

ისე ჰგავს, ამ დროებში პროპაგანდა ძრიელ მოწადინებული ყოფილა, რომ ქართველი მოწაფები ბევრი ჰყოლოდა თავის კოლეგიაში, რადგან ქართველი ბავშვების გაგზავნის შესახებ ტფილისის უფროსს სწერს:

„ტფილისში კაპუცინების მისიონის უფროსს, პატრი ქლაუდიოს რეჯიელს, 6 ივლისს, 1748 წ.

„წმიდა კრებამ ურბანოს კოლეგიაში ადგილი დანიშნა მანდაური ქართველთა სამი ახალგაზდისათვის და რადგან თქვენს უკეთესს ვერავის იშოვიდა, ამიტომ თქვენს სიბრძნეს და გამოცდილებას მიანდო, აარჩიოთ ეს ახალგაზდები და გამოგზავნოთ. ამ არჩევის დროს, უნდა ეცადოთ, რომ ახალგაზდები ორი სომხის ტიბიკონისა იყოს და ერთი ბერძნის ტიბიკონისა. უნდა იყვნენ კათოლიკეთა შვილები და შეძლებულის ოჯახებისა, რომ არა მარტო შეიძლონ რომს თავიანთი ხარჯით წამოსვლა, არამედ, როდესაც მანდ დაბრუნდებიან, შეეძლოსთ პატიოსნად ცხოვრება, რათა წმიდა კრების შემწეობა არ დასჭირდესთ. არც თხუთმეტი წლისაზე ნაკლები და არც თვრამეტ წლისაზედ მეტი უნდა იყვნენ, მასთანვე მორჩილნი, კარგი ზნეობისა და ნიჭიერნი, რათა შეიძლონ მეცნიერების შესწავლა. საჭიროა შეატყობინოთ, რომ ეგენი უნდა დაადგნენ საეკკლესიო წოდებას და თავს უნდა იდონ სულთა სასარგებლოდ შრომა მღვდელმოქმედების სამსახურის აღსრულებით, ამიტომ კარგი იქმნება გამოიძიოთ მათი კეთილი მომზადება ამ წმიდა სამსახურისათვის. როდესაც გამოარჩევთ, გამოუგზავნით აქ წმიდა კრებას, გამოატანთ თქვენს წერილს და ეგრეთვე მათი ნათლიღების და მირონცხების მოწმობას. ეჭვი არა გვაქვს, ასეთი მინდობილება შეასრულოთ ყოვლადის გულმოდგინებით და სახეში გექმნესთ ღვთის დიადი დიდება და მანდაური მისიონის სარგებლობა და არც ერთის ოჯახის ან პირი-

სადმი მიმკერძველობას არ გამოიჩენთ. თავის დროზე მოველით ამის პასუხს. დავედრებული თქვენს ლოცვაზე“. (1).

არა მარტო პროპაგანდის კოლეგია მრავლდებოდა ქართველი კათოლიკე ახალგაზდებით, არამედ თვით კაპუცინების მონასტერიც რომში, რადგან ქართველები მათთან მონაზონებათაც შედიოდენ. ასეთ მონაზონ ქართველ კაპუცინსა ვხედავთ იმ დროებში ტფილელ ქართველ პატრი ფრანჩისკე ანტონს, რომელიც მღვდლად კურთხეულა და სხვა მისიონერებთან ერთად გამოუგზავნიათ საქართველოში 1747 წ. (2) სამწუხაროდ, ამისი გვარი არა სჩანს, რადგან კაპუცინები დღესაც, გვარის მაგიერად, ყველას საკუთარი ქალაქის სახელით უწოდებენ.

რადგან საქართველოს კათოლიკების ეპისკოპოსად ირიცხებოდა ისპაჰანში მყოფი ლათინის ეპისკოპოსი კარმელიტანების წესისა, ამიტომ ხანდახან ეს ეპისკოპოსი მოდიოდა საქართველოში. მის მოსვლის დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს; გარნა ვიცით კი სხვა და სხვა საბუთებიდან, რომ ისპაჰანის ეპისკოპოსი, ფილიპედ წოდებული, ტფილისში იყო 1746 წ. ამან რა ნახა, რომ ტფილისში საჭირო იყო ლათინის ეპისკოპოსის ყოფნა და თვითონაც ვერ შეეძლო აქ დარჩენა, თავის ვიკარიად დანიშნა ქართულ ენის კარგად მცოდნე კაპუცინი პატრი ნიკოლა ჯირჯენთელი, საბა ორბელიანის მოყვანილი. ეს პატრი მაშინვე შეუდგა ტფილისში სხვა ახალ ეკკლესიის აშენებას, რადგან წინანდელი პატარა იყო და ველარ იტევდა კათოლიკებს, რომლებისაც რიცხვიც დღითი-დღე მრავლდებოდა. ეკკლესია დაასრულა 1749 წ. როგორც ბევრ წერილიდან სჩანს, საქართველოში ეს ეკკლესია ერთი საუკეთესო ეკკლესიად ითვლებოდა თურმე, რადგან ძრიელ შვენიერი ყოფილა და მის აშენებაზე დიდი ფული დახარჯულა (ოთხი ათას თუმანზე მეტი). ამ ეკკლესიის დასასრულებლად პატრი ნიკოლას ფულები შემოჰკლებია და ამიტომ, პროპაგანდის დაუკითხავად, ძველი ეკკლესიის მამულები გაუყიდია. ამის გამო 17 აგვისტოს 1748 წ., პროპაგანდა ისპაჰანის ეპისკოპოსს სამდურავს სწერს.—ეს ის ეკკლესიაა, რომელიც თეიმურაზ მეფემ ჩამოართვა, როგორც ქვემოდ ვნახავთ.

საქართველოში ლათინის ეპისკოპოსის ყოფნის საჭიროებას ყველა ჰგრძნობდა. ამისგამო კათოლიკებს რომს თხოვნა გაუგზავნიათ, მაგრამ მათი თხოვნა არ შეუწყნარებიათ. ხოლო 1750 წ. საქართველოდან გაბრუნებულა პატრი პიერ მარია ბორგიელი, წარუდგენია პროპაგანდისათვის საქართველოს მისიონის შესახებ მოხსენება, რომელშიც, სხვათა შორის, ეპისკოპოსისთვის ესეა მოხსენებული: „ასეთ მისიონში მოუცილებლად ერთი წარჩინებული ეპისკოპოსი მეტად და ძრიელ საჭიროა, უკეთუ გნებავსთ კათოლიკე სარწმუნოება იქ თავის შესაფერი

პატივი და წარმატება ჰქონდეს. გარნა საჭიროა, ლათინი იყოს ეპისკოპოსი, რადგან როდესაც ლათინი იქნება, მაშინ შიში აღარ იქმნება მწვალებელთაგან, ვინაიდგან მისიონში იქმნება ოსმალეთის და სპარსეთის მთავრობის თანახმობით და არც მათსავით ქვეშევრდომი იქმნება ამ ორი მთავრობისა... კვალად მოგახსენებ, რომ ამ ხსენებულ მისიონში საჭიროა განსწავლული, ბრძენი და გულმოდგინე მისიონერები. დასასრულ, მოგახსენებთ, რომ უკეთუ ჯეროვან ყურადღებას მიაქცევთ ამ ნაირ მისიონებს, მეტად დიდ ნაყოფს მოიტანს, არა მარტო იმ ადგილებში, სადაც მისიონერები არიან ამ ჟამად, არამედ კვალად შეიძლება, მისიონი გავრცელდეს იმერეთის ვრცელ პროვინციაშიც, სადაც მრავალ გზის დაიბარეს მისიონერები, მაგრამ სიცოტავის გამო ვერ შეიძლეს წასვლა. ადგილის სივრცის ძალგვარ ცოტა მისიონერები არიან; იქ მყოფნი ცოტანიც არ არიან ეგრეთი კეთილ მოშურნენი, რომელთაც ვალდებულია ერთი გულმხურვალე მისიონერი, ამიტომ ზოგიერთის მათგანისთვის შეიძლება ითქვას: „რასა ჰსდგეგით თქუენ აქა დღე ყოველ უქმად“, ვევედრები წმიდა კრების კარდინალებს, რომ ასეთ მისიონერებს მოუპოვონ კარგი უფროსი, რათა გულმოდგინედ ჰმართოს და იქ გაგზავნონ გულმხურვალე და კეთილ მოშურნე მისიონერები, რომელთაც არ დაზოგონ თავისთი შრომა, არამედ ჰქონდესთ ყოველნაირი მოწადინება, რათა აღმოფხვრან ცუდი და დანერგონ სათნოება გულმხურვალე და კეთილ მოშურნე კათოლიკეთა გამრავლებით“. (1).

ნამდვილი მიზეზი ვერ შევიტყეთ იმისა, პროპაგანდა რისთვის არ აქცევდა ყურადღებას ერისა და მისიონერების თხოვნას შესახებ ლათინის ეპისკოპოსის დანიშვნისა ტფილისში, სადაც შუა საუკუნეებში იმდენი ლათინის ეპისკოპოსი ინიშნებოდა. ჩვენის აზრით, ერთი მიზეზთაგანი ის უნდა იყოს, რომ პროპაგანდა ცდილობდა სხვა ახალი ხარჯი არ მისცემოდა ეპისკოპოსის დანიშვნით. — ეგრეთვე არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვითომც სრულიბით არ ყოფილიყვნენ იმერეთში კაპუცინი მისიონერები, არამედ ისა, რომ მათ იმ დრომდე იქ სამუდამო ბინა არა ჰქონდათ. ვინაიდგან ბევრი წერილიდან ვიცით, რომ იქ ხშირად ყოფილან კაპუცინები და ზოგჯერაც დიდ ხნობითაც დარჩენილან.

აქ მოყვანილ წერილში ჩივილიცაა გაწვრთნილის და კეთილ-მოშურნე მისიონერების სიცოტავის შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენც შევნიშნეთ ეს გარემოება სხვა და სხვა წერილებიდან. თვით ეს მოჩივარი პატრიც რომ იმ უსარგებლო მისიონერთაგანია, ამას მისივე წერილი გვიჩვენებს. 1749 წ. იგი ყოფილა ახალციხის ახლოს მყოფ დაბა ოვლიტას და უქადაგია იქაურ ეკკლესიაში, რაც ძრიელ მოსწონებიათ ერსა და მღვდლებს; ამისგამო უთხოვნიათ მისთვის იქ დარჩენა, მასთან-

ვე შეუძლევიათ სახლი და ეგრეთვე საჭირო სახარჯოც. მაგრამ ამ გატონს არ უნებებია, რადგან თავის სამშობლოში დაბრუნებას აჩქარებულიყო. ბოლოს, უთხოვიათ მანამდე მაინც დარჩენილიყო, რომ ამ გარემოებას რომში მისწერდენ და იქიდან პასუხს მიიღებდენ. მაგრამ არც ეს შეუწყნარებია. ესრეთი გულგრილნი და მასთანვე უსწავლელნი პირნი ხშირად მოდიოდენ საქართველოში და თავიანთის მოუმზადებლობით მისიონის წარმატების საქმეს ზოგჯერ ხელს უშლიდენ. მართალია, იმათში მოიპოებოდენ მეტად შესანიშნავნი პირნი, როგორც იყო პატრი ბერნარდე ნეაპოლელი და დიდად განვითარებულნი და უზომოდ თავგანწირული იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ ასეთი პირები ძრიელ ცოტანი იყვნენ. საქართველოს მისიონისათვის, ნაცვლად კაპუცინებისა, სხვა წესის მონაზონები რომ დანიშნულიყვნენ, მაშინ უეჭველად საქართველოს ბედი სულ სხვანაირად შეიცვლებოდა და თავის კულტურით ევროპის ერებს არ ჩამორჩებოდა, რადგან საქართველომ დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინა ამ ევროპელ მოძღვრებს, სული და გული გადაუშალა და მათ სწავლა-მოძღვრებას მტრულის თვალით არ შეხედა და განზე არ გაუდგა სხვა ტომსავით, არამედ დიდის სიხარულით მიეგება და ბევრი რამ მისგან შეითვისა. თუ საქართველოში ამ მისიონერებმა ვერ გამოიღეს ყველა ის სასურველი ნაყოფი, როგორათაც რომი და სხვა უწინდელი შეგნებული მისიონერები მოელოდენ, გარდა ზემოდ დასახელებულის მიზეზებისა, ერთ მიზეზადაც ვრაცხთ კაპუცინების მოუმზადებლობას და მათ უნიჭობას. ამის საბუთად შეგვიძლია ესეც დავასახელოთ, რომ კაპუცინები ორასიოდე წელიწადი საქართველოში იყვნენ, მაგრამ არც ერთ მათგანს არ დაუტოვებია საქართველოს შესახებ რაიმე შესანიშნავი წერილი, რათა მით თავი ეჩინათ. ხოლო მათ უწინარეს ყოფილმა თეატინელმა მონაზონებმა, რომელთაც 50 წელიწადიც არ გაუტარებიათ საქართველოში, მთელს ევროპას გააცნეს საქართველო თავიანთის წერილებით. ამ სამდურავს ჩვენ ვეუბნებით არა მარტო კაპუცინების დაბალ პირებს, არამედ თვით უფროსებსაც, რადგან საქართველოში ზოგჯერ ისეთი პირები ინიშნებოდენ უფროსებად, რომ საკმაოდ მომზადებული არ იყვნენ მისიონის მართვისა და წარმატებისათვის. ამის დასასაბუთებლად აქ მოვიყვანთ კაპუცინ რიდოლფო ბორმოლის წერილს, რომელიც ტფილისიდან რომს გაგზავნა, თებერვლის 26 დღესა 1751 წ. განჯის მისიონის შესახებ: „...განჯაში მისულმა პატრებმა არ იცოდნენ იქაური ენა სომხური ან თათრული, მხოლოდ იცოდენ მარტო ქართული, რომელიც იქ არ გამოადგებოდათ... აქ პატრი უფროსმა კლაუდიო რეჯიელმა ტფილისიდან გაგზავნა ეს ორი პატრი, რომელთაც ქართული ენა იცოდენ, ტფილისის მისიონში აღარც

ერთი პატრი დარჩა ქართული ენის მცოდნე. როდესაც ტფილისიდან წავიდენ ეს ორი პატრი, იქ დიდი მითქმა-მოთქმა ასტყდა, ქართველ კათოლიკებმა ჩივილი დაიწყეს, პატრებმა მარტო უნდა დაგვტოვონო. სწორედ იმ დროს, როდესაც ტფილისში არავინ იყო ქართულის მცოდნე, მძიმედ ავად გახდა ორი ქართველი თავადი და კიდეც გარდაიცვალნენ: აღუსარებელ-გაუნდობელნი მოკვდებოდნენ, ტფილისში იმ დროს შემთხვევით რომ არ ყოფილიყო ერთი უცხო კათოლიკე მღვდელი, რომელმაც ერთ მათგანს აღსარება ათქმევინა. ხოლო მეორე ქართველი ავად გახდა იმ დროს, როდესაც ეს მღვდელი წასული იყო, ამიტომ საჭირო შეიქმნა თვით პატრი ნიკოლოზ წასულიყო და იმ ავადმყოფისათვის აღსარება ეთქმევინებინა. ამ პატრს დიდი ხანია სიარული აღარ შეუძლია, ასე რომ ოთხმა კაცმა წაიყვანა სნეულთან. ახლა განჯის მისიონი მთლად დატოვებულია". (1).

ამ წერილისაგან საკმაოდ სჩანს, თუ რა უხეირო მართველი ჰყოლია მისიონს. ასეთ მაგალითს ბევრს მოვიყვანთ, რომ გამოუდგეთ.

ამ წერილში დასახელებული უცხო მღვდელი, რომელსაც ავადმყოფის ქართველისათვის აღსარება უთქმევინებია, არა გვგონია, მთლად უცხო, ესე იგი, ევროპელი ან სხვა გვარისა იყოს, შეიძლება ახალციხელი მღვდელი ყოფილიყო.

მიუხედავად კაპუცინების მიერ მისიონის ასე ურიგოდ მართვისა, კათოლიკობა გვარიანად ვრცელდებოდა და საქართველოს საუკეთესო პირები უერთდებოდენ რომის ეკლესიას თვით ხსენებულ ხანშიაც. ეს გაკათოლიკებული წარჩინებულნი პირნი არიან იმერეთის მეფე ალექსანდრე, როსტომი რაჭის ერისთავი, ამისივე ძმა ბესარიონ იმერეთ-აფხაზეთის კათალიკოსი და ეგრეთვე წმიდა ბასილის მონაზონი სტეფანე წინამძღვარი. პროპაგანდის არხივში მოიპოვება ლათინურიდგან ნათარგმნი ქართულად სარწმუნოების აღსარების რვეული, რომელიც აღუსარებიათ ბესარიონს და როსტომს. კათალიკოსს ზედ ბოლოში თავისი ბეჭედი დაუსვამს და ხელი მოუწერია ესრედ: ქ. ჭეშმარიტად მორწმუნებელი სარწმუნოებისა ამის ბესარიონ კათალიკოსი [ბეჭედი]. ეგრეთვე ამისთანა როსტომის ბეჭედიც არის და ასე აწერია: ქ: მე. ერისთავი როსტომ სარწმუნოებისა ამის დამრწმუნებელი. მესამე პირის ხელი არის ესრედ: „ბატონმა ჩვენმა ერისთავმა როსტომ, წიგნი არ იცოდა და მე სტეფანე კათოლიკე, წინამძღვარს იმისის ბრძანებით დამიწერია".

ამავე რვეულზედ ბოლოში აწერია კაპუცინების ეს მოწმობა: „სახელითა უფლისათა. ამინ. მე, ქვემორე ხელის მომწერი, წმიდა ფრანჩისკეს წესის კაპუცინებისა წმიდა კრების ბრძანებით კავკასიის მთებში გამოგზავნილი მისიონერი, ვმოწმობ და რაოდნადაც საჭიროა, გულზე

ხელის დადებით, ვამტკიცებ, რომ მათმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, რაჭის, კოლხიდის, ოდიშის და აფხაზეთის ქვეყნების ბატონმა კათალიკოსმა და ეგრეთვე მათმა ბრწყინვალებამ როსტომ რაჭის მთავარმა გულმხურვალებით და მართებულად აღიარეს ეს განსაზღვრული სარწმუნოების სიმვოლო, რომელიც ჩემს წინაშე წაიკითხა ყოვლად პატივცემულმა ზემოდ ხსენებულ ბესარიონმა. ჩემთან დამსწრე იყვნენ ახალი კათოლიკე ფრიად პატივცემული სტეფანე წმიდა ბასილის წესის მონაზონი და ჩემი ამხანაგი ძმა ლავრენტი პლაჩინელი. რადგან ეს ყოველი მოხსენებული ჭეშმარიტია, ამისთვის ეს წერილი დავწერე და ჩემი საკუთარი ხელი მოვაწერე ონის ჩვენს ახალს მონასტერში, 29 მაისისა, 1751 წ. — მე ძმა იერონიმე მარია ნურსიაელი კაპუცინი მისიონერი. ვითარც ზემოთ საკუთარი ხელით.

„მე, ქვემორედ ხელის მომწერი, ქართულ ენაში გამოცდილი, ვმოწმობ, რომ აქ მოყვანილი ქართულად ნათარგმნი სარწმუნოების აღსარება, სრულიად ეთანხმება ამ დაბეჭდილ დედანს, რომელიც რომში ნეტარ ხსენებულ ურბანო მერვის ბრძანებით გამოიცა პროპაგანდის სტამბით. გორი 4 აგვისტოს, 1751 წ. მე ძმა სერაფინე მალთელი, უფროსის მოადგილე, საკუთარის ხელით“. (1).

აქ დასახელებული ახალი კათოლიკე წინამძღვარის სტეფანესი სხვა ცნობები არა გვაქვს. ხოლო ზემოდ წარწერიდან სჩანს, რომ ერთ-ერთი მონასტრის უფროსი ყოფილა. ეგრეთვე კაპუცინების ონის ახალ მონასტრისა ბევრი არაფერი ვიცით.

აქ დასახელებულ გორში მყოფ პატრი სტეფანეს, 4 აგვისტოს 1752 წ. ბესარიონის ხსენებული სარწმუნოების აღსარება გაუგზავნია რომს, უცნობებია ამ პირების გაკათოლიკება და უთხოვნია, რომ პაპმა დაამტკიცოს კათოლიკოსი ბესარიონი მის ღირსებასა და სამწყსოში. მისი წერილი დაკარგულია. პროპაგანდა ამ პირველ მოკლე მიწერილზედ არ დათანხმებულა, არამედ 15 სექტემბერს 1753 წ. მიუწერია და მოუთხოვია ამ ახლად გაკათოლიკებული პირების შესახებ უფრო ვრცლად მოხსენება. ამავე საგანზე იმავე დროს ეგრეთვე მიუწერია ახალციხეს მღვდლის ივანე ჯიგანანთისათვის. რა საკვირველია, ამ დროს უფრო დაწვრილებით მოხსენება გაუგზავნებოდა რომს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერი ვიპოვეთ. ხოლო პატრი იერონიმე ნორჩაელის 1763 წ. მარტში, მიწერილი წიგნიდგან სჩანს, რომ დაწყებული 25 მარტს, 1751, ვიდრე 14 ივნისსა 1753 წ. ონში ვინც ყოფილან, ყველა გაკათოლიკებულან, ესე იგი 35 სული, ამ პირთა ამბავი კი არ არის მოხსენებული.

ამ შესანიშნავ პირთა გაკათოლიკებაში კაპუცინებს კი არ მიუძღვისთ დიდი ღვაწლი, არამედ კათოლიკე რობელიანებს. ხსენებულის

ბესარიონისა და როსტომის მოქალაქობრივის მიმართულებისა მოგვეპოვება ბევრი ცნობა, რომლებსაც შემდეგში ცალკე გამოვცემთ. ეს ცნობები 1773 წ. პროპაგანდას წარუდგინა ახალციხელმა პავლე ეპისკოპოსმა. ამ ეპისკოპოსისთვისაც გვექნება სიტყვა შემდეგ თავში. წარდგენილ ცნობებში დასახელებულ გაკათოლიკებულ პირთათვის მოხსენებულია: „საბა (ორბელიანი) ეცადა და კათოლიკობაზე მოაქცია ყველა თავისი სახლობა და თავისი უკეთილშობილესი და უმრავლესი გვარეულობა, მათგანი ერთი დღესაც ცოცხალია, 80 წლისა, და სახელად ივანე ჰქვიან, ეს ნოტარი და უმთავრესი მსაჯულია ბატონის ერეკლე მეფისა და ქართულად ეწოდება ივანე დივან ბეგი. ერთი იმათი ბიძაშვილთაგანი, სახელად ვახტანგ, გადვიდა იმერეთს და მის საშუალებით გაკათოლიკდენ: იმერეთის მეფე ალექსანდრე, როსტომ ერისთავი და მისი ძმა ბესარიონ, პატრიარქი მთელის იმერეთისა, არა გახდენ კათოლიკენი, ყველამ დიდად შეიძულა ყმების გაყიდვა“. (1).

თუმცა სომხები მისიონერებს არას დროს ასვენებდენ და მათ მტრობაზე ხელს არ იღებდენ, მაგრამ ისეთი დევნა, რომელიც 1742 წ. აუტეხეს, რავდენისამე წლის განმავლობაში აღარ უქმნიათ. ამისგამო კაპუცინებმა ცოტა სული მოიბრუნეს, საქმე გამოაკეთეს და მეტად შვენიერი ეკკლესიაც აღაშენეს. მაგრამ მათმა ესრედ დამშვიდებულმა მდგომარეობამ ბევრი ხანს არ გასტანა. მათ შეურიგებელს და დაუძინებელ მტრებს გული აემღვრათ, როცა დაინახეს მათის მისიონის აღორძინება და წარმატება: მალე მიმართეს თავიანთ ჩვეულებრივს უსამართლო ხელობას და დაუწყეს კვალად დევნა რაოდნათაც კი შეეძლოთ. ამის შესახებ საკმაო ცნობებს გვაძლევს კაპუცინი პატრი იოსებ მოდენელი, რომელიც საქართველოდან გაბრუნდა ევროპაში 1754 წ. და პროპაგანდას 3 იანვარს 1756 წ. წარუდგინა ვრცელი მოხსენება: „1753 წ. სომხებმა დაუწყეს პატრებს წინააღმდეგობა, მათი მთავარი აღა მელიქი მოვიდა ტფილისის ქართველ პატრიარქთან და წარუდგინა ერთი ქისა სავსე 500 თუმნით, რომელიც ჩვენებურს 52,000 სკუდს უდრის და სთხოვა, რომ პატრებს თუ არ განდევნით, ეკკლესია მაინც ჩამოართვითო. მაგრამ პატრიარქმა უპასუხა: არაფერი მაქვს პატრების წინააღმდეგ და ასეთ უსამართლობას ვერ ვიზამ და ამიტომ ეს ფული ისევ თქვენთვის შეინახეთო. ესრე შერცხვენილი გაისტუმრა.

„ამავე 1753 წელს ეჩმიაწინიდან ტფილისს ჩამოვიდა ერთი სომხის ვართაპეტი. მისი მოსვლის რავდენსამე დღის შემდგომ სომხებმა დაიწყეს მისიონერების წინააღმდეგ ცუდი ლაპარაკი, სადაც კი შეხვდებოდათ, ასე ემუქრებოდენ: დაიცადეთ ორი თვე კიდევ და მერე ნახავთ რასაც გიზამთო! მისიონერები ვერ მიმხვდარიყვნენ თუ იმათთან რა უნ-

დოდათ; ბოლოს კი დაინახეს მათი მახე. ჩვენსას მოვიდა ქართველი პატრიარქი და სთქვა, რომ ახალ მოსულმა ვართაპეტმა თხოვნა მომცა, რომ სარწმუნოების საქმისათვის გესაუბროთ: ამიტომ სადილთ უკან ჩემთან მოდით, სადაც თავადების თანადასწრებით კრება იქნებაო. ამის მოსმენა პატრებს გაეხარდათ, რადგან ესვიდენ შეუცდომელ ჭეშმარიტებას, რომელიც დაჰპირდა: „როდესაც წარსდგეთ წინაშე მეფეთა და სხვ.“. თუმცა მომზადებულნი არ იყვნენ, მაგრამ ღვთის წყალობასა და შემწეობაზე მინდობილთ ადვილად გამოუცხადეს თანახმობა. ხოლო წყალობა ღვთისა უკვე გამოცხადდა, ვინაიდგან ბჭობის დროს სომხის ვართაპეტი ისე დამდამბლდა და დაიძლია, რომ ვეღარაფერი პასუხის მიცემა შეიძლო და ესე შერცხვენილი წავიდა.

„ხმა გაავრცელეს, ვითომ სომხების ვართაპეტი პატრების აზრისა გამხდარიყოს, რაისგამო ხალხი ისე გამხეცდა ჩვენ წინააღმდეგ, რომ მთავარი იძულებული გახდა ჩვენთვის თავისი კაცები გამოეყოლებინა, რათა მათ წინააღმდეგ დავეფარეთ დი სახლამდინ მიეცილებინეთ; მაინც კი გზაში დაგვიშინეს ქვა, ტალახი და სხვა მსგავსი შეურაცხება მოგვაყენეს. ასეთის უპატიურების მოყენება დიდ ხანს არ დაიშალეს, მაგრამ სირცხვილი ისევ მათვე დარჩათ. თქვენ უმაღლესობას ჰქიდან შეუძლია სცნოს, თუ რაოდნად საჭიროა იმ მხარეში იგზავნებოდეს კარგად განსწავლილი მონაზონები, რადგან იქ ყოველთვის საჭიროა ბჭობა.

„თუმცა ცოტად თუ ბევრად დაწყნარდენ სომხები, მაგრამ გულიდან არ ამოიხოცეს ჩვენი მტრობა და მუდამ ნატრობდენ ჩვენს იქიდან განდევნას. რადგან ვერ შეისრულეს თავიანთი ბოროტი წადილი, ვერც ფულით და ვერც ბჭობით, ამიტომ მიჰმართეს სხვა მანქანებას, რომელიც, მართლაც, ყველაზედ უფრო ძრიელი შეიქმნა.

„1754 წელს გორისა და ტფილისის სომხები ერთად შეერთდენ და მივიდენ მეფესთან, დაიწყეს ჩივილი წინააღმდეგ პატრებისა და სთხოვეს, აქედან განდევნეთ, რადგან ყველას აფრანგებენო. მაგრამ ერეკლე მეფე წინააღმდეგი გაუხდა. მაშინ მივიდენ დედოფალთან და საჩუქრებიც მიუტანეს დედოფლის საშუალებით თუმც ვერ მოიპოვეს, რაც უნდოდათ მეფისაგან, მაგრამ მოიპოვეს მისი ერთი წერილი, რომელშიც მეფე უბრძანებდა, რომ ამას იქით აღარავინ გაკათოლიკდეს, ვინც გაკათოლიკდეს, თავის საკუთარ სახლიდან განძევებულ იქმნას და ჩამოერთვას ყველაფერიო. შეუძლებელია გამოთქმა, თუ რაოდნად განიხარეს სომხებმა ამ წიგნის მოპოებით. საკმაოა, ვსთქვათ, რომ თავიანთ ეკკლესიებში ყველაგან წაიკითხეს ეს წიგნი იმნაირის განმარტებით, როგორც თვით უნდოდათ, და ხალხს ეგოდენი შიში ჩაუგდეს გულში რომ, თითქმის ვეღარავინ გაჰბედა ჩვენთან ლაპარაკი.

„ერთი სიტყვით ყოველ დღე ჩვენს წინააღმდეგ ლაპარაკობენ და ყოველ წამს ეძებენ შემთხვევას, რათა შეასრულიონ თავიანთი წადილი. გარნა ღმერთმა ყოველთვის დაამხო მათი მანქანება, რადგან არ ჰნებავს იმ მისიონის დაკარგვა. ამიტომ ეგოდენ მტერთა შორის კათოლიკე სარწმუნოება მუდამ წარმატებაშია“. (1)

ქართველებსაც რომ შეეწყოთ ხელი სომხებისათვის კაპუცინების წინააღმდეგ, მაშინ მალე ბოლოს მოუღებდენ კათოლიკობას. მაგრამ ქართველები არ გაუდგნენ თავიანთ ძველ ჩვეულებას და არ უღალატეს თავიანთ ძველ მეგობრობას, რომელიც შეუწყვეტლივ ჰქონდათ ლათინის მოძღვრებთან. ქართველთაგანი, რომლებიც კათოლიკები იყვნენ, მათ ერთგულად ემორჩილებოდენ; ხოლო რომლებიც არ იყვნენ მათთან სარწმუნოებით შეერთებულნი, ისინიც არ აკლებდნენ მათ თავიანთ პატივისცემას, რაოდნათაც კი შეეძლოთ. ზემოდ დასახელებული პატრი იოსების მოხსენება აი რას გვეუბნება ამის შესახებ: „ამ ჟამად გორში მყოფი კათოლიკები არიან 100, გარნა სხვა კიდევ რავდენიმე გაფანტული არიან აქა-იქ სოფლებში. როდესაც გზაში უშიშროებაა და რომელსამე ქარავანს გავლა შეუძლია, მისიონერები მიდიან მათ სანახავად, სწვრთნიან და საიდუმლოებს უსრულებენ. თითქმის ყველა, ეს კათოლიკები, გორში, თუ მის გარე მყოფნი, არიან ქართული ტიბიკონისა და მის თანახმად სცხოვრობენ. თუმცა ცოტანი არიან, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ კაი კათოლიკები არიან და ყველაფერში ემორჩილებიან თავიანთ სულიერს მართველს“. (2)

მალე აღმოუჩნდა ძრიელი მტერი კაპუცინებს, რომელმაც დიდად ავნო მათ. იგი იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქი. რა ნახა საქართველოში კარგად ვრცელდებოდა კათოლიკობა, შეეშინდა, რათა სამუდამოდ არ მოსპობოდათ ბერძნებს ის უხვი წყალობა, რომელიც ყოველ წლივ გაჰქონდათ საქართველოდან. ამიტომ 1754 წ. თავის წერილით აღჭურვა და გამოუსია ბერძნის მღვდლები და მოასპობინა რაჭის მისიონი. ამ დევნულებას კარგა ხელი შეუწყო იმ დროის ქუთაისის სამეფოს საქმეების არევ-დარევამ და აგრეთვე გაკათოლიკებული ალექსანდრე მეფის გარდაცვალებამაც. ამ დევნულების ამბავს ზემოდ დასახელებული პატრი იოსები თავის მოხსენებაში ესე აღგვიწერს: „პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ წამოსვლისა დროს მწუხარენი და შეშინებულნი დავსტოვე მისიონერები და კათოლიკები კონსტანტინეპოლელის ბერძნების პატრიარქის გამო, რომელიც გახდა მიზეზი კავკასიის მთების ძირს რაჭაში მყოფი მისიონის მოსპობისა; ამის გამო დიდ შიშსა და განსაცდელში არიან სხვა დანარჩენი მისიონებიც. ამიტომ ჩემმა უფროსმა გამგზავნა კოსტანტინეპოლს, საიდანაც მოვედი ამ სამთავროში, დევნუ-

ლება მინიონერებს და კათოლიკებს დაუწყო კონსტანტინეპოლის ბერძნის პატრიარქმა თავის დაწყევლილი წერილებით და მოსპო რაჭის მისიონი; იქ მყოფი პატრებიც ბერძნის მღვდლებმა დიდის შეურაცყოფით განდევნეს და მთლად დაუნგრიეს მათ სახლი და ეკკლესია. უმეტესად საზიზღარი ის იყო, რომ იმავე მღვდლებმა ტრაპეზის ჯვარ-ცმის ხატი მთლად დაფრიწეს. მისიონის დაკარგვამ ძრიელ შეაწუხა ყველა მისიონერები, რადგან იქიდან დიდ ნაყოფის გამოღებას მოელოდენ. რადგან ეშმაკი მეტად მოშურნეა კაცთა საუკუნო ცხონებისა, აღაგზნო დიდი ცეცხლი, რომლის ჩაქრობა ადვილი არ არის. ვინაიდან თქმულია: ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მასო. ამიტომ საქართველოს დანარჩენმა მისიონმა იგრძნო ნაყოფი ასეთის დაპირებისა. თუმცა კონსტინტინეპოლის ბერძნის პატრიარქის გამოგზავნილმა სამმა მღვდელმა რაჭიდან განდევნეს ყველა მისიონერები, იმერეთიდან ტფილისს წავიდენ, რათა იქაც უვნოთ კათოლიკე სარწმუნოებისათვის ისე როგორც ჰყვეს რაჭაში, მაგრამ დამცირდენ და შერცხვენილნი იძულებულ გახდენ იქიდან წასულიყვენ, რადგან ვერც მისიონერებისა და ვერც კათოლიკობის წინააღმდეგ ვერაფერი ჰქმნეს. მას ეწინააღმდეგენ იქაური პატრიარქი და მთავრები, და ჩვენის გადევნის ნაცვლად, თვითონვე შეიქმნენ განდევნილნი, რადგან დიდს სიყვარულს აცხადებენ ჩვენდამი და მრავალ გზის დაგვიფარეს რომის კათოლიკე ეკკლესიის მტერთაგან, რაიცა ცხადადა სჩანს ამ წერილიდან. ამიტომ მე ამის დამწერი, დამდაბლებული თქვენს წინაშე, ვბედავ და გთხოვთ მომიპოვოთ წყალობა, რომელიც ორი წელიწადია უფროსმა პატრმა მოგთხოვათ, ესე იგი მოუპოვოთ ან პაპის და ან წმიდა კრების კურთხევა წერილით ჩვენი მოკეთე ბატონებისათვის, რომელთაც არა ერთ გზის ინატრეს ასეთი წერილი. პატრიარქმა და ერეკლე მეფემ სამ გზის მეც მთხოვეს. იქაური საბრალო მისიონის სულიერ წარმატებას კარგა ხელს შეუწყობს ასეთი წიგნი“. (1).

აქედან და სხვა წერილებიდგანაც სჩანს, რომ ერეკლეც სხვა მეფეებივით მიდრეკილი ყოფილა კათოლიკობაზედ და მისი მფარველი. ზემოდ დასახელებული ახალციხელი პავლე ეპისკოპოსი, 1773 წ. თავის წარდგენილ მოხსენებაში ერეკლეს შესახებ სხვათა შორის, ამბობს: „ბატონი ერეკლე მეფე თუმცა აღიარებს ბერძნების სარწმუნოებას, გარნა ჰსცნობს რომის კათოლიკე სარწმუნოების სიჭეშმარიტეს, ძრიელ მიდრეკილია კათოლიკებისაკენ, ყოველთვის პატივსცემს და იცავს მათ ყველა გასაჭირში.“ თუ შემდეგში ერეკლე ყოველთვის ასე არ იქცეოდა, უნდა მივაწეროთ სხვა და სხვა განსაკუთრებულს გარემოებას.

კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიერ დევნულებამ, ზემოთ რომ ვახსენეთ, თუმცა ონშიკაფუცინების მისიონი მოსპო, მაგრამ იქაურ კა-

თოლიკებს ვერაფერი დააკლო. ამიტომ ბესარიონ კათალიკოსი, როსტომ ერისთავი და სხვები დარჩნენ ისევ კათოლიკედ სიკვდილამდე. ბესარიონიც გაკათოლიკების შემდგომ, ისევ კათალიკოსად დარჩა რავდენსამე წელიწადს, ვიდრე სოლომონ მეფე, პოლიტიკური მიზეზების გამო, ჩამოართმევდა კათოლიკოსობას და მისცემდა თავის ძმას იოსებს.

ძალაუნებურად მივუახლოვდით იმ დროს, როცა უნდა წარმოვადგინოთ ჩვენს ისტორიაში კარგად ცნობილი ფაქტი, რომლითაც, დაწყებული 1240 წლიდგან ვიდრე 1755 წლამდე, ქართველ მეფეთა შორის მარტო თეიმურაზმა განითქვა სამწუხარო სახელი, რადგან მხოლოდ მან ჩაიდინა ისეთი საქმე, რომლის მსგავსი არც ერთ მის უწინარეს გვირგვინოსანს ექმნა: ის ფაქტია დევნულება, რომელიც მან აუტეხა დიდათ განვითარებულ ანტონ კათალიკოსს და კათოლიკეთა მოძღვრებს. ამ ნაირმა მისმა მოქმედებამ მისი მეფობა კარგათ დაამცირა არა მარტო საქართველოს ერის წინაშე, არამედ მთელ ევროპაშიაც, სადაც დიდად გაჰკიცხეს მისი ასეთი საქციელი. თუმცა ჩვენთვის საქებური არ არის ასეთი ფაქტის წარმოდგენა, მაგრამ, რადგან ისტორია მიუკერძველი მსაჯულია, ჩვენც არ ვითაკილებთ ამ სამწუხარო ფაქტის შემოტანას. ჯერ მოვიყვანთ ერთ მოკლე მოხსენებას, რომელიც 1757 წ. რომს გაუგზავნია კაფუცინს იერონიმე ნორჩელს.

„აქ ღმერთმა ინება და გაანათლა მათი უსამღვდელოესობა ანტონ დავითიანთი, საქართველოს არხიეპისკოპოსი, რომელიც ამ უკანასკნელის დევნულების დროს განდევნეს რუსეთს, ვითარცა მწვალებელი. რავდენისამე თვის განმავლობაში წმიდა ეკკლესიას შეუერთდენ ასზედ მეტი ქართველი, რომელთაა შორის სახელდობრ 60 თავადს უჩივლეს განყრილებისათვის, ხოლო სინოდმა მათი გასამართლება ვერ გაბედა შიშის გამო, რათა საერთო აღშფოთება არ მომხდარიყო. უმაღლესო ბატონებო, ეს თავადები დამოუკიდებელი პატრონები არიან კაი მოზდილი საბატონოებისა: ამათ სხვებმა უწოდეს პატარა მეფენი. დანარჩენი ახლად გაკათოლიკებულნი იყვნენ მონაზონები, მღვდლები და ეგრეთვე აზნაურები, რომლებიც, სულ ცოტა მაინც თითო სოფლის პატრონები არიან. ამათი გაკათოლიკება, ღვთის შემწეობით, მთელის საქართველოს შემოერთების იმედს იძლეოდა, მაგრამ; ჩემი ცოდვების გამო, უფალმა სხვა ნაირად ინება. ამიტომ მოგახსენებ, რომ ქართლში ხსენებული პირებიანად ათას ორასი კათოლიკე ძლივს იქნება, კოლხიდაში სამას კათოლიკემდე იქმნება, რომელთა შორის არიან ბატონი არხიეპისკოპოსი (კათალიკოსი) ბესარიონ თავისი სამი მონაზონით, ბატონი რაჭის ერისთავი როსტომ და ერთი სომხის მღვდელი. კახეთში უფრო ცოტანი არიან და ისიც აქეთ-იქეთ გაფანტულნი; მათთანვე არის არხიმანდრიტი

თავისი სამი მონაზონით წმიდა ივანე ნათლისმცემლის მონასტერში *) და ერთი ბერძნის მღვდელი ქალაქ თელავში". (1).

ერთი სხვა წერილიდგან სჩანს, რომ დევნულების უწინარეს ანტონ კათალიკოსის დეიდა ანუ მამიდა (zia) კათოლიკედ მიცვლილა.

ეს საბუთი ცხადად გვიჩვენებს იმ თქმულობის სიცრუესა, ვითომც თეიმურაზს ყველა გაკათოლიკებულ ქართველებისათვის უარი ეთქმევინებინოს კათოლიკობისა და დევნულების შემდეგ, მან რომ ასტეხა, აღარავინ დარჩენილიყოს ქართველ კათოლიკეთაგანი.

აქ მოვიყვანთ ამაზე ვრცელს მოხსენებას, რომელიც 1757 წ. რომს წარუდგინა კარდინალს განგებ გაგზავნილმა პატრი ჯულიო ბონავენთურა ტრენტოელმა. მოხსენება იწყება ასე:

„მოხსენება იმ დევნულებისა, რომელიც, 12 დეკემბერს 1755 წ. საქართველოს დედა ქალაქ ტფილისში დაუწყეს იმავე სამეფოს მისიონერებს და კათოლიკებს.

„აწინდელის კირილე მონაზონი პატრიარქის წინა-მოსაყდრე ავიდა თუ არა კოსტანტინეპოლის საპატრიარქო საყდარსა, ვერ მოისვენა და ყველანაირი საშუალება იხმარა, რათა კაფუცინები საქართველოს ყველა ადგილებიდგან გავედევნეთ. ამიტომ ყოველ წლივ კოსტანტინეპოლიდგან გზავნიდა ორ მონაზონს, რომელნიც მოწყალების მოკრეფის მიზეზით, ყველგან ჩვენ წინააღმდეგ არიგებდენ ფვით პატრიარქის ხელმოწერილ ცირკულიარ წერილებს. 1753 წ. კი კარგად გაიმარჯვა და გაადევნინა ჩვენი თავი რაჭის ჩვენი ახალი მონასტრიდგან, რომელიც კავკასთა მთებშია. ამითი გაამაყდა, რადგან არ დახვდა იქ ძრიელი წინააღმდეგობა, თუმცა უარს ჰყოფდა იქ ჩვენ წინააღმდეგ კაცების გამოგზავნას. ამიტომ მოუხშირა კაცებისა და წერილების გამოგზავნას, ისე რომ თავის საწადელს ეწია.

„დევნულობის დრომდე ჩვენ გვიცავდა კათალიკოსი ანუ ქართველთა პატრიარქი, რომელიც თავის თავს ყველასაგან დამოუკიდებლად რაცხავდა. რადგან კაის თვალით გვიყურებდა, მისდამი გამოგზავნილს წერილებს ჰფარავდა და კოსტანტინეპოლელ მონაზონებს საქართველოდგან ტკბილის სიტყვებით ისტუმრებდა. ამ კათალიკოსმა, ღვთის მადლით აღძრულმა, ბოლოს მიიღო რომის წმიდა სარწმუნოება და ჩვენის მისიონერის გორის უფროსი პატრი იერონიმე ნორჩელის წინაშე აღიარა კათოლიკე სარწმუნოება. რადგან თვითონ სცნო ჭეშმარიტება, ძალიან ცდილობდა, სხვებისათვისაც ეცნობებინა. ამ ნაირად ერთი თავადის ქალს, რომელიც ერთხელ მისი სულიერი შვილი იყო, ჩაავგო-

*) საბა ორბელიანიც ამ მონასტრის წინამძღვარი იყო.

ნა და შეუერთა კიდეც წმიდა ეკკლესიასა. რა დასნეულდა ის დედა-კაცი, მივიდენ მის სანახავად ნათესავები, მეგობრები და სხ. მათ შორის იყო ეგრეთვე ასული თეიმურაზ მეფისა, რომელსაც უპყრია საქართველოს უდიდესი ნაწილი. არ ვიცი რა აზრით აღძრულმა ავათმყოფმა წამოიძახა ამის მსგავსი სიტყვები: „ჰოი! რომის წმიდა პაპავ, ილოცეთ ჩემთვის, რომ ეგოდენ ხანს ცრუ მორწმუნების სიბნელეში ვიყავი". მეტიც არ უნდოდა მეფის ასულს, შეეტყო, რომ ას ქალბატონი კათოლიკე იყო. მაშინვე მიუბრუნდა და უთხრა იქ დამსწრეთ: ოჰ! ნახეთ, ესეც ფრანგი ყოფილა, მაშ კარგი მობრუნდება მამა ჩემი ომიდგან ლეკების წინააღმდეგ და მაშინ ვნახავთ. მართლაც მობრუნდა თუ არა ტფილისს მეფე მამა მისი, შეატყობინა რაც მომხდარიყო. იფიქრა თუ ვისი წყალობით უნდა წარმომდგარიყო ესა და ეჭვი შეიტანა პატრიარქზედ, რადგან იცოდა, რომ ის ქალი იმისი სულიერი შვილი იყო. ვერც კაფუცინები მივიდოდენ მის სახლში, საქართველოს განაპირზე იყო. ეჭვი უფრო იმიტომ შეიტანა, რომ წინათვე შეეტყო პატრიარქის ნამდვილად გაკათოლიკება

„ამ ამბის კარგად გამოსარკვევად მეფემ და მისმა მოძღვარმა რაბეთიმ მოიმიზეზეს და მიაგზავნეს ერთი მონაზონი, რომელმაც ბევრი ეჭვი მოიგონა სარწმუნოების შესახებ და მივიდა პატრიარქთან ასახსნელად. პატრიარქს თავი ისე მოაჩვენა, ვითომც დიდად კმაყოფილი ყოფილიყოს მისის სიტყვა-პასუხისა და აზრებისა; მერმე მობრუნდა და ყოველივე აცნობა მეფეს და მის მოძღვარს.

„მეფემ რა მოისმინა ყველაფერი ცრუ მონაზონისაგან, განრისხდა, მაშინვე შეკრიბა არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები და მონაზონების უფროსები ტფილისში. რა შეიკრიბნენ, მეფისა და კრების სახელით, მიუგზავნეს ორი ეპისკოპოსი პატრიარქს საკითხავათ, თუ რომელ სარწმუნოებას მისდევდა. პასუხის ნაცვლად შემოუთვალა, რომ თვით კრებაზე მივიდოდა, ვითარცა მათი უფროსი. გარნა მეფემ და კრებამ ნება არ მისცეს შიშის გამო, რომ თავის თანადასწრებით არ შეერცხვინა მოწინააღმდეგენი და ესრე გამარჯვებული არ გასულიყო შესაკრებელიდან, სადაც მისი დასჯა უნდოდათ. ამიტომ კვალად მიგზავნეს ორი ეპისკოპოსი და ჰკითხეს, თუ რომელ სარწმუნოებას აღიარებდა. მეორე ჯერ დიდის სიმხნით უპასუხა, რომის კათოლიკე ვარ და ვისაც ცხონება უნდა, უეჭველად უნდა მიიღოს და დაიცვას ეს სარწმუნოებაო. ასეთმა პასუხმა უმეტესად განარისხა მეფე და პატრიარქის მტერნი, რომელთაც მაშინათვე ახადეს ღირსება. ბევრს რასმე შეჰპირდენ, დაემუქრენ კიდევაც, რათა მიეზიდათ თავიანთკენ, მაგრამ მისი სიმტკიცე ვერ შეარყიეს, ამიტომ ერთ სოფელში გაგზავნეს, გარნა პირადად კი არავითარი უპატიურობა მია-

ყენეს, იმ მოსაზრებით, რომ ამით არ განერისხებინათ მისი სახლობა და ნათესავები, რომლებისაც თვით მეფესაც ერიდებოდა. ხოლო ქართველებმა თავიანთი ჯავრი ამოიყარეს სამ კათოლიკე სასულიერო პირზე, რომელნიც პატრიარქს ახლდნენ. სამი დღე ქალაქის მთელ ქუჩებსა და მოედნებში ატარეს ყოველნაირი შეურაცყოფით და გაუპატიურებულნი; ეგრეთვე სიბრაზით ეგოდნათ გალახეს ორი კათოლიკე დედა-კაცი, რომ მეტი სიმწარისაგან ორივე სამი დღის შემდგომ მიიცვალა.

„ამ ამბავზე საქართველოს ყველა ადგილებიდგან შემოიკრიბნენ მეფის ნაცვლები (vicari) და მსაჯულები, რომელნიც უმეტესად სქიზმატიკი სომხები არიან. იმათ უფრო შეაგულიანეს მეფე ჩვენს წინააღმდეგ: ბევრი ელაპარაკნენ, ბევრს ეცადნენ და დიდი ფულიც მისცეს მეფეს ჩვენს გასადევნელად. ბოლოს მოგვივიდა ბრძანება ჩვენის განძევებისა მის სამფლობელოდან, და აღარც მიგვიღო თავისთან.

„კონსტანტინეპოლელი ბერძნის მონაზონები, რომელთაგანი ერთი ეპისკოპოსი იყო, თურმე ტფილისის ახლოს იყვნენ ფარულად. რა წამსაც გამოვედით ერთი მხრიდან, იმ წამსვე შევიდნენ ქალაქში მეორე მხრით, ეკკლესიაში საჯაროდ წაიკითხეს თავიანთი პატრიარქის წერილები, დაანგრიეს მთავარი ტრაპეზი, თავიანთებურად ეკკლესია აკურთხეს და ჩააბარეს ერთ ქართველ მღვდელს, რათა მოევლო. ხოლო ჩვენი მეორე ეკკლესია გორისა მეფემ მისცა იქაურ არხიეპისკოპოსს, რომლიდგანაც ხომ ორი წლის წინეთ გამოგვდევნეს. ეხლა ქართლში აღარაფერი დაგვრჩა...“ (1)

ეს კაპუცინი თავის მოხსენების დანარჩენ ნაწილში მოგვითხრობს თავის მოგზაურობას, რომ კონსტანტინეპოლში ამ საქმის შესახებ ვერაფერს გამხდარა. ვენაში გამოუვლია და იქაც, ოსმალეთთან ომის გამო, იმპერატრიცას ყურადღება არ მიუქცევია. ბოლოს კარდინალს ეხვეწება, რომ ნუნციების საშუალებით სხვა-და-სხვა მთავრობათა მისწერონ, ეგრეთვე რუსის იმპერატრიცას, რათა მეფეს მისწეროს რამე კაპუცინების სასარგებლოდ და მათ დასაბრუნებლად, რადგან მეფეს იმპერატრიცის წყალობა ძრიელ სჭირია, მაშინ უარს ვერ იტყვისო და ხათრს დასდებსო.

ამ საბუთებიდან ნათლად სჩანს, თუ ამ მისიონერთა დევნის საქმეში რაოდენი მონაწილეობა ჰქონიათ ბერძნებსა და მეტადრე სომხებს, რომლებიც ამისთანა შემთხვევას მუდამ ეძებდენ. თუმცა არც თეიმურაზია უბრალო ძმათა სრვისა და კათოლიკეთა დევნის საქმეში.

მაშინვე, ესე იგი 21 სეკტემბერს 1757 წ., რომმა მისწერა პატრიარქსა, ვენასა და კონსტანტინეპოლში, მაგრამ დიდი ვერაფერი შეეწეობა აღმოუჩინეს. რომმა პარიზიდან მიიღო ეს პასუხი: „პატონმა კავა-

ლიერ ვერჟერმა მიიღო ბრძანება, რათა დიდი ყურადღება მიაქციოს საქართველოში მყოფ. რაჭის, განჯის, ტფილისის და გორის კაფუცინ მისიონერებს, რომელთა სასარგებლოდ ბატონმა ნუნციომ ოქტომბერში წარმოადგინა მოხსენება. ეს ელჩი იუწყება, რომ საქართველოს ის ნაწილი, საიდგანაც განიდევნენ კაფუცინები, სულთანს არ ექვემდებარებათ. გარდა ამისა პორტა სრულებით არ არის მოწადინებული მისიონერებს ხელი შეუწყოსო. ვინაიდან ოსმალეთის მთავრობა იმასაც გაჭირებით თანხმდება, რომ კათოლიკე სარწმუნოება დაცულ იქმნას მარტო იმ ადგილს, საცა ოსმალეთის მიერ დაპყრობამდე არსებობდა ესეთი სარწმუნოება, და აგრეთვე ზღვის ნაპირებზე, საცა ფრანგები სცხოვრობენ. ოსმალეთის მთავრობა წინაალმდეგია, რომ მისი ქვეშევრდომნი ბერძნის ტიბიკონისანი გადაიყვანონ ლათინის ტიბიკონზე. ამის ასაკრძალავად გამოსცა სასტიკი ბრძანებანი.

„ახალციხეში შეხიზნულის კაფუცინებისათვის ბატონმა ვერჟელმა ძლივს შეიძლო განახლება იმ ბრძანებისა, რომელიც მათ უშიშარ ჰყოფს გავლენისაგან კერძო მოხელეთა, რომლებსაც უნდოდათ გადეხდევინებინათ ის ხარჯი, რაც ერთმევათ ოსმალეთის არა მაჰმადიან ქვეშევრდომებს. ეგრეთვე მოუპოვა მათ კარგი რეკომენდაცია აქაურ ფაშასთან, რათა მათ კაი სამსახური გაუწიოს. ელჩი ამის მეტს ვერას იზამს ამ მონაზონებისათვის. სხვა ყოველი ცდა, რომ მათ დაუბრუნდესთ ყველა ადგილები, საიდანაც განიდევნენ, სრულებით ამაოა, და შეიძლება მავნებელიც იყოს. პარიზი, 20 მარტს 1758“. (1)

ეს საბუთი ნათლად გვიჩვენებს ერთ უმთავრესს მიზეზსა, თუ საქართველოს ზოგიერთ მხარეში, რათ არიან ქართველთ ერობის კათოლიკები სომხურ ტიბიკონზედ.

პროპაგანდა 17 სექტემბერს 1757 წ. ახალციხეში სწერს კაფუცინების უფროს პატრი სტეფანე მალტელს და აუწყებს, რომ გაგზავნოს რომს ორი ახალგაზდა ქართველი ბერძნის ტიბიკონისა, რადგან პროპაგანდის კოლეგიაში უკვე დაუნიშნავს მათთვის ადგილი.

თეიმურაზ მეფის საკვირველ საქციელს უნდა მივაწეროთ შემდეგი ამბავიც, რომელიც მართლადაც გასაკვირველია. ასეთ ამბავს აზრადაც არ წარმოვიდგენდით, უკეთუ არ შეგვხვედროდა ნამდვილი მისი ხელთნაწერი საბუთი, რომლის პოვნამ დიდად გაგვაოცა. ეს საკვირველი ამბავი ისაა, რომ თავის მიერ წინეთ დევნულის კათოლიკებისათვის ახლა თავს იდო შემწეობის აღმოჩენა. როცა დაინახა კათოლიკების სულიერად გაჭირვება, თვითონვე მიმართა თვისაგან გაძევებულ კაფუცინებს და სთხოვა, მათთვის შემწეობა აღმოეჩინათ. აი ამის შესახებ, ერთი წერილი ინახება ამ მეფისა პროპაგანდის არხივში:

„ქ. მეფის. თეიმურაზის. და მეფის. ირაკლის. კეთილად. სახსენებელო. და არასოდეს არ. დასავიწყარო. ახალციხის. ხუცების. უფროსო. პატრი. ლეონარდო. მერმე. რაც. ამ. ჩვენს. ქვეყანაში. თქვენის სარწმუნოებისა. არიან. ვინმე. და. რადგანაც. იმათ. ღვდელი. ეჭირებოდათ. მოვიდნენ. და შემოგვეხვეწნენ. და. ჩვენც თქვენთვის. მოგვიწერია. რომ ერთი. ახალციხელი. ხუცესი. გამოგზავნო. ამათ. უმღვდელოს. ახალციხელი. ტერ სტეფანა. რო. არის. თუ. ის. სიბერკაცით. არ. დაზარდება. და. წამოვა. კარგი. იქმნება. თუ არა. და. რომელიც შენ. მუნასიბი ნახო. ის. გამოგზავნე, მაგრამ. ახალციხელი ხუცესი კი იყოს. მოვიდეს. აქ. იმათ. უღვდლოს. მანამდინ. ან თქვენი. და. ან. ამ. ხუცის. ნება. იყოს. და. როცა. წამოსვლა უნდოდეს. ეს. წამოვიდეს. და. მანდედამ. მაგიერს. სხვას. გამოგზავნიდეთ. ნუ რა. ეფიქრება რა. კაცებს. გამოვატანთ. ღვთის შეწევნით. შვიდობით. გამოვატარებინებთ. და. მანდედამაც. მშვიდობით. წამოვაყვანინებთ. თქვენს ამბავს მოგვწერდეთ. იანვრისა კგ. ქს. ჳუმჱ. | ბეჭედი თეიმურაზასა | | ბეჭედი ერეკლესი |".

ცხადათ სჩანს, რომ ეს წერილი არ არის მტრისა, არამედ მეგობრისა. თუ ახალციხელ მღვდელს თხოულობს და არა პატრსა, ეს უნდა მივაწეროთ იმ დროის საჭიროებას. პატრი ლეონარდი რომში წიგნთან უგზავნის ეგრეთვე იმის თარგმანსაც იტალიანურად; მასთანვე აუწყებს წერილის დაწერის გარემოებას. მეფე ერეკლეს თავისი პირველი შვილი ვახტანგ ავად გახდომია ყვავილით. ტფილისის კათოლიკე დედა-კაცები მისულან ერეკლესთან და უხვეწნიათ ბევრი, რათა მათთვის მიეცა ერთი კათოლიკე მღვდელი. მეფემაცა შეისმინა. ამ გარემოების გამო მიუწერიათ ახალციხეს. წამოსულ მღვდელს ჯერ გამოუვლია გორსა და ხელთუბანში (Cheltuban), სადაც კათოლიკებისათვის საიდუმლოები მიულებინებია და შემდგომ ჩასულა ტფილისს, სადაც შეუსრულებია კათოლიკებისათვის ყოველი სულიერი სამსახური, რადგან ეს მღვდელი დროებით ყოფილა წამოსული, მალე გაბრუნებულა ახალციხეს. წასვლის დროს მეფეს საჩუქრებიც მიუცია და ისე გაუსტუმრებია. შემდგომ ერეკლეს განკურნებულა ყვავილისაგან, რაც იმის აზრით სიხარულმა გამოიწვია შვილის დაბრუნებამ. მოუყვანინებია კაპუცინი პატრი ლორენცო. იგივე პატრი ლეონარდო სწერს რომში 1759 წ., თეიმურაზ მიდის რუსეთს და ვგონებ იქიდგან აღარ დაბრუნდესო, რადგან საკმაოდ დროულიაო. მასთანავე აუწყებს ერეკლეს გამეფებას. დიდად აქებს და იმედს აცხადებს, ჩვენზე მიდრეკილია და ჩვენთვის კეთილი უნდაო. პატრს იმედი არ გაუცრუვდა, რადგან ერეკლემ მალე დაიბარა ტფილისში. თავის დაბრუნების ამბავს თვით პატრი ლეონარდო სწერს რომს ესრეთ: „ფრიად პატივცემულო და ღირსო მამაო. ტფილისი 18 აგვისტოს 1760 წ. იმე-

დი მაქვს, რომ ჩემს წერილს მიიღებდით. ამ წერილით გაუწყებდი, რომ ერეკლე საქართველოს მეფემ ორგზის მეტად ალერსიანი წერილით მიმიწვია. შემდგომ ერთი თავისი ნათესავი თავადი 60 ჯარის-კაცით გამოგზავნა ჩემს წასაყვანათ. ამ თვის 14-ს რა მივუახლოვდით ტფილისს, მისივე ბრძანებით, მოგვეგება ჯარი. როგორც წინეთ გაცნობე, აქ მომიწვიეს ვითარცა ექიმი, რადგან საქართველოს მეფის თეიმურაზის ასული, ერეკლეს და, ავად არის. ეს მგზავრობა ჩემთვის სასარგებლო იმ მხრივ არის, რომ თავისუფლად ვემსახურები სულიერად ამ კათოლიკე ერს. თვით მეფემაც სიყვარული გამომიცხადა, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, იძულებული გახდა წასულიყო იქიდგან იმერეთის მეფის მისაგებებლად, რადგან დადიანთან და ერისთავთან ერთად მოდის თუთხმეტი ათასი ჯარის-კაცითა. უნდა წავიდენ განჯის ასაღებად. მაინც-კი ერეკლე მეფემ ჯარიდან ერთი ცხენოსნის პირით შემოთვალა ბრძანება, რომ არავის შეეძლოს ჩემთვის დაშლა წირვის თქმისა და სხვა სულიერი სამსახურის შესრულება. ამიტომ აქაური კათოლიკე ერი გამოუთქმელ ნუგეშის ცემაშია“. (1)

როდესაც ერეკლეს დაუბარებია ეს პატრი, სამი წიგნი მიუწერია ერთი ახალციხის ფაშისათვის, მეორე იენიჩრების სარდლისათვის და მესამე პროვინციის ბეგისათვის და უთხოვნია, რომ პატრი ტფილისში დაუბრკოლებლად გამოეშვათ.

ერთი კაპუცინი საქართველოში წამოსასვლელად მომზადებული ვენეციიდან 1760 წ. რომს სწერს იქვე მყოფი ერთი ქართველის ამბავს და მისთვის შემწეობას სთხოვს. ის ქართველი ყოფილა თბილელი გიორგი, რომელიც ორმოცი წლის წინეთ გაშორებია საქართველოს, შაჰ-ყული-ხანის სამსახურში შესულა და მისგან უშოვნია მთავრობა მაშათისა და ფერდისა. დიდ გავლენიანი პირი ყოფილა მთელს სპარსეთში და ყველას მისი შიში და რიდი ჰქონია. კაპუცინების პირველი მეგობარი, შემწე და მფარველი ყოფილა. კაპუცინები სპარსეთის მთავრობისგან თურმე მისი გავლენით და საშუალებით შოულობდენ ბრძანებას და მფარველობას სომეხთა მიერ დევნულების წინაღმდეგ. მისი მოწინააღმდეგების გაძლიერებისა და სპარსეთის არეულობის გამო გაბედუკულმართებულა და ყველაფრისაგან ცარიელი დარჩენილა. ცოლშვილი ჰყოლია ყიზლარში, სადაც მოუნდომებია დაბრუნება, რისგამო შემწეობა მოუთხოვია გზის სახარჯოთ, ხოლო არა სჩანს, თუ რისთვის და რა დროს მოსულა ვენეციაში. მისი კათოლიკობისა წერილში კერძოდ არაფერია მოხსენებული. გარნა ჩვენ მიგვაჩნია კათოლიკედ, რადგან, როგორც სწერს კაპუცინი, ვენეციის ეკკლესიებში ხშირად დაიარებოდა და ყველას დიდ კეთილ მაგალითს აძლევდაო.

ერეკლესაგან ტფილისში დაბარებული პატრი ლეონარდო რავდენსამე თვის შემდგომ გაბრუნებულა ახალციხეს პაერის გამოსაცვლელად, რადგან დასნეულებული იყო და აგრეთვე ახალციხის საქმეების გამო. იმ დროს ერეკლეს მეუღლე ავად გამხდარა; უთქვამს, თუ არ პატრი ლეონარდოს, სხვის წამალს არ დავლევო. ამიტომ ერეკლე იძულებული გამხდარა მეორედ დაებარებინა ახალციხიდგან; გაუგზავნია სახლთ უხუცესი და თან გაუტანებია 34 ცხენოსანი წამოსაყოლად; ეგრეთვე წიგნიც მიუწერია წამოსულიყო. ეს წიგნი ვერ ვიპოვეთ, მარტო მისი იტალიანურად თარგმანი გვაქვს. ვსთარგმნით ამას და იტალიანურიც მოგვყავს:

„ლეონარდო!

„ღირსსა და შესაფერ მოკითხვას უძლვნით ბრძენს, პატიოსანს და მონაცვლეს პატრი ლეონარდოს. სიამოვნებით მოისმინეთ ჩვენი ვედრებაა.

„იმ ხანად მივიღეთ თქვენი წიგნი, რომელმაც დიდად გვასიამოვნა და მოვისმინეთ ყოველი, რაც მოგვწერეთ. როდესაც ჩვენ ვბრუნდებოდით კახეთით ჩვენი მამულიდგან, თქვენ კიდეც წასულიყავით. აწ ამას გევედრებით: დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენი სახლობა უქეიფოდ არის, არ ვიცით ხველებაა, თუ სხვა რამ სატკივარი. ჩვენი მდივანი, რევაზ, გამოვგზავნეთ მანდეთ. იმედი გვაქვს თქვენი კეთილის გულისა და ღვთის სახიერებისა, რომ არ გეწყინოსთ და წამოჰყვეთ ამ ჩვენ პირველ მინისტრსა. კარგად ვიცით, რომ მანდ ბევრი საქმე გაქვსთ, მაგრამ ჩვენის სიყვარულისათვის დროებით თქვენს ადგილას დანიშნეთ ერთი კართაპეტი, ან რომელიმე სხვა მღვდელი და თქვენ აქ მოდით. რადგან ქრისტიანების მოყვარე ხართ, ვიცით კარგა, რომ ქრისტეს სიყვარულისათვის არ გეწყინებათ მგზავრობა და სხვა ამის მსგავსი შეწუხება; უსასყიდლოდ არ დავსტოვებ თქვენს შრომას. თუ გინდათ რაიმე ჩვენგან და ნატრობთ ჩვენს პატივს და სიყვარულს, წამოდით, აქ მოგელით. ღვთის წყალობით სნეულება არ არის მძიმე, გარნა მაინც სიჭიროდ შევრაცხეთ თქვენი მოწვევა. აწ ღვთის შეწევნით გზაში მშვიდობა არის. უშიშრად ჩამოხვალთ, და როდესაც ინებებთ დაბრუნებას, უფლის შემწეობით, კარგათ გაგისტუმრებთ. მანდ გამოგზავნილი ჩვენი მდივანი რევაზ ისე ჩათვალეთ, თითქო ჩვენ თვითონ მოვსულიყოთ, რადგან სულ ერთია. იმედი გვაქვს, რომ ღვთის სიყვარულისათვის არ გეწყინოსთ, არ დაიგვიანოთ და წამოჰყვეთ. აქამდე აქ არ ვიყავით, და შევიტყეთ, რომ თქვენთვის აქედან წასასვლელად მოუციათ ერთი გლახა ჯორი: ახლა მის ჯავრზე გიგზავნით ერთს კარგს ჯორს და ცხენს, რათა მანდედან წამოხვიდეთ ამ ცხენით. გარდა ამისა გიგზავნი ერთ ჯორსაც თქვენი ბარგის წამოსაღებად; ამასთანავე გიძღვნით სამოცს ძექინს

ფულსა, რათა ამითი იყიდოთ წამლები და სხვა მოწყობილება. გაფრთხილდით. ნუ დაიგვიანებთ. სხვა თქვენ იფიქრეთ. 21 აპრილს 449, ქართულის ინდიკტონისა". (1)

ტფილისს რომ ჩამოსულა ლეონარდო, მალე გაუკურნებია დედოფალი, რისგამო უფრო დიდი სიყვარული გამოუცხადებია მისთვის ერეკლეს. დაუმსახურებია ეგრეთვე პატივისცემა მთელი ქართველი ბატონებისა და ზოგიერთ გავლენიანი სომხებისაც; კათოლიკებს ერთი მოზდილი სახლი გადაუქცევია ეკკლესიად: საჯაროდ დაუწყია ქადაგება, წირვა და სხვა ყოველის სამსახურის ასრულება. კათოლიკების გარდა, წამლობის მიზეზით, ბევრი სხვებიც მიდიოდენ მასთან და ისმენდენ მის ქადაგებას. რავდენიმე კაცი გაუკათოლიკებია: სხვათა შორის გორიდგან მოსულან ბერძნის ტიბიკონის მქონე ორი ქართველი მღვდელი და მიუღიათ კათოლიკობა. ანტონ კათოლიკოსის გაკათოლიკებას ბევრი დაუფიქრებია და ბევრიც მოუმზადებია კათოლიკობის მისაღებად, მაგრამ დროთა ვითარების გამო, ცხადად გადასვლა კათოლიკობაზე ვერ ვაუბედიათ, რადგან ბევრს ერიდებოდა თურმე მღვდლისა გაბანთ (Gabanti) ზაქარიასი, რომლის ხელშიც ყოფილა მთელი სინოდი და ყველას მისი რიდი ჰქონია. ძრიელი მტერი ყოფილა კათოლიკებისა და მათ წინააღმდეგ ხალხისათვის ბევრი სიბოროტე ჩაუგონებია, უთქვამს კიდევაც, რომ ფრანგების დახოცვა და მათი ლუკმა-ლუკმა დაკეპა ცოდვა არ არისო. იგივე მღვდელი წინააღმდეგი ყოფილა კაპუცინებისათვის ეკკლესიის დაბრუნებისა. ამიტომ თვით ერეკლეს უთხოვია კაპუცინებისათვის რუსის ან საფრანგეთის მთავრობისაგან სარეკომენდაციო წერილი ეშოვნათ, რათა ამით მას შესძლებოდა ზაქარია მღვდლისა და კათოლიკების სხვა მოწინააღმდეგეთათვის პირი დაეხშო. ერიდებოდა, უამისოდ შეიძლება ამ მღვდელმა რამე უწესოება მოახდინოსო.

პატრი იერონიმე ნორჩაელი მარტში 1763 წ. ჰგზავნის რომში საქართველოს შესახებ მოხსენებას სხვა-და-სხვა საქმეთათვის თავფახთ ეკკლესიების და მონასტრებისას ამასა სწერს: „ტფილისის ადგილი ერთი ნაწილი პატრებს აჩუქა შაჰნავაზმა 1662 წ., ხოლო უფრო მომეტებული ნაწილი სხვა-და-სხვა დროს პატრებმა შეისყიდეს გარეშე მეზობლებისაგან. ნასყიდობის ქაღალდები მისიონის სხვა წერილებთან ერთად დაიკარგა 1717 წლის დევნულების დროს. გორის ადგილი აწინდელის მეფის ერეკლეს პაპამ თეიმურაზ მეფემ აჩუქა თეატინელ პატრებსა. შემდგომ, 1666 წ., მათი ადგილი დაიჭირეს კაპუცინებმა.

„ონის ადგილი აჩუქა ქართველ კათოლიკე ბატონმა ერისთავმა 1751 წ. ამავე ბატონმა სრულიად თავის ხარჯით ააშენებინა მონასტერი და ეკკლესია.

„არა სჩანს, თუ პატრებმა ვისგან მიიღეს ქუთაისის ადგილი. ხოლო ეს-კი ცხადია, რომ ეს ადგილი ჩაიბარეს 1672 წელს.

„ახალციხის ადგილი მისცეს ბატონ ნავროზანთ კათოლიკებმა 1733 წ., ხოლო ეკკლესია მისცა იქაურმა კათოლიკე ერმა 1730 წ.“. (1)

კაპუცინები ბევრს ცდილობდენ თავიანთი ეკკლესიის დაბრუნებას, ამისგამო გაგზავნეს ორი პატრი სპარსეთის მთავრობასთან, რათა გამოერთმიათ ბრძანება ეკკლესის დაბრუნებისა. იმათ წაჰყოლია ეგრეთვე თავიანთი კათოლიკე მდივანბეგი, რომელსაც საჭირო ბრძანება მოუტანია ერეკლესთან. ბრძანების სისრულეში მოსაყვანათ თან წამოყოლია იმანვერდი ბეგი სპარსელი. ამ ბრძანების მოტანა რა შეუტყვიათ ზოგიერთ კაპუცინების მტრებს, ქართველებს და სომხებს, წინააღმდეგობა დაუწყვიათ. შემდგომ გაუკეთებიათ იმათაც არზა და წაუღიათ სპარსეთის მთავარ ყარიმ ხანისათვის მისართმევლად. ხოლო ერეკლეს კაპუცინებისათვის უპასუხნია: თუმცა თქვენი დიდი პატივისცემა მაქვს და გულითაც მინდა თქვენი დაკმაყოფილება, მაგრამ ამ ნაირ არეულ-დარეულობის დროს, მეტადრე სარწმუნოების შესახებ, არ შემიძლია თქვენ დაგაკმაყოფილოთ და ხალხს ავუკრძალო არზის მიწერაო; ნებას კი გაძლევთ ტფილისში დარჩეთ და ერს მოუაროთო.

ახალციხიდან პატრი ჯერილამო 2 მარტს 1763 წ. სწერს რომში, რომ იქ ბერძნის ტიბიკონის მქონე სამ ქართველს მიუღიათ კათოლიკობა. ერთი იმათგანი, რომელიც მღვდელი ყოფილა, ევროპაში წასულა; ხოლო ვერ შევიტყვეთ, ევროპის რომელ ქალაქს წასულა.

ზემოდ ვსთქვით, რომ რადგან კაპუცინებს სჭიროდათ სომხის ტიბიკონის მღვდლები თუ ახალციხესა და თუ მის გარეშე სოფლებში, ამიტომ საქართველოს შვილებს თითქმის ყოველთვის მარტო ამ ტიბიკონზედ აკურთხებდენ რომში. ამას როდი ჰმარობდენ კაპუცინები, არამედ იმათ, ვისაც რომს გზავნიდენ სამღვდელოდ, უკვე წინდაწინ რაცხავდენ სომხის ტიბიკონის მქონედ და სომეხად. თუმცა სხვა მათი წერილები ცხადად მოწმობს, რომ ის პირები ნამდვილად ქართველები იყვნენ და სომხის ტიბიკონისა ჯერ მათ არაფერი ჰქონდათ, ვიდრე ეკურთხებოდენ. ასეთის საკვირველი საქციელის მაგალითად მოვიყვანთ პროპაგანდის წერილს:

„კაპუცინების წესის პატრი ივანე ბაპტისტას სარულოელისა, 2 ივნისს, 1759.

„რომს მოვიდა ერთი ახალგაზდა ტფილელი ქართველი სომხის ტიბიკონისა სახელად პეტრე ყორღანაანთი და ითხოვა ურბანოს კოლეგიაში მიეღოთ, რისგამო, როგორც თვით ამბობს, დაუტოვებია სამშობლო და მოსულა იტალიაში. თუმცა წმიდა კრება მუდამ მონატრულია

აღზარდოს ქართველი ახალგაზდები, რადგან იმ პროვინციებში დიდად საჭიროა კარგი მისიონერები, გარნა კანონიერი წესდება მოითხოვს, ამისთანა პირები არ მიიღებოდენ ხსენებულ კოლეგიაში, ვიდრე მათ შესახებ საჭირო ცნობები არ იქნება შეკრეფილი. ამისგამო იყო, რომ თქვენ დაგეკითხეთ: თუ ვინ არიან მისი მშობლები, ნათლისღება მიუღია თუ არა და ვისგან და ეგრეთვე ვინ ყოფილა მგზავრობის დროს მისი ამხანაგი. თქვენც უპასუხეთ, რომ მის მიცვალებულ მამას ჰრქმევია ივანე ყორღანანთი, მის დედას, რომელიც ცოცხალია, ჰქვიან მარიამ თემურანთი; ხოლო თქვენი პასუხი მის მონათვლისა და ამხანაგის შესახებ, ორჭოფია, რადგან ხან ამბობთ, რომ მოუნათლავს პატრ კლაუდიოს და ხან ამბობთ პატრი ლეონსაო; ხოლო მის ამხანაგად კოსტანტინეპოლამდე ხან ასახელებთ ძმა ლავრენტის და ხან პატრი ივანე ბაპტისტას“... (1). აქედან ცხადათ სჩანს, რომ ის ქართველი ყოფილა და პროპაგანდას ამის მიღებით ქართველის მიღების აზრი ჰქონია; ეგრეთვე მონათლული ყოფილა კაპუცინი პატრებისაგან. მაშ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ იგი ლათინის ტიბიკონისა ყოფილა. დალოცვილ კაპუცინებს კი რომში წარუდგენიათ სომხის ტიბიკონის მქონედ. ეგრეთვე 1758 წ. რომს გაუგზავნიათ 28 წლის ტფილელი ქართველი ფრანჩესკე შაროვანთი; ისიც სომხის ტიბიკონის მქონედ ჩაუწერიენებიათ.

პროპაგანდა 5 მარტს 1763 წ. კოლეგიაში იღებს კვალად ორ ახალგაზდა ქართველს, რომლებიც უკვე მისულან კოსტანტინეპოლს და უგზავნის მათ 200 სკუდს ფულს გზის სახარჯოდ. არ არის გამოცხადებული მათი სახელი და გვარი და არც მათი სამშობლო ქალაქი.

რომს კარგა ხნიდან უნდოდა კავკასიის მთებში მცხოვრებთათვისაც გაეგზავნა მისიონერები. მაგრამ კაპუცინებს საკმაო მღვდლები არა ჰყავდათ, თვით საქართველოს მისიონსაც ვერ ჰყოფნიდენ. ამიტომ მისიონი მიანდო წმიდა ივანე ნათლისმცემლის მონაზონებს და 1763 წ. პატრი სტეფანე განდოლფის წინამძღვრობით წამოვიდა რავდენიმე მისიონერი, ჯერ მოვიდენ ახალციხეს, შემდგომ იქიდან წავიდენ კავკასიის მთებისკენ. გზაში უფროსი მოუკვდათ, ბევრი გაჭირვებაც გამოიარეს, მეტადრე ენის უცოდინარობის გამო. ამიტომ ვერსად დაბინავდენ და ისევ დაბრუნდენ ახალციხეს, სადაც დარჩნენ რავდენსამე თვეს და შემდგომ ისევ გაბრუნდენ ევროპაში.

რადგან კაპუცინები ვერ დაბრუნდენ ტფილისისა და გორის მონასტრებში ისე, როგორც უწინ იყვნენ, ვიდრე გაიდევნებოდენ, პაპმა ეს წიგნი მისწერა ერეკლე მეფეს:

„ბრწყინვალეს და უძლიერესს ერეკლეს, საქართველოს მეფეს და კახეთის მთავარს,

„პაპი კლემენტე XIII. ბრწყინვალე და უძლიერესო მთავარო, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი. დიდად შევსწუხდით, რა ვსცანით, რომ, სქიზმატიკი ბერძნების შეგულიანებით, თქვენ დაგიფიციაფ ალარ შეუშვათ თქვენს სამეფოში მისიონერი კაფუცინები, რომლებიც დიდის ხნიდანვე მთელ საქართველოსგან მიღებულნი და პატივცემულნი არიან. ხოლო ჩვენ, რა კარგად ვსცნობთ თქვენს კაცთ-მოყვარეობას და ეგრეთვე თქვენს მიდრეკილებას კაფუცინებისადმი, რომლებიც აღიარებენ და ერს ასწავლიან ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ვინებეთ გამოგზავნა ამ წერილისა, რომლითაც დიდათ შეგაგულიანებთ და გთხოვთ, რათა მოწყალების თვალით მიხედოთ და შეიბრალოთ ის კათოლიკები, რომელთაც დააკლდათ მოძღვრები და ღმერთს ისე ველარ ემსახურებიან, როგორათაც ავალებს მათი სარწმუნოება. თქვენს ფიცს ყურს ნუ უგდებთ. რადგან ფიცი კეთილის აღსასრულებლად იქმნება და არა რამე ბოროტისათვის. არც ვალდებული ხართ დაიცვათ, თუ დაგიფიციათ, როდესაც მისი საგანი წინააღმდეგია ჭეშმარიტებისა, რადგან თქვენი ფიცის საგნის სიბოროტე ყოველ ძალას უსპობს ფიცსა, რომელიც დაგიდვიათ. აწ გთხოვთ ინებოთ და დააბრუნოთ თქვენს სამეფოში ეგ მონაზონები, რომლებიც უწინ თავიანთის ღირსებით თქვენნი საყვარელნი იყვნენ და კიდეც იფარავდით მათ. აწ რასაც ვსთხოვთ თქვენს ხელმწიფებას, დიდ სიკეთედ შევრაცხავთ და თქვენგან მარადის დავალებული ვიქნებით. სიკეთის მომნიჭებელს ღმერთს ვსთხოვთ, რათა დაგიცვასთ უვნებლად და ადაორძინოს ყოველი თქვენი საქმე. რომით, 16 აპრილს 1763 წ.". (1).

ვგონებთ აქ შეცდომა უნდა იყოს ფიცის შესახებ. არც ერთი წერილიდან სჩანს, რომ ფიცი ერეკლეს დაედოს, ჩვენ ვგონებთ, ისევ თეიმურაზის საქმე უნდა იყოს. ზემოდ ვნახეთ, რომ ერეკლემ მრავალგზის მიიწვია კაფუცინები ტფილისში და ერის მოვლის ნება მისცა. ამას არ იქმოდა, დაფიცებული რომ ყოფილიყო.

ზემოდ უკვე ვთქვით, რომ კაფუცინები საზოგადოდ რომში სასწავლებლად ყმაწვილებს არ გზავნიდენ თუ არ, იმ პირობით, რომ სომხეკატიბიკონი მიეღოთ და შემდგომ დაბრუნებულთ ემღვდლოთ სოფლებისათვის. ამის კვლავ დასამტკიცებლად მაგალითსაც მოვიყვანთ. კაფუცინებს სამი ახალგაზდა გაუგზავნიათ ამ პირობით და პროპაგანდისათვის კი მათ გაგზავნისა წინდაწინ არაფერი უცნობებიათ. ყმაწვილები რა მისულან კონსტანტინეპოლს, იქ დახვედრიათ ახალციხელი პავლე ეპისკოპოსი, იმას უთქვამს, რომს მანამდე არ გაგიშვებთ, სანამ პროპაგანდის ნებართვა არ მოვაო. ამისგამო 11 ივლისს 1767 წ. კონსტანტინეპოლელი არქიეპისკოპოსი სწერს რომში შემდეგს: „თქვენო უმაღლესობავ, აქ მოვიდა საქართველოდგან სამი ახალგაზდა კაცი; იქ მყოფი კაფუცი-

ნების უფროსისაგან გამოგზავნილთ უფროსი პავლე ეპისკოპოსს წერილითა სთხოვს, ესენი გაგზავნოს რომის კოლეგიაში მისაცემად თუ იმიტომ რომ გაწვრთნან საგნებში, თუ იმიტომ, რომ იქ დიდად საჭიროა მისიონერები სოფლებისათვის, როგორც თვითვე აუწყებს, რადგან იმ ადგილებში მღვდლები ძრიელ ნაკლებად ყოფილან. ამისგამო ხსენებულ ახალგაზრდებში ორს, თუმცა ორივე ქალაქელები არიან, ერთი ტფილული და ერთი ახალციხელი და ეკუთვნიან საუკეთესო ოჯახებს, მაინც კი უკისრიათ და წერილითაც პირობა დაუდვიათ იმსახურონ სოფლებში, სადაც კი მათ დანიშნენ უფროსები"... (2) ამასთანავე უგზავნის კაპუცინთა უფროსის წიგნს, რომლითაც აუწყებს ამათგან წერილებითი ფიცის მიღებას და იმ გარემოებას, რომ სოფლებში მეტად საჭიროა მღვდლები. პროპაგანდა იმ ორს შეიწყნარებს და ეპისკოპოსს სწერს:

„ეპისკოპოსს, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მონაცვლეს, 19 სექტემბერს, 1767 წ.,

„წმიდა კრებამ საქართველოს მისიონის უფროსს ბრძანება გაუგზავნა, რათა მის ნება დაურთველად აქ არ გამოგზავნონ ყმაწვილები; ახლა მეტად უკვირს, რომ მის დაუკითხავად მისიონი გზავნის სამ ყმაწვილს კონსტანტინეპოლამდე, მათ მშობლებს ზარალში აგდებს და კოლეგიასაც იძულებულ ხდის მიიღოს განსაზღვრულ რიცხვზე მეტი მოსწავლე, რათა წყენით არ უარჰყოს მაგ ქართველების ვედრება და წადილი, წმიდა კრებამ დაათანხმა მათგან მიიღოს ორი, რომლებსაც უფრო ნიჭიერებად სცნობთ, რადგან თავიანთი ხარჯითვე უნდა მოვიდნენ რომამდე და პირობაც მიუციათ, იმსახურონ სოფლებში, სადაც კი დანიშნებიან. მაშ გამოგზავნეთ ორნი, ვინც უფრო საიმედო იყოს, ხოლო ეცადეთ, მესამემ მარჯვე დრო შეირჩიოს და დაბრუნდეს ისევ უკან თავის სამშობლოში. აწ სხვა არაფერია საჭირო. ღმერთსა ვსთხოვ თქვენს სიცოცხლეს და ბედნიერებას". (1).

ეს ახალი ქართველი მოწაფეები არიან ბატონჯანაშვილი გრიგოლ კოხიჭამიანთი ახალციხელი და მეორე პეტრე გიორგის შვილი, ხოლო გვარი არა სჩანს.

როგორც ტფილისიდგან გაძევნილი პატრები ნელ-ნელა მობრუნდნენ, ისე თავისაც წავიდნენ და ჩაიბარეს ყოველივე, რაც დევნულებას გადარჩენოდა. ბევრი წერილი გვაკლია ამის შესახებ. ხოლო გვაქვს ერთი საბუთი, რომელიც საკმაოდ გვიხატავს იმ დროს. ეს წიგნი ახალციხიდგან რომში მისწერა უფროსმა პატრმა ალოიზიმ 13 მარტს, 1767 წ.:

„უღრმესი პატივისცემით ვისურვებ თქვენს უვნებელს სიცოცხლეს და გაუწყებ, რომ აქამდე ხუთი წიგნი მოგწერე რომში და არც ერთის პასუხი არ მიმიღია. შეიძლება ვინმე ბოროტებმა დაიჭირეს გზაში. აწ

მოგახსენებ, თუ ღმერთმა როგორ თვით უიმედო მდგომარეობაში არ დაგვტოვა, რადგან კაფუცინების მდგომარეობა ყოველ მხრივ გაჭირვებული იყო, არამედ მოგვიხსენია კაფუცინები და გაჭირვებული მორწმუნენი. ამიტომ გაუწყებთ სანუგეშოდ, როგორც იმედი მაქვს, რომ ორ-ორი წიგნით სამ გზის იმერეთის ერისთავმან კათალიკოსთან ერთად მომწერეს და მომთხოვეს ძმა დიონიზიო და ერთი პატრი თავიანთ ქვეყანაში სამუდამოდ დასანარჩუნებლად. მართალია, ჩემს უწინარეს ყოფილმა უფროსმა, პატრი იერონიმემ მირჩია ადვილად არ ვენდობოდი იქაურ მთავრებს, თუ წინანდელის ომებისა და თუ მონაზონ აკადებულის გამო (Akadebulj), რომელსაც შეეძლო ახალი დევნულების დაწყება და პატრების გადევნა, მაგრამ მე უსმინე ხსენებულს მთავარს და ბატონს კათალიკოსს, როდესაც მესამედ მომწერეს, რაიცა ვყავ პატრი იერონიმეს და სხვების რჩევით. ამიტომ იმერეთს გავგზავნე ძმა დიონიზიო ფაშის ბრძანებით და თავის გასაცნობელი წერილით, გავატანე ეგრეთვე დარიგება (ინსტრუქცია) ჩემი ბეჭედ დაკრული, იტალიანურად და ქართულად დაწერილი, რომელსაც ხსენებულმა ბატონებმა ფიცის ქვეშ ხელი უნდა მოაწერონ, რომ იქ პატრსა და მორჩილ ძმას არაფერი გაუჭირდეს. ძმა დიონიზიომ კიდეც ორი სანუგეშო წიგნი მომწერა და მაუწყა, რომ წერილით თანხმობა მიუციათ ყველა მთავრებს და ბატონ კათალიკოსს (ეგრეთვე თვით იმ მონაზონ აკადებულსაც, რომელიც ღვთის განგებულობით დასნეულებულა და ძმას გაუკურნებია, ახლა თანახმაა და ჩვენთვის ლოცულობს), რათა ონისა, ანუ რაჭის ადგილი ერთიან ჩააბარონ მას. კიდეც აუშენებია იქა სამი ოთახი, ეკლესიაც უნდა დაეწყო, ხოლო ამის ნებს არ მივეცი, სანამ არ გამომიგზავნის დადიანის და ახალი მეფის *) წერილებით თანხმობას, ეს ძმა აქამდე ვერ მივიდა იმათთან, რადგან ოსმალებისა და თავიანთის ჯარით განშორდენ თავიანთ ადგილ-მამულს, რადგან სოლომონის შეპყრობა უნდათ. თუმცა ზამთარი სუსხიანია, რა მივიღებ ამ წერილსა, თქვენც გაუწყებთ და იქ გავგზავნი ერთ პატრსა.

„მსგავსადვე ერეკლე მეფემაც წიგნი მომწერა და მომთხოვა პატრი გიორგი გორის პატარა საზოგადოებისათვის, სადაც, როგორც ტფილისში, მისცა სახლი. შიგ ტრაპეზი აღმართეს და კათოლიკებს დაუბრკოლებლივ უსრულებენ საიდუმლოებს და სხვა საეკკლესიო სამსახურსა. ღმერთმა განუმტკიცოს მეფეს ამნაირი კეთილი წადიერება. ასეთი წყალობა მიანიჭა პატრი ლავრენტის, რომელსაც ეხლა აუხირებია თავის ქვეყანაში დაბრუნება, რისგამო ძრიელ ვწუხვარ. ამიტომ მე გავგზავნე

*) სოლომონ მეფის ბიძაშვილი თეიმურაზია.

საგანგებო კაცი და ის პატრი გიორგი დავიბარე ქართვინიდან, სადაც აგერ ექვსი თვეა, რაც მისიონერის მოვალეობას დიდის გულმოდგინებით ასრულებს, რადგან ბავშვების სასწავლებლად იქ სკოლა ააშენა და დიდის შეტკბობით უსწორებდა იქაურ მღვდლებს მათ შეცდომილებას და ნაკლსა. ამ ორი კვირის წინეთ კიდეც გავგზავნე იგი გორსა, საიდგანაც ჯერ მისი მისვლის ამბავი არ მიმიღია. პატრი დომინიკემ და პატრი ლავრენტიმ კი მომწერეს, რომ პატრი გიორგი აღდგომის უკან ტფილისში უნდა დაიბაროს მთავარმა, ანუ მეფემა, როგორათაც ქართველები უწოდებენ, რისგამო იძულებული ვარ მის ადგილს სხვა გავგზავნო. ამიტომ მე უთხარი პატრი ანდრიას, რათა წასასვლელად მოემზადოს. ეხლა ამის მეტი სხვა არავინ მყავს ისეთი, საკმაოდ იცოდეს ქართული ენა და ექიმობა“... (1).

ერეკლეს იმ დროსვე გორში მიუწერია ორი წიგნი ერთი ჯარის უფროსისა და მეორე ქალაქის თავისათვის და მათთვის დაუვალებია, ყური უგდეთ პატრებს, რათა არავინ შეაწუხოსო.

აქ დასახელებული ერისთავი და კათალიკოსი არიან ზემოდ ხსენებული როსტომი და ბესარიონი, რომელთაც 1751 წ. მიიღეს კათოლიკობა და დარჩნენ მორწმუნედ.

ამავე პატრი ალიოზს პროპაგანდა 6 თებერვალს 1768 წ. დიდი კმაყოფილების წიგნსა სწერს, რომ ერეკლეს გორში დაუბრუნებია მისიონერები და ერისთავთან და კათალიკოსთან დიდი გავლენა ჰქონია. ჰპირდება ყოველ დახმარებას, ოღონდ კი თვით ეცადოს კათოლიკე სარწმუნოების გავრცელებას.

იგივე პროპაგანდა აპრილს 1769 წ. კონსტანტინეპოლის არხიეპისკოპოსს სწერს და უცხადებს თავის დიდს მწუხარებას მღვდლის ფირალიანთ ანტონას სიკვდილის გამო, რადგან მეტად სასარგებლო ყოფილა საქართველოს მისიონისათვის. მასთანვე უარს ეუბნება სხვა ქართველი ყმაწვილების მიღებისას რადგან მაშინ კოლეგიაში ადგილი აღარ ყოფილა.

იმავე დროებში კაპუცინებთან მონაზონად შესული მორჩილი ძმა ქართველი ანტონა გორელი დაბრუნდა რომიდან საქართველოში (1) სხვა კაპუცინებთან ერთად საშრომელად. არ ვიცით კი, თუ როდის გაგზავნეს რომს კაპუცინებმა.

რადგან ერეკლე კაპუცინებს გულკეთილად ეპყრობოდა, ამ ამბავმა რომში ყველა დიდად გაახარა. ამიტომ პაპმა ეს შესანიშნავი წერილი მისწერა:

„ბრწყინვალეს და უძლიერესს საქართველოს მეფეს ერეკლეს.

„პაპი კლემენტე XIV. ბრწყინვალე და უძლიერესო მეფევ, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი. ძრიელ მოხარული ვართ, რომ ჩვე-

ნის მღვდელთ მთავრობის დასაწყისშივე გვეძლევა შემთხვევა მოვსწეროთ თქვენს ხელმწიფებას, რომლის გულუხვობისა და უზომო მხნეობის ქებანი მოგვდის ჩვენთა მოძღვართა წერილებით და რომლის სახელ განთქმულობა და ამბავი განუწყვეტლივ გვეუწყება. პირველად უგულითადეს მადლობას მოგახსენებთ, რომ თქვენის მეტად განთქმულის გულკეთილობით ეწევით და იფარავთ ყველას, ვინც ჩვენთან სარწმუნოებით შეერთებულნი, ჩვენი ქვეშევრდომნი და მორჩილნი არიან. შემდგომ, გამხნევებული იმავე თქვენის გულკეთილობით და დაიმედებულნი, გთხოვთ და გევედრებით, რომ მომავალშიაც ყველა თქვენის ღონისძიებით დაიცვათ და დაიფაროთ მტრის წინაალმდეგ თქვენს სამეფოში მყოფი ყველა კათოლიკები და მეტადრე პატრი კაფუცინები, რომლებიც სარწმუნოების გამო მანდეთ არიან წამოსულნი. ესენი სიბოროტეს არავის უყოფენ, არამედ სათნოებას იცვენ და ავრცელებენ ღვთის ბრძანებათა და სჯულსა; ყველას სიყვარულით ეპყრობიან და საზოგადოების მშვიდობისა და სიწყნარისათვის შრომობენ. გარნა მტრები არ სცხრებიან, მათ წინაალმდეგ ძალას და მზაკვრობასა ხმარობენ და ხშირად მათ ჰსცემენ კიდეცა. ვერას დროს ველარ შეიძლებდენ მანდ მობრუნებას, უკეთუ კაცთმოყვარეობით და მფარველობით არ შესწეოდით. ამ კაფუცინებს იმედი აქვსთ, თქვენის ძლიერის მფარველობით უშიშრად და უვნებლად შეიძლონ მანდ ყოფნა და არც სცდებიან. რისგამო უმეტესად ვევედრებით თქვენს ხელმწიფებას, რათა კვლავაც დაიფაროთ და შემწეობა არ მოაკლოთ. ესეთი თქვენი მოქმედება თქვენთვის არას დროს შეიქმნება სანანელი. დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რასაც-კი მაგათ მიაგებთ, ისე ჩავსთვალოთ, ვითომც ჩვენთვის გექნასთ. რაისგამო თქვენი მადრიელი და მომხსენებელი ვიქნებით და მას კიდეც გამოგიცხადებთ, როდესაც შემთხვევა მოგვეცემა შემდგომში. ეგრეთვე გარწმუნებთ, რომ თქვენს წარჩინებულს თვისებას აღვიარებთ და დიდათაც ვაფასებთ; მასთანავე ყოვლის მპყრობელ ღმერთსაც ვევედრებით, დაგიცვასთ უვნებლად, ყოველი სიკეთე მოგანიჭოსთ და ჭეშმარიტი საუკუნო ბედნიერებაც მოგმადლოსთ. რომი. 23 აგვისტოს 1769, მღვდელ-მთავრობის პირველ წელს". (1)

ერეკლემ ძრიელ კარგა დაიწყო, მაგრამ ბოლომდე ვერ გაატანა და, როგორც ბოლოს ვნახავთ, პაპის მოლოდინი ყოველთვის ვერ გაამართლა.

იმავე წელს სომხებმა დაუწყეს საშინელი დევნულება ახალციხეში კაფუცინებს და სხვა კათოლიკე ერსა და მღვდლებს. ესენი პატრებთან ერთად ტყვედ წაასხეს. შემდეგ თავში ვრცლად გვექნება საუბარი ამისთვის.

როგორც სჩანს, ტფილისის მისიონს დაუწყვია უწინდელივით აღყვავება და წარმატება. საჭირო მოხსენებანიც გაუგზავნიათ კაფუცინებს რომს. გარნა ვერ შეხვდით წერილებს. ამის შესახებ გვაქვს მხოლოდ ერთი წიგნი, რომელიც 1773 წ. 13 თებერვალს, პატრი დომინიკეს, კაფუცინების უფროსს, უცხადებს კარდინლების კმაყოფილებას, რომ ტფილისიდან კაი ამბავები მიდიოდა სარწმუნოების შესახებ.

1773 წ. რომის კოლეგიაში მივიდა სასწავლებლად ახალციხელი ანტონ ხუციანთი. პროპაგანდა 29 სეკტემბერს 1773 წ. მარსელში კაფუცინ პატრი სებასტიანეს სწერს მადლობის წიგნს იმის გამო, რომ ეს ქართველი წამოუყვანია კონსტანტინეპოლიდან მარსელამდე და იქიდგანაც რომს გამოუგზავნია.

რომისა და მისიონერების სიხარულმა ბევრ ხანს არ გასტანა. საქართველოში კათოლიკების თავისუფლებას და წარმატებას მალე შეეკვეცა ფრთები, რადგან მეფემ უმტყუნა თავისს სიტყვას. მალე დაადგა მას ის უწინდელი შავი დღე ძმათ სრვისა და მტარვალობისა. აქ იძულებული ვართ წარმოვადგინოთ ის სამწუხარო სურათიც, რომელიც დიდად აჩრდილებს ერეკლეს მეფობას, მის დიდსულოვნებას და მიუბაძავ სიმხნესაც. როგორც თავის შესანიშნავის სარდლობით სახელი მოიხვეჭა ევროპაში, ისე თავის ანგარებით და შემცდარი მოქმედებით დაიმცირა თავი ყველას წინაშე, რადგან ინტერესის გამო მტრის ჩაგონებით დააჩაგვრინა თავისი ერთგული მეგობრები, ლათინის მოძღვრები და მკაცრად დასაჯა ისინი, ვისაც არაფერი ბრალი ჰქონდათ. ამის შესახებ ერთი ვრცელი მოხსენება გვაქვს თვით უფროსის პატრი დომინიკესი, გაგზავნილი რომს 24 ნოემბერს 1775 წ., რომლის უმეტეს ნაწილს მოვიყვანთ აქ.

„რადგან ჩვენი მისიონი მეტად დაცემულია ახლად გამოღვიძებულის და მფარველობით გაძრიელებულის დევნულებისაგან, რომელიც ბევრი ფულის მიცემით აგვიტეხა გველად გადაქცეულმა ეჩმიაწინის სომეხთ პატრიარქმა, სიმონმა, ვალდებული ვარ თქვენს უმაღლესობას ვაახლო ერთი მოკლე და სარწმუნო მოხსენება ამ უსამართლო დევნულელების შესახებ, რათა თქვენც კეთილ ინებოთ და ყოველივე აუწყოთ პროპაგანდის კარდინალებს, რომლებისგანაც მოველით შეწევნასა, განკარგულებასა და ბრძანებასა, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ და რა შველა უნდა მივიღოთ აწინდელ სამწუხარო მდგომარეობაში.

„გავლილის მაისის თვეში მეფე ერეკლემ დააქორწინა თავისი მეორე შვილი ლევან. ქორწილში დაპატიჟა არა მარტო ამ ქვეყნის ყველა მთავარნი, არამედ ბევრი უცხონიც, რომელთა შორის მოწვეულ იქმნა აგრეთვე ზემოხსენებული პატრიარქიც. თუმცა ქორწილში თვი-

თონ არ მოვიდა, მაგრამ თავის მაგიერ გამოგზავნა ორი ვართაპეტ-ეპისკოპოსები (ამათგანი ერთი ის ვართაპეტი იყო, რომელმაც ამ რვა წლის წინეთ დაუწყო დევნულება ახალციხის კათოლიკებს) და სამას თუმნის, ანუ ჩვენებურად 3,000 სკუდის საღირალი საჩუქრები გამოატანა. ქორწილის შემდგომ ამ ორ სომხის ვართაპეტმა აქაურ მღვდლებთან და ერის მოწინავე პირებთან მოილაპარაკეს, ვისარგებლოთ ამ მეგობრობით, რომელიც ერეკლემ ჩვენის საჩუქრების წყალობით გვიჩვენა. კარგად უწყოდენ, რომ მეფე ფულისათვის ყველასფერს დათანხმდებოდა, თვით უსამართლობასაც-კი. ამიტომ ამ საჩუქრების გარდა კვალად უთავაზეს მეფეს ნაღდი ფული 700 თუმანი, ანუ 7,000 სკუდი, და სთხოვეს ნება მოგვეცი, ძალა დავატანოთ და სომხის სარწმუნოებაზედ გადმოვიყვანოთ არა მარტო ამ 20 წლამდე გაკათოლიკებულნი, არამედ მათი შვილებიც სომხებისგან მონათლულნი მაშინ, როდესაც კაპუცინები განდევნილნი იყვნენ ამ ქალაქიდგან, ან მონათლულნი სომხის მღვდლებისაგან უფრო უწინ, ვიდრე მათი მშობლები გაკათოლიკდებოდენო. სომხები ეფიცებოდენ ერეკლეს, არც ჩვენ ფულს და არც სიცოცხლეს დავზოგავთ, ოღონდ დაგიფაროთ თქვენის მტერებისაგან, რომლებიც ცდილობენ ტახტი წაგართვანო. მაგრამ მათმა დაპირებამ იმდენად ვერ გასჭრა, რამდენადაც მათმა ფულმა. 700 თუმნის მიღებამ ერეკლე დააბრმავა, მათ თხოვნაზე თანხმობა განაცხადა და დაჰპირდა, ნებას გაძლევთ კათოლიკებს როგორც გინდათ ისე მოეპყარითო. ამის გამო 3 ივნისს ზარების რეკით სომხის ეპისკოპოსებმა შეჰკრიბეს თავიანთი ერი, ვაჭრებს და ხელოსნებს დააკეტინეს დუქნები, რათა ყველანი წასულიყვნენ და ენახათ, თუ რა შეურაცყოფით და მკაცრად მოეპყრობოდნენ კათოლიკებს. ასე ამიტომ მოიქცნენ, რომ თუ ვინმე ჩვენს წმიდა სარწმუნოებაზე მიდრეკილი იყო, იმის ნახვით შეშინებულიყო და გაგვშორებოდა, და ვინც მტერი იყო, უფრო გაძლიერებულიყო ჩვენს მტრობაში. რა შეიკრიბა სომხის ერი, ყველანი წავიდნენ მეფის სასახლეში, სადაც ერთ ფართო ადგილას მეფე ზოგიერთი თავის უსამართლო მსაჯულებითურთ იჯდა, იქიდან ჰგზავნიდენ მოხელეებს და მოჰყავდათ ხან ერთი და ხან მეორე კათოლიკები, ვითომც დამნაშავენი; არ დაზოგეს თვით დაორსულებული დედაკაცები, რომელთაგან ორს მაშინვე მუცელი წაუხდათ შიშისა და ცუდად მოპყრობის გამო. არ შემიძლია აღვწერო ის ყველა უსამართლობა, შეურაცხყოფა და გაუპატიურება, რაც ამ უსჯულო სამსჯავრომ მიაყენა საბრალო კათოლიკებს! მათ წინაშე თუ ვინმე ერთ-ორ სიტყვას იტყოდა თავის თავის დასაცველად, მაშინ მთელი ხალხი დაუწყებდა ათას ნაირ წყევლა-გინებას, თუ ვინმე მხნედ და უშიშრად გამოაცხადებდა, რომ მას სურდა,

ცხოვრება და სიკვდილი კათოლიკე სარწმუნოებაში, უწყალოდ სცემდენ კარგა ხნის განმავლობაში, შემდგომ ჩააგდებდენ სატყვეოში, საიდანაც ვერ გამოვიდოდა თუ ბლომად ფულს არ გადაიხდიდა. რისგამო ჩვენი კათოლიკები ზოგნი მთლად დაღარიბდენ და ზოგმაც დიდი ვალი დაიდო. რადგან ბევრ კათოლიკებს დაუწყეს ჩივილი, ამისგამო ასეთმა სასამართლომ და დევნულებამ ორი თვე გასტანა, რომლის განმავლობაში, საშინელის მუქარით და უწყალო მოპყრობით, რვა სული ორივე სქესისა შეაცთინეს, დაატოვებინეს ჭეშმარიტი სარწმუნოება და მიაღებინეს სომხის მწვალებლობა. ჩემ შესარცხვენად სამ ჯერ დამიბარეს იმ უღმრთო სასამართლოში, მკითხეს მხოლოდ ისეთი საგნები, რომელიც მარტო ჩემსა და ჩვენი წმიდა სარწმუნოების გაკიცხვას შეეხებოდა: ამ დროს მეფე ერეკლე არ დაესწრო სასამართლოში, რადგან, როგორც თვითონვე აღიარებია ერთი თავისი მეგობრისათვის, ჩემი რცხვენოდა, თორმეტი წლის განმავლობაში ჩემის ერთგულობისა და მიგებული სამსახურის გამო. რადგან ერეკლე მეფის ესეთი უსამართლობა ყველასთვის ცხადი იყო, ამიტომ ქართველების მომეტებული და საუკეთესო ნაწილი ბერძნის სარწმუნოებისა, განსაკუთრებით, მონაზონები, ეპისკოპოსები და მათი კათოლიკოსი ცხადად ჰკიცხავდენ მეფის ასეთ უსამართლო მოქცევას; არა მარტო ბერძნის მონაზონები (ქართველები), არამედ თვით პატრიარქიც და ეგრეთვე მეფის უფროსი შვილიც, მოდიოდნენ ჩვენ სანახავად და გვანუგეშებდენ, რადგან გვხედავდენ, თუ რა უსამართლოდ ვიყავით დევნულნი; ვერც გაეგოთ, თუ ფულმა ისე როგორ დააბრმავა და შესცვალა ერეკლე, რომ თვით თავის საუკეთესო ქვეშევრდომებსაც კი აღარ უსმენდა, როდესაც რასმეს ეტყოდენ ჩვენს სასარგებლოდ. თვით იმავე დროს, როდესაც ესე ძრიელ დევნული ვიყავით, პირის შემშლელმა ერეკლემ ერთი თავისი სასახლის კაცი გამოგზავნა და შემომითვალა: „მოუფერებლად აღვიარებ, რომ დიდად დავალებული ვარ უფროსი პატრისაგან მისი ერთგულობის გამო, რომლითაც ბევრ შემთხვევაში მემსახურა. ვიცი, რომ შეწუხებული იქმნება ამ შფოთისა და ჩხუბის გამო, რომელიც გამართულა კათოლიკებსა და სომხებს შუა, მაგრამ უნდა მოითმინოს, რადგან ქვეყნის საქმეები ასე თხოულობსო; გარნა შედეგი კარგი იქნება, თუ პატრებისა და თუ მათის ერისათვისო“. ამის შემდგომ, პირველად უფრო დიდის უსამართლობით და სიფიცხით დაუწყო დევნულება საწყალ კათოლიკებს, რაის გამო დაემსგავსა ტირანსა.

„ამით არ დასრულდა ერეკლეს უსამართლობა. სომხების სხვა კაი დაპირების გამო დაჰყვა მათ და კათოლიკების წინააღმდეგ გამოსცა რავდენიმე უბოროტესი ბრძანება, ჯოჯოხეთისაგან ჩაგონებული. ამ ბრძა-

ნების ქალაქებში ჯერ ჩამოთვლილი იყო მოჭორილი ამბები ჩვენის კათოლიკე სარწმუნოების წინააღმდეგ, ათას გვარ სიბოროტეს ამბობდა, და ბოლოს უღმრთო ბრძანებას იძლეოდა, თუ მომავალში რომელიმე სომეხმა კათოლიკობა მიიღო, ორი თვით სატყვეში იქმნება ჩაგდებული, სადაც მარტო წყალი და პური ექმნება, შემდგომ ორი თვისა გაიწკეპლება 300 კაცის მიერ, ჩამოერთმევა მთელი თავისი ოჯახობა და ბოლოს განიდევნება სიკვდილამდე ერთ დაბაში, საიდამაც ვერ შეიძლებს გაქცევასო. ხოლო იმ პატრმა, რომელიც ვისმე გადაიყვანს სარწმუნოებაზე უნდა გადაიხადოს 50 თუმანი, ანუ 500 სკუდი ჯარიმად და შემდგომ, გაკიცხული, უნდა გაიდევნოს მეფის ქვეყნისაგანო. აი მოკლედ ეს ბრძანებული ბრძანება, რომელიც ერეკლემ სარფისა და ფულის გულისათვის გამოსცა...“ (1).

იგივე პატრი განაგრძობს, რომ ერეკლე შემდგომ თავის მხლებლებით რაღაცა საქმეების გამო, გორს წასულა, მოუსაქმებია, დაუწყვია იქაური კათოლიკებისათვისაც ისეთივე დევნულება, როგორიც იყო ტფილისში. ამის შემდგომ გარეგნად ცოტათი დამცხრალა დევნულება, მაგრამ ეჩმიაწინის სომეხთ პატრიარქი ეკკლესიებში წასაკითხავად უწყვეტლივ კონდაკებს იწერებოდა, რათა ხალხი უფრო აეღელვებია კათოლიკების წინააღმდეგ, და უკრძალავდა მათ კათოლიკებთან დაახლოვებას და თვით მათთვის სალამის მიცემასაც; ეგრეთვე ეძებდა ყველა საშვალებას, რათა მისიონერები გაედევნებინა იქიდგან. თვით ახალციხის კათოლიკებიც დიდ შიშში იყვნენ, რომ მათთვისაც არ დაეწყოთ ხელახლავ დევნულება, რადგან პატრიარქი ამისათვის დიდ ფულს ხარჯავდა. იმავე დროს ქართველთ კათოლიკოსმა ურჩია პატრს მისიონის სასარგებლოდ, რომ კოსტანტინეპოლში მყოფ საფრანგეთისა და ავსტრიის ელჩებმა მოსწერონ ერეკლესა და ეჩმიაწინის პატრიარქს და საყვედური გამოუცხადონ კათოლიკების ასეთის დევნულებისა გამო, წერილებს დიდი გავლენა ექმნებათ და დიდათაც სომხებს დაამდაბლებს; ეგრეთვე იმ ორის მთავრების დიდი შიში აქვს ერეკლესაცო.

ამნაირი სამწუხარო ამბავისას, ჩვენის მხრით, ჩვენ არას ვიტყვით, აზრის დასკვნა მკითხველისათვის მიგვინდია.

ამ მოულოდნელმა და სამწუხარო ამბავმა რომ მეტად დაალონა პროპაგანდამ 31 აგვისტოს 1776 წ. კაფუცინებს მოსწერა ნუგეშის წერილი და შეჰპირდა, თქვენს შესაწევნად ყოველ გვარს ღონეს ვიღონებთო.

თუმცა ისეთის ოსტატობით დაწყებული დევნულება პირველში ცოტა შეჩერებულა, მაგრამ ერთიან არ დამცხრალა. ცოტა შემდგომ კვალად გაძლიერებულა და განუგრძვია უწინდელი მტარვალობა. ხსე-

ნებული პატრი დომინიკე, 24 იანვარს 1777 წ., ამ დევნულების ამბავს მოკლედ სწერს ესრედ რომს: „ამ უპატრონო კათოლიკების დევნულება დღესაც ისე გაცხარებულია, როგორც იყო გასულს წელს წყალობითა ეჩმიაწინის მწვალებლის პატრიარქისა, რომელმაც მრავალის საჩუქრის ძლევით ისე დაიმონავა მეფე ერეკლეს ნება, რომ რაც უნდა და რასაც ჩააგონებს თავისი გაბრაზებული გული, იმას აქმნევინებს. ესეთის გაამაყებული უფროსის დასამდაბლებლად სხვა საშვალება არ არის მის მეტი, რომ ერთ-ერთი კათოლიკე ელჩის შუაკაცობით მიეწეროს ოსმალეთის მთავრობას და ეთხოვოს ძალა დაატანოს კოსტანტინეპოლელ პატრიარქს, რათა თავისი ერით მიჰმართოს ეჩმიაწინის პატრიარქს, რომელზედაც დამოკიდებულია, კათოლიკების დევნულება შეაჩეროს საქართველოში და ოსმალეთმაც არ სდევნოს მათი ქვეშევრდომები კოსტანტინეპოლში". (1)

1777 წ. 8 ოქტომბერს, ერთი, ჩვენთვის უცნობი პირი, ლავრენტი ბარლეთი ლიონიდან რომს წერილთან ერთად ჰგზავნის ერთს ქართველს ყმაწვილს, რომელიც ლივორნამდე ერთ კაპუცინს მიუყვანია. იმ ახალგაზდა ქართველის სახელი და სამშობლო ქალაქი არა სჩანს.

ზემოთ მოყვანილის სურათის შემდეგ უნდა წარმოვიდგინოთ ერთიც სხვა არა ნაკლებად გასაკვირველი, მაგრამ მისი წინააღმდეგი, ამბავი. უნდა მოგახსენოთ ის ამბავი, რომ ერეკლემ კათოლიკების სასარგებლოდ უფროსი პატრი თავისთან დაიჭირა და ევროპაში არ გაუშვა. ამ გარემოებას თვით იგივე პატრი დომინიკე რომსა სწერს 10 აპრილს 1779 წ.: „სისწრაფით მოვემზადე წასასვლელად კოსტანტინეპოლს, სადაც იმედი მქონდა მიმესწრო ჩვენის მისიონერებისათვის, იქვე მიმეღო ჩემი მორჩილების ქაღალდი, რათა იქიდგანვე გავმგზავრებულიყავი ევროპას. მაგრამ რის წასვლა? წასვლისათვის დანიშნულ დროს ერთის დღის წინეთ ერეკლე წინააღმდეგი გახდა ჩემს გარდაწყვეტილებას, ორი თავისი ოფიციალი გამომიგზავნა და მაუწყა მიზეზი, თუ რისთვის არ მიშვებდა; შემდგომ თვითონვე კერძოდ რა მიმიღო, მითხრა მიზეზი, რად უნდოდა ჩემი დარჩენა და არ მიშვებდა. აი თვით მეფე ერეკლეს სიტყვები: „1) არ შემიძლია წასვლის ნება მოგცეთ, რადგან ჩემთვის საჭირო ხართო; 2) ჩვენს ქართველ ერს, მღვდლებს და მონაზონებს თქვენი აქ დარჩენა უნდათო, 3) თუმცა სომხები დიდი მტრები არიან კათოლიკებისა, მაგრამ მათაც კი თქვენი პატივისცემა და დიდი სიყვარული აქვსთო; 4) თქვენმა კათოლიკე ერმა თხოვნა მომცა, არ გაგიშვათ, რადგან წინათვე მოსცნობენ იმ სულიერ ვნებას, რომელიც მიადგებათ თქვენის წასვლითო; და ესე დააბოლოვა: ძალას ვერ დაგატანო, თუ თქვენის სიყვარულის გამო და თუ იმიტომ, რომ ჩემი ქვეშევრდომი არა

ართ, გარნა თუ ჩემი ნების წინააღმდეგ წავალთ, წინათვე ვხედავ,
რომ ხელახლავ ბევრი უსიამოვნებაა დაიბადება სომხებსა, რომლებიც
მეტად ბევრნი და ძლიერნი არიან ამ ქალაქში და კათოლიკებს შორის,
რომლებიც ცოტანი არიანო, ამისათვის ამ თქვენ კათოლიკე ერს რა
ზარალიც შეემთხვევა თუ ხორციელი და სულიერი, ყველას მიზეზი
თქვენ იქმნებით, თუ წასვლაზე ხელი არ აიღეთო“. ვერ წარმოიდგენთ,
თუ რაოდენი ვეხვეწე ხსენებულ მეფეს, რომ დამეყოლებინა და ჩემთვის
ნება მიეცა, აღმესრულებინა ჩემი გარდაწყვეტილი მგზავრობა. მაგრამ
ის სულ იმეორებდა ზემოდ ხსენებულ მიზეზებს და დასკვნას, და დამ-
პირდა, მერე კი გაგისტუმრებო“. (1).

კაფუცინის ისეთი მოქცევა აქ დარჩენაზე, რომს დიდად ესიამოვ-
ნა, რადგან ცხადი იყო, მეფე და ერი იმიტომ ეხვეწებოდენ დარჩენას,
რომ კარგ გამგედ სცნობდნენ. ამიტომ პროპაგანდა იმავე წელს თავის
კმაყოფილების წერილს ჰსწერს ამ პატრსა.

საწუხაროდ, სრული სია არა გვაქვს ყველა იმ ქართველებისა,
რომლებიც პროპაგანდის კოლეგიაში წასულან და გაწვრთვნილან. გარ-
ნა რაც კი ვიშოვეთ მათ შესახებ, ცხადად გვიჩვენებს, რომ ბევრ ქარ-
თველობას განუცხადებია სურვილი ევროპაში გაწვრთნისა და სამღვდე-
ლო წოდების მიღებისა, რაიცა მოწმობს ჩვენის ერის სწავლისა და სა-
რწმუნოების ნამეტნავ საყვარულს. ხშირად პროპაგანდა უშლიდა მის-
იონერებს, მის დაუკითხავად რომს არ გაეგზავნათ ქართველი ყმაწვილე-
ბი. გარნა კაფუცინები, მსურველთა სიმრავლის გამო, ხშირად ყურად-
ღებას არ აქცევდენ ნაბძანებს და რომის დაუკითხავად პირდაპირ გზავნი-
დენ: თუმცა რომიც ზოგჯერ ან უკან აბრუნებდა, ან კარგა ხანს აცდე-
ვინებდა და მხოლოდ შემდგომ ღებულობდა. ერთი შესანიშნავი რამ ისიც
არის, რომ კონსტანტინეპოლის ლათინის ეპისკოპოსიც საკმაოდ ხელს
უწყობდა ქართველებს რომს წასასვლელად სწავლისათვის. მაგალითად
მოვიყვანთ კონსტანტინეპოლის არქიეპისკოპოსის წიგნს რომს ქართ-
ველთა გაგზავნის შესახებ:

„ფრიად პატივცემულო მამაო, ქრწიდან მაგ კრებამ მოილო მოწა-
ფედ ახალგაზრდა ქართველი პეტრე ხუციანტი, ამიტომ ეს ამბავი ვაუწყე
მის მშობელს, იმანაც მაშინვე მოუმზადა ხარჯი, ტანსაცმელი და რაც
კი საჭირო იყო მგზავრობისათვის. ხვალ, ამ თვის უკანასკნელ რიცხვს,
აპირობს სმირნას წასვლას, საიდაც იშოვის გემს ევროპაში წასასვლე-
ლად, რადგან აქ არ იშოვება. ეს ყმაწვილი, როგორათაც წარავს თქვენ
ნი უმდაბლესობა, ჯანმრთელია და ეგრეთვე კაი ზნეობისა. ამიტომ იმე-
დი მაქვს, მისიონის სასარგებლოდ კარგად დაწინაურდეს. ამ შემთხვე-
ვისაგან ვსარგებლობ და გულ-წრფელად აღვიარებ თქვენსამონად ჩემს

თავს და ღრმად თავს დავეკრავ. კონსტანტინეპოლი, 30 დეკემბერს, 1799. ანტონ ფრაკია, არქიეპისკოპოსი და პატრიარქის მონაცვლე“. (1).

ზემოთ ვნახეთ, რომ იმერეთსაც მიიწვიეს კვალად კაფუცინები და დაუბრუნეს ადგილები იმ დროს, როდესაც კათოლიკოსად იყო გაკათოლიკებული ბესარიონ. კაფუცინებმა ფეხი მოიკიდეს იქ, მაგრამ გამუდმებულის ომების გამო, მისიონის საქმე ისე კარგად ვეღარ წავიდა, როგორც ქართლში. სოლომონ მეფემ, მოქალაქობრივ საქმეთა გამო, თუმცა დასაჯა გაკათოლიკებული როსტომ ერისთავი და ბესარიონის მაგიერ დასვა კათოლიკოსად თავისი ძმა იოსები, როდესაც ხელახლავ დაიპყრო თავისი სამეფო, გარნა კათოლიკობას არა რაი ავნო. თუმცა თვით ბევრს არაფერს ეწეოდა მისიონერებს, როგორც სხვა ქართველი მეფეები, მაგრამ თავისუფლებას კი აძლევდა კათოლიკობის გასავრცელებლად. ხოლო მისი ძმა, ახალი კათალიკოსი, კაის თვალით არ უყურებდა კათოლიკობას, მაგრამ კი არცა დევნიდა. როგორც სჩანს კაფუცინებს, ონის გარდა, სხვაგანაც დაუარსებიათ მისიონი, ქუთაისი რომ არ ვახსენოთ. იმერეთის კათოლიკეთა შესახებ ეს შემდეგი წერილი გვაქვს, რომელიც რომს 1779 წ. პატრი ანდრიას მიუწერია:

„ერთ პატარა სოფელში იმერეთს, რომლის მეფე სოლომანმა ეხლა პაპს გაუგზავნა წიგნი, სამხრეთ კავკასიის მთების ძირში, გონიას *) ერთი სუსტი მისიონია. ამ ჟამად იქ მკვიდრი კეთოლიკენი არ არიან; ხოლო კათოლიკე ვაჭარი სომხები მიდი-მოდიან, მის ახლოს არიან განყრილნი ბერძნის ტიბიკონის რავდენიმე ბატონები, რომელთა შორის რავდენიმე კათოლიკეც მოიპოება. იმათ სულიერ შემწეობას აძლევენ ახალციხეში მყოფი მისიონერი კაფუცინები, რომელნიც წამლობის მიზეზით მიდი-მოდიან, როგორათაც მოითხოვს გარემოება. ეს კათოლიკენი ახალციხიდგან სამდღენახევრის სავალზე არიან. იმერეთის მთავარ ქალაქს ქუთაისს, რომლის გარეშე (ახლო-მახლო) ხშირად იმყოფება ხსენებული სოლომონ მეფე, არის ერთი კათოლიკე ეკკლესია თუთხმეტი მოსახლე კათოლიკეთი; ეგრეთვე არიან წამსვლელ-მომსვლელი ვაჭრებიც. ამათ სულიერ საჭიროებას უსრულებენ ხან ერთი კათოლიკე მღვდელი, ხან ახალციხეში მყოფი კაფუცინები, რომლებიც დღე-ნახევარის გზით შორს არიან. აქ კაფუცინები თუ სამუდმოდ ვერ დამყარდენ, მისი მიზეზია ცვალებადობა იმერთა, რომელთაც განყრილ ბერძენთა ტიბიკონი აქვსთ და, რომლებიც ხან ეხვეწებიან, რომ მათთან მივიდნენ, და ხან კი ისტუმრებენ, მაგრამ პატივითა, ორჯელ ვიყავი იქ და ყველაფერი ვსცანით. ჩემის აზრით, კარგი იქნება კაფუცინები ხანდახან

*) ბათომის ოლქში.

წავიდოდენ ხსენებულ მეფესთან საწამლებლად, რადგან მისი მომადლიერება დიდათ გამოადგებათ. სოლომონმა ვგონებ, ახლა გონიაში დააყენოს ორი პატრი, გარნა ჩვეულების დაგვარ, ბევრ ხანს არ გასტანოს მისმა სიკეთემ; მაინც არა უშავს რა, ისევ დაბრუნდებიან ახალციხეს; ხოლო შემდგომ, როდესაც დასჭირდებათ ექიმები, კვალად მოუწოდებენ, როგორათაც აქამდე მუდამ შვრებოდენ". (1).

იგივე პატრი ცოტა ხანს უკან კვალად, აუწყებს რომს, რომ კაფუცინები იმერეთში დამყარდენ და იმედია დიდი ნაყოფი გამოიღონო. თანაც შემწეობასა და ახალი მისიონერების გამოგზავნას სთხოვს.

აწ მოვიყვანთ სოლომონ მეფის წერილს, პაპი პიო VI-სადმი მიწერილს. თუმცა შიგ ბევრი არაფერია, მაგრამ ინტერესი მაინც არ აკლია, რადგან შიგ საკმაოდ იხატება ის რიდი და პატივი, როგორსაც საქართველოს სხვა მეფენი უცხადებდენ რომის პაპს.

„მათს უწმიდესობას პაპს პიო მეექვსეს

„უწმიდესსა და უნეტარესსა. წმიდათა. მოციქულთა. ყოვლისა. ქრისტიანობისა. განმანათლებელთა. პეტრესა და პავლესა. დიდსა. საყდართა. და პატიოსანსა ეკკლესიასა. ზედ მჯდომარესა დიდისა. ქალაქისა. რომისა. მპყრობელ. განმგესა. ყოვლისა. დიდებითა: ყდსავსეს. უფალს ბატონს. ჩვენ. მაგათი ჟამ მარად. სამსახურისა. და. კარგად ბძანების. წადიერი. სრულიად. იმერეთის: მეფე. სოლომონ. წმინდას. მარჯვენას, კელს, მთხოვენას. მოვახსენებთ. ვიკითხამთ. მაგათის: უწმიდესობის. მშვიდობის. ამბავს: ვითხოვთ. უფლისა: ჩვენისა იესოს. ქრისტესაგან. გვეუწყოს: ამას მოვახსენებთ მათს უწმინდესობას: ჩვენდა: ჩვენი. ქვეყანა: ყოველთვის. ბრძოლით. უსჯულოთაგან: დიაღ შეიწროებულია. რათა. მოხედოთ. სხვას. ამას: მოგახსენებთ: ვედრებას ვყოფთ. წინაშე. მათსა: ორი. აქიმი. ასრეთი გყიწყალობოთ. ყოვლის სნეულობის. თიაქარის: ჩამოსულის. თუ ჩამოუსვლელის. კარგად იცოდეს: თქვენეულად. თქვენ რომ: გეკადრებათ. ერთი. სათიც. კარგი. გვიბოძოთ: ბატონო: აღიწერა: თვესა აგვისტოს: კე: ქ~კს: უ. ჲ. ხ.". (1779). (1).

ამ წერილს რომის არხივებში ვეძებდით, მაგრამ პარიზის ბიბლიოტეკაში შევხვდით იტალიანურ თარგმანითურთ. ვერ გამოვიკვლიეთ ის, თუ რა შემთხვევისა და მიზეზების გამო წაუღიათ ეს წერილი რომიდან პარიზს. აგერ ესეც ერთი ცხადი საბუთი იმისა, რაც წინეთ გამოსთქვით, ესე იგი დალუპისაგან საქართველოს შესახებ საბუთები რაც გადარჩენილა, ყველა თავის ადგილზე არ არიან; არამედ აქეთ-იქით გაფანტულა. რაისგამო დიდი დრო და განწირული შრომა უნდა, რომ კაცმა შემოჰკრიფოს ყველა, რაც კი დღეს სხვა-და-სხვა ადგილს არსებობს მეთქი.

პაპმა საჩქაროდ უპასუხა მეფეს შემდეგის წერილით:

„ბრწყინვალეს და უძლიერესს სოლომონ იმერეთის მეფეს.

„პაპი პიო მეექვსე.

„ბრწყინვალე და უძლიერესო მეფევ, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი, დიდად განვიხარეთ თქვენის წერილით, ბრწყინვალე და უძლიერესო მეფევ, რადგან ამ წერილით გვიცხადებთ ჩვენს შესახებ რა აზრისაც ხართ და თანაც გვაუწყებთ თქვენის მდგომარეობის ამბავს: ეგრეთვე ზრუნვით და მეგობრულად გვთხოვთ შეგატყობინოთ ჩვენი ამბავი. ხოლო ჩვენთვის დიდ სამწუხროდ შეიქმნა ისა, რომ თქვენ და თქვენი სამთავრო ურწმუნოებისაგან დიდად შეწუხებულია; ესეთი მდგომარეობა ცხადია მოითხოვს თქვენგან დიდ ზრუნვას და გამუდმებულ სიფხიზლეს. ვევედრებით ღმერთს, რათა მოგანიჭოსთ ჭეშმარიტი და მკვიდრი მშვიდობა, რომლის მოპოება მხოლოდ შეიძლება მისივე ზეციერის მფარველობითა და მადლით. ხოლო იმის შესახებ, რომ ჩვენის ამბის შეტყობას ნატრობთ, ღვთის შეწევნით ჯანის სიმრთელით კარგად ვართ, გარნა გონებით მუდამ ვწუხვართ და მუდამ ზრუნვაში ვართ მართვისათვის ამ მსოფლიო ეკკლესიისა, რომლის მთავრად ღმერთმა დაგვადგინა. უფროსი ერთად ეს გვნებავს გამოგიცხადოთ და დაგარწმუნოთ, რომ მეტად მოხარული ვართ, რომ სიკეთე გნებავსთ ჩვენის საყდრისა და ჩვენთვის, ეწევით და იფარავთ ყველა კათოლიკებს და მეტადრე მისიონერებს. რასაც თქვენ თვით ჰყოფთ გევედრებით, რათა, ჩვენის გულისათვის, უფრო გულმოდგინედ განავრცოთ შემდეგშიაც მისი ქმნა; რის გამო ჩვენც უმეტესად ვნატრობთ ღმერთმა აღგავსოთ ყოველ ნაირის ბედნიერებით. ამ ჩვენი გრძნობის თქვენდამი გამოცხადებისათვის, დიდის სიამოვნებით ვისმენთ თქვენს სათხოვარს ერთის ექიმის გამოგზავნის შესახებ. თქვენის წადილის ქმა საყოფლად, რამდენადაც შეგვიძლია, ვეცდებით. ეხლა ვბრძანეთ, წარმოგივლინოთ საჩუქრად საათი. გვნებავს ეს საათი შეინახოთ იმის სახსოვრად, რომ თქვენთვის ვზრუნავთ. კვალად ვევედრებით ყოვლის მპყრობელს ღმერთს, დიდხანს გაცოცხლოსთ უვნებელის სიცოცხლით, და უდიდესად წარუმართოს ყველა თქვენს საქმესა და არ მოაკლოსთ თვისი მადლი. რომით. 27 იანვარს 1781 წ. მღვდელ მთავრობის მეექვსე წელს“ (1).

შევნიშნოთ, რომ პაპი პიო VI გარდაიცვალა 1799 წ. მაშ ეს წერილი დაწერილია იმ დროს, როდესაც პაპის სიკვდილის გამო წერილის ბოლოს აღნიშნულ დრომდე დაუგვიანებიათ მისი გაგზავნა. ან არა და უნდა ვსთქვათ, რომ, რადგან სოლომონმა პიო მეექვსეს გაუგზავნა, ამიტომ პასუხზე სახელი იმ პაპისვე დააწერეს და არა პიო მეშვიდესი, რომელიც იმ დროს იყო არჩეული.

პაპის დაპირების თანახმად პროპაგანდა შეუდგა ექიმების ძებნას, მაგრამ, როგორც თეიმურაზ პირველის დროს, ისე ახლაც გაძნელდა მათი შოვნა. რა კი ფულის საქმე იყო, წასვლას ადვილად თავზე არავინ ღებულობდა, რადგან არ იცოდენ, თუ რა ჯამაგირს მიიღებდენ მეფისგან. ბევრი ძებნის შემდგომ აღმოჩნდა ერთი ფრანგი და იქ წასვლის სურვილი გამოაცხადა. იგი იყო ავინიონის უნივერსიტეტის პირველი ექიმი პენიერ დელონგშან. იმისა და პროპაგანდის შორის მიწერ-მოწერა გაიმართა. პროპაგანდა მზად იყო ყველაფრით დახმარებოდა და მალე გაესტუმრებინა. სხვა ცნობები არა გვაქვს, ამიტომ არ ვიცით, თუ ეს ექიმი როდის მოვიდა იმერეთს. ხოლო მეფის წიგნი და მის საჩუქრად საათი საქართველოში მიიტანა ქართველმა კაპუცინმა გორელმა ანტონამ, რომელიც ტფილისიდგან კაპუცინებმა რომს გაგზავნეს 1779 წ. რაღაცა საჭირო საქმის გამო.

კაპუცინების წერილებში მოხსენებულია, რომ ტფილელ ანტონას 1781 წ. რომის მონასტერში კაპუცინების სამოსელი შეუმოსია. არა სჩანს-კი, თუ როდის დაბრუნებულა საქართველოში. ეს მეოთხე ქართველია, რომელიც კაპუცინთ ორდენში შესულა. შეიძლება კიდევ სხვანიც ბევრნი იყვნენ მათ მონასტერში შესულნი, მაგრამ არავითარი ცნობა გვაქვს მათი.

სომხების მტრობამ და დევნულებამ მაინც ერთიანად ხელი ვერ შეუშალა კაპუცინებს, რომლებსაც არა მარტო ჰყავდათ მორწმუნე კათოლიკები ყველა წოდების წრეში, არამედ ჰყავდათ ეგრეთვე ყმებიცა. ამის შესახებ წარმოვადგენთ თვით ერეკლე მეფის სიგელს, რომლითაც ათავისუფლებს ხარჯისაგან მათ ყმებს:

„ქ: ჩვენ საქართველოს მპყრობელ-მქონებელმან იესიან დავითიან სოლომონიან პანგრატოვანმან. მეფემან და თვით კელმწიფემან მეორემან ირაკლიმ. ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ პატრი უმფროსს ანდრიასა და ერთობილ პატრებსა, ასე, რომ ვინცავინ თქვენი ყმანი ან აქ ქალაქში და ან გორში იმყოფებიან. ამ თქვენს ყმებს არა ხარჯი და არა გამოსაღები არა სათხოვარი და ბეგარა არა ეთხოვებოდეს რა, და არცა რა გამოერთვასთ, სალეკოსა და მორიგის მეტი. რაც შეძლება ჰქონდესთ თავიანთის შეძლებით სალეკო გამოიღონ და მორიგეთ გამოვიდნენ. ამას გარდა არაფერი არა ეთხოვებოდესთ რა, ვერცარავინ რამ გამოართვასთ და ვერც არავინ შეაწუხოს. და რომელნიც აქ ქალაქში ან გორში მებაჟეები იმყოფებოდეთ თქვენთვისაც ასე გვიბძანებია, რაც ბაჟი ეჩმიაწინის ყმებსა და თუ სხვა ეკლესიების ყმებს ერთმეოდესთ, ამათს ყმებსაც ის ბაჟი უნდა გამოართვათ. თუ მეტი გამოართვით რაიმე ჩვენგან დიაღ საწყენო იქნება და კიდევაც გარდაგახ-

დევინებთ. ქალაქისა და გორის მოურავნო და მელიქნო და ან ვინცა ვინ ჩვენი მოხელენი და ჩვენგან გამოგზავნილნი იასაულნი იქნებოდეთ. თქვენცა ასე იცოდეთ. ამ პატრების ყმებს არაფერი არა ეთხოვებათ რა და ვერცა რას გამოართმევთ და ვერცა რას შეაწუხებთ. თუ ან ჩვენმა მოხელემა და ან ჩვენმა იასაულმა ამათი ყმები შეაწუხეთ და ან გამოართვით რამე და ან შესცოდევით ვინმე, ჩვენი დიდი საწყენო იქნებს და არც მოგიტევებთ ასე იცოდეთ. აღიწერა წელს: ჩ. ღ. პ. ა. თვესა ნოემბერსა აკ: ქკს. უჲთ: |ბეჭედი ერეკლესი|". ხოლო გვერდზე აწერია ესეცა „ქ. ჩვენ საქართველოისა. და. კახეთის დედოფალთ. დედოფალი ბატონის დადიანის ასული. პატრონი. დარეჯან. ამ ბატონისაგან ბოძებულს წყალობის წიგნს. ვამტკიცებთ. ნოემბერს კე: ქკს უჲთ". (1).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პატრების ყმები ბოლომდე უნდა ყოფილიყვნენ, რადგან მეფეს ისინი სხვა ეკლესიების ყმებთან გაუთანასწორებია. ეგრეთვე არც ეჭვი გვაქვს იმისი, რომ იმათგანი ყველა თუ არა, მომეტებული ნაწილი მაინც კათოლიკე უნდა ყოფილიყო. რადგან ხშირად, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, ყმები ბატონებს სარწმუნოებითაც უერთდებოდენ.

ზემოთ ვნახეთ, რომ კაფუცინი პატრი დომინიკე ერეკლემ არ გაუშვა მის სამშობლოში. ახლა თვითონ ჰგზავნის ევროპაში თავის საჭირო საქმებისათვის. ამის შესახებ გვაქვს პატრი მავრის წერილი, რომელიც კარდინალს მისწერა 14 მარტს 1781 წ. და რომელიც საკმაო ცნობებს გვაძლევს. რადგან უმნიშვნელო და უინტერესო არ იქმნება, მთლად ტექსტითვე მოგვყავს.

„თქვენო უაღმატებულესებავ, აქაურის დამოუკიდებულის პატრონის ერეკლე მეფის პატიოსანმა ბრძანებამ მომცა შემთხვევა წერილით მივმართო თქვენს უმაღლესობას.

„მათი იმპერატორებრივ ხელმწიფებასთან მეფეს ჰქონდა საჭირო საქმეები. ნაუფროსალი პატრი დომინიკე ტრიესტელი რა ბრუნდებოდა თავის პროვინციაში, საჭიროდ სცნო და იმას მიანდო მათ გარიგება, რადგან მისი ძრიელ ერთგული მეგობარია, გარდა ამისა ბრძენი, მეტად მარჯვე და მტკიცე ასეთ ძნელ და საჭირო საქმების გარიგებაში. ამიტომ მას უბრძანა, რათა პირველად მოვიდეს რომს და მოგართვას ეს ჩემი წერილი, რადგან მეც მიბრძანა თქვენთვის მეთხოვა, რათა ეს პატრი, მიუხედავად მისი პირადის ღირსებისა, რომელიც აქ დიდი ხნის მისიონერობით შეიძინა, მიიღოთ ვითარცა მისგან წარმოვლენილი პირი თქვენდამი თავისი ერთგულობისა და პატივის გამოსაცხადებლად და ამავე ნაირად წარადგინოთ იგი მათის იმპერატორობის წინაშე, რათა შეიძლოს მის სხვა და სხვა საჭირო საქმეთათვის მოლაპარაკება

„ამ მხრით მეფე კვალად ევედრება თქვენს უმაღლესობას, რომ გა-
ატანოთ ამ პატრს იმპერატორისადმი თავის გასაცნობელი წერილი, რო-
მელმაც იმპერატორს გული აღუძრას მაგაზე და ჩააგონოს ის პატივი
და ნდობა, რაც კი მოითხოვების იმისთანა ღირსების პირთან საჭირო საქ-
მეთა გასარიგებლად.

ეს მთავარი მადლობის და სიკეთის გამოსაცხადებლად პირობას
იძლევა, მტკიცედ და მართალის გულით მუდამ დაიფაროს აქ კათოლი-
კობა უკეთესად და მიაგოს ყოველგვარი სამსახური, რამდენადაც-კი შე-
იძლება. აგრეთვე მეფე ამბობს და კიდევაც ფიცსა სდებს, თქვენს უმაღ-
ლესობას არის დროს დანანდეს ყოველი სამსახური, რასაც იმას გაუ-
წევთ იმპერატორის წინაშე; მალეც ნახავთ, რომ საქმითაც გადაგიხა-
დოსთ თქვენის სამსახურისათვის.

„რაც დავსწერე ყოველივე თავისი პირით მითხრა თვით ერეკლე
მეფემ. მაშ მისი ნათქვამია. ამიტომ ვევედრები თქვენს უმაღლესობას,
მიიღოთ წერილი, როგორც ჩემი დაწერილი, მაგრამ აზრი კი მეფისაა,
რომლისაგან დიდათ ვართ დავალებული“. (1)

პატრი დომინიკე მისულა კონსტანტინეპოლს 20 ივნისს 1781 წ.
და იქვე გარდაცვლილა 3 ივლისსა. თან ჰქონია ერთი წერილი ერეკ-
ლესი ავსტრიის იმპერატორთან. არა სჩანს, თუ რა იყო იმ წერილის
შინაარსი. ხოლო მიცვალებულის პატრის კონსტანტინეპოლში ნალაპა-
რაკევისაგან სჩანს, რომ ეკკლესიის დაბრუნებაც უნდა ყოფილიყო სალა-
პარაკო. პატრს იქ უთქვამს კაპუცინი ძმა ფორთუნატოსათვის, რომ
ერეკლეს უნდა მოეთხოვოს ერთი წერილი რომელისამე ხელმწიფისა ტფი-
ლისის ეკკლესიის დასაბრუნებლად, რათა მოწინააღმდეგენი ჩააჩუმოს
და აიცილოს თავიდან არეულობა, რომელიც შეიძლება მოხდეს თვი-
ნიერ ისეთის წიგნისა. ეგრეთვე ულაპარაკია, თუ 19 წლის განმავლო-
ბაში როგორ დიდად დამეგობრებია ერეკლე მეფეს, რომელთანაც ძმა-
სავით ყოფილა იმ ზომამდე, რომ ერეკლე ერთ დღეს არ დადგებოდა
მის უნახავად და მასთან ულაპარაკოდ. ხსენებული ძმა ფორთუნათო,
მისი სიკვდილის შემდგომ, უგზავნის კარდინალს აქ მოყვანილ წერილს
და იმპერატორის წიგნს და სთხოვს, წიგნი იმპერატორს მიაწვდინოს.
ერეკლეს გაგზავნილი წიგნი ვერ ვიპოვეთ.

ხსენებულივე ძმა ფორთუნათო 10 იანვარს 1782 წ. ჰსწერს რომ-
ში საქართველოდან მიღებულ ამბავს, რომ ეჩმიაწინის სომხის პატრი-
არქს ერეკლესათვის წინადადება მიუცია, საქართველოდან კაპუცინები
განდევნე და სამაგიეროდ ჩემი ხარჯით მოვიყვან ევროპიდან კარგს ექიმ-
სო. ამ პატრიარქს კიდე მიუწერია წერილი კონსტანტინეპოლში ექიმის
გამოსაგზავნად. რა შეუტყვია იმ კაპუცინს, შემდგომში ექიმ კაპუცი-

ნების შოვნას და გაგზავნას, რაის გამო პროპაგანდა 6 ივლისს 1782 წ. მადლობას უხდის.“

სომხები მაინც არ სცხრებოდენ და აწუხებდენ კათოლიკებს. უფროსი პატრი ანდრია 25 აგვისტოს 1782 წ. გორიდან ჰსწერს რომში, რომ იანვარში სომხებს გორის კათოლიკებისათვის დაუწყიათ დევნულება, ჩხუბი და სისხლის ღვრაც მომხდარა. კაპუცინების ეკკლესიისათვისაც ქვები დაუშენიათ, რაის გამო კათოლიკეთა მოწინავე პირები აქეთ-იქით გაქცეულან, ზოგნიც ჩასულან ტფილისში და უჩივლიათ მეფესთან, რომელსაც შემდგომად გამოუცია ბძანება კათოლიკების სასარგებლოდ.

რა საკვირველია, ერეკლეს დიდად ეწყინა თავისი ერთგული მეგობრის პატრი დომინიკეს გარდაცვალება, რაის გამო მისი მინდობილი საქმეც გაუკეთებელი დარჩა. ამიტომ გარდასწყვიტა, პატრი მავროს გაგზავნა ევროპაში, რათა დაახლოვებოდა ევროპის მთავრებსა. ამ გარემოებას უფროსი პატრი ანდრია 14 ნოემბერს 1782 წ. ესე უწერს კარდინალს: „მეფე ერეკლე გამგზავრებულია ჩემს გორში ყოფნაზე, გამოგზავნა 30 კაცი, ჩამომიყვანა ტფილისში და დამავალა, ორი დღის განმავლობაში ვენას გამესტუმრებია პატრი მავრო ვერონელი მისკოვის გზით, ეგრეთვე მომანდო, რომ მეთარგმნა წერილები, რომლებსაც უგზავნის ჩვენს წმიდა მამას, საფრანგეთის მეფეს, სარდინიის მეფეს, ნეაპოლის მეფეს და ვენეციის რესპუბლიკას. პატრი მავროს აბარებს, რომ, თუ იმპერატორთან გამირიგე საქმე, მაშინ შეგიძლია თვითვე მიხვიდე სხვებთან და პირადად გადასცე ეს წერილები, ან შეგიძლია გაუგზავნო. როგორადაც გაუწყეთ აგვისტოში მათთან თხოულობს დაკავშირებას და შემწეობას ურწმუნოთა წინააღმდეგ და ჰპირდება ჩვენი ეკკლესიები დააბრუნოს. დიდის სიფრთხილით ვსთხოვე დღეს ეკკლესიები მოგვცეს და კიდეც მომცა წერილი, რომელიც თავის ხელითვე დასწერა, რადგან ამისთანა დიდად სადავიდარაბო საქმეში არ მიენდო თავის მდივანს; ეგრეთვე პირობას იძლევა, აღმოგვიჩინოს მფარველობა წინააღმდეგ მწვალებელ სომეხთა მძაფრ დევნულებისა.

„ხსენებულ პატრი მავროს მეც გავატანე წერილი იმპერატორთან, რათა მიართვას იგი. ეგრეთვე პროპაგანდასაც ვთხოვე მისთვის დახმარება. თუმცა ვალდებული ვიყავი თქვენთვის მეახლებინა თითო პირი ნათარგმნი იმ წერილებისა, რომლებსაც მეფე ჰგზავნის, და მეტადრე ერთი პირი თავისი მოცემული წერილისა ეკკლესიის დაბრუნების შესახებ, მაგრამ ვერ შევიძელი, რადგან დრო არა მქონდა. გარნა თქვენს საუწყებლად მოკლედ მოგახსენებ, რასაც სწერს და სთხოვს.

„მეფე ერეკლე მოხარკეა სპარსეთისა, რომელიც დღეს დაყოფილია უძლურ სამთავროებად; ამის გამო დამოუკიდებულია, მაგრამ დასუსტე-

ბულია სკვითთგან განუწყვეტელის რბევით; უნდა ვთქვათ, რომ დაეწყო ომი ოსმალეთთან, ამიტომ თხოულობს ორ ჯარის გუნდს იმპერატორისაგან და ორ ჯარის გუნდს საფრანგეთისაგან, ხოლო თითო გუნდს სარდინიისა, ნეაპოლისა და ვენეციისაგან, თუ არა და ჯარის მაგიერად ფულის გამოგზავნას, რაც უფრო უჯობსო. შუამდგომლობას სთხოვს პაპსა მთავართა წინაშე; თვითონაც მზათ არის შეუსრულოს იმ მთავრების ყოველი პირობა თუ სპარსეთის დასაპყრობლად და თუ ოსმალეთის წინააღმდეგ დასახმარებლად მთელის თავისის ძალითა. დახმარებას იმიტომ თხოულობს, რათა დააუძლუროს სკვითები, რომლებიც ძლიერ თავს გავიდენ.

„ხოლო ეკკლესიის მოცემის წერილში გვპირდება, მომიხერხეთ ევროპის მთავრობათ დავუახლოვდე და დაგიბრუნებთ ეკკლესიებს, ჩამორთმეულ სახლებს, პატრებს და კათოლიკებს მფარველობას აღმოუჩენო. გვპირდება ეგრეთვე ტფილისში მუდამ თავისი ხარჯით შეინახოს ექვსი პატრი და ამბობს ესე: თუ ეს პირობა სავსებით არ აღგისრულეთ, მაშინ მე მტყუანი და ქრისტიანე მეფეთა შებრალების უღირსი ვიქმნებით. მე დარწმუნებული ვარ, რომ, თუ ყველას არ აასრულებს, ეკკლესიებს მაინც მოგვცემს, ოღონდ კი თავისი წერილებით მოიპოვოს რამ შემწეობა თუნდაც მცირედი.

„აწ იესო ქრისტეს სიყვარულისათვის ვევედრები თქვენ უწმიდესობას ჩვენს პაპს; შოიქმედოს წინაშე ხსენებულის მთავრებისა, რასაც კი ჩააგონებს თავისი ყოვლად კეთილი გული.

„შემდგომ, ერეკლე მეფის წერილის პასუხად პაპს შეუძლია სთხოვოს 18 ეკკლესიის დაბრუნება. ეკკლესიების დაბრუნებას თუობით იმიტომ შეგვპირდა რომ, როგორც თვითონ კერძოდ გამოგვიცხადა, მერე თავის სამღვდელოების წინაშე თავი იმართლოს.

„მეორედ მოსთხოვოს მოსპობა ბრძანებისა, რომელიც მეფემ 1775 წელს გამოსცა პატრებისა და კათოლიკების წინააღმდეგ მწვალებლის სომხების სასარგებლოდ, რადგან თავის დაპირების წერილში ეს არ არის მოხსენებული. გარნა მისი მოსპობა დიდად საჭიროა, ვინაიდგან, გარდა ბევრი შეცდომილებისა, რომელსაც შეიცავს სარწმუნოების წინააღმდეგ და გარდა მძიმე სასჯელისა, რომელსაც თვითეული მიიღებს, ვინც კათოლიკე გახდება, კვალად ავალებს სასჯელად გადაიხადოს 350 რომაული სკუდი და განიდევნოს მისიონერი, რომელიც კათოლიკე სარწმუნოებას შეუერთებს რომელსამე სომეხ მწვალებელს.

„აი ეს არის ჩემი აზრი, რომელსაც დავუმქვემდებარებ თქვენს უმაღლესს და წმიდა მამის მსჯელობას, და მის წინაშე მდაბლად პირქვე დავრდომილი, ვითხოვ მის წმიდა კურთხევას“. (1)

ერეკლეს მიერ ევროპის მთავრებთან მიწერილები, გარდა ორისა, ხელთ არა გვაქვს. ეს ორი წერილი ვენეციის რესპუბლიკისათვის გაუგზავნია. აი ისინიც:

„განათლებულთა მაგათ დიდსა ვენეციის ქალაქსა შორის შემძლებელთა შეკრებულთა.

„მრავლის ჟამიდგან დაგვჭირდა, რათამცა ევროპიის თვით-მპყრობელთა ყ̃დ მაღალთა კეისართა, და ყ̃დ დიდებულთა ხელმწიფეთა, და მეფეთა, და უგანათლებულესთა მაღალთა შეკრებულებათა ვაწყინოთ თავი და დამჭირნეცა ჩვენი მოვახსენოთ, და რათამცა ჰყონ წყალობა. მაგრამ აქამომდე მძლავრთა მტერთაგან ისმაიტელთა, და სხვათაცა წინააღმდგომთაგან ვერ მივიღეთ ჟამი.

„და არა დროსა შინა ვეწიენით მოწყალესათა ღვთისათა და მივიღეთ ესდენი ბედნიერება, და, აწ დროსა ამას გაწყინეთ და განათლებული გონება თქვენი ნუ უმე შევაწუხეთ, და გთხოვთ თქვენის განათლებულებისაგან რათა ახლა ღვთის წყალობა აღიაროთ. და რომელიც ამ პატრი მავროსაგან დაბარებული აქვნდეს წერილით თუ ზეპირათ უნაკლულოთ მოიხსენოთ ჩვენად და რა გვარიც ჩვენის სათხოვარის აღსრულება მოგახსენოთ, ის აღგვისრულოთ.

„ჩუჱნ თქუჱნს განათლებულებასთან სიშორით არაფერი სამსახური არ მიგვიძღვის რა, მაგრამ ქრისტიანობისათვის და ერთა შეწუხებულთათვის იღვაწეთ და ივახსეთ, ღვთისა თხოვილ ჩუჱნი აღგისრულეთ, და ესდენ უმრავლესთა შეწუხებულთა ქრისტიანეთა გული თქუჱნფვის მოიგევით განათლებულებისა მრავალნი თქუჱნნიც საქმენი წარგიმართოსთ ღმერთმან ყოვლისა შინა, რადგანაც აზიის ერთის კერძოდამ ევროპაში ვსახეთ შეწევნად, თქუჱნც რომ წყალობა შეგიძლიანთ ჩუჱნდა ჩვენს ერზედ თქვენიცა საკადრისი გვგონია, რომ ჩუჱნი თქვენიან მოხსენებული თხოვილი აღგვისრულოთ. აღვასრულებთ თქუჱნს განათლებულების იმდენ თავის წყენას.

„ვითხოვთ, რომ ეს მოხსენება თქუჱნს განათლებულს გონებას არ შესწყინდეს.

„განათლებისა თქვენისა უერთგულესი მეფე ქართლ-კახეთისა და სხვათა. ერეკლე. ქ. თფილისს, ოქტომბრის 18 დღესა 1782 წ.“.

მისი მეორე წერილი იმავე მთავრობასთან:

„მათ განათლებულთა დიდსა ვენეციის შეკრებულთა.

„ქ. თუმცა ამ მოხსენებისათვის დიდად ვრცხობთ და ვეკრძალვით, მაგრამ რომელიც ჩვენის ქვეყნის მწუხარება და შეჭირვება სხვას არზით მოგვიხსენებია, ის მაკადნიერებს: ჩვენის სათხოვრის ჰაზრი ეს არის, რომ ერთის პოლკის ჯარის ჯამაგირი გვებოძოს, რომ კაცი ჩვენ ვიშოვოთ,

და იმ ჯამაგირით ის ჯარი გავაწყოთ ევროპის რიგზე, რომ მტერი ამ ჯარის რიგის საბოლოოთ რომ სცნობს, ვერას დროს ჩვენს მტრობას ველარ გაბედავს.

„მეფე ქართლ-კახეთისა და სხვათა ერეკლე. ოქტომბრის 18 წ. 1782“. (1)

ეს პატრი მავრო ტფილისიდან წასულა ამავე წლის 14 ნოემბერს. ერეკლეს მისთვის პასპორტი 28 ოქტომბერს მიუცია, ეს პასპორტი დაწერილი ყოფილა ქართულად, თათრულად და ლათინურად. სამწუხაროდ, როგორც წინეთ გაგზავნილი პატრი დომინიკე, ისე ეს პატრი მავროც გარდაცვლილა გზაში მაისის თვეს პოლონეთის ქალაქს ბერდიჩოვიაში (Berdiczovia). ამ ქალაქიდგან ორ პოლონელ კაფუცინს წაუღიათ ყველა მისი ქაღალდები ვენას პაპის ნუნციოსთან და უთქვამსთ მისთვის, რომ მიცვალებულ პატრი მავროს საქართველოს მეფისაგან ბევრი რამ ჰქონია პირად დაბარებულიო. ეს ნუნციო 19 იანვარს 1783 წ. რომში უგზავნის წერილს, რომელიც კარდინალის შესახები ყოფილა და რომელიც მოვიყვანეთ ზემოთ; ხოლო დანარჩენი წერილები მარტო ქართულად ყოფილა. ყველა გადაუცია ვენის მთავრობისათვის. მაგრამ იქ ქართული არავის სცოდნია და ამიტომ ვერ უთარგმნიათ წერილები. შემდგომ აღარაფერი სჩანს, თუ რა უყვეს წერილები და რა შედეგი მოჰყვა მათ.

ეს ამბავი, ცხადია, ძრიელ საწყენად დაურჩა მეფე ერეკლეს, მეტადრე იმისგამო, რომ პატრი მავროს გამოგზავნას უფრო სჩქარობდა ერეკლე და დიდის აღსწრაფებით მოელოდა რაიმე შემწეობას ევროპიდგან ოსმალეთის წინაალმდეგ.

უფროსმა პატრმა მაინც კი მისწერა რომს, თუ ერეკლე მეფის წერილებმა მანდ მოაღწია, სათანადო განკარგულება მოახდინეთო. ამასთანავე 19 ნოემბერს 1783 წ. რომში აუწყებს ტფილისის ამბავს:

„გავლილ წელს მეფეს მივართვი ერთი არზა, რომელშიც მოვახსენე, რომ, რადგან ჩვენი ნადგომი სახლი ინგრევა, ჩვენს დასადგომად ერთი ადგილი ან სახლი გვიბოძეთ მეთქი. მან საზოგადოებაში მითხრა, აღგისრულებ ყველას, რასაც კი მთხოვო. ხოლო ცალკე საიდუმლოდ მითხრა, რომ მზათა ვარ ეკკლესიები დაგიბრუნოთ, მხოლოდ დიდებულთა და სამღვდელოთა წინაშე თავის გასამართლებლად მინდა, რომ ამის შესახებ ვინმე სახელ განთქმულმა მთავარმა მომწეროს და მთხოვოსო.

„ვიდრე ეს მამა (ერეკლე) ცოცხალია, ეკლესიების დაბრუნება ადვილი საქმეა, მერე კი გაძნელდება, რადგან მის უფროს შვილს ურჩია მისმა მოძღვარმა ეკკლესიები არ დაგვიბრუნოს. მისი შვილის მოძღვარი არქიმანდრიტი წინამძღვარია ჩვენგან ჩამორთმეულ ეკკლესიაში,

საიდანაც თავის სარჩოს შოულობს. მაშ კარგი შემთხვევა არის, რომ ზემო ხსენებულის საშუალებით მოიპოვოთ ეს წყალობა. ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, წმიდა კრების ნებართვით, მეორე გზის წარვუდგენ თხოვნას, სადგომი სახლი მოგვცეს; ამითი რა თქმა უნდა, უარს არ ვყოფთ იმ სიმართლეს, რომელიც გვაქვს ჩვენის ეკკლესიების მიმართ." (1).

რუსეთიდგან საქართველოში მოსულ ჯართან ყოფილა თავადის ერნესტო რეინფელის (Reinfelis) უმცროსი ძმა კარლო ემანუელ ლანგრავო როტენბურგისა. კავკასიის მთებზე ომში მოუკლავთ 1784 წ. ლეკებს. რადგან კათოლიკე ყოფილა, ამიტომ ჯარის გენერალს უთხოვნია ერეკლესთვის, ნება უბოძეთ პატრებს ჩემი მიცვალებული მათგან ჩამორთმეულ ეკკლესიაში დაასაფლავონო. ერეკლეს უარი არ უთქვამს, ნება მიუცია იმ პირობით, რომ დასაფლავების დროს ეკკლესიაში ლოცვები ჩუმათ სთქვან და არ იგალობონო.

ერეკლესვე რჩევით, პატრებს რუსეთში მისულის პოლონეთის ნუნციოსთვის მიუწერიათ და უთხოვიათ, ეცადეთ, მთავრობას ერეკლესთან წერილი მოაწერინეთ ეკკლესიების დაბრუნების შესახებ. იმასაც თხოვნა მიუნდვია თავადის პოტემკინისავის, რომელიც შეჰპირებია. მაგრამ მალე მოსკოვში გადაუყვანიათ და მისგიმო საქმე შეჩერებულა. მაშინ ერეკლეს უთქვამს პატრისათვის, თუ ეკკლესია არ დაგიბრუნდათ, მისი ფასი მოგეცემათო. ამავე ნაირად უთქვამს მრავალ გზის მის შვილს გიორგისაც. უფროსი პატრი რომში წიგნსა სწერს და რჩევას სთხოვს როგორ მოვიქცეო. ეგრეთვე აუწყებს, რომ სრული ფასის გადახდას ვერ შეიძლებენ, რადგან მარტო ტფილისის ეკკლესია ოთხი ათას თუმნად ეღირებაო. ამის გამო პატრი იმ აზრისა არის, რომ ფასი არ მიიღოს, არამედ ეკკლესიის დაბრუნება ითხოვოს.

1784 წ. ნოემბრის 20-ს პროპაგანდა სპარსეთს, ჯულფაში, სწერს საეპისკოპოსოს იქ მყოფ ქართველ კათოლიკეთა ცოლებისათვის, რომლებიც მაჰმადიანები ყოფილან. იმათ ზოგს მოუნდომებიათ მონათვლა და ზოგს არა. ეგრეთვე აველრებს იქ ახლად მოსულ ქართველ კათოლიკებს, ცუდი ყოფაქცევა ამხილეთ და გაუსწორეთო.

1786 წ. 16 დეკემბერს, პროპაგანდა ეგრეთვე სწერს ტფილისში პატრი ანდრიას და დიდ კმაყოფილებას უცხადებს სამეგრელოში ორის მისიონერის გაგზავნის თაობაზე. იქ დადიანს თავისი ხარჯით აუშენებია მათთვის ეკკლესია, ამიტომ დიდი ნაყოფის გამოღების იმედი ყოფილა. ამავე წლის 15 ნოემბერს ისვე პატრი რომში სწერს, რომ ნიკოლოზ დადიანის ძმის მიცვალების შემდგომ სამეგრელოს მისიონის ალარაფერი ამბავი მოდისო. ეგრეთვე აუწყებს, რომ ამავე წლის 23 აპრილს იმერეთის მეფე სოლომონი გარდაიცვალაო. (1).

ერეკლემ აიღო ხელი უსამართლობაზე და კაფუცინებს ძველებური მეგობრობით ეპყრობოდა და მფარველობდა. მაგრამ სომხების სიბოროტეს და მტრობას არაფერი ეშველა და დროს განმავლობამ ვერავითარი ზედმოქმედება იქონია მათზედ, არა სცხრებოდენ და ყოველგვარ საშუალებას ეძებდენ მათ სავნებლად. მრავალ გზის დასახელებული უფროსი პატრი ანდრია თავის ერთ-ერთ წერილში 31 მარტს 1786, რომში სხვათა შორის, სწერს: „აქ ომების დევნულებას ემატება ეგრეთვე სომხების დევნულებაც. ჩემს აქ არ ყოფნაში სომხებმა იყიდეს ჩვენს სახლზე მოკრული ერთი სახლი იმ აზრით, რომ გაალონ სემინარია ყმაწვილების აღსაზრდელად; ნამდვილი მათი აზრი კი ის არის, რომ განუწყეტელი ჩხუბი იყოს კათოლიკე ბავშვებსა და მწვალებელ ბავშვებს შუა ადგილის სიახლოვის გამო. რადგან ისე ახლოა, რომ მათ ჩვენი ლოცვა ესმისთ და ჩვენ მათი გაკვეთილები. ამის გამო მივმართე მეფეს, რომელმაც, რა სცნო სომხების ეშმაკობა და მათი ბოროტი აზრი, ჩვენს სასარგებლოდ გადასწყვიტა საქმე და ახლა იძულებული ვარ შევიყიდო ის ადგილი. მე მათს ხელმწიფებას მოვახსენე, რომ ესე დგომა შეუძლებელი იყო, რომ დამჭირნე ვიყავი სახლი მიმეტოვებინა და იქიდამ გამოვსულიყავი, რათა კათოლიკებსა და სომხებ შუა შფოთის მიზეზი არ ყოფილიყო. დღევანდლამდე კი ისევ იმ სახლში არიან დაუძინებელი ჩვენი მტერი მღვდლები, არ გამოდიან სახლიდან“. (1).

სამი თვის ჩხუბის და დავის შემდგომ, როგორც იყო იმ პატრმა იყიდა ის სახლი 600 რომაულ სკუდათ; ნასყიდობის წერილი დაუმტკიცა თვით ერეკლემ. ხოლო იქიდან გამოდევნილმა სომხის მღვდლებმა მთელის სომხის ერის სახელით თხოვნა მისცეს ეჩმიაწინის პატრიარქს, რათა ამისგამო ეშუამავლა მეფის წინაშე. პატრმა კი ნაყიდი სახლით ეკკლესია გაადიდა და დანარჩენი შეჰმატა მონასტერს.

იმავე დროს პატრი დიდ მადლიერობას სწერს რომში ერეკლეს მეუღლის მიმართ, რადგან მათი დიდი კეთილის მყოფელი ყოფილა. თურმე ბევრნაირად ეწეოდა, მაგალითად, გორში უჩუქებია ერთი ადგილი, სადაც პატრებს აუშენებიათ სახლები გლახაკების თავშესაფარად.

1787 წ. 3 აგვისტოს ხსენებული პატრი ანდრია რომში აუწყებს ქართველის კაფუცინის გორელი ძმა ანტონის გარდაცვალებას. ძრიელ სწუხს იგი, რადგან ძმა ანტონი ძრიელ სათნოიანი ვინმე ყოფილა. ამის ქებას რომს წინეთ სხვა კაფუცინებიც სწერდენ. გარდა ამისა ძმა ანტონი მეტად დახელოვნებული ყოფილა ექიმობაში, რისგამო თითქმის მუდამ ერეკლესთან ყოფილა და მის დიდკაცობას თურმე სულ იგი სწამ-

ლობდა. ამასთანავე პატრი ანდრია სთხოვს, რათა რომში მყოფი თბილელი ანტონა, რომელიც კაფუცინებში მონაზონად შედგა 1781 წ., განასწავლონ კარგად ექიმობაში და გამოგზავნონ საქართველოში მიცვალებულის ძმა ანტონის ადგილს.

ქართველ წარჩინებულ პირთა შორის თითქმის მუდამ იყო რომელიმე კათოლიკე. მათ რიცხვში უნდა შეირაცხოს ეგრეთვე მეფე ერეკლის დაჲც, რომლის შესახებ უფროსი პატრი 20 იანვარს 1789 წ. რომში კარდინალს ესე სწერს:

„გასულის დეკემბრის პირველ დღეებში გარდაიცვალა მეფის ერთად ერთი დაჲ. თავის სიკვდილის წინა დღეს, როდესაც მასთან ვიყავი საექიმოდ და ეგრეთვე მრავლად იყვნენ ქალბატონები და სამეფო ოჯახის პირები, საჯაროდ შემდეგი აღიარა: „მე აღვიირებ წმიდა პეტრესა და ყველა მის მოსაყდრებსა და მათ შორის დღევანდელ მფლობელს წმიდა პაპს მინიჭებული აქვსთ ხელემწიფება ცოდვათა მიტევებისა და შეკვრისა. ესევე შეძლება გეზიაროთ თქვენც პატრი მისიონერებს ამ სიტყვებით: წარვედით და იქადაგეთ. ამისათვის უწინარეს სიკვდილისა მიბოძეთ თქვენ კურთხევა. მე ხელის მიცემა შემერიდა. მაგრამ თუ სნეულის დაძალების გამო და თუ დამსწრეთა ძალა დამატანეს დავთანხმებოდი, ქართველების ჩვეულებისამებრ ჯერ მხურვალედ პირჯვარი გამოისახა, შემდგომ მემთხვია ხელზე და შუბლზე დაიდვა. ჩურჩული გაიმართა იქ დამსწრეთა შორის, მაგრამ შიშის გამო, ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა". (1).

ამ გარემოებას კვალად იხსენიებს პატრი თავის 20 იანვრის 1790 წ. წერილში, მასთან ლასძენს სომხების შესახებ: „სომხების ეპისკოპოსები, სანამ მღვდლად აკურთხებდენ, ავალებენ თავიანთ სამღვდელოებს: ფიცით შეჰპირდენ, რომ ლათინის ეკკლესიის მტრები იქმნებიან, ახალი მღვდლებიც თავიანთ ეკკლესიებში პირს გააღებენ თუ არა, მაშინვე დაიწყებენ ჩვენს წინააღმდეგ ქადაგებას, მაგრამ ღვთის შემწეობით ჩვენი ექიმობა მათ ცოფათი აშინაურებს და გვიმეგობრებს. ეს რომ არ იყოს, მცირე რამეც კმარა, რომ დაგვიწყონ ჩვენ და ჩვენს კათოლიკებს დევნულება". (2).

1792 წ. რომიდან გამოგზავნეს, სხვა სამ კაფუცინებთან ერთად, მეტად შესანიშნავი პატრი ნიკოლა რუთილიანელი. რომელიც კარგად ცნობილია ჩვენს მწერლობაში და რომელსაც 1896 წ. ბ. ზ. ჭიჭინაძემ მიუძღვნა წერილი „პატრი ნიკოლა".

იმ დროებში კაფუცინების მისიონის საქმე კარგად მიდიოდა და ვრცელდებოდა იმ ზომამდე, რომ ოსებშიაც აპირებდნენ ახალის მისიო-

ნის დამყარებას. გარნა ამ გარემოებისას ვერაფერს ვიტყვით, რადგან ტფილისის მისიონის შესახებ მთლად გვაკლია საბუთები იმ წლებისა. ჩვენის აზრით ის დაკარგული საბუთები მეტად შესანიშნავი უნდა ყოფილიყო, რადგან იმ დროებში საქართველომ ბევრი შავი დღე გამოიარა, პატრების მისიონიც ვერ ასცდებოდა საყოველთაო უბედურებას. გაბრაზებულმა შემოსეულმა სპარსელებმა, 1795 წ., მთლად გადაუწვეს ეკკლესია, მონასტერი და სხვა ყოველივე, რაც კი გააჩნდათ, რის გამო თავიანთი მრევლით პატრები დიდ შეწუხებაში ჩაცვივდენ და არ იცოდენ, თუ როგორ გაძღომოდენ ერისა და თავიანთ ეგოდენ სხვა და სხვა საჭიროებას. მათ გაჭირვებას ბოლო აღარ ელებოდა, მტრის განუწყვეტელის შემოსევის გამო. ამ გარემოებისათვის პროპაგანდის მხოლოდ შემდეგი წერილი გვაქვს:

„საქართველოში კაპუცინების მისიონის უფროს, პატრი ანდრია პალერმელს, 13 იანვარს, 1798.

„წმიდა კრება მეტად დაღონებულია, რომ თქვენ და თქვენი მისიონერები გამუდმებით დიდს შეწუხებაში იმყოფებით ბარბაროსების დაუცხრომელის შესოსევისა, შიმშილისა და საშინელის მოოხრების გამო, რომლის მსხვერპლი მანდაური პროვინციები შექმნილა. ვინაიდგან ყოველსავე ამას ღვთის დიდებისათვის ტვირთულობთ, ამიტომ ინუგეშეთ, რადგან არ მოგაკლდებათ სასყიდელი. იმედი მაქვს, უფალმა მოგანიჭოსთ მადლი, რათა სიმხნით დაითმინოთ ყოველი ეგ უბედურება, ვიდრე თვით ინებებდეს და მანდაურ მისიონს მოანიჭებდეს უწინდელს სიმშვიდეს.

„ეს წმიდა კრებაც თავისი მხრით, რამდენათაც კი შეიძლებს, არ მოგაკლებსთ და აღმოგიჩენსთ ყოველნაირ შემწეობას, როგორათაც ჰყო ამ ორი წლის წინეთ განსაკუთრებული შემწეობის მოცემით და ორი წლის ჯამაგირის წინდაწინ გამოგზავნით. ახლაც გიგზავნისთ 400 სკუდს. ეს ფული გარდაეცა თქვენი წესის საზოგადო ვექილს, რათა თქვენ გადმოგცესთ.

„ესევე ვექილი შევაგულიანე, რომ მოამზადოს ახალი და კარგი მისიონერები საქართველოში გამოსაგზავნად, რათა შეავსონ ის ცარიელი ადგილები, რომელიც დაცარიელდა ჩინგოლელი პატრი კარლოს და ორი სხვა პატრის სიკვდილით, როგორათაც მსგავსად მაუწყებს პატრი სილიბისტრე ავოლელი. ეს კიდეც გამოიგზავნა; ამასთანავე ერთად მოვლენ მალთელი პატრი ივანე მახარებელი და ძმა ბერნარდო ჩივითაკასტელანელი. შევიტყე, რომ ისინი კიდეც ჩამოსულან კონსტანტინეპოლისამდე. სხვებსაც გამოვაგზავნიებ, რათა ყველა საჭირო ადგილი

შეივსოთ და ეგრეთვე მანდედან განაშოროთ ის პირები, რომლებიც ცუდად ასრულებენ თავიიანთ ვალდებულებას.

„აწ გამხნევდით და გმირულად განაგრძეთ თქვენი მოღვაწეობა და სრულებით გულს ნუ გაიტეხთ მაგ ქვეყნიერი უბედურებით. ეგრეთვე უწყოდეთ, რომ ეს წმიდა კრება დიდად კმაყოფილია თქვენი. ვთხოვ უფალს თქვენთვის ყოველს ბედნიერებას“. (1).

ამ წერილიდგანაც საკმაოდ სჩანს თუ რა დიდი უბედურება დატრიალებულა საქართველოში. უეჭველად, ეს ყოველი გარემოება აღწერილი და გაგზავნილი უნდა იყოს თავის დროზე რომს, მაგრამ, სამწუხაროთ ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ.

სხვა საბუთების უქონლობის გამო იძულებული ვართ ამით დავაბოლოვოთ ეს თავიც.

თუმცა ამ საუკუნეში კათოლიკობამ ბევრი დევნულება და შეწუხება გამოიარა, მაგრამ თავისი ძველებური ხასიათი არ დაჰკარგა, რის გამოც უკლებლივ ახალი მისიონერები მოდიოდენ. არც მოითხოვებოდა მისგან უმეტესი აღორძინება, რადგან მუდამ და ყველა მხრივ სხვა და სხვა სიძნელე ელობებოდა, ამიტომ ამ საუკუნესაც შესანიშნავ ეპოქად ვრაცხავთ კათოლიკობისათვის საქართველოში.

ამ თავის დასასრულ უნდა ჩავურთოთ სოლომონ მეფის ერთი წერილიც. თუმცა დიდის სიფრთხილით გადმოვსწერეთ, მაგრამ მისი თარიღის გარჩევა ვერ შევიძელით, რათა თავის შესაფერს ალაგს მოგვეყვანა. ამისათვის აქ მოგვყავს.

„ქ. მე იმერთა მეფე, ძე არჩილის, სოლომონ დავითიანი. წყალობის წიგნს გიწერ ქუთაისს მდგომს პატრებს აქ მყოფს და მომავალს. მათი უმაღლესობის ბატონის ბიძის ჩემისაგან ბრძანება გქონებოდათ საყდარი გედგათ და შემდგომად მისსა მეც წყალობა გიყავი და გიბოძეთ ახლა რომ საყდარი გიდგია ის ადგილი საყდრიანათ შენი სადგომი რომ გიდგია, იმის აქეთ ჩემმა მამასახლისმა ბერმა მესხმა ქუთაისის ხელთუფლისშვილმა ბერიკამ რომ სარებით დააკავა იმის იქით შენ პატრებს გიბოძეთ აკოფას შვილისკენ რომ მინდორი არის, ის აკოფაშვილისა არის. იმასთან კაცს ხელი არა აქვს. იმ მიდორსა და მოსახლეს შუა თქვენ პატრებს საურმე გზა სრული უნდა გექმნეს. ამისი დამშლელი არც აკოფაშვილი, არც ქუთაისის მემკვიდრე, არც სხვა ადგილიდამ მოსული არ იქმნება, თუმცა პატრები ვინც ქუთაის მოვა, იმ პატრის საყდარზე იმის ადგილზე დასდგება, თუმცა ჩემის ბრძანების მოსამსახურე იქმნება კაცს სიტყვა არა აქვს. აღიწერი წელთა უფლისათა (ჩ̃ლ წ. სექტემბერს). ამ შენს ზეით რომ მეზობელი არის იმას აქეთ რიონამდის

იქვენთვის მიბოძებია იმ ზეითა მეზობლის სახლკარს აქეთ შენთვის მიბოძებია“.

ესა თუ სხვა სიგელები კაფუცინებისა რუსის მთავრობას დაუმტკიცებია და ზედვე დაუწერია საჭირო ბეჭვდით შემდეგი შემოწმება:

„Сей документъ въ Имеретинскомъ временномъ правленіи „отъ губернскаго регистратора князя Михаила Туманова 15 марта 1823 года, явленъ и въ книгу подлинникомъ отъ слова до „слова подъ № 2845-мъ записанъ. Въ чемъ симъ подписомъ при„сутствующаго и приложеніемъ казенной печати свидѣтель„ствуется“.

| მთავრობის ბეჭედი |. მდივანბეგ თ̃ი დავით ჩხეიძე.“ (1).

თ ა ვ ი IX.

სამცხის ქართველი კათოლიკენი XVIII საუკუნეში.

ეს თავი მხოლოდ იმიტომ გავაცალკევეთ, რომ ამ საუკუნის შესახებ ბევრი საბუთი გვქონდა და ყველასი ერთ თავში მოქცევა, მეტი რომ არა ვსთქვა, მოუხერხებლად დავინახეთ. სამცხე მუდამ შეადგენდა ქართლის მისიონის ნაწილს. მიზეზიც ეს არის, როგორც უკვე ვსთქვით, რომ სამცხის კათოლიკების შესახებ ცალკე საბუთები არ მოიპოება. ხოლო სამცხეში რომ კათოლიკობა ძველ დროშივე იყო დამყარებული, ყოველ ეჭვს გარეშეა. ბროსეც მოწმობს თავის საქართველოს ისტორიაში: „აქ არ უნდა დავივიწყოთ, რომ კათოლიკეთა ყველაზე უძველესი ეკკლესია ახალციხეში არსებობს 1298 წლიდამ". (1) ამის შენიშვნად დასძენს ბ. სიმ. ღოღობერიძე: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მისიონერებმა მაშინ მოაქციეს ზოგიერთნი ქართველნი კათოლიკებად და ამ დროიდან შემოდის ჩვენში კათოლიკეს სჯულის აღსარება".

თანახმად ამ შენიშვნისა სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ ისა, რომ კათოლიკობა გავრცელებულა თვით ქართველობაში. რადგან ამ მხრის მკვიდრნი სულ მუდამ ქართველები ყოფილან. ამისგამო ბროსეს სამცხე და კერძოდ ახალციხე მიაჩნია საქართველოს უძველესი და შესანიშნავი ნაშთების ადგილად. ამისას აი რას გვეუბნება: „1) რადგან ყოველ დროს ეს ქვეყანა გაშენებული იყო ქართველთა ტომით და მუდამ მას ეპყრო და არასოდეს მას არ გამორთმევია. 2) რადგან ამ მხარეში აღშენდენ (ქართველების) პირველი ეკკლესიები კონსტანტინე დიდის დროს. 3) რადგან ეს ქვეყანა თავის მიდამოებით შეიქმნა აკვანი ბაგრატიონთ შთამომავლობისა თავიანთ საქართველოში შემოსვლის დროდგან, VI საუკუნეში, გურგასლანის გვირგვინოსან მოადგილეთა დროს, ვიდრე X საუკუნემდე... დასასრულ, იმიტომ, რომ ამ ადგილების სიმშვენიერით მოზიდულ აფხაზეთ-ქართლის მეფეთაგან შეუწყვეტლივ შენდებოდა შესანიშნავი ციხეები, ეკკლესიები და მონასტრები IX→XII საუკნემდე". (1).

ამისი უფრო ცხადად დამამტკიცებელი საბუთია იმდენი ნაშთი გამაჰმადიანებული ქართველებისა, რომლებმაც, სიკვდილის შიშით, სარწმუნოების გამოცვლა ირჩიეს, ვიდრე სამშობლოს მიტოვება და სხვაგან ლტოლვა.

სამცხეში ძველის დროიდგანვე კათოლიკობის გავრცელება არ უნ-და ჩავთვალოთ საკვირველ მოვლენად. რადგან სამცხე მუდამ გზა და კარი იყო ქართლისა ევროპიელ მგზავრებისათვის. როდესაც ევროპის მისიონერები მოდიოდენ საქართველოში, უეჭველად უნდა შეჩერებულიყვნენ ჯერ სამცხეში, თუ ყველა, არა ერთი ნაწილი მაინც, რადგან ქართველთა ერი, რომლის გასაკათოლიკებლად ისინი განგებ იგზავნებოდენ, შემოსვლისავე იქვე ხვდებოდათ. ამიტომ მათი საქართველოში მისიონი უაზრო იქმნებოდა, უკეთუ ქართველი ერის ეს პირველი რაზმი დაეტოვებინათ ყურ-უთხოვებელი და ყველანი მოშურებოდენ შუაგულ საქართველოს. ეს გარემოება გვიხსნის საკმაოდ სამცხეში ძველის დროიდგანვე კათოლიკობის დამყარებას.

ხოლო საქართველოში მესხნი, როგორც პირველნი იყვნენ ევროპელების დახვედრისა და მათგან სწავლა-განათლების მიღებაში, ისე პირველნი შეიქმნენ ოსმალებთან შეტაკებასა და მათ მიერ ამოწყვეტის საქმეში. ოსმალეთმა XVI საუკუნეს რა შემოდგა საქართველოში თავისი დაწყევლილი ფეხი, მესხები გმირულად შეებნენ, მხნედ და დიდხანს ეომეს და ბევრი ჯარიც გაუწყვიტეს. მაგრამ ეს ერთი მუჭა ხალხი ოსმალების ხშირ შემოსევას, აღურაცხველს, მრავალ გზის გაძლიერებულს და საშინელ ძალას მუდამ ველარ გაუმკლავდენ, და ბოლოს დასუსტებულმა და უშემწეოდ დატოვებულმა სამცხელებმა თავიც შეაკლეს. სარწმუნოების მტერმა და ერობის მძლავრმა თუ როგორ გაანადგურა ცეცხლით და სისხლში აცურა მთლად მესხეთი, დღესაც ღაღადებს გაველანებული ქვეყანა, აღურაცხველი ნანგრევები და მეტადრე სამცხის დიდებული 19 საეპისკოპოსოს ერთიანად მოსპობა. იმ უწყალო სვრას ვინც კი გადურჩა ქართველი მართ-მადიდებელთაგანი ძალა-უნებურად მაჰმადიანობა მიიღო. რადგან ოსმალეთმა XVI საუკუნეშივე მოუსპო გზა ევროპელ მისიონერებსა, უმწყემსოდ დატოვებულ სამცხის ქართველ-კათოლიკებსაც იგივე შავი დღე დაადგა, ხოლო მათმა მცირე რიცხვმა შეირჩინა უკვე მიღებული კათოლიკე სარწუნოება სომხის ტიბიკონის მიღებითა. რადგან ამ დროს სომხობას ოსმალეთი ისე არ აწუხებდა, როგორც სხვა ტომის ქრისტიანებს, სომხები თავიანთ სარწმუნოებას თავისუფლად აღიარებდენ. სომხური ტიბიკონის მიღება დიდად შეეწია ქართველ კათოლიკებს, რომლებიც დაიხსნა არა მარტო სიკვდილისაგან, არამედ სხვა ბევრნაირი შეწუხებისაგანაც. ამ გარემოების წყალობით, იგინი შეუერთდენ სომხის ტომის კათოლიკებს არა მარტო სარწმუნოებით, არამედ ერობრივადაც, რათა მათსავით უშიშრად ყოფილიყვნენ გამძვინვარებულის ოსმალეთის მთავრობის ხელში. ვერც გაბედეს შემდეგში ქართული ტიბიკონის მიღება, რადგან მათი მტარვალი ბატონი-

საგან მოელოდათ ან სიკვდილი და ან გამაჰმადიანება. ხოლო როდესაც ეღირსათ ლათინის მისიონებს კვალად საქართველოში შემოსვლა, ვერც მათ გაბედეს იმ კათოლიკების ლათინურ ტიბიკონზედ გადაყვანა, რადგან მკაცრად აკრძალული ჰქონდათ ოსმალეთის მთავრობისგან. წინა თავში უკვე მოვიყვანეთ ერთი ასეთი საბუთი კოსტანტინეპოლში მყოფის ფრანგის ელჩისა, რომელიც აუწყებს პროპაგანდას ოსმალეთის მიერ მიღებული განკარგულებას ლათინურ ტიბიკონზე გადაყვანის წინააღმდეგ. ამიტომ, თუ ამისა და თუ სხვა გარემოების გამო, სამცხის კათოლიკები დღევანდლამდე დარჩნენ სომხურ ტიბიკონზე და ხშირადაც სომხის ეროვნის მღვდელთა გავლენის ქვეშ. ამ მიზეზის გამო ლათინის პატრებს მათზე მუდმივი გავლენა არა ჰქონდათ ისე, როგორც ტფილისის, ანუ სხვა ადგილების კათოლიკებზე, რომლებიც შედგომოდენ ლათინის ტიბიკონს. იმიტომვე აქ მოსაყვანი საბუთები არც ისე ერთი მეორის შემდეგია, როგორც აქამდე ვნახეთ და არც პატრებს შეეხება მათი მომეტებული ნაწილი, არამედ შეეხება უფრო ახალციხის მღვდლებს.

ამ თავშიც უნდა გავიმეოროთ ის საჩივარი, რომელიც არა ერთხელ გამოვსთქვით, ესე იგი, რომ ახალციხის და მის გარეშე კათოლიკების შესახებ გვაკლია არა მარტო გასულ საუკუნეთა კერძო საბუთები, არამედ თვით XVIII საუკუნის მომეტებული ნაწილიც დაკარგულია. ამიტომ კათოლიკების შესახებ საბუთი ძრიელ ცოტა გვაქვს. მათის შემწეობით საკმაოდ ვერ შევიძლებთ გავითვალისწინოთ ყოველი მათი უმთავრესი მდგომარეობა. ასე რომ ძალაუნებურად უნდა დავჯერდეთ ცნობებს, რომელიც მოგვეძევება ვიდრე სხვა ცნობები აღმოჩნდებოდეს. ამის იმედს არ ვიწყვეტთ, რადგან დაგვარწმუნეს, რომ უწინ რომის კაფუცანების არხივში ყოფილა ერთი ხელთნაწერი პატარა წიგნი განსაკუთრებით ახალციხის კათოლიკების შესახებ. მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, წერილი დაკარგულია. მისი ძებნა აქამდე სრულიად უნაყოფო შეგვექნა. შეიძლება მომავალში სხვაც აღმოჩნდეს.

კაფუცინებს პირველშივე როდი დაუფუძნებიათ თავიანთი მისიონი ახალციხეში. მისვლით კი ხშირად მიდიოდენ იქ და ხალხს უსრულებდენ მღვდელმოქმედებას. ხოლო პროპაგანდამ რა შეიტყო ახალციხის კათოლიკებს სამუდამო მისიონი სჭირდებოდა, 15 სექტემბერს 1710 წ. დაავალა მათ უფროსს, რათა ახალციხეშიაც დაემყარებინათ მონასტერი და სამი კაფუცინი დაენიშნათ. მაგრამ ბრძანების აღსრულება სომხების გამო ვერ შეიძლეს. ამ გარემოებას ვრცლად ასწერს პატრი ალექსი მილანელი, რომელიც 1716 წ. წავიდა რომს და მიართვა ეს მოხსენება:

„საქართველოში უფროსად გამოგზავნილის პატრი ანდრია ბრეშელისაგან მივიღეთ ჩვენის წესის საყოველთაო პროკურატორის წერილი, რომელშიც გამოცხადებული იყო თქვენი სასიკეთო სურვილი და ეგრეთვე წმიდა კრების ბრძანება დასაარსებლად და დასამყარებლად კაპუცინების მისიონისა ახალციხის ქალაქში, ოსმალეთის ხელში რომ არის და საქართველოს დედა-ქალაქ ტფილისზე ცოტა დაშორებით, სპარსეთის სამზღვარზე მდებარეობს და სიამოვნებით შევუდექით იმ ბრძანების აღსრულებას. აგვისტოს დამლევს 1715 წ. სხვა მონაზონებთან ერთად წავედით და წავიღეთ ფაშასთან კარგი წერილები. მაგრამ ვერას გზით ვერ შევიძელით ახალციხეში შესვლა, ფაშამ იძულებულ გვყო, რათა ფარულად მასთან დავრჩენილიყავით, ვიდრე კარგად გამოიძიებდა და შეიტყობდა, შეიძლებოდა თუ არა გაუჭირებლად შესვლა ახალციხეში ისე, რომ არაფერი ვნებოდათ კათოლიკებს, რომელთაც კაპუცინების მოსვლა ითხოვეს. იქ იყო ერთი მწვალებელი სომხის ეპისკოპოსი. მტერი და საშინელი წინაამდეგი იყო მისიონის დამყარებისა და პატრების იქ ბევრ ხანს დარჩენისა. მტრობას თავის დღეში არ მოიშლიდა და სულთანის იქ მყოფ იანჩრებს აღელვებდა, რომლებიც ყოველნაირ უბედურებას მიაყენებდენ საბრალო კათოლიკებს. კათოლიკეთაგანი, ვინც შეძლებულნი იყო არ დათანხმდა მისიონერების მოსვლას, რადგან ეშინოდათ, ოსმალებს მათი ქონება არ აეკლოთ. ვინაიდგან ოსმალეთს წესად აქვს დიდი ფული გადაახდევინოს ერთსა თვით იმის მაგიერადაც, ვისაც არაფერი შეუძლია და ღარიბია, რადგან კაცის კი არა, ფულის დარდი აქვს. ამისგამო ხსენებულმა ფაშამ, თუმცა ჩვენი დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა, ნება არ მოგვცა შევსულიყავით ახალციხეში, რათა ცხადსა და აუცილებელ განსაცდელში არ ჩავცვენილიყავით. ეგრეთვე გამოგვიცხადა, რომ ჩემი დიდი შეურაცხყოფა და უპატიურება იქმნება, იანიჩრებმა და ოსმალოებმა რაიმე ბოროტება გიყოსთ, მეტადრე რაკი ჩემთან დადექით, თავისგამოცნობელი წიგნებიც მომიტანეთო.

„იქ ორ თვეს დავრჩი სექტემბერს და ოქტომბერს, მერე იძულებული გავხდი დავბრუნებულიყავ საქართველოს მისიონში. ვინაიდგან ისეთი გარემოების გამო პორტასაგან ხონთქრის ფირმანის შოვნა არ მოხერხდა. ამისთანა ბრძანების მეოხებით იქ კათოლიკებს ძრიერ ველარ შეაწუხებენ და მისიონერებიც უფრო უშიშრად იქმნებიან.

„გარნა ვნატრობდი კვალად მეცადა ესა, ამისათვის აღდგომის შემდგომ, წრეულს 1716 წ., ვითარცა მგზავრი, დავბრუნდი ახალციხეს იქ გასავლელად: ორმოცი დღე დავრჩი იქ ხან ერთსა და ხან მეორეს სახლში, მაგრამ ჩუმად და ფარულად. რა შეიტყო მწვალებელმა ეპისკოპოსმა, თავის სახელით ესრე შამომითვალა: თუმცა ნება არის უცხო-

ებმა გამოიარონ, ჩემს მოსაკითხად და პატივისაცემლად მოვიდენ, გარნა მსურს, მალე განშორდეთ აქაურობას და დადგეთ თქვენს გზასო. ამითი ისე შეშინდენ კათოლიკები, რომ ძალა დამატანეს წავსულიყავი; მეც განვაგრძე გზა კოსტანტინეპოლისაკენ, გარნა უწინარეს წასვლისა ახალციხიდგან, კათოლიკებს აღსარება ვათქმევინე და, რაოდნადაც შემეძლო, სულიერად ვანუგეშე. თუმცა სისრულით არ არიან გაწვრთნულნი, მაგრამ საკმაოდ იციან რაც-კი საჭიროა, ვინაიდგან რავდენიმე კათოლიკე მღვდელი ჰყავთ, რომლებიც მათ ეწევიან და იცავენ კათოლიკე სარწმუნოებაში. ეს მღვდლები ტფილისში ორ ანუ სამს წელიწადში ერთხელ მოდიან აღსარების სათქმევინებლად.

„ამის გარდა თქვენს უწმიდესობას სიმდაბლით მოვახსენებ, რომ საქართველოს მისიონერები მუდამ ნატრობდენ ახალციხეში სამუდამოდ სახლის დაფუძნებას და მონაზონების დაყენებას თუ კათოლიკების სულიერ სანუგეშოდ და სარწმუნოების წარსამატებლად, და თუ მონაზონების უშიშრად და სიადვილით შემოსასვლელათ საქართველოში. მაგრამ იმ სიძნელისა და წინააღმდეგობის გამო, რაიცა იქ ხელს გვიშლიდა, გულის წადილი ვერ აისრულეს. ამიტომ გავბედავ და სიმდაბლით მოვახსენებ თქვენს უწმიდესობას: 1) რადგან ახალციხე ისეთი ადგილია, რომ იქ ევროპელი ვაჭრები არც მკვიდრობენ და არც დროებით მოდიან, სულთნის უფირმანოდ არ შეიძლება არც მისიონებისა და არც მონაზონების დაყენება; 2) კიდევაც რომ მოიპოვონ სულთნის ფირმანი, მაინც არასოდეს მიუშვებენ მონაზონებს, რომ ან საზოგადო, ან კერძო ეკკლესია ააშენონ და სრულიადაც არ მისცემენ ნებას ერი შეიკრიბოს; არც შეუძლიათ ბერძნებს (ბერძნის ტიბიკონის მქონე ქართველებს) ან სომხებს კათოლიკობის მიღება. რადგან მაჰმადიანები დიდად შურიანები არიან. ამიტომ ოსმალეთი თავის საბძანებელში ყველგან, საცა ეკკლესია დაზიანდება, ან დაინგრევა, მის აშენების ნებას კათოლიკებს სრულებით არ აძლევს.

„3) რადგან ახალციხე ოსმალეთის საბრძანებლის განაპირასა და სპარსეთის საზღვარზედ არის, თავმოყვარეობისა და სარფისა გამო, ისეთ ფირმანს პორტა არც-კი მისცემს. ის მიზეზი და თავისმოყვარება ოსმალებისა ისე ძრიელია, რომ არც ფრანგის და არც სხვა რომლისამე ტომის ხალხის გემებს ნებას არ აძლევს შავ ზღვაში შემოვიდენ. მოსკოვის დიდ მეფესაც მოუსპო მიმოსვლა და შეუკრა გზა, რომელიც უწინ ჰქონდა.

„4) დასასრულ, მისიონერმა ტანისამოსი რომ გამოიცვალოს, მაინც კიდევ ახალციხეში უცნობლად ვერ დარჩება და შეიტყობენ მის მონაზონობას, რადგან ზემოდ ხსენებული მწვალებელი სომხის ეპისკო-

პოსი კათოლიკების მტერია. ამის გამო ის მიმართავს ოსმალებს და შეატყობინებს და ამითი დადად ავნებს კათოლიკებს; მისიონერებსაც დააჭერინებს წირვისა ან აღსარების დროს, მეტადრე დედაკაცების განდობის დროს; ესე კათოლიკებს ძლიერ დიდ შეწუხებას და ტანჯვას მიაყენებენ; ეგრეთვე მისიონერებსაც ან სამუდამოდ დაატყვევებენ და ან განდევნიან.

„მე მგონია, ერთად ერთი საშვალება ის იყოს, რომ კონსტანტინეპოლში მყოფმა საფრანგეთის ელჩმა მიმართოს და სულთანისაგან მოიპოვოს ხსენებული ფირმანი კათოლიკებისა და მისიონერებისათვის. მაგრამ ამისთანა მტრობის დროს მისი გამოტანის იმედი არ არის. ან იმპერატორსა და პორტას შუა ომი გათავდება თუ არა, ვენაში მთავრობას შეეხვეწონ, რათა შერიგების პირობებში ისიც იყოს, რომ მისიონერებს თავისუფალი და უშიშარი გზა მიეცეს შავ ზღვაზე საქართველოში და მის გარეშე ქვეყნებში შესასვლელად, ეგრეთვე იქონიონ ახალციხეში ბინა, მონასტერი, ეკკლესია და თავისუფლება ჰქონდესთ როგორც კათოლიკებს ისე მისიონერებს.

„მგონია, რომ ამ ორის საშუალებათ შესვლა გაადვილდეს სარწმუნოების გასაძლიერებლად და ახალციხის ერის სანუგეშოდ. აი ამას ვბედავ და მოვახსენებ და მასთანავე დიდის სიმდაბლით და ღრმა პატივისცემით ვემთხვევი თქვენს უწმიდესობის ფერხთა. მისიონერი კაფუცინი, პატრი ალექსი მილანელი“. (1)

ეს საბუთი სომხების მტრობის გარდა, ცხადად გვისურათებს, თუ როგორ ეპყრობოდენ უწინ ოსმალები კათოლიკებს და როგორ სდევნიდენ მათ. ეგრეთვე გვიჩვენებს ჩვენი ნათქვამის სიმართლესაც, რომ ახალციხის ერს ოსმალების შემოსვლამდე ჰქონია კათოლიკობა მიღებული.

ამის შემდგომ არ ვიცით კიდევ თუ რავდენ გზის მიბრუნდენ კაფუცინები აპალციხეს დასაბინავებლად. ხოლო ეს-კი ცხადია, რომ პატრები დამყარდენ იქ 1733 წ. მაგრამ არც ამ უკანასკნელის მათი მისვლისა გვაქვს რაიმე ცნობები. მისვლის ამბავიც ვიცით მარტო ერთი წერილიდგან, რომელიც წარდგენილია რომს 1734 წ.

„კაფუცინების საზოგადო პოკურატორი სიმდაბლით მოახსენებს თქვენს ბრწყინვალებას, რომ, როგორც თვითვე უწყის, წმიდა კრებამ 10 მარტს 1732 წ. გადისწყვიტა მიეცეს 75 სკუდი წლიური ჯამაგირი წინ და წინ ახალციხის ახალ მისიონს, რომელიც საქართველოს მისიონს უფროსის ხელქვეითი არის. ფულის მიცემა უნდა დაწყებულიყო როდესაც კაფუცინის მისიონერები მივიდოდენ იქ. აწ დროა მივიღოთ წმიდა კრების ეს წყალობა, რადგან საქართველოს მისიონის უფროსი პატრი ნიკოლა ჯირჯენთისაგან მივიღეთ ამ წლის 5 მარტს, წე-

რილი, რომლითაც იუწყება, რომ გავლილ 1733 წ. 8 ოქტომბერს, მისულა ახალციხეს და დაბინავებულა; როგორც თვით იწერება, ყველას დიდის სიხარულით მიუღიათ მაჰმადიანებს და მეტადრე ყველა ჩვენს ქრისტიანებს". (1).

ერთი სხვა წერილიდგან სჩანს, რომ პატრი ნიკოლას (ერთი იმ კაფუცინთაგანია, რომლებიც საბამ მოიყვანა 1714.) ფირმანი გამოუთხოვია 1732 წ. და იმის ძალით აუშენებიათ მონასტერი და დამკვიდრებულან. ხოლო ეკკლესიის აშენებისა არაფერი ხსენებაა. გარნა ერთი უთარიღო წერილი გვაქვს იტალიანურად და ქართულად; როგორც მის წარწერითგანა სჩანს, იგი დაუწერია ახალციხის უფროს პატრს ივანე როვიგოელს, რომელიც მოვიდა საქართველოს 1782 წ. წერილი აი რა საკვირველს ამბავს მოგვითხრობს:

პატრი ნიკოლოზის ჯირჯენთელის დროს რაც მოხდა ახალციხეს პატრების ეკკლესიის გამო. ქ. შენდობილმა პატრი ნიკოლოზმან სტამბოლიდამ ფირმანი მოატანინა ყოვლა წმიდის ეკკლესიის აშენებისათვის. იმ თარიღში უსუფ ფაშა ფაშათ იჯდა, ისალ ფაშის შვილი. მელიქი ელიზბარაი იყო მამასახლისათ; კოკოტაი იყო უფროსათ დიდი ტერრანესი იყო პოლოს ეპისკოპოსის პაპა. და იმ ცხონებულმა პატრი ნიკოლოზმა, რომელმანც კიდევ ეს პატრების მონასტერი ააშენა დიდის მეცადინეობითა, და სიყვარულითა მოიწადინა აშენება ამ ყოვლა წმიდის ეკკლესიისა, რომელიც აწყვრელმა ქალიმაჯიმა მოლამ დააქცია, პატრების ახალციხეში მისვლის წინეთ. შეშა, ქვა, კირი, ყველა დაამზადა. მივიდა უსუფ ფაშას შეუტანა ფირმანი, რომელიც ყოვლა წმიდის ეკკლესიის აშენებისათვის მოეტანინებინა. წაიკითხა, ფაშას შეეხვეწა; მუხლზე აკოცა. ერთი ჩემს სახლში მობძანდითო, ჩემი სახლი ნახეო. ფაშამ უთხრა: კარგი იქნებაო. მერმე ფაშა მივიდა პატრების მონასტერში. ფიცხლავ ყადი, მუფთი. იენიჩერ აღა, ოჯახლი აღები. მოლები, ყველა მოაყვანინა, უსუფ ფაშამა: და ნახეს, გაშინჯეს რაც სიგძე, სიგანე, სიმაღლე რომ დასტური მიმიციაო, უნდა აშენდესო. მერმე ყადმა დასწერა რაც ფაშამ უბნძანა; მაგრამ ყადმა მოახსენა ფაშას, თუ ორი თათარი მოწამე არ მოვიდა მისი, რომ ჩვენ ვნახეთო, რომ ეს საყდარი ქალიმაჯ აფენდიმ დააქციაო ამ სიგანე, ამ სიგძეა ეს საყდარიო, იმისი აშენება თუგინდ ხემწიფის ფირმანი იყოსო, არ იქმნებაო, მერე ფაშამ მოახსენა პატრი ნიკოლასა, პატრო გესმისო, ეს ყადი ეფენდი რას ბძანებსო. ფიცხლავ პატრი ნიკოლოზმა მოახსენა: ადვილი არისო, მოწამეს მოვიყვანო; და რაც შეიძლებოდა პატრი ნიკოლოზმა ყავა, მაჯუნი, შაქრის შარბათი მიართვა; და ფაშა და სხვანი წაბძანდენ; მერმე ახალციხის ქეთხუდები და უფროსები შეებძანდენ პატრი ნიკოლოზთან მონა-

სტერში. ბატონო ეს რა კარგი საქმე ჰქენით; ღმერთმა გაცხონოსო, აშენებაზე გული ნუ შეგიწუხდებათ. იეთარაშვილმა, ჰარუნ სიმონამ უთხრა: ერთი გვერდის კედელს მე ავაშენებო ჩემის ხარჯითო. ხოჯოანათ ბატონჯანამ უთხრა, ერთი გვერდის კედელს მე ავაშენებ სულ ჩემის ხარჯითაო, მაქანდრიანთ ზურაბამ მოახსენა, ზედა გვერდის კედელსა და ბემბსა მე გავაკეთებო ჩემის ხარჯითაო. პატრი ნიკოლამ დალოცა ისინი, მადლიერობა მოახსენა. მეორე დღეს საყდარში ხუცებმა გადმოიძახეს ყვალა წმიდის საყდარი შენდებაო, ვინც ყვალა წმიდის მართალი მორწმუნე ხართო, ზოგნი თეთრითა, ზოგნი სხვათა საქონლითა, რითაც იყოს შეეწიეთო, რომ პატრი არ შესწუხდესო. ხსენებულმა დიდმა ტერვანესმა, რომ იმ თარიღში თემის უფროსობა იმას ჰქონდა, დაუძახა ვინც თავისი თარაფი იყო, და უთხრა: რას შვრებითო? ერთი საყდარი გინდათ აშენოთ, და ორი საყდარი უნდა დააქციოთო. იმ ვაჟებმა მოახსენეს: რას ბძანებო? რათ დავაქცევთ ორ საყდარსო. მერე ტერვანესმა მოახსენა: თქვენ რა იცითო ესე იცოდეთ, თუ პატრების საყდარი აშენდა, არც ზემო საყდარში, არც ქვემო საყდარში ერთი მრევლი აღარ მოვაო, სულ იქ წავლენო, და უმრევლო საყდარი უნდა დავუყაროთო, ეცადეთ რომ დაუშალოთო, არ აშენდეს, თვარემა ჩვენი საქმე წახდებაო. ადგა ამ ტერვანესმა ბევრს ალაგს ქთამი დახარჯა, მელიქი ქლისბარაჲ მამასახლისი კოკათაი ყადთან გაგზავნა ორასი მარჩილი მისცა ყადსა, ოღონდაც პატრს მოწამე გაუმტყუნეო, უჯათს ნუ მისცემო საყდრის აშენებისთვინაო. ადგა პატრმა აქეთ იქითა, სოფლებში ქალაქში კაცები დაფანტა მოწმების საშოვნელად მეკურტნე ესტატემა ერთი აწყვრელი, ერთი სლესელი მოლაები მოიყვანა მოწმათა. პატრი ნიკოლას გაეხარდა დიდი სიხარულითა, ფაშასთან შეიყვანა: აჰა ბატონო მოწმებიო მოვიყვანეო, ფაშასაც იამა. ყადთან გაგზავნა პატრიცა, მოწმებიცა. ყადთან რომ მივიდნენ, ყადმა საქმე წაახდინა, მოწმები გაამტყუნა. პატრი ნიკოლამ უთხრა ყადსა, რატომ მიშვრები ესეო? მასუკან ყადმა უთხრა დიდის ფიცითა. პატრი რას მეუბნები? შენი კათოლიკები ორას მარჩილს მაძლევენო, პატრს საყდარს ნუ ააშენებინებო. შენ ასი მარჩილი მომეციო, შენს მოწმებს დავიჭერო. ეს სიტყვები რომ შეიტყო პატრი ნიკოლამ დიაღ ძალიან გაჯავრდა, მე იმათი გულისათვინ რა სასჯელს ვწევო თეთრითა, ჯავრითა, სულითა, და ესენი ჩემს მტრობაში არიანო. მოვიდა, მუშები, დურგლები სულ გაყარა. მასუკან ნელა ნელა ახალციხის ქეთხუთებმა ზოგმა შუშა გაზიდეს, ზოგმა ქვა გაზიდეს, ზოგმა კირი. სულ გაფუჭდა; აღარც ერთი ალაგს აღარ მოვიდა. მასუკან ბოლოს ხანი და დრო გაატარეს მოვიდნენ ზემო საყდრის იშხანები, და ირიცფოხანი პატრი ნიკოლას გული მოუგეს, ჩვენ ხაზარი

არა გვაქსო ჩვენ მაგ საქმეში არ ვურევივართო. ღმერთმა კითხოს ვინც ქნაო, ან ვინც მიზეზი შეიქნაო. ვიცით შენი საყდრის თეთრი გაქვსო. მანდედამ რვასი მარჩილი გვასესხეო. როცა საყდარს აშენებთ ჩვენსას სხვასაც მოგცემთო, თვარემა შენს თეთრს, და ეკკლესიის თეთრს როგორ დაგიჭერთო? იმ შენდობილმა პატრი ნიკოლამ გაღო დოლაბი, და რვაასი მარჩილი დაუთვალა, და ასესხა ზემო საყდრის ირიცფოხანს, და იშხანებსა, რომ დღესაც იმათთან არის. არც პატრი ნიკოლას და არც იმის უკან მოსულ პატრებს დღევანდლამდინ რაც პატრები მოსულან, გაუვლიათ, და არიან, ერთი ფარა არ აუღიათ იმ თეთრისა, ისევ იმათზე არის.

„ეს ჩემ დროსაც იმოწმეს აქაურ კათოლიკებმა და სხვა მოწოდებულთა ოთხი მოწმის წინაშე. პატრი ივანე ნათლისმცემელი როვიგოელი, ახალციხის უფროსი“. (1).

ამ საბუთიდგან მტკიცდება, რომ ლათინის ძველის-ძველი ეკკლესია ახალციხეში დაუქცეეია აწყვრელ ქალიმაში მოლას, უფრო წინ, ვიდრე კაფუცინები ახალციხეში დაბინავდებოდენ, ესე იგი 1733 წლის წინეთ, მაშ დღევანდელი ეკკლესია აშენებულა იმ დროს შემდგომ. ამიტომ ჩვენ გვიკვირს, რომ ბროსე, თავის არხეოლოგიურს მოგზაურობაში, ამ დღევანდელი ეკკლესიის დაწყებას აწერს 1356 წ. ხოლო მის შეკეთებას 1442 წელსა. (2) ისე ჰგავს, იმას კედლებში ჩატანებული ძველებურ დანგრეულ ეკკლესიის ქვები უნახავს და ამიტომ გამოუყვანია ასეთი დასკვნა.

ნამდვილად და ზედმიწევნით არ ვიცით, თუ დღევანდელის პატრების ეკკლესია ახალციხეში ხელახლავ როდის ააშენეს. გარნა კაფუცინები 1742 წელს, სხვა და სხვა წერილებში, უკვე იხსენიებენ იმ ეკკლესიაში ღვთის-მსახურების შესრულებას. აქედგან ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ დღევანდელი ეკკლესია აუშენებიათ 1734—1740 წლებში.

ამ ზემო წერილიდგან სჩანს, რომ ახალციხის ერს დიდი მიდრეკილება ჰქონია პატრებისადმი. ხოლო ზოგიერთი მღვდლები კი მათი მტრები ყოფილან. იმათში პირველი ადგილი უჭირავს წერილში დასახელებულ მღვდელ ივანეს. იმისი სახელი ყოფილა ეგრეთვე მინას მარკოზ, რომელიც სომხურსა ჰგავს, მაგრამ არ ვიცით, რომელ ქვეყნიდგან ყოფილა. კაფუცინები იმ მღვდელს მოჩვენებულ ტყვილ კათოლიკედ სთვლიან. ამის და კაფუცინების შუა პირველშივე, ესე იგი მათის მისვლისთანავე, ჩამოვარდა უთანხმოება, წინააღმდეგობა და მტრობა, რომელსაც ბოლო აღარ მოეღო და რომელიც მეტად მავნე შეიქმნა იქაური კათოლიკებისათვის. ამის პირველი მიზეზი ის იყო, რომ ის მღვდელი ურიგო ხსენებისა ყოფილა, სმა ჰყვარებია, მუდამ დღე მთვრალი

ყოფილა და ხშირად სახლში ხელით წაუყვანიათ. მეორე ის, რომ ამისთანა ურიგო მღვდლების წყალობით ერში თუ მწვალებელთაგან და თუ მაჰმადიანთაგან ბევრნაირი ბოროტი ჩვეულება და ცრუმორწმუნება გავრცელებულა, ისე რომ მოლებს ხშირად ალოცვინებდენ და მაჰმადიანების მკვდრების ნაბან წყალს წამლად ხმარობდენ! ამისთანა ცრუმორწმუნოებაზე კაფუცინებმა ვრცელი მოხსენება გაგზავნეს რომს. ასეთი სარწმუნოების წინაალმდეგ საგნებისა და სხვა ბევრნაირ ბოროტ ჩვეულებისა არამც თუ წინაალმდეგი იყვნენ ივანე და მისი მსგავსი მღვდლები, არამედ ხშირად ხელსაც უმართავდენ. ასეთს მავნე და ბოროტ ჩვეულებას კაფუცინებმა ფიცხად დაუწყეს წინაალმდეგობა და მათ მოსპობას ეცადენ. მაგრამ ადვილად ვერ გაიმარჯვეს, რადგან ივანე მღვდელმა, ნაცვლად თავის ცუდის ზნეობის გასწორებისა, დაუწყო მტრობა კაფუცინებს, ეცადა მათი სახელი დაემცირებინა, ხალხისათვის მათი თავი შეეძულებინა და ბევრნაირი ცილიც დასწამა. თავისუფლად რომ განეგრძო თავისი ურიგო ცხოვრება და მაყვედრებელი არავინ ჰყოლოდა, დააპირა კაფუცინების იქიდგან განდევნა. თავისი შვილი კოსტანტინეპოლში განგებ ჰყავდა, რათა იქაურ ლათინის ეპისკოპოსთან, მისი საშუალებით, საქმე როგორც უნდოდა, ისე გაერიგებინა. გარდა ამისა, რომსაც მისწერა კაფუცინების შესახებ ბევრი სიცრუე და წინაალმდეგი და სთხოვა მათი ახალციხიდგან განშორება. კაპუცინებმა რა სცნეს მისი მტრული ყოველი მოქმედება, თვითონაც მისწერეს რომს და ეგრეთვე გაგზავნეს პატრი იოსებ მოდანელი, რათა ყველაფერი კარგად ეამბნა. გაჰმართა საჩივრები, მიწერ-მოწერა, იმ ზომამდე, რომ კოსტანტინეპოლიდან რომმა განგებ გამოგზავნა ახალციხეში აზრუმის მღვდელი ქერუბინე არაქელი 1742 წ., რათა კაფუცინებსა და მღდელ შუა ატეხილი უკმაყოფილება კარგად გამოეძია. პატრები გაამართლა. შემდეგში, როცა გაბრუნდა, მათ შესახებ კარგი მოხსენება გაგზავნა რომს. მაგრამ მაინც ურიგობას ბოლო არ მოეღო და სრული მშვიდობიანობა ვერ დამყარდა.

ამ დროს ახალციხეში ექვსი მღვდელი ყოფილა. ხუთის გვარი არ ვიცით და სახელად კი რქმევიათ: ივანე, გიორგი, ანტონი, პეტრე და სტეფანე. ეს უკანასკნელი ახლად ნაკურთხი დაბრუნებულა რომიდგან. თუმცა ხნიერი, მაგრამ ერთგული, პატიოსანი, ერის კარგად მომვლელი და კაფუცინების მომხრე მღვდელი ყოფილა. მას ჰგვანებია ეგრეთვე ქვემო საყდრის წინამძღვარი პეტრე მღვდელი. ზემოდ ხსენებული ივანე მღვდელი, რომელიც ზემო საყდრის წინამძღვარი ყოფილა, მტრობდა ეგრეთვე იმ ორ პატიოსან მღვდელს პეტრესა და სტეფანესა. ხალხს თურმე შეჩვენების მუქარით უკრძალავდა იმ ღვდელთან და პატრების

ეკკლესიაში მისვლას. მასთანვე თავის მოვალეობასაც სრულებით ყურადღებას არ აქცევდა, იმ ზომამდე, რომ კაფუცინებს არ მოესწროთ ბოლო წამს, გაუნდობელნი და უზიარებელნი გარდაიცვლებოდნენ მღვდელი ანტონი, ივანე, გიორგი, ოსტატი დავითო და ხოჯაანათ დანიელას მეუღლე მარიამი.

ისე ჰგავს, ზოგიერთ ახალციხის მღვდლებს სომხურ ტიბიკონთან შეუთვისებიათ მტრობა, რომელიც სომხებს მუდამ ჰქონდათ ლათინის მოძღვრების მიმართ. ეს არც უნდა იყოს გასაკვირველი, რადგან ახალციხის მღვდლებს ხშირად დაახლოვება ჰქონდათ სომხის ტომის მღვდლებთან, რომელნიც მღვდლების სიცოტავის გამო, ხშირად ახალციხეს მოდიოდნენ და მათ თანამდებობას ასრულებდნენ. საბუთი ბევრია. მაგალითად: 2 ივნისს 1742 წ. ოთხს მღვდელს ახალციხიდან მოუწერიათ თავიანთ ამბავი პასუხად ზემოდ დასახელებულის არზუმის მინას ვართაპეტისათვის; წერილს ხელს აწერენ: ტრაპიზონელი მღვდელი პავლე ვართაპეტი, ახალციხის ეკკლესიების უფროსები მღვდელი ივანე დიდი და მღვდელი პეტრე ბასილის შვილი, და მღვდელი სარქისი. აქიდგან ცხადათ სჩანს, რომ პირველი და მეოთხე მღვდელი ტომითაც სომხები ყოფილან. ეგრეთვე იმათზე უწინ ახალციხეში უფროსად მოსულა კონსტანტინეპოლიდან ერთი სომხის მღვდელი, ივანე მეხითარი. აი ამითი აიხსნება ახალციხის მღვდლების ხშირი მტრობა ლათინის მოძღვრების მიმართ.

სამცხეში რომ კაფუცინების მისვლამდე, კათოლიკები ბლომად ყოფილან, ამას პროპაგანდის ეს წერილი გვიჩვენებს:

„საქართველოში ბატონ მღვდელ იოსაფატს შაშელს, 3 იანვარს 1733 წ.—წმიდა კრებამ მიიღო თქვენი გავლილი წლის 15 მარტის წერილი, რომლითაც სცნო დიდის გულშემატკივრობით ყოველი შეწუხება, რომელშიაც იმყოფებიან მანდაური კათოლიკები. კაი ხანია მანდეთკენ გამოგზავნილ იქმნენ კაფუცინების ახალი მისიონერები და იმედია ეგენი შეეწიონ მაგ კათოლიკებს, რაც კი შეეხება წმიდა კათოლიკე სარწმუნოების შესრულებას. კარგად მოქცეულხართ, რომ კონსტანტინეპოლში მინას მღვდლის შეუსაბამო თხოვნას არ დათანხმებიხართ და უფრო კარგად მოქცეულხართ, რომ ეგ არ გაგიმხელიათ მაგ პროვინციის სხვა კათოლიკე მღვდლებისათვის. ხოლო როდესაც, რომლისამე საქმის გამო, საჭირო გაგიხდებათ მიმართვა კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ვიკარია არქიეპისკოპოსთან, პირდაპირ მას მისწერეთ, სხვებს არ მიმართოთ. თქვენს ყოველს საფუძვლიან თხოვნას დააკმაყოფილებს. ჯერ ამის მეტი არაფერი მაქვს თქვენთან მოსახსენებელი, ვსთხოვ ღმერთს თქვენთვის ყოველ სიკეთეს“. (1).

ამ შავშელის მღვდელის სხვა ცნობები არა გვაქვს და არცა გვაქვს ის წერილი, რომელიც გაუგზავნია რომს.

რომში 1746 წ. 23 ივლისს, მღვდლად ეკურთხა სომხურ ტიბიკონზე ახალციხელი ივანეს შვილი სტეფანე ვარამანთი და იმავე წელს 15 სექტემბერს დაბრუნდა ახალციხეს. რაკი პროპაგანდის კოლეგიის სიაში არ არის მოხსენებული ამიტომ არ ვუწყით, რომში სასწავლებლად როდის წასულა.

იმავე 1746 წელს ახალციხიდგან წასულა, ერთი მცირე დიაკონი როსტომი 60 წლისა რომში მღვდლად საკურთხებლად. როსტომი უწინ ოქრომჭედელი ყოფილა. როდესაც დაქვრივებულა, სასულიერო საქმეს შესდგომია. პატრი ლეონ ბოველი თავის 1746 წ. წარდგენილ მოხსენებაში კარგად აქებს მას.

1747 წ. ახალციხიდგან წავიდა რომის კოლეგიაში სასწავლებლად ივანეს და სოსანას შვილი პავლე ასლანოვი, რომელიც შვილის შვილი იყო ზემოდ დასახელებულის ივანე მღვდლისა. რადგან იმ დროს, კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსის მეცადინეობით, დამყარდა მშვიდობა ახალციხის მღვდლებსა და პატრებს შუა, უმფროსმა პატრმა პროპაგანდასთან გაატანა პავლეს თავის გასაცნობელი წიგნი. ეგრეთვე მისი მიღება სთხოვა თვით კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსსაც. პავლესი პროპაგანდის კოლეგიის სიაში მოხსენებულია ესრედ: „საქართველოდგან მოსულმა სომხის ტიბიკონის მქონე 15 წლის ქართველმა პავლემ ლეონიმ (ასლოვმა) ფიცი მისცა 21 ნოემბერს 1749 წ.“. (1).

თავის თავს აწყვერის ქართველთ ეპარქიის მრევლის წევრად სთვლის. ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება ლაპარაკი.

კონსტანტინეპოლის ლათინის ეპისკოპოსი ფრანჩისკე იერონიმეს 18 აგვისტოს 1748 წ. აღმოსავლეთის კათოლიკების შესახებ ერთ მოხსენებას უგზავნის რომში და სამცხის კათოლიკების რიცხვის შესახებ ამ ცნობებს აძლევს: ახალციხის კათოლიკები 10,000 არიან, ივლიტას 500; ახალციხის გარეშე სოფლებში, უდეს, არალს და ვალეს, 600; ახალქალაქსა 1,000; შავშეთსა, 1,000 და ორი მღვდელი; სათლელსა, 500 და ერთი მღვდელი; არტაან უჯისა, 100; ართვინისა 2,000 და ორი მღვდელი.

წინა თავში უკვე მოვიხსენიეთ ტფილისელი ივანე ჯიგანჯნთი, რომელიც რომში სომხურ ტიბიკონზე ეკურთხა მღვდლად და წამოვიდა საქართველოში 1741 წ. იმან მაშინვე ვერ შეიძლო საქართველოში შემოსვლა ოსმალეთისა და სპარსეთის ომის გამო და ეგრეთვე კოსტანტინეპოლში კათოლიკების წინააღმდეგ სომეხთა მიერ დევნულების გამო. ამიტომ განკარგულება მიიღო, შეჩერებულიყო გზაში. რაისგამო დარჩა

სმირნის ვენეციის კონსულთან ვიდრე 1749 წ. იქ, როგორც ერთი მისი წერილიდგან სჩანს, ტყვედ მიყვანილ ქართველებს ასწავლიდა სარწმუნოებას, ამზადებდა ქადაგებანსა და სთარგმნიდა წიგნებს. რადგან ახალციხეში ძრიელ საჭირო იყო ერთი კარგი გასწავლული მღვდელი, კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსმა დანიშნა იგი თავის ვიკარიად; პროპაგანდამაც დაამტკიცა არჩევა. ამიტომ პროპაგანდამ 25 იანვარს 1749 წ. მისწერა, რათა წამოსულიყო საქართველოში ახალ თანამდებობის ჩასაბარებლად და დაეცვა მშვიდობიანობა და წესიერება. იგი მაშინათვე დაადგა გზასა, მაგრამ ზედ მიწევნით არ ვიცით, თუ რომელ თვეში მოვიდა ახალციხეს.

მანამ ის მოვიდოდა ახალციხეში უფროსად და ვიკარად დანიშნული იყო პატრი ნიკოლა ჯირჯენთელი, მაგრამ არა კოსტანტინეპოლში მყოფი ლათინის ეპისკოპოსისგან, არამედ ისპაჰანის ლათინის ეპისკოპოსისაგან. რადგან საქართველოს კათოლიკები იმის ბრძანებას ემორჩილებოდენ, ახალციხეც თავის ეპარქიად მიაჩნდა. ის ეპისკოპოსი, როდესაც საქართველოში მოვიდა, ახალციხის მღვდლებს მისწერა ეს წერილი: „ფეხშიშველთა კარმელიტანების წესისა ფილიპე მარიამი წმიდა აგვისტინესი, სალვთო მადლითა და სამოციქულო საყდრის წყალობით ისპაჰანის ეპისკოპოსი და სრულიად საქართველოს უფროსი.

„გაუწყებთ მღვდელს ივანეს და ახალციხის ეკკლესიის სხვა ყველა მღვდლებს, ვითარცა უკვე გაცნობეთ 1738 წ., რომ ჩვენ ულირსს მოგვენდო ისპაჰანის ეპისკოპოსობა, მასთანვე უფლება ვმართოთ მთელი საქართველო თანახმად წმინდა პროპაგანდის კრებისა, 8 ნოემბერს 1732 წ. დადგენილებისა. ამისგამო წრეულ მოვედით ტფილისსა და გორში. გვინდოდა თქვენს სანახავადაც მოვსულვიყავით ახალციხეში, რომელიც საქართველოს ნამდვილი უმთავრესი ადგილია, მაგრამ ქვეყნის იგოდენი არეულობის გამო ვერ შევიძელით ჩვენი სურვილის შესრულება. ამიტომ ქრისტეს მიერ საყვარელი ჩვენი ძმა პატრი ნიკოლა ჯირჯენთელი, წმიდა ფანჩისკეს წესის კაფუცინი, დავადგინეთ ჩვენს ვიკარად, მთელს საქართველოს სამფლობელოში, ტფილისსა, გორსა, ახალციხესა, შავშეთსა, ართვინსა და მათ გარეშე ადგილებში, და მივეცით სრული უფლება, ვითარცა შეჰფერის ასეთს სამსახურს. გევედრებით დაემორჩილოთ ისე, როგორც მე. რადგან ჩვენდა დიდ სამწუხაროდ ვიცანით, რომ ზოგიერთის მღვდლების უზრუნველობით, მანდ მიცვლილან ქრისტიანებზე გაუნდობელნი და უზიარებელნი, რაიც უდიდეს ცოდვას შეადგენს ღვთის წინაშე; ეკკლესიაში თავის დროზე ჟამ-კანონის მხურვალედ შესრულებაც მოსპობილა და საუბედუროდ, თქვენში აღარ არსებობს ის ერთობა, რომელიც უნდა იყოს ღვთის მსახურთა შორის,

ამიტომ იმავე ღვთის სიყვარულისა და მისი საშინელის სამსჯავროს გულისთვის გთხოვ, ამას იქით იფხიზლოთ ღვთის და წმიდა ეკკლესიის სამსახურის შესრულებისათვის. თუ თქვენს შორის ვინმე ჩვენი მამობრივი რჩევა-დარიგება ყურადღებელი დასტოვა (რაც ღმერთმა ნუ ინებოს), მაშინ დავსჯით თავის ბრალის დაგვარ და ვიტყვით პავლე მოციქულთან ერთად კორინთელების მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეს სიტყვებს: „ეს ვყავი რადგან თქვენ ძალა დამატანეთ". დიდად ვნატრობ, ღვთის მსახურება წესიერად შესრულდეს, ამიტომ ამ წიგნის ძალით ახალციხის ეკკლესიების უფროს მღვდლად გნიშნავთ თქვენ ივანე მინასას შვილს და იმედი მაქვს თქვენის სიბრძნისა, ამ ეკკლესიების სვებედი ღვთის სიტყვის თანახმად განაგოთ. უკეთუ რაიმე დაგჭირდესთ საჩქაროდ ან ჩვენ გვაცნობეთ, ან ხსენებულს ჩვენს ვიკარიას, რათა მაშინვე მივეშველოთ. თუ ქრისტეს მიერ საყვარელს ბატონ იეთარანთ სიმონას სურს პროკურატორად ყოფნა, იყოს; ხოლო თუ არ მიიღებს, მაშინ მიიღოს ეგ მოვალეობა ბატონმა ქარჩხოანთ გრიგოლმა. აწ შეგეწიოსთ ღმერთი და წარგიმართოსთ ყოველი თქვენი საქმე მის ყოვლად წმიდა სახელის სადიდებლად და ვსთხოვთ, ალგავსოსთ თავისი ყოვლად წმიდა კურთხევით. უფლისამებრ მოგესალმები. ტფილისი 1745, აგვისტოს 26". (1).

ამ წერილმა ბევრი უსიამოვნება და წინააღმდეგობა გამოიწვია. ახალციხის მღვდლებმა არა სცნეს პატრი ნიკოლა თავიანთის ეპისკოპოსის წარმომადგენლად. ეს გარემოება მაშინვე აცნობეს კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსსა. რომშიც გაიმართა მიწერ-მოწერა და გამოძიება ამ საგნის შესახებ. კაფუცინები იმ აზრისა იყვნენ, რომ ახალციხე, საქართველოს სხვა პროვინციებით, ისპაჰანში მყოფის ეპისკოპოსის უფლებაში უნდა იყოსო. ხოლო ახალციხის მღვდლები კი კოსტანტინეპოლზედ დამოკიდებულებას რჩეულობდენ. გამოძიების შემდგომ, პროპაგანდამ რა სცნო კოსტანტინეპოლში მყოფი ლათინის ეპისკოპოსი დიდის ხნიდგან განაგებდა ახალციხის საქმეებს, თუ წერილებით და ვიკარიების დანიშვნით. ეგრეთვე რადგან უწინვე პაპს დაედგინა, რომ იმ ეპისკოპოსს დაქვემდებარებოდა ოსმალეთისგან შეძენილი ყველა ახალი ადგილებიც, ამიტომ ახალციხის ეპისკოპოსობა მიაკუთვნეს ისევ კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსს. ხოლო ისპაჰანში მყოფი ეპისკოპოსის ბძანების ქვეშ დარჩა საქართველოს დანარჩენი ადგილები. ამ გარემოებამ გამოიწვია და ააჩქარა ზემოდ ხსენებულ მღვდელ ივანე ჯიგანთის ვიკარიად დანიშვნა ახალციხეში.

გარნა ამ ახალმა ვიკარიამ არ შეასრულა არაფერი, რასაც ავალებდა მისი ახალი თანამდებობა. რა მივიდა, პირველ ხანად კარგად შეუდ-

გა ყოველ სამსახურის ასრულებას, მაგრამ ბოლომდინ ისე ვერ გაატანა, მალე უკლო გულმოდგინებას. მას მიჰბაძეს დანარჩენ მღვდლებმაც, რისგამო მალე გამრავლდა ერში უწესოება და სარწმუნოების მხრივაც დიდი უმეცრება დაეტყო ყველას. გარდა ამისა, ჟამის დროს ეს ვიკარია გაიქცა ახალციხიდგან; სხვა მღვდლებმაც მას მიჰბაძეს, ისე რომ გაჭირვებულ დროს ეგოდენა ერი დარჩა უმწყემსოდ, რისგამო ქალაქსა და სოფელებში ბევრი იხოცებოდა საიდუმლოების მიუღებლად. იმ დროს მარტო ხიზაბავრას 30 სულზე მეტი მიიცვალა აღსარება-უთქმევინებელი.

ამ გაჭირვებულ მდგომარეობას მოუსწრო ზემოდ დასახელებულმა, ახლად ნაკურთხმა პავლე ასლანოვმა, რომელიც რომიდგან 1755 წ. მოვიდა. დიდის გულ მოდგინებით შეუდგა ერის მოვლას; ყველას აღმოუჩინა შემწეობა, ჟამის დროს თავისი თავი არ დაზოგა და ავადმყოფებს ყური უგდო. თუმცა თავ განწირულის და ერთგულის სამსახურით მალე ერის სიყვარული დაიმსახურა, მაგრამ მღვდლების გული კი ვერ მოიგო. უფროსმა მღვდელმა ივანემ მადლობის ნაცვლად, შური და მტრობა დაუწყო. ამ ნაირად იმ უწინდელ ურიგობას მიემატა ეს ახალი შფოთიც, რომელიც არა ნაკლებ მავნებელი შეიქმნა ახალციხის ერისათვის. ასეთი სამწუხარო გარემოება პავლე მღვდელმა მალე აცნობა პროპაგანდას ვრცელის წერილით ესე:

„ყოვლად უმაღლესო ბატონებო, დიდათ ვნატრობ, თქვენმა უმაღლესობამ კარგად სცნოს ყოველი გარემოება იმისი, ვინც თქვენი უმდაბლესი მონა და შვილია, ესე იგი, საქართველოს ახალციხელი მღვდლის პავლე ასლანოვისა. თქვენის პატიოსანის ბძანებით ამ წლის 17 თებერვალს წამოვედი რომიდგან და მოვედი ჩემს სამშობლოში 16 ოქტომბერს. რავდენისამე დღის შემდგომ დავიწყე ყოველი საგნის აღსრულება, რასაც კი სასარგებლოდ ვსცნობდი სულთა ცხონებისათვის. მალეც მოვიგე ერის სიყვარული, მაგრამ მღვდლებისა კი ვერა. იმიტომ კი არა, არ მსურებოდეს, არამედ იმათ არ ინდომეს. მითხრეს, ვითომც წმიდა კრებისაგან დათხოვნილი ყოფილვიყო ჩემის ცუდის საქმეების გამო და ეს შენი დოქტორობის მოწმობაც ყალბიაო. ამ უსიამოვნების უმთავრესი მიზეზი შეიქმნა ის მღვდელი, რომელთანაც რომიდგან ერთად წამოვედი თქვენის ბრძანებით. შემდგომ მოველაპარაკე ბატონ მღვდელს ივანე ჯიგანანთს, რომელიც აგრეთვე მანდაური მოწაფეა; ვსთხოვე, ენება და წაეკითხა კოლეგიის მოცემული ჩემი წამოსვლის მოწმობა და კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსის ბიაჯო დე პავლის მოწმობაც. ამაზე ბევრი ვეხვეწე და სხვებსაც ვათხოვინე, მაგრამ მაინც კი არ წაიკითხა, ამისგამო კაფუცინ პატრებს და განსაკუთრებით უფროს პატრს ვსთხოვე, წაეკითხა და ერისათვისაც ამის შესახებ რამე ეთქვა,

რათა ერს, თუ ცუდი რამ აზრი ჰქონდა, გამოეცვალა და უმეცარი პირების ნათქვამისათვის ყური არ ეთხოვებინა. მართლაც იმ უფროსმა პატრმა პატივი მცა და ყოველ ნაირად ეცადა, რათა დამემსახურებინა პატივი და კარგი სახელი, რომელიც საჭიროა სამოციქულო მისიონერისათვის. ღვთის წყალობით ერი მაშინვე დარწმუნდა ამაზედ, ხოლო მღვდლები კი არა. ამის წინაალმდეგ მეშურნობით სთქვეს და დღესაც ამბობენ, რომ ვითომც ჩემი დოქტორობის მოწმობა ყალბი იყვეს, როგორც უწყიან პატრებმა და ერმა, მე უპასუხე, თუ არა გჯერათ მისწერეთ წმიდა კრებას და იმის პასუხის შემდეგ გამოცხადდება თუ ვინ არის მატყუარი და ვინ სცრუობს მეთქი. ეგრეთვე გაუწყებ თქვენს უმაღლესობას, რომ ტფილელი ჯიგანანთ მღვდელი ივანეს არ უნდა ჩემი ახალციხეში დარჩენა, არამედ უნდა, რომ დავბრუნდე საიდანაც მოვედი. ეს მითხრა რვა მღვდლის წინაშე. მეც უპასუხე: პროპაგანდის მოწაფე ვარ, ამიტომ ვალდებული ვარ, სიკვდილამდე ჩემს სამშობლოში ვიყო და ვიშრომო სულთა ცხონებისათვის მეთქი; მაშ ძმაო, თუ გინდათ ჩემი წასვლა, სიამოვნებით წავალ მეთქი. ამაზე მითხრა, „ძმას“ ნუ მეძახიო. მეც შევპირდი ასე აღარ დავუძახო. ბოლოს ხელზე ვაკოცე და გამოვემშვიდობე. გარდა ამისა, აქ, ახალციხეში, ჟამი მძვინვარებდა; ხსენებული ჯიგანანთი შიშით გაიქცა, მის შემდგომ სხვა მღვდლებიც გაიქცნენ. ორ გზის უთხარი არ გაქცეულიყო, რადგან ჩვენ ცალკე ფიცით დავალებული ვიყავით, რათა, მეტადრე ამისთანა გაჭირვებაში გვეშრომა სულთა ცხონებისათვის, გარნა პასუხი არ მომცა. იმ დროს ერთი გადაიცვალა, მან კი მიცვალებული საეკკლესიო წესით არ დაასაფლავა და ბოლოს მაჰმადიანებმა დაასაფლავეს. ეს არაფრად ჩააგდო. მრევლს ეუბნება, რომ ეკკლესიებში აილონ ფიჩხები და დუქნებში აღარ იარონ; რათა ჟამი არ შეეყაროსთ. ერი კი მის ესეთ ლაპარაკისათვის დრტვინავს. ეკლესიის ხელსაწმენდები, როგორც ნახშირი, ისე ჭუჭყიანები იყო; პირველად მე გავარეცხინე! ღვდლები ხარბნი არიან და საშინლად ღვინის სმა უყვართ. როდესაც ვინმე გარდაიცვლება, ღამე ასაფლავებენ; ასეთი რამ ჯერ არ გაგონილა ახალციხეში. ეკკლესია სამიკიტნოს დამსგავსებია და თითქმის უარესიც გამხდარა. ხმის ამომღები კი არავინ არის. ერთი სიტყვით სარწმუნოება და ქრისტიანობა აღმოფხვრილა ახალციხეში. ბევრი უარ ჰყოფენ სარწმუნოებას, ამიტომ ვალად ვსცანი მეუწყებინა თქვენთვის. ამ ყოველსავე მოვანდობ თქვენს სიბრძნესა. გარდა ამისა ჩემი დოქტორობის მოწმობა წავაკითხე, რათა ჩემი ცილისმწამებლები შერცხვნენ და ცილის წამება მოიშალონ და ეგოდენი ცოდვები აღარ მოიკიდონ, რასაც ყოველ დღივ ცხადად მოქმედობენ. ეს რა შეიტყო ჩემმა თანამოწაფემ, ბატონმა ჯიგანანთმა, განრისხდა, შე-

კრება ყველა მღვდლები, მეც დამიბარა და ყველას წინაშე დამიწყო ყვირილი ისე, რომ ყველა იქ მყოფთაც დამიწყეს ყვედრება. ამ ნაირად მათ წინაშე დამაკარგვინა ის კაი სახელი, რომელიც აქამომდე მქონდა. მეც ეს ვუპასუხე: ბატონო რად ჯავრობთ, ორ გზის გთხოვე, რომ წაგეკითხათ ჩემი მოწმობა, მაგრამ თქვენ არ ინებეთ და არც რამეთ ჩასთვალეთ; შემდგომ სხვებს წავაკითხე, რათა ჭეშმარიტება გამოცხადებულიყო, ამიტომ საბუთი არა გაქვსთ გამიწყრეთ; რატომ არ გინდათ, რომ პროპაგანდის მოწაფემ, შურით დაკარგული სახელი და პატივი ხელახლავ მოიპოვოს; როდესაც შეუძლია მეთქი? არაფერი პასუხი მომცა. კვალად ვუთხარი ეს: მუდამ თქვენის ბრძანების ქვეშა ვარ. მიბრძანეთ რამე და, უკეთუ არ დაგემორჩილო, მაშინ გექმნებათ საბუთი, გამიწყრეთ; ახლა კი არა გაქვსთ მიზეზი ჩემზედ ეგრე უსამართლოდ გაწყრომისა მეთქი. პასუხი აღარ მომცა, ეს ყველამ იცის: პატრებმა, მღვდლებმა და ერის კაცებმაც. კაფუცინებმა კოსტანტინეპოლში კიდევაც მისწერეს ბიაჯო ეპისკოპოსსა, რათა მალე ყურადღება მიექცია ასეთი უსამართლობისათვის, მოესპო დაბრკოლება და მოეხედნა სამწყსოსათვის.

„დასასრულ მზად ვარ ჩემი სისხლიც კი დავღვარო აღსასრულებლად იმ კეთილის საქმისა, რომელსაც საჭიროდ შევრაცხავ სულთა ცხონებისათვის, ამის მოვალე ვარ ფიცითაც, რომელიც ვყავი მაგ კოლეგიაში. ამიტომ ვევედრები თქვენს უმაღლესობას, რათა ჯერ იჩინოთ და დამიხსნათ ესეთი დაბრკოლებისაგან და კეთილ ინებოთ და აცნობოთ ამ ერსა, რომ თქვენი მოწაფე და შვილი ვარ, და ჩემი დოსტაქრობის მოწმობა ყალბი კი არა, ნამდვილია და ის ნამდვილი ვუჩვენე ხალხსა და არა სხვა რამ მოჩვენებული. ერს არც კი ვუჩვენებდი, უკეთუ იმ დროს იძულებული არ ვყოფილვიყავი. ამიტომ სიმდაბლით და დიდის კდემით ვემთხვევი თქვენს მარჯვენას და ბისონს და ვითხოვ უფლისაგან თქვენს ყველანაირს ბედნიერებას. მარადის თქვენი ყოვლად მდაბალი შვილი და მონა, მღვდელი პავლე ასლანოვი, პროპაგანდის მოწაფე“. (1).

პროპაგანდამაც პასუხად სანუგეშო წერილი მისწერა 1756 წ. 21 აგვისტოს.

ხსენებულმა ჯიგანანთ მღვდელმა თავის უწესოება მაინც არ მოიშალა. რისგამო ბევრი საჩივარი მისწერა კოსტანტინეპოლში ეპისკოპოსს, რომელმაც რა სცნო ყველაფერი, თავის ვიკარიობა ჩამოართვა იმ მღვდელს და დროებითად მის ადგილას დანიშნა კაფუცინების უფროსი ლეონარდო; ეგრეთვე ერთი მღვდელი განგებ გაგზავნა ახალციხეში ყველაფრის გამოსაძიებლად. ამ ამბავს თვით ეპისკოპოსი აუწყებს პროპაგანდას 19 ივნისს 1757 წ.

ახალციხეში ესეთი უწესოება იმიტომ გაძლიერდა, რომ კაფუცინებს აქაურ მღვდლებზე აღარავითარი ძალა და გავლენა ჰქონდათ, თუმცა იქ ერს უვლიდენ. პატრი ლეონარდომ ყოველი საშუალება იხმარა იქაურის ურიგობის მოსასპობლად და მშვიდობის დასამყარებლად და საკმაოდაც დაადგინა წესიერება.

მღვდლების ურიგო ყოფა-ქცევამ მეტად ავნო კათოლიკობის წარმატებას, მაგრამ ისე კი არ მოსპო, როგორც ზემოდ მოყვანილ წერილში ამბობს მღვდელი პავლე; არამედ კვალად ბლომად იყვნენ კათოლიკები თუ ახალციხეში და თუ მის გარეშე. ამას გვიჩვენებს პროპაგანდის ერთი მოხსენება 1757 წ. სამცხის კათოლიკების შესახებ: „ახალციხის კათოლიკებია ექვსი ათასი; ახალციხეზე დამოკიდებულ სოფელ ახალქალაქში იყო 200 კათოლიკე და ერთი მღვდელი; ახალციხიდგან სამი საათის სავალზე ვალეში 150 კათოლიკე და ერთი მღვდელია; ნახევარი საათის სავალზე ივლიტას 700 კათოლიკე და ერთი მღვდელია; არალს 100 კათოლიკე და ერთი მღვდელია; უდეს 300 კათოლიკე და ორი მღვდელია და 700 კათოლიკეც არის სხვა გარეშე სოფლებში, რომლებსაც სულიერ სამსახურს უსრულებენ ზემოდ ხსენებული უდისა, ივლიტისა და ახალციხის მღვდლები. ახალციხეზე დამოკიდებულ შავშეთის სანჯაყში არის 1000 კათოლიკე და ორი მღვდელი; პატარა ქალაქ სასათელში 500 კათოლიკე და ერთი მღვდელია; არტანუჯში 100 კათოლიკეა, მაგრამ ფარულად; იმათ საიდუმლოებს უსრულებს აქ დასახელებული სასათელის მღვდელი. ართვინის ქალაქში, რომელიც საკმაოდ დასახლებულია და გაშენებული ნახევრად გორაზე და ნახევრად ვაკეზე, ორიათასი კათოლიკეა და ორი მღვდელი“, (1).

ზემოდ ხსენებული მღვდელი პავლე ასლანოვი 1760 წ. ახალციხიდგან კოსტანტინეპოლს გაიქცა, რადან მისის მშობლებს მოვალე თათრები ძრიელ აწუხებდენ და მოკვლასაც უპირებდენ. ვგონებთ 1761 წელს, ლიბანის მთას კათოლიკე სომხების კათალიკოსმა ეპისკოპოსად აკურთხა პროპაგანდის დაუკითხავად და მის ნება დაურთველად. ამნაირი უკანონო მოქცევაზე რომმა სასჯელად, შეჩვენების ქვეშ, სამარადისოდ აუკრძალა იმ ასლანოვს საეპისკოპოსო მღვდელთ-მსახურების ასრულება, ეგრეთვე აუკრძალა ეპისკოპოსის სახელიც ეტარებინა და ახალციხეში მიბრუნება.

როგორც წინა თავში მოვიხსენიეთ, იმ დროებში კავკასიის მთიელთა გასაკათოლიკებლად რომმა გამოგზავნა მისიონერები. ასლანოვსაც ნება მისცა, ახალ მისიონერებს წამოჰყოლოდა და მათთვის გზათა კვალი ესწავლებინა. რადგან კავკასიის გზებში იმ მისიონის უფროსი მოკვდა და სხვები უკან დაბრუნდენ, პავლე ასლანოვიც, რომის თანახმო-

ბით, მობრუნდა ახალციხეს და შეუდგა უწინდელივით ერის მოვლას როგორც მარტივი მღვდელი და არა როგორც ეპისკოპოსი.

რომში სწავლა დაასრულეს ახალციხელმა ფირალანთ ანტონმა და ტფილელმა ქართველმა შაროვანთ ფრანჩისკემ და 1763 წ., აგვისტოს თვეში, კოსტანტინეპოლში ეკურთხნენ მღვდლად სომხურ ტიბიკონზედ. იმათ იქ ყოფნაში ახალციხიდგან მოვიდა ორი ახალგაზდა ქართველი რომის კოლეგიაში წასასვლელად. ერთი ყოფილა მაქანდრიანთ გრიგოლი. კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსი ჯერ იმას ჰგზავნის რომს და სწერს: „....თქვენს ყოვლად უმაღლესობას ვაუწყებ, რომ გავლილის თვის 24-ს, ამ ბრწყინვალე ქალაქში გამოვგზავნე ერთი ახალგაზდა ქართველი გრიგოლ მაქანდრიანთი ურბანოს კოლეგიაში შესაბარებლად. ხსენებული ყმაწვილი იქაური საუკეთესო ოჯახის შვილია, ეგრეთვე ძრიელ ნიჭიერი, კარგის ზნეობისა და ჯანმრთელია; უფრო სასიამოვნო ის არის, რომ სულ თავისი ხარჯით მგზავრობს; მეც ამ პირობით გამოვგზავნე. იმედი მაქვს, თქვენს უმაღლესობას ესოდენ მომჭირნეობა საწყენად არ დაურჩეს. ხოლო მეორე ახალგაზდა, რომელიც მოვიდა ძრიელ ღარიბია, მაგრამ ძრიელ ნიჭიერია. იმედი მაქვს, ისიც მომავალ თვეში გამოვგზავნო; გარნა წმიდა კრების ხარჯით იქნება; ვეცდები კი რაც შეიძლება, ცოტა დაიხარჯოს. აწ მდაბლად თავს დავუკრავ თქვეს უმაღლესობას და ვემთხვევი თქვენს კურთხეულ ბისონს.—თქვენის უმაღლესობის ფრიად მდაბალი მონა, ბიაჯო პავლი არქიეპისკოპოსი, სამოციქულო ვიკარია კოსტანტინეპოლისა 20 აგვისტოს, 1763, კოსტანტინეპოლის პერას" (1).

მეორე ახალგაზდას რა სახელი ჰქონია, არა სჩანს. იმ ორი ქართველის შესახებ ფირალანთ ანტონაც სწერს იმავე დროს რომსა, მაგრამ არც ის იხსენიებს მეორე ქართველის სახელს. გარნა იმ წერილზე უწინ მღვდელ ფირალანთ ანტონს გრიგოლ მაქანდრიანთზე რომს მიუწერია წიგნი:

„თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ.

„ჩემი წერილის მომტანი ახალგაზდა გრიგოლ მაქანდრიანთი პატიოსანის კოლეგიის მოწაფედ დიდის ხნიდგან იყო არჩეული თუ ეპისკოპოსის პავლე ასლანოვის და თუ პატრი კაფუცინებისგან, მაგრამ აქამდე შეუძლებელი შეიქმნა, თავის მშობლებს განშორებოდა. ახლა, საბედნიეროდ, აქ მოვიდა თავის ძმასთან ერთად იმ აზრით, რომ წავიდეს წმიდა ლაზარეს მონასტერში *) გარნა მისი ძმა, და ესეც დავიყოლიე მანდ წამოსასვლელად, მაშინვე წარვუდგინე ეპისკოპოსს, საპატრიარქო

---

*) მეხითარისტებთან ვენეციაში.

ვიკარიას და ვსთხოვე მისი რომში გაგზავნა. თავდაპირველად მითხრა: ძნელია, ჯერ საჭიროა რომში მივსწეროთ, იქიდგან ნება ავიღოთ და ისე გავგზავნოთო. კვალად ვთხოვე, პირველ შემთხვევაშივე გამოეგზავნა, რადგან რომიდან ჩემის წამოსვლის დროს თქვენმა ღირსებამ მითხრა, რომ წმიდა კრება სიამოვნებით მიიღებდა საქართველოს ხუთ მოწაფეს, ესე იგი ორ ახალციხელს, ორ ტფილელს და ერთს ართვინელს. მე და ვიკარია ეპისკოპოსი მოვუცდიდით რომიდან ნების მიღებას. მაგრამ შეგვეშინდა, ეს ახალგაზდა ვენეციაში არ წასულიყო და ან არ ემსხვერპლებია ჟამს, რომელიც იქ მძვინვარებდა. იმედია, ეს ყმაწვილი კარგი გამოდგეს, რადგან ძრიელ დიდი ნიჭი აქვს; მეტად მიზიდულია სწავლასა და სარწმუნოებაზე, მხიარულია, ჯანმრთელი და ახალციხის საუკეთესო ოჯახის შვილია და ეგრეთვე ჩემი ბიძაშვილი. ამ მიზეზის გამო იმედი მაქვს, თქვენმა უმაღლესობამ არ გაგვამტყუნოს, არამედ მიიღოს და შეიწყნაროს თავისი ჩვეულებრივის სახიერებით და გულკეთილობით. შემდეგში სხვა წერილით გაცნობებთ ჩვენს წასვლისა და კურთხევის შესახებ. აწ დავშთები ღრმა პატივისცემით თქვენი უმდაბლესი და უმორჩილესი მონა ანტონ ფირალანთი, პროპაგანდის მოწაფე. 26 ივლის, 1763 წ. კონსტანტინეპოლი“ (1).

აქ დაპირებული წერილი მისწერა 24 აგვისტოს და აუწყა თავისი მღვდლად კურთხევა და მეორე ახალგაზდა ქართველის მისვლა. ეს და ზემოდ ხსენებული ტფილელი ფრანჩისკე, რა ეკურთხებოდენ, რომ მის განკარგულებით უნდა წაჰყოლოდენ წმიდა ივანე ნათლისმცემლის მონაზონებს კავკასიის მთების მისიონისათვის, გარნა არ ვიცით რა მიზეზით, თან აღარ წაიყვანეს. ამიტომ 1763 წ. ორნივე წავიდენ ახალციხეში და შეუდგნენ ერის მოვლას. ამ დროებში მღვდლის ფირალანთ ანტონის მოქმედების ბევრი არა ვიცით რა, ხოლო ტფილელის მღვდლის ფრანჩისკე შაროიანთის შესახებ მოგვეპოება ერთი მისივე ვრცელი წერილი, რომელშიც დაწვრილებით აღწერს თავის მოქმედებას და თავგადასავალს. რადგან საკმაოდ საინტერესოა მისი რომში მიწერილი წიგნი, ტექსტითვე მთლად მოგვყავს.

„თქვენო უმაღლესობავ ყოვლად პატივდებულო ბატონო. თქვენი უმაღლესობა ჩემის 1764 წ. მარტის წერილიდან სცნობდა, რომ ნათლის მცემლის წესის მონაზონებმა მე დამტოვეს და თავიანთთან აღარ წამიყვანეს. ერთ თვეს დავდექი პატრი კაპუცინებთან ახალციხეს. შემდგომ პატრი ვიკარიამ მოსავლელად მომანდო სამი სოფელი, ერთში სცხოვრობს 27 კომლი. ხოლო დანარჩენებში შვიდ-შვიდი კომლი, იმ ადგილებში შვიდი წლის წინეთ იყვნენ ორი მწვალებლობიდან მოქცეული უმეცარი მღვდელი. იმ სოფლების მრევლი ისე უმეცარი იყო,

რომ ამ ერთი მღვდლის მეუღლემ, რომელიც დღესაც ცოცხალია, არ იცოდა არც პირჯვრის დაწერა და არც ის თუ რავდენი ღმერთი იყო; აქიდგან შეიძლება მიხვდეს კაცი, თუ დანარჩენ სამწყსოს რა ეცოდინებოდა. შვიდი წელიწადია, რაც მღვდლები მიიცვალნენ, მას აქეთ მრევლი უმღვდლოდ დარჩა. იმ დროს განმავლობაში ახალციხე ქალაქიდგან მიდიოდა ერთი მღვდელი წელიწადში სამ გზის და სამ-სამ დღეს რჩებოდა ყველა სოფელში, სადაც უფრო თავის სარგებლობას ეძებდა, ვირემც სულთა შეწევნას. მე დავბინავდი იმ სოფელში, სადაც უფრო ბლომად იყვნენ კათოლიკები. მივედი თუ არა, მაშინვე გავმართე სკოლა და დავაწყებინე სწავლა იქაურ ვაჟებს, რომლებსაც შეეძლოთ ლაპარაკი და სიარული. თუ ძალით და თუ ტკბილად ვაბარებინებდი სკოლაში ბავშვებს. თუ სიპატარავის გამო მშობლები არ მოიყვანდენ ეკკლესიაში, ყველას წინაშე საკანონოს ვაძლევდი. ყოველ კვირა-უქმობით დილა საღამობით მუდამ ვწვრთნიდი. ბავშვებს საქრისტიანო მოძღვრება ვასწავლე და თითქმის ყოველ დღეს ეკკლესიაში ვამეორებინებდი. ამას არ ვჯერდებოდი, სახლებშიც დავიარებოდი და ვასწავლიდი ცხონებისათვის რაც საჭირო იყო. ხუთი თვეა რაც ამ მხარეში ვცხოვრობ. გავაკათოლიკე ათი მწვალებელი. ერთის თვის განმავლობაში სხვა რვა სულიც უნდა მოქცეულიყო. მაგრამ ჯერეთ საკმაოდ არ იყვნენ მომზადებულნი. მეორე სოფელში ხუთჯერ ვიყავი, ქალებს და ვაჟებს ვასწავლე საქრისტიანო მოძღვრება, მესამე სოფელში კი ერთ გზის მეტი არ ვყოფილვარ, რადგან იქ ბევრი მწვალებელია. რა გაიგეს ჩემი მისვლა და ეგრეთვე ის, ყველა, რაც მომექმედება სხვა ადგილებში, მეორე დღეს ყველანი შეიკრიბნენ ერთად და სთქვეს: ეს რომში ნასწავლია, თუ რამე სიავე არ ვუყავით, ყველას გაგვაფრანგებსო. წავიდნენ, იმ ადგილის მთავართან მიჩივლეს, ბევრი ცილი დამწამეს, ქრთამი მისცეს და ჩემი თავი დააჭერინეს. ასე დამასმინეს: აქ მოვიდა ერთი ფრანგის მღვდელი და დიდ ძალი ფული მოიტანა, მიდიოდა კავკასიაში, მაგრამ ამ ადგილებში სამი დღე დაიმალა და ესე გაიარა აქიდგან, წვერიც მოიპარსაო; ეგრეთვე ჩააგონეს წვერ მოპარსული მღვდელი დიდი ბოროტი ვინმე უნდა იყოსო. გამგებელმა რა გაიგონა ფულის სახელი, შეჰპირდა ჩემს დაჭერას. ეს კი მართალია, რომ ქართლში, გორს რა გავიარე სტეფანე განდოლფ მღვდელთან ერთად წვერი მოვიპარსე, რათა მღვდლად არ გამოვცხადებულვიყავი, მაგრამ მაინც კი შემიტყეს. ჩემმა მოჩივრებმა ესეც უთხრეს: კარებ დაკეტილში ოთხი საათი დარჩა ერთი დედაკაცის გასანდობადაო. ეს სიცრუეა, მართალია, რომ ეკკლესიის უქონლობის გამო, ერთ დედაკაცს აღსარება ვათქმევინე სახლში, მაგრამ კარები ღია იყო და სულ ცოტა ხანს დავრჩი. ეს

მღვდელი ამბობსო, განაგრძეს ჩემმა მოჩივრებმა, საფრანგეთიდგან საუნჯე მოვიტანე და ვინც გაფრანგდება ფულს მივცემო; ცოტა დროს განმავლობაში ყველას გავაფრანგებ თათრებს, ურიებს და სხვას, ვინც კი არიანო. დამწამეს სხვა კიდევ ბევრნაირი ცილი, რომლებსაც არა ვსწერ რათა სიტყვა არ გავავრცელო. გამგებელმა მაშინათვე დააჭერინა ჩემი თავი, არც კი მალაპარაკა, ერთ ბოსელში შემაგდო შებორკილებული ერთი დღე და ღამით; შემდგომ თორმეტი პიასტრი გადამახდევინა და ისე გამიშვა. ეს ჯარიმა ზოგი მე მივეცი და ზოგიც კათოლიკებმა მისცეს. მეორე დღესვე წავედი იმ ადგილიდან. ეს ამბავი აღდგომის კვირაში შემემთხვა, შემდგომ იმ კათოლიკებს მივსწერე, რაც უნდა დამემართოს, უნდა მოვბრუნდე მეთქი, მაგრამ არა ჰქნეს და შემომითვალეს, თუ მოხვედი ჯარიმას კიდევ გადაგვახდევინებენო. გადასახდელი ფული არც მე მქონდა და არც იმათ. ხუთი თვეა, რაც ამ ადგილებში ვშრომობ. უკეთუ იკითხავთ, თუ როგორ ვსცხოვრობ, მოგახსენებთ, რომ ძრიელ იშვიათად ვსჭამ ხორბალის პურს, მხოლოდ ქერნარევ პურს და ხშირადაც მთლად ქერის პურს და ამასაც უშექამანდოთ ვსჭამ, ასე რომ ხშირად ყელი მისივდება; თუთხმეტ დღეში ერთ გზისაც არა ვსვამ ღვინოს და არც ვსჭამ ხორცს; ერთ დღეს ერთ სახლში ვსჭამ და მეორე დღეს, მეორე სახლში; ხსნილში რძესა და ყველსა ვშოულობ, ხოლო მარხვაში კი ცარიელ პურსა და წყალში მოხარშულ მხალზე გადავდივარ. ამ მკის დროს ორი კვირა შევეფარე ერთ უშიშარ ადგილს შიშის გამო ლეკებისა, რომლებიც გამოვიდნენ ხუთასი ანუ ათასამდინ და დაარბიეს აქაურობა. ასეთ შემთხვევაში პატრი ვიკარიასაგან 8 აგვისტოს მივიღე წერილი, რომლითაც მითვლის, წერილს მოვიღებდი თუ არა დღე ყოფილიყო თუ ღამე, წავსულიყავი ქალაქში ერთის საჭირო და ძნელ საქმის გამო. მეც შუაღამისას წავედი. ქალაქში თურმე გიორგი ეპისკოპოსის გაკათოლიკება გამოცხადებულიყო, რისგამო მწვალებლებს მისთვის ეჩივლათ და ფაშასაც დაეტყვევებინა. პორტაშიც ეთქვათ ჩემი, რატომ იმასაც არ დაიჭერენო ყველას რომ ისე აფრანგებსო? ამისგამო პატრებმა დამიბარეს ახალციხეში, რადგან უკეთუ მთავრობის კაცი წავიდოდა სოფელში, მაშინ მგზავრობის ხარჯი გადასახადი იქმნებოდა სამოცი პიასტრიც; ხოლო თუ აქ დამიჭირეს ეს ხარჯი აღარ გადამხდება. ამ ჟამად ერთ სხვა სოფელში ვარ დამალული და არ ვიცი; თუ რა მომელის. გიორგი ეპისკოპოსმა დაიხსნა თავისი თავი ათასი პიასტრის გადახდით. ვალი მაქვს 60 პიასტრი, რომელიც დავხარჯე ნათლისმცემლის მონაზონების გამო. მათ ვსთხოვ ამას და ერთ ფარასაც არ მაძლევენ, მეუბნებიან, რომში მისწერე და ფულს გამოგიგზავნიანო. იმ ფულიდან ერთი ფარაც არ დამიხარჯავს სისმელ-საჭმელში, სულ დაიხარჯა მათთან

მგზავრობაში. მათთან რომ არ წამოვსულვიყავი, ვალი არ დამედებოდა. ახლა, როდესაც სოფლიდგან მოვედი ახალციხეში, დიდად სამწუხარო ამბავი შევიტყე; იმ ამბავმა სხვა ყოველი მწუხარება დამავიწყა, ერთმა პირმა დამარწმუნა, რომ მას უნახავს ერთი წერილი, რომელიც მისვლია ეპისკოპოსს პავლე ასლანოვს და რომელშიაც გამოცხადებულია, რომ წმიდა კრებას ჩემთვის და ფირალანთ ანტონა მღვდლისათვის დანიშნული ფული ხსენებულ ეპისკოპოსისა და ჯიგანანთ ივანე მღვდლისათვის მიუცია, იმისთვის, რომ ვითომ ჩვენ არ გვესურვებინოს წაყოლა კავკასიის მთებში. მტკნარი სიცრუეა და უკეთუ ინებებთ, დავიფიცავ კიდეც. არა თუ ვისურვე წასვლა, ვითარცა წინა წერილითაც გაუწყე, არამედ ორი თვე სულ ვებრძოდი ნათლისმცემლის წესის მონაზონებს იმის გამო, რომ მათ ჩემი დათხოვა არ შეეძლოთ წმინდა კრების უნებურად. ბოლოს ჩუმად წავიდენ და არც შემატყობინესს, რათა თან არ გავყოლოდი და ერთ სოფელში დაიმალნენ. ამის მოწამე არიან ყველა ის პატრები, რადგან მათ წინაშე მოხდა, ხოლო სხვებს კი არ ესმოდათ ჩვენი ლაპარაკი. პატრი ვიკარიამ წინეთ ამის შესახებ გამოგზავნა მოწმობა; ახლაც ორი სხვა პატრის მოწმობას ვგზავნი. ხუთი თვეა რაც ნათლისმცემლის მონაზონები აღარ მინახავს, როდესაც ქალაქში ვიყავი, მინდოდა მათი ნახვა, მაგრამ ვერ შევიძელი, რადგან მეშინოდა, გზაში არავის დავენახე; ისინი კი ახლოს იყვნენ და იცოდენ, რომ მე ქალაქში ვიყავი ხუთი დღე, მაგრამ არც კი მოვიდენ ჩემს სანახავად. თუ მათ არ გადაიხადეს 60 პიასტრი, მე არ შემიძლია მისი გადახდა. რადგან აგერ ხუთი თვეა, რაც ამ სოფელში ვმსახურობ და ორი საწირავის მეტი არაფერი მიმიღია, ვინაიდგან აქაურები ღარიბნი და დაგლახაკებულნი არიან ლეკებისგან. ამისგამო, რომ შვიდი წლის განმავლობაში აქ აღარ ყოფილა განწესებული მღვდელი; რადგან არ შეუძლიათ მისი შენახვა; არც მღვდელს შეუძლია იქ დგომა შიშის გამო, რომ ლეკებმა ტყვედ არ წაიყვანონ იმ სულთათვის, რომლებიც 250 მორწმუნენი არიან; ჩემ თავს ვწირავ და არც ვერიდები განსაცდელს, თუ წმიდა კრებამ რამე შემწეობა არ მომცა, ამნაირ მდგომარეობაში გაძლება არ შემიძლია. გარდა ამისა, იმათ ერთი ბარძიმის გაკეთება არ შეუძლიათ, ხუთი თვეა სხვის თუნუქის ბარძიმს ვხმარობ; იმასაც პატრონი ხშირად მთხოვს; შესამოსელიც ისე დახეულია, რომ იმ შესამოსლით შემოსილ მღვდელს წირვა არ შეუძლია. წმიდა კრებას აწ ამ წყალობას ვსთხოვ, რომ მომიპყრვეს ერთი ბარძიმი და შესამოსელი. ეგრეთვე მზად ვარ დავიფიცო, ახლას დროს გამიგონია, რომ ჩემს ამხანაგს ფირალანთ ანტონა მღვდელს კავკასიის მთებში წასვლის უარი ეთქვას. მოქალაქენი ასე მეუბნებიან: აქ ნათლისმცემლის ორი მონაზონია ცუდათ, კვირაში ორ

სკუდზე მეტს ხარჯვენ, ხოლო თქვენ კი ეგოდენ შრომობთ წმიდა კრებისა და ეკკლესიისათვის და ეგოდენ გაჭირვებაში ხართ, ნუ თუ თქვენც მისიონერი და წმიდა კრების მოწაფე არა ხართო?

„ეს მქონდა თქვენის უმაღლესობისათვის სიმდაბლით მოსახსენებელი, დიდის კდემით და სიმდაბლით თავს დაგიკრავ და დავშთები თქვენის უმაღლესობის უმდაბლესი მონა, მოწაფე ტფილელი ფრანჩისკე შარანთი, ახალციხეს, 13 აგვისტოს, 1764“. (1).

იმ წერილის პასუხად პროპაგანდამ 9 თებერვალს 1765 მოსწერა სანუგეშო წიგნი და ცოტა შემწეობაც გამოუგზავნა.

არც იმისი ამხანაგი მღვდელი ანტონ ფირალანთი შრომობდა ნაკლებ სულთა ცხონებისათვის. იმ ხანებში, 1764 წ. რომში იმასაც მიუწერია წიგნი, რომლითაც სთხოვს სამი მოწაფის მიღებას პროპაგანდის კოლეგიაში. ეგრეთვე ურჩევს, ერის დიდის საჭიროების გამო, სემინარიის დაარსებას ახალციხეში. ამის შესანახავად სთხოვს წლიურად სამას სკუდს. ამის პასუხად პროპაგანდასაც მოუწერია:

„ბატონ ფირალანთ ანტონ მღვდელს ახალციხეს, 23 თებერვალს, 1765 წ.

„ურბანოს კოლეგიაში ყველა ადგილები ამ ჟამად დაჭერილია, ამიტომ არ შეიძლება მიღება ყმაწვილებისა, რომელთა გამოგზავნაც გსურსთ. მეტადრე ახლა, რომ აქ ქართველი მოწაფეები ბევრნი არიან.

„დიდად მიხარიან, რომ ეგრეთ დაუცხრომელად ცდილობთ, რათა თქვენის წოდების მოვალეობა ღირსეულად აღასრულოთ. ვსთხოვ უფალს აკურთხოს ყოველი თქვენი საქმე“... (1).

იმათ არ ჩამორჩებოდა შრომაში, ბევრ გზის დასახელებული პავლე ეპისკოპოსი. იმასაც მიუწერია მაშინდელი ჟამთავითარებისა და თავისი მოღვაწეობის ამბავი; სამწუხაროდ, არც ის წიგნი გვაქვს, ხოლო მოგვეპოება შემდეგი პასუხი, რომელიც პროპაგანდამ მოსწერა: „ეპისკოპოსს პავლე ასლანოვს, ახალციხეს, 9 მარტს 1765 წ.

„თქვენი გასულის წლის 27 ოქტომბრის წერილიდგან ვსცანით ყოველივე, რაც მანდ მომხდარა ახლად გაკათოლიკებულის ქართველთ ეპისკოპოსის გამო; ეგრეთვე გავიგეთ, რომ დიდი თავგანწირულება გამოგიჩენიათ. დიდად გიქებ სიყვარულით სავსე საქციელს, რომ დაგიფარავთ ის საბრალო ეპისკოპოსი, რომელსაც ეგრე უსამართლოდ სდევნიან. ეჭვი არ უნდა გქონდესთ, რომ სამაგიეროდ უფალმა მოგაგოს უხვი სასყიდელი, რომელსაც ვინატრი თქვენთვის და ეგრეთვე ვსთხოვ მოწყალე ღმერთს, მოგანიჭოსთ ყოველი სიკეთე“. (2) აქ დასახელებული ეპისკოპოსი, ვგონებთ, უნდა იყოს ზემოდ ხსენებული გიორგი.

უფროსი პატრი იერონიმე ნორჩელი, 1763 წ. მარტში პროპაგანდას კათოლიკების რიცხვსატყობინებს: „...ახალციხის გარეშე თხუთმეტ საზოგადოებაში 13 მღვდელია, რომელთა შორის მოიპოვება ერთი მოწაფე პროპაგანდისა და ჰყავსთ 5547 სული. იმათ გარდა არტანუჯის საბეგოში ერთი მღვდელია ბერძნის ტიბიკონისა და ჰყავს 154 სული იმავე ტიბიკონისა. ახალციხის გარეთ ძრიელ ცოტაა მწვალებელი და სქიზმატიკი. ხოლო ახალციხეში კი არიან უცხო მწვალებელი სომხები, შემოხიზნული სხვა ადგილებიდგან; იმათებური ხუთი მღვდელია და ეყოლებათ ათას ხუთას სულამდე. ეგრეთვე არიან ბერძნის ტიბიკონის უცხო სქიზმატიკები, სამი მღვდელი და 180 სული. როგორც პირველთ ისე მეორეთ აქვსთ თავთავიანთი ეკკლესია“. (1).

იმ წერილში ყურადსაღები უფრო ის არის, რომ არა თუ მარტო სომხები, არამედ თვით მართ-მადიდებელი ქართველებიც არ ყოფილან ახალციხის ნამდვილი მკვიდრნი, არამედ სხვა ადგილებიდგან შემოხიზნულან. ეს თუ ასეა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ჩამოსახლებულან ოსმალთა მიერ ახალციხის დაპყრობის შემდეგ დროებში. უმანდელნი რომ ყოფილიყვნენ, მაშინ იმათაც სხვა დანარჩენ ქართველების ხვედრი ეწეოდათ: ოსმალები მათ ან ამოსწყვეტდენ ერთიანად, ან გაამაჰმადიანებდენ.

ახალციხეში შემთხვევით გაუვლია ერთ ახლად გაკათოლიკებულ ეპისკოპოსს გიორგის, იქ ცოტა შეჩერებულა. რა შეუტყვია ეჩმიაწინის პატრიარქს, მაშინვე ყარსის ფაშისგან მოუპოვებია წერილი და გამოუგზავნია ახალციხეს თავისი ეპისკოპოსი პავლე, რათა ფაშისათვის გიორგი ეპისკოპოსი დაეტყვევებინებინა. ამ ამბავს, 27 ოქტომბერს 1764, ახალციხიდან სწერენ რომში ეპისკოპოსი პავლე ასლანოვი და მღვდელი ანტონ ფირალანთი. მათ წერილში, სხვათა შორის შემდეგია მოხსენებული: „ჩვენმა ფაშამ, რაკი მიიღო ფული (პატრიარქის საჩუქარი) მწვალებელ ეპისკოპოსს უთხრა, გიორგი ეპისკოპოსი ვერ ვიპოვნეო. მაშინ ეპისკოპოსმა უთხრა: ხვანთქრის ფირმანის ძალით ახალციხელები უნდა ექვეშევრდომებოდენ ჩემს პატრიარქსო; ახლა კი გაფრანგებულან და მისი მორჩილნი არ არიანო, ვითხოვ ეკკლესიებს, რომლებიც ფრანგებისა კი არა, სომხებისა არისო. რა მოისმინა ფაშამ, დაიბარა კათოლიკები, რათა პასუხი ეგოთ იმ საჩივრისათვის. იმათაც აირჩიეს ეპისკოპოსი პავლე და ერთიც სხვა მღვდელი, რომლებმაც თან წაიყვანეს რამდენიმე კათოლიკე და მივიდენ ფაშასთან. აქ გაიმართა მოკლე ბჭობა მწვალებელსა და ჩვენებ შორის, მწვალებელმა უთხრა: იმათ არ უნდათ დაემორჩილონ სულთანის ბრძანებას, რომლის ძალითაც უნდა იყვნენ მორჩილნი ჩვენის პატრიარქისაო. ჩვენებმა უპასუხეს, ურჩობა მოგონი-

ლია, ვინაიდგან სამ წელიწადში ერთხელ მოდის პატრიარქის გამოგზავნილი კაცი და ჩვენც ვაძლევთ გადასახადს ზეთისათვის, რომელსაც გვიგზავნისო. მაშინ ფაშამ ჰკითხა მწვალებელ ეპისკოპოსს, მართალია თუ არაო? იმანაც უპასუხა მართალიაო. ფაშამ დასძინა, მაშ თქვენი მორჩილნი არიანო, ამისი რაღა გეთქმისო? მწვალებელმა დაუმიტა, იმათი ლოცვები ჩვენი ლოცვების მსგავსი არ არიო. ფაშამ უთხრა: ამის გარემოებაში არ შევალ, რადგან ჩემი სარწმუნოება ჭეშმარიტიო. ესე ყველა გამოგვისტუმრა. ხოლო მწვალებელ ეპისკოპოსს უთხრა. აქ მოსულხართ არა სულთანის ფირმანით, ტყვილად გაქვს იმედი; უფირმანოთ ვერას შეგეწევითო; წადით და როცა ხსენებულ ფირმანს მოიტანთ, მაშინ სულ სხვანაირად ვილაპარაკებო. ეპისკოპოსიც შეჰპირდა ფირმანის მოტანას; კათოლიკებს დიდათ დაემუქრა და წავიდა. ამის გამო ხალხი მუდამ შიშობს, სხვა ახალი რამ უბედურება არ მოხდეს". (1).

ეს საბუთი იმითი უფრო ყურადსაღებია, რომ სომხების პატრიარქს ახალციხელებზე, სომხურის ტიბიკონის ქონების გამო, სულთანის ბრძანებით მოუპოვებია ზედ გავლენა და უფლება, რის შემწეობითაც მათთვის ურთმევია გადასახადიც.

ტფილისელი მღვდელი შარიანთ ფრანჩისკე, 16 ნოემბერს 1766, რომში სწერს თავისი შრომისა და მისიონის ამბავს; წერილში კი მოხსენებულია ის სამი სოფელი, რომლის შესახებ უკვე ლაპარაკობდა თავის წინა წერილში. წიგნს მრთლად არ მოვიყვანთ, მხოლოდ მოვიხსენიებთ მისის შინაარსის უმთავრეს ნაწილს. კაპუცინებს დაუნიშნავსთ იგი ხიზაბავრას, სადაც ორ წელიწადზე მეტი დარჩენილა. ხიზაბავრას კათოლიკების რიცხვი ყოფილა 176, იმათში 24 ლათინის ტიბიკონისა ყოფილა. იმედს აძლევს, რომ კათოლიკების რიცხვი მალე გამრავლდებაო. ამ სიტყვებიდგან სჩანს, რომ იმ სოფელში მარტო კათოლიკები არ ყოფილან, როგორც დღეს. მისი იმედი კათოლიკების გამრავლებისა გამართლებულა კიდეც, რადგან დღეს იმ სოფელში 1790 სულზე მეტი კათოლიკეა. იმის მიზეზი, რომ იმ დროებში კათოლიკე ცოტა ყოფილა ჩვენის აზრით უნდა ყოფილიყო უმღვდლობა, რადგან იქ ხშირად მღვდელი არა ჰყავდათ. დალოცვილი კაპუცინებიც სოფლებში მსახურობას არ კადრულობდენ; არც იმდენი იყვნენ, რომ ყველგან გასწვდომოდენ. რა საკვირველია, უმღვდლობით მორწმუნეთა რიცხვი არა თუ შემცირდება, არამედ ხშირად მთლადაც მოისპობა. ამის გამო იყო, რომ კაპუცინები რომში სასწავლებლად ბლომად გზავნიდენ ქართველებს იმ პირობით, რომ შემდეგ იმ სოფლებში ემსახურებინათ. ფრანჩისკე მღვდლისთვის, ხიზაბავრის გარდა, მიუნდვიათ სოფელი ახალქალაქი, ხერთვისი და ბარალეთი. ახალქალაქს ყოფილა, რომ წინეთ თათრებს დაუჭერიათ,

შემდგომ კი იქ მისვლის ნება მიუციათ. ახალქალაქში კათოლიკები ყოფილან 40 სული და ჰქონიათ ერთი ძველი ეკკლესია, სოფელზე ცოტა მოშორებით. დღეს იმ ეკკლესიის კვალი არა სჩანს. ხერთვისში ყოფილა 46 კათოლიკე, ეკკლესია კი არ ჰქონიათ. დღეს კი იქ ერთიც აღარ არის ქრისტიანე, სულ მაჰმადიინები სცხოვრობენ. ხოლო ბარალეთში ცოტა ყოფილან კათოლიკები. ის მღვდელი ექვს თვეს ხიზაბავრას რჩებოდა, სამ თვეს ახალქალაქს და სამ თვესაც ხერთვის, რათა ყველასათვის საჭირო სულიერი სამსახური მიეგო. ამ ადგილებში იმ დროს ძრიელ ხშირი ყოფილა ლეკების შემოსევა და ხალხის ტყვედ წაყვანა.

1766, ნოემბრის 22-ს, პროპაგანდა იმ მღვდელს ხერთვისში წინა წლის წერილის პასუხს სწერს, დიდად ემადლიერება თავგანწირულებისათვის და ამხნევებს, რათა განაგრძოს თავისი შრომა სულთა საცხონებლად.

პატრი ლეონარდო გაბრუნდა იტალიას და ნოემბერს 1766 წ. პროპაგანდას ახალციხესა და მის მიდამოებში მყოფ კათოლიკეთა შესახებ წარუდგინა მოხსენება, სადაც ამბობს, ახალციხის ციხე გაუშენებია თამარ დედოფალსო. იმ მოხსენებასაც მოკლედ მოვიყვანთ. ზემო ეკკლესიაში ყოფილა 6 მღვდელი, იმათგანს სამსა ჰყოლია მრევლი, ისინი არიან: ეპისკოპოსი პავლე ასლანოვი, მისი მრევლი 387 სული; მღვდელი ივანე ბარბრიანთი, მისი მრევლი 264 სული; მესამე მღვდელი სტეფანე აღამალიანთი (Agamalianti) ტბილელი, მისი მრევლი 284 სული; ხოლო დანარჩენი სამი მღვდლის სახელები არა სჩანს. მეორე ქვემო ეკკლესიაშიც ყოფილა ექვსი მღვდელი, რომელთაგან შემდეგს სამს ჰყოლია მრევლი: კირაკოზა მღვდელს 190 სული (არ ვიცით სადაურია); არაქელა მღვდელს (არზრუმიდან არის) 229 სული; იაკობ მღვდელს 222 სული; დანარჩენების სახელი არ არის მოხსენებული. იმ დროს ახალციხის სკოლაში 70 მეტი მოსწავლე ყმაწვილი ყოფილა; ხოლო მასწავლებლად ჰყოლიათ ის სამი მღვდელი: ყორღანანთი, ავთანდილიანთი და მაქანდრიანთი. იმ დროს კათოლიკების რიცხვი ახალციხეში იმ პატრს ჰყავს 1573 სულამდე, რომელთა შორის პატრებიანთ ეკკლესიის მრევლის რიცხვი არ არის შეტანილი, მაგრამ მაინც კი სწორედ არ მიგვაჩნია ის რიცხვი, რადგან ძრიელ ბევრად განსხვავდება იმ რიცხვისაგან, რომელსაც რამდენისამე წლის წინეთ იხსენიებდენ მისიონერები, ვინაიდგან ზოგი 5,000, ზოგი 6,000 და ზოგიც უფრო მეტს ამბობდა. ივლიტას სამი მღვდელი ყოფილა. პირველი არის უწინდელი ახალციხის უფროსი ივანე ჯიგანანთი, დანარჩენების სახელი არა სჩანს. იმ პატრის სიტყვით, ივლიტის მრევლი ყოფილა 594 სული და სამი

ოჯახიც მაჰმადიანი; ხოლო პატრი კაპურო 23 მარტს, 1765 წ. ივლიტიდგან სწერს რომში, რომ კათოლიკების რიცხვი 700-ია და 8 მოსახლე თათარიო. ეს უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია.—უდეს ერთი მღვდელი და 380 კათოლიკე ყოფილა და ძრიელ ცოტა, რავდენიმე მოსახლეც მაჰმადიანი. არც ეს რიცხვი მიგვაჩნია სარწმუნოდ, რადგან ამაზედ წინ მიწერილ წიგნებში უფრო მეტს იხსენიებდენ და ორ მღვდელს ასახელებდენ. არალს ყოფილა 83 სული; ვალეს 139 კათოლიკე; ოცხეს, 40 კათოლიკე და ასამდე ურია. აქვე მოხსენებულია ოცხის განთქმული აბანოები. სათლელში სამი მღვდელი და 320 კათოლიკე ყოფილა; მისგან ერთი საათის სავალზე სოფელ მამანელში 72 კათოლიკე; სოფელ პიკიურში (Pichiur) ორი მღვდელი და 189 კათოლიკე; არტანუჯში, ერთი მღვდელი და 187 კათოლიკე; არტაანში, 41 კათოლიკე უეკკლესიოდ; ხოლო ართვინში ოთხი მღვდელი და 501 კათოლიკე, არც ერთი რიცხვი ეთანხმება წინანდელს რიცხვს, რომელიც გვიჩვენებდა 2,000 კათოლიკეს, სოფელ კორზულში, ერთი მღვდელი და 65 კათოლიკე; სოფელ მაჭახელში, ერთი მღვდელი და 33 კათოლიკე; სოფელ ველში ორი მღვდელი და 142 კათოლიკე ბერძნის ტიბიკონისა, ხოლო სომხური ტიბიკონისა 82 კათოლიკე; ახალქალაქში, 42 კათოლიკე; ხიზაბავრას, ერთი მღვდელი და 134 კათოლიკე; ამას წინათ თვით იქ მყოფი ფრანჩისკე მღვდელი სწერდა, კათოლიკების რიცხვი 176 იყო; ხერთვის, 34 კათოლიკე; აზავერში (Azaveri), 42 კათოლიკე, ბორგში (Borghi), 17 კათოლიკე. ის პატრი ახალციხისა და მის გარეშე კათოლიკების რიცხვს იხსენიებს ერთიანად 4675, რაიცა რიცხვი სრულებით არ ეთანხმება რომში სხვა და სხვა დროს მიწერილს რიცხვებს, მეტადრე 1748 წ. მიწერილ რიცხვებს, რომლებიც უჩვენებდა 15,000 კათოლიკეზე მეტს. პატრი კაპურო ივლიტიდგან გაგზავნილ წერილში ამბობს, რომ რავდენიმე ეკკლესია და რავდენიმე კათოლიკე ოჯახი დატოვებულია და ყურადღებას არავინ აქცევსო.

კათოლიკების სულიერ გაჭირვებასა და უმღვდლობისას ფირალანთ ანტონა მღვდელი პროპაგანდას სწერს: „ყოვლად საყვარელო მამაო, დიდად პატივცემულმა უფროსმა პატრმა, ლუიჯი პრაგელმა საჭიროდ დაინახა და გამოგზავნა მანდ სამი ყმაწვილი ურბანოს კოლეგიის მოწაფებად, სამივე ჩინებული და ძრიელ კარგი თვისებისაა მეტადრე ყმაწვილი გრიგოლ კრუხიჭამიანთი (ბატონჯანის შვილი) ამ ქალაქის საუკეთესო ოჯახისშვილია, სახლში ისეა აღზრდილი, როგორც უმანკო მტრედი. იმავთავითვე სასულიერო სამსახურისადმი მოწოდება ეტყობოდა და შეუწყვეტელის თხოვნის შემდეგ, როგორც იყო დაიყოლია მამა მისი, რომელიც ძრიელ წინააღმდეგი იყო.

„არ შემიძლია სავსებით აგიწეროთ საბრალო მისიონის გაჭირვებული მდგომარეობა. მთლად ოსმალეთის სახელმწიფოში არ მოიპოვება სხვა პროვინცია, სადაც იმდენი კათოლიკე და სარწმუნოების მხრივ ისეთი თავისუფლება იყოს, როგორც აქ. მაინც კი უმეტესი ნაწილი იმ კათოლიკეთა უმწყემსოთაა დატოვებული. მე და ეპისკოპოსი პავლე ასლანოვი ამ ქალაქში ვიმყოფებით, ის წმიდა ჯვრის ეკკლესიაში ზემოდ და მე ქვემოდ წმიდა ივანე ნათლისმცემლის ეკკლესიაში. სხვა მღვდლებიც არიან ამ ქალაქში, მაგრამ ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა შეუძლიათ და რა სწავლა აქვსთ. შარავანთ ფრანჩისკე მღვდელს სამი სოფელი აბარია და ისეთი გულმოდგინებით და თავგანწირულებით ჰმართავს, რომ ყველა გაკვირვებულია, ყორღანანთ პეტრე მღვდელი მოვიდა თუ არა, მაშინვე გაგზავნეს ახალციხის ახლოს სოფელს ივლიტას, სადაც სულ კათოლიკები არიან და მღვდელიც ძრიელ სჭიროდათ. მოძღვრებისა და სწავლის საქმე კარგად მიჰყავს. სხვა დანარჩენი სოფლები, რომლების რიცხვიც არ ვიცი, სულიერის მხრივ ძრიელ დიდ უმეცრებაში იმყოფება. რადგან ან მღვდლები არა ჰყავსთ, რომ ასწავლონ და ან თუ ჰყავსთ, სრულიად მომზადება არა აქვსთ, გაუწვრთნელნი არიან, სასულიერო საგნებისა არაფერი იციან და სხვა ერის კაცებისაგან ბევრი არაფრით განირჩევიან. ამ ადგილების მცხოვრებნი ყველანი დიდად ნატრობენ ცხოვრების საქმეში წარმატებას, მაგრამ არავინ არის, ზეციერი პური განუტეხოს, ღვთის სიტყვა ასწავლოს: უმღვდლობის გამო ძრიელ ბევრნი საბრალოდ იღუპებიან. ძრიელ მებრალებიან საწყალი კათოლიკები, მინდა შევეწიო, მაგრამ არ შემიძლია, ჩემს ეკკლესიას თავს ვერ დავანებებ, რადგან მთლად ჩემს ამარას არის დატოვებული; კიდევაც რომ შემეძლოს ამ ეკკლესიიდან გაშორება სოფლების შესაწყნარებლად, საკმაო საშუალება არა მაქვს, ვიარო მისიონში. რადგან დიდი სიგლახაკეა აქეთ, და სოფლებს არ შეუძლიათ, მომცენ საჭირო გზის ხარჯი, იძულებული ვიქნები ჩემი დავხარჯო. წმიდა კრება რომ ინებებდეს და წელიწადში 50 ან 60 სკუდს შემწეობას მომცემდეს, დიდის სიამოვნებით თავზე ავიღებ მისიონებს და, რაც შეძლება ვეცდები გავწვრთნა სარწმუნოებაში საბრალონი.

„ეს მქონდა მოსახსენებელი თქვენის მამობრივის ღირსებისათვის.

„თქვენი უმდაბლესი და უმორჩილესი მონა, მოწაფე ანტონ ფე-რალიანთი, ახალციხე 24 აპრილს, 1767 წ." (1).

აქ ხსენებული მეორე მოწაფის სახელი არ ვიცით, ხოლო, მესამე, ყველაზე ახალგაზრდა, მალე გარდაცვლილა ჟამით, ფირალიანი მღვდელიც მალე იმავე წელს, ან მის შემდეგ წლის დამდეგს, გარდაცვლილა. პრო-

პაგანდას ძრიელ სამწუხაროდ დაურჩა ასეთი კაი მღვდლის ისე ადრე გადაცვალებიხ ამბავი.

როდესაც უკანასკნელი პატრი ნათლისმცემლის წესისა კავკასიის მთებისათვის გამოგზავნილი მისიონერი, ანტონ კაპურო გაბრუნდა, მისთვის ახალციხელებს ბევრი უხვეწნიათ, პავლე ეპისკოპოსის საქმე გაერიგებინა, რათა იქ დარჩენილიყო და ნება ჰქონოდა ყველა საეპისკოპოსო სამსახურის შესრულებისა, იმიტომ, რომ ამაზედ საიდუმლოდ წინაღდეგი წერილები მიეწერათ ზოგიერთს. ის პატრიც რომში 16 სექტემბერს, 1767 წ., აძლევს პროპაგანდას ვრცელ მოხსენებას ამ გარემოების შესახებ. ამასაც შემოკლებით მოვიყვანთ აქ. პავლე ეპისკოპოსის მხარეს ყოფილან ქალაქის თითქმის მთელი მოწინავე პირნი, მოწინაალმდეგები ყოფილან ოთხი მღვდელი და კაფუცინები; პატრები იმიტომ გადამტერებიან, რომ უფროსობა ხელიდგან არ გამოსცლოდათ, ხოლო სხვები კი იმიტომ, რომ შემდეგში ვაი თუ თავიანთ ქეიფზე ვეღარ ეცხოვრათ. როდესაც შეუტყვიათ პავლეს ეპისკოპოსად კურთხევა, შეკრებილან პატრი ლეონარდო, მღვდელი ივანე ჯიგანანთი, მღვდელი სტეფანე ვარამანტი, მღვდელი ივანე ავაზანთი და მღვდელი ივანე ონანათი; უკანასკნელი მდივნათ დაუნიშნავთ წიგნის დასაწერად. მღვდელ სტეფანე ალალამანთისა და სხვა მღვდლებისათვის მოუწერინებიათ ხელი მარტო დაუწერავ ქაღალდზედ, რათა არ შეეტყოთ წიგნის შინაარსი. შემდგომ მრევლის სახელით პავლე ეპისკოპოსის წინაალმდეგ გაუგზავნიათ წერილი. მერმე ეს გარემოება რა შეუტყვიათ, ხალხს უფროსი პატრი იერონიმესთვის უხვეწნია, რომ მიეწერა ეპისკოპოსისა და პროპაგანდისათვის, რათა ყურადღება არ მიექციათ ისეთი მტრული წერილისათვის. მაგრამ პატრი ჯეროლამოს თხოვნისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ამიტომ პატრი კაპუროსთვის უთხოვიათ შუამდგომლობა და მისთვისვე გამოუტანებიათ თავიანთი წერილი, რომელსაც მოვიყვანთ ამის ქვემორე. ის პატრიც აქებს პავლე ეპისკოპოსს, სთხოვს ამ საქმეების გამოკვლევას და ურჩევს, დაინიშნოს ახალციხის უფროსად კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსის ხელქვეშ და ეგრეთვე აღასრულოს საეპისკოპოსო სამსახურიც. თუ პროპაგანდა არ დაეთანხმებოდეს მაშინ, ახალციხიდგან განაშოროს და რომში მოუწოდოს მღვდლების საკურთხებლად. ამ შემთხვევაში კი დიდი სიფრთხილე საჭირო იქმნება, რათა მისმა ნათესავებმა არაფერი ბოროტი იმოქმედონ, რადგან მისი დედის ძმა პეტრე პაპაცოლი (Papazoli), ფაშის პირველი ვაჭარი და ერთგული მეგობარი არისო. როგორც ქვემოდ ვნახავთ, ახალციხელებს თხოვნა არ შეუსრულეს. აწ მოვიყვანთ მათ ქართულად თხოვნას რომში გაგზავნილს, რომელზეც ყველას ხელი უწერია და ბეჭედი დასმული აქვსთ

„წმინდა კრებას ფროფაგანდესა.

„ქ. მერმე, ამას მოვახსენამთ. პოღოს ეპისკოპოზი რომელიც ჩვენი წყემსი და მომღელი ღვდელი არის, რა თქვენ სიწმიდესა ამ ქალაქში გამოუგზავნია ჩვენთვის, იმ დღიდამე, დღევანდლამდისინ, დიდის სასჯელითა ირჯება ჩვენზედა, ქადაგებითა, სწავლითა და სხვა სულიერი მოვლითა, ამას წინათ, პატრი ლეონარდო ვითერბელ უმფროსობაში ამის საბეზღარი მოუხსენებიათ, თქვენთვის ჩვენ იშხანებსა და მთლივ ერსა ახალციხისასა, არც შეგვიტყვია და არც გავრევივართ. ვისაც მოუწერიათ, მტრობით და შურით მოუწერიათ, თუარემ ამისი აქ ყოფნა მუდამ ჩვენთვის საჭირო არის და სასარგებლო, ამის მიზეზითა არცავისგან ზიანი გაგვიწევია და არც გავსწევთ: ამისთვის რომ რადგან გვარითა და პაპითა ჩვენი ღვდელი არის და ამ ქალაქის ესლი და მემკვიდრე. ამისი მოდაობა და შარი არავის უქნია და არც ვინ იქმს. ამ წყალობას ვითხოვთ თქვენგან, რადგან ჩვენთვის დიდათ საჭირო არის ეს ეპისკოპოზი, როგორც ახლა ჩვენის ბეჭდებით ვამტკიცებთ ამის მოწმობასა ამისათვის წყალობა უყოთ ამ ქალაქსა და არ მოაშოროთ, ბძანება თქვენი ასრულდეს და ამის გარდა რაც ბეზღების წიგნი მოვიდეს უჩვენსბეჭდოთა ნუ დაუჯერებთ: ტყვილი იქმნება და შურით დაწერილი იქმნება. დაიწერა ესე არზა ახალციხესა აპრილის 15 გასულსა 1767.

„ქ. მე კრუხიჭამიათ პეტროსაი ირიცფოხანი სურფ-ოვანესისა ვამტკიცებ ჩემის ბეჭდითა ამ წერილსა [ბეჭედი]. ქ. მე ხუციანთ ოვანესი ტერ-არაქელას მრევლი ვამტკიცებ ამ წერილსა.—ქ. მე მაქანდრიანთ ელიზბარა ირიცფოხანი სურფ-ნიშნისა ჩემი ბეჭდით ვამტკიცებ ამ წერილსა.—ქ. მე ახალციხელი პატარა სიმონა ტერ-კირაკოზას მრევლი.—ქ. მე ვარუზიქმათა ბატონჯანა.—ქ. მე ქირქჩიანთ ყაზარა.—ქ. მე იეთარათ შენდობილი სიმონას შვილი იოსეფაი ტერ-არაქელას მრევლი.—ქ. მე ქაჩხოაშვილი შუბაში პეტროსა.—ქ. მე ალოშათ ოვანესი ტერ-აკოფას მრევლი.—ქ. მე საჰთჯი პეტროსა.—ქ. მე ქურქჯი შაჰნას შვილი ბაბონაი.—ქ. მე მიღდისი აკოფაი.—ქ. მე უდელი ტერ-არუთენაშვილი ელიზბარი.—ქ. მე ბეზუათ გრიქორას შვილი პეტროსა.—ქ. მე ახალციხელი გაბრიელა.—ქ. მე ახალციხელი კოჰიბროლაშვილი სტეფანე.—ქ. მე ქურქჩიბაში ოანესი ტერ-არაქელას მრევლი.—ქ. მე უდელი ოვანესი.—ქ. მე ხოჯოვანათ პოღოსაი.—ქ. მე ბატონჯანა კრუხიჭამიათ.—ქ. მე ივანე კუსიანთი". (1) ამისი თარგმანი იტალიანურიც გვაქვს, მაგრამ საჭიროდ არ ვრაცხთ მოყვანას.

ეს წერილი ცხადად გვიჩვენებს სომხური ტიბიკონის ზედ გავლენას ერზედ, მეტადრე ნათლიღების სახელების შესახებ. თუ უცხო გვარის, სომხის მღვდლებს და თუ ახალციხელ მღვდლებს ერში ბევრი შე-

უტანიათ სომხური საკუთარი სახელები მაგ. პეტროსა, პოღოსა, არუთინა, ტერ და სხვა. არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან ყველა ტიბიკონი თავის კვალს სტოვებს ერში, ლათინის ტიბიკონსაც ესეთი გავლენა აქვს ერთსა და იმავე ერზედ, მაგ. ამ ტიბიკონის მქონე ქართველ ხალხში რად ვხედავთ ლათინურს სახელებს: პიო, ალფონსი, დომინიკე, ფრანჩისკე, ბენედიქტე, ემერენცია, პატრი, დონ და სხვა.

ყორღანანთ პეტრე მღვდელს ივლიტიდგან რომში მიუწერია და უთხოვია თავის ეკკლესიის ტრაპეზისათვის შენდობის განახლება. პაპს სათხოვარი შეუწყნარებია და პროპაგანდა ამ მინიჭების ქაღალდს უგზავნის ივლიტაში, 30 აპრილს, 1768 წელს.

სოფლები ხშირად გაჭირვებაში იყო უმღვდლობის გამო. ეს საჭიროება, ვგონებთ, უფრო უნდა ეგრძნო ველის სოფელსა, სადაც ქართველთ ტიბიკონის კათოლიკები იყვნენ, რადგან იმ ტიბიკონის მღვდელი ადვილად არ მოიპოებოდა იმ ადგილებში. კაფუცინების უფროს, რა ვერ დაუკმაყოფილებია იმ სოფლის საჭიროება, მიუმართავს კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსისათვის, რომელსაც რომისათვის უცნობებია, ამისგამო პროპაგანდა პასუხს აძლევს: „კოსტანტინეპოლის საპატრიარქო ვიკარიას. 17 ივნის, 1769.—ამ თვის 13-ს საერთო კრებაზე განხილულ იქმნა კაფუცინების უფროსის სახელით თქვენი წარმოდგენილი თხოვნა, იმის შესახებ, რომ ველის სოფელში მცხოვრებ ბერძნის ტიბიკონის კათოლიკებისათვის ერთი მღვდელი დაინიშნოს. კარდინალებმა დაადგინეს, რათა თქვენ მოგანდოსთ, იქ გაუგზავნოთ, რამდენადაც შეიძლება, საუკეთესო და ნიჭიერი ბერძნის ტიბიკონის მღვდელი, რომელმაც შეიძლოს მაგივრობა გასწიოს უწინდელის დროულის და დასნეულებულის მღვდლისა. როდესაც იმას დანიშნავთ, ცოტა შემწეობაც მიეცით, რათა გაუჭირვებლად შეიძლოს ცხოვრება“. (1).

მიცვალებულის ფირალანთ მღვდლის ძმას იმავე დროს უთხოვია მისი ძმისწული პროპაგანდის კოლეგიაში მიეღოთ. მაგრამ უადგილობის გამო უარი შემოუთვლიათ.

სომხები დიდის ხნიდგანვე უპირებდენ ახალციხის მისიონერების და კათოლიკებისათვის ის დღე დაეყენებინათ, რაც უკვე ტფილისში უყვეს ბევრ გზის, ესე იგი, ეკკლესიები ჩამოერთმიათ და პატრები გაედევნათ, მაგრამ ადვილად ვერ შეიძლეს თავიანთი ბოროტი განზრახულების სისრულეში მოყვანა. ბოლოს კი ბლომა ქრთამი გაიღეს და ამით გულის საწადელი აისრულეს. ისეთი უწყალობა მიაყენეს, რომ მისი მსგავსი არც წინ და არც შემდგომ მომხდარა, ამის საბუთები საკმაოდ გვაქვს. პირველი საბუთი კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსისაა, რომელსაც ეს ამბავი შეუტყია თუ არა, სწრაფად მიუწერია რომს:

„მათს ყოვლად პატივცემულს უმაღლესობას.

„უკანასკნელად საქართველოდგან ამბავი მოვიდა, რომ სპარსეთში მყოფ მწვალებელ სომეხთა ეჩმიაწინის პატრიარქს ახალციხის აწინდელის ფაშისათვის მიუცია თხუთმეტი ქისა ფული და დაუტყვევებინებია იმ ქალაქის მღვდლები, რომელთა შორის არის პავლე ეპისკოპოსიც, და წაუყვანინებია თავის მონასტერში და ეხლა ხელში ჰყავს; მათი ეკკლესიებიც ჯერ აუკლებინებია და შემდგომ დაუბეჭდინებია; ხუთი კაპუცინიც ტყვედ წაუყვანინებია პარდუმად წოდებულ თათრების სოფელში, ახალციხიდგან რვა დღის სავალზე; მთლად კათოლიკები შეუძრწუნებია და დაუტოვებია უმღვდლებოდ და უეკკლესიოდ.

„ჩემთან მოვიდენ მოსალაპარაკებლად მოწინავე ქართველები (კონსტანტინეპოლში მყოფნი), რათა როგორმე გვეშველა ეგოდენ უბედურებისათვის. მოვიწადინეთ სულთნისათვის მიგვერთმია ერთი მოხსენება, მაგრამ არავითარ ნაყოფს გამოიღებდა, რადგან არავინ იყო ხემწიფის წინაშე ერთი მისი შემაგულიანებელი. დავიბარიე ეპისკოპოსი ათანასი და ვსთხოვე, ეჩხია აქაური მოწინავე სომხებისათვის, რომლებიც პალატში მყოფ პირებს ემსახურებიან, რათა იმ მაღალ პირებს ქართველი კათოლიკებისათვის ეზრუნათ. ეპისკოპოსთან მოვილაპარაკეთ რაც უნდა გვექმნა; გადავწყვიტეთ პორტას არ მივმართოთ, რადგან ამ ომიანობის დროს მისგან რისამე გამოთხოვნა დიდად საეჭვოა, ამიტომ უკეთესად შევრაცხეთ და მივმართეთ აქაურ სომხების პატრიარქს; ვნახოთ, მომავალში ამისგან რა შემწეობას მივიღებთ. თქვენი უმაღლესობა ეპისკოპოსს ათანასეს წიგნს მოსწერდეს და შეაგულიანებდეს ამ საქმეზე, ვგონებ უნაყოფოდ არ დარჩეს.

„ხოლო პატრი კაპუცინებისათვის მივმართე პატონ საფრანგეთის ელჩს. ჩემს თხოვნაზე მიპასუხა, რომ მის წინა მოადგილე ელჩს მათთვის მფარველობა აღარ აღმოუჩენია; აღარც კაპუცინებს მოეპოვებათ ფირმანი, რაისგამოც ჰგმობს იგი, ალბად ჯეროვანი მიზეზი უნდა ყოფილიყო უარის თქმისაო. ბევრი მიზეზი დავუსახელე და დავიყოლიე. იგიც შემომპირდა შემწეობის აღმოჩენას, მაგრამ არა ეხლა, რადგან ეს საქმე შეეხება დიდ ვეზირს, რომელიც ამ ჟამად ომის ველზეა და მას ეხლა სხვა საქმეები არ წარედგინება, თუ არა უჩვეულო და მოუცილებლად საჭირო რამ. მაინც კი წერილობით ვაუწყე რაც მომხდარიყო, თუ ახლავე ეცადა გაკეთებას, კვალად წავალ და ვსთხოვ, რაც შეიძლება, მალე დაიხსნას ესინი ტყვეობისგან. როგორც იყო, გამოძიების შემდგომ გამოუშვეს სატყვეოდგან პატრი იოსებ ოქროპირი ქონვანთელი, რომლის უდანაშაულობაც დამტკიცდა. ვგონებ მალე წავიდეს აქიდან თავის სამშობლოში.

„თქვენი უმორჩილესი და უმდაბლესი მონა იოსებ მარჩიანოპოლის არქიეპისკოპოსი, კოსტანტინეპოლის ვიკარიო. პერა. 30 აგვისტოს, 1769“. (1).

ამ უბედურებას თვით უფროსი პატრი საპყრობილიდგან უფრო დაწვრილებით აუწერს კარდინალს:

„ბარდუსი, 11 ნოემბერს, 1769.

„ყოვლად მაღალო ბატონო. ღრმა სიმდაბლით ვემთხვევი თქვენს წმიდა მარჯვენას და თუ აქამდე არ შეგიტყვიათ, აწ გაუწყებთ, რომ ახალციხეს, ივლისის პირველს, მწვალებლმა სომხებმა იქაურ კათოლიკებს და მეტადრე ჩვენ დაგვიწყეს დევნა, რომელიც, ბევრ გზის ნაცადი, ახლა სისრულეში მოიყვანეს, რასაც ხშირად წინათვე ვებრძოდი და ვშიშობდი. სხვა ოთხ მღვდლებთან ერთად არა მარტო შეგვბორკეს ახალციხეში და დაგვატყვევეს, არამედ კვალად ყველა ჩვენი საჭირო ნივთები ზოგი გაჰყიდეს, ზოგი დაბეჭდეს, ეკკლესიის ვერცხლეულობა და შესამოსელი აქეთ-იქით წაიღეს; მეხუთე თვეა, რაც ოთხ თანამძმასთან ერთად, ესე იგი, პატრი იერონიმე ნორჩელთან, პატრი ვინჩენცო ანტონ პალეროელთან, პატრი ფრედერიკო სტირიაელთან და პატრი ფორთუნათო კარინელთან ერთად დაფლული ვართ ზღვაში, მთების უფსკრულში, ბარდუს წოდებულ სოფელში, მიწის ქვეშ ერთ სოროში, საცა სწორედ ფეხის გაშლა და დაწოლა არ შეგვიძლია; ერთხელ აქაურ გამხეცებულთ მცხოვრებთა მოინდომეს ჩვენი მოკვლა, მაგრამ ღვთის განგებამ არ მიუშვა და ამ ბარბაროსებს ჩვენი თავი შეაბრალა. თქვენო უმაღლესობავ, სინამდვილით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დიდი უფსკრულია ჩვენსა და სხვა კაცთა შუა ერთმანერთთან განწყობილების მხრით. ამ მიზეზის გამო აქამდე ვერ გაუწყეთ ჩვენი ამბავი. აწ უწყის თქვენმა უმაღლესობამ, ამისთანა მდგომარეობაში გვჭირია კაცთაგან შემწეობა თუ არა! ახალციხეში როდესაც ფირმანი და სხვა ქაღალდები და სხვა ყველა დანარჩენი აიკლეს და წაგვართვეს, გვითხრეს, არც გაგვანთავისუფლებთ და აღარც უკან დაგაბრუნებთ, თუ ოსმალეთის მთავრობისგან ახალ ფირმანს არ მოიტანთ. თუ საფრანგეთის ელჩი არ მოგვიპოვებს ფირმანს, არ ვიცი სხვა რომელ მინისტრს შეუძლია იკისროს. ჩვენზე ერთი დღით წინ სხვა მღვდლები წაიყვანეს სომხების პატრიარქთან ეჩმიაწინში, საცა იგი ძრიელ უწყალოდ სცემს. ყოველი უბედურება ახალციხის ქრისტიანებმა ჩუმად მაცნობეს საშუალებით ყოვლანანთ პეტრე მღვდლისა, რომელიც ჟამით მიიცვალა. ინებოს ღმერთმა, ეს ყოველივე მართალი არ გამოდგეს. ჩვენც ერთი მეორეს შემდგომ ავად გავხდით; ამ დღეებში პატრი ფრედერიკოსაც სიცხე მისცა. საკვირველიც არ არის, რადგან ჩვენი საჭმელი მხოლოდ სიმწუხრის პურია და სასმე-

ლი წყალი ქირისა. მწვანილი ძვირია და ერთი დღის სავალზე არის, ამიტომ ადვილად მისი შოვნა არ შეგვიძლია. კურთხეულ იყოს ღმერთი ყოველისა გამო, რაც მოგვივლინა. აწ სისწრაფით, ჩუმად და ათრთოლებულის ხელით გწერ, ვემთხვევი თქვენს ბისონს და წმიდა მარჯვენას და ვავედრებ თქვენს მამობრივს მფარველობას ჩემს თავსა და ამ ჩემს ძმებს. თქვენი უმორჩილესი შვილი კაფუცინი პატრი ალოიზი პრაგელი". (1).

რა მიიღო პროპაგანდამ ახალციხის ამბავი, მაშინვე, 15 ნოემბერს 1769, მიმართა საფრანგეთის მთავრობას, აუწყა ყოველი უბედურება და სთხოვა, რომ თავის ელჩის საშუალებით მოეპოვებინა სულთნისაგან პატრების და მღვდლების დახსნის ბრძანება. ელჩიც მაშინვე შეუდგა ფირმანის აღებას, მაგრამ ვიდრე აიღებდა, კარგად დრომ გაიარა. იმ დროს განმავლობაში, ერთად შეერთებული სომხები და დაქრთამული თათრები ახალციხის კათოლიკებს ბევრნაირ უბედურებას აწევდენ. ამ გარემოებას იგივე კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსი პროპაგანდას მოკლედ ასე აუწერს:

„ახალციხის მისიონისა უნდა ვაუწყო თქვენს უმაღლესობას, რომ იქაური მისიონის უფროსი პატრი ლუიჯისაგან გასულს 12 ივნისში მოწერილი წიგნი მივიღე. წერილიდგან სჩანს, რომ ელჩის მიერ გაგზავნილის იენიჩრის ხელით მიტანილი ფირმანი რა წაუკითხავს ფაშას, უთქვამს, რომ ჯერ თავი უნდა ვიმართლო პორტის წინაშეო, რადგან მისიონერები ჩემის ნებით კი არ დამიტყვევებია, არამედ ბრძანება მქონდა ჩემის მთავრობისაგანო. ამიტომ ეს ფირმანი სისრულეში არ მოუყვანია და არ გაუნთავისუფლებია პატრები.

„ამ ბოლო დროებში 14 დღის წინეთ ახალციხით მიღებულ წერილებიდგან ვტყობულობთ, რომ ქართველები ხსენებული ფაშის მიერ მიყენებული ბარბაროსობით ძრიელ დიდ შეწუხებაში ჩაცვივნულან, რისგამო მიუმართავსთ იმავე ქალაქის მცხოვრები თათრებისათვის და მათგან შველა უთხოვიათ (ეს თათრებიც წინააღმდეგნი ყოფილან ფაშის ამნაირ მოქმედებისა). იმათ მოწმობა მისცეს ყველა იმ უსამართლოებისა, ულმრთოებისა და უწყალობისა, რომლებიც ფაშას მიუყენებია სულთანის ისეთი ერთგული ქვეშევრდომებისათვის. ფაშის სიხარბეს იქამდე მიუღწევია, რომ ამ კათოლიკების ეკკლესიები მიუყიდნია ეჩმიაწინის პატრიარქისათვის თოთხმეტ ქისა ფულად. მოწმობის ქაღალდი რა მოუვიდა აქ ოსმალოს მთავრობას, მაშინვე მოაშორებინა იქიდგან ფაშა და მის ადგილს დაუნიშნა იქაური ერთი ქართველი, რომელმაც მაშინვე კათოლიკებს დაუბრუნა ეკკლესიები და მოაყვანინა მისიონერები მათ უწინდელს ადგილს; აგრეთვე დაატყვევა ხსენებული პატრიარქის ვიკა-

რია, რომელიც ახალციხეში იყო და უბრძანა, საჩქაროდ მოაყვანინე ქართველი მღვდლები, რომლებიც პატრიარქს ტყვედ ჰყავს, თუ არა შენ ჩამოგახჩობო. ქართველების აქ მოწერილმა რავდენიმე წიგნმა ეს ამბავი გვაუწყა. ამასვე ამტკიცებს მღვდელი ქერუბინე აზრუმის მისიონერი, რომელმაც ეს წერილით მაუწყა. ხოლო დანამდვილებით ყველაფერს მაშინ შევიტყობთ, როცა იენიჩარი დაბრუნდება. ფირმანი წაიღო და ჯერ კიდევ არ მოსულა, რადგან ფაშას იქ დაუჭერია ამ საქმის დაბოლოვებამდე.

„იმედი მაქვს შემდეგის წერილით უფრო ზედმიწევნით გაუწყო ყველაფერი. აწ მისიონის უფროს პატრთან გამოგზავნილს თქვენს წერილს გავუგზავნი ზემოდ ხსენებულ არაქელა მღვდელს, რომელიც ეცდება, მიაწვდინოს ან ახალციხეს, ან იქ, საცა იქმნება. ღრმა სიმდაბლით ვემთხვევი თქვენს ბისონს.—პერა, 18 ოქტომბერს 1770, სამოციქულო ვიკარია კოსტანტინეპოლისა". (1).

ხსენებული წერილი არის პროპაგანდის პასუხი, 1770, რომელიც გაუგზავნია სანუგეშებლად პატრი უფროსს. შემდგომ ეპისკოპოსმა შეკრიბა კოსტანტინეპოლში ქართველები და მათ ურჩია, ერთი მოხსენება თავიანთის ერთგულებისა გადაეცათ სულთნისათვის, ერთი ვინმე უმაღლესი პირის საშუალებით.

იმ მღვდლებისა და პატრების გამოხსნის დაწვრილებით ამბავი გვაქვს ახალციხის კათოლიკებისაგან დაწერილი და პატრებისაგან იტალიანურად ნათარგმნი. აი ეს აღწერაც:

„პატრები რომ ბარდუზის ციხეში სურგუნი ქნეს იმას ბაიან იქს ვითამც განაცხადებს.

„იმ დროს ფაშათ იჯდა ნომან ფაშა. ქეათა, სარი ქეა იყო იენიჩერ აღათა, ხალილ ამდალა იჯდა ყადის ნაიბი მემიში აფენდი იყო. იმ მემიშ აფენდიმა აწერა რაც პატრების შეი (ნივთები) იყო თუ ოქრო, თუ ვერცხლი, თუ შეი, პატრების, და ხუცების წაყვანის უკან, შევიყარეთ ქვემო საყდარჩი რაც ახალციხის ხუცები, იშხანები იყვნენ. მაშინ პოების ვართაპეტი მარტიროზ ვართაფეტი იყო. მამასახლისათ ხიზანაშვილი პეტრე იყო, სამსავე საყდრის შები მარტიროზ ვართაპეტსა მემიშ აფენდი აწერა იენიჩარ აღის კელითო. ამ აღის კელითა მივაბარეთ მარტიროზ ვართაპეტსა. მასუკან ერთ დრომდინ სამივ საყდარი ვართაპეტს ჰქონდა. მასუკან კიდევ შევიყარეთ ახალციხის ხუცები, და იშხანები, და მამასახლისი ხიზანათ პეტრეი. თემის უმფროსათ ოვანეს ვართაპეტის ვექილი იყო აბაზაშვილი ტერ-ოვანესი. დავდექით ქვემო საყდარში, დიად. მოშავარა ვქენით. ეს ჩვენი ხუცები ეჩმიაძინს ტყვეთ არიან. საყდრები პოების ხელში არის, ამ საქმეს ბევრი თეთრი უნდა.

უთეთროდ ვერც ხუცებს გამოვიხსნით, ვერც საყდრებს დავიხსნით. ეს ილაპარაკეს და სხვებმა ყური წაუგდეთ. მასუკან კრუხიჭამიათ პეტროსას შვილმა სტეფანემ წამოიჩოქა, და ჯავრიანათ თქვა. პატრებიო? იმათთჳინ რას ამბობთო. ისინი ციხეში თათრების ხელში იყვნენო. მერე იმათ უპასუხეს: ჩვენ პატრებში რას ვერევითო. პატრებს ხემწიფე ყავსთო, ელჩები ყავსთო, ულუფა აქვსთო. ჩვენ იმათში რას ვერევითო? მერმე კიდევ იმავე კრუხიჭამიათ პეტროსას შვილმა სტეფანემა: უთხრა: პატრებისათვინა ათას მარჩილ მივცემო. ხუცებისათვინ ათ ფარას არ მივსცემო. მერმე სტეფანასთან სხვა მრავალმა ისევე სიტყვა თქვეს. ხანუმაშვილმა პეტროსამ, პოლოსამ, ფირალაშვილმა ოსეფამ, ბატონჯანამ, პატარა სიმონამ, მეწვრიმალე აკოფამ, მეკურტნე ესტატემა, ტინტიკაშვილმა პეტროსამ და ოსეფამა, შანასარმა, დურგლიშვილმა ოვანესამა; ტერ-არაქელის სიძემა, მეწვრიმალე გოდერძამა; სხვა ვინც პატრების მრევლი იყო ყველამ დიდის ყვირილითა იძახეს: ჩვენ პატრები გვინდაო, მამასახლისი პეტრეც ამათთან იყო, თუ პატრებს დაიხსნითო, ხომ ჩვენც თქვენთან გავერევითო. თუ არა ერთ ფარას არ მოგცემთო. ერთი დიდი ჩხუბი იქმნა ქვემო საყდარში: ხალხი შუა გაიყო ნახევარმა პატრები ინდომეს: ნახევარმა ხუცები ინდომეს. დახედეს ამ ხუცემბმა და იმათმა მრევლმა: რომ უფრო დიდი შფოთი მოხდებაო იმ დღეს წაიფანტნენ. მას უკან კიდევ შეიყარნენ ქვემო საყდარში და გვითხრეს დიდის ფიცითა: ოღომც თქვენ ჩვენთან იყავით: და უწინ პატრებს დავიხსნითო მერმე ხუცებსა. ფიცით დაგვაჯერეს; მასუკან ნება მივეცით. და ყველა ხუცებსა თავისი მრევლის დავთარი ავუწერეთ, და მივეცით ვისაც რა შეგვეძლებოდა. მას უკან სტამბოლიდამ თათარი მოვიდა ფრანცუზის ელჩის იასახჩი. ფირმანი მოიტანა პატრების გამოხსნისათვის. ის თათარი ფაშამ მამასახლისი პეტრეს სახლში დააყენა ორი კვირა იქ იდგა, მამასახლისის ხარჯითა. მასუკან მამასახლისმან ფაშის ბუირულთი აიღო ქეი თასკარა მეციხოვნეებზედა, რომა პატრებს არაფერი წაართვანო. მეხარკე სეროფუა გაატანა ელჩის თათარსა, წავიდნენ, და პატრები მოიყვანეს ბარდუზის ციხიდამ. სამი ოთხი დღე პატრები მამასახლისი პეტრეს სახლში იყვნენ; მარამდინ მამასახლისი ფაშისაგან დასტურს აიღებდა პატრების სახლის დაცლისათვინ, რომა ოდებში საფაშო ფქვილი ეყარა. მერმე ოდები დაცალეს. პატრები ავიდნენ თავიანთ სახლებში დადგნენ. მასუკან ახალციხის ზოგმა უფროსებმა მალვიათ ჩუმათ უდელი ტერ-პოღოსი გაგზავნეს სტამბოლსა: და ჩუმათ ერთი ვექილმა მისცეს ტყვილი პატრებზედ შვიდას მარჩილი მართებსო მოგვეცითო. ეს უდელი ეპისკოპოსი ჩავიდა სტამბოლის ეპისკოპოსთან, და ეს თეთრი თხუა. წიგნები იუჩვენა. პატრებზე შვიდასი მარჩილი მართებსო. ეპისკოპოსს

უნდა მიეცა. მერმე ფრა ფორთუნათოს დაეკითხა: ეს ბატონი მღვდელი
ჩამობძანებულაო ამდენი გარჯილაო პატრები დაუხსნიათო შვიდასი მარ-
ჩილი უსესხებიათო მივსცეთო. ფრა ფორთუნათო დიაღ გაჯავრდა, და
უთხრა ეპისკოპოსსა ბატონო რას ბძანებო? ასე თავაქალი თეთრი მიცე-
მაო არც პატრების წიგნი აქვსო, არც პატრების თამასუქი აქვსო: მე
ასრე გიჟურეფა მივცემო, მე დამაცადეო, ახალციხის პატრებს წიგნს
მივსწერამო, იქიდამ თუ ამბავი მომივაო: მიეცი მართალი არისო მარამ-
დი მაგ მღვდელსა ჩემის ხარჯით შევინახამო და თუ ტყვილიაო მე ვი-
ციო. ადგა ფრა ფორთუნათმა ახალციხეს პატრი ჯერონიმესთან წიგნი
მისწერა. ახალციხეს წიგნი მიუვიდა პატრი ჯერონიმესა და პატრი ჯე-
რონიმემა ეს წიგნი რომ გაალო წაიკითხა თითქმის გაგიჟდა. ეს რა ამ-
ბავი არისო ჩემ თავზედა. ფიცხლავ მამასახლისის სახლში ჩავიდა პატრი
ჯერონიმე, და დაუწყო ლაპარაკი. ეს რა ამბავი არისო? ეს რა საქმე
არის ჩემ თავზეო, რომ თქვენ მიშვრებითო? თუ მაგისთანა ამბავი არი-
სო. აქ მე რათ არ შემატყობინეთო. ჩემის მალვითაო ხუცეს რათ გზავ-
ნიდითო? აქ ჩემთვინ გეთხოვათო; ან მოგცემდიო ან შეგეხვეწებოდიო.
მერმე მამასახლისმა პეტრემ დიდი ფიცით შეიფიცა. ბატონო რას ამბო-
ბო? ტყვილიაო, სიზმარს ლაპარაკობო. თუ ახალციხელებს მაგისთანა
საქმე ექნათო მე ვერ შევიტყობდიო? მაშინ ამოიღო პატრი ჯერონი-
მემა ფრა ფორთუნათოს წიგნი და წაუკითხა. მამასახლისი გაშტერდა.
დიაღ ეწყინა, და პატრს უთხრა ბატონო, შენ მიბძანდიო, და მე ახლა
ბაზარში წავალო, და შევატყობინამო. ადგა მამასახლისი პეტრე, და
ბაზარში ჩავიდა, და ხუთი ათი მუხთაბარი კაცი დაუძახა და ბაზასტაბში
შეყარა, და ლაპარაკი დაუწყო,. და უთხრა ეს რა საქმე არის თქვენი
ნაქნარი საქმეა, რომ გიქნიათო, უდელი ტერ-პოღოსა გაგიგზავნიათო
სტამბოლსა, პატრებსა შვიდასი მარჩილი მართებსო, გითხოვიათო, ამათ
უთხრეს. მართალიაო. მემრე მამასახლის პეტრემ ლაპარაკი დაუწყო და
ებრძოლა, და ვინც პატრების საყდრის მრევლი იყვნენ ზემოხსენებული
სახელდობრივ ვაჟები მოვიდნენ ბასასტანში; იმათაც დაუწყეს ჩხუბი,
ჩვენ პატრებს თეთრი რათ ვასესხეთო? სად ვასესხეთო? თქვენ არ იყა-
ვითო რომა ქვემო საყდარში წმიდა ხარების წინაშე შევფიცეთ. ოლომც
თქვენ ჩვენთან გაერიეთო, უწინ პატრებს გამოვიხსნითო, მერმე ხუცებ-
საო. ჩვენ ის თეთრი პატრების წყალობით მივეცითო. მასუკან მამასახ-
ლისმა პეტრემ უთხრა. მე თქვენი მამასახლისი ვარო. რაც ამ ხუცების
საქმეზედ რამე თეთრი წავიდა ესენებო სულ ვიციო. ამ პატრებისათვინ
შვიდასი მარჩილი ვის მიეცითო? მაცოდინეთო. თუ ფაშამ აიღო რათ
არ ვიციო? ქეამ აიღო, ყადმა აიღო, ნენიჩარ-აღამ აიღო? ვის მიეცი-
თო? რათ არ შემატყობინეთო? სულ ტყვილს ამბობთო. ადგნენ იქიდამ

მამასახლისმა პეტრემა თავისი სამთი ვინც იყვნენ, აიყვანეს პატრი ჯერონიმესთან, დაბეჭდეს ყველამ ჩვენ პატრებისათვინა არაფერი გვისესხებიათ, და თუ რამე დაუხარჯამსთო ჩვენს უფროსებსა პატრებისათვინა წყალობათ მიგვიციათ. ერთი ფარა, ერთი თეთრი არ მისცეთ: ტყვილი არის მაგის წიგნით: ჩვენ წყალობათ მიგვიციათ. მიდღეში ვალად არ მიგვიციათ. ეს წიგნი გააკეთეს, და გაგზავნეს პატრებმა სტამბოლს. და ფრა ფორთუნათოს ეს წიგნი ჩაუვიდა, რომ გაალო, და წაიკითხა, დიალ გაიხარა, და ფიცხლავ ეპისკოპოსთან ჩავიდა, პატრების წიგნი უჩვენა. ეპისკოპოსი გაშტერდა, დაუძახეს უდელს ტერ-პოღოსსას. ეს წიგნი რა არისო, ტერ-პოღოსი გაშრა, ხმა ველარ ამოიღო: ფრა ფორთუნათო გაჯავრდა. დაიჭირა ტერ-პოღოსი, და რამტოლს ხანსაც შეინახა დაიჭირა რაც ესმევინა, ეჭმევინა დიბიდუზ სულ წართვა ოდის ქირა ბილა წართვა; მასუკან მამასახლისმა პეტრემ უთხრა თავის ქეთხუთებსა, წვერ თათრებსა. ტერ-პოღოს ასე დაემართა სტამბოლსაო: ეს რა ქენითო იმის გაგზვნასაო ერთი შეგეტყობინებინა ჩემთვინ შენი ფიქრი და მე რას გეტყოდი თქვენაო ამ პატრებსა ხემწიფის ფირმანი მოუვიდათ. მასუსია თათარი მოვიდა ამათთვინა ფირვანზე ფარა არ დაგიხარჯიათო. თათრისათვინა ფარა არ მიგიციათო. სხვაგან ხარჯი არავისთვინა არ მიგიციათო პატრების გამოისათო. პატრები რომ ესაზჩი ჩამოვიდნენ თქვენ რას ეტყოდითო, ნახე რომ გამტყუნდებოდითო“. (1).

თუმცა მამასახლისი უარს ჰყოფს ახალციხელებისგან პატრებისათვის ფულის დახარჯვას, მაგრამ კი ნამდვილად დაუხარჯავთ. ეს მტკიცდება კაფუცინების რომში გაგზავნილი სიით, რომელშიც მოხსენებულია ყველა ხარჯი ტყვეობის გამო გაწეული. იმ სიაში მოხსენებულია: „დახარჯული ფული ქართველი ქრისტიანებისაგან ჩვენს დასახსნელად პიასტრი (მარჩილი) 889“. (2).

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ პატრების მრევლში შეძლე პირები ბლომად ყოფილან, ვინაიდგან უამათოდ სხვა ეკკლესიების მრევლთ ვერაფერი გაურიგებიათ და ფიცის მიცემით შეუერთებიათ თავიანთან.

კაფუცინები იმ დროს რომს ჰგზავნიან სიას ყველა იმ ზარალისას, რომელიც მიეცათ ტყვეობის მიზეზით. დაკარგული ნივთები და დანახარჯი ერთიანად არის 4373 პიასტრისა. არც ახალციხელები დარჩენილან უზარალოდ, იმათაც ბევრი ფული დაუხარჯავსთ, ისე რომ დედაკაცები იძულებული გამხდარან თვალ-მარგალიტი გაეყიდნათ, რადგან მღვდლების დახსნისათვის 12 ქისაზე მეტი ფული მიუციათ თათრებისათვის, რის გამო დიდ სიღარიბეში ჩავარდნილან.

ამ დევნულობაში მღვდლებმა და ერმა დიდი და წარმოუდგენელი შეწუხება გამოიარეს, მაგრამ მაინც ბოლო არ მოეღო მათ უბედურო-

ბას. რადგან ამისთანა უსამართლო მოქმედებაზე სომხების პატრიარქი ხელს არ იღებდა, მუდამ შემთხვევას ეძებდა, რათა კვალად განეახლებინა ესეთი ბარბაროსული დევნულება. მისი სიბოროტის ამბავი მიუტანა ფირმანის მომტანმა თათარმა ეპისკოპოსსა, რომელმაც, 15 ნოემბერს 1770, აცნობა რომს ესე: „დასასრულ მობრუნდა იენიჩერი, ახალციხეს გაგზავნილი პატრი კაფუცინების დასახსნელად და მოიტანა მათი ამბავი და წერილები. პატრები დაბრუნდენ თავიანთ ეკკლესიასა და სახლში. დიდ ძალი ფული დაუხარჯავსთ, რადგან ფაშას და მის აფიცრებს გამოურთმევიათ 823 პიასტრი; ამას გარდა კიდევ დაუხარჯავსთ სატყვეოში, ფირმანის შოვნასა და გაგზავნაში. მთელი ხარჯი 2,000 პიასტრზე მეტია, რაისგამო საბრალო კაფუცინები მთხოვენ ყველაფერი ვაუწყო თქვენს უმაღლესობას, რათა აღმოუჩინოთ საჭირო შემწეობა ამ დიდი ვალის გადასახდელად. იძულებულნი გამხდარან ვალი აეღოთ თავიანთ თავის გამოსახსნელად და ეკკლესიისა და კათოლიკების ქონების დასაბრუნებლად.

„გარდა ამისა უფროსი პატრი მწერს, რომ ეკკლესია და სახლი ძრიელ დაზიანებული და ბევრს ადგილს ჩანგრეული დახვედრიათ. მათს ოთახებში თურმე შენახული ყოფილა მთავრობის ფქვილი. მაგრამ უფრო სამწუხარო ეს არის, რომ ბევრი რამ აღარ იპოვება. სახელდობრ ეკკლესის ვერცხლეულობა, რომელიც ათ ოყამდე ყოფილა, ეს ვერხცლეული წინანდელ ფაშას თან წაუღია, ხუმცა ფირმანი ავალებს და უბრძანებს, რომ პატრებს ყველა დაუბრუნდესო.

„ეგრეთვე სომხების პატრიარქის ვიკარია ისევ ახალციხეშია და ცდილობს გამოაკეთოს ის, რაც ხელიდგან გამოეცალა. ამიტომ ფაშისათვის შეუძლევია 25 ქისა პიასტრი, რათა დაუბრუნოს ეკკლესიები, განდევნოს ლათინის პატრები და დაავალოს მათ, რომ დაბრუნდენ თავიანთ ქვეყნებში. ხარბს ფაშას რა დაუნახავს ისეთი კაი ლუკმა, დაებარებია პატრები და უბძანებია მათთვის კოსტანტინეპოლს წასვლა, რადგან ფირმანის ბრძანება ასეაო. პატრსაც არ შეშინებია და უპასუხებია, მეც ვიცი ფირმანის შინაარსი. რადგან მისი თარგმანი მაქვსო, თქვენი ნათქვამი სიმართლე არ არისო. ფირმანი კოსტანტინეპოლში წასვლას კი არ გვიბრძანებს, არამედ თქვენ გავალებსთ ყოველგვარი შემწეობა აღმოგვიჩინოთ, ჩაგვაბაროთ ჩვენი ეკკლესია, სახლი და ქონება, და არავინ გაგვიბედოს შეწუხებაო. ფაშამ რა ნახა, პატრმა უკვე იცოდა ფირმანის შინაარსი, გაჩუმდა და გაისტუმრა სახლში.

„პატრებს მაინც კი ეშინისთ, პატრიარქმა, ჩვეულებისამებრ, ბევრის ფულით არ მოიყიდოს ფაშა, პატრებს რაიმე ბოროტი არ შესწამოს და არ გადევნოს იქიდგან. ამიტომ მთხოვენ, ყველაფერი ვაუწყო ბატონ საფრანგეთის ელჩს, რათა ფაშას ხელახლა ფიცხლად უბრძანოს, რომ

პატრების წინააღმდეგ არაფერი იმოქმედოს, ეს ყველა მოვახსენე ელჩსა, მაგრამ ბევრისა და უსაჭიროესის საქმეების გამო, ბევრს ვერაფერს დამპირდა, ხოლო მითხრა, ვეცდები, იქმნება როგორმე დაგიბრუნოსთ ვერცხლეულობა, თუ შესაძლებელი იქმნებაო.

„ახლა პატრებმა დაიწყეს სამსახურის აღსრულება თავიანთ ეკკლესიაში, მაგრამ დიდად ფრთხილობენ, ეკკლესიის მარტო პატარა კარს აღებენ, რათა ბევრი ხალხი არ მოვიდეს და ამითი მწვალებლებმა წუხილი არ დაიწყონ, იმდენი კათოლიკების ეკკლესიები როგორ დავკარგეთო! ეგრეთვე ქართველი კათოლიკებიც ასრულებენ მღვდელ-მოქმედებას თავიანთ ეკკლესიებში.

„ეჩმიაწინის პატრიარქმა პატრებს მოსწერა ერთი წერილიც, რომელსაც ამასთან ვგზავნი, და რომელშიც პატრებს უწოდებს ქურდ-ავაზაკებათ, სხვისი ერის გამტაცველად და სხვა". (1).

პატრიარქის წერილის დანარჩენ ნაწილში წყევლაა და გინებაა ლათინების წინააღმდეგ.

პატრები თოთხმეტი თვის ტყვეობის შემდგომ დაბრუნდენ ახალციხეს. გარნა ახალციხის დანარჩენ მღვდლებს, რომლებიც პატრიარქის ხელში იყვნენ, თავისუფლება ისე მალე არ ღირსებიათ. თურმე პატრების ჯავრსაც იმათზე ყრილობდა, ხშირად აცემინებდა და ბევრნაირად სტანჯავდა. ახალციხელებმა თუმცა ბევრი ფული დახარჯეს, მაგრამ კი ვერ განათავისუფლეს ის მღვდლები, ამისგამო ახალციხელებს ზემოდ დასახელებული უდელი მღვდელი პავლე გაუგზავნიათ კონსტანტინეპოლს ეპისკოპოსთან, რათა ეზრუნა მათი გამოხსნისათვის. იმასაც იქაური ქართველების რჩევით გადაუწყვეტია, ცდილიყო სასახლეში მყოფი ევროპელი მკურნალების საშუალებით მოეპოვებინა იმნაირივე ბრძანება, როგორიც კაფუცინების შესახებ გამოართვეს სულთანს. მაგრამ იმ საშუალებამაც, ისე ჰგავს, ვერ გასჭრა. ამ ნაირად ახალციხის მღვდლები დარჩნენ ტყვეობასა და ტანჯვაში სამის წლის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში სომხის პატრიარქი ხშირად სწერდა ახალციხის დანარჩენ მღვდლებს, რათა კათოლიკე სარწმუნოება უარ ეყოთ; ზოგჯერაც ეჩმიაწინში იბარებდა. ერთხელაც პავლე ეპისკოპოსის სახელით სიცრუით სავსე წიგნი მისწერა და მიიწვია კათოლიკე სარწმუნოების უარის საყოფლად. ახალციხის მღვდლები მის წერილებს სრულებით ყურადღებას არ აქცევდენ. ხოლო ახალციხეში მყოფი ზემოდ ხსენებული კირაკოსა მღვდელი თავისი ნებით წასულა ეჩმიაწინს, უარი უყვია კათოლიკე სარწმუნოება და იქვე დარჩენილა.

ერთ წერილში ვნახეთ, რომ ტყვედ დაჭერილ ახალციხის მღვდლებს, თავიდგან ასაცილებლად დიდის სატანჯველისა, რომელშიაც

მათ აგდებდა სომხის პატრიარქი, ვითომც კათოლიკე სარწმუნოება უარ ეყოსთ; გარნა სარწმუნოდ არ მიგვაჩნია, რადგან იმის თაობაზე არაფერია მოხსენებული პროპაგანდას წერილებში. მართალი რომ ყოფილიყო, მაშინ უეჭველად მიწერ-მოწერა გაიმართებოდა პროპაგანდას და ეპისკოპოსის შუა. ხოლო პავლე ეპისკოპოსის მიერ სარწმუნოების თაობაზე ნამდვილად გავრცელდა ხმა, რაისგამო პროპაგანდა ძრიელ შესწუხდა, მაგრამ ეს ამბავი ბოლოს ცრუ გამოდგა. ამიტომ, 14 აგვისტოს 1770, პროპაგანდა კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსს დიდ კმაყოფილებას უცხადებს, რომ ეს ხმა არ გამართლდაო.

ახალციხის მღვდლების ტყვეობიდგან დაბრუნების დრო ზედ მიწევნით არ ვიცით. არც ვიცით ყოველი ის გარემოება, რომელიც მათ დაბრუნებას შეეხება. ის კი ცხადია, რომ სომხის პატრიარქი მათ შემდეგშიაც მტრობდა და მოსვენებას არ აძლევდა, მეტადრე პავლე ეპისკოპოსს, რადგან ყოვლად ერთგული მუშაკი იყო კათოლიკე სარწმუნოებისა. ეს გარემოება რა უცნობებიათ კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსისათვის, დაუბარებია თავისთან პავლე ეპისკოპოსი და ავთანდილიანთ სტეფანე მღვდელი. პროპაგანდაც ეპისკოპოსს თავის სრულ თანახმობას უცხადებს, 1 ივლისს 1772 წ. მღვდლების დაბრუნების შესახებ. ორნივე ჩავიდენ კოსტანტინეპოლს, საიდგანაც მალე წავიდენ რომს. იქ პროპაგანდის თხოვნისამებრ, პავლე ეპისკოპოსმა აღწერა მშვენიერად საქართველოს იმ დროის გარემოება, რომელსაც ცალკე გამოვცემთ. თავის ამხანაგითვე დარჩა რომში და მიანდეს მას სომხის ტიბიკონის მოსწავლე მღვდლების კურთხევა, თანახმად პატრი კაპუროს წინადადებისა, როგორათაც ზემოდ ვნახეთ. პავლე ეპისკოპოსი რომშივე გარდაიცვალა 2 ნოემბერს, 1784 წ. მის მაგიერად დანიშნეს მისივე ამხანაგი, სტეფანე ავთანდილიანთი და მისცეს ტფილისის არქიეპისკოპოსობის ტიტული.

როდესაც ის ორი მღვდელი გაისტუმრეს ახალციხიდგან, თუ მღვდლებმა და თუ ერმა მათ მიანდეს, რომ ცდილიყვნენ და რომის საშუალებით ოსმალეთის მთავრობისგან მოეპოვებინათ საჭირო ბრძანება, რათა მწვალებელ სომხებს აღარ ედევნათ. გარნა, ისე ჰგავს, დიდი ვერაფერი გაარიგეს ამ საქმისა, რადგან ახალციხეს შემდეგშიაც ვხედავთ ისევ იმ შიშსა და შეწუხებაში, როგორშიაც წინეთ იყო. ამიტომ ახალციხის მღვდლები ამ საქმისათვის ხშირად სწერდენ კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსსა და პროპაგანდას. ამნაირი წერილის ნიმუშად მოვიყვანთ ამ შემდეგ წერილს, რომელიც ახალციხის მღვდლებმა მისწერეს პროპაგანდას:

„ქ: ჩვენ სამი წლის მწარე ტყვეობიდან გამოხსნილნი რომ მოვედით ჩვენს შეწუხებულს და დაგლახაკებულს ქალაქშია. რადგან დიდის

მუქარით მოგვდევდა ტანა ის ულ̃თო ეშმაკებრივი ამპარტავნებით აღზავებული ჩვენი წ̃ა სარწმუნოების მტერი, რომ ჩემის ცოცხალის თავით არც თქვენგან და არც თქვენის ქალაქისგან კელის ამღები არა ვარო. ან უნდა მე გავფუქდე ამ ჩემის მონასტრითა და ან თქვენ და თქვენს ქალაქს გავაფუჭებო. ჩვენც ამისგან შეშინებული მოსვლის წამსავე შევევედრეთ ერთის წიგნითა ცხონებულს იოსებ ეპისკოპოსსა რამე მოგვიხერხოს რაც შეუძლია ჩვენცა და ჩვენს გახრებულ ქალაქსაც, და იმ კეთილს მწყემს მაშინვე დიდის სიყვარულითა წიგნი ებოძებინა, და ოთხნივე დავებარებინეთ, აქ ჩამოდითო და მე ვიზრუნებ თქვენთვისაო. და ჩვენი ქალაქისათვინაც მრავალი სხვა ჭკვიანი ფრანგისა და სომხის გვარის ბატონებთა ეს ეფიქრა რამე ერთი დახსნის ფარვანი აგვართვას სამუდამოთა ახალციხის ქალაქსა და მისი სოფლებისა საერთოდ, რომ არასოდეს აღარა ეზიანოსთ რა მწვალებლებისაგან; და ამ ფარვანისათვის ეჭირებოდა კარგა თეთრი, და რადგან ქალაქში ორმოცი ქესა ჯარიმა გაწეულ იყო, საყდრები თუ ერი სრულ გაცარცული იყო, და აღარ შეეძლოთ რამე ამ ფარვანის თეთრის ილაჯი ექნათ; ქალაქმან სხვა ვერა იფიქრა რა კეთილი ამის მეტი, რომე ოთხნივე ვერ გამოგვიმეტეს სტამბოლს გამოსაგზავნათ. პირველად ამისთვის რომე დიდათ ეშინოდათ რომე არ დაებეზღებინათ ფაშისათვის, და ჯაშუშათ და მოღალატეთ არ დაეთვალათ, მეორედ ამისთვის რომე ჩვენი სამი წლის ტყვეობაშია ქალაქისა თუ სოფლების სულიერი ყოფნა სატირელი გამხდარიყო, და ბატონი პოლოს ეპისკოპოსი გამოგზავნეს ერთი ჩვენი ოთხისაგანი ტერ-სტეფან ავთანდილიანთი, და ამათთვინაც ფაშასაგან წიგნი აიღეს, რომე წყალობის დასაკრეფად მიდიან თავიანთი დაჭირებისათვის, თვარემ სხვა რიგად ვერ წამოვიდოდენ. და მე პოლოს ეპისკოპოსმან თავის მაგიერ მე ჩამაბარა ეს ქალაქი თავის სოფლებითა, რადგან იოსები ეპისკოპოსის ვიკარი იყო, რომე მენაღვლა ამათი სულებისათვის, როგორც მერმე სტამბოლიდამე ა(ხ)ალი სამოციქულო ვიქარი ბატონი ივანე ბავესტრელისაგან ახალი ბრძანება მომიწერინა, რომე ამ ფერადვე აქაურებისათვის მომევლო. და მეოთხე მღვდელი ჩვენი ჭირის ამხანაგი, რომ ცოლშვილის პატრონი იყო, და გაწეული ჭირისაგან და ავათმყოფობისა დაღეული, იქვე დარჩა და შარშანვე ქრისტიშობის 23 სული ღმერთს მიაბარა.

„აწე ქალაქის ეხტიბარებმან და ღვდლებმან ერთი სახვეწურის წიგნი მიართვეს იოსებ ეპისკოპოსსა, რომე ჩვენ შეძლება აღარა გვაქვს მაგ ფარვანის თეთრისაო, მარტო რვა ასი ყურეში გვაქვს ასაღები პატრი კაფუცინებზედა, რომე ფრა ფორთუნათო სახელით რომე კაფუცინების ვექილია მანდა ის გაარიგებინე და რაც აკლია წმიდა კრებას შეგვახვეწე, სხვა ილაჯი არა გვაქვს.

„ჩაჳიდა ეს ბატონი ეპისკოპოსი სტამბოლსა, და იოსეფ ეპისკოპოსი, მიცვალებული დახვდა: აგერ წელიწად ნახევარზედ მეტია, ქალაქის მღვდლებ'ა და ერსა თვალი მაგისკენ დაგვრჩენია: თუგინდ სამჯერ მოეწერა, რომე გარიგებული ჰქონია საქმე, მაგრამ რადგან თეთრი არა ჰქონია დარჩომილა. და ახლა მოუწერია რომე, თქვენის წმიდა ბრძანებითა წამოსულა რომისკენ, და ჩვენ ვყრილვართ ამ ფერს უბედურობის შიშია.

„და უფრო საშინელიც ეს გავიგონეთ რომე ის კორციელი ეშმაკი კაცი სახელი მიღდისი უნან რომე ჰყავს იმ ჩვენი სჯულის მტერს პატრიარქსა, რომლის ხელითაც მოატანინა და წაგვასხა დაბორკილებულნი, კიდევ გამოუგზავნია სტამბოლსა ჩვენთვის და ჩვენი ქალაქისათვის სამტეროთა, და თუ აქამდე გვეჭირებოდა შველა, ახლა ერთი ათასათ გვჭირდება.

„მთელი ქალაქის ღვდლების და ერის პირითა ვეხვეწებით თქვენს სიწმიდესა რომე რადგან სულების ცხონებისათვის ბძანდება ეგ წმიდა კრება, ეს ქალაქი თავისი სოფლებითა, ამდენი სულების სიმრავლე დაიხსნას სამუდამოდ ამფერის წაწყმენდისაგან ერთი იმ ფერის ფარვანის გარიგებითა, რომე ცხოვნებულს ეპისკოპოზს და სხვა ჭკვიანებს დაურიგებიათ, თვარემ ის ულვთო კაცი ასეთის ამპარტავნებით არის აღძრული, რომე თვითონაც თუ გინდ მოკვდეს, მის უკან ერთი უარესი არის, იციან ყოველთავე, უეჭოდ გაუხრებელი ვერ მორჩება ეს საწყალი ქრისტიანობა, მერმე ამ ფერს არეულობის დროშია, რომე თავიანთი მტრობის სიტყვები ამ არეულობის მიზეზით ადვილად გაუდისთ.

„მაშ რადგან თქვენი სიწმიდის წადილი ეს არის რომე ეს ქალაქი თავისი სოფლებითა გაოხრებული არ დარჩეს ამ ჩვენი სულიერი მტრებისაგან, ვეხვეწებით დიდათა, რომე ნუღარ დააგვიანებთ და ახლავ ერთი ამფერი ფარვანითა ეგ ბატონი ეპისკოპოზი მოგვე ღვდლითა საშურათ გამოგვიგზავნეთ, რომე დიალ ეჭირვებათ ამ ქვეყანას, და რადგან დიალ შიშში ვართ ყოველგზითა, ამისათვის ყოველი ვისმეს ბეჭდები არ მოვინდომე რომ ყოფილიყო. ეს არის ჩვენი სახვეწური. და ახლა ნება თქვენი სიწმინდისა არის. ივლიტას, მარტის 6. წ. 1774:“

ამ წერილის ბოლოში შემდეგი აწერია:

„ქ: ეს მესამე ჯერობაა. რომ ვეჩვენები თქვენს სიწმინდესა ჩემის დასაბეზრავის მოთხრობითა და არც ვიცი, ან თუ ერთი მაინც მოგწდენოდესთ აქნობამდე. უფალმან წყალობა მიყოს ეს მოგერთვას სხვებიანათა აქ შეკეცილთა, რომელთაგანა ადვილად იგულისხმებთ. სხვა დანარჩომი დარდი ყოველივე აქაურობისა. ასეთი უბედური დროებაში, ვართ

ამას ჟამსა, რომელ, უარესი არც ვისმე უნახამს და არცა გაუგონია. თემი დაქცეული, მუდამ უარესად ოხრდება, უილაჯო უძლურ შექმნილი მძიმე უღლის გაწევითა". (1).

ამის მიმწერი არის მღვდელი ივანე ჯიგანანთი. მკითხველთ მივანდობთ, რომ თვითონ დასდვან თავიანთი მსჯავრი სომხის პატრიარქის ესეთ ულმერთოებას და მის მიერ ახალციხის მოოხრებას. მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ახალციხეში კათოლიკე სარწმუნოებას ძრიელ ღრმად ჰქონია ფესვი გადგმული, რადგან, შემდგომ ეგოდენის მტარვალობისა, კიდევ დარჩენილა ხალხში ეს სარწმუნოება. სხვათა შორის ესეც ერთ საბუთად მიგვაჩნია ახალციხეში კათოლიკების სიძველისა, რადგან ახალ მიღებული რომ ჰქონოდათ სარწმუნოება, მაშინ ადვილად დაანებებდენ თავს ისეთ სარწმუნოებას, რომელიც მუდამ ჟამს მათი მწუხარების მიზეზი ხდებოდა. სჩანს, დიდის ხნითვე შესისხლხორცებული ჰქონიათ იგი, რომ ასე უცბად არ უარუყვიათ.

ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ, რომ კაფუცინებსაც, ახალციხის მღვდლებისავით, მუდამ ეშინოდადათ სომხების მტრობისა. თუმცა სომხების პატრიარქმა ისეთი უწყალო დევნულების განახლება ველარ გაბედა, მაგრამ სხვაფრივ კი არ მოაკლო მტრობა და საკმაოდაც ავნო. ერთი მისი ესეთი მტრული მოქმედება ის არის, რომ ბარდოზში ტყვედ ყოფილი უფროსი პატრი მოაწამვლინა. ამ ამბავს გადმოგვცემს იმ დროშივე აღწერილი მოკლე მოთხრობა, დაწერილი ქართულად და კაფუცინებისაგან იტალიანურად ნათარგმნი.

„პატრი ალიოზის სიკვდილზე რაც მოხდა.

„ქ: იმ თარეხში ფაშათ სუმბატი შვილი იჯდა. ქეათ სუმბატის შვილის სიძე აწყვრის ალის შვილი ალი ბეგი იყო. ეს პატრი ალიოზი პოების მარტიროზ ვართაპეტთან ყოფილიყო. იქიდამ მამასახლისის პეტრეს სახლში ამოევლო, და ეთქვა: მალე ცოტა მაწონი მომიშოვნეთო. ხოჯოანთ ბატონჯანას სახლში მარტიროზ ვართაპეტთან ვიყავიო. იქ ერთი ფინჯანი რახი მასუესო. მუცელში ცეცხლი მეკიდებაო. მერმე იქ ცოტა მაწონი ეშოვნათ. ერთი ორი კოვზი მაწონი ეჭამა. წასულიყო და დაწოლილიყო, იმ ღამეს მომკვდარიყო. დილაზე ღამიანათ ზემო საყდრის ჟამგოჩი ჩამოეგზავნათ ღამიან მამასახლის პეტრესთან. ამას ეძინა. ჟამგოჩმა გააღვიძა, ზემო საყდრის გვერდზე, ქეთხუთები გეძახიანო მალე აქ მოდიო. მამასახლისმა პეტრემ უთხრა ჟამგოჩსა. ამ დროს რა უნდათ? რა ამბავია? ჟამგოჩმა უთხრა, მე რა ვიციო? საყდრის კუთხეში ზიანო და იქ გეძახიან საჩქაროთაო. მე არავიცირაო. ადგა მამასახლისმა ტანი ჩაიცვა, და ჟამგოჩის წაჰყვა ზემო საყდართანა. იქ რომ ავიდა, ნახა და უთხრა? ამ დროს რათ მიძახითო? რა ამბავი არისო? იქ იყვნენ

პატარა სიმონაი, კრუხიჭამიათ ბატონჯანაი, ხანუმათ პეტროსაი, ქურქჩიანთ ყაზარაი. ამათ უთხრეს: რა გაყვირებსო. აქ მოდი და შეიტყოფ რაც ამბავი არისო. პატრი ალიოზი მომკვდარაო: ვართაპეტს მოუწამლიაო. მალე ახლავე წადიო, და ფაშას შეატყობინეო: მერმე მამასახლისმა პეტრემ უთხრა: ამ დროს სად წავიდეო? ფაშას ყველას ძინამსთო. ამათ უთხრეს; თუ არ წახვალ არ იქნებაო. მერმე მამასახლისმა უთხრა. რაფერ იქნება უბრალოთ ვეზირთან მისვლა. აქ გზაზედ ლაპარაკი არ იქნებაო. ერთი სახლი იშოვნეთო. სულ ყველანი იქ შევიდეთო. ვარჩიოთ, სიტყვა შევკრათ, და რასაც თქვენ დამაბარებთო მეც მივალო და ფაშას იმას ვეტყვიო. ადგნენ იქიდამ. პატარა სიმონას სახლში ჩამოვიდნენ. იქ არჩიეს. ეს ბრალი ვართაპეტს დავდვათო, ჰამ ფაშა დიდს ჯარიმას გამოართვამსო, ჰამ ქვეყანაზე სახელი გაუტყდებაო, ჰამ იმის მტრობა გამართლდებაო. მამასახლის პეტრეს უთხრეს. შენ წადი; ახლავ ფაშა ნახეო, და კაი ნაირად მოახსენე; და უთხარიო. ბატონო მარტიროზ ვართაპეტმა ჩვენი ექიმი პატრი მოწამლაო, და მოკვდაო. მერმე წავიდა მამასახლისი პეტრე ფაშასთან. ნახა რომ ფაშას ჰარამში ეძინა, იკითხა; რომელ ოდაში ძინამს ფაშასაო? მუახლეებმა უთხრეს: მაბეინ ოდაში ძინამსო, წავიდა მამასახლისმა, და მოუარა დივან ხანაში, რომ პატარა ჰარამის კარია, ის დაარახუნა, და ფაშა აყენა ლოგინიდგან ნიფხავ-პერანგითა ფაშა კართან მოვიდა: ვინახარო: მერმე მამასახლისმა უთხრა მე ვარ ბატონო, ერთი კარი გააღეო: თქვენთან ერთი საიდუმლოანი სიტყვა მაქვსო. ფაშამ ფიცხლავ კარი გააღო. მამასახლისი შევიდა კარი მიუგდო, და უთხრა, ბატონო, ერთი დიდი ამბავი მოხდაო. პოების ვართაპეტსაო ექიმი პატრი მოუწამლიაო და მოკუდაო. და შენ იცი რასაც იმას უზამო ამ საქმეზე, ბევრი თეთრი შემოგივაო. მერე ფაშამ უთხრა მამასახლისსა: შევიტყეო: შენ წადიო: ახლა მე ვიციო. მასუკან მამასახლისი წამოვიდა, ფაშა რომ ადგა დილაზე, გამოვიდა ფიცხლავ მუბაშირი გამოგზავნა: წადიო, ქეთხუთები, და მამასახლისი მომგვარეო. მუბაშირი მოვიდა. ქეთხუთები, და მამასახლისი წაიყვანა: მალე ფაშა გიძახისო. იმათ უთხრეს მუბაშირსა, რა უნდაო: მუბაშირმა უთხრა: მე რავიციო: წავიდნენ ფაშასთან ქეთხუთები, და მამასახლისი. ფაშამ უთხრა: ექიმი პატრი მოკვდაო: იმათ უთხრეს: მოკვდა ბატონო: ვინ მოკლაო ფაშამ უთხრა: იმათ უთხრეს პოების ვართაპეტს აბრალებენო. იქ რახი უსვამსო ამოსულა, დაწოლილა, და მოკუდაო: ფიცხლავ ფაშამ ყადი იენიჩარაღა თავისი კაცი გამოგვატანა, და მოვედით პატრის ოდაში, და კბილები გაუშინჯეს. შავი ქონდა. ბაგები ლურჯი ქონდა. თათრებმა თქვეს რაღა მოწამე გვინდაო. იმისი ნიშანი ის არისო. კბილები გაუშავდებაო: ბაგები გაუშავდებაო. ყველამ

დაამტკიცეს მოწამლული არისო. მასუკან კიდევ შევიდნენ ფაშასთან, და როგორც ნახეს, ისე მოახსენეს. მასუკან ვართაპეტი მოაყვანინა: ფაშამ უთხრა: ამ პატრის სიკვდილს შენ გაბრალებენო: იმან დიდი ფიცითა შეიფიცა: მე მაგ საქმის მქნელი არა ვარო. შარს მიგდებენო. ჩემი მტერი არიანო. მაინც ამ სიტყვებით ვართაპეტი ვერ მორჩა. ქეის ყავის ოჯახში ტყვეთ ჩააგდეს ვართაპეტი. იქ ბევრი ქრთამი დახარჯა ვართაპეტმა: და მოწამე ითხოვეს ჩვენგანა. ჩვენ მოწამე ვერ ვიშოვნეთ. დაგვიჭირა ფაშამა: ხუთასი მარჩილი ახალციხელებს წაართვა ხუთასი პოების ვართაპეტსა. ამ საქმეში არც პატრები რეულან: არც პატრების დიაკვნები რეულან. როგორც სწერია ისე მოხდა". (1).

ამის იტალიანურის თარგმანში, რომელიც აქ არ მოგვყავს, ბოლოზე სწერია: „ეს ფიცის ქვეშ დასწერა მამასახლისმა თავის ხელით". ეს მამასახლისი იგივე ზემო ხსენებული პეტრე ხიზანაშვილია. ამ წერილზე რიცხვი არა სწერია. უნდა მომხდარიყო პატრების ტყვეობიდგან დაბრუნების რავდენისამე თვეს შემდგომ, ესე იგი 1771 წ. რადგან ტყვედ ნამყოფი პატრი უფროსი იყო; იმავე წელს მის ალაგს უფროსად დაინიშნა პატრი დომინიკე ტრიესტელი.

ახალციხის კათოლიკებსა და მღვდლებს, სომხების გარდა, ხშირად მტრობდენ ეგრეთვე თათრები და ლეკები. რასაც პირველი მტრები აკლებდენ, უკანასკნელები უთავებდენ. ასეთი მდგომარეობის შესახებ მოვიყვანთ ამ წერილს:

„თქვენო უმაღლესობავ, მივიღე თქვენი უპატიოსნესი წერილი 18 იანვრისა 1772. უკეთუ ჩემს გარემოებას იკითხავთ, ჩემი რომიდგან წამოსვლის შემდგომ ცხრა წელიწადი დავრჩი ერთსა და იმავე სოფელ ხიზაბავრაში. შემდგომ მოვიდენ მტრები და წამართვეს რაც კი გამაჩნდა. სოფლელებიც აღარ მაძლევდენ პატარა გადასახადს, რასაც შემომპირდენ. დავბრუნდი ახალციხეს მთლად გაცარცული და მიველი ბატონ ივანე მღვდელთან, რომელიც იმ დროს პავლე ეპისკოპოსს ასლანიშვილს დაეტოვებინა ვიკარად. იმას ვუთხარი: იმ სოფლის შევლა მე აღარ შემიძლია, სხვა მღვდელი მონახეთ მეთქი. უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ხშირად მე იქ გაუნდობელი ვრჩებოდი მთელის წლის განმავლობაში, რადგან არ შემეძლო ახალციხეში მოსვლა მტრების შიშით. იმან მიპასუხა, ძრიელ კარგიო, დარჩით ცოტა ამ ქალაქშიო და შემდგომ მოდით ჩემს ამხანაგად სოფელ ივლიტაშიო. მეც ვუთხარი ამ მოკლე ხანში წავალ, მოვივლი სოფლებს, ხალხს ვასწავლი საქრისტიანო მოძღვრებას და მის განმარტებას მეთქი. იმან მიპასუხა, ძრიელ კარგი იქმნებაო. წაველი ერთ სოფელში და დავრჩი 20 დღეს, შემდგომ იქიდგან წაველი ლეკების ფაშის სოფელში აბასტუმანს. რავდენისამე ხნის

შემდგომ ლეკების ფაშამ ერთი წიგნი მომწერა ესრედ: მაგ სოფლიდგან სხვაგან არსად წახვიდეთ, თუ გამოსულხართ მაგ სოფლიდგან, ვეტყვი ლეკებს, რომ, სადაც გნახონ ტყვია გესროლონო. ესრედ დავკარგე თავისუფლება. ახლა ვარ ამ სოფელში, 13 ღარიბი მოსა'ლე კათოლიკეა, რომლებსაც შეძლება არა აქვსთ შემინახონ. კიდევ ბევრი ჩემი საწუხარი მაქვს მოსახსენებელი თქვენი გულმოწყალე უმაღლესობისათვის, მაგრამ ველარ ვბედავ, რათა თავი არ მოგაბეზრო. ხოლო სიმდაბლით ვაუწყე კოსტანტინეპოლის არქიეპისკოპოსს, სამოციქულო ვიკარიას, ივანე ბავესტრელსა, რომელიც, უკეთუ ინებებთ, გადმოგცემსთ ყოველის ჩემის უბედურების ამბავს. სიმდაბლით ვემთხვევი თქვენს ბისონს კალთასა და ვითხოვ თქვენს მამობრივსა და სამოციქულო კურთხევას. თქვენი უმაღლესობის უმორჩილესი და უერთგულესი შვილი და მონა, მღვდელი ფრანჩისკე შარაეთი, პროპაგანდის მოწაფე, ახალციხეს, 2 მაისისა 1774“. (1).

კარდინალმაც საჩქაროდ ეს წიგნი მოსწერა:

„ბატონ მღვდელს ფრანჩისკე შაროანთ, მისიონერს, ახალციხეს, 26 ნოემბერს 1774.

„მეტად სამწუხაროდ დამირჩა თქვენ მიერ მოწერილი ამბავი მანდაურ კათოლიკების სამწუხარ მდგომარეობისა. უფროსი ერთად შემწუხა იმან, რომ ეჩმიაწინელი მწვალებელი პატრიარქი მანდაურ სამღვდელოებას გადამტერებია. ინებოს უფალმა და აცილოს მანდაურობას დევნულება, რომელმაც, შეიძლება, მთლად მოსპოს მანდ სარწმუნოება. აწ გულს ნუ გაიტეხთ, მტკიცედ იყავით სარწმუნოებაში და ეცადეთ, რომ თქვენის მაგალითით სხვები განამტკიცოთ და გაამხნეოთ, რათა მოითმინონ ყველანაირი უბედურება და არ დაუტეონ სარწმუნოება. ივანე მღვდლის საქმისა, ახლა რომ განაგებს მანდაურ მისიონსა, ძრიელ კარგა გიქმნიათ თქვენ და თქვენს ამხანაგ მღვდლებს, რომ მიგიმართავსთ საპატრიარქო ვიკარიასათვის; იმედი მაქვს, რომ ღირსეულმა ეპისკოპოსმა მოგცეთ ყოველი შესაფერი განკარგულება, რასაც კი საჭიროდ შერაცხავს. ესრედ, ეგ მორწმუნები კარგად იქმნებიან მორთულნი და არც ერთი სახარების მუშაკი იქმნება დაჩაგრული უსამართლოდ. აწ მოწყალე ღმერთსა ვთხოვ თქვენთვის სიმხნესა და უხვ კურთხევასა“. (1).

როგორც სჩანს, ამ წერილის გარდა, კიდევ სხვა წერილიც ყოფილა რომში გაგზავნილი პატრიარქის მიერ დევნულების შესახებ.

ამ ნაირ გაჭირვებულ მდგომარეობაში დაბრუნდა რომიდგან ახლად ნაკურთხი მღვდელი ახალციხელი მაქანდრიანთ გრიგოლი. მოსვლისთანავე, რომში მისწერა კარდინალს იქაური ამბავი და თვისი მოგზაურო-

ბა. სამწუხაროდ ის წერილი ვერ ვიპოვეთ. ხოლო გვაქვს მისი წერილის ეს პასუხი, რომელიც კარდინალმა მისწერა:

„ბატონ მაქანდრიანთ გიორგის, ქართველ მღვდელს, ახალციხეს, 2 სექტემბერს 1775.

„ამ წმიდა კრებას დიდად სასიამოვნოდ დაურჩა ის ამბავი, რომელიც მოიწერეთ თქვენს სამშობლოში მშვიდობით მისვლაზე. მეტადრე ესიამოვნა ის ამბავი, რომ თქვენ სიმრთელით კარგად ხართ და კიდევაც დაგიწყიათ ახალციხის სამრევლო ეკკლესიაში წმიდა სამსახურის აღსრულება. თქვენს წერილში გამოცხადებული სიუკეთესო აზრები გულმოდგინეობისა და სარწმუნოებისა კვალად გვარწმუნებს მე და ბატონს კარდინალებს, რომ არა ვსცდებოდით. ამიტომ დიდის სიამოვნებით გაძლევსთ 50 საქრისტიანო მოძღვრებას ქართულს ენაზე, ამათ მოვაწოდებთ კოსტანტინეპოლში საპატრიარქო ვიკარია ეპისკოპოსს, რათა პირველ შემთხვევაშივე გამოგიგზავნოს საქართველოში. მაშ განაგრძეთ ეგ თქვენი სასარგებლო მოღვაწეობა თქვენის ტომის ერის სასარგებლოდ; ამნაირად სასარგებლოდ გაამართლებთ იმ საუკეთესო იმედს, რომელიც თქვენს შესახებ გვაქვს. დარწმუნებული იყავით, რომ სიამოვნებით მოვისმენთ ყოველ ამბავს, რომლის მოწერასაც გვპირდებით. ვსთხოვ თქვენთვის ღმერთსა ყოველ ნაირ ბედნიერებას". (1).

ჩვენთვის დიდად სასიქადულო უნდა იყოს პროპაგანდისაგან ამ ქართველის მღვდლის ესრე ქებით მოხსენება, რადგან პროპაგანდა ისე არავის აქებს, თუ მეტის მეტი ღირსეული ვინმე არ არის. მართლადაც ის მღვდელი მეტად შესანიშნავი ვინმე ყოფილა, რადგან პროპაგანდის მოწაფეების სიაში მის შესახებ ამ სიტყვებს ვხედავთ ჩაწერილს: „In omnibus insignis" (ყველაფერში წარჩინებული)".

იმ დროებში (1776 წ.) მოსკოვიდგან მოსულან რომს ორი ძმა ახალციხელი ქართველები. უფულობის გამო გაჭირვებაში ჩაცვივნულან, ამიტომ პაპის პიო მეექვსესათვის შემწეობის სათხოვნელად მიუმართავსთ ამ წერილით: „უნეტარესო მამაო, დამხობილნი თქვენს წმიდა ფერხთა წინაშე ახალციხელი ქართველი ძმანი პეტრე და იოსებ ამირანთ მარიბეგი, მელიქი ელიზბარბეგი, უმდაბლესად მოახსენებენ, რომ უკანასკნელი ომის გამო გამოიდევნენ მოსკოვიდან, სადაც 26 წელიწადი იცხოვრეს და დასტოვეს თავიანთი დედა და ერთი დაჲ; არც შეუძლიანთ დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში, საიდანაც გაიქცნენ, რათა უარი არ ეყოთ თავიანთი წმიდა სარწმუნოება, რომელსაც იცავენ და უნდათ მორწმუნებით სიკვდილამდინ დაიცვან. ამისათვის მათ დაუტევეს თავიანთი სიმდიდრე და ქონება, რომელიც უხვად ჰქონდათ; ახლა აღარ იციან თუ როგორ იცხოვრონ, რადგან აღარც ტანისამოსი და აღარც

ნივთეულობა აქვსთ, რომ ან გაყიდონ და ან დააგირაონ; უცნობნი ამ რომის ქალაქში შიმშილით დიდ სიმწუხრეს სწევენ, იმ ზომამდე, რომ ხშირად ერთი ლუკმა პურიც ენატრებათ; ამიტომ მომართავენ თქვენის სიწმიდის მამებრივ გულმოწყალებას, რათა იესოს სიყვარულისათვის ცოტა თვიური შემწეობა მისცეთ მათ, რომ შეიძლონ ცხოვრება ვიდრე ამ ქალაქში არიან. ესენიც არ დასცხრებიან და ევედრებიან ღმერთსა თქვენთვისა. აგრეთვე ამასთან აახლებენ თქვენს სიწმიდესა საჭირო მოწმობას, და იმედი აქვსთ, რომ ნუგეშის-ცემულ იქმნებიან“. (1).

წერილს თარიღი არა აწერია, ხოლო სჩანს რომ წარუდგენიათ დეკემბერს 1776 წ. ისე ჰგავს, რომ იმათი წარდგენილი მოწმობის ქაღალდები არ ყოფილან საკმაო, რადგან პირველის სათხოვრით ვერაფერს გამხდარან. მერმე 15 ივლისს 1777 წ. ხელმეორედ მიუციათ თხოვნა, რომელიც ცოტა განირჩევა პირველისაგან. თხოვნაში ასახელებენ რომშივალის აღებას, აგრეთვე სთხოვენ ფლორენციაში წასასვლელად სამგზავრო ფულს, რადგან იქ რაცლა დიდად საჭირო საქმე ჰქონიათ. იმათთვის მეტს ვერაფერს ვიტყვით, რადგან მათ შესახებ სხვა არაფერი ცნობები გვაქვს; არც ვიცით, თუ რა შემწეობა აღმოუჩინეს.

მღვდელმა მაქანდრიანთ გრიგოლმა, პრაპაგანდასგან რა მიიღო ზემოდ მოყვანილი წერილი, მისწერა რომში კვალად ეს წიგნი:

„მათს უმაღლესობას, წმიდა კრების ბატონ კარდინლებს.

„ჩემს სამშობლოში მოსვლისათანვე თქვენგან 50 ცალი ქართველი საქრისტიანო მოძღვრების გამოგზავნა მამტკიცებს თქვენის უმაღლესობის ჩემდამი სიყვარულს. წიგნები ჯერ არ მიმიღია, მაგრამ, იმედი მაქვს, მივიღო კოსტანტინეპოლიდგან მოსასვლელ მეორე ქარავანით. დიდს მადლობას ვუძღვნით თქვენს უმაღლესობას იმათის გამოგზავნისათვის; დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ მათ გამოვიყენებ იმ ნაირად, როგორადაც თქვენ ინებებთ და რა აზრითაც გამოგზავნეთ. აწ ახალციხეს ვარ სიმრთელით, რასაც გულითად ვისურვებ თქვენის უმაღლესობისათვისაც. ახლა წმიდა ჯვრის ეკკლესიის მაგივრად, მღვდლების თხოვნით, წმიდა ივანე ნათლის-მცემლის ეკკლესიაში ვასრულებ სამსახურს. აქ დიდი სულიერი გაჭირვება არის, რადგან რვა წელიწადია, რაც მრევლს თავიანთს ეკკლესიაში საქრისტიანო მოძღვრება აღარ მოუსმენია. აქ კაი კათოლიკები არიან და ძველთა ქრისტიანეთა ჩვეულებას მისდევენ. თუმცა არიან ზოგნიც გულგრილნი სარწმუნოებისა და კეთილი ზნეობის მიმართ, თუ თავიანთ დიდი სიგლახაკის გამო და თუ ჩვენის წმიდა სარწმუნოების მტრის შიშის გამო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ, ჩემის უძლურობის დაგვარ, თავი არ დავზოგო და ყველას სულის ცხონებისათვის ვიღვაწო. ეჩმიაწინის პატრიარქი მუ-

დამ გვემუქრება და გვაშინებს, თუმცა ახლა თავისი ბოროტი განზრახვანი ვერ შეუსრულებია, რადგან, ღვთის წყალობით, სოლეიმან აწინდელი ფაშა ძრიელ კარგად ეპყრობა კათოლიკებს. მაინც კი სარწმუნოების მტკიცედ დასამყარებლად, და რომ შემდეგში ეჩმიაწინის მტრობისაგან აღარ გვერიდებოდეს, საჭიროა წმიდა კრების შეგნებული რჩევა, რადგან მტერს არ სძინავს არც დღე და არც ღამე, და ცდილობს ერთიანად მოგვისპოს სარწმუნოება...

„კოსტანტინეპოლში ეპისკოპოზს ბავასტრელსა, ვითარცა თვით ნატრობდა, ბევრი რამ მივსწერე ზოგიერთი ჩვენის მღვდლების საქციელისა. იმედი მაქვს, ეპისკოპოსმა ვითარცა საუკეთესო მწყემსმა მალე უშველოს ამას, როგორც თვით საჭიროდ შერაცხავს. მხოლოდ ერთ რასმე საჭიროდ ვრაცხვ ვაუწყო წმიდა კრებას: ზოგიერთმა ჩვენმა მღვდლებმა თავიანთის ნებით ჩვეულებად შემოიღეს ხმოან წირვაზე ორი სახარების წაკითხვა, ან უკეთ ვთქვათ, ერთის და იმავე სახარების ორი სხვა და სხვა ენით წაკითხვა, ესე იგი სომხურის ენით და ქართულის ენით, ვითომც ქართული სახარება განმარტება იყოს სომხურის სახარებისა. ამის შესახებ თქვენს ბრძანებას მოველით რადგან ვუწყი, რომ თქვენი უმაღლესობა მუდამ მზათ ბრძანდება ჩემს შესაწევნად. ამიტომ გავბედავ და გთხოვთ ერთს სომხურის წირვის წიგნს, რომლის დაბეჭვდაც დაიწყეს ჩემი რომში ყოფნის დროს; ახლა უეჭველად გათავებული იქმნება. დასასრულ, ვეამბორები თქვენს ბისონს და დავშთები თქვენის უმაღლესობის ყ̃დ მდაბალი და უმორჩილესი მონა გრიგოლ მაქანდრიანთი. ახალციხეს, 23 ოქტომბერს 1776 წ.“. (1).

პროპაგანდამაც არ დაახანა, მალე პასუხი მისცა და კანონიერად სცნო წირვაზე ქართულის სახარების წაკითხვის ჩვეულება:

„ბატონს გრიგოლს მაქანდრიანთ მღვდელს, ახალციხეს, 1 თებერვალს, 1777.

„დიდის კმაყოფილებით მოისმინეს კარდინალებმა სულიერი მდგომარეობა მაგ ერისა, რომელიც ეგრე ქრისტიანებრივის სათნოებით შემკობილი ყოფილა; ეგრეთვე თქვენი ფხიზელი და კეთილი გულმოდგინება, რომლითაც შრომობთ მაგათი ცხონებისათვის. რადგან ღვთის წყალობით ეგრეთ უხვ ნაყოფს იღე̃თ, იმედი მაქვს, ღმერთმა აკურთხოს თქვენი მოციქულებრივი მოღვაწეობა და შეგეწიოსთ, რათა განაგრძოთ მათი მოვლა, და სძლიოთ ყოველ წინააღმდეგობას, რისაც გეშინიათ. იწერებით, რომ ზოგიერთ მანდაურ მღვდელს ჩვეულებად შემოუღია ხმოანი წირვის დროს ორი სახარება წაიკითხოს ერთი სომხური საეკკლესიო ენით და მეორეც ქართულ ხუცურად, და თანაც თქვენს ეჭვს აცხადებთ. რადგან მაუწყებთ, რომ მეორე სახარება არის უბრალო

განმარტება, ანუ თარგმანი სომხურისა, ამიტომ მაგაში მე არაფერს ვხედავ წინაღმდეგს, ვინაიდგან პირველი, რომელსაც კითხულობენ სომხურის ენით, შეადგენს ლიტურღიის ნაწილსა იმავე ტიბიკონში, ხოლო მეორე ქართულად წაკითხული თანახმაა ეკკლესიის აზრისა, რომელიც ნატრობს, რომ სახარება ყველამ კარგად გაიგოს, ამიტომ ჰნებავს, რომ მწყემსთა, ტრაპეზზე სახარების წაკითხვის შემდგომ, განუმარტონ ერსა. უკეთუ ქართული სახარება თანახმა არის სომხურის, მაშინ თქვენც ნუ დაუშლით შემოღებული ჩვეულება დაიცვან ქართულად სახარების წაკითხვისა. სომხური წიგნის დაბეჭვდისა, უნდა გაუწყო თქვენს დასაიმედებლად, რომ, მიუცილებელი მიზეზების გამო, რავდენისამე ხნით შეწყდა მისი ბეჭვდა; მალე დაიწყებენ ხელახლავ. ეს მქონდა თქვენის 23 ოქტომბრის წერილის საპასუხოდ. ეგრეთვე გაუწყებ, რომ სრული კმაყოფილი ვართ თქვენი. ვთხოვ უფალს, მოგანიჭოსთ ყოველი ჭეშმარიტი სიკეთე". (1).

რადგან ის მღვდელი პატიოსანი ვინმე იყო და დაიმსახურა პროპაგანდის განსაკუთრებული პატივი და სიყვარული, ამიტომ ხშირად მიწერმოწერა ჰქონდა მასთან. ამ წერილის მიღების შემდგომ, კვალად 10 მაისისა 1778 წ., სწერს პრაპაგანდას თავის გარემოებას და ჰპირდება, რომ ნიადაგ ვიღვაწებ ჩემის ერის გასარწვრთნელად და საპატრონებლადო. პრაპაგანდას იმავე წლის 28 ნოემბერს მოუწერია, მაგრამ არ ვიცი, თუ რა საქმისთვის, რადგან ეს წერილი არა გვაქვს.

იმ პატიოსან მღვდელს მალე რომიდან მოეშველა ერთი მისი საუკეთესო ამხანაგი, მღვდელი გრიგოლ კრუხიჭამიანთი, ახალციხელი ბატონჯანას შვილი. თუმცა ნაკურთხი მოვიდა, მაგრამ სწავლა ვერ დაამთავრა რომში, სნეულების გამო იძულებული გახდა მალე წამოსულიყო. იგიც შესანიშნავი ვინმე იყო და ძრიელ კაი სახელი დასტოვა რომში, რადგან პროპაგანდის მოწაფეების სიაში მის შესახებ ეს საუკეთესო შენიშვნა სწერია: „In omnibus excellens Gregorius, (გრიგოლი ყველაფერში წარჩინებულია)". მოსვლისათანვე კონსტანტინეპოლში გაგზავნა წერილი რომში მისაწვდენათ. წერილი ჩვენ არ გვაქვს. ხოლო მოვიყვანთ მის საკმაოდ ვრცელს წიგნს, რომელიც მის შემდგომ მისწერა რომში:

„მათ უმაღლესობას კარდინალს.

„ამ წიგნით თქვენის უმაღლესობისაგან მოვითხოვ ბოდიშს წერილის დაგვიანებისითვის. გარწმუნებთ, რომ მიზეზი ამისა ჩემის მოვალობის უცოდინარობა ანუ კდემა—პატივის უქონლობა არ ყოფილა, ვინაიდგან აღვიარებ ყოველ ნაირ სახელქვეითო მოვალეობას; ხოლო მიზეზი ის იყო, რომ ერთი კაი შემთხვევის გამო გავუგზავნე ჩემი წერილი

კოსტანტინეპოლში საპატრიარქო ვიკარიას თავისივე თანახმობით, რათა თქვენის უმაღლესობისათვის მოეწვდინა. ამიტომ დიდის ნატვრით მოველოდი ჩემი წერილის პასუხს. ორ წელიწადზე მეტმა გაიარა, რომ ღირსი ვერ გავხდი თქვენის უპატიოსნესის წერილის მიღებისა, და იმედიც დავკარგე. ამიტომ გადავწყვიტე, გაახლოთ მეორე წერილიც და ამასთანვე, თანახმად ჩემის მოვალეობისა, გაუწყოთ საქართველოს მისიონის გარემოება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამ ორნახევარის წლის განმავალობაში, რაც აქ ვარ, სულ ახალ ახალი დევნულების განსაცდელები ვნახე. აქ ვიკარად ეჩმიაწინის პატრიარქმა გამოგზავნა ერთი ვართაპეტი. ამას უნდოდა, რომ წირვა ლოცვაში არ გვეხსენებინა პაპის სახელი, არამედ თავის პატრიარქისა; ეგრეთვე მოინდომა ჩვენის ახალგაზდა კათოლიკების მღვდლად კურთხვაც; ხან უნდოდა, რომ ჩვენს ეკკლესიებში წირვა ეთქვა. რაკი ვერასფერს გახდა, დაგვემუქრა, წინანდელზე უარესად ვიყრი თქვენს ჯავრსო, უკეთუ რასაც გთხოვთ, არ აასრულეთ. გარნა ნიადაგ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას, და მუდამ ვეწინააღმდეგებით იმ ვართაპეტის გლისპობას და თავგასულობას; ქრისტეს სამწყსოს პატრონობაზე, რაოდნათაც ჩვენი სუსტი ძალა შეგვეწევა, ხელს არ ავიღებთ. უკეთუ მანდაურ კოლეგიაში ვერ შევათავე დანარჩენი წლების სწავლა და ვერ გამოვიღე ეგრეთი ნაყოფი, რაც კი შესაძლებელი იყო, ერთის მასწავლებლის ხელში მაინც კი ცუდაობაში არ გავატარე წლები, რადგან, დილიდგან საღამომდენ ვკითხულობ ან ზნეობის და ან ამ ქვეყნისათვის განსაკუთრებით საჭირო წიგნებს; ან თუ არა, ვთხზავ ქადაგებას და საქრისტიანო მოძღვრებას. ვხედავ რომ საღვთო მადლი მოქმედობს ჩემზე, რადგან ჩემი სნეულება, გულის ტკივილი, აღარ მიგრძნია; მხოლოდ მაშინ მომივა ტკივილი, როცა ქადაგების დროს ჩემთავს ძალას ვატან. უკეთუ ინებებებთ შეტყობას, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება აქაურობა, გაუწყებ, რომ ამ ჟამად არავითარი დევნულება არ არის, თუმცა პატრიარქს არ სძინავს, ეძებს კარგ შემთხვევას, რათა მახე დაგვიდგას და მუდამ ახალ საშუალებას იგონებს ჩვენს სადევნელად. იმედი მაქვს, რომ ამ ჟამად ვერაფერი გვავნოს, რადგან ახლანდელი აქაური ფაშა ჩვენი მეგობარია და ჩვენ დიდ პატივსა გვცემს. გარდა ამისა პატრიარქის მიერ ხშირი დევნულებისა და თათართა უსამართლობისაგან აქაურობა ისე დაგლახაკებულია, რომ ძრიელ ცოტანი არიან, ცოტა რამ ძლივს გააჩნდესთ. ამიტომ დიდად მეშინია (ღმერთმა ნუ ინებოს) თუ ახალი დევნულება დაგვიწყეს, ძრიელ მავნებელი შეიქმნება კათოლიკებისათვის, რადგან სომხები ძრიელ მდიდრები არიან, ხოლო ჩვენი საბრალო კათოლიკები კი ძრიელ ღარიბნი; თათრის მთავრობასთან ფულია საჭირო და ვინც

მათ მომეტებულ ფულს მისცემს, თათრები სამართალს მისკენ მიაბრუნებენ. ამიტომ, რაოდნადაც კი ძალმიძს, სიმდაბლით გევედრები, თუ სხვა ნაირად შეწევნა არ შეგიძლიათ ამ უბედური ქვეყნისათვის, ილოცეთ მაინც, უფალმა თავისი სალთო სახიერებით მისცეს ამ სამწყსოს სურვილი და ძალა, რათა ებრძოლოს მხნედ თავის მტერსა, დაგვიხსნას მათის ხელისაგან და გვაღირსოს საუკუნო სიხარული. დასასრულ, ვევედრები თქვენს უმაღლესობას, მიბოძოთ ერთი სომხური წირვის წიგნი, თუ დაიბეჭდა და რავდენიმე დასტამბული ქართული საქრისტიანო მოძღვრება, რომლებიც ძრიელ საჭირონი არიან ამ მხარეს. ამის მეტი სხვა არაფერი მაქვს მოსახსენებელი. სიმდაბლით ვემთხვევი თქვენს ბისონს და დავშთები თქვენის უმაღლესობის ყოვლად მდაბალი და მხურვალე მონა, გრიგოლ კრუხიჭამიანთი, პროპაგანდის მოწაფე. ახალციხეს, 9 მაისისა, 1778". (1).

აქ დასახელებული სომხების და თათრების მოქმედება საკმაოდ გვანიშნებს, თუ რაოდენი შეწუხება უნდა ეტვირთათ ახალციხელებს კათოლიკე სარწმუნოებისათვის.

მღვდელი გრიგოლ კრუხიჭამიანთი მალე დაინიშნა ახალციხის უფროსად, კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსის ვიკარად. მაგრამ სამწუხაროდ, ვერ გაამართლა იმედი, რომელიც ჰქონდათ ერს და უფროსებს. თუმცა კაი პატიოსანი და კეთილი მღვდელი იყო, მაგრამ საუფროსო სიბრძნე კი ვერ შესწევდა. როგორც მის წერილიდგანვე სჩანს, ვერ დაასრულა სასულიერო სწავლა რომში, დანაკლისი მისთვის მეტად მავნებელი შეიქმნა. ავტორიტეტის იარაღი მან ცუდათ მოიხმარა: თავისთავიც დააწყლულა და სხვაც. დაინიშნა უფროსად თუ არა, მაშინვე გადააყენა სამსახურიდგან უმეცარი მღვდლები, რომლებსაც ბევრი ხანი ემსახურნათ ერისათავის. ამნაირმა უცნაურმა და მოულოდნელმა განკარგულებამ მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. ვერც სხვა მხრივ იჩენდა სიბრძნეს: ყველაფერში ცხადდებოდა მისი უმეცრება. მისი ამხანაგი მღვდელი მაქანდრიანთ გრიგოლი, როგორც მასზედ ბევრათ განვითარებული და შესანიშნავი პირი, ბევრს ეწეოდა თავისი რჩევით. მაგრამ, საუბედუროდ, მისმა უმეცრებამ არც თავისი ამხანაგი დაზოგა: სულ უბრალო და უსაფუძვლო საქმისათვის მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა, მათმა უთანხმოებამ იქამდე მიაწია, რომ უკანონოდ და თვინიერ ჯეროვანის მიზეზისა თვით მაქანდრიანთ მღვდელიც შეაჩვენა სხვა ორ მღვდელთან ერთად; ისენი იყვნენ მღვდელი ხოჯოვანათ ივანე და მღვდელი გარსევანანთ ივანე. იმათ მიუმატა მღვდელი იოსებ ორთავანთი, მღვდელი ივანე მელიტონანთი და მეტად შესანიშნავი მღვდელი ფრანჩისკე შარიანთი. ხალხიც დაიყო ნაწილ-ნაწილად. მღვდლების ერთმა-

ნერთთან შფოთმა ერს საქმე გაუჭირა. მიწერ-მოწერა და ტყუილი ბეზღება გაიმართა რომთან, რომელიც დიდად აღელდა ამ ამბავზე. რომსაც სხვა გზა რომ არა ჰქონდა, დაავალა კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსს წესიერება დაემყარებინა ახალციხეში. საუბედუროდ, იმ დროის ეპისკოპოსი თრაქიაც არ იყო თავის ღირსების შესაფერი კაცი, საქმეს ძირიანად არ იძიებდა, ამიტომ ახალციხის უწესოებას ადვილად ბოლო არ ელებოდა.

პირველშივე უსიამოვნებას ძრიელ ხელი შეუწყეს ორ ახლად მოსულმა უმეცარმა კაფუცინმა და ერთმა საიდგანღაც მოსულმა სომხის მღვდელმა ხაჩატურ არუპჯუმ, რომელიც ახალციხეში დროებით იყო. უფროსი კრუხიჭამიანთ მღვდელი ხშირად იმათ რჩევას მისდევდა. რაც უწინ სომხების პატრიარქის მტრობამ და დევნულებამ ვერ ავნო კათოლიკე სარწმუნოებას, ავნო ახლა უმეცარი მღვდლების საქციელმა.

ყოველმა გარემოებამ კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსი იძულებულ ჰყო გადაეყენებინა უფროსობისგან კრუხიჭამიანთ მღვდელი. იმ ხანებში, ესე იგი 1784 წ., ახლად ნაკურთხი ახალციხელი ანტონ ლევან ხუციანთ პეტრეს შვილი რომიდგან მოვიდა კოსტანტინეპოლს. ეპისკოპოსმა ახალციხის უფროსად მოინდომა იმის დანიშვნა, ამიტომ პროპაგანდას სთხოვა თანახმობა, მაგრამ პროპაგანდამ იუარა, იმის გამო, რომ ამისათვის, პროპაგანდის კოლეგიაში ყოფნის დროს, ამაყობა შეემჩნიათ. ამიტომ ჯერჯერობით შეჩერდა უფროსის გამოცვლა.

ზემოდ ვნახეთ, რომ კოსტანტინეპოლში მყოფი ქართველი კათოლიკების მოსავლელად ხშირად აჩერებდნენ საქართველოდგან გაბრუნებულ ქართულის ენის მცოდნე კიფუცინებს. იმ დროებში იმ კათოლიკებს აღარ ჰყავდათ საკუთარი პატრი მოძღვრად. ამ შემთხვევით ისარგებლა ეპისკოპოსმა და ახალციხიდგან განშორება მოინდომა იმ მღვდლისა, რომელიც დასახული იყო შფოთის მოთავედ. ამაზე შეჰკითხა რომს, რომელმაც ეს პასუხი მისცა:

„წმიდა კრება თანახმდება, რომ ახალციხის სამღვდელოებას განაშოროთ მღვდელი ივანე ხოჯოანათი, რომელიც უმთავრესი მიზეზია მათ შორის მომხდარის უწესოებისა და შფოთისა, და გადაიყვანოთ კოსტანტინეპოლში ქართველების მოსავლელად თქვენი მართველობის ქვეშ, თანახმად მოწერილობისა... 10 სექტებერს, 1785". (1).

იმავე დროს 3 დეკემბერს, პროპაგანდა თვით ხოჯოვანათ მღვდელსაც სწერს, წავიდეს კოსტანტინეპოლს და მოუაროს თავის ტომის კათოლიკებს და ჰპირდება საჭირო სახარჯოს მიცემასაც.

იმის შემდგომ ბევრი აღარ უცოცხლია კრუხიჭამიათ მღვდელსა, მალე გარდაიცვალა. ახალციხის უფროსად ეპისკოპოსმა რომს წარუდ-

გინა მღვდელი გრიგოლ მაქანდრიანთი. წინათვე გაეგზავნა რომს თავისი თავის გასამართლებლად ერთი ვრცელი მოხსენება, რომელშიც დაწვრილებით აეწერა ახალციხეში მომხდარი შფოთი და მისი მიზეზი. პროპაგანდამ სცნო მისი უდანაშაულობა და შეიწყნარა უფროსად დანიშვნა მაქანდრიანთისა, რომელსაც, 25 ნოემბერს, 1786, თვითვე მოსწერა გასამხნევებელი წიგნი და დაავედრა კარგად აღასრულეთ თქვენი ახალი მოვალეობაო.

პროპაგანდის კოლეგიის მოწაფეთა სიაში მოხსენებულია, რომ 15 აგვისტოს 1783 წ. ახალციხელ ბატონჯანაშვილს ივანე გოკიელს სავალდებულო ფიცი მიუცია. მაგრამ არ ვუწყით მისი რომში მისვლის დრო. საზოგადოთ, მოწაფენი მისვლის შემდეგ ერთი ანუ ორი წლის უკან აძლევდენ ჩვეულებრივს ფიცსა. ამავე წელს, 15 სექტემბერს, პროპაგანდის კოლეგიაში ფიცი მიუცია ახალციხელ იოსების შვილს ხუციანთ პეტრეს.

1784 წ. 10 აპრილს, პროპაგანდა კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსს სთხოვს ნებას, რომ გაგზავნოს რომის კოლეგიაში ახალგაზდა ქართველი, რომელიც ახალციხის უფროსს მოუმზადებია. იმ ყმაწვილის სახელი არ არის გამოცხადებული. ხოლო ჩვენ ვგონებთ, რომ ის უნდა იყოს ახალციხელი პეტრეს შვილი, იოსებ გურჯიანი, რომელმაც იქ ფიცი მისცა 15 აგვისტოს, 1786 წ. ეგრეთვე პროპაგანდამ, 18 დეკემბერს 1784 წ. მისწერა კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსს ახალციხელი ალექსანდრეს შვილი დავით-პავლე შაჰყულიანის მისაბარებლად, პროპაგანდის კოლლეგიაში, გარნა მისი რომში მისვლის დრო ზედ მიწევნით არ ვიცით. ხოლო ხსენებულის მოწაფების სიაში მოხსენებულია, რომ ჩვეულებრივი ფიცი მისცა 15 აგვისტოს 1788 წ.

წინა თავში ვნახეთ, რომ კაფუცინებმა 1757 წ. მიიღეს რომის თანახმობა შემოღებულ წესისა, რომ ჩვეულებად ჰქონიათ ლათინურ წირვაში წაეკითხათ ეგრეთვე სამოციქულო და სახარება ქართულად და მასთანვე სხვა გალობებიც ეთქვათ ამ ენით. ესევე ნება, როგორც ზემოდ ვნახეთ, რომმა მისცა მღვდელ მაქანდრიანთ გრიგოლს, 23 ოქტომბერს 1776 წ. სომხური ტიბიკონის შესახებ მთელის ახალციხის მაზრისათვის. არ ვიცით კი, თუ შემდეგში ამ საგანზე თხოვნა რა მიზეზისათვის განუახლებიათ რომისათვის. შეიძლება ესეც ერთი შედეგი იყოს იმ ზემოდ ხსენებული უთანხმოებისა, რომელიც არსებობდა კრუხიჭამიანთ მღვდლის უფროსობის დროს. რომიც ამ პასუხს აძლევს:

„ეპისტოლესა და სახარების გალობისათვის ქართულის ენით ლათინურს წირვაში უნდა შეგვნიშნოთ, რომ 16 აგვისტოს 1784 წ., წმიდა კრებისადმი მოხსენებულ იქმნა კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსის შემდეგი

თხოვნა: ახალციხის კაფუცინებს ლათინურ წირვაში, შემდგომ ლათინურად თქმისა ლოცვებისა, ეპისტოლესი და სახარებისა, ჩვეულებად აქვსთ ყველა ესენი გაიმეორონ ქართულის ენით ერის გასაგებინებლად; ეპისკოპოსი უმატებდა, რომ ახალციხის და მის გარეშე მყოფი ერი ნატრობდა, თავიანთ გასაწვრთნელად და სანუგეშოდ ლოცვების, ეპისტოლეს და სახარების სომხურად წაკითხვის შემდგომ, ესე ერთი და იგივე გაემეორებინათ თავიანთი ქართულის ენით. ამიტომ წარდგენილ იქმნა ეს კითხვა: „ნუ თუ უნდა მიეცეს ნება სომხის ტიბიკონის მღვდლებს, რომ წირვის ლოცვები, ეპისტოლე და სახარება გაიმეორონ ქართულის ენით“? ბატონმა კარდინალებმა დაადგინეს: „მიეცეს ამის ნება თანახმად 1757 წლის წმიდა ოფიჩიოს კრების გარდაწყვეტილებისაო“. ხოლო წმიდა ოფიჩიოს ხსენებული გარდაწყეტილება არის შემდეგი „კვირინალის პალატაში, 27 ინვარს და 10 თებერვალს 1757 წ. მოხდომილს ინკვიზიციის კრებაზე, რომელსაც პაპი ვერ დაესწრო, ბატონ ინკვიზიციის კარდინალებს, ჩვეულებისამებრ, გარდასაწყვეტლად მოხსენდა საქართველოს მისიონის უფროსის ოთხი კითხვა, წმიდა პროპაგანდის კრებისაგან წარდგენილი, რომელთაგანი მესამე კითხვა იყო ეს: ამ მხარეში ჩვეულება არის, რომ მწირველი მღვდელი ხმოვანი ლათინური წირვის დროს, ლათინურის ენით ხმადაბლა სამოციქულო და სახარების წაკითვის შემდეგ, ერთისა და იმავეს ხმა მაღლა კითხულობს ქართულის ენით. ვსთხოვთ ამის შესახებ დარიგებას.—ეპასუხა ამ მესამე კითხვას: „ნება მიეცეს იმისა, მხოლოდ პირველად წაკითხული იქმნას სამოციქულო და სახარება ლათინურად წმიდა რომის ეკლესიის წესისამებრ, და ის სახარება, რომელიც იკითხება ქართველების ეკლესიაში არ განსხვავდეს ლათინურის ანუ ბერძნულის სახარებისაგან“. (1)

ისე ჰგავს, ხუციანთ გვარისა სამი მღვდელი ყოფილა. ორი ხომ ზემოდ დავასახელეთ, მესამეც არის უდის მრევლის მოძღვარი პავლე ხუციანთი. ამას უდის გარდა ორი სხვა სოფელიც კიდევ ჰქონია სამწყსოდ. რა ვერ გასწვდენია ყველას სამსახურს, რომში მიუწერია და უთხოვია, რათა თავისი ძმისწული ხუციანთ პეტრე განეთავისუფლებინათ დანარჩენი ორი წლის სწავლისაგან, მღვდლად ეკურთხებინათ და მის შემწედ გაეგზავნათ. პროპაგანდა, 18 ივნის 1785 წ. ამას პირდაპირ სოფელ უდეში სწერს და მისი სათხოვნის უარს უცხადებს; მიზეზად იმას ეუბნება, რომ მისი ძმის წული საკმაო ნიჭიერი არ არის, რისგამო საჭიროა მისთვის სწავლის დასრულებაო.

იმავე წლის 6 აგვისტოს პაპი პროპაგანდის საშუალებით, კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსს ნებას აძლევს, რომ ახალციხიდგან მოიყვანოს სიმონ ქაჩხოანთი და გრიგოლ წაროანთი და აკურთხოს მღვდლად.

ახალციხეს და მის მაზრაში კათოლიკების ბლომად ყოფნას გვიმტკიცებს ეგრეთვე სამღვდელოების სიმრავლეც. პროპაგანდის კოლეგიაში ხომ უკლებლივ და განსაზღვრულ რიცხვზე მეტიც იყვნენ; თვით ახალციხეშიაც კი ასწავლიდენ სამღვდელოებს. ისე ჰგავს ეს ორი ადგილი არ კმაროდა, არამედ კონსტანტინეპოლშიაც დაუარსებიათ სკოლა აზრუმისა და ახალციხის სამღვდელოთათვის. ეს ვიცით მხოლოდ შემდეგის წერილით, რომელსაც, 9 იანვარს 1787 წ. პროპაგანდა სწერს კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსს ესე:

„... არზრუმელი და ახალციხელი ახალგაზდებისა, რომლებსაც წმიდა კრება თავის ხარჯით ინახავს კონსტანტინეპოლში, რომ ისწავლონ, ისე ჰგავს რიცხვი გარდამატებულა და ყოვლად მძიმე სატვირთავი გამხდარაო. ამიტომ იმ მხარეთა მოწაფენი ჩვენს ნებადაურთველად აღარ მიიღოთ....“ (1).

პრაპაგანდის კოლეგიის მოწაფების ფიცი უფროსი ერთად იმაში მდგომარეობდა, რომ სწავლის და კურთხვის შემდგომ, დაბრუნებულიყვენ თავიანთ სამშობლოში და ეშრომათ თავიანთ თანამოძმეთა სულიერის საჭიროებისათვის კანონიერის უფროსის განკარგულების ქვეშ. ეს ფიცი, როგორც სჩანს, არ აღასრულა ახალციხელმა მღ. ანტონ ხუციანთმა, რომელიც ნაკურთხი რომიდგან კონსტანტინეპოლს წავიდა 1784 წ. თუმცა ახალციხეს მუდამ საჭიროება ჰქონდა მღვდლებისა, თუმცა პროპაგანდა მუდამ ავალებდა წასულიყო თავის სამშობლოში, ხშირადაც სასჯელს ემუქრებოდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. იმის დაუდევრობის საბუთად გვაქვს, სხვათა შორის, ერთი მისის ნათესავის ახლად ნაკურთხის პეტრე ხუციანთის წერილი, რომელსაც კონსტანტინეპოლიდგან სწერს რომში:

„თქვენო უმაღლესობავ.

„შემდგომ კაის მგზავრობისა მეორმოცე დღეს მოველი კონსტანტინეპოლს, საცა მაშინვე ვნახე მღვდელი ანტონ ხუციანთი და ვაუწყე ყველაფერი, რაც თქვენმა უმაღლესობამ მიბრძანა მის წასვლისა, მაგრამ ვერც მუქარით და ვერც დაყვავებით დავიყოლიე, რადგან იმედი აქვს იმფარველოს ნეაპოლელი ელჩი, რომელსაც კარდინალთან უკვე ერთი თხოვნის წიგნი მოუწერია. 7 დღის შემდგომ წავალ შავი ზღვით, სადაც ბევრი განსაცდელი მომელის. მათმა უმაღლესობამ მიბოძა წირვის შესამოსები; ამაზე უნდა მოეწერა ეპისკოპოზს თრაქიასთვის, გარნა დავიწყებია და არასფერს ამბობს თავის წერილში. ახლა ბატონი ეპისკოპოსი მოელის მაგის ბრძანებას შესამოსების მოსაცემად. თუ მიბოძა ხომ რა კარგი, თუ არა, მაინც დავრჩები მათის უმაღლესობის ერთგული მონა. ახალციხელი ქართველი პეტრე ხუციანთი, პროპაგანდის მოწაფე. კონსტანტინეპოლი, 1 ივლისს, 1789“. (1).

ხუციანთ ანტონს არა მარტო ნეაპოლის ელჩი უწევდა მფარველობას, არამედ ვენეციის ელჩიცა, რომლის შვილებსაც სწურთნიდა. საქმე იქამდინ მისულა, რომ ელჩებს რომისათვის უთხოვიათ ანტონ მღვდლის სამუდამოდ ფიცისგან განთავისუფლება, რათა აღარ წასულიყო ახალციხეს და იქვე დარჩენილიყო მუდამ. საკვირველი კონტრასტია: ჩვენს ერს ძრიელ სჭიროდა გაწვრთნილი მღვდლები, რაისგამო სხვა ტომის მღვდლები მოდიოდენ ჩვენს გასაწვრთნელად, ის კი რჩეულობს სხვა ტომის უმაღლეს პირთა წვრთვნას. როგორც ვიცით, რომი არ დათანხმდა, სამუდამოდ ფიცისაგან განეთავისუფლებინა, მხოლოდ უახლებდა დარჩენის ნებას წლითი-წლამდე. სამშობლოზე გულის გაგრილება იმ მღვდლისა, ვგონებთ, გამოიწვიოს იმას, რომ მის კოსტანტინეპოლში მისვლის დროს ახალციხის მღვდლებში ძრიელ უსიამვნება იყო; ეგრეთვე იმას, რომ რომმა ახალციხის უფროსად არ მიიღო. შემდგომ აღარ ვუწყით დაბრუნდა, თუ იქვე დარჩა.

ზემოხსენებული ახალგაზდა მღვდელი პეტრე ხუციანთი, რა მივიდა ახილციხეს, მღვდლებმა და მრევლმა დიდის სიამოვნებით მიიღეს. მალე დაინიშნა იგი სოფელ უდეში მოძღვრად; მასთანვე მიანდეს ერთი სხვა სოფელიც. იმ სოფლებში თურმე გაჩნდა ჟამი, რომელსაც ბევრი ხალხი გაუწყვეტია. მღ. ხუციანთ პეტრეს, თავისი თავი სრულებით არ დაუზოგავს, არაფერს დარიდებია და სნეულებისათვის დიდი შემწეობა აღმოუჩენია. ამ უბედური მოვლენის შესახებ ერთი მოხსენება გაუგზავნია რომს. ვერ ვიპოვეთ. რომიც 3 სექტემბერს 1791 წ. დიდ მადლობას უცხადებს შემწეობისათვის, რომელიც გაჭირვებულ მდგომარეობაში მიუგია მრევლისათვის.

იმ დროებაში მშვიდობიანობა და ერთობა სუფევდა ახალციხის მღვდელთა შორის. ესეთი გარემოება მეტად სასარგებლო შეიქმნა ერისა და სარწმუნოებისათვის, იმ ზომამდე, რომ თუ ჩვენმა მღვდლებმა და თუ კაფუცინებმა მთლად, 300 სულამდე, გააკათოლიკეს ახალციხეში მყოფი სომხები მათი მღვდლებითურთ. ამ ამბავმა ძრიელ განარისხა კათოლიკების შეურიგებელი მტერი, სომხების პატრიარქი, რომელმაც ყველას დაუწყო სასტიკი დევნულება, ორი კაფუცინიც ტყვედ დააჭერინა; ახლად გაკათოლიკებული მღვდლები ეჩმიაწინში წააყვანინა, სადაც ძრიელ უწყალოდ სტანჯა იმ ზომამდე, რომ ერთმა იმ მღვდელთაგანმა, საბამა, ტანჯვაში სულიც დალია და ესრეთ ეწამა ახლად მიღებული კათოლიკე სარწმუნოებისათვის. ხოლო დანარჩენმა გაკათოლიკებულმა სომხებმა, მკაცრის დევნულების გამო, ბევრმა დაუტევა კათოლიკობა და მიუბრუნდა ისევ თავიანთ სარწმუნოებას.

დევნულების დროს, უწინდელივით, ახალციხეში კათოლიკებს ეკკლესიები დაუკეტეს, და მათი მღვდლებიც დაატყვევეს. კათოლიკებმა ფაშას შემდეგში 18 ქისა ფული მისცეს მღვდლების გამოსახსნელად და ეკკლესიების გასაღებად. იმ დროს კაფუცინებმაც ბევრი ფული დახარჯეს. ეს მოხდა 1791—1792 წლებში.

1794 წ. 5 ივლის, პროპაგანდა კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსს ნებას აძლევს, რომ სოფელ ახალქალაქისათვის ეკურთხებინა მღვდლად ახალციხელი სტეფან ნოვრეშანთი, ხოლო ახალციხისათვის ეკურთხებინა მიხეილ სანუკიან არზრუმელი.

მღვდელმა მაქანდრიანთ გრიგოლმა განაგრძო უფროსობა და შესაფერად მართა საქმეები. მაგრამ მისმა უფროსობამ ვერ მოუტანა მრევლს სასურველი ნაყოფი, როგორც მოსალოდნელი იყო მისი მაღალის მეცნიერებისაგან. რაცაღა მიზეზისათვის უსიამოვნება მოუხდა ქაჩხოანთ ანტონა მღვდელთან, რომელმაც დიდი მტრობა დაუწყო და ხალხიც გადაუბირა, კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსს ბევრი ცილის წამება მისწერა და ყალბი ხელმოწერილი და ბეჭედ დაკრული წერილები გაუგზავნა. იმ დროს კოსტანტინეპოლში ჰყავდა ახალციხელი თავის მეგობარი, ვგონებთ ნათესავიც, მღვდელი ივანე ამადანთი, რომელიც იქვე ახლად კურთხეულ იყო. მისი საშუალებით ქაჩხოანთ მღვდელმა ეპისკოპოსი დაიყოლია; ეპისკოპოსმაც დაუჯერა შეთხზული ცილის წამება იმ ზომამდე, რომ სრულებით ყური აღარ ათხოვა სხვების წერილებს და თავის გამართლებას; გრიგოლ მაქანდრიანთი უფროსობიდან გადააყენა და იქაც აღარ დასტოვა, არამედ კოსტანტინეპოლს დაიბარა; მაგიერად დანიშნა ერთი უმეცარი მღვდელი, სათლელი გაბრიელი, რომელმაც პირველშივე ახალციხის საქმეები უფრო აურ-დაურია, წავიდა თავის სოფელ სათლელში და სრულებით ყურადღება აღარ მიაქცია ახალციხის საჭიროებას.

მაქანდრიანთ გრიგოლს, არა თუ ეპისკოპოსის, არამედ თვით პროპაგანდისაგანაც პაპის სახელით ფიცხელი ბრძანება მოუვიდა 5 ივლისს, 1794 წ. რომ დაეტოვებინა უფროსობა და ახალციხე, და წასულიყო კოსტანტინეპოლს ქართველი კათოლიკების მოსავლელად. ისიც არ ეურჩა ბრძანებას, მაშინვე წავიდა კოსტანტინეპოლს. იქიდგან წინეთ გამოეგზავნათ ახალციხეს მღვდელი გაბრიელ აზაპარი, როგორც გამომძიებელი. მაგრამ დიდი ვერაფერი გაარიგა. ამიტომ დროებით ახალციხის უფროსად პროპაგანდამ დანიშნა კაფუცინების უფროსი პატრი ანდრია პალერმელი 13 დეკემბერს, 1794 წ. ეპისკოპოსი ეგოდნად ცუდად ჩასმენილი იყო მაქანდრიანთ გრიგოლის წინააღმდეგ, რომ, როდესაც მოვიდა კოსტანტინეპოლში, ვერას გზით დაარწმუნა ეპისკო-

პოსი თავის უდანაშაულობაზე. შემდგომ მიმართა რომს და წარუდგინა ყველანაირი საბუთი თავის გასამართლებლად. ახალციხის მრევლმაც რა ნახა, ეპისკოპოსი მათს თხოვნა-წერილებს ალარავითარ ყურადღებას აქცევდა, მიმართა რომს წერილებით. აი ერთი ამ წერილთაგანი პროპაგანდაში წარდგენილი ქართულად:

„ზეშთა პატივცემულს უბრწყინვალეს, და უბრძნეს მთავარს კარდინალს.

„ალიწერა ქ-ს. 1796 წ. მაისს 10.

„დიდის სიმდაბლით დამდაბლებულნი ყ˜ი ალრობითა მათი უწმიდესი ქლამიდის მწუჳრვალსა ვეამბორებით: ქვემოდ წერილნი ერნი და მღვდელნი და ვითხოვთ მათ წ˜ა კურთხევასა:

„თუმცალა ვიშიშვით და დავერიდებით თქვენის სიმაღლის თავის წყენასა მაგრამ ფ˜დ ძალდატანებულნი ჩვენის გულისტანჯვისაგან ვწადინებთ განსუენებასა ჩვენი გულისტანჯვისასა. რომლისათვის ვევედრებით თქვენს უმაღლესობას მცირეოდენ ყური გვიგდოთ გულხმიერად რაისაც მოსახსენებელ ვართ:

„პ˜დ ჩვენ მოვტყუვდით ერთი ახალი ჩვენი ღვდლისაგან რომლის სახელი ტერ ანტონ ქაჩხუანთი, რ˜ი გვეგონა რომ ეძებდა ღ˜თის დიდებას და საყოველთაიერო სარგებელს, და ამის შეგულიანებით მივართვით ერთი არზა ფ˜დ პატივცემულს სტამბოლის ეპისკოპოსს თქვენს ვიქარს რომ გამოეცვალა თავისი პრავიქარობისაგან ფ˜დ პატივცემული ტერ გრიგორი მაქანდრაანთი, და ჰყო ეგრედ: და რადგან წვლილად გამოვიძიეთ მერმედ და კარგად მოადგილენი შევიქმენით რომ ზემოდ ხსენებული ტერ ანტონი ეძებდა თავის დიდებასა და საკუთარს პატივსა, ამისთვის მეორედ მივწერეთ სხვა არზა, ჩვენი უწინდელი უფროსის უბრალობაზედ და უმანკოებაზე, და როგორც მივწერეთ უპწყინვალეს ეპისკოპოსს. თუ ბატონო რასიც არწმუნებენ თქვენს სიმაღლეს, და ცრუ ცილის წამებას და ბრალს დებენ პატივცემულ მაქანდრიანთ ტერ გრიგორზე იმაებზე ჩვენ არც ერთზე ლახა არა გვაქვს მარტო ეს რომ ხათრიანი არის:

„მეორედ ჩვენ ვჰგონებდით რომ ამას რომ გამოსცვლის ერთს სხვას უკეთეს მოგვცემს, მაგრამ არა უკეთესი ერთი ჩვენი თემის სოფლისა სახელად ტერ გაბრიელ რ˜ი სიბრძნით და მეცნიერებით მრავალ ნაკლები არის ტერ გრიგორზე ჩვენს პ˜ი უფროსზე. რ˜ი რა უფროსი შეიქმნა ორსამ დღეს გაიარა წავიდა სოფელში თავის სამკვიდროში და კინაღამ ერთი წელიწადი შესრულდება თვალით არ გვინახამს და არც ამ ჟამში იქნება ახლა აქ არის ჩვენ მოველოდით რომ უფრო შვიდობა იქნება ჩვენ თემში მაგრამ ახლა ვხედამთ რომ ეს უკანასკნელი ბოროტი უფრო

უძვირესი არის პირველისაგან, ახლა უფრო შფოთი არის ვირემც ტერ-გრიგორის დროს, და უფრო ურიგობა ვირემც რიგიანობა:

„უკანასკნელად დიდის ვედრებით ვსთხოვთ თქვენს უმაღლესობისაგან რომ თუ თქვენი ნება არის ისევ უწინდელი ჩვენი უფროსი მაქანდრიანთ ტერ გრიგორი გვიბოძეთ მაინც იმ ჟამამდენ მარამდინ თქვენი არაქელაკან ქნნიჩი მოვიდეს და მისგან უფრო დამტკიცდეს თქვენი უმაღლესობა მის უმანკობაზე, და უბრალობაზე და მაშინ გნებავს ისევ ის დაგვიმტკიცე. და თუ არა რ˝ც თქვენი ნება არის ის გვიბოძეთ. რადგან ასე კინაღამ უთავოთ ვიარებით არაფერს არეულობაში არ ჩავარდეთ: დაცაკვალად დიდის სიმდაბლით ვეამბორებით მათს უუწმიდეს ბისონის მწუԾრვალსა და ვითხოვთ მათი უმაღლესობისაგან კურთხევას და ქვევიწერებით.

„უმაღლესობისა თქვენისა წინაშე„ ახალციხის კათოლიკე ერნი და ღვდელნი.

„ქ: ჩვენ ეს, ქვემოწერილნი მღვდელნი როგორც პ˝დ გვიმოწმა პატიდებული მაქანდრიანთ ტერ გრიგორის უმანკოებაზე და უბრალობაზე, ახლაც კიდევ ხელ-ახლავ მასვე კიდევ ვამტკიცებთ ჩვენს ბატონს იშხანებთან საკუთარი ჩვენი ხელის წერილებითა:

„ქ: მე მაქანდრიანთ გარსევანას ძე ტერ ღვანე ბაროხი წ˝ა ივანესი ვამტკიცებ ჩემი ხელთ წერილითა +

„ქ: მე ტფილისელი ალამალიანთ ტერ სტეფანე ორმოცი წლის ბაროხი წმიდა ნიშნის ტაძრისა. ვამტკიცებ ჩემ ხელწერილითა +

„ქ: მე ტფილისელი შაროანთ ტერ ფრანჩისკე წ˝ა კრების შვილი ვამტკიცებ ჩემის ხელთ წერილითა +

„ქ: მე ხუციანთ პეტროსა კრების შვილი და ბაროხი უდისა ვამტკიცებ ზემო წერილსა, და ბეჭდის მაგიერად აგერ +

„ქ: მე ტერ გრიგორი ნარუანთ, ბაროხი წ˝ა იოანეს ეკკლესიისა, ვამტკიცებ ამ ჩემი ხელთ წერილითა, +

„ქ: მე ტერ იოანე ლაზარიანი ბაროხი ოცხისა, ვამტკიცებ ამ ჩემი ხელის წერილით +

„ქ: ამა წერილსა ვამტკიცებ მე Ս სი ქჩინაში +

„ქ: მე ანულანთ ანტონ წ˝ა ივანის ერეცფკონი ვამტკიცებ ჩემი ხელის წერილითა +

„ქ: მე სკანდარიანთ ტერ პოლოსი არლის ბაროხი ვამტკიცებ +

„ქ: მე ვარამანთ აკოფ ვამტკიცებ ჩემის ხელის ნაწერით +

„ქ: მე ნურალიანთ ოვანესა ვამტკიცებ ჩემის ხელის წერილით +

„ქ: მე ბალღამათ აკოფა....

„ქ: მე შილაჯებანთ, თათოხა....

„ქ: მე სადათურათ სიმონა...

„ქ: მე ყოვლად წმიდა საყდრის დიაკვანი ფილიპე...

„ქ: მე ბეროშვილი პოღოსა..-

„ქ: მე გიორგიანთ ოანესი სურფნიშნის ირიცფოხანი...

„ქ: მე ოუავათ ოსეფაი...

„ქ: მე ხოჯოანათ ნიკოლოსაი...

„ქ: მე თერთი ბაში ოანესა...

„ქ: მე ხალინათ პოღოსა...

„ქ: მე ფალაშათ ბატონჯანა...

„ქ: მე პავლე ბერომელაშვილი...

„ქ: მე ილოს შვილი პეტრე...

„ქ: მე ყუიმჩიბაში ოანესა...

„ქ: მე ფირალანთ იაკობა...

„ქ: მე ქურთოთ გრიგოლი...

„ქ: მე სტეფანე სარიანთი... (1).

პროპაგანდამ ნახა თუ არა ესა და სხვა ამის მსგავსი ქაღალდები, ცხადათ სცნო უდანაშაულობა მაქანდრიანთ გრიგოლისა და სიბოროტე მის მოწინააღმდეგე მხარისა. ამიტომ თავის ვალად შერაცხა, რომ მამულში დაებრუნებინა იგი და მიეცა წინანდელი უფროსობის ხარისხი, რაისგამო მოსწერა ეს წერილი.

„ბატონ მღვდელ მაქანდრიანთ გრიგოლს, 8 აპრილს, 1797.

„თუმცა თქვენი თავისი გასამართლებლად წარმოგზავნილ ქაღალდებში არ არის ყოველი საჭირო საბუთები, რასაც სასამართლო წესი მოითხოვს, გარნა რაც კი წარმოადგინეთ და სხვა რაც ცნობები მივიღეთ, ღირს გხდიან თქვენ ამ წმიდა კრების კეთილ-მსჯელობისა, უფრო-სი ერთად იმის გამოც, რომ ახალციხის ერი თქვენს იქ დაბრუნებას თხოულობს. ამიტომ ვუბრძანებთ ბატონ გვილელმო მარკიზს, კოსტანტინეპოლის საყოველთაო ვიკარიას, რათა თქვენ ხელახლავ გაგამწესოსთ ახალციხის უფროსად (პროვიკარიად) და მასთანვე მოგცესთ ფული, რაც კი მოუცილებლად საჭიროა სამგზავროდ, რომ ახალციხეში რაც შეიძლება მალე დაბრუნდეთ, მიიტანოთ მშვიდობა, სიყვარულით და სიტკბოებით მოიპყრათ თქვენს მოწინააღმდეგეებს, რათა ხელი აიღონ თქვენს მტრობაზე და ესე შეაერთო ყველა განაწილებული სამღვდელონი. ერთის სიტყვით, მოიქეცით ისე, რომ თქვენმა მოქმედებამ ცხადათ დაანახოს ყველას სიცრუე თქვენს წინააღმდეგ დაწერილის საჩივრებისა, და სიმართლე თქვენი ხელახლავ მაგ სამსახურში ჩადგომისა. ეჭვ გარეშეა, რომ სავსებით აასრულებთ წმინდა კრების სურვილსა. ამიტომ ვსთხოვ უფალს, მოგანიჭოსთ ყოველნაირი ჭეშმარიტი ბედნიერება“ (1).

იმავე რიცხვით მისწერა პროპაგანდამ კონსტანტინეპოლის ვიკარიასაც და დაავალა, რათა დაუყოვნებლივ დაებრუნებინა ახალციხეში უფროსად მაქანდრიანთ გრიგოლ. ვიკარიამ (რადგან ისიც მისი მოწინააღმდეგე იყო) არ აღასრულა პროპაგანდის ბრძანება. რაის გამო ახალციხის ურიგობას ბოლო არ მოეღო. შემდგომ რა სცნო პროპაგანდამ, 18 აპრილს 1798, სამდურავი მოსწერა ვიკარიას და განუახლა ბრძანება, რომ დაუყოვნებლივ დაებრუნებინა მაქანდრიანთი ახალციხეს. მაგრამ ვიკარიამ არც ახლა მიაქცია ყურადღება უმაღლეს ბრძანებასა და კიდევ არ გაგზავნა თავის მამულში. ეხე უსამართლოდ დევნული პატიოსანი მღვდელი გრიგოლ მაქანდრიანთი მალე კონსტანტინეპოლშივე გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა მოუღო ბოლო ახალ უთანხმოებასაც, რომელიც ჩამოვარდა კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსოსა და პროპაგანდას შუა.

ახალციხეში უკვე მოსული იყო ახლად ნაკურთხი დავით პავლე შაჰყულიანთი, რომელიც გრიგოლ მაქანდრიანთის მაგიერად დანიშნეს ახალციხის უფროსად.

ამ თავში უკვე რავდენსამე გზის ვახსენეთ სოფელი ველი. ვგონებთ, მეტი არ იყოს, მასზე კვალად ცოტა რამე ვსთქვათ.

ცხადია, რომ ველის მრევლს კათოლიკობა მოღებინეს ლათინის მოძღვრებმა, მაგრამ კი არა სჩანს, თუ რა დროს მოხდა. კაფუცინი პატრი ანდრია პალერმელი, 31 მარტს 1786, პროპაგანდას სწერს და აუწყებს, რომ ველელების გაკათოლიკება მიეწერება კაფუცინს პატრი ნიკოლა ჯირჯენთისა. ზემოთ ვნახეთ, რომ პატრი ნიკოლამ დაამყარა კაფუცინების მისიონი ახალციხეს 1733 წ., გარნა მის წერილებში სრულებით არაფერს ვხედავთ ველის გაკათოლიკების შესახებ. მაინც კი მოვიყვანთ ხსენებულის პატრი ანდრიას წერილს. წერილით მოხსენება გამოიწვია იმ დროს აღძრულმა კითხვამ, თუ ველის კათოლიკები ვის უნდა დაქვემდებარებოდენ: კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსს თუ კაფუცინებს? ამიტომ ეს კაფუცინი აუწერს მის ისტორიას ესრე:

„ამ ამბავს მოკლედ და მარტივად აღგიწერ. მიცვალებულმა პატრი ნიკოლა ჯირჯენთიმ (თუ სწორედ მახსოვს მისი სახელი) რომის სარწმუნოებას შემოუერთა მათი უფროსი ქართველი მღვდელი, რომელმაც გააკათოლიკა ერი. როდესაც მღვდელი არ ეყოლებოდათ, სულიერ სამსახურს უსრულებდენ პატრი მისიონერები. ხოლო 1755 წ. განდევნის გამო, პატრების რიცხვი რა შემცირდა *), ნელ-ნელა ახალციხის მღვდ-

*) აქ სულ წინააღმდევი უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ახალციხეში ყოფილ პატრებს მიემატნენ ტფილისიდგან გამოდევნილი პატრებიც.

ლებმა ველში ფეხი შესდგეს. საჭიროების დაგვარ, ხან პატრები მიდიოდენ და ხან ახალციხელი მღვდლები და უსრულებდენ მრევლსა ყოველ სულიერ საჭირო სამსახურს, თვინიერ შურისა და შფოთისა. არც ყურადღებას აქცევდა ვინმე, თუ ვის უნდა დამორჩილებოდა. დროს განმავლობაში ახალციხის პროვიკარმა ხელში ჩაიგდო იქაური უფროსობაც, ასე რომ სხვას ვისმე ხმაც არ ამოუღია ამაზე. მაგრამ, საუბედუროთ, 80 წელს (1780 წ.) იქ მოვიდა ერთი ახალგაზდა ტფილელი თერძი, რომელიც გაკათოლიკებული იყო და რომელიც ახალციხის მოწმობის წერილით ლიბანიაში მღვდლად ეკურთხა ბერძნულს ტიბიკონზედ, და მოვიდა ახალციხეს. იქიდგან წავიდა ველსა, სადაც უმეცარი ხალხი მთლად არივ-დარია, რაისგამო ხშირად მე მომმართავდენ; მეც ყოველივე ვაცნობე ეპისკოპოს თრაქიას, რომელმაც ბოლოს დანიშნა პატრი პოლიკარპო, ამან თუ არ ვცდები, 7 ოჯახობა, ბერძნის სარწმუნოებისა, ვერ გააკათოლიკა. ისინი იმ სარწმუნოებაზე გადასულიყვნენ ძმა თადეოს გამო, რომელიც ახლა ბერძნის ტიბიკონის მღვდელია. ველის მრევლი არ სცხრება და მუდამ მომმართავს ხოლმე და თხოულობს მღვდლად ერთ პატრ მისიონერს. პასუხად ვეუბნეოდი მიემართნათ კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსისათვის. რათა ამაზე ლაპარაკი არ გავაგრძელო, სიმდაბლით მოგახსენებ ჩემს აზრსა, რომ საჭიროა ველს სასწრაფოდ დაენიშნოს სამრევლო მღვდელი და მიეცეს სამკვიდრებელი მტკიცე ხალხის მისიონერს. ველის მცხოვრებნი უბრალო ხალხია, მომეტებულად მწყემსები არიან. მრავალი განცვიფრებულია ტიბიკონების შეცვლით, რადგან ბერძნულიდგან სომხურზე გადავიდა, სომხურიდგან ლათინურზე. თუ ერთი პატრი მისიონერი რავდენსამე ხანს დარჩა ველში, მერმე ხალხი სომხის ტიბიკონის მღვდელს აღარ მიიღებს, რადგან ბერძნის ტიბიკონისა ხალხი კარგ თვალით არ უმზერს სომხის ტიბიკონს *). უკეთუ წმიდა კრება ინებებს, კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსმა დანიშნოს ველის მწყემსად პატრი მისიონერი, ამ შემთხვევაში წინათვე საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ სიძნელეს, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს მღვდლებსა და პატრებს შუა. თუ ველი მიენდო პატრების მისიონის მზრუნველობას, მაშინ საჭიროა დაინიშნოს იქ ორი მისიონერი პატრი, რომლებმაც კარგად უნდა იცოდენ თათრული და ქართული ენა, რათა საჭიროების დროს, რასაც ერთის ენით ვერ გააკეთებენ, მეორე ენის საშუალებით შესძლონ. ეგრეთვე საჭიროა იმ მრევლის წინამძღვარს დაენიშნოს საკმაო შემწეობა, რათა სამწყსო არ შეაწუხოს გამუდმებულად

---

*) ბოლოს კი ძალაუნებურად სომხური ტიბიკონი თავზე მოახვიეს ამ ქართველებსაც.

მოწყალება-სარჩოს თხოვნით, რადგან პირადის ინტერესების ჩამოგდება ამ მხარეში მალე საქმეს გაუფუჭებს. ხალხი მთავრობისაგან ძრიელ გაღარიბებულია და მღვდლის შენახვა აღარ შეუძლია. ამიტომ არც ერთი მღვდელი მიდის იქა... პატრი ანდრია პალერმელი. ტფილისი, მარტს, 1786". (1).

რაოდნათაც ვიცით, ახალციხის მღვდლები ველში დიდ ხანს არ დარჩენილან, არამედ იშვიათად და განსაკუთრებულ შემთხვევაში მოდიოდენ იქ.

ერთი საკვირველი გარემოება ისიც არის, რომ ანტიოქის ბერძნის კათოლიკე პატრიარქსაც მოუნდომებია სოფელ ველის სამწყსო თავის უფლების ქვეშ მყოფად აღიარებინა და ამ აზრით გამოუგზავნია ველში ერთი თავისი მღვდელი ბერძნის ტიბიკონისა, სახელად ვასილი, რომელსაც მოვლის მაგიერ, ხალხი უფრო გაუბრიყვებია თავის ცრუ მოძღვრებით. ამიტომ პროპაგანდა 23 სექტემბერს 1786, სწერს კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსს, რომ ანტიოქელ პატრიარქს აუწყოს, გამოსცვალოს ველიდგან ხსენებული ვასილი მონაზონი და მის ადგილს კარგი მღვდელი დანიშნოს, სანამ პროპაგანდა გამოიძიებდეს, თუ ვის უნდა ეკუთნოდეს ველის სამწყსო.

კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსის ბრძანებით უფროსმა პატრმა გაგზავნა ველში დროებით პატრი პოლიკარპო, რომელიც კაფუცინი კოსტანტინეპოლელი იყო. ამიტომ ზედ მიწევნით არ ვიცით, ბერძნული ტიბიკონი ჰქონდა, თუ ლათინური. ორი ველელი ყმაწვილი წაუყვანია კოსტანტინეპოლს რომის კოლეგიაში გასაგზავნად. პროპაგანდაც, 2 დეკემბერს 1797 წ. სწერს ეპისკოპოსს, რომ გამოგზავნოს ის ორი ახალგაზდა რომს. პოლიკარპო რომში დროებით იყო გაგზავნილი მაგრამ მრევლს სამუდამოდ უნდოდა, რომ მღვდლებად პატრები ჰყოლოდა, ამიტომ ამაზე თხოვნას ხშირად უგზავნიდენ უფროსს პატრს. ერთი ამნაირ თხოვნათაგანი არის ეს წერილი, რომლის ქართული დედანი არა გვაქვს.

„დიდად პატივცემულ მამა უფროსს.

„ჩვენ ქვემორედ ხელის მომწერნი ქართველნი რომის კათოლიკენი, რომლებმაც ჩვენი საკუთარ სახელებთან დავუსვით ჯვარი ჩვენის საკუთარის თითით, ვევედრებით თქვენ ღირსებას, რათა ჩვენ არ დაგვივიწყოთ ეგრეთ, რომ არაოდეს მოაშოროთ ამ ჩვენს სოფელს ველს ერთი პატრი მისიონერი, რომელმაც მოგვიაროს სულიერად და გვიწინამძღვროს საუკუნო ცხოვრების გზაზე. ღვთის შემწეობით და პატრების საშუალებით მივიღეთ ჭეშმარიტი სარწმუნოების ნიჭი, და პატრებივე იყვნენ ჩვენნი უწინდელნი მოძღვარნი. ამიტომ იმედი გვაქვს თქვენის

მამობრივის კეთილის გულისა, რომ ეს ჩვენი მდაბალი ვედრება სათნო საყოფელი და შეწყნარებული იქმნება თქვენ მიერ.

„ + ეფრემაი. + აბოი. + გიგოლგილი. + სავაი. + ოქრუაი. + პეტრე ანდრიას შვილი. + ელიზბარი. + აპოსტოლი. + გეგეი. + მესროფი. + იმედი. + პავლე. + ოქრუაი. + ბენვაგილი. + ჯოჯოი. + სუმბული. + ფრანდოი. + იგითხანი. + პეტრე შიოშვილი. + თათაი.

„მე პატრი პოლიკარპო მანთოელი*) კაფუცინი, სამოციქულო მისიონერი, მოძღვარი ველისა, ზემოხსენებული ქართველი კათოლიკების თხოვნისამებრ (ყველა თვითეული მათგანი ოჯახის უფროსია), შევადგინე ეს მოხსენება, და ვმოწმობ, რომ თვითეულმა ზემოხსენებულ ქართველთაგანმა თავის სახელთან თავისი საკუთარის ხელით დაუსვა ჯვარი, რათა ამითი როგორმე განუცხადოს თავისი ვედრება ზემო ხსენებულ პატივცემულ უფროს პატრს. ველი, 18 იანვარს, 1787. პატრი პოლიკარპო მანთოელი, მისიონერი კაფუცინი, ბაროხი". (1).

ერთი ამისთანა თხოვნა ველელებისა ქართულად დაწერილი კიდევ გვაქვს, მაგრამ უთარიღოა. ჩვენ ვფიქრობთ რომ ისიც იმ დროებს უნდა ეკუთნოდეს, რადგან ბევრი ზემოდ მოხსენებული სახელები ამაშიც შეხვდება კაცს. შეიძლება, ეს უფრო ცოტა ადრე იყოს მოწერილი, ვიდრე ზემოდ მოყვანილი:

„ბატონს. პატრი: უმფროს: და უმთავრესს. მამას სალმთო: სიბრძნით სავსესა. და სალმთო: მოქალაქობით. აღზრდილსა.

„ქ. ცოდვილნი: ერნი. ველის: ზოგად კათოლიკენი: ქართველთ გვარისნი უმწყემსოდ დაცვინულნი. ცხოვარნი: პირველად: ღთისაგან რჩეულსა. და მერმე. წმინდა კრებისაგან აღმორჩეულსა. აღმოსავლეთის კათოლიკე: ეკლესიის: შვილებზედ: ზედამხედველად დადგენილსა: ჩვენ ცოდვილნი და არა ღირსად წოდებულნი: კათოლიკე: სარწმუნოებისა: ქედ. დადრეკით: დავრდომით. ხელპყრობილნი სამღთოსა მას ფერხთა ანბორებას. მოუძღვნით.. ახლა. ამას. ვეხვეწებით: და ვეუნჯებით რომ: ჩვენი:. რიგის მღვდელი: ღმერთს გამოუგზავნია: ჩვენთვის: და ეგ ჩვენი:. კათოლიკე: მამები. აყენებენ. ახლა: ამ წყალობას: ვითხოვთ თქვენის. მოწყალე, გულისაგან რომ თქვენის ბრძანებით: წყალობა უყოთ მაგ ჩვენ მღვდელსა რომ ჩვენს საბრალო: სულებს მოუაროს ჩვენს ქართველ რიგზედა. არა თუ: იმ: შეჩვენებულის: ფოციოს რიგზედა. მაგრამ იმ წმინდა მამის: ივანეს. ოქროს; პირის რიგ-

---

*) როგორც ვთქვით, ეს პატრი კონსტანტინეპოლელია, სახელი განგებ გამოცვალა.

ზედა:. ახლა: თუ იკითხოთ: ჩვენი: ნამყენობა: ლათინთ: ნამყენი და ნაყოფნი: დამოწაფებულნი. და მონადირებულნი. ვართ: არათუ: სომეხთ გვარისაგან: და. ესეც უწყოდეთ: ბატონო; თუ რომე საგ მღვდელს წყალობას: გვიზამთ: დიაღ ბევრი. სულებს შეგძინამს: ღ̃თი.

„ქ. ამის წიგნის მოწმობა ქ. პირველად ტერ სიმონ. ქ. ძმისწული ეფრემა ქ. ალექსანი. ქ. ელიზბარი. ქ. ყაარაგოზი. ქ. დავითი. ქ. აპოსტოლი. ქ. მესროფი. ქ. ასლანი. ქ. ჟოჟომი. ქ. სუნბული. ქ. პეტრეი. ქ. იასაი. ქ. პავლეი: ქ. ოქრუაი. ქ. შიო. ქ. ელიკი. ქ. ცაცოი ქ. (აქ წაშლილია მელნისაგან). ქ. თათაჲ. ღთით ახალციხეს: პატრი. უმფროს: მიერთვას". (1).

აქ დასახელებულ ქართველის წესის მღვდელზე სხვა წერილებს ვერავითარს შევხვდით. შეიძლება, იგი იყოს ზემოთ დასახელებული მღვდელი ტფილელი თადე, თუ ასეა უნდა იყოს დაწერილი 1784 წ. უფრო წინ.

ველის მცხოვრებნი მომეტებული ქართველები იყვნენ, 500 სულამდე. მათში რავდენიმე ოჯახი ერივნენ სომხის ტიბიკონისა კათოლიკენი, რომლებმაც 1784 წ. მისულს პატრი პოლიკარპოს უმტრეს. მთავრობას სიცრუით დაასმინეს და იქიდგან გააგდებინეს. ამ სამწუხარო მოვლენას, 16 აპრილს 1787 წ. ახალციხიდგან რომში სწერს პატრი ჯამბატისტა როვიგელი ესე:

„.... იქ (ველში) წავიდა ხსენებული პატრი პოლიკარპო მოძღვრად განსაკუთრებით ბერძენ-კათოლიკე ქართველი ერისათვის, რომელმაც დიდის ვედრებით გამოითხოვა. ცხადათ თანახმა იყვნენ ეგრეთვე სომხის ტომის კათოლიკებიც, როგორათაც მტკიცდება პირველი გამოგზავნილი მოხსენებითი, რომელზედაც სიკუთარი ხელი უწერიათ ორსავე გვარის მოწინავე პირებს. ამის მოწამეა თვით მათი უსამღვდელოესობა არქიეპისკოპოსი თრაქიჲ. თითქმის სამ წელიწად ნახევარია, რაც ხსენებული პატრი პოლიკარპო იმ სოფელში მოღვაწეობდა მოციქულებრივის თავგანწირულებით, სადაც მოსპო ბევრი უწესოება, რომელიც დიდის ხნიდგან ფესვს იდგამდა ღრმად, და სადაც მიჰფინა ჭეშმარიტი საუკუნო ცხოვრების სიტყვა. სომხის კათოლიკებმა დაიწყეს მეშურნეობა და ოსტატობით დაიყოლიეს პატრი პოლიკარპო, რომ ახალციხის მღვდლების უფროსისათვის ეთხოვა ერთი სომხის მღვდელ-მონაზონი, რომელიც დიდი ხნიდგან აღარ ჰყოლოდათ, რათა ამ საშუალებით დაეცვათ თავიანთი სომხური ტიბიკონი, რაც კი შეეხება საეკლესიო ლიტურღიას, ვინაიდგან ტიბიკონის სხვა დანარჩენს ნაწილებს ყველას კარგად ასრულებენ; როგორათაც თავიანთ საკუთარ ბერძნის ტაბიკონს დიდი გულმოდგინებით იცვენ ქართველი კათოლიკები, რომლებიც ბევრად უმეტესი

არიან სომხის კათოლიკებზედ. პატრმა შეიწყნარა მათი თხოვნა, რადგან კარგად უწყოდა, რომ იმაზე უარის თქმა უფრო მომეტებულად განარისხებდა ამ მეშფოთარ სომხის გვარსა. შეჰპირდა დაეკმაყოლებინა იმათი თხოვნა; თუმცა სომხების სანუგეშოდ ხშირად ათქმევინებდა ლოცვებს სომხურად, თვით ხმოან წირვაზედაც. პატრი პოლიკარპომ პირობა დაადებინა, ამ საშუალებით ერთმანერთში ჭეშმარიტი სახარებრივი სიმშვიდე დაეცვათ. მოწინავე პირებმა ამაზე შეჰფიცეს და ეგრეთვე თავიანთი პირობა წერილობითაც მისცეს. პატრი პოლაკარპომ მისწერა და მდაბლად ჰსთხოვა მონაზონი ბატონს მაქანდრიანთ გრიგოლს, რომელიც გაუგებარი სასწაულით დაიშიშნა აქ პროვიკარად. კარგად ვუწყი, რომ ის პირი მეტად ცნობილია თქვენ და წმიდა კრებისაგან წარსულ და აწმყო მეტად სამწუხარო მოქმედების წყალობით*). ბატონმა პროვიკარმაც უსმინა თხოვნა და გაგზავნა ის მღვდელ მონაზონი**) ხაჩატურა, რომელიც პროვიკარის მოწაფე იყო, და ერთი წელიწადია, რაც კოსტანტინეპოლში მღვდლად ეკურთხა. თუმცა არ უნდა გამოვიძიოთ და არც უნდა ვიცოდე, მაგრამ საკვირველი კია, რა აზრით გამოაცხადა ბატონმა არქიეპისკოპოსმა თრაქიამ პროპაგანდის მისიონერად, რომელიც არა თუ ჰფენს სარწმუნოებას, არამედ სპობს?! მეტად ახალგაზდა მონაზონი ხაჩატურა მოვიდა ველში თუ არა, თვით სომეხი კათოლიკების წინაშე გამოაცხადა თავისი თავი პატრი პოლკარპოს ხელქვეითად და თანაშემწედ! წინათვე არქიეპისკოპოსს თავისი ხელით დაწერილი წიგნი გამოეგზავნა პატრი პოლიკარპოსთვის და უცხადებდა, რომ მისი ქვეშევრდომი იქმნებოდა ყველა სხვა მონაზონი, ვინც კი მივიდოდა იმ სოფელში, მაგრამ ცოტახნის შემდგომ სომხის კათოლიკებმა გადაიბირეს გამოუცდელი ახალგაზდა მღვდელ-მონაზონი ხაჩატურა, რომელმაც ამართა წინააღმდეგობის დროშა, დაუჭირა მხარი სომხის კათოლიკებს და გააუპატიურა თვით პატრი პოლიკარპო შეურაცხყოფის სიტყვებით. ამნაირად მოსპო ყოველი წესიერება, შეიქმნა დასაწყისი ყოველი უწესობისა! პატრი პოლიკარპო დაჩუმდა, რათა დაბრკოლება არ მომხდარიყო, თუმცა დუმილითვე იცავდა თავის სიმართლეს. ორ ტომს შუა მალე აღიძრა უძვე-

---

*) ეს შეუსაბამო სიტყვები ცხადად გვიჩვენებს, რომ ყველა კაფუცინები ანგელოზი და ქრისტეს სულით გამსჭვალულნი არ იყვნენ, და დაღონებულის თვალით უმზერდენ, როდესაც ახალციხის მღვდლებზე უფროსობა ხელიდგან გამოერთმევოდათ. თუმცა კი ხშირად არც ის მღვდლები იყვნენ უდანაშაულონი. ზემოთ ვნახეთ, რომ მღ. მაქანდრიანთ გრიგოლი ერთი საუკეთესო და პატიოსანი მღვდელი იყო, და პრაპაგანდამაც შემდეგ დროებში ის იცნო უდანაშაულო-უბრალოდ და ხელ ახლავ ახალციხის უფროსად დანიშნა.

**) არ ვიცით ეს მხითარისტია, თუ სხვა წესის მონაზონი.

ლესი უთანხმოება. ხაჩატურა მღვდელის მიერ გამხნევებულმა სომხის კათოლიკებმა დაუწყეს მეტად მკაცრი წინააღმდეგობა პატრი პოლიკარპოს. მართლათაც სომეხ-კათოლიკეს მოწინავე პირებმა მიიმხრეს ეგრეთვე თათრები და მწვალებელი სომხებიც და მეტად ფარულად მიმართეს იმ სოფლის ოსმალო მოსამართლეს, რომელსაც ეწოდება არტაანის ბეგი და იჩივლეს პატრი პოლიკარპოზე, ბევრნაირი ცილი დასწამეს და განსაკუთრებით გამოუჴგონეს, რომ მაშფოთარია და წინაღმდეგი ოსმალების კანონისა შესახებ აკრძალულ ხორცის ჭამისა*). მოსამართლემაც, გამოუძიებლად, მაშინვე დააწერინა განაჩენი პატრის სოფლიდგან განდევნისა. ერთმა თათრის კომანდირმა პატრი პოლიკარპოს წაუკითხა განაჩენი, რომელშიც იყო მოხსენებული, რომ ფრანგის პატრმა ნახევარ საათის განმავალობაში უნდა დაუტევოს ის სოფელი და წავიდეს იქიდგან, ხოლო იქ უნდა დარჩეს მკვიდრად გიაური მღვდელ-მონაზონიო. პატრი პოლიკარპოც მაშინათვე დაემორჩილა ბრძანებას და მოვიდა აქ, ახალციხეს ჩვენს მონასტერში 15 აპრილს (1787). აქ აღარ ჩამოვსთვლი, თუ რაოდენი მწუხარება გამოიწვია ბერძნის ტიბიკონის ქართველ-კათოლიკებში, რომლებიც ერთგულნი არიან პატრებისა და კერძოდ პატრი პოლიკარპოსი. არც იმას ვიტყვი, თუ რაოდენი განციფრება გამოიწვია პატრი პოლიკარპოს უცბად ახალციხეში მოსვლამ; არც იმას ჩამოთვლი, თუ რაოდენა გაუპატიურება მიიღო ჩვენმა სამოსმა ურწმუნო ტომებისაგან და თვით სომხის კათოლიკებისაგან, რომლებსაც მუდამ ჩვენს წანააღმდეგ ამხედრებენ აქაური ბატონი სამღვდელონი. ყოველსავე ამას გამოვტოებ სიმოკლისათვის...“. (1).

ამნაირმა მტრულმა მოქმედებამ ველის კათოლიკები დიდ შეწუხებასა და განსაცდელში ჩააგდო. რომსაც მეტად სამწუხაროდ დაურჩა ეს ამბავი. ამიტომ დაავალა კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსს მალე სხვა მღვდელი გაეგზავნა ველელ კათოლიკებისათვის. რა გამოიძია ყველაფერი და სცნო სომეხ-კათოლიკების უსამართლო მოქმედება, ისევ პატრი პოლიკარპო დანიშნა და გაგზავნა ველში, იქმნება მშვიდობა დამყარდესო. პროპაგანდა, 31 მაისისა, 1788, სწერს ამ ეპისკოპოსს და აქებს მის ამნაირ მოქცევას.

ველელების შესახებ ამის შემდგომ განსაკუთრებული ცნობები არა გვაქვს. იმათ ჩამომავლები არიან ჯავახეთის ახალქალაქის ახლოს მდებარე სოფლების ხურხუმო, კარტიკამის და ბავრის მცხოვრებნი, რომლებსაც, სომხური ტაბიკონის მღვდლების წყალობით, აღარც ქართული

---

*) ისე ჰგავს სომხებს ბუნებითად შეთვისებული ჰქონიათ ლათინის მოძღვრების მტრობა, რადგან თვით გაკათოლიკებული სომხებიც არ იშლიან მათ დევნულებას.

ტიბიკონი და აღარც ქართული ენა შერჩენიათ, და დღეს თავიანთი ქართული დედა ენა გაუცვლიათ ოსმალოს ენაში, მაგრამ, მიუხედავათ მათ მიერ გამოვლილი ეგოდენის ტანჯვა-წვალებისა, უწინ მიღებული კათოლიკე სარწმუნოება მაინც მტკიცეთ დაუცავთ.

აი, აქ ვათავებთ ამ თავსაც. თუმცა ვერ წარმოვადგინეთ ყველა ის საბუთები, რასაც კი ამ საგანზე სამცხის კათოლიკების ისტორია მოითხოვს, გარნა რაც კი მოვიყვანეთ, საკმაოდ ცნობებს შეიცავენ და მეცნიერებს საშუალებას აძლევენ, უფრო მტკიცედ, ვიდრე აქამდე შეიძლონ თავიანთი აზრი გამოსთქვან სამცხის კათოლიკების გავლილის შესახებ სიმოკლისათვის ჩვენ მიერ შეკრეფილი საბუთებიდგან აქ მოვიყვანეთ მხოლოდ რაც უფრო ყურადსაღებად მიგვაჩნდა.

თ ა ვ ი X.

ქართველი კათოლიკენი XIX საუკუნეში.

XVIII საუკუნის მიწურულში ულმობელმა მტერმა დიდი უბედურება დაატეხა თავს საქართველოს, სამარეს კარამდე მიიყვანა. საქართველოსთან ერთად კათოლიკობაც დიდ განსაცდელსა და უკანასკნელ მდგომგრეობაში ჩააყენა. ტფილისის აოხრებასთან ერთად ბარბაროსმა სპარსელებმა არა თუ მისიონერების ეკკლესია და მონასტერი მთლად გადასწვეს, არამედ ბევრი კათოლიკეც დახოცეს და ზოგიც ტყვედ წაიყვნეს. ამნაირ სამწუხარო მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა, მწარედ შეჭირვებული, თითქმის სულ-მობრძავი, თავის გამოხსნას და კვალად სიცოცხლის დაბრუნებას მოელოდა. საერთო მოლოდინი ამაოდ არ დარჩა. XIX საუკუნეში, რა შემოვიდა საქართველოში რუსის მთავრობა, მტერს თავ-ზარი დასცა და დამყარდა მშვიდობიანობა. ამ მოვლენამ მისიონერებსაც ნუგეში სცა და დააიმედა, რომ ამიერიდგან ვეღარც მტრები ინავარდებდენ კათოლიკების წინააღმდეგ და ვეღარც პატრებს დაუშლიდა ვინმე თავიანთ სამსახურის თავისუფლად აღსრულებას. ამნაირის მოლოდინისაგან გატაცებულნი, საერთო სიხარულს მიეცნენ. მართლაც ამ საუკუნემ, როგორც საქართველოს, ისე კათოლიკობასაც ახალი ხანი დაუყენა. ამ დიდ განსხვავებას ცხადათ დავინახავთ ამ თავში მოსაყვანი საბუთებიდგან.

ჩვენგან ჩვენი გამოკვლევა XIX საუკუნის ნახევრამდინაც არ მივა, და არც ყველა საბუთი გვაქვს, ამიტომ აღარ გავაცალკევებთ პროვინციებს, არამედ ყველა მისიონის შესახებ საბუთებს ამ თავში მოვაქცევთ ქრონოლოგიურის წესით.

სასიქადულოდ მიგვაჩნია ამ თავის დასაწყისშივე წარმოვადგინოთ სოლომონ მეორის შესანიშნავი სიგელი, რომლითაც პატრებს აძლევს ეკკლესიის ახლო მდებარე ადგილს, და რომელიც შემოწმებული და ცნობილია რუსის მთავრობისაგანაც.

„ქ: ნებითა და შეწევნითა ღ̃თისათა ესე წყალობის წიგნი ალგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ ღ̃თივ ამაღლებულმან დავითიან სოლომონიან პანკრატიანმან მეფემან მეფეთამან მეორე სოლომონ. თქვენ ჩვენს ერთგულს ჰაქიმთ პატრებსა. პატრი მძრიოზ და პატრი ჩელენირეს.

„ესე რომ თქვენი საყდრის გვერდზე რომ მოკლიაშვილი ნონია და როსტომა რომ ესახლენ, რადგან ის ადგილი მოკლიაშვილებს უსამართლობით წართმეული ჳქონდათ რომ ავთანდილა-შვილისა ყოფილიყო ის ადგილი, და მოკლია-შვილები და ავთანდილა-შვილები გაიჰქვნენ ჩვენის ბძანებით. და აშორო მოკლია-შვილებს დარჩათ. მაგრამ რადგან სიცრუით აშორო დაიკავეს ვერ შეიძლეს ფიცი, და გამოტყდნენ მოკლია-შვილები ნონია და როსტომ. და ისევ დარჩათ სამართლით ის ადგილი სუქიას შვილებს, ოსეფს სუქიას და პეტროსას, მაგრამ რადგან ეს ადგილი პირველიდგანვე სამეფო იყო, ამისგამო ეს ადგილი თქვენ პატრებისათვის გვიბოძებია და მოგვიცია სამუდამოთ ყოველი კაცის უცილებლათ, მოგცესთ ღ̃თნ და გიბედნიეროსთ თქვენ და თქვენს შემდგომთ პატრებს უკუნისამდე. ეს წყალობა მოვიღეთ თქვენზედ თუ შემდგომ პატრებთა თქვენთა ზედა, ასე რომ არაოდეს არ წაგერთვასთ თქვენ ეს ადგილი, არც ჩვენსგან, და არც ჩვენთა შემდგომთა მეფეთაგან. და უკეთუ ვინმემ ინებოს და კელი ჰყოს ამ ჩვენ მიერისა წყალობასა დაჴსნად დიდმან ანუ მცირემან, სამღუდელომან ანუ საერომან, და რამანც ძემან კაცისამან, მასცა კაცსა რისხოს ღ̃თნ რისხვითა საშინელითა, დამოუწყვიდნეს გულისა საყვარელნი მისნი, და საუკუნოდ ჯოჯოხეთისა მემკვიდრედ გამოაჩინოს. ხ̃) დამამტკიცებელნი ამისანი აკურთხნეს სიბრძემან ღ̃თისამან, განაძლიერნეს და დაამტკიცნეს უკუნისამდე ამინ:. აღიწერა ქუთაისს წიგნი ესე თვესა ნოემბერს: იდ. ქ̃ტეს აქეთ: ჩ. ყ.

წერეთელი სახლთ ხუცესი მოწამე ვარ ამ წერილისა [ბეჭედი].

Ⴐ Ⴗ Ⴔ. Ⴈ Ⴐ Ⴌ.
Ⴕ Ⴇ Ⴉ. Ⴉ. Ⴍ.
Ⴌ Ⴑ Ⴐ Ⴍ. Ⴉ.

[დ̃ფალი მარიამ] [წულ̃ეკი ძე რ]

Сей документъ въ Имеретинскомъ временномъ правленіи отъ губернскаго регистратора князя Михаила Туманова 15 марта 1823 года явленъ и въ книгу подлинникомъ отъ слова до слова подъ № 2847 записанъ; въ чемъ симъ подписомъ присутствующаго и приложеніемъ казенной печати свидѣтельствуется.

[მთავრობის ბეჭედი] მდივანბეგი თ̃ი დავით ჩხეიძე [ბეჭედი დავით] ✠. (1).

როგორც ჰგავს მეფეს ძრიელ მილებულთ ჰყოლია პატრები.

გასულ საუკუნეში, 1787 წ., გარდაიცვალა უფროსად დანიშნული პატრი ანდრია პალერმელი. მის სიკვდილს მოჰყვა ზოგიერთთ კაფუცინების ერთმანერთ შორის უსიამოვნებაც, რაიც ახალციხეში მყოფმა პატრმა ბონავენტურამ რომში აცნობა და სთხოვა დროებით კარგის ჯუფ-

როსის გამოგზანვა უწესობოს მოსასპობლად. პროპაგანდამ უფროსად გამოგზავნა პატრი ფრაჩისკე ანტონ პადოელი, რომელსაც უკვე 1782 წ. საქართველოში შეესრულებინა სამისიონოს სამსახური და გაბრუნებულ იყო იტალიას. პატრების გამოგზავნის საჭიროებისა და საქართველოს ახალის ჟამთა ვითარებისა რომს მისწერა ეს წიგნი:

„თქვენო უმაღლესობავ,

„აქამდე კიდევ არ ვიცი, ჩაგბარდა თუ არა ჩემი მოწერილი სამი წიგნი. მეოთხე წერილით ხელახლა გთხოვთ გამოგზავნოთ ოთხი პატრი, რომლებიც მეტის მეტად გვჭირვია აქ.

„გასულ წელს, შობის დღესასწაულის შემდგომ, ტფილისში გარდაიცვალა გიორგი მეფე, რომელიც რუსეთს უკვე დაეგვირგვინებინა საქართველოს მეფედ, მისმა სიკვდილმა აღმოაბრწყინა ახალი მზე ამ ცის ქვეშ, რისგამო მთელი საქართველო მხიარულია. რუსეთმა ამ სამთავროს მემკვიდრედ გამოაცხადა დავითი, გიორგი მეფის პირველი შვილი; ეგრეთვე ყველა ეკკლესიებში გამოაცხადებინა ათის წლით საზოგადო გარდასახადის გარდა, ყველანაირი ხარჯისგან განთავისუფლება ხალხისა, მასთანვე მოიწვია ეგრეთვე უცხოელნიც, რომელნიც როგორც მემკვიდრენი ისარგებლებდენ ამ უმწვერვალესი სიკეთით და რომელთაც თავისუფლება ექნებოდათ თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებისა, უკეთუ ისურვებდენ. გარდა ამისა ბრძანება გამოსცა, რომ შეკეთებულიყვნენ აქაური ყველა ციხე-სიმაგრენი, სადაც დააყენებდენ რუსის ჯარს, რომელიც უკვე აქ არის და სხვაც კიდევ რუსეთიდგან მოდის ამ ბრძასების ძალით და განკარგულებით. მასთანვე საზოგადოდ ხმა გავრცელდა, რომ რუსეთი შეიქმნა პატრონი ამ სამეფოსი. ჩვენც სხვებსავით იმედი გვაქვს, ვიცხოვროთ უფრო ბედნიერად. თქვენო უმაღლესობავ, როგორც წინეთაც მოგწერეთ, ეს კაი დროა, რომ ვცადოთ, იქმნება რუსეთის საშუალებით დავიბრუნოთ ჩვენი ეკკლესიები და სახლები ტფილისსა და გორში. ამას თუ წმიდა კრება არ ეცადა, ჩვენ რისი ქმნა შეგვიძლია? თორემ იძულებული ვართ გთხოვოთ, სხვა ჩვენს მოსაცემ შემწეობას მიუმატოთ წლიურად ასი პიასტრი, რომელსაც ვიხდით ჩვენს სადგომ სახლსა და ეკკლესიაში.

„ამ სამთავროს ესეთი ცვლილებების გამო, შეიძლება რუსეთიდგან ჩვენც მოგვივიდეს რომელიმე ბრძანება, როგორც წინეთ ჩემი აქ ყოფნის დროს მოდიოდა *). თუ რამე მოგვივიდა, იმედი მაქვს ჩვენი მისიო-

*) მოგილოვის არქიეპისკოპოსი ხშირად სწერდა კაპუცინებს, რომ ის ეცნოთ თავიანთ უფროსად და მასთან ჰქონოდათ დამოკიდებულება, რომის ბრძანების წინააღმდეგ.

ნის სასარგებლოდ იქმნეს. გორი, 14 თებერვალს 1800 წ. უფროსი პატრი ფრანჩისკე პადოელი“. (1).

ამ წერილიდგან სჩანს რომ, 1795 წლის შემდგომ, კაფუცინებს თავიანთი საკუთარი ეკკლესია და სახლი აღარ ჰქონიათ, არამედ ქირაობდენ.

იგივე პატრი ერთი სხვა წერილით აუწყებს, რომ ტფილისის მოოხრების დროს, სპარსელებს, მათის ეკკლესიისა და სახლის გადაწვის შემდგომ, კათოლიკები ზოგი დაუხოციათ და ზოგიც ტყვეთ წაუყვანიათ. ხოლო ცოტა ხნის შემდგომ იგივე უფრო ვრცლად აუწერს ამ გარემოებას შემდგომ წერილით:

„...უნდა მოგახსენო, რომ აქ ტფილისში მისიონერები, ვალით სავსენი, სატირელ მდგომარეობაში ვიპოებით, რადგან ხუთი წლის წინეთ სპარსელები მოულოდნელად შემოესივნენ ამ უბედურ ქალაქს და თითქმის მთლად გადასწვეს. დაქირავებულ სახლში ვართ; ამაშივე მოვათავსეთ ეკკლესია, რომელიც მთლად გაშიშვლებულია. უნდა მოგახსენო, რომ არც ნაწილი გვაქვს ტრაპეზზედ დასასვენებლად, არც შარავანდედი ყოვლად წმიდა ზიარების გამოსასვენებლად; წირვის შესამოსები, არამც თუ სადღესასწაულო, არამედ თვით უბრალო, საზოგადოც, არა გვაქვს, ისე დღეობით ვწიროთ. ყველაფერი ჩვენს ეკკლესიასა და სახლთან ერთად დაიწვა; იმდენი საშუალებაც არა გვაქვს, ეკკლესიისათვის რამე ვიშოვოთ. ჩვენი კათოლიკები, თითქმის ყველანი, უსახლოთ და უსარჩოთ დარჩნენ; ვალითაც სავსე არიან და არ იციან, თუ როგორ გადაიხადონ. ორი წელიწადია ჩვენს ქვეყანასა და სხვა ადგილებში მათმა იმპერატორობამ აღმოსავლეთის მისიონებისათვის წყალობა მოაკრეფინა. გარნა მგონია, ეს მისიონი სხვებზედ ბევრად მომეტებულად გაჭირვებულ იყოს; ღმერთმა გადმოგვხედოს. ვემთხვევი თქვენს წმიდა ბისონს და დავშთები თქვენი ყოვლად მდაბალი მონა, ფრანჩისკე პადოელი. ტფილისი, 4 აგვისტოს, 1800“. (1).

1801 წ. 3 ოქტომბერს, პროპაგანდამ ყოველი ეს ამბავი ვენაში რუფო ნუნციოს მისწერა და სთხოვა მთავრობის წინაშე ეშუამდგომლნა და ამ პატრებისათვის მოეპოვებინა შემწეობა; ეგრეთვე მისწერა რუსეთში ეკკლესიების დაბრუნების შესახებ. ამ გზობის კი რუსის მთავრობამ მალე მიაქცია ყურადღება ამ სათხოვარს და დაადგინა, რომ დაბრუნებოდათ კაფუცინებს თავიანთი ეკკლესიები და სახლები. ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ ტფილისის ჩამორთმეული პატრების ეკკლესია გადარჩენილა სპარსელებისგან აოხრებას. მთავრობის ამ გადაწყვეტილებას აბბათე ბენვენუტი პეტერბურგიდგან რომში სწერს 17 დეკემბერს, 1801; ეგრეთვე აუწყებს რომ, ეს გადაწყვეტილება უკვე გამოეცხადა საქარ-

თველოს გამგებელს, გენერალ კნორინგს. იმავე საგნის შესახებ უფროსი პატრი ტფილისიდგან რომში კარდინალს სწერს შემდეგს:

„თქვენო უმაღლესობავ,

„თქვენი უპატიოსნესი წერილი მივიღე გასულ იანვარში. პირველად ვღებულობ თქვენს წერილს, რაც აქ მისიონში ვარ. დიდის სიამოვნებით ამოვიკითხე, რომ იმედია ჩვენის ეკკლესიების დაბრუნებისა. ერთი თვეა, რაც ამ დაბრუნების შესახებ აქ მოვიდა ბრძანება მათი ხელმწიფების სრულიად რუსეთის იმპერატორისა. რუსეთში მყოფ ამ განყოფილების ინსპექტორს საქართველოს მთავარ-მართებლისთვის მოუწერია, რომ თებერვლის დამლევს მოვა და თვით ინებებს, რაც კი ჩვენ გვეკუთვნის ჩაგვაბაროს. ხოლო ვეჭობ. ამბობენ, ქართველებს უკვე ინსპექტორისათვის საჩუქრად გაუგზავნიათ ორი ათასი პიასტრი, რათა ეკკლესიები არ დაგვიბრუნოსო. ამისთვის ზოგი შიშობს და ზოგსაც იმედი აქვს და მოელის. გარნა მე მგონია, რომ ვერაფერს გახდენ...

„დასასრულ გთხოვ არ დაგვივიწყოთ. კარგი ხანია, რაც შესაწევნელი ფული აღარ მიგვიღია. თუ ეკკლესიები და სახლები დავიბრუნეთ ეგოდნათ დაზიანებულია, რომ დიდი ხარჯი უნდა მათს შეკეთებას, რათა მთლად არ დაინგრეს. ჩვენი ტფილისის ეკკლესიის გუმბათი ლამის დაინგრეს; ამიტომ, შიშის გამო, ბევრი ქართველები აღარ შედიან... ვემთხვევი თქვენს წმიდა მარჯვენას და დავშთები თქვენი უმდაბლესი და უმორჩილესი მონა, პატრი ფრანჩისკე ანტონ პატოელი. 7 იანვარს, 1802, ტფილისი". (1).

არც ის ინსპექტორი მოვიდა და არც ეკკლესიები დაუბრუნდათ პატრებს; ხოლო როგორც ქვემოდაც ვნახავთ, რუსის მთავრობამ, ეკკლესიების დაბრუნების მაგიერად, პატრებს მისცა 6,000 მანეთი ახალი ეკკლესიის ასაშენებლად. რუსების შემოსვლით ქართლის მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ სამცხე კი დარჩა უწინდელ მდგომარეობაში და არ მოელო ბოლო იგოდენ უსამართლობას, რომელიც იქ ხდებოდა. ამ სამწუხარო მდგოარეობას მოკლედ აუწერს კარდინალს ერთი იქაური მღვდელი ესრეთ:

„თქვენო უმაღლესობავ, ფრიად პატივცემულო ბატონო.

„ჩემის მოვალეობის ასასრულებლად თქვენს უმაღლესობას უკვე ვაახლე ჩემი ქვევრდომითი წერილები, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, არც ერთის პასუხი არ მიმიღია, რომ მით თავი მენუგეშებინა. ამიტომ კვალად გაახლებ ამ წერილსაც ნიშნად ჩემის სამარადისო რიდისა და მორჩილებისა, მასთანვე მოგახსენებ ყოველ ჩემს ამბავს. ორი წელიწადი შესრულდა, რაც ამ მძლავრთა უთანხმობის გამო, რომლების ქვეშევრდომნიც ვართ, ვიმყოფებით ეგოდენს შეწუხებასა და უბედურებაში,

რომ არც ერთი სიტყვით შემიძლია გამოვაცხადო, რადგან ამათი უწყალობა ბევრად აღემატება უწინდელ ბარბაროსების უწყალობას; ვინაიდგან ეს პროვინცია მთლად მოაოხრეს და მკვიდრთ წაართვეს, რაც კი გააჩნდათ. ეგოდენ უბედურობას ადვილად დავითმენდი, რომ, თავიანთ უღმრთოების შესასრულებლად, ერთიანად ამოწყვეტას არ გვემუქრებოდენ ყოველ დღე; ამიტომ ძრიელ გვჭირია ღვთიური შეწევნა, რომლის მოპოების იმედი გვაქვს თქვენის ლოცვის საშუალებით. თუმცა ამ საერთო უბედურებას არც მღვდლები და არც ეკკლესიები გადარჩნენ, ყველა განაშიშვლეს, მაინც კი, რაოდნათაც შემეძლო ჩემს მოვალეობას უკლებლივ ვასრულებდი, ეგრეთვე შევეწიე მორწმუნეებს, შევაგულიანე, რათა მოთმინებით ეტვირთნათ ყოველი უბედურება და მინდობოდნენ ღვთის ნებას. ამიტომ, ჭეშმარიტად, დიდს ნუგეშსა და სიამოვნებას ვგრძნობ, რომ მორწმუნეთაგანს არავის დაუტოვებია ჭეშმარიტების გზა ეგოდენს შეწუხებასა და უბედურებაში. ვევედრები უფალსა, რათა ღირს იჩინოს და აღგვიმატოს თავისი წმიდა მადლი, რომ მტკიცედ და მხნედ განვაგრძოთ მისი მსახურება ამნაირ შეწუხებაში და დასტკბეს მისი გული ჩვენზე, რომ აგვაცილოს მომსვრელი ხმალი, რომლისაც ღირსი გავხდით ჩვენთა უბედურთა ცოდვათა გამო, დასასრულ, ვემთხვევი თქვენის უმაღლესობის ბისონს და ვითხოვ ღვთისაგან თქვენთვის ყველა ბედნიერებას; თქვენის უმაღლესობის უმდაბლესი და უმორჩილესი მონა; სტეფან გურჯიანთი, მოწაფე პროპაგანდისა და თანაშემწე ახალციხის პროვიკარისა, სათლელი. 24 ივნისს, 1802". (1).

ვგონებთ, ერთი უკანასკნელი დევნულებათაგანი იყოს, რომელიც მიაყენეს სამცხეში დანაშთ ქრისტიანებს. ქართველ კათოლიკების და ქრისტიანების წინააღმდეგ ოსმალთა მტარვალობის შესახებ ბ. ზაქარია ჭიჭინაძემ უკვე ბევრი დასწერა. (2).

უფროსი პატრი 5 ივლისს 1802 წ. რომში სწერს და სთხოვს ევროპაში მოკრეფილი მოწყალებიდან საკმაო ფული გაეგზავნოს, რათა შეიძლოს ტფილისისა და გორის ეკკლესიების აშენება, რადგან ეკკლესიების დაბრუნების იმედი აღარ არისო.

ამავე დროებში რომში გაუგზავნიათ მოხსენება ველის კათოლიკების შესახებ, ვერ ვიპოვეთ და არც ვიცით მისი შინაარსი. ხოლო იქ მოყვანილი გარემოება ცოტა მოხსენებულია ამ წერილში, რომელსაც პროპაგანდა იწერება:

„ახალციხის პროვიკარს, ბატონ პავლე დავით შაჰყულიანს, 14 ივლისს 1802.

„უკვე მოგვხსენდა, რომ ველის დროული წინამძღვარი მიცვლილა, ბერძნის ტიბიკონის სხვა მღვდელიც აღარ მოიპოება, ერის მოვლა შეუ-

ძლოს; უმღვდლობა მეტად მავნებელი შეიქმნება იქაურ ქართველ-კათოლიკებისათვის და სქიზმატიკების მოქცევასაც დიდად ხელს შეუშლის. ამისგამო სულიერი საჭიროებისათვის მტკიცედ საზრუნველად ახალციხის და ველის ბერძენ ქართველებისათვის (ბერძნის ტიბიკონის მქონე) უკვე დადგენილი იყო, მოგვეყვანინებინა რომში იმავე ტიბაკონის ორი ყმაწვილი და აღგვეზარდა ურბანოს კოლეგიაში, რათა მღვდლად კურთხეულიყვნენ და მაგ მრევლთათვის მოქვლოთ, როდესაც წინამძღვარი აღარ ეყოლებოდათ. რომის სხვა და სხვა გარემოებამ ხელი შეგვიშალა, სისრულეში მოგვეყანა ესეთი სასარგებლო დადგენილება; ეხლა, თუმცა ჯერ არ გაღებულა ურბანოს კოლეგია, მაგრამ, წმინდა კრებამ, რადგან კარგად უწყის ბერძენ-ქათთველი მღვდლების საჭიროება, კვალად დაადგინა, რომ დავიბაროთ მაგ ტომის ორი ყმაწვილი და გავრწთვნათ ბალინანთ გრიგოლ მღვდლის ხელმძღვანელობით, ამიტომ გთხოვ ამოარჩიოთ ორი ახალგაზდა, კარგი ზნეობისა და მიდრეკილნი საეკკლესიო წოდებისადმი, ჯან-მრთელნი, არც 12 წლისაზე პატარა და არც 15 წლისაზე ხნიერი და საზოგადოდ ისეთები, რომ იმედი იყოს, ბოლოს სასარგებლონი შეიქმნენ. პირდაპირ რომში გამოგზავნით, სადაც წმიდა კრება მათთვის ყველანაირად იზრუნებს. ეჭვი არა გვაქვს, კათოლიკე სარწმუნოების ესრეთი სასარგებლო საქმისათვის ყველანაირად ეცადოთ". (1).

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მოხსენებულია ქართულ ტიბიკონის მქონე კათოლიკების ყოფნა ახალციხეშიაც; წინა დროებში ამის შესახებ არ შევხვედრივართ საბუთებს.

როგორც ჰგავს, მღვდელი შაჰყულიანთი პროპაგანდის ესეთ ბრძანებას არ დამორჩილებია და თავის გასამართლებლად სხვა და სხვა მიზეზები მიუწერია. წერილი ჩვენ არა გვაქვს. ხოლო პროპაგანდა ასეთს პასუხს უთვლის:

„ახალციხის პროვიქარს, ბატონ პავლე დავით შაჰყულიანს, 6 აგვისტოს, 1803.

„თუმცა ამბობთ, რომ საჭირო აღარ არის ქართველი მღვდლები ბერძნის ტიბიკონისა აღარც მანდ ახალციხეში და აღარც ველში, სადაც ის ცოტა დარჩენილი ქართველი კათოლიკები შეეჩვნიენ სომხურ ტიბიკონის მქონე მღვდლებისაგან სულიერი სამსახურის მიღებასო, გარნა წმიდა კრებას ეგ დიდად სასარგებლოდ მიაჩნია როგორც ერთისა ისე მეორე ადგილისათვის. შესახებ ველისა უფრო შესაფერი იქმნება იქ მყოფ ქართველ კათოლიკებს, რაგინდ ცოტა იყვნენ, ჰყავდესთ მღვდელი, რომელმაც საიდუმლოები და საეკკლესიო წესები შეუსრულოს მათ თავიანთ საკუთარი ტიბიკონისამებრ, რისაც ძრიელ კმაყოფილი დარჩე-

ბიან, თუმცა საჭიროებამ იძულებულ ჰყო მიემართათ სომხური ტიბიკონის მღვდლებისათვის წმიდა საიდუმლოების მისაღებად, რადგან სხვა გზა არა ჰქონიათ. ესრეთი აზრისა მარტო ამ საგნის შესახებ არ არის წმიდა კრება; იგი მუდამ ზრუნავს მწვალებელთა მოქცევისათვის და უმზადებს ყოველ საშუალებას, რათა ადვილად შეიძლონ შეუერთდენ ჭეშმარიტს ეკკლესიას, იმათი მოქცევის საქმეს ერთი დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი ის გამოუჩნდება, რომ თავიანთ შეცთომილებასან იძულებული გახდებიან ეგრეთვე თავიანთი საკუთარი ტიბიკონიც დაუტეონ. ამისგამო კრება მეტად მოწადინებულია, ველსა და ახალციხეში განწესებულ იქმნენ ქართველი მღვდლები ბერძნის ტიბიკონისა, რათა მათი საშუალებით შეუერთდნენ იმავე ტიბიკონის სქიზმატიკები, რომლებიც მანდ იპოებიან. წმიდა კრების უმთავრესი მიზანია და კიდეც თხოულობს ქართველის ყმაწვილების ბერძნულ ტიბიკონზე აღზრდასა. თქვენც უეჭველად თანახმა უნდა იყვნეთ და არ დაზოგოთ მთელი თქვენი თანამშრომელობა". (1).

რაოდნათაც ვიცით, იმ მღვდელს შემდგომ პროპაგნდის ესეთი ბრძანებაც არ შეუსრულებია. აი მეტად უსამართლო მოქმედება მღვ. შაჰყულიანისა, რომელსაც საბრალო ქართველებისათვის მოუსპია თავიანთი ენით წირვა-ლოცვის შესრულების ღონისძიება. ასეთი მოქმედება მეტად უფრო იმიტომ გასაკიცხია, რომ თვით რომი დიდად მოწადინებული იყო, ქართველებს თავიანთი ტიბიკონის მღვდლები ჰყოლოდათ და ამის სისრულეში მოყვანას თვითვე უბრძანებდა, მაგრამ ის მღვდელი კი წინაალმდეგ იქცეოდა და თავის ძალადობით მოქმედების გასამართლებლად არა ერთ ცხრა მაზეზს უთვლიდა, ამნაირ მის შეუსაბამო მოქმედებას ხალხზე ისეთი სამწუხარო შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ, ბევრი დროს გავლის შემდგომ, ახალციხელი მისი თანამედროვე მოხუცი პირებისაგან თვით ჩვენ გაგვიგონია მისი საყვედური და კიცხვა.

ზემოდ ვნახეთ, რომ საქართველოს მისიონის შესაწევნელად პროპაგანდამ მიმართა ავსტრიის კეისარს, რომელმაც უარი არ უთხრა, მაშინვე გადასცა საქართველოში გამოსაგზავნად 1282 პიასტრი.

ამ წერილში ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ რავდენიმე ქართველი თეათინელებთან და კაპუცინებთან მონაზონებად შესული. უნდა მივუმატოთ ერთი სხვა ქართველიც, რომელიც მონაზონად შემდგარა, პოლონეთში დომინიკიანებთან. იგი თვითვე აღწერს თავის ვინაობასა და გარემოებას ამ წერილში, რომელსაც უგზავნის პროპაგანდას ლათინურად:

„წმიდა პროპაგანდის კრებას,

„მე ძმა ონოფრიო ოანჯანოვი, მღვდელი და მისიონერი სარატოვის პრეფექტურისა რუსეთის იმპერიაში, უფროსი და დეკანოზი სარა-

ტოვის პრეფექტურის კათოლიკე ეკკლესიებისა და მოწესე მოქადაგეთა ძმათა (დომინიკიანეთა).

„მდაბლად გაუწყებ შემდეგს. მე, საქართველოს ქალაქ ტფილისში დაბადებული, 17 წელიწადი დავყავი პატრი კაფუცინებთან. ოცდა ორი წელიწადია, რაც ჩემს სამშობლოს გავშორდი და პოლონეთში მოქადაგე ძმებთან, გამოსაცდელი დროს გატარების შემდგომ, მონაზონად შევ-დეგი. მათი უსამღვდელოესობის მიტროპოლიტ არქიეპისკოპოსის, სტა-ნისლავ სეთცეევიჩის თანხმობით და ეგრეთვე ჩვენის წესის პროვინცია-ლის ნებით საქართველოში მოვედი სანახავად და სანუგეშოდ დედაჩემი-სა და სხვა დანარჩენ ნათესავებისა. მაგრამ რა მოვედი, ნუგეშის მაგიერ, შევსწუხდი. ჯერ იმის გამო, რომ იმერეთში მყოფი კაფუცინი პატრი ნიკოლა რუთინიანელი დაბრკოლებას აძლევს, რისგამო ჩვენს კათოლი-კებს განსაცდელი მოელის კათოლიკე სარწმუნოების დატოებისა. მეო-რეღ იმის გამო, რომ უფროსმა პატრმა, ფრანჩისკე პატოელმა, თვინიერ საჭიროებისა, ქორწინებისათვის ნება მისცა მესამე ხარისხის ნათესავებს....

„წმიდა კრების უმორჩილესი მონა, ძმა ონოფრიო ოანჯანოვი, გორი, 28 აპრილს 1803“. (1).

ამ წერილში კაფუცინების მიმართ სამდურავი უსაფუძვლო როდია. სამწუხაროდ, თვით იმ დროებშიც ბევრნაირად შევნიშნეთ მათი შეუსა-ბამო მოქცევა. ისინი მუდამ ისე არ იქცეოდნენ, როგორათაც მოითხოვ-და მათი მოვალეობა. ზოგჯერ ერთმანერთში უთანხმოება ჰქონდათ; ზოგჯერაც თავიანთი ცუდი ყოფაქცევით ერს დაბრკოლებას აძლევდენ. გარდა ამისა, საკმაო მღვდლები ჰყავდათ, მეტადრე გასულის საუკუნის პირველ წლებში. მათი რიცხვი იქამდე შემცირდა, რომ თითო ქალაქ-ში თითო მღვდელი და ძლივს მოიპოვებოდა; ახალციხეში კი აღარც ერთი კაფუცინი იყო, რისგამო იქ მყოფი სომხების ვართაპეტი თურ-მე დიდძალ ფულს აძლევდა ფაშას, რათა პატრების ეკკლესია და მონასტერი ხელში ჩაეგდო და ამ საშუალებით, სამუდამოდ განეშორე-ბინა ახილციხიდგან. თავის მხრივ შაჰკულიანი მღვდელიც ცდილობდა ხელში ჩაეგდო ის ეკკლესია, რადგან კაფუცინებს კაი თვალით არ უყუ-რებდა და მარტო თვით უნდოდა გაბატონება.

უკვე ზემოდ გავიხსენიეთ, რომ კაფუცინები საქართველოს შვი-ლებს ლათინის ტიბიკონზედ იმიტომ არ აკურთხებდენ, რათა შემდგომ მათ გვერდზე არ ამოსდგომოდენ და როგორმე არ დაეჩრდილათ. ამისგამო ხსენებული ლათინის წესის მღვდლის ტფილელის ონოფრიოს მოსვლა საქართველოში სასიამოვნოდ არ დაურჩათ. რა დაყარა ხმა, საქართვე-ლოში დარჩენას ვაპირებო, კაფუცინები შეშფოთდენ და 5 ივნის 1803 წ. კიდეც რომში მისწერეს თავიანთი მწუხარება და დარდი:

„სამი თვე იქნება, რაც აქ მოვიდა პოლონეთიდგან ერთი პატრი დომინიკიანი, აქ დაბადებული, თავის დედის სანახავად; მაგრამ ახლა ველარ გადუწყვეტია წასვლა და აქ დარჩენას აპირებს“.

ის მღვდელი უქმად არ ატარებდა დროს, მათ ბევრს შველოდა სულთა მოვლაში, მაგრამ მაინც კი მათი გული ვერ მოიგო.

როგორც სჩანს ზემო წერილში დასახელებული პატრი ნიკოლა ძრიელ ცუდათ იქცეოდა, მრევლს ბოროტ მაგალითს აძლევდა და თავის უფროსის ბრძანებას აღარაფრად აგდებდა, თუმცა სხვაფრივ, შესანიშნავი პირი, გამოჩენილი ექიმი და მეტად მიჩნეული იყო ქართველებისაგან. მისი საქართველოდგან განშორება უნდოდათ, მაგრამ ვერ გაისტუმრეს, რადგან იმათ ბრძანებას ყურადღებას აღარ აქცევდა. ამიტომ მისმა უფროსმა რომს მისწერა, პროპაგანდამაც პეტერბურგში მინისტრს სთხოვა, მთავრობას შემწეობა აღმოეჩინა მისი საქართველოდგან გასტუმრებისათვის; საქართველოს მთავარმართებელმაც ამის შესახებ ბრძანება მიიღო. ბოლოს პატრი ნიკოლა დასთანხმდა იტალიაში წასვლას, კიდეც დაადგა გზას და წასვლისას გაიარა ქუთაისში, სადაც დახვდენ ერეკლე მეფის შვილები, რომელთაც იცნობდა. მისი გაშვება არ ინდომეს და არც მეფე სოლომონს უნდოდა. იმ დროს ახალციხის ფაშამ რა შეიტყო პატრი ექიმის ქუთაისში ყოფნა, სოლომონ მეფეს მისწერა და სთხოვა, რომ პატრი ნიკოლა მისთვის გაეგზავნა, რადგან ძრიელ სჭიროდა. სოლომონმა არ გაუგზავნა, თავისთან დაიჭირა და კაპუცინების უფროსს სთხოვა, ფაშასთან სხვა პატრი გაეგზავნა და პატრი ნიკოლა იქ დაეტოვებინა. უფროსმა უპასუხა, რომ იბარებს, მე არაფერი შემიძლია და საჭიროა იქ მიწერაო. ამიტომ ბატონიშვილებმა მისწერეს ეს წერილი ქართულად:

„მათს მაღალ ყ͠დ უსამღვდელოობას, და მაღალთა ადგილთა მოსაყდრეს დიდისა რომის კრებისა თანაწევრს უფალს კარდინალს.

„ჩვენს მოწყალე ხელმწიფეს,

„აღრითგანვე მეფენი საქართველოსანი ჟამ ყოველ პატივითა და სიყვარულითა შესაბამითა ბძანებულან საქართველოსა შინა მყოფთა პატრთა ზედა; და უმეტესად მათდა მამა პაპათა ჩვენთა და ჩვენ მამობრივი და მეგობრობითი სიყვარული გვქონია ყოველთა შეძლებითა ჩვენითა ვიდრე აქომამდე, და აწ დროსა ამას მივიღეთ უბდურობა..... მოგვიხდა გადმოსვლა ამის ქალაქესობის ჩვენს დისწულის იმერეთის მეფეს სოლომონთან, და კვალად ვიმედონოებთ ღ͠თით და მიზეზითა ამით რომელ წელიწადსვე ამას შინა მივიღოთ სამკვიდრო და სამეფო ჩვენი საქართველო; ვინაითგან ძალითა ღ͠თისათა ამის თავის უფლებითი ნება ხელთა ჩვენთა, ყ͠დ უსამღვდელოესო მეფეო სამეფოსა ჩვენსა ყოფნაში

იყო საკუთრად აქიმი ჩვენი პატრი ნიკოლაოზ, და ოდესაც მივიღეთ ლტოლვა.... და გარდმოვედით იმერეთად ჟამსა ამას დაშთა პატრი ნიკოლაოზ საქართველოსა შინა მყოფი თავის მრევლში; და შემდგომად რაოდენსამე ხანში თქვენი უმაღლესი ბრძანება მოსვლოდა წამოსვლისა საფრანგეთად, და ვინაიდგან გზა საფრანგეთისა იმერეთი არის მოვიდა სამეფოსა ქალაქსა ქუთაისსა და ამისმა უმაღლესობამ მეფემ სოლომონ არა მისცა ნება გზისა და არცა თავისუფლება წამოსვლად. ვინაიდგან იხილა საჭიროდ საქმესა შინა საექიმოსა, და ჩვენც ფრიად მოხარულ ვიქმენით ამისათვის პირველი ესა რომ საკუთრად და სანდოდ აქიმად მყოფობდა ჩვენთან და მეორეც ეს, რომ საუცხოვო კაცი არის: ამ საქმეზედ თქვენს ყ̃დ უსამღვდელოესობას წერილი მიართვა ხვეწნისა ამისმა უმაღლესობამ მეფე სოლომონმა; და ჩვენც უმეტესად ვითხოვთ ვედრებით რომელ მისცეთ უმაღლესი ბრძანება პატრი ნიკოლოზს ჩვენთანა ყოფნისა: და როდესაც მოწყალებითა ღვთისათა მივიღებთ კვალად სამეფოსა და სამკვიდროსა მამულსა ჩვენსა საქართველოსა, რაც უწინ პატივი და სიყვარული ჰქონიათ თქვენგან გამოგზავნილთ მოსულთ პატრებს, ერთის წილ ათჯს იმდენს მიიღებენ პატივსა და სიყვარულსა ჩვენგან; და კვალად ვითხოვთ რომელ უმდაბლესათ ესე მოხსენება ჩვენი არა უგულობელს ჰყოთ, და ვედრებისა და წადიერებისამებრ ჩვენისა აღსრულება ინებოთ; რომლისათვისაც ვეგებით მდაბლითა და ულრმესითა ერთგულობითა თქვენდამი.

„თქვენის მაღალ ყ̃დ უსამღვდელოესობის მოწყალის კელმწიფისა ჩვენისა უმდაბლესად სამსახურისა მათისა მოწადინე ს̃დ საქართველოს მეფის ძენი. იულიონ [ბეჭედი ხუცურის ასოთი] ფარნავაზ [ბეჭედი მხედრული ასოთი]. ივნისის 20 წელთა 1803“. (1).

აქ ხსენებული წერილი სოლომონისა ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. ხოლო შეგვხვდა მარტო მისი თარგმანი იტალიანურად. რომლის თარგმანსაც ტექსტის აქვე ვურთავთ.

„მათს მაღალს ყ̃დ უსამღვდელობას, დიდი რომის კრების კარდინალ ბორჯიას.

„ჩვენო მოწყალეო ხელმწიფევ, გავლილ დროებში თქვენის ბრძანებით ევროპაში წასასვლელად პატრი ნიკოლამ აქ გამოიარა, და ჩვენ შევაჩერეთ, რადგან აქიმი გვეჭირვებოდა, კაი სამსახური მოგვაგო.

ახლა მოუვიდა მას კვალად ბრძანება მანდ დაბრუნებისა; თუმცა ამას მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს წამოსვლა და ჩვენი დატოება, მაგრამ ავუკრძალეთ წასვლა. ვინაიდგან აქიმებად მუდამ თქვენი გამოგზავნილი პატრები გვყავდა, ამიტომ ვნატრობთ, თქვენმა უმაღლესობამ კე-

თილ ინებოს და ჩვენის სიყვარულისათვის პატრი ნიკოლას ნება მისცეთ ჩვენთან დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით არ დავიჭერთ, გამოგიგზავნით, მაგრამ შემდეგში კი აღარც ერთ პატრს დავაყენებთ აქ; ყველანი იძულებულნი გახდებიან აქედგან წავიდენ, თუ ჩვენის პატივისათვის მისი აქ დატოება არ ინებეთ; ესრედ ერი დარჩება უმწყემსოდ. მაგრამ იმედი გვაქვს, არ ინებოთ. დავშთებით ყველანაირის პატივისცემით, სულით და ერთგულობით თქვენი უმაღლესის მოწყალე ხელმწიფობისადმი—სოლომონ მეფე სრულიად იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა. |ბეჭედი|". (1).

ამისთანა უმაღლეს პირთა თხოვნას პროპაგანდა არასოდეს უარს არ ეტყოდა. სასიამოვნოთაც კი დაურჩა ასეთი თხოვნა. დათანხმდა და მოსწერა შემდეგი წერილები სოლომონს და ბატონიშვილებს.

„მათს ხელმწიფებას სოლომონს, სრულიად იმერეთის, ოდიშის, და გურიის მეფეს, ქუთაისს. 9 ივნის 1804.

„არც ერთი ამბავი შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვენთვის ისე სათნო და სასიამოვნო, როგორც ახლა მეძლევა რათა დავაკმაყოფილო სურვილი თქვენის ხელმწიფებისა, რომელმაც მუდამ ეგოდენი სახიერებით მიიღეთ ჩვენი მისიონერები და პატივი ეცით. თუმცა კაფუცინი პატრი ნიკოლა რუთილიანს შევუთვალეთ, დაბრუნებულიყო იტალიას, მაგრამ ახლა თქვენის ხელმწიფების სურვილის თანახმად, დიდის სიამოვნებით ნებას ვაძლევთ, შეეძლოს დარჩენა თქვენს სამეფოში, როგორათაც წმიდა კრება თავის პატივად რაცხს დასთანხმდეს ყოველ თქვენს სურვილსა, რაც კი შეუძლია, ეგრეთვე იმედი აქვს, თქვენმა ხელმწიფებამაც კეთილ ინებოს და სახიერებით დაიფაროს ჩვენი მისიონერები და კათოლიკები, რომლებიც სცხოვრებენ თქვენს სამეფოში და რომელთაც ვალად აქვსთ დაემორჩილონ თავიანთ მთავარს და მისნი ერთგული იყვნენ. უკეთუ შემთხვევამ მოიტანა როდისმე, რომ ტფილისს, გორში და საქართველოს სხვა ადგილებში მყოფი კაფუცინები, რაიმე მიზეზის გამო იძულებულნი გახდენ დაუტევონ ის პროვინციები, ამნაირი შემთხვევისათვის, ვევედრები თქვენს ხელმწიფების გულ-მოწყალებას, რათა კეთილ ინებოთ, და მიიღოთ იგინი სიმშვიდით თქვენს სამეფოში და დაიფაროთ ყოველნაირი უსამართლოებისაგან. დარწმუნებულიც ბრძანდებოდეთ, ღირსი გახდებიან თქვენის სიკეთისა, ერს უწესოდ არ მოექცევიან; არამედ დიდს სარგებლობას მოუტანენ. დიდს მადლობას მოუძღვნით თქვენს ხელმწიფებას, რომ უდიდესი პატივი მიეცით თქვენის წერილით და მასთანვე დიდად მონატრე ვართ მარადის თქვენის მსახურებისა. ვევედრები უფალს, მოგანიჭოსთ უხვად თავისი მადლის ნათელი

და უმეტესად განამტკიცოს თქვენი დიდებული სამეფო. დავშთები თქვე-ნი ულრმესად პატივის მცემელი...“. (1).

ყურადსაღებია პროპაგანდის სიტყვები, რომლითაც მეფეს სთხოვს კაფუცინების შეწყნარებას, როდესაც საქართველოს მისიონებს თავს დაანებებენ. ასეთი თხოვნა გამოიწვია სხვა და სხვა გარემოებამ. პირვე-ლად იმან რომ, როგორც უკვე დიდის ხნიდგან რუსეთში მკაცრად აკრძალული იყო მართმადიდებლების გაკათოლიკება, ისეთივე კანონი ძალაში შეიტანეს რუსებმა, რა შემოვიდენ საქართველოში. ამიტომ კა-ფუცინებს საქართველოში დიდი ალარაფერი იმედი ჰქონდათ კათოლი-კობის გავრცელებისა. მეორე ეს რომ მთავარმართებელმა კნორინგმა აკრძალა ახალის მისიონის შემოსვლა ევროპიდგან; სხვათა შორის: 1803 წლის პირველ თვეებში ევროპიდგან ტფილისს მოვიდა ექიმი ძმა ივანე კარლო; როგორც უწინ საქართველოს მეფეებს გაეხარდებოდათ ხოლმე ახალი ექიმი კაფუცინის მოსვლა, ისე იმნაირ სიხარულს მოე-ლოდენ კაფუცინები რუსის მთავრებისაგანაც; ამიტომ ხსენებული ექი-მი კაფუცინის მოსვლა უფროსმა პატრმა საჩქაროდ და ხლებით, ახარა კნორინგს, რომელმაც წყრომით უთხრა, რომ ამას იქეთ ალარ შეიძლე-ბა ევროპიდგან მისიონერების შემოსვლაო. მესამედ, კაფუცინების ტფი-ლისსა და გორში დარჩენაც განსაცდელში იყო. ამის შესახებ უფროსი პატრი ფრანჩისკე, 23 ივლის, 1803, კარდინალს ამას სწერს:

„აწ თქვენი უმაღლესობა კარგად სცნობს მთავარმართებლის ჩემ-დამი ნათქვამი სიტყვებიდგან, რომ ალარც აქ ტფილისში და ალარც გორში, რომლებიც აწ რუსეთის უფლების ქვეშ არის, ალარ შეიძლება პროპაგანდისაგან გამოგზავნილი ახალი მისიონერების დაყენება. იმე-რეთს, ქუთაისს კი შეიძლება. მაგრამ ვიდრე პატრი ნიკოლა რუთილია-ნი იქ არის, არ გავგზავნი ახალ მისიონერებს, რათა მისი ცუდი მაგა-ლითი არ შეითვისონ, ამას ხშირად ვუმეორებ ჩემს ამხანაგებს. ამიტომ თუ ახალისა და თუ ძველ მისიონერების თავშესაფარი ადგილი უნდა იყოს ამას იქით ახალციხე (ვამბობ ძველი მისიონერებისაც), რადგან ამ დღეებში მთავარმართებელთან ვიყავი და ლაპარაკში ესეც ვუთხარი, რომ საჭირო იყო ცხინვალში იქაური 30 კათოლიკებისათვის აგვეშენე-ბინა ერთი პატარა ეკკლესია. მიპასუხა არა თავაზიანად: „თქვენ ფიქ-რობთ ეკკლესიის აშენებას, მაგრამ შეიძლება კიდეც, რომ რომ აქიდ-გან ყველანი წახვიდეთო“. არ ვიცი, თუ რა საბუთით მივაჩნივართ ბა-ტონ რუსებს აქ ევროპელ მთავრობათა ჯაშუშებათ? ნეტაი შევიძლე-ბდე აქიდგან წასვლას, სანამ გამდევნიდენ. ღვთის სიყვარულისა-თვის, დამიბარეთ, რათა გავშორდე აქაურობას და კვალად შევიძ-ლო თქვენი მოსალმება. ნულარც იზრუნავთ აქ ახალი უფროსის დანი-

შვნისათვის, რადგან, როგორც მესმის, აქ ჩვენთვის ყველაფერი გათავდა“. (1).

ამას უნდა მივუმატოთ ისიც, რომ 1784 წლიდგან მოგილოვის ლათინის ეპისკოპოსი, რომის ბრძანების წინააღმდეგ, ცდილობდა საქართველო თავის უფლებისათვის დაექვემდებარებინა; ამაზე ბევრგზის კაფუცინებს მოსწერა და უშლიდა პროპაგანდასთან მიმართვას; ხოლო საქართველო რა შეუერთდა რუსეთს, მაშინ უფრო ძალა დაატანა კაფუცინებს, ხოლო რომი კი ჰკიცხავდა იმ ეპისკოპოსის ასეთ მოქმედებას. ამ გარემოებამაც საკმაოდ გაამწვავა კაფუცინების საქართველოში ყოფნა.

პროპაგანდამ მეფის შვილებსაც ეს პასუხი გამოუგზავნა:

„მათს უპრწყინვალესობას საქართველოს მიცვალებულ ერეკლე მეფის შვილებს თავადთა იულიონს და ფარნავაზს. ქაუთაისს, 9 ივნის 1804.

„რადგან წმიდა კრება დიდად მადრიელია დიდებული მეფის ერეკლესი, რომელიც განსაკუთრებულის გულმოწყალებით მფარველობას უწევდა მუდამ ჩვენს მისიონერებს, ამიტომ ვალად რაცხს თავის თავს მის უწარჩინებულეს შვილებსაც ყოველგვარი პატივისცემა მიაგოს და აუსრულოს ყოველი მათი სათხოვარი. თუმცა კაფუცინს პატრი ნიკოლა რუთილიანოს ებრძანა იტალიაში დაბრუნება, გარნა მივიღებთ რა მხედველობაში თქვენს რეკომანდაციას, რომელთანაც იყო ეგრეთვე მათი ხელმწიფების სოლომონ იმერეთის მეფისაც რეკომანდაცია, წმიდა კრება ნებას აძლევს დარჩეს მაგ სამეფოში თავისუფლად თანახმად თქვენის თხოვნისა. იმედი მაქვს, ჩვენი ნების დართვა არა მხოლოდ სათნო საყოფელი იქმნეს თქვენთვის: არამედ კვალად უფრო მიზიდულს გყოფსთ მისიონერებსა და კათოლიკეთადმი. ვნატრობ, მუდამ ახალი შემთხვევა მიბოძოთ, რათა შემეძლოს თქვენი მსახურება. დავშთები ულრმესის პატივისცემით თქვენი უმორჩილესი მონა“. (1).

იმ დროებში ქუთაისი კაფუცინებისათვის კაი საიმედო ადგილი ყოფილა, რადგან, მეფეს გარდა, დედოფალიც სწყალობდა მათ და შესაწევარს აძლევდა, რაც კი საჭირო იყო. ამას ცხადად გვიჩვენებს მისი სიგელი:

„ქ: წყალობითა ღ̃თისათა ჩვენ ს̃დ იმერთა ლეჩხუმთა ოდიშთა და გურიათა დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ. ესე უცვალებელი და მოუშლელი წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ პატრებს: ასე რომ თქვენის ეკკლესიის მახლობლად ჩვენის კაცის მარტიას მამული იყო, და იმისი მიზეზით ვიწროებით შემჭიდროებულნი იყავით. მოხვედით და იმ მამულს დაგვეაჯენით. ჩვენცა ვისმინეთ მოხსენება თქვენი და გიბოძეთ მოკლეას შვილის მარტიას ნაქონი მამული თავისის სამართლიანის

გარემოებით; ორი გვერდი სამძღვრისა თქვენის საყდრის წინ და უკან მოუძეს. მესამე გვერდი თავს შარის გზისკენ; და მეოთხე გვერდი ავთანდილა შვილების მხრისკენ, ესენი ყოველივე თავისის გზით სამძღვრით და შესავალ-გასავალით თქვენთვის გვიბოძებია, გქონდენთ და გიბედნიეროს ღ̃თნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა და არავისგან არ მოგეშალოს არცა ჩვენგან და არცა შემდგომთა სხვათა დედოფალთა და მეპატრონეთაგან რამანც კაცმა მეფემან ანუ დედოფალმან, ყ̃დ სამღვდელობამან გინა მოხელემან და თავადმან დიდმან ანუ მცირემან ამის დაშლად ხელ ჰყოს, მასამცა რისხავს ყ̃დ ძლიერი ღ̃თი, და იგიმც ამოიხოცების წიგნისა მისგან ცხოველთასა, მასამცა მიეცემის ძრწოლა კაენისა, კურთი გეზისა, შიშვთილი იუდისა, დანთქმა და თან და აბირონისა შეჩვენებულ იყოს ქრისტეს მიერის ბრძანებით სულით და ხორცით აქაცა და მას საუკუნოესაცა. ხოლო დამამტკიცებნლი ამისი აკურთხოს ღ̃თან. უხუცესო და მოურაო და მოხელენო ბრძანება ესე ჩვენი თქვენ ასე დაუმტკიცეთ და აღასრულეთ.

„აღიწერა თვესა მაისს გ წელთა ჩ. ყ. გ. | დედოფალი მარიამ |“.

ამ წერილს გვერდზე უწერია ეს შემდეგიც:

„ქ: წყალობითა ღ̃თისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატიან მეფე იმერთა სოლომონ ვამტკიცებ სიგელსა ამას ვინც ეს მოშალოს შეჩვენებულ იყოს სულით და ხორცით

Ⴑ Ⴍ Ⴊ. Ⴍ Ⴋ Ⴌ.
Ⴇ Ⴀ Ⴂ. Ⴉ Ⴀ.
Ⴌ Ⴀ Ⴂ Ⴀ Ⴉ.

„Сей документъ въ Имеретинскомъ временномъ правленіи „отъ губернскаго регистратора кн. Ми аила Туманова 15-го мар„та 1823 явленъ и въ книгу подлинникомъ отъ слова до слова „подъ № 2849 записанъ; въ чемъ симъ за подписомъ присут„ствующаго и приложеніемъ казенной печати свидѣтельствуется“.

| ბეჭედი მთავრობის. | მდივანბეგ თ̃ი დავით ჩხეიძე“. (1).

ეს დედოფლის წერილიც ცხადად გვიჩვენებს, თუ ქუთაისშიც პატრებს რა ადგილი სჭერიათ და რაოდენი სიყვარული და პატივი დაუმსახურებიათ თვით სამეფო სახლშიც.

ზემოთ ვნახეთ, რომ შაჰყულიანი მოწადინებული არ იყო რათა ქართულის ტიბიკონის კათოლიკებს თავიანთი წესის მღვდლები ჰყოლოდათ. პროპაგანდამ ძალა დაატანა და მხოლოდ მაშინ, როგორც იყო, იშოვა ორი ყმაწვილი ვეღელი ქართველი, ბიძაშვილები იაკობა და ანდრია, ნათესავები მიცვალებულის სიმონ ბატონისა. რა აცნობა რომ-

ში, პროპაგანდამ, 3 აგვისტოს 1805, მადლობა მოსწერა და მათთვის გზის სახარჯოდ მისცა 140 სკუდი, რაიცა მათ უნდა გადასცემოდა კოსტანტინეპოლში. ისინი ზღვით არ წასულან კოსტანტინეპოლს, რათა ჭანებს (ლაზებს) ტყვეთ არ წაეყვანათ; ამიტომ იძულებული გამხდარან ხმელეთით წასულიყვნენ. კოსტანტინეპოლშიც მათი რომში გაგზავნა შეჩერებულა ომიანობის და სხვა მიზეზების გამო. ამიტომ პროპაგანდამ მოსწერა იქაურ ეპისკოპოსს, რომ ის ყმაწვილები იქვე გაეწვრთნევინებინა და გაეგზავნა მათ ქვეყანაში.

ჩვენდა უცნობის მიზეზების გამო, გურჯიანთ სტეფანე მღვდლის მოხსენებისა გამო კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსმა სათლელი და მის გარეშე გამორიცხა ახალციხის უფროსის ხელქვეითობისაგან და პირდაპირ დამოკიდებულ ჰყო კოსტანტინეპოლზე. შაჰყულიანმა იწყინა, რადგან თვით იყო იმ დროს ახალციხის უფროს პროვიკარად, ამის გამო საჩივრები მისწერა პროპაგანდას, სადაც დიდი სახელი ჰქონდა მოხვექილი და ბაღინანთ გრიგოლ მღვდელიც მხარს უჭერდა. პროპაგანდამ მოუსმინა და 5 ივლის 1806 ეპისკოპოსს მისწერა და დაავალა, რათა უკან მოეწოდებინა თავისი გარდაწყვეტილება და სათლელი უწინდელებრ ისევ ახალციხისათვის დაექვემდებარებინა. ეპისკოპოსმა ძალაუნებურად შეასრულა ბრძანება, მაგრამ ამ გარემოებამ ბევრი უკმაყოფილება გამოიწვია სათლელში, მეტადრე მღვდლებს შორის.

ტფილისში კაფუცინებმა დაიწყეს ახალი ეკკლესიის აშენება. ეს ამბავი რომში მისწერეს 2 მარტს 1805 წ. უფროსი პატრი, 29 იანვარს 1806, კვალად სწერს და აუწერს, რომ მთავრობის მიერ მიცემული 6,000 მანეთი (ეს ფული მოიპოვეს ძველი ეკკლესიის მაგიერად მთავარმართებლის ციციშვილის შემწეობათ) დაუხარჯავთ და ეგრეთვე სხვა ფული, რაც კი ჰქონდათ: მაგრამ ეკკლესია ვერ დაუმთავრებიათ. ამიტომ რომს სთხოვს შემწეობას. ეგრეთვე ჰთხოვს ნებას გაჰყიდონ თავიანთი ბაღი, ერთი სახლი და ორიც ცარიელა ადგილი, რათა მისი ფულით აღაშენონ მონასტერიც. პროპაგანდა შემდეგს პასუხს აძლევს.

„პატრი ფრანჩისკე ანტონ პატოელს საქართველოში მყოფს კაფუცინების მისიონის უფროსს. ტფილის, 6 სექტემბერს, 1806.

„.... ხოლო წმიდა კრების ხაზინა თქვენც კარგად იცით, ეგოდენად დაღარიბებული და დაცარიელებულია, რომ მისიონერებისათვის გასულის დროის პენსიონები ჯერეთაც არ გადაუხდია. გარნა მიიღო რა მხედველობაში ეგრეთი გაჭირვებული მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებით, ვითარცა იწერებით, შეგიბრალა და გიგზავნის 200 სკუდს შესაწევარს. სამწუხაროდ დამირჩა ამბავი, რომ, ფულის შემოკლების გამო, ეკკლესიის აშენება ვერ დაგიმთავრებიათ. სჩანს თქვენ საჭირო

ზომა არ მიგიღიათ და, ვინ იცის, ეგებ უდიდესი რისამე აშენებაც განიზრახეთ... ნება ითხოვეთ, რომ გაჰყიდოთ მისიონის საკუთარი ერთი ბაღი, ერთი სახლი და ორიც პატარა ადგილი, რათა ნავაჭრის ფულით აღაშენოთ მისიონერების სადგომი სახლი. ჩვენმა ბატონმა პაპმა, რა გამოიძია გარემოება, კეთილ ინება და ნება დაგრთოთ იმ პირობით, რომ ის ფული სახლის აშენებას კი არ შეახარჯოთ, არამედ ეკკლესიის დასასრულებლად, რადგან ყოვლად საჭიროა". (1).

ევროპიდგან მოწოდებული შემწეობით, მამულების ფულით და აქ მოპოვებულის მოწყალების შემწეობით, კაფუცინებმა მალე დაასრულეს ტფილისის ეკკლესიის აშენება. ამ ამბავს იგივე უფროსი პატრი 24 იანვარს, 1808 წ. სწერს კარდინალს:

„თქვენო უმაღლესობავ, გასულ წელს მივიღე თქვენი პატიოსანი წერილი. ცნობილის არეულობის გამო გზა შეკრულია, მგზავრები ვერ მოდიან. ამიტომ მეც ვერ შევიძელი აქამომდე პასუხის მოწერა და ამის გამო ვალი ვერ მოვიხადე. თქვენის პირველის წერილის მიღების ცოტა შემდგომ, მივიღე ოსმალური 720 პიასტრი, რომელიც წმიდა კრებამ გვიწყალობა, რისთვისაც სიმდაბლით მადლობას მოვახსენებ: თქვენ სანუგეშოდ უნდა გაუწყო, რომ ვენის მთავრობისაგან გამოგზავნილი შესაწევარის მომეტებული ნაწილი მივიღე, დანარჩენი, იმედი მაქვს, ამ დღეებში მივიღო. ჩვენის ახალის ეკკლესიის აშენებისას თქვენი უმაღლესობა მწერს, ვინ იცის, ეგებ განიზრახეთ აშენება იმისთანა დიდი რისამე, რაიცა აღემატება თქვენს შეძლებასო. ჩემი ბრალი არ არის, რადგან თვით თავად ციციანოვმა, იმ დროის აქაურ მთავარმართებელმა, დახატა გეგმა. ინუგეშეთ, რომ ეკკლეესიის შენობა, თუ კედლები და თუ დანარჩენი, დასრულდა. ჩვენმა კათოლიკებმა, რაც კი შეეძლოთ, ილონეს; მთავრობისგან 1,000 სარგებლით ისესხეს და სხვა ვალიც დაიდვეს. ორი თვეა, რაც შევედით ეკლესიაში. ძველი ეკკლესიიდგან ყოვლად წმიდა ზიარების საიდუმლო პროცესიით გადმოვასვენეთ „პანჯელინგვინ" გალობით და მუსიკით. პროცესიას აქეთ იქით რუსის ჯარი ახლდა და წინ მიუძღოდნენ რუსის მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო აფიცრები, ქართველები, სომხები, და მთელი ქალაქი უყურებდა. აქაური ქართველების კათალიკოსმა და მათმა მიტროპოლიტმა ეკკლესიაში შემოსვლა ინებეს, ეგრეთვე სომხების პირველი ეპისკოპოსიც შემოვიდა. პატივი ვეცით და სკამზედ დავსვით...", (1).

ამ წერილიდგან სჩანს, რომ კაფუცინების მდგომარეობა ციციშვილის გამგებლობის დროს კარგად გაუმჯობესებულა, და აღარც ჰქონიათ შიში განდევნისა, რასაც კნორინგი ემუქრებოდა. ეგრეთვე სჩანს, რომ ციციშვილს დიდი სიკეთე მიუძღვის კაფუცინებისადმი, რადგან

მთავრობას 6,000 მანეთი გამოართვა და კაფუცინებს მისცა ჩამორთმეული ეკკლესიის მაგიერად; ახალი ეკკლესიის გეგმაც თვითვე შეადგინა და თვითვე დააწყებინა მისი შენობა: ეგრეთვე თავის შემწეობითვე დაასრულებინებდა, რომ მტრებს არ მოეკლათ. კაფუცინები ეკკლესიის შენობის შეყენების მიზეზად ერთავად მის სიკვდილსაც რაცხმენ. უფროსი პატრი 15 ივნის 1806, რომში სწერს ესე:

„ჩვენის ეკკლესიის შენება შედგა, რადგან ფული აღარა გვაქვს და ჩვენი მფარველი რუსის მთავარმართებელი სპარსელებმა ღალატით მოჰკლეს, ახლა ჩვენზე ამას იტყვიან: „კაცმან ამან იწყო შენობად და ვერ შეუძლო აღსრულებად“. (2).

ეგრეთვე მის დროს კაფუცინებს დაუბრკოლებლივ შეეძლოთ ახალი მისიონერები მოეყვანათ.

კაფუცინების ტრაპიზონის არხივში ვპოვეთ ბევრი კერძო პირთა ქართულად დაწერილი ნასყიდობის გუჯრები, რომელსაც არავითარი მიმართი აქვსთ კაფუცინებთან, ან კათოლიკების ეკკლესიასთან. ამათმა ნახვამ დიაღ გაგვაკვირვა, რადგან ესრეთი ქაღალდები მათ სრულებით არ შეეხება. ჩვენის აზრით, ეს იმითი უნდა აიხსნას, რომ ხალხი ისეთ სამუდამოდ საჭირო ქაღალდებს მათ აბარებდენ შესანახავათ, რადგან მათ უფრო ენდობოდენ და უფრო საიმედო კაცებად რაცხავდენ. ხოლო როდესაც კაფუცინები საქართველოდგან წავიდენ, ისე ჰგავს, წასვლისას საკმაო დრო აღარ ჰქონდათ, რომ ყველასათვის თავიანთი ქაღალდები გადაეცათ და ამ რიგად თან გაჰყოლიათ ის გუჯრებიც. იმათში შეგვხვდა ზოგიერთი ისეთი ქაღალდიც, რომ მათ შეეხება, და თავის ადგილს შემოვიტანთ:

„ქ. ამ წიგნს ვსწერ ჩემის ნებით მე კრუხიჭამიანთ იოსეფის ძე ბატონჯანა, ამ საქმეზედ, რომ ქუთაისს ქვარიანის გვერდით ხულა რომ მქონდა დაიწვა და ცარიელი ადგილი დარჩა; იმ ადგილის ნახევარში ათი სული დავაწერინე ქუთაისს იესო მარიამ და იოსების ძმობაში, და რაც მეტად ღირდა ძმობას შევაწიე, მასუკან აღვაშენეთ და რაც დაიხარჯა ნახევარი ძმობის თეთრიდამ და ნახევარი ჩემი დაიხარჯა; და ახლა ის ხულა ნახევარი ძმობისა არის და ნახევარი ჩემი არის.—ამისი მოწამე არის ბატონი პატრი ჩელერინე, და აკოფაშვილი გაბრიელა; და მე თვითონ ბატონჯანას დამიწერია და ჩემი ყაბულიც არის; აღიწერა ქ~ტეს 1807, მაისის პირველსა.

„ნახევარი ხარჯი აღშენებაზედ საძმო თეთრისაგან რომ დაიხარჯა არის ორხმოცდა ათი ყურუში.

„ამის მოწამე ვარ მე ძმობის უმფროსი პატრი ცელერინე.

„ამისი მოწამე ვარ მე აკოფაშვილი გაბრიელი“.

ეს წერილი შემოწმებულია რუსის მთავრობისაგან 15 მარტს 1823, № 2857, და ხელი უწერია მდივანბეგი თ̃ი დავით ჩხეიძეს თავისი ბეჭდით.

„წელსა ჩყია, აგვისტოს ლ.

„მოვიდნენ ჩვენს წინაშე ქუთაისის მცხოვრები გუნებაშვილი გრიგოლა, და მისი მოყვარე ბახუტა ბაქრაძე, და ღ̃თის ფიცით აღიარეს, ჩვენი სამოსახლო ადგილი ერთობით კათოლიკებს მივყიდეთ სასაფლაოდ სომხებზე უწინ.

„ამ მოწმობის დამსწრე ვარ მე თავადი ჩიჩავაძე გიორგი.

„მე გრიგოლ წინამძღვარი ამ მოწმობის დამსწრე ვარ.

„მე ანანია დიაკანი ღ̃თის წინაშე ამ მოწმობის დამსწრე და მოწამე ვარ [ანანის ბეჭედი]“.(1)

თუმცა საქართველოში ახალის მისიონერების მოყვანა თავისუფლად შეეძლოთ კაფუცინებს, მაგრამ ასეთის თავისუფლებისაგან ისე არ ისარგებლეს, როგორათაც მოითხოვდა საჭიროება. ხსენებული უფროსი პატრი ფრანჩისკე გარდაიცვალა 1812 წელს. მის შემდგომ ყველანი უუფროსოდ დარჩნენ. ამ გარემოებას საქართველოში კარგა ცნობილი პატრი ფილიპე ფორანელი რომს აღუწერს ესე, 28 მაისს, 1813.:

„.... აწ თქვენმა მეუფებამ უწყოდეს, რომ გასულ წელს ჩემი უფროსი ფ̃დ პატივცემული პატრი ფრანჩისკე ანტონ პადოელი მიიცვალა, და მიიღო საუკუნო განსვენება, როგორათაც იმედი მაქვს. იგი გარდაიცვალა ქუთაისს სექტემბერში. მისის სიკვდილის შემდგომ დავრჩით მარტო ორი პატრი კაფუცინი, ესე იგი, მე და პატრი მარიო კოლონიელი, ეგრეთვე აქ არის ტფილელი პატრი ონოფრიო დომინიკანი, რომელიც თავის უფროსების ნება დართვით აქ არის, რათა თავის დღეს შეეწიოს. მისი დახმარებით ძლივა ვავსებთ სამ სამრევლო ადგილს ტფილისს, გორსა და ქუთაისში. ახალციხის მონასტერში მორჩილი ძმა ივანა კარლო ვიკაროელი არის *). მაგრამ უფროსის მიცვალების შემდგომ მის და ჩვენ შორის აღარ არსებობს უფროს-უმცროსობა... ამ მოხსენებიდგან სჩანს თუ რა დიდ გაჭირვებაში ვართ და თუ რაოდნად საჭიროა ახალი შემწე მისიონერები; რადგან ერთი ჩვენთაგანი ავად რომ გახდეს, საბრალო ერს მოაკლდება სულიერი შემწეობა, ამიტომ ვევედრები თქვენს მეუფებას, გამოგვიგზავნოთ ოთხი, ან ხუთი პატრი, ან არა და ნება დაგვრთოთ, ამ კათოლიკებმა რუსეთიდგან მაინც დაიბარონ სულიერი მოძღვრები. თუმცა ესევე კათოლიკები სთხოვენ წმიდა კრებას, რათა არ მოხდეს ასეთი ცვლილება რაოდნადაც კი შესაძლებე-

*) იმანაც თავის ქეიფად დასტოვა ახალციხე და გურიაში წავიდა!

ლია, და არ მოაკლოთ მათ პატრი კაფუცინები, რომლებთანაც მიჩვეულნი არიან, და რომლებსაც მეტად სახელი განთქმული აქვსთ ამ ერში. ამასვე გთხოვსთ თვით ქართველი მიტროპოლიტი, რომელიც ჩვენი დიდი მეგობარია". (1).

იმ დროებში ევროპის არეულ-დარეულობის გამო პროპაგანდამ ვერ მოაშველა საჩქაროდ ვერც ახალი უფროსი და ვერც სხვა მისიონერები; არც პატრი ფილიპე დანიშნა უფროსად, რადგან იმის და სხვა კაფუცინების შესახებ მღ. შაჰყულიანი ბევრ წინააღმდეგ წიგნს სწერდა პროპაგანდას, რომელიც ადვილად უჯერებდა ყველაფერს. რადგან ამ შემთხვევაში სხვა გზა აღარ იყო, პროპაგანდამ თვით შაჰყულიანი დროებით დანიშნა კაფუცინების მისიონის უფროსად, 24 მაის, 1813 წ.

ასეთის გარემოებისაგან კარგად სარგებლობდა მღვდელი შაჰყულიანი, რათა საქართველოს ყველა კათოლიკების სულიერი უფროსობა თვით ჩაეგდო ხელში და თავისი თავიც ეპისკოპოსად დაენიშვნინებინა, რომ მხოლოდ თვით გაბატონებულიყო საქართველოში. ამის შესახებ რომს არა ერთგზის მისწერა, აუწერა თუ რამდენად საჭირო იყო საქართველოში ეპისკოპოსი. აგრეთვე ჩამოუთვალა საეპისკოპოსო პირს ასეთი და ასეთი ღირსება უნდა ჰქონდესო. იმედი ჰქონდა, პროპაგანდა ყოველ იმ ღირსებას იმას უპოვებდა. რადგან თვით სომხის ტიბიკონისა იყო, სომხის ტიბიკონის ეპისკოპოსი სთხოვა. ამის შესახებ არავითარი სიძნელე რომ არ აღმოჩენილიყო, იმ ბატონმა საქართველოს ყველა კათოლიკები სომხებად წარუდგინა და ახალციხეც სომხეთის ნაწილად შერაცხა. როგორც სჩანს სხვა და სხვა წერილებიდგან, მღ. შაჰყულიანს რომში ამისთანა საგნებზედ, სხვათა შორის, მიუწერია 29 მაისს 1813; 3 თებერვალს 1813; 25 ივნის; 1813 წ. და ოქტომბერს 1816. პროპაგანდა მას მეტად ენდობოდა და ყველა მის სიტყვებს მტკიცედ იჯერებდა, იმ ზომამდე, რომ კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსმა, რომლისგანაც დამოკიდებული იყო, მოინდომა სხვა და სხვა მიზეზების გამო, მისთვის უფროსობა ჩამოერთმია; მაგრამ ეს აუკრძალა პროპაგანდამ 16 სექტემბერს 1811 წელს. ამიტომ ადვილად ეწეოდა თავის სურვილს, პროპაგანდა ადვილად დანიშნავდა მას ეპისკოპოსად სხვა გარემოებასაც რომ ხელი მოეწყო.

ვგონებთ, მეტი არ იქმნეს მოვიყვანოთ ის, რასაც როტიე პოლკოვნიკმა თავის მოხსენებაში დასწერა შაჰყულიანის შესახებ, რომელსაც კარგად იცნობდა. როდესაც ლაპარაკობს პატრების ახალციხის მონასტრის შესახებ, სხვათა შორის, აი რას ამბობს:

„ამ მონასტრის მმართველად იყო რავდენისამე წელიწადს პატრი ნიკოლა რუთილიანელი, რომელიც ჟამისგან გარდაიცვალა 1813 წ.

შერმე მიანდეს ღირსეულს ძმას კარლო ვივნროელს. გარნა ახლა მთლად დატოებულია იქაური მღვდლების შუღლის გამო. ასეთი შუღლი ძრიელ შორს წაიყვანს და ქრისტიანობას სახელს გაუტეხს, თუ სასწრაფოთ არ განაშორეს იმ ქალაქ ახალციხეს ყველაფრის ამრევ-დამრევი მღვდელი პავლე პროვიკარი, რომელიც გარეგნობით უზომოდ ხიბლავს კაცს და თავის წერილებში თავის თავი სარწმუნოების ერთგულ კაცად გამოჰყავს. ეშმაკი ამ მელია კაცს იარაღად ხმარობს, რათა საქართველოს მისიონს ომი აუტეხოს. თავის სურვილის მისაწევნელად დიდი ხანია მისიონს ძირს უთხრის და პატრებს და მათ შესანიშნავ მორჩილ ძმებს სახელს უტეხს. ამას გაუფრთხილდნენ. რომს დაბეზღების წერილებსა სწერს, ისე რომ მისმა ეპისკოპოსმა არაფერი იცის. განგებ წავიდა ქუთაისს, რომ რუსის გენერლებს მიელაქუცოს, რათა მომავალისათვის მათი შემწეობის იმედი ჰქონდეს. მათ სთხოვა, გაეცნოთ იგი პეტერბურგში მყოფის არქიეპისკოპოსისათვის. იძახის საქართველოს კათოლიკებისათვის უფროსად ეპისკოპოსია საჭიროო; მაგრამ ეს ღირსება არ შეშვენის უცხოეთიდგან მოსულ კაფუცინებს, ამ ეკკლესიის სამართავად საჭიროა აქაური მღვდელიო. ამ კაცს თვით თავის საკუთარის სამსახურის აღსრულებაში ბევრი დანაშაულობა აქვს ჩადენილი და ერს ძალიან სძულს. თქვენს უმაღლესობას პირადათა მოვახსენე მისი გაუკითხველობის და ამაყობის ამბავი". (1).

თუ რაოდნად საფუძვლიანია ამ მიწერილის წინდახედულობა, ამას შემდგომ მოსაყვანი საბუთები ცხადად დაგვიმტკიცებს.

საბედნიეროდ, პროპაგანდა აღარ მოტყვილდა მისი ფარისევლურის წერილებით, ფაქტებს ყურადღება მიაქცია, ეჭვი შეიტანა, მალე გაახილა თვალი და საქმე უფრო ფრთხილად დაიჭირა, მალე შაჰყულიანს ჩამოართვა კაფუცინების მისიონის უფროსობა და 1814 წ. დანიშნა უფროსად პატრი ფილიპე ფორანოელი, რომელმაც პროპაგანდის მოთხოვნილებისამებრ ეს მოხსენება გაუგზავნა:

„უბრწყინვალესო და პატიოსანო ბატონო,

„გავლილ დღეებში მივიღე ერთი შეკვრა წერილი, რომელიც წ̃ა კრებამ გასულ წლის 30 ივლისს გამომიგზავნა. შიგ იყო პატენტი, რომლითაც მე მნიშნამს საქართველოს მისიონის უფროსად და მასთანვე იყო უფლებანი, რომელნიც კეთილ უნებებია და მოუპოვებია წმიდა მამისაგან; იმ შეკვრაში ეგრეთვე იყო ცირკულიარი, რომელიც გვაუწყებდა წმიდა სარწმუნოების საკვირველ გამარჯვებას. პეტერბურგის ფრანგულის გაზეთის საშუალებით მე შეტყობილი მქონდა ევროპის და, კერძოდ რომის, მეტად სასიამოვნო ამბავი. ყოვლად წმიდა მარიამის მიძინების ძალში სამადლობელო პარაკლისი გადავიხადეთ კიდეც წმიდა

მამის რომში დაბრუნებისათვის. მივუმატე მშვენიერი გაჩალება და მოკლე სიტყვაც წარმოვსთქვი, რაც მეტად სასიამოვნო შეიქმნა არა მარტო ამ კათოლიკებისათვის, არამედ სხვა სარწმუნოების ერთათვისაც, რომელთაგანაც ბევრი მოვიდნენ და მომილოცეს წმინდა მამის რომში დაბრუნება. ამავე წერილით წმიდა კრება მიბრძანებდა მისიონის მდგომარეობის მოხსენებას, ამიტომ ვაუწყებ შემდეგს:

„1) აქ ტფილისში ვართ მე და ბატონი ბარლამო განდილი *); ღირსეული მღვდელი და პროპაგანდის მოწაფე. მკვიდრი კათოლიკები არიან 40 მოსახლე, იქნება კიდევ სხვა თხუთმეტი მოსახლე, რომლებიც, სხვა და სხვა დროს, მოვიდენ ყარსიდგან და ახალციხის საფაშოდგან. იმათი რიცხვი ყოველ წლივ მატულობს. აქა გვაქვს ახლად აშენებული ეკკლესია, როგორც წმიდა კრებამ უწყის, ახლა აკლია მარტო გარეთა ნაწილის დასრულება. ღვთის შემწეობით, შიდა ნიწილი დავასრულე და ისე დავამშვენე, რომ ამ ქვეყნის საუკეთესო ეკკლესიად ითვლება. ეკკლესიას კარგად ამშვენებს გალავანი, რომელიც (აქაური ჩვეულებისამებრ) შემოვავლებინე და გავათავებინე ორი თვეა. იმასა და ერთ მშვენიერ ოთახს, რომელიც სკოლად უნდა იქმნეს, მოვანდომე 1,400 სკუდი (გარნა სკოლა ჯერ არ დასრულებულა). ეკკლესიის შიგნით და გარეთა ნაწილისათვის იმდენი ფულის დახარჯვა მაკვირვებს, რადგან მეც არ ვიცი თუ ღმერთმა საიდამ გამომიგზავნა! ახლა მიხარის, რომ გვაქვს ისეთი მშვენიერი ეკკლესია, რომელსაც ყველანი აქებენ, მეტადრე რუსები. ამას იმიტომ გაუწყებ, რათა თქვენც ინუგეშოთ. გვაქვს აგრეთვე ერთი ბაღი, ანუ ვენახი, რომელიც უწინდელმა უფროსებმა იყიდეს ორას სკუდათ. რადგან გაფუჭებულიყო მთლად, განვაახლე და კარგად მოვაწყე; ამისთვისაც დავხარჯე შვიდასი სკუდი. თავის დროზე იმდენს შემოიტანს, რომ ერთს პატრს პატიოსნად ცხოვრება შეეძლება მისი შემოსავლით. (სახლს არ ვაკეთებ, რადგან რომში ასი სახლი უფრო მეტი ღირს, ვიდრე აქ ათასი). ბაღი ახალია, ამიტომ ჯერ-ჯერობით არაფერი შემოსავალი აქვს. კვალად გვაქს ერთი დუქანი, რომელსაც თვეში სამი სკუდი შემოაქვს. ეგრეთვე გვაქვს ახალი სახლი, სადაც ვდგავართ და რომელიც აქაურ ერთ საუკეთესო სახლად ითვლება. აქვე არის იესოს, იოსების და მარიამის წმიდა სახელის ძმობა მამაკაცების და დედაკაცებისათვის. ამის წინამძღვარი აქ დროებით მყოფი უფროსი პატრია. ეს ძმობა ერთ დროს მდიდარი იყო, მაგრამ როდესაც სპარსელები შემოვიდენ ტფილისში, ერთიან გააოხრეს; ახლა 9 დუქანი აქვს. შემოსავალითგან კვირაში ორი წირვა სრულდება ცო-

*) არზრუმელია, ტფილისში შემთხვევით და ცოტა დროს იყო.

ცხალთა და მიცვალებულთ ძმობისათვის; ბავშვების მასწავლებელსაც იმ ფულიდგან ეძლევა ჯამაგირი. ხოლო დანარჩენი შემოსავალი თავნს ემატება, რათა მისი სარგებელი მოხმარდეს იმ კეთილ საქმეებს, რომლებიც აღნიშნულ არიან ამავე ძმობის წესდებაში.

„2) გორში არიან პატრი მარიო კოლონიელი და დომინიკანი პატრი ონოფრიო ტფილელი. იქ 30 მოსახლე კათოლიკეა. ეკლესიის მაგიერად აქვსთ კარგად მოწყობილი სახლი, რომელზედაც მიკრულია რავდენიმე ოთახი, სადაც დღევანდლამდე პატრები სცხოვრებენ. ახლა პატრი მარიამ და პატრი ონოფრიომ თითქმის დაასრულეს ახალი სახლი და ახალი ეკლესიის კედლებიც მიწას ამოაცილეს ერთი კაცის სიმაღლეზე. მე არ მინახავს მაგრამ ბევრი აქებს როგორც სახლს ისე ეკლესიის გარეგნობას. გორშიც არის ერთი და იგივე ძმობა, რომელიც ბევრს შეეწია ეკლესიის აშენებას, და ამ ძმობასავით რავდენიმე დუქანი აქვს.

„3) ქუთაისში დროებით გავგზავნე ერთი ახალციხელი მღვდელი, რომელიც დამითმო პროვიკარმა *). იქაური ეკლესია ხისაა, მაგრამ სუფთა და ადამიანს ღვთის სასოებას უნერგავს გულში. სახლის კედლები ზოგი ხისაა, და ზოგიც ქვისა; იქვე საბალო ადგილი აქვს. გარდა ამისა იმ მონასტერს აქვს ერთი პატარა სოფელი შვიდი ანუ რვა მოსახლით, რომელიც სოლომონ მეფემ მიცვალებულ პატრი ნიკოლას აჩუქა. რუსის მთავრობამ დღევანდლამდე შეგვარჩინა. იმ სოფლიდგან მთელი წლის საყოფი ღვინო შემოდის და ეგრეთვე სხვა რამეებიც.

„4) ახალციხეში გვაქვს ერთი პატარა მონასტერი, რომელიც ევროპის წესისამებრ მოწყობილია. აქაური მისიონისათვის ძალიან საჭიროა, რადგან პატრები, უწინარეს ტფილისში მოსვლისა, იქ დგებიან. გვაქვს ეგრეთვე პატარა ეკლესია ყოვლად წმიდა მარიამის, რომელიც დიდი სასო-სავედრებელია იქაური კათოლიკებისათვის. ეს კათოლიკეები იქმნებიან 450 მოსახლემდე, ჰყავსთ თავიანთ მღვდლები სომხის ტიბიკონისა და იმავე ტიბიკონით ასრულებენ მღვდელ-მოქმედებას ორს ეკლესიაში. იქ ჩვენის მონასტრის და ეკლესიის ყურის საგდებლად არის მორჩილი ძმა კარლო ვივაროელი. როდესაც იქ პატრი იმყოფება, წირვა ლათინურად სრულდება და მგალობლები (იქ დიაკვნებად წოდებულნი) ხმაან წირვაზე გალობენ და პასუხს აძლევენ ქართულად; ეგრეთვე ამავე ნაირად ამბობენ ჟამ-კანონს და სხვა ლოცვებს. ახლა რადგან იქ პატრი აღარ არის, ამიტომ სომხის ტიბიკონის ერთი მღვ-

---

*) რადგან აქაური კაპუცინი გარდაიცვალა და სხვა პატრი ჯერ არ იყო მოსული.

დღეს სწირავს. წმიდა კრების უკეთესად საუწყებლად, მოგახსენებ (ჩემს აზრს), რომ ახალციხეში საჭიროა სამუდამოდ ერთი პატრი იყოს, რათა ერთობა დაიცვას იქაურ მღვდლებში.

„ამას გარდა გორის ახლოს, ექვსი საათის მანძილზე, ერთი სოფელია, საცა ოთხი მოსახლე კათოლიკეა. იქ არც ეკკლესია და არც სახლი გვაქვს, გარნა ერთი ჩვენი პატრი იქ წელიწადში სამგზის მიდის, შესაფერ სახლში სწირავს და იმ კათოლიკებს უსრულებს საიდუმლოებს.

„საქართველოს ერთ სხვა პროვინციაში, სოფელ ყარაქილიშაში, რომელიც აქედგან ხუთი დღის მანძილზე იქმნება, არის 35 მოსახლემდე კათოლიკე და ჰყავსთ თავიანთი მღვდელი სომხურის ტიბიკონისა. ის სოფელი ექვემდებარება არზრუმის პროვიკარს. ის კათოლიკები თათრის სახემწიფოდან გამოიქცნენ და მოვიდნენ რუსის იმპერიაში.

„ვგონებ, წმიდა კრებამ უკვე უნდა იცოდეს, რომ რუსის კანონის ძალით, ქართველს არავის შეუძლია გამოიცვალოს თავისი სარწმუნოება. ამიტომ იმათი გაკათოლიკება აღარ იქმნება. ხოლო სომხების მოქცევა შეიძლება, მაგრამ უნდა იყოს სრულიად ნებაყოფლობით და თავისუფალი, რადგან უდიდეს სასჯელს ქვეშ აკრძალულია მათთვის ქადაგება. გარნა ეს აკრძალვა არ შეეხება წარმართების მოქცევას. იმათ ხანდის-ხან ვნათლავთ, უფრო განსაკუთრებით ბავშვებს (როდესაც ან ჩვენ და ან ჩვენს კათოლიკებს კავკასიის მთიული თავადები აჩუქებენ, ან მიჰყიდიან). ამას გარდა, ჯერჯერობით სხვა სარწმუნოების მქონეთ გაკათოლიკება არ შეგვიძლია. უწყოდეს წმიდა კრებამ, რომ ამ ერში უზომო ღვთიური ნათელი ბრწყინდება. თუმცა (სხვა და სხვა მიზეზების გამო) ვერ შევაგულიანებთ, თავიანთი თავი კათოლიკედ გამოაცხადონ, მაგრამ თითქმის ყველას და, კერძოდ, სამღვდელო პირთ დიდი პატივისცემა აქვსთ კათოლიკე სარწმუნოებისა; უფრო ჩვენი წმიდა მამის გამო, რომლის სათნოებანი ამ მხარეს კარგად ცნობილნი არიან. მეც რაც შემიძლია, ვცდილობ, უფრო კარგად გავაცნო. პატრებსა და ქართველ სამღვდელოების შუა მუდამ არსებობდა მეგობრობა და ახლა კი უფრო გამტკიცდა ეს მეგობრობა. მაგრამ სომხების სამღვდელოება მუდამ ჟამს მტერი იყო პატრებისა და მათსას არასფერს ისმენდა. გარნა, ახლა, ღვთის მადლით, ისინი პირველი ჩვენი მეგობრები გახდნენ; და ეს ამბავი აკვირვებს და ანუგეშებს არა მარტო კათოლიკებს, არამედ თვით სომხებსაც; ასე რომ მათი არქიეპისკოპოსი ხშირად მოდის ჩვენთან და ჩვენც მასთან მივდივართ; ხანდისხანაც თავისთან სუფრაზე გვიწვევს და მე თავის ეპისკოპოსებზე უფრო პირველ ადგილს მაძლევს. ასეთი რამე (როგორც ამბობენ) არადროს უნახავსთ.

„აწ რაიცა ჩვენ შეგვეხება, თქვენმა უმაღლესობამ უფრო კარგად უწყის, რომ პატრებს ყოველთვის ეშოვებოდათ ღონისძიება წამლობის წყალობით, ვინაიდგან წმიდა კრების მიერ მოცემული შემწეობა არ ყოფნიდათ აქაურობისათვის. ახლა კი წამლობით ცოტა გამორჩენა გვაქვს, რადგან რუსეთიდგან ექიმები მოვიდენ. მაინც ამ ერს, განსაკუთრებით გორს და იმერეთში, ჩვენი ნდობა აქვს და დიდის ნატვრით მოელიან ახალ პატრებს. ამიტომ გთხოვ, პატრებთან ერთად გამოგვიგზავნოთ ეერეთვე ერთი მორჩილი ძმაც, რომელიც ნამსახური იყოს საავადმყოფოში, რათა, მოვა რუ არა, მკურნალობის აღსრულება შეეძლოს სანუგეშოდ ქართველ ბატონებისა, რომლებიც ბევრს მევედრებიან; ამ ნაირად ამათ არ დავკარგავთ.

დასასრულ, მოვაგონებ წმიდა კრებას, რომ აქაურ უფროსებს მუდამ ჰქონდათ უფლება ერთგზის მირონცხებისა, ხოლო ამ ჩემ უფლებათა სიიდგან გამორიცხულია. ამიტომ გთხოვთ კეთილ ინებოთ და მომიპოვოთ ეს უფლებაც, უფრო იმის გამო, რომ აქ ორი კაცია, ერთი 40 წლისა და ერთი 60 წლისა, რომელთაც ჯერ არ მიუღიათ მირონცხება. ვგონებ საჭირო იქმნეს, უფლება ცოტა ვრცელი იყოს, რადგან ძნელია ამ ქვეყნის ყველა კათოლიკების ერთად შეკრება, რათა ყველამ მიიღოს ეს საიდუმლო, გრეთვე გთხოვ მომიპოვოთ ნებართვა, ეს ჩემი უფლებანი ერთიან, ანუ ნაწილად გადავსცე არა მარტო მანდედგან გამოგზავნილ პატრებს (როგორც უკვე მეუწყა), არამედ სხვებსაც, როცა საჭიროდ დავინახავ.

„თქვენის უმაღლესობის უმორჩილესი მონა, უფროსი პატრი ფილიპე. ტფილისი, 23 იანვარს, 1815". (1)

ამ წერილიდგან კარგად სჩანს, თუ რაოდნად შესანიშნავი პირი ყოფილა პატრი ფილიპე, რომელსაც ყველას პატივი და სიყვარული დაუმსახურებია. მაგრამ წინეთ პროპაგანდას ვერ გაებედნა მისი უფროსად დანიშვნა, რადგან ბატონის შაჰყულიანისაგან ცუდად იყო ჩასმენილი.

მალე ორი მღვდელი და ერთი მორჩილი ძმა მოვიდენ ევროპიდგან. გამოიარეს ქუთაისზე და იქიდგან უნდა ჩამოსულიყვნენ ტფილისს, რადგან ბრძანება ესე ჰქონდათ. მაგრამ თურმე ქუთაისის კათოლიკებმა აღარ გამოუშვეს და ტფილისში უფროსს მოსწერეს და სთხოვეს მათი იქ დარჩენა. გარნა უფროსმა არ შეიწყნარა მათი თხოვნა, რისგამო ქუთაისის კათოლიკებმა მიმართეს იქაურ გუბერნატორს, უჩვენეს თავიანთი საჭიროება და სთხოვეს, ერთი პატრი მაინც გაეჩერებინა იქ. გუბერნატორმაც თავისი წერილით სთხოვა უფროსს, რომელმაც უარი აღარ უთხრა და დასტოვა იქ ერთი კაპუცინი. ხოლო მეორე კი დაიბარა ტფილისში.

ერთი ახლად მოსული პატრი ჩელესტინე, რა აუწყებს რომს თავისს მგზავრობას და საქართველოში მოსვლას, მასთანვე 8 აგვისტოს 1816, ტფილისიდგან შემდეგს ამბავს სწერს:

„არ შემიძლია გავჩუმდე და არ აღვნიშნო, თუ როგორ სცემენ პატივს ჩვენს წმიდა მამა პიო მეშვიდეს არა მარტო კათოლიკები, არამედ ქართველები და სომხებიც. თან წამოვიღეთ მისი 1,000 სურათი, მაგრამ მსურველთ უმცირესობასაც არ გასწვდა. გორში რავდენიმე დღე დავრჩი; აქ მოვიდენ მნახეს თითქმის ყველა მღვდლებმა და თვით არქიეპისკოპოსმაც; ყველამ გამოაცხადა განსაკუთრებული სიყვარული ჩვენის წმიდა მამისა; არქიეპისკოპოსმა მთხოვა მისი სურათი და მოწიწებით ემთხვია. ეგრეთვე მკითხა ახლა როგორ ბძანდება და რაოდენი შეწუხება გამოიარაო? რაც მკითხა, ყველას პასუხი მივეცი იქვე მყოფის ონოფრიო პატრის საშუალებით. ლაპარაკის შემდგომ მითხრა, დიდად სასიამოვნოდ დამირჩება, პაპის კურთხევას რომ ველირსებოდეო; სხვა აღარაფერი სთქვა. ხოლო ხსენებულმა პატრი ონოფრიომ მაუწყა, რომ მღვდლებისა და ეპისკოპოსების მომეტებულ ნაწილს შეუწყნარებია ჭეშმარიტი ეკკლესია და ნატრობს შეერთებასო“. (1).

უფროსი პატრი ფილიპე, გარდა იმისა, რომ თავისი მაღალი ნიჭით დიდი სახელი გაითქვა და ყველას პატივი დაიმსახურა, დაუცხრომელად შრომობდა მისიონის გასაუმჯობესებლად და ხშირადაც წიგნებს გზავნიდა რომს. მოვიყვანთ აქ მის მიერ 1817 წ. 14 მაისს, ტფილისიდგან მიწერილი წერილის ნაწილს:

„.... მეორე მხრით იძულებული ვართ ამ მისიონს თავისი შესაფერი პატივი შევარჩინოთ მეტადრე აქ ტფილისში, ვინაიდგან რუსის მთავრობა აქ ჩვენ გვიცხადებს სიყვარულს, პატივისცემას და ჩვენის ეკკლესიისადმი მიზიდულობა აქვს; მასთანვე კმაყოფილია და გულში კარგი გრძნობა ენერგება, რომ ჩვენის შეძლების დაგვარ, ეკკლესიებში შესაფერის ღირსებით ვასრულებთ ღვთის სამსახურს. მართლადაც აქ ჩვენი ეკკლესია ყველას აკვირვებს და კარგს გრძნობას უნერგავს გულში. აკვირვებს იმიტომ, რომ ჩვენი მრევლი (სხვებთან შედარებით) რიცხვით მცირეა და მისი მომეტებული ნაწილი გლახაკია, მაინც კი ღმერთმა გადმოგვხედა და ეკკლესია იმისთანა მდგომარეობაში ჩავაყენეთ, რომ თვით ევროპაშიც გააკვირვებს ადამიანს. ეგრეთვე კაცს დიდ სასოებას აძლევს, რადგან ხშირად მორწმუნებით სავსეა და სუფევს დიდი განკრძალვა და მხურვალება თვით პატარა ბავშვებშიაც კი, ქართველებს და სომხებს ნაკლები გულმხურვალება აქვსთ და ძრიელ ცოტას ზრუნვენ თავიანთი ეკკლესიისათვის. რუსებზე კი უფრო მეტი გავლენა აქვს ჩვენს ეკკლესიას და ნადიმის დროს ჩვენ გვიხსენიებენ და სხვებს კი

ჰკიცხვენ. უფრო კარგად რომ სცნოთ, თუ რაოდნათ პატივსა სცემენ
ჩვენს ეკკლესიას, შემდეგ შემთხვევას მოგახსენებ. ჩვენი ეკკლესია გა-
რედგან გაულესავი იყო და სამრეკლო აკლდა. ღვთის შეეწეობით, ხე-
ლი მივყავი ორსავე ნაკლის აშორებას. რადგან ჩვეულებათ აქვსთ გუმ-
ბათიან ეკკლესიის აშენება, ხოლო ჩვენს ეკკლესიაზე მის დადგმა არ
შეიძლებოდა განსხვავებულის შენობის გამო, ამიტომ დავაწყებინე ორის
მშვენიერის სამრეკლოს გაკეთება გვერდებზე (რომლებისათვის უკვე ჩა-
მოვასხმევინე ერთი მშვენიერი ზარი მისამატებლად ორი ზარისა, რო-
მელიც უკვე გვქონდა); გუმბათის მაგივრობას იზმენ. რა გამართეს ფი-
ცრები, დავაწყებინე ეკკლესიის შელესვა ისე, როგორც შემეძლო, ესე
იგი, ამოვსება აგურებს შუა დარჩენილ ცარიელ ადგილისა, როგორა-
თაც სხვა ეკკლესიებია გალესილი. ამასობაში პოლიციელი მოვიდა და
გამომიცხადა, რომ უკეთესად უნდა გაალესვინოთ, კირით შეათეთროთ
და შეაღებინოთ ხუროთ-მოძღვრის ზედამხედველობითაო. ამის შემდგომ
მოვიდა გუბერნატორიც და, სხვათა შორის, მითხრა, ჩვენ გვინდა, რომ
ტფილისში კათოლიკების ეკკლესია იყოს უმშვენიერესი ყველა ეკკლე-
სიებზედ, რომელიც კი მოიპოვება საქართველოში და მის გარეშე, რა-
თა სხვებისათვის სამაგალითო შეიქმნესო". შეიძლება ჩემს საამებლად
მითხრეს ესე, რადგან ჩემი მეგობრები იყვნენ. მეც იმავე შინაურულის
კილოთი ვუპასუხე: მე ისე ვაკეთებ, რაოდნათაც შემიძლია; თუ გნე-
ბავსთ, უკეთესი გავაკეთო, შემეწიეთ თქვენვე, რადგან ჩვენი მრევლი
გლახაკია და მათგან არაფერ შემწეობას მოველი მეთქი. იმათაც მიპა-
სუხეს, შეგეწევითო, მოკრიფეთ ფული და ეს მოკრეფა დაიწყეთ თვით
გუბერნატორისგანო. მეც ახლა ასე ვიქცევი, თან ვკრეფ ფულსა და
თან ვამუშავებ თანახმად იმ პლანისა, რომელიც მომცეს. იმედი მაქვს,
მართლაც ჩვენი ეკკლესია შეიქმნეს ყველაზე მშვენიერი. ეგრეთვე სკო-
ლაც ავაშენებინე და დავასრულებინე ბატონ რუსთა შორის მოკრეფი-
ლი ფულით. საჭიროდ დავინახე შეცნობებინა წმიდა კრებისათვის
მთავრობის ესეთი გულკეთილობა, რომელიც აქვს ჩვენზე.

„დასასრულ, ესეც უნდა მოვახსენო თქვენს უმაღლესობას, რომ
საქართველოს მფარველი მოწამე წმიდა გიორგის ჟამ-კანონი და წირვა
ჩვენთვის მარტო ნახევარ ხარისხოანი დღესასწაულია. საჭიროდ ვრაცხ,
რომ ეს შეიქმნას ჩვენთვის სრული, უმაღლესი ხარისხის დღესასწაული.
გთხოვ აღგვისრულოთ. სიმდაბლით ვემთხვევი თქვენს წმიდა ბისონს და
დავშთები თქვენი უმორჩილესი მონა, უფროსი პატრი ფილიპე ფორა-
ნელი. ტფილისი, 14 მაისს, 1817". (1)

ესევე პატრი იმავე წლის 10 ოქტომბერს რომს აუწყებს, რომ
გუბერნატორი პაულუჩის შუამდგომლობით იმპერატორმა სამუდამო

პენსია დაუნიშნა ტფილისისა, გორისა და ქუთაისის ეკკლესიებს, თითოეულს 120 მანეთი წელიწადშიო. ეგრეთვე ატყობინებს, რომ ქუთაისის კათოლიკებს მოუწადინებიათ ქვითკირის ეკკლესიის აშენება და უფროსი პატრისათვის დახმარება უთხოვიათ. ისიც შეჰპირებია შემწეობის მიცემას. ხოლო გორისათვის ამას სწერს:

„გორში 40 მოსახლემდეა კათოლიკე. უფროსად პატრი მარიო კოლონიელია. რაც შემიძლია, ჩემის შემწეობის მიცემით იქაური კათოლიკების დახმარებით და ეგრეთვე ქართველი ბატონების შემწეობით, რომლებიც ჩვენი კაი მოკეთენი არიან, მშვენიერი ეკკლესია შენდება, კიდევაც ნახევრად დასრულდა, მონასტერიც აქაურ ტფილისის სახლის პლანზედ არის; კიდეც დახურეს და ახლა პატრი მარიო სდგას შიგ თავის ამხანაგით და მოსამსახურებით". (2)

იმ ეკკლესიის მნახველი პოლკოვნიკი როტიე კარგად აქებს თავის მოხსენებაში და ამბობს, ზოგჯერ მუშაობა ჩერდება უფულობის გამოო. ეგრეთვე პატრი ონოფრიოზედ, რომელსაც კარგად იცნობდა, ამას სწერს: „გარდა ამ მისიონერებისა, საქართველოში არის ეგრეთვე, როგორც თანაშემწე, პატრი ონოფრიო, წმიდა დომინიკეს წესისა. იმან გამოიწყო მონასტრისა და ეკკლესიის შენება, რომელიც ახლა სრულდება გორში. ქართველია ჩამომავლობით და ეკუთვნის პოლონეთის ერთ მონასტერს. ის მონაზონი ძრიელ გამოადგა მისიონს". (1).

აქ მოვიყვანთ ორ პატარა წერილს კაფუცინების მამულების შესახებ.

1) „1817-ს წელს ივლისის 5-ს დღესა, ესე წერილი მოგეცი მე ქვემო ამის ხელის მომწერელმან, თქვენ უფალს პატრთ მთავარს უფროსს ფილიპეს; ასე რომ სუქო ავთანდილა შვილის ნასახლარს ადგილზე, შეწირულზე, მისგან ქუთაისის კათოლიკე ეკკლესიისათვის მე დავდექი, და იმ ალაგის ქირა წელიწადში ოცი ყურუში უნდა მოგართვათ სანამდინ ამ ადგილზე ვიდგე. ხელს ვაწერ მე სტეფან დათიაშვილი. მე ჯკოფაშვილს გიორგის დამიწერია სტეფან დათიაშვილის თხოვნით და მოწამეცა ვარ".

2) „Supplica data al Tribunale per la conferma dei beni della nostra Chiesa e casa (თხოვნა სასამართლოსადმი მირთმეული ჩვენ ეკკლესიის და სახლის მამულების დასამტკიცებლად).

ამ წერილს გვერდზე აწერია: „+ საძმო დუქნები".

„ჩვენს ეკკლესიას აქვს სხვა და სხვა მამულები ტფილისში მდებარენი, ესე იგი: შუაბაზარში სამი დუქანი ერთმანერთთან მიკვრით. იმავე შუა ბაზარში ერთი დუქანი კიდევ იქვე, მდგომარე ბეზირგანიანთ ქარვასლის წინ ერთი დუქანი. ნახევარ დუქანი კიდევ შუა ბაზარში. ქურქში ხანში ერთი დუქანი, ორი დუქნის ალაგი მდგომარე მზექაბუკ

მდივანის სახლების. ზემო ბაზარში ოთხი დუქანი თავის სამის სარდაფით ტერ-პეტროსას ქარვასლის პირდაპირ. სახლები რომელშიაც ვდგევართ და ეკკლესიის იქით ალაგი, მდომარე პირველ ჩასტში მესამე კვარტალში. ერთი ბაღი მდგომარე გარეთ უბანს. ერთი დუქანი მდგომარე სიონის სობოროს ზემოდ. სასაფლაო მდგომარე გარეთ უბანს, რომელზედაც წარმოებს საქმე უეზდის სუდში; ამაების წერილნი დაგვეკარგა დროსა ტფილისის წახდენისასა. ხოლო ვფლობთ ამა მამულთა თვინიერ ყოვლისა ვისგანმე შეცილებასა, და რომე ეს ხსენებული უძრავნი ქონებანი ჩვენ გვეკუთვნის, ამისათვის უმორჩილესად ვითხოვ ეკითხოს მათ და საფუძველსა ზედა წინადადებისა უფლის მთავარმართებლისასა მოგვცეთ ჯეროვანი მოწმობა. „კნიაზ აზნაურ ხაგორ ჩიქიანოვი, აზ. გაბრიელ ბაშბუქოვი, ივანე ყარაევი, ივანე ბეზირგანოვი, სტეფანე ზარაფოვი, გასპარ ნაცვალოვი, შირმან ლიონოვი, აზნაურ ანდრეა ყარაევი, მელქონ ხითაროვი, ივანე ენიბეგოვი, ზაქარია იეზოვი, ისაია ჩიგიანოვი.

„საფუძველსა ზედ წინადადებისა უფლისა მთავარმართებლისა წარმოვადგენ ამასთან ერთსა სიგელსა დაწერილსა ქ̃კს უ. პ. ზ. რომლითაც მიყიდნიათ ჩვენის ეკკლესიის საძმოსათვის ტულუანთ შაქარას და ოსეფასაგან დუქანი, მდგომარე პირველ ჩასტში მეორე კვარტალში. ვითხოვ უმდაბლესად დამიმოწმოთ და დამიბრუნოთ მე.

„23 დეკემბერს, 1818“.

„1819-მა დეკემბრის პ̃ლს. ავსწურე ესე წიგნი დ̃ა ჩავდე ქუთაისის ეკკლესიის ძმობის ყუთშიდ. მე ოცხელ ტერ-ანტონ თუმანოვმა, ამისთვის რომ რადგან ადრევე ოცხელი ვართანასძემ პეტრემ შესწირა ერთი ხულა ქუთაისის და აბასტუმნის ეკკლესიას თავის სულის კეთილ სახსენებლად, რომ ამ ხულის ქირა რაც მოვა ნახევარი ზემო თქმული ძმობისა იქმნება და ნახევარი აბასტუმნის ეკკლესიისა, რომლის სიმტკიცე იპოება ამავე ძმობის წიგნშიდ პატრი ჩელერინე მიცვალებულის მიერ აღწერილი. რადგან ზემო ხსენებულმა პეტრემ მის დროს შესწირა; და მეც ზემოხსენებული მღვდელი დამსწრე ვარ და მხილველი ამ შესაწირავისა; და ამ ხულის თუ ადგილი და თუ თვით ხულა ცხადი არის იმავე ადგალის წიგნისაგან (რომელიც ჩემთან იყო ამ ჟამად) და აწ ის წიგნი იმ წიგნთან ერთად ქუთაისის ეკკლესის ძმობის ყუთშიდ არის შენახული და რადგან წრეულ ავიღეთ ნახევარ ქირა ამ ხულისა ჩვენ აბასტუმნის ეკკლესიისათვის და ნახევარი ქუთაისის ძმობაშიდ ჩავყარეთ; კ̃დ ამას იქითაც ასე იქმნება და ამ ჩემი წერილით ვამტკიცებ ამ ეკკლესიებისათვის შეწირულ ხულასა უფალი პატრი იოსების წინაშე მე ტერ-ანტონ თუმანოვი.

„და სხვა ამის ქვემო ხელის მომწერნი მე პატრი იოსებ მოწმობ. პირი პირისა ნამდვილისაგან გადმოწერილისა აქ ქვემო ხსენებულის აკოფოვის მიერ.

„შესწირა ყ̃ დ წ̃ ა სავარდის ძმობაში, ვართანა შვილმა პეტრემ ერთი დუქანი, ნახევარი ქუთაისის ეკკლესიას, და ნახევარი აბასტუმნისას; ის დუქანი ზაქარა შვილის დუქნის, და ბადურა მამასახლისის დუქნის შუა არის, და ბადურას დუქანს და ამ დუქნის შუა, რომ პატარა ადგილი არის, ნახევარი იმ დუქნისა არის. ქ̃ს ჩ ყ დ-ს ოქტომბრის ა-ს.

„ნამდვილისაგან უმეტნაკლებოდ გადმოვსწერე გრიგორ აკოფოვმა“. (1).

ამ წერილთან არის ეგრეთვე დუქნის პლანი რუსულად.

1806 წელს საქართველოში მოსული პიემონთელი კაპუცინი ავადმყოფობის გამო გაბრუნებულა იტალიაში 1818 წ. და პროპაგანდის კარდინანალებისათვის წარუდგენია ეს მოხსენება:

„თუ ქვემო და თუ ზემო საქართველოს მისიონი მეტად ვრცელია, ვინაიდგან ოცდაორ პროვინციას შეიცავს. ამათგანი ორი პროვინცია არის სვანეთი და აფხაზეთი, სადაც თვით დღესაც იმყოფებიან წარმართები; არსად არის ეგრეთი სამეფო და ეგრეთი ტომი, რომ ისე ადვილად შეუერთდნენ კათოლიკე სარწმუნოებას, როგორც ბერძნის ტიბიკონის მქონე ქართველები არიან. გარნა ის რომისგან საკმაოდ არ არის გაცნობილი მისიონერების სიცოტავის გამო. ზემო ქართლს გორსა და ტფილისში 3,000 კათოლიკემდეა. იმერეთს, გინა ქუთაისს, ქვემო ქართლის სამეფო ქალაქში, სადაც მე ვიყავი, 800 კათოლიკეა; იმათგან ორასმა კათოლიკობა მიიღო ჩემის ოფლით, შრომით და ქადაგებით. წინა დროებში, ვიდრე რუსის მთავრობა სრულიად დაიპყრობდა ამ უვრცელეს სამეფოს, ყველა კაცს, მკვიდრს, თუ უცხოს, თავისუფლად შეეძლო კათოლიკე სარწმუნოება მიეღო. იქ პატრი მისიონერებს აქვსთ, ერთი უმშვენიერესი ეკკლესია, რომელიც ააშენა თავის ხარჯით იქ მყოფმა პატრმა. მისიონერები ეკკლესიიდგან არავითარ სასყიდელს ღებულობენ, იმიტომ, რომ არ მიებაძონ იქაურ მღვდლებს, რომელთაც უყვარსთ ევროპელები და დიდ პატივს სცემენ. მისიონერებს საცხოვრებლად მხოლოდ ექიმობის შემოსავალი აქვსთ, თუ ამ შემოსავლის წყალობით და თუ იმ ფულით, რაც თავიანთის მომჭირნეობით შეუნახავსთ, მისიონერები იხსნიან ტყვეებს. მახლობელი მცხოვრებნი და შორეულნი 50 ოჯახობა გამოვისყიდე, მისიონერები სწვრთნიან, კატეხიზმოს ასწავლიან; როდესაც ყველაფერს კარგად შეისწავლიან; მაშინ კათოლიკე ხდებიან, შემდგომ აძლევენ დუქანსა და ფულს, საქმეს დაადგნენ და იცხოვრონ. იქ ღვთის მსახურებას ეკკლესიაში დიდის დღესა-

სწაულობით და სრულის თავისუფლებით ასრულებენ, თითქო თვით რომში არიანო. ის მისიონი სადაც ვმსახურებდი; იმიტომ დავტოვე, რომ ბევრმა შრომამ და სნეულებამ დამაუძლურა და გამოუდეგარი შევიქმენ, როგორათაც ცხადათ სჩანს ჩემი წერილებიდგან, ამიტომ იქ ბევრ ხანს კიდევ დარჩენა აღარ შემეძლო. საქართველოში მყოფი მისიონერები, ნამდვილი მისიონერები არიან, რადგან ბევრს შრომობენ და შეწუხებას ითმენენ, რასაც სხვები ვერ ხედვენ.

„ოსმალეთის საქართველოს მთავარი ქალაქი არის ახალციხე, საცა 5,000 კათოლიკეა. იმათი რიცხვი არ მატულობს. დანარჩენი მცხოვრებნი არიან მაჰმადიანები, სომხები და სხვა. სამოციქულო ვიკარად არის მღვდელი პავლე, რომელიც დიდი მტერია იტალიელ მისიონერებისა; და კიდეც თავისი მტრობა საქმითაც გამოიჩინა. თუ საჭიროება მოითხოვს, შემიძლია ამის შესახებ ვრცელი მოხსენება წარმოვადგინო და ფაქტებიც დავასახელო. ახლა კი ვიტყვი, რომ ორი იტალიელი მისიონერი ძალაუნებურად განშორდნენ იქაურ მონასტერს ხსენებულის მღვდლის მიერ ფიცხის დევნულობის გამო. იმ ქალაქშია სამი სხვა ეკკლესია, რომელიც აღმოსავლეთის მღვდლებს უჭერიათ. არიან რვანი, მაგრამ ზემოხსენებულ მღვდელსავით ავნი და ბოროტნი არ არიან. იქაური მონასტერიც თავის თავს ირჩენს ექიმობის საშუალებით, თუმცა დიდი არაფერი შემოსავალია. პატრი ამედე პიემონტიელი კაფუცინი. საქართველო 1818“. (1).

ამ წერილიდგანაც სჩანს და ზემოთაც უკვე მოვიხსენიეთ, რომ მღვდელი შაჰყულიანი კაფუცინებს მტრობდა და რომში მათ ხშირად აბეზღებდა. ცრუ დაბეზღების წერილები რომში გაუგზავნია ეგრეთვე შესახებ მორჩილი ძმის კარლო კაფუცინისა, რომელსაც როცა გაბრუნებულა საქართველოდგან, თავისი თავის გასამართლებლად, თან წაუღია ახალციხელების მოწმობაც. ამათგანი პირველი ეს არის:

„მე მღვდელი სტეფანე მეფისანთი ღვთის წინაშე ვმოწმობ, რომ, ძმა კარლოს თოთხმეტ წლის განმავლობაში ახალციხეში ყოფნის დროს, მისი ცუდი არც მინახავს და არც გამიგონია; ეს მუდამ კეთილ მაგალითს იძლეოდა და ისე იქცეოდა როგორც შნსაფერი იყო. პირიქით, მან დიდი შრომა მიიღო და კარგი მზრუნველობა გამოიჩინა ჩვენი წმიდა კათოლიკე სარწმუნოებისათვის და მთელი ერის სასარგებლოდ. ხოლო მის წინააღმდეგ ის საჩივრები, რომ ვითომც ამას თათრის მთავრის წინაშე ეჩივლოს პროვიკარის წინააღმდეგ, რაის გამო ვითომც ამ პროვიკარს ბევრი ფული დაეხარჯოს და სიკვდილის განსაცდელში ჩავარდნილიყოს, ყველა ეს სრულობით სიცრუეა. აგერ ესე ვმოწმობ წინაშე

ღვთისა და წმიდა ეკკლესიისა და ეგრეთვე შემეწიოს ანგელოზებრივი წმიდა მამა ფრანჩისკე. ამინ. 12 დეკემბერს, 1817.

„მე უღირსი მღვდელი სტეფანე მეფისანთი.

„ეგრეთვე მე მღვდელი ანტონ თუმანანთი ვმოწმობ და ვამტკიცებ როგორც ზემოდ“. (1).

ამ კაფუცინისათვის პატრების ეკკლესიის დიაკვნებსაც მიუციათ ამისთანა მოწობის წერილი და მასზე ხელი მოუწერიათ ამ პირებს:

„მე მხატვარ ივანემ, პატრების ეკკლესიის დიაკვანმა, დავსწერე ჩემის სრულის სურვილით და სიმართლით, 2 იანვარს 1818.

„მე ფილიპე პატრების დიაკვანი ჭეშმარიტებით ვამტკიცებ ყველას რაც დაწერილია.

„მე სტეფანე ჩილაშვილი ვამტკიცებ რაც ზემოდ დაწერილია.

„მე მღვდლის შვილი ივანე ვამტკიცებ რაც ზემოდ დაწერილია.

„მე ანტონ ხანუმანთი ვამტკიცებ რაც ზემოდ დაწერილია“.

ამისი მსგავსი მესამე მოწმობა ამ კაფუცინისათვის მიუციათ ახალციხის კათოლიკებს და ხელი მოუწერიათ შემდეგ პირებს:

„მე ბატონჯანა კრუხიჭამიათ იოსების შვილი.

„პავლე ბერომელანთ შვილი.

„გრიგოლ გიგინათ გიორგის შვილი.

„ბალდასარ მეფისაშვილი.

„ივანე არჩილის შვილი.

„სიმონ ნარიბეგა შვილი„.

ამ იტალიანურ მოწმობის ქაღალდებზე ქართულათაც მოუწერიათ ხელი ამ პირებს:

„მეფისანთ ტერ სტეფანე ამ ზემო ნაწერ ვამტკიცებ ჩემი ხელთნაწერითა და ბეჭდითა.

“ქ. მე მეფისანთ ბალდასარა ამ წერილის თანახმა ვარ.

„მე პაატაშვილი დავითი ამ ზემო ნაწერს ვამტკიცებ და ეს ჩემი ხელია.

„მე პაატაშვილი კათოლიკე გაბრიელ, ამ ზემო ნაწერს ვამტკიცებ და ეს ჩემი ხელია.

„მე აკოფაშვილი აკოფა ამ ზემო ნაწერს ვამტკიცებ.

„მე აკოფაშვილი ივანე აკოფის ძე კათოლიკე.

„მე კათოლიკე ტინტიკაშვილი მამაჯან ამ ზემო ნაწერს ვამტკიცებ“.

ამ წერილებთან არის ეგრეთვე ერთი პატარა წერილი, შაჰყულიანს მიუწერია ერთის მღვდლისათვის ესე: „მონაზონების საქმეში ნუ გაერევი, ნუ უმოწმებ და ხელს ნუ მოუწერ, თვარემ მახეში ჩავარდები,

ბოლოს ყველა გამოცხადდება. მაგრამ შენი შენანება კი უსარგებლო იქმნება“.

1818 წ. ნოემბრის 22, კოსტანტინეპოლის საეპისკოპოსოდგან რომში სწერენ შაჰყულიანის ცუდს ამბავს, ყველას ცუდათ ეპყრობა, თავის ამაყობის გამო ვერავინ შეუფერებია და თავის უფროსად პაპის გარდა სხვა არავის სცნობსო.

1824 წ. დეკემბრის 18, უფროსი პატრი ფილიპე ტფილისიდგან რომში სწერს პროპაგანდას, რომ მას კათოლიკების სასაფლაოზე უკვე დაუსრულებია პატარა ეკკლესია, რიმ ამბავს დაწვრილებით აუწერს; ეგრეთვე აუწყებს, რომ იმავე ეკკლესიისათვის ახატვინებს ერთ მშვენიერ ხატს, იესო ქრისტეს დასაფლავებისას; მასთანვე სთხოვს, წმიდა მამისაგან მოუპოვოს შენდობა იმ ხატის წინაშე მლოცველებს, განსაკუთრებით წმიდა ჯვრის პოვნისა და მისივე ამაღლების დღესა და ეგრეთვე მიცვალებულთა მოხსენების დღეს.

პაპმა, 1825 წ. აპრილის 17, მიანიჭა სრული შენდობა ყველა იმ მორწმუნებს, რომლებიც, აღნიშნულ დღეებში, მივიდოდენ სალოცავად ახალ ეკკლესიაში.

მღვდლის შაჰყულიანის სიბოროტე რა გამრავლდა, სულიერმა მთავრობამაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია. კოსტანტინეპოლის არქიეპისკოსმა ვინჩენციო ქორეზიმ, 1826 წ. აპრილის თერთმეტს, არა მარტო ჩამოართვა უფროსობა, არამედ კიდეც აუკრძალა ყოვლის მღვდელმოქმედების შესრულებაც და დაიბარა კოსტანტინეპოლს, რათა სამსჯავროში პასუხი ეგო ყოველის საჩივარისათვის, რომელიც მის წინააღმდეგ იყო გაგზავნილი. იმავე დროს ეპისკოპოსმა შაჰყულიანის მაგიერად მღვდელი ივანე ლაზარიანი დანიშნა ახალციხის მრევლის უფროსად და შემწედ მისცა მღვდელი სტეფანე მეფისანთი და მღვდელი სტეფანე აპინიანი.

გარნა მღვდელი შაჰყულიანი არ დაემორჩილა თავის უფროსს ეპისკოპოსს და არ წავიდა კოსტანტინეპოლს. ამ ურჩობის გამო პროპაგანდამ განაშორა ახალციხეს და გაგზავნა ტფილისს, საცა კაპუცინებმა პატივით მიიღეს და თავიანთთან შეინახეს რავდენსამე წელს, რადგან კაპუცინები შაჰყულიანისათვის ბევრს ეცადნენ რომის წინაშე და რავდენსამე წლის შემდგომ მას ისევ მოუპოვეს უწინდელი უფროსობა. ხოლო ცოტა ქვემოდ ვნახავთ, რომ მღ. შაჰყულიანმა თავის სიბოროტეზე ხელი არ აიღო, არამედ უფრო აღუმატა, და კაპუცინებს, კეთილის მაგიერ, დიდი ბოროტი მიაგო.

პატრი ფილიპე, 19 აპრილს 1829, და ახლად მოსული პატრი თომა, თემპიელი, 6 ნოემბერს 1829 წ, სწერენ რომში ყოვლს უბედუ-

რებას, რაც შეემთხვა ახალციხეს, როდესაც რუსებმა აიღეს. ამასაც მოკლედ მოვიყვანთ უტექსტოთ.

ახალციხე ერთიან დაუნგრევიათ თათრებს და რუსებსაც; რავდენიმე სახლი ძლივს გადარჩენილა. კაფუცინების მონასტერი მთლად დაუნგრევიათ და მათი ეკკლესიისთვისაც ცეცხლი მიუციათ, რაის გამო ერთი კედელი დანგრეულა, ეკკლესიის ნივთები კი მთლად დაუტაციათ. თათრებს 69 სული ქალი და ვაჟი ტყვეთ წაუყვანიათ ოსმალეთის სხვა და სხვა ადგილებში. ომისა და ცეცხლისაგან დახოცილა 73 კათოლიკე, ხოლო დანარჩენი კათოლიკები ზოგი ქართლსა და ზოგი იმერეთს შეხიზვნიან. ომსა და ხალხის ჟლეტას ეგრეთვე მოჰყოლია ჟამიც. ახალციხეზე ესრეთი დიდი უბედურების მოვლენას კიფუცინები აწერენ იმ სიბოროტეს, რომ უწინ საქართველოდგან ალურაცხველი ქრისტიანები მიჰყავდათ იქ და ჰყიდდნენ როგორც პირუტყვებსო. ამ სიბოროტეს მიჰმატებია ეგრეთვე კათოლიკების ურიგობა, მეტადრე სასულიერო პირებისა.

უფროსი პატრი ფილიპე, 1830 წ. 6 მარტს, ტფილისიდგან რომს ჰგზავნის ერთ ვრცელ მოხსენებას საქართველოს მისიონის შესახებ. რადგან მაინც და მაინც ყურად საღები შიგ ბევრი არა არის რა, იმასაც მოკლედ მოვიყვანთ უტექსტოთ.

„საქართველოს ეკკლესიებ შორის ტფილისის ეკკლესია მეტად მშვენიერი და შემკულია, მაგრამ პატარაა, რადგან მრევლის რიცხვი განმრავლდა. ამ ეკკლესიას ძრიელ ცოტა შემოსავალი აქვს. გარნა ერთგული კათოლიკები დღიურ-დღიურად სწირვენ წმიდა სანთელს და სხვა რამ მსგავსსა, რაიცა ეკკლესიის ხარჯსა ჰფარავს. როგორც ტფილისში, ისე გორსა და ქუთაისში საეკკლესიო სამსახურის შესრულებისათვის სრული თავისუფლება არის. წმიდა ზიარების პროცესია ეკკლესიის გარეშემო დიდის დღესასწაულობით სრულდება და ყველა სარწმუნოების დიდ ძალი ხალხი ესწრება. ეკკლესიას ჰყავს ერთი ძმობა წმიდა სავარდისა და იესოს, იოსების და მარიამის სახელობაზე, უფროსი პატრი ძმობის წინამძღვარია. ახლად შეკეთებული ათი დუქანი აქვს ძმობას. წლიური ქირა ექვსასი მანეთი შემოუდის. ძმობის წესდებულობისამებრ, ამ შემოსავალი ფულიდგან 1) კვირაში ორი ხმოანი წირვა სრულდება მიცვალებულ დათა და ძმათათვის; 2) სკოლის მასწავლებელს ჯამაგირი ეძლევა; 3) ეკკლესიის სანთელში იხარჯება; 4) მეორგანოეს ჯამაგირი ეძლევა და 5) დანარჩენი ფული ხმარდება გლახაკების შესაწევნელად. ეკკლესიას ქალაქის ახლო ერთ გორაზე აქვს სასაფლაო ვრცელის მიწით, რომლის ნახევარიც სათესავ-სათიბავია. შვიდი წლის წინეთ შემოევლო ღობე და გადაიქცა მშვენიერ ბაღად, რომლის შემოსავალი

ეძლევა გლახაკთა. ამ მოწყალების განწესება იქვე ახლად აშენებულის
ეკლესიის კედლის ქვაზეა დაწერილი, რაც სათნო საყოფელი შეიქმნა
მთავრობისათვის, რაისგამო ამ ბაღს მოსარწყავი წყალი დაეთმო უსა-
სყიდლოდ. ტფილისის ეკლესიას აქვს ეგრეთვე თავის ეზოში ერთი
პატარა სამკურნალო ოთხი ავადმყოფისათვის,

„ტფილისში პატრებს აქვსთ ერთი მშვენიერი მონასტერი. უწინ
პატრები წამლების შემოსავლით სცხოვრებდენ; ახლა კი რუსის მთავ-
რობამ აუკრძალა მათ ექიმობა. გარნა ხანდისხან კიდევ სწამლობენ სახ-
ლებში და ესე მით ცოტა შემწეობასაც შოულობენ. პატრებს კიდევ
აქვსთ სამი პატარა დუქანი, რომელსაც წელიწადში ასი მანეთი ქირა
შემოაქვს; ეგრეთვე ქალაქის ახლოს აქვსთ ერთი კაი ბაღი; მთავრობაც
აძლევს წელიწადში ასიც მანეთს, როგორც ტფილისის ეკლესიას, ისე
გორის და ქუთაისის ეკლესიებსაც. ეს შემოსავალი პატრებს ჰყოფნის
საცხოვრებლად.

„ტფილისის მკვიდრი კათოლიკები არიან 92 ოჯახი; ხოლო უცხო
კათოლიკები, სხვა და სხვა ტომის ვაჭრები, როგორც მაგალითად სომ-
ხები, ბევრნი არიან; კვირა-უქმეობით ეკლესია ორ-სამგზის ივსება და
იცლება. ეგრეთვე კათოლიკების რავდენიმე ოჯახი ამ გუბერნიის სხვა
და სხვა ადგილებში გაფანტული არიან სამსახურისა და ვაჭრო-
ბის გამო.

„გორის სამრევლო ეკლესიაც ახლად აშენებულია, მაგრამ ერთიან
დასრულებული ჯერ არ არის გავლილის ომების გამო, რამაც შიმშილი
ჩამოაგდო აქ. გარნა ეკლესიას სართული დაეხურა თუ არა, მაშინვე
დიდის გამოჩვენებით აკურთხეს და დაიწყეს შიგ წირვა-ლოცვის შესრუ-
ლება 1822 წელს სექტემბრის თვეში. ეს ეკლესია, როდესაც კი მთლად
დასრულდება, მეტად მშვენიერი რამ იქნება. იქ 30 მოსახლე კათო-
ლიკეა.

„გორის მონასტერიც ახალი აშენებულია, აქვს ერთი ბაღი და
ორი დუქანი, რომელსაც წელიწადში 20 მანეთი შემოაქვს.

„ქუთაისის ეკლესია ხისაა. გარნა აგერ სამი წელიწადია, რაც და-
იწყეს იქაურმა კათოლიკებმა აშენება ქვითკირის ეკლესიისა, რომელიც
ტფილისის ეკლესიაზე დიდია. გარნა ომისა და შიმშილის გამო შენო-
ბა შეჩერდა.

„ქუთაისის მონასტერიც ხისაა და აქვს ორი ბაღი, რომელიც ეკ-
კლესიის და მონასტრის მოშორებით არის. ეგრეთვე ქუთაისის ახლოს
აქვს ერთი ხუთ-კომლიანი სოფელი. ეს სოფელი სოლომონ უკანასკნელ-
მა მეფემან აჩუქა მიცვალებულ პატრი ნიკოლა რუთილიანელს. ის ხუ-
თი მოსახლე ქირნახულის ერთ ნაწილს პატრებს აძლევს, რა შესავალიც

დიდი არაფერია, რადგან იმერლებმა ხვნა-თესვისა ხელობა არ იციან, მასთანვე საკმაო ზარმაცნიც არიან.

„ახალციხეში გვაქვს ერთი პატარა ღვთისმშობლის ეკკლესია, სადაც კათოლიკები ხშირად და მხურვალებით დაიარებიან. ეხლა კი ეს ეკკლესია მეტად დაზიანებული, ერთ გვერდზე ჩამონგრეული და გაშიშვლებულია. იქაური მონასტერი კი მთლად დაიწვა; დაიწვა ეგრეთვე ოთხი დუქანიც, რომელიც მას ეკუთვნოდა. ეკკლესია, როგორც არის შეკეთდება, მაგრამ მონასტრის ასაშენებლად საჭიროა ექვსასი სკუდი მაინც მისცეს წმიდა კრებამ.

„თუმცა კათოლიკე სარწმუნოების ქადაგება მთავრობის ბრძანებით აკრძალულია, მაგრამ, ხანდისხან სხვა და სხვა ტომის პირნი, ღვთის მადლით აღძრულნი, თავის თავად უერთდებიან ეკკლესიას. ხოლო საბრალო ქართველებს კი სრულებით აეკრძალათ კათოლიკობის მიღება. გარნა სარწმუნოების დასაცველად საჭიროა, მაინც სამი ახალი მისიონერი გამოიგზავნოს. მხოლოდ საჭიროა, ახალგაზდა იყვნენ, რათა ენების შესწავლა ადვილად შეიძლონ, რადგან, უწინ თუ მარტო ქართულ ენას სწავლობდენ, ახლა, გარდა ქართულისა, საჭიროა შეისწავლონ თათრული, ფრანგული, რუსული, სომხური და ლათინურიც.

„აქ ჩვენ ყველანი ხანში შესული ვართ და უფლებაც გვაქვს, იტალიაში დაბრუნების ნება მოვითხოვოთ“.

1834 წ. 6, სექტემბერს, უფროს პატრს მოუვიდა მოწერილობა ორი ქართველი ყმაწვილი გაეგზავნა რომის კოლეგიაში სასწავლებლად. არ ვიცით კი, თუ ვინ იყვნენ ის ახალგაზდა ქართველები, რომში გაგზავნილნი სასწავლებლად, რადგან არც პროპაგანდასა და არც ვატიკანის არხივებში მიგვიშვეს, რომ იმ წერილების მერმინდელი საბუთებიც შეგვეკრიბა, ამისგამო, ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრი საინტერესო საგნები კიდევ უნდა დაგვრჩეს შეუტანელი ამ წიგნში. ხოლო კაფუცინების არხივებიდგან კი გამოვკრიფეთ შემდეგი დროის საბუთებიც, რომელსაც კიდევ აქ მოვიყვანთ რავდენსამეს. გარნა ისინი ისე შესანიშნავნი არ არიან ჩვენთვის როგორც ზემო ხსენებული არხივების საბუთები იქმნებოდა.

კაფუცინების საბუთებში შევხვდით ერთ წერილსა, რომელშიც აღწერილია რაც კი შეეხება გორის ეკკლესიისა და ძმობის მამულებს და ასაღებ ფულებს. ამ წერილში არც თარიღი და არც დამწერის სახელია გამოცხადებული. უტექსტოთ მოგვყავს.

„უძრავი მამულები და ასაღები გორის ეკკლესიაში დაწესებული წმიდა სავარდის ძმობისა.

„№ 1. ჩემი აშენებული ოთხი ოთახი, რომელსაც შემოაქვსთ 26 მანეთი წელიწადში. ამ ფულით მთელი წლის განმავლობაში ყოველ

ორშაბათობით სრულდება ერთი ხმოანი მიცვალებულ ძმათა და დათათვის.

„№ 2. ერთი ნაჭერი სათესი მიწა ძმობის ფულით ნაყიდი 1788 წ. და-ძმათათვის ეგოდენი წირვა უნდა ითქვას, რაოდენს სარგებლობასაც შემოიტანს ეს მიწა.

„№ 3. ორას ოცდა ათი მანეთი ნაანდერძევი თავადი სილიბისტრე თუმანოვის მიცვალებული ქვრივი მარიამისაგან 1834 წ. 5 იანვარს. თვით ამასვე მიუცია ეს ფული 12-ს სარგებლით გორელ გიორგი გამბარანთათვის.

„№ 4. შემოწირულია ასორმოცდა ათი მანეთი ანასტასია ზუბალოვისაგან. ეს ფული სარგებლით არის მისივე შვილთან დავითთან, რომელიც ამ სარგებელში 24 წირვას ათქმევინებს წელიწადში თავისი მიცვალებულის დედისათვის, და თითო წირვის მოწყალებისათვის აძლევს ნახევარ მანეთს.

„ძმობის გასესხებული ფული, რომლის აღება იხლა შეუძლებელია. პატრი იოსებ დელლა ქოლლოს უფროსობის დროიდგან *) წელიწადში 42 წირვა სრულდება ამ ფულის შემომწირველ მიცვალებულთათვის. ეს სხვა და სხვა პირებისაგან შემოწირული ფული ძმობის უფროსს გაუსესხებია სარგებლით, სარგებელთან თავნიც დაუკარგავს, ამის გამო არ ვიცით თუ ამ წლიური 42 წირვის ვალი რა საშუალებით გადავიხადოთ. რადგან ფულის ვალად ამღები პირნი, მეტნაწილად უკვე მიიცვალნენ, და მათ მემკვიდრებს ან არ შეუძლიათ და ან არ სურსთ ვალის გადახდა. ეგრეთვე აღარც ჩივილი შეიძლება, რადგან მთავრობის კანონის მიერ განსაზღვრული დრო გასულია. აი ნუსხა ამ გასესხებული ფულისა, რომლის აღებაც შეუძლებელია.

„№ 1. სტეფანე ბეჟანანთ პეტრეს შვილს ძმობისა მართებს 172 მანეთი ვერცხლის ფული. ცხადია მისი ორი ბარათით, ერთი მიცემულია 1802 მარტის 1-ს და მეორე 1813 თებერვლის 15-ს.

„№ 2. ივან ზუბალოვის შვილს სტეფანეს მართებს 10 მანეთი, ვითარცა სჩანს, 1822, იანვრის 1-ს, თავისი მიცემული ბარათით.

„№ 3. ჯულაბანთ გიორგის მართებს 65 მანეთი ვერცხლის ფული, რომელიც უსესხია 1811, იანვრის პირველს და 1818, თებერვლის პირველის ბარათით.

„№ 4. ანანიას შვილს იოსებს 70 მანეთი ვერცხლის ფული უსესხია 1823 წ. მარტის 19-ის ბარათით.

---

*) საქართველოში მოვიდა 1816 წელს.

„№ 5. ალაპაპანთ (Alapapanti) სტეფანეს მართებს 90 მანეთი ვერცხლის ფული, ნასესხი 1805 წ. აგვისტოს პირველის ბარათით.

„№ 6. ყანდინანთ ივანეს 80 მანეთი უსესხია 1798 წ. მარტის პირველის ბარათით.

„№ 7. მიცვალებულ ვალაშვილ სიმონას უსესხია 10 მანეთი 1830 წ. დეკემბრის ბარათით. ყველა ბარათები ინახება ამ არხივში.

„გორის მონასტრის უძრავი მამულები, გასესხებული ფული და მისივე ვალები.

„1) ამ მონასტერს 4 ოთახი პირველ სართულში და 4 ოთახი მეორე სართულში აქვს და მასთანვე ერთი სარდაფი.

„2) მონასტრის გვერდზე არის ექვსი ოთახი, სადაც არის სკოლა, სამკურნალო და ეგრეთვე აწყვია ეკკლესიის საჭირო რაიმები.

„3) ერთი ვენახის მოსავალი ნახევარი მისია; ეგრეთვე ღებულობს მეოთხედ შემოსავალს ერთ სხვა ვენახიდგან, რომელიც ცხინვალის ახლოა, და რომელიც უკვე ეკუთვნოდა ავეტიკანთ ივანეს, რომელმაც პატრი მარიო კოლონიელს დაუტოვა საწინდარში. სამი წელიწადია, რაც მის შემოსავალს ვღებულობთ, წელიწადში 35 ან 56 მანეთს. ესეც უფრო იმიტომ, რომ, როცა ხსენებული ავეტიკანთ ოჯახი სრულიად ამოწყდა, დიდი ყურადღება მივაქციე ამ ვენახის მოვლას, თუმცა ეხლა ავეტიკანთ სხვა დანარჩენი მოვალები გვედავებიან ამ ვენახზე.

„4) ერთი დუქანი ბაზარში მდებარე, რომელსაც წლიური ქირა შემოაქვს 23 მანეთი.

„5) ხუთი ნაჭერი მიწა გორის მიდამოში, რაიცა პატრებს დაუტოვა დავრეშანთ ზაქარიამ, იმ პირობით, რომ მისი შემოსავლიდგან თვეში ორი ხმოანი წირვა უწირონ ხოლმე. ხოლო წრეულ ერთი ნაჭერი ვენახათ გადავაკეთებინე და შიგ პატარა სახლი ავაშენებინე, რისგამო დამეხარჯა 350 მანეთი.

„6) ერთი სართულიანი სახლი ქვითკირისა, რომლის სიგძე ათ საჟენ ნახევარია და აქვს ორი ზალა და 4 ოთახი. ის სახლი ავაშენე მიწაზე, რომელიც ერეკლე მეფეს პატრებისათვის ეჩუქებინა". (1).

კაფუცინების ქაღალდებში ვპოვეთ ეგრეთვე ერთი პატარა წერილი ახალციხის ეკკლესიის შესახებ:

„1836 წ. ენკენისთვის 2-ს რაიც წმიდა ივანეს ეკკლესიას აქვს ფული თუ ნივთი აქ აღინიშვნის.

„1836 წ. იანვრის 11, უდელ ღუბრიანთ იოსეს მართებს 25 მანეთი თავის ანგარიშით.

„1835 წ. მარიობის 9 ონო ქურქჩიბაშოვს მართებს 25 მანეთი თავისი ანგარიშით.

„1836 მაისის 7-სა ყაზარ ქერობა შვილს ალაჯანას მართებს ბარათით 40 მანეთი თავისი ანგარიშით.

„1836 აპრილის 20-სა კიდევ ასაღები არის ბარათით 30 მანათი თავის ანგარიშით, რომ ჯამი გახდა 1020 მანეთი.

„ამის გარდა პატრი თომაზედ გუაქუს ასაღები 72 ოქრო; თვით შენც უწყი ბარათიც გუაქვს". (1).

ამის შემდგომ ჩამოთვლილია ეკლესიის სამკაული და ნივთები.

ახალციხეში მყოფი პატრი თომა თემპიელი ვგონებთ გარდაცვლილიყოს 1839 წ. რადგან პატრი იქ მარტო ყოფილა და მაშინვე არ მისულან და არ დაჰპატრონებიან მის დატოებულს ეკლესია-მამულებს, ახალციხას სასამართლოს მთავრობისათვის უკუთნებია მისი უძრავი მამულები. ხოლო მოძრავი ქონება პატრებისათვის დაუთმია. ასეთი უსამართლო გარდაწყვეტილება პატრებს გაუსაჩივრებიათ უმაღლეს მთავრობის წინაშე. პატრებს დიდი იმედი კი ჰქონიათ ყველა მამულების დაბრუნების, მაგრამ ჩვენ არ ვუწყით, თუ საქმე როგორ დაბოლოვებულა.

უფროსი პატრი ფრანჩისკე მესინელი, 1841 წ. 25 იანვარს ტფილისიდგან სწერს ლიონში არსებულ სარწმუნოების გამავრცელებელ საზოგადოებას და მადლობას უხდის იმის გამო რომ, მისიონის შესაწევნელად მიუღია მისგან 12,100 ფრანკი, ეგრეთვე აუწყებს, რომ ქუთაისის ეკლესიის შენობა, უფულობის გამო უკვე შეჩერებული, განვაგრძეო და მალე დავასრულებ კიდეცო; იმასთანვე სთხოვს, მისიონს ბევრნაირი საჭიროება აქვს და შემწეობის მოწოდებას ნუ მოგვაკლებთო.

საქართველოში ნამყოფი კაფუცინი იოსებ-ანტონ ლივორნელი ინდოეთის აგრა ქალაქის ეპისკოპოსად უკურთხებიათ რომში. ინდოეთში წასასვლელად გამოიარა საქართველოში. გორის, ქუთაისის და ტფილისის კათოლიკებმა თავიანთ შორის მოკრიფეს 509 მანეთი და წყალობად მისცეს. 1841 წ. 25 ივლის, ინდოეთის აგრა ქალაქიდგან რომში სწერს წყალობის მიმცემ კათოლიკების სახელებს; ეგრეთვე მოკლედ აუწერს აქაური მისიონის გარემოებას და სომხის კათოლიკების შესახებ ამას ეუბნება:

„სომხის კათოლიკების მღვდლებს უნდათ; არა მარტო იუფლონ ულათინებოდ, არამედ ეგრეთვე უნდათ, რომ კაფუცინების ეკლესიები და მონასტრებიც თვით დაიპყრან, მარტო იმიტომ რომ იქ დიდი სარგებლობა და კარგი შემოსავალია. იმ მღვდლებში ურევია ორი, რომლებიც შფოთს სტეხენ მრევლში და არ სჯერდებიან იმას, რაცა აქვსთ ისინი არიან მღვდელი პავლე შაჰყულიანი, პროპაგანდის მოწაფე და მღვდელი მეფისანთი". (1)

ახლად არჩეული უფროსი პატრი ბენედიქტე ახირუალელი, 1842 წ. აპრილის 29, რომში სწერს, რომ, კათოლიკებისათვის ლოცვის წიგნი დაუბეჭდვინებია და ეგრეთვე მოუმზადებია კიდევ ქართულ ენაზე დასაბეჭდად წმიდანების ცხოვრებაც; მასთანვე სთხოვს, რჩევას იმის შესახებ, რომ რომში ახლად ნაკურთხ მღვდელს, ანტონ გლახოვს, მოუთხოვია მისთვის ჯამაგირი და თავის სამშობლო ქალაქის ეკკლესიის წინამძღვრობა. ეგრეთვე განკარგულებას სთხოვს, თუ როგორ უნდა მოიქცეს იმის შესახებ, რომ ხშირად ქართველი კათოლიკები და პოლონელები სომხების და ლუტერანების ქალებს ირთვენ ცოლებად და თუ კათოლიკე მღვდელმა მათ არ დასწერა ჯვარი, მაშინ ისინი წავლენ სომხების და პროტესტანტების ეკკლესიებში ჯვარის დასაწერადო.

უკანასკნელი უფროსი პატრი დამიანე ვიარეჯიელი, 1843 წ. 24 მაისისა, ტფილისიდგან რომში თავის უფროსს სწერს და აველრებს იქ მიმავალს გიორგი პოლკოვნიკის შვილს იოსებ ზუბალოვს; მასთანვე მის შესახებ ეუბნება, რომ საქართველოს კათოლიკებში უპირველესი არის ეს იოსებიო; მისმა წინაპრებმა ძველის დროდგანვე ჩვენს ორდენს დიდი პატივი და სიყვარული გამოუცხადეს და ჩვენის წესის ძმობაშიაც წევრებად ჩაეწერნენო; გორის მშვენიერი ეკკლესია უმეტესად მათის ხარჯით აშენებული და შემკულიაო; ამიტომ ღირსია, ამას ყველა ნაირი პატივისცემა და დახმარება აღმოუჩინოთ, რათა რომში ყველაფერი კარგად ნახოსო.

მართლადაც ეს დიდად პატივცემული ზუბალაშვილების გვარი უწინაც მეტად შესანიშნავი ყოფილა თავისი პატიოსნობით და ქველ-მოქმედებით, რადგან კაფუცინების წერილებში ბევრს ადგილას შევნიშნეთ, რომ ყველა ნაირ კეთილ საქმეში პირველი ყოფილან ამ გვარის ჩამომავალნი, როგორათაც ამას დღესაც ვხედავთ ცხადად ამ გვარის ღირსეულ წარმომადგენელთა შორის.

როგორც სჩანს კაფუცინების წერილებიდგან, ლიონში არსებულის სარწმუნოების გამავრცელებელის საზოგადოებისაგან მიღებულ ფულით კაფუცინებს დაუწყიათ აშენება ქუთაისის ეკკლესიის გარდა, ალექსანდროპოლის ეკკლესიისაც, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა ქუთაისის ეკკლესიასავით.

ზემოთ ვნახეთ, რომ მღვდელი შაჰყულიანი თავისი ურიგობისათვის დაისაჯა კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსისა და პროპაგანდის კრებისაგან და ახალციხიდგან გაძევებულ იქმნა ტფილისის კაფუცინების მონასტერში, რათა იქ შეენანებინა თავისი შეცოდებანი. კაფუცინებმა თავიანთ მონასტერში არა მარტო პატივით და სიყვარულით მიიღეს, იგი არამედ რომის წინაშეც უშუამდგომლეს, რათა მისთვის დანაშაუ-

ლება ეპატივებინა, შეჩვენებისაგან აეხსნა და ისევ უწინდელი თანამდებობა მიეცა. ათი წლის შემდგომ კაფუცინებმა ყოველივე ეს მოუპოვეს და ისევ ახალციხის უფროსად დაანიშვნინეს. გარნა შაჰყულიანმა, ახალციხეში მობრუნების შემდგომ, უწინდელ თავის სიბოროტეზე როდი აიღო ხელი; ეგრეთვე კაფუცინების სიკეთის დახსოვნების მაგიერ უფრო მეტი მტრობა დაუწყო და ეცადა, რომ ყველა ეს მისიონერები საქართველოდგან სრულიად გაეძევებინა.

რადგან შაჰყულიანი თავის ჩვეულებრივ სიბოროტეზე ხელს არ იღებდა, ამიტომ სასულიერო მთავრობამ, 1839 წ. მას კვალად ჩამოართვა უფროსობა. ამ გარემოებამ უფრო განარისხა შაჰყულიანი და აღძრა იგი შურისძიებისათვის. ამის გამო მიჰმართა ყველა უჯერო საშუალებას და ცდილობდა, მარტო თვით დარჩენილიყო საქართველოში კათოლიკების უფროსად, რათა იქმნება მაშინ მაინც ღირსებოდა ეპისკოპოსობას, რასაც დიდი ხნიდგან დაეძებდა. ამ გარემოებათა კაფუცინები თავიანთ წერილებში ხშირად იხსენიებენ და მის შესახებ ძრიელ ბევრ რასმე სწერენ რომს. შაჰყულიანის შესახებ რომში გაგზავნილი წერილები თითქმის ერთ წიგნს შეადგენს. იმ სამწუხარო წერილებს აქ არც ერთს მოვიყვანთ. ხოლო მოკლედ გავიხსენებთ, თუ რა მოხდა და როგორ დაბოლოვდა ეს საქმე.

1839 წლის შემდგომ, შაჰყულიანმა უფრო ხშირად დაიწყო, რომთან მიწერ-მოწერის გარდა, რუსის უმაღლეს მთავრობასთან ცრუ დაბეზღების წერილების გზავნა კაფუცინების წინააღმდეგ. სახელდობრ, შაჰყულიანს ერთი ამისთანა წიგნი მიურთმევია რუსის სამხედრო მინისტრის ჩერნიხოვისათვის, როდესაც იგი 1842 წ. ახალციხეში მოსულა. ამას არ დასჯერებია, არამედ კავკასიის მთავარმართებლისათვისაც მიუცია ცრუ დაბეზღების წერილი. თვით შაჰყულიანის ქაღალდებშივე აღმოჩნდა ერთი ამისთანა გაგზავნილი წერილის პირი, რომელიც ქართულად არის და აქვე მოვიყვანთ:

„ესე არს ქ̃ტი მაგალითი არზისა მის ჩვენისა, რ̃ლ (ცალკ-ცალკე) წარვუდგინეთ მთავარმართებელსა, და გუბერნატორსა, მოწერილობითა ათხუტმეტთა კათოლიკეთა მღვდელთა სომხის გვარისათა წელსა 1843. ივლის. ფოშტითა №№ 17 18.

„განცხადებით არზის წერილითა ამით გთხოვთ სმენად ჩვენდა სულგრძელობითა, და აღსრულებითა თხოვნისა ამისა ჩ̃ნისა. რამეთუ დასაბამითვე მამა-პაპათა ჩ̃ნთაგან გუაქუს სჯული და კანონი სომხის გუართა კათოლიკეთა, რომ გვყავდეს ჩ̃ნივე გუარისაგანვე უფროსად მღვდელი ვინმე, ვ̃ა ეგრეთი წესი არს ყ̃ლთა გუართა შორის, მსგავსად კ̃დ ეპისკოპოსი გუარისა თვისისა, სამღვდელოებისაგან; აჰა ესე რა კ̃დ

ჟამსა ამას შინა გუყავს უფროსად მკვიდრი პოლოს ვ̃პტი შაჰყულოვი; და ვ̃ა მთავრობა გვიშლის უცხოისა სამფლებელოის მღვდლისა ვისამე ცნობა. და შეწყნარება, ბრძანებისა ამის მარადის მორჩილ ვყოფილვართ, და ვართ: არამედ კაპუჩინთ პატრები ტფილისს მყოფნი. და პატრი ბონავენთურა, რომელიც აწ აქ ახალციხეს არის. რომელთა არა ჰყავთ ერი გვარისაგან თვისისა არცა აქა, და არცა სხუაგან, ა̃დ ვ̃ა მწირნი და სტუმარნი არიან რუსეთის საზძანებელსა შინა. ესენი არ გვასვენებენ ჩ̃ნ მკვიდრთათა, ა̃დ თანაკმა ქმნილ რავდენნიმე ჩ̃ნი გვარისა ამრევ დამრევნი აქაურნი მღვდელნი ძველთა მტერთა თანა შაჰყულოვისათა; კ̃დ ვენეტიკის ბერი ვინმე აღმშფოთებელი ჰაირ სიმონ ჯულარდოვი, რ̃ლი მალვით შემოძრომილ არს ერსა ამასა შანა რუსის საბრძანებლისასა, და არს კაფუჩინების მხარესა აღმღვრეველი მშვიდობისა, ესენიც ძალას გვატანებენ რომ შევიწყვაროდ უმფროსად, ჩ̃ნი დიდებული კელმწიფის ბრძანების წინააღმდეგ, და უძველესისა წესისა ჩვენისა, ვითომც პ. დამიანე, რ̃ლი ტფილისს არის, და თუ რომელი ბრძანებითა, თვით მათ ჰკითხეთ: ვ̃ა წელსა 1840-სა ამავე პატრი დამიანემ სტამბოლის წერილითა თუ ვითარ გამოუთქმელი, აღშფოთება ჩამოაგდო ახალციხესა შ̃ა, და ცხადნი დამაბრკოლებელნი საქმენი იმოქმედა წინაშე ყ̃ლთა გუართა აქ ახალციხეს, ჩ̃ნსა და ერსა შუა, ჩ̃ნ თვით თვალით ჩვენით მხილველი ვიქმენით, და სხუათა უდიდესთა ულმრთოებათა იმოქმედებდა იგი, უკეთუ ღთიულითა განგებულებათა, ტფილისით შეწევნაი არ მოგმშველებოდა, რათა იგივე პ. დამიანე აქედამ მსწრაფლ უკან დაბრუნებულიყო ტფილისსა: ვინაით პატრი ესევე ამ ახლოს ჟამსა შინა აპირობს აქ მოსვლასა, ისევ აღშფოთებისა მის ჩამოგდებად, ამისთვის ვსთხოვთ უაღრესობასა თქ̃ნსა, რათა დაუშალოთ აქ მოსვლა, ვ̃ა წელან მოგახსენეთ, ჩვენ პატრებს ვერ ვინდობთ, არცა გვნებავს, ვერც ძალ გვიძს ცნობა მათი, თუ მიზეზისათვის მაგათი აღმშფოთებლისა ბუნებისა ვ̃ა გამოცდით ვუწყით, თუ მზაკვრობისა მაგათისა, რ̃ლი ჰყვეს შარშან ჩ̃ნის დიდებულის კელმწიფის ბრძანების პირდაპირ, გაგზავნით ახალციხელი პეტრესი ივანიჩ აღუშოვისა გრანიციის გარეთა, მღვდლად დასაკურთხავად. რ̃ლი ესე იყო შაგირდი მეფისოვ ტერ-გრიქორისა ამრევ-დამრევისა თათრების უფლების ჟამითვე, და იმავე პეტრე აღუშოვის მხარისაგანთათა ხუთთა თავდებობის წერილი მისცეს აქ პოლიციას, რომ იგი გრანიციის გარეთ არ უნდა წასულიყო დასაკურთხავად, არამედ სტამბოლს წავიდა, და იქ დაეკურთხა მღვდლად, და ერის კაცის ყლდით შემოიპარა რუსის მიწასა შინა, და აწ არს ტფილისს, ანუ სხუაგან: ხ̃ შაჰყულოვმან ვერ შეიძლო დასტურის აღება მთავრობისგან, თუმცა მრავალგზის სთხოვა გრანიცის გარედ გა-

გზავნა ხუთთა სამღვდელოთა გუამთა. ვინაით შარშან იმ ჟამად გააგზავნა ხუთნი იგი პეტრებურგს, და მუნ დააკურთხევინა იქაურს კათოლიკე ეპისკოპოსსა, და შაჰყულიანის უფროსობა იქიდამაც დამტკიცდა. რ˜ მოვიდა წიგნები, რომ მოუტანეს იქიდამ ახლად დაკურთხეულთა მღვდელთა მათ დასაწყისსა წელსა ამისასა პეტრებურგით; ამისთვის კაფუჩინთა პატრთა არა რაი კელმწიფება აქვსთ ჩ˜ნზედა; და ვერცა ძალ უცხოთა ქონვა, თუ ამისთვის რ˜ სრულიად განრჩეულ არიან გუარისაგან ჩ˜ნისა, თუ რ˜ ალმაშფოთებელ არიან, და ძველნი მტერნი ჩვენნი, და თუ უთანხმოებისათვის ჩ˜ნსა მათთანა ბუნების შეზელილობათა აერისა, ენისა, და თუ ტიბიკონისა სრულიად განრჩეულისა ურთიერთარს, დუ თუ მიზეზისათვის იმპერატორის ბრძანებისა, რათა მისი საბრძანებლის გარედ მყოფი თუ ეპისკოპოსი; თუ მღვდელი არ იცნობებოდეს; ვინაით და კელმეორებით გთხოვთ, რათა უგულებელს ჰყო თხოვნა ესე ჩვენი, და ამის მაგიერ პასუხი გვიწყალობო, და დავშთებით

„უზესთაესისა უფლებისა თქ˜ნისა.

„ახალციხეს, ივლის, 1. 1843.“.

ამ წერილში თითქმის ეგოდენი უსამართლობა და სიცრუეა, რამოდენიც სიტყვაა. ეპისკოპოსობის მოსაპოებლად, როგორც ამას წინეთ რომის წინაშე ყველა სომეხად გამოიყვანა და თვით ახალციხეც სომხეთის ნაწილი გახადა, ისე ეხლა, რუსის მთავრობის წინაშე ყველა სომეხის ტომად გამოჰყავს.

იმ დროს მთავარმართებლად იყო გენერალი ნეინდჰარდი, რომელმაც რა მიიღო კაფუცინების წინააღმდეგ ესეთი საჩივრები, საქმის ჯეროვან გამოსაძიებლად ახალციხეში გამოგზავნა პოლკოვნიკი კოცებუ (Cozzebu), ლუტერანი. ამან ყველა რა კარგად გამოიძია, სცნო სიცრუე ყველა გაგზავნილ საჩივრებისა, მეტადრე სიყალბე საჩივარზე ხელ-მოწერილისა. რადგან ზემოდ დასახელებულ თხუთმეტის მღვდლის ხელ-მოწერილში ნამდვილად მარტო შემდეგს ოთხს მღვდელს ხელი მოეწერათ: მღ. ანტონ ნიკოზიანს, მღ. გრიგოლ ზარაფიანს, მღ. ანტონ ხუციანთს და მღ. ივანე სერემიანს. ხოლო დანარჩენ მღვდლებს უარი უთქვამსთ, ეგ ჩვენი ხელ-მოწერილი არ არისო; ჩვენ მაგ საჩივრებში არავითარი მონაწილეობა გვაქვს და არაფერი ვიცითო. პოლკოვნიკმა ყველაფერი მოახსენა მთავარმართებელს, რომელმაც, რა დარწმუნდა შაჰყულიანის დამნაშაობაზე, დაადგინა, რომ ის მღვდელი იყო ურჩი, ყალბის მქნელი, შემაცთენელი და ერის ალმაშფოთებელი: ამიტომ მიუსაჯა მას; 1) რომ სამუდამოდ გადევნილ ყოფილიყო ახალციხიდგან და გორს კაფუცინების მონასტერში გაეგზავნათ, რათა მოენანიებინა ეგოდენი მძიმე დანაშაულობანი; 2) ყველა მისი მომხრენი ხუ-

ლოპერის სასჯელით დასჯილ იყვნენ კაფუცინების უფროსისაგან, ისე როგორათაც საჭიროდ დაინახავდა; 3) ამ სიქმის საწარმოებელი ხარჯი ყველა გადაეხადა შაჰყულიანს და მის მომხრეთა. მთავარმართებელმა ეს დადგინება გამოაცხადა 1515 ნომრით, 1844 წ. თებერვლის ოცდა ერთს.

მთავარმართებელმა, რა სცნო კაფუცინების უდანაშაულობა, უფრო მეტი პატივისცემა დაუწყო, მათს მონასტერში მივიდა და 100 მანეთი საჩუქრად მისცა.

როდესაც შაჰყულიანისა და ახალციხის საქმე ესე არეულ-დარეული იყო, კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსმა ალარიომ, ყველასაგან მოულოდნელად, გადაყენებული მღვდელი შაჰყულიანი, რომელიც მას თავის უფროსად აღარ სცნობდა, დანიშნა ისევ უწინდელ თანამდებობაზე უფროსად. ეპისკოპოსის ესეთმა შეუსაბამო საქმემ არა თუ მთელი თემი განაკვირვა და კაფუცინები სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, არამედ თვით მთავარმართებელიც დიდად განარისხა, რადგან ესოდნად დამნაშავე კაცს, იგი ასეთს ღირსებას აძლევდა! ამის გამო ეს ნეინჰარდი ეპისკოპოსის ესეთ დადგენილებას არ დათანხმდა.

შაჰყულიანის საჩივრებმა თუ მთავარმართებლის წინაშე ვერ გაიმარჯვეს, მინისტრსა და თვით იმპერატორზე სულ სხვანაირად იმოქმედეს, და გამოიღეს ასეთი ნაყოფი, რომელსაც არავინ მოელოდა.

კაფუცინები ჯერ ისევ თავიანთ გამარჯვების სიხარულში იყვნენ, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრმა, შაჰყულიანისაგან მიღებული წერილების გამო, უმაღლესი განკარგულება გადმოსცა მთავარმართებელ ვურკოს. ამანაც თავისის მხრით, 1844 წ. 2 ივნისს, № 105, კაპუცინებს გამოუცხადა უმაღლესი ბრძანება: 1) კავკასიაში მყოფი ლათინის მღვდლებს სრულებით აეკრძალოსთ სომეხ-კათოლიკების საქმეში გარევა; 2) ლათინის მღვდლები დაექვემდებარონ მოგილევის კონსისტორიას და რუსეთის ტახტის სამუდამო ქვეშევრდომობა აღიარონ, თუ უნდათ დარჩნენ თავიანთ სამსახურში და განშორებულ ყოფილიყვნენ რუსეთის საზღვრიდგან ყველანი, ვინც ამ პირობას არ აღასრულებდნენ; 3) შესწყვიტონ ყველა გვარი მიმართობა საზღვარ გარეთის სასულიერო პირებთან.

ამის გამოცხადების შემდგომ მთავარმართებელი ბევრი ეცადა სამინისტროს წინაშე, რათა კაფუცინები იქაც გამართლებულიყვნენ, მაგრამ მისი ცდა ამაოდ დარჩა. კვალად მიიღო ბრძანება, რომ დაუყოვნებლივ აესრულებინა იმპერატორის უმაღლესი განაჩენი, რისგამო იძულებული შეიქმნა კაფუცინებისათვის ძალა დაეტანებინა, რომ წასულიყვნენ, თუ იმ პირობათ არ აღასრულებდნენ.

კაფუცინებმა პაპის უნებურად ის პირობანი ვერ შეიწყნარეს. ამიტომ იძულებულ ჰყვეს მთავრობა ძალით განეშორებინა იგინი საქართველოდგან. 1845 წ. იანვრის პირველს ტფილისიდგან მთავრობის კაცებმა წაიყვანეს გორში უფროსი პატრი დამიანე, პატრი ფილიპე, პატრი ქერუბინე და პატრი ემიდიო, რომელთაც კაი მანძილზედ გაჰყვა ტირილით ასიოდე კათოლიკე. გორში პატრები, მთავრობის ნება დართვით, თავისთან დააყენა იაკობ ზუბალაშვილმა. 3 იანვარს გორში მყოფი პატრი ემანუელი და პატრი ბერნარდე გამოიყვანეს ძალით ეკკლესიიდგან და ყველა ერთად წაიყვანეს ქუთაისს. იანვრის 9-ს მიიყვანეს ქუთაისს, სადაც სტეფანე აკოფოვმა თავის სახლში დააყენა. ამათ ჩასვლამდე იქიდგან უკვე განეშორებინათ პატრი ფლორენციო. ორი დღის შესვენების შემდგომ ისინიც წაიყვანეს ქუთაისიდგან; ყველა ერთად გაიყვანეს საზღვარგარეთ და 17 იანვრისას მივსდნენ ჩურუქსუში. იქიდგანაც, ცოტა შესვენების შემდგომ, წავიდნენ და ტრაპიზონს ჩავიდნენ 25 იანვარს. იქ დაბინავდნენ იმ იმედით, რომ კიდევ მალე შემოსულიყვნენ საქართველოში, რისგამო რუსის მთავრობას ბევრგზის სთხოვეს, მაგრამ ნება ვერ აიღეს და დღესაც ამ იმედით იქ არიან კაფუცანები.

აი ერთმა კაცმა, შაჰყულიანმა, თავისი სიბოროტით მთლად ბოლო მოუღო ამდენის ხნის მისიონს, რომელმაც დიდი და ბევრნაირი სამსახური მიაგო საქართველოს. გარნა ეს ბატონი ვერ ეწია ყველა თავის გულის თქმას, რადგან ვერც ეპისკოპოსობა მიიღო და ვერც პატრების ეკკლესია-მონასტრები დაისაკუთრა. თუმცა ესკლესიების დასაკუთრებას ეცადა, მაგრამ ერმა სრულებით არ შეიწყნარა სომხურის ტიბიკონის მღვდლები. იმ დროს ლათინის წესის მღვდელი დარჩა მარტო ქუთათური დონ ანტონ გლახოვი, რომელმაც კაფუცინების წასვლის შემდგომ, დაიწყო ერის მოძღვრობა. ამიტომ იძულებული იყო ხშირად მოსულიყო ტფილისს და გორში მრევლის სამსახურებლად. მთავრობამ რა ნახა, რომ უმღვდლობის გამო კათოლიკები დიდს გაჭირვებაში იყვნენ, მოგილევის არქიეპისკოპოსს სთხოვა გამოეგზავნა საქართველოში ორი ახალგაზდა პოლონელი მღვდელი, რომელთაც ქართული უნდა ესწავლათ და მოევლოთ მრევლისათვის. მალე მოვიდნენ ის პოლონელი მღვდლები კაფუცინების ადგილას და დაიწყეს მრევლის მოვლა.

ესე სამწუხაროდ დასრულდა საქართველოში კაფუცინების მისიონიც, რომელმაც დაიწყო თავისი მოქმედება ქართველთა ერის სასარგებლოდ 1662 წელსა.

აქ მოვიყვანთ რავდენსამე ქართულ წერილებსა, რომლებიც ერს და მღვდლებს მიუწერიათ კაფუცინებისათვის, თუ მათის აქ ყოფნისა და

თუ მათის აქედგან წასვლის შემდგომ. ეს წერილები გამოვკრიფეთ ტრაპიზონსა და რომში კაფუცინების არხივებიდგან.

„მათ მაღალს ბრწყინვალებას უ˜ს უ˜ს ბატონს პატრი იოსებს ჩვენს მოწყალე უფროსს.

„მათ ღირსს და ნათელ მოსვილ მარჯვენას თავ დაკვრით ვეამბორებით და მაღალსა კეთილად სუფევას მარადის ღმერთსა ვსთხოვ და შ˜დ ამისა საცნაურ ვყოფთ მათი ღირსების წინაშე, რომ როდესაც უ˜თ ბარონ როზინი მობრძანდა აქა (ვ˜ა თქვენთან აღმეთქვა), ერთი ვედრების არზა მივართვი რათა ჩემთვის მოეცა კმაყოფილება რომ ჩემს სახლში წავსულვიყავი, მაგრამ ვერა რაჲ პასუხი ვერ მივიღეთ, არცა მე და არცა სხვათა, თუ არ ესე რომ მანდედგან უნდა ეპასუხებინა ყოველთათვის. მაგრამ ფ˜დ შეაყოვნა არზების პასუხმან და ამისთვის დარჩენილი ესრედ სხვის კარათ, და აგერ ზამთარმაც კარი აგვართვა, და ამისთვის ვთხოვ რომ თქვენ იშრომოთ და ეს ჩემი საქმე აწარმოოთ. მართლად დიდათ ვკვირვობ თქვენის პატიოსნებისაგან რომ აგერ ახლოს ერთი წლისა იქმნა რომ მე ასრე სხვის კართა დავრჩი, და თქვენ სრულიად არაფერი იზრუნეთ ჩემთვის, მე ეს საქმე გარდამხდა სარწმუნოებისა, და ერთი სულის დახსნისათვის, და ესრედ მოწყვეტილი ვიტანჯები. და თქვენ ამ ჩვენს წყლულს არაფერი წამალი არ მიეცით, და თუ (ღ˜თნ ნუ ინებოს) ერთი უსჯულოებსათვის გარდამხედოდა. მაშინ სულაც რას მიზემდით. ეს საქმე თქვენი ვალი არის, რომ მამა და უფროსი ბრძანდებით, და ამისთვის ვითხოვ რომ ანუ თქვენით და ანუ სხვის საშუალით ეს ჩემი საქმე წინ-წაიყვანოთ. ხომ მოგეხსენება რომ მე სხვაგან წასვლა აღარ შემიძლია, თუ ჭირისა და თუ მოხუცებულობის გამო, და თან რომ თექვსმეტი სული ხიზანი მე შემომცქერია, და ასრე სახლი მიფუჭდება, და ამისთვის მორჩილობით გთხოვ რომ დაუყონებლად ეს ჩემი საქმე აწარმოვოთ, და თუ თქვენ არ ინებებთ, მე მიბრძანებთ, და მე გეახლები, და თქვენ თავს არ შეგაწყენ. მანდ ჩვენი ხიზავავრელები სოლოლაკზედ არიან და მათთან გეახლები, და ჩემს საქმეს მე ვეცდები. მაინც რომ მანდ თონეთსაც საჭირო საქმე მაქვს, და ამისათვის ვითხოვ, რომ ნება მომცე, რათა მე თვით გეახლო, და არ დამიშალო მანდ ჩემი ხლება, რომ სხვა საჭირო საქმეცა მაქვს, და ვითხოვ რომ ეს ჩემი სათხოვარი შეისმინოთ და უგულებელს არა ჰყოთ, ღ˜თის სადიდებლად გაისარჯეთ, და კიდევაც დავაბოლოებ ამ ჩვენს სათხოვარსა, და თქვენი, თავის წყენასა, დავედრებული თქვენს წ˜ა ლოცვაზედ, ვითხოვ თქვენს შვილობასა: და ამასაც ვთხოვ რომ ამავე მომავალს ფოშტაში გვაცნობოთ რაიმე:

„მათი ღირსების წინაშე რ˜ლ დავშთები უღირსი ტერ-ანტონ გოდებაძე ხუციანოვი მოგახსენებ:

„დაიწერა 1836. ნოემბრის 12-ს“.

„ათას რვაას ოცსა წელსა სეპთემბრის ათსა დღესა მე ქვემო ხელის მომწერი გაძლევ ამ წერილსა, ქუთაისის კათოლიკის ეკკლესიის მოძღვარს პატრი იოსებს, ასე რომ ჩვენ საყდრის წინ ადგილი გვქონდა, და რადგან მამის ჩვენისაგან ანდერძი იყო რომ საყდრისათვის უნდა მიგვეცა, და შ˜დ ჩვენმა უფროსმა ძმამ გიორგიმაც შესწირა. და ახლა ისევ თვითონ დაიკავა, და რადგან შეწირული იყო. მე ჩემი წილი სრულიად ეკკლესიისათვის შემიწირავს, ეს ხსენებული ადგილი, რომელზედაც ხელს ვაწერ გრიგორ აკოფაშვილი“.

ეს წერილი რუსის მთავრობისაგან შემოწმებულია 15 მარტს, 1823, № 2855, და მდივანბეგ თავად დავით ჩხეიძეს ხელი უწერია თავის ბეჭდით.

„1839-სა წელსა იულისის 14-ნა დღესა ახალციხის ერის ვედრებისათვის პატივდებულ მთავარ უფროსმან პატრი ფრანჩისკემ მიწერილობითა თვისითა, სთხოვა წმიდა ფროფაქანდე კრების მიერ გრიგოლ მეთექვსმეტე წმიდა პაპისაგან, ახსნა ყ˜ლი შეჩვენებისაგან; რომელსა შინა იმყოფებოდნენ ახალციხის ქალაქის მცხოვრებნი:

„კარდინალი წმიდა ფროფაქანდის კრების უფროსმა აცნობა პატიოსანი მოწერილობითა თვისითა ოქტომბერს 31-სა 1839-სა წელსა, 1, ხსენებული მთავარ უფროსი პატრი ფრანჩისკეს ყ˜დ წმიდა პაპმან გრიგოლ მეთექვსმეტემ მიანიჭა ახალციხის საზოგადო მღვდელთა თუ ერთა, არა მხ˜დ ახსნა შეჩვენებისაგან 2, არამედ თავისი წმიდა კურთხევა.— 3, შენდობა.—4, ყ˜დ წმიდა სავარდის ძმობის განწესება (ამ პირობით რომ დღეის შ˜დ ერის კაცნი თუ დედაკაცნი არ გაერიონ მღვდლების სასულიერო საქმეში).

„ამისთვის ჩვენ სახელდობ ახალციხის მოქალაქე წინა კაცნი ხელს ვაწერთ, რათა რომ ღირსი შევიქმნათ ზემო მოხსენებული საღმთო წყალობის მიღებისა.—პირობას ვსდებთ ამის შ˜დ არა დროს შევიძლოთ სასულიერო საქმესა შინა გარევა: უკეთუ საჭიროებამ მოითხოვოს, ვ˜დ ერთ გვარს ვისმეს საჩივარი ჰქონდეს მღვდელზედ პ˜დ შეიძლება სულიერ უმფროსთან საჩივარი და უკეთუ ახალციხის უმფროსმან ვერა რაჲი განაგოს იმ საჩივარზედ, შეიძლება საქართველოს კათოლიკეთ მთავარს უმფროსთან ცნობა; და ამისთვი ჩვენს საკუთარ ხელს ვაწერთ და უკეთუ ეს მცნებაჲ გავტეხოთ მაშინ მოვალენი ვიქმნებით ღ˜თის წინაშე და საკანუნოს გადახდის ღირსი ვიქმნებით.

„14 ივლისის იოსებ ხოჯოვანოვი, 14 ივლისის გრიგოლ ნეფისოვი. — 14 ივლისის პოლოს ნეფისოვი.—პეტრე მეფისოვი.—პავლე ხეჩინოვი.—პეტრე ხოჯოვანოვი.—ანტონ ბარალუსოვი.—სიმონ ნეფისოვი.—ლუკა ქურქჩიბაშოვი.—სტეფან არლელოვი.—ანტონ ქაჩხონოვი.—კონო კითანოვი.—თომა ხანუმოვი.—პეტრე ქაჩხოვი.—პეტრე აბინოვი.—სტეფან მექამოვი.—მელქონ ხოჯოვანოვი. სტეფან იზმიროვი.—მე სტეფან ჩახალოვი.—ბატია მურვანოვი.—პეტრე ბერიძის მაგიერად ხელს ვაწერ რადგან იმან წერვა არ იცოდა ბატია მურვანოვი.—ჯოვანე ვარძელოვი.—კონო გალუსტოვი“.

„მის მაღალ ღირსებას მოწყალე სულიერ მამას უ˜ს პატრი უმფროსს.

„პ˜დ ხელს ამბორს მოგიძღვნი და ღ˜თის მიერ ვითხოვ თქვენს მშვიდობასა რ˜ ბძანდებოდეთ უკლებლად. გარდა ამისა ახლა ცხონებული პატრი თომას. პ˜დ სახლი და მისი ნივთეულობა ასრე არის მოუვლელად, მეორედ მისი სოფლის მოსავალსა ძველსა და ახალსა. ასე იქმნება რომ თქვენ არ პატრონობთ. რადგანაც თქვენ არ პატრონობთ, ანუ ვინმე ვექილი გახადეთ კანონიერი ვექილობითა, და მან უპატრონოს, თვარა სულ გაოხრდა. ახლა ჩვენ ვაყენებდით რომ აგერ პატრი მოვა და ის ჩაგაბრის ახლა. რადგანაც შეიტყეს არ მოდისო, ძალას იტანებიან, რომ ჩაგვაბარეო და ჩვენ იმისთანა საქმით შევაყენეთ რომ ვირამდისინ ერთი წერილი წავიდეს და პასუხი მოგვივიდეს ამტენ ხანამდისინ მოვაცდევინეთ, და ახლა დროზედ თუ არ უპატრონეთ იცოდეთ რომ წავა თქვენგნითა ჩვენ არაფერი დაგვაბრალოთ, უ˜ლ.

„თქვენი მაღალი ღირსების პატივისმცემელი, სტეფან იზმირელი.

„მარტის 23 ღღესა„ 1839. ახალციხით„

„ყ˜დ უსამღვდელოესობავ იმერეთის და გურიის გამგეს ეპისკოპოსს სოფრონიოს.

„ქუთაისის კათოლიკე ეკკლესიის გამგის მღვდელ-მონაზონის მისიონერის პატრი ქერუბინა სარაველცელისაგან.

„უპატივცემულეს მოწერილობასა ზ˜ა თქუენსა მაღალ ყ˜დ უსამღვდელოესებასა, 10-სა აპრილსა ნომერის ქუეშე 413.

„მაქვს პასუხის გებად ხ˜ ა) პ-დ, ახალი ეკკლესია დაწყებულ არს მაღლისა ღირსის ხოლო აწ გარდაცვალებულისა პატრი მთავარ უმფროსისა ფილიპესგან წელსა შინა ათას რვას ოცდა ექვსსა:—სიღრმე საძირკვლისა როგორათაც დამარწმუნეს ზოგთა კათოლიკეთაგან ერთს საჟენს გარდასცილდება.—შიგნეულად სიგრძე კარიდგან მოკიდებული ხორნია-

ნათ არის ოცდა თორმეტი არშინი, შუაშიდ ტრაპეზიდგან მოკიდებული სამწირველოიანათ და სხვა აქვს სიგრძისა ოცდა თექვსმეტი არშინი.—სიგრძე მრევლისათვის ცარიელი არის ოცდა ოთხი არშინი.—სიგანე თანასწორეთ შიგნით არის ოცი არშინი.—წინა პირის კედლის სიგანე არის ორი არშინი და ხუთი ვერშოკი—სიგანე გვერდის კედლისა არის ერთი არშინი და ათი ვერშოკი—ზემოხსენებული ეკკლესიის შენობა დაყენდა მის მიზეზით რომელ დაწყობა მისი იყო სურვილითა მრევლთასა, რომელნი მზა იყვნენ შეწევნად თვისის ქონებისაგან, გარნა რადგან შ҃დ ჟამში მდგომარეობა მრავალთა მათგანთა შეუარდა სიღარიბესა, ამისგამო მიერ არა შემძლებელ იქმნა რათა ეკკლესია იგი მოეყვანათ სისრულეში. ხოლო თვით ეკლესიას არავითარი ღონისძიება არ აქვნდა რათა სისრულე მიეცა: **ბ-დ**—ქუთაისსა შინა მოსახლედ მცხოვრებნი მდგომარენი კათოლიკენი არიან ორმოცდა თუთხმეტი. **ზ-დ**—სიგრძე მრთლივ შიგნეული ძველის ეკკლესიისა არის ცხრამეტი არშინი—სიგრძე ცარიელი მრევლისათვის არის თოთხმეტი არშინი და ორი ვერშოკი—სიგანე ამისივე არის თვრამეტი არშინი და შვიდი ვერშოკი—**დ-დ**. ქუთაისის კათოლიკეთ ეკკლესიას ყვანან ყმანი მოსახლენი ათი—ხის დუქანი ერთი—ყმებისაგან იღებს შემოსავალსა ბეგარისასა ღვინისასა ოთხას ოთხმოც ჩაფსა—კაკალ პურისასა ასოც ბათმანსა—ქათმისასა ოცსა—ხოლო თვითეულსა მოსახლესა მათგანს გლეხთასა მართებს მუშაობა სადრისათვის ოცდა თორმეტი დღე ყოველს წელიწადში—დუქნისაგან ახლა იღებს წლიურს ქირასა ორმოცდა ათ მანეთს ვეცხლისასა. შემოსავალი ესე განწესებული აქვსთ საზრდოდ ქუთაისის ეკლესიაზე მდგომარეთა პატრებთა: სხვა შემოსავალი ეკლესიას არა აქვს რა. № 13 ჭეშმარიტის პატივისცემით დავშთები თქვენი მაღალს ყ҃დ უსამღვდლეობისა.

„წელსა 1840. აპრილისა 30-სა. ქუთაისით".

„**ჩყმა**-ს წელსა იანვრის **კზ**-ს დღესა, ესე წერილი მოგეცი მე ქვემო ამისმა ხელის მომწერელმა იაკოფმა ფარემუზის შვილმა შენ გორის კათოლიკე ეკლესსის უფროს პატრი დამიანეს ამისათვის, რომ რომელთაცა ეკლესიის ალაგზე სახლები მქონდა აღშენებული და შიგ ვიდექიმე იმ ჩემი სახლების შენობის მასალა, ჩემის კეთილის ნებით შენ მოგყიდე სრულობით და ალაგი დაუტევე ისევ ეკლესიასა, და მივიღე შენგან ფასი სრულობით ექვსი თუმანი ვერცხლის ფული რომ შენზე აღარ არის რა დარჩენილი ამისთვის ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ—მე იაკობ ფარემუზოვი. ამ წერილის მოწმობას ვაწერ იაკოფა ფარემუზისშვილის თხოვნითა ანდრია ზუბალოვი. ამ წერილის მოწამე ვარ იაკობ ფარემოზოვის თხოვნით მე იოსებ საკოვი".

„წელსა 1842 თებერვლის პირველსა დღესა, ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი ქუთაისის მცხოვრებნი ანტონ კნიაზი, და მისი მეუღლე, თერეზინა თოქმაჯიანთ ქალი ამ წერილს გაძლევთ თქვენ ქუთაისის კათოლიკეთ დეკანოზს პატრი ბერნდარდეს, მას შინა რომელ, თქვენ ინებეთ რა მოწყალებით დადგმა ჩვენი სახლისა ეკლესიის ადგილში იოსებ დავითოვის გვერდზე, ამისთვის ჩვენ პირობას გაძლევთ რომ თქვენმა შემდეგმა დეკანოზმა პატრმა უკეთუ აღარ ინებოს ჩვენი სახლის იმ ადგილში დგომა მაშინ ყოვლის უმიზეზოთ ავიღოთ ჩვენი სახლი დავტოოთ ცარიელი ადგილი. და ამ პირობითა რომელ უკეთუ თქვენ ხელში ანუ თქვენი შემდეგის ხელში აქ იდგეს სახლი, და მოვკვდებით მაშინ სახლიც საღდარს დარჩეს რომ მოდავე და წინააღმდეგი არვინ გამოვა. რომელსა ზედაც ჩვენი საკუთრითა ხელს ვაწერთ. ანტონ კნიაზი“.

—

„თქვენო მაღალო ღირსებავ გორის კათოლიკეთა შემვლელო,
„უ̃ლო პატრი დამიანე.

„უ̃ლის მიერ მოვიკითხამ მაღალ ღირსებასა თქვენსა. და უვნებლად ბედნიერებასა, და კეთილს ცხოვრებასა შ̃ა დაცუასა ღუთის მიერ ვითხოვ. თუმცა პასუხი წერილისა თქუენისა რ̃ლიც ჩემთვის გებრძანათ ამა წიგნში ძევს რადგან გიორგის დაავიწყდა. და შემდგომ მე მითხრა რომ ყოველივე პირათ მოვახსენეო. ამისთვის არღარ თავი გაწყინეთ, ხ̃ აწ მაქუს სხუა რაიმე მოსახსენებელი თქვენთან. მე უ̃ს პატრი ბონავენთურას ვსთხოვე რათა ეთხოა მთავარმართებლისგან ნება რათა ჩემი დიაკვანი გრანიცის გარეთ გასულიყო დასაკურთხავათ, და მანც სთხოვა, და მიიღო ბრძანებაც რათა თხოვნა მისი აღსრულებულიყო სწრაფად. რა შეიტყო ეს აქ შაჰყულიანმან სწრაფად დაიწყო ჩივილი და ბევრს ეცადა რათა ეს საქმე დაეშალა. ხ̃ ვერ შეაძლო. კ-დ მიერთმევინა არზა ამავე შაჰყულიანს მინისტრისათვის რომ უკეთუ პატრები არ გაიდევნებიან საქართველოისაგან არაოდეს მშვიდობა არ იქმნება, და მარადის შფოთი იქმნებაო. და ეს საქმე თვით ნაჩალნიკს დაეძახა პატრი სიმონაი. და მისთვის ეთქვა. და რადგან მე არ მაქუს იგოდენი ცნობა ახალი მობრძანებული პატრთ-მთავარი უმფროსისა. თქვენ გაუწყეთ, კ̃დ რომ ვსთხოვე მოწმობა ჩემი დიაკვნისათვის, და მას ებრძანა, რომ მე არა ვარ უმფროსი ახალციხისაო. თქვენც კარგად მოგეხსენებათ რომ ჩვენ მარადის დამოკიდებული ვყოფილვართ ტფილისზედა, და ეს როგორ შეიძლება, თქვენ მხოლოდ მიეცით მოწმობა, თვინიერ მთავარი უმფროსის მოწმობისა მარტო ჩემი მოწმობით როგორ მიიღებენ მარადის ჰქონიათ სხვა დიაკვნებს მთავარი უმფროსის მოწმობა და კ̃დ მე თუ ნება მომივა მაშინ კი მივცემო თქვენც უწყით რომ ვინც

ყოფილან ტფილისის მთავარი უმფროსნი ყოველთ ჰქონიათ ეს შეძლება, და მაგასაც აქვს რადგან ეგ არის აწ მთავარი უფროსი. ხ° მე ვერა რაი შევატყობინე რადგან ენა არ ვიცი ამისთვის გთხოვ რათა თქვენ მოიწადინოთ, და ჩაახვდინოთ იგი, და მერედ მეც გემსახურები.

„მომსურნე თქვენი მაღალი ღირსების ბედნიერებისა, მონა ქ̃ტესი ტერ-გრიგორ ნეფისოვი. მაისის 13-სა დღესა 1842-სა წელსა“.

„1842-ს აგვისტოს 2-ს მე ქვემორე ამის ხელის მომწერელი გარდაცვალებული სტეფანე დათაშვილის ქვრივი მარიამ ვაძლევ წერილსა ამას ქუთაისის რომის კათოლიკე ეკლესიას, მას შინა რომელ, პატრ მთავარ უმფროსის ნების მიცემით გმრდაცვალებული ქმარი ჩემი სტეფან დათაშვილი სცხოვრებდა რა ქუთაისის სამოსახლო ადგილზედ რომელი ადგილიც ეკუთვნის ქუთაისის კათოლიკეთ ეკკლესიას სუქა ავთანდილაშვილების შეწირულობით, რომელზედაც ქმარი ჩემი დათაშვილი იყო შეკრული 1817-სა ივლისის 5-ს თვისის ხელის წერილით. პატრ მთავარ უფროს ფილიპესთან რომ რაოდენს წელსაც იცხოვრებდა მის ადგილზედ ყოველს თვითეულს წელიწადს უნდა მიეცა ქირად ოც ოცი ყურუში, და ამა სამოსახლო ადგილზევე არის რა დატოვებული სიტყვიერი ანდერძი ჩემის ქმრის სტეფანე დათაშვილისაგან თავისის მოძღვრის პატრი ჩელესტინესადმი, და თვით მოძღვარი პატრი ჩელესტინე თავისი ხელის წერილით ამტკიცებს, რომელი წერილი ესე არის დღეს ამა ეკლესიის მონასტერში, ესე იგი, ვინაიდგან მისი სიღარიბის გამო თვისისა იმა დამტკიცებულს წერილში წარწერილი ქირად ოც ოცი ყურუში არ შეეძლო რომ ქუთაისის ეკკლესიისათვის გადაეხადა, ამისათვის სახლი მას ადგილში მდგომარე მისგან დატოვებული მისცა ეკლესიას ადგილის ქირაში, და დიდის ვედრებით შესთხოვა რომ მე მისი მეუღლეც ვიდრე ჩემს გარდაცვალებამდე ვიცხოვრო მის ადგილზედ, და ოდესაც გარდავიცვლები მაშინ ჩაბარდეს სახლი იგი ეკლესიას სრულ მფლობელობაში; ამისათვის კერძოთ ჩემსა განვაცხადებ მეცა სრულს თანახმობას რათა გარდაცვალების მერმედ ჩემისა დაშთეს სახლი იგი რომელსა შინაც დღეს მე ვცხოვრებ ამ ქუთაისის კათოლიკეთ ეკლესიასა ყოვლის პირის უცილებლად და უდაოთ, ვინაიდგან მე უმეტესის მოვალე ვარ ეკლესიისადმი მიცემის ადგილის ქირისათვის, მაგრამ სიღარიბის ჩემისა გამო ეკლესიამ მაპატივა, და ამისათვის სრულის გულის ტანჯვითა და სურვილითა წრფელითა სვინიდისისა ჩემისათა ხელს ვაწერ ქვემოთ ხელის მომწერ მოწმობით, სტეფან დათაშვილის ქვრივი მარიამ.

„სტეფან დათაშვილის ქვრივის მარიამის თხოვნით დავსწერე და ვმოწმობ ალექსანდრე ენდრონიკოვი.—მოწამე ვარ სიმონ ფირალოვი.—ზემო წერილის მოწამე ვარ სტეფან ფეიქაროვი.—ზემო წერილის მოწამე ვარ იოსებ ქაჩხუოვი“

—

„თქვენო მაღალო ღირსებავ,

„განცხრომებითა გულისა ჩემისა წარმოვაჩენ სიხარულს თქვენის მაღალის ღირსებად და მოგილოცავ მთავარ უფროსობას საქართველოსასა, რ˜ლიც მიგიღია პროპაგანდისაგან, და გეტყვი ამ სიტყვებსა, რაიც თქვესა ქ˜ტესა დაიქუხა, ანუ ანგელოზი ელაპარაკა. თუ არ ესე რაი არს. ჩვენ ნეფისათობას ნაღველით გვამწარებდნენ, თქვენი პატრი დამიანე მალე უნდა წავიდეს იტალიაშიდ, და აწ სვიმონ ბერისაებრ იხილეს თვალთა ჩვენთა ცხოვრება თქვენის ამაღლებისა, მაშ ამის გამო ვღაღადებ და ვამბობ უ˜ლნ ღ˜თნ უმეტეს ხარისხსა ზედა აღგამაღლოს ბედნიერებით, გასაბრწყინებლად წ˜ისა ეკლესიისა, და სიქადულად ჩვენდა; კ˜დ გთხოვ რომ ჩასწეროთ გორის ძმობაშიდ პეტრე მამიჯანიჩ თეროშოვი, რომელი არის მიცვალებული, და მიბრძანოთ განწესებისაებრ მაგ ადგილისა რამდენი მანეთიც ესაჭიროების, რომ გაახლო, რადგან აქაური ძმობამ ცუდად გაიარა, და არ შეიწყნარა შავგულმა *), პატრები აქ ვერაფერშიდ გაერევიანო ძმობის წიგნმაც გაიარა, და თქვენმა სასჯელმაც. ხოლო აწ აკურთხვინა ის ხუთი დიაკვანნი თქვენგან ცნობილნი უღირსნი, და უკანუნონი, რომელი ერთი მათგანი ახლა არს 22 წლისა უდასტუროთ პაპისა, რომელს სრულიად პირზეც ბალანი არა აქვს ესენი მოვიდნენ აქ 21-ს უნვარისას, და რა ფორმით შემოიყვანა ქალაქშიდ ვიდრე ეკკლესიამდე, და ამავე თვის 31 შიდ იქადაგა, და დაამტკიცა ორი წმიდა ივანეს ეკკლესიაშით ბაროხებად, და ერთი წმიდა ჯვრისა, და მისცა დასტური აღსარების სმენისა, თავის სადიდებლად რათა მიიზიდონ ერი მისკენ, და ჰქადაგონ იგი, და არა იესო ქრისტე, რადგან თავისი მხარე მღვდელნი აღარ ჰგიებენ. თუმცა მივსწერე ილაროს ყოველი აქაური ვითარება, იგიც მწერს (მთავარ უმფროსის მომაგიერე, პ. ბონავენთურა, რომელი არის ტფილისშიდ მას ყოველი შეუძლიაო) ესე წიგნი წარვუდგინე მას თვით განიხილა. ამის შემდგომად მოსვლია წიგნი, პ. ბონავენთურას, შენ დაამშვიდე ახალციხე, რადგან მრავალი საჩივარი მივიღე ახალციხიდამა. და უკეთუ გენებოს შეგიძლია გამოცვლა შაჰყულიანისა უმფროსობისაგან ესე გვიამბა, პ. ემედიომ თვით მე წავიკითხე ილარის წიგნი. მაშ უკეთუ ძალგიცს რამე ჰყავს მეყსეულად.

---

*) შაჰყულიანს დაცინვით ხან შავგულიანს ეძახდნენ და ხან შავსულიანს.

„მოვიკითხამ. პ. მანველს საყვარელს შენსა და ჩემსას. იცხოვრე ჩვენ სიქადულად. ყოვლად უხმარი ტერ-გრიგორ მეფისოვი. 4-ს ფებერვალს 1843-ს. ახალციხეს“.

„მათ მაღალ ღირსებას.

„საქართველოს კათოლიკეთ სათემო უმფროს, ღირს ვიქარს მამას, სიმდაბლით მარჯვენას ამბორი, და სიყვარულით გიხაროდენი.

„შემდგომ ვითხოვ უფლისაგან თქვენს მრავალ ჟამიერ სიცოცხლესა ჩვენდა სიქადულათ, და მშვიდობის ჩამოსაგდებად მრთელს საქართველოსა შინა. რომელიც იმედიც მაქვს ღთისაგან და მერმედ თქვენგან, რომ სიბრძნით იმოქმედებთ მშვიდობის ჩამოგდებასა ახილციხესა შინა. მშვიდობისა მის ზეციერისა.

„აწ მამავო მივიღე წერილი პატრი ბონავენთურასაგან, და მასთან თარგმანი წერილისა მის მოვლინებულისა თქვენდა არქიეპისკოპოზისა ჩვენისაგან უფლისა ულიანესი, მთავარ უფროსობისა ღირსებისა თქვენისა. წავიკითხე. ყურად ვიღე და განვიხარე დიდათ, რადგან თქვენ უფრო შეგშვენით უმფროსობა. ვირემც თუ სხვათა. რომელს ვთხოვ უფალსა მრავალ ჟამიერ ყოვლისათვის ჩვენდა გასასწორებლად; და აჰა ამ მოსასვლელ კვირა დღეს განვაცხადებ ეკლესიაში შემოკრებულს ერში თქვენს მთავარ უფროსობას, და რათა ილოცონ თქვენი დღეგრძელობისათვის;

„მამაო წმიდაო. ეს არის ვედრება ჩემი თქვენთან ვითარცა შვილისა მამასთან რომ არ იქმნას კიდევ მაშინდელებ პატრი უმფროსი ფრანჩისკეს ნაირათ ერთი შფოთი მოხდეს ახალციხესი. მაშ თქვენ თუ გნებავსთ რომ ახალციხე დამშვიდდეს, ჯერ ისევ ის პოლოს ვართაპეტის შაჰყულისთვის უმფროსობა დაამტკიცე ჟამიერათ, რომ ყველამ სცნოს თქვენი მთავარ უმფროსობა. დავალებითა ყოველთა განურჩევლად რომ მისი მორჩილნი იყვნენ, მღვდელნი თუ ერნი. რომ ამითი ერთი გახდნენ, და მერმე როგორც თქვენი სიბრძნე გასჭრის იმ ფერად მოახდინე მამაო. ეს ჩემი ვედრება უარი არა ჰყო თუ თქვენი მოსვენება გულისა და ახალციხის მშვიდობა გნებავს. ამიტომ რომ უფრო მეტი წილი ეკლესიერთა, და ერის კაცთა მისაკენ მიზიდულნი არიან, და ამისთვის ხამს რომ მეცნიერნი უდიდეს წილს უნდა შეუდგნენ და მერმედ ხმის აღარავინ ამოიღებს თუ სხვა ნაირად იქმნას საქმე; და რათა არავინ თქვას თუ ძველათ დანაშთ ჯავრი ახლა ამოიყარაო: ამ ვედრებას გწირამ ჯვრის წინაშე. მხოლოდ ამ ფიქრითა რომ უეჭოდ მშვიდობა ჩამოვარდება ახალციხეში. რომელს თუ ამ ფერად ინებებთ იმედი მაქვს რომ უეჭოდ მშვიდობა ჩამოვარდება ახალციხეში. და ესრედ კიდევ თქვენ

უნდა იტვირთოთ ნაღვლი მშვიდობისა. თვარამ ახალციხელებს არც ერთ კერძოს არა ჰნებავსთ მშვიდობა, არამედ ერთმანერთის დაძლევა და დამცირება:

„ხოლო რადგან დღეს ჩვენი მთავარი უმფროსი ბრძანდებით, უნდა მოგახსენო ჩემი გულის პასუხი. ასრე რომ მივიღე წერილი ჩვენი მთავარ ეპისკოპოსისაგან უფალო ულიანესი. წელსა. 1843. უნისის 20-სა, აღწერილი სტამბოლსა წელსა 1843, მაისის 17-სა. იტალიანურის ენით მოწერილი ჩემთან, რომელიც ვათარგმნინე პატრი ბონავენთურს. სადაც მწერს რომ შენი უმფროსი და მაგ ახალციხის ეგ შაჰყილიანი არის; ვალი გაქვს რომ მაგას დაემორჩილო და არაფერი ეჭვი.გაქუნდეს მასზედ, რადგან მე დამიმტკიცებია მაგის უმფროსობა წერილების მოწერითა პატრი ფრანჩისკესაგან დაყენების შემდგომ, და რაც უწინ შეძლებანი ჰქონდა ახლაც აქვსო, და არაფერი ეჭვი ნუ გექნებაო, და ეს წერილი მრავალთ შეიტყეს. ამ თიბათვის 5-სა და ერთ პირად თქვეს ახალციხეს თუ აჰა ახლაც არ დაიჯერებთ რომ უფროსი არ არის შაჰყულიანიო, და მეც თქვენი უმფროსობის წერილის ნახვის უწინარეს მივწერე მორჩილობის წერილი, რომ თუ აქამომდე ეჭვით ვიყავი. ახლა ყოველივე ეჭვი გამოვიდა ჩემგან, და მრწამს რომ უფროსი ბრძანდები ეპისკოპოსის ბრძანებითა მეთქი (რომელზე აქომამდე ეჭვიანათ ვიყავი) და ესეც ამისთვის მოგწერე რომ თქვენ უფრო კარგად განარჩევთ თუ როგორ იქმნება მისი ბოლო. რომელ როგორც სული წმიდა გაგონებსთ იმფერათ ჰყავით მამაო;

„და თუ სხვა უფროსის დადგინება ინებე ახალციხეზე, ისევ თქვენი პატრებისგანნი დაადგინე უფროსად, და არა ჩვენი მღვდელთაგანი. რადგან არ დასცხრება შფოთი;

„თქვენ ულირსი მღვდელი ტერ იოსებ ხუციანოვი უდის სოფლის ბაროხი. უდეს. წელსა 1843, ულისის 8-სა“.

„თქვენო ღირსებავ ტერ

„საუფლო გიხაროდენი და მშვიდობა.

„თუმცა ტერ იოსებ ხუციანოვმა მიიღო წიგნი ილარიოს ეპისკოპოსისაგან სტამბოლისა, რომელში აცხადებდა ტერ პოღოს შაჰყულოვის უმფროსობას. ჭეშმარიტი არის, ეგრეთვე მეც დასაბამით ჩემი აქ მოსვლისა ვაცნობებდი ყოველთა მღვდელთა რომ შაჰყულოვი არის სწორეთ უმფროსი ახალციხის პროვინციისა დამტკიცებული არხიეპისკოპოზისაგან. გარნა ჩვენი პატრი ფრანჩისკე მთავარ უმფროსის საქმის შესრულებამდინ, ვიქმენ აღნიშნული იმავე ეპისკოპოზისაგან ზედამხედვლად მრთელი პროვინციისა. მისი სხვა და სხვა წიგნების ჩემდამო მო-

წერითა, და უმეტეს იყვნენ შეძლებანი ჩემნი შეძლებათა ზ̃ა ტერ
პოლოს შაჰყულოვისა. ვითარცა ცხადი არს წიგნებისაგან რომელი მი-
მიღიეს ზემო ხსენებული არქიერისაგან, და შეძლებითა მით მე შევი-
წყნარე ტერ ივანე მამულოვი მართალი და მძიმე მიზეზისათვის რომ-
ლის შეწყნარება ძალ მედვა ძალითა იმავე სასულიერო სამართლისაგან
დამტკიცებულისა. რომლისათვის აჩივლეს ჩემ ზედა მთავარ უფროსთან
და არქიერთან, და ჩივილი მათი იქმნა მათთვის უნაყოფო რადგან ჩი-
ვოდნენ უკანუნოდ, და შემდგომად შეიტყო რა ეპისქოპოზმან რომ პ.
ფრანჩისკეს ყოველი საქმე არის შესრულებული. დამნიშნა მის ადგილს
მთავარ უმფროსად პ. დამიანე ამ პროვინციისა, არა თუ ასახოცავად
თქვენი რიგისა (როგორც ლაპარაკობენ მზაკვრობითა და მოტყულები-
თა ა̃დ დასამტკიცებლად თქვენ შორის მშვიდობისა და შერიგე-
ბისა რომ მოყრუებულნი ღვთის ხმისა მიმართ და გულის ტანჯვათა
თქვენთა განეშოროთ მისი უფროსობისაგან, რომელი დამტკიცებული
არის არა მხოლოდ ილარიოს ეპისკოპოსისაგან, არამედ ქონჩისტორისა-
განაც; და ჟ. ზემოხსენებულს პ. დამიანეს აწ გარდაუყენებია ტერ პო-
ლოს შაჰყულოვი უმფროსობისაგან მრავალი და მძიმე მიზეზების გამო,
რომელს უხმარია სამუდამო მტრობა, და ეკლესიის კანონის წინააღმდე-
გად უჩივლია საქვეყნო სასამართლოსა შინა გუბერნიისა, და განხილვი-
თა სულიერ ზიანისა, რომელი მოტყუებით აძლევს მიზეზსა მღვდელთა
და ერთა შეჩვენებასა შინა შთავარდნისასა, მსგავსად 1826-სა როდის
მასთან შთავარდნენ შეჩვენებაში მრავალნი მღვდელნი თუ ერნი, და
ახლაც იმავე სახით იქცევა და არ წყნარულობს პ. დამიანეს მთავარ
უმფროსობასა, რომელი არქიერმან დანიშნა მას ზედა. და ნაცვლად მი-
სი შეწყნარებისა მოატყუებს უმანკო გვამთა თქმითა თუ მე დამტკიცე-
ბული ვარ წმიდა კრებისაგან უმფროსათაო. მაგრამ მერწმუნეთ მე რომ
ეგ ტყუილი არის, რადგან მე მინახამს ჩემის თვალებით იგი წიგნი რო-
მელსა შინა სწერია არა თუ დამტკიცება მისი უმფროსობისა, ა̃დ
შეძლება თავისი სამღვდლოების გასაგზავნებლად და საკურთხებლად
მღვდლად იმ ლათინურ ეპისკოზთან სადაც უნდა. ხოლო ჟ იმგვარი
წიგნი დაამტკიცებს მის უფროსობას. აბა ჩემი წიგნიც რომელი მომი-
ვიდა წმიდა მამისაგან 16 გრიგოლისაგან შარშანწინ სახელითა მთავარ
უმფროსის მოადგილისა, რომელში მეძლევდა შეძლებას დასაგვირგვი-
ნებლად ერთი კათოლიკისა რუსის ქალთანა, მაშ აბა მეც შემიძლია
თქმა ჩემი მთავარ უმფროსობის მოადგილობა არის დამტკიცებული წმი-
და მამისაგან. ამისთვის წმიდა კრებას არა ჰქონდა შეძლება აღებად ჩე-
მი მოადგილობისა. მაგრამ მე გეტყვი თქვენ რომ ეს არის შეცთომი-
ლობა. არც ტერ პოლოს და არც მე შეგვიძლია თქმა რომა ჩვენი უმ-

ფროსობა აუღებელი არიან. მაშ თუ ესრედ არის. ნუ იქმნებით სმენელნი მატყუვრობისა რომლის საშუალითს ცდილობენ შაჰყულოვი და შემდეგნი მისნი გაოხრებასა თქვენსა სულიერად და ხორციელად. ადვილად უსმინეთ ჭეშმარიტების ხმასა და აცნობეთ წერილითა თქვენითა პ. დამიანეს მთავარ უფროსსა თქვენი მორჩილი და წრფელი ქვემდებარეობა, განსაშორებლად თავისა თქვენისა უბედურობისაგან ტერ პოლოს შაჰყულოვის შემდეთა, რომელნიცა გამოძიებისამებრ შთავარდებიან სამართალსა შინა გუბერნიისასა; გარდა ამისა საუწყებელ იყოს ღირსებისა თქვენისა, რომ ხსენებული პ. უმფროსი მიბრძანებს გამოცხადებათ ყოველს ეკლესიებსა შანა თუ ახალციხის და სოფლებისა ტერ პოლოს შაჰყულოვის უმფროსობისაგან გადაყენებისა, ამისათვის გაახელით ეს წიგნი. რ˝ა კვირა დღეს ტრაპეზიდგან აღმოიკითხოთ წინაშე ერთა“.

ამ ცირკულიარს არც თარიღი და არც დამწერი სახელი აქვს, მაგრამ ჩვენ ვიცით სხვა წყაროებიდგან, რომ 1843 წ. პატრი ბონავანთურამ მისწერა ყველა მღვდლებს სომხური ტიბიკონისას.

—

„სტამბოლიდამ 1843-სა, აპრილის 6 სა.

„უპატიოსნესო მამაო.

„ორი პატრები წინაპარნი თქვენი მამებრივი პატიოსნებისა უფლობასა ზედა სამოციქულო მთავარ უმფროსის საქართველოს მისიონის ადგილისა, ჩემი მაშინდელი ვედრებითა მომცეს ეს სიკეთე ყურის გდებად თავიანთის უმფროსობის დროზედ ეკლესიებსა ზედა ახალციხის პროვინციისა. ამისთვის მე იმედი მაქვს სიმხურვალისაგან თქვენი მამებრივი ღირსებისა, რომ თქვენც ეგრეთვე ყურს უგდებთ, და ეცდებით განსაშორებლად და გასასწორებლად ურიგობათა რომელნი ახლაც არიან, და დასამტკიცებლად მანდ წარმოებათა კათოლიკე სარწმუნოებისა, ამისათვის გევედრმი თქვენ რათა მოიხმაროთ ისევ ის შეძლებანი, რომლებსაც თქვენ მოიხმართ სამოციქულო უმფროსობასა ზედა, და უკეთუ ეჭირება, რომ თქვენ დანიშნოთ ახალციხის პროვინციისა ზედა სხვა ვინმე უმფროსად ვინც უნდა იყოს, მაშინ თვით ახალმან აღმორჩეულმან უნდა შეატყობინოს სამოციქულო ვიქარსა, გ˝ა ეპისკოპოზსა სტამბოლისასა მისაღებლად თავის უფროსობის დამტკიცებისა, მაგრამ მაინც იმ აღმორჩეულს უმფროსსა ვაძლევ ნებას ყოველი შეძლების აღსრულებისასა რაიც ეკუთვნის, რომელსაც მე ვაძლევ თქვენს ღირსებსა იმისთვის მისაცემლად უწინარეს თავისი პასუხის მიღების დამტკიცებისა სტამბოლიდამ:

„ყოველს დროსა შინა, რომ თუ მღვდელნი თუ ერნი იჩივლებენ ჩემთანა (მაინც ესე მუდამ გამოდის თითქმის შუროსაგან), ანუ თვინიერ

მართალი მიზეზისა) მე შევასრულებ თქვენი მამებრივი ღირსების მიერ, რადგან თქვენ დიდ ხანს გიცხოვრიათ მანდ და კარგად სცნობთ ხასიათს მანდაურ მცხოვრებელთასა. ამისთვის იე მაქვს დიდი იმედი; რამეთუ თქვენ შეგიძლიათ ყოველთა მშვიდობის დანერგვა მტკიცე შერიგებისა და მშვიდობისა:

„ფრიად პატივცემულს მამისა პ. დამიანეს ვიარეჯიელსა მთავარ უფროს საქართველოსა შინა.

„ყოველი პატივით დავშთები თქვენი მამებრივი ღირსებისა, უმდაბლესი მონა იულიანე. მ. ილარიოს, პეტრას არქიეპასკოპოზი, და პატრიარქის მოადგილე სტამბოლისა: [ბეჭედი].

„თქვენი ძმა ქრისტეს მიერ პ. ბონავენთურა.

—

„1843, ფებერვალს 23-სა ახალციხეს:

„თქვენო მაღალ ღირსებავო უფალო მამაო დამიანე უხვი გიხაროდენის შემდგომ თქვენს წმიდა მარჯვენას ვეამბორები:

„პირველ მომილოცავს ბედნიერება თქვენი მთავარ უმფროსობისა, და უფალსა ვსთხოვ თქვენს სიცოცხლესა ჩვენდა სიქადულად. ჭეშმარიტად ოდეს მესმა ეს ამბავი მთავარ უმფროსობისა თქვენისა დიდი სიხარული მემიზეზა სულის ცხონებისა გამო, და ვსასოებ ღვთისა რომე შეწევნითა მისითა კიდევაც აღასრულებთ ვალსა თქვენსა:

„მეორედ ვუწყი თქვენს მამებრივს სიყვარულსა, რომე იძიებთ ჩვენს ამბავსა. მოწყალებითა ღვთისათა, და თქვენს წმიდა ლოცვითა ვარ ცოცხალი არამედ უდიდესათ აღშფოთებული მიზეზით შაჰყულოვ ვართაპეტისა და მისი ურიგო საქმების მოქმედებისა. ხოლო ვითარ ძალმიძს აქა თვითო თვითოდ აღწერად რაიც იმოქმედა ჩემზედ თავისი უკანუნო საქმენი თუ გავლილად და თუ ახლა, არამედ რათა არა შეგაწუხო აწლანდელს მოქმედუბულს შავგულისას აღვწერ თქვენდა საუწყებლად:

„მესამედ რადგან ინება შავგულიანმა ძველი მღვდლების ქალაქში ჩამოყვინა, და ახლებისა სოფლებში დარიგება, და არც ერთაგანმა ინება შთამოსვლა ქალაქში: იფიქრა რათა ესე ნება თავისი აღასრულოს მზაკვრობითა, ასრე რომ რადგან ჩემს სამწყსო არლის სოფელში (რომელშიც თქვენ ერთ გზის ამობძანდით ჩემთან) აქვს თადეოზ ნაზაროვს მეცხრედი ნაწილი და რომ შაჰყულოვისა თათოი არის ერთგული მეგობარი მისის შემწეობითა ამიბუნტა სოფელი, და შთამოაგდო ერთა შორის განხეთქილობა რომელნიც განიყვნენ ორად, უმრავლეს კერძოთ უნდათ ჩემი მუნ ყოფნა, და მცირეთა ცოლიანი მღვდლის წაყვანა, და თითქმის ერთს კვირეს იამობდნენ ერთი ერთთანა, და რომელნიც იყვნენ ჩემი კერძონი იძახდნენ ჩვენ არ ძალგვიძს ცოლიანი მღვდლის

შენახვა, და საშიშარის ფიცით ამბობდნენ, ჩვენ არ შევალთ მის წირვაზედ, არც ვიტყვით მასთან აღსარებასა, რადგან კარგად ვიცნობთ იმასა, რომელიც შვილი არის ჩვენი სოფლისა და არის პირუტყვთა შორის აღზრდილი. და სრულიად არ იპოება მასში მოქალაქობა, და ვითარ ძალუძს მას ჩვენი შევლაო:

„ოდეს ვსცანი საქმენი რომ ამათ შემაგულიანებელნი არიან. შავგულიანი და თათო ვიფიქრე ჩემათ რომე არა რაი საყოფი გამოვალს გარდა ცოდვისა, მოუწოდე ჩემს მდომელს ერსა და უთხარი უკეთუ ხართ ღთისა და ეკლესიის შვილნი დასცხერით ამ გვარი საქმისაგან, თავი დაანებეთ, გასტეხეთ თქვენი ნება, და რაიც ერჩიოსთ იგი ჰქმნან. ოღომც ჩამოვარდეს თქვენს შორის მშვიდობა და მე არა მსურს აქ დგომა აწვე წავალ თქვა:

„მითხრეს ნუ თუ შენი წასვლით იქმნება მშვიდობა არა არა, არამედ უდიდესი შფოთი და ომი, რადგან ჩვენ არ გვინდა იგიო და ბოლოს ძალნებრივ და ვედრებით დავიმორჩილე, და გეახელი ქალაქში, არა მხოლოდ მე გარდამახდევინა ეს საქმენი, არამედცა სხვა სოფლებთა შორისაც აგდებს შფოთსა, და განხეთქილებასა, ამიტომ რომ ნებითა თავისითა ვერ შეიძლო მათი ჩამოყვანა, და ამ ნაირი საქმებით ცდილობს:

„აწ მამაო ესე ყოველი გაუწყე, და მოველი თქვენი მაღალი ღირსებისაგან დარიგებასა და გზის ჩვენებასა, რაისაც მიბრძანებთ, მზათ ვარ ნებიერათ აღსრულებისა ბრძანებისა თქვენისა. ესეც მოგეხსენებოდესთ რომე პატრი ბენედიქტე წყნარულობდა ჩემს წიგნებსა მის მიმართ მიწერილსა, და არ წყნარულობდა ჩვენზედ უფროსობასა და ვიყავით სუთაურად. ხოლო აქ გვაქვს იმედი თქვენგან პატრონობისა, რომელმან დააწყნაროს ანღრეულობა, და გული ჩვენი, რათა ვიპოებოდეთ მშვიდობასა შინა: კვალად, გთხოვ ვედრებითა დიდითა რომე უკეთუ იყოს შესაძლებელ გარდამარჩინო აქაურობიდგან, და მითხოვო მანდ თქვენთან მაინც იქამდინ, ვიდრე წამალი დაედვას ჩვენს სნეულებასა, და ვპოებდეთ მართალ მწყემსსა, თვარა იცოდეთ ვიღუპვი და მრავალნი სხვანიც, ამატომ რომ არას გზის არ დაემორჩილები ბრძანებასა შაჰყულოვისასა, და არც შევუდგები სხვათა საქმეთა ნებისა მისისა: აწ თქვენ უწყით მამაო.

„დავედრებული თქვენს წმიდა ლოცვასა ტერ ივანე მამულოვი“.

ეს შემდეგი წერილი წინათვე ნათარგმნია სომხურიდგან,

„პატრი დამიანეს მოწესეს: და წინამძღვარს ტფილისის და ახალციხისა და ყოველი მისი თემისა... ყოველი პატივით. ტფილისს.

„ფრიად პატივდებულს უფალს პ. დამიანეს, და წინამძღვარ ჩვენსას გიხაროდენი პატივისცემისა, და მორჩილობისა მიერთვას უ თს მიერ.

„მართლად შესაფერი და ჯერ იყო ჩემდა არა მხოლოდ მეგობრობისა, და სიკეთის დასწავლისათვის დამორჩილებად, და ქვემდებარეთ ყოფნად თქვენი სიწმიდის დიდებულობისა არამედ სიმართლისა, და სიმართლისათვისაც, და არა რაიმე კერძოზედ მარჯვნივ და მარცხნივ დაბრუნება ბრძანებისაგან თქვენი პატივცემული უმაღლესობისა რომელი მიეცა ღირსეულებასა თქვენსა უმწირვალეს და უწმინდესი პაპისაგან, და იეპისკოპოზისაგან სტამბოლისა. რ~ა არა ლაქუცებითი სხვათა სიტყვებმან, არამედ სულელობამან ჩემმან და ადვილად მოტყვილებულ ბუნებამან ჩემმან შემარყიეს მე წრფელი გზისაგან, ვინაიცა იმ ყოველს საქმეში თუ გარეულს სასამართლოში ჩივილის, და თუ ჩემი ხელის მოწერისა იმ წერილზედ მაქვს წილი, მაგრამ მრავალ გზისაცა ჯერეთ ჩემის თანხმობით ჩემს მაგიერ ხელი მოუწერიათ. ამისათვის ვწუხვარ დიდის შეცთლებისა ზედა ჩემსა გულის დაწვითა ჩემითა, და ვნანობ მართალი სინანულით. რამეთუ დავაშავე და ვცოდე პირდაპირად ეკკლესიის სჯულისა, და სჯულიერი უმაღლესობისა თქვენისა, და უფროსი ერთად მიცოდებია სიკეთისა თქვენისა პირდაპირ თქმულობისამებრ დავით წინასწარმეტყველისა. უკეთუ გაველახე მტერსა მართლად დავითმენდიო. მაშ დიდი არის დანაშაულობა ჩემი. რომ ვიდრე არავარ ღირსი მოტევებისა, არამედ შემოხიზნული თქვენს კეთილს მამობრივს მოწყალებასა ზედა, რომლის ჰაზრი არის მოტევება, ვითხოვ შეწყალებასა და მოტევებასა ყოვლის შეცთომილებასა ჩემითასა, რათა შევიწყნარო ღირსეულება თქვენი ვითარცა წინამძღვარი, და მხნე მწყემსი სულისა ჩვენისა, და ვიყო ქვემდებარე ყოველი ბრძანებისა თქვენისა, და მისი, რომელი სიწმიდისა თქვენისაგან არს დავალიანებული ჩვენზედა.

„უპატიოსნებასა თქვენსა მამობასა თქვენსა... ტერ-ოანეს იერემიანი.

„1 ოკტომბრისა 1843-სა, სხვილისს“.

—

„თქვენო მაღალო ღირსებავ მამაო დამიანე,

„მდაბლად თავის დაკვრით თქვენს წმიდა მარჯვენას ვეამბორები და თქვენს სიცოცხლეს ვისურვებ.

„წერილი თქვენი მივიღე, და რაიც მოეწერა მაღალსა ღირსებასა თქვენსა ყოველივე ვიუწყე, თუმცა გისმენიათ ვედრება ჩემი წარსასვლელად ოზურგეთში, არამედ ვერ გავბედე ვინაიცა არ გინებებიათ გრძლად დაყოვნება ჩემი ქუთაისში სიცხარისათვის ოზურგეთის ჰაერისა. ამისთვის დამინებებია თავი ამიტომ რომ უკეთუ მზგავსად ტერ პეტროს ალუშოვისა შემემთხვევის იგი სნეულობა (რომელს ჯერეთ კიდევაც მისდევს მისი პალურები) უმჯობეს არს ჩემდა აქ სიკვდილი ვირემც იქა: ხოლო უკეთუ ინებებს მაღალი ღირსება თქვენი, და არის ადგილი ლორში,

მე მნებამს წარსვლა, და თუ ლორში არ არის ადგილი, ინებეთ რათა წარვიდე იმ სოფელში რომელი არის ახლოს ალექსანდროპოლისა, რომელს სახელად ეძახიან შიშთაფა. რადგან მილაპარაკნია იმ სოფლის დიდროან კაცებთან, და იგინიც მწყნარულობენ სიხარულითა და პატივითა დიდითა; ამისთვის ჭეშმარიტსა მოგახსენებ რომ ვინც ამ საძაგელს ქალაქში დარჩების ძნელი არის მისი ცხონება და უმფროსი ერთად ამ გვარს დროებაში. თუმცა ჩემი სამამულო ქვეყნისაგან განშორებითა შეუძლებელი არის რომ არ გავსწიო საკანუნო, მაგრამ რადგან სული უმჯობეს არს ხორცზედა, უნდა ვიტვირთო მცირე საკანუნოცა: მაშ აბა იმედი მაქვს თქვენი მამებრივი მოწყალებისაგან რომ იქმნებით მსმენელი ამა მეორე ვედრებისაცა ჩემი, და მოლოდინებითა დიდითა მოუცდი თქვენს ნებასა: ტერ პეტროს ალუშოვი და ბატია გინა პეტრე მეფისოვი მომიკითხე ბატონო ჩემო:—დავშთები უმდაბლესი მონა ტერ ივანე მამულოვი:

„1844-სა მაისის 24-ს ახალციხეს“.

„თქვენო უსამღვდლოებავ.

„ფრიად პატივცემულო მამაო და მეტად სასურველო,

„მოგიკითხავ სიყვარულით სავსე გიხაროდენითა და თქვენს უვნე ცხოვრებას უმალ ხილვითურთ უფლისაგან ვითხოვ;

„ნეტარ თუ ზედ მიწევნით სცნობდეთ შეწუხებასა ჩვენსა და ეკკლესიის მოსარჩლე ერთა, რაიც შემდგომ წასვლისა თქვენისა გავსწიეთ, ვსწემთ, და უნდა გავსწიოთ ამა მძლავრი ეკკლესიის პირდაპირი და წინაალმდეგი გვამისაგან რომლისა დიაღ სცნობს უ˝ლება თქვენი მამაო თუ რა სახით გამტანჯველი არის ჩვენი თუ ერისა რუსთ კელემწიფესთან გაცემით და საქვეყნიერო უფლების ძალის მოხმარებითა გვატარებს აქეთ იქითა თუ ნაჩალიკთან, თუ გამომძიებელთან, თუ პოლიციაში რათა ნაირ ნაირის დაქადნებით კელი მოგვაწერინოს შეწყნარებად თავისი უკანუნო, უსჯულო, და ეკკლესიის გარეთ მიღებული უმფროსობისა, და როგორ შემიძლია სარწმუნოების პირდაპირი უმფროსობის შეწყნარება. ვითარცა პასუხი მივეცი ნაჩალიკსა ჩემს კერძოდ რომ არ შემიძლია მისი მორჩილობის ქვეშ შესვლა რადგან უცხო კარიდ შემოსული არის; მოვიდა კვალად სხვა გამომძიებელი ტფილისით და მიგვიხმო რა, რომელი იყო ქალაქის მცხოვრე დეკანოზის შვილი ალექსოვი და ამისი დიდი მოსარჩლე მან მკითხა რატომ არ წყნარულობთ მაჰყულიანს; ვუპასუხე არ შემიძლია რადგან მიშლის ჩემი სარწმუნოება, მითხრა; მაშ დაწყევლილ არის ეს კაცი. ვუთხარი დაწყევლილიც არის შეჩვენებულიც და კრულვილიცა. კვალად მითხრა აბა არ შეგიძლიათ შეწყნარე-

ბა მისი თუ რომ თქვენ ერზე ანუ თქვენზე რაიმე ბძანება გამოსცეს;
ანუ იმის წირვა-ლოცვაში თანხმობა. ვუპასუხე, არა თუ სასულიეროში
თანახმობა არ შემიძლია და ანუ დამორჩილება, არამედ არც სახორციე-
ლოში თანაზიარება ძალმიძს, და ასრე იცოდე არც ლაპარაკი და არც
კმის გაცემა შემიძლია, რადგან ჩემი სარწმუნოება მიშლის; მკითხა რით
იცი რომ შეჩვენებული არის. ვიცი წერილების ძალით, წმიდა ეკკლე-
სიის კანონით, და კვალად ახლად ეპისკოპოზთაგან მოწერილობითა
რომელი გარდაჭრილ განაჩენს სტამბოლის ეპისკოპოზთა გვიცხადებს
ჩვენ აზრუმის უმფროსი თავისი წერილითა, და ამ კითხვის გამოცდის
დროს ჩემთან იპოებოდა მხოლოდ ტერ იოვანე მამულოვი და მასაც
უთხრა, თქვენც ამის თანახმა ხართო, უპასუხა Ჲე, ამ წამს ჩემი ყოვე-
ლი ნათქვამი წერილით მიიღო თვით გამომძიებელმან და წაგვიკითხა,
თანვე ხელი მოგვაწერინა იმა გაწერისა ზედა ჩვენ ორთა, იმავე საქმე-
ზე მოუწოდა პატრი სიმონ ქულარდოვი, ტერ გრიქორ ნეფისოვი თა-
ვისიანებით და თითო ოროლა სხვა ერისგანნი ამათაც მისცეს პასუხი,
მერმე წავიდა ის გამომძიებელი ახალქალაქისკენ აზრუმელი იმ სამთზე
ღვდელთაც გამოსაძიებლად. იქიდამ მობრუნდა და წარვიდა ქალაქსა.
მაგრამ ამის აქ ყოფნაში მოხდა კვალად ეს რომ შავგულიანმან ამო-
გზავნა თავისი ღვდლებთაგანი პირველნი პოლიციის კაცებითა რათა
წაიკითხონ ის ქვა სომხურად დაწერილი რომელიც ატანია აღმოსავლეთის
კერძოთ კედელში თქვენს გ̃ა პატრებანით ეკლესიისა ღთისმშობლის სა-
ხელზე აღშენებულისა, და ისე ორ სამ გზის ამოსვლითა რათა დაამტკი-
ცონ მათ რომ ჩვენი არის და არა პატრებისა, არ აცმავა იმათი ამო-
გზავნა, მერმე თვითონ შაყულიანი ამოვიდა ხალხითა კიბე მიადგმევინა
იმ კედელზე ღთისმშობლის ეკლესიისა და აკუთხინა ის ქვა. ცდილო-
ბენ რათა ამ სახით ხელში გაიტარონ ეკლესია და გაალონ; იმავე ეკ-
ლესიისათვის ჰქმნა გამოძიება იმავე ალექსოვმან კათოლიკთაგან, სიმეხ-
თაგან, და თათრებისაგანაც და ამათ გაქი კარგად დაემტკიცებინათ ვ̃ც
ალიბეგსა, და ალიბეგის შვილსა თქმითა რომ ჩვენ მამაპაპით ვიცით
რომ ეგ ეკლესია პატრებისა ყოფილა ძველადვე და ჩვენც ასე გვინახამს
მუდამ პატრების ხელში რომელთ კარგი მონასტერიც აქუნდათ საყდრის
გვერდით ცხრაოდიანი და იქ ცხოვრობდნენ და კიდევაც ექიმობდნენ.
იმ სალდარს ეტყოდნენ პატრების საყდარს. ზეით კოკოლა სალდარსა
და ციხეზე ახლოს ბაზრის პირზე მყოფ საყდარს ეტყოდნენ ფრანგების
საყდარსა. ღელეში ერთი პატარა საყდარი არის იმას სომხების საყდარს
ეტყვიან ვ̃ც ერმანი ქილისასი, ხოლო გაღმა მაჰლაში ქართველების
საყდარს ეტყოდნენ და ვეტყოდით თიქანლი ქილისა. ვ̃ც ეკლიან საყ-
დარი. თათრებმა ასე ლამაზათ განიცხადეს თითოეულთა. უთხრა ამათ

ალექსოვმან, ეკლიან საყდარს რათ უძახით ჩვენს საყდარსაო. უპასუხეს იმიტომ რომ იმას გარეშე ეკლის ლობე ჰქონდაო, და სომხებმანც და ქართველებმანც სწორეთ უთხრეს, და რა საკვირველი ჩვენებმანც. მაგრამ შავგულიანის კერძომ მრუდეთ აჩვენა, და ამაზე უწინარეს მე მკითხა, ვისი არის ეკკლესიაო. მე ვუთხარი, ეგ რა საკითხავი არის, ქვეყანამ იცის და ყველამ რჯულმა რომ პატრებისა ყოფილა და არის. თქვენ მღვდლები არ სწირამდნენ მასშიდ, Ⴑე სწირამდნენ პატრების ბრძანებითა, ვ̃ა ქალაქს უიმათ ნებოთ არავის არ შეეძლო ჩვენგანთ მასშიდ წირვა: ბოლოს მათი გამოძიებისა პრისთავი და დებუტატი ამოვიდნენ თქვენს ეკლესიაზედ მე მიმიხმეს წასაკითხავად, რადგან ძალიან მაღლა ჩატანებული არის ის ქვა კედელში სწორედ არ იარჩევა შორიდამ, და მე ამოდნათ გავარჩიე რომ ამოვიკითხე ეს ორი სიტყვა ძლივსა ლადინ შიგაც. ვ̃ც ლატინმა აღაშენა, რახამიც სომხური იყო რ̃ლით ვსცანი ჩემი ამოკითხვისამებრ რომ ოთხას ოთხმოცდა რვა წლის აღშენებული არის. ანუ თუ გაახლებული; მე იმდენი შევიტყევი რადგან თავში ნაწერი გაფუჭებული იყო; პრისტავმა სთქვა მე ამას დავსწერ რომ ორ გვერდზე ქართული ნაწერი არის, და ერთ გვერდზე სომხური, და მე წამოველ; ესე ყოველი მოხდა ნოემბერში, და ამავე თქვეში მოვიდა ტფილისიდამ გუბერნათორის ბრძანება ნაჩალნიკთან, ნაჩალნიკმანც წარსცა პოლიციაზე სად დესეტნიკებით ჩვენი ერისაგანნი დიდი თუ პატარაი წარიყვანეს პოლიციაში აზრუმელნიცა რომელნიც არ არიან შავგულიანის შემდეგნი სად გამოუცხადეს მოწერილობა კელმწიფისა, რომ უნდა დაემორჩილოთ შავგულიანს ყოველს კერძოდ, თუ არა პატიჟს მიიღებთო. ამათ უთხრეს უპაპოდ ჩვენ არ შეგვიძლია მისი დამორჩილება, მაგრამ პოლიციამ რა ძალა დაატანა კელის მოწერაზე კელემწიფის ბრძანება არის უნდა დაემორჩილოთ, ამათაც შიშით ხელი მოაწერეს არა თუ მორჩილობასა, არამედ გამოგვეცხადათო. ამ დროს მე და ტერ იოვანე მამულოვიც იქ წაყვანილი ვიქმენით დესეტნიკებითა, თუმც ვნახე მათი შეცთომილება რომ ხელი უნდა მოეწერათ, იშარათით ვაცნობე ზოგთაც ხმითა, მაგრამ ველარ შეიმაგრეს თავიანთ თავი და ყოველმან ეგრედ მოაწერეს, მერმე ჩვენ ორთა ცალკე წაგვიკითხეს გუბერნატორის მოწერილობა, რომ თქვენ ხელემწიფის ბრძანების პირდაპირ ერს უქადაგებთ რათი არ მივიდნენ შავგულიანთან, არ დაემორჩილნონ, და არცა მისი წირვა ლოცვაზედ წავიდნენ, თანვე აცხადებთ რომ შეჩვენებული არის და ერს აშფოთებთ, ამისთანა სიტყვებითა, ამიერით აღარ გაჰბედოთ ამ გვარი საქმე და მორჩილება უჩვენოთ შაჰყულიანსა, რამეთუ დიდებული ხელემწიფე იმპერატორისაგან მიენიჭება მთავარ უმფროსობა და ესე არის თქვენთვის ბოლო შეტყო-

ბა, თუ არ დაემორჩილეთ აწცა ცუდათ მოვა თქვენი საქმე, ვუპასუხეთ ჩვენ ხელემწიფეს ვცნობთ ხორციელ უფლად და მორჩილნიც ვართ და ვიქნებით, ხოლო ჩვენი სულის მფლობელი ჰრომის წმიდა პაპი არის, და სხვა არ ვიცით, და არცა იმის გარეთ შევიწყნარებთ ვისმესა სულიერ უფლად. რადგან გვიშლის ჩვენი წმიდა კათოლიკე სარწმუნოება. ამ სიტყვებზედ პოლიციის მთავარმან მითხრა, კელემწიფის ხატის წინაშე თითის მისკენ გაშვერითა აბა ამ კელმწიფეზე რომელი არის ყოვლად ძლიერ კვალად აქვს სულიერი უფლებაცა და თქვენ არ შეიწყნარებთ მაშინლა ვუპასუხე, რიგორ შემიძლია შეწყნარება, და როდის ჰქონია რომ ახლაც ჰქონდეს: მითხრა არ შეიძლება უნდა შეიწყნარო და ეს უნდა იცნა სულიერ უფლადცა, და გრანიცის გარეთ არსად და არც ერთ სასულიერო მფლობელთან საქმე არ უნდა გქონდეს და არც მიწერ მოწერა. მაშ მაგის თქმას ცხადად სთქვა უფრო არ გიჯობს და გვითხრა რომ შენი რჯული დააგდე და ეს შეიწყნარე. თქვენი ლაპარაკი ამას აჩვენებს, და თათრის დროს ჩვენ მაგ გვარი შეწუხება მათგან არა გვქონია, ასე კარგად იცოდეთ არც შენ და არც ნაჩალნიკს, არცა მთავარმართებელსა და უდიდესაცა არა აქვსთ ჩვენზე და ჩვენს სულზე უფლება, ჩვენი სულიერი უჩინო უფალი და კელმწიფე ქრისტე არის, და მისი მაგიერი ამ ქვეყანაში ჩინებული უფალი არის წმიდა პაპი, და ჩვენ ვართ მისი ქვემდებარენი, სხვას ვერ ვიცნობთ; და არცა შევიწყნარებთ, და არც ხელს მოვაწერთ, თუმცა პოლიციამ ბევრი დაქადნება, და მერმე ვედრება გვიყო, მაინც არ მოვაწერეთ ხელი და გამოველით, კვალად უკან გამოგვიდგნენ ვედრებითა მაინც ასე მოაწერეთ რომ გამოგვეცხადა. ვუთხარით რა რისხვაც რომ ჩვენზე მოიღოს იმას კი თავზე ავიღებთ, და მაგის შეწყნარება კი არ შეგვიძლია, და წამოველით; მერმე ჰაირ სიმონი წაიყვანეს, ის ამითი მორჩა რომ მე არზა მიმიცია, როდის მისი პასუხი მომივა, მაშინ მაგის პასუხსაც მოგცემ; ნეფისოვტერ გრიქორ მან იმ დღეს თავი მოიავანთყოფა, რომ იყო ნოემბრის 23; მაგრამ დღეს რომ არის 29, წარიყვანეს ნეფისოვიცა პოლიციაში, მაგრამ კი ვერ დადგა კელი მოუწერია და ამათი ორპირობა ძალიან გულს უტეხს ერსა. და მოელით წმიდა მამისაგან დახსნასა; ამას გარდა გუშინ მოუვიდა შავგულიანსა კაზმირის ეპისკოპოზისაგან ერთი წიგნი რომელი არის რუსეთში და ქვეყანაზე ხმა დაჰყარეს რომ პაპისაგან მოუვიდა და იმასაც მიუცია უმფროსობაო მაგრამ სიცრუე იყო თავის ჩვეულობისამებრ თემის მოტყვილება. ის წიგნი კაზმირის ეპისკოპოზისა ქართულად ეთარგმნათ და ბაზარში დაჰქონდათ, რომელიც ერთმა ჩვენგანმა წაიკითხა, სად უწერდა რომ გამოგვეცხადა ჩვენი თქვენი უმფროსობა ყოვლად მოწყალე რუსეთის იმპერატორს მთავარ უმფროსობა

მოუნიჭებია თქვენთვის რომელიც მომილოცამს; და მეტრიკები მაგ ადგილის თემთა გამომიგზავნეო. შავგულიანმა კმა დაჰყარა, რომ პაპს იმ ეპისკოზისათვის ჩაუბრივართ, და ისიც მე მაბრის, და ამაზედ აპირობს რათა კვალად პოლიციაში გააყვანინოს ყოველნი იგინი რომელიც არ წყნარულობენ. ამისთვის შეშინებული თქვენი მთავარ დიაკვანი მისულა შაჰყულიანთან კელზე უკოცნია და შეუწყნარებია, და ვინ იცის რამდენი უნდა ამისგან დაბრკოლდნენ, რაც ალიოშამ დააბრკოლა ერი და გადარია, იმის დანაკლისსა ახლა ეს შეუთავებს, ასრე რომ ალოშა ტერ სტეფანმან ერთ კვირასაც ვერ გასძლო რომ ის ჩვენ დაგვიშალა შაჰყულიანმან ეკკლესიაში შესვლა და ერისაც შევლა აღგვაკრძალა, და გამონწყვდევით ჩვენს სახლებში ვასრულებთ ჩვენ სამღვდელო სამსახურსა, ჰაირ სიმონიც თავის ხუცში რომლის ძალით ეკკლესიის გასაღები გამოართვა პოლაციის ძალითა, და ჩვენც ჩვენი ეკკლესიისა წარგვტაცა გამოსევით თავისი ახალი ღვდლებისა და მოლამებულზე ჩვენს ჟამკოჩს წაართვეს გასაღები ზემო საყდრისა და ამ დღიდამ ვინემც აგვისტოს ცხრიდამ ვიდრე აქამომდე ეკლესიაში ვეღარ შევსულვართ და ვერცალაერისთვის შეელას ვძლებულობთ თუ არ მალვით სახლებში, და დღითი დღე რაც არ გვემატება შეწუხება და ტანჯვა სხვა არა რაი ჩანს. ალოშაი იმ დროს რა მოვიდა მასთან და მისცა წერილი შეწყნარებისა მორჩილებისა. ხუთი დღე დააყენა საკანუნო გასწიე და მერე შედი ეკლესიაში, ესეც თავზე აიღო და მას მოღმა შევიდა ეკლესიაში და ერში დაიწყო ჩაჩული და ლაპარაკი ხან წაღმა და ხან უკუღმა, ვის ეუბნევა შეჩვენებული არის შაჰყულიანი, ვის ეუბნევა არ არის შეჩვენებული მე გამოვიძიე და მრავალს ასე აჯერებს; თუმცა ეპისკოპოზისაგანაც განცხადებული შეჩვენება აზრუმის უმფროსმანც მოიწერა და სხვა მრავალთაგანაც მოვიდა წერილები მისი შეჩვენების განცხადებისა თუ სტამბოლს თუ აზრუმში, მაგრამ არაღ შეიწყნარა, და ამ ნაირად არის ალოშოვი გარდადგომილი ჩვენგან, და ჩვენც ყოვლითურთ განვეშორეთ მისგან; ბოლოს რა თავი გაწყინო მამაო გთხოვ რომ ეს ყოველი წმიდა მამას განცხადებით წარუდგინო რომ ვართ დიდ საცდურში რომელიც ცხადათ ჩანს სულიერი თუ კორციელი უბედურობა მოსაწევნელი და ახლისაც არის ქრისტეს დაუფასებელი სისხლის პატივისცემისათვის იხსნას ესოდენი ერი ამ საშინელი წარწყმედისაგან, და მალე მალე ერთი ჩვენი არზების პასუხი, და ილოცევდით ჩვენთვის, ღფის მშობელმან თქვენი ხილვაც გვაღირსოს; ამინ:

1844-სა; ნოემბრის 29:

ტ. იაკ" მუ":".

—

„თქვენო მაღალო ღირსებავ უფალო მამაო დამიანე,
„უხვი გიხაროდნის შემდგომ თქვენს სიცოცხლეს ვისურვებთ.
„დიდს განკვირვებასა ვართ მიცემული მიზეზით დადუმებისა თქვე-
ნისა, რომ არა რაისა გვწერ მაინც მცირეოდენ სანუგეშოდ. რადგან
ვიპოებით დიდს განსაცდელში, ასრე რომ რა გამოაცხადეს უმფროსობა
შაჰყულოვისა შუა ბაზარში პუპლიკანციითა. ჩვენ მეორე დღეს ძალდა-
ტანებულნი მიგვიყვანა შაჰყულიანმან, და შემდგომად ხელემწიფის წიგ-
ნის წაკითხვისა მოვახსენეთ რომ ჩვენ თუმცა არ ძალგვიძს პირდაპირო-
ბა ხელემწიფის ბრძანებისა, და მორჩილნი ვართ. არამედ უნდა გაქუნ-
დეს სასულიეროდგანაც, ეგრეთვე ეუბნეოდა ტერ გრიგორ მეფისოვიცა
თუ ბატონო ჩვენ გვისწავლია თქვენგან მორალი, და ამისათვის მორა-
ლისამებრ შესაწყნარებელი არ არის თქვენი უმფროსობა თვინიერ სუ-
ლიერი შეძლების ქონვისა; ხოლო იგი გაწყრომილი ეტყოდა: არ არის
საჭირო ბჭობა, გინა ბაჰასობა ჩემთანაო. თქვენ უყურეთ მხოლოდ ამ ბრძა-
ნებასო. მაშინ ვუთხარი რომ ჩვენი თავი არის წმიდა პაპი, და როგორ
შეგვიძლია მის უნებურად შენი შეწყნარებაო. ხოლო იგი გვეტყოდა.
პაპის მაგიერი არის კოლეგი რომელი არის პეტერბურხს, და აბარია ექვსი
მილიონი სულები. ნუ თუ იგინი წარწყმდებიანო: მაშინ ჩვენ ვუპასუ-
ხეთ რომ თუმცა იგინი ეგრეთ იყვნენ, მაინც ჯერეთ ჩვენ არავართ პა-
პისაგან ჩაბრილნი, და რადგან გვაქვს წიგნი მიწერილი მასთანა, მოვით-
მინოთ ვიდრე მივიღებდეთ პასუხსა, არამედ იგი განრისხებული გვეტყო-
და; მე არ ვიცი არავინ, ეს წიგნი არის თუ გინდათ, თუ არ გინდათ
მიბრძანდით და მე მინდა მივსწეროო. შემდგომად საღამოს ლოცვისა
მოგვივიდა ბრძანება დაყენებისა, და დილაზედ მძლავრობით მიმღებელ-
მან ეკლესიათა კლიტებისამან დაახშო კარები და არ გვიტევა შესვლად.
რომლისათვის ვიპოებით ულოცავ-უწირავად. და ამ მიზეზების გამო
ორ გზის მივედით გუბერნატორ დესიმონთან. სად მრავალი ლაპარაკის
შემდგომ გვითხრა რომ თქვენ აცოდინეთ მთავარს უმფროსს პ. დამიანეს
ეს ყოველივეო და როდის თვის ტფილისში წავალ, მოვილაპარაკებ
მასთან და რაიც შემიძლია ვეცთებიო და აქ არა რაის შეწევნა შემიძ-
ლია თუ არ მივალ შაჰყულიანთან და ველაპარაკები სიტკბოებით რათა
მშვიდობიანად მოიქცეს თქვენთანაო, და ახლა არ ვიცით თუ რომელი
გზა დავიჭიროთ უკეთუ შევიწვნაროთ, შესვრილი არის და ბოლოს
რაიც შეუდგების შეტყობილი გვაქვს და თუ არ უმიზეზოთ უნდა მივე-
ცეთ პოსუდში და დავიკარგოთ სიბირს, მაშ აბა გევედრებით რათა ერ-
თი რამ დარიგების მოცემით სასწრაფოთ გვიჩვენო გზა, რომ იმ სახით
მოვიქცეთ რადგან დიაღ ცუდათ არის ჩვენი საქმე: ეგრეთვე თქვენს
ეკლესიაშიც სწირავენ მათგანნი; და გვითხრა დესიმონ გუბერნატორ-

მა რომ იქმნება მე დამიგვიანდეს აქა, ჩემს ჩასვლამდინ მთავარ უმფროსმა ეცადოს იქა რადგან იცის მრავალი გზები და იქ უფრო გარიგდება თქვენი საქმეო ამიტომ რომ სასულიერო უფროსი კიდევ იგი არისო. და გრიგოლ მიზანდაროვმანც ეგრე გვასწავლა, და პაირ სიმონსაც რომ ამ საქმეზედ საკუთრად მოუწერია წიგნი თქვენთან.

„მონა უმდაბლესი ტერ იაკობ მურადოვი; მონა ტერ გრიგორ ნეფისოვ; ტერ სტეფან ალოშანი; მონა ტერ ივანე მამულოვი. 1844. აგვისტოს 12-სა ახალციხეს“.

„თქვენო მაღალო ღირსებავ მამაო დამიანე, 1845, მარტის 4-სა.

„უხვი გიხაროდენის შემდგომ თქვენს სიცოცხლეს უფალს ვსთხოვ. თუმცა თქვენის აქედგან გასვლითა დიდი სიმწუხრე მივიღეთ გარნა ღთის ნება კურთხეული იყოს. ჩვენ დავრჩით საწყლათა თვარა თქვენ თქვენს ადგილებში მიბძანდებით:

„უკეთუ იკითხამთ აქაურს ამბავსა თქვენს ეკკლესიაში შეჩვენებულნი სწირვენ ხან ფუშიანი და ხან ვირის ჭირი. გვესმა ერთი ამბავი ტფილისით და ქუთაისით რომ ხელმწიფე დიდათ გასწყრომოდეს შავგულიანსა და ეთხოვოს თავისთან. ამისთვის შავგულიანი ავათ არის და არღარა დაიარება ეკლესიაში. ამბობენ რომ გუშინ სისხლი გამოუშვათ და მე ერთი ვინმე მწვალებლისაგან შევიტყე რომ ბეჯითად უთხოვნია მთავარ-მარბიებელსა, და ვინ იცის ეგებას მატყუარობითაცა მოიავათმყოფა თავი რადგან ამ გვარი ეშმაკობა მრავალი იცის. ეგრეთვე ამბობენ მოსვლასა ორი წიგნისას ერთი წმიდა კრებისა და მეორე წმიდა მამისასა რომელნი დებულან კაზმირ ეპისკოპოზის წიგნსა შინა, და რა შეუტყვია თავისი თავის შეჩვენება არცა ერთი არ გაუხსნია ეს ამბავი გამოვიდა იმავე თავისი ახალი ნაკურთხი მღვდლებისაგან და ბაზარში იძახდნენ იმათგანნი რომ უკეთუ პაპი შეაჩვენებს, ხელმწიფის შუამავლობით და მასივე ხათრისათვის იგივე ახსნისო: ესრედ მამაო ვნახოთ ბოლოს რაზედ დაბოლოვდების ჩვენი საქმე. პ. სიმონ იქ არის არ მოსულა, მოკითხე სიყვარულით პ. ფლორენცია, პ. ქერუფინე და სხვანი დანაშთნი პატრებიცა რომელ ცნობა არა მაქვს, და ნუ დაგვივიწყამთ ლოცვისაგან.

„უმდაბლესი მონა ტერ ივანე მამულოვი. ახალციხით“.

„თქვენო უსამღვდლესობაო, მამაო წამებულო ძმებითა და ფრიად პატივდებულო. 1845-სა მარტის ოთხსა.

„უმდაბლესად მოგიკითხავ სავსე სიყვარულითა..... ვსთხოვ ღუთის მშობელს ხილვასა თქვენისა ღირსებასა, და ხელმეორე განათლებასა საქართველოისა ამის.

„შემდგომ ვუწყით რამეთუ მსურველი ხართ, ცნობად ვითარებათა
ჩვენთა, და ქვეყნისა ამის, ამად მოვიწადინე წერილისა ამის მორთმევა
ჰიდროსა ჟამსა ღამისას აღწერვითა, რომლის მიერ შემოკლებით განვა-
ცხადებთ შემთხვევათა შემდგომ თქვენი წაბძანებისა, წინაშე უფლებისა
თქვენისა: უპირველესად ჰოი თუ რა სამწუხრო და შემაწუხებელ იქმნა
გარდამეტად ხმა იგი სასწრაფოდ თქვენი ამ საქართველოისაგან გაყვა-
ნისა და ესოდენი ერის უმწყემსოდ დატოებისა მეტადრე თქვენებ მო-
ღვაწე მამათა, რომელმან გვამიზეზა სიმწუხრე დიდი და ჰყო რომელნი-
მეც სასოწარკვეთილ; მეორედ თქვენი ეკლესია მდგომარე ახალციხესა
შინა ღვთის მშობლისა რომელსა ზედაცა კრძალვა იყო მძლავრი ესე
შურის მძიებელ რომლითა აეხოცა სახელი თქვენი მისგან და გაესაკუ-
თრებინა. არამედ ყოველმან უსჯულო სარჯელმან მისმან გაიარა ამაოდ
და დიდი გამოძიების შემდგომ მთავრობისაგან დამტკიცებულ იქმნა გა-
მოცხადებით აქ ნაჩალნიკთან და ნაჩალიკის ბრძანებითვე პოლიციისაგან
ყოველთადმი ესრედ მოწერილობა ტფილისით; რომ ეკლესია ღვთის-
მშობლისა რომელი ახალციხესა ძველსა, დამტკიცდა რომ ორასი წლის
აქეთ კაფუცინის პატრებისა ყოფილა და იმათი არის არავის უფლება არა
აქვს მასზედა, და ეკლესია იგი; და მისი სამკაულნი რიმცკის კათოლი-
კეთაგან თორმეტი კაცის მოწმობით და მათ შორის სამი კაცის აღმორ-
ჩევით ჩაჰბარდეს იმ სამთა პოლიციის დასწრებითა რომელიცვე ამგვა-
რად აღსრულებულ იქმნა, და მხოლოდ იმ განცხადების წერილში ეს
იყო რომ, თუ ისურვეს შაჰყულიანმან მუნ წირვა არ დაეშალოს. მაგ-
რამ ამ გვარ ბრძანებაზედ გაგოროზებული დიდათ განრისხდა. და კვა-
ლად არ დასცხრა ცდასა გატარებისათვის თავის ხელში თუ სამკაულისა
მისისა, და თუ კლიტენისა, მაგრამ არა გაუხდა რა. და რომელნიც ჩაი-
ბარეს პოლოს ნქფისოვმან, სტეფან იზმირლიმ, დატია მურვანოვმან. აწ
ამათ ჩამოუდგა რათა წაართვას კლიტენი ამ ეკლესიისა, და მოუწოდა
სამნივე ესენი თავისთან, გადმოუდვა ერთი რაცალა რუსული წერილი
მატყუარობითა და უთხრა რომ აჰა მე მაქვს ბრძანება რათა კლიტენი
ეკლესიისა მის მე ჩამაბაროთ, თანვე საყვედურიცა თუ უჩემს დაუსწრე-
ბლად ვითარ ჩაგაბარეს თქვენა; ხოლო ამათ უპასუხეს რომ ჩვენ ეგ
წერილი არ ვიცით, რას ვეძებთ ჩვენ, პოლიციამ ჩაგვაბარა როგორც
მოწერილობა იყო, აჰა შენა, აჰა პოლიცია შენ და იმან იცით, და სხვა
ამისგვარნა პასუხნი, მაინც კიდევ გლისპობით გააგზავნინა თავისი მღვდე-
ლი პოლიციაში იზმირლიც კვალად. ხოლო ამითაც ვერა გაათეთრა.
ბოლოს თავისი ამპარტავნულის ნების წინ წაყვანისათვის და ქვეყანაში
გამოჩენად თავის მაგიერად ინება ამოგზავნა სარწმუნოების უარის მყო-
ფელი ღვდელი ხიზაბავრელი საწირავად, და იზმირლიმაც გაუღო კარი

გასაღები კიარ მისცა და იმიერით სწირვენ და ლოცულობენ სალმრთო ტაძარში.... სახელზედა, და ამ ეკლესიის გამღები და დამყრელი დილა საღამ არის იზმირლი. თუმცა მე ძალიან მეწყინა მათთვის კარის გაღება რომელთაც ხელმეორ შეჰბილწეს გაწმენდილი ეკკლესია. რადგან შეეძლოთ ამით რომ თუ თქვენ ამოხვალთ თქვენ გაგიღებთ ბრძანებით მთავრობისა, მაგრამ შენს გარდა სხვის შემოსვლა არ სწერია ამისთვის სხვა ღუდელს ვერ გავუღებთ ხოლო აქამდინ ველარ აატანეს. და რას იქმოდა თუ არ ამას რომ კიდევ მიეწერა იქ მთავრისათვის და ესე ერთხანს ისე დარჩებოდა და ღთით გაუფუქდებოდა, ვგონებ რომ არც იმაზე მეტს მთავრობა ინებებდა წინაალმდეგად. თავისი განსაზღვრისა: გარნა იზმირლიმ იმ მისვლის შაჰყულიანთან ძალიან მაგარი ილაპარაკა პირდაპირ შაჰყულიანსა, რადგან მას ეთქვა შესვლა იმ ეკკლესიაში, და იმას ეპასუხნა ცხადათ რომ მე არ შემიძლია შემოსვლა და არც მნებავს სრულიად, ესრედ სხვათა ჩვენთაგანთა, და სხვაც ამის შესაფერნი რომლის ბოლო მიგება ეს იყო რომ ბატონო ეს რა საქმე არის ამდენი სულები წყმდებიან თქვენის მიზეზით. ჩვენ კერძოდ არიან მხოლოდ სამნი მღვდელნი, თქვენ ესრეთ სიმრავლით. მაშ მე დავამზადებ ერთს დიდს ოთახს რათა თუ ინებებთ შეიკრიბოთ მუნ ყველანი და ჩვენ სამ ღვდელთან იბააჰასოთ. გაირჩეს რომელი არის ბრალიერი, და შეუდგეთ ჭეშმარიტსა. რა უნდა იყოს ამდენი განხეთქილება, რომელსა ზედაცა უნაღვლელად იპოებით ამას დაფიქრება უნდა, და ამა ყოველს სიტყვათა ზედა იზმირლსა რომელიც ამ ჯერად ძალიან გაბედა ერთი ხმა აღარ ამოუღია შაჰყულიანს. ამის შემდგომ კვალად ხარისჭიროვთან მოუხდა ლაპარაკი იზმირლის ერთს ადგილს და რამდენიმე იმათ კერძო კაცებთან ეს პირობა შეჰკრა იმ ღვდელთან რომ შაჰყულიანს ერთი წერილი გამოართვა ამ ნაირი რომ მე თქვენ არა რაი წინალმდეგი კათოლვკე სარწმუნოებისა არ შემოგიკვეთო, არცა გიბრძანო, და თუ ამნაირ მაგარ წერილს მოგვცემს, ჩვენ დავემორჩილებით მასა. რომელიც მაგრად შეჰპირდა რომ ხვალ დილაზევე ალგისრულებო. და რა ეთქვა შაჰყულიანისათვის, მას არ შეეწყნარებინა. და სირცხვილით ის მღვდელი ველარც აღმოჩნდა იზმირლისთან პისუხის მოსატანათ. მერე კაციც გაგზავნა მაგრამ მაინც არ იქმნა და დარჩა შეკრული თავის სიტყვასთან. ჰაჲ თუ ამნაირ ჭეშმარიტი ლაპარაკით მოქცეულ იყვნენ სამთავრო ადგილებში სადაც იმ საქმეზე წაყვანილ იქმნენ, ჭეშმარიტად დიდი ნაყოფი გამოვიდოდა. ვერც ესოდნად შეგვაწუხებდნენ. ვითარცა მასაც მოვახსენეაი შვილო ეგრე პირდაუფერულად უნდოდა მუდამ პასუხის გება: რომელიც ამ საქმის უწინარეს შიშისაგან ველარ დამაგრდნენ ეს ჩვენი იშხანები გარდა გრიგოლ ნეფისოვისა და სიმონისა, რომლებმანც მოიწა-

დინეს შეწყნარება მისი ტყუილი უმფროსობისა, და ინებეს თაღლით მარგალიტის მიღება იმ გვარად როგორც ჭეშმარიტი მარგალიტისა რომლისათვის ვევედრეთ ღთისმშობელსა, რათა ერთი რაიმე მიზეზით დაეშალა ამათთვის ეს დიდი დასაპრკოლებელი საქმე, და კიდევაც იქმნა ეს რომ შაჰყულიანმა გააკეთა ერთი ულმრთო წერილი რათა მასზედ თუ ხელი მოეწერათ, შეეწყნარებინა, რომელშიდაც ესრედ აცხადებდა „ჩვენ ქვემორედ ხელის მომწერნი წინაალმდეგნი ღვთისა და ხელმწიფისურჩნი და ყოვლითურთ ბრალიერნი, სხვაც, გაძლევთ ამ წერილსა რომ ამიერით ყოვლითურთ მორჩილნი ვიყოთ თქვენი ბრძანებისა, და კვალად სხვაც. რა მაშუალმა ნახა ეს წერილი რომელი იყო მიმსვლელ-მომსვლელი იზმირლივე. მაშინ დაფიქრდა და ამასთანავე იყო იმათ კერძო ტალიკაშვილი, ამ დროს უთხრა იზმირლიმ ეგ არ შეიძლება ჩვენ რის დამნაშავე ვართ რომ ეგ წერილი მოგცეთ, და ამით უკან დადგნენ იმ საქმისაგან. რომლით უფრო კარგად სცნეს მისი უსჯულო დაწყობილება, მადლობა უფალსა, ახლა უფრო მაგრად არიან..., სხვებრ დავშთები: უ. მ. ტერ იაკობ მურადოვი“.

—

„მათს მაღალს ღირსებას, პატრთ მთავარ უმფროს მას დამიანეს, უუმოწყალეს მამას,

„წმინდას მარჯვენასა ამბორს მოვახსენებ და ყოვლად მოწყალე ღმერთსა ვსთხოვ, რომ მშვიდობით იმყოფოდი და ჩვენც ღირსი გვყო თქენი ხილვისა. თუ ჩვენს ვითარებას მოიხსენიებ გახლავართ ვითარცა ცხვარი დაბნეული და გაფანტული რომ არც მანდეთ მხრიდამ არც აქედამ ჩვენთვის არა ჩანსა რა თუმცა აქნობამდინ. იმედნეულ ვიყავით ახლა თქვენმა მოწერილმა წიგნმა იმედიც დაგვიკარგა თქვენი წიგნი მოვიდა აქა ამ თვის გარდა ჩემი ივანე ქალაქს გახლდათ ჩვენ ხომ იტალიანურ ვერ წავიკითხამდით და გაუგზავნეთ ქალაქს და ეხლა ეს ორი დღეა რომ გეახლა ქალაქიდამ ვკითხეთ და გვითხრა თქვენი მანდ ბრძანება და პატრი ემანუელის და ქერუბინეს წასვლა რომ პატრი მანველი თავის მონასტერში წავაო და აი ამან თუ იმედი იყოს პატრი მანველი მონასტერში არ წავიდოდა და რადგან იმედი არ არის ამისთვის წასულა და ამან ჩვენ დაგვალონა და არ ვიცით ჩვენ რა უნდა ვქნათ რომ არც რომიდგან ფიქრობენ ჩვენთვის და სხვა ვინ იფიქრებს თუ არ ისინი. აღდგომის უკან დონ ანტონი მოვიდა, და ყოველთ აღსარება გვათქმევინა და წავიდა და ვართ ასე უმწყემსოთ. შემთხვევაა თუ სიკვდილი მოვიდეს ვისმე ინე უნდა წავიდეს რომ არც აღსარება არც საიდუმლოები ვერა მიიღოს რა და აი რა უბედურებაში ვართ და ამისთვის თქვენ გევედრებით რომ თქვენ იფიქროთ და მისწეროთ რომსა რომ როგორც შე-

ძლებოდეს უმწყესოთ ნუ დაგვტოვებს სხვა ფრივ მშვიდობით გახლავარ, და ეს ჩემი ივანე ხომ მანდეთ წამოვიდა და გთხოვ აღსრება ათქმევინო და აკურთხო რომ მშვიდობით მოვიდეს, და ჩვენ კიდევ ღმერთს ვევედრებით რომ თქვენი ხილვა გვაღირსოს, და ჯერ კიდევ უიმედოთ არა ვართ.

„ელისაბედმა თეკლემ და ჩემმა გრიგოლმა თაყვანისცემით მარჯვენას ამბორი მოგახსენეს. რომელიც პატრები თქვენთან იმყოფებიან, უმდაბლესად მოვიკითხამთ და მარჯვენას ვეამბორებით.

„თქვენი მაღალი ღირსების უმდაბლესი მონა ანდრია ზუბალოვი.

„ივლისის 24, 1845-ს, გორსა“.

„მოწყალე საყვარელო მამაო პატრი დამიანე,

„პირველად ნათლით მოსვილს, მარჯვენას გეამბორებით, და შემდგომ დიდის სიყვარულითა და პატივის ცემითა მრავალს მოკითხვას მოგიძღვნით მე და ჩემი სახლობა და მასთანვე ჩვენის ცოდვილის პირით ღმერთსა ვთხოვ რათა ჩვენდა სასიხარულოთ და იმედათ სულიერად და ხორციელად უკანვე დაგვიბრუნოს თქვენი სულიერი მამობა.

